JEAN-BAPTISTE DUROSELLE
de l'Institut

L'Europe
Histoire de ses peuples

Une initiative européene de Frédéric Delouche

Conseillers scientifiques:
Juan Antonio Sanchez Garcia Sanco,
Sergio Romano, Keith Robbins,
Karl Ditrich Erdmann

HACHETTE
littératures

ჟან-ბატისტ დიუროზელი
საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი

ევროპა
მისი ხალხების ისტორია

ფრედერიკ დელუშის ევროპული ინიციატივა

მეცნიერ-კონსულტანტები:
ხუან ანტონიო სანჩეს გარსია სანკო,
სერჯიო რომანო, ქეით რობინსი,
კარლ დიტრიჰ ერდმანი

ჯისიაი

თარგმანი: გურანდა დათაშვილი
ქეთევან კვანტალიანი
ნინო ლეჟავა

რედაქტორი: მანანა მექვაბიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ბელა ბოლოთაშვილი
ვაჟა ბარამიძე

ყველა უფლება დაცულია
Tous droits resérvés
ტირაჟი 1000 ც.

© PERRIN, 1990, 1993
© გამომცემლობა ჯისიაი, 2008
© თარგმანი: გურანდა დათაშვილი, ქეთევან
კვანტალიანი, ნინო ლეჟავა, 2008
ISBN 978-99940-17-83-6

წიგნი გამოიცა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის, ბანკ რესპუბლიკის და შუმანის ფონდის ხელშეწყობით

Ouvrage réalisé dans le cadre du Plan d'Aide à la publication Mérab Mamardachvili avec le soutien du Ministère Français des Affaires Etrangères, de l'Ambassade de France en Géorgie, du Centre Culturel français Alexandre Dumas de Tbilissi, de la BANK REPUBLIC et de la Fondation Schuman.

Liberté • Égalité • Fraternité
RÉPUBLIQUE FRANÇAISE

centre culturel français

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
SOCIETE GENERALE GROUP

FONDATION ROBERT SCHUMAN

ჟან-ბატისტ დიუროზელი დაიბადა 1917 წელს პარიზში. უმაღლესი განათლება „ეკოლ ნორმალ სუპერიორში" მიიღო, იყო საფრანგეთის ინსტიტუტის წევრი 1975 წლიდან, მრავალი უნივერსიტეტის, მათ შორის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ხელმძღვანელობდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის ინსტიტუტს. იგი რიგი ნაშრომების ავტორია, რომელთა შორის აღსანიშნავია „დიპლომატიის ისტორია 1919 წლიდან დღემდე", „ევროპა 1915 წლიდან დღემდე", „კლემანსო".

1. რა არის ევროპა?
I. უცნაური მოხაზულობის და ორიგინალური გეოგრაფიის მქონე ევროპა 15
II. ევროპული თანამეგობრობა არც რასობრივია, არც ლინგვისტური 20
III. ისტორიამ შექმნა ჭეშმარიტი ევროპა 25
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

2. ევროპის პრეისტორია
I. ევროპამდელი ადამიანი 33
II. ადამიანის მოსვლა ევროპაში 34
III. ხელოვნების დაბადება ევროპაში 40
IV. ნეოლითის რევოლუციისაგან განზე დარჩენილი ევროპა 43
V. ლითონის ძიებაში: ოქრო, სპილენძი, ბრინჯაო - 50
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

3. კელტების დიდი ეპოქა
I. ინდოევროპელთა დიდი ოჯახი 55
II. ბრინჯაოს ხანა და პირველი კელტები 58
III. რკინის აღმოჩენა 59
IV. რკინის პირველი ხანა – ჰალშტატი, ანუ დასავლეთის გამოღვიძება 62
V. რკინის მეორე ხანა: ტენის ბრწყინვალე ცივილიზაცია 66
VI. კელტების „ჰორიზონტი“ 69
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

4. ბერძენთა გონიერება და რომის სიდიადე. შვიდი ბერძნულ-რომაული საუკუნე
I. საბერძნეთის აყვავება რომაელთა ეპოქამდე 76
II. რომაელთა საოცარი დაპყრობანი 87
III. რომის იმპერია, ასიმილაციის ფაქტორი 99
IV რომის სახელმწიფო 106
V. რომაული სამართალი, სახელმწიფო და ოჯახი - 110

VI. ევროპის რომისეული ხედვა 114
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

5. ქრისტიანულ დაპყრობათა პირველი ოთხი საუკუნე დასავლეთში
I. იუდეურ-ქრისტიანული გავლენის ძირეული ასპექტები 120
II. ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთში 126
III. ქრისტიანული იმპერია 133
IV.საეკლესიო გეოგრაფიის გავლენა 139
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

6. გერმანებთა დიდი ეპოქა
I. გერმანებთა მოსვლა ევროპაში 145
II. გერმანებთა საზღვაო მიგრაციები 161
III. დასავლეთის ბერები 165
IV გერმანიკული და რომანული ენები 173
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

7. კარლოს დიდი, ევროპის მეფე?
I. კაროლინგების მოსვლა ხელისუფლებაში 183
II. კარლოს დიდი 186
III. იმპერია 192
IV კაროლინგური აღორძინება 194
V იმპერიის დაშლა და სამეფოების განვითარება 199
VI. ევროპის საწყისები? 203
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

8. ალყაშემორტყმული ევროპა
I. სარკინოზები 208
II. ვიკინგები 216
III. სლავები 231
IV დასავლეთი კავშირს წყვეტს ბიზანტიასთან 240
V სამღვდელოება და იმპერია 248
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

9. დასავლეთის ქრისტიანობის აპოგეა (XII-XIII საუკუნეები)

I. დროებითი ძალაუფლება და სასულიერო ძალაუფლება 163
II. წმინდა ბერნარი და თეთრი ბერები 271
III. ჯვაროსნული ლაშქრობების ევროპა 279
IV. „მათხოვართა ორდენები“ და მისიები 283
V. უნივერსიტეტის ევროპა - 289
VI. პილიგრიმთა ევროპა 296
VII. დიდი კამათი 305
VIII. რომანული და გოტიკური ევროპა 310
IX. უფრო ჰუმანური ცივილიზაციისკენ 317
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

10. სახელმწიფოთა ევროპისაკენ (XIV-XV საუკუნეები)

I. თანამედროვე სახელმწიფოს დაბადება და ასწლიანი ომი 328
II. ევროპის მოსახლეობის დიდი კრიზისი 337
III. ქრისტიანობის დიდი კრიზისი 344
IV. მეცნიერების აღმავლობა ევროპაში 358
V. ზღვაოსნობის განვითარება ევროპაში 365
VI. ევროპის იდეის მუდმივობა - 371
(მთარგმნელი გურანდა დათაშვილი)

11. რენესანსი, რეფორმა და ევროპის ექსპანსია (XVI საუკუნე)

I. კარლოს V ევროპული ჰარმონიის პირისპირ 377
II. ევროპა ზღვის გადაღმა ქვეყნების პირისპირ 384
III. ევროპა თურქების პირისპირ 393
IV. ოთხი ნოვატორი: ლეონარდო და ვინჩი, ერაზმე, მაკიაველი, ლუთერი - 399
V. ჰუმანიზმი, გამაერთიანებელი მიმდინარეობა 410
VI. ქრისტიანული სარწმუნოების რეფორმები და *cujus regio ejus religio* - 414
(მთარგმნელი ნინო ლეჟავა)

12. აბსოლუტიზმი, უფლებები, კოსმოპოლიტიზმი
I. ღვთის სამართლის მონარქიიდან განათლებულ დესპოტიზმამდე 431
II. თავისუფლების გარიჟრაჟი: ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი 435
III. XVII საუკუნე: საუკუნე თუ რკინის საუკუნე 447
IV. „ავტორიტეტის პრინციპის" დაცემა და თანაგრძნობის განვითარება 457
V. „ფრანგული ევროპა" და კოსმოპოლიტიზმი 465
VI. ნაციონალიზმის გარიჟრაჟი 477
VII. საწარმოო რევოლუციის გარიჟრაჟი - 481
(მთარგმნელები ნინო ლეჟავა და ქეთევან კვანტალიანი)

13. დიდი დასავლური რევოლუცია და იმედგაცრუება
I. დასავლური რევოლუციის ერთიანობა: მიზეზები 488
II. დიდი ერი ევროპის პირისპირ 494
III. დასავლური რევოლუცია და ნაციონალიზმის დაბადება - 504
IV. რევოლუციის ექსპანსია და ევროპელი პატრიოტების იმედგაცრუება 508
(მთარგმნელი ქეთევან კვანტალიანი)

14. ნაპოლეონი ანუ ევროპის დაპყრობა
I. ნაპოლეონის არჩევანი 521
II. ნაპოლეონის გამარჯვებათა თავისებურებანი 523
III. ევროპის ეკონომიკური ერთიანობის მარცხი: კონტინენტური ბლოკადა და კონტინენტური სისტემა 529
IV სურდა თუ არა ნაპოლეონს ევროპის გაერთიანება? - 534
V ნაპოლეონის მარცხი 544
(მთარგმნელი ქეთევან კვანტალიანი)

15. ევროპული მოვლენა: საწარმოო რევოლუცია
I. ევროპა აღმოჩენების სათავეში 555
II. ევროპა, მსოფლიო წარმოების ცენტრი 564

III. თავისუფალი ვაჭრობის ხანმოკლე ევროპული გამოცდილება - 572
IV. ევროპა და სიცოცხლის გახანგრძლივება 579
V. დეკორის მეორე მხარე: პროლეტარიატი - 584
(მთარგმნელი ნინო ლეჟავა)

16. ევროპა, რომანტიზმი და ერები
I. ვენის კონგრესი (1814-1815) 609
II. „ევროპული შეთანხმება“ 619
III. ნაციონალიზმი, „რევოლუციის ჰიდრა“ 624
IV. რომანტიკული ევროპა - 634
V. არეულობის და ომის ხანა (1848-1871) 643
(მთარგმნელი ნინო ლეჟავა)

17. ევრპული კატასტროფისკენ (1871-1914)
I. ნაციონალიზმის გამწვავება 650
II. ბისმარკი, „რეალიზმი“ და „შეიარაღებული მშვიდობა“ - 653
III. ევროპა მსოფლიოს დაპყრობას განაგრძობს 662
IV. ევროპეიზმის სუსტი მხარე 668
დასკვნა. (1815-1914) 677
(მთარგმნელი ნინო ლეჟავა)

18. ევროპა თავის თავს თვითონ ანადგურებს
I. დიდი ევროპული ომი და მისი უჩვეულოდ ევროპული დასასრული 683
II. სამშვიდობო ხელშეკრულებები და მათი სუსტი მხარეები 690
III. ბრიანი ევრო კავშირის პროექტი 694
IV. დიდი ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული ეგოიზმი 700
V. დემოკრატია, ბოლშევიზმი, ფაშიზმი 713
VI. ინტელექტუალების სევდა - 717
VII. ადოლფ ჰიტლერის საშინელი ევროპა 723
(მთარგმნელები ნინო ლეჟავა და ქეთევან კვანტალიანი)

19. ევროპის აღორძინება და იმედები
I. მარცხის პირველი შედეგები: 1948 წლის ივლისის წინადადებები 741
II. ევროპის აყვავების ოცდაათი წელი 750
III. დეკოლონიზაციის 30 წელი 753
IV. ევროპის შემოქმედთა ერა 758
V. ერთიანი ევროპის მშენებლობა გოლისტების პირისპირ 771
VI. უკანასკნელი ოცი წელი, ანუ დიდი გამოცდილების დასაწყისი 778
(მთარგმნელი ქეთევან კვანტალიანი)

20. კომუნიზმის მარცხი და ევროპა
I. ევროპული კომუნიზმის კრახი. გორბაჩოვი, „პერესტროიკა“ და „გლასნოსტ“ 789
II. სსრკ-ს და ევროპის საზღვარი 797
III. ეროვნული ცეცხლი 803
IV. ევროპა და მისი პრობლემები 810
(მთარგმნელი ქეთევან კვანტალიანი)

წინათქმა

ამ წიგნის დაწერის იდეა ფრედერიკ დელუშს ეკუთვნის. თავისი წინაპრებისგან მიიღო რა სამი ევროპული ქვეყნის, მათ შორის დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მოქალაქეობა, მას ჩვენი კონტინენტის თანდათანობითი გაერთიანების სურვილის ძლიერი და მტკიცე გრძნობა ამოძრავებდა. მისი ხანგრძლივი საუბრები ჟან ბატისტ დიუროზელთან შეთანხმებით დასრულდა, რამაც არა მარტო შედეგი გამოიღო, არამედ მათ დიდ მეგობრობასაც დაუდო სათავე. ისტორიკოსმა წიგნი დაწერა, ფრედერიკ დელუშმა კი პერენის აკადემიური გამომცემლობისა და სოლიდური გერმანელი გამომცემლის, ბერტელსმანის მეშვეობით სახსრები გამონახა, რათა ფრანგული ტექსტის საფუძველზე ერთდროულად გამოექვეყნებინა ამ წიგნის პირველი ილუსტრირებული გამოცემა გერმანულ, ინგლისურ, დანიურ, ჰოლანდიურ, იტალიურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე. მზადდება ფრანგულ-შვეიცარიული, გერმანულ-შვეიცარიული და უნგრული გამოცემები. ჟან-ბატისტ დიუროზელის და ფრედერიკ დელუშის მიერ შერჩეულმა ოთხმა მრჩეველმა ისტორიის დარგში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ნაშრომის შესრულებაში თავიანთი საყურადღებო შენიშვნებით. ესენი არიან აწ განსვენებული კარლ-დიტრიჰ ერდმანი(გერმანია), ელჩი და ისტორიკოსი სერჯიო რომანო(იტალია), ბრიტანელი ქეით რობინსი(გაერთიანებული სამეფო) და პროფესორი ხუან ანტონიო სანჩეს გარსია სანკო(ესპანეთი). მიუხედავად იმისა, რომ ჟან-ბატისტ დიუროზელმა გაითვალისწინა მათი, ფრედერიკ დელუშის და სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ისტორიკოსის, კერძოდ ელინისტების და შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტთა რჩევები, იგი ამ წიგნის ერთადერთი ავტორია.

პერენის აკადემიურმა გამომცემლობამ ჟან-ბატისტ დიუროზელსა და ფრედერიკ დელუშს შესთავაზა წიგნის გამოცემა ბროშურის სახით, რომელიც რვაენოვანი ორიგინალური გამოცემისაგან ორი ძირითადი ნიშნით განსხვავდება.

წიგნი გამოვიდა 1990 წლის ნოემბერში. ბერლინის კედლის და შესაბამისად, რკინის ფარდის დამხობა ერთი წლით ადრე მოხდა, მაგრამ სსრკ მხოლოდ 1991 წელს დაიშალა. 1992 წელს ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას და მოკლე ხანში მის რატიფიკაციას ელოდებოდნენ: ამიტომ ჟან-ბატისტ დიუროზელმა ერთი თავი დაუმატა წიგნს 1990-იანი წლების შესახებ. გარდა ამისა, მეოთხე თავში, რომელიც საბერძნეთს და რომს ეხება, ავტორი უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გავრცელდა აღმოსავლეთსა და აზიაზე ორიენტირებული ბერძნული გავლენა დასავლეთში რომაელთა წყალობით და როგორ ლაპარაკობდნენ შვიდი საუკუნის განმავლობაში ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის შესახებ.

დიდტანიანი აკინძული გამოცემა დიდებული ფერადი ილუსტრაციებით არის შემკული. ეს შესანიშნავი წიგნი კვლავაც გაყიდვაშია და მის გამოსვლას მთელი პრესა აღტაცებით მიესალმა, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას. იმედი გვაქვს, რომ უფრო პრაქტიკული ფორმატის და ხელმისაწვდომი ფასისგან დამოუკიდებლად ბროშურის, დაუსურათებელი გამოცემა უკეთ წარმოაჩენს ჟან-ბატისტ დიუროზელის აზროვნების გაქანებით, სიცხადით და სინთეზის ხელოვნებით აღბეჭდილი ტექსტის შემეცნებით ღირებულებას.

გამომცემელი

1
რა არის ევროპა?

I. უცნაური მოხაზულობის და ორიგინალური გეოგრაფიის მქონე ევროპა

ყველა კონტინენტს შორის ევროპა ნამდვილად ყველაზე უხერხულად მოხაზული და გეომეტრიულ ფორმებს ყველაზე დაშორებულია: ავსტრალია ვრცელ მართკუთხედს წარმოადგენს; ამერიკა ორი უზარმაზარი სამკუთხედისგან შედგება, რომლებიც ბაფთის ფორმის ხმელეთითაა ერთმანეთთან დაკავშირებული; აფრიკა გვინეის ყურის ირგვლივ მდებარე მასიურ, ვეება ნახევარმთვარეს მოგვაგონებს, აზია კი გიგანტურ მართკუთხედს. თუმცა აზიას, რომელიც დასავლეთით სხვა კონტინენტებს ეკვრის, სამხრეთით უჩვეულო პერიფერია ახასიათებს სამი დიდი ნახევარკუნძულის სახით (არაბეთის, ინდოეთის და ინდოჩინეთის), ხოლო აღმოსავლეთით არქიპელაგთა მიმდევრობა: კურილის კუნძულებიდან იაპონიამდე, ფილიპინებამდე და ინდონეზიამდე.

დანაწევრებული და ასიმეტრიული ევროპა. ევროპა აზიის გაგრძელებაა, აღმოსავლეთ ნაწილში იგი მასიურია, მაგრამ რაც უფრო დასავლეთით გადავაადგილდებით, მით უფრო ფაქიზი ხდება მისი მოხაზულობა. ეს ბუნდოვანი სამკუთხედი, რომელსაც აღმოსავლეთით ხელოვნურად განსაზღვრული ფუძე აქვს (ურალის მთები და სამხრეთით მდინარე ურალი, რომელიც მთებს კასპიის ზღვასთან აკავშირებს), ატლანტის ოკეანეს რაც უფრო უახლოვდება, მით უფრო არაჩვეულებრივ ფორმებს ღებულობს. სამხრეთით ევროპის საზღვრები დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძის მიხედვით იკვეთება ხმელთაშუა ზღვის მიერ, რომელიც „კონტინენტური" ზღვაა (ე.ი. ოკეანესთან ერთი, უბრალო ჰიბრალტარის სრუტითაა დაკავშირებული). ევროპის სამხრეთი სანაპირო სამი ერთმანეთისგან ძლიერ განსხვა-

ვებული ნახევარკუნძულისგან შედგება: ესპანეთ-პორტუ-გალიის კვადრატის, იტალიური "ჩექმის" და შეჭრილ-შემოჭრილი, გაშლილი ხელის მტევნის ფორმის ბერძნული პელოპონესისგან. ჩრდილოეთით ბევრად უფრო პატარა კონტინენტური ზღვა, ბალტიის ზღვაა გადაჭიმული სამ-ხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმარ-თულებით. შესასვლელი „დანიური სრუტეებით" რთული გადასალახავია, შვედეთისა და ნორვეგიის მიერ დაკავებულ ვრცელ ნახევარკუნძულს, რომელსაც სამხრეთიდან თუ ავ-ხედავთ, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით მიდის და ჩრდილოეთიდან თუ ვუყურებთ, დანიას შორის, რომელსაც იუტლანდიის წაწვეტებული ნახევარკუნძული უკავია თავისი არქიპელაგით. ხმელთაშუა ზღვა ევროპის სამხრეთი საზღვარია. სამაგიეროდ ბალტიის ზღვა არის „ევროპის ტბა", რომელსაც ჩრდილოეთით შვედეთი და ნორვეგია, ხოლო სამხრეთით დანია და გერმანია აკრავს. თუ საზღვრის ხაზს გავავლებთ საბჭოთა კავშირსა და ნორვეგიას შორის, ჩრდილოეთის კონცხს გადაღმა ესპანე-თის სამხრეთში მდებარე კადიქსამდე, ადვილად დავასკვნით, რომ ორივე მხარეს არის ვრცელი ნახევარკუნძულები, დიდი კუნძულები და კონტინენტური მასა, რომელშიც დომი-ნირებს გერმანია (უკანონოდ გაყოფილი). მაგრამ ფორმები ტოტალურად განსხვავებულია. მხოლოდ იბერიის ნახევარ-კუნძულს, რომელიც კვადრატს მოგვაგონებს და საფრან-გეთს, ცნობილ ექვსკუთხედს, გააჩნიათ გეომეტრიული სახე. მაგრამ როგორ შევადაროთ სკანდინავია იტალიას, ბრიტა-ნეთის კუნძულები კორსიკას, ან სარდინია სიცილიას?

დასავლეთ ევროპის მოხაზულობა იმდენადვე უცნაური, მოულოდნელი და დანაწევრებულია, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ზომიერი განედი. დასავლეთი ევროპა, მისი უკიდურესი ჩრდილოეთის გამოკლებით (ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთის ჩრდილოეთი მიწები) სავსებით ზომიერ ზონაშია. მერიდიანი რომელიც ორ თანაბარ ნაწილად ყოფს ჩრდილოეთ ნახევ-არსფეროს, 45-ია. ჩვენი ზონა ოდნავაა მას აცდენილი. საფ-

რანგეთის მესამედი, თითქმის მთელი იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი სამხრეთით მდებარეობს. ყველა სხვა ქვეყანა ჩრდილოეთშია.

ჩრდილოეთ განედის 50-იანი პარალელი, რომელიც ბრიტანეთის კუნძულების სამხრეთით გაივლის, ჩრდილოეთით ტოვებს ბელგიის ფლამანდურ ნაწილს, ჰოლანდიას, გერმანიის უდიდეს ნაწილს და სკანდინავიის ქვეყნებს (ყველა ეს ქვეყანა არსებითად გერმანიკულ ენებზე ლაპარაკობს), ჩვენ მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება. ამ წიგნში ვნახავთ, *რომ დასავლეთ ევროპაში შეიძლება ვილაპარაკოთ ჩრდილოელებსა და სამხრეთელებზე.* სწორედ ორმოცდამეათე პარალელი ჰყოფს მათ ამგვარად.

პეიზაჟთა მოზაიკა. ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ველებზე, რუსეთის ტყეებში, უკრაინის სოფლებსა და სტეპებში, ამაზონის აუზის ვრცელ ტყიან ზონაში, ზაირის ეკვატორულ სილვაში, დიდ სუბტროპიკულ უდაბნოებში, ცენტრალური აზიისა და ანდების მთებში შეიძლება სამი ათასი კილომეტრი გაიარო, პეიზაჟი კი საგრძნობლად არ შეიცვალოს.

სრულიად საწინააღმდეგო რამ ხდება ევროპაში, ას კილომეტრს ვერ გაივლი ისე, რომ პეიზაჟი მკვეთრად არ შეიცვალოს. აქ ჩვენს წინაშეა ძალიან ძველი ქედები, როგორებსაც შოტლანდიასა და სკანდინავიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში ვხვდებით, "ახალი" ქედები როგორებიც პირენეები და ალპებია, ჩამონაშალი ქვაბები, მდინარეების რონისა და რაინის აუზებში, ვრცელი დანალექი აუზები, მაღალი კირქვული ზეგნები, მთიანი და სანაპირო დაბლობები, ვულკანები, რომელთაგან ზოგიერთი კვლავ მოქმედია (სამხრეთი იტალია), სხვადასხვა სახის ტყეები, რომელთა ერთობლიობა ჭეშმარიტ *გეოლოგიურ და არქეოლოგიურ მუზეუმს ქმნის.* იბერიის ნახევარკუნძული ამ დიდი მრავალფეროვნების შესანიშნავი ნიმუშია: განა ლუის დიეზ კორალი არ წერდა, რომ ეს ნახევარკუნძული "თვით მონოტონურობის უარყოფაა"?

ჰავა. სხვადასხვა განედი ძალზე განსხვავებულ მცენარეულ საფარს განაპირობებს. კონტრასტებს კიდევ უფრო აძლიერებს თბილი დინება გოლფსტრიმი, ანუ ჩრდილოატლანტიკური ანომალია, დაწყებული დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ და ნორვეგიის ჩრდილოეთით დამთავრებული.

ატლანტიკური ჰავა, რომელიც რბილი და წვიმიანია ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზამთარში, მკაცრი კონტინენტური ჰავა ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულში, ხმელთაშუა ზღვის ჰავა, ძალიან მშრალი ზაფხულით და წვიმებით წელიწადის დროებს შორის შუალედებში, ტუნდრის თითქმის პოლარული ჰავა უკიდურეს ჩრდილოეთში, - ყველაფერი ეს თითქოს ერთგვარი ჭრელი ქსოვილია, მსოფლიოში უნიკალური ასე პატარა მანძილებისათვის. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, დასავლეთი ევროპა, რომელიც ვერ აღწევს სუბტროპიკულ ზონას, ვერც აწარმოებს რიგ კულტურებს, როგორიცაა ინდისურმა, ყავა, ბამბა ან კაკაო. სამაგიეროდ, მეცხოველეობისათვის იგი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რეგიონია მსოფლიოში.

მაშასადამე, თუ დასავლეთ ევროპას ერთიან ორგანიზმად წარმოვიდგენთ, მას უფრო *მოზაიკის* სახე ექნება და არა ვრცელი ფრესკისა, რომელიც ერთი და იგივე ფერების ფართო ზედაპირებისგან შედგება.

დასკვნა: ორიგინალური გეოგრაფია, რომელმაც გავლენა მოახდინა ადამიანებზე. შეიძლება რამდენიმე ფუნდამენტური დასკვნის გაკეთება, რომელიც გვიჩვენებს გეოგრაფიის გავლენას ადამიანთა ჯგუფებზე „დეტერმინიზმის" გარეშე, რადგანაც ადამიანთა წარმოსახვა ბუნებრივ პირობებთან შეგუების ათასგვარ ფორმას პოულობს.

სანაპირო ზოლის უკიდურესი სიგრძის, მისი დანაწევრებულობის, უამრავი ბუნებრივი ნავსადგურის არსებობის გამო ჩნდება აზრი, რომ ევროპელები შეიძლებოდა გამხდარიყვნენ საუკეთესო ზღვაოსნები, დიდ მანძილებზე მოსიარულე ვაჭრები, მკვლევარები. კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ

ბერძნებზე, ვიკინგებზე, ჰანზაზე, იტალიელებზე, პორტუგალიელებზე, ესპანელებზე, ინგლისელებზე, ჰოლანდიელებზე. გოლფსტრიმის მიერ კიდევ უფრო დარბილებული ზომიერი ჰავის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობას ამით მეტად ხელსაყრელი პირობები შეექმნა. სხვათა შორის, მარცვლეული კულტურების წარმოებას დიდად შეუწყო ხელი მოყავისფრო და მეტად ნოყიერი შლამის დალექვამ, რომელიც დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ზეგნებიდან დიდი მყინვარების მიერ დატოვებული მორენების მტვერზე მქროლავმა უძლიერესმა ქარებმა მოიტანა. ევროპის ერთადერთი არაზომიერი კლიმატური ზონაა ნორვეგიისა და შვედეთის ნაკლებად დასახლებული ნორლანდი („ჩრდილოეთის ქვეყანა"), სადაც რამდენიმე ლაპლანდიელი და უამრავი ჩრდილოეთის ირემი ბინადრობს, თუმცა ეს ქვეყანა მდიდარია მაღაროებით და ჰიდროელექტროინდუსტრიის ცენტრებით.

ევროპაში ადამიანთა საცხოვრებელ სახლებზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა წამოვაყენოთ ჰიპოთეზა, რომ ევროპელთა შემოქმედებითი უნარის სტიმულირება ამ დანაწევრებით იყო გამოწვეული.

ევროპის დასავლეთი საზღვარი თუ საზღვაოა, რა უნდა ვთქვათ მის აღმოსავლეთ ზღუდეზე? იგი აზიის გაგრძელებას წარმოადგენს. რადგანაც მკვეთრად გამოხატული ბუნებრივი საზღვარი არ იკვეთება, მას ნებისმიერად ან ტრადიციების გათვალისწინებით აფიქსირებენ. ჩვენ დროში ასეთად მიიჩნიეს ურალის მთები (დაახლოებოთ ორი ათას ცხრაასი კილომეტრი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ), შემდეგ მდინარე ურალის შუა და ქვემო დინება, რომელიც კასპიის ზღვამდე მიდის, თვით კასპიის ზღვა, შემდეგ კავკასიონის თხემი, შავი ზღვა და თურქეთის სრუტეები.

II. ევროპული თანამეგობრობა არც რასობრივია, არც ლინგვისტური

დასავლეთი ევროპა არ ხასიათდება რასობრივი ერთიანობით და ამიტომაც, ცენტრალურ ევროპაში (როგორც მას ვუწოდეთ) მისი გადასვლა, ასე ვთქვათ, არ იგრძნობა.

რასათა სიმრავლე. ჩვენ აქ ანთროპოლოგიაზე არ დავიწყებთ საუბარს, ამ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ აქვს ამომწურავი პასუხები მრავალ კითხვაზე. გარდა ამისა, ადამიანთა სხეულების ხილული მახასიათებლები, კანის, თვალებისა და თმის ფერი, სიმაღლე, თავის ქალის ფორმა და ა.შ. ჩვენთვის მხოლოდ იმდენადაა ცნობილი, რამდენადაც მათი წერილობითი აღწერილობა თუ პორტრეტები გაგვაჩნია. ხოლო რაც პრეისტორიას ეხება, ჩვენს განკარგულებაში ხშირად მხოლოდ მცირერიცხოვანი ჩონჩხებია.

შემდეგ თავში ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა გვეჩვენება არსებითად "პალეოლითის" პერიოდში (დაახლოებით 35 000 წლის წინათ), "ნეოლითში", შემდეგ კი ლითონების ხანაში. ეს უამრავი წარსული შემოსევის იდუმალი ფაზებია. უამრავი კითხვა გვებადება ამ საკითხთან დაკავშირებით. გაითქვიფნენ თუ არა დამპყრობლები დაპყრობილი ხალხების მასაში? გაბატონდნენ თუ არა მათზე? შთანთქეს თუ არა ისინი? შემოსევები ნელა მიმდინარე მოვლენა იყო თუ არა? უხეშად განხორციელდა ეს თუ არა? შემოსევების პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანია ევროპის კონფიგურაციის გასაგებად და შემდგომში ჩვენ ამ საკითხზე შევჩერდებით. ახლა უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ სამარხებში, რომელთაც დოლმენებს უწოდებენ, აღმოჩენილია თავის ქალის ორი ტიპი: ერთი წაგრძელებულია და დოლიქოცეფალს უწოდებენ, მეორე კი სწორია და ბრაქიცეფალს უწოდებენ. ეს ამტკიცებს, რომ უკვე იმ ეპოქიდან მოყოლებული დასავლეთი ევროპა დასახლებული იყო შერეული რასებით.

I. ევროპა აღმოსავლეთის დაშლამდე


ISLANDIA
REIKIAVIKI
NORVE�ია
O�LO
SV�DETI
STOKGOLMI
FIN�ETI
HELSINKI
ESTONETI
TALINI
LATVI�
RI�A
LITVA
VILNI�უსი
DANI�
KO�ENჰაგენი
IRLANDIA
DUBლინი
BRიტანეთის
IRLANDიის
ᲒᲠᲔᲜᲚᲘᲡ
ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲗᲘᲡ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ
ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘᲡ
ᲩᲔᲩᲝᲗᲘᲡ
ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ
ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ
ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ
ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲘᲡ
ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲗᲘᲡ
ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ
ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ
ᲡᲐᲠᲓᲘᲜ

დიდი თეთრი რასა. ცალსახადაა ცხადი, რომ დასავლეთი ევროპა თეთრი რასის გავრცელების ზონაა. მას სულ ოდნავ შეეხო მონღოლთა შემოსევები, ხოლო შავკანიანი და ყვითელკანიანი რასის წარმომადგენლები, ანუ ახალი ტიპის ემიგრაცია აქ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაფუძნდა. ანთროპოლოგი ჟან პუარიე განასხვავებს სამ დიდ ჯგუფს, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა განლაგებული:
"ა)ჩრდილოეთის ჯგუფი, მეზო-დოლიქოცეფალი და ქერა, ნორდიკული რასა; ბ)ცენტრალური ბრაქიცეფალური ჯგუფი ქერა რასით, აღმოსავლურ-ევროპული რასა და ოთხი შავგვრემანი რასა: ალპური, დინარიული, ანატოლიური და თურანული; გ)სამხრეთული ჯგუფი, დოლიქოცეფალური და შავგვრემანი, სამი რასით: ხმელთაშუა ზღვის, სამხრეთ-აღმოსავლური და ინდურ-ავღანური. ამ ყველაფერს უნდა დავამატოთ აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში მცხოვრები უკანასკნელი რასა, აინუს რასა."

რასების ერთმანეთში შერევის შედეგები. იმ გადასახედიდან, რის საშუალებასაც გვაძლევს მილიონობით წლის მანძილზე რასების ერთმანეთში შერევის ვრცელი სურათი, შეგვიძლია ორი დასკვნა გამოვიტანოთ. XVIII საუკუნის დროინდელი თეორიები, რომელთა მიხედვითაც დიდგვაროვანთა კლასი დამპყრობელთა რასას ეკუთვნოდა, ხალხი კი დაპყრობილთ, სრულიად უსაფუძვლოა. კიდევ უფრო აბსურდული და სახიფათოა თეზისები, რომელთა მიხედვითაც არსებობს ღირებულებათა იერარქია "უმაღლეს" და "უმდაბლეს" რასებს შორის. ასეთი თეზისები გვხვდება გობინოს, ვაშე დე ლაპუჟის, ჰუსტონ სტიუარტ ჩემბერლენის და სხვათა ნაშრომებში. ანთროპოლოგთა გამოკვლევები მოწმობს, რომ რასები თანასწორნი არიან, განსხვავებები კი ინდივიდუალურია.

როგორც კი ერთი რომელიღაც რასის უპირატესობის თეორიას დაუჭირა მხარი ისეთმა მოხერხებულმა და გაქნილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელსაც სულაც არ აწუხებდა სინდისის ქენჯნა და ასეთად ადოლფ ჰიტლე-

რი მოგვევლინა, საშინელი შედეგი მივიღეთ: შეიქმნა „სასიცოცხლო სივრცე" უმდაბლესი რასების ხარჯზე. უმაღლესი რასის სიწმინდის შესანარჩუნებლად მოხდა სხვა რასების ფიზიკური განადგურება და ა.შ.

ჰიტლერის მტკიცება მაღალი ქერა არიელების უპირატესობის შესახებ აბსურდული გახდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ შერეულ რასებში მეტი გამორჩეული ტვინის პატრონია, ვიდრე „წმინდა" რასებში, თუმცა ეს უკანასკნელნი მხოლოდ განცალკევებულ ჯგუფებს თუ ქმნიან საბოლოო ჯამში.

ინდოევროპელებამდე. ყველა დასავლეთ ევროპელი დაბადებიდან ლაპარაკობს ენებზე, რომლებიც ინდოევროპულ ენათა დიდ ოჯახს განეკუთვნება, გარდა ბასკების მცირე ჯგუფისა (ესპანეთის ჩრდილოეთი და საფრანგეთის დეპარტმენტ ქვემო-პირენეების ერთი ნაწილი). ლინგვისტებსა და არქეოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ ბასკური ენის, ევროპის ყველაზე ძველი ენის წარმოშობის თაობაზე. სხვა ენებს არავითარი კავშირი არ აქვთ ინდოევროპულ ენებთან: ფინეთის, ესტონეთის და უნგრეთის მოსახლეობის 90% ლაპარაკობს უნგრო-ფინურ ენებზე.

ინდოევროპელები. ინდოევროპელთა საერთო ფუძე ალბათ ამჟამინდელი ირანი და მისი მეზობელი რეგიონები უნდა იყოს. მათი ერთი შტო დასავლეთ ევროპისკენ გამოემართა. მათ შორის კელტები იყვნენ პირველები იტალიოტებთან ერთად, რომლებიც თავდაპირველად ნაკლებად იყვნენ ერთმანეთისგან გამოყოფილი და ბერძნები, რომლებსაც ვრცელი ტერიტორიები არ დაუკავებიათ.

კელტები. ზოგიერთმა კელტმა (გუადელები) ირლანდიამდე მიაღწია. სხვები (ბრიტონები) დიდ ბრიტანეთში დაფუძდნენ.

იმ დროისათვის მათ ეკავათ თანამედროვე გერმანიის თითქმის მთელი ტერიტორია. ზოგიერთები ესპანეთში ჩავიდნენ: ესენი იყვნენ გალები, რომლებიც შეერივნენ იბერებს.

მოგვიანებით გალებმა დაიპყრეს პოს დაბლობი (პირაქეთა ალპები) და ზოგიერთი მათგანი ანატოლიაშიც კი დასახლდა (გალათები). რაინის აღმოსავლეთით ისინი ჩრდილოეთიდან მოსულ გერმანელ ტომებს შეერივნენ.

რომაელები. იტალიოტები იყვნენ რომის დამაარსებელი ლათინების, შემდეგ კი უმბრიელთა წინაპრები. რომის სიძლიერემ აიძულა მის მიერ ოკუპირებული ქვეყნები: გალია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთის სამხრეთი ნაწილი, პორტუგალია, დაეთმოთ კელტური ენები ლათინური ენის სასარგებლოდ, რომელმაც დასავლეთ ევროპას ოთხი დიდი ენა აჩუქა: იტალიური, პორტუგალიური, ესპანური და ფრანგული, რომელთაც უნდა დაემატოს კატალონიური, პროვანსული, ოქსიტანური და სხვა ენები.

გერმანელები. გერმანელთა მოსვლამ, განსაკუთრებით ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში, ბრიტანეთის კუნძულებს დააკარგვინა ლათინურიც და კელტურიც (ეს უკანასკნელი რამდენიმე ირლანდიურ დიალექტში შემორჩა, გალიკურ ენაში შოტლანდიაში, კუნძულ მანის დიალექტში, გალურ დიალექტებში. კორნუელსში კელტურ ენაზე XVIII საუკუნემდე ლაპარაკობდნენ).

ევროპის დღევანდელი მდგომარეობა ენების თვალსაზრისით, რომელიც უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა XI საუკუნეში, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

- ჩრდილოეთის ქვეყნები (ყველა გერმანიკულენოვანი): შვედეთი, ნორვეგია, დანია (სკანდინავია); ბრიტანეთი; ჰოლანდია, გერმანია, ავსტრია, რომლებიც ერთსა და იმავე გერმანულ ენაზე ლაპარაკობენ; გერმანული შვეიცარია, სადაც გერმანულ დიალექტზე ლაპარაკობენ, მაგრამ გერმანულ ენაზე წერენ. ირლანდია ცდილობს გახდეს კელტურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყანა, მაგრამ სალაპარაკო ენა არის ინგლისური. ბელგიის მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტი ლაპარაკობს ფლამანდურად, ანუ ჰოლანდიურად.

სამხრეთის ქვეყნები, რომლებიც ლათინური ენიდან წარმოშობილ ენებზე ლაპარაკობენ, საბერძნეთის გარდა:

პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ვალონების ბელგია, ფრანგულენოვანი შვეიცარია და იტალია.

თუ ლინგვისტური დაყოფა დაახლოებით 50-ე პარალელს მიუყვება, იგივე ხდება რელიგიურ დაყოფასთან დაკავშირებითაც: ჩრდილოეთის ქვეყნები ძირითადად პროტესტანტები არიან გარდა ირლანდიისა და ფლამანდური ბელგიისა, ხოლო სამხრეთის ქვეყნები კათოლიციზმს მისდევენ, გარდა უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში განლაგებული "მართლმადიდებლებისა" (სერბები, ბერძნები, რუმინელები, ბულგარელები): სიტყვა "ევროპას" არავითარი მაგიური მნიშვნელობა არ აქვს.

ამერიკა. დიდი წარმოსახვის უნარია საჭირო, რომ თვით ქვეყნის დასახელებაში რაიმე ღრმა აზრი იპოვო. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკა. ამ უზარმაზარ კონტინენტს სახელი ერთი ევროპელი ზღვაოსნის სახელის მიხედვით შეერქვა. იგი ქალაქ ფლორენციაში 1441 წელს დაბადებული, იტალიელი ამერიგო ვესპუჩი გახლდათ, რომელმაც იმავე წელს მიაღწია ამერიკას, რომელ წელსაც ქრისტეფორე კოლუმბმა.

ამერიკას ასე უწოდებენ, რადგანაც ვესპუჩის მშობლებმა თავიანთ ვაჟს სახელად ამერიგო დაარქვეს, ამ უკანასკნელს კი თვითრეკლამის ნიჭი აღმოაჩნდა. ევროპისთვის ეს ლოგიკურზე მეტად შემთხვევით ამბავს ჰგავს.

ნახევრად ქალღმერთი ევროპე საბერძნეთსა და ტროას შორის. სიტყვა "ევროპა" პირველად ბერძნულ ენაში გამოჩნდა, მაგრამ ის არ გვხვდება. ჰომეროსის ცნობილ ეპოპეებში *ილიადასა* (ტროას ომი) და *ოდისეაში* (ერთ-ერთი ბერძენი მეთაურის ულისეს თავგადასავლებით აღსავსე დაბრუნება ტროადან მშობლიურ ითაკეში). ჰესიოდეს (IX, ან VIII საუკუნის დასასრული) მიხედვით, ნახევრად ქალღმერთი ევროპე ან ერთ-ერთი იყო ოკეანის 10 000 ქალიშვილიდან, ან ფინიკიის (ამჟამინდელი სირიის, ლიბანის და პალესტინის სანაპირო) მეფის აგენორის ასუ-

ლი და კადმუსის და გახლდათ. მაშასადამე, იგი აზიელი იყო.

მითოლოგია მოგვითხრობს, რომ იგი ზევსს შეუყვარდა, მისი მოტაცების მიზნით ხარის სახე მიიღო და ჩვენი კონტინენტისკენ წამოიყვანა.

ზევსისგან ევროპეს სამი ვაჟი ეყოლა: მინოსი, რომელმაც ცნობილი "ლაბირინთი" შექმნა კუნძულ კრეტაზე, ეაკე და რადამანთისი, რომლებიც ჯოჯოხეთის მსაჯულები გახდნენ. გადმოცემის მიხედვით, კადმუსი მის საძებნელად საბერძნეთს გაემგზავრა და ბერძნებს *ალფაბეტი* უძღვნა, რომელიც ის-ის იყო გამოიგონეს ფინიკიელებმა (ასურელთა ლურსმულად წოდებული დამწერლობის უკიდურესი სტილიზაციის გზით).

ამ მითიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საბერძნეთსა და ტროას შორის ქიშპობა არსებობდა. თავისი ეპოპეებით განთქმული ისტორიული ქალაქი ტროა აზიაში დარდანელის სრუტის სამხრეთით მდებარეობდა. ერთი მოტაცება მეორეს მოსდევდა: არგოსის ქალიშვილი *იო* ფინიკიელებმა მოიტაცეს. ფინიკიელი ევროპეს მოტაცება ბერძენთა შურისძიება იყო, რომლებიც მედეასაც დაეუფლნენ. მაშინ პარისმა, რომელიც ტროელი იყო, ანუ აზიელი ბრძანდებოდა, და სამი ქალღმერთის: ჰერას, აფროდიტეს და ათინას მიერ იყო არჩეული მათი სილამაზის მსაჯულად, ყველაზე მშვენიერ ქალღმერთად აფროდიტე, ანუ რომაული მითოლოგიით ვენერა დაასახელა. ჯილდოდ აფროდიტემ პარისს გაუადვილა მშვენიერი ელენეს მოტაცება, რომელიც ლაკედემონის მეფის, ბერძენი მენელაოსის მეუღლე იყო. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა: ბერძნებმა ალყა შემოარტყეს ტროას და 10 წლის შემდეგ ათინას დახმარებით, რომელიც ნაწყენი იყო პარისზე, რომელმაც მას სხვა ამჯობინა, შეძლეს ქალაქის დაპყრობა მოხერხების წყალობით, ბოლოს კი დაანგრიეს იგი. ისტორიულ ცნობებში არეული ეს ლეგენდები ჩვენი კონტინენტის წარმოშობას საკმაოდ სკაბრეზულ ამბებს უდებს საფუძვლად.

პიროვნებიდან გეოგრაფიამდე. რატომ აირჩიეს ევროპა ჩვენი კონტინენტის დასახელებად?

მოვიშველიოთ ერთი ძალზე ჭკვიანი, პირველი ნამდვილი ისტორიკოსი, ბერძენი ჰეროდოტე, რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ.484-406 წლებში, რომელმაც ბევრი იმოგზაურა და არაჩვეულებრივი გონებამახვილობა გამოავლინა.

ძვ.წ.VIII ს-ის ბოლოს ჰესიოდეს თანამედროვე ერთ-ერთი პოეტის პოემაში „ჰიმნი აპოლონ პითიელისადმი" გამოჩნდა ევროპა არა როგორც ქალის სახელი, არამედ, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება. ავტორი ლაპარა-კობს მათზე, „ვინც ცხოვრობს მდიდარ პელოპონესში და მათზე, ვინც ევროპასა და ტალღებით დანამულ კუნძულზე ბინადრობენ". მაშასადამე, ევროპა კონტინენტური საბერ-ძნეთის ჩრდილოეთი ნაწილია, ეს არის ტერიტორია გარდა პელოპონესის ნახევარკუნძულისა და კუნძულებისა. VIII და V საუკუნეებს შორის სიტყვამ ბევრად უფრო ვრცელი მნიშვნელობა შეიძინა. ჰეროდოტე გვეუბნება: "ბერძნები დედამიწას 3 ნაწილად ჰყოფენ: ევროპად, აზიად და ლიბიად (დღევანდელი აფრიკა). „მისთვის ევროპა ძალზე შორს ვრცელდება ჩრდილოეთისკენ, მდინარე დუნაის გაღმა, ჩრდილოეთის ზღვით მორწყულ რეგიონებამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთით იგი მიდის მდინარე ტანაისამდე (დონი) და პაუს მეოტის-ამდე (აზოვის ზღვა). აქ ლაპარაკია ნაკლე-ბად ვრცელ ევროპაზე, ვიდრე ჩვენს მიერ ადრე განსაზღ-ვრული ტერიტორიაა. მაგრამ რა შუაშია ეს სახელი ევროპა? ჰეროდოტე დიდი იუმორით უკეთებს კომენტარს საკუთარ უცოდინრობას: „ვერ ვხვდები, რატომ აქვს ერთ მიწას სამი სახელი და სამივე ქალის... და ვერ ვპოულობ მათ სახელებს, ვინც ასე დაჰყო მსოფლიო და ასეთი სახელები მოძებნა[...] ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ტირინთელი ევროპე დაბადებით აზიელი იყო და არასო-დეს გაუვლია იმ მიწაზე, რომელსაც ბერძნები ახლა ევრო-პას უწოდებენ, იგი მხოლოდ ფინიკიიდან და კრეტიდან ლიკიაში ჩადიოდა[...]. ჩვენ გამოვიყენებთ ხმარებაში შესულ სიტყვებს."

გაურკვეველი ეტიმოლოგია. სიტყვის ეტიმოლოგია დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იძლევა. ყველაზე ხშირად ასეთ ახსნას ვხვდებით. ბერძნულ ენაზე ზედსართავი eurus ნიშნავს განიერს, ფართოს, ხოლო არსებითი სახელი ops ნიშნავს თვალს, სახეს, სედვას.

„Zeus euruop" - ეს არის ზევსი, რომელიც შორს ხედავს. მდედრობით სქესში ევროპე არის ქალი დიდი თვალებით, მშვენიერი მზერით, ლამაზი სახით. ეს ყველაფერი სასიამოვნოა, მაგრამ ვერაფერს გვიხსნის.

მეორე ჰიპოთეზა ასეთია: სიტყვები „აზია" და „ევროპა" აქადური (მესოპოტამია) ენიდან წარმოიშვა, სადაც სიტყვა „აზუ" ნიშნავს „გამოჩენას", ხოლო „ერებუ" - „შესვლას". პირველი მათგანი უნდა ნიშნავდეს აღმოსავლეთს, საიდანაც ამოდის, ანუ „ჩნდება" მზე. მეორე კი დასავლეთს, სადაც იგი ჩადის. ვერაფერს ვიტყვით იმის გარდა, რომ სიტყვა „ევროპა" ისტორიის უმნიშვნელო შემთხვევითობათა ისეთივე თანმიმდევრობის ნაყოფია, როგორიცაა ამერიკა, რომელსაც ვესპუჩის მიხედვით დაანათლეს სახელი.

III. ისტორიამ შექმნა ჭეშმარიტი ევროპა

პირველყოფილი თემური ფაზები. ნეოლითის ეპოქიდან დაწყებული, ანუ დაახლოებით 4000-2000 წლებში, ოთხკუთხედის ფართო ნაწილზე დგინდება მეგალითური ძეგლების და კერძოდ დოლმენების, ანუ სამარხების არსებობა.

შემდგომში კვლავ იქნება ამაზე ლაპარაკი. ოღონდ ახლავე შევნიშნავთ, რომ ერთის მხრივ, ყველა სხვა დასახლება, სადაც ვხვდებით ამ ვეება ქვებს, ძალიან დაშორებულია ევროპულ სამფლობელოებს, მეორეს მხრივ კი ამ უზარმაზარი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო იყო სიკვდილის ერთიანი ფილოსოფია, საერთო რელიგია და საერთო ტექნიკა, რათა მოეპოვებინათ, გადაეზიდათ და აეგოთ ეს უზარმაზარი კლდოვანი ბლოკები.

მაგალითის სახით მოგვყავს სხვადასხვა ტიპის (რელიგიური, პოლიტიკური...) და სხვადასხვა სიძლიერის ისტორიული საზოგადოებრივი ფაზები:

- მეგალითური ფაზა: დაახლ.4000- დაახლ.2000
  კელტების ფაზა: VI-Iსს. ჩვ.წ-მდე.
- ბერძნული, ბერძნულ-ლათინური ცივილიზაცია, რომის იმპერია, ძვ.წ. VI-დან ახ.წ. IVს-მდე.
- გერმანელთა ფაზა: ახ.წ. V-VIIIსს.
- კარლოს დიდის იმპერია, რომელიც ცდილობს კავშირი დაამყაროს ბიზანტიის იმპერატორთან.
- დასავლური ქრისტიანობა (რომელმაც კავშირი გაწყვიტა ბერძნებთან): X-XIსს.
- გოტიკური საკათედრო ტაძრების ფაზა: XII-XVსს.
- რენესანსის ფაზა: XVს. (მიუხედავად დაყოფისა, რომელიც დაკავშირებულია რეფორმასა და კონტრ-რეფორმასთან).

კოლონიური, კომერციული, ტექნიკური, მეცნიერული, ინდუსტრიული დომინირების ფაზა დანარჩენ მსოფლიოზე, (გარდა ჩრდილოეთ აზიისა). მხოლოდ ევროპის ქვეყნებს ჰქონდათ საზღვაო კოლონიები XXს-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ შემთხვევაში ურთიერთკავშირი სრული არ არის. ირლანდია, სკანდინავია და გერმანია რაინის აღმოსავლეთით თავიდან იცილებენ რომაელთა ბატონობას. სკანდინავები არც კელტებს დაუპყრიათ და არც რომაელებს, ისინი ერთმანეთში ინტენსიურ აღებ-მიცემობას ეწევიან. ირლანდიას მხოლოდ გერმანელებმა მიაღწიეს, ისიც შეზღუდულად.

საერთო გავლენები. დასავლეთ ევროპამ იმდენი *საერთო გავლენა* განიცადა, რომ დროდადრო იგი შეიძლება შევადაროთ ვეება ქვაბს, სადაც უამრავი რამ მოიხარშა და გადაიხარშა.

ძირითადი გავლენა მოახდინეს კელტებმა, რომლებიც უმეტესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, რომაელებმა, რომელთაც შემოიტანეს დამწერლობა, სამართალი, ადმინისტრირება და რომლებმაც სხვებს ასწავლეს საქალაქო

ცხოვრების და სატრანსპორტო საშუალებების განვითარება. დასავლეთში პირდაპირი გზით, მაგრამ განსაკუთრებით რომაელთა საშუალებით ვრცელდება ბერძნული ხელოვნება, ლიტერატურა, მათემატიკა, ასტრონომია და ფილოსოფია.

რაც შეეხება გერმანულ გავლენას, იგი იგრძნობა ძალაუფლების გამოყენების სფეროში, ქალის როლსა და მეტალურგიის განვითარებაში, აგრეთვე ახალი სტრატეგიის ათვისებაში, ცხენის გამოყენებაში და ა.შ.

იუდეურ-ქრისტიანულმა გავლენამაც დიდი როლი ითამაშა, კერძოდ, ეს ეხება პაპობას. ბერძნებსა და რომაელებს შორის განხეთქილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომელმაც დიდი და ხანგრძლივი კვალი დატოვა დასავლეთში. იმ ჯგუფებს შორის, რომლებმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს დასავლეთზე, ზოგიერთი მათგანი შთაინთქა მის მიერ, როგორც ვიკინგები, რომლებიც ნაწილობრივ ნორმანდიელებად მოგვევლინენ. სხვათა ასიმილაცია, მაგალითად არაბებისა, სრულიადაც არ მომხდარა.

შინაგანი წინააღმდეგობანი. ჩვენი წიგნის მიზანი სრულიადაც არ გახლავთ სათანადო შეუფასებლობა იმისა, რაც ერთიანობას უშლიდა ხელს, კერძოდ, ენების მრავალფეროვნების და რომაელ კათოლიკებსა და პროტესტანტ ეკლესიებს შორის რელიგიური განსხვავებულობის უგულებელყოფისა. ყოველ ქვეყანას საკუთარი მეობა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ იგი *რასობრივ წარმოშობას თითქმის არ უკავშირდება.* არ შეიძლება არაფერი ვთქვათ აგრეთვე განუწყვეტელ ომებზე. თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ომები სწორედ ევროპის პოლიტიკური ძლიერების საუკუნეებში გაჩაღდებოდა ხოლმე, XVI-დან XX საუკუნემდე. ზღვისიქითა იმპერიების დაპყრობა შეიძლება სიმდიდრის წყარო იყო, მაგრამ მან ხელი შეუწყო ნაციონალიზმის დაბადებას და მისი უკიდურესი ფორმების განვითარებას. ომები სულ უფრო და უფრო საშინელი ხდებოდა და აპოგეას XX საუკუნეში მიაღწია - იმდენად, რომ *1914-18 წლების და 1939-1945 წლების ომებმა შეარყია ევროპის ჰეგემონია.*

1945 წლის უეცარი ცვლილება. 1945 წლის შემდეგ ვხედავთ, რომ:

- დასავლეთ ევროპაში აღარ არის შიდა ომი და აღარც შეიძლება იყოს;
- ამ ომების დასასრული ემთხვევა: სხვა ქვეყნების მიერ, რომლებიც დასავლეთ ევროპაში არ შედიან, მკაცრი საზღვრის დადგენას, რომელსაც *რკინის ფარდა* ეწოდა; *ზღვისიქითა იმპერიების* სწრაფ დაშლას; დასავლეთ ევროპის ყველა ერის *დემოკრატიზაციას; ნაციონალიზმის მზის ჩასვენებას*, ანუ „ევროპული აზროვნების" განვითარებას, რაც არა მხოლოდ უნებლიე და ისტორიულია, არამედ შეგნებული და გაცნობიერებულიც.

ევროპა და სიბრალულის გაჩენა. სხვა ერთობებთან შედარებით, რომლებსაც ჩინელები, რუსები თუ არაბები ქმნიან, ამ წიგნის წერისას ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში ავღნიშნავთ უდავო პროგრესს, რაც ევროპელებს აქვთ მოპოვებული სიბრალულის, თანასწორობის, ჰუმანურობის მიმართულებით. მონობაზე თანდათანობით უარის თქმა, შემდეგ ბატონყმობის გაუქმება, ქალისადმი პატივისცემის ზრდა რაინდული სიყვარულის გაჩენასთან ერთად, ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, სასამართლო შეცდომის წინააღმდეგ (ვოლტერი), სისხლის სამართლის სამსჯავრო სისასტიკის წინააღმდეგ (შდრ. მილანელი ჩეზარე ბეკარიას *დანაშაული და სასჯელი,* 1764 წ.) ამის დადასტურებაა. ჩამოვთვალოთ აგრეთვე "უფლებათა დეკლარაციების" დაბადება და განვითარება, ეროვნული სუვერენიტეტის, ხალხის სუვერენიტეტის, თავისუფლების, დემოკრატიის იდეების წარმოშობა. გავიხსენოთ სოციალური იდეალის წარმოშობა მისი სხვადასხვა ფორმით, სოციალიზმი, სოციალური ქრისტიანობა...

ცხადია, ლაპარაკი არ არის გამუდმებულ, რეგულარულ წინსვლაზე. დასავლეთ ევროპისთვის გვერდი არ აუვლია უკუსვლის პერიოდებსაც, რომელთა დროსაც არნახული საშინელებები, ინკვიზიცია, წამება, ჯადოქრების კოცონზე დაწვა, ხოცვა-ჟლეტა, ტერორი, სამრეწველო პროლეტა-

რიატის ექპლუატაცია, გენოციდი, ნაციზმი და ა.შ. მძვინვარებდა.

ჰეგემონიის და კონფლიქტების დიდი ფაზა (XV-XXს.ს.) ევროპას პირველობაში ვერავინ შეეცილება ლიტერატურული და შემოქმედებითი კულტურით თუ არა, ინტელექტუალური შემოქმედებითი პოტენციალის სიმდიდრით მაინც. ინდუსტრიული რევოლუცია პირველ რიგში ინგლისური, ხოლო შემდეგ ზოგადევროპული მოვლენაა, რაც ვაჭრობის წარმატებებმა და კაპიტალის დაგროვებამ გამოიწვია. ფაქტიურად, XI საუკუნიდან მოყოლებული, დასავლეთი ევროპა დაცული იყო *შემოსევებისგან.*

2
ევროპის პრეისტორია

I. ევროპამდელი ადამიანი

არაფერია ჩვენი ფესვების აღმოჩენაზე უფრო ამაღელვებელი. ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო 25 წლის მანძილზე საარაკო წინსვლა იგრძნობა. 1939 წლამდე ფიქრობდნენ, რომ 1)ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, 2)მუტაციის დასრულების შემდეგ მისი გამოჩენა მოხდა ჩვენს ერამდე 300 000 ან 400 000 წლით ადრე, დათბობის პერიოდში, რომელიც ორ ბოლო გამყინვარებას (რისი და ვიურმი) შორის იყო მეოთხეულ პერიოდში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომელიც დაახლოებით ორი მილიონი წლის წინ დაიწყო.

მას შემდეგ, რაც 1924 წელს ბოტსვანაში აღმოაჩინეს თავის ქალა, რომელსაც australopithecus africanus (აფრიკის სამხრეთული მაიმუნი) უწოდეს და სხვა მრავალ ავსტრალოპითეკთა ნაშთი, რომელთა შორის იყო ცნობილი ლუსი, ახალგაზრდა მდედრობითი სქესის ავსტრალოპითეკი, რომელიც 1974 წელს იქნა აღმოჩენილი, პალეონტოლოგებმა გამალებით დაიწყეს პირველყოფილი ადამიანის ძებნა. დადგინდა, რომ ავსტრალოპითეკების გვერდით ზოგიერთი ჩონჩხი ეკუთვნოდა *განსხვავებულ* სახეობას, რომელსაც დაარქვეს praecanthropus (წინარე ადამიანი), ხოლო შემდეგ homo habilis (შრომის უნარის მქონე ადამიანი). გარდა ამისა, თანდათანობით შეძლეს დათარიღება უძველესი ავსტრალოპითეკებისა, რომლებიც 2 800 000, შემდეგ კი ოთხი, ხუთი მილიონი წლის წინ არსებობდნენ.

homo habilis-ი. ფიზიკურად homo habilis-ი რამდენადმე განსხვავდება ავსტრალოპითეკთა ორი ცნობილი სახეობისგან. იგი 1მ და 20სმ ან 1მ და 40სმ სიმაღლისაა, იწონის 30-50კგ-ს. მისი თავის ქალის მოცულობა 500-დან 800სმ³-მდე მერყეობს. მას ავსტრალოფითეკზე ბევრად მა-

ღალი შუბლი აქვს. იგი ყველაფრით იკვებება და თითქმის ყოველთვის ორ ფეხზე დადის.

აფრიკულ ავსტრალოპითეკს და მისგან წარმოშობილ homo habilis-ს სავარაუდოა, რომ დიდ პრიმატ მაიმუნებთან ერთად (ორანგ-უტანგი, გორილა, შიმპანზე) საერთო წინაპარი ჰყავდათ. მაიმუნების და ჰომინიდების (ადამიანის ფორმის არსებანი და ჯერ კიდევ მაიმუნის მსგავსნი არა) განშტოებები ერთმანეთისაგან 30 მილიონი წლის წინ გამოიყო.

მაგრამ ძირეული განსხვავება ყველა ამ ცხოველსა და homo habilis-ს შორის, რაც უნდა პრიმიტიული იყოს ეს უკანასკნელი, არის ის, რომ homo habilis-ს აქვს შემოქმედებითი უნარი და ისეთი ხერხების გამოგონების უნარი, რომლებიც მის კომფორტს გაზრდის, იარაღების გამოგონების უნარი, რომელთა საშუალებითაც იგი თავს იცავს და საკვებს შოულობს. ინსტინქტის გარდა, ყველა ცხოველი დაჯილდოებულია გარკვეული გონიერებით. მან იცის რაღაც. მაგრამ ადამიანს შეუძლია იაზროვნოს იმის შესახებ, რაც იცის, დაისახოს მიზნები, ეძებოს და ზოგჯერ იპოვოს კიდეც საშუალებები ამ მიზნების მისაღწევად.

„თავის ტვინის განვითარებამ და მრავალფეროვანი საკვების მიღებამ ადამიანი სოციალური სტრუქტურის ახალ საფეხურზე აიყვანა; ადამიანები პატარ-პატარა თემებად ერთიანდებიან, იკავებენ გარკვეულ ტერიტორიებს და იწყებენ საცხოვრებელ ადგილს; ადამიანი აგროვებს საკვებს და ნადირობს, თლის ქვას, ძვალს, ეშვს, რქას, და ალბათ ხესაც... იმ წინსვლას, რასაც იგი ამ მიმართულებით აღწევს, უზიარებს თავის შვილებს, აანალიზებს ცოდნის პირველ მონაცემებს, გარდა იმისა, რომ ინსტინქტიც რაღაცას ეუბნება", გვეუბნება ივ კოპენსი. ადამიანი თავს მისივე გონების საშუალებით იცავს.

II. ადამიანის მოსვლა ევროპაში

Homo erectus. როგორ მოხვდა აფრიკაში მცხოვრები ადამიანი ევროპაში? **homo habilis-ი** შეცვალა ქვესახე-

ობამ homo erectus-მა, ანუ ფეხზე მდგომმა ადამიანმა, რომელსაც უფრო განვითარებული თავის ქალის მოცულობა გააჩნდა. სწორედ ამ ადამიანმა დაიპყრო ხმელთაშუაზღვისპირა ევროპა და ბოლო გამყინვარების გამო სამხრეთისაკენ გადაიწია. რაც უფრო უკან იხევდა მყინვარები, ისიც ჩრდილოეთისაკენ მიიწევდა. ექსპანსია 1,5 მილიონ წელზე ოდნავ ადრე დაიწყო. მან მრავალ ადგილზე დატოვა ნაკვალევი, მაგრამ ჩვენ მათგან ყველაზე მნიშვნელოვან და ცნობილ სახელებს დავიმახსოვრებთ: *შილაკი, მაუერი, ტოტაველი, ტერა ამატა, სვანსკომბი, გიბრალტარი და ნეანდერტალი.*

შილაკი. ოვერნში, ბრიუდის ოლქში, შილაკში იპოვეს ევროპაში ადამიანის არსებობის ყველაზე ძველი კვალი: მისი ასაკი 1 800000 წელია. საქმე ეხება ხუთ იარაღს, რომლებიც ამჟამად ცნობილ იარაღთაგან ყველაზე ძველად ითვლება ევროპაში, ეს არის 5 უბრალო ქვა, რომელზეც ადამიანის ნების კვალია აღბეჭდილი; მათ ზუსტი მიზნისათვის განკუთვნილი დამუშავება ეტყობა: ეს მიზანი ნადირობაა. რასაკვირველია, homo erectus-ის წარმომადგენლები შეიძლება პრიმიტიულებად და მოუხერხებლებად მოგვეჩვენონ, მაგრამ რამხელა გზაა უკვე გავლილი აფრიკიდან შილაკამდე! ალბათ ათასობით დასახლება და უფრო მკვიდრი სამოსახლოები გამქრალია ან ჯერ კიდევ აღმოუჩენელი!

მაუერი. მეორე სახელი, რომელიც უნდა დავიმახსოვროთ არის ჰაიდელბერგის ახლოს მდებარე ბადენ-ვიურტემბერგის სოფელი მაუერი გერმანიაში. აქ ნამარხ ცხოველებთან ერთად, რომელთა შორის იყო „ნტიკური სპილო", „ეტრუსკული მარტორქა" და „ხმალკბილა ვეფხვი", აღმოაჩინეს 650 000 წლის წინანდელი ადამიანის ქვედა ყბა. არქეოლოგების აზრით, იგი უნდა ეკუთვნოდეს ორმოციოდე წლის კაცს. მაგრამ შილაკის ადამიანსა და მაუერში აღმოჩენილ ადამიანს შორის 1 150 000 წელმა ჩაიარა, ანუ 575-ჯერ გამრავლებულმა ქრისტიანულმა ერამ.

ვიფიქროთ ათეულ ათასობით თაობაზე პრიმიტიული ადამიანებისა, რომლებიც მცირერიცხოვანნი იყვნენ და ხშირად შიმშილი და საშინელი სიკვდილიანობა ემუქრებოდათ მტაცებელი ცხოველებისა და ბუნების მხრიდან, მაგრამ ნელა მიიწევდნენ წინ კაცობრიობის პროგრესის გზაზე ევროპაში.

ტოტაველი. დიდი ხანი არ არის გასული, რაც ტოტაველის ადამიანს გავეცანით. ტოტაველი საფრანგეთის სამხრეთში, რუსიონში, პერპინიანის მახლობლად მდებარეობს. 1964 წლიდან მოყოლებული პარიზის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმის პროფესორ ანრი დე ლამლი-ვუდიარის ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრების დროს აღმოაჩინეს პრეისტორიული ხანის ოცზე მეტი საცხოვრებელი ადგილი (სადგომი). მაგრამ ყველაზე სენსაციური აღმოჩენა თარიღდება 1971 წლის 22 ივლისით: ეს არის დაახლოებით ოცი წლის მამაკაცის თავის ქალის დიდი ნაწილი, რომლის მოცულობაა 1150 სმ³. დღემდე ამოღებულია ადამიანთა ნეშტების ორმოცდაათიოდე ელემენტი. დათარიღება 650 000-სა და 450 000-ს შორისაა. ტოტაველის ადამიანი არის homo erectus-ი, რომლის შედარებაც შეიძლება იავაზე, ჩინეთში, აფრიკასა და ევროპაში (უნგრეთი, გერმანია, იტალია, გაერთიანებული სამეფო) აღმოჩენილ ანალოგიურ ადამიანებთან.

არც მაუერში, არც ტოტაველში, არც 400 000 წელზე ადრინდელ დასახლებებში არ ჩანს ცეცხლის ნაკვალევი.

ცეცხლი: ტერა ამატა, ვერტესზოლოსი, ტორე ინ პიეტრა. ყველა გამოგონებაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ცეცხლის დამორჩილება იყო. ტერა ამატა მდებარეობს ნიცაში, მთა ბორონის ფერდობებზე. მთაზე დასახლებათა სამი დონეა და სულ ზედა დონეზე, რომელიც 600000-დან 380 000-მდე წლისაა, აღმოჩენილია დამწვარი კაჟები.

უნგრეთში, ბუდაპეშტიდან სამოციოდე კილომეტრზე, ვერტესზოლოსში 450 000-დან 350 000-მდე წლით

დათარიღებულ არქეოლოგიურ მონაკვეთში, რომის ჩრდილოეთით ტორე ინ პიეტრასა და კასტელ დი გვიდოში 430000 წლით დათარიღებულ მონაკვეთშიც მრავლადაა ცეცხლის ნაკვალევი.

გამყინვარებათა შორის პერიოდში, 350 000-დან 300 000 წლამდე ყველგან გვხვდება კერები.

აი, როგორ წარმოუდგენია არქეოლოგს ადამიანის ცხოვრება იმ ეპოქაში, რომელსაც თან ახლდა „ჭეშმარიტი" ძვრა ფსიქიკაში და „სოციალურ სტრუქტურათა სწრაფი განვითარება": „საცხოვრებელში, კერის ირგვლივ ზამთრის გრძელი საღამოების განმავლობაში მონადირეები ჰყვებიან თავიანთი საგმირო საქმეების შესახებ, გეგმავენ მომავალ ნადირობას, იგონებენ ძველ ამბებს, საარაკო ნადირობას, რომლებშიც გმირები მონაწილეობდნენ და ამგვარად ძლიერდება ის კავშირები, რომლებიც ადულაბებს ოჯახს, თემს, ტომს... სწორედ ამ ეპოქიდან იწყებს განვითარებას რეგიონალური დიდი კულტურული ტრადიციები, რომლებიც ადამიანთა მრავალფეროვნების სადა პლურალიზმის წყაროა."

სვანსკომბი. 300 000 წლიდან მოყოლებული, ასევე გამყინვარებებს შორის პერიოდში ჰომო ერექტუსმა ინგლისში შეაღწია. მისი კვალი ნაპოვნია საბადოებში, რომელთა შორის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს პონტნივიდი უელსში, სადაც, როგორც ჩანს, დროდადრო მონადირეთა მცირე ჯგუფები ბინადრობდნენ. ყველაზე ლამაზი ადგილია სვანსკომბი მდინარე ტემზაზე, ლონდონიდან 50 კმ-ის დაშორებით, მდინარის ქვემო წელში. შესაძლებელი გახდა აღედგინათ ოციოდე წლის ქალის თავის ქალის უკანა ნაწილი (კეფა), რომელიც ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე ტოტაველის ადამიანის თავის ქალა. იგრძნობა პროგრესი. ვუახლოვდებით თანამედროვე ადამიანს. აქ დაახლოებით 280 000 წელთან ვიმყოფებით.

ნეანდერტალი, სამარხი და რელიგია. ჩვენს მიერ ნახსენები ადგილები შედარებით ახლადაღმოჩენილია, მაშინ როდესაც ნეანდერტალის თავის ქალა 1856 წელს იპოვეს.

ნეანდერტალი დიუსელდორფის მახლობლად მდებარე ხევია გერმანიაში. პატარა გამოქვაბულიდან ამოიღეს თავის ქალის თაღი და კიდურების რამდენიმე ძვალი. უფრო გვიანდელი ნეანდერტალური თავის ქალები აღმოჩენილ იქნა ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, რაც ადასტურებს, რომ ვდგავართ თანამედროვე ადამიანის მსგავსი არსების წინაშე, რომელიც მთლიანად მაინც არ არის სრულყოფილი: თავის ქალა დიდია ძვლების გამო, მაგრამ ქალის შიდა მოცულობა საკმაოდ შეზღუდულია.

სამარხების გამოგონება. პრაქტიკულად სამარხების არსებობის არავითარი ნიშანი არ გვაქვს ნეანდერტალელ ადამიანამდე. ადამიანთა ნაშთები, რომლებიც იშვიათად გვხვდება ცხოველების ჩონჩხებთან ერთადაა მიმობნეული.

100 000 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე დასახლებაში ჩნდება დანახშირებული ძვლების გროვები, რომლებიც თითქოს რაღაც რიტუალური მიზნებითაა ასე განლაგებული, გვხვდება აგრეთვე უეჭველი სამარხები, სადაც ადამიანის სხეულები გასწორებული ან ოდნავ მოხრილია და განსაკუთრებული მოპყრობის კვალს ატარებს.

ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო ამგვარი პრაქტიკის მნიშვნელობა. სამარხი აღნიშნავს მეტაფიზიკის პირველ გამოჩენას. ჭირვეული ბუნებისა და კეთილისმყოფელი თუ საშინელი მოვლენების წინაშე მდგომი ეს გაუნათლებელი ადამიანები იძულებული იყვნენ მიემართათ საკუთარი გონებისათვის, რათა მოეძებნათ ახსნა ზებუნებრივ და უცნობ ძალებში.

მაგრამ, ზეციური სამყაროს შესაძლებელი არსებობის დაკავშირება რაიმე ფორმით გადარჩენასთან სეკვდილის შემდეგ - ეს არის პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე მუდმივად დგას ჩვენი თანამედროვეების ჩათვლით.

დასკვნა. თუ ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ათი ათასი, ასი ათასი, მილიონი წელი, რომელმაც განვლო მაუერის ადამიანსა და სვანსკომბის ადამიანს შორის, ასევე

II. მეგალითური კულტურა ევროპაში



რთულია წარმოვიდგინოთ ის ოჯახები, რომლებიც ძალიან ნელა ვითარდებოდნენ, ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ, ძალზე ნელა იგონებდნენ ახალ, გაუმჯობესებულ იარაღებს. ადამიანთა ის პატარა ჯგუფი, რომელმაც აღმოაჩინა ცეცხლი „თითქმის ერთდროულად" - ეჭვი თითქმის მილიონ წელს მოიცავს! - ევროპასა და ჩინეთში, რადგანაც ჩოუ კოუჯიანში აღმოაჩინეს კერიები, რომლებიც იმ კერიათა თანამედროვეა, რომელთა შესახებაც ჩვენ ახლახანს ვისაუბრეთ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს ვრცელ ტერიტორიაზე მოძრაობდა ადამიანთა პატარა ჯგუფები, რომლებიც შეიძლებოდა ჩვენი წინაპრები ყოფილიყვნენ ალბათ, მაგრამ ისინი მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რათა შეედგინათ სოციალური ქსოვილი, რომელიც პრიმიტიულ ევროპაზე ლაპარაკის საშუალებას მოგვცემდა.

III. ხელოვნების დაბადება ევროპაში

კრო-მანიონი: sapiens sapiens. Homo habilis-თან დაკავშირებით მილიონობით წელს ანგარიშობდნენ. Homo erectus-ის შესახებ ასეულობით ათასს, ნეანდერტალელისა კი ათეულ ათასს. 40 000-სა და 34 000-ს შორის მოხდა არაჩვეულებრივად დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა: homo sapiens sapiens-ის, ანუ კრო-მანიონელი ადამიანის, ანუ თანამედროვე ადამიანის გამოჩენა, რადგანაც ჩვენ ზუსტად იმავე ტიპს მივეკუთვნებით, რომელსაც იგი. ამიერიდან ჩვენ მხოლოდ ათასწლეულებით ვითვლით. ანრი დე ლამლი-ვუდიარი კრო-მანიონელი ადამიანის შესახებ წერს: „კრო-მანიონის ადამიანის, ამაყი მიხვრა-მოხვრისა მქონე და მაღალშუბლიანი, ღონიერი მონადირის გამოჩენასთან ერთად ოცდახუთი ათასწლეულის განმავლობაში ატლანტის ოკეანიდან ურალამდე და ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე ვითარდება ზედა პალეოლითის მონადირე ხალხების დიდი ცივილიზაციები... კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას ახალ-ახალი შენაძენი ამდიდრებს...

მაგრამ, თანამედროვე ადამიანის უმთავრესი კულტურული მონაპოვარი ხელოვნების აღმოჩენაა: კლდეზე ნაკვეთი გამოსახულებები, ნახატები, ქანდაკებები, რაც მოწმობს სიმბოლური აზროვნების განვითარებას.

ხელოვნების დაბადება. მაშასადამე, ყველაფერი მიგვითითებს, რომ ხელოვნება გაჩნდა თანამედროვე ადამიანთან ერთად.

ხელოვნების წარმოშობის უაღრესად საინტერესო პროცესი განფენილია ოცდაექვს ათას წელიწადზე, რაც ცამეტჯერ მეტია ქრისტიანულ ერაზე! მაგრამ მისი შემქმნელები არ არიან ის იშვიათი ოჯახები, თითქმის ცხოველურ დონეზე რომ იმყოფებიან და მარტოდმარტო დაეხეტებიან მტრულ გარემოში homo erectus-ის უდიდესი პერიოდის მანძილზე.

ოცდაექვსი ათასი წელი გულისხმობს დიდ ძვრებს, რის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით, გულისხმობს ადამიანთა ტიპების ცვლილებას მიუხედავად ზოგადი მსგავსებისა. ეს საკმარისია, რათა ეჭვი შევიტანოთ იმაში, იყო თუ არა ყველა ეს ხალხი ჩვენი უშუალო წინაპარი.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში გათხრები ბევრად უფრო წინ იყო წასული და ბევრად უფრო მეთოდურად მიმდინარეობდა, ვიდრე სადმე სხვაგან, უდავოა, რომ ხელოვნებას დასაბამი მიეცა ერთსა და იმავე დროს ჩვენს სექტორსა და საჰარაში.

ლასკო და ალტამირა. კედელზე დახატული პირველი ცხენი ბორდოს რაიონში, პერ-ნონ-პერშია. მაგრამ ამის შემდეგ 12-15 ათასი წელი უნდა გავიდეს, რათა მივიღოთ მადლენის შედევრები (ზედა პალეოლითის ერთ-ერთი ეტაპი, რომელმაც სახელწოდება მიიღო დორდონში მადლენის დასახლების მიხედვით).

ვილაპარაკოთ ჯერ ლასკოს გამოქვაბულზე, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს 1940 წლის სექტემბერში; იგი 150 მეტრის სიგრძისაა და გამოთხრილია ცარცული პერიოდის მოყვითალო კირქვიან ქანებში. ორი "გალერეა" ითვ-

ლის 150 ცხოველსა და ნიშნის გამოსახულებას, აგრეთვე 850 ამოკვეთილ და საღებავებით შესრულებულ ნახატს.

მათი დათარიღება შეიძლება 15 000 წლით. კლდის დაზიანების გამო, რაც ტურისტების დიდმა ნაკადმა გამოიწვია, მღვიმეში ამჟამად შესვლა აკრძალულია.

მეორე შედევრია ალტამირას მღვიმე, "პალეოლითის ხელოვნების სიქსტეს კაპელა", რომელიც 1879 წელს აღმოაჩინა დ. მარჩელინო დე სანტუოლამ სანტილანა დელ მარის კომუნაში, სანტანდერის მახლობლად, ესპანეთში. მისი მრავალფერად მოხატული ჭერი იკავებს თაღს, რომლის ზომებია თვრამეტი მეტრი ცხრაზე. აქ ვხედავთ 15 ბიზონს სხვადასხვა პოზაში, დიდ ცხენს და სამ შველს, რომლებიც 13 000 წლისა არიან.

ამავე ეპოქას ეკუთვნის ნიოს მღვიმის ნატეხები არიეჟში, რომლებიც, ამაშია მათი თავისებურება, შესასვლელიდან ორი კილომეტრის სიღრმეში არიან განლაგებული. წარმოდგენილია 100-ზე მეტი ცხოველი. ყურადღების ღირსია აგრეთვე ტიუკ დ'ოდუბერტის მღვიმის ბიზონები, რომლებიც თიხაშია გამოძერწილი და 1914 წლამდე ოდნავ ადრე იქნა აღმოჩენილი ცნობილი ტულუზელი ისტორიკოსის, გრაფი ბეგუენის სამი ვაჟის მიერ.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის კუნძულებზე შედარებით იშვიათია ზედა პალეოლითის ძეგლები. ისინი კონცენტრირებულია დერბის, სომერსეტის და დევონის რამდენიმე მღვიმეში, აგრეთვე სკანდინავიასა და გერმანიაში. მაშინ გამყინვარების პერიოდი იყო, რაც ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს საცხოვრებლად სრულიად გამოუსადეგარს ხდიდა.

ხელოვნება და რელიგია. მაშინდელ ხელოვანთ მხოლოდ პატივის მიგება თუ ეკუთვნით ჩვენგან: ჯერ გამოსახულების აზრი უნდა ეპოვათ, სიმბოლოს არსს ჩაწვდომოდნენ, აგრეთვე ტექნიკა უნდა შეერჩიათ, რათა გამოესახათ სიბრტყეზე სამყარო სამ განზომილებაში, უნდა ეშოვათ ჟანგმიწა, ეპოვათ მისი ნიუანსები გამოწვის მეშვეობით, დაეხატათ და ამოეკვეთათ.

ეჭვგარეშეა, რომ ეს იმპულსი ძლიერ იყო დაკავშირებული რელიგიასთან: შესაძლოა, ზოგიერთი ამ ცხოველთაგანი იყო ღმერთი, ზოგიერთი კი ლოცვის ან შელოცვის ნიშანი, ეს რელიგიური სიმბოლიკა დაკავშირებული იყო ნადირობის სცენების წარმოდგენასთან, ადამიანთა ჯგუფები კი, რომლებიც მცირე ზომით არიან ნაჩვენები, ზეციურ არსებათა დახმარებით წარმართავენ ამ საქმიანობას.

ორი აზრი შეიძლება გაგვიჩნდეს: პირველია კითხვა, რამდენად დაშორებული ვართ იმ მონადირეებს, რომლებიც ხელოვანნი გახდნენ და მეორე, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, მათგან წარმოვიშვით, თუ უფრო გვიან მოსული ემიგრანტებისგან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თუ დასავლეთი ევროპა 12 000 და 13 000 წლებში პროგრესის სათავეში იმყოფებოდა, ასე აღარ იქნება მომავალ ათიათას წელიწადში. *ნეოლითის ყველაზე დიდი რევოლუცია მოხდა შუა აღმოსავლეთში და არა დასავლეთ ევროპაში.* იგი ჩვენს რეგიონში მხოლოდ რამდენიმე ათასეული წლის შემდეგ ჩამოაღწევს.

IV. ნეოლითის რევოლუციისგან განზე დარჩენილი ევროპა

ნეოლითის რევოლუცია შუა-აღმოსავლეთში. 8 000 წლისთვის ცივილიზაციის ყველაზე აქტიური პოლუსი, რომელიც მღვიმეთა ხელოვნების ეპოქაში თითქოს დასავლეთ ევროპაში მდებარეობდა, შორდება ჩვენს რეგიონებს და ინაცვლებს შუა-აღმოსავლეთისკენ. სწორედ იქ ჩნდება "ნეოლითური" ცივილიზაცია, რომელიც ამ არასაკმარისი სახელის ქვეშ (ქვის იარაღები, არა ნაკვეთი, არამედ გაპრიალებული) გულისხმობს კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან პროგრესს: *მიწათმოქმედებისა* და *მესაქონლეობის,* ისევე როგორც *კერამიკის* და მოგვიანებით *ფეიქრობის* აღმოცენებას.

შემგროვებლობიდან წარმოებამდე. რამხელა ინტელექ-

ტუალური ძალისხმევა, რა არაჩვეულებრივი გაქანება იყო საჭირო შემოქმედებითი გონებისთვის, რათა მიმხვდარიყო, რომ 1)არსებობს კავშირი მარცვალსა და მცენარეს შორის; 2)არის შესაძლებლობა, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მიიღო თესლების მეშვეობით უფრო მეტი მოსავალი (მეტი მარცვალი), სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვნად გაზარდო ადამიანთა სურსათზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი. ასევე მოიქცნენ ცხოველებთან დაკავშირებითაც, მოიშინაურეს თხა, ცხვარი და შემდეგ ძროხა. ბრიტანელი ავტორების მიხედვით, ადამიანი food gatherers-თა, ანუ საკვების მომპოვებელთა საზოგადოებიდან გადავიდა food producers-თა, ანუ საკვების მწარმოებელთა საზოგადოებაში.

მოსახლეობა და პირველი ქალაქები. საკვების მოპოვების ახალი საშუალების წყალობით მოსახლეობის რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. დღეს ითვლება, რომ ზედა პალეოლითის ბოლოსთვის კაცობრიობა ითვლიდა ათ მილიონამდე ადამიანს. ძველი წელთაღრიცხვის 1 000 წლისთვის ეს რიცხვი 100 მილიონს მიაღწევდა. ამ მნიშვნელოვანი მატების ყველაზე მკაფიო ნიშანია კოლექტიური ცხოვრების წესის ჩამოყალიბება პატარა ქალაქებში. მსოფლიო ისტორიაში პირველი ცნობილი ქალაქი არის იერიქონი, რომელიც დაარსდა 8 850 წ., გაშლილი იყო 5 ჰექტარზე და გარს ათი მეტრის სიმაღლის კოშკები ერტყა. ვახსენოთ აგრეთვე მალაჰა, ჟურდენის ზემო ხეობაში. ნეოლითურმა რევოლუციამ უცნობი მიზეზების გამო იფეთქა მესოპოტამიაში, ანატოლიაში, კვიპროსში. იგი ნელა ვრცელდებოდა, თავდაპირველად შუა-აღმოსავლეთისა და ეგვიპტისკენ,შემდეგ კი ევროპისკენ და აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიისკენ ინდონეზიამდე.

4 000 წლისთვის ნეოლითი აღწევს ატლანტის ოკეანის სანაპიროებამდე. ეს მოხდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან, სადაც უკვე არსებობდა ზღვაოსნობის ჩანასახები.

მეორე გზა იყო დუნაის გზა. სწორედ ამ დროს ცივილიზაცია არნახულ აყვავებას განიცდის იმ ზონაში, რომლის

ცენტრსაც შუა აღმოსავლეთი წარმოადგენს. 3500 - 3300 წლებისთვის ჩნდება პირველი მსოფლიო დამწერლობები: მესოპოტამიაში შუმერის და აქადის ლურსმული დამწერლობა და ეგვიპტეში-იეროგლიფური დამწერლობა. 2 600 წელს აშენდა ხეოფსის, ყველაზე დიდი პირამიდა. მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ყველაზე თვალსაჩინო ნიშნებია კედლის მხატვრობა, თლილი ქვები, ქანდაკება, კერძოდ ბარელიეფი, კონსტრუქციათა სიმეტრიულობა, მართი კუთხის გამოჩენა არქიტექტურაში. ამ პროგრესის უმაღლეს წერტილს ეგვიპტელები და მესოპოტამიელები აღწევენ ძვ. წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულში ცხენოსნობის, ეტლის, ბორბლის გამოყენებით.

ჩამორჩენილი დასავლეთი. რა ხდება დასავლეთში ამ 4 000-2 000 წლებში? ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპისგან განსხვავებით, რომელიც შუა აღმოსავლეთის თანდათანობით გავლენას განიცდის, დასავლეთ ევროპა სავსებით იზოლირებულია, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში დამზადებული ძვირფასი ნივთების თუ გაუმჯობესებული იარაღის იმპორტის არავითარი კვალი აქ არ შეინიშნება. დასავლეთის მრეწველობა მეტად სუსტია იმისთვის, რომ აღმოსავლელთა წინაშე იმპორტის საკითხი დაისვას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი ევროპა იზოლირებულია და ჩამორჩენილია პროგრესულ ცენტრებთან შედარებით, ერთ-ნახევარი ათწლეულის მანძილზე მას განსაკუთრებული ერთიანობა ახასიათებს, რაც წარმოდგენილია *მეგალითების* ცივილიზაციით.

მეგალითები, დასავლეთ ევროპის საერთო ცივილიზაცია. მეოთხე ათასწლეულის შუა ხანებში, დაახლ. 3600 წელს (შეიძლება უფრო ადრეც, ბოლო გამოკვლევების მიხედვით) ჩნდება დიდი ქვები. უფორმო გაუთლელი, დაუმუშავებელი ქვები ან აღმართულია (მენჰირები), ან ქვის წრეებს ან ორმაგ წრეებს შეადგენს (კრომლეხები), ან მენჰირებია ჩამწკრივებული ერთ ან რამდენიმე პარალელურ რიგად და ბოლოს არის ქვის მაგიდები, ანუ დოლმე-

ნები. ეს უკანასკნელი წარმოგვიდგება თვალწინ ან შიშვლად, მიწის ზემოთ, ან პატარა კენჭების გროვით (საფლავის ბორცვები), ან ყორღანის სახით. ამ შემთხვევაში გარეთა ღიობიდან გალერეას მივყავართ ცენტრალურ დოლმენამდე. ჯერ კარგად არ იციან, ყველა დოლმენი იყო თუ არა დაფარული საფლავის ბორცვით ან ყორღანით: ამ საკითხზე არქეოლოგებს სხვადასხვა თვალსაზრისი გააჩნიათ. ფაქტია, რომ რა ფორმისაც არ უნდა იყოს დოლმენები, თუნდაც ისინი უბრალო გადახურული გალერეების მონაცვლეობას წარმოადგენდეს, ეს არის კოლექტიური სამარხები ადამიანთა შეზღუდული რაოდენობისთვის, ალბათ მეთაურთათვის ან მნიშვნელოვანი პიროვნებებისთვის. ხშირად მათში მრავალი სხვადასხვა ნივთი მოიპოვება, როგორც კრომლეხებში, მაშინ როდესაც არასოდეს არაფერი უპოვნიათ მენჰირების ძირში. ყველა ეს ნაგებობა ადამიანისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და იგი რელიგიურ ხასიათს ატარებდა.

მეგალითები და დასავლეთ ევროპა. რუკა გვიჩვენებს, რომ მეგალითური ძეგლების ზონა ეწერება დასავლეთ ევროპის ვრცელ ოთკუთხედში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მეგალითური ძეგლები გარდა დასავლეთ ევროპისა, სხვაგან არ არის? ბევრი ასეთი ძეგლი მოიპოვება ამიერკავკასიაში, ეთიოპიაში. ძალზე იშვიათია ასეთი ძეგლები და თითქოს არავითარი ხელშესახები კავშირი არ აქვთ მათ ევროპასთან, როგორც ღირსშესანიშნაობებს ირანში, პაკისტანში, ცენტრალურ ინდოეთში, ინდონეზიაში. სამხრეთ ინდოეთში, მანჯურიაში, კორეაში, იაპონიაში, ოკეანეთში მრავალი ასეთი ძეგლია, მაგრამ ისინი ევროპის მეგალითებზე 1000-1500 წლით უფრო გვიანდელნი არიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაახლ. IV ათასწლეულში, შუა აღმოსავლეთში რამდენიმე გამოვლინების შემდეგ მეგალითიზმმა როგორღაც შეაღწია დასავლეთ ევროპაში. ხმელეთის გზით? სანაპიროებით? ასაკით პირველი დოლმენები კვლავაც პორტუგალიის და საფრანგეთის (ბრეტანი) სანაპიროებზე მდებარეობენ. ისინი დაახლოებით ძვ.წ 3 600 წლით თარიღდება.

დავასახელოთ ბარნეევზი და გენოკი ფინისტერში და კერ-
კადო კარნაკში.

ამ დოლმენებამდე არსებობდა ისეთი სამარხები, როგო-
რიცაა ტეევიეკის და ჰოედიკის კუნძულების სამარხები, რომ-
ლებიც მოწმობენ მეცხოველეობის განვითარების დასაწყისს
და სადაც 6-7 კაცია ერთად დამარხული ჩამჯდარ მდგომა-
რეობაში ქვების გროვის ქვეშ. ეს ხომ არ არის დოლმენის
წინაპარი?

დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 2 000 წელს
მეგალითური ცივილიზაცია თავის აპოგეას აღწევს სტოუნ-
ჰენჯში, ბრისტოლსა და საუთჰემპტონს შორის, დიდ ბრიტა-
ნეთში. აქ უზარმაზარი ოთხკუთხედების ფორმის ქვებია
აღმართული, ისინი წრიულადაა განლაგებული და თითქოს
წმინდა ადგილის საზღვრებს აღნიშნავს. 3 500-დან 2 000
წლამდე ხანგრძლივი პერიოდია, მაგრამ მას განსაკუთრე-
ბული ერთიანობა ახასიათებს.

მეგალითები: ტექნიკური და მეტაფიზიკური ერთობა. ბრიტანეთის კუნძულზე ორი ათასი დოლმენია, საფრან-
გეთში 5 000, დანიაში 3 000 და ა.შ. , მაგრამ ისინი თავის
თავში უდავოდ შეიცავენ ცივილიზაციის ორ ფაქტს:

1) როცა იმის მაგიერ, რომ გვამები დამარხო გათხრილ
საფლავში, უდიდესი ძალისხმევის ფასად აგებ მიწის ზევით
მძიმე სტრუქტურას, ეს ნიშნავს, რომ შენ გიბიძგა რაღაც
რელიგიური ხასიათის მიზეზმა. ჩვენ ეს ადრევე ავღნი-
შნეთ. ამ მძლავრ მოტივაციას ზოგიერთი უწოდებს "მეგა-
ლითურ იდეას". იგი პასუხობდა მიცვალებულთა კულტს,
იმქვეყნიური ცხოვრებისა და ღვთიური ძალების რწმენას,
რასაც შესაძლოა მენჰირები ანსახიერებდა. მოკლედ, *ძალიან
ვრცელ ზონაში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში
არსებობს საერთო ფილოსოფია და რელიგია.*

2) მენჰირების და დოლმენების ასაგებად საჭირო იყო
ზუსტი ტექნიკა. ეს კი ხდებოდა იმ ეპოქაში, როცა არ
იცოდნენ, რა იყო ბორბალი და არ იყენებდნენ ცხოველის
გამწევ ძალას. არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები,
რომ აქა-იქ რამდენიმე ტონიანი ბლოკები იქნა გადაადგი-

ლებული რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ბრეტანში, ლოკმარიაკერის დიდი მენჰირი, რომელიც დღეს გატეხილია, სიმაღლით 20 მეტრს აღწევდა და 360 ტონას იწონიდა. სხვა მენჰირები 10 მეტრს უახლოვდება და 40-60 ტონას იწონის, ხოლო როცა მენჰირების ველებზე საქმე გვაქვს უფრო პატარა ქვებთან, ისინი დაჯგუფებული არიან ასობით და ათასობითაც კი, როგორც ეს კარნაკშია (მორბიჰანი). ეს ნაგებობები მოითხოვდა მჭიდრო მოსახლეობას, რომელიც ხმარობდა თოკებს, ხის მორებს, ხის სოლებს, რომელმაც იცოდა ღარების გატარება, იყენებდა დახრილ სიბრტყეს თუ წყალს ტრანსპორტირებისათვის.

ამ მეგალითების გეოგრაფიული გავრცელება გულისხმობს, რომ ხსენებულ რეგიონებს შორის იყო კავშირი და ტექნიკური თანამშრომლობა, რასაც ადასტურებს ჯერ კიდევ გაურკვეველი რელიგიური ერთობა. ამგვარი სამუშაოსთვის აუცილებელი მუშახელის რაოდენობის განსასაზღვრად ჩავთვალოთ, რომ დაახლოებით 1 000 კაცია საჭირო, რათა დღეში ერთი კილომეტრით წაიწიოს წინ 50 ტონიანმა ლოდმა.

3)ამ პრიმიტიულ, მაგრამ ძნელად განსახორციელებელ რელიგიურ ნაგებობებს *მეგალითურ ეპოქაში არ შეესაბამება ძნიშვნელოვანი სამოქალაქო არქიტექტურა.* შრომის იარაღებიდან ჩნდება გალესილი ცული. ჩნდება სპეციალიზებული სახელოსნოები და, ამის შედეგად, ვაჭრობაც. მაგალითად, მდინარე არმორის აუზში, დიდ ბრიტანეთსა და სამხრეთში 3 200-დან 2 700-მდე გავრცელებული იყო ე.წ. შესეს (სონა და ლუარა) კერამიკა, შემდეგ კი ლაგოზის კერამიკა. ოდნავ მოგვიანებით ე.წ. სენა-უაზა-მარინის ცივილიზაცია ხასიათდება კაჟის ძალზე ბასრი იარაღებით. დაახლ. 2000 წელს "ზარისებური თასების" კულტურა გარკვეულ გავრცელებას ჰპოვებს. მეგალითური ეპოქის ადამიანები ცხოვრობენ მართკუთხა სოფლებში, მართკუთხა სახლებში, გარდა დიდი ბრიტანეთისა, სადაც ძირითადად წრიულ სოფლებს ვხვდებით.

შეიძლება წარმოვიდგინოთ პატარა იმპერიები, მონობაც

კი. მაგრამ თვით ბრეტანის ძალზე მჭიდროდ დასახლებულ მეგალითურ სამყაროშიც კი სპეციალისტები მაქსიმუმ 10000 მცხოვრებს ვარაუდობენ: მაშასადამე ბრეტანი ოდნავ დიდია ბელგიაზე.

როგორია ჩვენი კავშირი მეგალითების ადამიანებთან? ეს ადამიანები, რომელთაც ძლიერი რელიგიური შეხედულებები ამოძრავებთ და მწირ ტექნიკას ფლობენ, მძიმე ლოდებით ფარავენ ევროპის დასავლეთ სივრცეს და არ იციან, რომ შუა აღმოსავლეთში მათი თანამედროვეები ნამდვილად ბევრად უფრო წინ არიან წასული, რომ ეგვიპტელები კიდევ უფრო დიდ ლოდებს გადააადგილებენ, თლიან, აწყობენ, აქანდაკებენ. მეგალითებზე კვეთის ხელოვნება საშუალო დონისაა; კლდეზე მხატვრობა დიდი ხნის მივიწყებულია მაშინ,როდესაც იგივე ეგვიპტელებმა ასეთი მხატვრობა თავიდან აღმოაჩინეს და სრულყვეს.

დოლმენების ნელი გაქრობა. ურნების ველები. ძვ.წ. 2000-1850-დან ეს ცივილიზაცია უცებ გაქრა. მონუმენტური და არისტოკრატიული სამარხები შეცვალა აღმოსავლეთიდან მოსულმა ინდივიდუალურმა „ყორღანებმა", ცოტა მოგვიანებით კი „ურნების ველებმა", რომელთაგან თითოეული ურნა შეიცავდა ადამიანის ფერფლს.

გერმანელ ისტორიკოს კარლ-ფერდინანდ ვერნერთან ერთად ჩვენ ასეთ დასკვნას ვაკეთებთ: „ძნელია" მეგალითური იდეის" ერთიანობის უარყოფა. საქმე არ ეხება რომელიმე ხალხს, ან ცივილიზაციას, რომელსაც ყველგან იგივე ხასიათი ექნებოდა, არამედ საკმაოდ ძლიერ იდეას, რომელმაც 5 000 წლის წინ უბიძგა ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთთან ათასეულობით კილომეტრი აშორებდათ, რომ პატივი მიეგოთ თავიანთი მიცვალებულებისათვის და ზოგიერთებს თავისი ღმერთებისთვისაც ძალზე მსგავსი, თითქმის იდენტური მანერით. კავშირები მათ შორის არსებობდა, თუმცა ძალიან ნელა ვითარდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით.

დღეს მრავალი ავტორი უშვებს *ჰიპოთეზას,რომ მეგა-*

ლითური ადამიანები, რომლებიც მოვიანებით შესაძლოა გახდნენ კელტების წინამორბედები, ლიგურები, იბერიელები და ა.შ., ჩვენი წინაპრების მასას შეადგენენ. ეს მასა არ არის რასობრივი ერთობა. მეგალითურ სამარხებში ვხვდებით სხვადასხვა რასის ადამიანებს ამობურცული თავის ქალით, ანუ დოლიქოცეფალებს და მოკლე თავის ქალით, ანუ ბრაქიცეფალებს, რომლებიც უფრო მეტნი არიან ალპურ მასივებში.

V. ლითონის ძიებაში: ოქრო, სპილენძი, ბრინჯაო

პალეოლითის ადამიანები შესანიშნავ იარაღს აკეთებდნენ კაჟის, კვარცის თუ კვარციტისგან. მოგვიანებით გაპრიალებული ცულების კეთება დაიწყეს. ხელოვნებას რაც შეეხება, ადამიანები ლამაზი ფერის ქვების საძებნელად დადიოდნენ. ეს ქვები ადვილად დასამუშავებელი უნდა ყოფილიყო. ისინი გამოსადეგი იყო როგორც ნადირობისას და ომის დროს, ისე სამკაულადაც. კარგად არ არის გარკვეული, როგორ გაიცნო კაცობრიობამ ლითონები. თავდაპირველად ადამიანმა ოქრო გამოიყენა „პირვანდელ" მდგომარეობაში, შემდეგ კი მან გამოიყენა ბრინჯაო და კიდევ უფრო გვიან რკინა, რომელსაც ალბათ ადრევე იცნობდა მეტეორიტების მეშვეობით.

პალეომეტალურგია. დღეს „პალეომეტალურგია" არის მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავს, სხვა საკითხებთან ერთად, შეისწავლოს ხელოსნობის, ხოლო შემდგომ მეტალურგიული ინდუსტრიის წარმოშობა მსოფლიოში. სწორედ იგი ადასტურებს, რომ ოქრო და სპილენძი ადამიანის მიერ გამოყენებული პირველი ლითონები იყო (სპილენძი ძვ.წ. II ათასწლეულიდან ანატოლიაში) და მათი დამუშავება იგივე მეთოდებით ხდებოდა. ეს ყველაფერი მოითხოვდა დიდ ოსტატობას ცეცხლის გამოყენების თვალსაზრისით, რათა ლითონების დნობისთვის მიეღწიათ, კერძოდ ხის

ნახშირის აღმოჩენას და გაუმჯობესებული საბერველების გამოგონებას.

ბრინჯაოს, სპილენძისა და თუთიის ნარევი უფრო დაბალ ტემპერატურაზე დნებოდა, ვიდრე სპილენძი, ე.ი. უფრო ადვილად თხევადდებოდა, ვიდრე სუფთა სპილენძი, ხოლო მისი მექანიკური გამძლეობა სპილენძზე მეტი იყო და ეს ყველაფერი მალე შეამჩნიეს. ბრინჯაო 4000წ.-სა და 3000წ.-ს შორის ჩნდება, იმავე დროს გვაქვს ოქროსა და ვერცხლის შენადნობები. ეს ყველაფერი ძირითადად ეგვიპტეში ხდება. დასავლეთ ევროპელებმა ჯერ სპილენძი მიიღეს, შემდეგ კი ბრინჯაო. აღვნიშნოთ პიგოტთან ერთად: „ისევე როგორც მიწათმოქმედების დასაწყისი, მეტალურგიის (არა რკინის) წარმოშობაც ახლო აღმოსავლეთის შემოსაზღვრულ ზონას უნდა უკავშირდებოდეს არა იმიტომ, რომ ამ ზონის გარეთ ნაკლებობა იყო პირველადი მასალების წყაროებისა, არამედ ახლის ძიების უნარის მქონე საზოგადოების, ტრადიციულად შემოქმედებითი ტემპერამენტის გამო... და აი ეგვიპტეც,რომელმაც ძალიან სწრაფად განავითარა სპილენძის მეტალურგიის გაუმჯობესებული წარმოება... თუმცა აკლდა რესურსები, თუ არ ჩავთვლით სინაის უდაბნოს. მესოპოტამიაც იძულებულია გარედან შემოიტანოს წიაღისეული, ჩვენი მეტალურგიის საწყისები შეიძლება ირლანდიაში ან იბერიაში ყოფილიყო, თუკი ამ რეგიონების გლეხობა უფრო მომწიფებული იქნებოდა ტექნოლოგიის თვალსაზრისით".

ბრინჯაო ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში. ცენტრალური ევროპა პირველ რიგებს იკავებს ბრინჯაოს მეტალურგიაში დაახლ. ძვ.წ. 1 500 წლისთვის, რადგან ჩინეთსა და სლოვაკეთში ერთდროულად არსებობს სპილენძის და თუთიის საბადოები. ამ რეგიონებისთვის უცხო არ არის სხვადასხვა შემოსევები. მათი წყალობით სამხრეთ ევროპაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, სარდინიაში, სიცილიაში, საფრანგეთის სამხრეთში ჩნდებიან „საბრძოლო ცულების ადამიანები", (ძვ. წ. 1 800 წ. დაახლ.) შესაძლოა სამხრეთ რუსეთიდან. ისინი და სხვა დამპყრობლები: პრო-

ტო-კელტები, პროტო-ლათინები, პროტო-გერმანელები ევროპელები არიან, ბრინჯაოს დამზადება ნელ-ნელა ვრცელდება: თუთიის საბადოები არის კორნუელსში და მცირე რაოდენობით ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროზე კონტინენტიდან ჟირონდამდე.

ბრინჯაოს ამზადებენ: 1)ლა მანშის ორივე მხარეს; 2)ირლანდიაში; 3)ალპების სპილენძის მადნის წყალობით პოლონეთში, სამხრეთ გერმანიაში, ბავარიასა და ალზასში, იურას მთებში და სამხრეთ შვეიცარიაში, რონის ხეობაში; 4)ზონაში, სადაც მადანი არ არის: საკანდინავიის სამხრეთსა და ჩრდილოეთ გერმანიაში, რომლებიც გამდიდრდნენ ქარვით ვაჭრობით და შეეძლოთ მადნის ყიდვა; 5)აგდის (ალმერას ძველი სახელწოდება) კულტურა, რომელზეც გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზმა.

ბრინჯაოს ხანაში. ვაჭრობის განვითარება. მაშასადამე არსებობს გზები, - ყოველ შემთხვევაში, ბილიკები მაინც - კარგად ორგანიზებული ვაჭრობა იარაღით, კერამიკით, ხელოვნების ნიმუშებით, რადგანაც ნეოლითის დროს თითქმის გამქრალი ხელოვნება (მხატვრობა მაინც) კვლავ ახალი ძალით იფეთქებს ყველგან. შინაურ ვაჭრობას ენაცვლება შორ მანძილებზე წარმოებული აღებ-მიცემობა. მალე აღმოსავლეთით ჩნდება "ზღვის ხალხი" და ბერძენთა წინაპრები. ნაოსნობას ეწევიან ერთი მთლიანი ხისგან გაკეთებული ნავებით (ანსენისის ხიდის ნავი), ფიცრებით შეკრული ნავებით (ჩრდილოეთი ფერიბი, იორკშირი), ხის არმატურაზე ტყავგადაკრული ნავებით (შოტლანდია, უელსი). ნაოსნობა მდინარეებზე წარმოებს, მაგრამ ზოგიერთი გემი ისე მტკიცედ ნაგებია, რომ ატლანტის ოკეანესაც არ ეპუება. ჩნდება იალქანი. გალიის ომის მძიმე თევზსაჭერი გემები უთუოდ მათგან წარმოიშვა. ხმელეთზე ძირითადად ცხენით და ურმით მოძრაობენ.

მეტალურგები. რათა წარმოდგენა შეგვექმნას მაშინდელ მეტალურგიულ წარმოებაზე, მაგალითად მოვიყვანოთ მხოლოდ მდ. არმორის ხეობა, სადაც ნაპოვნია 27 000 ბუნიკი-

ანი ცული. დავუშვათ, რომ სამჯერ მეტია ეს რაოდენობა, ანუ 75 000, თითო 200 გრამს რომ იწონიდეს, მთლიანობაში გამოდის, რომ ერთ ათასწლეულში გადამუშავდა 15 ტონა ბრინჯაო.

საცხოვრებელი. კარგად არ ვიცით, როგორი იყო იგი, უთუოდ ბორცვების მახლობლად იქნებოდა: წრიული ბანაკები, შემოფარგლული ადგილები, დიდი ოთხკუთხა ქოხები, ალბათ ჩალით დახურული მრგვალი მორებისა და ტოტებისაგან. ვიცით რამდენიმე გამაგრებული ბანაკის შესახებ. მიცვალებულების კულტი ურნების ველებითურთ უცნაურ შედეგს გვაძლევს: თითქმის არაფერი ვიცით ბრინჯაოს ხანის ადამიანის ანთროპოლოგიის შესახებ, რადგანაც მათგან მხოლოდ ფერფლია დარჩენილი.

ნადირობა და შეგროვება. საკვების ძირითად ნაწილს კვლავაც ამ გზით მოპოვებული ნადავლი შეადგენს; ადამიანი ამ მიზნით იყენებს ხაფანგებს, ხანჯლებს და შუბებს, მშვილდს და ისრებს, მახეებს, კაკანათებს, ბადეებს, რომლებიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შვეიცარიის ტბებში. ნადირობენ გარეულ რქიან პირუტყვებზე, ირემსა და ტახზე. თევზაობენ ბრინჯაოს ნემსკავებით, რომლებიც ასევე მრავლად მოიპოვება შვეიცარიის ტბებში,სარგებლობენ ზღვის ნობათით.

მიწათმოქმედება. მიწათმოქმედებაში, რომელიც კელტების გამოჩენამდე საკმაოდ სუსტად იყო განვითარებული, და რაზეც შეიძლება ვიმსჯელოთ „პალინოლოგიის" (მეცნიერება მცენარეთა მტვრის შესახებ) მიხედვით, ყამირის გასატეხად ცეცხლს იყენებდნენ. ძირითადი მარცვლეული იყო ხორბალი და ქერი. ნაპოვნია მარცვლის საფქვავი ხელის "წისქვილები". მოჰყავდათ სელი, აშენებდნენ ცხენებს, ნახევრად ველურ ღორებს, ცხვრებს, თხებს.

ხელოსნობა. ხელოსნები იყვნენ ლითონის მდნობელები, ზეინკლები, სარაჯები, სელის მრთველები. ბრინჯაოს ხანის

ბოლოს ჩნდება მარილიანი ტბორები და ზღვის მარილის დამზადება.

მეომრები და შედარებითი თანასწორობა. სხვა დანარჩენ ჯგუფებზე მაღლა დგანან მეომრები და როგორც ყველგან, მთავარ როლს თამაშობენ. მიუხედავად ამისა, ბრინჯაოს ხანის საზოგადოებაში მათი დაკრძალვა არ იძლევა დიდი ძეგლების აგების შესაძლებლობას (გარდა ძველი ბრინჯაოს ხანის). „საზოგადოება [...] ბრინჯაოს ხანის დასასრულს ძალიან ერთგვაროვანი იყო; ჯარისკაცი საზოგადოების ისეთივე რგოლი იყო, როგორიც მიწის მუშა, მჭედელი, მღვდელი თუ მიწის მხვნელი. ამ ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლაში მხოლოდ ვაჭარს შეეძლო დაეგროვებინა განძეული და ბრინჯაო [...], შეეძლო ყოფილიყო გამორჩეული.“

3

კელტების დიდი ეპოქა

I. ინდოევროპელთა დიდი ოჯახი

ძვ.წ. მე-VI საუკუნიდან I საუკუნემდე დასავლეთ ევროპის დიდ ნაწილზე ბატონობენ ხალხები, რომელთაც კელტებს უწოდებენ. ქვემოთ მოყვანილი რუკა მათი აპოგეეს პერიოდს გვიჩვენებს.

ძვ.წ. I საუკუნიდან ახ.წ. IV საუკუნემდე მათ სხვა ხალხი ჩაენაცვლება, როგორც ჩვენი რეგიონის მბრძანებელი. ესენი არიან იტალიოტები, რომის დაპყრობითი ომების მეშვეობით. ახ.წ IV საუკუნიდან ხალხთა მესამე ჯგუფი, გერმანელები, რომის დასავლეთ იმპერიას რამდენადმე დაშლის და დააქუცმაცებს.

ჩვენ, XX საუკუნის ევროპელები მრავალი გავლენის და ცივილიზაციის ნაყოფი ვართ, ესენია: მეგალითების, კელტების, შესანიშნავი ბერძნული ცივილიზაციის გამავრცელებელი ლათინური ცივილიზაცია, გერმანული და ბევრად უფრო მოგვიანებით, სლავური ცივილიზაციები. ისინი თვით ჩვენს არსს შეადგენს, ნაკლებად რასობრივ ჭრილში, რაც მეორეხარისხოვანია და მეტად ენისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით.

მეგალითების ხანის ჩვენი წინაპრების სახელებიც კი არ ვიცით. ყველაზე მეტი, რაც შეიძლება ვთქვათ, არის ის, რომ მათი სახელები ემთხვევა იმ ხალხების სახელებს, რომელთაც უწოდებენ ლიგურებს ჩრდილოეთში და იბერებს სამხრეთში. კელტების სახელი ისტორიიდან ვიცით. დიდი ბერძენი ისტორიკოსი, ჰეკატე მილეთელი ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში აღნიშნავს ლიგურიის გვერდით ზონის არსებობას, რომელსაც უწოდებს კელტიკას.

ინდოევროპული ფენომენი. შედარებით გვიან კელტური ექსპანსია ეწერება ბევრად უფრო ფართო მოვლენის წიაღში:

ეს არის ინდოევროპელთა, ანუ არიელთა დიდი ლინგვისტური ოჯახის დიფერენციაცია.

ჩვენს დროში ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზა ის არის, რომ ისინი წარმოშობით ცენტრალური აზიიდან ან ირანის სამხრეთიდან არიან, რომ დაახლოებით საერთო ენა ჰქონდათ, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით დაქსაქსვის შედეგად ეს ენები ძლიერ დაშორდა ერთმანეთს, მხოლოდ რამდენიმე ფუძე დარჩა ყველასთვის საერთო (იხ. ტაბულა, რომელიც ეხება სიტყვებს "დედა" და "სამი"), სხვა ფუძეები ენათა გარკვეულ ჯგუფებში შენარჩუნდა და არა ყველაში.

ქვემოთ მოყვანილი გამარტივებული სქემა მიუთითებს არიული ენების დიდ ჯგუფზე. ის საშუალებას იძლევა დავინახოთ, როგორ არის განლაგებული დასავლეთ ევროპის ენები (ნაცრისფერი ზონა).



ენები რომელშიც 100 წარმოითქმის, როგორც სენტუმ

ენები რომელშიც 100 წარმოითქმის, როგორც სატემ

— AD ნაწილი მარჯვნივ გამოსყოფს იმ ენებს, რომელშიც ციფრი 100 წარმოსდგება სატემისაგან, ხოლო მარცხნივ ენებს, რომელშიც 100 წარმოსდგება სენტუმისაგან

— CD ნაწილი განასხვავებს ენების ორ ჯგუფს, რომელიც ერთმანეთთან მჭიდრო ნათესაობით გამოირჩევიან

ფრანგული სიტყვა „დედა“

სანსკრიტი	ბერძული	ლათინური	სომხური	ოსური	ძველ ირლანდიული	გალური	გერმანული	ინგლისური	იტალიური	ესპანური
matăr	μητηρ	mater	mayr	mâcar mâdhar	môder	matres matrebo	mutter	mother	madre	madre

ფრანგული სიტყვა „სამი“

სანსკრიტი	ბერძული	ლათინური	სომხური	ოსური	ძველ ირლანდიული	გალური	გერმანული	ინგლისური	იტალიური	ესპანური
tri	τρεις	tres	yerek		tri	tri	drei	three	tre	tres

რაც შეეხება მათი გავრცელების არეალს, ერთის მხრივ ეს რთულია, რადგან ისინი მრავალრიცხოვან ტომებად იყვნენ დაყოფილი და ხშირად იცვლიდნენ ადგილს, მეორეს მხრივ, ეს პროცესები ძალიან ნელა მიმდინარეობდა, ძვ.წ. XV ს-დან ახ.წ. X სა-მდე. უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს მიგრაციები მასობრივ ხასიათს ატარებდა და ახალმოსულები ადგილობრივ მოსახლეობას თავიანთ ენას ახვევდნენ თავს.

არიელები, ხეთები და ზღვის ხალხები. ევროპის გარეთ დიდ ინდოევროპულ განშტოებებში უნდა მოვიხსენიოთ *არიელები* და მათზე ბევრად ადრე *ხეთები*, რომელთა ძალზე მკვეთრი უპირატესობა მომდინარეობს იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობიდან.

აი მეორე განშტოება, რომელსაც ბრწყინვალე კულტურული მომავალი ელოდა: დაახლ. ძვ.წ. 1 230 წელს ეგვიპტის იმპერიას,რომელიც იმდროინდელი ცივილიზაციის სათავეში იდგა, თავს ესხმიან ჩრდილოეთიდან მოსული „ზღვის ხალხები". III ათასწლეულის ბოლოდან მცირე აზიის დასავლეთით, საბერძნეთში, კრეტაში, სამხრეთ იტალიაში სახლდებიან „ეგეოსური" კულტურის ხალხები, ბერძენთა წინაპრები, აქ ერთმანეთს ტალღებივით ენაცვლებოდნენ აქაველები, დორიელები, ფრიგიელები, მიკენელები და სხვები.

როდესაც ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში საბერძნეთი მსოფლიო ცივილიზაციის უბრწყინვალესი ცენტრი გახდება, კელტებიც თავიანთ მწვერვალს აღწევენ, რა თქმა უნდა ნაკლებად მაღალს, მაგრამ მას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ საბერძნეთი ჩვენთვის ერთ-ერთი ინტელექტუალური წყაროა, ჩვენთვის, როგორც ევროპელთათვის, კელტები არიან წინაპრები თითქმის ყველგან.

II. ბრინჯაოს ხანა და პირველი კელტები

ახალი საფლავები. ჩვენ უკვე ვახსენეთ მეგალითებამდე არსებული ინდივიდუალური სამარხები მოხრილი ჩონჩ-

ხებით, შემდეგ მეგალითები და კერძოდ, დოლმენები სამარხის ბორცვებითა და ყორღანებით დაახლ. 3600-დან 2000 წლამდე. ბრინჯაოს ხანის დასაწყისში ჩნდება ინდივიდუალური სამარხის ბორცვები. პირველ პროტოკელტებთან კვლავ ჩნდება ყორღანები. მიწაში დამარხულ ინდივიდუალურ სამარხებს ფარავს ძირითადად მეგალითების სამარხის ბორცვებზე პატარა მიწაყრილები.

ფერფლად ქცევა და ურნების ველები. ბრინჯაოს ხანის ბოლოს ჭეშმარიტი რევოლუცია ხდება მიცვალებულთა მიწას მიბარების წესში. ძვ.წ. 1 250 წლიდან დამარხვა იცვლება ფერფლად ქცევით. დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე იგი ამ თარიღზე ბევრად ადრე არსებობდა. მას დაერქვა სწორედ „ურნების ველების ცივილიზაცია", რაზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ეს ურნები დაჯგუფებულია სამაროვნებზე, სწორ ნაკვეთებზე. ისინი გვხვდება ცენტრალურ ევროპაში, სამხრეთ გერმანიაში, აღმოსავლეთ, სამხრეთ, ცენტრალურ საფრანგეთში, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ბურგუნდიასა და შამპანში. ეს ცივილიზაცია, რომელიც მიცვალებულებს შედარებით თანასწორებად მიიჩნევს, „არის მიწასთან მჭიდროდ დაკავშირებული გლეხების კულტურა, რომელთაც დიდი ინტერესი არ გააჩნდათ გარე სამყაროსადმი" - ასე ახასიათებს ამ ცივილიზაციას ჰატი.

„ურნების ველების" ადამიანებს ჩრდილოეთ იტალიაში ვხედავთ ძვ.წ. XIს. - ში, გალიაში IXს. - ში, საფრანგეთის სამხრეთში VIIIს.-ში და ოდნავ მოგვიანებით - ესპანეთში. ეს ძალიან დაგვიანებულია დიდ ბრიტანეთთან შედარებით, სადაც ძვ.წ. 2 000 წლიდან უკვე არსებობდა კრემაცია, როგორც ერთ-ერთი წესი მიცვალებულისთვის პატივის მიგებისა და სადაც ცენტრალური ევროპის გავლენა თითქოს არ უნდა ყოფილიყო.

პროტო-კელტები დიდხანს, თითქმის V საუკუნემდე შემოინახავენ ამ სისტემას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიცვალებული მათი მეთაურია), რომელიც მათთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე ძვირადღირებული დოლმენები.

თითქოს *სიკვდილი დემოკრატიული* გახდა. გარდა ამისა, მაშინ, როდესაც მეგალითების ცივილიზაციამ, მიუხედავად იმისა, რომ ნაოსნობა მისთვის უცხო არ იყო, არაფერი იცოდა ეგვიპტისა და მესოპოტამიის ტექნიკურად მასზე ბევრად მაღლა მდგომი, მისი თანამედროვე ბრწყინვალე ცივილიზაციების არსებობის შესახებ. მე-II ათასწლეულში იღება აღმოსავლეთის კარები.

III. რკინის აღმოჩენა

ხეთები და რკინა. რკინის დამუშავების ტექნიკა ბევრად რთულია, ვიდრე სპილენძის და ბრინჯაოსი, ერთადერთი უპირატესობა იმაშია, რომ რკინის საბადოები ბევრად მეტია მსოფლიოში.

სავარაუდოდ ძვ.წ. XV საუკუნეში დაიწყეს ხეთებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით რკინის წარმოება. მომდევნო საუკუნეში რკინის წარმოებამ დასავლეთით გადაინაცვლა და ძვ.წ. IX საუკუნეში საბერძნეთამდე და კრეტამდე მიაღწია. კონტინენტურ ევროპაში, ისევე როგორც სამხრეთ იტალიაში, რკინის დამზადება ურნების ველების ცივილიზაციასთან, ანუ პროტო-კელტებთან ერთად გაჩნდა.

მაგრამ იგი მხოლოდ VII საუკუნიდან გავრცელდა დიდი მასშტაბებით ცენტრალურ ევროპაში გრძელი ხმლების დამზადებასთან ერთად. მაშინ გამოყენებული მეთოდი არ შეცვლილა რომაელთა ეპოქაში, თუ არ ჩავთვლით სკანდინავიას და უნდა მოვიცადოთ შუა საუკუნეებამდე, რათა არსებითი პროგრესი განხორციელდეს ინდოეთის და დამასკოს ზეგავლენით, სადაც ჩნდება უკვე არა რკინის, არამედ ფოლადის წარმოება.

რკინის უპირატესობანი. მნიშვნელოვანია არა იმდენად რკინის ხმლის უპირატესობა ბრინჯაოს ფართან შერკინებისას, არამედ ხელსაწყო-იარაღების დამზადება, რამაც გააფართოვა გემთმშენებლობის და მიწათმოქმედების შესაძლებლობანი. იმ დროს, როცა ხმელთაშუა ზღვის ზონაში მინდვრებს კვლავ მცირე სიღრმეზე ხნავენ ხის სახნისიანი

გუთნებით, ჩრდილოეთის დიდ და მდიდარ ზეგნებსა და მინდორ-ველებზე უკვე ხმარობენ რკინის სახნისიან და ბორბლიან გუთანს, რომელიც უკეთ ხნავს, მაგრამ უფრო ძნელად ბრუნდება, რითაც აიხსნება მინდვრების „ღია და წაგრძელებული" ფორმა „openfield"- ისა, რაც ახასიათებს მდ. ლუარის ჩრდილოეთს, ბელგიას, ინგლისის სამხრეთ ნაწილს, გერმანიის დიდ ნაწილს, თუმცა ეს უკანასკნელნი თარიღდება მხოლოდ XI ს.-ით, როცა გაჩნდა ორსახნისიანი გუთნები.

არქეოლოგებმა რკინის ეს ხანა, რომელიც ჩვენს ზონაში ემთხვევა კელტების დიდ აღზევებას, ორ დიდ პერიოდად დაყვეს:

1) ძვ.წ. VIIს.-დან დაახლ. 500-450 წლამდე, რკინის ხანის I პერიოდი, ანუ ჰალშტატის ხანა, ავსტრიის პატარა ქალაქის სახელწოდების მიხედვით.

2) ძვ.წ. 450წ.-დან რომაელთა მიერ გალიის დაპყრობამდე, ანუ ძვ.წ. 50წ.-მდე, რკინის ხანის II პერიოდი, ანუ ტენის (შვეიცარიის პატარა ქალაქის სახელწოდების მიხედვით) პერიოდი.

დასავლეთ ევროპის ისტორიისთვის ეს ორივე პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია.

IV. რკინის პირველი ხანა-ჰალშტატი, ანუ დასავლეთის გამოღვიძება

თუ საჭიროა, სახელი დაერქვას იმ პერიოდს, რომელიც ჩვენს ერამდე მე-VIII-V საუკუნეებს მოიცავს, მას სიამოვნებით ვუწოდებთ „დასავლეთის გამოღვიძებას". ეს ეპოქა სრულიად განსაკუთრებულია გალური ცივილიზაციის ევოლუციისათვის. ჟან-ჟაკ ჰატი წერს, რომ „მართლაც, კელტები ერთის მხრივ ისტორიაში შედიან, მაგრამ მეორეს მხრივ თავისთვის იქმნიან ხელოვნების ფორმას, ცივილიზაციას, რომელიც საკუთრივ მათთვის არის დამახასიათებელი". ეს ცივილიზაცია ზალიან ჰეტეროგენურია და მრავალი უცხოური გავლენა და მრავალფეროვანი რეგიონალური სხვადასხვაობა იწვევს ამას.

III. კელტური ცივილიზაცია


ბალტიისპირეთის
ზღვა
ბრიტები
ატლანტის
ოკეანე
კელტები
გალები
დუნაი
კელტ-იბერები
ბერი
ხმელთაშუა ზღვა
500 კმ
ალპები
ალბანეთი
ბალკანეთი
ეგეოსი
ზღვა
ბოსფორი
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთ

კელტების შემოსევები. ცენტრალური ევროპიდან დასავლეთისაკენ გადაადგილება კელტებს რუსეთის სამხრეთიდან შემოსულმა მტრებმა აიძულეს. ამ უკანასკნელთა გავლენით კელტებმა ცხენების ახლებური აღკაზმულობა ისწავლეს და მსუბუქი ორთვალა საბრძოლო ეტლის გამოყენებას დაეუფლნენ. მეტიც, შემოიტანეს რკინა და ხმარობდნენ ამ ლითონისგან დამზადებულ გრძელ ხმლებს, რომლებიც განსაკუთრებით შეეფერებოდა მხედრობის მიერ წარმოებულ ომებს.

ჩრდილოეთ იტალია. შემოსევა V საუკუნემდე გაგრძელდა. იგი უწესრიგო მოძრაობას წააგავდა ყველა მიმართულებით. ჰალშტატის კელტების ცივილიზაცია ვრცელდებოდა აღმოსავლეთით ჩეხოსლოვაკიის მიმართულებით, ჩრდილოეთით გერმანიის მიმართულებით, საფრანგეთის და კერძოდ მდ. რონის ხეობის მიმართულებით და აკვიტანიისკენ, ესპანეთის მთელი ჩრდილო ნახევრის მიმართულებით. დაახლ. ძვ.წ. 500 წელს კელტი ემიგრანტების ტალღამ გადაკვეთა ალპები აღმოსავლეთით და ისინი დაფუძნდნენ მდ. პოს დაბლობში, რომელსაც ამიერალპების გალიას უწოდებენ. მათ აიღეს რომი ძვ.წ. 390 წელს.

ამ ხალხის ნაწილი საბერძნეთში შევიდა და გზად დელფოსი გააჩანაგა, ნაწილი კი ანატოლიაში დარჩა, სადაც მათ გალათებს უწოდებენ, ეს კელტების ერთ-ერთი განშტოების, გალების სახელს ენათესავება.

ბრიტანეთის კუნძულები. ამ ხალხის ნაწილი ჩრდილოდასავლეთისკენ, კერძოდ, ბრიტანეთის კუნძულებისკენ დაიძრა. გუადელები ირლანდიამდე მივიდნენ და იქ დიდი ხნით დამკვიდრდნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და მათ თავს კელტური ენა მოახვიეს. მეორე მოგზაურობა ბრიტონებმა (საიდანაც მივიღეთ british, britain, ბრეტანი) განახორციელეს, რომლებიც დიდ ბრიტანეთს შეესიენ, რომლის სახელი კელტებამდე იყო ალბიონი, ინდოევროპული სიტყვა, რომელიც ლათინური სიტყვისგან albus (თეთრი)

ილებს სათავეს. ბრეტანელები რკინას ძვ.წ. VI საუკუნიდან იყენებენ.

ევროპის ჩრდილოეთში კელტები იშვიათად გვხვდებიან. უნდა აღინიშნოს, რომ კელტები არ, ან ძალიან იშვიათად თუ შესულან დღევანდელ დანიაში, გერმანიის ჩრდილოეთ რეგიონებში ან სკანდინავიის ჩრდილოეთში. იქ ინდოევროპელთა მეორე დიდი ოჯახი, გერმანელები იკიდებენ ფეხს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ პოს დაბლობის სამხრეთით და აპენინების იქით, მიუხედავად სხვადასხვა გვიანდელი თავდასხმებისა, კელტები აწყდებიან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოსული ხალხის, ეტრუსკების, იტალიოტების და ბერძნების წინააღმდეგობებს, რომლებიც სამხრეთ იტალიაში და სიცილიაში მკვიდრდებიან.

სამარხები ეტლებით. ძვ.წ. 900 წლისთვის, როცა სამაროვნები ჯერ კიდევ მთლიანად „ურნების ველებისგან" შედგებოდა, 800-სა და 750 წლებს შორის ჰალშტატის დასაწყისთან ერთად ჩნდება მიცვალებულთა დამარხვის ახალი წესები: ყორღანები და წრიული სამარხები, ეს სამარხები „მხოლოდ მსხვერპლშეწირვის ორმოებია, რომელთა დანიშნულებაა შესაძლო კავშირი დაამყაროს ადამიანებსა და მიწისქვეშა ძალებს შორის, რომლებიც იცავენ მიცვალებულებს და გასცემენ სიმდიდრეს". ეს სამარხები, რომლებიც თავდაპირველად მწირად იყო მორთული, VIIს.-ის ბოლოს უფრო მდიდრული გახდა.

უკვე შესაძლებელია ვილაპარაკოთ „რაინდების სამარხებზე". ნაპოვნი მიცვალებულები დაკრძალული იყო ცხენის აღკაზმულობის ნაწილებთან, ლაგმებთან ერთად და ამგვარი სამარხების უძველესი ნიმუშები ბავარიასა და უნგრეთშია ნაპოვნი, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ კურ-სენტ-ანდრეს (ბელგია), სესტოს ლაბულეს (ჩრდ. იტალია), მაიაკის (ლანგედოკი) და ვიქს-ლე-ჟუაიოზის (ბურგუნდია) აღმოჩენები. ბურგუნდიასა და ფლანდრიას შორის არსებული მა-

შინდელი კონტაქტები გვაუწყებს და ხსნის ახ.წ. XV საუკუნის დიდი ბურგუნდიის აყვავებას.

იარაღებთან და ცხენის მოსართავებთან ერთად ჩნდება ეტლიც. თავდაპირველად ეს არის ოთხბორბლიანი მძიმე ეტლები, შემდეგ კი ეტრუსკული და ილირიული გავლენის ქვეშ მზადდება უფრო მსუბუქი ორთვალიანი ეტლები, რომლებსაც ხეთები და ეგვიპტელები ათასი წლის წინათ იყენებდნენ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ახალი კლასი, მხედრობა გაჩნდა გლეხთა მასისა და ვაჭრების გვერდით. ტენის ეპოქაში სამგლოვიარო ძვირფასეულობას დაემატა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს შესანიშნავი სამკაულები, რის შესახებაც მოგვიანებით მოგითხრობთ.

დიდი ვაჭრობის დაბადება. მრავალი უახლესი აღმოჩენა ადასტურებს, რომ ძ.წ. VIII საუკუნის ბოლოდან შუაგულ კონტინენტზე ჩნდება ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში, ძირითადად ეტრურიაში, ჩრდ. იტალიასა და საბერძნეთში დამზადებული ნივთები. არქეოლოგები მოთმინებით აღადგენენ ამ სავაჭრო ღერძებს, რაც გულისხმობს კონტინენტზე გზების, ან სულაც ბილიკების კვალის არსებობას, ხოლო ზღვაზე მრავალი სავაჭრო ნავსადგურის შექმნას.

კონტინენტური გზები. კონტინენტზე გამოიყოფა მრავალი დიდი მთავარი გზა. ერთი ლანგედოკში იწყება, მეორე, VI საუკუნიდან დაწყებული, სათავეს იღებს მარსელში, რომელსაც მაშინ მასალია ერქვა. გზა აუყვება რონის ხეობას, შემდეგ სონას და მისი ერთი ტოტი ჩრდილოეთ ევროპის და დიდი ბრიტანეთისკენ უხვევს, მეორე კი არმორის აუზისკენ. მეორე დიდი გზა შვეიცარიისკენ მიდის ალპების უღელტეხილების და შემდეგ ალზასის საშუალებით.

არის კიდევ დუნაის გზა. ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან თუ მდინარეს მივყვებით, მივადგებით ზღურბლს, რომელიც რაინის ხეობაში მიგვიყვანს, სადაც ეს უკანასკნელი სხვა მარშრუტებს უერთდება.

საზღვაო გზები და ანბანის ხალხები. საზღვაო გზები

კიდევ უფრო საინტერესოა. სამი ზღვაოსანი ხალხი იბრძვის ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი სანაპიროსთვის, ანუ ატლანტის ოკეანისთვის. ესენი არიან ფინიკიელები, მათი კოლონია კართაგენი, ბერძნები და ეტრუსკები.

გარდა დიდებული გემებისა, ამ სამი ხალხის განკარგულებაშია კიდევ ერთი საგანძური: ეს არის ანბანი, რომელიც ფინიკიელებმა გამოიგონეს.

ეს ანბანი პირველად იქნა გამოყენებული ძვ.წ. XIII საუკუნის სარკოფაგისთვის.

ბერძნული, ეტრუსკული, ლათინური ანბანები და მოგვიანებით კირილიცა მისგან წარმოიშვა.

ამ განათლებულ ხალხს არ გამოუგონია წრიული ნავიგაცია. როგორც უკვე ვნახეთ, მეგალითების ადამიანები დაცურავდნენ დიდ ბრიტანეთსა და არმორიკს (ბრეტანის ძველი სახელწოდება) შორის, არმორიკსა და ესპანეთის ჩრდილოეთს შორის. ბრინჯაოს ხანის დასაწყისში საზღვაო ვაჭრობა ჭარბადაც კი იყო განვითარებული, რასაც იმ ცივილიზაციის არაჩვეულებრივი გავრცელება მოწმობს, რომელსაც „ზარისებურ", „ზარისებრი კრატერების" ან ინგლისურად „bell-beaker civilization"-ს უწოდებენ.

რკინის ხანაში ზღვაოსნობა ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს.

1° ფინიკიელები, ბერძნები და ეტრუსკები ხმელთაშუა ზღვაში აარსებენ სავაჭრო პუნქტებს, მაგრამ ეტრუსკები ნაკლებად.

2° ამ პუნქტებიდან აწარმოებენ ვაჭრობას კონტინენტის შიგნით გზების მეშვეობით და ატლანტის ოკეანისკენ ზღვის საშუალებით.

ასეთი გზა გაიარა კართაგენელმა ჰიმილკონმა, ხოლო შემდეგ მარსელელმა ბერძენმა პითეასმა, რომელმაც 332-312 წლებში დიდი მოგზაურობა განახორციელა ჩრდილოეთის ზღვაში.

რაც შეეხება იმას, თუ რით ვაჭრობდნენ, დასავლეთ ევროპელებს შემოჰქონდათ კერამიკა, სამკაულები, იარაღი,

ფარები, ფიბულები, მარილი და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ღვინის ამფორები. ღვინის შემოტანა და მოკლე დროში ვაზის კულტურის გავრცელება დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი გახდა. ხაზი უნდა გავუსვათ საინტერესო დეტალს: კელტებმა გამოიგონეს რკინით შემოსალტული ხის კასრები, რომლებიც ბევრად უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ამფორები.

რა შეიძლებოდა საექსპორტოდ გაეტანა დასავლეთს? ძირითადად ქარვა, რომელიც უმეტესწილად ბალტიის ქვეყნებში მოიპოვებოდა და ძლიერ ფასობდა ანტიკურ სამკაულებში, აგრეთვე სპილენძი და კალა. ისინი ალბათ მონებითაც ვაჭრობდნენ, რაც თანამედროვე ეპოქაში აფრიკელთა მონებად გაყიდვის წინამორბედი მოვლენა იყო.

V. რკინის მეორე ხანა: ტენის ბრწყინვალე ცივილიზაცია

ძვ.წ. 500 და 450 წლებს შორის კელტური სამყაროს წიაღში „უფრო ჩრდილოეთით, მდინარე მაასსა და მაინ-ნეკარს შორის ჩნდება ძალზე ორიგინალური, ახალი, თვითმყოფადი ცივილიზაცია, რომელსაც ურთიერთობა აქვს ევრაზიის აღმოსავლეთ და ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან, თავად კი სავსებით ავტონომიურია. ეს დამპყრობი ცივილიზაცია ტენის ცივილიზაციად იწოდება", ეს კიდევ ერთი ციტატაა ჟ.-ჟ.ჰატიდან.

ტენის ხანის ორიგინალობა. ჰალშტატთან კავშირი აშკარაა: ამას ადასტურებს მემამულე არისტოკრატია, სამარხები ეტლებით, მდიდარი გლეხობა, მარჯვე ხელოსნები, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მდიდარი და ბრწყინვალებით მოცულია. არისტოკრატია უფრო მრავალრიცხოვანია, სამარხებში ვხვდებით ორთვალა ეტლებს, მაგრამ ფუფუნების საგნებიც მოიპოვება. გლეხები უფრო მდიდრები ჩანან: ისინი ბორბლიან გუთანს იყენებენ და არა სახნისს. მინდვრებს რკინის ცელებით ამუშავებენ. „თივის მარაგის წყა-

ლობით მესაქონლეობა უფრო რაციონალური ხდება", აღნიშნავს ჟ.-ჟ. ჰატი.

სიმდიდრეს და დემოგრაფიულ აფეთქებას თან ახლავს ვრცელი მიწების ათვისება. ხელოვნებაში შეიმჩნევა უამრავი ეტრუსკული წარმოების ნივთი, მაგრამ სრულიად ახალი, დამოუკიდებელი და ასეთივე დიდებული ხელოვნებაც იქმნება. სწორედ ამ დროს ხდება შემოსევები ჩრდილოეთ იტალიაში. რომაელების მიერ მოგონილი სახელი „გალია" ერქმევა კელტების სამყაროს ერთ დიდ ნაწილს, რომელიც ოკეანეს, ლა მანშს, მდ. რაინს, ალპებს, ხმელთაშუა ზღვასა და პირენეებს შორის მდებარეობს. ალპების იქით, ადრე ნახსენები რომაელთა იმპერალპების გალიაა.

IVს.-დან იწყება ურბანიზაციის განვითარებაც.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თუ ჰალშტატის კელტები დაქუცმაცებულ რეგიონალურ ჯგუფებს შეადგენდნენ, ჰატი ხაზს უსვამს, რომ „ტენის ცივილიზაცია დასაბამიდანვე ჰომოგენური, ნაციონალური, დამპყრობი იყო".

ნუ შევჩერდებით ტენის ხანის ქრონოლოგიურ კლასიფიკაციაზე და ჩვენი ევროპული თვალსაზრისით თანახმად, ვეცადოთ ის ვეძებოთ, რაც გლობალურია.

სოფლები და ქალაქები. კელტებს უკვე აქვთ პატარა ქალაქები. ისინი ორგვარია. შიგნით ციხე-სიმაგრეებია, რომლებიც ბოჰემიიდან ბრეტანამდე ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მახლობლად იქმნება ნამდვილი ბერძნულ-რომაული ქალაქები, რომელთა კარგ მაგალითად გამოდგება გლანუმი, სენ-რემი-დე-პროვანსის მახლობლად.

სახლები ძირითადად ხისაა და მართკუთხა ფორმა აქვს, გარდა დიდი ბრიტანეთისა, სადაც კვლავაც გაბატონებულია წრიული ფორმა.

გლეხებისგან შემდგარი ხალხი. კელტები ძირითადად გლეხები იყვნენ. მეგალითების ადამიანთა შემდეგ მიწათმოქმედება ძლიერ განვითარდა. კელტებს ჰქონდათ ნამგალი, მაგრამ გამოიგონეს რკინისპირებიანი ერთგვარი სალეწი

მოწყობილობა, რომლის აღწერილობაც დაგვიტოვა ახ.წ. I საუკუნეში პლინიუს უფროსმა.

ჩვენ ვნახეთ, რომ მათ შექმნეს ბორბლიანი გუთანი გაშლილ, ვრცელ მინდვრებში აგრარული სტრუქტურის შექმნის დასაწყისში. მაგრამ არსებობს აგრეთვე ჭალაც, რომლის საცხოვრებელი სახლები უფრო გაბნეულად არის განლაგებული და მიწის ნაკვეთები ან მშრალი ქვის კედლით, ან მცენარეული ღობით, ან ხეებითა და ბუჩქებით დაფარული ვრცელი მიწაყრილებითაა გარშემორტყმული. ირლანდია, კორნუელსი, უელსი, მთელი დასავლეთ საფრანგეთი, ზოგადად ყველა ის ქვეყანა, სადაც მეცხოველეობის განვითარება ჭარბობს მიწათმოქმედების განვითარებას, ჭალის ასეთი სტრუქტურით ხასიათდება.

მიწათმოქმედების უპირატესი განვითარების მეორე დამამტკიცებელი საბუთია კელტური სიტყვების რაოდენობა, რომლებიც ლათინურ ენაში, ისევე როგორც ფრანგულში, უშუალოდ კელტური ენიდან შევიდა. ეს სიტყვებია: გუთანი, სახნისი, პატარა ბორცვი, თიხა, ქვიშიანი დაბლობი, მანანა, ხელნა, თავთავების აკრეფა, არპანი (ძველი ფრანგული მიწის საზომი ერთეული), გზა და ბოლოს, ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო სიტყვა "ხორბალი", (blé) რომლის დასახელებაც მოდის კელტური "bladum"-იდან. სხვა ევროპულ ენებშიც არის კელტური წარმოშობის სიტყვები, მაგრამ ნაკლები რაოდენობით.

კელტები მონათესავე, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებულ ხალხთა ჯგუფია, რომელთა რელიგია ინდოევროპულ რელიგიათა ერცელი ოჯახის ორიგინალურ განშტოებას წარმოადგენს.

კელტები იცნობენ დამწერლობას, მაგრამ არ უნდა ჰქონდეთ წერილობითი ლიტერატურა. სოციალურად ისინი ამგვარად არიან დაყოფილი: არის „მეომართა" კლასი და მათზე მაღლა მდგომი „რაინდები", რომელთაც დიდებული სამარხები აქვთ. არიან ფართო პროფილის მქონე ვაჭრები. მათ გარდა არიან ქურუმები, დრუიდები, შესაძლებელია პოეტები (literati) და მკურნალები.

მონობა არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით მონების მიყი-

დეას ხმელთაშუა ზღვის სამხრეთიდან მოსული მდიდრებისათვის. დრუიდებს ალბათ გარკვეული სიმშვიდე შეჰქონდათ მეომართა უხეშ ცივილიზაციაში, მაგრამ გვიანდელი ლიტერატურული წყაროებიდან ვიცით, რომ არსებობდა ადამიანების მსხვერპლად შეწირვა.

გალების ღმერთები. გალების ღმერთებს მხოლოდ რომაელთა დაპყრობის შემდეგ ვეცნობით.

გალების პანთეონი თანდათან, მაგრამ ხელოვნურად ასიმილირდება რომაულ პანთეონთან. ვხვდებით, რომ არსებობდა დედა-ქალღმერთი, საქიოს ღმერთები და ეზუსის, ტეტატეს და ტონის სამეულზე მაღლა მდგომი უზენაესი ღვთაება, რომელიც შეიძლება ერთადერთი ღმერთი გახდეს.

VI. კელტების „ჰორიზონტი"

სამყაროს ხედვა: არც გალები, არ კელტები როგორც ერი. აბსოლუტურად დაუჯერებელია, რომ თავისი მრავალფეროვნების შემყურე კელტებს, ოდნავ მაინც ეგრძნოთ საკუთარი, კელტური სოლიდარობა. მათ ძირითად ნაწილს, ტენის ცივილიზაციიდან გალებამდე არ გააჩნდა ეს ეროვნული სოლიდარობა დამწერლობამდე.

რა მოხდა მაშინ, როდესაც არვერნელთა მეფემ ვერსენჟეტორიქსმა ბრძოლა დაიწყო იულიუს კეისრის წინააღმდეგ? ეჭვგარეშეა, რომ არსებობდა ღრმა ქსენოფობია, უცხოელის ბატონობის სიძულვილი, მაგრამ ნამდვილად არ არსებობდა გალების „საშობლო": მაშინ იყვნენ ხალხები, რომელთაგანაც ზოგიერთი ცდილობდა სხვაზე გაბატონებას. ასე მოხდა არვერნებში.

ვერსენჟეტორიქსის მიერ გაერთიანებული კოალიცია მოიცავდა ატლანტისოკეანისპირა და ცენტრალური გალიის ყველა ხალხს, რომელიც სენასა და. გარონას შორის ცხოვრობდა. იგი გაფართოვდა ვერსენჟეტორიქსის გამარჯვების შემდეგ ჟერგოვიში. ეჭვგარეშეა, რომ გამარჯვების შემთხვევაში საფრთხის წინაშე მდგარი ეს კოალიცია

დაიშლებოდა. გალებს ამოძრავებდათ დამპყრობლური, „იმპერიალისტური" მისწრაფებები.

პირდაპირი ბერძნული გავლენა. კელტებს ბევრად უფრო სუსტი ხედვა აქვთ აღმოსავლეთ სამყაროზე, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება.

ძვ.წ. VIს.-დან უკვე არსებობდა ბერძნული გავლენა და ქვეყნის შიგნითაც კი ვხვდებით ბერძნული წარმოშობის, ძირითადად ტექნიკური შინაარსის მქონე სიტყვებს: მეტეოროლოგია, ნავიგაცია, თევზაობა, მყნობა. იმ მძლავრ ზეგავლენას, რომელიც მოგვიანებით განახორციელა ბერძნულმა ცივილიზაციამ დასავლეთ ევროპაზე რომის გავლით, წინ უსწრებდა ფაზა, რომლის დროსაც ბერძნები რომის მიერ გალიის დაპყრობამდე ბევრად ადრე გამოჩნდნენ. ისტორიკოს ჰატის აზრით, ამით აიხსნება ის, რომ რომაელთა დაპყრობილი კელტური სამყაროს სხვადასხვა ნაწილების ასიმილაცია ბერძნულ-რომაულ კულტურასთან ასე ადვილად მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ 500-იოდე წარწერა, რომლებიც მიშელ ლეჟანმა აღმოაჩინა გალიაში, ძალზე მოკლეა (მიძღვნები, ეპიტაფიები, დამღები საოჯახო ჭურჭელზე). აქ გამოყენებულია ბერძნული დამწერლობა კელტური დიალექტის გამოსახატად. უფრო აღმოსავლეთით, ციზალპების გალები იმავე მიზნით ეტრუსკულ ანბანს იყენებდნენ.

გერმანებთა გამოჩენა. კელტებს გერმანებმა საქმე გაუჩინეს. ეს უკანასკნელნი ტენის ეპოქაში გამოჩნდნენ ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. სხვადასხვა ტომები, რომელთა შესახებაც მაშინ საუბრობდნენ (სვევები, მარკომანები), კელტებთან შედარებით სუსტები არიან. რაც შეეხებათ კიმბრებს და ტევტონებს, რომლებმაც ჩრდილოეთ იტალია დაიპყრეს ძვ.წ. 113 წელს და ათიოდე წლის შემდეგ რომაელი მხედართმთავრის მიერ იქნენ განადგურებულნი, მათ შესახებ ზოგიერთი ისტორიკოსი ეჭვობს, იყვნენ თუ არა ისინი ნამდვილი გერმანელები, რადგანაც მათ მეთაურებს კელტური გვარები ჰქონდათ.

რასის თვალსაზრისით, გერმანები საშუალოდ უთუოდ

უფრო მაღლები და ქერები იყვნენ, ვიდრე გალები. ომისთვის გალები ხშირად თმას წითლად იღებავდნენ და ხანდახან მათი გარჩევა ძნელი იყო. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ რასაზე ლაპარაკი მითიური გვეჩვენება, მით უმეტეს, რომ კელტებს და გერმანებს სრულიად არ გასჭირვებიათ ასიმილაცია, განსაკუთრებით გალებზე იულიუს კეისრის გამარჯვების და რომაელთა ოკუპაციის შემდეგ, რამაც გალები აიძულა აღმოსავლეთისკენ აეღოთ გეზი.

რა დარჩა კელტური ენებიდან. იტალიელების და გერმანიკული ტომების მომდევნო ტალღებისგან განსხვავებით, რომელთაც დასაბამი მისცეს ევროპის თითქმის ყველა სალაპარაკო ენას, კელტურმა ენებმა მხოლოდ ლოკალური დიალექტები დაგვიტოვეს და მათ შორის სიტყვები, რომლებიც ფრანგულმა ენამ შემოინახა.

ამ დიალექტების მოსმენა შეიძლება ბრეტანში, შოტლანდიაში, უელსში, კუნძულ მენზე, ირლანდიაში. აქ ცოტა არ იყოს განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: თუ სხვაგან ეს დიალექტები საფრთხის წინაშე იდგა, აქ კელტური ენა სახელმწიფო ენად მოგვევლინა დამოუკიდებლობის მიღების დღიდანვე. ყველაზე ღრმა კელტური ნაკვალევი ადგილების დასახელებებში გვხვდება, ეს განსაკუთრებით ეხება ირლანდიას, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს. მაგრამ მისი გავრცელების არე ბევრად ფართოა. კელტური ენების მაქსიმალური სიმჭიდროვე დასავლეთ გერმანიაში, რაინსა და დუნაის შორისაა. რაინის ყველა მარჯვენა შენაკადს,ნეკარიდან ლიპემდე კელტური სახელები აქვს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: dun ბოლოში უნდა ნიშნავდეს ამაღლებულ ადგილს ან ციხე-სიმაგრეს. Lugdunum-იდან მივიღეთ ლიონი, ვიფიქროთ აგრეთვე შატოდენზე (Châteaudun), ვერდენზე (Verdun). ბოლოსართი briga-ნიშნავს ციხესიმაგრეს: დავასახელოთ კონიმბრიგა, დღევანდელი კოიმბრა პორტუგალიაში. ბოლოსართი magos ნიშნავს ველს და შემოინახა დურომაგუს-დორმაგენში დიუსელდორფის მახლობლად, ნოვრომაგუს-ნოიმაგენში ტრირის მახლობლად,

რიგომაგუს-რემაგენში კობლენცის მახლობლად, ნიიმეგენში (ჰოლანდია).

ყველაზე საინტერესო მაგალითი წყალს ეხება. კელტურად dubro ან dubra არის წყალი, საიდანაც წამოვიდა თანამედროვე მდინარეების ან წყლის მახლობლად მდებარე ქალაქების სახელწოდებები: დუვრი კალვადოსში, ესპანეთში სელას შენაკადი დობრა, ვერნუბლანი (ვერნოდუბრა), მდინარე ფრაიბურგში. წყლის დინებას ეწოდება renos ან rinos, აქედან წარმოიშვა სიტყვა რაინი (მდინარე).

დიდი ძვრები. ანტიკურობიდან დღევანდელობამდე ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით კელტების შემოსევა ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი მიგრაცია იყო. ჰეროდოტე კელტების შესახებ ლაპარაკობს V საუკუნეში. იგი მათ მდინარე რაინის ნაპირების გასწვრივ მცხოვრებ ხალხად წარმოადგენს, მაგრამ ამ მდინარის სათავე პირენეების აღმოსავლეთით ჰგონია.

ისტორიკოსი ანდრე ეჰარი შეეცადა დაეხასიათებინა ეს დიდი მიგრაციები: „მათ გაანადგურეს ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობა, მოსპეს ან თუნდაც დაასუსტეს იმპერიები, მაგალითად, ეტრუსკების ძლიერება. მათ არეულობა და შიში შეიტანეს დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ საზოგადოებაში და ძალზე განვითარებულ ცივილიზაციებში". თავის ნაშრომში იგი აღწერს „გაგიჟების შთაბეჭდილებას, რაც გამოვლინდა იტალიაში და განსაკუთრებით ელინისტურ სამყაროში. მაშინდელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ განიცადა თავის უსუსურობის იგივე ტრაგიკული განცდა აღვირახსნილი ბარბაროსების წინაშე, როგორც მოგვიანებით რომის იმპერიის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი შემოსევების დროს ექნება... ხშირად თითქოს საქმე ეხებოდა არა მთელი ხალხის, ან ტომის გადაადგილებას, არამედ სხვადასხვა ჯგუფების წასვლას სხვადასხვა მიმართულებით... დიდგვაროვან მეთაურთა ხელმძღვანელობით, რომელთაც მიჰყავდათ ქალები და ბავშვები ურმებით. ეს ბანდები ალალბედზე მიიწევდნენ წინ, უყოყმანოდ აძევებდნენ თავიანთ წინამორბედებს, არ ერიდებოდნენ ძარცვასაც, თუ ამის

შემთხვევა მიეცემოდათ, მაგრამ ძირითადად მიწებს ეძებდნენ, რათა იქ დაედოთ ბინა და ძალის გამოყენებისა და ხოცვა-ულეტისთვის მზად იყვნენ, თუმცა მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებზეც არ ამბობდნენ უარს.

დასკვნა. იმ პერიოდში, სადამდეც მივედით - ბრინჯაოს ხანის დასასრულს და რკინის ხანის დასაწყისში - დასავლეთ ევროპის უმეტეს ნაწილში, როგორც განვსაზღვრეთ, ბინადრობს ნეოლითური მოსახლეობა, შემდეგ კი ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა, რომელიც ერევა ლიგურებს და იბერებს, რომლებსაც მოგვიანებით ძველები იხსენიებენ. მაგრამ დაახლოებით 2 000 წლის განმავლობაში ეს ტერიტორია შემოსევების ობიექტი იქნება.

შემოსევა რთული და ორაზროვანი ტერმინია, რომელიც მოიცავს ჯარის სწრაფ შეტევას, რომელიც დამარცხებულის მოსპობით ან მონად გახდომის საშუალებით თავის ხალხს ასახლებს დაპყრობილ მიწებზე; ხალხის ნელ, თანდათანობით ემიგრაციას, რომელმაც რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ შეიძლება გადააჭარბოს სიმჭიდროვით თავდაპირველ მოსახლეობას ან უმცირესობაში დარჩეს. შეიძლება არსებობდეს ან თანაცხოვრება, ან ასიმილაცია.

თითქმის ყველა ჩვენთაგანი წევრია ერთობისა, რომელიც 2 ან 3 დიდი ჯგუფის შერევით მაინც წარმოიქმნა. ყველაზე უფრო „სუფთა სისხლისა" მათ შორის ალბათ ირლანდიელები არიან დასავლეთში, რომელთა ფუძე ჯერ ნეოლითში, ხოლო შემდეგ კელტებში უნდა ვეძებოთ, ხოლო შემდეგ გერმანელი ტომების შემოსევებმა და ინგლისის მიერ დაპყრობამ იქონია მათზე გავლენა. ასეთივე მდგომარეობაა სკანდინავიელებთან, რომელთაც მოახერხეს თავი აერიდებინათ კელტებისა და რომაელებისთვის, თუმცა მაინც განიცადეს მათი კულტურის გავლენა. იგივე მოხდა პორტუგალიაში, სადაც ნეოლითის ადამიანებს დაემატნენ კელტები, განსაკუთრებით ჰალშტატის ეპოქაში, შემდეგ კი რომაელები, რომელთაც აქ დაარსებულ პროვინციას ლუზიტანია უწოდეს. გერმანელებმა, ალანებმა და შემდეგ სვევებმა აქ შედარებით მეორეხარისხოვანი როლი ითამაშეს.

ხალხების ჯგუფთა ეს შერევა მეტად ფაქიზად და სხვადასხვა „პროპორციით" ხდებოდა: ინგლისი, ამ ტერმინის მკაცრი მნიშვნელობით, საფრანგეთი ვალონიასა და ფრანგულენოვან შვეიცარიასთან ერთად; გერმანია ავსტრიასა და გერმანულ შვეიცარიასთან ერთად; იტალია და ესპანეთი საბერძნეთთან ერთად; მაშასადამე, ისეთივე დაუშვებელია ისტორიისათვის ის, რომ მუსოლინიმ XX საუკუნის იტალია რომის იმპერიასთან, ხოლო დღევანდელი საბერძნეთი ძველ საბერძნეთთან გააიგივა, როგორც ის, რომ ფრანგი ისტორიკოსის ფერდინან ლოტის მსგავსად ვთქვათ, გალიელი (ან კელტი) ვერცინგეტორიქსის მარცხი ალეზიაში ძვ.წ. 52 წელს „ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდი კატასტროფა იყოო".

გაკვრით აღვნიშნოთ, რომ სიტყვა Galli, ე.ი. „გალიელი", იულიუს კეისრის თქმით, არის სიტყვა, რომლითაც რომაელები აღნიშნავენ მოსახლეობის დიდ რაოდენობას, რომელიც თავის თავს კელტებს უწოდებს. იულიუს კეისარი ამბობს აგრეთვე, რომ გალიის საზღვარი დაახლოებით მდინარე რაინთან მდებარეობდა. გავიხსენოთ, რომ კელტები თითქმის მთელ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გავრცელდნენ, საიდანაც ისინი ნელ-ნელა გერმანელმა ტომებმა გამოაძევეს.

საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არ დავუშვათ ის შეცდომა, რომელსაც ანაქრონიზმი ეწოდება და იმაში მდგომარეობს, რომ შორეულ წარსულს მივანიჭოთ გრძნობა - აქ: ეროვნული გრძნობა - რომელიც მათ სრულიად არ გააჩნდათ. დიდმა რომანტიკოსმა ისტორიკოსმა მიშლემ მონახა ყველაზე ზუსტი ფორმულა, რომელიც მიესადაგება დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას: „არ ვიცი, ვერ ვხედავ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „რასა" იმ დღიდან მოყოლებული, როცა საფრანგეთის ჭეშმარიტი ისტორია დაიწყო. გალები, გერმანები, რომაელები და ფრანკები გარდაცვლილ ადამიანთა სახელებია და ამ ადამიანებისგან, მათი სისხლისგან, მათი ფიზიკური ელემენტებიდან ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში მგრძნობიარე არაფერი დარჩენილა. უფრთხილდით ამ სიტყვის, „რასის" წარმოთქმას, რათა ის არ გახდეს აწმ-

ყოში არსებული სიძულვილის, შურის და დავის მომავალში გაგრძელების და მისი წარსულით დასაბუთების საბაბი".

4
ბერძენთა გონიერება და რომის სიდიადე. შვიდი ბერძნულ-რომაული საუკუნე

I. საბერძნეთის აყვავება რომაელთა ეპოქამდე

კელტური ცივილიზაციის გვერდიტ, რომელიც ევროპის მთელ დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა, ვნახულობთ ელინების, ანუ ბერძნების ბევრად ნაკლებ ფართობზე არსებულ გაცილებით მაღალი დონის ცივილიზაციას. ქრისტეს დაბადებამდე V და IV საუკუნეებში იგრძნობა მათი ინტელექტუალური უპირატესობა მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მათ გამოიგონეს, მაგრამ ზოგიერთ დარგში მეტი რაციონალობა შეიტანეს, ზოგჯერ მშვენიერების მწვერვალებს მისწვდნენ და თავიანთ აღმოსავლელ მეზობლებზე უფრო დახვეწილი, შესანიშნავი ლიტერატურა შექმნეს.

კოლონიზაციის ეტაპები. კოლონიზაციის პირველი ტალღა III ათასწლეულში, კუნძულ კრეტაზე (კნოსოსი) აგორდა. შემდეგ II ათასწლეულში ბალკანების სამხრეთით ჩნდებიან ინდოევროპელები, რომელთა შორისაც მთავარ როლს აქაველები თამაშობენ. ეს მეორე ბრწყინვალე პერიოდია. ძველი წელთაღრიცხვით XIII საუკუნეში, რომელიც თითქმის ემთხვევა რამზეს II-ის მეფობის წლებს ეგვიპტეში (1296 - 1229) და ებრაელთა მასიურ გადასახლებას, აქაველები ხელში იგდებენ ტროას, ანუ ილიონს, რომელიც დარდანელის სრუტეს იცავდა.

საბერძნეთის შემადგენლობაში მყოფი სხვა ხალხის, დორიელთა ახალმა შემოსევამ ყველაფერი გაანადგურა რამდენიმე საუკუნით. ცივილიზაცია კვლავ აღორძინდა ჰომეროსის ეპოქაში, VIII საუკუნეში. ტროას ომიდან ოთხი საუკუნის გასვლის შემდეგ მან ამის შესახებ ორ ცნობილ ეპოპეაში: „ილიადასა" და „ოდისეაში" მოგვითხრო.

IV. ალექსანდრეს იმპერია


ალექსანდრეს იმპერიის საზღვრები
ალექსანდრეს მიერ დაარსებული ქალაქები
დაეუფა იფსოსის ბრძოლის (ძვ. წ. 301 წ.) შემდეგ
ხელისუფალი
კასანდრე
ლიზიმაქე
პტოლემეები
ალექსანდრია-ეს-ქატა
ალექსანდრია
ალექსანდრია-ოქსიანე
ალექსანდრია-ტროადა
ალექსანდრია-ეგვიპტე
ალექსანდრია-ინდოეთი
ალექსანდრია-ბაბილონი
ალექსანდრია-ეშატა
ალექსანდრია-ალეპო
ალექსანდრია-ეგეოსი
ალექსანდრია-ეპიროსი
ალექსანდრია-ეგეოსი

ბერძნული გენია მთელი თავისი ბრწყინვალებით VI საუკუნიდან მოგვევლინა.

სანამ მის ძირითად დამახასიათებელ თვისებებზე შევჩერდებოდეთ, ვილაპარაკოთ ბერძნული კოლონიზაციის შესახებ. ამ გზაზე ჩვენი მეგზური იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი ელინისტის, პოლ ფორის ნაშრომი: „ბერძენ კოლონისტთა ყოველდღიური ცხოვრება შავი ზღვიდან ატლანტის ოკეანემდე პითაგორას საუკუნეში, ძვ.წ. VI საუკუნე (გამომცემლობა Hachette, 1978, 437 გვ.).

ბერძნების მიერ დაარსებული კოლონიები ძალზე გაბნეული იყო აქეთ-იქეთ და რამდენიმე ტალღის შედეგს წარმოადგენდა: პირველი კოლონიები ეგეოსის ზღვის ირგვლივ წარმოიშვა, კრეტაზე, კვიპროსზე, პალესტინაში („ზღვის ხალხები") XII საუკუნის მიდამოებში; კოლონიზაციის მეორე ტალღა VIII-VII საუკუნეებში განხორციელდა და მოიცვა აფრიკა, ბიზანტია, შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო, დასავლეთით კი სამხრეთ იტალია და სიცილია. მესამე ტალღას პოლ ფორი სიმბოლურად უწოდებს განთქმული მათემატიკოსის და „ინჟინრის", პითაგორა სამოსელის სახელს, რომელმაც ორმოცი წლის ასაკში მშობლიური ქალაქი დატოვა და კრეტას, ხოლო შემდეგ სამხრეთ იტალიას, მეტაპონტეს მიაშურა. ამ მესამე ტალღამ მნიშვნელოვნად გააფართოვა დასავლეთის კოლონიათა ქსელი.

პოლ ფორი ძლიერ შთამბეჭდავად აღგვიწერს *ტექნიკურ პროგრესს*, რამაც ამგვარი „დიასპორის" შექმნას შეუწყო ხელი. მთავარი ამ ტექნიკაში, ცხადია, *ნავიგაცია* იყო.

პირველი კოლონიები იყენებდნენ გრძელ ნავებს, რომელთაც 50 მენიჩზე სჭირდებოდა. 750 წლისთვის პელოპონესელმა ბერძნებმა ანტიკური გალერა, რომელსაც ერთ მწკრივად უსხდნენ მენიჩბეები, გადააკეთეს ბევრად უფრო სწრაფმავალ, ორმაგმწკრივიან ვიწრო ხომალდად. კოლონიზაციის მესამე ტალღა დაკავშირებულია სამ მწკრივად განლაგებული მენიჩბეებით მართული გემების გამოგონებასთან (ძირითადად კორინთოში), რაც ფინიკიელების ასეთივე გამოგონების გაუმჯობესებას წარმოადგენდა და მარ-

თვის სიადვილით მას სჯობდა. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენჯერ მოხდა მაშინ, რასაც ახლა „სამრეწველო შპიონაჟს" ვუწოდებთ. VI საუკუნეში, ანუ პითაგორას საუკუნეში ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ბერძენთა ფლოტი, განსაკუთრებით სამხედრო ფლოტი, ფინიკიელთა ფლოტს სჯობდა. 480 წელს (მას შემდეგ, რაც სპარსელებმა აიღეს და ნაცარტუტად აქციეს ათენი) სალამინში ბერძნების ორასმა სამმწკრივიანმა ნავმა დაამარცხა სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი სპარსულ-ფინიკიური ფლოტი.

ამას უნდა დაემატოს ქვეითი ჯარისკაცისთვის განკუთვნილი *იარაღის გაუმჯობესება* რკინის წყალობით, *კავალერიის* წარმატებები, რომელმაც შეცვალა ორთვალა ეტლები ასურელების, კიმბრიელების და სკვითების გავლენით. *ვერცხლის ფული* „სხვაგვარი კავალერიაა, ცხენოსან ჯარზე უფრო სწრაფად და მტკიცედ რომ იპყრობს მიწებს, რომელსაც დასავლეთი, გენუის ბანკის მიერ მისი ემისიის შემდეგ, წმინდა გიორგის მხედრობას უწოდებს".

და ბოლოს, უდიდესი როლი ითამაშა *ბერძნულმა ანბანმა*, რომელიც ოცდაორასოიანი ფინიკიური ანბანის გაუმჯობესებას წარმოადგენდა 5 ხმოვნის მიერთებით.

„ამგვარად, VIII და VII საუკუნეების დიდი კოლონიზაცია შესაძლებელი გახდა ორი მატერიალური გამოგონების: საომარი ხომალდის და ქვეითი ჯარისკაცის მძიმე აღჭურვილობის და აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის სამი სიახლის: ცხენოსანი ჯარის, ფულის და 24-26 ნიშნიანი ანბანის წყალობით".

ცხადია, ამ ტექნიკურ პროგრესს ემატებოდა ეკონომიკური მოსაზრებები: ვაჭრობისთვის აუცილებელია ბაზარი საზღვარგარეთ.

ამ მატერიალური მოტივაციების გარდა იყო *ცნობისმოყვარეობა, აღმოჩენის სურვილი.* „VI საუკუნეში, ისევე როგორც ახალი წელთაღრიცხვით XX საუკუნეში, ბერძნებს შორეული ჰორიზონტებისკენ არამატერიალური მიზეზები: ეს იყო მოუსვენრობა, ამბიცია, იმედი უბიძგებდ"(33, 52). დავიმახსოვროთ მხოლოდ, რომ ფინიკიელთაგან განსხვავებით, ბერძნებს პრაქტიკულად არ უწარმოებიათ ვაჭრობა ჰერაკ-

ლეს სვეტების (გიბრალტარის) იქით. ტიროსის ფინიკიელები ძვ.წ. XII საუკუნიდან დაფუძნდნენ კადიქსში და კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც გახსნეს სავაჭრო განყოფილებები. ფოკეელმა ბერძნებმა მასალიაში (ახლანდელი მარსელი) ძვ.წ. 600 წელს თავიანთი ყველაზე დასავლეთით მდებარე კოლონია დააარსეს. ამის შემდეგ მათ ყველა სავაჭრო პუნქტი გიბრალტარის აღმოსავლეთით გახსნეს, გარდა უელვასი (ნავსადგურისა, საიდანაც დიდი ხნის შემდეგ გაემგზავრა ქრისტეფორე კოლუმბი).

ბერძნებს აზია იზიდავს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი რუკა ბერძნულ დასახლებათა საზღვრების შესახებ გვიჩვენებს, რომ რომის დაპყრობამდე ელინიზმის მზერა ძირითადად აზიური აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი. პლატონis erT *დიალოგში* „პირველი ალკიბიადე" ვხედავთ სოკრატეს, რომელიც მიმართავს თავის ახალგაზრდა მეგობარს და ეუბნება, რომ ის დიად დაპყრობებს განახორციელებს, რადგანაც ჭკვიანი, ამბიციური და ენერგიულია. მაგრამ ამტკიცებს, რომ ეს დაპყრობები უნდა წარმოებდეს არა დასავლეთით, არამედ აღმოსავლეთით, აზიაში, რომელიც მისი ღირსი მიწაა. სოკრატეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა და ალკიბიადემ სიცილიაში დამცირება და მარცხი იგემა.

მაგრამ ალკიბიადეს შემდეგ ასი წელიც არ იყო გასული, რომ მაკედონიის მეფემ ალექსანდრემ (336-323) ისარგებლა იმით, რომ მამამისმა ფილიპემ საბერძნეთი დაიპყრო რომლის ქალაქებმაც გაერთიანება ვერ მოახერხეს - და თვითონ მძლავრი არმია შექმნა, რის შედეგადაც შეძლო აქემენიდების სპარსეთის ვრცელი იმპერიის დაპყრობა, მისი საზღვრების ეგვიპტემდე და ინდოეთამდე გაფართოება. ერთი შეხედვით, ეს იყო დაპყრობის საფრთხის შენელება, რაც „მიდიის ომებმა" შეაჩერა V საუკუნის დასაწყისში, მაგრამ დროებით. ცნობილია, რომ დაპყრობა მაინც განხორციელდა და ეს დასავლეთიდან მოხდა.

კოლონიები. ბერძნული გავლენა არათანაბარი იყო დასავ-

ლეთში, სადაც სუსტი რჩებოდა და აღმოსავლეთში, სადაც იგი ეგეოსის ზღვაზე მბრძანებლობდა. ამას კოლონიების დამოკიდებულება ამტკიცებდა. ყველა მათგანი ზღვის ნაპირას მდებარეობდა. ბერძნები, შეიძლება ითქვას, რომ დამპყრობლები არ ყოფილან. მხოლოდ თანდათანობით ელინიზებულმა მაკედონიამ (სადაც ფილოსოფოსი არისტოტელე დაიბადა), რომელიც ბევრ ბერძენ სახელმწიფო მოღვაწეს სძულდა (მათ შორის ყველაზე გამოჩენილი დიდი ორატორი დემოსთენე გახლდათ) წამოიწყო და კიდეც განახორციელა დაპყრობები.

პლატონი თავის „კანონებში" (წიგნი VI) რაღაცნაირად არეგულირებს ვრცელი ტერიტორიის უარყოფას. აი, რას მოუწოდებს იგი კოლონიის თავკაცებს: „მათი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ ქვეყანა ყველგან კარგად უნდა იყოს გამაგრებული მტერთა შემოსევების წინააღმდეგ: მათ ყველგან უნდა გაათხრევინონ სანგრები, სადაც ამას აუცილებლობა მოითხოვს, შექმნან დამცავი საველე ნაგებობები, და ააგონ ფორტიფიკაციები.

ავიღოთ მასალიის (მარსელის) მაგალითი, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ცნობილი ბერნარ ლესკიურის ხელმძღვანელობით შექმნილი კრებულის წყალობით, რომლის სათაურია: „მოგზაურობა მასალიაში. არქეოლოგიის 100 წელი სამხრეთ გალიაში (1990)". იონიის მდიდარი და თავისი გემთმშენებლობით განთქმული ქალაქის, ფოკეასგან იღებს სათავეს ამ კოლონიის დაფუძნება. მას წინამორბედებიც ჰყავდა. „ოდისეაში" ულისე მოგვითხრობს, რომ შევიდა ერთ დიდებულ ნავსადგურში (ბონიფაჩო, ანუ მარსელის ძველი ნავსადგური). ამ დროს ქვეყნის მოსახლეობას ლიგურები შეადგენენ. ჰეროდოტე V საუკუნეში კვლავ ლაპარაკობს „ლიგურებზე, რომლებიც მარსელის ჩრდილოეთით ბინადრობენ" (ანკეტა, V, 9, ციტირებული პოლ ფორის მიერ). რკინის ხანაში მოვიდნენ გალები და ფოკეელებმა დააარსეს მასალია (კელტური სიტყვა „მასა" massa ნიშნავს „ორმოს", „თხრილს"), ჰეროდოტემდე ერთი საუკუნით ადრე, ძვ.წ. დაახლოებით 600 წელს. ფოკეასა და მასალიას შორის მრავალი კოლონიალური ექსპედიცია

და სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა წარმოებდა. სტრაბონი ამბობს, რომ „ქალაქ მასალიას კლდოვანი ტერიტორია უკავია. მას აქვს ნავსადგური ამფითეატრისებურად დაშვებული კლდის ძირში და იგი სამხრეთისკენაა მიმართული. კლდე, ისევე როგორც მთელი დანარჩენი, საკმაოდ დიდი ქალაქი, საფუძვლიანადაა გამაგრებული". („გეოგრაფია", IV, 1, 4, ციტირებული პოლ ფორის მიერ).

თავიდან მასალიამ დააფუძნა ლაჟვარდოვანი ნაპირის და პროვანსის სანაპირო ზოლზე განლაგებული კოლონიების უმრავლესობა, თუმცა მის მოსახლეობას არასოდეს გადაუჭარბებია 20 000 კაცისთვის.

ოგიუსტ ლონიონის მიხედვით ბერძნული ტოპონიმები ძალიან იშვიათად გვხვდება გალიაში (14 ან 15) და თუ გვხვდება, მხოლოდ და მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე. ხანდახან არანაირი არქეოლოგიური აღმოჩენა არ ამაგრებს ტოპონიმურ ინტერპრეტაციას. ასე მაგალითად, ათენოპოლისი, ქალღმერთ ათენას ქალაქი, შესაძლოა სენოპე იყოს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მოგვეძებნება; Heracles Monoicos-მა, მარტოსულმა ჰერაკლემ მოგვცა მონაკო. კიდევ ორი სხვა Heraclea არსებობდა, ერთი მათგანი რონის დასავლეთით მდებარეობდა, მეორე კი კავალერის უბეში. Nikaïa-მ, ანუ გამარჯვებამ მოგვცა ნიცა, მაგრამ პრაქტიკულად არქეოლოგიური ნაშთები არ არის მიკვლეული. ქალაქი, რომელიც „ნიცის პირდაპირ" მდებარეობდა და Antipolis ერქვა, გახდა ანტიბი. ასევე მასალიას მიერ დაარსებული Agatha ამჟამად აგდია Agde. უფრო სახალისოა ქალღმერთ აფროდიტესადმი მიძღვნილი ნავსადგურის Aphrodisias ბედი. ვინაიდან აფროდიტეს ლათინური სახელი ვენერაა, ნავსადგურის სახელწოდება ლათინიზებულია: „პორტუს ვენერის", ანუ ამჟამად ჩვენი პორტ-ანდრი (Port-Vendres).

მეორე გაკვეთილი, რასაც ვიღებთ წიგნიდან „მოგზაურობა მასალიაში" არის მასალიელების სურვილი, არ განავრცონ თავისი ტერიტორია. ციცერონმა (რომელიც პოლიბიუსისაგან განსხვავებით არასოდეს ჩასულა მასალიაში) ეს უკვე შენიშნა. „ფლაკუსის შესახებ"-ში (XXVI, 63)

იგი აქებს „მარსელის სიბრძნეს, რომელსაც გარს ახვევია გალური ერები და თითქოს შევიწროებულია ბარბაროსული ნაკადებით".

როგორც ბერნარ ლესკიური წერს, „პროვანსის ელინიზაციის მოცულობა შეფარდებითია, თუ სათვალავში მივიღებთ ამ ტერიტორიის ადგილობრივ მცხოვრებთა რეაქციას ფოკეელთა დაფუძნებაზე: ზოგიერთი მათგანი ურთიერთობდა დამპყრობელთან ვაჭრობის ან ტექნოლოგიური სიახლის ათვისების გზით, სხვები კი სეპარატისტულ, ლოკალურ და ორიგინალურ ხერხებს მიმართავდნენ"(დასახ. ნაშრ. გვ.10).

მასალიის მოსახლეობას მიწა ცოტა ჰქონდა, ამიტომ ხორბლის იმპორტს აწარმოებდნენ, სამაგიეროდ თევზს ბლომად იჭერდნენ, ამარილებდნენ და გალიაში გაჰქონდათ გასაყიდად. განსაკუთრებით ფასობდა პორფირი, მოლუსკისგან მიღებული საღებავი (1,5 გრამის მისაღებად საჭირო იყო 12 000 ნიჟარა, ამიტომ მისი ფასი ოქროს ფასს უტოლდებოდა), რომელიც მდიდარი ბერძნებისა და რომაელებისთვის იყო განკუთვნილი. მარსელელ ვაჭრებს ბადრაგი ახლდათ და საქონელი მაქსიმუმ 90 კმ-ზე გადაჰქონდათ, შემდეგ მას ადგილობრივ მცხოვრებლებს გადასცემდნენ, რომლებიც ხშირად ძალიან შორს ახერხებდნენ მის გადატანას. ამის მაგალითია „ვიქსის ვაზა", ანტიკური ეპოქის ყველაზე დიდი ბრინჯაოს ვაზა, რომელიც 208 კილოგრამს იწონიდა, სიმაღლით 1,64 მ იყო, მასში 1200 ლიტრი ჩადიოდა და შემკული იყო ბრინჯაოს დიდებული ფიგურებით. ეს ვაზა თარიღდება 530-525 წლით ჩვენს ერამდე და სამხრეთ იტალიაშია დამზადებული. ვიქსი კი შატიიონ-სიურენის მახლობლად მდებარეობს. საკვარაუდოა, რომ კალა, რომლის საბადოები მდინარე არმორის აუზშია, აგრეთვე სიმდიდრის და აღებ-მიცემობის დიდი წყარო იყო. ამას მონებით ვაჭრობაც უნდა დაემატოს.

ხელოვნების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა. ცხადია, რომ ბერძნული გავლენა ერთსა და იმავე დროს ძალზე ლოკალიზებული და უზარმაზარია. ბერნარ ლესკიური წერს: „ჩვენს ერამდე II საუკუნეში მასალიელთა

კვაზი-მონოპილიიდან დაწყებული ტრანსპორტირებული პროდუქციის და მათი შეფუთვის მთელი სპექტრი გვიჩვენებს განსაცვიფრებელ კულტურულ მოძრაობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბერძნულ-ლათინურ ცივილიზაციას. ახალგაზრდა გალიელი არისტოკრატები განათლებას იღებენ მასალიაში, სადაც კელტურ და ბერძნულ ენებზე ლაპარაკობენ. მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან სუსტად აღწევს ქვეყნის შიგნით. ამაში დავრწმუნდებით, თუ შევისწავლით რამდენიმე ასეულ „კელტურ-ბერძნულ" წარწერას.

ჩვენს ერამდე I ათასწლეულის მანძილზე კელტები იყენებდნენ თავიანთი მეზობლების დამწერლობას: „ამიერალპური (ციზალპური) გალიისთვის" ჩრდილოეთ იტალიაში ეტრუსკული დამწერლობა გამოიყენებოდა, „იმიერალპური (ტრანსალპური) გალიისთვის" კი ბერძნული. მიშელ ლეჟენმა გამოაქვეყნა კელტურ-ბერძნული (კელტურ ენაზე ბერძნული დამწერლობით) წარწერების კრებული. მასში მრავალი ასეული წარწერაა, მაგრამ ყველა მათგანი უკიდურესად მოკლეა (მიძღვნები, ეპიტაფიები, დამღები საშინაო ჭურჭელზე). გალიაში შეაღწია ბერძნულმა დამწერლობამ და არა ბერძნულმა ენამ.

ნიმის, არლის (სადაც ცოტა ხნის წინ ბერძნული კვალი აღმოაჩინეს), ორანჟის, ვეზონ-ლა-რომენის შესანიშნავი ანტიკური მონუმენტები, გარდის ხიდი და სხვა ძეგლები აიგო მხოლოდ „პროვინცია რომანას" დაპყრობის შემდეგ გალიის სამხრეთში.

ამით დავამთავროთ ლაპარაკი დასავლეთის ბერძნული კოლონიების შესახებ. 545 წელს ფოკეა დაიპყრო მედ ჰარპაგონმა, დიდი კიროსის აღმზრდელმა და თანამებრძოლმა. ბევრმა მცხოვრებმა კორსიკას მიაშურა და ფოკეელთა სამოცი საომარი ხომალდი თავს დაესხა ეტრუსკებს და კართაგენელებს ტიბრის შესართავსა და სარდინიას შორის. ისინი განადგურებულ იქნენ და 40 ერთეული დაკარგეს. ისინი კორსიკაში დასახლდნენ ახლანდელი ალერიას მახლობლად, *ალალიაში* (Alalia) და არ მოუნდომებიათ, ყოველ შემთხვევაში, ვერ მოახერხეს შიგნით შეღწევა.

ფოკეელებმა 20-ზე მეტი სავაჭრო პუნქტი გახსნეს ტი-

რენის ზღვის ირგვლივ. დიდი ხნის განმავლობაში ნაოსნობდნენ ისინი იტალიის ნაპირების გასწვრივ მესინის სრუტის გავლით. პოლ ფორის მიხედვით, ეტრუსკების სამგლოვიარო ხასიათის ფერწერის დიდი ნაწილი შესაძლოა იონიელ, ან ფოკეელ მხატვართა ნახელავი იყოს.

დასკვნის სახით, ექს-ან-პროვანსის უნივერსიტეტის პროფესორის, ჟან-პოლ მორელის სიტყვებს მოგაწვდით: „შეცდომა იქნება, თუ ფოკეელთა ექსპანსიას გალიაში [...] წარმოვიდგენთ, როგორც სწრაფ, ტრიუმფალურ და სრულ დაპყრობას. გალიის მიწაზე საკმაოდ დიდი ბერძნული ქალაქის არსებობა, რომელიც დაკავშირებული იყო ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ აუზის უმთავრეს ქვეყნებთან, მის დობილ ქალაქებთან, მისადმი დაქვემდებარებულ კოლონიებთან და სავაჭრო პუნქტებთან ჩვენი ქვეყნისთვის უდავოდ ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (დასახ. ნაშრ. გვერდი 17).“

როგორ წარმოვიდგინოთ ბერძნული გენია? თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერი ბერძნებს არ გამოუგონიათ. ამგვარი მტკიცება ან შოვინისტურია, ან მიამიტი, ან ანტიისტორიული. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე თითოეული ჯგუფი სარგებლობს წინამორბედთა მონაპოვრით და როდესაც გარემოებათა დამთხვევა გამოიწვევს მრავალი გენიოსის და ტალანტის დაბადებას, დგება „დიდი საუკუნეების” ეპოქა. „პერიკლეს საუკუნეს” 40 წლის შემდეგ მოჰყვა „ავგუსტუსის საუკუნე”. მოგვიანებით იტალიელების „კვატროჩენტო”, ესპანელთა „ოქროს საუკუნე”„ლუი XIV-ს საუკუნე”, ფრანგების და ინგლისელების „განმანათლებელთა საუკუნე”.

აქ ჩვენ ძველ ბერძენთა გენიის შესახებ ვისაუბრებთ. მათ წარსულისთვის ხაზი არ გადაუსვიათ და ყველაფერი ახლიდან არ დაუწყიათ, მათ მეზობელი დიდი ცივილიზაციების მონაპოვარი გამოიყენეს. როდესაც *მეცნიერების ისტორიას* ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ მედიცინაში, ბიოლოგიაში, მათემატიკასა და განსაკუთრებით ასტრონომიაში ეგვიპტელებს, მესოპოტამიელებს, და უფრო შორს თუ წავალთ, ინდოელებს და ჩინელებს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი

ალმოჩენები ჰქონდათ. ბერძნული გენია იმაში მდგომარეობდა, რომ მათ რაციონალიზაცია მოახდინეს, თეორემები დაადგინეს. ამას ამტკიცებს ევკლიდეს, პითაგორას, თალესის სახელები, მაგრამ ალგებრა ბერძნებს არ მოუგონიათ. თუ ლაპარაკია ხელოვნებაზე, ყველასთვის ცნობილია, რომ „პრიზების" მინიჭება აბსურდია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პართენონი ან ფიდიას ქანდაკებები მშვენიერების მწვერვალია, მაგრამ კარნაკში, ლუქსორში, მოგვიანებით იუკატანში, ბორობუდურში, ტურნუსში, ამიენში, ვერსალში მშვენიერება აგრეთვე აღწევს მსგავს მწვერვალებს. ბერძნული გენია, ცხადია სხვებს არ გამორიცხავს, არც მათ, ვინც მათ არ იცნობს და არც ბაძავს.

ახლა უფრო წინ წავიდეთ და ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ჭეშმარიტად ბერძნების ქმნილებაა: ეს არის *ლიტერატურა, ლიტერატურული ტექსტების* სიუხვე.

კაცობრიობის პირველი ისტორიკოსები იყვნენ ჰეროდოტე და თუკიდიდე, V საუკუნეში. ვიფიქროთ ეგვიპტელებზე, რომლებიც წინამორბედთა გმირულ საქმეებს მიაწერდნენ იმ ფარაონს, რომელიც მაშინ მეფობდა, გავიხსენოთ ჩინეთის იმპერატორები, რომლებსაც ორი ისტორიკოსი დაჰყვებოდა თან, ერთს კარგი ამბების თხრობა ევალებოდა, მეორეს კი დრამების და უბედურებებისა. ჰეროდოტე და თუკიდიდე იმით შემოიფარგლნენ, რასაც ჩვენ დღეს „თანამედროვე ისტორიას" ვუწოდებთ, რომელიც არქივებზე კი არ არის აგებული, არამედ იმ მოვლენებზე, რომელთა მოწმენიც თავადვე იყვნენ. შორეულ წარსულთან დაკავშირებით ორივე მათგანი წყაროების ნაკლებობას აღიარებს.

თეატრიც ბერძნული გენიის კუთვნილებაა. უთუოდ ბერძნებმა გამოიგონეს ამფითეატრები (და არა კოლიზეუმები, რომლებიც რომაულია). ესქილემ, სოფოკლემ, ევრიპიდემ ტრაგედიაში და არისტოფანემ კომედიაში თეატრის მწვერვალებს მიაღწიეს და მათ მთელი საუკუნეების მანძილზე ბაძავდნენ - პერიოდებში, რომელთაც კლასიკურს უწოდებენ.

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანნი მაინც ფილოსოფოსები იყვნენ: სოკრატე, რომელსაც არაფერი დაუწერია, მაგრამ

ვიცნობთ მისივე მოწაფეების: პლატონის და ქსენოფონეს წყალობით. ეს უკანასკნელი გამოჩენილი სტრატეგი უფრო იყო, ვიდრე ფილოსოფოსი. მისი შედარება სავსებით შეიძლება მისთვის სრულიად უცნობ ჩინელთან Szun-Tseu-სთან; არისტოტელემ, პლატონივით „დიალოგების" წერის ნაცვლად მრავალი პოლიტიკური თუ ფილოსოფიური ტრაქტატი დაგვიტოვა.

ამ ყველაფერმა, რისი მიზანიც მხოლოდ გახსენებაა, რადგანაც აქ არ არის ლაპარაკი არც მოკლე შინაარსზე და არც კატალოგზე, არ უნდა დაგვავიწყოს უთვალავი ღირსშესანიშნავი ნაშრომი სხვა დარგებში.

მაშინდელ მაღალგანვითარებულ ხალხებს შორის მხოლოდ ბერძნებს გააჩნდათ ეს უზარმაზარი *წერილობითი, რჩევის მომცემი, გამოსადეგი, მომხიბლავი* ლიტერატურა. ამით შეიძლება აიხსნას რომაელ დამპყრობელთა არჩევანი. ცოდნას მოწყურებულმა რომაელებმა ეტრუსკები, კართაგენელები, ფინიკიელები კი არ აირჩიეს, არამედ ბერძნები. ამასვე ასახავს ლათინი პოეტის ჰორაციუსის ცნობილი ფრაზა („ეპისტოლეები",13 ძვ.წ.): „დაპყრობილმა საბერძნეთმა დაიპყრო თავისი სასტიკი დამპყრობელი და შეიტანა ხელოვნება ანტიკურ ლათიუმში".

II. რომაელთა საოცარი დაპყრობანი

ეტრუსკები, ბერძნები, გალები, კართაგენელები. კელტებისა და გერმანელების შემოსევებს შორის იტალიური წარმოშობის მცირერიცხოვანმა ხალხმა, რომელიც იტალიის ცენტრში იყო კონცენტრირებული, სამი საუკუნის მანძილზე მთლიანად დაიპყრო იტალია, ალპების რკალიდან დაწყებული ჩრდილოეთით და ჩექმის ბოლოთი და კუნძულებით დამთავრებული სამხრეთით. მის წინაშე ცივილიზაციათა ოთხი დიდი ჯგუფი აღმოჩნდა: ტოსკანასა და უმბრიაში ეტრუსკები, იტალიის სამხრეთსა და სიცილიის ნაწილში „დიდი საბერძნეთის" ბერძნები, პოს დაბლობზე და ალპებში გალები, ხოლო სიცილისას და სარდინიაში კართაგენელები.

მაშინ, როდესაც V და IV საუკუნეებში გალებმა ელვისებურად დაიპყრეს რომი და ალბათ ეტრუსკებიც,ამ მცირერიცხოვანმა ხალხმა თავისი დაპყრობების უმეტესობა ძვ.წ. III საუკუნეში განახორციელა. ძვ.წ. 200 წელს რომი მბრძანებლობს მთელ იტალიაზე თავის ლათინ მოკავშირეებთან ერთად და უკვე პირველ ექსპედიციას იწყებს იტალიის გარეთ.

რომმა ასეთი გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა პუნიკურ ომებში კართაგენის დამარცხებით შეძლო, მაგრამ კართაგენის მხრიდან რჩებოდა საფრთხე სავაჭრო და სამხედრო სფეროში. აღმოსავლეთით სხვადასხვა კონფედერაციებში გაერთიანებული ბერძნების და მათზე ნაკლებად განვითარებული მონათესავე ხალხის, მაკედონელებისთვის მიუღებელი იყო იტალიაში დამკვიდრებული ბერძნების ასე დაუსჯელად დაჩაგვრა.

მაკედონელები. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ IV საუკუნეში მაკედონიამ წარმოშვა კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ორი დიდი დამპყრობელი: ფილიპე მაკედონელი (360-336) და მისი ვაჟი ალექსანდრე (336-323). ალექსანდრეს დიდი ლაშქრობები აღმოსავლეთით წარმოებდა მდიდარი, კულტურული, ცივილიზებული იმპერიების წინააღმდეგ და არა ნაკლებად მიმზიდველი დასავლეთისაკენ. ის, რომ რომაელებმა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან მოპირდაპირე მხარეს გადაინაცვლეს, ალექსანდრეს იმპერიის შემადგენლობაში არსებულმა სხვადასხვა მხარემ რომ მათი ყურადღება მიიპყრო და მათ შორის პირველ რიგში მაკედონიამ და საბერძნეთმა, საკვლევი ბუნებრივი იყო. პუნიკური ომების პარალელურად წარმოებდა ილირიული ომები: პირველად რომაელებმა ადრიატიკის ზღვა 229 წელს გადალახეს. შემდეგ იყო მაკედონიის ომები. ერთ-ერთი ასეთი ომის დროს, 167 წელს იტალიაში გადაასახლეს ათასი აქაველი (პელოპონესიდან) ბერძენი. მათ შორის იყო ანტიკური ხანის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსი პოლიბიუსი, რომელიც ბერძნულ ენაზე წერდა.

პოლიბიუსი. შეუძლებელია დაიწეროს ევროპის ისტორია და არ მოვიხსენიოთ პოლიბიუსი. იგი თავისი „ისტორიით" მთავარი მემატიანეა რომის არაჩვეულებრივი დაპყრობებისა, რომელთა მოწმეც თავად იყო. იგი ამავე დროს წარმოადგენს რომაულ სამყაროში ბერძნული კულტურის შეჭრის სიმბოლოს. პოლიბიუსი არის მოაზროვნე, რომელმაც შეძლო აეხსნა, თუ რატომ მოახერხა სწორედ რომმა და არა რომელიმე სხვა მეტროპოლიამ, დაეპყრო მაშინდელი მსოფლიოს დიდი ნაწილი.

პოლიბიუსი ძვ. წ. 210 და 208 წლებს შორის დაიბადა. იგი ბერძენთა იმ უმრავლესობას ეკუთვნოდა, რომელთაც არ სურდათ ქალაქებს შორის კავშირი და რომლებიც მტრულად უყურებდნენ მაკედონელთა დაპყრობებს.

იგი შეძლებული ოჯახიდან იყო, რომელიც რესპუბლიკის მომხრე და მაკედონელთა მოწინააღმდეგე გახლდათ. მისი მშობლიური ქალაქი მეგაპოლისი აქაველთა კონფედერაციაში შედიოდა, სადაც მამამისი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მას მხოლოდ აქაველები მოსწონდა, არ უყვარდა ბეოტიელები, მაკედონელები, ეტოლიელები, ათენელები და არც სპარტელები. მან უფრო პოლიტიკური და სამხედრო განათლება მიიღო, ვიდრე ფილოსოფიური და ლიტერატურული.

რომი საბერძნეთში შედის. 196 წლიდან პელოპონესის ჩრდილოეთით არსებულმა აქაველთა კონფედერაციამ კავშირი შეკრა რომაელებთან ფილიპე V მაკედონელის წინააღმდეგ. რომაელთა ლეგიონებმა მაშინ რამდენიმე წლით დაიკავეს საბერძნეთი და ძვ. წ. 194 წელს ნადავლით დატვირთულნი უკან დაბრუნდნენ ისე, რომ ქვეყნის ანექსია არ მოუხდენიათ. მაგრამ ეს გარდაუვალი პროცესის დასაწყისი იყო. რომაელებმა შეაღწიეს აზიაშიც, რათა დახმარებოდნენ პერგამონის მეფეს (ეს ის ქალაქია, რომლის სახელიც დაერქვა პაპირუსის შემცვლელ პერგამენტს).

შესაძლებელია პოლიბიუსს მონაწილეობა მიეღო სამარკამპანიაში აქაველთა კონტინგენტის შემადგენლობაში. 170 წელს იგი კონფედერაციის ერთ-ერთი მეთაური იყო, მაგრამ

მაშინ რომაელებმა უარი თქვეს და მძევლად აიყვანეს ათასი აქაველი წარჩინებული, რომელთა შორის პოლიბიუსიც იყო. ამგვარად იგი იტალიაში გადასახლებული აღმოჩნდა ძვ.წ. 167-დან 150 წლამდე. მას საშუალება მიეცა კარგად დაკვირვებოდა რომის ამბებს და მოეპოვებინა ისეთი მნიშვნელოვანი რომაელი სახელმწიფო მოღვაწეებისა და მხედართმთავრების პატივისცემა, როგორებიც იყვნენ მაკედონიის დამმარცხებელი პაულუს ემილიუსი, კართაგენის დამმარცხებელი სციპიონ ემილიუსი და სახელოვანი კატონი.

პოლიბიუსმა შეძლო გაეგო და ეცნო რომის უპირატესობა ბერძნულ ქალაქებზე. ამიტომაც დათანხმდა იგი ძვ.წ. 147 წელს დახმარებოდა სციპიონ ემილიუსს მესამე და უკანასკნელ პუნიკურ ომში, რომელიც კართაგენის განადგურებით დასრულდა.

ამის შემდეგ პოლიბიუსმა იმოგზაურა ატლანტის ოკეანის ნაპირებზე პორტუგალიიდან მაროკომდე, შემდეგ მოინახულა ეგვიპტე, სირია, კილიკია და გარდაიცვალა ძვ.წ. 126 წელს თავისი მეგობრის, სციპიონ ემილიუსის შემდეგ, რომელსაც ყოველთვის შესანიშნავ რჩევებს აძლევდა.

რომაელთა უპირატესობის მიზეზი პოლიბიუსის მიხედვით. ყველა იმ დაკვირვებიდან, რომლებიც პოლიბიუსს ეკუთვნის, ყველაზე მნიშვნელოვანია მრავალნაირი ახსნა იმ გაუგონარი ისტორიული მოვლენისა, რისი მოწმეც იგი იყო და რასაც რომაელთა დაპყრობები ეწოდება: ესაა რომის მიერ ილირიის, მაკედონიის, საბერძნეთის და მცირე აზიის ნაწილის, ესპანეთის და ამჟამინდელი ტუნისის და ალჟირის სანაპიროების დაუფლება.

როგორ ხსნის პოლიბიუსი ამ უპირატესობას? ვინაიდან ლათინები, ბერძნები, ეტრუსკები და კართაგენელები წერა-კითხვის მცოდნე ხალხი იყო, აქ არაა საუბარი კულტურულ ან ინდუსტრიულ უპირატესობაზე: „განა შესაძლებელია იყო იმდენად შეზღუდული, იმდენად გულგრილი, რომ არ გაინტერესებდეს, როგორ და რის წყალობით შეძლო რომის სახელმწიფომ თავისი ბატონობა განევრცო თითქმის მთელ დასახლებულ მსოფლიოზე და ეს ყველაფერი 53

წელზე ნაკლებ დროში მოეხერხებინა?"- წერს იგი თავისი „ისტორიის" დასაწყისში. რომაელები შეიძლება შევადაროთ სპარსელებს, მაგრამ ისინი ყოველთვის მარცხდებოდნენ აზიის ფარგლებს გარეთ. ასევე შეიძლება რომაელთა შედარება ლაკედემონელებთან, მაგრამ მათი ბატონობა ეფემერული, ხანმოკლე გამოდგა.

რაც შეეხება მაკედონელებს, მათ არასოდეს უცდიათ სიცილიის, სარდინიისა და აფრიკის დაპყრობა. პოლიბიუსი ასკვნის: „ძალზე მნიშვნელოვანი იყო რომაელების მიერ საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება, რამაც მათ შეაძლებინა განეხორციელებინათ მსოფლიო ბატონობის გეგმა" (I, წინასიტყვაობა, 1-დან 4-მდე).

პოლიბიუსი ხაზს უსვამს რომაელი ჯარისკაცების არნახულ სიმამაცეს, რომაული ლეგიონის უპირატესობას ბერძნულ ფალანგასა და კართაგენის, ხშირად დაქირავებულ ჯარებთან შედარებით: „კართაგენელთა გამარჯვების მიზეზი მათი შეიარაღების ან ბრძოლის წარმოების უპირატესობა კი არ იყო, არამედ ჰანიბალის სიმარჯვე და გამჭრიახობა... როცა რომაელებმა შეძლეს ისეთივე ნიჭიერი მხედართ მთავრის პოვნა, როგორიც ჰანიბალი იყო, შოდეგმაც არ დააყოვნა და გამარჯვებაც მათ დარჩათ" (LVIII, I, 28).

პოლიბიუსი ამტკიცებს, რომ რომაელთა უპირატესობის მთავარი მიზეზი კონსტიტუცია და ქვეყნის ინსტიტუციების ერთობლიობაა (LIII, 1, 2).

ეს კონსტიტუცია, რომელიც თანდათან იხვეწებოდა, იმ თავისებურებით გამოირჩევა, რომ ერთდროულად მონარქიულიც არის, არისტოკრატიულიც და დემოკრატიულიც. კონსულები ნამდვილი მონარქები არიან.

ყველა მაგისტრატი, ტრიბუნალის გარდა, მათ ემორჩილება. ომის დროს მათ თითქმის სამეფო ძალაუფლება გააჩნიათ.

სენატი არისტოკრატიაა. მისი ძალაუფლება ვრცელდება საერთო დოვლათსა და ყველა საგარეო საქმეზე.

ხალხს ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია. „მხოლოდ მას აქვს უფლება მიაგოს პატივი ან მოითხოვოს სასჯელი" იგი ირჩევს კონსულებს და მაგისტრატებს.

პოლიბიუსი ასკვნის: „ყოველი კრიტიკული სიტუაციის დროს სამივე ხელისუფლებას შორის სრული თანხმობა ისადგურებს იმდენად, რომ მართვის უკეთესი სისტემის მოძებნა გაგიჭირდებათ.

როცა ქვეყანას საფრთხე გარედან ემუქრება, რაც ყველა მათგანს ეხება და აიძულებს შეაჯერონ თავისი თვალსაზრისები და ითანამშრომლონ, სახელმწიფოს ისეთი ძლიერი ერთობლივი ენერგია ამოძრავებს, რომ ყოველივე გათვალისწინებულია, რაც აუცილებელია... ყველა თავის ადგილზე რჩება... *ეს კონსტიტუცია არაჩვეულებრივ ეფექტურობას აკლენს და მას წინ ვერ აღუდგები...* (ხაზგასმა ჩვენია, VI, V, 18).

ქრონოლოგიას თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, თუ როგორი რთული პროცესის მეშვეობით განვითარდა რომაელთა მიერ დამორჩილებული ტერიტორია. ამ პროცესში ერთმანეთს შეერწყა დიადი განზრახვა, პოლიტიკური თანმიმდევრულობა და იმპერიული ალღო.

კონსტიტუციის უპირატესობიდან გადავიდეთ სამხედრო უპირატესობაზე.

წმინდა ტექნიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით მთავარი იყო ბერძნული, და შემდეგ მაკედონური ფალანგიდან რომაულ ლეგიონზე გადასვლა. ბერძნული ფალანგისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერ შეარაღებული, მძიმე საჭურვლიანი ჰოპლიტი. ფალანგაში სულ მცირე 8 მწკრივი მაინც იყო და იგი განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყურებოდა ერთიან ტერიტირიაზე, რაც ლაკედემონელებმა დაამტკიცეს მანტინეაში (თუკიდიდე, V, 70, ციტირებული ივ გარდანის მიერ წიგნში „ომი ანტიკურ ხანაში", 1972, გვ.95).

ფილიპე II-ის მაკედონური ფალანგა ბერძნული ფალანგის გაუმჯობესებას წარმოადგენდა. იგი შედგებოდა ბატალიონებისაგან („ტაქსეის"), რომელშიც 1500 კაცი იყო 16 მწკრივად განლაგებული.

რომაული ლეგიონი, ისევე „როგორც მაკედონური ფალანგა, ბერძნული ფალანგის პირმშოა, მაგრამ წარმოშობიდანვე ადგილობრივი ტრადიციების ისე დიდი გავლენა ჰქო-

ნდა, თავისი ათასწლოვანი განვითარების გზაზე ისეთი გამოცდილება და გაკვეთილები დააგროვა, იმდენად დიდ შინაგან სრულყოფას მიაღწია, რომ რომაული გენიის ორიგინალურ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს" (იგივე, გვ.97-98).

ფალანგის 16 მწკრივისაგან განსხვავებით, რომელთაგან მხოლოდ პირველი 5 იბრძოდა, ლეგიონი შედგება 3 ორმაგი ან სამმაგი მწკრივისაგან: bastati(პირველ მწკრივში ყველაზე ახალგაზრდები არიან), principes (მეორე რიგში), triarii (მესამე რიგში ყველაზე ხნოვანებია). ამგვარად, თუ პირველი რიგი ბრძოლაში გატყდება, მას უფრო და უფრო გამოცდილი მეომრები შეეშველებიან. გარდა ამისა, ჯარისკაცები სამ ან ოთხკაციან ჯგუფებში არიან გაერთიანებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მეომარმა იცის, რას შეიძლება ელოდეს თავისი უშუალო მეზობლისაგან.

აქ მოგვყავს პოლიბიუსის შესანიშნავი ტექსტი, რომელიც ადასტურებს ლეგიონის უპირატესობას ფალანგაზე (XVIII, 32, 2-11, ციტ. გარდანის მიერ, ციტ. ნაშრ. გვ100): „ნაცვლად იმისა, რომ ერთ ხაზზე განელაგებინათ თავიანთი ჯარები და ყველა თავისი ლეგიონი ჩაებათ ბრძოლაში ფალანგების წინააღმდეგ, რომაელები რამდენიმე ერთეულს რეზერვად ინახავდნენ, მაშინ როდესაც დანარჩენები მტერს ებრძოდნენ. საბოლოო ჯამში, ფალანგა დაახევინებდა მტერს უკან თუ თვითონ დაიხევდა, მისი დამახასიათებელი განლაგება მაინც დაირღვეოდა. უკანდახეულ მტერს დაედევნებოდა, თუ შემოტევის წინაშე თავად დაიხევდა უკან, ორივე შემთხვევაში იგი ჩამოსცილდებოდა ჯარის სხვა ნაწილებს და მის მიერ დაკავებული ადგილი მტრის სარეზერვო დანაყოფების ხელში ჩავარდებოდა, რომელთაც პირდაპირი შეტევის ნაცლად შეეძლოთ შეეტიათ ფალანგისტებისათვის ფლანგებსა და არიერგარდში... ამას გარდა, მხედართმთავრები, რომლებიც ფალანგას იყენებენ, იძულებული არიან სხვადასხვაგვარი რელიეფი გადალახონ, ბანაკი დასცენ აქა თუ იქ, შეეცადონ მტერს დაასწრონ ამა თუ იმ მომგებიანი პოზიციის დაკავება, შემოარტყან თუ შეინარჩუნონ ალყა და მყისვე შეიტყონ მტრის გამოჩენა... ასეთ

შემთხვევებში მაკედონურად მოწყობილი არმია ძნელად სამართავი და არაეფექტურია, რადგანაც ფალანგაში ჯარისკაცებს ვერც მცირე ერთეულებად და ვერც ინდივიდუალურად ვერ მართავენ, მაშინ როდესაც რომაული წვრთნა ამის საშუალებას იძლევა. მართლაც, ნებისმიერ რომაელ ჯარისკაცს, რომელიც აღჭურვილია იარაღით და ერთვება ოპერაციაში, შეუძლია შეეგუოს ნებისმიერ ადგილს, ნებისმიერ გარემოებას და წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს ყოველი მხრიდან. იგი ყოველთვის მზადაა იბრძოლოს მთელი არმიის, მისი ნაწილის თუ კონკრეტული მეომრის წინააღმდეგ."

რომაელთა მეორე უპირატესობა ის იყო, რომ ისინი ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონდნენ. ისინი ძალიან მალე მიხვდნენ იმას, რასაც ამერიკელი კომოდორი მაჰანი ამტკიცებს 1890 წელს გამოსულ ცნობილ წიგნში „საზღვაო ძლიერების გავლენა ისტორიაზე" (The Influence of Sea Power upon History). მაჰანის აზრით, რაც არ ემთხვევა მისი თანამედროვე „გეოპოლიტიკოსების" შეხედულებას, საზღვაო ძლიერების მქონე სახელმწიფო საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს. ბუნებრივია, იგი აანალიზებს რომის გამარჯვებას კართაგენზე. სხვა წიგნში ის იგივეს იმეორებს, როცა ინგლისის ნაპოლეონზე გამარჯვებაზე ლაპარაკობს.

კართაგენსა და რომს შორის „პირველი პუნიკური ომის დროს" (რომელიც ძვ.წ. 264 წ. დაიწყო) რომს ფლოტი არ ჰქონდა. საუკუნეების განმავლობაში ფინიკიელებმა და კართაგენელებმა ძალზე დიდი საზღვაო გამოცდილება დაგროვეს.

რომაელები მაშინვე მიხვდნენ, რომ საჭირო იყო კართაგენი სიცილიისაგან ჩამოეცილებინათ და მეტოქეების მძლავრი გალერების მიბაძვით შექმნეს საზღვაო ფლოტი. მაგრამ რადგანაც გამოცდილება აკლდათ, როგორც მეზღვაურებს, ისეთი ტაქტიკა შეიმუშავეს, რომელიც მათი ჯარისკაცების უპირატესობას წარმოაჩენდა. გალერები მათ აღჭურვეს ე.წ. „ყვავებით"; ეს იყო მსხვილი ხიდური, რომელიც კაუჭით თავდებოდა, რომელსაც მოწინააღმდეგის გემს მოსდებდნენ ხოლმე. ჯარისკაცები გადაირბენდნენ ამ ხიდურზე

და აბორდაჟის დროს ჯაბნიდნენ მეტოქეს. რომმა პირველობა მოიპოვა საზღვაო ბრძოლებში და ეს უპირატესობა თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე შეინარჩუნა.

როგორ დაიპყრო რომი ბერძნულმა ცივილიზაციამ. შესანიშნავ ისტორიკოსზე პოლ ფორზე უკეთ საფრანგეთში არავის აღუწერია ბერძნული გავლენა ჯერ რომის რესპუბლიკაზე, ხოლო შემდეგ რომის იმპერიაზე წიგნში „ანტიკური საბერძნეთის გზამკვლევი", რომელიც მან მარი ჟან კენროსთან ერთად 1991 წელს გამოაქვეყნა, ეს საკითხი შესანიშნავადაა განხილული.

„რომი ყველას აიძულებს ცნონ მისი იმპერია. იგი თანდათანობით 44 პროვინციას მოიცავს ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ და ნაწილობრივ შავი ზღვის სანაპიროზე. ყველაზე ფართო განვრცობის ადგილას მისი სიგანე 4800 კილომეტრია. მაგრამ ამ იმპერიის ნახევარზე მეტი ლაპარაკობს და ფიქრობს ბერძნულად, ინარჩუნებს ბერძნულ წეს-ჩვეულებებს და თავის საუკეთესო მეცნიერებს, ფილოსოფოსებს, ხელოვანთ რომში აგზავნის. დასავლეთის მოელი არისტოკრატია ბერძნებისაგან სწავლობს. რომის იმპერატორები ავგუსტუსიდან კონსტანტინემდე სტუმრობენ და ირჩევენ, უფრო ხშირად, აღმოსავლეთის პროვინციებს, რომლებიც, მათი აზრით, უფრო მდიდარია ადამიანებით, ფულით თუ იდეებით. საბერძნეთი ხდება ვაჭრების, მასწავლებლების ქვეყანა." დავამატებთ, რომ ადრიანე მათ შორის ყველაზე მეტად ბერძენი იყო, იგი ხუთჯერ ჩავიდა ათენში, მარკუს ავრელიუსმა კი თავისი „ფიქრები" ბერძნულ ენაზე დაწერა.

ეს არაჩვეულებრივი ურთიერთგავლენა შეიძლება ლუი ოტკერის სიტყვებით შევაჯამოთ. იგი წერს იმ „ხელოვნების არისტოკრატიულ ხასიათზე, რომელსაც მოყვარულთა და ჰუმანისტთა მხოლოდ მცირე ჯგუფი აფასებდა, ისევე როგორც ეს XVIII საუკუნის საფრანგეთში ხდებოდა იტალიური ხელოვნების მიმართ. იდეალი, რომელსაც ბერძნული ლიტერატურა, ფილოსოფია და ხელოვნება წარმოადგენდა, იყო მშვენიერების, კეთილშობილების, უანგარობის იდეალი,

რომელიც აოცებდა მიწათმოქმედთა, ვაჭართა, ჯარისკაცთა ფენებს, რომელთა საზრუნავი ჰორაციუსამდე სასარგებლოს - სასიამოვნოსთან შერწყმა გახლდათ... ბერძნულმა ხელოვნებამ გაიმარჯვა, მაგრამ მან ვერ შეძლო მთლიანად გარდაექმნა რომაული სული; მან დაუდგინა რომს ფორმები, თემები, ტექნიკა, მასალა; მან ვერ შეცვალა გარკვეული დამოკიდებულება." მოგვიანებით ოტკერი ახსენებს „რომაელის ასიმილაციის დიდ უნარს" (ხელოვნების ისტორია, ტ.I, გვ.210-211). რამდენიმე მაგალითის საფუძველზე შეიძლება თვალი მივადევნოთ იმ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ბერძნებმა პირდაპირ „გაანათლეს რომაელები. "

აღტაცებით გამოწვეული გავლენა. მაგალითად, ტრაგედიის შემოტანა რომში ტარენტელი ბერძნის, ლივიუს ანდრონიკუსის მიერ, რომელიც 222 წ. დაატყვევეს, ასევე კამპანიელი ნევუსის და კალაბრიელი ენიუსის მიერ.

ძარცვა. მაგალითად, ძვ.წ. 187 წელს რომში ჩაიტანეს მარმარილოს 230 და ბრინჯაოს 285 ქანდაკება, რამაც რომაელთა აღფრთოვანება გამოიწვია და მათ ახალი ქანდაკებების ძებნა დაიწყეს.

ასლები. „ბერძნებმა რომში ასლების ნამდვილი ქარხნები გახსნეს. ამ ვულგარიზატორებიდან ყველაზე განთქმული იყო ძვ.წ. Iს.-ში ვინმე პოზიტელესი, რომელიც თავის მოწაფე სტეფონოსთან ერთად V და IV საუკუნეთა ქანდაკებების მარმარილოს, ბრინჯაოსა და სპილოს ძვლის ასლებს აკეთებდა და ავტორის გვარს აწერდა მათ."

მიუხედავად ამისა, არ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს გავლენა ტოტალური იყო.

აღზევების ხანაში რომაელთა ძლიერი ტემპერამენტის წყალობაა ის, რომ მათი ურიცხვი მიბაძვები ბერძნებისადმი არავითარი მონური ნიშნით არ ხასიათდება. ხელოვნებაში მათ შეიტანეს კოლოსალურობა, ამფითეატრები, ვრცელი პერისტილები, ტრიუმფალური თაღები და ა.შ. ისინი ხშირად

V. რომაული გზები

ATLANTIC OCEAN
BLACK SEA
ROMA
ITALIA
SICILIA
SARDINIA
CORSICA
MARE MEDITERRANEUM
MARE ADRIATICUM
MARE NIGRUM
MARE CASPIUM
MARE ERYTHRAEUM
AEGYPTUS
ARABIA
ASIA
AFRICA
EUROPA
ROMANA VIA
ROMANA VIA
ROMANA VI

ბაძავენ ეგვიპტურ სვეტებს. სწორედ მათ და არა ბერძნებმა შექმნეს შესანიშნავი საგზაო ქსელი.

ლათინური ენის ძლიერება მრავალ დარგში გამოვლინდა. ძვ.წ. I საუკუნიდან ლათინური პოეზია მწვერვალებს აღწევს (ჰორაციუსი, ვირგილიუსი, ოვიდიუსი, ლუკიანე), მაშინ როდესაც წარსულში ბრწყინვალე ბერძნული პოეზია დაკნინების გზაზეა.

მაგრამ ეს არაფერია *სამართალთან* შედარებით.

ლათინებს ბევრად უფრო მეტი *იურიდიული* ტემპერამენტი ახასიათებთ, ვიდრე ბერძნებს. და მაშინ, როდესაც არისტოტელეს და პლატონის ლათინურად ნათარგმნი მწირი რაოდენობის ფილოსოფიური ტექსტები გავლენას ახდენს ყველა ინტელექტუალურ წრეზე (უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში პლატონის ნაწარმოებებიდან მხოლოდ „ტიმეოსს" იცნობდნენ), რომაული სამართალი შუა საუკუნეებშიც და ჩვენს დროშიც თანამედროვე სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ რჩება.

დღეს მხოლოდ საბერძნეთის მოსახლეობა და კვიპროსის მცხოვრებთა უმრავლესობა ლაპარაკობს ძველ ბერძნულ ენაზე. სამაგიეროდ, ძველმა ბერძნულმა ენამ ძალიან ბევრი სიტყვა შესძინა დასავლურ ენებს ერთი მხრივ, ლათინურის მეშვეობით, (მაგ. დემოკრატია) და მეორე მხრივ, XV საუკუნიდან მოყოლებული უთვალავი „მეცნიერული" სიტყვა შეიქმნა მის საფუძველზე.

იაკობ ბურკჰარდის შესანიშნავი ტექსტი (მსჯელობანი მსოფლიო ისტორიის შესახებ, (ფრ. თარგმ. გვ. 86-87) იძლევა ყველაზე უფრო გამომსახველ სინთეზს: „კოლოსალური თვითკმაყოფილება ყოველ რომაელს აძლევდა იმის რწმენას, რომ იგი მოწოდებულია მართოს სამყარო. აგრესიის და წინააღმდეგობის გაწევის არაჩვეულებრივი უნარი, რომელიც სამნიტური ომებიდან პერსეის ომებამდე ვითარდებოდა და ახალ ისტორიულ ერას გვაუწყებდა[...] თავისი გავლენის მოხდენას აძლიერებდა; იგი აქა-იქ კი არ ტოვებდა განცალკევებულ კერებს, როგორც საბერძნეთში, არამედ კრისტალიზდებოდა ერთ პიროვნებაში, კეისარში, რომელსაც

შეეძლო გამოესწორებინა ყველაზე დიდი დაუდევრობანი, გადაერჩინა რომი ბარბაროსების შემოტევისგან, ებატონა მასზე და რეორგანიზაცია მოეხდინა. ამის შემდეგ შექმნილი იმპერია ბევრად მაღლა იდგა მსოფლიოში მანამდე არსებულ ძველ მონარქიებზე... კაცობრიობისთვის უდიდესი ბედნიერება იყო, რომ რომაელები ბერძნული კულტურით საზრდოობდნენ და ამავე დროს უნდობლად ეკიდებოდნენ უცხოეთიდან შემოსულ სულისკვეთებას. ამ ფილელენიზმს (საბერძნეთის სიყვარულს) უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ სულიერი ტრადიცია გაგრძელდა".

III. რომის იმპერია, ასიმილაციის ფაქტორი

აქ ლაპარაკი არის იმაზე, რომ რომის ისტორიის მოკლე შინაარისის თხრობა ძვ.წ 31 წლიდან დავიწყოთ, როცა ოქტავიანე რომაული სამყაროს ერთადერთი მეთაური გახდა ანტონიუსის დამარცხების შემდეგ აქციუმის საზღვაო ბრძოლაში, ახ.წ. 476 წლამდე, როცა გერმანელმა ოდოაკრემ თავიდან მოიცილა დასავლეთის უკანასკნელი იმპერატორი. ქრონოლოგია IV საუკუნემდე მიგვიყვანს. აქ კი კონსტანტინეს ქრისტიანად მოქცევა მნიშვნელოვნად ცვლის მონაცემებს.

Res publica და მთავრობის უარყოფა. ოქტავიანეს, რომელიც ავგუსტუსი, ანუ ყველაზე ბრწყინვალე და დიდებული გახდა, არ სურს აღადგინოს მეფობა რომში, რადგანაც ის ავისმომასწავებელი რეპუტაციით სარგებლობს. მაგრამ როგორც ყველა მონარქი, ისიც ცდილობს მემკვიდრეობითობა დაადგინოს. ამის პირდაპირ გამოცხადება არ შეიძლება. მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მეფობის პერიოდშივე აიყვანა ტახტზე მომავალი მემკვიდრე.

ასე მიჰყვა ერთმანეთს ოქტავიანეს მიერ დაარსებული იულიუს-კლავდიუსთა დინასტია, ფლავიუსის, ანტონიუსის, ტრაიანეს, ადრიანეს, ანტონიუს ღვთისმოსავად წოდებულის, მარკუს ავრელიუსის, კომოდეს დინასტიები, რომელთაც

მთელი II საუკუნე მოიცვეს, რომლის დროსაც რომის იმპერიამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

რა დაემატა რესპუბლიკის და კეისრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს? ეს იყო ბრეტანი პირველი ვიწრო ადგილის გასწვრივ მდებარე ხაზამდე, დასავლეთით სოლვეის ყურიდან ნიუკასლის გარეუბნამდე აღმოსავლეთით, ამ დაპყრობის მნიშვნელოვანი მომენტი იყო ე.წ. ადრიანეს კედლის აგება. შემდეგ ამ ხაზმა ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა, შოტლანდიაში დაახლოებით გლაზგოდან ფირტ ოფ ფორტამდე. გერმანიაში ლანსა და დუნაის შორის მდებარე ზონა იქნა დაპყრობილი. ტრაიანეს მმართველობის დროს მიაღწია იმპერიამ მთელ თავის ძლიერებას. მხოლოდ ევროპაზე რომ ვილაპარაკოთ, მან დაიპყრო დაკია,ახლანდელი რუმინეთი, 101-სა და 107 წლებს შორის. ჩვენთვის ცნობილია, რომ მრავალი შემოსევის მიუხედავად ამ ქვეყანამ ლათინურიდან წარმოშობილი ენა შეინარჩუნა.

რომის იმპერიის გავრცელების შესახებ აზრის შესაქმნელად მოვიყვანოთ ადრიანეს მეფობის შესახებ ისტორიკოს ლეონ ომოის მიერ დადგენილი და კომენტირებული ქრონოლოგია: „ადრიანე ფიქრობდა, რომ იმპერიის სწორი მართვა მოითხოვდა სუვერენის ყოფნას მის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს, იმპერატორის პიროვნება დიდად უწყობდა ხელს იმპერიის ერთიანობას და ამ უკანასკნელის გასაძლიერებლად საჭირო იყო ფიზიკურად წარმდგარიყავი მრავალრიცხოვანი მოსახლეობის თვალთა წინაშე".

სწორედ ამიტომ ადრიანე, რომელიც იმპერატორთა შორის ყველაზე ბრძენი იყო, სახელმწიფოს მეთაურის რანგში თავის კართან ერთად მოგზაურობდა, რომელიც ნამდვილ მოძრავ დედაქალაქს წარმოადგენდა, მას თან ახლდა თავისი საბჭო და ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები. მან იმპერიაში ოთხი დიდი მოგზაურობა მოაწყო, აქედან ორი-მეორე და მეოთხე, ხუთ-ხუთ წელს გაგრძელდა. 117 წელს, იმპერატორად გამოცხადების მეორე დღეს იგი კვეთს მცირე აზიას, გაივლის ევროპაში, დინჯად ეცნობა დუნაის საზღვარს, გარკვეული დროით ჩერდება დაკიაში და ერთი

წლის მოგზაურობის შემდეგ 118 წლის ზაფხულში ბრუნდება რომში. სამი წლის შემდეგ, 121 წელს მიემგზავრება გალიაში, სტუმრობს რეტიის და ნორიკის პროვინციებს დუნაის ზემო წელში და რაინზე გერმანიაში, გაივლის ბრეტანში, გადაკვეთს მთელ გალიას, რათა მოხვდეს ესპანეთში და მავრიტანიაში; იქიდან პირდაპირ მცირე აზიაში მიდის, ჩადის ათენში და იქ ატარებს 125-126 წლების ზამთარს და სიცილიის გავლით ბრუნდება რომში. 128 წლის აპრილში იგი აფრიკას ეწვევა. იმავე წელს ტოვებს დედაქალაქს, რათა განახორციელოს თავის მეოთხე და უკანასკნელი დიდი მოგზაურობა. იგი მიდის ათენში, სადაც ატარებს 128-129 წლების ზამთარს, შემდეგ ჩადის მცირე აზიაში, სირიაში, პალმირაში, პალესტინაში, არაბეთში და ეგვიპტეში, სადაც დიდხანს რჩება და გულდასმით ათვალიერებს ქვეყანას; ეგვიპტიდან გემით მიდის ათენში, ჩრდილოეთისკენ მიემართება ცენტრალური საბერძნეთის გავლით, ნახულობს მაკედონიას, მეზიას, დაკიას და ბრუნდება, რათა კიდევ ერთი, მესამე ზამთარი გაატაროს ათენში 132-133 წლებში.

133 წელს იუდეის აჯანყება მას აღმოსავლეთში იხმობს და რომში მომდევნო წელს ბრუნდება. ადრიანე ტკბება თავისი მოგზაურობებით, როგორც ტურისტი და იყენებს მათ, როგორც იმპერატორი. იგი ნახულობს ცნობილ ძეგლებს: ალკიბიადეს საფლავს მალისიაში, მემნონის კოლოსს თებეში; 126 წელს საშინელ ამინდში ადის ეტნაზე და 129 წელს კასიოსის მთაზე კაპადოკიაში, რათა მზის ამოსვლას უყუროს; ლომზე ნადირობს ლიბიაში.

ათენში იგი ცდილობს ჩასწვდეს ელეუზისის საიდუმლოებებს. სახელმწიფოს მეთაურად ყოფნის დროს იგი თვითონ ომობს, მაგალითად, პალესტინაში აჯანყებული ებრაელების წინააღმდეგ. იგი არმიის ინსპექციას ახდენს ლამბეზში, აფრიკაში; იგი აუგუსტას III ლეგიონის დათვალიერებას აწყობს და მას დღის წესრიგს უგზავნის, რომლის დიდი ნაწილიც შემორჩენილია. იგი თავდაცვით საშუალებებს აძლიერებს რაინზე, დუნაიზე, დაკიაში; ბრეტანში აშენებს თავდაცვით ნაგებობას, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. ის მართავს ქვეყანას და ასამართლებს დამნაშავე-

ებს, აერთიანებს პროვინციების ასამბლეებს, როგორც ტარაგონაში (ესპანეთი), აარსებს ისეთ ქალაქებს, როგორიც იყო ადრიანოპოლისი (ახლანდელი ადრინოპოლი) ან ელია კაპიტოლინა (ამ სახელით მან ხელახლა ააშენა იერუსალიმი), აგებს შენობებს, როგორიცაა კვადრატული სახლი ნიმში პლოტინის პატივსაცემად, ოლიმპიონი, ჰერას ტაძარი, იულიუსის ახალი უბანი ათენში; პელუზაში აღადგენს პომპეუსის საფლავს. 134 წელს, როცა საბოლოოდ დაბრუნდა იტალიაში, დაიწყო თავისი მდიდრული ტიბურის ვილის მშენებლობა, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა და მოიგონა ის დიდი მოგზაურობები, რომელთაც ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში.

193 წელს, თანამეფობის შემდეგ, სევერუსების დინასტიამ მემკვიდრეობით მიიღო იმპერია, რომლის საზღვრებიც დასუსტებული იყო და მათ ხელში კიდევ უფრო მოირღვა. არმიამ გადაჭარბებული მნიშვნელობა მოიპოვა და სეპტიმუს სევერუსმა სენატის დახმარებით გააუქმა სასარგებლო ალტერნატივა, რომელიც შეიძლებოდა სამხედროებს დაპირისპირებოდა. რომში გახშირდა აჯანყებები, ხან ერთი ლეგიონი იყო აჯანყებული, ხან მეორე და სევერუსთა დინასტია *სამხედრო ანარქიის* პერიოდით დასრულდა, რომელიც 50 წელს გრძელდებოდა, 285 წლამდე. იმპერიას ყოველი მხრიდან ესხმოდნენ თავს ბარბაროსები. ჯარისკაცების მიერ გამოცხადებული იმპერატორები, ერთის გარდა, მოკლულ იქნენ: ის ერთი ვალერიანე იყო, რომელსაც გაუმართლა და მტერმა ტყვედ ჩაიგდო. მოსახლეობის ტანჯვა-წამებას იმ პერიოდში ადასტურებს იმ დამალული განძის რაოდენობა, რომელიც პატრონებმა ვერასოდეს დაიბრუნეს.

რომის ისტორიის არცერთ პერიოდში არ ვხვდებით ამდენ დამალულ განძეულს. უზურპაცია და შემოსევები გაგრძელდა იმპერიის ტახტზე დიოკლეტიანეს ასვლამდე 285 წელს, რომელმაც გადაწყვიტა იმპერიის ძალაუფლება ოთხ ზონად გადაენაწილებინა: ასე ჩამოყალიბდა *ტეტრარქიის* სისტემა.

ასიმილაცია. მართალია საბოლოოდ ეს განზრახვა ჩაიშა-

ლა, მაგრამ რომაელებმა სცადეს მოეხდინათ დაპყრობილი ხალხის ასიმილაცია. რომიდან მოქალაქეობა გავრცელდა ლაციუმში და შემდეგ იტალიაში, შემდეგ კი მიენიჭა სხვადასხვა პრივილეგირებულ პიროვნებას; ტარსოსელი ებრაელი სავლე, რომელიც შემდეგ პავლე გახდა, რომის მოქალაქე იყო. ეს პროცესი დასრულდა კარაკალას ედიქტით (212წ.), რომელიც რომის მოქალაქეობას ანიჭებდა იმპერიის ყველა თავისუფალ ადამიანს. ასიმილაცია აგრეთვე ვლინდება დიდებულ არქიტექტურულ ერთიანობაში. ყველგან ვხვდებით ფართოქვაფენილიან რომაულ გზებს, სვეტების და პორტიკების ხაზებს, ბერძენთა მიბაძვით აგებულ ტაძრებს, ამფითეატრებს, იქნება ეს იორდანიაში (იერაჰი) თუ რუმინეთში (ალბა იულია), ნიმში, არლსა თუ ვოლუბილისში (მაროკო).

დღეს მიაჩნიათ, რომ რომაული ხელოვნება ასე თუ ისე ნიმუშად დარჩა X საუკუნემდე და რომანული და შემდეგ გოტიკური ხელოვნების წარმოშობა მხოლოდ ამ ეპოქით თარიღდება.

ბუნებრივია, ასიმილაცია მეტად კარგად მიდიოდა. ენა შემორჩენილია მხოლოდ გალიაში, იტალიაში და იბერიის ნახევარკუნძულზე, ისევე როგორც შორეულ დაკიაში (რუმინეთი) სხვადასხვა ხალხური ფორმით და მუდმივი განვითარების პროცესშია. დიდ ბრიტანეთში იგი VI საუკუნეში ქრება და საქსონური ენის სასარგებლოდ, რომელსაც დაემატა გალურ-ლათინური წარმოშობის უზარმაზარი ლექსიკური ფონდი 1066 წელს ნორმანდიის დაპყრობის შედეგად. რაც შეეხება დანიას, შვედეთს, ნორვეგიას და ირლანდიას, მათ არასოდეს სცოდნიათ ლათინური ენა.

ლათინური ენის, როგორც ეკლესიის ენის პრობლემას მოგვიანებით განვიხილავთ.

ხელოვნება. ხელოვნებაში პერიოდულად მჟღავნდებოდა მისწრაფება კლასიციზმისკენ, დაბრუნებისაკენ, ანუ ძველებისკენ და ანტიკური წესების და ზომების აღდგენისკენ. მართალია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო და კოლონიზატორებმა მთელ მსოფლიოში გაავრცელეს ნეოკლასიკური სტილი, მაგრამ ის ევროპულია და მისი საფუძვე-

ლი ბერძნულ-რომაულია. ასევე რენესანსის არქიტექტურული სტილი გამოეყოფა ალმოდებულ გოტიკას და აღადგენს მრავალ ანტიკურ მოტივს. „კლასიკური სტილი", რომელიც რენესანს მოყვა, ანტიკურობას ბაძავს, რისი ნიმუშიცაა ლუვრის კოლონადა (კლოდ პერო), მაშინ როდესაც "ბაროკოს" სტილი მისი გადაჭარბებული გეომეტრიულობის წინააღმდეგ იბრძვის. XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ყველაზე მეტად ბაძავენ ანტიკურ ნაგებობებს და ტაძრებს. გავიხსენოთ სუფლოს მიერ აგებული პანთეონი, მადლენის ეკლესია პარიზში, კონკორდის მოედნის მთელი ანსამბლი, ტრიუმფალური თაღები: მერბლ ერჩი ლონდონში, ბრანდენბურგის კარიბჭე ბერლინში, კარუზელის და ეტუალის თაღები პარიზში, არქიტექტორ ფრანსისკო საბატინის პუერტა დი ალკალა მადრიდში.

გავიხსენით აგრეთვე, რომ რენესანსის ეპოქაში კვლავ დაიწყეს ბერძნული ენის შესწავლა: რონსარმა ორ დღეში წაიკითხა ჰომეროსის „ილიადა" და ინგლისის მომავალი დედოფალი, ახალგაზრდა პრინცესა ელისაბედი ბერძნულ კულტურაზე იყო აღზრდილი.

განათლება რომში და მისი გავლენა თანამედროვე ევროპაზე. რომაელები, რომელთაც იცოდნენ წერა და ჰქონდათ ადმინისტრირების ნიჭი, ცდილობდნენ არა მარტო უბრალოდ აღეზარდათ ახალგაზრდა არისტოკრატები, არამედ ჰყოლოდათ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით წერაკითხვის მცოდნე ახალგაზრდა. საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ განათლება ელინური მოდელის მიხედვით ხდებოდა. ზოგიერთები თვითონ აძლევდნენ განათლებას საკუთარ შვილებს, სხვები საბერძნეთში აგზავნიდნენ მათ სწავლის დასასრულებლად, შეძლებული რომაელები ოჯახში იწვევდნენ აღმზრდელებს, რომლებიც უფრო ხშირად ბერძენი მონები, გათავისუფლებული მონები ან თავისუფალი ადამიანები იყვნენ.

ძალიან მალე გაჩნდა სკოლები, სადაც კითხვას ასწავლიდნენ, მაგრამ ამავე დროს უნერგავდნენ სამშობლოს სიყვარულს და საზოგადოებრივ ცხოვრებას აზიარებდნენ.

სამშობლოსადმი ერთგულება ტოტალური უნდა ყოფილიყო. მასწავლებელი ან განათლებული ადამიანი იყო, რომელიც საკუთარ სკოლას აარსებდა, ან მონის ბატონი, რომელსაც ძალუძდა ამ ფუნქციების შესრულება. თავდაპირველად სწავლა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, შემდეგ კი, სულ უფრო და უფრო ხშირად, ლათინურ ენაზე. საშუალო განათლებას მხოლოდ რჩეულნი იღებდნენ. ისინი სწავლობდნენ გრამატიკას, ლოგიკურ ანალიზს და განსაკუთრებით, ავტორთა თხზულებებს - ძირითადი სავარჯიშოები იყო ტექსტის ახსნა, ლექსების „მეტრიკა", ორატორული ხელოვნება, უცნაურია, რომ XIX საუკუნის ჰუმანისტური კულტურის მქონე ევროპელი ახალგაზრდა იმავე ტექსტებს სწავლობდა დიდი გულმოდგინებით, რომელთაც 1 800 წლის წინ რომაელი ჭაბუკი ჩასცქეროდა.

ერთი დეტალი უნდა აღინიშნოს: რათა ქუჩაში სიარულისას ქალიშვილებისათვის და ჭაბუკებისთვის საფრთხე თავიდან აეცილებინათ, შეძლებული რომაელები მათ თან აახლებდნენ „გამცილებელ მონას", ბერძნულად peadagogos-ს (პედაგოგი)!

„ყველგან გიმნაზიები, შადრევნები, პროპილეები, ტაძრები, სახელოსნოები და სკოლებია", წერს II საუკუნის არცთუ დიდი მწერალი, აელიოს არისტიდე. ეს რომის სიდიადეა. მაშინ, როდესაც ანდრე ემარი ლაპარაკობს „მეცნიერული სულის დაკნინებაზე", ანრი მარუ წერს, რომ „ფილოსოფია რჩება ბერძნული, ისევე როგორც მეცნიერება".

ეს სისტემა დაანგრია გერმანელთა შემოსევებმა ყველგან, გარდა იტალიისა, სადაც კიდევ ერთი საუკუნე შენარჩუნდა სკოლები, სანამ ლომბარდიელებმა საბოლოოდ არ გაანადგურეს. ამ შემოსევების ბარბაროსულობა სწორედ სკოლების მოსპობაში გამოიხატებოდა. ახალ სკოლებს, რომლებიც მონასტრების, ეპარქიების და სამრევლო ეკლესიების ირგვლივ აღმოცენდა, არაფერი ჰქონდა საერთო იმ სკოლებთან, რომელთა შესახებაც ვისაუბრეთ. გეოგრაფიულად ისინი ეკლესიების გავრცელების რუკას თანხვდებოდა, ე.ი. VI საუკუნეში სოფლების გაქრისტიანებას ექვემდებარებოდა და მხოლოდ ძალზე იშვიათად გვხვდებოდა გალურ-

რომაული ვილების ადგილას. ეს იყო ქრისტიანული სკოლები, რომელთა დაარსებაც აუცილებელი გახდა, რათა სასულიერო პირები სამუშაოდ აეყვანად. *ისე, რომ ჩვენი თანამედროვე სკოლების წინაპარი ეს სამრევლო სკოლებია და არა რომაული სკოლები.*

IV. რომის სახელმწიფო

პოლიტიკა. ამერიკული წარმოშობის ბრიტანელმა ისტორიკოსმა სერ მოზეს ფინლიმ შეძლო ბერძენთა და რომაელთა დასავლეთძე ხანგრძლივი გავლენის დამტკიცებისას კიდევ ერთი შტრიხის დამატება.

იგი ამბობს, რომ მათ გამოიგონეს *პოლიტიკა.* მართლაც, არჩევნები, საარჩევნო კამპანიები, დებატები, მჭევრმეტყველების როლი, პარტიები ან სულ მცირე - დაჯგუფებები, პროპაგანდა, რომელსაც ეწოდებოდა captatio benevolentiae - ეს ყველაფერი არსებობდა ძველი საბერძნეთის ქალაქებსა და რომის რესპუბლიკაში.

თუ პოლიტიკას ვუწოდებთ საარჩევნო თამაშებს, მაშინ დასავლეთმა ნიმუშები ძირითადად საბერძნეთისა და რომისაგან აიღო, მაგრამ თუ პოლიტიკა არის მეცნიერება ძალაუფლების შესახებ, ხოლო პრაქტიკაში ქმედება, რომელსაც მივყავართ ძალაუფლების, ან მისი ნაწილის დაპყრობისაკენ, მაშინ ის ისეთივე ძველია, როგორც ადამიანთა თემები და ბევრად უფრო ადრინდელი, ვიდრე ბერძნები და რომაელები არიან.

რომის იმპერიამ მოგვცა სხვა მაგალითებიც, მათ შორის სამი მუდმივი ინსტიტუცია: არმია, ადმინისტრაცია და გადასახადები.

მუდმივი არმია. გასაგებია არმიის მნიშვნელობა ასეთი გიგანტური ტერიტორიის დაპყრობისა და დაცვისათვის. რომის იმპერია „სამხედრო მონარქიაა". იგი ფუნქციონირებს მოქალაქეთა არმიის სისტემით, რომელიც თანდათან იქცევა პროფესიულ არმიად. მართლაც, იულიუს კეისრის დროს ლეგიონი გარდაიქმნა მუდმივ კორპუსად. სამხედრო

სამსახური ძირითადად 16 წელს გრძელდებოდა, მაგრამ შესაძლოა, მეტ ხანსაც გაგრძელებულიყო. ზოგიერთები 30 წელზე მეტხანს მსახურობდნენ ჯარში. რადგან დაქორწინება არ შეეძლოთ ჰყავდათ არაოფიციალური ცოლები, რომელთაც საბოლოოდ სპეციალური სტატუსი მოიპოვეს. ჯარისკაცები ღებულობდნენ ჯამაგირს, რომელიც იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ კორპუსს ეკუთვნოდნენ. ასევე იღებდნენ პრემიებს.

მათ ეკუთვნოდათ პენსია ფულადი დოტაციების ფორმით ან მიწების სახით, არ ეძლეოდათ ორდენები და მედლები.

უცხოელი ან მოგზაური, რომელიც ჯარისკაცად მსახურობდა რომის მოქალაქე ხდებოდა.

წვრთნა მკაცრი იყო. მასში შედიოდა სიარული, სირბილი, ხტომა, ცურვა, მიზანში სროლა, ფარიკაობა, ცხენოსნობა, ბაგირზე ცოცვა. მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცი აგებდა ბანაკებს, აკვედუკებს, ტაძრებს, ხიდებს, აშრობდა ჭაობებს, მონაწილეობდა იმ განთქმული გზების მშენებლობაში, რომლებმაც რომაულ სამყაროს არაჩვეულებრივი საგზაო ქსელი შესძინა ხმელეთზე, რომელმაც შეავსო მათივე მნიშვნელოვანი საზღვაო მიმოსვლა.

არმია შედგებოდა ლეგიონებისაგან, რომლებიც ათ კოჰორტად დაყოფილ პატარა დივიზიებს უერთდებოდა, თითოეულ კოჰორტაში სამი მანიპულა შედიოდა, რომლებიც თავის მხრივ ორ ცენტურიას შეიცავდა. ლეგიონებს ემატებოდა მრავალრიცხოვანი დამხმარე ჯარები და მოკავშირეები.

იმპერიის ზეობის პერიოდში, როცა მოსახლეობის რაოდენობა 80 მილიონით განისაზღვრებოდა, რომაული არმია 400 000 კაცისგან შედგებოდა. როგორც აღმოჩნდა, ეს რაოდენობა არ იყო საკმარისი და იწვევდა რთულ და სახიფათო გადაადგილებებს.

რათა თავიდან აეცილებინათ ამდენი გადაადგილება, ადგილობრივ რეკრუტირებას მიმართავდნენ, რის გამოც თითოეული რეგიონის არმია, როგორიც იყო მაგალითად ბრეტანის, რაინის, დუნაის, ესპანეთის, აფრიკის აღმოსავლეთის არმიები, სულ უფრო და უფრო განსხვავებული ხდებოდა სხვებისგან.

ამ არმიაში მკაცრი იერარქია მოქმედებდა, იქ იყვნენ დაბალი და მაღალი რანგის ოფიცრები. იმპერატორს თავის გარშემო *კომიტების* დიდი შტაბი ჰყავდა შემოკრებილი, საიდანაც წარმოიშვა სახელები „კომპანიონი" და შემდეგ „გრაფი" (comte). ეს არმია იყო რომის სიმბოლო და სწორედ ამიტომ დავყოვნდით ასე დიდხანს მასზე.

ჯარისკაცები სწავლობდნენ დისციპლინას, ბრძოლის წარმოების ხელოვნებას, ძალისხმევას, სოლიდარობას: ისინი წლობით ერთად იბრძოდნენ და შესაბამისად კარგად იცნობდნენ ერთმანეთს.

ბრძოლის დროს მათ კარგად იცოდნენ, რისი იმედი შეიძლება ჰქონოდათ გვერდით მყოფებისაგან, მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭი იქნებოდა, რომ არ არსებულიყო - ყოველ შემთხვევაში III საუკუნის დასაწყისამდე მაინც - პატრიოტიზმი და მორალური სულისკვეთება მართვის ყველა დონეზე.

ლათინურენოვანი ლიტერატურის ყველა ტექსტი ამ მიმართულებას გამოხატავს და ადვილი მისახვედრია რა უდიდეს გავლენას მოახდენდა ეს ლიტერატურა XIX საუკუნის არმიებზე, ნაციონალიზმის ეპოქაში.

ამ არმიის დანიშნულება არ იყო ნგრევა, განადგურება; მას ევალებოდა დაეცვა გამაგრებული საზღვარი *ლიმესებით*[1], რაინის ლიმესებს 9 000 კმ ეკავა, დუნაისას 2 700 კმ, აღმოსავლეთისას 2 000 კმ, ხოლო აფრიკისას 2 500 კმ. რომაელები ყველას მიმართ, გარდა კართაგენისა და ებრაელი ხალხისა, რომელიც გაბნეული იყო, მშვიდობის

შენარჩუნების სურვილის გამო შემწყნარებლურად იქცეოდნენ, ან ასიმილაციას ცდილობდნენ, ან პროტექტორატს ამკვიდრებდნენ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი პატივს სცემდნენ სხვადასხვა ეროვნებებს.

მუდმივი ადმინისტრაცია. I საუკუნეში ქალაქები ინარჩუნებენ თავიანთ პრივილეგიებს, თუმცა მაგისტრატურების და მართვის რეჟიმების დიდ მოქნილობას და მრავალფეროვნებას ვხვდებით. მაღალი იმპერია ურბანული სისტემაა..

ლიმესი[1] - სასაზღვრო ოლქი

მუნიციპალური თავისუფლების დაკარგვა IV საუკუნეში მრავალი ქალაქის განადგურებით დამთავრდა.

აღვნიშნოთ პროვინციული ასამბლეების არსებობა, რომელთაც შეეძლოთ იმპერატორისთვის გადაეცათ საჩივრები გუბერნატორის წინააღმდეგ.

აქ ვერ ჩაუღრმავდებით ადმინისტრაციის განვითარების საფეხურებს და დეტალებს. ჩამოვთვალოთ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც დღესაც ხმარებაშია სხვადასხვა ინსტიტუტებთან თუ ფუნქციებთან მიმართებაში. ეს სიტყვებია: მაგისტრატურა, ედილი, კვესტორი, გუბერნატორი, პრეფექტი, ლეგატი, ქალაქი, პროვინცია, პრეტორიუმი, სენატი, ცენზურა, ტრიბუნი და სხვა.

რა თქმა უნდა ეს გადარჩენილი სიტყვები ბევრად უფრო საცნაურია რომაულ ენებში, ვიდრე გერმანიკულში.

მუდმივი გადასახადები. რომაელთა ფისკალური ორგანიზაცია აგრეთვე აღნიშვნის ღირსია. რომი გახდა დიდი ფინანსური ასპარეზი, კაპიტალთა ერთადერთი ბაზარი, რომელიც ექსკლუზიურად იმპორტით იყო დაკავებული. სამაგიეროდ, პროვინციების ულმობელი ექსპლუატაცია წარმოებდა, ყოველ შემთხვევაში იმპერიის შექმნამდე. ამიტომ ფინანსური სისტემა მოდიფიკაციას მოითხოვდა ამ უთანაბრობის დასაძლევად. საერთოდაც, ამ უზარმაზარ იმპერიას, რომელიც თავის არმიას - რომელსაც რეგულარულად უხდიდა ხელფასს და ძლიერ ადმინისტრაციას ეყრდნობოდა - აუცილებლად სჭირდებოდა ისეთი ფისკალური ორგანიზაცია, რომელიც არასდროს უმტყუნებდა.

გადასახადები იყო პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირ გადასახადად ითვლებოდა ძირითადად მიწის გადასახადი. ავგუსტუსის დროს ჩატარდა მოსახლეობის პირველი აღწერა, სწორედ ის აღწერა, რომელმაც იესოს მშობლები ბეთლემში მიიყვანა და დაიწყეს კადასტრის გიგანტური სამუშაოები, რომლებიც მხოლოდ ტრაიანეს მმართველობის დროს დასრულდა (98-117). იყო აგრეთვე პერსონალური გადასახადი, ანუ „კაპიტაციონი". მიწის გადასახადი და „კაპიტაციონი" საშემოსავლო გადასახადები იყო. არსებო-

ბდა აგრეთვე გადასახადი კაპიტალზე, ანუ მემკვიდრეობის ერთი მეოცედი ნაწილი.

არაპირდაპირი გადასახადებიდან მთავარი იყო საბაჟო. საგარეო საბაჟო არ არსებობდა, რადგანაც იმპერია თავის თავს ინახავდა. მაგრამ არსებობდა შიდა საბაჟოების ქსელი. გარდა ამისა დაადგინეს გადასახადი სავაჭრო ოპერაციებზე.

პრინციპში ორი ცენტრალური ხაზინა იყო, ერთი საზრდოობდა იტალიის და სენატორების მიერ მართული პროვინციების, ანუ „აერარიუმების" გადასახადებით და ერქვა სენატის ხაზინა, მეორეს ეწოდებოდა ფისკუსი (fiscus), ანუ იმპერიის ხაზინა, რომელმაც საბოლოოდ ყველა რესურსი შთანთქა. შეიქმნა მონაგარიშის, ანუ „რაციონიბუსის" თანამდებობა, რომელიც დაახლოებით ფინანსთა მინისტრის მოადგილეს უდრიდა და მას გათავისუფლებული მონების და მონების საკმაოდ დიდი შტატი ეხმარებოდა.

ყოველ პროვინციაში ფისკალურ საკითხებს ფინანსური პროკურორი განაგებდა, რადგანაც ამიერიდან ფერმის სისტემა ქრება და მის ადგილს იკავებს ე.წ. „რეგია", ანუ გადასახადების პირდაპირი აკრეფა.

V. რომაული სამართალი, სახელმწიფო და ოჯახი

რომი თავიდან ქალაქი იყო, რომელსაც ოლიგარქია მართავდა, რადგანაც მცხოვრებნი უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ მან თანდათან უზარმაზარი ტერიტორია დაიკავა. პატარა რესპუბლიკის კონსტიტუციით შესაძლებელი იყო დაპყრობა, მაგრამ არა მართვა. განა ოლიგარქია დესპოტიზმს უნდა შეეცვალა?

იმპერიის პირველი წლებიდანვე რომაელებმა სხვა გადაწყვეტილება მიიღეს: უნდა ყოფილიყო „რეს პუბლიკა" (res publica), აღებული „სახელმწიფოს" ფართო მნიშვნელობით. იმპერატორები ღმერთების დახმარებით მართავდნენ „მორალურ პიროვნებას", რაც წარმოადგენდა სამფლობელოთა

ჯამს და მათ მოსახლეობას. იმპერატორის სიკვდილის შემთხვევაში რესპუბლიკა რჩებოდა.

V საუკუნეში იმპერიის დაშლასთან ერთად სახელმწიფო გაქრა, მაგრამ იდეალი კვლავაც ცოცხლობს და როცა სურთ იმპერიის თუ სამეფოს კონსოლიდაცია, რომით შთაგონებული მოხელეები მარჯვედ ცდილობენ მისი ინსტიტუციების მიბაძვას.

რომაული სამართალი. რომაელები ბერძნებთან ერთად იყვნენ შეუდარებელი კანონშემოქმედნი და განსაკუთრებით გამახვილებული ჰქონდათ სამართლის გრძნობა, რომელსაც განიხილავდნენ, როგორც ერთიან, რაციონალურ სიმრავლეს, რომლის მიზანია შექმნას სამართლიანი საზოგადოება, რომელშიც ინდივიდი მთლიანად სარგებლობს თავისი ქონებით იმ პირობით, თუ იგი მამრობითი სქესისაა, ოჯახის უფროსია ან თავისუფალი ადამიანია.

XII ტაბულების კანონის შემდეგ, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 450 წლით თარიღდება, მაგრამ არ აღმოუჩენიათ, რომაელებმა უმატეს კრებულების და ფორმულარების შექმნას.

ამ ძველ სამართალში დიდი გერმანელი იურისტი რუდოლფ ფონ იერინგი ორ ძირითად ღირსებას გამოყოფს: თავდაპირველად სიზუსტეს და სიმტკიცეს, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას მოსამართლის მხრიდან.

მეორეს მხრივ, ეს არის თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტია, რომელიც მოქალაქეს, ოჯახის უფროს მამაკაცს, თუ თავისუფალ ადამიანს ენიჭება.

იმპერიის დროს მრავალი წერილობითი ტრაქტატი შეიქმნა, მაგრამ მთლიანი კოდექსი, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ ჩვენს დრომდეც კი, ძლიერ მოგვიანებით დაიწერა: ეს არის თეოდოსიუს II-ის კოდექსი (438წ), რომელიც ატილას შემოსევების დროს შეადგინეს, იუსტინიანეს სამოქალაქო სამართლის კორპუსი (Corpus juris civilis), რომელიც მოიცავდა 529-ის კოდექსს და მოსდევდა Digeste, ანუ Pendectes, Institutes და Novelles-ი.

ოჯახი და სამართალი. რომაული სამართლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ადამიანთა სტატუსის დადგენა: ამას Digeste-ს ერთი თავი ეძღვნება. ადამიანები არ არიან თანასწორნი, ებრაული ან ქრისტიანული კანონებისგან განსხვავებით. ომის დროს წამოყვანილი ან მონა ქალისგან ნაშობი მონები არ ითვლებიან იურიდიულ პირებად. ისინი ბატონების განკარგულებაში არიან, რომელთაც უფლება აქვთ ისინი სცემონ და მოკლან. მათ არ აქვთ უფლება რაიმეს ფლობდნენ ან სარჩელი შეიტანონ სასამართლოში.

უცხოელები იყოფიან ლათინებად, რომელთაც უფლება აქვთ იქორწინონ რომაელებზე ან მოგზაურებზე, ამ უკანასკნელთ კი განსაკუთრებული პრივილეგიების გარდა, ეს უფლება არ გააჩნიათ.

ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდა, სხვა თავისუფალ პიროვნებებს მოქალაქეობის უფლება არ აქვთ. ვაჟები ამ უფლებას ოჯახის შექმნისას იღებენ, ქალები - არასოდეს. მამის სიკვდილის შემდეგ ქალზე მის გათხოვებამდე ბიძა ან ბიძაშვილი ბატონობს, გათხოვების შემდეგ კი - მეუღლე.

ამგვარად, კლასიკური რომაული ოჯახი ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე კელტური ან გერმანული, როგორც ამას მომავალში ვნახავთ. დღევანდელი ევროპელი გათავისუფლდა ამ მძიმე რომაული ოჯახური სტრუქტურისაგან, რომელმაც რესპუბლიკის დასასრულისათვის ერთგვარი მოქნილობა შეიძინა, როგორიც იყო მაგალითად, ქორწინების ახალი ტიპი,განთავისუფლება,რაც საშუალებას აძლევდა ქალებს თავიანთი ქონება შეენარჩუნებინათ.

აბსოლუტური მფლობელობის უფლება. სისტემის მეორე დამახასიათებელია აბსოლუტური მფლობელობის უფლება, dominum ex jure quiritum, ანუ საკუთრება რომაული სამართლის მიხედვით ფრანგული სიტყვა „domaine" (სამფლობელო) მოდის dominium-იდან.

ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსში ბევრი რამ არის აქედან აღებული. თუმცა ზოგიერთი მიწები ამ ტიპის მფლობელობაში არ იმყოფება: „სახალხო" მიწები, რომლე-

ბიც დაპყრობითაა მოპოვებული, „საზოგადო, საერთო" მიწები და ა.შ.

რომის სამართალი საუკუნეების მანძილზე. მთელ ევროპაში რომაული სამართლის წარმატების მიზეზი ნაკლებად უნდა ვეძებოთ მის შინაარსში, რომელიც უთანასწორო, სასტიკი და მძაფრია. ამ წარმატების საიდუმლო მისი პირობების სანაქებო სიზუსტეა.

თავიდან დასავლეთში რომაულმა სამართალმა მარცხი იწვნია გერმანიკული ხალხების სხვადასხვა კანონების სასარგებლოდ.

კარგადაა ცნობილი გუთების კანონები და განსაკუთრებით მათი დამთხვევა რომის სამართალთან იტალიასა და ესპანეთში. გერმანული წარმოშობის უმცირესობა თავის კანონებს იცავდა, მაშინ როდესაც ლათინები და ესპანელ-ლათინები რომის სამართლის მიხედვით ცხოვრობდნენ. ეს არის *კანონების პიროვნულობის* სისტემა. კარგად არის აგრეთვე ცნობილი ფრანკების *სალიკური კანონი,* სადაც ყველაფერს წყვეტს არა ინდივიდი, არამედ ოჯახი. მთელი განვითარებული შუა საუკუნეების განმავლობაში „სამართალი თითქმის მთლიანად ჩვეულებითია; ყოველგვარი მეცნიერული და სისტემატიზებული სამართალი გაქრა", წერს ჟაკ ელული.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ინგლისში რომაული სამართალი აღარ გამოჩნდება და მასზე საბოლოოდ გაიმარჯვებს ყოვლად ორიგინალური Common Law.

სხვაგან უცნაური მოვლენა ხდება. სამართლის გამოყენება მოსამართლეთა მიერ წარმოებს ჩვეულებრივი სამართლის მიხედვით: ტრაქტატები ქვეყნდება სწორედ კუტიუმის კანონთა კრებულის სახელით; მაგრამ უნივერსიტეტები და „დოქტრინა" მხოლოდ კანონიკურ, ანუ საეკლესიო სამართალს და რომაულ სამართალს ცნობენ.

მივყვეთ საუკუნეთა დინებას. XV საუკუნის დასასრულიდან რენესანსი მეცნიერულ კვლევას რომაული სამართლით აძლიერებს. ეს ტიპიური ევროპული ამბავია. ამ კვლევასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე პრესტი-

ჟული პიროვნება გახლდათ ვალენსიისა და ბურჟის პროფესორი ჟაკ კიუჟა, რომელიც ტულუზაში დაიბადა 1 522 წელს და გარდაიცვალა 1 590 წელს.

XVIII საუკუნეში რომაული სამართალი სამეცნიერო კვლევის საგანი ხდება გერმანიასა და ჰოლანდიაში. XIX საუკუნეში ამ დარგის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მკვლევარია გერმანელი ფრედერიკ-შარლ დე სავინი, რომელიც 1818-1842 წლებში ბერლინის უნივერსტეტის პროფესორი იყო, ხოლო შემდეგ პრუსიის მთავრობის მინისტრი. სავინი, რომელმაც ამაში მონტესკიეს მიბაძა, თვლის, რომ სამართალი ისტორიულ ასპექტში უნდა იყოს შესწავლილი. მისი 1815 წლით დათარიღებული დიდი ნაშრომი „რომაული სამართლის ისტორია შუა საუკუნეებში" ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ფაქტების საუკეთესო სინთეზია.

ძნელია თავის შეკავება იმისგან, რომ რომაული სამართლის ეს თანმიმდევრული გამოხმობა არ შევადაროთ ზემოთმოხსენებული რომაული არქიტექტორული ძეგლების მოგონებებს.

VI. ევროპის რომისეული ხედვა

რომის მიერ წარმოებული დაპყრობების შემდეგ ხმელთაშუაზღვის სამყაროს პოლიტიკური სიმძიმის ცენტრმა დასავლეთისკენ გადაინაცვლა და ევროპულ ქალაქში, რომში დაიდო ბინა.

სამყაროს შეცნობამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და ჩვენ შეგვიძლია გეოგრაფებთან კონულტაციების საფუძველზე ზუსტი თვალსაზრისი შევიმუშავოთ.

სტრაბონის ევროპა. სტრაბონი რომში ემიგრირებული ბერძენი იყო და თავისი „გეოგრაფია" ქრისტიანული ერის დაწყებამდე ოდნავ ადრე დაწერა. იგი თავის წინამორბედებზე, მათ შორის პოლიბიუსზე უფრო დეტალურად და სრულად აღწერს ევროპას. იგი გვიჩვენებს, რომ ევროპა რამდენიმე შვერილის ირგვლივ ვითარდება და აქვს „სამი კონტინენტიდან ყველაზე არარეგულარული ფორმა",

შემდეგ მას სურს ევროპის გლობალური ხედვა გვიჩვენოს: „ევროპით უნდა დავიწყო, რადგანაც მისი ფორმები ყველაზე მრავალფეროვანია და ბუნებით შესანიშნავად მორგებული ადამიანების და მთავრობების წარმატებულ განვითარებას. აგრეთვე იმიტომაც, რომ თავისი რესურსების წყალობით იგი სხვა კონტინენტების განვითარებასაც უწყობს ხელს" - ამბობს იგი.

იგი საცხოვრებლად ვარგისია, გარდა მცირე ცივი რეგიონისა, რომელიც მაეოტისის ტბის (აზოვის ზღვის) ჩრდილოეთით და ტანაისის (ანუ დონის) მიდამოებში მდებარეობს.

სტრაბონი აგრძელებს: საცხოვრებელი ზონა მთებისა და დაბლობებისგან შედგება. მთებში ბუნებრივია, სილარიბე მეფობს, მაგრამ ამ რეგიონების მცხოვრებნი კარგი მმართველობის პირობებში უფრო ცივილიზებულნი ხდებიან.

სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას ბერძნების მაგალითზე, „რომაელებმა დაიპყრეს აგრეთვე ერები, რომლებიც ბუნებრივია, ველურები იყვნენ თავიანთი საცხოვრებელი რეგიონების გამო... მათ არა მარტო ერთმანეთთან დააკავშირეს ისინი, არამედ ყველაზე ველურებსაც კი ასწავლეს სახელმწიფოს მართვის წესების შესაბამისად ცხოვრება".

სტრაბონის აზრით, ზომიერი ჰავის მქონე დაბლობები მოლიმარნი, ხოლო მათი მოსახლეობა მშვიდობიანია.

იგი ამჩნევს, რომ ბარის მკვიდრი ადამიანები და მთაში მოსახლე მამაცი მეომრები ერთმანეთს ავსებენ. ვინაიდან მშვიდობიანი ელემენტი სჭარბობდა, მან შეძლო კონტროლის განხორციელება მთელ ტერიტორიაზე, როგორც ეს მოხდა ბერძნების, მაკედონელების და რომაელების შემთხვევაში. და ამ მიზეზით ევროპა სრულიად დამოუკიდებელია სხვა ქვეყნებისგან ომისა და მშვიდობის საკითხში. „იგი მდიდარია ლითონებით, მსხვილფეხა საქონლით და მხოლოდ სანელებლების და ძვირფასი ქვების იმპორტს აწარმოებს".

ევროპაში შედის იბერია, პირენეებსა და რაინს შორის მდებარე კელტიკა, ბრეტანი. აღმოსავლეთით იგი შუაზე იყოფა დუნაის მიერ. ამ დიდი მდინარის მარცხენა ნაპირზე

გერმანელები, გეთები, ტირგეთები, ბასტარნები და სარმატები სახლობენ მდინარე დონამდე. მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს თრაკია, ილირია, საბერძნეთი. საინტერესო ფაქტია: რომაელებს უკაკიათ თითქმის მთელი ევროპა, გარდა ისტერის გაღმა მდებარე ტერიტორიებისა და რაინისა და ტანაისს (დონს) შორის მდებარე ოკეანის სანაპირო ზოლისა.

სტრაბონისთვის პრაქტიკულად უცნობია ორი ზონა: სკანდინავიის ქვეყნები, რადგანაც ის ერთმანეთში ურევს ბალტიის ზღვას და ოკეანეს და დიდ დაბლობს, რომელიც გადაჭიმულია ბალტიის ზღვიდან დონამდე. თუმცა იმ დროს, როცა სტრაბონი წერდა, რომმა თავისი იმპერია უფრო განავრცო აფრიკაში, სადაც მას ეკავა მხოლოდ ახლანდელი ტუნისის ტერიტორია და აზიაში, სადაც ფლობდა მცირე აზიის დასავლეთსა და ჩრდილოეთს და სირიის ერთ ნაწილს.

პლინიუს უფროსის ევროპა. პლინიუს უფროსმა თავისი „ბუნებრივი ისტორია" სტრაბონის შემდეგ დაწერა, ერთ საუკუნეზე ნაკლები დრო იყო გასული. ამ წიგნის III და IV თავები ევროპას ეძღვნება.

მსოფლიო სამ ნაწილადაა გაყოფილი: ევროპა, აზია და აფრიკა: „ჯერ ევროპის შესახებ ვილაპარაკებ, რომელმაც ყველა ერების გამარჯვებული ხალხები მოიცვა, და რომლის სილამაზეც სხვა ქვეყნებისას ბევრად სჭარბობს" (III, 1) პლინიუსი ცუდად იცნობს ჩრდილო აღმოსავლეთს. ბორისთემების და რამდენიმე სხვა ხალხის შემდეგ მოდიან მომთაბარეები, ანთროპოფაგები, ჰიპერბორეელები, ბედნიერი ხალხი, რომელიც ცნობილია საარაკო სასწაულებით და სადაც დედამიწის საზღვარია განთავსებული (IV, 26).

ევროპის ჩრდილო საზღვრები დააზუსტა ქსენოფონე ლამპსაცენუსმა და მანვე მოიხსენია ბალტია და სკანდინავია. ანტიკური ხანის ყველაზე დიდმა გეოგრაფმა კლაუდიუს პტოლემეუს ალექსანდრიელმა ჩვ.წ.-ის II საუკუნეში გააღრმავა ცოდნა ევროპის ირგვლივ, მაგრამ ჯერ კიდევ სწამდა, რომ სკანდინავია კუნძულს წარმოადგენდა, თუმცა როგორიც არ უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული მონაცემები,

უნდა ვაღიაროთ, რომ რომაელთა დაპყრობები გეოგრაფიული კონცეპტისგან დამოუკიდებლად წარმოებდა.

ღერძის როლი სწორედ ხმელთაშუა ზღვამ შეასრულა და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ზღვის ირგვლივ წარმოშობილი ერთეული ნაკლებად ლოგიკური არ უნდა იყოს, ვიდრე ვრცელი კონტინენტური სივრცის ირგვლივ მდებარე ერთეული. ეს ხმელთაშუაზღვისეული სამყარო „რომმა მისი დაპყრობით შექმნა", წერს ანდრე ემარი.

მწერალთა გულგრილობა. ასეთ პირობებში შეიძლება ვილაპარაკოთ „პოლიტიკურ" ევროპაზე?

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არა. და ისედაც, ევროპის შესახებ ძალზე ცოტას ლაპარაკობენ. კეისარი მასზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს. ვირგილიუსი მხოლოდ ეპიზოდურად ახსენებს და დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს მას. იგივე შეიძლება ითქვას ციცერონის, ჰორაციუსის, სტაციუსის, სალუსტის, ტაციტუსის, აპიენუსის და წმინდა ავგუსტინეს შესახებ.

დასკვნა. აღმოსავლეთი და დასავლეთი. პრობლება იმის ცოდნაშია, თუ რომაული სოლიდარობა სრული თუ არა, დამაკმაყოფილებელი მაინც თუ იყო აპოგეის დროს, „ინტეგრირებული" იყო თუ არა რომაული სამყარო, თუ მასში დაძაბულობები იგრძნობოდა, კერძოდ კი „ბზარის" ფაქტორები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ამ კითხვაზე პასუხი ალბათ რთულია, რადგანაც სხვადასხვაგვარი იქნება საუკუნეების მიხედვით.

ავგუსტუსის მმართველობის დროს, აღმოსავლეთი ახალი დაპყრობილი იყო. დასავლეთელებს უყვართ საკუთარი უპირატესობის მტკიცება. ასე ხდება ვირგილიუსთან: მისთვის ენეოსი ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთის და დასავლეთის კავშირის სიმბოლოცაა და დასავლეთის უპირატესობაც. შემთხვევითი არ არის, რომ ტროიდან იგი დასავლეთისკენ გარბის. სად აპირებთ წასვლას? დასავლეთში? აფრიკაში? არა. დიდონას მომხიბლველობა საკმარისი არ არის მისი დაყოვნებისთვის. ის ევროპაში ჩადის, ბინავდება და მისი არჩევანია მომავალი აქციუმის ბრძოლის

სიმბოლო, რომელშიც ოქტავიუსის მეთაურობით დასავლეთი ზეიმობს გამარჯვებას აღმოსავლეთზე, რომელსაც ანტონიუსი მიენდო.

ერთი საუკუნის შემდეგ, როგორც ჩანს, ერთიანობამ იმძლავრა მრავალფეროვნებაზე. რომს მოაწყდა ხალხი აღმოსავლეთიდან და მათთან ერთად მთელ იმპერიაში გავრცელდა მათი რელიგიები. ვაჭრობა იმპერიის მასშტაბით განვითარდა. გზებმა და გალერებმა სტრუქტურული კავშირები დაამყარა, ლეგიონები ადგილებზე მაშინვე არ იქმნება და ასეთ შემთხვევაშიც კი მათ ყოველ კუთხეში შეიძლება იმოძრაონ, რომაული ქალაქის სამართალი გავრცელებას ჰპოვებს. გენიალური იურისტების მიერ შემუშავებული სამართალი იგივეა სირიისა თუ ბრეტანის მოქალაქეებისთვის და 212 წელს ყველა თავისუფალი ადამიანი რომის მოქალაქე ხდება. მთავარი ალბათ ისაა, რომ იმპერია არის civitates-ების ქსელი, ეს არის ურბანული ბირთვები, რომლებიც აბსოლუტურად დომინირებენ მეზობელ სოფლებზე. სწორედ ქალაქები ქმნიან არმიაზე მეტად ერთიანობას. ისინი მართლაც ცენტრალიზებული და მყარი ადმინისტრაციის საყრდენებს წარმოადგენენ. ერთიანობის შესუსტება ემთხვევა ქალაქების შესუსტებას. სირიიდან გალიამდე, ესპანეთიდან ტუნისამდე იგივე ტაძრებს, იგივე პორტიკებს, იგივე აკვედუკებს და არენებს ვხვდებით. იმპერია ორენოვანია: იქ ბერძნულ და ლათინურ ენებზე ლაპარაკობენ და ამას ემატება ადგილობრივი ენების მოზაიკა, რომელთაც ძირითადად დაკარგეს მნიშვნელობა.

ყველაფრის მიუხედავად ბერძნულ-რომაული ისტორიის 700 წელი დასასრულს მიუახლოვდა. ეს დასასრული კი იმ საკვირველ მოვლენას უკავშირდება, რომელზეც პიერ პურსელმა (ბერძნული მწერლობა დასავლეთში მაკრობედან კასიოდორემდე, (1948) და ყველაზე დიდმა ფრანგმა ბიზანტინოლოგმა, პოლ ლემერლმა მიუთითეს (პირველი ბიზანტიური ჰუმანიზმი): ეს იყო ბერძნული ენის გაუჩინარება მთელ დასავლეთში დაახლოებით ათი საუკუნის განმავლობაში. მოვუსმინოთ ლემერლს: „პ. კურსელის გამოკვლევებმა დაადგინა, რომ V საუკუნიდან მოყოლებული, ბერძ-

ნული ენა აღარ გვხვდება ესპანეთში, ბრეტანსა და ირლანდიაში; აფრიკაში ეს ცვლილება გამოიწვია ვანდალურმა დაპყრობამ, გალიაში კი V-VI საუკუნეების მიჯნაზე მოხდა მისი მოსპობა; იტალიაში ბოლო თაობა, რომელმაც ბერძნული იცოდა, არის ბოეთ იუსის (გარდაიცვალა 525 წელს) და კასიოდორეს (გარდაიცვალა დაახლ. 570 წელს) თაობა და თვით რომშიც კი აღარ კითხულობენ 600 წლის მიდამოებში ყველაზე გამოჩენილი ბერძენი წმინდა მამების წიგნებს. ცნობილია, სხვათა შორის, რომ პაპმა გრიგოლ დიდმა (590-604), მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვანი რომაული ოჯახიდან იყო და კონსტანტინოპოლში ნუნციოსად (ელჩად) იყო ნამყოფი, ბერძნული ენა არ იცოდა. რავენაში, რომელიც ბიზანტიური ეგზარქატის, ანუ ბიზანტიური იტალიის დედაქალაქად ითვლებოდა VII საუკუნეში, ძალზე უჭირდათ ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც კონსტანტინოპოლის კართან ბერძნულ ენაზე მიწერ-მოწერის წარმოებას ითავებდა. ისიდორე სევილიელის ბიბლიოთეკაში დაცული იყო ბერძენი მამების, ორიგენეს, იოანე ოქროპირის თარგმანები, მაგრამ ისიდორეს ბერძნული ენისა და კულტურის არავითარი ცოდნა არ გააჩნდა, წარმართული იქნებოდა იგი თუ ქრისტიანული. გრიგულ ტურელმა ბერძნული ერთი სიტყვაც კი არ იცოდა, ასევე იყო პუატიეს ეპისკოპოსი ფორტუნატიც (530-609), რომელიც აღიარებს, რომ არაფერი გაეგება პლატონის ან არისტოტელეს შესახებ; იგივე ითქმის ირლანდიელ წმინდა კოლომბანზეც.

„თითქოს გემი დაიმსხვრა და აქა-იქ მისი რამდენიმე ნაშთი ტივტივებს".

აღმოსავლეთ რომის იმპერიამ მართლაც იარსება და დროდადრო დიდი როლიც შეასრულა, მაგრამ XIII საუკუნიდან დაწყებული, ყოველთვის გარშემოტყმულმა დასავლეთელი ჯვაროსნებით თუ ბარბაროსების ახალი ტალღებით, შეწყვიტა არსებობა, როგორც მძლავრმა სახელმწიფომ. მისგან ერთადერთი ქალქი, კონსტანტინოპოლი დარჩა, რომელიც წლების განმავლობაში ალყაშემორტყმული იყო და 1453 წელს საბოლოოდ დაეცა.

5
ქრისტიანულ დაპყრობათა პირველი ოთხი საუკუნე დასავლეთში

I.იუდეურ-ქრისტიანული გავლენის ძირეული ასპექტები

კლასიკური ისტორიის გარდა არსებობს „წმინდა ისტორია". ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მათი კავშირი იმდენად სუსტი იყო, რომ მე-XIX საუკუნეში ტექსტების კრიტიკა, მათი ინტერპრეტაცია იქამდე მივიდა, რომ უარყო წმინდა ისტორიაში მოთხრობილი მოვლენები, რომლებიც ნახსენები არ იყო კლასიკურ ისტორიაში, მაგალითად თვით იესო ქრისტეს არსებობა. მე-XX საუკუნეში წარმოებულმა უფრო გაღრმავებულმა კვლევა-ძიებამ და კერძოდ „მკვდარი ზღვის ხელნაწერების" შესწავლამ, რომლებიც პალესტინის უდაბნოში, გამოქვაბულში ნაპოვნ თიხის ჭურჭელში აღმოაჩინეს, ბევრი ახალი დამამტკიცებელი საბუთი და კავშირი გამოავლინა. უდაოა, რომ ისტორიული იესო არსებობდა. სწორედ ასე ეწოდება 1982 წელს გოალია კორნელდის მიერ გამოქვეყნებულ შესანიშნავ ნაშრომს: The Historical Jesus.

ცნობილია, რომ აბრაამით, რომელმაც ძვ.წ. დაახლ. 1800 წელს, ანუ ბრინჯაოს ხანაში დატოვა ქალაქი ური ქალდეაში, იწყება „წმინდა ხალხის" ისტორია, რომელსაც შემდეგ აბრაამის შვილიშვილის, იაკობის სახელი ეწოდა, რომელიც ისრაელი გახდა მას შემდეგ, რაც სიზმარში ანგელოზს შეებრძოლა: ისრაელი სიტყვა-სიტყვით მართლაც ნიშნავს: „ვინც ღმერთს შეებრძოლა".

ბიბლია. ძველი აღთქმა. ყველა წერილობით ძეგლს, რომელიც ერთადერთი ღმერთის, იაჰვეს თაყვანისმცემელ, მგზნებარე, ზოგჯერ დამპყრობელ, ზოგჯერ დაპყრობილ, მაგრამ ყოველთვის დაუმორჩილებელ ხალხთან არის დაკავშირებული, ბიბლია ეწოდება, სიტყვიდან „ბიბლოს" (წიგნი).

ბიბლია არის ისრაელთა, ანუ ებრაელთა, ანუ ურიათა წმინდა წიგნი. ებრაელის აღმნიშვნელი ფრანგული სიტყვა juif წარმოსდგება იაკობის ერთ-ერთი ვაჟის, იუდას (juda) სახელიდან. ქრისტიანებისათვის ეს ძველი აღთქმაა. ევროპაში და აფრიკაში გაბნეული ებრაელების დიასპორის, ისევე როგორც ქრისტიანთა არსებობა ხშირად საფრთხის წინაშე იდგა, განსაკუთრებით ახ.წ. 70 წელს ტიტუსის მიერ ამბოხებული იერუსალიმის აღების და დანგრევის შემდეგ. ბოლო ორი ათასწლეულის მანძილზე ებრაელებმა მნიშვნელოვანი და *პირდაპირი* გავლენა მოახდინეს ევროპაზე.

მაგრამ სწორედ ქრისტიანული მემკვიდრეობითობის გამო წარმოადგენს რჩეული ხალხი ჩვენი ევროპული ისტორიის ერთ-ერთ საფუძველს. ღვთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

ახალი აღთქმა. იუდეური ტრადიციის და მისი განვითარების საფუძველზე ქრისტიანობა წარმოიშვა პალესტინაში, უბრალო ნაზარეთელი დურგლის იესოს წყალობით. VI საუკუნეში, როცა სკვითი ბერი დენის უმცროსი შეეცადა ახალი ქრისტიანული კალენდარი შეეჯერებინა რომაულ კალენდართან იესო ქრისტეს დაბადების შემდეგ, იგი ოთხი წლით შეცდა რაც გვაფიქრებინებს, რომ იესო ნაზარეველი დაიბადა ძვ.წ. 4 წელს.

იგი მდინარე იორდანეში მონათლა მისმა ბიძაშვილმა იოანე ნათლისმცემელმა 28 წლის ასაკში და მას შემდეგ რაც, 3 წლის განმავლობაში იქადაგა, ჯვარს აცვეს. სავარაუდოდ ეს მოხდა ახ.წ. 30 წლის აპრილს რომაელი პროკურატორის პილატე პონტოელის განკარგულებით, რომელმაც ებრაელი დიდებულების ზეწოლას ვერ გაუძლო. გავიხსენოთ, რომ რომმა პალესტინის ანექსია მოახდინა მას შემდეგ, რაც იგი პომპეუსმა დაიპყრო ძვ.წ. 64 წელს.

იესოს ცხოვრების ოთხი მოთხრობა, რომლებიც სახარებებს (კარგი ამბავი) შეადგენს და წმინდა პავლეს წერილები გვამცნობს, რომ მესამე დღეს იესო მკვდრეთით აღდგა და რამდენჯერმე გამოეცხადა მოციქულებს და მოწაფეებს, რომლებიც გარს ეხვივნენ. ერთერთი მახარობელი მათე

(XXVIII, 16-20) მოგვითხრობს, რომ გალილეაში იესო მთაზე გამოჩნდა და მათ მიმართა: „წადით და ყველა ერი გაანათლეთ, მონათლეთ ისინი მამის, ძის და სულიწმიდის სახელით, ასწავლეთ მათ ყველაფერი იმის დაცვა, რაც მე გითხარით".

ეს ფრაზა ავსებს იმ ადამიანის სწავლებას, რომელსაც ქრისტეს უწოდებდნენ, ანუ „მირონცხებულს", რაც ებრაული ენის სიტყვის „მესიის" ბერძნული თარგმანია: ეს კაცი უნდა მოსულიყო რჩეული ერის გადასარჩენად. იგი დაახლოებით ორი ათასწლეულია, რაც წარმოადგენს იმ საზოგადოების ცოცხალ ქარტეას, რომელსაც ეკლესია ეწოდება.

თავიდან ყველაფერი ერთი მოკრძალებული სექტით დაიწყო, რომლის პირველი ნაბიჯები მოთხრობილია მოციქულთა წიგნების კრებულში. სექტაში მხოლოდ ებრაელები იყვნენ გაერთიანებულნი.

ყველაფერი შეიცვალა მაშინ, როდესაც დამასკოს გზაზე დამდგარი მეცნიერი, წმინდა წერილის კარგი მცოდნე, ებრაელი დოქტორი, რომაელი მოქალაქე, რომელიც აქამდე ქრისტიანებს დევნიდა, ქრისტიანად მოიქცა. ჩვენ მას უკვე შევხვდით: მისი სახელია სავლე ტარსოსელი და მან მიიღო სახელი პავლე.

პავლე შესანიშნავი მოაზროვნე და მწერალი იყო, იგი თოთხმეტი ეპისტოლეს ავტორია, დაუღალავი წინასწარმეტყველი და ორგანიზატორი. მისი აზრით ახალი რელიგია ყველა ადამიანს უნდა მიმართავდეს, „წარმართებსაც" კი, რომლებსაც ბიბლიის ლათინურ თარგმანებში gentilებს უწოდებენ.

მისი ძირითადი იდეა იყო ზოგიერთი ებრაელის ზედმეტად პედანტური და რიტუალური კულტის შეცვლა იესოს მიერ ნაქადაგები ანდერძით: მოყვასის სიყვარული, მარადიული ცხოვრების იმედი.

შემდეგ ჩვენ ვნახავთ თუ როგორი გეოგრაფიული თუ სოციალური გზებით დაეუფლა ნელ-ნელა ქრისტიანობა რომის იმპერიას და როგორ გასცდა მის საზღვრებს.

დოგმა და საიდუმლოებები. აქ საჭიროა გავიხსენოთ

ქრისტიანობის რამდენიმე ძირითადი ნიშანი. ჩვენს დროში დასავლეთელებს, მორწმუნეებს თუ ათეისტებს, კვლავაც ღრმად ემჩნევათ მათი ანაბეჭდი. უნდა განვასხვავოთ „ჭეშმარიტებანი", ანუ *დოგმა*, რომელსაც ქრისტიანმა უნდა მისდიოს და „წესები" - *მორალი*, რომლებიც უნდა დაიცვას. ძირითადი დოგმებია: სამების საიდუმლო, ინკარნაციის საიდუმლო და ცოდვათა გამოსყიდვის საიდუმლო.

ეს რელიგია, რომელმაც მიიღო მთელი ებრაული ბიბლია და მას დაუმატა ახალი აღთქმა, შეიცავს იმდენ მოთხრობას, ეპიზოდს, თავგადასავალს, რომ დასავლეთის მთელი ხელოვნება (ქანდაკება, ფერწერა, ვიტრაჟი და ა.შ.) მასში თავის შთაგონების წყაროს ნახულობს. მიწიერი სამოთხის გველი, ნოეს კიდობანი, მოსე თავისი კანონებით, ანგელოზის მიერ ღვთისმშობლისთვის ხარება, ქრისტეს ნათლობა, ვნება, აღდგომა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს, ყოველ შემთხვევაში, ეს ასობით ათასი ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაა. ჩვენ ვცხოვრობთ „სასწაულებრივ ბიბლიურ" და „სასწაულებრივ ქრისტიანულ" სამყაროში, რომელთაც ზოგიერთ ეპოქაში ემატება „სასწაულებრივ წარმართული"-ს, ბერძნული და რომაული მითოლოგიის გამოყენება.

იგივე ხდება ქრისტიანულ კულტთან, ცერემონიალებთან, ემბლემებთან, ლიტურგიულ კოსტიუმებთან და სხვასთან დაკავშირებით.

შემდეგ ქრისტიანობამ თანდათანობით მიიზიდა მგზნებარე მორწმუნეთა ბრბოები თავისი ღრმად ჰუმანური ხასიათისა და იმ იდეალის წყალობით, რასაც იგი ხალხს სთავაზობდა რომაული რელიგიის სანაცვლოდ, რომელიც საეჭვო ზნე-ჩვეულებების მქონე ღმერთებთან იყო დაკავშირებული, რომელთათვისაც მოკვდავთა ნაკლი და ბოროტება უცხო არ იყო.

მკაცრი, საყოველთაო სექსუალური მორალით, მაგრამ ამავე დროს შენდობის დიდი უნარით აღჭურვილ ამ რელიგიას შეეძლო თავდაყირა დაეყენებინა არა მარტო ზნე-ჩვეულებები, არამედ მსოფლიო ეკონომიკაც.

ცხადია, მას არ შეეძლო ერთბაშად მოესპო მონობა ან

ომები, მაგრამ იგი ცდილობდა მათ შერბილებას. რწმენისათვის ერთგულების თუ მონანიების გამო მრავალი პიროვნება სწირავდა ძღვენს ქრისტიან მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც თანდათან მდიდრდებოდნენ.

აქედან წამოვიდა ცინიკოსი რეალისტების ამბიცია და ქედმაღლობა, რომლებიც ამ ქონებით თვითონ უფრო სარგებლობდნენ, ვიდრე ეკლესიის ინტერესებისთვის და ღარიბთა გასაკითხად იყენებდნენ.

ცრუმეცნიერება იესოს, ძე ღმერთის შესახებ. ინტელექტუალურად დოგმების, განსაკუთრებით სამების და ინკარნაციის სირთულემ, გამოიწვია დებატები და ცრუმეცნიერების აყვავება, რაც აღმოსავლეთის ეკლესიაში დასავლეთზე მეტად ხდებოდა. მაგალითად, დავასახელოთ არიანიზმი, რომელიც ამტკიცებდა, რომ იესო მხოლოდ კაცია: ეს მოძრაობა IV საუკუნეში დაიწყო და 3 საუკუნე გაგრძელდა.

ნესტორიანიზმის მიმდევრების აზრით, იესოში ორი ბუნება და ორი პიროვნება იყო გაერთიანებული. ეს მოძღვრება გავრცელდა ქალდეაში, სპარსეთსა და ინდოეთში, სადაც ისევ არის მისი ნაკვალევი. იგი არსებობდა XIII საუკუნის ჩინეთში, მოგზაურ მარკო პოლოს ეპოქაში. V საუკუნეში აღმოცენდა მონოფიზიტობა, რომლის მიხედვითაც იესოს მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნება გააჩნდა და ამავე დროს ერთი პიროვნება იყო. იდეა, რომ ორი ბუნება, მაგრამ ერთი ნება არსებობს მონოთეიზმს ეკუთვნის. ყველა ეს აღმოსავლური ცრუმეცნიერება ძალიან დახვეწილია. დასავლეთში მათი რიცხვი უფრო მცირე იყო, რადგან ისინი ნაკლებად ეფუძნებოდა დოგმას, ვიდრე მორალს.

თანამედროვე ადამიანისთვის ალბათ გასაკვირია ასეთი საქმიანობა. მაგრამ არ უნდა გვიკვირდეს, რომ იმ ინტენსიური რწმენის საუკუნეებში, როცა მეცნიერება ნაკლებად იყო განვითარებული, ინტელექტუალური ძალები მიმართული იყო თეოლოგიის, ანუ „ღვთის მეცნიერების" განვითარებისკენ. მაშინ რელიგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა პრობ-

ლემებს, რომლებიც თანამედროვე ქრისტიანებს ნაკლებად აინტერესებთ.

სიტყვა „ერესი" (héresie) დაკავშირებულია პრინციპთან, რომელიც ძალიან სწრაფად გამოჩნდა ლათინურ ეკლესიაში, მაგრამ რომელიც ბერძნულმა ეკლესიამ მხოლოდ ნახევრად მიიღო: უნდა ვიცოდეთ, რომ ჭეშმარიტება განსაზღვრულია ზიარებით *ეკლესიებს შორის და განსაკუთრებით რომის ეკლესიასთან ერთობით.* ეს ნიშნავს, რომ წმინდა ტექსტების ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმპერატიული ტრადიციის თანახმად, რომელიც შემუშავებულია ეპისკოპოსთა კრებების ან საბჭოების მიერ, რომელთა შორის პირველი იყო, რომის ეპისკოპოსის თანხმობით ჩატარებული ნიკეის კრება 325 წელს.

კათოლიკური ეკლესია. ეპისკოპოსები (episcopi) მოციქულთა მემკვიდრეები არიან და რომის ეპისკოპოსი წმინდა პეტრეს მემკვიდრეა, რომელიც გადმოცემით რომში გარდაიცვალა ახ.წ. 65-66 წელს (ეს ფაქტი არქეოლოგიას არ უარუყვია). იესომ ამ უბრალო მეთევზეს, რომელსაც ცეფასი ერქვა, უთხრა: „შენ ხარ ქვა და ამ ქვაზე მე ავაგებ ჩემს ეკლესიას". „ერთობა რომთან", რაც აღმოსავლეთმა რამდენიმე საუკუნით მიიღო, ჭეშმარიტების კრიტერიუმს წარმოადგენს დასავლეთისთვის: იხმარება აგრეთვე სიტყვა „კათოლიკური", რაც ბერძნულად „უნივერსალურს" ნიშნავს. წმინდა ეგნატე წამებულის წერილში, რომელიც 107 წელს აღესრულა სმირნის ეკლესიაში, ვკითხულობთ: „იქ, სადაც ქრისტეა, არის კათოლიკური ეკლესია". განსხვავებული მიმდინარეობები ერეტიკულად ითვლება.

რომის ეკლესია პეტრეს ეკლესიაა. სწავლული დოქტორი წმინდა ირენეუსი, რომელიც საბერძნეთში დაიბადა, მაგრამ ლიონის ეპისკოპოსი გახდა, თავის წიგნში, „ერეტიკოსების წინააღმდეგ", რომელიც 175-189 წლებში დაიწერა, იცავს „მოციქულთა ტრადიციას". ყოველი ეკლესია უნდა იყოს მათი შვილობილი და განსაკუთრებით „უდიდესი და უძველესი", ყველასთვის ცნობილი, რომში ორი ყველაზე

დიდებული მოციქულის, პეტრეს და პავლეს მიერ დაარსებული ეკლესიის შვილობილი... ყოველი ეკლესია უნდა უთანხმდებოდეს ამ ეკლესიას, რადგანაც თავისი წარმოშობით იგი ყველაზე ავტორიტეტულია".

ასეთი მოთხოვნის შედეგად აღმოსავლური, ბერძნული, სლავური ეკლესიები XI საუკუნეში განუდგნენ რომს და ამგვარად გამოიყვნენ ლათინური კათოლიციზმის გავლენის სფეროს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

XVI საუკუნეში, რომაელთა „ავტორიტეტული ტრადიციის" შესაბამისად ფინანსური და მორალური ზედმეტობების წინააღმდეგ რეფორმატორებმა ახალი ეკლესიები დააარსეს, სადაც „ავტორიტეტი" შეცვალა „თავისუფალმა გამოცდამ".

XI საუკუნის ამ სქიზმამ დიდი ხნით ჩამოაშორა დასავლეთი ჩრდილოეთის სლავურ ევროპას, ბერძნების, რუმინელების, ბულგარელების და სერბების ლათინურ კულტს. რაც შეეხება რეფორმას, რომელიც თითქმის არ შეეხო ბერძნულ ეკლესიას, მან პირიქით, ორად გაყო, დაახლოებით დასავლეთ-აღმოსავლეთის საზზე დასავლეთის ლათინური ეკლესია. ამ დროს ევროპა, რომელიც დაახლოებით ემთხვეოდა ლათინურ და დასავლურ ქრისტიანობას, ერთიან არსებობას აგრძელებდა, მაგრამ ახალი, ნაკლებად რელიგიური, უფრო საერო ფორმებით.

II. ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთში

რატომ გავრცელდა მოციქულებისა და ქრისტეს მოწაფეთა ირგვლივ შემოკრებილი მცირე ჯგუფები მთელ რომის იმპერიაში და შემდეგ მის გარეთაც იმდენად, რომ IV საუკუნეში იმპერატორები ქრისტიანებად მოექცნენ? არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი მატერიალური ინტერესების მიხედვით მოქმედებდნენ. თუმცა თუ მონებისთვის, მაგალითად, ქრისტიანობას წამიერი ნუგეშისცემაც მოჰქონდა და იმის იმედიც, რომ თანასწორებად მიიჩნევდნენ, მდიდრებისთვის იგი აუცილებელ მსხვერპლშეწირვას მოითხოვდა. ისტორია გვიჩვენებს, რომ

ქრისტიანობამ ისევე მძლავრად შეაღწია იმპერატორის სასახლეში და თვით მის ოჯახში, როგორც რომის და სხვა დიდი ქალაქების ღატაკთა ბრბოებში.

უფრო მაღალი ფასეულობებისკენ მისწრაფებამ ქრისტიანობაში ჰპოვა თვითდაკმაყოფილების საშუალება. ეს „წამოიწყო", თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანმა, რომელსაც უკვე შევხვდით, პავლემ ტაროსიდან. პატარა ჯგუფების არაჩვეულებრივმა გავრცელებამ ახალ-ახალი გაერთიანებები წარმოშვა. შეიძლება ითქვას, რომ ახლად აღმოცენებულმა ქრისტიანობამ კარგად ისარგებლა რომის დაპყრობებითა და მისი მმართველობით. თავიდან იგი ძირითადად იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელდა და დიდად გაუმართლა იმით, რომ ორი უდიდესი მოციქული: ეკლესიის მეთაური პეტრე და პირველი და შესანიშნავი მისიონერი პავლე პირადად ჩავიდნენ დედაქალაქში და იქ ჰპოვეს მოწამებრივი აღსასრული.

გარდა ამისა, იმპერია ფლობდა გზების საუცხოო ქსელს, რომელიც ქალაქებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ გზებზე მოძრაობა ორგანიზებული და ძირითადად უსაფრთხო იყო. პრიმიტიული ქრისტიანობა ამ გზებს გაჰყვა და ურბანულ მოვლენად მოგვევლინა.

დასავლეთის პირველი ქრისტიანები. როგორც ვიცით, იესო ახ.წ. დაახლოებით 30 წელს გარდაიცვალა, როდისღა აღმოაჩინა წარმართულმა ლიტერატურამ ქრისტიანები? სვეტონიუსისგან ჩვენთვის ცნობილია, რომ 49 წელს იმპერატორი კლავდიუსი ქრისტიანებს ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ებრაელებისგან.. მან გადაწყვიტა ისინი გაეძევებინა ქვეყნიდან, რადგანაც ისინი მღელვარებას იწვევდნენ, როგორც იგი ამბობდა „ვინმე ქრესტოსის წაქეზებით". მომდევნო წლებში ქრისტიანთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ რომაელების უმრავლესობას ისინი ერეოდა სხვადასხვა აღმოსავლურ სექტებში, რომელთაც ჩვეულებად ჰქონდათ ორგიების მოწყობა და სისხლისღვრა. 64 წელს იმპერატორმა ნერონმა, ალბათ განგებ, ბრძანა რომისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ. დამნაშავეებად ამ საქმეში მან

ქრისტიანები გამოაცხადა. ისტორიკოსი ტაციტუსი ახ.წ. 117 წელს გამოქვეყნებულ „ანალებში" სულისშემძვრელად აღწერს ამ ქრისტიანთა წამებას და სიკვდილს:

„ვერც ადამიანთა ძალისხმევამ, ვერც პრინცის გულუხვობამ, ვერც მონანიების რელიგიურმა ცერემონიალებმა ვერ მიაჩუმათა ის სამარცხვინო საზოგადოებრივი აზრი, რომ ეს ხანძარი ნაბრძანები იყო. რათა ჭორებისთვის ბოლო მოეღო, ნერონმა დამნაშავეებად ცნო და გაუგონარი ტანჯვა-წამება არგუნა ადამიანებს, რომლებიც სძულდათ თავიანთი სისაძაგლის გამო და რომლებსაც ბრბო ქრისტიანებს უწოდებდა. ეს სახელი ქრისტესგან მოდის, რომელიც ტიბერიუსის დროს წამებულ იქნა პროკურატორ პილატე პონტოელის ბრძანებით.

ეს საძულველი ცრურწმენა კვლავაც ჩნდება ხოლმე არა მარტო იუდეაში, რომელიც ბოროტების აკვნად ითვლებოდა, არამედ თვით რომშიც, სადაც ყველანაირი საშინელება და საზიზღრობა უცებ იპოვიდა ხოლმე მომხრეებს. დაიწყეს იმით, რომ იჭერდნენ მათ, ვინც თავის რწმენას ქადაგებდა, შემდეგ მათი საშუალებით მრავალ სხვასაც აპატიმრებდნენ, რომლებიც ხანძარში ნაკლებად იყვნენ დარწმუნებულნი, ვიდრე ადამიანთა მოდგმისადმი სიძულვილში.

ამ ხალხის წამება გასართობად გამოიყენეს: ზოგიერთს ნადირის ტყავში ახვევდნენ და ძაღლებს აგლეჯინებდნენ; ბევრი მათგანი ჯვარზე გააკრეს და დაბინდებისას ცეცხლი წაუკიდეს, რათა ბნელი ღამე გაენათებინათ; ნერონმა ამ სანახაობებს თავისი ბაღები დაუთმო და იქ ცირკის წარმოდგენებს ამართინებდა, თვითონ მეეტლის სამოსში გადაცმული ხალხს შეერეოდა ხოლმე და კოფოზე იჯდა. მაგრამ თუნდაც ეს ადამიანები დამნაშავეები და უკანასკნელი სასჯელის ღირსი ყოფილიყვნენ, გულში ზოგიერთს მაინც ულვიოდა მათდამი თანაგრძნობა და ის ფიქრიც გაუკრთებოდათ ხოლმე, რომ ეს ყველაფერი, ამ ადამიანების ფერფლად ქცევა საზოგადოების სასიკეთოდ კი არა, ერთი პიროვნების სისასტიკის გამო ხდებოდა". („ანალები", I, XV, გვ. 44, თარგმანი ანრი ბორნეკისა).

დევნა. სამართალი სულაც არ ყოფილა მნიშვნელოვანი: ეტყობა, ნერონმა ქრისტიანების სიკვდილით დასჯა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. ქრისტიანებს ყველაზე მეტად იმან აენო, რომ უარი თქვეს გაღმერთებული იმპერატორის კულტში მონაწილეობის მიღებაზე. ეს კულტი კი იმპერიის და რომაული ერთიანობის დულაბს წარმოადგენდა. სწორედ ამის შედეგი იყო დევნა-შევიწროებათა მთელი სერია, რაც ნერონიდან (64წ.) დიოკლეტიანემდე (303-305 წ.) მეტ ნაკლები სისასტიკით წარმოებდა.

ბევრი იყო წამებული? ზოგიერთი ქრისტიანი ავტორი ამტკიცებს, რომ მათი რიცხვი დიდი იყო და ამ რიცხვის გაზრდის ტენდენციასაც ავლენს, როგორც ტერტულიანე თავის „აპოლოგეტიკაში" (ახ.წ. 197 წ.), ლაქტანციუსი, მე-IV საუკუნეში დაწერილი წიგნის „მდევართა სიკვდილის შესახებ" ავტორი, ან ევზებიუს კესარიელი, რომელსაც „საეკლესიო ისტორიას" უნდა ვუმადლოდეთ.

დევნა აღმოსავლეთში უფრო იყო გავრცელებული, ვიდრე დასავლეთში. მაგრამ დასავლეთშიც და თვით ფილოსოფოსი იმპერატორის, მარკუს ავრელიუსის მბრძანებლობის დროსაც ხდებოდა დევნა. შეიძლება დავასახელოთ ლიონის ეპისკოპოსის პოთინის და ბლანდინის სახელები. ტერტულიანეს თეზისმა, რომლის მიხედვითაც წამება არის „ქრისტიანული სახელის დათესვა" გამოიწვია მრავალი ადამიანის ნებაყოფლობითი მარტვილობა. მაგრამ ამ უკანასკნელთ რელიგიური ავტორიტეტები არ ცნობდნენ და ისინი ეგზალტირებულთა, თითქმის ერეტიკოსთა სექტებს მიეკუთვნებოდნენ.

მაღალი რანგის ქრისტიანები. ძნელია თვალი მიადევნო ქრისტიანობის გავრცელებას პირველ ორ საუკუნეში და იცნობდე მისიონერებსა და პროპაგანდისტებს. ისინი საიდუმლოდ იკრიბებოდნენ სარდაფებში და კატაკომბებში, სადაც ახალი ხელოვნება უნდა განვითარებულიყო.

თუ ქრისტიანობა მტკიცედ დაფუძნდა პირველივე საუკუნიდან რომში და სწრაფადვე გავრცელდა აღმო-

საკლეთში, საბერძნეთში, ეგვიპტესა და ჩრდილოეთ აფრიკაში, იმპერიის დასავლეთ ნაწილებში: ესპანეთში, გალიაში, ბრეტონში და a fortiori-ში, „ბარბაროსთა მიწებზე", ირლანდიასა და გერმანიაში ასე არ მომხდარა. უნდა აღინიშნოს, რომ შედარებითი დაგვიანება დასავლეთში, კერძოდ იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ამ პირველი ფაზის განმავლობაში ლიტურგიის ერთადერთი ენა ბერძნული იყო, რომელიც უბრალო ხალხს არ ესმოდა.

საჭირო გახდა IV საუკუნის ბოლოს დავლოდებოდით, რათა ერთ მეტად წარჩინებულ პიროვნებას, დღევანდელ უნგრეთში, პანონიაში დაახლოებით 331 წელს დაბადებულ კაცს, წმინდა იერონიმეს ესწავლა ებრაული ენა, რათა ბიბლიის პირდაპირი თარგმანი გაეკეთებინა ლათინურ ენაზე. მისი ტექსტი „ვულგატა" ზოგიერთი წვრილმანი შეცდომის მიუხედავად იმდენად შესანიშნავია, რომ დასავლეთის ეკლესია მას XX საუკუნემდე იყენებდა, მას შემდეგ, რაც ოცდაათის საბჭომ იგი „კანონიკურად" ცნო.

იტალია. II საუკუნის და III საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა საეპისკოპოსო სავარძლების მეტად მცირე რაოდენობა. იტალიაში რომის გარდა ცნობილია მხოლოდ მილანი და რავენა. 250 წელს ჩნდება აკვილეა, ოდნავ მოგვიანებით ვერონა და ბრეშია. ეს ყველაფერი ეხება ჩრდილოეთ იტალიას. ნახევარკუნძულზე იტალიაში საეპისკოპოსოები ძირითადად რომის ირგვლივ განლაგდა, კერძოდ ოსტიაში, პორტოში, ალბანოსა და ტიბურში. III საუკუნის დასაწყისში პირველი ეპისკოპოსები მოევლინენ ნეაპოლსა და კაპუას.

პაპ კორნელიუსის წერილი ფაბიუს ანტიოქიელისადმი მნიშვნელოვან სტატისტიკას იძლევა III საუკუნის შუა წლების რომის შესახებ. პაპის გარდა, იქ ნახსენებია 46 მღვდელი, 7 დიაკვანი, 7 დიაკვნის თანაშემწე, 42 ეკლესიის მსახური, 52 ავი სულის გამძევებელი, მნათე და კარისკაცი, აგრეთვე 1800 ქვრივი და ღატაკი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მაშინ ქალაქის ქრისტიანი მრევლი დაახლოებით 40000 სულს შეადგენდა. მაშასადამე, მთელი მოსახლეობა

დაახლოებით 1 მილიონი იქნებოდა („დიდ ცირკში" 300000 დასაჯდომი ადგილი იყო, კოლიზეუმში კი 50000).

გარდა ამისა ქალაქში ქრისტიანი მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ იგივე პაპმა შეძლო 251 წელს სინოდში შეეკრიბა 60 ეპისკოპოსი.

გალია. II საუკუნის გალიაში მხოლოდ ერთი, ლიონის ეპარქია იყო ცნობილი, რომლის ეპისკოპოსებიც: წმინდა პოთინი და წმინდა ირენეოსი აღმოსავლეთიდან იყვნენ. მალე სხვა ქალაქებმაც გაიჩინეს საკუთარი ეპისკოპოსები. ეს ქალაქები იყო: ოთუნი, ტურნუსი, შალონი. 200 და 250 წლებს შორის ეპარქიები არსდება გალიის სამხრეთით, ნარბონის პროვინციაში. ისტორიკოს გრიგოლ ტურელის (VIს.) მიერ ნახსენები ლეგენდა მისი "Historia Francorum"-იდან მოგვითხრობს, რომ 250 წელს 7 ეპისკოპოსი - 7 მისტიკური ციფრია - გაეგზავრა რომიდან, რათა დაეარსებინათ ეპარქიები ტურში, არლში, ნარბონში, ტულუზაში, კლერმონსა და ლიმოჟში.

III საუკუნეში გალია მთლიანად გაქრისტიანებულია. ჩნდება სხვა საეპისკოპოსო კათედრებიც: რეიმსი, ტრირი, ვენა, პარიზი, რუანი, სანსი, სუასონი, შალონი, ბურჟი, ბორდო.

აღვნიშნოთ, რომ გალიაში 325 წელს 28 ეპარქია იყო, 375 წლისთვის კი უკვე 54, განსაკუთრებით მოიმატა ეპარქიების რიცხვმა ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, კერძოდ კი რაინის ოლქში (ბაზელი, სტრასბურგი, ვორმსი, შპაიერი, მაიენსი).

დიდი ბრიტანეთი. ტერტულიანე მიუთითებს დიდ ბრიტანეთში ქრისტიანობის გავრცელებაზე III საუკუნის დასაწყისში და IV საუკუნეში დიოკლეტიანეს (303-306) მიერ განხორციელებული დევნის დროს მრავალი მოწამის არსებობაზე. დიდ ბრიტანეთში ქრისტიანობის გავრცელების სხვა დამამტკიცებელი საბუთია 314 წელს არლის საბჭოზე

3 ბრიტანელი ეპისკოპოსის: ლონდონის, იორკის და ლინკოლნის ეპისკოპოსების დასწრება.

ესპანეთი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წმინდა პავლეს უნდა მოენახულებინა ესპანეთი, მაგრამ ამ რეგიონში ქრისტიანობის შეღწევის შესახებ III საუკუნის შუა წლებამდე წყაროების ნაკლებობას განვიცდით. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ იბერიის ნახევარკუნძულის საეკლესიო ორგანიზაცია უკვე სოლიდური იყო. ახალი რელიგიის შეღწევა ნავსადგურებით ხდებოდა და როგორც სხვაგან, თავდაპირველად ქალაქებში მკვიდრდებოდა.

უტყუარი საბუთები არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ დიოკლეტიანეს რეპრესიები ესპანელ ქრისტიანებსაც შეეხო. ცნობილია აგრეთვე, რომ ისტორიაში ცნობილ პირველ ესპანურ საბჭოს (ილიბერისის, ელვარას თუ გრენადის) IV საუკუნის დასაწყისში ესწრებოდნენ გალიის 1, ტარაკონეზის 2, კართაგენის რეგიონის 8, ბეტიის 21 და ახლანდელი პორტუგალიის, ანუ ლუზიტანიის 3 ეპისკოპოსი.

სოფლების დაგვიანებული მოქცევა ქრისტეს რჯულზე. სოფლების ნაგვიანევი მოქცევის მთავარი დამამტკიცებელი საბუთია სასოფლო ზონებში ქრისტიანული წარწერების იშვიათობა. IV საუკუნის დასაწყისში ბევრი გლეხი იყო მოუქცეველი. სიტყვა paganus-ისგან, რომელიც გლეხს ნიშნავდა, მივიღეთ სიტყვა païen (წარმართი). IV საუკუნეში სოფლების გაქრისტიანება მხოლოდ გალიაშია ცნობილი.

ყოფილმა ოფიცერმა წმინდა მარტინმა პაუტიეს ეპისკოპოსის ხელშეწყობით მონასტერი დააარსა ლიგუჟეში. 373 წელს იგი ტურის ეპისკოპოსი გახდა და მარმუტიეს მონასტერი დააარსა, სადაც მრავალი მისიონერი და წინასწარმეტყველი აღიზარდა. 397 წელს გარდაცვლილი მარტინი ცნობილია, როგორც „გალების მოციქული". მსგავსი პროცესები ხდებოდა ყველგან. V საუკუნის ბოლოსთვის ევრო-

პის სოფლებში მხოლოდ რამდენიმე წარმართული კუნძულიღა რჩებოდა.

III. ქრისტიანული იმპერია

ცხადი და გასაგებია, რომ მას შემდეგ, რაც 3 საუკუნის განმავლობაში დევნილი, შევიწროებული და გამუდმებული საფრთხის წინაშე მყოფი ქრისტიანები, რომლებიც იძულებულები იყვნენ საკულტო ცერემონიალები ძალზე მოკრძალებულად ეწარმოებინათ, როგორი ენთუზიაზმით შეხვდებოდნენ იმპერატორთა ქრისტეს რჯულზე მოქცევას. ეს მოვლენა გულისხმობდა ქრისტიან მოსახლეობას, რომელსაც შეეძლო ზეწოლა მოეხდინა სუვერენზე. შეიძლება წარმოვიდგინოთ რელიგიის პირადი აღიარება ყველა იმ შედეგით, რაც მას მოჰყვება ძლიერი ავტორიტეტული რეჟიმის ქვეშევრდომებისთვის. სინამდვილეში მოხდა ამ ორი მოვლენის შერწყმა. იმპერატორთა საბოლოო გაქრისტიანების პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, 313-სა და 295 წლებს შორის.

დიოკლეტიანე. სამოქალაქო ომებისგან და შემოსევებისგან საშინლად დასუსტებული იმპერია III საუკუნის შუა წლებში დიოკლეტიანემ (285-305) აღორძინა. იგი მიხვდა, რომ რომის უზარმაზარი სამეფოები ძალაუფლების დეკონცენტრაციას მოითხოვდა და იმპერია ჯერ ორად, ხოლო შემდეგ თითო ნახევარი კიდევ ორად გაყო. ამგვარად, მან შექმნა ტეტრარქია (ბერძნულად „ოთხთა მმართველობა"). ამ სისტემამ მას საშუალება მისცა გაემაგრებინა საზღვრები და მოევლო ავანყებებისთვის: იმპერია გადარჩენილი იყო.

დიოკლეტიანეს რეპრესიები. ტეტრარქიის დასაწყისში ქრისტიანები, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა, არ იდევნებოდნენ და მათი კულტი თითქმის საჯარო გახდა. ბევრ მათგანს მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა ადმინისტრაციაში, მუნიციპალურ თუ პროვინციის მაგისტრატურებში, მაგრამ ზოგიერთი ადმინისტრაციული

პროცედურა გულისხმობდა წარმართულ ცერემონიას, რაც აღიზიანებდა ქრისტიან მოხელეებს. ამიტომ ელვირაში (ახლანდელი გრენადა) ჩატარებულ ესპანეთის ეკლესიების საბჭოზე შეეცადნენ დაედგინათ, რისი უფლება ჰქონდათ და რას უკრძალავდა მათ რელიგია. დიოკლეტიანემ, რომელსაც კვლავ წარმართებად დარჩენილი მაღალი თანამდებობის პირები აქეზებდნენ, ჩათვალა, რომ აქ საქმე ჰქონდა სახიფათო უდისციპლინობასთან. ამან გამოიწვია ქრისტიანების წინააღმდეგ მიმართული ედიქტების სერია და რეპრესიები. ისინი არმიიდან გააძევეს; კულტის ასამბლეები გააუქმეს. იმპერატორმა გადაწყვიტა ეკლესიების დანგრევა და წმინდა წიგნების განადგურება. საჯარო ფუნქციები და თანამდებობები ქრისტიანებისთვის აიკრძალა. მღვდლებს წარმართული მსხვერპლშეწირვა მოსთხოვეს: ყოველი უარი სიკვდილით ისჯებოდა. ქრისტიანების დევნა განსაკუთრებით სასტიკი იყო აღმოსავლეთში, ხოლო დასავლეთში ამით გამოირჩეოდა იტალია, ესპანეთი და დუნაისპირა პროვინციები. გალიისა და ბრეტანის გარდა ბევრი ადამიანი დასაჯეს სიკვდილით და ბევრიც აიძულეს რწმენას განდგომოდა.

კონსტანტინე. 305 წელს დიდი რეფორმატორის, დიოკლეტიანეს გადადგომას ხანგრძლივი სამოქალაქო ომი მოჰყვა, რომლის დეტალებსაც აქ არ მოგაწვდით. კონსტანციუს ქლორუსის ძე, რომელსაც ოთხთა მმართველობაში გალია და ბრეტანი ებარა, ჯარისკაცებმა ავგუსტუსად გამოაცხადეს მამამისის სიკვდილის შემდეგ, 306 წელს. მან მოახერხა მეტოქეების გზიდან ჩამოშორება. გადმოცემის მიხედვით, მდინარე ტიბრზე გადებული მილვიუსის ხიდის ბრძოლისას, რომიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით კონსტანტინეს ჰქონდა ხილვა, რომელმაც იგი ქრისტიანად მოქცევისთვის განაწყო. მან იხილა ალამი, რომელზეც ჯვარი და შემდეგი შინაარსის წარწერა იყო გამოსახული: *In boc signo vinces* („ამ ნიშნით შენ გაიმარჯვებ"). ეს ხილვა ეტყობა არ იყო ქრისტიანული. კონსტანტინემ თავი მხოლოდ სიკვდილის წინ მოანათვლინა 337 წელს და ისიც

არიელ მღვდელს. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ქრისტიანებისთვის მეტად ხელსაყრელი ზომების მიღება, რაც მან თავის ცოლისძმა ლაცინიუსთან შეთანხმების საფუძველზე განახორციელა, რომელიც აგრეთვე იმპერატორი იყო, სანამ ტახტს არ ჩამოართმევდნენ. ამ სერიას უთუოდ მცდარად უწოდებენ მილანის ედიქტს (313 წ.). ქრისტიანებს კვლავ თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი რელიგიის აღმსარებლობა. სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული ქონება სრულად დაუბრუნდათ, თვით სულით ავადმყოფებსაც კი. მოგვიანებით გადაწყდა, რომ მწერლები გათავისუფლებულიყვნენ საჯარო მოვალეობებისგან, ხოლო წარმართების მიმართ ბევრად უფრო მკაცრი ზომები იქნა მიღებული. როგორც ითქვა, 313 წელი არის „საეკლესიო მშვიდობის" პირველი წელი. დევნილობიდან ქრისტიანობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში გადავიდა. რეპრესიების მარცხმა, რომელთაც ვერ შეაჩერეს ქრისტიანობის პროგრესი, მოწამეთა მიმართ სიბრალულმა და პატივისცემამ მთლიანად შეცვალა საზოგადოებრივი აზრი.

ეკლესიების კუთვნილი შენობები განთავისუფლდა მიწის გადასახადისგან, ეკლესიას უფლება მიეცა მიეღო სამემკვიდრეო ქონება. ლატრანის სასახლე, რომელიც კონსტანტინეს მეუღლეს ეკუთვნოდა, რომის ეპისკოპოსს გადაეცა. იმპერატორის დედის წყალობით ეკლესიები აშენდა პალესტინაში, კერძოდ ბეთლემში, იერუსალიმში: ისინი წმინდა ადგილების მომლოცველთა (პილიგრიმთა) ცენტრებად გადაიქცა. მონეტებზე ქრისტიანული მონოგრამა გამოჩნდა. გაჩნდა მონების განთავისუფლების ახალი ფორმა, „გათავისუფლება ეპისკოპოსის წინაშე". დაწესდა დასვენება კვირა დღეს.

უნდა აღინიშნოს კონსტანტინეს გადაწყვეტილება, რომელსაც შორს მიმავალი შედეგები ჰქონდა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან, ანუ დასავლეთ ევროპის მომავალთან დაკავშირებით: ეს იყო ბიზანტიის ძველი ბერძნული ქალაქის „მეორე რომად", კონსტანტინოპოლად გარდაქმნა, სადაც კონსტანტინემ უამრავი შენობა ააგო და რომელიც 330 წელს ღმერთს უძღვნა. შექმნა რა რომის აღმოსავ-

ლური ორეული, რომელსაც შესანიშნავი სტრატეგიული ადგილმდებარეობა ეკავა, მან ამავე დროს შეამზადა კონკურენცია იმპერიის და ამავე დროს ეკლესიის შიგნით, რომელიც შეიძლებოდა გახლეჩვით დამთავრებულიყო.

ქრისტიანების მფარველ კონსტანტინეს მიაჩნდა, რომ თვით პაპზე მეტადაც კი ხელმძღვანელობდა მათ.

არლის დასავლური საბჭო. არლის საბჭო კონსტანტინემ მოიწვია 314 წელს და არა პაპმა. იმპერატორმა ეპისკოპოსების განკარგულებაში დატოვა საზოგადოებრივი ფოსტა და აუნაზღაურა მგზავრობის ხარჯები არა მარტო მათ, არამედ მათ თანმხლებ ბერებს და მსახურებსაც.

საბჭოში მონაწილეობა მიიღო დასავლეთის ეკლესიის 46-მა ეპისკოპოსმა. გადაწყვეტილებები, ანუ „კანონები", რომლებიც აქ მიიღეს, იმავე ხასიათს ატარებდნენ, როგორსაც ადრე ნახსენები ელვარა-გრენადის საბჭოზე მიღებული წესები. ამ საბჭოს მთავარი ღირსება ის იყო, რომ რეპრესიების შემდეგ, შემწყნარებლობის ერის დასაწყისში ქრისტიანებს უფლება მიეცათ გამხდარიყვნენ ფუნქციონერები და პირიქით, მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული ჯარისკაცები ეკლესიისან განიკვეთებოდნენ. მაშასადამე, სახელმწიფოს მსახურება აღარ არის რწმენის გარეშე, ვინაიდან, ფაქტობრივად *ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა.* კონსტანტინემ თავიდანვე მისცა მიმართულება ამ ახალ ერას, აღზარდა რა საკუთთარი შვილები ქრისტიანული კანონებით, რომელთაც აღმზრდელად მიუჩინა ლაქტანციუსი, რომლის წიგნზე „მდევართა სიკვდილის შესახებ" ჩვენ ადრე უკვე ვილაპარაკეთ და რომელშიც მათი სიკვდილი წარმოდგენილი იყო, როგორც ღმერთის მიერ მოვლენილი საშინელი სასჯელი. უფრო მეტიც, კონსტანტინემ ეკლესიის წიაღში აღმოაჩინა თავისი რამდენიმე მომავალი მრჩეველი, რომელთა შორისაც მთავარი იყო კორდოვის ეპისკოპოსი.

იულიანე. კონსტანტინეს სიკვდილის დროს, 337 წელს, ქრისტიანობა ჯერ არ იყო საბოლოოდ გამარჯვებული. წარმართული რეაქცია კვლავ შესაძლებელი იყო: სწორედ

ეს მოხდა იულიანეს მეფობის (361-363) დროს, რომელიც პარიზიდან მართავდა ქვეყანას.

ფილოსოფოსის ტემპერამენტის მქონე იულიანეს მიაჩნდა, რომ წარმართების უპირატესობას წარმოადგენდა ის, რომ იგი დიამეტრალურად განსხვავებული დოქტრინების სინთეზი და თანაც რომაელთათვის „ნაციონალური" დოქტრინა იყო, მაშინ როდესაც უნივერსალური, კოსმოპოლიტური ქრისტიანობა არად დაგიდევდათ საზღვრებს. მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, ქრისტიანობის წინსვლა გრძელდებოდა.

არიანიზმი. მეორე საფრთხე, რომელიც ქრისტიანობას ემუქრებოდა, არიანიზმი იყო, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ. გავიხსენოთ, რომ კონსტანტინე არიელმა მოძღვარმა მონათლა, მისი მესამე ვაჟი არიელი იყო, იულიანეს მემკვიდრე კი არიელებს მფარველობდა.

იმპერიის საბოლოო მოქცევა მართლმადიდებელ ქრისტიანებად განახორციელა კოკაში (სეგოვია) დაბადებულმა ესპანელმა იმპერატორმა თეოდოსიუსმა, რომელმაც მცირე ხნით აღადგინა ერცელი იმპერიის ერთიანობა, მაგრამ ხანგრძლივი დროით უზრუნველყო ქრისტიანობის ტრიუმფი.

დასავლეთის გაერთიანება ეპისკოპოსთა მიერ. დასავლეთის იმპერია ოფიციალურ რელიგიად უკვე ქრისტიანობას აღიარებდა, ქრისტეს რჯულზე მოექცა ქალაქები და სოფლები, დასავლეთის ინტელექტუალურ ერთობას უზრუნველყოფდა ეკლესიის ენა - ლათინური.

დასავლეთის ყველა ეპისკოპოსი ლათინურ ენაზე წერდა და V საუკუნეში გაფურჩქვნის ხანა დაუდგა შესანიშნავ ქრისტიანულ ინტელექტუალურ თაობას. ამ ეპისკოპოსებმა დაამარცხეს აღმოსავლეთის და აფრიკის ცრუმოძღვრებანი, განსაკუთრებით არიანიზმი, რომელიც დასავლეთსაც ემუქრებოდა, თუმცა უფრო მშვიდი და სოფიზმისკენ და თეოლოგიური დახვეწილობისაკენ ნაკლებად მიდრეკილი იყო. ამ მღვდელმთავრებს შორის უნდა მოვიხსენიოთ: კორდოვის ეპისკოპოსი ორუსი, ელვირის ეპისკოპოსი გრიგოლი, ტრი-

რის ეპისკოპოსი მაქსიმინე, პუატიეს ეპისკოპოსი ჰილარიუსი და მილანის ეპისკოპოსი ამბროსუსი, რომელმაც იმპერატორ თეოდოსიუსს ნება არ მისცა ეკლესიაში შესვლისა, სანამ თავის ცოდვებს არ მოინანიებდა.

ლათინური ეკლესიის მამებიდან ყველაზე დიდი იყო წარმოშობით აფრიკელი წმინდა ავგუსტინე, აურელიუს ავგუსტინუსი, რომელიც 354 წელს დაიბადა ტაგასტაში (ნუმიდია). მისი მამა წარმართი იყო, დედა კი ქრისტიანი - წმინდა მონიკა. თავის ცნობილ „აღსარებაში" იგი მოგვითხრობს, რომ თავიდან მდიდარი წარმართი ჭაბუკის თავქარიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი ძალიან განათლებული იყო, რიტორიკას ასწავლიდა ტაგასტაში, კართაგენში და მილანში. სწორედ მილანში შეხვდა წმინდა ამბროსიუსს. ამ უკანასკნელმა წმინდა მონიკას დახმარებით შეძლო მისი ქრისტიანად მოქცევა. იგი სრულად მოექცა ქრისტეს რჯულზე და 32 წლის ასაკში მოინათლა.

მან მიატოვა მასწავლებლობა, დაბრუნდა ტაგასტაში, მთელი თავისი ქონება ღარიბებს დაურიგა და ლოცვებს, მარხვას და ცოდვათა მონანიებას შეუდგა. ჰიპონიელმა (ბონი) ეპისკოპოსმა იგი მღვდლად აკურთხა, 395 წელს კი იგი თვითონ გახდა ამ ქალაქის ეპისკოპოსი.

მან უდიდესი საქმიანობა გააჩაღა, დააარსა მონასტრები, ატარებდა ქადაგებებს, ასწავლიდა, ეხმარებოდა ღატაკებს, ხელმძღვანელობდა საეკლესიო საბჭოებს, იბრძოდა ერესის წინააღმდეგ. მან დაგვიტოვა მრავალრიცხოვანი და შესანიშნავი თხზულებები.

მას არ სჯერა თავისუფალი მსაჯულის და მისი ხედვით ღმერთმა ყველაფერი იცის და იგი „წინასწარ უმზადებს" ადამიანებს „ხსნას" თუ „წყევლას".

ორ მაგალითს მოგიყვანთ, რათა თვალსაჩინო გავხადოთ წმინდა ავგუსტინეს სწავლების თვალსაწიერი: დიდი რეფორმატორი, მარტინ ლუთერი ავგუსტინელი ბერი იყო. ერთი საუკუნის შემდეგ იანსენიზმის მკაცრი მოძღვრების ფუძემდებელმა, იპრის ეპისკოპოსმა იანსენიუსმა თავის წიგნს „ავგუსტინე" უწოდა.

ეკლესიის გამდიდრება. ამ ღრმა რწმენას სხვა შედეგიც ჰქონდა: ეკლესიის უკიდურესი გამდიდრება, რომელიც რამდენიმე წელიწადში ეკონომიკურად ძალიან მომძლავრდა. საჩუქრები, ძღვენი და სამემკვიდრეო ქონება ზღვასავით მოაწყდა ეკლესიას. ეს სიმდიდრე ხმარდებოდა მღვდლებს, ეკლესიების შენებას, ღარიბების და ავადმყოფების დახმარებას. ეკლესია ძალზე გამდიდრდა, მაგრამ ამავე დროს, მან ანტიკურ სამყაროში ახალი ცნება, „მოქმედი სიბრალული" შემოიტანა.

ეკლესია, როგორც ინტელექტუალური თავშესაფარი: ირლანდიის მაგალითი. პიქტებით დასახლებული და სკოტების მიერ დაპყრობილი ეს ქვეყანა დიდხანს გადაურჩა დიდ დაპყრობით ომებს, თუმცა პატარა შემოსევები ხშირი იყო დიდი ბრიტანეთის დასავლეთ სანაპიროებზე, კორნუელში, უელსში და დევონში. აქ ორიგინალური ცივილიზაცია ვითარდებოდა და ირლანდიურად აგრძელებდნენ ლაპარაკს. ირლანდიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი ძლიერ მკაცრი ბერობა. ბერები ნახევარმთვარისებურ ტონზურას ატარებდნენ, დაუღალავი და მამაცი მისიონერები იყვნენ და მათგან ბევრად უკეთეს ლათინურს მოისმენდით, ვიდრე სხვაგან, რადგანაც ამ კელტურ ქვეყანაში ყოველდღიური მეტყველება დანაგვიანებით არ ემუქრებოდა საეკლესიო ენას. დასავლური კულტურის ერთმა ნაწილმა თავშესაფარი ჰპოვა ირლანდიაში და პაპმა გრიგოლმა იქ მრავალი ბერი გაგზავნა, რომლებიც ახალ, წმინდა ბენედიქტეს ორდენს ეკუთვნოდნენ.

IV. საეკლესიო გეოგრაფიის გავლენა

ჩვენ ვნახეთ, რომ ქრისტიანობა, რომელიც თავდაპირველად ურბანული მოვლენა იყო, თანდათანობით ყველგან დამკვიდრდა, მაგრამ ეს ხდებოდა იმპერიის სამოქალაქო ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად.

რომი და პაპობა. თავდაპირველად იყო დედაქალაქი რომი

- მოგვიანებით მხოლოდ დასავლეთის დედაქალაქი - და რომის ეპისკოპოსი, რომელსაც პაპი უწოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ 410 წელს რომი დაპყრობილ იქნა გერმანელი ალარიკის მიერ რვაასწლიანი ტრიუმფალური არსებობის შემდეგ და დაკარგა თავისი, როგორც სამყაროს ცენტრის როლი, პაპობა ამით უფრო გაძლიერდა, ვიდრე შესუსტდა. ის, რომ წმინდა პეტრე და პავლე რომში ჩავიდნენ და იქ ჰპოვეს აღსასრული, დიდი გამართლება იყო ეკლესიისა და დასავლეთისათვის. ეკლესიამ გააძლიერა და თანდათან განამტკიცა თავისი ავტორიტეტი. „მოციქული პეტრეს თვითგადარჩენა მოხდა რომის ეპისკოპოსში: თუ პაპი იტვირთავს ყველა იმ ადამიანის ცოდვათა სიმძიმეს, რომელსაც მისი თანადგომა სჭირდება, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ნეტარი მოციქული პეტრე მასთან ერთად და მასში არ ატარებს ამ არაჩვეულებრივ ტვირთს და არ იცავს თავისი ადმინისტრაციის მემკვიდრეს. ესე იგი, როგორც სამოციქულო სავარძლის მფლობელ ეპისკოპოსს ისეთივე მოვალეობები და უფლებები გააჩნია, რომლებიც სხვა ეპისკოპოსებს არ აქვთ" (პაპი სირიციუსის წერილი (385), ციტირებული მონსენიორ ბატიფოლოს მიერ წიგნში „სამოციქულო სავარძელი").

მაგალითისთვის ავიღოთ V საუკუნის დასაწყისი, როცა პაპი ინოკენტი I (402-417) ყველა საკითხს განიხილავდა: აღმოსავლეთის საქმეებს, ილირიკუმის საკითხებს, აფრიკისა და განსაკუთრებით დასავლეთის: იტალიის, ესპანეთის, გალიის საქმეებს.

ყოველი მხრიდან იგი ღებულობდა ეპისკოპოსების წერილებს,რომელთაც აინტერესებდათ დოგმის,დისციპლინის, მორალის პრობლემები. „ვინ არ იცის, წერდა იგი ერთ-ერთ ეპისკოპოსს, რომ რაც მოციქულთა მთავარ, პეტრეს მიერ არის ახსნილი რომის ეკლესიისთვის და რასაც დღეს იცავს ეს ეკლესია, ყველას მიერ უნდა იყოს დაცული?... თუმცა მუდმივად ისეა, რომ მთელ იტალიაში, გალიაში, ესპანეთში, აფრიკაში, სიცილიაში და კუნძულებზე არავის უჩვენებია ეკლესიები იმ პიროვნებათა გარდა, რომ-

ლებიც სათაყვანო მოციქულმა პეტრემ ან მისმა მოწაფეებმა აკურთხეს ეპისკოპოსებად".

ადმინისტრაციული დაყოფა V საუკუნეში. რომი იყოფოდა პროვინციებად. განვიხილოთ მათი ორგანიზაცია V საუკუნეში. ამ ეპოქაში დაიწერა Notitia dignitatum (მაღალ თანამდებობათა სია). იმპერია ორ ნაწილადაა გაყოფილი: აღმოსავლეთად და დასავლეთად. თითოეული ეს იმპერია გაყოფილია ორ პრეფექტურად, თითოეული პრეფექტურა ეპარქიებად, თითოეული ეპარქია პროვინციებად და თითოეული პროვინცია civitates-ებად. დასავლეთის იმპერია, რომელიც ჩვენ მაგალითად მოგვყავს, მოიცავს გალიისა და იტალიის პრეფექტურებს.

გალიის პრეფექტურა, რომლის დედაქალაქიც იყო ტრირი, გაყოფილი იყო სამ ეპარქიად: ესპანეთის, გალიისა და ბრეტანის ეპარქიებად. იტალიის პრეფექტურის დედაქალაქი იყო მილანი და იგი შედგებოდა იტალიის, რომის და აფრიკის ეპარქიებისგან. ისე რომ ეკლესიამ თავისი დაყოფა იმპერიისას შეუფარდა. თავიდან ყოველ ქალაქს (cité) ჰყავდა თავისი ეპისკოპოსი თანაშემწითურთ, ანუ ქორეპისკოპოსებით, რომელთაც ევალებოდათ სოფლებში მოღვაწეობა. მოგვიანებით მოგითხრობთ მღვდლებისა და მრევლების შესახებ.

ყოველ პროვინციას ჰყავდა თავისი არქიეპისკოპოსი. გალიაში ესენი იყო მაიენსის, კიოლნის, ტრირის, რეიმსის, ბეზანსონის, ლიონის, რუანის, ტურის, სანსის, ბურჟის, ბორდოს, ოშის, ნარბონის, ექსის, ვიენის, ამბრონის, მუტიეს არქიეპისკოპოსები. ბევრმა წყალმა ჩაიარა, სანამ სიტყვა „ეპარქია" მიესადაგებოდა ეპისკოპოსის საგამგებლო არეს, თავდაპირველად civitas-ს. Civitas-ი იყო მთავარი ერთეული: თანდათან მისი სახელი დაერქვა მთავარ ქალაქს. მაგალითად, პარიზიების Civitas-ი ლუტეცია გახდა პარიზი, ლუგდუნუმის Civitas-ი გახდა ლიონი და ტრევეზისა - ტრირი. აღვნიშნოთ, რომ ეპარქიები არ შეესაბამებოდა საეკლესიო დაყოფას და შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთში იყო ოთხი პატრიარქი: ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის და

კონსტანტინოპოლის პატრიარქები. დასავლეთს ჰყავდა მხოლოდ რომის ეპისკოპოსი.

მრევლი. ეპისკოპოსებისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მრევლი. VI და განსაკუთრებით VII საუკუნეში გარდა ქალაქების ნაწილებისა, რომლებიც მღვდლების მიერ იმართება, სოფლებიც მოფენილია ეკლესიებით, სადაც მღვდლებს უფლება აქვთ მონათლონ, ასწავლონ და წირვა-ლოცვა ჩაატარონ. ჩნდებიან სოფლის და ქალაქის მღვდლებიც კი.

ხშირად თითო villa-ში თითო ეკლესია დგას, მაგრამ მალე ბევრი მათგანი გაქრა და შეიცვალა სოფლებით, ერთი ეკლესია იყო vicus-ში, ანუ ბურგში. ეს მღვდლები ანუ „presbyteri" ემორჩილებოდნენ ეპისკოპოსებს.

VII საუკუნიდან დაწყებული, დიდი მიწათმფლობელების, potentes-ების მიერ დაარსებული ეკლესიები განიცდიან თავიანთი დამაარსებლის დიდ გავლენას. ისინი ეკლესიას თავიანთ პირად საკუთრებად თვლიან და ამით დამატებით ღირებულებას უმატებენ საკუთარ villa-ს.

დღესდღეობით ეპარქია შეესაბამება ეპისკოპოსის, მრევლი კი კიურეს საგამგებლო არეს, რომელიც დამოკიდებულია ეპისკოპოსზე.

მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ეს ორი ტერმინი განურჩევლად იხმარებოდა. რაც შეეხება cité-ს, იგი საეპისკოპოსო ქალაქია.

იმ ქვეყნებში, რომლებიც არასოდეს ყოფილან რომის იმპერიაზე დამოკიდებული, ეპისკოპოსები ძირითადად გალავანში მოქცეულ ქალაქებში იყვნენ, როგორიც იყო მაგდებურგი ან ჰამბურგი. ამ ქალაქებს ეწოდებოდათ civitas-ი. გალავნიანი ქალაქი, რომელსაც ეპისკოპოსი არ ჰყავდა, იყო არა civitas-ი, არამედ უბრალოდ ბანაკი ანუ castrum-ი.

ქალაქს ჰქონდა საკათედრო ტაძარი, რომელთა წმინდა მფარველების სახელებმა დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის ტოპონიმიკაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში რომაული

ოლქების გავლენა უფრო სუსტი იყო, როგორც მაგალითად ესპანეთში, რაც მუსლიმანთა დაპყრობების შედეგი იყო.

ევროპის ისტორიისთვის ძირითადი ერთეული მრევლია. სოფლის ეკლესიები ძლიერ მომრავლდა IX საუკუნის გალიასა და იტალიაში. ბევრი ახალი ეკლესია აშენდა X-XI საუკუნეებში. გერმანიაში სოფლის ეკლესიები მცირერიცხოვანია IX საუკუნეში; მათი რიცხვი მომდევნო საუკუნეში გაიზარდა სახარების ქადაგებისა და ახალი მიწების ათვისების წყალობით. XI საუკუნეში იგივე წინსვლა შეიმჩნეოდა ბოჰემიაში, პოლონეთსა და უნგრეთში. *მრევლს უდიდესი გავლენა ჰქონდა ევროპაზე.* ისინი წარმოადგენენ დღევანდელი კომუნების საფუძველს. სწორედ სამრევლო ეკლესიებში, სადაც აწარმოებდნენ ნათლობას, ქორწინების თუ გარდაცვალების რეესტრებს, დაიბადა სამოქალაქო მდგომარეობა და მისი აქტები, თუმცა შემდეგ ამან საერო ხასიათი მიიღო. თითოეულ მრევლს, იქნებოდა ეს პოლონეთიდან პორტუგალიამდე, ირლანდიიდან სიცილიამდე თუ ნორვეგიიდან ჩეხოსლოვაკიამდე, ჰქონდა თავისი ეკლესია, ან ზოგჯერ ეკლესიები იქ, სადაც საცხოვრებელი სახლები არ იყო მიმოფანტული, მაგალითად იტალიაში. *ჩვენ ვცხოვრობთ სტრუქტურაში, რომელსაც ღრმად ატყვია მრევლის და კომუნის ნაკვალევი.*

დასკვნა. ორი ათასწლეულის მანძილზე მცირერიცხოვანმა აღმოსავლელმა ხალხმა, ებრაელმა ხალხმა, რომელსაც ხშირად ისრაელს უწოდებენ, რომელიც ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა, მაგრამ ყოველთვის შეუპოვარი იყო, მტკიცედ დაიცვა მონოთეისტური რელიგია. ამ რელიგიამ ჩვენს დრომდე მოაღწია, მიუხედავად მისი მიმდევრების გაბნევისა, ანუ დიასპორისა. ეს იუდეური (იაკობის ერთ-ერთი ძის, იუდას სახელის მიხედვით), ანუ ისრაელის (იაკობის მეორე სახელი იყო ისრაელი) რელიგია აგრძელებს პირდაპირი გავლენის მოხდენას, კერძოდ, ევროპელებზე.

ებრაელი წინასწარმეტყველის, იესო ნაზარეველის სიკვდილის შემდეგ, რომელიც ახ.წ. დაახლოებით 30 წელს პროკურატორ პილატე პონტოელის დროს აწამეს, მისმა

მოციქულებმა და მოწამეებმა იწამეს მისი აღდგომა და განუდგნენ რა ებრაულ რელიგიას, შექმნეს თავიდან პატარა სექტა, რომლის მთავარი პროპაგანდისტი და თეოლოგი იყო სავლე, რომელიც პავლედ იქცა. ეს იყო მცირე აზიაში, ტარსოსში დაბადებული ებრაელი, რომელიც სარგებლობდა რომის მოქალაქის სტატუსით.

სამასი წლის მანძილზე, ამ პატარა სექტამ, რომელსაც ეკლესია ერქვა (ბერძნულად Ecclesia ნიშნავს ერთობლიობას), დაიპყრო რომის იმპერია, გადალახა მისი საზღვრები, რათა გამხდარიყო საყოველთაო ანუ კათოლიკური და დაიპყრო ევროპა.

აღმოსავლეთის ეკლესიამ, რომლის მთავარი ქალაქი იყო „მეორე რომი", ანუ კონსტანტინოპოლი, სულ უფრო და უფრო განსაკუთრებული როლი ითამაშა, რადგანაც უჭირდა დამორჩილებოდა პაპს. იუსტინიანეს (VI ს.) ხანმოკლე გამარჯვებამ გავლენა იქონია ჩრდილოეთ იტალიაზე, სადაც გაგრძელება ჰპოვა ბერძნული მოზაიკის ბრწყინვალე ტრადიციებმა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითებია რავენა და ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძარი, მაგრამ საერთოდ საქმე რღვევისკენ მიდიოდა.

6

გერმანებთა დიდი ეპოქა

I. გერმანებთა მოსვლა ევროპაში

გერმანები და კელტები. როგორც კელტები ცხოვრობდნენ რომაელების გვერდიგვერდ, სანამ მათ მიერ დაპყრობილი იქნებოდნენ ჩრდილოეთ შოტლანდიის და ჩრდილოეთ ირლანდიის გარდა, ასევე გერმანებმაც ახალი საზრუნავი გაუჩინეს რომაელებს ავგუსტუსის ეპოქაში. სიტყვა „გერმანი" ძვ.წ. I საუკუნეში შემოიტანა ხმარებაში ბერძენმა ისტორიკოსმა პოზიდონიოსმა.

როცა ძვ.წ. 113-101 წლებში სამხრეთ იუტლანდიიდან და მდინარე ელბის ქვემო-წელიდან წამოსულმა კიმბრიელებმა და ტევტონებმა დაიკავეს პოს დაბლობი და მარიუსის მიერ დამარცხებულ იქნენ ექს-ან-პროვანსში და ვერსეიში, შესაძლოა აქ ლაპარაკი იყოს კელტებზე და არა გერმანებზე. მათი ბელადების გვარები მართლაც კელტურია. ეს გაუგებრობა ალბათ იულიუს კეისარს უნდა მიეწეროს, რომელიც გალიის დაპყრობის მომენტში იყენებს სიტყვას „Germani" იმ ძლიერი კელტური ტომების აღსანიშნავად, რომლებიც რაინის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე სახლობდნენ. გარდა ამისა, ძლიერ სარწმუნო ჩანს ის ფაქტი, რომ კელტური და გერმანიკული ზოგიერთი დიალექტი მსგავსებას ამჟღავნებს, რაც კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს, თუმცა კეისრის მიერ გალიის დაპყრობის შემდეგ ბევრი გალი გადასახლდა სამუდამოდ მათ ტერიტორიაზე.

გერმანელები და რომაელები. უნდა აღინიშნოს, რომ ლათინების მიერ გერმანებად წოდებულ ყველა ხალხს არ დაურქმევია თავისი თავისთვის ზოგადი სახელი. გერმანელები ვიცით თემების სახელწოდებით Alamani (გერმანელები ანუ all men, ე.ი. „ყველა ადამიანი", რაც უთუოდ ტომების ცვალებად დაჯგუფებას აღნიშნავდა). სიტყვა

Deutsch მოგვიანებით გაჩნდა, ახ.წ. VIII საუკუნეში და აღნიშნავს „ხალხიდან გამოსულ ადამიანებს" მხოლოდ კონტინენტზე და არა ბრიტანეთის კუნძულებზე. შევეცადოთ მოვახდინოთ ამ თემების ლინგვისტური კლასიფიკაცია:

1) ისინი ვინც ჩრდილოეთის დიალექტზე ლაპარაკობდნენ. სიტყვა „სკანდინავიური" მეცნიერული სიტყვაა. ჩრდილოური დიალექტებისგან უშუალოდ წარმოშვეს ნორვეგიული, შვედური და დანიური ენები.
2) აღმოსავლურ დიალექტებს იყენებდნენ გოთები, ბურგუნდიელები, ვანდალები.
3) დასავლურ დიალექტებზე ლაპარაკობდნენ ფრანკები, ალამანები, ბავარიელები, ლომბარდიელები, ანგლები, საქსონები, ფრიზონები და ამ დიალექტებისგან წარმოიშვა თანამედროვე გერმანული, ჰოლანდიური და ინგლისური ენები.

ეს კლასიფიკაცია არ არის ამომწურავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ხანაში სამხრეთ სკანდინავიიდან წამოსულა ერთი ცივილიზაცია, რომელიც თითქოს გერმანელთა წინამორბედი იყო, რომელშიც ლინგვისტებმა ვერ შეძლეს „წინაგერმანიკული" სუბსტრატის აღმოჩენა. ეს ხალხი დაფუძნდა ოდერსა და ვეზერს შორის, შემდეგ კი პომერანიაში, ძვ.წ. 800 წლისთვის მათ მიაღწიეს ვესტფალიას დასავლეთით და ვისლას აღმოსავლეთით, თუმცა კელტების ექსპანსიამ ისინი დიდი ხნით ჩამოაშორა დღევანდელ სამხრეთ გერმანიას და ცენტრალურ ევროპას.

რომის საზღვარი და limes-ი. ხალხებმა, რომლებიც იულიუს კეისარმა შეაჩერა რაინზე (ძვ.წ. 58-51 წელს) თავის მხრივ რომაელები შეაჩერეს, სანამ იმპერიაში შეაღწევდნენ. რომაულმა limes-მა, ჭეშმარიტმა გამაგრებულმა ბარიერმა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით უბადლო იყო, ხელი ვერ შეუშალა მოსახლეობის ერთმანეთში შერევას, რაც შემოსევების წყაროდ იქცა.

ახ.წ. I და II საუკუნეებში, იმპერატორ მარკუს ავრელი-

უსის მმართველობამდე, მდგომარეობა მშვიდი იყო. ავგუსტუსის მმართველობის დროს გერმანელმა გაანადგურეს ვარუსის ლეგიონები, რომელთაც ეკისრებოდათ მთელი იმ მხარის დაპყრობა მდინარე ელბამდე. რომაელები იძულებული შეიქნენ დასჯერებოდნენ სამკუთხედს, რომელიც ლანიდან დუნაიმდე მიემართებოდა, ფარავდა შვარცვალდს („შავი ტყე") და შვაბაეთის იურას: ეს მინდვრებია, რასაც ხელი არ შეუშლია რომაული გავლენის გამოვლინებისთვის მშვიდობიან პერიოდში. გერმანელი რომაელთა სამსახურში დგებიან, როგორც დაქირავებული მეომრები. ყველაზე მდიდრები ლათინურ კულტურას ეზიარებიან.

რომაულ ფუფუნებას ბაძავენ. სკანდინავიელებსაც კი იზიდავს ეს ახალი სამყარო. სავაჭრო გზები დასავლეთ იუტლანდიამდე მიდის, რათა იმპერია ქარვით მოამარაგოს.

რაც შეეხება ანბანურ დამწერლობას, II საუკუნის დანიაში ჩნდება *რუნები*. მან VII საუკუნემდე იარსება საკუთრივ გერმანიაში, IX საუკუნემდე ინგლისში და XV საუკუნემდე - სკანდინავიაში, თუმცა ძლიერი ლიტერატურული როლი არ უთამაშია.

შემოსევების ტალღა II და III საუკუნეებში იმპერიის დასავლეთით. ქრონოლოგიურად არჩევენ ორი სახმელეთო და ერთი საზღვაო შემოსევის ტალღებს. ჩვენ არ ვილაპარაკებთ იმპერიის აღმოსავლეთით მომხდარ შემოსევებზე. პირველი სახმელეთო ტალღა დაიწყო ახ.წ. II საუკუნეში, 166 წელს, როცა კვადები და მარკომანები შეიჭრნენ ვენეციაში. III საუკუნეში გერმანელებმა შეაღწიეს რაინის მარცხენა ნაპირზე 254 წელს, როცა დაეუფლნენ სასაზღვრო ოლქს (limes-ს). მათ დაიპყრეს გალია. 260 და 270 წლებში ალამანები შეიჭრნენ იტალიაში. გუთებმა შეუტიეს საბერძნეთს და მცირე აზიას. დიდი სადამსჯელო ღონისძიებებით განთქმულმა რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ III საუკუნის ბოლოს შეძლო უხეში ძალის გამოყენებით ბოლო მოეღო მათი გამუდმებული შემოსევებისთვის, რაც დიდი უბედურების და უწესრიგობის წყაროს წარმოადგენდა.

დაპყრობების ტალღა V და VI საუკუნეებში: ჰუნები. მეორე ტალღა, რომელიც V და VI საუკუნეებს მოიცავდა, აღარავის შეუჩერებია. იგი არაგერმანიკული წარმოშობის ხალხის, შავი ზღვისპირა სტეპების მცხოვრები მომთაბარე ხალხმა, ჰუნებმა განახორციელეს. მათ უკრაინის გუთებს შეუტიეს.

რომის, და განსაკუთრებით დასავლეთ რომის იმპერიამ შეუძლებლად ჩათვალა მათთან მოლაპარაკებაზე წასვლა გერმანთა საწინააღმდეგოდ, როცა გუთებმა, ფრანკებმა და ბურგუნდიელებმა იტალიისა და გალიისკენ აიღეს გეზი.

ვინ არიან ჰუნები? არიან თუ არა მონღოლოიდები? ნაკლებად სარწმუნოა. მათ ამსგავსებენ იმ ხალხს, რომლებსაც ჩინელები ჰიუნგ-ნუს უწოდებდნენ და რომლებიც თეთრკანიანები იყვნენ და არა ყვითელკანიანები. ეს იდეა დღესდღეობით აღარ განიხილება. არიან თუ არა ჰუნები თურქების წინამორბედნი? ამასაც ვერ ვიტყვით დანამდვილებით.

ყოველ შემთხვევაში, დასავლელთა წარმოდგენაში, იმპერიაში თუ მის გარეთ, ისინი იყვნენ ყველაზე სასტიკი ბარბაროსები, რომლებიც მოხუცებულებს ხოცავდნენ, ცხენზე ატარებდნენ მთელ ცხოვრებას, უმი ხორცით იკვებებოდნენ.

დაახლოებით 425 წელს ისინი პანონიაში, ახლანდელ უნგრეთში დამკვიდრდნენ. მათი მეფეები, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი ატილა იყო, წარჩინებულ მეომრებს ეყრდნობოდნენ. ატილა 395 წელს დაიბადა და 434 წელს გამეფდა. ის მოლაპარაკებას აწარმოებდა გალიელ აეციუსთან, რომელიც მართავდა დასავლეთის მოზრდილ ნაწილს, მაგრამ 451 წელს მან უეცრად შეწყვიტა საომარი მოქმედებები აღმოსავლეთის წინააღმდეგ და რაინისკენ გაემართა, რომელიც მაიენსის მახლობლად გადალახა. მან გაანადგურა ბელგია, მეცი, მივიდა ორლეანში. ფრანკების, ბურგუნდიელების, გალების და ვიზიგუთების არმიის სათავეში მყოფმა აეციუსმა იგი დაამარცხა „კატალონიის მინდვრებზე", შამპანში. 452 წელს ატილამ დაიპყრო ჩრდილოეთი იტალია და შეხვდა რომის პაპ ლეონს. 453 წელს, ატილას სიკვდილის შემდეგ ბრძლა მემკვიდრეობისთვის

შესუსტდა და ჰუნების შესახებ ისტორია დუმს 474 წლიდან. მიუხედავად ჰუნების შემოსევების სისასტიკისა, მათ ბევრად ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე გერმანთა შემოსევებს V და VI საუკუნეებში, რომლებიც ხან უეცარი ლაშქრობების, ხან სისტემატური დაპყრობების, ხან კი იმ მიწების თანდათანობითი და ნელი მიტაცების ხასიათს ატარებდა, რომლებსაც ისინი რომაელებს და კელტებს ედავებოდნენ.

ვანდალები და ალენები. ჩვენი ნაშრომის ჩარჩოები ნებას გვაძლევს მხოლოდ ძირითად ხაზებში მოვიხსენიოთ ეს ხალხი.

406 წლიდან ალენებმა იწყეს რაინის გადალახვა. მათ ესპანეთში 409 წელს შეაღწიეს. 414 წელს ისინი რონაზე უნახავთ, მაგრამ ძალინ მალე ისინი დაემორჩილნენ ვესტგუთებს ესპანეთში და ვანდალებს ესპანეთსა და აფრიკაში: ვანდალების მეფეები ორმაგ ტიტულს ატარებდნენ: rex Vandalorum et Alanorum.

გუთები. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ხალხი იყო გუთები.

შესაძლოა, ისინი სკანდინავიიდან ყოფილიყვნენ წამოსულები: ორ სკანდინავიელ ხალხს ჰქვია მსგავსი სახელი, გოთარის კუნძულზე გოთარებს და ძველი შვედეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე გიოტალანდის გიოთარებს. პლინიუსმა და ტაციტუსმა იციან მათი არსებობის შესახებ, ისინი დიდი პატივისცემით სარგებლობენ გერმანელთა შორის.

ჰუნების მიერ შევიწროებულმა გუთებმა ლტოლვილებად შეაფარეს თავი თრაკიაში, იმპერიაში. აღმოსავლეთის გუთები, ანუ ბრწყინვალე გუთები და დასავლეთის, ანუ ბრძენი გუთები გაქრისტიანდნენ 341 წელს არიელი ეპისკოპოსის ულფილას მიერ, რომელმაც კარგად იცოდა მათი ენა.

დასავლეთის გუთები კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ (378 და 395 წ.), ხოლო შემდეგ გეზი აიღეს ჩრდილოეთ იტალიისკენ თავიანთი მეთაურის, ალარიკის ხელმძღვანელობით. ალარიკმა რომამდე მიაღწია და მოახერხა რავენის

ბლოკირება, რომელიც ჭაობიანი ზონით იყო დაცული. 410 წლის 24 აგვისტოს ალარიკი რომში შევიდა და ქალაქს სამი დღის განმავლობაში ძარცვავდა. ეს საშინელი სკანდალი იყო არა მარტო იმპერიისთვის, არამედ მთელი კათოლიკური ქრისტიანული სამყაროსთვის.

ალარიკი იმავე წლის ბოლოს გარდაიცვალა. მისი ცოლისძმა და მემკვიდრე გალიაში გადავიდა: იგი ნარბონში (სადაც გუთები 3 საუკუნე დარჩნენ), ტულუზასა და ბორდოში დაბინავდა. ნარბონში მან ცოლად შეირთო ცნობილი ტყვე ქალი, რომის იპერატორ თეოდოსიუს I-ის ასული გალა პლასიდია, რომლის მავზოლეუმი ქალაქ რავენაში ალბათ ძველებური მოზაიკის უდიდესი მსოფლიო დონის შედევრია.

აკვიტანიის ბატონები, ვიზიგოთები ესპანეთში გადავიდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს გიბრალტარის სრუტის გადალახვა. დროდადრო ისინი რომის სამსახურში დგებოდნენ.

ვესტგუთები ესპანეთში. ფრანკების მოძალება მნიშვნელოვნად ავიწროვებდა ვიზიგოთების სამეფოს. უერიკის (466-484) მეფობის დროს „ტულუზის სამეფომ" აპოგეას მიაღწია. უერიკმა თავისი ძალაუფლება განავრცო ჩრდილოეთით ოვერნამდე და გააძლიერა სამხრეთით ესპანეთამდე. 507 წელს ვუიეს ბრძოლისას ფრანკებმა ესპანეთში და ნარბონეზში განდევნეს ვესტგუთები. ამით ბოლო მოეღო „ტულუზის სამეფოს". ოღონდ მათ არ დაუკავებიათ მთელი იბერიის ნახევარკუნძული: სვევებმა (საიდანაც წარმოსდგება სიტყვა „შვაბი") 406 წელს გადალახეს რაინი და 409 წელს შევიდნენ ესპანეთში. მათ პატარა სამეფო შექმნეს, რომელიც გალიციამდე და პორტუგალიის ჩრდილოეთამდე განივრცო. ისინი ხშირად აწყობდნენ მცირე ლაშქრობებს სამხრეთით, ბეტიისა და ლუზიტანიისაკენ. სვევების სამეფო, რომელსაც განუწყვეტლივ უტევდნენ ვესტგუთები, საბოლოოდ მათმა მეფემ ლეოვიგილდმა დაიპყრო 585 წელს.

ვესტგუთებმა დედაქალაქად ტოლედო აირჩიეს. ისინი იძულებულნი იყვნენ იუსტინიანეს ჯარების წინააღმდეგ

VI. ევროპული იმპერიები შუა საუკუნეების დასაწყისში


ხალიფატი
ოსტგოთები
ვესტგოთები
ფრანკები
ლომბარდიელები
ბერგუნდები
ტიურინგები
საქსონი-ფრანკები
ფრანკები
რომის იმპერიის საზღვარი 800 წ.-ს
ადმინისტრაციის იმპერიის საზღვარი 814 წ.
ატლანტიკის
ოკეანე
ბალტიის
ზღვა
ბალტიკა
ბალტიკა
ბალტიკ

ეომათ. აღმოსავლეთის ამ დიდ იმპერატორს სურდა მთლიანად აღედგინა რომის იმპერია. იუსტინიანემ გაიმარჯვა იტალიასა და აფრიკაში, გალიაში ბურგუნდიელებს შეერკინა, 551 წელს ჯარები გადმოსხა ბეტიის და კართაგენის უძველეს პროვინციებში, გვადალკვივირის და იუკარის შესართავებს შორის და წმინდა ვინსენტის კონცხზე, პორტუგალიის სამხრეთით.

ბიზანტიელები მხოლოდ 628 წელს გააძევეს ვესტგუთებმა, რომლებიც ამის შემდეგ 90 წლის განმავლობაში ბატონობდნენ იქ, კანტაბრის და ვასკონის, ანუ ბასკეთის გარდა.

ვეზტგუთები - რაოდენობით დაახლოებით 300 000 კაცი - ძირითადად კარგად ეწყობოდნენ ესპანელ-რომაელებს. ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა უფრო გაძლიერდა მაშინ, როცა 589 წელს ტოლედოს საეკლესიო საბჭოზე ვესტგუთების მეფე რეკარედემ უარყო არიანიზმი და მიიღო რომაული კათოლიციზმი, ხოლო დიდმა ეპისკოპოსმა ისიდორე სევილიელმა წარმოთქვა „გუთების ერის" ქებათა ქება. მიწების ორი მესამედი ვიზიგოთებს ერგოთ, ერთი მესამედი კი ესპანელ-რომაელებს. შეიქმნა ნამდვილი სახელმწიფო თავისი სამეფო კარით, Aula Regia-თი, პროვინციები და civitates-ები. მაგრამ მუსლიმანების მიერ 711 წელს ქვეყნის დაპყრობამდე სენიორიებად დაქუცმაცებული სამეფო დიდგვაროვანთა ხელში ჩავარდა.

ცოტა ხნით შევჩერდეთ ისიდორე სევილიელზე; ეს იყო მეტად ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომელიც დაიბადა 560 წელს, ხოლო გარდაიცვალა 636 წელს. წარმოშობით რომანიზებული და კათოლიკური ბეტიიდან გახლდათ. „იგი ესპანეთის ეკლესიის სიამაყეს წარმოადგენდა VII საუკუნეში, იგი იყო ქრისტიანული ესპანეთის ყველაზე სახელოვანი პიროვნება და დასავლეთის ეკლესიის უკანასკნელი მამათაგანი". მისი უფროსი ძმა სევილიის ეპისკოპოსი იყო და მან მოაქცია ქრისტიანად ვესტგუტების მეფე. ისიდორეს ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა და ერთნაირად კარგად ერკვეოდა ანტიკურ მეცნიერებებსა და ქრისტიანულ დოქტრინაში. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ქრონო-

ლოგია, ლიტერატურა, ფილოსოფია, გრამატიკა, თეოლოგია, ფიზიკა, გემთმშენებლობის საკითხები, კოსტიუმები, სამზარეულო, ბუნებისმეტყველების ისტორია, კოსმოგრაფია, არითმეტიკა. მან დაწერა *„გუთების, ვანდალების და სვევების ისტორია"*. მას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ თითქმის სრულიად არ იცოდა ბერძნული ენა. 653 წლის ტოლედოს საეკლესიო საბჭო მას ასე ახასიათებს: „იგი იყო ჩვენი საუკუნის დიდი დოქტორი, კათოლიკური ეკლესიის უკანასკნელი სიამაყე... და უკეთ რომ ითქვას, ყველაზე დიდი მეცნიერი ადამიანთა შორის". ზოგიერთებს მიაჩნდათ, რომ მისმა უდიდესმა ავტორიტეტმა კიდევაც შეაჩერა პროგრესი შუა საუკუნეების დიდი ნაწილის განვითარებაში. ეს ზედმეტად მკაცრი ნათქვამია. მისი ფილოსოფია გადმოცემულია „სენტენციების" სამ წიგნში. მისი შედევრი ალბათ მაინც მისი „ეტიმოლოგიებია", სადაც იგი წარმოგვიდგენს აღზრდის მისეულ სისტემას. მან მართლაც უზარმაზარი გავლენა იქონია კაროლინგურ აღორძინებაზე. წმინდა თომაზე, დანტეზე, რომელიც „ისიდორეს მგზნებარე გონებაზე" ლაპარაკობს. ბოლოს, გვინდა ხაზი გაუსვათ იმას, რომ ისიდორე, რომლის მშობლიური ენა ლათინური იყო, თავს ესპანელად უფრო თვლიდა, ვიდრე რომაელად. მან გაიხარა, როდესაც ნახა, რომ ვესტგუთებმა ბიზანტიელებს წაართვეს მათ მიერ დაპყრობილი ესპანეთის ნაწილი.

ოსტგუთები იტალიაში. ოსტგუთების წარმატებები უფრო ხანმოკლე, მაგრამ ბევრად უფრო ბრწყინვალე იყო. ადრიანოპოლისის ბრძოლის დროს, 378 წელს ოსტგუთების ერთი ნაწილი ახლანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე, პანონიაში ცხოვრობდა ჰუნების მფარველობის ქვეშ, მეორე ნაწილი კი, რომელიც აღმოსავლეთ იმპერიას ემსახურებოდა, ბალკანეთში ბინადრობდა. ჰუნების ძალაუფლების შესუსტების შემდეგ პანონიის გუთები იმპერიას დაუახლოვდნენ. მეფე თეოდორიხის ძმისწული მძევლად იქნა აყვანილი და 9 წელი გაატარა კონსტანტინოპოლში. იგი ტახტზე 473 წელს ავიდა და ისტორიაში დარჩა თეოდორიხ დიდის სახელწოდებით. მან ბალკანეთის ნაწილი იმ დროს ჩაიგდო

ხელში, როცა დასავლეთის უკანასკნელი უშვილო იმპერატორი 476 წელს გერმანული ტომის, ჰერულების მეფემ ოდოაკრმა ჩამოაგდო ტახტიდან. აღმოსავლეთის იმპერატორმა სცადა თეოდორიხის გამოყენება ოდოაკრის გასაძევებლად. თეოდორიხი შერეული არმიით დღევანდელი ბულგარეთიდან გაემართა იტალიისკენ, შევიდა ქვეყანაში და ოთხი წლის შემდეგ შეძლო ოდოაკრის და მისი ოჯახის ამოწყვეტა. იგი იტალიის მბრძანებელი გახდა და მას სახელი საკუთარმა მინისტრმა, მწერალმა კასიოდორემ გაუთქვა. თეოდორიხმა მმართველობა ორ ნაწილად გაყო იტალიაში: ერთი გუთური იყო, მეორე კი რომაული, მაგრამ ორივე მასზე იყო დამოკიდებული. რომაელებმა იგი მიიღეს, თავად კი ადრინდელ იმპერატორებს majores nostri-ს, „ჩვენს წინაპრებს" უწოდებდა. 500 წელს იგი რომის ტახტზე ავიდა და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ გვიხარია, რომ რომაული სამართლით ვცხოვრობთ, რომელსაც იარაღით ხელში დავიცავთ... რად გვინდოდა ბარბაროსთა უწესრიგობის უარყოფა, თუ კანონებიდან არ ვისწავლით ჩვენი ცხოვრების წესს? "

თეოდორიხი მოხერხებული და მეტად ფრთხილიც გახლდათ, რადგან იმპერატორის ტიტულიც კი არ მოუთხოვია. სატახტო ქალაქად მან რავენა არჩია და მრავალი ნაგებობით დაამშვენა. თეოდორიხი ბატონობდა არა მარტო იტალიაში, არამედ რეტიაში (დაახ. დღევანდელ შვეიცარიაში), ილირიკუმის ჩრდილოეთში, დალმაციაში, პანონიის ნაწილში, სიცილიის აღმოსავლეთსა და 511 წლის შემდეგ პროვანსში. „მისი მეფობის პერიოდი განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროში იყო ბრწყინვალე. ამ პერიოდში სამი პიროვნების სახელი იყო გამორჩეული დიდებით მოცული. ესენი იყვნენ: ეუნოდიუსი, პავიის მომავალი ეპისკოპოსი, კასიოდორე, სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც მოგვიანებით თავის მონასტერში, ვივარიუმში ერთგვარი კულტურის კონსერვატორია დააარსა და განსაკუთრებით ბოეციუსი, ანტიკური ეპოქის ორიგინალურობით აღბეჭდილი გონების პატრონი, რომელსაც აგრეთვე ადმინისტრაციული თანამდებობა ეკავა, მაგრამ იყო ბერძნულ კულტურაზე აღზრდილი ფი-

ლოსოფოსი და მათემატიკოსი". ასე აღწერს ლუსიენ მიუსე ამ მნიშვნელოვან პერიოდს. თეოდორიხ დიდი 526 წელს გარდაიცვალა. მისი მავზოლეუმი რავენის ერთ-ერთი უმთავრესი ისტორიული ძეგლია.

ბურგუნდები. ბურგუნდები წარმოშობით ბალტიის ზღვისა და მდინარე ვისლის ნაპირებიდან იყვნენ. ისინი უთუოდ სკანდინავიიდან მოდიოდნენ: მსგავსება უეჭველია ნორვეგიის ბორგუნდთან, რომელიც სოგნეფიორდზე მდებარეობს და დანიის კუნძულ ბორნჰოლმთან, რომლის ადრინდელი სახელწოდება იყო ბურგუნდარჰოლმი.

III საუკუნეში ბურგუნდები დასავლეთისკენ დაიძრნენ, თუმცა იმპერიაში ახ.წ. 400 წლამდე არ შეუღწევიათ. 406 წელს მრავალრიცხოვან გერმან ხალხებთან ერთად რაინის დასავლეთით, კობლენცის ქვემოთ აღმოჩნდნენ, ოცდაათი წელი დარჩნენ რაინის ოლქში, შემდეგ კი ალამანების მიერ განდევნის შემდეგ რომაელთაგან ნებართვა მიიღეს ახლანდელი ჟენევის ირგვლივ, საპანდიაში (ხომ არ არის ეს სიტყვა „საოიის" წინაპარი) დარჩენილიყვნენ. მათ დახმარება გაუწიეს რომს ჰუნების და სვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, სამაგიეროდ კი დაიკავეს ტერიტორიები ლიონიდან ზღვისპირა ალპებამდე: მათი მეფე იჯდა ლიონში, მისი მემკვიდრე კი ჟენევაში.

რომაელებთან მათ კარგი ურთიერთობა დაამყარეს, რამაც დიდხანს გააძლებინათ, მაგრამ სამხრეთიდან გუთებმა შემოუტიეს, ჩრდილოეთიდან კი ფრანკებმა, რომელთაც საბოლოოდ მთელი ბურგუნდია დაიკავეს.

ალამანები. ალამანები (როგორც ავღნიშნეთ, ეს სიტყვა ნიშნავს „ყველა ადამიანს") პირველად ნახსენები არიან 213 წელს. 260 წელს მათ გაარღვიეს limes-ი, გადალახეს ალპები და ჩავიდნენ მილანში. სწორედ ისინი ცხოვრობდნენ განთქმულ დეკუმატის მინდვრებში, რომლებიც ნეკარიდან რაინის ალზასურ ნაპირებამდე და კონტანციას ტბამდე არიან გადაჭიმული. უცხოელები მათ ალამანებს უწოდებენ, თავად კი ურჩევნიათ სახელწოდება „შვაბები". IV საუკუ-

ნეში ისინი მრავალჯერ შეეცადნენ დასავლეთით ალზასში და სამხრეთით მილანში შეჭრილიყვნენ. V საუკუნეში დიდი როლი ითამაშეს 406 წლის გერმანთა ლაშქრობებში. მათი მთავარი მეტოქეები ფრანკები იყვნენ და 506 წელს ხლოდვიგმა ბოლო მოუღო მათ დინასტიას ტოლბიაკის ბრძოლაში. გადმოცემის თანახმად ამ გამარჯვების შემდეგ მადლიერების ნიშნად ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო რეიმსში, რაც ევროპის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის ეტაპია. ამ დროს ალამანები კვლავ არიან შვეიცარიის ვაკეზე და იურას მთებში ბეზანსონის მახლობლად, მაგრამ 536 წლიდან ეს წარმართი ხალხი იძულებულია ხარკი უხადოს ავსტრაზიის (ფრანკების სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი) ფრანკ ჰერცოგს და VIII საუკუნეში რაინის აღმოსავლეთით მცხოვრებ გერმანელ მოსახლეობაში გაითქვიფოს. 590 წელს კონსტანციაში საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, მაგრამ ალამანთა ქრისტიანებად მოქცევა ძალზე ნელა მიმდინარეობდა.

ბავარიელები. ბავარიელები პირველად მხოლოდ 551 წელს არიან ნახსენები. ისინი ამ დროს უკვე თავიანთ ამჟამინდელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და იგი არასოდეს დაუტოვებიათ. მათ ალპების გადალახვა შეძლეს და მაღალი Adiges-ს ძირში გაჩერდნენ. ბავარიელი ჰერცოგები ანუ აგილოლფინგები დიდხანს ინარჩუნებდნენ ავტონომიას და მხოლოდ კარლოს დიდის დროს, 788 წელს შეუერთდნენ ფრანკების სამეფოს.

ფრანკები. სხვა გერმანიკული ხალხებისგან განსხვავებით ფრანკები ერთადერთი ხალხი იყო ვესტგუთებთან ერთად, რომელმაც შეძლო მყარი სამეფოს შექმნა. „მიგრაციებით მათ ყველაზე მეტი მოიგეს" ამბობდნენ მათ შესახებ. თავდაპირველად ისინი იხსენიებიან 241 წელს და შემდეგ 257 წელს. 286 წელს ისინი ზღვით მოსულან. მათი ენა ჰოლანდიურ ენას დაედო საფუძვლად. მათი სახელისგან წარმოსდგა ფრანგების სახელწოდება, მაგრამ მათი დიდი ნაწილი რაინის მარჯვენა ნაპირზე დასახლდა და დღევან-

დელი გერმანელების წინაპარია. ეს ხალხი შედგებოდა რაინის ქვემოწელში მცხოვრებ მრავალი მცირე ხალხისგან; რომლებიც თავიდან რომის საზღვართან ახლოს, კიოლნის რეგიონში ბინადრობდა. ყველაზე გავლენიანი ჯგუფი მათ შორის სალიელი ფრანკების ჯგუფი იყო, რომელთაც მათი სალიკური კანონებით იცნობდნენ. მაგრამ იყვნენ ისინი, ვინც Francia Rivensis-ში, ანუ მდინარისპირა საფრანგეთში დასახლდნენ, რომელიც 475-480 წლებში მოიცავდა ტერიტორიას რაინის ორივე ნაპირზე მაიენსიდან ნიმეგამდე და მდინარე მოზელზე ტულიდან კობლენცამდე. გრიგოლ ტურელის ბუნდოვანი მონათხრობიდან ვიცნობთ მათ რამდენიმე მეფეს: ჰილდერიკს, რომელიც ხლოდვიგის ბაბუა იყო და 457 წელს გამოჩნდა, მეროვეს, ხლოდვიგის მამის და მეროვინგების დინასტიის „ფუძემდებელს", რომელთაც ორნახევარი საუკუნე იმეფეს, მაგრამ მეროვე უფრო დინასტიის „მითიური ეპონომია", ვიდრე პიროვნების სახელი.

ფრანკები ტერიტორიებს იკავებდნენ რომაელთა ლეგიონებში ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად, სადაც ისინი მრავლად მსახურობდნენ და ზოგიერთი დაუსახლებელი ზონის მშვიდობიანად დაუფლებით. პირველი ფრანკი ოფიცერი რომის არმიაში კონსტანტინეს (324წ.) მმართველობის დროს გამოჩნდა. ფრანკები რომაელთა მხარდამხარ იბრძოდნენ, თუმცა 406 წლის დიდ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ისინი დაკმაყოფილდნენ რაინის და ვესტფალიის ზონების დაკავებით, სადაც დაშლის პირას მყოფ იმპერიის მიტოვებული სასაზღვრო ოლქები ეგულებოდათ.

ხლოდვიგი და მისი გამარჯვებები. 465 წელს დაბადებული ხლოდვიგი თავის მოკრძალებულ ტახტზე 481 წელს ავიდა და ფრანკებს მაშინვე არჩვეულებრივი ძლიერება და სახელი მოუტანა. მისი სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი არ აღწევდა ვერდენ-ვორმსის ხაზამდე. ხლოდვიგმა დაიწყო იმ ზონის დაპყრობა, რომელიც სენას და ლუარას შორის მდებარეობდა ნანტამდე, ტურამდე, ორლეანამდე და ვოგეზების სამხრეთამდე. შემდეგ მრავალი საომარი კამპანია აწარმოა ტურინგიელთა და ალამანთა წინააღმდეგ აღმოსავ-

ლეთით, ბურგუნდებისა და ალამანების წინააღმდეგ სამხრეთით, რაც ეს-ეს არის ავღნიშნეთ. გავიხსენოთ მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელიც ხლოდვიგის ნათლობას უკავშირდება: ქრისტიანი გუთებისგან განსხვავებით ხლოდვიგმა არიანიზმი არ მიიღო. ამით მან რომის პაპთა სიმპათია დაიმსახურა და მრავალი მისი ქვეშევრდომის, ქრისტიანი გალეების და რომაელების ერთგულება მოიპოვა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხლოდვიგმა გადამწყვეტი და დიდი წარმატება მოიპოვა: მან გაანადგურა ვესტგუთები ტურის სამხრეთით, ვუიეში თავისი ბიძაშვილის, კიოლნის მეფის დახმარებით. ხლოდვიგმა მყისვე დაიკავა ტულუზა და ბორდო.

ძალიან საინტერესოა სხვადასხვა გუთური წარმოშობის ხალხის ბატონობა: მათი სამფლობელო ვრცელდება იტალიაზე, სადაც 526 წლამდე თეოდორიხი მეფობს და ესპანეთზე. მაგრამ ეს ორი ტერიტორიული მასა დერეფნით არის შეერთებული. ეს დერეფანი პროვანსია ალპებიდან მდინარე რონამდე, რომელსაც ბურგუნდიის სამეფო ემუქრება. რონის დასავლეთით და პირენეებს იქით არის სეპტიმანია ქალაქ ნარბონით, რომელიც დიდხანს დარჩა ვესტგუთების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად.

ხლოდვიგმა თავის სამეფოს გერმანიკული სტრუქტურა შეუნარჩუნა. უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკების სამეფოს სამხრეთ ნაწილში გერმანთა და რომის სენატის დიდგვაროვნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა არსებობდა. ეს ნიშნავდა დაახლოებით 3 000 ოჯახის უფროსს დასავლეთ ევროპიდან. მათმა უმრავლესობამ დატოვა ჩრდილოეთის ქალაქები, რომლებსაც ფრანკები უტევდნენ და თავი სამხრეთს შეაფარა. მათი სახელების მიხედვით შეიძლება მიხვედრა, რომ ჩრდილოეთ გალიის მაღალი თანამდებობის პირები ეპისკოპოსების ჩათვლით ძირითადად ფრანკები იყვნენ, ხოლო სამხრეთით გალები და რომაელები სჭარბობდნენ. ისინი ერთმანეთს საბოლოოდ მხოლოდ VIII საუკუნეში შეერივნენ.

ფრანკთა დაპყრობები ხლოდვიგის შემდეგ. ხლოდვიგის სიკვდილის შემდეგ (511 წელი) ფრანკებმა დაპყრობი

VII. რომის იმპერიის რეკონსტრუქცია

ატლანტის
ოკეანე
ფრანკები
ბალტიკა
ელბა
ვისლა
ოდერი
ბალტიკა
ბალტიკა
ბალტიკა

თი ომები გააგრძელეს. 533-534 წლებში მათ შემოიერთეს ბურგუნდთა სამეფო, ხოლო 537 წელს - პროვანსი. ვესტგუთებს დარჩათ მხოლოდ სეპტიმანია და უკიდურეს დასავლეთში დამოუკიდებელი ქვემო ბრეტანი. აღმოსავლეთით დიდი პროგრესი შეიმჩნეოდა. 530 წელს ტიურინგია ფრანკებს დაემორჩილა და საჰერცოგოებთან ერთად მათ პროტექტორატში შევიდა, თუმცა წარმართული დარჩა. ალემანიის რაინისპირა ნაწილი ხლოდვიგმა დაიპყრო, დანარჩენი კი ხლოდვიგის შვილიშვილმა, მეცის მეფემ თეოდებერტმა 555 წელს. ალზასმა და პალატინატმა ქრისტიანობა მიიღო, რაინსგაღმა გერმანია კი კვლავაც წარმართული დარჩა. ხანდახან ფრანკები ჩრდილოეთით საქსონებისაგან, სამხრეთით ბავარიელებისგან და ლომბარდიელებისგან ხარკის აკრეფასაც კი ახერხებდნენ. შესაძლოა ასეთი დაჯგუფება იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ინდოევროპელთა სხვა ჯგუფი, სლავები, თავისი ძალის დემონსტრირებას იწყებდა ცენტრალურ ევროპაში.

ბიზანტიელთა ხელახალი ნაწილობრივი დაპყრობა. იმპერატორ იუსტინიანეს მიერ აფრიკის, იტალიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთის ხელახლა დაპყრობამ იტალია გაანადგურა. ამ დაპყრობით ომს ბოლო 560 წელს მოეღო და ბიზანტიელები თავდაცვის აუცილებლობის წინაშე დადგნენ.

ლომბარდიელები. გერმანებთა შემოსევებიდან ლომბარდიელების შემოსევა უკანასკნელი და უთუოდ ყველაზე გამანადგურებელი იყო.

ლომბარდიელები შესაძლოა სკანდინავიიდან ყოფილიყვნენ მოსული. იტალიაში წარმატება მათ ზოგიერთი მეფის მოხერხებულობის წყალობით მოიპოვეს. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც 510-540 წლებში მეფობდა, თავისი ქალიშვილები მეროვინგების მეფეებს მიათხოვა, მეორემ იმპერატორ იუსტინიანესთან შეკრა კავშირი. ყურადღების ღირსია ალბოინი: იგი ლომბარდიელთა დიდი მბრძანებელი იყო. სწორედ მან გადაწყვიტა 568 წელს პანონიის დატოვება,

რათა იტალია დაეპყრო. ალბოინმა პოს დაბლობის დიდი ნაწილი დაიპყრო დანგრეული მილანითურთ,სამ წელიწადს მოუნდა პავიის აღებას და სატახტო ქალაქად ჯერ ვერონა აირჩია, შემდეგ კი პავია. ამის შემდეგ ლომბარდიელებმა წრეში მოაქციეს ბიზანტიის სამფლობელოები, რომლებიც 574 წელს აპენინის ნახევარკუნძულზე მანტუიდან რავენამდე და რიმინიდან რომამდე იყო გადაჭიმული. მათ ტოსკანა და ლაციუმი დაიპყრეს. ბრძოლა ლომბარდიელებსა და ბიზანტიელებს შორის ერთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. საშინელი ანარქია იყო გამეფებული. რაღაც დროით იტალიას „ლანგობარდია" ეწოდა. რავენის ეგზარქატმა, რომელიც ბიზანტიური რჩებოდა VIII საუკუნეში მიიღო სახელწოდება რომანია, რომელიც ჩვენს დრომდე მოვიდა. მხოლოდ 770 წელს გაანადგურა სამეფო კარლოს დიდმა.

II. გერმანებთა საზღვაო მიგრაციები

გერმანები ზღვითაც შემოდიოდნენ.

დიდი ბრიტანეთი, მიმზიდველი პოლუსი. რომაული ბრიტანეთი მიმზიდველ პოლუსს წარმოადგენდა ბევრად უფრო ველური ხალხებისთვის, რომლებიც კუნძულის დასავლეთით და ჩრდილოეთით ბინადრობდნენ, ანუ პიქტებისა და სკოტებისთვის და განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ კონტინენტური ევროპის: ჰოლანდიის, ზღვისპირა გერმანიის და სამხრეთ სკანდინავიის (იუტლანდიის ნაპირი და სამხრეთ შვედეთი, აგრეთვე ნორვეგიის სანაპირო) მცხოვრებთათვის.

ეს მოძრაობა III საუკუნეში დაიწყო ნაკლებად ცნობილი ხალხის, ჰერულების მიერ. ისინი ვიკინგების შორეული წინაპრები იყვნენ. მათი ერთი ნაწილი აღმოსავლეთისკენ გაემართა (ჩვენ ამ საკითხს ახლა არ განვიხილავთ), მეორე ნაწილმა კი 287 და 409 წლებში გალიას შეუტია. 456 წელს ისინი ესპანეთში აღმოჩნდნენ და გალისიის და კანტაბრიის სანაპიროებზე ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი.

459 წელს მათ ბეტიკაში ვხედავთ. ისინი ცდილობენ ვესტგუთებთან კავშირი შეკრან ფრანკების წინააღმდეგ, შემდეგ კი მათი კვალი იკარგება. მათ ადგილს ანგლები, საქსები, ფრიზები და იუტები იკავებენ.

ანგლები ანუ Anglii პირველად ნახსენები არიან, როგორც ბალტიისპირა გერმანიის ხალხების ვრცელი ჯგუფის ნაწილი, რომელიც იუტლანდიაში ცხოვრობდა. ცოტა ხნის შემდეგ პტოლემეოსი ახსენებს საქსებს, რომლებიც გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთის ზღვასთან ჰოლშტეინიდან ვეზერამდე არიან დასახლებული. ფრიზონები ცნობილი არიან I საუკუნიდან. იუტების შესახებ ბევრად უფრო ბუნდოვანი ცნობები არსებობს და ტექსტებში ისინი მხოლოდ III საუკუნის ბოლოდან არიან ნახსენები. რატომ აწყობდნენ საზღვაო, ან სულაც საზღვაო-სახმელეთო ექსპედიციებს, რომლებიც ორმაგად სახიფათო იყო ზღვის სტიქიის თუ ადამიანთა გამძლეობის თვალსაზრისით? ლაპარაკი იყო ზღვის დონის ევოლუციის და მყინვარების სიმძიმისგან განთავისუფლებული ზოგიერთი ჩაძირული მიწის ამოტივტივების შესახებ. ასეთი ახსნა ნაკლებად დამაჯერებელია, ვიდრე იმის თქმა, რომ ნავიგაციამ წინსვლა განიცადა. ერთადერთი გემი, რომელიც 1859-1863 წლებში სამხრეთ იუტლანდიაში, ნიდამში აღმოაჩინეს და რომლის ნახვაც ამჟამად შესაძლებელია გოტორპის მუზეუმში სიგრძით 23 მეტრია. იგი მუხისგანაა გამოთლილი და რკინის ლურსმნებითაა შეკრული, მაგრამ მისი კილი მცირე ზომისაა, მას არა აქვს ანძა და ცხადია, რომ ნიჩბების საშუალებით მოძრაობდა. ეს გემი ახ.წ. 300-400 წლით თარიღდება. ამ გემს ალბათ მხოლოდ ნაპირ-ნაპირ ცურვა შეეძლო. ჯერ ვიკინგებამდე ძალიან შორია.

ამ მოვლენების ახსნა უთუოდ დაკავშირებულია ხალხების მიგრაციასთან, რომლებიც სხვა ხალხებს აიძულებდნენ სამშობლო დაეტოვებინათ.

ანგლები, საქსები, იუტები და ფრიზები. მაშინ, როდესაც საქსებმა ჩრდილოეთის ზღვის, ლა მანშის და ატლანტის ოკეანის ყველა კონტინენტური თუ კუნძულოვანი სა-

ნაპირო გააჩანაგეს ჟირონდამდე, ბრეტანში III საუკუნის ბოლოს ერთგვარი სანაპირო სასაზღვრო ზოლი Litus Saxonikum-ი აშენდა. მოსახლეობა ტყეებში გარბოდა და მიწაში დამარხულ განძეულს ტოვებდა. ანგლები, ფრიზები და იუტები ბრეტანის დაპყრობით დაკმაყოფილდნენ და მას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან შეუტიეს. ფრიზონები ემსსა და ვეზერს შორის, შემდეგ კი ელბასა და აიდრს შორის დასახლდნენ IX საუკუნეში საქსების ადგილზე, რომელთა ნაწილიც მათ ბრეტანში გაჰყვა: მათი ენა მართლაც ახლოს იყო საქსონურთან.

იუტები კიდევ უფრო ნაკლებად არიან ცნობილნი. „ანგლების საეკლესიო ისტორიის" ავტორის, დიდი მწერლის ბედა ღირსის (672-735) აზრით, რომელსაც ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, იუტებმა მოახდინეს კენტის, უაითის კუნძულის და ჰემფშირის ერთი ნაწილის კოლონიზაცია.

ანგლებს, რომლებიც შლეზვიგის აღმოსავლეთით მდებარე ანგელიდან მოვიდნენ, საქსების მონათესავე ენა და ცივილიზაცია ჰქონდათ. ყველა მათგანმა დატოვა კონტინენტი და დანიაში დასახლდნენ ის იუტები, რომლებიც ემიგრაციაში არ წავიდნენ, დანიელები, შვედები და ფრიზები, მაგრამ ასევე არაგერმანიკული ხალხი, სლავები.

შესვლა აღმოსავლეთიდან. ბრიტანეთის რუკა უკეთ მიგვითითებს ანგლო-საქსების შესვლაზე ამ რეგიონში, ვიდრე გრძელი მოთხრობა. ისინი თავიდან რომაელთა სამსახურში იყვნენ, როგორც დაქირავებული მეომრები და პიქტების და სკოტების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ემიგრანტების ჭეშმარიტი ნაკადი 430-340 წლებით თარიღდება და მასიურ სახეს მხოლოდ 500 წლისთვის ღებულობს. ამ დროიდან ბრიტანეთი არა მარტო დაკარგულია რომის იმპერიისათვის, არამედ ვაჭრობასაც კი აღარ აწარმოებს კონტინენტთან 420 წლის შემდეგ. არსებული პატარა ქალაქების უმრავლესობა და გამაგრებული villae-ები თანდათან ინგრევა. მოპირდაპირე სანაპიროზე, ახლანდელი ბელგიის და ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე რომაელები ადგილს უთმობენ ფრანკებს. ბრიტანეთი, რომელიც IV საუკუნეში

რომზე იყო დამოკიდებული უზურპაციის მიუხედავად, V საუკუნეში კელტურ-რომაული ავტონომიური სახელმწიფოა. მოგვიანებით იგი დასავლეთ ნაწილში წმინდად კელტური გახდა, ხოლო აღმოსავლეთით ანგლო-საქსური. გალიელ-რომაელ სარდალ აეციუსისადმი მიმართული მოწოდებები ფუჭ სიტყვებად დარჩა, რადგანაც ეს უკანასკნელი იმ დროს ჰუნებს ებრძოდა.

ბრიტანელ რომაელთა სრული გაქრობა. 500 წლის შემდეგ ჩნდება ანგლო-საქსური სამეფოები. VII საუკუნეში ისინი ერთგვარად მოისპო.

ლინგვისტური კუთხით თუ მივუდგებით ფრანგული ენისგან განსხვავებით ინგლისურში კელტური წარმოშობის მხოლოდ რამდენიმე იშვიათი სიტყვაა (15 თუ 16 სიტყვა) და აგრეთვე ადგილთა სახელწოდებები, როგორიცაა: ტემზა, ლონდონი, იორკი, ლინკოლნი. არაკელტური ზონებიდან ქრისტიანობა გაქრა და კვლავ მხოლოდ 597 წელს გამოჩნდა, როცა პაპ გრიგოლ დიდის მიერ გამოგზავნილი მისიონერები ჩამოვიდნენ.

ამ ახალ სამყაროს უცხოეთთან ურთიერთობა უკვე VI საუკუნიდან აქვს. ამას მოწმობს „გემიანი სამარხი", რომელიც 1939 წელს სატონ ჰუში (სუფოლკი) აღმოაჩინეს. ყორღანის ქვეშ ნახეს საზღვაო გემი, რომლის სიგრძე 27 მეტრს, სიგანე 4.70 მეტრს და სიღრმე 1.5 მეტრს უდრიდა. ეს სამარხი, რომელშიც ადამიანის ნეშტი არ აღმოჩნდა, შეიცავდა ბიზანტიურ ვერცხლეულს, სამკაულებს, იარაღს, მეროვინგების VII საუკუნის მონეტებს და სკანდინავიურ, ძირითადად შვედურ ფულს. ამასთან დაკავშირებით ლუსიენ მიუსე აღნიშნავს: „ვერაფერი დაამტკიცებდა უკეთ, რომ ანგლოსაქსური ინგლისი იზოლირებულ სამყაროს არ წარმოადგენდა... და რომ მისი არისტოკრატია ნაზიარები იყო ევროპული ცივილიზაციის ყველა მიმდინარეობას"

ამ დროისათვის ზღვიდან მოსულმა ემიგრაციამ თანდათანობით იკლო. ლათინური დაივიწყეს, მიატოვეს და შეცვალეს სხვა ენით englix-ით. ახლად ჩამოყალიბებულმა მცირე სამეფოებმა (ესექსი, მერსია, ნორთემბერი) ნელ-ნელა

დასავლეთისკენ გადაინაცვლა კუნძულის დასავლეთში მცხოვრები ბრიტანელების საზიანოდ. უნდა აღინიშნოს, რომ არმორიკის ახალი დასახლება, რომელიც საფრანგეთის ბრეტანად (V-დან VII ს-მდე) იქცა, ამ წინსვლასთან არის დაკავშირებული. მრავალი კელტი გაემართა სამხრეთისაკენ ზღვით. მერსიის მეფეებმა უელსელი კელტების საწინააღმდეგოდ ააშენეს თიხის ვრცელი გალავანი Offa's dyke-ი. ყოფილმა მეზღვაურებმა ზღვა მიატოვეს და გლეხებად იქცნენ. კენტის სოფლების გარდა, სადაც მოსახლეობა შორი-შორს ცხოვრობს, მათი სოფლები ქვემო საქსონიის სოფლებს წააგავს: ხის ოთხკუთხა სახლებით, ღია მოგრძო მინდვრებით, ანუ openfield-ებით, სადაც სავალდებულო კულტურული მცენარეები ხარობს. IX საუკუნემდე საბოლოოდ არ არის გაწყვეტილი კავშირი ძველ საქსებთან. თუ დიდი ბრიტანეთი დიდად განსხვავდება კონტინენტური ევროპისგან, ეს იმის გამოა, რომ გერმანელთა შემოსევები იქ „ჩარჩოში ჩასმის" კი არა, „დასახლების" კოლონიზაციას წარმოადგენდა. ქვეყანა მთლიანად ანგლოსაქსური გახდა, გარდა დიდი კუნძულის დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილებისა, რომლებიც მთლიანად კელტური დარჩა.

III. დასავლეთის ბერები

განდეგილები და ცენობიტები. პოლიტიკურად დაქუცმაცებულ, პატარ-პატარა სამთავროებად დაყოფილ სამყაროში, სადაც გაცვლა-გამოცვლა „სამომხმარებლო" ეკონომიკაზე იყო დაყვანილი და სამოქალაქო ხელისუფლება სენიორიულ იერარქიად გარდაიქმნებოდა, ხოლო რელიგიური იერარქია ხანდახან საერო პირებს უვარდებიდათ ხელში, დასავლელი ბერების გამოჩენა ევროპული ერთიანობის არაჩვეულებრივ გამოვლინებას წარმოადგენდა. მართლაც, იმ ეპოქაში, როცა აღმოსავლეთში განდეგილობა დომინირებდა, დასავლეთში მალე აირჩიეს ცენობიტიზმი: ერთის მხრივ იყვნენ განდეგილი მამაკაცები და ქალები, რომელთაც სურდათ წმინდანები გამხდარიყვნენ, ამიტომ დასახლებულ

ადგილებს ტოვებდნენ, მარტოობას არჩევდნენ და მხოლოდ ახლო-მახლო მცხოვრები მორწმუნე ადამიანების მიტანილი ძღვენით კმაყოფილდებოდნენ, მეორეს მხრივ კი იყვნენ ადამიანები, რომელთაც ერთად ცხოვრება ირჩიეს („ცენობიტიზმი" ბერძნულად „ერთად ცხოვრებას" ნიშნავს).

V საუკუნეში არსებული უმკაცრესი სამონასტრო წესები აქ ნაკლებად გვაინტერესებს, მაგრამ VI საუკუნიდან დაწყებული, იტალიელი წმინდა ბენედიქტე ნურსიელის და ირლანდიელი წმინდა კოლომბანის წესდებები, რომლებიც მთელ დასავლეთში გავრცელდა, ევროპული ჰომოგენურობის დიდი ფაქტორის არსებობის წინაშე გვაყენებს; ამ ორი წესდების მიმდევარ ბერთა საქმიანობა სამ ასპექტს მოიცავდა: 1)ლოცვას, 2)ინტელექტუალურ მუშაობას, 3)ხელით შრომას.

ლოცვა იმ წესის მიხედვით, რომელიც ავალდებულებდა ათასობით ბერს ასობით მონასტერში ერთი და იგივე წესით (ლიტურგია) აღევლინათ, ხელს უწყობდა რელიგიური აზროვნების, „სულიერების" გავრცელებას ერთმანეთისგან გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულ ქვეყნებში.

მონასტრებში წარმოებული ინტელექტუალური მუშაობა იმ რთულ პერიოდებში მათ კულტურული ცხოვრების ერთადერთ ცენტრებად ხდიდა, სადაც მრავალი მწიგნობარი მოღვაწეობდა, რომლებიც რუდუნებით აწარმოებდნენ ხელნაწერების გადაწერას, ასრულებდნენ მემატიანეების როლს, სწორედ მათგან ვიცით სხვადასხვა ეთნოსის ისტორია. გავიხსენოთ, მაგალითად, გრიგოლ ტურელის მიერ 538 წელს დაწერილი „ფრანკების ისტორია", ბედა ღირსის მიერ 673-730 წლებში შექმნილი „ანგლების საეკლესიო ისტორია", ისიდორე სევილიელის მიერ 590-636 წლებში დაწერილი „გუთების, სვევების და ვანდალების ისტორია" და სხვა.

ხელით შრომაში იგულისხმებოდა ყამირი მიწების ათვისება, არხების გაჭრა და ჭაობების ამოშრობა, მშენებლობა, რაშიც IX საუკუნემდე ქვას ნაკლებად იყენებენ, ხელოსნობა, რომელიც ნელა ვითარდებოდა. ბერები, რომელთაც „დამხმარე ძმები", ან „ყმის" სტატუსის მქონე გლეხები ეხმარებო-

დნენ, სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

წმინდა ბენედიქტე. ახლა საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას ორდენთა ორი ყველაზე დიდი ფუძემდებლის: წმინდა ბენედიქტესა და წმინდა კოლომბანის შესახებ. როგორც შემდეგ დავინახავთ, ბერობა, რომელიც ასე თუ ისე მსგავს წესებს ითვალისწინებს და იცავს, მაინც რომელიმე მიმართულებას ირჩევს: ან შედარებით რბილ კანონებს, როგორიც იყო წმინდა ბენედიქტეს, ან მოგვიანებით კლუნის წესდება, ან წმინდა იგნასიო დე ლოიოლას იეზუიტთა წესებს, რომლებშიც ის იდეაა ჩადებული, რომ რელიგიის ინტერესებისა და რწმენის დასაცავად საჭირო იყო ძლიერი, ანუ კარგად ნაკვები. მესამე წესდება მეტისმეტი სიმკაცრისკენ, რაც სიწმინდის წყაროა, უბიძგებდა: ასეთი იყო წმინდა კოლომბანის და მოგვიანებით ცისტერციელთა წესდება.

წმინდა ბენედიქტე ნორსიელის (საბინა, ცენტრალური იტალია) შესახებ მხოლოდ პაპ გრიგოლ დიდის 599 წელს დაწერილი ნაშრომიდან „იტალიელ მამათა ცხოვრებისა და სასწაულების შესახებ" ვიცით. იგი შეძლებული ოჯახიდან იყო, შემდეგ განდეგილის ცხოვრებით იცხოვრა სუბიაკოს მღვიმეში. შემდეგ იგი ცენობიტიზმისკენ გადაიხარა და დასახლდა კასინოს მთაზე, რომსა და ნეაპოლს შორის. სწორედ იქ შეადგინა თავისი ცნობილი წესდება, რომელშიც მრავალი იტალიური წესის სინთეზია მოცემული. მთლიანობაში ეს წესები მიმართული იყო იმ ადამიანებისადმი, რომელთაც იმდროინდელ საზოგადოებაში ცხოვრების სახსარი არ ჰქონდათ და რომელთაც ბერობა მოკრძალებულ კარიერას და უსაფრთხოებას სთავაზობდა. პაპი გრიგოლ დიდი, რომელიც 590-604 წლებში მეთაურობდა ეკლესიას, სავარაუდოა, რომ ბენედიქტურ მონასტერში აღიზარდა. ბენედიქტეს წესდება მთელ დასავლეთში გავრცელდა. ინგლისში მან ავგუსტინე კენტერბერიელის საშუალებით შეაღწია, გალიასა და ესპანეთში ისიდორე სევილიელის მეშვეობით, გერმანიაში კი VIII საუკუნეში მოიკიდა ფეხი.

წმინდა კოლომბანი. ირლანდიელი წმინდა კოლომბანი 540 წელს დაიბადა ლეინსტერში. იგი ბანგორის განთქმული მონასტრის ბერი იყო, როცა 50 წლის ასაკში სურვილი დაებადა ქრისტიანობა ექადაგა. იგი გალიას გაემგზავრ 12 ირლანდიელი ბერის თანხლებით. ბურგუნდიის მეფემ მას მიწები უბოძა ვოგეზებში. მან იქ მრავალი მონასტერი დაარსა, რომელთა შორის იყო ლუქსეი, მათი ცენტრი. მან დაწერა უკიდურესად მკაცრი და ასკეტური წესდება, რომელიც დაფუძნებული იყო მონანიებაზე, გვემაზე, პურითა და წყლით მარხვაზე. მან გააგრძელა მონასტერთა დაარსება, რომელთა შორისაც ბევრი ძალიან ცნობილი მონასტერია, მაგალითად: კუტანსი ნორმანდიაში, ჟუარი პარიზის აღმოსავლეთით, ბრეგენცი, სენ-გალი შვეიცარიაში (რომელიც ერთ-ერთი მისი ირლანდიელი ამხანაგის სახელს ატარებს), ბობიო იტალიაში, სადაც იგი 615 წელს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა განაგრძეს მონასტრების მშენებლობა. ძირითადად ამით ლუქსეის ბერები იყვნენ დაკავებული, რომელთა რაოდენობა ძალიან დიდი იყო ამ მონასტერში და მათ ახალი ადგილები უნდა მოერახათ. ასე დაარსდა სენ ვანდრი ნორმანდიაში, კორბი პიკარდიაში და რემირმონი ვოგეზებში.

საბოლოოდ კოლომბანის მეტისმეტად მკაცრი წესდება ნელ-ნელა ჩანაცვლა წმინდა ბენედიქტეს უფრო გონივრულმა და რბილმა წესდებამ, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და დღესაც არსებობს.

საბოლოოდ პაპებმა და საეკლესიო საბჭოებმა ბრძანეს მხოლოდ ბენედიქტეს წესებით ცხოვრება. რომის ეკლესია დღესაც იყენებს ბენედიქტური წარმოშობის ლათინურ საგალობლებსა და ლოცვებს. მეორეს მხრივ, ბენედიქტელებს უნდა ვუმადლოდეთ არა მარტო სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი ყამირების გატეხვას და ა.შ., რაზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი, არამედ მრავალი ახალი სოფლის დაარსებას, სასტუმროების ქსელის გაფართოებას, რაც საშუალებას იძლეოდა მიეღოთ და დაეცვათ პილიგრიმები და ვაჭრები, განევითარებინათ ვაჭრობა და რაც შეეხება ინტელექტუალურ სფეროს, დაეფუძნებინათ ბიბლიოთეკები,

VIII. ცენტრალური ევროპის გაქრისტიანება


ატლანტის
ოკეანე
ბალტიის
ზღვა
ბალკანეთის
ნახევარკუნძული
ზღვა
ხმელთაშუა
ზღვა
ბერლინი
ვენა
ბუდაპეშტი
ბელგრადი
ბუქარესტი
ბრიუსელი
ლონდონი
ბერნი
ბონი
ბავარია
ბოემია
ბურგუნდია
ბრანდენბურგი
ბულონი
ბალეარი
ბალტიკა
ბალკანეთი
ბალკანეთის
ბალკანეთ
ბალკანეთ
ბალკანეთ

გადაეწერათ ხელნაწერები, მათ შორის ძველი წარმართი ავტორების ნაწერებიც, რომლებიც ხშირად გადაფხეკილი იყო, რათა მათ ადგილზე წმინდა ტექსტები დაეწერათ.

ინგლისის ეკლესია. ბედა ღირსი მოგვითხრობს, რომ როდესაც პაპმა გრიგოლ დიდმა რომის მონათა ბაზარზე იშვიათი სილამაზის ჭაბუკები იხილა, იკითხა, თუ ვინ იყვნენ ისინი. ანგლები (Angli) არიან, - მიიღო პასუხად. არა, ალბათ უფრო ანგელოზები (Angeli) - თქვა გრიგოლმა. ყოველ შემთხვევაში პაპმა ყურადღება მიაპყრო ინგლისს, რომლის ქრისტეს რჯულზე მოქცევაც მოიწადინა ადგილობრივი სამღვდელოების ჩამოყალიბებით. მან იქ რომის ერთ-ერთი მონასტრის პრიორის, ავგუსტინეს ხელმძღვანელობით მისიონერები გააგზავნა. 592 წელს აღდგომის დღესასწაულზე მისია ნაპირზე გადავიდა ტემზის შესართავთან, კენტის სამეფოში. კენტის მეფე ეთელბერტს სურდა ქრისტიანი გამხდარიყო. იგი 597 წელს მოინათლა. ათასობით ქვეშევრდომმა მას მიბაძა და ასე შეიქმნა ინგლისის ეკლესია. ავგუსტინე კენტერბერის არქიეპისკოპოსი გახდა, მას იორკის და ლონდონის არქიეპისკოპოსები ემორჩილებოდნენ. მან პირველმა შემოიტანა წმინდა ბენედიქტეს წესდება და კენტერბერი პირველი ბენედიქტური ფონდი გახადა. მას მოჰყვა ვისტმინსტერის, პიტერბოროს, რიპონის, მელმსბერის, ჰექსამის, ვირმუთის, ჯეროუს (სადაც ბედა ღირსი ცხოვრობდა) და ექსეტერის (საიდანაც ბონიფაციოდ წოდებული უაინფორდი გაემგზავრა გერმანიის მოსაქცევად) მონასტრები.

ამ ახალი ანგლოსაქსური ეკლესიის გვერდით ქვეყნის ჩრდილოეთში და დასავლეთში რჩებოდნენ კელტი ბრიტანელები. ავგუსტინეს სურდა თანამშრომლობა განეკითარებინა ბრიტანელთა და ინგლისელთა სამღვდელოებებს შორის, მაგრამ ბრიტანელებთან მოლაპარაკება შეუძლებელი გახდა, იმდენად დიდი იყო სიძულვილი დამპყრობლებსა და მიუდგომელ ზონებში შეყუჟულ კელტებს შორის. გარდა ამისა, ამ ორი ჯგუფის ადათ-წესები და ლიტურგია ერთმანეთისგან ბევრად განსხვავდებოდა. სამაგიეროდ სხვა ანგლოსაქსურმა სამეფოებმა ქრისტიანობა მიიღეს კენტის და ეს-

ექსის შემდეგ. ასე მოხდა ნორთემბრიში, ისტ-ენგლიში, უესექსში, მერსისსა და ბოლოს სასექსში.

ინგლისურმა ეკლესიამ, რომლის პირველი ნაბიჯები ესოდენ რთული აღმოჩნდა, დასავლეთის ქრისტიანობას ერთ-ერთი უდიდესი განმანათლებელი ბედა (673-739) მისცა. იგი ჯეროუს ბერი იყო, მღვდლად 702 წელს აკურთხეს. იგი იარმაუთის მონასტერში მოღვაწეობდა, რომელმაც რომიდან და გალიიდან შესანიშნავ ნაშრომთა კოლექცია მიიღო. ბედმა ამით ისარგებლა და VII-VIII საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სწავლული გახდა მსგავსად პაპ გრიგოლ დიდისა, რომელიც VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში მეთაურობდა ეკლესიას. გრიგოლისგან დაგვრჩა მრავალი ნაშრომი და ძალიან ბევრი წერილი. ბედემ დაგვიტოვა ნაშრომები რიტორიკის, ფილოსოფიის, თეოლოგიის საკითხებზე. მისი ნაშრომებიდან ყველაზე სახელგანთქმულია „ანგლების (ინგლისელი ერის) საეკლესიო ისტორია", რომელიც უკვე ვახსენეთ და 731 წლამდე პერიოდს მოიცავს და „დიალექტიკის სახელმძღვანელო".

კელტური ქრისტიანობა. ევროპის უკიდურეს დასავლეთს შეფარებული კელტები ტოტალურ იზოლაციაში ცხოვრობდნენ, სანამ VI საუკუნეში გრიგოლ დიდმა მისიონერები არ გააგზავნა მათთან. ამიტომ მათი ინსტიტუციებიც განსაკუთრებული იყო. თავიდან ეს იყო წმინდა კოლომბანის ირლანდიური ასკეტიზმი, რომელმაც იონის დიდი მონასტერი დააარსა და თავისი ცხოვრება ირლანდიას, შოტლანდიის პიქტებს და არმორიკს მიუძღვნა. მან დააარსა ქრისტიანობისთვის მანამდე უცნობი დაწესებულება: მონასტერი-საეპისკოპოსო. იქ მოღვაწე ბერები ნახევარმთვარისებურ ტონზურას ატარებდნენ, რომელიც განსხვავდებოდა რომაელი ბერების მრგვალი ტონზურისგან.

ისინი აღდგომის დღესასწაულს სხვა დღეს აღნიშნავდნენ, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გრიგოლ დიდის მისიონერთა ჩასვლა ხანდახან სისხლიან შეტაკებებს იწვევდა. და ბოლოს, ამ ირლანდიელ ბერებს გაგიჟებით უყვარდათ

მოგზაურობა, როგორც წმინდა კოლომბანს და ლეგენდარულ წმინდა ბრენდან ზღვაოსანს.

ნიდერლანდების და გერმანიის მოქცევა. VII და VIII საუკუნეებში ბიზანტიელი მისიონერები ნაკლებად ჩანდნენ. აღმოსავლეთის ქრისტიანთა დაქუცმაცებულობამ, ისლამის თავზარდამცემმა ექსპანსიამ, შემოსევებმა და სამოქალაქო ომებმა გამოიწვია მისიონერთა მოძრაობის, რომელიც ასე ჰყვაოდა იუსტინიანეს ეპოქაში, შეჩერება და შეწყვეტა. VII და VIII საუკუნეებში ეკლესიამ უფრო მეტი გამარჯვება დასავლეთში მოიპოვა და არა აღმოსავლეთში და მათ ინიციატორად ბიზანტია აღარ გვევლინებოდა. დასავლელმა მისიონერებმა ევროპული თანამეგობრობის საფუძველთა შემუშავებაში უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ავრცელებდნენ რა დასავლურ ქრისტიანულ რწმენას და რელიგიურ მორჩილებას რომში, ისინი არ ეხებოდნენ ადგილობრივ ენებს და წეს-ჩვეულებებს. მათ შემოიტანეს საერთო ფილოსოფია და ენა, ლათინური ენა ლიტერატურული ელიტისთვის (ძირითადად კლერკებისთვის) და ასევე ერთნაირი მიდგომა წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის მიმართ. ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი იყო მისი მორალის სიმკაცრე: რა თქმა უნდა, ადამიანები აგრძელებდნენ ცოდვების ჩადენას, მაგრამ სატანის და ჯოჯოხეთის შიში ჰქონდათ და ამის გამო ინანიებდნენ, ძღვენს სწირავდნენ ეკლესიას და დროდადრო რელიგიური თაყვანისცემის დიდი სურვილი ეუფლებოდათ. დავასახელოთ ზოგიერთი ასეთი პიროვნება. ერთი მათგანი იყო წმინდა ამანდი (გარდაიცვალა 779 წელს), წარმოშობით ქვემო პუატოდან, წმინდა კოლომბანის ბერი და მოგვიანებით პილიგრიმი რომში. რომიდან დაბრუნების შემდეგ იგი ეპისკოპოსი გახდა 629 წ. და დაიწყო თანამედროვე ფლანდრიის და კერძოდ ანტვერპენის რეგიონის მოქცევა. მან იმოგზაურა ასევე დუნაიზე და პირენეებში. თვითონ წმინდა კოლომბანი თავისი იტალიური მონასტრიდან, ბობიოდან წამოვიდა და შეეცადა ვისლაზე მცხოვრები სლავი ხალხის, ვენდების მოქცევას. მისი მოწაფე წმინდა

გალი იგივეს გაკეთებას ცდილობდა ციურიხის და კონსტანცის ტბებს შორის. ბაზელსა და კონსტანციას შორის მცხოვრები ალამანები მოაქცია შოტლანდიელმა წმინდა ფრიდოლინმა, რომელიც წინათ პუატიეს სენტ-ილერის აბატი და რაინის ოლქში მონასტრების დამაარსებელი იყო.

ვილიბრორდი და ბონიფაციუსი. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ორი შესანიშნავი ადამიანი. ვილიბრორდმა, რომელიც ნურთუმბრის რიპონის მონასტრის მღვდელი იყო, 12 ამხანაგის თანხლებით, რომლებიც აწამეს, პაპების კურთხევით იქადაგა უტრეხტსა და ტრირში, მაგრამ უშედეგოდ - დანიაში.

ბონიფაციუსს თავდაპირველად უინფრითი ერქვა. იგი ექსეტერის მახლობლად, უესექსში დაიბადა 675 წელს. 716 წელს იგი ფრიზში გაემგზავრა და ბოლოს რომში ჩავიდა. 719 წელს პაპმა გრიგოლ II-მ მას ახალი სახელი, ბონიფაციუსი დაარქვა და დიდი ტვირთი - წარმართების მოქცევა - დააკისრა. მან სამი წელი დაჰყო ტიურინგიაში ვილიბრორდთან ერთად. მან რამდენიმე ათასი ჰესელი (Hessois) მოაქცია, რის გამოც პაპმა 722 წელს ეპისკოპოსობა უბოძა. იგი გერმანიის ეპისკოპოსი და შემდეგ არქიეპისკოპოსი გახდა. მან დიდი წარმატებით გააქრისტიანა ბავარია და იქ დააარსა ფულდას ცნობილი საბატო. ბოლოს იგი ფრიზში დაბრუნდა, სადაც იგი 754 წელს წარმართებმა მოკლეს.

IV. გერმანიკული და რომანული ენები

როდესაც დაპყრობათა სამ დიდ ტალღას (კელტები, ლათინები, გერმანები) ვაკვირდებით, იმ დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, რომ მთავარი გავლენა ლინგვისტური ხასიათის იყო. კელტებმა თავიდან დაიპყრეს უფრო ადრინდელი მოსახლეობის, შეიძლება ნეოლითის ხანის მცხოვრებთა კუთვნილი უდიდესი ტერიტორია, რომელიც დაახლოებით ახლანდელი გერმანიიდან ირლანდიის ჩათვლით იყო გადაჭიმული. მათ მიაღწიეს იბერიის ნახევარკუნძულამდე და

დაიკავეს პოს დაბლობი იტალიის ჩრდილოეთში. სამაგიეროდ, ისინი თითქმის არ შეხებიან სკანდინავიას, თუ არ ჩავთვლით სავაჭრო ურთიერთობას (შდრ. ქვემოთ, თავი VIII). რომაელთა დაპყრობებმა უდიდესი ლინგვისტური როლი ითამაშა. დასავლეთ ევროპაში ოთხი სახელმწიფო ენა, რომელთაგან თითოეული ბრწყინვალე და თავისუფალი კულტურის მატარებელია, ლათინური ენიდან წარმოიშვა, ეს ენებია: ფრანგული, იტალიური, ესპანური და პორტუგალიური ენები; მათ ემატება ლანგედოკის და კატალონური დიალექტები და ცენტრალურ ევროპაში რუმინული ენა. დასავლეთ ევროპის დანარჩენი ნაწილი, გარდა პატარა ზონებისა, სადაც ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ კელტურ დიალექტებზე, ლაპარაკობს გერმანიკული წარმოშობის ენებზე, როგორიცაა გერმანული, ინგლისური, ნიდერლანდური, დანიური, ნორვეგიული, შვედური, რასაც შეიძლება დაემატოს ისლანდიური და ფეროეს კუნძულების დიალექტი.

ლათინური ენა. ლათინურ ენას შესანიშნავი, მსოფლიოში ყველაზე მარტივი დამწერლობა აქვს. ეს ანბანი ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება. დასაწყისში ლათინები ბაძავდნენ ეტრუსკებს, შემდეგ კი ბერძნების დამწერლობას. ეს ერთადერთი ენაა, რომელზეც ლაპარაკობდა დამპყრობელთა ადმინისტრაცია იმპერიის მთელ დასავლეთ ნაწილში: ბერძნული ენა სულ უფრო და უფრო აღმოსავლეთით ინაცვლებდა და საბოლოოდ ამ ორ ენას შორის საზღვარმა ოფიციალური სახე მიიღო.

კელტები, ბერძნები და ლათინები. რა თქმა უნდა მოსახლეობა, რომელსაც უცხოელთა ადმინისტრაცია მართავს, მხოლოდ ამიტომ არ მიატოვებს თავის მშობლიურ, თუმცა დამწერლობის არმქონე დიალექტებს, რომლებზეც ცოტა ან ცუდად თუ დაწერილა რამე. გალიაში მაგალითად, მრავალი კელტური წარწერაა ნაპოვნი. ძვ.წ. III საუკუნიდან დაწყებული ჩნდება გალო-ბერძნული წარწერები, რაც დაკავშირებულია მდიდარი ბერძნული კოლონიის, მარსელის (მასალია) გავლენასთან. შემდეგ უკვე გალო-ლათინური

წარწერები გამოჩნდა, მაგრამ ეს გალო-ბერძნული თუ გალო-ლათინური წარწერები *არასოდეს* ეხება ლიტერატურულ ტექსტებს. გალიაში ალბათ არსებობდა ზეპირი ლიტერატურა (ზეპირსიტყვიერება). ჩვენ მის შესახებ არაფერი ვიცით და მხოლოდ ჰიპოთეზების წამოყენება თუ შეგვიძლია ირლანდიური ზეპირი ლიტერატურის შესახებ, რომელიც ბერებმა მხოლოდ ახ.წ. VI საუკუნეში გადაწერეს.

წერილობითი ძეგლების, ლიტერატურის უქონლობის გამო სკოლაში იძულებული იყვნენ გამარჯვებულის, დამპყრობლის ენა გამოეყენებინათ, რომლის ასიმილაციაც, სხვათა შორის, საკმაოდ სწრაფად მოხდა.

რომაელთა ასიმილაციის სულისკვეთება. გამარჯვებულის ენა გამოიყენებოდა ყველგან ინტელექტუალური ოპერაციისათვის, იქნებოდა ეს საკანონმდებლო ტექსტები, ხელშეკრულებები, ანგარიშები, მიწერ-მოწერა, შეტყობინებები, თუ ქრისტიანობის შემოღების შემდეგ რელიგიური ტექსტები. რელიგიას რაც შეეხება, თვით ქრისტიანობის ფართო გავრცელებამდეც ჩამოყალიბდა ერთგვარი სინკრეტიზმი კელტების და ლათინების ღმერთებს შორის, რადგან რომაელებისთვის სრულიად უცხო იყო პროზელიტიზმი. ზოგადი თვალსაზრისით კი, თუ ესპანეთის და გალიის მაგალითს ავიღებთ, ვინაიდან რომაელებს მეტი კომფორტი შემოჰქონდათ, უკეთეს შენობებს აშენებდნენ, უკეთესი გზები ჰქონდათ, თეატრალური სპექტაკლები, ცირკი, ტაძრები, თამაშები, რატომ არ უნდა შეერთებოდნენ მათ? ლეგიონები, რომლებიც ტერიტორიას იკავებენ, ინჟინრებით გვამარაგებენ, რომლებიც აკვედუკებს და არხებს აშენებენ და ამით ქვეყნის აყვავებას უწყობენ ხელს. ისე, რომ იმ დროს, როცა გერმანელები გალიის, ესპანეთის, იტალიის და დიდი ბრიტანეთისკენ დაიძრნენ, ამ ქვეყნებში ლათინურის დიდი ასიმილაცია მიმდინარეობდა. ბრეტანელებიც კი V და VI საუკუნეებში რომის ღრმა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ლათინური ენის მარცხი დიდ ბრიტანეთში. იმპერა-

ტორმა კლავდიუსმა მხოლოდ ახ.წ. 43 წელს დაიპყრო დიდი ბრიტანეთი, ანუ ასი წლის შემდეგ გალიის დაპყრობიდან. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც წინაკელტური ხალხი, პიქტები და სკოტები, ნაწილობრივ ირლანდიიდან მოსული კელტები ცხოვრობდნენ, რომაული ვრცელი რეგიონიდან კარგად დაცული სასაზღვრო ოლქით იყო გამოყოფილი. ამიტომ რომის იმპერიის თანდათანობითი შესუსტება დიდ ბრიტანეთში ჩრდილოეთიდან კი არა, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან დაიწყო.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ 410-420 წლებში შინაგანი დაშლის, ადგილობრივი უთანხმოებების, აქა-იქ გაბნეული რომაული ჯარების შესუსტების გამო ბრიტანეთი აღარ იყო რომზე დამოკიდებული. გერმანები დასახლდნენ ახლანდელი ბელგიის ტერიტორიაზე. საქსები შევიდნენ ბრიტანეთში და დასავლეთისკენ უბიძგეს ბრიტანელებს. რაღაც დროით საკუთრივ ინგლისი ორად იქნა გაყოფილი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზით.

ძალიან საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქსების წინააღმდეგ მიმართული ცენტრები, როგორიც იყო ჩრდილოეთით შოტლანდია, ცენტრში ახალი უელსი (XI საუკუნემდე ირლანდიის სამეფო) და სამხრეთში კორნუელსი *ძალზე დიდხანს აგრძელებდნენ ლაპარაკს კელტურ ენებზე და არა ლათინურზე; ინგლისში კვლავ იყო შენარჩუნებული არა რომაული, არამედ კელტური კუნძულები.*

რომანიზაცია აქ ნაკლები ხარისხით მიმდინარეობდა, ვიდრე გალიაში. მოგვიანებით, XI საუკუნიდან დაწყებული, რომანიზებული ნორმანების შემოსევის გამო გერმანიკულ ენაში ათასობით ლათინური სიტყვა შევიდა, რომლებიც საქსონური სიტყვების პარალელურად იხმარებოდა და ამგვარად ინგლისური ენა უდიდესი სიტყვათა მარაგით გამდიდრდა.

გერმანია, რომელიც რომმა ვერ დაიპყრო. გერმანიკულმა ხალხებმა თავიანთი ენები ევროპის ჩრდილოეთის ყველა ქვეყანას გადასცეს, მაგრამ განსხვავებული პროცესების შედეგად.

სკანდინავიასა და კონტინენტურ გერმანიაში დეკუმატის მინდვრების აღმოსავლეთით *არასოდეს განუცდიათ რომის ულელი.* თუმცა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის წყალობით ამ რეგიონში მაინც იყო ერთგვარი რომაული გავლენა, იგი საკმარისი არ აღმოჩნდა ლათინური ენის გავრცელებისათვის.

დიდ ბრიტანეთში და ნიდერლანდებში რომაელები ბატონობდნენ, მაგრამ მათი ხშირ-ხშირი შემოსევები არ იყო საკმარისი ლინგვისტური ტრანსფორმაციის მოსახდენად.

სამანი (გამყოფი ზოლი). მიუხედავად ამისა, გერმანელებმა დაიპყრეს მთელი დანარჩენი დასავლეთ ევროპის დღეისათვის ლათინური ქვეყნები. *საფიქრებელია, რომ რიცხვობრივად ისინი ძლიერ სუსტები იყვნენ. მოვლენის „ლათინური ენები - გერმანიკული ენები" ზოგადი ახსნა დაკავშირებულია შესაბამისად ამ ორი ჯგუფის სიმჭიდროვესთან.* უფრო ზუსტად რომ ითქვას, შეიძლებოდა როლი ეთამაშა რაღაც რაოდენობის ზუსტ ფაქტორებს. საკმარისია კონტინენტზე გამყოფ ზოლს გავყვეთ, რომ ამას მივხვდეთ.

„იგი იწყებოდა ბულონ-სიურ-მერიდან (რომანული დიალექტი შემდეგ დიუნკერკამდე გაგრძელდა), მიემართებოდა აღმოსავლეთისკენ ლილის მიმართულებით (სენტ-ომერი გერმანელებს რჩებოდა), შემდეგ კი ტურნეს ჩრდილოეთით უხვევდა; შემდეგ გზას კვეთდა სამბრის და მეოზის პარალელურად. დაახლოებით 30კმ-ზე ჩრდილოეთით გადალახავდა მეზს ლიეჟსა და მაასტრიხტს შორის და დასავლეთით მთავრდებოდა ექს-ლა-შაპელშაახენში. აქედან მახვილი კუთხით ბრუნდებოდა სამხრეთისკენ, პირდაპირ ჭრიდა არდენს არლონის (გერმანიკული) სამხრეთ-დასავლეთით, შემდეგ კვლავ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოუვლიდა მეცს (ეტყობა, აქ იყო რომაელთა წინააღმდეგობის ცენტრი) და აღწევდა დონონს. მოშორებით, ვოგეზებში ეს ხაზი ჭირვეულად მიიკლაკნებოდა და რომანულ ენებს ალზასის მაღალ ზეგნებს უთმობდა, ბურგუნდიის კართან კი კონტაქტი ალემანურ დიალექტებთან მეტი იყო, ვიდრე ფრანკების დიალექტებთან" (ლუსიენ მიუსე).

გაკვრით შევეხებით ტოპონიმიკაზე დაფუძნებულ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც რომანული პატარა კუნძულები რამდენიმე ხანს შენარჩუნდა ბრიუსელის ჩრდილო-დასავლეთით და ტონგრის, მაასტრიხტის და ექს-ლა-შაპელის (აახენის) ირგვლივ, აიფელსა და ტრირის ახლომდებარე სოფლებში. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ გერმანიკული ენები ლუარამდე გავრცელდა და VI-დან IX საუკუნემდე ორენოვნება არსებობდა, რასაც კვლავ რომანული დიალექტების გამარჯვება მოჰყვა. მაგალითად, აბვილ-ვერსალ-ნანსის ხაზის ჩრდილოეთით გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც bais-ზე მთავრდება, რაც გერმანულ bach-ს შეესაბამება და წარმოსდგება ფრანკული სიტყვიდან baki - რაც ნაკადულს ნიშნავს. ასეთია გამბე (Gambais)პარიზის დასავლეთით, რებე (Rebais) ბრიში, რაც შეესაბამება როსბახს (Rossebach) და მარბე (Marbais) ენოში, რაც შეესაბამება მარბახს (Marbach). ფრანკების გავლენა განსაკუთრებით გამოვლინდა სოფლების სახელწოდებების განახლებაში, რაც საფრანგეთის კომუნების ნახევარს შეეხო! და ადამიანთა გვარ-სახელები თითქმის ტოტალურად განახლდა.

რომანულსა და ალამანურს შორის ლინგვისტური საზღვარი მკაფიოა, ვოგეზების დონონიდან დიდ სენ-ბერნარამდე. ის ბევრად უფრო ბუნდოვანი და მოძრავი ხდება ზემო ვალედან დაწყებული, სადაც გერმანიკული სჭარბობს. რეტიისა და ნორიკის ძველ პროვინციებში რომანული სულ გაქრა. უცნაურია, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში, სლავებით და ბულგარელებით გარემოცულ დაკიაში (დღევანდელი რუმინეთი),რომელიც მოგვიანებით ტრაიანემ დაიპყრო,ლათინური ენა შენარჩუნდა.

კაროლინგების ეპოქის დასასრულს, რომანული დიალექტის გამარჯვება შეინიშნება არმორის ნაპირებზეც, ანუ საფრანგეთის ბრეტანში. დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ საზღვარი ბრეტანული ენის 5 დიალექტის მომხმარებელ მხარეებს და „გალურ" მხარეებს შორის ნახევარკუნძულს ორად ჰყოფს ხაზით: სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი, ჩრდილო-დასავლეთი, რომელიც ვანიდან

(Vannes) 15კმ-ზე იწყება და სენ-ბრიეთში მთავრდება. ვიცით აგრეთვე, რომ Tré (სოფელი)-ზე, Lan-ზე (განმარტოებული ადგილი) და Plou (მრევლი)-ზე დაწყებული. სიტყვები თარიღდება V-VIII საუკუნეებით. მაშასადამე, დღევანდელი ხაზის აღმოსავლეთით 100კმ-ზე მეტ სიგანეზე ვხვდებით ბრეტანული სიტყვების დიდ რაოდენობას, რომლებიც Tré-ზე, Lan-ზე და Plou-ზე იწყება.

გერმანიზმის ნაკვალევი. მთლიანად ლათინურ ზონაში, რომელსაც ხშირად ესხმოდნენ თავს გერმანთა მოლაშქრეები და სადაც საბოლოოდ გაბატონდნენ „ბარბაროსული" სამეფოები, გერმანიზმის ნაკვალევი ძალიან განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

პორტუგალია. პორტუგალიაში თითქმის არ არის სვევების კვალი, რამაც საშუალება მისცა ლუსიენ მიუსეს, დაეწერა: „ალბათ ისტორიაში მნიშვნელოვანი არაფერი შეიცვლებოდა, ესპანეთის სვევები რომ არ არსებობდნენ". პორტუგალიაში სვევების მხოლოდ 5 თუ 6 სიტყვა გადავიდა.

ესპანეთი. ესპანეთში, სადაც ვანდალები გავლით იყვნენ, როცა აფრიკისკენ მიემართებოდნენ, მათი გავლენა ძალინ სუსტი იყო. V საუკუნეში მათი ესპანეთში შესვლა სამხედრო ოკუპაციით და ძარცვით შემოიფარგლა.

სამაგიეროდ ესპანეთს დიდი დაღი დაასვეს ვესტგუთებმა. მონათესავე ოსტგუთებთან ერთად ისინი ერთადერთი ხალხი იყო, რომელიც ინტელექტუალურ ცხოვრებაზე ზრუნავდა.

გუთებისგან მოდის მეფედ კურთხევის და მირონცხების ევროპული პრაქტიკა. „რეკონკისტა"-ს ეპოქაში მუსლიმანების წინააღმდეგ, გუთებს მიესალმებოდნენ, როგორც „ესპანელობის" დიდ ფუძემდებლებსა და წინაპრებს.

მრავალი გვარ-სახელი, როგორიცაა ალდეფონსუსი, ალვარუსი, ფრედენარდუსი, როდერიკუსი, რამდენიმე ტოპონიმი ბურგოსის და სეგოვიის მახლობლად გუთებისგან მომდინარეობს. გუთებისდროინდელი ესპანეთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდ რომაელ ავტორებთან, რომლებიც იმპე-

რიის დაცემამდე მოღვაწეობდნენ. სამაგიეროდ, ჩაკეტილობის გამო მათ არაფერი იცოდნენ თავისი თანამედროვეების, მაგალითად იტალიაში კასიოდორეს და ბოეციუსის, ან ფრანკების კულტურის შესახებ. ასეთი ხარვეზების დადასტურებაა ისიდორე სევილიელის (ეპისკოპოსი 601-635 წლებში) მონუმენტური ნაშრომი „გუთების ისტორია".

საფრანგეთი. გალიაში ფრანკებმა უპირველესად მისი მომავალი სახელი: Francia დატოვეს, რაც შემდგომ უფრო შეზღუდულ საზღვრებში, საფრანგეთის საზღვრებში მოექცა, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაშთია დიდი ნაწილისა.

ფრანკების ბედი მართლაც განსაკუთრებულია. მხოლოდ მათი მოღვაწეობა გასდევს მთელ მაღალ შუა საუკუნეებს. ესპანეთის გუთები არაბებმა გააცამტვერეს, თეოდორიხის ოსტგუთების სამეფო - ბიზანტიელებმა და ლომბარდიელებმა, ლომბარდიის სამეფო კი - ფრანკებმა და ბიზანტიელებმა.

სამაგიეროდ, ფრანკებმა შეძლეს დროდადრო გაეერთიანებინათ გალიის დიდი ნაწილი მეროვინგების და შემდეგ, კაროლინგების მეფობის დროს. ორ „რასას" შორის სრული შერწყმა მოხდა, XVIII საუკუნის იმ რასისტული მითების საწინააღმდეგოდ, რომელთა მიხედვითაც ფრანკები მეომართა არისტოკრატიას შეადგენდნენ, ხოლო გალო-რომაული რასის წარმომადგენლები - უბრალო, ხალხიდან გამოსულ ფენას წარმოადგენდა.

საფრანგეთი, რომლის ცნებაც, როგორც ერისა, მრავალი საუკუნის შემდეგ წარმოიშვა, მაშინ გეოგრაფიულად უფრო ფართო საზღვრებში აღიქმებოდა, მასში შევიდა ვალონების ქვეყანა და რომანული შვეიცარია, რაც მრავალი ეთნოსის და ცივილიზაციის რთულ ნაზავს წარმოადგენდა.

თუ არ ჩავთვლით ნეოლითის ხანის ადამიანებს, რომლებიც ალბათ მთავარ საფუძველს ქმნიან, საფრანგეთი კელტების (გალების), რომაელებისა და გერმანებისგან (ფრანკებისგან) არის შექმნილი.

იტალია. თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო

იტალიას არ ჰქონია იგივე პოლიტიკური ერთიანობა და V-დან XIX საუკუნემდე მას არ მიუღწევია ერთიანობისთვის. ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ლექსიკონში დაახლოებით სამოცდაათი სიტყვა აღმოჩნდა გოთური ტერმინებიდან, რომელთაც იტალიურ ენაში გადაინაცვლეს. ტოპონიმური თვალსაზრისით, ძირითადად ეს სიტყვები „ენგო"-ზეა დაბოლოებული და დღევანდელ ლომბარდიაში მდებარე ადგილებს აღნიშნავს, ასეთებია: მარენგო, გოტოლენგო, ოფანენგო.

ლომბარდიელების წვლილი კიდევ უფრო მცირეა: „adolingus", „noble aldio", „ნახევრად-თავისუფალი". უნდა ითქვას, რომ გუთებისგან განსხვავებით, ლომბარდიელები ძალიან სასტიკად ექცეოდნენ ლათინ მოსახლეობას. მათ მიწების კონფისკაცია მოახდინეს, მიწათმფლობელები ამოჟლიტეს ან ღატაკ ფერმერებად აქციეს.

უნდა აღინიშნოს, რომ VII საუკუნიდან IX საუკუნემდე იტალიას ბიზანტიელები ლომბარდიას უწოდებდნენ, მაგრამ რავენის ეგზარატის ნაწილს, რომელიც ლომბარდიელებს ეწინააღმდეგებოდა, რომანია Romania ერქვა. IX საუკუნეში კვლავ ჩნდება სახელწოლება „იტალია".

დასკვნა. ძვ.წ. I საუკუნე ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენს. ეს ის მომენტია, როცა რომაელთა მიერ ნაწილობრივ დაპყრობილი კელტები ვეღარ ასრულებენ იმ პოლიტიკურ როლს, რომელსაც ძვ.წ. VII საუკუნიდან თამაშობდნენ. აგრეთვე ეს ის პერიოდია, როდესაც ასპარეზზე გერმანები გამოჩნდნენ. გერმანელთა შესახებ მომდევნო საუკუნეებში არის რამდენიმე ცნობა, მაგრამ ახ.წ. III საუკუნეში ისინი წინა პლანზე გამოდიან, V საუკუნეში დასავლეთს ამარცხებენ და მათი ოქროს ხანა V-დან IX საუკუნემდე გრძელდება, მაგრამ ამ საკითხს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.

თვითონ სახელი Germani გერმანები ძვ.წ. I საუკუნეში ჩნდება და ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ტომის აღსანიშნავად იხმარება.

ძალიან ხშირად ეს ტომები ჯერ კიდევ კელტურ ენაზე

ლაპარაკობენ. ნამდვილი გერმანები ისინი არიან, *ვინც გერმანიკულ ენებზე ლაპარაკობს.* IV საუკუნიდან ეს ცხადი ხდება.

ურიცხვი შემოსევების, გერმანელთა უამრავი შეტევის შედეგად რომის ლეგიონებზე *გერმანები* სამოცდაათ წელიწადში, 404-476 წლებში, *ანადგურებენ დასავლეთ რომის იმპერიას.* იმპერიის კონტინენტურ ნაწილში სახლდებიან: ფრანკები, ბურგუნდები, ვესტგუთები, ოსტგუთები, ვანდალები და სვევები,ბრიტანეთის არქიპელაგში კი: ანგლები, იუტები, საქსები და ფრიზები.

ქრონოლოგია ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: შედარებით უხეში, მაგრამ მარჯვე, გავლენიანი და განვითარებული ხალხების, კელტების და გერმანების ორი უდიდესი შემოსევა, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს წერილობით, ინტელექტუალურ, ბრწყინვალე, მძლავრ, ნაწილობრივ ბერძნებისა და ნაწილობრივ რომაელებისგან მემკვიდრეობით მიღებულ ცივილიზაციას. გერმანიკული მოსახლეობის უხეში ხასიათის გამო დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა აღიქმებოდა, როგორც „ბარბაროსთა" დაბრუნება. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კონცეფცია მეტისმეტად გამარტივებული ჩანს: გერმანებმა თავიდანვე ბევრი რამ შესძინეს ევროპას.

7

კარლოს დიდი, ევროპის მეფე?

I. კაროლინგების მოსვლა ხელისუფლებაში

დაქუცმაცებულობა. მეროვეუსის და განსაკუთრებით, ხლოდვიგის მემკვიდრეები ბატონობდნენ Regnum Francorum-ში, რომელიც ხან ერთი მბრძანებლის გამგებლობაში იყო, ხან კი გაყოფილი, მაგრამ ერთიანად ითვლებოდა და სამ ნაწილად იყოფოდა: დასავლეთი იყო ნოისტრია, ანუ Francia, აღმოსავლეთით თანამედროვე გერმანიის შუაგულამდე იყო ავსტრაზია, ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი ეკავა ბურგუნდიას, რომელსაც ბურგუნდები კი არა, ფრანკები მართავდნენ. იმავე დროს ესპანეთი წარმოადგენდა patria Gothorum-ს, ანუ ვესტგუთების სამშობლოს. იტალიის გამო ესპანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ გერმანელი ლომბარდიელები და ბიზანტიელები, რომელთაც აპოგეას VI საუკუნეში მიაღწიეს, როცა იუსტინიანემ დაიბრუნა აფრიკის და ესპანეთის დაკარგული ტერიტორიები. 711 წლიდან ვესტგუთების ბრწყინვალე სამეფო ისლამური შემოსევების მსხვერპლი აღმოჩნდა (იხ. შემდეგი თავი).

იყო სხვა მიწებიც. გერმანელთა აკვანმა, სკანდინავიამ გემთმშენებლობაში დიდ წარმატებას მიაღწია, იქ ძალას იკრებდნენ ვიკინგები (იხ. შემდეგი თავი).

ახლანდელი გერმანიის ტერიტორიაზე ავსტრაზიის ფრანკების ირგვლივ სახლობდნენ საქსები და ფრიზები - ჩრდილოეთში, ბავარიელები და ალამანები სამხრეთში, და შემდეგ - სლავები (იხ. შემდეგ გვერდზე). და ბოლოს, იყო ბრიტანეთის კუნძულები, მთლიანად კელტური ირლანდია, პატარ-პატარა სამთავროებად დაყოფილი დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთსა და დასავლეთში სკოტები და კელტები და აღმოსავლეთით ანგლების და საქსების მცირე სამეფოები.კუნძულზე ყველაზე მეტად წაგებულები ბრიტანელ-რომაელები აღმოჩნდნენ. გალიელ-რომაელებისგან განსხვავებით, რომელთა ენამაც ყველა შემოსევას გაუძლო, ბრიტანელ-რომაელები გადაშენდნენ, რაც ცხადია არ ნიშ-

ნავდა ლათინურის დავიწყებას, რომელიც იმ ეპოქაში, როცა ბერძნული ენა თითქმის გაქრა დასავლეთ ევროპიდან, ერთადერთ წერილობით, ლიტერატურულ და ინტელექტუალურ სალაპარაკო ენას წარმოადგენდა.

ამ პერიფერიული დაქუცმაცებულობის საპირისპიროდ, რაც კიდევ უფრო გაართულა შემოსევების ახალმა ტალღამ, არსებობდა სამეფო, რომელიც თანდათანობით იკრებდა ძალას. ეს იყო ფრანკთა სამეფო - გავიხსენოთ, რომ იგი მოიცავდა თანამედროვე საფრანგეთის და გერმანიის მოზრდილ ნაწილებს.

მეროვინგელი ფრანკების სამეფო. ფრანკების აღმასვლა და ამასთან ერთად, ძალაუფლებაში კაროლინგების მოსვლა უკიდურესად რთული პროცესი იყო. გამოვლინდა ორი წინააღმდეგობრივი მოვლენა: სასახლის (Palais) მერეების ირგვლივ ერთიანი სულის აღზევება და „რეგიონული ეროვნებების" განვითარება. კ.ფ. ვერნიერი წერს: „მეროვინგების დინასტია 263 წლის განმავლობაში მეფობდა და აქედან მხოლოდ 72 წლის მანძილზე იყო ერთი მეფე Regnum Francorum-ის სათავეში. თუ არ ჩავთვლით 52 წელს, როცა მეფობდნენ დინასტიის დასასრულის სუსტი მეფეები („ზარმაცი მეფეები"), რჩება მხოლოდ 20 წელი. სამაგიეროდ, ავსტრაზიას საკუთარი მეფე ჰყავდა 138 წლის მანძილზე, ბურგუნდიას 49 წლის მანძილზე და კავშირი ჰქონდა ნოისტრიასთან 69 წლის განმავლობაში. ასეთი ხანგრძლივობით აიხსნება ის ძალა, რომლითაც ეს ერთეულები იყო დაფუძნებული და რომლებსაც მოგვიანებით შეხვდებით: ბურგუნდია, ლოტარინგია, ჩრდილოეთ საფრანგეთი".

მაიორ დომუსი ანუ სასახლის მმართველი. VII საუკუნიდან დაწყებული ძალაუფლება თანდათან გადადის მეფიდან მაიორ დომუსზე. (Major Domus).

700 წლის შემდეგ მთელ სამეფოში ერთი, ნოისტრიელი მეფე იყო. ერთი მაიორდომი ავსტრაზიას მართავდა, მაორე კი ნოისტრიას, თუმცა ორივე ერთი და იმავე დინასტიას

ეკუთვნოდა, რადგანაც მემკვიდრეობითი სისტემა იქნა შემოღებული. მაშასადამე, იყო მეფე rex-ი, რომელიც „მეფობდა", ანუ ფლობდა auctoritas-ს, რაც მისტიკური ძალაუფლება იყო და სასახლის მერი (მმართველი), princeps-ი, რომელიც „მართავდა", ანუ ვინც ფლობდა protestas-ს.

სწორედ ავსტრაზიის მაიორდომმა, პიპინ II-მ ჩაიგდო ხელში რეალური ძალაუფლება VII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთში ფრიზების და საქსების დამარცხების შემდეგ. მისმა ვაჟმა კარლოსმა (Cearl ანგლო-საქსურად, Charal ძველ ზემო-გერმანულად, Kerl ახალ ზემო-გერმანულად, Karl თანამედროვე გერმანულად, რაც ნიშნავს „მამაც ჯარისკაცს"), რომელსაც შემდეგ მარტელი („ჩაქუჩი") შეარქვეს, 719 წ. ნოისტრიელები დაამარცხა და თავისი ძალაუფლება მთელ ავსტრაზიაზე განავრცო, საქსებს ვეზერამდე მისდია და ფრიზების უტრეხტი დაიმორჩილა.

მან გამოიყენა მეთოდი, რომლის წყალობითაც ბევრი საეკლესიო პირის სიძულვილი მოიმკო, მაგრამ რომელმაც საშუალება მისცა უზარმაზარ სამეფოში მძლავრი არმია შეექმნა. მან თავის დიდგვაროვნებს და თავისუფალ ადამიანებს გაუნაწილა საეკლესიო მიწების უზუფრუქტი. ამ „ბენეფისის" (შელავათი, მოგება, უპირატესობა) სანაცვლოდ „ვასალი" საიჯარო გადასახადის გადახდის მაგიერ ვალდებული იყო მიეცა მეომარი, მისი აღჭურვილობა და ცხენი. ამგვარად კარლოსის და მისი მემკვიდრეების განკარგულებაში ნამდვილი პროფესიული არმია აღმოჩნდა. კარლოსის ვაჟმა პიპინ III-მ, ანუ პიპინ მოკლემ და შვილიშვილმა კარლოს დიდმა დაარეგულირეს ეს სისტემა, მისცეს რა ეკლესიას კომპენსაცია საიჯარო გადასახადის მეშვეობით, რომელსაც უზუფრუქტის მიმღები იხდიდა. კარლოს მარტელი სიცოცხლის ბოლომდე (გარდაიცვალა 741 წელს) ცდილობდა განემტკიცებინა და განევრცო მეროვინგების დინასტიის „ზარმაცი მეფეების" თეორიული ბატონობა, სინამდვილეში თავისი ბატონობაც, რადგანაც 737 წელს იგი მარტოდმარტო, უმეფოდ მართავდა ქვეყანას. მან ააშენა საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომაული ყაიდის გზები გაიყვანა გერმანიაში, შექმნა საფოსტო ცხენების სადგურები.

ამ ცხენებით მას „კოლონისტები" ამარაგებდნენ, რომლებიც მტრისთვის წართმეულ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ. ამ სისტემაში შედიოდა: ჰესი, ფრანკონია, ტიურინგია, აგრეთვე ალემანია, Nordgau ბავარიაში, სადაც ხალხის გაქრისტიანება გააადვილა ინგლისელი წმინდა ბონიფაციუსის მოღვაწეობამ, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. კარლოს მარტელმა გააჩანაგა აკვიტანია და გაანადგურა არაბები პუატიეში, სასტიკად ჩაახშო 734 წელს ფრიზების აჯანყება და 739 წელს ლომბარდიელების დახმარებით დაიპყრო პროვანსი.

მისმა ვაჟმა პიპინ მოკლემ, რომელმაც ძალაუფლებას თანდათან ჩამოაშორა თავისი ძმა კარლომანი, იგივე პოლიტიკის გატარება გააგრძელა, მაგრამ ეკლესიის მხარდაჭერა მისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. იგი პაპებს დაეხმარა ლომბარდიელების წინააღმდეგ, რამაც ორი უბადლო წარმატება მოაპოვებინა:

1) ავსტრაზიის და ნეისტრიის კიდევ ერთი, მაგრამ უფრო მტკიცე გაერთიანება
2) უკანასკნელი მეროვინგელი მეფის ტახტიდან ჩამოგდება 751 წელს, პაპის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ სამეფო ტიტული მას ეკუთვნოდა, არჩევა დიდებულთა ასამბლეის მიერ, მირონცხება წმინდა ბონიფაციუსის მიერ და ბოლოს მეფედ კურთხევა პაპის მიერ, რომელიც 754 წ. საფრანგეთში ჩავიდა და მას რომაელთა პატრიციუსის ტიტულიც კი უბოძა. სამაგიეროდ პიპინმა პაპს გადასცა ქალაქი რომი და პრინციპში მთელი იტალია.

პიპინ მოკლე 768 წელს დაასაფლავეს სენ დენის ბაზილიკაში. მან თავის ვაჟებს კარლოსს და კარლომანს დაავალა უფრო დიდი და ლამაზი ეკლესიის აშენება.

II. კარლოს დიდი

მაშასადამე, ახლა ლაპარაკია ყველაზე დიდ მეფეზე,

IX. დასავლეთი და აღმოსავლეთი კარლოს დიდის დროს


ნორმანების
საჯარო
ნოვგოროდი
ბოლგარი
ბალტიკის
ზღვა
ანგლო-
საქსების
საჯარო
ბალტიკი
ლენი
ოდერი
ელბა
ვისლა
ნიემენი
ბალტიკი
ბალტიკი
ბალტიკ

კარლოსზე, რომლის მეტსახელი „დიდი" magnus ფრანგულად და ინგლისურად კარგად ესადაგება მის სახელს, იტალიურად იგი ჟღერს, როგორც Carlomagno, გერმანულად Karl der Grosse და ა.შ. იგი ტახტზე 768 წელს ავიდა თავის ძმასთან ერთად, რომელიც სამ წელიწადში გარდაიცვალა. ამიერიდან კარლოსი ერთადერთი მბრძანებელი გახდა.

ბევრი თვალსაზრისით შეიძლება მას გენიალური ადამიანი ეწოდოს. როგორც მხედართმთავარი, იგი მარჯვე და დაუღალავი იყო, როგორც დიპლომატი წინდახედული და საზრიანი. ღრმადმორწმუნეობამ მამამისივით პაპის მუდმივი მახარდაჭერა მოუპოვა კარლოსს, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ხორციელ სიამეთა მიღებაში და არ აოკებდა.

მტრებზე შურისძიების წყურვილს. მას არ ჰქონდა ლეგენდაში ნახსენები „აყვავებული წვერი", თუმცა მოზრდილ ულვაშს კი ატარებდა. ფრანგებისთვის იგი „რწმენის ჩემპიონი" იყო, გერმანელებისთვის კი „ინსტიტუციების ფუძემდებელი". ზოგიერთები მას წმინდანადაც კი თვლიდნენ, რაც ალბათ მას ძლიერ გააკვირვებდა.

დამპყრობელი. კ.ფ. ვერნერი მას ასე აღწერს: „ოცდაათ წელზე მეტ ხანს იგი თავდაუზოგავად იბრძოდა. მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ბრძოლას ჩამოვთვლით: მან გადალახა გარონა 769 წელს; რომში შევიდა 773-774 წლებში, საფრანგეთში 776 წ., პირენეებს გადაღმა 778 წ., იგი კვლავ რომშია 781 წელს, კაპუაში 787 წელს, 789 წელს ელბის იქით ბალტიის ზღვაზეა, 791 წელს იგი უნგრეთშია, შემდეგ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და კვლავ რომში 800 წელს, 801 წ. სპოლეტოში, 803 წ. ზალცბურგში, წელიწადში ერთხელ ან რამდენიმეჯერ იგი საქსონიაშია. ასეთი რამ მხოლოდ ნაპოლეონის დროს განმეორდება" შევჩერდეთ კარლოს დიდის ოთხ დიდ გამარჯვებაზე.

იტალია. თავდაპირველად იგი პაპს იცავდა ლომბარდიელთა ჰერცოგისგან, რომელიც რავენის უტევდა და რომისკენ მიემართებოდა: კარლოსმა ხელში ჩაიგდო ლომბარდია,

774 წელს ლომბარდიის ჰერცოგმა კაპიტულაცია გამოაცხადა, კარლოსი ლომბარდიელების მეფედ აკურთხეს და მან პაპს ცენტრალური იტალია უბოძა, თუმცა მასზე საბოლოო უარი არ უთქვამს.

გერმანია. შემდეგი გამარჯვება მან ფრანკების ავსტრაზიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში, გერმანიაში მოიპოვა. ჩრდილოეთით ქვეყანა თითქმის წარმართული იყო, საქსონია ემსსა და ელბას შორის მოიაზრებოდა და სამხრეთით კარლოსმა ჰესამდე მიაღწია. ეს დაპყრობითი ომები 30 წელიწადი გაგრძელდა და ისინი ძალზე სასტიკი იყო. ამასთან დაკავშირებით ლუი ჰალფინი აღნიშნავს: „სასტიკი დეკრეტი მოსახლეობას მხოლოდ ერთ არჩევანს უტოვებს: ან მოსანათლი ემბაზი, ან ჯალათის მახვილი". ეს ომები მხოლოდ 804 წელს დასრულდა. ახლა დანიის ჯერი დადგა.

აღმოსავლეთის მარკა (სასაზღვრო ოლქი). ბავარიაში მდგომარეობა განსხვავებულია: იგი ქრისტიანული ქვეყანაა. ჰერცოგი იძულებულია 794 წელს ტახტიდან გადადგეს. კარლოსმა იგი ბერად აღაკვეცინა და ჟუმიეჟის მონასტერში გამოკეტა, მისი ცოლი და ორი ქალიშვილი აიძულა მონაზვნებად აღკვეცილიყვნენ, ხოლო ვაჟები კი ბერებად შედგნენ.

ამ ახლად შემოერთებულ მიწებს დაცვა სჭირდებოდა. ამით იხსება ფრანკების დამკვიდრება სასაზღვრო ზოლში: სამხრეთ-აღმოსავლეთით კარლოსმა გაანადგურა ავარები და ისინი დუნაისკენ გადაანაცვლა, დაიპყრო ახლანდელი უნგრეთი, ავარების ბელადი khaghan-ი ვასალად გაიხადა და აიძულა ქრისტიანობა მიეღო, აგრეთვე თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ელბის აღმოსავლეთით მცხოვრები სლავები, რომლებიც მისი მოკავშირეები და მისთვის ხარკის გადამხდელები შეიქნენ.

ესპანეთი. მესამე მიმართულება ესპანეთისკენ მიდიოდა. კარლოსს ესპანეთის ანექსია ეწადა. პამპლონის და სარა-

გოსას ექსპედიცია 778 წელს სრული კრახით დამთავრდა. უკან დაბრუნებისას ლეგენდის მიხედვით მისი ძმისწულის, ბრეტანის პრეფექტ როლანდის მეთაურობით მებრძოლი მისი არიერგარდი რონსევალის ხეობაში განადგურებულ იქნა გასკონელების მიერ. კარლოს დიდმა მოახერხა მხოლოდ ის, რომ კატალონიაში, პირენეების სამხრეთით შექმნა მარკა, დაიკავა ბარსელონა და ტორტოზა, აქტიური როლი ითამაშა ნახევარკუნძულის დიპლომატიაში. მან მხარი დაუჭირა გალიციის და ასტურიის ქრისტიან მეფეს, რომელმაც 798 წ. ხელში ჩაიგდო ლისაბონი. კორდოვის სამეფო ტახტის მუსლიმანი პრეტენდენტი აახენში ჩავიდა მისთვის დახმარების სათხოვნელად.

იერარქია. იმპერიის ირგვლივ საბოლოოდ ბრეტანის საასაზღვრო ოლქი (ვანი, ნანტი, რენი) ჩამოყალიბდა. იგი 778წ. შეიქმნა და ცნობილ როლანდს ჩაბარდა. იყო ესპანეთის, ფრიულის, ავარების, შვაბების, ვენდების, დანიელების სასაზღვრო ოლქები. ამ ოლქებში მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა გენერალს, ჰერცოგს ან გრაფს და ოკუპაციურ არმიას. იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან მოსული გრაფები წელიწადში ერთხელ უნდა წარმდგარიყვნენ კარლოს დიდის წინაშე. ყოველ წელიწადს მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომები, რომლებიც მთელ სამეფოს წარმოადგენდნენ, იკრიბებოდნენ გენერალურ ასამბლეაზე („placitum generalis"). მოხეტიალე ინსპექტორები, ანუ missi dominici, ანუ ბატონის წარგზავნილები რეგიონებში დადიოდნენ და კარლოსის სახელით ბრძანებებს იძლეოდნენ. საეკლესიო იერარქია ეპისკოპოსების წყალობით, რომლებიც თეორიულად ხალხის და სამღვდელოების მიერ იყო არჩეული, აგრეთვე იყო გამოყენებული, როგორც ფუნქციონერთა კიდევ ერთი ქსელი.

კაროლინგების ეპოქის ისტორიკოსი უკეთ იცნობს potentes-ებს, ანუ მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც ძალაუფლება უპყრიათ ხელთ, ვიდრე pauperes, ანუ თავისუფალ ადამიანებს. გლეხებს თითქმის არ იცნობენ. ისინი მიწას არიან მიჯაჭვული ბატონყმობის წყალობით. არსებობენ ასევე მონები (esclaves), ეს სიტყვა მომდინარეობს

სიტყვიდან Sclavi ან Sclavoni, რადგანაც ხშირად საქმე ეხებოდა დამარცხებულ და ტყვედ წამოყვანილ სლავებს.

არმიის ძალები. ძალიან დიდხანს ეგონათ, რომ კარლოს დიდის არმია აჭარბებდა 5 000 კაცს. ეს შეუძლებელია, რადგან ოპერაციებში მონაწილე ჯარების გარდა, საჭიროა საოკუპაციო და გარნიზონის ჯარებიც. სამეფო დაყოფილია რელიგიური ნიშნით: ეპარქიები, საეპისკოპოსოები, სააბატოები გრაფებითურთ, ადგილობრივი სამხედრო მეთაურები. კარლოს დიდის ბრძანებები ამ დაღმავალი გზით ვრცელდება ძალზე სწრაფად. ბრძანების მიღებისთანავე გრაფი მობილიზებას უკეთებს თავის ვასალებს და milites-ებს, ანუ მხედრებს. ეპისკოპოსს და აბატს ევალებათ მომარაგება ცხენებით, სურსათით, დიდი ეტლებით (რომლებიც უფრო ტევადია, ვიდრე რომაელების ეტლები), რომლებიც ამერიკული ვესტერნების ეტლებს ჩამოჰგავს წყალგაუმტარი ტყავის გადახურვით. თითოეულ გრაფს (დაახლოებით 500 გრაფი იყო) გამოჰყავს 20-30 კაცი, მეფის თითოეულ უშუალო ვასალს (ისინი გრაფებზე მეტი იყვნენ) — 10-12 კაცი. გამოდის, რომ დაახლოებით 50 000 მხედარი და ბევრად მეტი ქვეითი ყოფილა ჯარში. ცხადია, ისინი სხვადასხვა არმიებში იყვნენ დანაწილებული, განსაკუთრებით სასაზღვრო ოლქებში, რომლებიც არაბების, ბრიტანელების, საქსების, ვიკინგების და სლავების წინააღმდეგ იყო ორგანიზებული.

ჯარში სასტიკი დისციპლინა მეფობდა,არა იმიტომ,რომ კარლოს დიდი იყო სასტიკი, არამედ იმიტომ, რომ თავის მოვალეობად მიაჩნდა მორჩილებაში ჰყოლოდა ჯარი. მაგალითად, 778 წელს, როცა საქსები აჯანყდნენ, რამაც ფრანკების არმიის ნგრევა გამოიწვია, კარლოს დიდმა სიკვდილით დასაჯა 4 000 ადამიანი.

არმიის სუსტი მხარეები. ეს არმია, რომელიც შესანიშნავად ატარებდა შეტევებს და დაპყრობით ომებს, რომელთა შედეგადაც მის სათავეში მდგომი არისტოკრატია მიწებს და სიმდიდრეს იძენდა, ხოლო სამღვდელოება ქონებას იხ-

ვეჭდა, თავდაცვის დროს სუსტად გამოიყურებოდა. როცა საქმე შეტევას ეხებოდა, ფრანკების მთელი სამეფო, ანუ დასავლეთი საფრანგეთი (ნოისტრია), აღმოსავლეთი, ანუ ავსტრაზია, ბურგუნდია თუ რაინისგაღმა გერმანია შეთანხმებულად მოქმედებდა. ისინი „ქრისტიანი ხალხის", populus christianus-ის სახელით იბრძოდნენ და არა ძველი სამეფოს სახელით. მაგრამ თუ ახალი მიწების დაპყრობაზე აღარ იყო ლაპარაკი, ყველაფერი იშლებოდა, კვლავ ჩნდებოდა კერძო ინტერესები და სეპარატიზმი. ლუსიენ მიუსე ასე ახასიათებს ამ მდგომარეობას: „მოკლედ, სანამ წინ მიდიოდა, იმპერიას ეფექტურობის შანსები არ აკლდა, მაგრამ იგი არ იყო მზად სერიოზული უკანდახევისთვის, მოულოდნელი საფრთხისთვის. მას არც მუდმივი არმია ჰყავდა, არც საზღვაო ფლოტი, არც მტკიცე თავდაცვითი ნაგებობები ჰქონდა, არც საკმარისი და საკადრისი ფინანსები და ხალხის ნამდვილი მხარდაჭერაც კი აკლდა".

გლობალური თავდაცვის უქონლობამ და სასაზღვრო ზოლების სისტემის კრახმა გამოიწვია მეფის თვალსაზრისით უკანონო კერძო ციხე-დარბაზების, ტყეებისა და მიწების (castella,firmitates, baiae) გაჩენა. უკეთ დაცულ იტალიაში მოსახლეობა გალავანის (habitatores castri) შიგნით ცხოვრობდა. ახალ შემოსევებს შესაძლოა ბიზანტიასთან ალიანსის საშუალებით გამკლავებოდნენ (იხ. შემდეგი თავი), უთანხმოება მეტისმეტად მძლავრი იყო. ლუსიენ მიუსე ასკვნის: „კაროლინგების სამყარომ მარტომ იომა და მარტოს ამოხდა სული, ძირითადად საკუთარი შეცდომების გამო".

III. იმპერია

იმპერიული იდეის წარმოშობა. კარლოს დიდი იმპერატორი გახდა 800 წელს, 32 წლის მეფობის შემდეგ, როცა უკვე 58 წლისა იყო. იმპერიის აღდგენის იდეა საკმაოდ გავრცელებული იყო დასავლეთის potentes - ებს შორის და კარლოს დიდის მთავარი მრჩეველი მას დიდად უჭერდა მხარს, მაგრამ ამის განხორციელება ძირითადად პაპ ლეონ

III-სგან მოდიოდა. 792 წელს კარლოს დიდი თავის თავს უწოდებს „გალების, გერმანიის, იტალიის და მეზობელი პროვინციების მეფეს". კონსტანტინოპოლში იჯდა ბასილევსი, ბიზანტიელი იმპერატორი. პაპ ლეონ III-სთვის საიმპერატორო გვირგვინის კარლოსისთვის გადაცემა ნიშნავდა დამცველის გაჩენას, მაგრამ ისეთი დამცველისა, რომელიც სხვაზე მაღლა იდგებოდა და საკმაოდ შორს იქნებოდა, რათა ნაკლებად შემაწუხებელი ყოფილიყო. პაპს სურდა კარლოსი მთელი ქრისტიანული სამყაროს იმპერატორი გაეხადა ბიზანტიის ჩათვლით, რაც მის ავტორიტეტს აღადგენდა აღმოსავლეთში, სადაც იგი სადავო გამხდარიყო. რაც შეეხება კარლოს დიდს, მას სურდა ბასილევსის თანასწორი ყოფილიყო.

რა პირობებში მოხდა სამეფო გვირგვინის დადგმა. 799 წელს რომში სკანდალი აგორდა: აჯანყების დროს რომაელმა დიდებულებმა პაპ ლეონ III-ს ბრალი წაუყენეს, რომ იგი ამ საქმეში იყო გარეული. პაპი შეიპყრეს და დაჭრეს, მისთვის თვალების დათხრის მცდელობაც კი იყო. გამოჯანმრთელების შემდეგ პაპი კარლოს დიდთან ჩავიდა პადერბორნში (საქსონია) და შეევედრა რომში ჩამობრძანდიო.

კარლოს დიდი გულმოდგინედ მოემზადა მგზავრობისთვის, წმინდა მარტინ ტურელის საფლავზე ილოცა და რომში მეფის შიკრიკები („missi dominia") გაგზავნა, რომელთაც სასამართლოს ორგანიზება დააკვალა, რომლის წინაშეც პაპ ლეონ III-ს თავისი უდანაშაულობა უნდა დაემტკიცებინა. კარლოს დიდი რომში 800 წელს, შობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. პაპი დამცირებულად გრძნობდა თავს, რადგანაც იძულებული იყო თავისი უდანაშაულობა ემტკიცებინა სუვერენის წინაშე, ანუ de fakto თავი ეცნო მის ქვეშევრდომად. შობა დღეს პაპმა იმპერატორად აკურთხა კარლოსი.

კარლოს დიდს უპირველეს ყოვლისა სურდა ყოფილიყო ქრისტიანი იმპერატორი, „ახალი კონსტანტინე, რომელიც ღმერთმა აირჩია ხალხების მბრძანებლად". მონეტებზე მან თავი გამოასახვინა დაფნის გვირგვინით და რომაელი

მხედართმთავრების სამოსით „paludamentum"-ით, რომელიც მხარზე ფიბულით იყო დამაგრებული. მან ახლიდან აღიარა „კონსტანტინეს ფსევდო მიძღვნა" პაპობისადმი და განამტკიცა პაპის ძალაუფლება რომში.

ცნობა ბიზანტიის მიერ. რჩებოდა კარლოსის ცნობა ბიზანტიელების მიერ. ეს უკანასკნელები ამაზე უარს ამბობდნენ და კარლოს დიდმა ომი წამოიწყო ადრეატიკის ჩრდილოეთით. ბიზანტიელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ ზღვაზე, მაგრამ ხმელეთზე კარლოს დიდი სჯობნიდა. მან ხელში ჩაიგდო ფრიული, კარნიოლი, ისტრია და ვენეცია, რომელიც ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, რათა თავისი ახლადდაწყებული სავაჭრო ურთიერთობები გადაერჩინა.

თანხმობას მხოლოდ 814 წელს მიაღწიეს. ბიზანტიამ იმპერატორად ცნო კარლოს დიდი, სამაგიეროდ მან დააბრუნა ვენეცია, მაგრამ დაიტოვა ფრიულის სასაზღვრო ოლქი და ჩრდილო ადრიატიკის სხვა მიწები. როცა ბიზანტიის დელეგაცია ჩამოვიდა, რათა თანხმობა განეცხადებინა 814 წელს, კარლოსი ახალი გარდაცვლილი იყო. მის ნაცვლად ტიტული „იმპერატორი და ავგუსტუსი" მიიღო მისმა მემკვიდრემ და ძემ, ლუი ღვთისმოსავმა, რადგან „რომის იმპერატორის" ტიტულს ბიზანტიელები თავისთვის ინახავდნენ.

IV. კაროლინგური აღორძინება

წინა თავში ხანდახან გადაჭარბებული იყო, როცა „უვიცობის საუკუნეებს" უწოდებდნენ ძველ დროს, განსაკუთრებით VI და VII საუკუნეებს. სწორედ ამ საუკუნეებთან დაკავშირებით შეიძლება ლაპარაკი "კაროლინგურ აღორძინებაზე". კულტურამ თავი შეაფარა ირლანდიას და ესპანეთს: ეს უკანასკნელი ქრისტიანულ სამყაროს ჩამოშორებული აღმოჩნდა იმ დიდი განსაცდელის გამო, რომელიც მას არაბთა შემოსევამ დაატეხა თავს. ფრანკების იმპერია შეეცდება მათ ჩანაცვლებას ამ ქვეყანაში.

განათლება. კარლოს დიდი საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა სკოლების მამის რეპუტაციით. ამ საკითხში, ისევე როგორც სხვა საკითხებში, მისი მრჩევლები ისიდორე სევილიელის მეთოდებს იყენებენ, რომელსაც საფუძვლად რომაული ტრადიცია ედო. სწავლების ციკლი 8 დარგს მოიცავდა: trivium-ში შედიოდა *გრამატიკა, რიტორიკა* და *დიალექტიკა*, ანუ ლოგიკა, quadrivium-ი მოიცავდა *არითმეტიკას, ასტრონომიას, მუსიკალურ მეცნიერებას* და *გეომეტრიას*, ყველა ამ საგანს ემატებოდა და მათზე ბატონობდა *თეოლოგია*.

ბედა ღირსი. VII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისის მონასტრებთან არსებობდა სკოლები, სადაც ამ პროგრამის ფარგლებში ასწავლიდნენ, მათ ჰქონდათ რამდენიმე ასეული ტომისგან შემდგარი შესანიშნავი ბიბლიოთეკები! ამ მხრივ ყველაზე სახელგანთქმული იყო ნორთუმბერლენდში მდებარე ჯეროუს (Jarrow) ცენტრი, სადაც მოღვაწეობდა გამორჩეულად განათლებული ბერი ბედა ღირსი (დაახლ. 673-739). იგი კარგად იცნობდა არა მარტო წარმართულ ლათინურ კულტურას, არამედ ქრისტიანულ კულტურასაც, და კერძოდ, ეკლესიის მამების თხზულებებს. მას ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია გააჩნდა, თვითონ კი დაუღალავი ავტორი გახლდათ, რომელიც ლათინურ ენაზე წერდა, თუმცა მისი მშობლიური ენა კელტური იყო. მისი ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანი იყო. იგი ეხებოდა გრამატიკას, ლათინურ ლექსებს, საეკლესიო ისტორიას, ტექსტების ინტერპრეტაციას (ეგზეგეზა), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ასტრონომიას, საეკლესიო კალენდარს, ანუ აღდგომის დღესასწაულთა რთულ გამოთვლებს.

მან დაგვიტოვა არა მარტო უკვე ნახსენები, სახელგანთქმული „ანგლების საეკლესიო ისტორია", არამედ სხვა ისტორიული თუ გრამატიკული ნაშრომები, მათემატიკისა და ფიზიკის სახელმძღვანელო „De natura rerum", მრავალი შრომა ტექსტების განმარტებების შესახებ, პოემა საშინელი სამსჯავროს შესახებ, ქადაგებები სახარების შესახებ.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ იგი ორჯერ ხმარობს სიტ-

ყვას „ევროპა" თავის „საეკლესიო ისტორიაში". პირველად ეს ხდება პირველ თავში; სადაც აღწერილია ბრიტანეთის კუნძულები: „ოკეანის კუნძული ბრიტანეთი, რომელსაც ადრე ალბიონი ეწოდებოდა, მდებარეობს გერმანიის, გალიისა და ესპანეთის, ევროპის სამი უდიდესი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ზუსტად პირდაპირ, მაგრამ მათგან გამოყოფილია ფართო ინტერვალით". უფრო ქვემოთ, XIII თავში იგი ამბობს, რომ იტალია „ისეთი დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა თანამეგობრობისა, რომ თითქმის მთელი ევროპა გაანადგურა, ანგრევდა რა ქალაქებსა და დასახლებებს". ბედა უფრო ანგლოსაქსად გვევლინება, ვიდრე ევროპელად, მაგრამ ცხადია, რომ მისი იდეალია უნივერსალური, საყოველთაო კათოლიკური ეკლესია. ბრიტანეთის კუნძულებიდან ანგლოსაქსურმა პრე-რენესანსმა ფრანკების სამეფოში გადაინაცვლა წმინდა ბონიფაციუსის წყალობით, რომელიც ფრანკთა ეკლესიის რეფორმატორი იყო პირველი კაროლინგების ხელშეწყობით, რაც უკვე აღვნიშნეთ წინა თავში.

მორალური რეფორმა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზნეობრიობის და დისციპლინის თანდათანობითი დაკნინების შესახებ ფრანკთა ეკლესიაში. რეფორმის დიდი და რთული საქმე იკისრა კარლოს მარტელის ორმა ვაჟმა, პიპინმა გალიაში და კარლომანმა რაინისპირა რეგიონებში. ორივე მათგანი წმინდა ბონიფაციუსს მიენდო და სუასონის საბჭომაც 744წ. მისივე დირექტივებით იხელმძღვანელა.

იმ დროს, როცა კარლოს დიდი ახალ-ახალ დაპყრობებს ანხორციელებდა, ისლამური შემოტევებისგან დასუსტებული დასავლური ქრისტიანობა სუსტდებოდა იმდენად, რომ ბრიტანეთის კუნძულების გამოკლებით, დასავლეთი და იმპერია ერთმანეთს დაემთხვა. ესპანეთის სასაზღვრო ზოლიდან (მარკა) კარინთიამდე, ბავარიამდე, ტიურინგიამდე და საქსონიამდე, რომელსაც ელბა საზღვრავდა, ჩრდილოეთის ზღვიდან რომის სოფლებამდე კარლოს დიდი მართლაც ეკლესიის დროებითი მეთაური იყო. მას მიეწერება თეოლოგიური ნაშრომი „კაროლინური ნაშრომი", რომელშიც იგი ეუბნება პაპს, რომ "ჩვენი ვალია ღვთაებრივი წყა-

ლობის დახმარებით ყველგან დავიცვათ ქრისტეს ეკლესია წარმართთა შეტევებისა და ურწმუნოთა განადგურებისაგან, მის დასაცავად შიგნით თუ გარეთ ვცნოთ კათოლიკური რწმენა. თქვენი ვალია ხელები ცისკენ აღაპყროთ მოსესთან ერთად და ასე შეეწიოთ ჩვენს ბრძოლას".

მისი კანონთა კრებული, რომელსაც „კაპიტულარების" ფორმა ჰქონდა, აღბეჭდილია რელიგიური და მორალური საზრუნავით. ასე ცდილობდა იგი განვითარებული შუა საუკუნეების სოციალურ ჩარჩოებში შეექმნა სრულყოფილი „ქრისტიანული ქალაქი".

სწავლულთა ძებნა. ანგლოსაქსებისგან განსხვავებით, რომლებიც სანიმუშოდ მიაჩნდა, კარლოს დიდი გულისხმობდა, რომ ინტელექტუალური რეფორმა უნდა შეხებოდა არა მარტო სამღვდელოებას, არამედ საერო პირებსაც. და საერთოდ, მას სურდა ერთგვარად დაეკავშირებინა თავისი დროის ინტელექტუალური სამყაროს წარმომადგენლები. საკმარისია გავიხსენოთ მისი მთავარი მრჩეველების წარმომავლობა და თხზულებანი. იტალიიდან კარლოს დიდმა ჩამოიყვანა გრამატიკოსები პიერ პიზელი, პოლენ აკვილელი, ისტორიკოსი პოლ დიაკრი, ინგლისიდან - ანგლო-საქსი ალკუინი, რომელიც ბედა ღირსის მრავალი მოწაფის აღზრდილი იყო. ალკუინი რომს ესტუმრა და იორკის სკოლას განაგებდა. 773 წლამდე იგი კარლოს დიდის ფავორიტი გახდა და მისგან მიიღო მრავალი საბატო: სენ-მარტენ-დე ტური, ფერიერი, სენ-ლუ-დე-ტრუა. ბედას მსგავსად ალკუინი ენციკლოპედიურ ცოდნას ფლობდა და კარგი თეოლოგი იყო, თუმცა ნაკლებად ორიგინალური იდეები გააჩნდა. მისი ინიციატივით დაარსდა სამეფო კარის სკოლა, სადაც განათლებას ღებულობდნენ არისტოკრატთა შვილებიც და ყველაზე დაბალი ფენიდან გამოსული მოწაფეებიც. კაპიტულარის საფუძველზე შეიქმნა საეპისკოპოსო და სამონასტრო სკოლები, რათა კულტურის გავრცელება მოსახლეობის ფართო ფენებში მომხდარიყო. კაროლინგური აღორძინების სხვა დიდი მოღვაწეები იყვნენ რაბან მავრი, ბედას უშუალო მოწაფე, ჟერმენი (დაახლ. 785-856), რომელიც

მაიენსში დაიბადა, ბერად შედგა ფულდაში, ხოლო შემდეგ მაიენსის ეპისკოპოსი გახდა და შეარქვეს „გერმანიის მოძღვარი", ესპანეთიდან მოსული ვესტგუთი თეოდულფი, რომელიც მონაწილეობდა „კაროლინგური წიგნების" დაწერაში და ორლეანის ეპისკოპოსი და missus dominicus-ი გახდა.

მსჯელობა კაროლინგური აღორძინების შესახებ. კაროლინგური აღორძინების მასშტაბების შესახებ ძალზე განსხვავებული შეხედულებები გამოითქვა. ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის შეხედულება პესიმისტურია, იგი ამბობს: „აღორძინებას გადაჭარბებულად შეასხეს ხოტბა... ჯერ ერთი, იგი არ არის ნოვატორული, მისი სასკოლო პროგრამა იგივეა, რაც ადრე არსებული რელიგიური სკოლებისა... კაროლინგების სამეფო კარის კულტურა ბარბაროსი მეფეების კულტურაა..."

გერმანელი ისტორიკოსი კარლ-ფერდინანდ ვერნერი ბევრად უფრო კეთილგანწყობილია: „კარლოს დიდი რეფორმის დიდაქტიკურ საფუძველსა და თეოლოგიურ ბაზაზე უფრო შორს მიდის. ჩანს, რომ იგი პირად სიამოვნებას განიცდის როდესაც რწმენის, სულიერების და ხელოვნების საკითხებით არის დაკავებული. სწორედ მან და არა ვინმე სხვამ შემოიკრიბა თავის კარზე დასავლეთის ყველა ერის საუკეთესო სწავლულები, რომლებთანაც ხან სერიოზული, ხანაც თავშესაქცევი საუბრები ჰქონდა[...] იგი რომაული, გალური და გერმანული ელემენტების შერწყმის საბოლოო წარმატების ცოცხალი გამოხატულებაა, რამაც ევროპის შექმნამდე მიგვიყვანა..." იტალიელი ამერიკელი ისტორიკოსი რობერტ ლოპესი, ადარებს რა კაროლინგურ აღორძინებას დიდ აღორძინებას, ამბობს, რომ "კაროლინგურმა ღონისძიებამ მხოლოდ ერთი სანთელი დაანთო საკურთხეველთან წყვდიადში, მაშინ როდესაც სხვა აღორძინებამ ცას მოსტაცა ცოტაოდენი სინათლე, რათა იგი ადამიანებისთვის მიეცა"

არქიტექტურა. ხელოვნება ბრწყინავდა, თუმცა მას ძლიერი ბიზანტიური გავლენა ეტყობოდა. კარლოსმა მრავალი

ეკლესია და ტაძარი ააშენა. მოგვიანებით ბევრი მათგანი შეიცვალა სხვა ნაგებობით (მაგალითად: კიოლნი, პადერბორნი, სენ-დენი), მაგრამ აახენის შესანიშნავი ტაძარი, ჟერმინი-ლე-არეს ეკლესია ორლეანის მახლობლად სრულქმნილ ნიმუშებად რჩება. მთელ ევროპაში აღტაცებას იწვევს კაროლინგური მინიატურები.

კაროლინგების დამწერლობა. ჩვენს ევროპულ პერსპექტივაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ დიდი მოვლენა: დამწერლობის რეფორმა. "დამწერლობის რეფორმა მისი ყველაზე ბრწყინვალე წარმატება იყო. საფრანგეთის Scriptoria-ებში (გადაწერის ცენტრები) შექმნილმა „კაროლინგურმა" მინუსკულმა ერთიმეორის მიყოლებით განდევნა „ეროვნული" დამწერლობები, რომლებიც რომაული არაეპიგრაფიული დამწერლობების გადაგვარების ეკლიან ნაყოფს წარმოადგენდა... „მან საბოლოოდ იზეიმა გამარჯვება კაროლინგების გადაშენებიდან დიდი ხნის შემდეგ თვით ესპანეთში, ინგლისში და იტალიის სამხრეთ ნაწილში" (ლოპესი). მან მისცა ბეჭდვით სიტყვას თანამედროვე მინუსკულები (პატარა ასოები), ხოლო დიდი ასოები აღებულ იქნა რომაული წარწერებიდან.

V. იმპერიის დაშლა და სამეფოების განვითარება

814 წელს, როდესაც კარლოს დიდი გარდაიცვალა, თითქოს ყველაფერი დამთავრებული და დალაგებული იყო, თვით ბიზანტიელებიც კი ცნობდნენ იმპერიას, მაგრამ ოცდაათი წელიც არ იყო გასული, რომ ამ გიგანტური წარმონაქმნის რღვევა დაიწყო.

ლუი ღვთისნიერი. უკვე იმპერატორად ნაკურთხი ლუი სომიურში იმყოფებოდა, როცა მამის სიკვდილი შეიტყო. იგი აახენისკენ გაემართა და როგორც მიღებულია, მისმა მრჩევლებმა და მსახურებმა დაიკავეს კარლოს დიდის გარემოცვის ადგილი. მისი მთავარი დამრიგებელი ძალზე

ღვთისმოსავი კაცი, წმინდა ბენედიქტე ანიანელი იყო. როგორც უკვე ითქვა, კარლოს დიდს ურისკაცის რწმენა ჰქონდა, ლუის კი მღვდლის ან ბერის ღვთისმოსავობა ახასიათებდა. მას მოგვიანებით „გულმოწყალე" შეარქვეს, ანუ კეთილგანწყობილი, რასაც დღეს "სუსტის" მნიშვნელობას ვაძლევთ.

სენიორული სისტემა. ამ ეპოქაში ყველგან ვითარდება სენიორული სისტემა, რომელიც ფეოდალურ სისტემად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ყველაზე მაღალ დონეზე იდგნენ საერო თუ საეკლესიო „გრანდები" (დიდკაცები), proceresებს თავი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებლებად მიაჩნდათ. კარლოსი მათ მორჩილებას აიძულებდა, ლუიმ კი ეს ვერ შეძლო.

ლუის სამი ვაჟი. ამის შედეგად 817 წელს აახენში შედგა აქტი, რომელსაც იმპერიის გაყოფა, Divisio Imperii ეწოდა და რომლის მიხედვითაც ლუის უფროს ვაჟს ლოთარს იმპერიის გამგებლობა ხვდა წილად, ორმა დანარჩენმა კი მეფის ტიტული მიიღო. პიპინი აკვიტანიის მეფე გახდა, ლუის კი (მომავალი ლუდვიგ გერმანელი) ბავარია ერგო აღმოსავლეთით მდებარე ავსტრიას, პანონიასა და კარინთიასთან ერთად. დიდი სიფრთხილე იქნა გამოჩენილი, რათა გარანტირებული ყოფილიყო „იმპერიის ერთიანობა", რომელიც ქრისტიანობის ერთიანობაში ერეოდათ. მომდევნო წლების ისტორია მოწმობს, რომ დაქუცმაცებულობამ სძლია ერთიანობას. გაყოფის პრობლემა კიდევ უფრო გაართულა ლუი ღვთისმოსავის მეორე ქორწინებამ ბავარიის პრინცესაზე, რომელთანაც მას ვაჟიშვილი შეეძინა. საჭირო იყო მისთვისაც რაღაც წილის მიცემა და ეს იმ მომენტში ხდებოდა, როცა მარცხი მარცხს მოსდევდა საგარეო ფრონტზე: ჩრდილოეთით არეულობა იყო დანიის საზღვარზე, აღმოსავლეთით პანონიას ბულგარელები შეესივნენ, ესპანეთის სასაზღვრო ზოლი აჯანყებამ მოიცვა, რითაც, რა თქმა უნდა ისარგებლეს სარაცინებმა. ეს ყველაფერი იმპერატორის და დიდკაცობის ცოდვებს დაბრალდა. ეკლესიის წარ-

მომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ გამოსავალი პაპის ავტორიტეტი იქნებოდა, რომელსაც იმპერატორი უნდა დაეცვა, ხოლო დიდებულების დაცვა ეპისკოპოსებს უნდა ეკისრათ. ეს იყო იმ უთანხმოების დასაწყისი, რომელიც ოთხი საუკუნე გაგრძელდა.

სამოქალაქო ომი. როცა 829 წელს შვიდი წლის შარლმა დაპირება მიიღო, რომ მემკვიდრეობად ალემანიას (ალზასი-თურთ), რეტიას და ბურგუნდიის ნაწილს გადასცემდნენ, მისი სამივე უფროსი ნახევარ-ძმა განრისხდა და მამის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა განიზრახეს. თავიდან მამა გამოვიდა გამარჯვებული, მაგრამ აჯანყებამ კვლავ იფეთქა. ლოთარმა საკუთარი მამა და მისი მცირეწლოვანი ვაჟი დაატყვევა და იმპერატორი 833 წელს ტახტიდან გადამდგარად ჩათვალა.

პიპინის და ლუი ღვთისმოსავის სიკვდილი. სამივე ვაჟი წამსვე ერთმანეთს წაეკიდა. პიპინის სიკვდილმა 838 წელს და ლუი ღვთისმოსავის გარდაცვალებამ 840 წელს ეს დავა შეაჩერა, მაგრამ ახალი საკითხი წამოიჭრა: ვინ უნდა ჩადგმოდა იმპერიას სათავეში? ლოთარმა თავი იმპერატორად გამოაცხადა და ეპისკოპოსების მხარდაჭერაც მიიღო, მაგრამ შარლი და ლუდვიგ გერმანელი, ისევე, როგორც დიდგვაროვანთა უმეტესი ნაწილი, მისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი.

სტრასბურგის ფიცი. შარლმა და ლუდვიგ გერმანელმა 842 წლის 14 თებერვალს სტრასბურგში დადეს ფიცი ურთიერთკავშირის შესახებ, რომლის რომანულ და გერმანულ ენებზე შედგენილი ტექსტი წარმოადგენს მომავალი საფრანგეთის და მომავალი გერმანიის პირველ ლინგვისტურ დოკუმენტს. ლათინური ენის გამოყენება რჩებოდა ევროპული ქრისტიანობის უნივერსალურობის სიმბოლოდ.

ლოთარის დამარცხების შემდეგ ორმა ძმამ მასთან 843 წლის აგვისტოში ვერდენის ხელშეკრულება დადო, რომელიც მიწების განაწილებას ეხებოდა. რუკაზე კარგად ჩანს,

რომ შარლს ერგო დასავლეთ საფრანგეთი, საქსონიით, ყოფილი ავსტრაზია, ალემანია და ბავარია. ამ ორ სამფლობელოს შორის, ფრისლანდიიდან პროვანსამდე და ლომბარდიამდე იყო გაშლილი ლოთარის სამფლობელო, ანუ ლოთარინგია (ლორენი), რომელიც ერთი შეხედვით უფრო მდიდარი ჩანდა, მაგრამ ნაკლებად დაცული იყო. ლოთარს ეკუთვნოდა აგრეთვე იტალიის ჩრდილოეთი, ე.ი. ლომბარდიის სამეფო, რომელსაც უფრო ხშირად იტალიის სამეფოს უწოდებენ. ცენტრალური იტალია, რავენიდან რომამდე პაპს ეკუთვნოდა. სამხრეთ იტალიაში ბიზანტიელები და მოგვიანებით არაბები და ნორმანები ბატონობდნენ, რასაც მომდევნო თავებში ვნახავთ. მაშასადამე იტალია დაყოფილი იყო და ლომბარდიის სამეფოს შესახებ რობერტ ლოპესი წერდა: „ვერდენის ხელშეკრულებიდან ასი წლის შემდეგ იგი გერმანიაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული კოჭლ იმპერიაში, რომელშიც საფრანგეთი აღარ შედიოდა". რომანულ (ფრანგული, პროვანსული, იტალიური) და გერმანულ ენებს შორის საზღვარი კვეთდა ლოთარინგიას აახენიდან შვეიცარიამდე, რაც მრავალჯერადი და მრავალსაუკუნოვანი დავის საფუძველს შეადგენდა ორ Francia-ს შორის.

ევროპის სამეფოს აღსასრული. ამიერიდან ბოლო მოეღო „ევროპის სამეფოს", რომლის შესახებაც ერთი პოეტი ლაპარაკობდა. დაიწყო ანარქია, მიუხედავად ინტელექტუალური კულტურის არსებობისა, რამაც IX საუკუნეში შუა საუკუნეების ერთ-ერთ უდიდესი მწერალი, იოანე სკოტესი, ანუ ერიუგენა (ე.ი. ირლანდიელი) შვა; ერიუგენა იყო ფილოლოგი, თეოლოგი, ნეოპლატონიზმის მიმდევარი ფილოსოფოსი. ლოთარის სიკვდილის შემდეგ მისი სამეფო მის სამ ვაჟს შორის გადანაწილდა. ერთ-ერთი მათგანი, ლოთარ II იმპერატორი გახდა, მაგრამ საფრანგეთის მეფე ლუი ღვთისმოსავის და ბავარიის პრინცესის ვაჟი შარლ მელოტი და ლუდვიგ გერმანელი მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. 875 წელს, როცა ლოთარის ვაჟი ლუი II უძეოდ გადაეგო, პაპმა იოანე VIII-მ იმპერატორად შარლ მელოტი

გამოაცხადა. ცხადია ლუდვიგ გერმანელმა იგი არ ცნო და მას ებრძოდა. ეს იყო ევროპული იმპერიის აღსასრული.

VI. ევროპის საწყისები?

კაროლინგების თავგადასავალი, რომელთაც აღზევებას 800 წელს მიაღწიეს და იმპერიული მართვა ნიშნავს თუ არა იმას, რომ მათ ნათლად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ევროპული, ძირითადად დასავლეთევროპული რეალობა?

ევროპის პირველი ნაბიჯები. გასაკვირი არ უნდა იყოს ცხარე კამათი, რომელიც ისტორიკოსებს შორის იმართება ხოლმე იმის დასადგენად, ნიშნავს თუ არა კაროლინგების იმპერიის არსებობა „ევროპის პირველ ნაბიჯებს". იტალიელი კარლო კურსიოს აზრით, თუ Europa ნიშნავს კულტურის და პოლიტიკის ერთიანობას, მაშინ შეიძლება ევროპის წარმოშობა კაროლინგების ეპოქას დავუკავშიროთ; მაგრამ თუ ევროპაში იგულისხმება ხალხების ჰარმონიული განსხვავებულობა, რომელთაც საკუთარი თვითშეგნება განუვითარდათ, საბოლოო ჯამში „ერთა საზოგადოება", მაშინ ეს თარიღი უფრო მოგვიანებით, XIII-სა და XIV საუკუნეებს შორის, ან კიდევ უფრო გვიან უნდა წარმოვიდგინოთ. იგი ამატებს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იმის ცოდნაა, ჰქონდათ თუ არა რაღაც გარკვეული იდეა ევროპისა, რადგანაც მას ეს სახელი უწოდეს. სწორედ ასეთია კარლოს დიდის შემთხვევა". სწორედ ამიტომ მიაჩნია კურსიოს, რომ კარლოს დიდის მეფობის დროიდან შეიძლება ვილაპარაკოთ ევროპაზე. მის თვალსაზრისს იზიარებენ ბელგიელი ანრი პირენი თავის ნაშრომში "მუჰამედი და კარლოს დიდი", გერმანელები ფ. სტეინბეკი და ფ. პეტრი ნაშრომში „Zur Grundlegung der europäischen Einbeit durch die Franken", კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერი გოლვიცერი, ფრანგი ჟოზეფ კალმეტი წიგნში „კარლოს დიდი" და სხვები. ამის საპირისპიროდ ფრანგი ედუარდ პერუა თავის წიგნში „ცივილიზაციათა ზოგადი ისტორია", იმ თავს, რომელიც VIII და X საუკუნეებს ეხება, ასათაურებს, როგორც

„ევროპის გაქრობას", თუმცა ხაზს უსვამს კაროლინგური სამყაროს ერთიანობას და IX-და X საუკუნეებში ბარბაროსთა შემოსევების შემდეგ კაროლინგური ნაკვალევის სიღრმეს.

ევროპის დაბადების შესახებ მართლაც გაუთავებლად შეიძლება მსჯელობა. ყველაფერი დამოკიდებულია ობიექტურ კრიტერიუმებზე, რომლებსაც ავირჩევთ. იტალიელ-ამერიკელ ლოპესის მსჯელობას მიზიდულობის ძალა გააჩნია. იგი წერს: „ევროპა", ის ფიქრობს არა იმდენად ერთიან აღმოსავლეთზე ან უნივერსალურ სახელმწიფოზე, არამედ პოლიტიკური ინსტიტუტების, მრავალსაუკუნოვანი ცოდნის, ლიტერატურული და ხელოვნების დარგის ტრადიციების, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების, მოკავშირე თუ სოლიდარულ ერთიანობაზე. სწორედ ამ თვალსაზრისით გვეჩვენება კაროლინგების იმპერია ღირსშესანიშნავ, თუმცა მარცხისთვის განწირულ ცდად".

სიტყვა „ევროპა". შევეკითხოთ ჩვენს თანამედროვეებს: სიტყვა „ევროპა" შედარებით იშვიათად გვხვდება ანტიკურ ეპოქაში, კიდევ უფრო იშვიათად VI-ღან VIII საუკუნემდე და კვლავ ჩნდება ძალზე ნათელი მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობაა დასავლეთის ქრისტიანული ერთობა (მართალი რომ ვთქვათ, ბრიტანეთის კუნძულების გარეშე).

769 წელს კორდოვის მუსლიმანურ სახალიფოში მცხოვრებმა ქრისტიანმა, ისიდორე ახალგაზრდამ აღწერა პუატიეს ბრძოლა. სარაცინების (სარკინოზების) წინააღმდეგ მებრძოლებს იგი Europeenses (ევროპელებს) უწოდებს, ლაპარაკია კარლოს მარტელის ჯარზე. „დილას, როცა სახლებიდან გარეთ გამოვიდნენ, ევროპელებმა შენიშნეს არაბთა ჩამწკრივებული კარვები". 800 წელს, ცოტა ხნით ადრე, სანამ კარლოს დიდისთვის გვირგვინის დადგმა მოხდებოდა, ანგილბერტის დაწერილ პოემაში კარლოს დიდი წარმოდგენილია, როგორც „ევროპის ღირსეული მეთაური", "ევროპის მეფე და მამა", „ევროპის მწვერვალი", "ევროპის მანათობელი შუქურა". IX საუკუნეში ზოგიერთის აზრით იმპერია სხვა არაფერია,თუ არა Tota Occidentalis Europa (მთელი დასავ-

ლეთი ევროპა). ნითარი (790-858), რომელიც კარლოს დიდის ქალიშვილის, ბერტას ძე იყო, წერს: „კარლოსმა... რომელსაც ყველა ერი დიდ იმპერატორს უწოდებდა, მთელი ევროპა თავისი მადლით მოჰფინა". რამდენიმე წლის შემდეგ (დაახ. 884წ.) სენ-გალის ბერი, რომელიც „იმპერატორ შარლის საქმეების" ("De Gesties Koroli Imperatoris") არც ისე ბრწყინვალე ავტორად გვევლინება, რომელიც შარლ მელოტისადმია მიძღვნილი, ამბობს, რომ კარლოს დიდის მოღვაწეობა „მთელ ევროპას" გასწვდა. ნაშრომი „საქსების საქმეები" (Res gestali Saxonical) ვიდუკინდი (გარდაიცვალა დაახ. 936 წელს) ამტკიცებს, რომ „იმპერატორს სრული უფლება აქვს მთელი ევროპის მბრძანებელი იყოს".

არც ფრანგი, არც გერმანელი. კაროლინგების აპოგეამ მცდარი დასკვნები არ უნდა გამოგვატანინოს.

1) კარლოს დიდი (Karolus Magnus) არც „საფრანგეთის მეფეა" და არც თავისი გერმანული სახელით Karl der Grosse, „გერმანიის მეფე". ეს წმინდა წყლის ანაქრონიზმებია. იგი არის „ფრანკთა მეფე". ფრანკები კი იყოფოდნენ ძირითადად ნოისტრიელებად დასავლეთში (დაახლოებით დღევანდელი საფრანგეთი) და ავსტრაზიელებად აღმოსავლეთში (რაინის აქეთ-იქით). ისე,რომ პიპინიდების დინასტია,რომელსაც იგი ეკუთვნის ავსტრაზიულია, მაგრამ კარლოსი სავარაუდოდ ნოისტრიაში დაიბადა და ახალგაზრდობის წლებიც იქვე გაატარა.

იგი ორივე ენაზე ლაპარაკობდა, მაშინ როდესაც ნამდვილი ნოისტრიელები გერმანულ დიალექტებს პრუმის და ფულდას საabატოებში ეუფლებოდნენ. კაროლინგური აღორძინება გერმანული ფასეულობებისაკენ კი არა, ლათინურისაკენ არის მიმართული. იმდენად, რომ მოგვიანებით რასობრივი მითით შეპყრობილ ჰიტლერს მიაჩნდა, რომ კარლოს დიდი არ იყო ნამდვილი გერმანელი. ეს ღირსება მან მიანიჭა მის მეტოქეს, საქსონელ ვიდუკინდს - ეს აბსურდული მტკიცებაა იმისა, რომ კარლოს დიდი არაფერ შუაშია კონფლიქტებთან დაკავშირებით, რომელიც საფრანგეთსა და გერმანიას შორის განვითარდა მომავალში.

843 წლის დაყოფა. 2) ასევე ანაქრონიულია კონცეფცია, რომლის მიხედვითაც კარლოსმა, რომელიც ერთსა და იმავე დროს საფრანგეთის და გერმანიის მეფე იყო და 843 წელს მოახდინა დაყოფა, რამაც ფრანგები და გერმანელები საუკუნოვან მტრებად აქცია, და ისინი 1000 წლის მანძილზე ერთმანეთს ედავებოდნენ ცენტრალურ სამეფოს, ლოთარინგიას.

გერმანელმა ისტორიკოსმა ჰაინც-ოტო ზიბურგმა შესანიშნავად დაგვიმტკიცა, რომ გერმანელთა შორის მხოლოდ 1840 წელს გაჩნდა ცნება "ფრანგები გერმანელთა მუდმივი მტრები არიან", ხოლო ფრანგებს შორის 1866 წლის შემდეგ.

იმპერია „რომაული" რჩება. 3) ახალი, სპეციფიკური, რომის იმპერიისგან განსხვავებული, ბიზანტიის აღმოსავლეთი იმპერიისთვის უცხო იმპერიის იდეა აგრეთვე მცდარია. რომის იმპერიის აღდგენა იყო როგორც კარლოსის, ისე პაპების, მთელი ინტელექტუალური ელიტის, მრავალი ეპისკოპოსის, გრაფის, სამხედრო მეთაურის იდეალი. ეს იმპერია დასავლეთში და აღმოსავლეთში გავრცელდება. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ 800 წელს გამოყენებული ერთ-ერთი არგუმენტია ის ფაქტი, რომ ბიზანტიელებს, რომელთაც სათავეში ედგათ ქალი, ირინე, ფაქტიურად არ ჰყავდათ იმპერატორი და კარლოსი შეიძლებოდა დაუფლებოდა იმპერიას. კარლოსის ოცნებაც და მისი წამიერი განხორციელებაც ეს იყო - რომის იმპერიის აღდგენა, რომელიც მყარად იქნებოდა დაფუძნებული კათოლიკურ ეკლესიაზე და პაპის რელიგიურ ავტორიტეტზე, რომელიც ფაქტიურად იმპერიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. იმპერია, რომლის იდეალში ერთიანი უნდა ყოფილიყო კონსტანტინეს ან თეოდოსიუსის მოდელის მიხედვით. მმართველობის გამარტივების მიზნით ორ დიდ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაიყო, როგორც დიოკლეტიანეს, ან თეოდოსიუსის ორი ძის დროს.

დასკვნა. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვეთა თანამეგობრობის სულისკვეთების ამსახველი ნიშნები ევროპის გეოგრაფიულ სივრცეში.

ცხადია, ეს ნიშნები ჩვეულებრივ ემთხვევა უამრავ შიდა კონფლიქტს, რომლებიც დაკავშირებულია იმ მეტოქეობასთან, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოსა და მათ ამბიციებს შორის არსებობს. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ევროპა თითქოს პოლიტიკურად გაერთიანებული ჩანს, კითხვა იბადება თუ რას ნიშნავს ეს და რამდენ ხანს გრძელდება. ჩვენ უკვე ვნახეთ დასავლეთ რომის იმპერიის ეფემერული მცდელობები. კარლოს დიდის დაპყრობები ხომ არ მოასწავებს იმ იმპერიის დაბრუნებას?

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი საერთო ბაზრის ევროპასთან მიმართებით მისგან გამოყოფილი არიან მხოლოდ საბერძნეთი, დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ იტალია, პორტუგალია და ესპანეთის დიდი ნაწილი.

რაც დარჩა, ნაკლებად საკვირველი არ არის ეპოქისთვის, რომლის დროსაც კომუნიკაციები გართულებულია. დროებითი ევროპა? არასრული ევროპა? ყოველ შემთხვევაში ეს არის ეფემერული ევროპა, რადგანაც იმპერია 843 წლიდან სამად არის გაყოფილი. ამის მიუხედავად კარლოს დიდის იმპერია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და ინტელექტუალური და განმანათლებლური თანამეგობრობის ნიმუშად გვევლინება.

8
ალყაშემორტყმული ევროპა

I. სარკინოზები

მაჰმადი. როდესაც მაჰმადმა, რომელსაც ფრანგები ჩვეულებრივ მუჰამედს უწოდებენ, საფუძველი ჩაუყარა ისლამს, დასავლეთს ეს თითქმის არც გაუგია. მოვლენა შორს, აღმოსავლეთში მოხდა. იგი ყველაზე მეტად ბიზანტიელებს აღელვებდა, რომლებიც ქრისტიანები კი იყვნენ, მაგრამ დასავლეთში მათ ათვალწუნებით უყურებდნენ. იმ დროისათვის, როცა მაჰმადი გარდაიცვალა (632 წ.), „ისლამის დიდი ისტორია" უკვე დაწყებულია, თუ ანდრე მიკელის სიტყვებს გავიმეორებთ.

ეს ახალი რელიგია, შეუწყნარებელი მონოთეიზმი, ღმერთი-ალაჰისადმი სრულ მორჩილებას ქადაგებდა (სწორედ ამას ნიშნავს სიტყვა „ისლამი") და ერთდროულად ქმნიდა ეროვნულ და რელიგიურ სამყაროს, რომელიც ქრისტიანობის მსგავსად მომავალში სექტებად დაიყოფა, მაგრამ მანამდე უდაბნოს მომთაბარე ბედუინების დიდ ლაშქრობებს გამოიწვევს. მათ მიერ იერუსალიმის აღება (636 წ.) ქრისტიანული სამყაროსთვის პირველი დიდი კატასტროფაა.

არაბთა დაპყრობები. არაბეთიდან და სირიიდან VII საუკუნის ბოლოს მუსლიმანები, რომლებსაც მაშინ ხშირად სარკინოზებს უწოდებდნენ (არაბულიდან: 'შარკინ"-აღმოსავლური), არა მხლოდ აღმოსავლეთისაკენ, არამედ ჩრდილოეთ აფრიკის,ეგვიპტის,ლიბიის,მაღრიბის დასაპყრობად გაემართნენ. მათ დაამარცხეს და თავის რჯულზე მოაქციეს ბერბერები. შვიდი ათასმა ბერბერმა ისარგებლა ვესტგუთების მონარქიის დაშლით და გადაკვეთა სრუტე, რომელსაც მოგვიანებით გიბრალტარის სრუტე ეწოდა. ზოგიერთმა ვესტგუთმა დიდებულმა ისინი ნებაყოფლობით გაატარა თავის ტერიტორიაზე.

რამდენიმე თვეში კადისი, შემდეგ სევილია, კორდოვა, ტოლედო დაიკავეს, 713 წელს ვესტგუთების უკანასკნელი

ქრისტიანი მეფე დაამარცხეს და მოკლეს. იმავე წელს დამასკოს ხალიფას სახელით გამოცხადდა ესპანეთის ისლამურ სამყაროსთან მიერთება. 714 წელს აღებულ იქნა არაგონი, 719-720 წლებში კატალონია, რუსიიონი და ქვემო ლანგედოკი ნარბონთან ერთად.

სარკინოზები გალიაში. პუატიე. შთანთქავს კი ისლამი გალიას? 725 წელს მუსლიმანი მხედრები რონის ხეობაში დაუბრკოლებლივ შედიან და ოტენს (Autun) არბევენ, მაშინ როცა აკვიტანიის ჰერცოგი ედი კარკასონსა და ტულუზას იცავს. მუსლიმანი მხედრების მეორე ჯგუფი, რომელიც 732 წელს გამოვიდა პამპლონიდან, გადაკვეთს რონსევალის უღელტეხილს, ჩადის დაქსში, მიუყვება გარონას ბორდომდე და პუატიესა და ტურში იჭრება, თუმცა ამჯერად მოწინააღმდეგე მომზადებულია. მაიორდომი კარლოს მარტელი (რომელმაც თავისი ძალაუფლება ფრანკთა გალიის ნაწილზე გაავრცელა) მტერს მედგრად უხვდება. 732 წლის ოქტომბერში ფრანკები ბრძოლას მართავენ სარკინოზებთან ტურსა და პუატიეს შორის. სარკინოზები სიცივეს ვერ იტანენ, მათი წინამძღოლი მოკლულია: ისინი უკან იხევენ სამხრეთისაკენ და 737 წელს ნარბონის სამხრეთით კარლოს მარტელის ხელით მარცხდებიან. 759 წლიდან ისინი პირენეების სამხრეთით აფარებენ თავს. უნდა აღინიშნოს, რომ 750 წელს დამასკოს *ომაიანების* დინასტია, რომელმაც ეს დაპყრობა დაიწყო, უკვე ვეღარ ინარჩუნებს თავისი უზარმაზარი იმპერიის მთლიანობას. მას განდევნის ხალიფების აბასიანების დინასტია, რომლის დამაარსებელიც ირანელი აბუ აბასია. იგი ბაღდადში დასახლდა, როგორც *იმამი,* ანუ ღვთის მოციქული, იგივე მორწმუნეთა მბრძანებელი. ეს არაბთა ჰეგემონიის დასასრულია.

კორდოვის საამირო. იმ რეგიონში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, რადგან ის ევროპულია, იბერიის ნახევარკუნძულზე ჭეშმარიტი ძალაუფლება ხელთ აბასიანებს უპყრიათ. 756 წელს ხალიფას შვილიშვილი, უკანასკნელი

ომაიანი ჩადის მალაგაში, აღმა აუყვება გვადალკვივირს და ამარცხებს კორდოვის მმართველს. ის თავს „ესპანეთის ამირად" აცხადებს და ბრძანებას გასცემს, რომ მის სახელზე ლოცვა აღავლინონ, თუმცა ჯერ ვერ ბედავს ხალიფის ტიტულის მიღებას. ამისათვის იგი 932 წელს ელოდება. X საუკუნეში დედაქალაქის, კორდოვის ირგვლივ ძლიერი და აყვავებული სახელმწიფო იქმნება და ცივილიზაციის ისეთ დონეს აღწევს, რომელიც მაშინდელი აღმოსავლეთის ბრწყინვალე ინტელექტუალურ კერას, ბაღდადს შეიძლება შევადაროთ.

სიცილიის დაპყრობა. 800 წელს ტუნისში კაირუანის ირგვლივ ახალ საამიროს ეყრება საფუძველი აღლაბიდების დინასტიის დამფუძნებლის იბრაჰიმ იბნ აღლაბის მიერ. 788 წელს წინასწარმეტყველის შთამომავალი იდრის ბენ აბდ ალაჰი მეკნესსა და ფესში იდრისიდების დინასტიას უდებს სათავეს. ევროპის ისტორიისათვის ყველაზე დიდ ინტერესს აღლაბიდები წარმოადგენენ. მართლაც, ტუნისიდან წამოსვლის შემდეგ ისინი სიცილიის დაპყრობას აპირებენ. 827 წელს ისინი ჯერ მაცარას იპყრობენ, შემდეგ, 831 წელს - პალერმოს, ხოლო 843 წელს მესინას ჯერიც დგება: ისინი უტევენ სამხრეთ იტალიას, პულას, კალაბრიას, კამპანიას და ცენტრალურ იტალიასაც კი. 846 წელს ოსტიაში ჩადიან და რომის წმინდა პეტრეს ტაძარს არბევენ. მათ ხელშია სამხრეთ-აღმოსავლეთი, ბრინდიზი, ტარენტე, ბარი, ბენევენტო. მართალია, დიდხანს ვერ ინარჩუნებენ ბარისა და ტარენტეს, მაგრამ შეტევის გაგრძელებაში ეს მათ ხელს არ უშლის: ისინი ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთისკენ მიდიან და რავენის ჩრდილოეთით მდებარე კომაკიოს ძარცვავენ.

870 წელს მალტის აღების შემდეგ ისინი დასავლეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვას შორის გასასვლელის ხელში ჩაგდებას ახერხებენ. კორდოვის ამირა კი გამუდმებით ლაშქრავს ლანგედოკის ნაპირებს და ხანდახან რონის ხეობაშიც იჭრება. პროვანსში (გარდ-ფრენე) მისი ჯარისკაცები მუდმივ ბაზას აარსებენ.

არაბები და ვაჭრობა. ცხადია, რომ ბევრი ქრისტიანი ევროპელი გრძნობდა ქვეყნის დაბრუნების აუცილებლობას, რასაც ესპანელებმა "რეკონკისტა" უწოდეს, მაგრამ სხვა ქრისტიანები იძულებული იყვნენ მუსლიმანების გვერდით ეცხოვრათ ესპანეთსა და სამხრეთ იტალიაში. როგორი იყო ურთიერთობები დამპყრობლებსა და დამარცხებულებს შორის?

უპირველეს ყოვლისა ეს იყო სავაჭრო ურთიერთობები. IX და X საუკუნეებში მუსლიმანების ხელში იყო ევროპის საზღვაო ვაჭრობა და იტალიური სავაჭრო გემების კონტროლი. რა თქმა უნდა, მთელი მათი ძალაუფლება - რასაც ჩვენ აქ არ განვიხილავთ - მათ საშუალებას აძლევდა წაელეკათ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთი ნაწილი ცენტრალური აზიის და თვით ჩინეთის საქონელითაც კი. ფრანგმა ისტორიკოსმა მარკ ბლოკმა და გერმანელმა ისტორიკოსმა ალფონს დოპშმა გვიჩვენეს, თუ რამდენად მჭიდრო დარჩა ხმელთაშუა ზღვის აუზში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კომერციული ურთიერთობები ისლამური დაპყრობების მიუხედავად. ამის გამო ბოლომდე ვერ დავეთანხმებით დიდი ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის დისერტაციაში გამოთქმულ აზრს („მაჰმადი და კარლოს დიდი"), რომელსაც მიაჩნია, რომ ეს სავაჭრო ურთიერთობები დაირღვა. ქალაქთა დამაარსებელი მუსლიმანები (კორდოვა 300 000 მაცხოვრებელს ითვლიდა!) იშვიათად იყვნენ ფანატიკოსები და არ აიძულებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას მათ რჯულზე გადასვლას. ისინი ებრაელების მსგავსად დიდი დიპლომატები იყვნენ და როგორც წესი, ქრისტიანებს მცირე ვაჭრობაზე მეტის უფლებას არ აძლევდნენ. მათი ფულის ერთეული იყო ოქროს დინარი და ვერცხლის დირჰამი ბიზანტიური მონეტის ოქროს სოლიდუსის ნაცვლად. ისინი პატარა, სამკუთხაფრიან გემებს იყენებდნენ და რომაული ქუჩა საქარავნე ბილიკით შეცვალეს, სხვათა შორის, გადასაადგილებლად ადამიანის ზურგსაც არ თაკილობდნენ. ქალაქებს შორის ხანდახან უზარმაზარ ქარვასლებს შეხვდებოდით, გლეხები კი სულს

ღაფავდნენ სიღარიბეში მიწათმფლობელთა და ჯარისკაცთა უღლის ქვეშ.

კორდოვის სახალიფოს მოსახლეობა. 800 წლისათვის კორდოვის სახალიფოში 3 500 000 ადამიანი ცხოვრობდა, 1000 წელს კი 7 მილიონი. დიდი მიწათმფლობლების გარდა იყვნენ დამპყრობელი არაბები და ბერბერები, გამუსლიმანებული ესპანელები (მუვალაჰები), ქრისტიანები (მოსარაბები), ებრაელები - ძირითადად ქალაქებში, მონები - შავკანიანები და სლავები. საბოლოოდ, ესპანეთმა „ამ მრავალფეროვნებაში წონასწორობას მიაღწია". არაბული იყო ღვთისმსახურების, ასევე ლიტერატურის, პოეზიის, ფილოლოგიის ენა. ხმელთაშუა ზღვის აუზში არსებობდა სავაჭრო ენა „Lingua Franca", რომელიც არაბულის ძლიერ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ქრისტიანებმა შეინარჩუნეს თავიანთი ლათინური წარმოშობის რომანული ენა, შეეძლოთ საეკლესიო კრებების გამართვა, ურთიერთობა ჩრდილოეთის ქრისტიანულ სამეფოებთან. ევროპაში უამრავი არაბული სიტყვა დამკვიდრდა იტალიური და ესპანური ენების საშუალებით. მათ შორის: ალკოჰოლი, ალგებრა, ელექსირი, ციფრი, ტარიფი, გუდრონი, ზენიტი და ა.შ. მეტიც, მუსლიმანი პოეტები ხალისით იყენებდნენ „მუვაჩაბს", რომელშიც რომანული ენა ლიტერატურულ არაბულს ერწყმის.

ესპანეთის ისტორია XV საუკუნემდე არის არა ასიმილაცია (როგორც ვიკინგების ასიმილაცია ნორმანდიასა თუ ინგლისში, ამ თემას ოდნავ ქვემოთ შევეხებით), არამედ ბრძოლა თავისი წარმატებებითა და მარცხით. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება 1080 წლის შემდეგ ალმორავიდებზე და XII საუკუნეში ალმოჰადებზე განხორციელებული კონტრშეტევები. ჩვენ ამ მოვლენათა ძირითად შტრიხებს შევისწავლით.

ჩრდილოელი ქრისტიანები. ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი გალისია და ასტურია - არასოდეს ყოფილა სრულად დაპყრობილი. მეორეს მხრივ წინამორბედთა წარ-

მატებებით და საქსონიასა და იტალიაში გამარჯვებებით გათამამებული კარლოს დიდი ესპანეთის დაპყრობაზეც ფიქრობს. იმპერიის გაფართოების გარდა ეს საქმე საღვთო მიზანსაც ემსახურება. ქრისტიანები მუსლიმანების წინააღმდეგ დადგებიან. 778 წელს იგი სარაგოსას ესხმის თავს პამპლონის გავლით. ის სასტიკად მარცხდება, იძულებულია საქსონელების დასამარცხებლად დაბრუნდეს და რონსევალში მის არიერგარდს ვასკონები (ბასკები?) ამოჟლეტენ. ოდნავ მოგვიანებით ის ახერხებს ჟერონის, შემდეგ ბარსელონის (801 წ.) დაკავებას და კატალონიის დაპყრობას. მისი დახმარებით 798 წელს გალისიისა და ასტურიის მეფე ალფონსო II მუსლიმანებს ართმევს ლისაბონს, მაგრამ მალევე კარგავს მას 1135 წლამდე. ამჟამინდელი პორტუგალიის ერთი ნაწილი (დუეროს ჩრდილოეთით) თავისუფალი რჩება. კარლოს დიდი თავის სატახტო ქალაქ აახენში მრავალ მუსლიმან დიდებულს იღებს.

950-1100 წლებში ერთადერთი დაბრუნებული ტერიტორია კასტილიაა სალამანკასთან ერთად. კასტილიის მეფე ალფონსო VI 1085 წელს ტოლედოში შედის, რომელსაც მუსლიმანები ველარ ელირსებიან. „რეკონკისტის" დაწყებას ყველაზე მეტად ხელი შეუშალა ერთმანეთის მიყოლებით აფრიკის ორი ფრიად აქტიური დინასტიის, ალმორავიდებისა და ალმოჰადების მოსვლამ ესპანეთში. კორდოვის გავლენიანი მაიორდომის ალ მანსურის თუ ალ მანსორის სიკვდილის (1002 წ.) შემდეგ, რომლის ძირითადი დასაყრდენი ძალა ბერბერებისგან შემდგარი პირადი გვარდია იყო, მუსლიმანური ესპანეთი მთლიანად დაქუცმაცდა. ამავე დროს, მაღრიბი ველარ აუდიოდა ბერბერული მომთაბარე ტომების შემოსევებს. ისლამი სულს ღაფავდა.

ალმორავიდები. მოგვყავს ანდრე მიკელის სიტყვები: „მას ხსნა დასავლეთ საჰარიდან, სენეგალ-ნიგერიის რაიონიდან ევლინება, სადაც ბერბერ მეომართა ჯგუფები იბნ იასინის ხელმძღვანელობით თავიანთ გამაგრებულ მონასტრებში საღვთო ომისთვის ემზადებიან: ისინი იქნებიან „რიბათში მყოფნი", ანუ განდეგილები - „ალმურაბიტუნ" (ალმორავი-

დები). ისინი ჯერ გარემომცველ ბერბერულ ტომებს, შემდეგ კი შავკანიანებს დაიმორჩილებენ და თავიანთ სამხედრო დაჯგუფებებს მიუერთებენ: 1076 წლისთვის ისინი განის (Ghana) სამეფოს დაამარცხებენ".

ამის შემდეგ ისინი გაემართნენ ჩრდილოეთისაკენ, სატახტო ქალაქად აქციეს მარაკეში და ალჟირის ნახევარი დაიპყრეს: 1082 წელს ხელში ჩაიგდეს მისი დედაქალაქი ალჟირი. ესპანელი დიდკაცების მიწვევით მათ გიბრალტარის სრუტე გადაკვეთეს და ხელახლა გააერთიანეს მუსლიმანური ესპანეთი ტახოდან ებრომდე ტოლედოს ქრისტიანული ნაწილის გამოკლებით. გავიხსენოთ, რომ ეს ბეგთარონსანი მხედრების ეპოქაა, ეპოქა განთქმული კასტილიელი რაინდის როდრიგო დიასისა ბურგოსის ახლოს მდებარე ბივარიდან, რომელიც „სიდ კამპეადორის" სახელითაა ცნობილი („სიდი" ბატონს ნიშნავს). 1094 წელს სიდმა ვალენსია დაიპყრო. აღსანიშნავია,რომ ქრისტიანული ბანაკიდან კასტილიელებს საფრანგეთის სამეფოს ჯარები დაეხმარნენ. ამ თანამშრომლობას ხელს უწყობდა ქორწინებები ფრანგებსა და ესპანელებს შორის.

ალმოჰადების დაპყრობიდან 20 წლის შემდეგ მათი მმართველობის რეჟიმი სრულიად მოუწესრიგებელი იყო. XII საუკუნის დასაწყისი ალმორავიდებსა და ქრისტიანებს შორის გააფთრებული ბრძოლით აღინიშნა, კერძოდ პორტუგალიასა და კატალონიაში. ფრანგულ-ესპანური კონტრშეტევა წარმატებით დაგვირგვინდა. პორტუგალია მთლიანად გათავისუფლდა 1185 წელს. ამგვარად, XII საუკუნეში ქრისტიანულმა სამეფოებმა ალომორავიდები უდრეკი წინააღმდეგობის წყალობით უკუაგდეს.

ალმოჰადები. ალმოჰადები მავრიტანელი მავრები კი არ არიან, არამედ მაროკოელები, მაროკოს მთების მუდმივი მაცხოვრებელი ბერბერები. სათავეებთან დაბრუნების მომხრე, „ბოროტებათა განმდევნელი" იბნ თუმართი ღმერთის აბსოლუტურ ერთობას ქადაგებს („ალმურვაჰიდ" საიდანაც მომდინარეობს ევროპეიზებული ტერმინი „ალმოჰადი"). იბნ თუმართი თავს „მაჰდიდ", ახალ წინასწარმეტყველად, კანო-

ნისა და ტრადიციის ერთადერთ დამცველად აცხადებს. მისი მემკვიდრე მარაკეშს,ალჟირს,ჰხლანდელ ტუნისს იპყრობს.

1145 წლიდან იგი ესპანეთის დაპყრობას იწყებს. ალმოჰადების ესპანეთი ახალი იმპერია ხდება, რომლის სათავეში მდგომი აბდ ალ-მუმინი ხალიფად ცხადდება ბაღდადისა და კაიროს ხალიფების გვერდით. ალმოჰადებმა ალმორავიდებზე მეტ ხანს გაძლეს. 1212 წელს არაგონის, ნავარის, კასტილიისა და ლეონის ქრისტიანებმა სასტიკად დაამარცხეს ალმოჰადები ლას ნავას დე ტოლოსას ბრძოლაში. 1236 წელს ისლამმა სამუდამოდ დაკარგა თავისი განთქმული დედაქალაქი კორდოვა, სადაც მრავალი ძეგლი შემორჩა, კერძოდ, შესანიშნავი მეჩეთი. ისლამის ერთადერთი ნაშთია გრენადის პატარა მუსლიმანური სამეფო ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მომდევნო თავში ჩვენ ვისაუბრებთ იმ არაჩვეულებრივ ინტელექტუალურ გავლენაზე, რომელიც ისლამმა ევროპაზე მოახდინა 1100 წლის შემდეგ. მის მატერიალურ გავლენას ევროპაზე კი ახლავე შეგვიძლია შევეხოთ.

სარკინოზთა მატერიალური გავლენა. ისლამის აღმოსავლეთიდან მოსვლის ფაქტი საცნაურს ხდის იმას, თუ რა მოუტანა მან დასავლეთ ევროპას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ჯერ ცხოველების შესახებ: ცხენებს, რომლებიც ჯერ კიდევ რომაელების დროს ჩამოჰყავდათ, დაემატა ჩრდილოაფრიკული საჯდომი ცხენები, რომელთაგან მივიღეთ ესპანური მომცრო ტანის ცხენი, რომლის შეჯვარებით ჩრდილოაფრიკულ და ირანულ ცხენებთან არაბული ცხენი წარმოიშვა. მაღრიბულმა ცხვარმა ესპანური მერინოსი მოგვცა და გავლენა მოახდინა ესპანურ საზოგადოებაზე მწყემსთა მძლავრი გაერთიანების „მესტას" შექმნით. ახალ მცენარეებს შორის კი, რომლებიც „ვარდის რომანის" ცნობით „სარკინოზების ქვეყნიდან მოდიან", უნდა დავასახელოთ გარგარი, არტიშოკი, სალათი, კალნაბი, ოხრახუში, ჭარხალი, კამა ,ნიახური, ნესვი, გოგრა, ლიმონი და ბადრიჯანი. ისლამმა შემოიტანა ესპანეთში ზეთისხილის

პლანტაციები და ვენახები, სამხრეთ იტალიასა და ესპანეთში - ხორბალი. ინდური ბრინჯი ფართოდ გავრცელდა გვადალკვივირის ნაპირებზე, ფინიკის პალმამ ესპანეთში შეაღწია. მდიდარი მუსლიმანების წალკოტებში მებაღეობის განვითარება მწვერვალს აღწევს, რის სიმბოლოც დამასკოს განთქმული თეთრი ვარდია. რაც შეეხება სხვა დარგებს, აბრეშუმის მოყვანა დაიწყეს სიცილიასა და ესპანეთში, ბამბასაც იგივე ბედი ეწია. ჩინურმა ქაღალდმა, რომელსაც თავდაპირველად კანაფისა და სელისგან ამზადებდნენ, 800 წლისათვის ბაღდადს მიაღწია და იქიდან გავრცელდა ანდალუზიაში, შემდეგ რომში და XIV საუკუნეში კი სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთში. ეს ნიშნავდა პაპირუსის და პერგამენტის ერის დასასრულს და სტამბების შექმნით გამოწვეული ფართო წარმოებისათვის უფრო შესაფერი პროდუქტის დამკვიდრებას. ადრეულ შუა საუკუნეებში დასავლეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი თითქმის ყველა დიდი სავაჭრო გზა მუსლიმანებს ეკუთვნოდათ. მიუხედავად ამისა ისლამმა მხოლოდ ერთადერთი ნავსადგურის ალმერიას დაარსება შეძლო ესპანეთში. საბოლოოდ ავღნიშნოთ, რომ ევროპის მუსლიმანთა მიერ დაპყრობამ ხელი შეუწყო ცენტრალური აზიიდან, აფრიკიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან წამოყვანილი მონებით ვაჭრობას.

II. ვიკინგები

გერმანული ფესვები. დანია (იუტლანდია და კუნძულები) და სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, რომლებიც მაშინ ფრიად იზოლირებული იყო, ახალი წელთაღრიცხვის პირველი ექვსი საუკუნის განმავლობაში გერმანული წარმოშობის ხალხებს ეკავათ, რომელებიც ზღვაზე ნიჩბიანი გემებით გადაადგილდებოდნენ და რომაულ სამყაროსთან მნიშვნელოვან სავაჭრო ურთიერთობებს აწარმოებდნენ, ყიდულობდნენ ამფორებს, ბრინჯაოს, მინის, ვერცხლის ნაკეთობებს და სამაგიეროდ ყიდდნენ ბეწვეულსა და ამბარს. ბევრ დანიურ სამაროვანში აღმოჩნდა რომაული ჭურჭელი. ამ ხალხებმა, რომელთა შორის იყვნენ

ბურგუნდები (კუნძულ ბორნჰოლმის მკვიდრნი), ვანდალები (იუტლანდიის ჩრდილოეთში), გუთები (გეტებორგი, შვეციის დასავლეთი), ლანგობარდები ანუ ლომბარდები (ელბის შესართავი) კონტინენტის ჩრდილოეთი ნაწილი დაიპყრეს. V საუკუნიდან დაწყებული ანგლები, იუტები და საქსები ჩავიდნენ დიდ ბრიტანეთში. ამ სკანდინავიელი მეომრებიდან ნაწილი რომაულ ლეგიონებში მსახურობდა და თავის ქვეყანაში ოქროს მონეტები და ნივთები ჩაჰქონდა.

მალე ვნახავთ, რომ სლავების დასავლეთისკენ დაძვრამ გარკვეული დროით შეაჩერა ეს მისვლა-მოსვლა ოდერისა და თვით ელბის ბლოკირებით. ერთი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ფრიზები და სამხრეთიდან მოსული ებრაელები ინარჩუნებდნენ სავაჭრო ქსელს, რომლის ცენტრი იყო უტრეხტის აღმოსავლეთით მდებარე დორესტადი „ბებერ რაინზე", რომლის კალაპოტი ამჟამად ქვიშითაა დაფარული. ჩვენ ვიცით, რომ ბრიტანელი ბერი, წმინდა ბონიფაციუსი 716 წელს ლონდონიდან დორესტადში ფრიზული გემით ჩავიდა და მგზავრობის საფასურიც გადაიხადა. ჩრდილოეთისკენ ფრიზები თითქმის იუტლანდიამდე ვაჭრობდნენ (დანია).

ვიკინგები ახ.წ. 650-სა და 800 წლებს შორის გამოჩნდნენ. თავიდან ესენი იყვნენ სვიონები, რომლებმაც მომავალი შვეცია დააარსეს ძველი უფსალას და მელარენის ტბის ახლოს. იმ დროს დანიელი და ნორვეგიული მცირე სამეფოები არსებობდა. მათ დიდ აღმოჩენად ითვლებოდა მუხისაგან შეკრული გემი მენიჩბეების გაძლიერებული შემადგენლობით და მძლავრი კილით, რომელიც გემებზე კიდევ ერთი დიდი იალქნის დამატების საშუალებას იძლეოდა. ასეთი გემების მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა მეტი კავშირების დამყარება დიდ ბრიტანეთთან და აგრეთვე კიდევ უფრო შორს გამგზავრებაც. გათხრებისას მოპოვებულ ხელოვნების ნიმუშებს შორის ვხვდებით სანელებლებს, ზარდახშებს, შუბის წვერებს, ნივთებს რომლებშიც აშკარად ინგლისური წარმოშობის მხატვრული მოტივები იკვეთება.

პირველი შეჭრა დასავლეთში ეს ზღვაოსანი ხალხი,

რომელიც უფრო მდინარეების აუზებში სახლობდა, ვიდრე ბალტიის ზღვის სანაპიროზე, სწრაფად მოძლიერდა და მალევე გაბატონდა დანიის სრუტეებზე. სანამ კაროლს დიდი გააფთრებით ებრძოდა საქსებს (და ამისათვის ხანდახან სლავებთან კრავდა კავშირს), ვიკინგებმა დიდი ლაშქრობები დაიწყეს. 793 წლის 8 ივნისს ინგლისის და შოტლანდიის საზღვრებზე მდებარე ლინდისფარნის მდიდარი მონასტრის ბერებმა დაინახეს, როგორ მოადგა ნაპირს დრაკონისთავიანი გემები, იქიდან გადმომხტარი ხალხი მათკენ დაიძრა, დახოცეს ბერები, ამოაყირავეს ჯვარი, მიიტაცეს ძვირფასეულობა, დაკლეს საქონელი, ხორცი გემებზე აზიდეს, სხვა დანარჩენს ცეცხლი წაუკიდეს და იქაურობა დატოვეს. ამ წარმართებს ბერებისადმი პატივისცემის არავითარი მიზეზი არ გააჩნდათ. იმას რომ ბერები თავს ვერ, ან ცუდად იცავდნენ, მათ ასეთი ქმედებების გამეორებისკენ უბიძგა. მათი ამგვარი თარეში ორი საუკუნე გრძელდებოდა, თუმცა სტრატეგია უფრო დახვეწილი გახდა, ეს ადამიანები ვიკინგები იყვნენ, მათ გემებს კი დრაკარები ეწოდებოდა. მთელ დასავლეთ ევროპაში მათ საშინელი რეპუტაცია ჰქონდათ, რადგანაც მათ შესახებ ყველა მონათხრობი მათივე მეტოქეების მიერ იყო შეთხზული. ძარცვა-გლეჯა თანდათანობით ვაჭრობამ შეცვალა. ვიკინგებს თავიანთი სამფლობელოს გაფართოება სურდათ, რომელიც ერთდროულად სახმელეთოც იყო და საზღვაოც. ისინი მოხეტიალე ვაჭრები იყვნენ, რომლებიც მეზღვაურების და მეომრების როლებსაც ითავსებდნენ.

ვიკინგების გავლენა. სიტყვა „ვიკინგის“ ფუძეა vik ან vic. მაგალითად ბრუნსვიკი, შლეზვიგი, ლუნდენვიკი (ლონდონი). დასავლეთ ევროპაში 870 გეოგრაფიული სახელწოდება მთავრდება vic-ზე. vic კი weichen-იდან მოდის, რაც ნიშნავს ადგილს, რომელსაც თავს აფარებენ, ან ადგილს, სადაც ხმელეთს თანდათან ფარავს წყალი. სტოკჰოლმიდან აღმოსავლეთით, 30 კმ-ის დაშორებით, მელარენის ტბაში მდებარე ბორკიოს კუნძულზე ნაპოვნია ნამდვილი ქალაქის ნანგრევები (12ჰა) და ნეკროპოლი, რომელშიც

უკვე აღრიცხულია 2 000 ძალზე უბრალო სამარხი, მიწისპირა მცირე ყორღანების სახით, ასეთი ქალაქი - ბუნაგები სხვაგანაც აღმოჩნდა, როგორიცაა ჰპიტაბუ, ოსლოს დიორდი და ა.შ.

ვიკინგების გავლენა დასავლეთ ევროპაზე, - გაერთიანებაზე, რომლის ნაწილიც ისინი გახდნენ, - ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ზოგადად მიაჩნიათ. ამ არაჩვეულებრივად შეუპოვარმა, გაბედულმა ხალხმა კომპასისა და საჭის გარეშე აღმოაჩინა და დაიპყრო ისლანდია, გრენლანდია, ფარერის კუნძულები. მათ ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ქრისტეფორე კოლუმბზე 500 წლით ადრე მიაღწიეს.

სვიონები, ანუ შვედები. სვიონები აღმოსავლეთით, ბალტიის ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს მიადგნენ, სადაც მრავლად გახსნეს სავაჭრო პუნქტები. შემდეგ ბალტიისპირეთის და რუსეთის მდინარეებს გაჰყვნენ, შავი ზღვის წყლებში თავიანთი დრაკარები შეაცურეს და მოგზაურობის დასაწყისშივე მიაღწიეს ბიზანტიას და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს უმეტესწილად ისინი ვაჭრობდნენ ბეწვეულით (სიასამური, ციყვი, ყარაყუმი, კვერნა, მელა, თახვი) და აგრეთვე ამბრით, ცვილით, თაფლით, ხმლებით და აბჯრებით, და ბოლოს - სლავი მონებით მუსლიმანებისთვის. „რუსებმა", როგორც ამ ვიკინგებს აღმოსავლეთში უწოდებდნენ, შვედეთში ჩაიტანეს ბრინჯაოს ნივთები, თხელი მინისგან დამზადებული ლარნაკები, ვერცხლის თასები, ყველაზე უხვად კი - ბიზანტიაში ნაყიდი აბრეშუმი. არაბული მონეტები უდიდეს როლს თამაშობდა: მხოლოდ გოტლანდის კუნძულზე, ბალტიის ზღვაში ნაპოვნია 40 000 არაბული ვერცხლის მონეტა, შვედეთის დანარჩენ ნაწილსა და დანიაში კი - 17 000 მონეტა. მაშინ ოქრო ვერცხლის მხოლოდ მეორად დამატებას წარმოადგენდა (ავღანეთში ვერცხლის ზღაპრული საბადოები არსებობდა).

ნორვეგიელები და ატლანტის ოკეანე. ცხადია ნორვეგიელებს უნდა მიეწეროს ექსპედიციები დასავლეთისკენ,

რომლებიც ძალზე ხანგრძლივი გამოდგა ჩრდილოეთში, ნარვიკის მიმართულებით, რომელსაც ყინულებისაგან გოლფსტრიმის თბილი დინება იცავს. „ისინი იქ ლაპლანდიელებს და სკრიტოტინებს ხვდებოდნენ, მათ მხარეში ზაფხულშიც თოვდა, ისინი უმი ხორცით იკვებებოდნენ, ნადირის ტყავით იმოსებოდნენ და ირმებს აშენებდნენ“, მაგრამ ლაპლანდიელებს მე-XII-XIII საუკუნეებამდე სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში. მე-IX საუკუნის ბოლოს ტრომსელი (უკიდურესი ჩრდილოეთი) ფერმერი ოტაი ნავით გაუყვა ნაპირს ჩრდილოეთის კონცხამდე და ვეშაპებზე მონადირეებზე უფრო შორს წავიდა: მიაღწია ფინელებით მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას, რომელიც დვინის შესართავთან მდებარეობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი მოვლენები იმ დროს უკიდურეს დასავლეთში მოხდა. ჩვენ ამაზე ვილაპარაკებთ, ვიდრე მთავარს, ვიკინგების დასავლეთ ევროპაში დამკვიდრებას შევეხებით. ნორვეგიიდან ვიკინგებმა პირველად შოტლანდიის კუნძულებს მიაღწიეს, რომლებიც ბაზად გამოიყენეს და იქ ფერმები მოიწყვეს. იქიდან ფარერების , ანუ ცხვრების კუნძულებამდე მივიდნენ, რომლებსაც ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ იქ ადრეევ სახლობდნენ ირლანდიელი განდეგილები, რომლებმაც ეს ცხოველები თანდათან ჩაიყვანეს. მე-IX საუკუნეში ეს მხარე ვიკინგების მიერ ათვისებული ყველაზე შორეული ტერიტორია იყო.

ამერიკა. ვიკინგ მოგზაურებს სახელი და დიდება ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამ მოუტანა. მე-VIII საუკუნის ბოლოს ქარიშხლისგან გზადაკარგული დანიაში მცხოვრები და ნორვეგიელ ქალზე დაქორწინებული შვედი გარდარ სვარასონი დინებამ დიდ კუნძულებამდე მიიყვანა. მოგვიანებით იქ მრავალი ნორვეგიელი ზღვაოსანი გაემგზავრა, რომლებმაც ამ კუნძულს თავიდან ტულე (Thule) უწოდეს, ხოლო შემდეგ ისლანდია, ,,ყინულის კუნძული“. 874 წელს იქ პირველი ნორვეგიელი კოლონისტები ჩავიდნენ და რეიკიავიკი დაარსეს. სწორედ იმ დროს ხდებოდა ნორვეგიის სამეფო გაერთიანება მეფე ჰარალდ ლამაზთმი-

ანის მეთაურობით. კოლონისტებმა ისლანდიას სწორედ იმიტომ მიაშურეს, რომ მეფეს არ დაემორჩილნენ/ 930 წელს კუნძულზე 16-20 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. 904 წელს იქ დაიბადა ირლანდიის ეროვნული გმირი, ეგილ სკალაგრიმსონი. ჩვენამდე მოაღწია ძველი ჩრდილოელის მიერ დაწერილმა საგამ, რომელიც მოგვითხრობს ამ მეომარ-ზღვაოსნის თავგადასავალს იმ მცირე დროის მანძილზე, როცა იგი ინგლისის მეფის სამსახურში იმყოფებოდა. სწორედ შორეულ ისლანდიაში შეიქმნა თინგველირი (Thingvellir), რომელიც შეგვიძლია პირველ ევროპულ პარლამენტად მივიჩნიოთ.

მე-IX საუკუნის ბოლოს კი თავგადასავლების მეორე ისლანდიელმა მაძიებელმა, ერიკ წითელმა ჩაუარა გრენლანდიას, რომელსაც მანვე უწოდა ეს სახელი („მწვანე ქვეყანა“) და სადაც ყველა ფიორდი შემოიარა. 896 წელს საქონლით, იარაღებით, ცხენებითა და (ხის მასალით) შეშით დატვირთული 25 გემით 500 ადამიანი (კაცები, ქალები, ბავშვები) გაემგზავრა სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე დასასახლებლად. მოსახლეობამ 3 000-ს მიაღწია. ოქტომბრიდან მაისამდე იქ მყოფი ხალხი სრულიად მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. გრენლანდიისაკენ მარტოდ მიმავალმა ახალგაზრდა მამაცმა კაცმა, ბაიარნე ჰერიულფსონმა სამხრეთისკენ ცოტა მეტად გაუხვია და ტყით შემოსილ გორაკებს მიადგა. ეს ამერიკა იყო, ლაბრადორის მხარეს. ამრიგად, ბაიარნემ ქრისტეფორე კოლუმბს 500 წლით დაასწრო! მას შემდეგ ერიკ წითელის შვილი, ლაიფ ერიქსონი გაემგზავრა ამ ახალი კონტინენტის ასათვისებლად გრენლანდიიდან, ლაბრადორის გასწვრივ სიარულით. შემდეგ მოგვითხრობს, რომ მიაღწია „ფინლანდს“ სადაც დახვდა ვაზები, ტყეები და ორაგულები. მაგრამ რადგან ის იმასაც დასძენს, რომ იქაური ცვარი ისეთივე ტკბილია, როგორც თაფლი, ცხადია აქ ერთგვარად ბაქიაობასთან გვაქვს საქმე. ვარაუდობენ, რომ ვიკინგებმა თითქმის 41-ე პარალელამდე მიაღწიეს. თორვალდი, ლაიფის ძმა, ისევ გაემგზავრა იქით 1 004 წელს. 1020 წელს კოლონიზაციის მხდერობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას შეეჩეხა. ასე

რომ, ვიკინგებმა ვერ შეძლეს ამერიკაში დამკვიდრება. რაც შეეხება გრენლანდიას, ისინი იქ თავს შესანიშნავად გრძნობენ. იმ დროისათვის აქ ითვლიან ერთ ეპარქიას, 16 ეკლესიას და 2 მონასტერს. მაგრამ ესკიმოსების შემოსევების პირისპირ მარტო დარჩენილი გრენლანდიური კოლონიები ველარ შეძლებს არსებობას და გაქრება.

ვიკინგები ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. არაჩვეულებრივი ეპოპეიდან გადავიდეთ ისტორიული თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვან მოვლენაზე: ეს არის ვიკინგების დამკვიდრება ევროპაში.

ნორვეგიელები თავიდან ირლანდიას ედავებოდნენ, შემდეგ კი ჩრდილოეთ და დასავლეთ შოტლანდიას. დანიელებს ხიბლავდათ ფრისლანდიის, ჰოლანდიის, ზელანდიის და სამხრეთ ინგლისის სანაპიროები. ამ ქვეყნებს არ გააჩნდათ საზღვაო ფლოტი, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის. რადგანაც დრაკარებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მათი წყალწყვა სუსტი იყო (მხოლოდ 1 მეტრი), ისინი მდინარეებს აუყვებოდნენ ხოლმე. მოგვიანებით ატლანტის ოკეანეში შესვლაც გაბედეს. ისინი სენის შესართავთან იყვნენ 820 წელს, ლუარის შესართავთან 819-820 წლებში და ამ მდინარეებს აღმა აუყვნენ, ისევე, როგორც ესკოსა და რაინს. იმ დროს, როცა ნორვეგიელებმა თითქმის მთელი ირლანდია აიღეს 830-840 წლებში, დანიელებმა მძიმე დარტყმები აგემეს ლუი გულკეთილის იმპერიას, რომლისთვისაც ფრისლანდიის და ნიდერლანდების წართმევა სურდათ. ისინი დუურსტიდში დაბანაკდნენ და იქ 885 წლამდე დარჩნენ. 840-841 წლებში მათ დაიპყრეს ესექსი, კენტი, ჰემპშირი, დორსეტი და იმავდროულად რუანი და პიკარდია. 843 წელს დაარბიეს ნანტი. 844 წელს შევიდნენ გარონაში, გზა გააგრძელეს ესპანეთის და პორტუგალიის სანაპიროების გავლით და გვადალკვივრს აუყვნენ ქალაქ სევილიამდე. 845 წლის 29 მარტს გააჩანაგეს პარიზი, 848 წელს პირწმინდად გაძარცვეს ბორდო და 849 წელს - პერიგე. შეტევები ხმელთაშუა ზღვაზე. 850 წლიდან მათ დაიწყეს დამკვიდრება იმ ქვეყანაში, რომელსაც მათი სახელი

ეწოდა, ანუ ნორმანდიაში. საფრანგეთის მეფე შეეცადა მოლაპარაკება ეწარმოებინა მათთან, რათა-ხარკის გადახდის სანაცვლოდ დაეტოვებინათ ქვეყანა. 859-861 წლებში ისინი სამხრეთისაკენ დაიძრნენ, გადაკვეთეს გიბრალტარის სრუტე, ჩაუარეს რუსილიონს, გამოიზამთრეს კამარგში და იქიდან წავიდნენ ავინიონის, ნიმის და არლის დასარბევად. იტალიაში პიზა და ტოსკანა დააცარიელეს, შემდეგ კი ატლანტის ოკეანეს დაუბრუნდნენ და იმავე ტაქტიკის გამოყენებით, მაგრამ ამჯერად უკვე კავალერიის თანხლებით, მდინარეებს აღმა აუყვნენ და სხვა მრავალ ქალაქთან ერთად 872-873 წლებში პუატიე, ლიმოჟი, კლერმონ-ფერანი და ანჟერი დაარბიეს.

დანიელები ინგლისში. ინგლისის ისტორიაში დანიელებმა არაჩვეულებრივი როლი ითამაშეს და ეს ორ წყებად მოხდა. თავდაპირველად, IX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ისინი სარგებლობდნენ ქვეყნის დაქუცმაცებულობით პატარა ანგლო-საქსურ თუ კელტურ სამეფოებად, რათა დროებითი დაპყრობები ეწარმოებინათ. მათი შეჩერება მხოლოდ უესექსის ცნობილმა მეფემ, ალფრედ დიდმა (871-900) შეძლო. მაშინ ისინი ჰუმბერის და ტრენტის შესართავებიდან აუყვნენ აღმა ამ მდინარეებს და 874 წელს დაიკავეს მერციის სამეფო.

ალფრედის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდებოდა. ამ ჭკვიანმა და განათლებულმა მეფემ მრავალი ბრძოლის შემდეგ, რომელთა შედეგიც მყარი არ იყო, მოახერხა უედმორის ზავისთვის მოეწერინებინა ხელი დანიელთა წინამძღოლის, გუთრუნისათვის, რომელიც მოინათლა. ინგლისი, თავისი კელტი მოსახლეობით, დასავლეთ ნაწილში ორ ზონად გაიყო: ანგლო-საქსურ ზონად სამხრეთ-აღმოსავლეთით და დანიურ ზონად - ჩრდილო-აღმოსავლეთში. ალფრედმა შეძლო ლონდონში დარჩენა.

ეფემერული დანიური იმპერია. X საუკუნის განმავლობაში დანიელებმა უკან დაიხიეს ალფრედის და მისი მემკვიდრეების წყალობით. შეტევა 980 წელს განახლდა.

დანია პრაქტიკულად გაერთიანებული იყო ჰარალდ ბლაატანდის, ანუ „ლურჯკბილას" დროშის ქვეშ, რომელიც ქრისტიანად მოექცა. სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისი, მოგვიანებით კი მთელი ინგლისი ლონდონითურთ კვლავ დაიპყრეს დანიელებმა. ეს მოიმოქმედა ჰარალდის შვილიშვილმა, კნუდ I-მა, დიდად წოდებულმა. იგი მთელმა სამეფომ ცნო. 1028 წელს მან ნორვეგია დაიპყრო და შექმნა ვრცელი დანიური იმპერია, რომელშიც ინგლისის და ნორვეგიის გარდა ისლანდია და გრენლანდიაც შედიოდა. კნუდმა მარჯვედ გამოიყენა სამღვდელოება, ყველგან ეკლესიები და მონასტრები ააშენა, რომში სალოცავადაც კი ჩავიდა. მისი მეფობის დროს მრავალი ქორწინება შედგა ინგლისელ და დანიელ დიდგვაროვნებს შორის. კნუდი 1036 წელს გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა კნუდ II-მ, რომელიც ბევრად ჩამოუვარდებოდა მამას, შეძლო ინგლისის შენარჩუნება, მაგრამ 1041 წელს მის გარდაცვალებასთან ერთად დამთავრდა დანიის მბრძანებლობაც ამ ქვეყანაში.

ვილჰელმ დამპყრობელი და 1066 წელი. და მაინც, ეს არ იყო ვიკინგების ძალაუფლების დასასრული დიდ კუნძულზე. 1066 წელს, რომელიც ბრიტანული ისტორიის ყველაზე ღირსშესანიშნავი თარიღია, ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმ დამპყრობელმა გადაცურა ლა მანში და ლონდონის სამხრეთით 90 კმ-ზე, ჰასტინგსში დაამარცხა უკანასკნელი საქსონელი მეფე ჰაროლდ II და საფუძველი ჩაუყარა ნორმანების დინასტიას. მაშასადამე, ნორმანები ის ვიკინგები არიან, რომელთაც ჩვენ ვახსენებდით სენის ქვემო წელის, კოს მხარის და ა.შ. დაპყრობების დროს. მათი ბუნაგი ახლანდელი ნიდერლანდების ტერიტორიაზე მდებარეობდა. მათ ისარგებლეს დინასტიური ბრძოლით, რომელიც ფრანკთა სამეფოში წარმოებდა კარლოს დიდის შთამომავალს, კაროლინგების დინასტიის წარმომადგენელ კარლოს უბრალოსა და 987 წელს კაპეტინგების ახალი დინასტიის ფუძემდებლის, ჰუგო კაპეტის წინაპარს, არჩეულ მეფე ედს შორის. კარლოს უბრალო დარწმუნდა, რომ „ჩრდილოეთის ხალხი", რომელსაც ალბათ დემოგრაფიული პრობლემები

აჩქარებდა, სულ უფრო და უფრო მრავლად ჩამოდიოდა. 911 წელს სენ-კლერ-სიურ-ეპტის ხელშეკრულებით ნორმანდია ერგო ვიკინგ წინამძღოლ როლონს, ანუ განჟ როლფს. გაჩნდა ნორმანდიის საჰერცოგო. როლონი არაჩვეულებრივი გოლიათი იყო, რომლის სიმძიმესაც ვერცერთი ცხენი ვერ უძლებდა. იგი მოინათლა და ცოლად შეირთო საფრანგეთის მეფის ასული ჟიზელი. ის საფრანგეთის მეფის ვასალი იყო. ვილჰელმ ბასტარდი, ანუ ვილჰელმ დამპყრობელი ამ როლონის შთამომავალია. საუცხოო ნაქარგობა, რომელსაც ბაიეს გობელენი (კედლის ხალიჩა) ეწოდა, გვიამბობს „ინგლისის დაპყრობაზე ნორმანების მიერ".

სიცილიელი ნორმანები. ნორმანების სიცილიის სამეფო, რომელიც 1058-1090 წლებში ჩამოყალიბდა ფრანგი ნორმანების დაარსებულია. ტანკრედ დე ოტვილმა თავისი თორმეტი ვაჟიდან რვა სიცილიაში გაგზავნა. მათ შორის იყვნენ დინასტიის ფუძემდებლები რობერ გისკარი და როჟე. სიცილიამ, რომელიც ჯერ კართაგენელებს ეკუთვნოდა, შემდეგ ბერძნებს, რომალებს, ვანდალებს, ბიზანტიელებს და არაბებს, ამ ჩრდილოეთიდან მოსული ხალხის ღრმა ზეგავლენა განიცადა და XIII საუკუნეში კიდევაც მოგვცა ძლიერი ევროპელი მეფე, ფრედერიკ II ჰოჰენშტაუფენი.

მატერიალური წვლილი. მატერიალური თვალსაზრისით ვიკინგებმა შემოიტანეს წინსვლა ნავიგაციაში, შესანიშნავი ხმლები და რკინის იარაღები, ხელოვნების ნატიფი ნაკეთობანი და ავეჯი. ისინი შეუდარებელი დეკორატორები იყვნენ (ამაზე მეტყველებენ, მაგ., ხომალდების ცხვირები), მაგრამ ვერც მათი სამარხები (რომლებიც მთელ ევროპაშია გაბნეული და ამ გამოუსწორებელი მომთაბარე ხალხის ამოცნობაში გვეხმარება) და ვერც მათი არქიტექტურა მეტოქეობას ვერ გაუწევს მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხუროთმოძღვრების ძეგლებს. მათი ლიტერატურა მდიდარი იყო საგებით, ოღონდ მხოლოდ IX საუკუნიდან მოყოლებული და მათი დამწერლობა, *რუნები*, გამოყენებულია მხო-

ლოდ რამდენიმე წარწერაში (მაგალითად, მენის კუნძულზე).

რბევა და ვაჭრობა. ევროპის ისტორია დრამატული წინააღმდეგობებით არის აღსავსე და ვიკინგები თავიდან რბევითა და ხოცვა-ჟლეტით შეიჭრნენ ყველაზე უფრო სამხრეთით მდებარე ქვეყნებში თავიანთი დრაკარებით, მდინარეების მეშვეობით, შემდეგ ეს მოხდა კავალერიის გამოყენებით და ბოლოს მათ ზღვით შემოიყვანეს კოლონისტები. ამის გამო იმ ხალხებმა, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში ეკავათ აღმოსავლეთი ირლანდია და დასავლეთი შოტლანდია (ნორვეგიელები), ნიდერლანდები, პიკარდია, ატლანტისპირა საფრანგეთი და ნორმანდია (დანიელები), სადაც დარჩნენ, უამრავი კვალი დატოვეს და არა მარტო ტოპონიმიკაში (ასეულობით ნორმანდიული სახელი ვიკინგური წარმოშობისაა: კოდებეკი, ონფლრი, ჰააგა და ა. შ.).

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია დანიელებისა და შემდგომ, ნორმანების გავლენა ინგლისზე. ტოპონიმია უხვად ინახავს ამ ნაკვალევს ნორთუმბერლენდში, იორკშირში, ნორფოლკში, სუფოლკში და ა. შ. მენის კუნძული, ჰებრიდების კუნძულები XII საუკუნის დასასრულამდე ნორვეგიული რჩება. ასევეა ორკადების და შეტლანდის ნორვეგიული, შემდეგ დანიური კუნძულები 1468 წლამდე, სადაც XVIII საუკუნის ბოლომდე სკანდინავიურ ენებზე მეტყველებდნენ.

თანასწორობის პრინციპი. ალბათ სწორედ პოლიტიკურ და ზნეობრივ ნიადაგზე უფრო იხარა ვიკინგების მიერ ჩაყრილმა თავისუფლების მარცვლებმა. განსაკუთრებით თანასწორობის პრინციპს ატარებდნენ პრაქტიკაში. მეთაურებად მხოლოდ არჩეულ კაცს აყენებდნენ. როცა კარლოს უბრალომ მათთან მოლაპარაკება მოიწადინა, მათი თავკაცი მოიკითხა. პასუხად ასეთი რამ მიიღო: „ჩვენ ბატონი არა გვყავს, ყველანი თანასწორები ვართო". მიუხედავად ამისა, მათ სალაპარაკოდ როლონი გაგზავნეს, რომელიც მათი ჭეშმარიტი მბრძანებელი იყო. თავის ნაშრომში „*ვიკინგები*" შვედი ისტორიკოსი ოქსენშტირნი წერს „ნორმანდიაში

სოფლების მოსახლეობა ისეთივე თავისუფალია, როგორც ჩრდილოეთის დედაქალაქში და სრულიად დამოუკიდებელია ფეოდალური სისტემისაგან, რაც მას დანარჩენი საფრანგეთისაგან მკვეთრად განასხვავებს". მათი ნელი და თანდათანობითი მოქცევა ქრისტიანებად უფრო აძლიერებს ასეთ დამოკიდებულებას. ამგვარად მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენს საერთო ისტორიაში.

ვიკინგები ჰანზაში. საჭიროა სკანდინავიელ ისტორიკოსებთან ერთად გავიხსენოთ თვით ვიკინგების დაცემის ხანაც. განუწყვეტელმა ომებმა მრავალი უბადლო მეომრისა და ნაოსნის სიცოცხლე შეიწირა, რამაც ჩრდილოეთის ქვეყნების ვაჭრობაში ვიკინგების როლი შეამცირა. მაშინ, როდესაც მათ პოზიციები გაიმაგრეს ნორმანდიაში, ინგლისსა და სიცილიაში, მათ საქმეებს ხელი შეუშალა სლავური წარმოშობის ვენდების მეკობრეობამ, რომლებიც შვედეთის და დანიის სანაპიროებს არბევდნენ და იქიდან ათასობით მონა მოჰყავდათ (XIII საუკუნეში). 1143 წელს დაარსდა ქალაქი ლიუბეკი და მის ირგვლივ „გერმანული ჰანზა" (სავაჭრო კავშირი). ამ უკანასკნელმა დაიწყო დიდი სავაჭრო გემების, *კოგების* მშენებლობა. ეს გემები საომარი მიზნებისათვის ნაკლებად გამოსადეგი, მაგრამ ბევრად უფრო ეკონომიური იყო, ხოლო თავისი წყალწყვისა და სიმყარის წყალობით უკეთ დანავარდობდნენ ტალღებზე ზურგის ქარის დროს. სწორედ ამ *კოგებზე* გაჩნდა პირველად ახალი იალქანი ფოკი და ახალი ანძა ბუშპრიტი ხომალდის ცხვირთან, რომელიც დრაკონზე ბევრად უფრო ეფექტური, თუმცა ნაკლებად დრამატული იყო. ვიკინგები, რომელთა გემების ტვირთამწეობა ბევრად უფრო სუსტი აღმოჩნდა, ჩამოშორებულ იქნენ. მოგვიანებით ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ჰანზას.

ვიკინგების ქრისტიანებად მოქცევის ხანგრძლივი პროცესი. ეს ყველაფერი *სამ ეტაპად* მოხდა:

1. ანშერი

დანია სხვა ქვეყნებზე უფრო ადვილი მისადგომია. ლუი

ღვთისმოსავის სამეფო კარზე სჯერათ, რომ შეიძლება იქ ქრისტიანობის გავრცელება, თუ მხარს დაუჭერენ ძალაუფ-ლებისაგან ჩამოშორებულ პრედენდენტებს. 822 წელს რე-იმსის არქიეპისკოპოს ებონს პაპმა და იმპერატორმა მისია დააკისრეს ამ ქვეყანაში. ამის ერთადერთი შედეგი იყო რამ-დენიმე კაცის, მათ შორის სამეფო ტახტის პრეტენდენტის ჰარალდის, მონათვლა. ებონმა გადაწყვიტა ეკლესიის მუდ-მივი წარმომადგენელი ჰყოლოდა იქ. მისი არჩევანი შეჩერდა ანშერზე, პიკარდიაში კორბიის ყოფილ ბერზე, რომელიც შემდეგ საქსონიაში ამ მონასტრის ფილიალის, ახალი კორ-ბიის *(Corvey)* საეკლესიო სკოლის ზედამხედველი გახდა. ანშერი მოციქულთა სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და გულანთებული დათახმდა ამ წინადადებას. პირველად მცი-რე ხნით ჩავიდა ადგილზე, მაგრამ ვორმსში დაბრუნებისას, სადაც ლუი ღვთისმოსავის ტახტი იყო, იგი ამჯერად შვე-დეთის მეფის ბიორნის მიერ გამოგზავნილ კაცებს შეხვდა. ანშერი დათანხმდა ამ შორეულ ქვეყანაში ჩასვლას და თვეები მოუნდა, ვიდრე მელარენის ტბაზე მდებარე სავაჭრო ცენტრში,ქალაქ ბიორკში *(Birca)* ჩააღწევდა. აქაც ჩაატა-რა მან რამდენიმე ნათლობა. ბოლოს გადაწყვიტეს ანშერი-სათვის შეექმნათ საეპისკოპოსო კათედრა ჰამბურგში. ანშერმა *pallium*-იც (ლიტურგიული მოსასხამი) კი მიიღო რომში, ანუ არქიეპისკოპოსის წოდება, რაც მას საშუალებას აძლევდა მრავალი ეპარქია დაარსებინა. მაგრამ ქრისტიანები ძალზე ცოტანი იყვნენ. შედეგი მოსალოდნელზე ნაკლები ჩანდა. ფრანკთა იმპერია სუსტდებოდა, ვიკინგები კი გაორ-მაგებული ძალით არბევდნენ ევროპის ჩრდილოეთ ნაპი-რებს. ჰამბურგი დაწვეს და გაძარცვეს. ეს დიდი მარცხი იყო. 865 წელს, რცა ანშერი გარდაიცვალა ბრემენში, ქრის-ტიანობა უცხოელთა რელიგიად დარჩა დანიასა და შვე-დეთში. ჰამბურგ-ბრემენის (შეერთებულ) ეპარქიას არც ერ-თი მასზე დამოკიდებული ეპარქია არ გააჩნდა. ჰამბურგ-ბრემენი მთელი სკანდინავიისათვის განათლების ცენტრს წარმოადგენდა და იმ დროისათვის *ქრისტიანობის ავან-პოსტს* ქმნიდა, რომელსაც საფრთხე ემუქრებოდა.

2. ჰარალდ ლურჯკბილა

ჰამბურგ-ბრემენის არქიეპისკოპოსმა უნიმ (917-936) გაბედა ხლებოდა დანიის მეფე გორმს, რომელიც ქრისტიანებს დევნიდა და მათ დიდ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. მან მოაქცია შლეზვიგი და დანიაში, გორმის ვაჟს ჰარალდ ლურჯკბილას *(blaatand)* და დედოფალს, თავადაც ქრისტიანს, გამოსთხოვა დანიის მოქცევისა ნებართვა. აი რას მოგვითხრობს გერმანელი მემატიანე ადამ ბრემენელი, რომელიც ბრემენის კანონიკი იყო და დაახლოებით 1067 წელს დაწერა *ბრემენ-ჰამბურგის ეპარქიის ისტორია* და აგრეთვე დიდი შემეცნებითი ღირებულების მქონე წიგნი *სკანდინავიის გეოგრაფია*: „ჰარალდის ხელშეწყობით უნიმ შემოიარა კონტინენტური დანია და მისი კუნძულები, სადაც რწმენას უნერგავდა წარმართებს და იქ მყოფ ქრისტიან ტყვეებს ქრისტეს მაგალითით ანუგეშებდა. შემდეგ იგი დიდი მოციქულის ანშერის კვალს გაჰყვა, გადასერა ბალტიის ზღვა და მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ჩავიდა შვედეთში, ქალაქ ბირკაში, სადაც რამბერტის ეპოქის შემდეგ ქრისტიან მოძღვარს ფეხი არ ჰქონდა დადგმული.” უნი იქვე გარდაიცვალა 936 წელს.

ჰარალდ ლურჯკბილა, რომელიც მამამისის, გორმის შემდეგ ავიდა ტახტზე 950 წელს, თავის მეუღლესთან და ვაჟთან, სვენდთან ერთად მოინათლა. ჰამბურგ-ბრემენის მთავარეპისკოპოსმა ადალაგმა, რომელიც 50 წლის განმავლობაში იყო თავის პოსტზე (გარდაიცვალა 988 წ.) ისარგებლა ამ მდგომარეობით და ეპარქიები შექმნა არა მარტო დანიაში, არამედ კუნძულებზეც, ნორვეგიაშიც, სადაც მეფე ჰაკონმა გადაწყვიტა ხალხისათვის ეკითხა, მიეღოთ თუ არა ქრისტიანობა: გავიხსენოთ, რას ვამბობდით ვიკინგების თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებაზე. ჰარალდი 986 წელს გარდაიცვალა.

3. ოლაფ წმინდა და კნუდ II

ჰარალდის (მონათლული) მემკვიდრე იყო მის ვაჟი სვენდი, მეტსახელად “წვერფიწალა” *(Gabelbart)*. ეს უკანასკნელი გონებაში ერთმანეთს უკავშირებდა გერმანელობას

და ქრისტიანობას, ხედავდა რა გერმანელებში სკანდინავიელების უპირველეს მტერს, ძველი-ვიკნგების ყიდაზე დაიწყო აზროვნება: ეს იყო შორეული ექსპედიციები, დაპყრობები, რბევა. მისი მეფობის დროს, რაც 1014 წლამდე გაგრძელდა, ქრისტიანთა დევნამ ზოგადი ხასიათი მიიღო მის დიდ სამეფოში, ყველა სკანდინავიურ ქვეყანაში, სადაც სიძნელეები მეტი იყო, ვიდრე შვედეთში, და ინგლისშიც კი. სვენდი 1013 წელს ლონდონში შევიდა, მაგრამ გარდაიცვალა 1014 წელს, როცა ნაგვიანევად დაუბრუნდა ქრისტიანობას.

სწორედ მაშინ დაიწყო ქრისტიანობის გამარჯვება. ნორვეგიაში, რომელიც გარკვეული დროით დამოუკიდებელი გახდა, მეფობდა პრინცი ოლაფი, მეტსახელად წმინდა, რომელიც ჩრდილოეთით, ტრონდჰაიმში იჯდა. იგი მკაცრად დევნიდა წარმართ ჯადოსნებს, წინასწარმეტყველებს, მაგებს, რომლებსაც ყოველთვის უზარმაზარი გავლენა ჰქონდათ სკანდინავიურ კულტურაზე. ოლაფი ჰამბურგ-ბრემენის გერმანელი მიტროპოლიტის ერთგული მრევლი იყო.

ფაქტობრივად ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო სვენდის ვაჟი, ცნობილი მეფე კნუდი, რომელიც ადრე უკვე ვახსენეთ, როცა XI საუკუნის უდიდესი იმპერიის შექმნაზე ვსაუბრობდით, რომელიც მოიცავდა დანიას, შვედეთს, ნორვეგიას და დიდ ბრიტანეთს. ეს იმპერია ქრისტიანული გახდა. კარლოს დიდის მსგავსად კნუდსაც ხშირად დაურღვევია ქრისტიანული მორალის პრინციპები, მაგრამ მას ჰქონდა ღვთის რწმენა. იგი წმინდა ადგილების მოსალოცად გაემგზავრა რომში 1026-1028 წლებში. იგი წერდა „მინდა იცოდეთ, რომ რომში ჩამოვედი, რათა მელოცა ჩემი ცოდვების შენდობისათვის და იმ სამეფოთა და ხალხთა გადარჩენისათვის, რომლებიც ჩემი იმპერიის ქვეშევრდომები არიან" იგი გულმოდგინედ ზრუნავდა კათოლიკური იერარქიის დადგენისათვის და ქრისტიანული იდეალის აღსადგენად. მისი მეფობის პერიოდში პრაქტიკულად ბოლო მოეღო წარმართობას მსოფლიოს ამ ნაწილში, თუ არ ჩავთვლით ხალხში გავრცელებულ ცრურწმენებს.

მთავარი მომენტი, რომელიც დაკავშირებულია ქრისტეს რჯულზე მოქცევის ამ მესამე, ძლევამოსილ ეტაპთან, რომ-

ლის მთავარი შემოქმედი იყო კნუდ I (გარდაიცვალა 1035 წ.), არის ჰამბურგ-ბრემენის ეპარქიასთან კავშირის გაწყვეტა. ამიერიდან გერმანული ეკლესია კი არ პატრონობს სკანდინავიის ეკლესიას, არამედ ინგლისური ეკლესია; სკანდინავიას მოაშურა სამღვდელო პირების, ეპისკოპოსების, ინგლისელი, ირლანდიელი, შოტლანდიელი ბერების ნაკადმა, რომელთაც მეფის თუ ადგილობრივი ხელისუფლება უხმობდა. ჰამბურგ-ბრემენთან კავშირის გაწყვეტას უბრძოლველად არ ჩაუვლია. თავიდან დააპირეს შეექმნათ „ჩრდილოეთის საპატრიარქო", რაც ალბათ შეეწინააღმდეგებოდა რომაული ეკლესიის ტრადიციებს. უფრო მარტივი ჩანდა სკანდინავიური ეკლესიის შეყვანა ინგლისურ სისტემებში, მით უფრო, რომ კნუდ I-ის მეფობის შემდეგ სწორედ ვიკინგების შთამომავლებმა, ნორმანდიელმა ნორმანებმა დაიკავეს ხანგრძლივად ინგლისის სამეფო ტახტი.

III. სლავები

ხალხთა ამ ჯგუფის შესახებ ჩვენ ჯერ მხოლოდ გაკვრით თუ გვითქვამს რამე. როგორც ცნობილია, მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროპის ისტორიასა და ცივილიზაციაში. დღესაც კი, რუსული, ბელორუსული, უკრაინული ენების გარდა, მილიონობით ადამიანი ლაპარაკობს სლავურ ენებზე: ჩრდილოეთით პოლონურ, ჩეხურ, სლოვაკურ ენებზე; სამხრეთით ბულგარულ, სლოვენურ და სერბულ-ხორვატულ ენებზე. რუმინულმა ენამ, რომელიც ლათინური წარმოშობისაა, ძლიერი სლავური გავლენა განიცადა.

სლავების გამოჩენა. ახალი წელთაღრიცხვით დაახლოებით IV საუკუნეში სლავების „უფორმო მასა" გაიშალა ნემანის, დნეპრის და პრიპიატის სათავეებთან. ისე ჩანდა, თითქოს ისინი საუკუნეების მანძილზე ბინადრობდნენ ამ ადგილებში. „ურნების ველების" ცივილიზაცია, რის შესახებაც ვლაპარაკობდით ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებით, ახასიათებს ამ პირველყოფილი სლავების საფლავებს, რომ-

ლებსაც სავაჭრო კონტაქტები ჰქონდათ დასავლეთში გერმანელებთან და კელტებთან.

ყველაფერი მოხდა შემოსევების ფორმით, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წარმოებდა. აზიაში მძლავრ ზეწოლას ახორციელებდნენ მონღოლები და თურქები. რაც შეეხება სლავებს, ისინი აღმოსავლეთის დამპყრობელთაგან მართულებს ჰგვანან და მათი ჯარების მასას შეადგენენ. მონღოლური ტიპის ავარები,პროტო-ბულგარელები,ანუ თურქული ტიპის ბულგარელები,ხაზარები,პაჭანიკები, კუმანები და XVI საუკუნეში ყალმუხები თანდათანობით გადიან პოლიტიკური არენიდან. ერთადერთი ჯგუფი (VII-დან XII საუკუნემდე) შეძლებს დამკვიდრებას პანონიაში სლავების გვერდით და გერმანელებთან ახლოს. ესენია მადიარები. სლავები მუდმივად ადგილზე რჩებიან.

ავარები. ავარები გაკვეულ როლს თამაშობენ ევროპაში 558 წლიდან. მათ დუნაიმდე 561 წ. მიაღწიეს. 567 წელს ლომბარდელებთან (გერმანელები) ერთად სასტიკად ამარცხებენ ბიზანტიელებს. ქალაქ სალონს, სადაც დიოკლეტიანე ცხოვრობდა, 600 წელს სლავებმა ალყა შემოარტყეს, 614 წელს კი ავარებმა დაანგრიეს. პანონიის (მიტროვიცა) დედაქალაქი სირმიუმი, სადაც მარკუს ავრელიუსი გარდაიცვალა, მათ ხელში ჩავარდა. ავარებმა ბევრი ჭირვარამი გამოიარეს, მაგრამ 822 წლის შემდეგ მათ შესახებ აღარაფერი თქმულა.

ბულგარელები. ბულგარელები პირველად ნახსენები არიან 482 წელს, როგორც უკრაინაში მცხოვრებნი. ისინი დანათესავებული არიან თურქებთან, რომელთა სლავური ჯარები გახდა მოგვიანებით სამხრეთ სლავების ერთ-ერთი ეთნოსი სლავური ენით. 680 წელს მათ გადალახეს დუნაი და დაიკავეს მეზია (ახლანდელი ბულგარეთის ჩრდილოეთი ნაწილი). ამ პირველი სამეფოს ცენტრი იყო პლისკა.

ხაზარები. ხაზარები დარჩნენ ურალის, ვოლგის და დონის რეგიონში და X საუკუნეში გაქრნენ. როგორც ლუსიენ

მიუსე აღნიშნავს, „ჩვენი წყაროები ეთნიკური სახელების ისტორიას უფრო გვაწვდის, ვიდრე ადამიანებისას... ადამიანები ხშირად ელიან, რომ მათი ბედი შეიცვლება და მალე სხვა კომბინაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე. მრავალი იმპერია, რომელიც ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული გვეჩვენება იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ მათ მმართველ კლანებს ვიცნობთ, შეიძლება აიგოს ერთსა და იმავე მასალაზე. ზედმეტი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს ასევე ლინგვისტურ ეტიკეტებს. მრავალი ასეთი ეფემერული კონფედერაცია მრავალეროვანია... და ხალხის სახელი ხშირად შენარჩუნებულია, თუნდაც მისი მთელი შინაარსი შეიცვალოს, ენის ჩათვლით (ასეთია ბულგარელების ისტორია, რომლებიც თურქებიდან სლავებად გადაიქცნენ).”

ჩრდილოეთის, ცენტრალური და სამხრეთის სლავები. საუკუნოვანი ბრძოლა გერმანელებსა და სლავებს შორის განსაკუთრებით VII-X საუკუნეებში გახდა აშკარა.

სლავების დაყოფა ოთხ დიდ ჯგუფად შეიძლება. აღმოსავლეთ სლავების შესახებ აქ არ ვილაპარაკებთ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დასავლეთთან მათი კონტაქტები შვედებისა და ბიზანტიის მეშვეობით მყარდებოდა. ისინი ცხოვრობდნენ სტეპებსა და ტყეებში, ხშირად უწევდათ აზიიდან შემოტევების მოგერიება, რამაც ხანგრძლივი ტრადიცია წარმოშვა. ისინი ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხდურთ თავიანთი მასის და სიმამაცის წყალობით.

ამის შემდეგ მოდიან ჩრდილოეთის სლავები. ობოდრიტები და ვილცები ელბის ქვემო წელის აღმოსავლეთ ნაპირზე სახლობენ, დასავლეთით კი მათი სასტიკი მტრები საქსები და არანაკლებ დაუძინებელი მტრები - ფრანკები იმყოფებიან. ოდნავ უფრო სამხრეთით, ელბის ორივე ნაპირზე სორბები და ვენდები ბინადრობენ. ცენტრის სლავები ძირითადად მორავები არიან ბავარიის აღმოსავლეთით და პანონიის ჩრდილოეთით კი ჩეხები და სლოვაკები. ბოლოს უნდა ვახსენოთ სამხრეთის სლავები, რომლებიც დუნაის მიუყვებიან დრავის და სავის ხეობებისაკენ და ამ მდინარის სამხრეთით (ყოფილი იუგოსლავია), მაშინ როდესაც ვენე-

ციელები 1008 წ. თავს აღწევენ ყოველგვარ მეურვეობას ბიზანტიის მხრიდან და პატარა ნავსადგურებს აშენებენ დალმაციის სანაპიროს გასწვრივ.

სლავების მარკები (სასაზღვრო ოლქები). მაშინდელ დასავლეთ ევროპაზე სლავების გავლენის კვალი თითქმის არ შეიმჩნევა. საჭირო იყო დაცდა, რათა შეერთებოდნენ რომს ან ბიზანტიას. ვინ გააქრისტიანებდა მათ? კარლოს დიდის სამეფოში ასე ხდებოდა - მაგალითად, საქსებთან დაკავშირებით ასე იყო - ჯარისკაცები იპყრობდნენ ქვეყანას და ძალიან ხშირად, ძალით აქრისტიანებდნენ მის მოსახლეობას. კარლოს დიდმა ჩრდილოეთის სლავებისათვის, მორავიელებისათვის, პანონიაში დაადგინა მარკები (სასაზღვრო ოლქები), რომელთაც თავადვე განაგებდა. ეს მარკები მყარი არ იყო და მიუხედავად ამისა, მისმა ვაჟმა ლუი ღვთისმოსავმა და შვილიშვილმა ლუი გერმანელმა შეძლეს მათი დროებით ხელახლა დაპყრობა. კარლოსისგან განსხვავებით, ლუი ღვთისმოსავი უფრო ჰუმანური ევანგელიზაციის მომხრე იყო. ამჯერად „ბარბაროსულ ქვეყნებში" (მაშინ ამ გამოთქმას იყენებდნენ) ჯარისკაცები კი არ შედიან პირველები, არამედ მგზნებარე მისიონერები, ხშირად ერონვნებით გერმანელები ცდილობდნენ ხალხის გაქრისტიანებას.

სამხრეთი სლავები. პირველი სლავები, რომლებმაც ქრისტეს რჯული აღიარეს, იყვნენ სამხრეთის სლავები (ჯერ სლოვენები) VIII საუკუნეში. მათ ჩრდილოეთიდან ავარები ემუქრებოდნენ და დახმარებისთვის ფრანკების მეფეს და ბავარიის სიუზერენს,პიპინ მოკლეს მიმართეს. კარინთიის ორი სლავი ტახტის მემკვიდრე, რომლებიც მძევლებად იყვნენ ბავარიაში, ქრისტიანულად აღზარდეს ხიმზეეს მონასტერში. ისინი ერთიმეორის მიყოლებით გამეფდნენ და ზალცბურგის ეპისკოპოსი, ირლანდიელი ვირგილიუსი მიიხმეს. ააგეს ეკლესიები. დააარსეს იმიხენის მონასტრები ტრენტინში და კროიცმიუნსტერი ზემო ავსტრიაში. წარმართთა მხრიდან ამას რეაქცია მოყვა, მაგრამ ბავარიის

ჰერცოგმა ტასილონმა კვლავ ხელთ იგდო კარინთია. მოგვიანებით კარლოს დიდმა დაიპყრო ერთად კარინთია და ბავარია. საბოლოოდ გაქრისტიანება მშვიდობიანად ჩატარდა სლავებში, მაგრამ არა ავარებში. ეს მოქცევა დასავლური იყო: ლათინური ეკლესია დაეუფლა სლავი ხალხების ერთ-ერთ შტოს.

დანიელთა დიდმა განმანათლებელმა, ანშერმა, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ვერ გაბედა ჩრდილოეთის სლავების ქრისტიანებად მოქცევის დაწყება, თუმცა ისინი პაპის ბრძანების შესაბამისად მის იურისდიქციას ეკუთვნოდნენ, რადგანაც ამისათვის სახსრების ნაკლებობას განიცდიდა.

მორაველები. IX საუკუნიდან დიდი მოვლენაა მორაველების, ცენტრალური სლავების გაქრისტიანება. მორაველთა იმპერია შექმნის პროცესში იყო წარმართი უფლისწულის, მოიმირის წინამძღოლობით, რომელიც თავად არ იყო ქრისტიანად მოქცეული, როცა პირველი ეკლესია ააშენებინა 850 წლამდე ცოტა ხნით ადრე, რომელიც დამოკიდებული იყო გერმანულ ეკლესიაზე (ზალცბურგი, პასაუ). იმპერატორმა ლუი გერმანელმა გადააყენა მოიმირი და იგი მისივე ძმისწულით, რატისლავით შეცვალა. ეს უკანასკნელი მეტად მოხერხებული ადამიანი აღმოჩნდა. იგი მიხვდა, რომის და ბიზანტიის ეკლესიები ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ იმაში, რაც გაქრისტიანებას შეეხებოდა. გერმანელთა გავლენა თანდათანობით ძლიერდებოდა. ამის შემხედვარე რატისლავმა 862 წელს მორაველთა დელეგაცია გაგზავნა კონსტანტინოპოლში პატრიარქ ფოტიუსის (რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ) სანახავად.

კირილე და მეთოდე. ფოტიუსი მიხვდა, რომ შეეძლო რომაელებისთვის დაესწრო, მან მორავიაში ორი ღირსეული კაცი გაგზავნა, უფროსს მეთოდე ერქვა, უმცროსს კი კონსტანტინე, ოღონდ სიკვდილის წინ იგი კირილედ იწოდა. კირილე და მეთოდე - როგორც მათ ისტორია მოიხსენიებს

თესალონიკეში დაიბადნენ, სადაც სლავები მრავლად

იყვნენ. განათლება ძმებმა კონსტანტინოპოლის ერთგვარ უნივერსიტეტში მიიღეს, სადაც დიდი მეცნიერი, ლეონ მათემატიკოსი მოღვაწეობდა. მოგვიანებით კონსტანტინე თავად ასწავლიდა იქვე. ორივე ძმას მისიონერული სულისკვეთება ამოძრავებდა. კონსტანტინე თავდაპირველად ხაზარების მოქცევას ცდილობდა, რომლებიც მაშინ იუდაიზმს აღიარებდნენ. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი თავის ძმასთან ერთად მორავიაში გაგზავნეს. მათი დიადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ სლავებისთვის, რომლებსაც არც ბერძნული ენა ესმოდათ და არც ლათინური, შეეთავაზებინათ სლავური ლიტურგია და მათ ენაზე თარგმნილი წმინდა ტექსტები. ამისათვის მათ ექვსიოდე ნიშანი დაუმატეს ბერძნულ ანბანს. ეს უთუოდ საფუძველია იმ დამწერლობისა, რომელსაც „კირილიცა"-ს უწოდებენ და რომელსაც დღემდე იყენებენ რუსები, ბულგარელები და სერბები, მაგრამ არსებითად მათ მიერ გამოგონებული დამწერლობა არის ე.წ. „გლაგოლიცა". კირილემ და მეთოდემ მრავალი მორაველი მოაქციეს მაშინ, როდესაც ლუი გერმანელის დამარცხებული რატისლავი მას ერთგულებას ეფიცებოდა (864 წ.).

მოგზაურობა რომში. ამ ორი ქრისტიანის გერმანელ ქრისტიანებთან ერთად ცხოვრება სერიოზული შეხლა-შემოხლის საბაბი ხდებოდა. კონსტანტინემ და მეთოდემ, რომლებიც მშვიდობის და კავშირის მომხრეები იყვნენ, გადაწყვიტეს ამის შესახებ რომში ეთქვათ და ვენეციის გავლით რომში გაემგზავრნენ. მათი ჩასვლა დაემთხვა სერიოზულ უთანხმოებას პაპ ნიკოლოზ I-სა და ფოტიუსს შორის. კირილეს და მეთოდეს, მათი აზრით, ჩამოტანილი ჰქონდათ ისტორიაში მეოთხე პაპის, კლემენტის წმინდა წერილები. იმ ეპოქისთვის ეს „შეუდარებელ განძს" წარმოადგენდა. ახალმა პაპმა ადრიანე II-მ ისინი „ღვთის მიერ გამოგზავნილებივით" მიიღო (ემილ ამანი). მათ დაარწმუნეს პაპობა, რომ ღვთის განდიდება სხვა ენაზეც შეიძლებოდა, გარდა სამი წმინდა ენისა (ებრაული, ბერძნული, ლათი-

ნური). კონსტანტინე მორავიის ეპისკოპოსად უნდა დანიშნულიყო, როდესაც გარდაიცვალა 869 წელს.

კირილეს სიკვდილი, მეთოდეს გამგზავრება. მაშასადამე, მეთოდე მარტო გაემგზავრა. მორაველი დიდებულების თხოვნით სირმიუმის *(მიტროვიცა)* ძველი ეპარქია ალადგინეს მეთოდესთვის, რამაც გაანაწყენა ბიზანტიური ეკლესია, რომელსაც თეორიულად ექვემდებარებოდა ილირიკუმის ტერიტორია - ადრიატიკის ზღვის დალმაციის სანაპიროს ირგვლივ. მეთოდეს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ლუი გერმანელის ვაჟებმა დაამარცხეს და მოკლეს რატისლავი (870 წელს). ამ ძლიერი მფარველის დაკარგვის შემდეგ მეთოდე გერმანელმა ეპისკოპოსებმა გაასამართლეს და კოშკში დაამწყვდიეს. მან მოახერხა რომისთვის შეეტყობინებინა მომხდარი, სადაც დაგმეს გერმანელ ეპისკოპოსთა საქციელი. მეთოდემ გააგრძელა ქრისტიანობის ქადაგება და კვლავ გაემგზავრა რომს, საიდანაც სრული მხარდაჭერა მიიღო. ამის შემდეგ დაუღალავი მისიონერი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც ბოლოს 18 წლის წინ იყო. იმპერატორმა და ფოტიუსმა იგი ჩინებულად მიიღეს, მაგრამ 884 წელს მეთოდე გარდაიცვალა.

გერმანელთა გავლენის აღდგენა მორავიაში. ბულგარელები ბიზანტიის ეკლესიას უერთდებიან. ძალთა წონასწორობა დაირღვა. გერმანელმა ეპისკოპოსებმა კვლავ ხელთ იგდეს საეკლესიო მმართველობა მორავიაში და აკრძალეს სლავური ლიტურგია. მეთოდეს მოწაფეები გააძევეს. მათმა უმეტესმა ნაწილმა თავი ბულგარეთს შეაფარა, სადაც მათ მეფე ბორისი მფარველობდა. ბორისმა და მისმა მემკვიდრეებმა *სლავური ლიტურგია მიიღეს.* ამგვარად, მაშინ როდესაც მორაველები ლათინური დასავლური ქრისტიანობის მიმდევრები გახდნენ, ბულგარელებმა ბიზანტიის ეკლესია აირჩიეს. ამ ორი ეკლესიის შერიგების მცდელობა კირილეს და მეთოდეს მიერ მარცხით დასრულდა.

ჩრდილოეთ სლავების გაქრისტიანება. ყველაზე გვიან ჩრდილოეთის სლავები გაქრისტიანდნენ. X საუკუნის შუა წლებიდან აღმოსავლეთიდან პოლონელები გამოჩნდნენ, რომელთაც პიასტის დინასტია მეთაურობდა. მათ ვრცელი იმპერია შექმნეს, რომლის ჩრდილოეთითაც ბალტიის ზღვა იყო, სამხრეთით - კარპატები და ვისლა. მოგვიანებით მეშკო I-ის (963-992) და მისი ვაჟის ბოლესლავ მამაცის (992-1025) მთავრობისას დასავლეთისკენ წაიწიეს. ბოლესლავ მამაცი წარმატებით იბრძოდა იმპერატორ ანრი II-ის წინააღმდეგ, მან მიიერთა სილეზია და მცირე დროით, მორავია და ბოჰემიაც. სიკვდილის წინ მან თვითონ დაირქვა მეფე.

ვენდები. X საუკუნის განმავლობაში ჩრდილოეთის სლავები (ვენდების მხარე) დაიპყრეს და თავის კოლონიად აქციეს გერმანელმა მეფეებმა. 940-950 წლებიდან მოყოლებული უკვე ელბა კი არა, ოდერია გერმანიის საზღვარი, ყოველ შემთხვევაში, ამ მდინარის ქვემოწელი... „მაგრამ ვენდების და გერმანელების შერწყმა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველები გაიზიარებდნენ მეორეების რელიგიას" (ე. ამანი). ამ ყველაფერს დავის და ბრძოლის გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ ეს მოხდა მაგდებურგში დაარსებული საარქიეპისკოპოსო კათედრის ირგვლივ.

პოლონელები. უფრო აღმოსავლეთით, პოლონელთა გაქრისტიანება თითქოს უფრო ადვილად მოხდა. 966 წელს მეშკომ ცოლად შეირთო ბოჰემიის მეფის, ბოლესლავის ქალიშვილი დობრავა. ჩეხი სამღვდელოების დახმარებით ამ უკანასკნელმა ქრისტეს რჯულზე მოაქცია თავისი მეუღლე.

სლავების დიდი ისტორიკოსი დვორნიკი ხშირად დანანებით აღნიშნავს, რომ პოლონელები და ჩეხები, რომელთა ენებიც ასე ახლოს დგანან ერთმანეთთან, საბოლოოდ ვერ გაერთიანდნენ. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ ჩეხური ეკლესია ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის ეკლესიასთან. ამის საპირისპიროდ პოლონეთის ჰერცოგმა, და შემდგომში მეფემ, ბოლესლავმა (მეშკოს და დობრავას ვაჟი, რომელსაც ჩეხი პაპის სახელი დაარქვეს) გადაწყვიტა

გერმანიისგან დამოუკიდებელი პოლონური იერარქია შეექმნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან მიაღწია გნეზნოში დამოუკიდებელი საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას, რომლის გამგებლობაშიც შევიდნენ პოლონეთის ეპისკოპოსები, რომელთაც შეწყვიტეს მაგდებურგისადმი მორჩილება.

უნგრელები და მათი შემოსევები. მართალია, უნგრელები სლავებს კი არა, უგროფინელებს ეკუთვნიან, მაგრამ მათ შესახებ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას. ამ საოცარმა ხალხმა შეძლო 900 და 950 წლებში მთელი დასავლეთი კონტინენტური ევროპა დაერბია, მომთაბარიდან მიწათმომედ და მკვიდრ მოსახლეობად ქცეულიყო და საკუთარი ენაც შეენარჩუნებინა.

მთელ ევროპაში მხოლოდ ფინური და ესტონური ენები ეკუთვნიან ენათა იმავე ოჯახს, თუმცა უნგრულისაგან დიდად განსხვავდებიან. უნგრელები IX საუკუნის შუა წლებში ჩნდებიან, ისინი წარმოშობით უთუოდ ცენტრალური აზიიდან იქნებოდნენ. მონღოლების მსგავსი, თვალებახვეული უნგრელების ზნე-ჩვეულებები სამი საუკუნით ადრე მოსული ჰუნების ადათებს ჰგავდა. დავკმაყოფილდეთ იმის აღნიშვნით, რომ ჩრდილო-დასავლეთით მათ ფლანდრიამდე მიაღწიეს ბავარიის, ალზასის, ლოთარინგიის, შამპანის გავლით, დასავლეთით - ბაზელამდე და ბურგუნდიამდე, სამხრეთ-დასავლეთით ალპებამდე, იზერის ხეობამდე, ლანგედოკამდე და აკვიტანიამდე მივიდნენ, სამხრეთით - ვენეციამდე (ოლქი), ლომბარდიამდე, ტოსკანამდე, პულიამდე, აბრუციმდე, აღმოსავლეთით - ბულგართა სამეფომდე, თრაკიამდე, თითქმის ბოსფორის სრუტემდე, ჩრდილოეთით კი ბრემენამდე, ვესტფალიამდე მიაღწიეს. ეს ხალხი ნელ-ნელა დამშვიდდა, ევროპამ კი ზღუდეები აღმართა მათ წინააღმდეგ. აქაც ძირითადი კავშირი გაქრისტიანებამ დაამყარა. პოლონეთის მსგავსად აქაც ბრძოლა გაიმართა გერმანული ეკლესიისა და ეროვნული ეკლესიის იდეებს შორის, რომელსაც საკუთარი იერარქია ექნებოდა. X საუკუნის ბოლოს პასაუს არქიეპისკოპოს პილგრიმის გამოგზავნილი გერმანელი მისიონერები ჩამოვიდნენ, მაგრამ ჰერცოგი გეზა, მიუხედავად

იმისა, რომ საკმაოდ ველური და უხეში იყო, მიხვდა, რომ ამ სისტემას პოლიტიკური მუქარა მოყვებოდა. ეს უფრო უკეთ შეიგნო მისმა ვაჟმა ვაიკმა, რომელმაც 985 წელს 10 წლის ასაკში სახელად იშტვანი დაირქვა და 997-1038 წლებში მეფობდა. იშტვანი ჩინებული სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მან დააარსა „წმინდა იშტვანის გვირგვინი" სრულიად დამოუკიდებელი ეკლესიითურთ და 1001 წელს პაპ სილვესტრ II-ის ნაკურთხი დიადემით დაიდგა სამეფო გვირგვინი.

IV. დასავლეთი კავშირს წყვეტს ბიზანტიასთან

ბიზანტიის იზოლაცია. VIII და IX საუკუნეებში დასავლეთის ურთიერთობები ბიზანტიასთან ძირითადად შორეულია. იმპერია ჩრდილოეთიდან მოჭრილია სლავების, ავარების, ბულგარელების და უნგრელების მიერ და სამხრეთიდან მდიდარი სირიისა და „ნაყოფიერი ნახევარმთვარის" (ეგვიპტე და მაღრიბი ისლამის ხელში ჩავარდნენ) მიერ. ბიზანტიის სავაჭრო ფლოტი ჩამოუვარდება მისი მეტოქის, არაბების ფლოტს და ბიზანტიის იმპერია თუმცა თავს რომის იმპერიად მიიჩნევს, მას დასავლეთში რამდენიმე ნავსადგურიღა აქვს დარჩენილი ადრიატიკის ზღვაზე. იმპერატორმა ლეონ II-მ აიძულა პაპი, რომის პატრიარქი, რომ ილირია დაეთმო კონსტანტინოპოლის პატრიარქისთვის. რავენის ეგზარქატი 754-756 წლებში იშლება, როდესაც ფრანკების მეფე,პიპინ მოკლე მას ლომბარდიელებს წაართმევს და ბიზანტიელებს კი არ დაუბრუნებს, არამედ პაპს. 812 წელს ბიზანტიას იტალიაში მხოლოდ ვენეცია, ნეაპოლი, კალაბრია და სიცილია ეკუთვნის - არაბების მოლოდინში! *ორი ქრისტიანული სამყარო, ლათინური და ბერძნული, ველარ ახერხებს თავი ერთიან ქრისტიანობად წარმოიდგინოს.*

„ხატმებრძოლები". 717 წელს ტახტზე ლეონ III-ის იზ-

ორიელის ასვლას, ვის შემდეგაც მისი ვაჟი კონსტანტინე „კოპრონიმი" გამეფდა, რომელიც კარგი მხედართმთავარი, მაგრამ ფანატიკოსი დესპოტი იყო, არაფერი მოუგვარებია. ორივე მათგანი და განსაკუთრებით მეორე, თავისი სულისკვეთებით ხატმებრძოლი იყო. სახეების, ხატების გადაჭარბებული კულტი მათ წარმართების დაბრუნებად ეჩვენებოდათ: ხანდახან ღვთისმსახურები ბარძიმში სალოცავი ხატიდან ჩამოფხეკილ საღებავსაც კი ურევდნენ ხოლმე. ამ ზედმეტობების მიუხედავად, რომის პაპობა ვერ ეგუებოდა ხატმებრძოლობას.

კარლოს დიდი: დასავლეთის იმპერია ანუ მსოფლიო იმპერია. როდესაც 800 წელს კარლოს დიდი იმპერატორი გახდა, ბიზანტიას ქალი მართავდა. ეს იყო ირინე, რომელიც 769 წელს ცოლად გაყვა კოპრონიმის ძეს. ძალზე ლამაზი და ჭკვიანი ირინე უკან არაფერზე იხევდა. მან დააბრმავებინა თავისი ვაჟი, რომლის მეურვედაც ითვლებოდა. დასავლეთის თეოლოგების აზრით კარლოსი იმპერატორად (რა თქმა უნდა მთელი იმპერიის იმპერატორად) რომის წმინდა პეტრეს ტაძარში უნდა ეკურთხებინათ (როგორც ბიზანტიელები ამას წმინდა სოფიოს ტაძარში აკეთებენ). ბიზანტიელი მემატიანე მოგვითხრობს, რომ ირინემ ელჩები გაუგზავნა კარლოსს და თავისი ხელი შესთავაზა, მაგრამ ირინე 803 წელს გარდაიცვალა. კარლოს დიდს, რომელიც ყოველთვის ერთიანი იმპერიის მომხრე იყო, ისღა დარჩენოდა, რომ ბიზანტიელებთან შეთანხმებით, როგორც დიოკლეტიანეს ან თეოდოსიუსის ვაჟის დროს, ერთიანი იმპერია შეენარჩუნებინათ, რომელსაც ორი ავგუსტუსი ეყოლებოდა: ერთი დასავლეთის, ხოლო მეორე აღმოსავლეთის იმპერიის მბრძანებლად. ამას 812-814 წლებში მიაღწიეს, მაგრამ ეს მდგომარეობა მალე შეიცვალა.

რომისა და კონსტანტინოპოლის გათიშვა დროში გაიწელა და მასში უამრავი ეპიზოდი, წინ და უკან გადადგმული ნაბიჯი შეინიშნებოდა, რომელთა დაწვრილებით განხილვასაც აქ არ შეეუდგებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ დადგინდა მტკიცე საზღვარი, დროდადრო ნამდვილი

„რკინის ფარდა" დასავლეთის, ანუ რომაულ „კათოლიკურ" ე.ი. მსოფლიო ქრისტიანობასა და ბერძნულ ქრისტიანობას შორის, თავისი სლავური გაგრძელებებით.

შეიძლება ითქვას, რომ თუ გავამარტივებთ საკითხს, გათიშვას ხუთი მთავარი მიზეზი ჰქონდა.

აღმოსავლური ფუფუნება დასავლეთის პირისპირ.

1) განსაკუთრებით თვალშისაცემია განსხვავება *გარემომცველ სამყაროში.* ბიზანტიის იმპერია თავისი სიმდიდრით, ბრწყინვალებით, ინტელექტუალური დახვეწილობით ქედმაღლურად უყურებს პრიმიტიულ, მოუხეშავ, თეოლოგიაში ნაკლებად განსწავლულ დასავლეთელებს.

„მეორე რომში" ყველაფერი: ბერძნული ენა, საეკლესიო სამოსელი, წირვა-ლოცვა თითქოს მეტი ბრწყინვალებითაა მოსილი, ვიდრე პირველში.

არის თუ არა კონსტანტინოპოლის ეკლესია „სამოციქულო"?

2) მეორე რომი, ანუ კონსტანტინოპოლი შეიქმნა მხოლოდ 330 წელს მცირე ბიზანტიისგან იმპერატორ კონსტანტინეს მიერ, რაც თავისთავად უფრო დაბალ საფეხურს ნიშნავს. დიდი საეკლესიო მეტროპოლიები თავს მოციქულთა დაარსებულად თვლიან. ძალიან ბევრგან, კერძოდ გალიაში და ესპანეთში დამკვიდრდა ლეგენდები ეკლესიების მოციქულთა მიერ დაარსების შესახებ. გამოყოფდნენ ხუთ „პატრიარქატს", კონსტანტინოპოლის თვალში „პენტარქიას": რომის (წმინდა პეტრეს მიერ დაარსებული ეპარქია), იერუსალიმის, ანტიოქიის და ალექსანდრიის (სხვა მოციქულთა მიერ დაარსებული)... და კონსტანტინოპოლისას. აქედან წარმოსდგა ფოტიუსის მიერ შეთხზული ძალზე დაგვიანებული ლეგენდა იმის შესახებ, რომ მოციქულმა წმინდა ანდრიამ გააქრისტიანა შავი ზღვის ქვეყნები და ბიზანტია. წმინდა ანდრია კი წმინდა პეტრეს უმცროსი ძმა გახლდათ! რომში სწამდათ არა პენტარქია, არამედ რომის ეკლესიის, წმინდა პეტრეს ეკლესიის უპირატესობა ყველა დანარჩენ ეკლესიაზე.

„ფილიოკვე".

3) ამას დაემატა დავა *დოგმის* ირგვლივ. თავიანთ „კრედო"-ში, რაც რწმენის მოკლე განსაზღვრას წარმოადგენს, ლათინებმა ერთი სიტყვა „ფილიოკვე" დაამატეს. „სულიწმინდა მამა ღმერთისა და ძე ღმერთისგან გამოდის". აღმოსავლელები ფიქრობდნენ, რომ წმინდა სამების საიდუმლოში სულიწმინდა, მესამე პირი, მხოლოდ მამა ღმერთისგან გამოდის. დასავლეთელები კი ამტკიცებდნენ, რომ სულიწმინდა არა მხოლოდ მამა ღმერთისგან, არამედ ძე ღმერთისაგანაც გამოდის. ამგვარი დავა გვიჩვენებს, რა ძლიერი იყო ინტერესი თეოლოგიური ცნებების მიმართ, რასაც მორწმუნეთა მასა ვერ ჩასწვდებოდა.

კანონიკური ანუ საეკლესიო სამართალი.

4) დავის საგანი იყო აგრეთვე *დისციპლინა*, რაც 692 წელს საეკლესიო საბჭომ დაადგინა და „კვინისექსტი" ეწოდებოდა, რადგან მის მიზანს შეადგენდა V და VI ეკუმენური საბჭოების შევსება. დასავლეთის ღვთისმსახურთა ცელიბატი წესად იყო, მიუხედავად ამ წესიდან გადახვევისა. აღმოსავლეთში დაშვებული იყო ღვთისმსახურთა ქორწინება მღვდლად კურთხევამდე. მარხვის წესები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ქორწინების წესები უფრო რთული იყო.

აღმოსავლეთში ორგვარად ეზიარებოდნენ, ღვინით და პურით. დასავლეთში ეზიარებოდნენ მხოლოდ უსაფუარო პურით. სხვათა შორის, თვით წირვის სულისკვეთება იყო განსხვავებული: ლიტურგია, ზიარება, სულიწმინდის არსებობა ბერძნულ წირვაში ან ფიცის დასავლური პრაქტიკა არ არსებობდა. ამით აიხსნება, რომ XX საუკუნეში დაახლოება, ანუ ეკუმენიზმი უფრო ადვილია ბერძნებსა და ლუთერანებს შორის, ვიდრე რომაელ კათოლიკებთან.

მისიების მეტოქეობა.

5) და ბოლოს უნდა ითქვას ალბათ ყველაზე სერიოზულ უთანხმოებაზე, რაც დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის არსებობდა: ეს იყო აღმოსავლეთში

და კერძოდ ბულგარეთში წარმოებული დავა მისიებს შორის, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ როგორი ქრისტიანები უნდა გამხდარიყვნენ ეს ხალხი: რომის ეკლესიას თუ კონსტანტინოპოლის პატრიარქატს უნდა დამორჩილებოდნენ ისინი. კონსტანტინოპოლი რომს ედავებოდა ილირიის და ყოფილი იუგოსლავიის ზონებს.

ფოტიოსი და იგნაციუსი. პირველი დიდი კრიზისი უკავშირდება ფოტიოსის პიროვნებას. ფოტიოსი გამოჩენილი კაცი, შესანიშნავი მწერალი და პოლიგრაფია (ავტორი, რომელიც სხვადასხვა დარგების შესახებ წერს). იგი კონსტანტინოპოლში, მდიდარ ოჯახში დაიბადა 810 წელს, მიიღო ბრწყინვალე განათლება, შესაძლოა მას ასწავლიდნენ დიდი მეცნიერის ლეონ მათემატიკოსის ხელმძღვანელობით. სულ მოკლე ხანში იგი სახელწიფო მოხელე გახდა (protesecteris). ახალგაზრდობისას საელჩოში გაგზავნეს არაბებთან. იგი წერდა გრამატიკის (*ლექსიკა*), ლიტერატურის (*ბიბლიოთეკა*), თეოლოგიის, ლოგიკის, მეტაფიზიკის, ეგზეგეზის და ა.შ. შესახებ. იგი ფართო ავტორიტეტით სარგებლობდა. მას ეზიზღებოდა რომი და მზად იყო უამრავი თამამი ნაბიჯისთვის. 858 წელს პატრიარქი იგნაციუსი, რომელსაც მხარს მონასტრები უმაგრებდნენ, იმპერატორის მიერ თანამდებობიდან გადაყენებული და დატყვევებული იქნა, ფოტიოსი კი პატრიარქად აირჩიეს - მაშინ იგი ერთი უბრალო ერისკაცი იყო.

ფოტიოსის ხანმოკლე სქიზმა. როგორც ამას ჩვეულება მოითხოვს, ფოტიოსმა რომს და სხვა პატრიარქებს მისწერა, რათა იგი ეცნოთ. მუსლიმანების მიერ დაპყრობილი ანტიოქია, იერუსალიმი და ალექსანდრია ძალზე დასუსტებულნი იყვნენ. პაპმა ნიკოლოზ I-მა ყოყმანი დაიწყო და ორი ლეგატი გაგზავნა კონსტანტინოპოლში. ლეგატების მოდრეკა იოლი აღმოჩნდა, მაგრამ დაბრუნებისას მათ აზრი შეაცვლევინეს.

863 წელს რომის საეკლესიო კრებამ გამოაცხადა, რომ

ფოტიოსი გადაყენებული იყო და პატრიარქი კვლავ იგნაციუსი უნდა გამხდარიყო. დავას განსაკუთრებით ბულგარელების საკითხი ამწვავებდა. მეფე ბორისმა თავდაპირველად ბიზანტიელებისგან მიიღო ქრისტიანობა, და იგი მონათლულ იქნა ბიზანტიის იმპერატორის მიერ, მაგრამ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა რომთან, რომელმაც 866 წელს მას მისია გაუგზავნა და შეეცადა ბიზანტიელთა ნაშრომი წყალში ჩაეყარა. ამის შემდეგ 867 წელს რომსა და კონსტანტინოპოლს შორის უკვე აშკარა დაპირისპირება საჯაროდ გახდა ცნობილი. *კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ პაპის გადაყენება გადაწყვიტა.*

იმპერატორი ბასილი მაკედონელი. ეს განხეთქილება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც ბიზანტიაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. გლეხობიდან გამოსულმა მხედართმთავარმა, *ბასილი მაკედონელმა* იმპერატორი მოაკვლევინა და მისი ტახტი დაიკავა. მისი ერთ-ერთი პირველი ქმედება იყო ფოტიოსის გადაყენება და იგნაციუსის აღდგენა (867 წ. სექტემბერი). მაკედონელთა დინასტიამ, რომელმაც XI საუკუნემდე იმეფა, კვლავ მოუტანა დიდება ბიზანტიას, დაიბრუნა რა ტიგროსის და ევფრატის დაბლობები, კილიკია, ალეპო, სირიის ნაწილი და გაანადგურა რა ბულგარელები (ეს იყო ბასილი II „ბულგართმმუსვრელის" ანუ ბულგაროქტონის გამარჯვება 1014 წელს სტრუმიცაში). ბასილი რომთან და დასავლეთის იმპერატორ ლუი II-სთან კავშირის მომხრე იყო. ლუი II-ს სურდა, თავისი ქალიშვილი ირმგარდი ბასილის ვაჟ კონსტანტინეზე დაენიშნა. ეს ქორწინება არ შედგა, მაგრამ ამით მაინც ისარგებლეს, რათა გამოეცხადებინათ კავშირი ორ ქრისტიანულ სამყაროს შორის, თუმცა ბულგარეთის მეფე ბორისმა პირი კვლავ ბერძნებისკენ იბრუნა. იგნაციუსი გარდაიცვალა. მისი ადგილი ფოტიოსმა დაიკავა, რომელიც მანამდე ბასილს შეურიგდა, ისე, რომ ფოტიოსის სქიზმა ხანმოკლე აღმოჩნდა. სინამდვილეში არაფერი შეცვლილა. დავა კიდევ 150 წელი გაგრძელდებოდა, სანამ კვლავ არ მოხდა ახალი, ამჯერად

საბოლოო განხეთქილება. ფოტიოსი ბიზანტიური ეკლესიის დიდ გმირად დარჩა.

მიხეილ ცერულარი. მაკედონელთა დინასტიის წარმატებები ამ რღვევით დასრულდა. ეს მოხდა მიხეილ ცერულარის პატრიარქობის დროს (1043-1058). იგი მოხერხებული კაცი უფრო იყო, ვიდრე ღვთისმოსავი. ორი ეკლესიის კავშირიდან ცოტა რამ იყო დარჩენილი და როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომის ეკლესიის მძიმე მდგომარეობა გრიგორიანულ რეფორმამდე აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებს ქედმაღლობას მატებდა. მიხეილს სურდა თავიდან აეცილებინა თავისი იმპერატორის დაახლოება რომთან. სწორედ ამიტომ წავიდა იგი კონსტანტინოპოლში მყოფი ლათინების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან პაპს შეუთვალა, რომ რომთან შერიგება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ დასავლელები მიიღებდნენ აღმოსავლელების საეკლესიო სამართალს, რაც ცხადია, შეუძლებელი დათმობა იქნებოდა.

საზეიმო განხეთქილება. 1054 წლის 16 ივლისს, როცა რომის ლეგატები დარწმუნდნენ, რომ არაფრის იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ, გადაწყვიტეს გადაჭრით ემოქმედათ. ისინი წმინდა სოფიოს ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც საზეიმო წირვა ტარდებოდა, საკურთხეველზე დადეს ეკლესიიდან განკვეთის განაჩენი მიხეილის წინააღმდეგ და სწრაფად დატოვეს ტაძარი, ისე, რომ მათმა ფეხსაცმელებმა მტვრის ბუღი დააყენა. ისინი იმპერატორს დაემშვიდობნენ და ქალაქი დატოვეს. მიხეილმა მათ 24 ივლისს უპასუხა სინოდის ედიქტით, რომლის მიხედვითაც რომთან კავშირი წყდებოდა. ლათინები და ბერძნები თავს გამარჯვებულად თვლიდნენ.

განხეთქილების შედეგები ევროპისათვის. არ უნდა გვეგონოს, რომ აქ საქმე ეხებოდა სექტებს შორის უბრალო დავას, რაც მხოლოდ რელიგიურ პრობლემებს უკავშირდებოდა. უდიდესი სიძულვილი გამეფდა. კონსტანტინოპოლში

ახალი ლიტერატურული ჟანრი ჩამოყალიბდა: დაიწერა უამრავი *ტრაქტატი ლათინთა წინააღმდეგ*. ბერძნები და ლათინები, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ იტალიასა და კონსტანტინოპოლში, ერთმანეთს გამუდმებით ერეტიკოსებს და სქიზმატიკოსებს უწოდებნენ. ამას სამხედრო კონფლიქტი დაემატა. პაპებმა კავშირი შეკრეს სიცილიის ნორმანებთან 1059 წელს დადებული მელფის ხელშეკრულების მიხედვით, ამიტომ ნორმანები ხშირად ატარებდნენ საბრძოლო ოპერაციებს იტალიის ბიზანტიური მონაკვეთების დასაპყრობად.

1081 წელს ისინი შეეცადნენ ეპირის დაპყრობას: „შეიძლება ითქვას, რომ საშუალო ბიზანტიელისთვის ნორმანების აგრესია ერთი მხრივ გამოიყურებოდა, როგორც ეკლესიათა შორის განხეთქილება და პაპების ვერაგობის შედეგი, მეორე მხრივ კი - როგორც ჯვაროსნული ლაშქრობების პრელუდია, რაც მოკლე ხანში ჩაითვალა დასავლური აგრესიის ყველაზე საშიშ ფორმად."

ბერძნული წარმოშობის ფრანგი ისტორიკოსი, ქალბატონი ელენ არვეილერი, რომელსაც ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები ეკუთვნის, ასეთ დასკვნას აკეთებს: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ *დასავლეთის, როგორც იმ ადამიანთა ერთობის ცნება, რომლებსაც ერთი და იგივე ფასეულობები ამოძრავებთ*, ბიზანტიაში წარმოიშვა XI საუკუნის ბოლოს; იგი ყველაზე მეტად არის გამართლებული დასავლური სულიერი სამყაროს ერთიანობით და ერთგვარად თავისი მიმართებებით დასავლეთ რომის იმპერიასთან; ნიშანდობლივია, რომ ტერმინი „ლათინი" ბიზანტიელთა მიერ იხმარება დასავლეთის ხალხების აღსანიშნავად, მათი ეთნიკური და პოლიტიკური კუთვნილებისგან დამოუკიდებლად; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლათინურობა ამიერიდან ბერძნულობის ერთგვარი რეპლიკაა; ახლა ეს ტერმინები აღნიშნავს *ორ სამყაროს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი კულტურული ტრადიციებით და ინტელექტუალური მისწრაფებებით* და როგორც კი მათი საერთო შემაკავშირებელი ძალა, ქრისტიანობა და-

სუსტდება, ეს ორი ტერმინი ორ დაპირისპირებულ სამყაროს აღნიშნავს."

V. სამღვდელოება და იმპერი

დიდი იმპერიის დასასრული. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ უტევდნენ ყოველი მხრიდან არაქრისტიანი ხალხები 300 მღელვარე წლის განმავლობაში იმას, რასაც „ევროპას" ვუწოდებთ (ეს სიტყვა პრაქტიკულად ამოღებულ იქნა ხმარებიდან XIV საუკუნის ბოლომდე). რა ბედი ეწიათ ადამიანებს, რომლებიც დასავლურ სამყაროს შეადგენდნენ? კარლოს დიდის იმპერია საბოლოოდ დაქუცმაცდა 843 წელს, „ვერდენის დანაწილების" შემდეგ. იმპერატორები კვლავაც არსებობდნენ გერმანიაში და "გერმანელი ერის რომის წმინდა იმპერია" მანამ იყო, სანამ ნაპოლეონმა არ დაშალა 1806 წელს. ერთმანეთს მოყვა დინასტიები საქსონიისა (ოტოები) 919-დან 1024 წლამდე, ფრანკონიისა (1024-1125), მოგვიანებით შვაბეთისა (ჰოჰენშტაუფენები) და საბოლოოდ 1273 წელს რუდოლფ ჰაბსბურგმა და მისმა მემკვიდრეებმა გარდამავალი წარმატებით დაიკავეს ტახტი, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ გერმანიაზე, იტალიის ნაწილზე, ხანდახან ნიდერლანდებზე და არლის სამეფოზე და მათი უპირატესობის იდეა უკვე აღარ იყო მისაღები საფრანგეთის და ინგლისის მეფეებისათვის.

ქრისტიანობა საერო პირთა ძალაუფლებაში. განა ამით დამთავრდა დასავლეთის ერთიანობა? პოლიტიკური სუვერენობის თვალსაზრისით ეს ნამდვილად ასე იყო. ერთიანობის თვალსაზრისით არის ერთი რამ, რომელმაც „კათოლიკური" და „ლათინური" დასავლეთის ქცევა მიიღო. ეს ერთი რამ ეკლესიაა, ოღონდ ნუ დავიჯერებთ, რომ ეს ყველაფერი ერთბაშად გაკეთდა. ქრისტიანობა, *christianitas*, ძალზე ნელი ნაბიჯებით მივიდა მთლიანობამდე. XV საუკუნიდან ეს მთლიანობაც დაირღვა. დასავლეთი, რომელიც აღმოსავლეთთან შედარებით ნაკლებად მგრძნობიარე იყო თეოლოგიის და ერეტიკული ნიუანსებისადმი, კონკრეტულ

ცდუნებებს ნაკლებად უმკლავდებოდა. ეს ყველაფერი ორ სიტყვაში შეიძლება გამოიხატოს: სიმონია და ნიკოლაიზმი.

სიმონია. სიტყვა სიმონია წარმოსდგება სიმონ ჯადოქრის სახელიდან, რომელმაც თითქოს წმინდა პეტრეს სთხოვა მიეყიდა მისთვის სასწაულების მოხდენის უნარი და ნიშნავს საეკლესიო იერარქიის სხვადასხვა საფეხურის (ეპარქიები, სააბატოები, სამრევლოები და ა.შ.) დათმობას ფულადი თანხის სანაცვლოდ, ვინც მეტად იმსახურებს, ის კი არ ყიდულობს, არამედ ვინც ბევრს იხდის. ასეთი პრაქტიკა იმან უფრო გააადვილა, რომ თითოეული ეპარქიის ქონება გახდა *honor*, მამული, რომელსაც სიუზერენი „აძლევდა" ახალ მფლობელს. ეპისკოპოსი, რომელიც ჩვეულებრივ არჩეული იყო სამღვდელოებისა და მორწმუნეთა მიერ და კანონიკურად „დადგენილი" სხვა ეპისკოპოსთა მიერ (ე.ი. მათგან ჰქონდა მიღებული რელიგიური ძალაუფლება), სენიორზე იყო დამოკიდებული მამულის განკარგვაში, რომელიც სარგებლობდა ამით და ან ყიდდა მამულს, ან აიძულებდა საკუთარი კანდიდატი დაენიშნათ, რაც საკუთარი მეგობრების მომადლიერების ძშვენიერი და ეკონომიური საშუალება გახლდათ.

ნიკოლაიზმი. კიდევ უფრო ხშირი იყო ნიკოლაიზმის პრაქტიკა, რაც მდგომარეობდა მღვდლების ქორწინებასა თუ უკანონო თანაცხოვრებაში, რაც დაბლა სწევდა სამღვდელოების ზნეობრივ დონესა და პრესტიჟს, თუმცა ძნელი სათქმელია, სამღვდელოების რამდენი პროცენტი იქცეოდა ასე.

„მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ სახიფათოდ მიმაჩნია ამაზე დუმილიც. მრავალი თქვენთაგანი იმდენად მოიცვა ვნებამ, რომ ნებას რთავენ უხამს კურტიზანებს იცხოვრონ მათ ჭერქვეშ, გაიზიარონ მათი სუფრა და მათთან ერთად გამოჩნდნენ ხალხში. მათი სილამაზით დაპყრობილნი ნებას რთავენ ამ ქალებს იდიასახლისონ მათ ოჯახებში, მემკვიდრეებად გამოაცხადონ მათი უკანონო შვილები... და რათა ეს ქალები კარგად იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი, ეკლესიები

იძარცვება, ღატაკნი იტანჯებიან" (ანტონი, ვერსეის ეპისკოპოსი, IX წერილი მისი სამღვდელოების მიმართ: X საუკუნის შუა წლები). ყველაზე მძიმე კი ის იყო, რომ ასეთი შეუსაბამობანი ქრისტიანულ სულთან მიმართებაში აქუცმაცებდა ეპარქიას მცირე ერთეულებად, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეომებოდნენ. თითქმის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პაპობამ ვერ მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება.

IX საუკუნის ბოლოს ნიკოლოზ I (858-867) კიდევ ერთი დიდი პაპია.

შეუვალი იყო რა მბრძანებლების მიმართ (მაგალითად, მან მკაცრად აუკრძალა მეუღლესთან გაყრა ლოთარ IIს), მან საყოველთაოდ განავრცო სამოციქულო იურისდიქცია. მაგალითად, როცა ფრანკების გალიის ყველაზე გავლენიანმა ეპისკოპოსმა ჰინკმარ რეიმსელმა გადააყენებინა თავისი ვიკარიუსი სუასონის ეპისკოპოსი, როთადი და მას ნება არ მისცა რომაული იურისდიქციისათვის მიემართა, ნიკოლოზ I-მა პროტესტი გამოთქვა, როთადი რომში დაიბარა და მისი აღდგენა მოითხოვა. უნდა აღინიშნოს, რომ როთადმა რომში ჩასვლისას პაპს ფრიად საინტერესო დოკუმენტი *ყალბი დეკრეტალიები* ჩაუტანა, რომელიც ფრანსიაში იყო დაწერილი; ეს იყო პაპების ძალიან ძველ დადგენილებათა აპოკრიფული კრებული. ეს ტექსტები, როგორც ჩანს, 830 წელსაა დაწერილი, დიდი სიზუსტით ამტკიცებს რომის საყოველთაო პირველობას. *ყალბი დეკრეტალიები* კეთილი ნების გამოისობით ნამდვილადაა მიჩნეული და შუა საუკუნეების განმავლობაში ხელს უწყობდა პაპის ძალაუფლების განმტკიცებას, სანამ XVI საუკუნეში არ აღმოაჩინეს სამღვდელოების თაღლითობა.

პაპობის შესუსტება. ნიკოლოზ I-ის შემდეგ ენერგიული იოანე VIII (872-883) თავისი გარემოცვის მიერ იქნა მოკლული. X საუკუნეში პაპობამ ზნეობრივ განვითარებაში უმდაბლეს სფეროს მიაღწია. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. თავდაპირველად პაპობა ხელში ჩაუვარდა დაჯგუფებებს - იმპერატორის დაჯგუფებას, რომის არის-

ტოკრატიის სხვადასხვა ფრაქციებს და ა.შ. და პაპის არჩევნები არასდროს ტარდებოდა არეულობის გარეშე. სენატორ თეოფილაქტეს ქალიშვილმა მაროზიმ, რომელიც მარკიზ ალბერიკ დე სპოლეტის მეუღლე იყო, ბალიშით გააგუდინა პაპი იოანე X (928 წ.) და მისი მემკვიდრეები დაასახელა, კერძოდ იოანე XI (931-935), თვით მაროზის და პაპ სერგიუს III-ის (904-911) უკანონო შვილი.

ყველაფერს გადააჭარბა იოანე XII-ის (955-964) ტახტზე ასვლამ, რომელიც 20 წლისაც არ იყო და რომლის საქციელიც სკანდალს იწვევდა რომში. დილის წირვის ნაცვლად იგი ნადიმს აწყობდა, ხოლო ნადირობა უფრო იტაცებდა, ვიდრე კეთილ საქმეთა აღსრულება, იგი აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. ხანდახან ერთდროულად ორი პაპი იჯდა ტახტზე. ბოლოს და ბოლოს X საუკუნის დასასრულს მდგომარეობა გაუმჯობესდა. პირველი უცხოელი პაპი, გერმანელი ბრუნიონი, მეფის კაპელანი და კარინთიის ჰერცოგის ვაჟი, 23 წლის ასაკში ეკურთხა პაპად გრიგოლ V-ის (996-999) სახელით. ფრანგმა ჟერბერმა, საეკლესიო სკოლის ყოფილმა მრჩეველმა, შემდგომში რეიმსის არქიეპისკოპოსმა ბევრი გააკეთა საფრანგეთის მეფის ჰუგო კაპეტის ტახტზე ასვლისთვის, თვითონ კი პაპად აკურთხეს სილვესტრ II-ის (999-103) სახელით. ეს ორი პაპი მედგრად იცავდა პაპის დამოუკიდებლობას, მაგრამ პაპობის ჭეშმარიტი რეფორმა მხოლოდ XI საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. ჩვენ, ცხადია, აქ გვაინტერესებს არა თვითონ ეკლესიის ისტორია, არამედ პაპობის ირგვლივ დასავლური ერთიანობის ხელახლა გამოჩენა. ამიტომ ამ ვრცელ რეფორმას იმ კუთხით გავაშუქებთ, რომელიც გვაინტერესებს. ამ თვალსაზრისით ჰილდებრანდის პიროვნება, რომელიც გამოჩენილი პაპი გრიგოლ VII გახდა, უფრო საინტერესოა, ვიდრე მისი საქმიანობის დეტალები.

გრიგოლ VII. ჰილდებრანდი ტოსკანაში, სოანაში (1015-სა და 120 წლებს შორის) დაიბადა და უბრალო ოჯახიდან იყო. აღსაზრდელად რომის ერთ-ერთ მონასტერში იყო მიბარებული, სადაც მისი ერთ-ერთი ბიძა აბატად მსახუ-

რობდა. იგი მოკლე ხანში დაწინაურდა პაპების მრჩევლად, გაემგზავრა გერმანიასა და გალიაში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა დიპლომატმა და მოხელემ. 1073 წელს ხალხის მოთხოვნით და კარდინალთა ნებით იგი პაპად აკურთხეს გრიგოლ VII-ის სახელით. უპირველესად იგი წმინდა ადამიანი იყო, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მწერლის თვისებებიც გააჩნდა. მას ეკუთვნის მრავალრიცხოვანი წერილები მონანიე ცოდვილისადმი, გრაფის მეუღლე მატილდ დე ტოსკანისადმი, კლიუნის აბატ ჰუგოსადმი, ევროპელი მეფეებისადმი. ნაპოვნია მისი 848 წერილი! თავმდაბალი და ქველი გრიგოლი თვლიდა, რომ ქრისტესგან ჰქონდა მომადლებული ავტორიტეტი, იგი ფიქრობდა ეკლესიის რეფორმაზე, რათა სიმონიის და ნიკოლაიზმის საწინააღმდეგოდ გაეერთიანებინა ეკლესია და განემტკიცებინა მისი უფლებები მბრძანებელთა წინაშე.

გრიგოლ VII და მეფეები. მისი ურთიერთობები სხვადასხვა მეფესთან სხვადასხვა იყო: იგი შესანიშნავად უგებდა ინგლისის მეფეს ვილჰელმ დამპყრობელს და ჩრდილოეთ იტალიის მბრძანებლებს, მაგრამ მძაფრი შეხლა-შემოხლა ჰქონდა საფრანგეთის მეფესა და იმპერატორთან. მან აიძულა ეცნოთ მისი სიუზერენობა ბენევენტოს და კაპუის სამთავროებზე, რომლებიც ნორმანებმა ბიზანტიელებს წაართვეს. ყველაზე რთული ურთიერთობა გრიგოლს გერმანელთა იმპერატორ ჰაინრიხ IV-სთან ჰქონდა. საქმე ეხებოდა რომში 1074 წელს ჩატარებული საეკლესიო კრების რეფორმატორული დეკრეტების მიღებას. საფრანგეთში იგი აწყდებოდა „სიმონიის მტკიცე მიმდევრის", მეფე ფილიპე I-ის, გერმანიაში კი ეპისკოპოსთა უმეტესობის წინააღმდეგობას. აი, რა მიწერა მან კლიუნის აბატ ჰიუგოს 1075 წლის 22 იანვარს: „უზარმაზარი ტკივილით და საერთო კაეშნით ვარ შეპყრობილი. ეშმაკის შთაგონებით აღმოსავლეთის ეკლესიამ ზურგი აქცია კათოლიკურ რწმენას... თუ ამჟამად გონების თვალს გადავავლებ დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს, რამდენიმე ეპისკოპოსს თუ ვნახულობ, რომელთა არჩევა და ცხოვრება წესის და რიგის

მიხედვით მიდიოდეს, რომელთა მიერაც ქრისტიანი ადამიანების მართვას ქრისტესმიერი სიყვარული უძღოდეს წინ და არა დროებითი ამბიციები. საერო დიდებულებს შორის არავის ვიცნობ, ვინც ღვთის პატივს საკუთარს ამჯობინებდა ან სამართლიანობას შემოსავალზე გაცვლიდა. რაც შეეხება იმათ, რომელთა შორისაც მიწევს ცხოვრება, ანუ რომაელებს, ლომბარდიელებს და ნორმანებს, ისინი ებრაელებზე და წარმართებზე უარესები არიან. და თუ საკუთარ თავზე ვილაპარაკებ, იმდენად დამძიმებული ვარ ჩემი ტვირთით, რომ ხსნის არავითარი იმედი აღარ მაქვს ქრისტეს გულმოწყალების გარდა." აღსანიშნავია, რომ გრიგოლ VII-მ აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა შორეული ქვეყნების: დანიის, ნორვეგიის, პოლონეთის, ბოჰემიის, უნგრეთის, ხორვატიის, ესპანეთის მოსაქცევად, რომელთა „გამოგლეჯაც სურდა წარმართთა ხელიდან".

Dictatus papae. გრიგოლისათვის საკმარისი იყო საეკლესიო კრებების ხშირად ჩატარება. მას პროგრამის შედგენა სჭირდებოდა. ეს მან წარმოუდგენელი სითამამით განახორციელა 1075 წელს დაწერილ ტექსტში, რომელსაც *პაპის ბრძანებულებები* (*Dictatus papae*) ეწოდება. მოვიყვანოთ რამდენიმე ბრძანებულება:

„2. მხოლოდ რომის პაპობას შეიძლება ეწოდოს საყოველთაო. 9. პაპი ერთადერთი ადამიანია, ვისაც ყველა უფლისწული ფეხებს უკოცნის. 12. მას ნება ეძლევა ტახტიდან ჩამოაგდოს იმპერატორები. 17. არცერთი კანონიკური ტექსტი არ არსებობს მის უნებართვოდ. 20. არავის შეუძლია დაგმოს სამოციქულო საბჭოს გადაწყვეტილება. 22. რომის ეკლესია არასდროს შემცდარა და როგორც ამას წმინდა წერილი ადასტურებს, ვერც შეცდება ვერასოდეს. 26. ვინც რომის ეკლესიასთან ერთად არ არის, კათოლიკედ ვერ ჩაითვლება. 27. პაპს შეუძლია ერთგულების ფიცისგან გაათავისუფლოს ისინი, ვინც იგი მისცა უღირსთ".

ეს *Dictatus papae* პროგრამა-მაქსიმუმს წარმოადგენს: ბრძანებულებები პაპს აბსოლუტურ ძალაუფლებას ანიჭებდა

არა მხოლოდ ეკლესიაზე, არამედ საერო ქრისტიანობაზეც. „საეკლესიო ღირსება მეტია სამეფო ღირსებაზე".

თავისთავად ცხადია, რომ მეფეები და ეპისკოპოსებიც კი დიდ და ხშირ შედეგიან წინააღმდეგობას უწევდნენ ამ დოკუმენტს. თავისი პაპად ყოფნის 12 წელიწადში „ლეგატების" დახმარებით, რომლებიც მეტად არაპოპულარული იყვნენ, პაპმა შეძლო გადამწყვეტი რეფორმის გატარება.

სამღვდელოებისა და იმპერიის ბრძოლა. ამ ყველაფერზე ბატონობდა *„ბრძოლა სამღვდელოებასა და იმპერიას შორის"*, რომელიც მომდევნო საუკუნეშიც გაგრძელდა. *Dictatus papae*-ს დაუპირისპირდა ძველი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც იმპერატორები ხელს უწყობდნენ პაპების დანიშვნას და შეეძლოთ მათი გადაყენება. იმპერატორები და კერძოდ, ჰაინრიხ IV „კეისაროპაპიზმის" მომხრენი იყვნენ.

გრიგოლის გადაყენება პაპობიდან. ამასობაში ჰაინრიხ IV-მ (1056-1106) ფართოდ განამტკიცა თავისი ძალაუფლება გერმანიაში. *Dictatus papae*-ზე მისი პირველი რეაქცია იყო გრიგოლ VII-ის გადაყენების სურვილი გერმანელი ეპისკოპოსების საშუალებით (ვორმსის ასამბლეა 1076 წ.) ჰაინრიხ IV-მ ბრალი დასდო გრიგოლს სახარებიდან (*ლუკა*, XXII, 38) „ორი მახვილის" თეზისის ამოგდებაში. ღმერთის მიერ ბოძებული სამეფო ძალაუფლება ადამიანზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, თუნდაც ეს ადამიანი პაპი იყოსო.

ჰაინრიხის ტახტიდან გადაყენება და კანონსა. თავის მხრივ, გრიგოლ VII-მ გადააყენა ტახტიდან ჰაინრიხ IV, რამაც გერმანიაში უპრეცენდენტო გაოცება გამოიწვია. ამ დროს მრავალი გერმანელი მთავარი აუჯანყდა ჰაინრიხ IV-ს. მათ მხარი დაუჭირა მრავალმა ეპისკოპოსმა, რომელთაც რცხვენოდათ, პაპი რომ გადააყენეს. ჰაინრიხ IV მარტო დარჩა. გერმანიაში პაპი მიიწვიეს, რათა საბოლოო განაჩენი წარმოეთქვა. ჰაინრიხ IV-მ გადაწყვიტა თავად ხლებოდა გრიგოლს. 1076 წელს შობის დღესასწაულზე ცოტა

ადრე მან დატოვა გერმანია, გაიარა ბეზანსონი, ჟენევა, მონსენის უღელტეხილი, ტურინი და მცირე ამალით მივიდა კანოსას ციხე-დარბაზში, რომელიც რეჯიო ემილიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა და გრაფის მეუღლე მატილდას ეკუთვნოდა. მატილდა და კლიუნის აბატი ჰუგო იქ იყვნენ, როცა გამოჩნდა მეფე მომნანიებლის ტანსაცმელში, ფეხშიშველი, სამეფო ატრიბუტების გარეშე და სამი დღის განმავლობაში ევედრა პატიებას პაპს. გრიგოლი დიდხანს ყოყმანობდა, ბოლოს კი შეუნდო და ერთგულების ფიცი დაადებინა მეფეს.

გრიგოლ VII-ის სიკვდილი. კანოსას ამ ცნობილმა კაპიტულაციამ პრობლემა ვერ გადაწყვიტა. ახლა დეტალურად არ განვიხილავთ ურთიერთბრალდებების და დანაშაულების გრძელ ჯაჭვს. ჰაინრიხ IV-მ „ანტიპაპი" აარჩევინა. ეს იყო კლემენტი III, უფერული და იმპერატორის მორჩილი პიროვნება. შემდეგ ჰაინრიხი კვლავ დაბრუნდა რომში, კლემენტის ხელიდან მიიღო საიმპერატორო გვირგვინის კურთხევა (1084 წლის 31 მარტი) და გააძევა გრიგოლ VII. რომი განთავისუფლებულ იქნა ნორმან რობერ გისკარის მიერ. სალერნოში გადასახლებულ, დამცირებულ გრიგოლს სიკვდილამდე (1085 წლის 25 მაისი) ბრძოლა არ შეუწყვეტია.

მომდევნო თავში ვნახავთ, რომ მისმა მოღვაწეობამ გაგრძელება ჰპოვა სხვა დიდი პაპების, ურბან II-ის და ინოკენტი III-ის საქმეებში.

კლიუნის დაარსება. ეს დეკადანსი საერთო შეშფოთებას იწვევდა. კლიუნის რეფორმის მიზანი იყო მდგომარეობის გამოსწორება.

ის, რომ გრიგორიანულად წოდებული საეკლესიო რეფორმა შესაძლებელი გახდა, მეტწილად კლიუნის წყალობაა. საუკუნეების მანძილზე მონასტრები მართლაც მრავლად იყო და ბერების სავანეებს კანონიკთა კაპიტულები დაემატა. კანონიკები ერთად ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ, მაგრამ არ ჰქონდათ დადებული სიღარიბის აღთქმა.

საეკლესიო „მოგების" მხრივ მონასტრების უმრავლესობა დიდ სიდუხჭირეს განიცდიდა. გარდა იმისა, რომ მათ ძარცვავდნენ ნორმანები და სარაცინები, „თეთრი სამღვდელოება" თავისთვის ინახავდა სამონასტრო ქონებას და თითქმის არაფერს ტოვებდა ბერების სარჩოდ. უბედური, მოხეტიალე ბერები კი, რომლებიც იძულებულნი იყვნენ შემთხვევითი სამუშაოთი ერჩინათ თავი, წმინდა ბენედიქტეს წესდებას თითქმის აღარ იცავდნენ. ძალიან დიდ სააბატოებში აბატს მეფე ნიშნავდა: ასეთები იყო ფულდა გერმანიაში, ჰერფორდი ინგლისში, სენ-ჟერმენ-დე პრე საფრანგეთში. სხვაგან მღვდელები ინიშნებოდნენ ჰერცოგების ან უფრო დაბალი წოდების მქონე თავადების მიერ.

ბერნონი. ორმა ადამიანმა გადაწყვიტა ახალი, განმწმენდელი ორდენის დაარსება, რომელიც წმინდა ბენედიქტეს ჭეშმარიტ წესდებას დაუბრუნდებოდა. ესენი იყვნენ ბურგუნდიელი ბერი ბერნონი და საერო პიროვნება, ოვერნის გრაფი და აკვიტანიის ჰერცოგი გიიომ ღვთისმოსავი. ამ უკანასკნელმა ბერნონს უბოძა კლიუნის ვილა, სადაც 910 წლის 11 სექტემბერს შეიქმნა ყოველგვარი დროებითი ძალაუფლებისგან დამოუკიდებელი მონასტერი.

კლიუნი მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა. ახალმა ორდენმა არნახული პოპულარობა მოიპოვა ბერნონის (910-926) ეპოქიდან. ამ მონასტერს გაუმართლა, რადგანაც დიდი ხნის მანძილზე მას მართავდნენ გამოჩენილი მღვდელთმთავრები. ბევრი რეფორმის მოწადინე მთავარი მიმართავდა ამ მონასტერს, რადგანაც თავადაც სურდათ კლიუნის მსგავსი და მასზე დამოკიდებული მონასტრების დაარსება. ამის შედეგად კლიუნის აბატი მართავდა სხვა სააბატოებსაც, რომელთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა და სადაც ცენტრიდან წამოსული რეფორმები ტარდებოდა ბერების მიერ. განსაკუთრებით გავრცელდა უშუალოდ აბატისადმი დაქვემდებარებული მონასტრები: „პრიორატები" ანუ *cellae* თითქმის ყველგან დაარსდა.

ოდონი. ბერნონის ადგილზე მოსულმა წმინდა ოდონმა (879-942) კლიუნის ორდენი მთელ ევროპაში გაავრცელა. შავად შემოსილ ბერებთან ერთად იგი დაუღალავად მოგზაურობდა, სტუმრობდა იმ მონასტრებს, სადაც რეფორმა იყო ჩასატარებელი, ეყრდნობოდა იქ არსებულ დადებით ელემენტებს, ანათლებდა მათ და კლიუნის წარმომადგენლებს ტოვებდა მათთან. ოდონი იტალიაში ჩავიდა, რადგანაც მხოლოდ პაპს ემორჩილებიდა. პაპმა მას რომის ყველა მონასტერი ჩააბარა.

მაიოლი. ოდონის შემდეგ მოღვაწე ავინიონელმა არისტოკრატმა, წმინდა მაიოლმა ორმოცი წელი იმეფა. ოდონის მსგავსად, იგი ბევრს მოგზაურობდა საფრანგეთსა და ბურგუნდიის სამეფოებში, იტალიაში. გერმანიის იმპერატორებმა (ოტოებმა) შეაჩერეს მისი საქმიანობა გერმანიაში, სადაც თითქმის ყველა მონასტერს მეფე განკარგავდა.

ოდილონი. მაიოლის შემდეგ 994-დან 1049 წლამდე კლიუნს მართავდა წმინდა ოდილონ დე მერკორი. წმინდა იმპერატორ ჰაინრიხ II-ის წყალობით მან კლიუნის ორდენი გერმანიაშიც გაავრცელა. მის მიერ მართული დიდი მონასტრების რიცხვმა 37-დან 65-ს მიაღწია. *Cellae* ანუ „პრიორატები" ასეულობით ითვლებოდა. ისინი ქრისტიანობის გავრცელებას და რწმენის მჭიდრო საყრდენს და იმავე დროს პოლიტიკური ზეწოლის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა. კლიუნი ცენტრალიზებულ ძალაუფლებად წარმოგვიდგებოდა, რომლის ავტორიტეტსაც საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი. კლიუნში 300 ბერზე მეტი ცხოვრობდა, მათ გარდა კი - ბევრად მეტი მორჩილი კლიუნი ათი ათასზე მეტ ბერს აკონტროლებდა.

ჰუგო. კლიუნიმ აპოგეას XI საუკუნეში მიაღწია, როდესაც ოდილონის ორმოცდათხუთმეტწლიანი მმართველობის შემდეგ იგი შეცვალა წმინდა ჰუგომ, რომელიც 1049 წელს (25 წლის ასაკში) გახდა აბატი და 1109 წლამდე, ანუ 60 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მონასტერს. საერ-

თო ჯამში, 200 წლის მანძილზე მხოლოდ 5 აბატი გამოიცვალა კლიუნში, ასეთი არაჩვეულებრივი სტაბილურობა ახასიათებდა მას.

ამ დროისათვის ცენტრალიზაცია დასრულებული იყო. მხოლოდ კლიუნის სააბატო სარგებლობდა დიდი უფლებებით და კერძოდ, ნიშნავდა აბატს ან პრიორებს ორდენის სხვა მონასტრებში. ჰუგო ბურგუნდიელი იყო, მამამისი სემიურის გრაფი გახლდათ. იგი მალე ევროპული მასშტაბის პიროვნება გახდა: გერმანიის მეფე ჰაინრიხ IV-ს ნათლიად ერგებოდა, პაპების: გრიგოლ VII-სა და ურბან II-ის მეგობარი იყო, ახლო ურთიერთობები ჰქონდა სხვა მეფეებთან. ევროპული თვალსაზრისით, რაც ჩვენ აზრსაც ემთხვევა, უნდა დავასკვნათ,რომ კლიუნი უფრო ტიპიური ფრანგული ორდენია, ვიდრე ევროპული. XI საუკუნის ბოლოს ორდენი ითვლიდა 815 ეკლესია-მონასტერს საფრანგეთში, 105-ს გერმანიაში, 23-ს ესპანეთში, 52-ს იტალიაში, 43-ს დიდ ბრიტანეთში. პოლონეთშიც იყო რამდენიმე სააბატო და წმინდა მიწაზეც.

გერმანია. გერმანიაში ორდენი ხანგრძლივ წინააღმდეგობას წააწყდა. მან იქ მოგვიანებით შეაღწია გამოჩენილი ბავარიელი ბერის, ჰირშაუს აბატ ვილჰელმის საშუალებით, მაგრამ იგი უკმაყოფილო იყო კლიუნის წესების გავრცელებით გერმანიის და შვეიცარიის მრავალ მონასტერში და მხურვალედ დაუჭირა მხარი პაპობას იმპერიასა და სამღვდელოებას შორის ბრძოლის დროს, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. სულ სხვაგვარად მოიქცა წმინდა ჰუგო, რომელმაც სცადა შუამავლის როლი ეკისრა გრიგოლ VII-სა და იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს შორის.

ინგლისი. ინგლისში კლიუნის შესვლა ჭეშმარიტად განახორციელეს მეფე ვილჰელმ დამპყრობელმა და მისმა საეკლესიო მრჩეველმა ლაფრანმა. ინგლისი, ესპანეთის მსგავსად, მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა კლიუნის ცენტრალიზაციის პრინციპს. მომდევნო თავში ჩვენ ვნახავთ, 1098 წელს დაარსებული ცისტერციანელთა ორდენი თავისი თეთრი

ბერებით და ძალზე დამოუკიდებელი მონასტრებით ბევრად უფრო თანასწორუფლებიანი და ევროპული ხასიათისა იქნება, ხოლო რაც შეეხება ინტელექტუალურ სფეროს, მიწის ექსპლუატაციას (მსახურთა და მონასტერში მცხოვრებ, მონასტრისთვის თავისი ქონების შემწირველ ადამიანთა დახმარებით) და განსაკუთრებით ხელოვნებას, ამ მხრივ კლიუნის გავლენა მთელ ლათინურ ქრისტიანობაზე ვრცელდებოდა.

XI საუკუნის ბოლოსათვის ეკლესიის რეფორმამ ორი დადებითი შედეგი მოიტანა: მან დაიბრუნა დამოუკიდებლობა საერო ძალაუფლებასთან მიმართებაში და სულიერი ერთიანობის თვალსაზრისით ლათინური ქრისტიანობა მეტად მაღალ საფეხურზე ავიდა. სამაგიეროდ, მან ვერ შეძლო - ან არ მოინდომა - უზენაესი ძალაუფლების სრული განხორციელება. დასავლეთმა თავიდან აიცილა ის ორი საფრთხე, რომელთაგან ერთია კეისარ-პაპიზმი (სამოქალაქო პირი, იმპერატორი იმავე დროს არის უმაღლესი რელიგიური პირი, როგორც რომაელების დროს) და მეორე კი - თეოკრატია (რელიგიური წინამძღოლი ახორციელებს ტოტალურ დიქტატურას ხელისუფლებაში, როგორც დღევანდელ ირანში). მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როცა საქმე ევროპას ეხება, უნდა განვასხვაოთ ინდივიდუალური რეაქციები - ამ შემთხვევაში რელიგიური ცხოვრება - და პოლიტიკური ორგანიზაცია.

რელიგიური ცხოვრება 1000 წლისთვის. დაკვირვების ღირსია ის ამბავი, რომ რაც უნდა აშკარა და განზოგადებული ყოფილიყო სხვადასხვაგვარი გადაცდომები, ამას ხელი არ შეუშლია რამდენიმე გამორჩეული ინდივიდუალობის მქონე ადამიანისთვის, რომ ინტენსიური რელიგიური ცხოვრებით ეცხოვრა. იმ დროს, როცა ბევრი ადამიანი, იქნებოდა ის მნიშვნელოვანი პიროვნება თუ უბრალო მოკვდავი, ნაკლებად აღიქვამდა სიყვარულისა და უარის თქმის დოქტრინას, მაგრამ ჯოჯოხეთის შიშით „უწესო ცხოვრებას უთავსებდა რწმენისადმი უკიდურეს ერთგულებას" (ოგიუსტ დიუმა), სხვები ჭეშმარიტი ღვთისმოსა-

ობის მაგალითს იძლეოდნენ: ასეთი იყო საფრანგეთის მეფე რობერ ღვთისმოსავი და განსაკუთრებით იმპერატორი ჰაინრიხ II, რომელსაც 1146 წელს დაადგეს გვირგვინი.

საზოგადო რწმენას ჩირქს სცხებდა ცრურწმენები და მაგია. ეს უკანასკნელი ზოგიერთ შემთხვევაში ეშმაკის ჩარევას ეძებდა, რათა გაეწონასწორებინა ზედმეტად მკაცრი განგების გავლენა. ქვეყნიერების დასასრულის თითქმის არ ეშინოდათ და გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს ლაპარაკი „1000 წლის შიშების" შესახებ. სჯეროდათ, რომ ღმერთი მუდმივად და სასწაულებრივად ერევა ადამიანთა კერძო ქმედებებში. ამგვარად აიხსნება „ორდალიები". ადამიანის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის შესამოწმებლად მას სხვადასხვაგავარ გამოცდებს უწყობდნენ: დუელით, გახურებული რკინით, მდუღარე წყლით. ღმერთი, ასე ვთქვათ, სასწაულებრივად უნდა ჩარეულიყო, რაც დაადასტურებდა დაინტერესებული პირის უდანაშაულობას. ამ სასტიკ საზოგადოებაში, მიუხედავად ზოგიერთი მოხელის უზნეობის, რელიგია მაინც აგრძელებდა თავის საგანმანათლებლო მოღვაწეობას. იგი ცდილობდა მორალი შეეტანა ფეოდალურ საზოგადოებაში, მეფეებისა და სენიორებისთვის შთაენერგა მოვალეობის გრძნობა, დაეგმო კაცისკვლა და ომი. X საუკუნეში ანტიკური ხანის მონათმფლობელობა თითქმის მოსპობილი იყო. ეს დამსახურება მთლიანად ეკლესიას უნდა მიეწეროს? ეკლესიას არ დაუგმია მონობა. მან უბრალოდ წაახალისა მონათა განთავისუფლება და უფრო ადამიანური გახადა ურთიერთობა მონებსა და მათ პატრონებს შორის იმ პრინციპის მიხედვით, რომ კათოლიციზმი მიზნად არ ისახავს სოციალურ რევოლუციას, იგი მხარს უჭერს არსებული სოციალური სტრუქტურის შინაგან და თანდათანობით ტრანსფორმაციას. მონობის გაუქმებას, ბატონყმობის დამყარებას უთუოდ ტექნიკური (ცხენების შებმის ახალი სისტემის გამოგონება), დემოგრაფიული (დაკნინებული იმპერიის საზოგადოების ფუნქციათა სავალდებულო მემკვიდრეობითობა დეპოპულაციის მიუხედავად), ეკონომიკური და სოციალური მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ ეკლესიამ, რომელმაც უფრო დამყოლი გახადა კაცობრიობა

ახალი სულიერი მდგომარეობის შექმნით, შეძლო ის, რომ ეს სტრუქტურული ცვლილებები მთლიანად ილუზორული, მოჩვენებითი არ ყოფილიყო.

სამშვიდობო პროგრამები. ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია *ბრძოლა ომის წინააღმდეგ.* დაუცველობა მხოლოდ სასაზღვრო ზოლში არ იგრძნობა. იგი ყველგანაა. ნორმანების შემოსევების, შიდა ფეოდალური ბრძოლების გამო ევროპა ციხე-დარბაზთა ქსელით იფარება: *კასტრა, როკე, ფირმიტატესი, ოპიდა, კასტელა, ტიური* და ა.შ. „შუასაუკუნეობრივი სივრცე ხასიათდებოდა დაუცველობის გავრცელებით... არც ერთი რეგიონი არ იყო დაცული... საზღვარი იყო ყველგან და არსად, ტერიტორიული დაქუცმაცებულობის თუ ძალაუფლების უეცარი ცვლილების გამო" (ფილიპ კონტამინი). X საუკუნის ბოლოდან დასაბამს იღებს *მოძრაობა მშვიდობისათვის.* შეიკრიბა სხვადასხვა საბჭო (კერძოდ, 1054 წ. ნარბონში), რომელთაც დაადგინეს:

1) *საღმრთო მშვიდობა* (ეკლესიის მსახურთა და გლეხთა ქონების დაცვა და მათი დაცვა, ვინც ბრძოლაში არ მონაწილეობს);

2) *საღმრთო ზავი,* რომელიც კრძალავდა ბრძოლის წარმოებას ზოგიერთი ლიტურგიული პერიოდის განმავლობაში, ქრისტეს დაბადების, ვნების, აღდგომის, ამაღლების აღმნიშვნელ დღეებში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმინდა იოანე ნათლისმცემლის და სამოციქულო დღესასწაულებზე, საბოლოოდ პარასკევიდან ორშაბათამდე. ეს მოძრაობა გავრცელდა ესპანეთში (ჟერონის კრება 1068 წ.), ანგლო-ნორმანების სამეფოში (ვილჰელმ დამპყობლის წყალობით), გერმანიაში (ლუი ეპისკოპოსის და 1085 წ. მაინცის კრების წყალობით), სამხრეთ იტალიაში (მელფის საეკლესიო კრება 1089 წ.). პაპები დიხანს ყოყმანობდნენ, სანამ ნიკოლოზ II-მ (1059 წ. რომის საეკლესიო კრებაზე) არ აკრძალა თავდასხმები მოგზაურებზე, ბერებსა და ღატაკებზე, მაგრამ საბოლოოდ ურბან II-მ 1095 წ. კლერმონის საეკლესიო კრებაზე განავრცო სამშვიდობო ინსტიტუციები მთელ ეკლესიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ

ურბან II-მ, რომელიც ქრისტიანთა შორის ყველაზე მეტად იცავდა მშვიდობას, ამავე დროს იქადაგა ჯვაროსნული ლაშქრობა ურწმუნოთა წინააღმდეგ.

დასკვნა. ვერდენის (843 წ.) დაყოფის შემდეგ ევროპის ევოლუცია ხასიათდება ავტორიტეტის უკიდურესი დაქუცმაცებით ყოველი სამეფოს შიგნით და სენიორული სისტემის განვითარებით. თვით სამეფოებს ერთმანეთში ქიშპობა და ომი აქვთ. უკანასკნელი კაროლინგების დროს დასავლეთის იმპერია დაშლის პირასაა. გერმანიის სამეფოში ფაქტიურად დამოუკიდებელნი არიან საქსონია ჩრდილოეთში, ბავარია სამხრეთში და ალამანები დუნაისა და რაინის ზემოწელში. იმპერია კვლავ აღდგება საქსონიიდან ჰერცოგ ჰაინრიხის ირგვლივ, რომელიც მეფე გახდა (გარდაიცვალა 936 წ.) და განსაკუთრებით მისი შვილიშვილის ოტოს დროს, რომელიც მეფედ აახენში აკურთხეს, ხოლო 962 წელს საიმპერატორო ტახტზე ავიდა.

9
დასავლეთის ქრისტიანობის აპოგეა (XII-XIII საუკუნეები)

I. დროებითი ძალაუფლება და სასულიერო ძალაუფლება.

პაპი ურბან II. იმ მძაფრი მეტოქეობის დროს, როცა ერთმანეთს იმპერატორი და რომის პაპი უპირისპირდებოდნენ, XII საუკუნის დასაწყისი პაპისთვის უფრო ხელსაყრელი ჩანდა.

შატიიონის დიდმა პაპმა, ურბან II-ემ (1088-1099), რომელსაც ჩვენ კვლავ მივუბრუნდებით I ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით, მოახერხა შეეზღუდა, შემდეგ კი საერთოდ გაეუქმებინა ანტიპაპ კლემენტი III-ის (რავენის არქიეპისკოპოსი, არჩეული 1080 წ., გარდაიცვალა 1100 წ.) ძალაუფლება.

განხეთქილება თავიდან იფანტებოდა გამუდმებული ენერგიული საქმიანობის წყალობით, ხდებოდა დანიშვნები, კანონიკური და ზნეობრივი რეფორმები, ადგილზე დახმარება ლეგატებისა და გამოჩენილი პრელატების მიერ, როგორებიც იყვნენ კენტერბერის არქიეპისკოპოსი ლანფრანი ინგლისში, ლიონელი ჰუგო საფრანგეთში, გერჰარტ დე კონსტანსი გერმანიაში, ტოლედოს არქიეპისკოპოსი ოდი ესპანეთში. ყველაზე რთული ვითარება იყო რომში, სადაც პაპს და ანტიპაპს, თითოეულს ნამდვილი „საოკუპაციო ზონა" ეკავა. რაც შეეხება იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს, კანოსაში ჩასულ მეფეს, რომელიც საბოლოოდ დამარცხდა და უტახტოდ დარჩა, იგი სილარიბეში გარდაიცვალა ლიეჟში 1106 წელს.

ურბან II თეოკრატი იყო. მას, ცხადია, სურდა ეკლესიის ერთობა. „იმუშავეთ, წერდა იგი ლანფრანს, რათა რომის ეკლესიას დაეხმაროთ, ილვაწეთ, რომ კათოლიკურ ერთიანობაში მოვაქციოთ ჩვენი ესოდენ განსხვავებული ადგილობრივი ეკლესიები". ურბანი ამით სარგებლობდა მეფეებზე

თავისი გავლენის განსახორციელებლად. მან ეს დაუდასტურა კასტილიის მეფეს, ალფონს VI-ს, რომელმაც 1085 წელს მუსლიმანებს ტოლედო წართვა: "მეფეო, ძირითადად მსოფლიოს ორი ხელისუფლება მართავს, ესენია სასულიერო ღირსება და სამეფო ძალაუფლება, მაგრამ ჩემო ძვირფასო შვილო, სასულიერო ღირსება იმდენად მაღლა დგას სამეფო ძალაუფლებაზე, რომ ჩვენ ანგარიში უნდა ჩავაბაროთ უზენაეს მეუფეს თვით მეფეთა საქციელის შესახებ".

დავა ინვესტიტურების გარშემო. უთანხმოება კვლავ წარმოიშვა და თავისი აღმავალ-დაღმავალი პერიოდებით 1230 წლამდე გაგრძელდა. იგი დებატების ფორმით გამოვლინდა ეპისკოპოსთა „ინვესტიტურის" საკითხზე.

ფეოდალურ ანუ სენიორულ საზოგადოებაში ვასალი „ინვესტირებულია" თავისი სიუზერენის მიერ ბენეფიციუმით ან მამულით. მაშასადამე, ეპისკოპოსები ერთსა და იმავე დროს მართავენ მათი ეპარქიების ვრცელ დროებით ქონებას, ასწავლიან და იცავენ რწმენასა და ზნეობას. დროებით მბრძანებლებს, ცხადია, მიდრეკილება აქვთ თავიანთი სამფლობელოდან აირჩიონეპისკოპოსი და მას უბოძონ ინვესტიტურა. ეს შეუძლებელია, პასუხობენ პაპები. საერო პირმა შეუძლებელია ინვესტიტურა უბოძოს სამღვდელო პირს. თეოკრატიული შეხედულებების მქონე პაპებს სურთ თვითონ გასცენ ინვესტიტურები, მაგრამ XI საუკუნის ბოლოდან ჩნდება ახალი თეზისი, რომელსაც ორი, სულიერი და დროებითი მახვილის თეორია ეწოდა. სახარება გვეუბნება: „მიეც კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა" (მათე,XXII,21); შეიძლება განვასხვავოთ დროებით ბოძებულის და სულიერი ძალაუფლების ინვესტიტურები.

ძალიან მალე, 1107 წ. ინგლისის და საფრანგეთის მეფეებმა ცნეს პაპის ინვესტიტურა „ჯვრითა და ბეჭდით", მაგრამ იმპერატორ ჰაინრიხ V-ს დიდი ხნის მანძილზე სურდა ეს უფლება თავისთვის დაეტოვებინა. ბუნებრივია, ასეთმა წინააღმდეგობრივმა პრეტენზიებმა გამოიწვია იმპერატორის სამხედრო ექსპედიციები იტალიაში და მისთვის სასურვე-

ლი ანტიპაპების დანიშვნა. ამ დავას ბოლო მხოლოდ 1122 წელს მოეღო ვორმსის კონკორდატით ჰაინრიხ V-სა და პაპ კალიქსტე II-ს შორის. ეპარქიაში იგი გამოჰყოფდა სულიერ, სამღვდელოების ფუნქციას - ჯვარსა და ბეჭედს - რაც პაპს ეხებოდა და ფეოდალურ ვალდებულებებს სკიპტრას - რომლებიც მეფეზე იყო დამოკიდებული.

ეს გადაწყვეტილება საღი აზრით იყო ნაკარნახევი და მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კომპრომისი ხშირად საუკეთესო გამოსავალს გვთავაზობს. აქ მხოლოდ დათმობაზე არ იყო ლაპარაკი, მეფეების და იმპერატორის მხრიდან. გრიგოლ VII-ის და ურბან II-ის თეოკრატიული დოქტრინებით შთაგონებულ პაპებსაც მიაჩნდათ, რომ ისინი ჩიხში მოაქციეს, რათა დაეთმოთ თითქმის არდასათმობი რამ. წარამარა ჩარევით რომი ხაზს უსვამდა თავის გავლენას. ეს დაამტკიცა 1139 წელს პაპ ინოკენტი II-ის მიერ მოწვეულმა ლატრანის ეკუმენურმა (ანუ „საყოველთაო") საეკლესიო კრებამ. პაპის მოწოდებას 500, შეიძლება 1000 ეპისკოპოსი გამოეხმაურა. კრების გახსნისას ინოკენტი II-ემ მათ გამოუცხადა: „თქვენ იცით, რომ რომი ქვეყნიერების სათავეა". ცოტა მოგვიანებით ერთმა ბოლონიელმა ბერმა, გრაციანემ გამოაქვეყნა 3458 ტექსტისგან შედგენილი უზარმაზარი კომპილაცია *Decretum*, სადაც ბევრად უფრო დაბეჯითებით, ვიდრე ოდესმე, იყო ხაზგასმული, რომ:

1) ეკლესიაზე ბატონობს პაპი;

2) ეკლესია სრულიად დამოუკიდებელია საერო ხელისუფლებისგან;

3) უმეტესი საკითხების გადაწყვეტისას დროებითი მთავრები უნდა ემორჩილებოდნენ მღვდლებს.

იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას (წვერწითელას) ერა. უთანხმოება კვლავ გაღრმავდა და ხანგრძლივ კონფლიქტში გადაიზარდა ფრიდრიხ ბარბაროსას (დაიბადა დაახლ. 1123წ., იყო სუაბის ჰერცოგი, რომის იმპერიის ტახტზე ავიდა 1155 წ., გარდაიცვალა 1190 წ.) და როლანდო ბარდინელის შორის, რომელიც გახდა პაპი ალექსანდრე მე-III (1159-1181) მას შემდეგ, რაც ბოლონიაში ბრწყინვალედ

ასწავლიდა კანონიკურ სამართალს. ყველაფერი თავიდან დაიწყო. იმპერატორს ზეწოლის ეფექტური საშუალება გაა-ჩნდა, რაც იტალიაში შეჭრაში გამოიხატებოდა. პაპმა მას ეკლესიიდან განკვეთა დაუპირა,რასაც ბარბაროსამ ანტიპა-პების (ზედიზედ სამის) არჩევით უპასუხა. პაპმა კიდევ ერთხელ მოიგო ორთაბრძოლა. ალექსანდრემ აიძულა ბარ-ბაროსა ვენეციის ზავზე დათანხმებულიყო 1177 წელს რაც კიდევ ერთი დათმობა იყო. მან კიდევ ერთხელ შეკრიბა ეკუმენური კრება ლატრანში 1179 წელს და უფრო მეტად განამტკიცა თავისი ძალაუფლება. სწორედ ამ პერიოდში შეარქვეს იმპერატორის მომხრეებს „გიბელინები", პაპისას კი „გველფები". ეს სიტყვები ორი მეტოქე დინასტიიდან მოდის: ეს არის კონრად მე-III ჰოჰენშტაუფენი, რომელსაც ვაიბლინგს უწოდებდნენ (ვაიბლინგენის ციხედარბაზი) და ჰერცოგი ჰაინრიხ ბავარიელი, გველფების საგვარეულოდან. ფრიდრიხ ბარბაროსა სწორედ ამ ორი ოჯახის შთამომა-ვალი გახლდათ.

პაპი ინოკენტი III-ის ეპოქა. იქნება თუ არა ევროპა თეოკრატიული? ამის დაჯერება ალბათ შესაძლებელი იყო, როდესაც 1198 წელს შუა საუკუნეების ყველაზე დიდი პაპი ავიდა ტახტზე ინოკენტი III-ის სახელით. რომის ძვე-ლი დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელმა, ერისკაცო-ბაში ლოტარიო დე სენიმ შესანიშნავი განათლება მიიღო ჯერ რომში, შემდეგ კი პარიზსა და ბოლონიაში, სადაც საეკლესიო სამართალი შეისწავლა. იგი კარდინალი გახდა და ეპისკოპოსის წოდება მხოლოდ პაპად ერთხმად არჩევის შემდეგ მიიღო.

ჰუმანისტი, იურისტი, მწერალი, ღრმადმორწმუნე ინო-კენტი III ზოგიერთი ისტორიკოსის თვალში დიდების-მოყვარე, გულდახურულ, ავტორიტარულ, უდრეკ პიროვ-ნებად წარმოგვიდგება. სხვანი მის შეუდრეკელობას იმ ფაქტს უკავშირებენ, რომ მან მთელი ცხოვრება უფლის სამსახურს მიუძღვნა. „ორი რამ მაღელვებს განსაკუთრებით - დაწერა მან სიკვდილამდე სამი წლით ადრე - წმინდა

მიწის განთავისუფლება და მსოფლიო საეკლესიო რეფორმა.''

მან ბევრი და წარმატებით იღვაწა, რათა ბერძნული ეკლესია კვლავ პაპის კონტროლს დაქვემდებარებოდა. გერმანელმა ისტორიკოსმა ჰაუკმა ამ მდგომარეობას „პაპური იმპერიალიზმი'' (*Weltherrschaft*) უწოდა. სწორედ ამიტომ მოსთხოვა ინოკენტი III-მ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ეცნო ეს *plentitudo potentis* (ძალაუფლების სისრულე). პაპის ეს სრული ძალაუფლება ვრცელდებოდა ჯერ ეკლესიაზე, რადგანაც პაპი იყო „ქრისტეს ვიკარიუსი'', მაგრამ იგი ვრცელდებოდა სახელმწიფოებზეც, რომელთა მეთაურები ისევე უნდა დამორჩილებოდნენ პაპს, როგორც ეპისკოპოსები. სინამდვილეში პაპის ნააზრევი ნიუანსებს შეიცავდა. ხშირად იგი იმით კმაყოფილდებოდა, რომ მბრძანებლებს მათ მოვალეობაზე მიუთითებდა, მოუწოდებდა წესრიგისკენ, თუ ისინი ზნეობის საწინააღმდეგო საქციელში იქნებოდნენ შემჩნეულნი; ასე მოხდა საფრანგეთის მეფის ფილიპ-ოგიუსტის, რამდენიმე ესპანელი უფლისწულის, ავსტრიის ჰერცოგის, ახალგაზრდა ფრიდრიხ სიცილიელის, მომავალ იმპერატორ ფრიდრიხ II-ის შემთხვევაში. მან მბრძანებლებს ზავისკენაც კი მოუწოდა, ოღონდ ყველა შემთხვევაში „რელიგია უცილობლად სამეფოზე მაღლა უნდა მდგარიყო''.

ნუთუ მისი მიზანი დროებითი ბატონობა და ამის შედეგად, მისი მეთაურობით ევროპის გაერთიანება იყო? ყოველ შემთხვევაში, მან დროებითი ძალაუფლება იტალიის დიდ ნაწილზე გაავრცელა, რათა შეძლებოდა თავის დაცვა იმპერატორთა ახალ-ახალი შემოსევებისგან. მეფე პიერ არაგონელმა თავისი სამეფო პაპობას უბოძა, რათა იგი პაპთა მამული ყოფილიყო. მან აღთქმა დადო, რომ „თავისი მბრძანებლის პაპ ინოკენტი III-ის და მისი კათოლიკე მემკვიდრეების, ასევე რომის ეკლესიის მორჩილი და ერთგული იქნებოდა მარად''. თუმცა თეორიულად ინოკენტი მე-III აღიარებდა, რომ პაპის მოწოდებაა „მართოს არა მარტო ეკლესია, არამედ საუკუნეც'', იგი ხვდებოდა, რომ პრაქტიკულად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი

შემოიფარგლა უზენაესი სასამართლოს როლის შესრულებით ცოდვის, ფიცის გატეხის, ზავის დარღვევის შემთხვევებში, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მისი მოღვაწეობის მწვერვალად უთუოდ 1215 წელს ჩატარებული მეოთხე ეკუმენური საეკლესიო კრება უნდა მივიჩნიოთ.

კრებას 412 ეპისკოპოსი ესწრებოდა კონსტანტინოპოლის და იერუსალიმის პატრიარქების ჩათვლით. კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორთან (შდრ. ქვემოთ), გერმანიის (ფრიდრიხ II სიცილიელი), საფრანგეთის, ინგლისის, იერუსალიმის, არაგონის, პორტუგალიის და უნგრეთის მეფეებთან ერთად კრებაში მონაწილეობდა 800 აბატი და პრიორი, მონაწილეობდნენ აგრეთვე სამხრეთ საფრანგეთის მთავრები ალბიგოელების (შდრ. ქვემოთ) გამო, პოლონელი და დალმაციელი პრელატები. ბერძენ ეპისკოპოსთა უმრავლესობამ უარი განაცხადა ჩამოსვლაზე.

საეკლესიო კრებამ მიიღო უამრავი პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი, იურიდიული გადაწყვეტილება. ლაპარაკი იყო ახალი რელიგიური ორდენების შესახებ. მოგვარდა ალბიგოელების საკითხი. მომზადდა ჯვაროსნული ლაშქრობა.

საეკლესიო კრების დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1216 წელს ინოკენტი III გარდაიცვალა.

იმპერატორ ფრიდრიხ II-ის დამარცხება. პაპებსა და იმპერატორ ფრიდრიხ II-ს შორის ბრძოლის უკანასკნელი ფაზა წლების განმავლობაში, ფრიდრიხის სიკვდილამდე (1250 წ.) გაგრძელდა. ანკონის მახლობლად დაბადებულმა, დედით სიცილიელმა და სიცილიაში გაზრდილმა უფლისწულმა ძლიერი მუსლიმანური გავლენა განიცადა. უსაზღვროდ პატივმოყვარე, მორალისადმი გულგრილი ფრიდრიხი უკიდურეს ფუფუნებაში მცხოვრებ აღმოსავლელ დესპოტს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქრისტიან მეფეს. ყოველ შემთხვევაში, მას გერმანელისა არაფერი ეცხო. ჩაითვლება თუ არა იგი ქრისტიანობის ერთ-ერთ პირველ ურწმუნოდ?

ზოგადად, სიცილიაში შემწყნარებლობა შეიმჩნეოდა: ერ-

თმანეთის გვერდით თანაარსებობდა რომის კათოლიკური ეკლესიები, ბერძნული ტაძრები, სინაგოგები და მეჩეთები.

მომდევნო თავში გავეცნობით ფრიდრიხ II-ის როლს მეცნიერების წინსვლასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში.

მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ფრიდრიხმა მიზნად დაისახა დაბრუნებოდა იმპერატორთა პოლიტიკას და დაემხო პაპების ძალაუფლება.

მას სურდა იმპერატორს საყოველთაო ძალაუფლება მიეღო.

იგი ფიქრობდა, რომ ღვთიური უფლებით ებოძა იმპერატორობა, მისი მასწავლებლების, ბოლონიის იურისტების სწავლების მიხედვით. ეკლესია იმპერიაში უნდა შედიოდეს და მას ემორჩილებოდესო. იმპერატორი რომის იმპერატორის მსგავსი უნდა ყოფილიყო: კეისარი, ავგუსტუსი, *„Felix, Victor et Triumphator"* (ბედნიერი,გამარჯვებული და ტრიუმფატორი). ასე იგი იბატონებდა სხვა მბრძანებლებზე. თუ ამ მიზნების მისაღწევად დიპლომატია საკმარისი არ იქნებოდა, იგი ომის წინაშეც არ დაიხევდა უკან.

ინოკენტი III-ის შემდეგ პაპის ტახტი ჩენჩიუს საველიმ (პაპობაში ჰონორიუს III-ემ), მშვიდობიანი და შემრიგებლური ხასიათის მქონე მოხუცმა, ფრიდრიხის ყოფილმა აღმზრდელმა დაიკავა. ამიტომ იგი იოლად დათანხმდა, რომ 1220 წელს რომში ფრიდრიხისთვის გვირგვინი დაედგა.

ორი მომდევნო პაპი: გრიგოლ IX (1227-1241) და ინოკენტი მე-IV (1243-1254) მკაცრად გმობდნენ იმპერატორის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს. ჩვენ არ შეგვიძლია დაწვრილებით ვისაუბროთ ამის შესახებ, მაგრამ ნათელია, რომ ფრიდრიხის მიზნები ვერ განხორციელდა. იგი მრავალჯერ განკვეთეს ეკლესიიდან, ბრალი დადეს მწვალებლობაში, მისი გავლენა თანდათანობით მცირდებოდა. ინოკენტი IV-ის მიერ ლონდონში მოწვეულმა ეკუმენურმა საეკლესიო კრებამ იგი გაასამართლა. იგი ეკლესიიდან განკვეთეს და გადააყენეს, „ღმერთმა მას ყოველგვარი პატივი და ღირსება აჰყარა". ხუთი წლის განმავლობაში ფრიდრიხი ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, აცხადებდა პროტესტს, ფიქრობდა ახალი იმპერიის დაარსებაზე სირიაში.

შემდეგ მოინდომა ლაშქრობა ლიონის დასაპყრობად, მაგრამ მას წინ აღუდგა საფრანგეთის მეფე ლუი IX (წმინდა ლუი). ფრიდრიხი 1250 წელს გარდაიცვალა სიცილიის სამეფოში, ეს იყო ერთადერთი ტერიტორია, რომელიც მას დარჩა.

„დიდი უმეფობის ხანა". ეს იყო პაპების გამარჯვება იმპერიაზე, მით უფრო, რომ იმპერატორის ტახტი ვაკანტური რჩებოდა 1273 წლამდე. რუდოლფ ჰაბსბურგის გამეფებამდე "დიდი უმეფობის ხანა" გრძელდებოდა. პაპს ფაქტიურად არ უსარგებლია ამ მდგომარეობით. როცა გრიგოლ IX-ემ და შემდეგ ინოკენტი IV-მ სცადეს თავიანთი ძალაუფლება თავს მოეხვიათ დასავლეთის მბრძანებელთათვის, მათი მხრიდან წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, თვით საფრანგეთის ღვთისმოსავი მეფეც კი არ იყო ამაზე თანახმა. წინააღმდეგობა განსაკუთრებით ერთ კონკრეტულ საკითხში გამოვლინდა. პაპის და სამეფო საგადასახადო (ფისკალური) სისტემები ერთმანეთის კონკურენტები აღმოჩნდნენ. წმინდა ლუის ერთ-ერთი მრჩეველი წერდა: „მეფე ვერ დაუშვებს, რომ ასე გააჩანაგონ მისი სამეფოს ეკლესიები; მისი განზრახვაა ეკლესიის ქონება და განძეული მისი სამეფოს საჭიროებისთვის იყოს შემონახული და თავისუფლად განკარგოს იგი, როგორც საკუთარი ქონება".

ამგვარად, მაშინ, როცა დროის მცირე მონაკვეთში ქრისტიანული ერთობა თითქოს ახლოს იყო განხორციელებასთან, გაძლიერდა სახელმწიფოების ძალაუფლება. რომაული სამართლის გავლენა მივიდა პრინციპამდე: „მეფე იმპერატორია საკუთარ სამეფოში".

ჩვენი „ევროპული" თვალთახედვის ფონზე შეიძლება შემაშფოთებელი ჩანდეს ასეთი დაქუცმაცებულობის წარმოდგენა, მაგრამ *ფუნდამენტური მონაპოვარი, რაც ფასეულია მომავალი თავისუფლებისთვის, არის ის, რომ ევროპამ შეძლო ამგვარად თავიდან აეცილებინა საერო და სასულიერო ძალაუფლებათა აღრევა, რაც ტოტალიტარიზმის და ფანატიზმის ერთ-ერთი წყაროა.* ზედმეტია იმის თქმა,

რომ როცა ამ ხელისუფლებათა აღრევა მოხდა, ტოტალიტარულმა ტენდენციებმაც კვლავ იჩინა თავი.

მიუხედავად ყველაფრისა, ერთობის იდეა კვლავ ცოცხლობდა. იტალიელი პოეტის, დანტეს გიგანტურ შემოქმედებაში, რომელსაც ჩვენ მალე გავაანალიზებთ, *De Monarchia* ქადაგებდა გაერთიანებულ ქრისტიანობას იმპერატორის მეთაურობით.

II. წმინდა ბერნარი და თეთრი ბერები

კლიუნი XII საუკუნეში. რელიგიური ორდენებისთვის ძნელია ყოველთვის აღმავლობის გზაზე ყოფნა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი პრესტიჟულები არიან, იმიტომ, რომ ინტენსიური ღვთისმოსავობის პერიოდში ისინი მდიდრდებიან: მორწმუნე პიროვნებები და მონანიე ცოდვილნი, რომელთაც მომავლის შიში აქვთ, რადგანაც მარადიულ სამსჯავროს და ჯოჯოხეთს ელიან, ეკლესიას სწირავენ სიმდიდრეს, მამულებს და საჩუქრებს. კლიუნიში ზედმეტობები არ შეინიშნებოდა: საკვები შედარებით უკეთესი იყო, ბერებს საწოლი ოთახები ჰქონდათ, მათი ტანსაცმელი ხარისხიანი ქსოვილისგან იკერებოდა. ამას ასკეტიზმს ვერ დავარქმევდით!

სხვათა შორის, წმინდა ბენედიქტეს მთავარი წესი, რომლითაც კლიუნი ხელმძღვანელობდა, ითვალისწინებდა დროის განაწილებას ხელით შრომას, ინტელექტუალურ მუშაობასა და ლოცვას შორის. კლიუნიში ხელით შრომას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ. ამიტომაც ორდენის მოღვაწეობა XII საუკუნეში საშუალო დონემდე დაქვეითდა.

1122 წელს არჩეული აბატი, პეტრე ღირსი, შეეცადა აღედგინა დისციპლინა: მან ბრძოლა გამოუცხადა ფუფუნებისა და კარგი ჭამა-სმის მოყვარულთ, წარმატებები მოიპოვა და ერთგულად გააგრძელა რომის პაპების მხარდაჭერა, მაგრამ ამიერიდან სიტოს და განსაკუთრებით, კლერვოს უნდა მივაპყროთ მზერა, რათა აღმოვაჩინოთ სულიერი ერთობის მამოძრავებელი ძალა დასავლეთ ევროპაში.

სხვა ორდენებიც გამოჩნდა.

შარტრელები და პრემონტრელები. გერმანელმა მღვდელმა წმინდა ბრუნომ, რომელიც ქალაქ კელნიდან იყო, თავის ექვს ამხანაგთან ერთად დააარსა მონასტერი საფრანგეთისა და იტალიის ამჟამინდელ საზღვარზე, იმ ადგილას, რომელსაც მას შემდეგ შარტრეზი ეწოდება. ეს იყო წმინდა მედიტაციური ორდენი, რომელიც მოითხოვდა მდუმარებას, განმარტოებას, უხორცო საკვების მიღებას. ორდენმა სახელი დიდად გაითქვა. ბრუნო პაპ ურბან II-ის მრჩეველი გახდა. მან უარი თქვა არქიეპისკოპოსობაზე და ახალი შარტრეზი დააარსა კალაბრიაში სკვილაჩის სახით. მკიდევ ერთმა გერმანელმა, იმპერატორ ჰაინრიხ V-ს ყოფილმა კაპელანმა ნორბერტმა (ქ.კლევიდან) განაახლა წმინდა ავგუსტინელთა ორდენი და დაფუძნდა პრემონტრეში, ლანის მახლობლად (1126წ.). მოგვიანებით იგი მაგდებურგის არქიეპისკოპოსი და ორივე საქსონიის პრიმატი გახდა.

მომდევნო თავებში ვნახავთ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობებისთვისაც შეიქმნა სარაინდო ორდენები.

მაგრამ ყველა ამ ორდენზე მეტად XII საუკუნეში მძლავრობდა სიტო და ცისტერციელთა ორდენის დიდი წარმომადგენელი, თავისი მსოფლმხედველობით და სულისკვეთებით სახელგანთქმული წმინდა ბერნარი.

სიტო. სიტო ბონიდან *(Beaune)* ჩრდილო-დასავლეთით 22 კმ-ით არის დაშორებული. იქ 1099 წელს წმინდანი რობერ დე მოლემი ჩავიდა თავის თანამოაზრეებთან ერთად, რათა დაშლის პირას მისული ბენედიქტელთა მონასტერი დაეკავებინა და დაეარსებინა ცისტერციელთა ორდენი, რომელიც ზედმიწევნით შეასრულებდა წმინდა ბენედიქტეს წესდებას: ძილი მაგარ ქვეშაგებზე, საკვებად მხოლოდ ერთი გირვანქა პურის და ბოსტნეულის ორი კერძის გამოყენება, ხორცის, თევზის და რძის პროდუქტების სრულიად ამოღება მენიუდან; მწირი მორთულობის მქონე, მოკრძალებული შენობების აგება; უხეში თეთრი ტილოს უბრალო სამოსელის ტარება; სიჩუმის დაცვა.

ასეთმა საშინელმა ასკეტიზმმა იმის ნაცვლად, რომ გაექცია ბერები, ისინი უფრო მეტად მიიზიდა. 1113 წელს ციხე-დარბაზის მფლობელის შვიდი ვაჟიდან ერთ-ერთი, 23 წლის ბერნარ დე ფონტენი სიტოში ჩავიდა თავის თანამგზავრებთან ერთად. მალე მათ მისი ძმები, ბიძები და ბიძაშვილებიც შეუერთდნენ.

წმინდა ბერნარი. სიტოდან გამოსულმა ბერებმა ძალიან მალე 4 საბატო დააარსეს: პონტინი, ლა ფერტე, მორიმონი და კლერვო.

1115 წლის 25 ივნისს ლანგრის რეგიონში, „აბზინდის" ველურ და არასტუმართმოყვარე ხეობაში 13 ბერი ჩავიდა. სწორედ მათ შორის იყო სიტოს აბატის მიერ განმწესებული ბერნარი.

ბერებმა ამ უდაბურ მხარეს ხუმრობით ნათელი ხეობა (*clairevallée*) ანუ კლერვო შეარქვეს და მშენებლობას შეუდგნენ, რათა უფლისთვისაც იმდენივე ფუფუნება მიეგოთ, რასაც საკუთარ თავს უბოძებდნენ.

კლერვომ დასაბამი მისცა სხვა მონასტრების: ტრუა-ფონტენის, ფონტენსეს, ფუანის დაარსებას. თითოეული მონასტერი დამოუკიდებელი იყო, ახალ-ახალი მონასტრები შენდებოდა, მაგრამ წმინდა ბერნარის რეპუტაცია ისეთი მაღალი იყო, რომ იგი ყოველგვარი იურისდიქციის გარეშე მთელი ორმოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ცისტერციელთა ორდენს. მას არაჩვეულებრივი გავლენა ჰქონდა ეკლესიაზე, პაპებზე, იმპერატორებზე, საფრანგეთის და ინგლისის მეფეებზე, არაგონსა და კასტილიაზე, რომლებიც ალმოჰადებს ებრძოდნენ, იტალიელებზე, დანიელებზე და პოლონელებზე. ასკეტური ცხოვრების გამო ბერნარმა გვარიანად დაიავადა კუჭი. ნახევრად სნეული, ჯანმრთელობაშერყეული, სისტერციელი ბერებით გარშემორტყმული ბერნარი ევროპის ქვეყნებს სტუმრობდა, წერდა ასეულობით წერილს რელიგიური დოქტრინის თუ პოლიტიკის შესახებ. ხშირად ამ წერილების ტონი მბრძანებლური იყო, რასაც იგი ღმერთის ინტერესებით ამართლებდა და ამას ღრმა

მოკრძალებით აკეთებდა. გარდა ამისა იგი ადგენდა ქადაგებებს, თეოლოგიის ტრაქტატებს და ა.შ.

მას მოსწონდა კლიუნის მშვენიერი თუმცა ნაკლებად ასკეტური ორდენი, მაგრამ თავს იკავებდა იქიდან სისტერციელი ბერების წამოყვანისაგან. იგი შეწუხდა, როდესაც ერთ-ერთმა ბერმა კლერვო მიატოვა და კლიუნის მიაშურა. იგი მხოლოდ კლიუნის აბატებს კი არ აძლევდა რჩევებს, არამედ რეფორმის დასაჩქარებლად სენ-დენის განთქმულ სამეფო (ბენედიქტელთა) ააბატოზეც ჰქონდა გავლენა, რომლის აბატის, სუგერიუსის (1082-1152) რჩევებს საფრანგეთის მეფეები ლუი VI და ლუი VII ყურადღებით ისმენდნენ.

წმინდა ბერნარის მოღვაწეობიდან ჩვენ აქ ორ მნიშვნელოვან საქმეს განვიხილავთ: ესენია ბრძოლა ანტიპაპ ანაკლეტის წინააღმდეგ და ჯვაროსნული ლაშქრობა.

პაპი და ანტიპაპი. 1130 წლის თებერვალში, ერთსა და იმავე დღეს, რომში კარდინალთა ორი მოქიშპე ჯგუფის მიერ ორი პაპი იქნა არჩეული: განთიადისას ინოკენტი, შუადღისას კი ანაკლეტი, რომელსაც გავლენიანი ფეოდალები უმაგრებდნენ ზურგს. ინოკენტი იძულებული გახდა გაქცეულიყო. აგვისტოში საფრანგეთის მეფემ ლუი VI-ემ ეტამპში ასამბლეა მოიწვია, რათა ორი პაპიდან ერთი აერჩიათ. წმინდა ბერნარის ავტორიტეტმა კრების კეთილგანწყობა ინოკენტის სასარგებლოდ მიმართა. ინოკენტი კლიუნიში ჩავიდა და სუგერიუსს შეხვდა, რომელმაც აცნობა, რომ მასზე გაიმარჯვა. ახლა დანარჩენი ქრისტიანობას უნდა გადაეწყვიტა. ეტამპში ლუი VI-ის ნახვის შემდეგ ბერნარი ინგლისის მეფე ჰენრი ბოკლერკს შეხვდა შარტრში და იგი დაარწმუნა, რომ საჭირო იყო მის სამღვდელოებას ანაკლეტი მიეტოვებინა. იმავე დროს პრემონტრელთა ორდენის დამაარსებელმა ნორბერმა ბერნართან ერთად გადააწყვეტინა იმპერატორ ლოთარს ინოკენტის პაპად ცნობა და რომში ჩასვლაც კი თავისი ძალაუფლების განმტკიცებისთვის. 1131 წელს ინოკენტი შეხვდა მოყოყმანე ლოთარს, მაგრამ რადგანაც ბერნარიც იქ იყო, იმპერატორმა ვერ გაბე-

და მას შეწინააღმდეგებოდა. ბერნარი კლერვოში დაბრუნდა. მან თეთრი ბერების ორი „გუნდი" გაგზავნა ვოს მხარეში, ჰესში. ყველგან მონასტრები არსებობდა. „ბერნარის წყალობით ცისტერციელთა ორდენმა მთელ ევროპაში ჰპოვა გავრცელება" (ჟორჟ გუაიო).

კლერვოში გავლით მყოფმა პაპმა შეიტყო, რომ მის პატივსაცემად არავითარი გამონაკლისი არ იქნებოდა დაშვებული ამ ასკეტურ მონასტერში. იგი ღარიბულად დააბინავეს. ერთადერთი პრივილეგია ის იყო, რომ სუფრაზე თევზი მიართვეს. ბერნარი და ინოკენტი რომს გაემგზავრნენ, სადაც ინოკენტიმ არაგონის და კასტილიისგან „მორჩილება" მიიღო. ანაკლეტის მომხრე მხოლოდ აკვიტანია, ცენტრალური და სამხრეთი იტალია რჩებოდა. თავიდან ბერნარი აკვიტანიის მიმხრობას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია წარმატებას. შემდეგ 1133 წელს ლოთარი იტალიაში შეიჭრა რომზე ლაშქრობის განზრახვით. ბერნარი მას პიზაში შეხვდა. რადგანაც სიცილიის ჰერცოგი კარგად იყო განწყობილი ანაკლეტის მიმართ, ბერნარმა მისი უვნებელყოფა გადაწყვიტა, რაც მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ საომარ მდგომარეობაში მყოფი გენუის და პიზის საზღვაო ფლოტები შერიგდებოდნენ. მან ამას მიაღწია! ეს წარმატება ცხადყოფს, რამხელა ავტორიტეტით სარგებლობდა ეს 43 წლის კაცი.

ინოკენტი, ლოთარი და ბერნარი 1133 წლის 30 აპრილს რომში შევიდნენ. ლოთარი იმპერატორად აკურთხეს ლატრანში, მაგრამ ანაკლეტს ვატიკანის ნაწილი ეკავა, რის გამოც ბერნარმა ვერ აისრულა დიდი ხნის ოცნება: ენახა წმინდა პეტრეს საფლავი. სხვათა შორის, იმ დროს, როცა ბერნარი კლერვოში ბრუნდებოდა და ლოთარმა გერმანიას მიაშურა, ანაკლეტმა ინოკენტი რომიდან გააძევა. ინოკენტიმ თავი პიზას შეაფარა.

1135 წელს კი საფრთხე ლოთარს დაემუქრა.

დაუღალავი ბერნარი გერმანიაში ჩავიდა და ბამბერგში ლოთარი და ფრიდრიხ ჰოჰენშტაუფენი, მომავალი ფრიდრიხ ბარბაროსა შეარიგა. შემდეგ იგი პიზას ესტუმრა, სადაც მსაჯულის როლი შეასრულა სხვადასხვა კონფლიქტებში.

ამავე დროს იტალიაში ყოფნით ისარგებლა და მილანის მახლობლად „კიარავალეს" ცისტერციანელთა მონასტერი (იგივე კლერვო იტალიისთვის) დააარსა; ამის შემდეგ იგი კლერვოში დაბრუნდა; შემდეგ მესამედ აიღო გეზი იტალიისკენ. მან ბარიმდე იმგზავრა, შემდეგ კი კასინოს მთას (Monte Cassino) ეწვია. ანაკლეტის გარდაცვალებამ 1138 წელს ბოლო მოუღო პაპების ბრძოლას.

უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი ევროპაც არ იყო მივიწყებული. დიდი ირლანდიელი პრელატი წმინდა მალაქია წმინდა ბერნარის სანახავად კლერვოს ესტუმრა. ირლანდიაში ცუდი მდგომარეობა იყო. მალაქია სამშობლოში ოთხი ცისტერციელის თანხლებით დაბრუნდა, რომელთაც ცისტერციელთა პირველი მონასტერი უნდა დაეარსებინათ ირლანდიაში. გაკვრით ავღნიშნოთ, რომ წმინდა ბერნარი გარეული იყო აბელარის საქმეში. ეს ახალგაზრდა და ბრწყინვალე სწავლული იყო თუ არა მწვალებელი? ბერნარმა მისი დასჯა მოითხოვა. გაკვრით ავღნიშნოთ, რომ მრავალი გაუსაცლელის შემდეგ აბელარმა უკანასკნელი დღეები კლიუნიში გაატარა. იგი 1142 წელს იქვე აღესრულა და აბატმა პეტრე ლორსმა იმდენი გულისხმიერება გამოიჩინა, რომ მის ძველ მეგობარს, ცნობილ ელოიზას, ქალს, რომელიც „მასთან ერთ ბორცელია. შემდეგ კი ღვთიური სიყვარულის ძლიერი და წმინდა ძაფებით იყო დაკავშირებული", აბელარის საფლავის შემდეგ ტაძარში წერილი, სადაც მოთხრობილი იყო დაშორებულის უკანასკნელი ღღეების შესახებ.

წმინდა ბერნარი და ფრანცისკანელი ლაშქრობა. მეოთხე დიდი ძალისგალიერიანი ჩასაფრებულია. აქვთ ოთხმოცდა ერთი. ბერნარისგან. ეს წმინდა ფრანცისკა ქალაქებში ბევრი ადამიანი ევროპის დასავლეთში ეროვნულ ფრანცისკანელ ლაშქრობისთვის, რაც ჩასაფრებულია ბერნარისგან ეკლესიის საფარი. რომელიც ალეგორიის ეზოში. ასალი ფრანცისკანელ ფრანცა 1145 წელს პაპის ტახტი ფრანცისკანელ ეკლესია III-ს, რომელიც ერისკაცობაში პეტრე ბერნარი. ეკლესიაში ძველი გახლდათ და ბერნარმა დაარწმუნა, რომ

კლერვოს მონასტერში უნდა შესულიყო. ეს ერთგული მეგობარი იმ დიდ ძალას უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მეფეებს და სამეფოებს ადგილს უცვლიდა.

ედესის მარცხის ამბავი გაიგო თუ არა, ბერნარი კვლავ გზას დაადგა. საფრანგეთის მეფე ლუი VII, რომელსაც საკუთარი მეუღლის ალიენორ აკვიტანელის ხელში სადარდებელი არ აკლდა (დედოფალი მოგვიანებით ინგლისის მეფეს გაჰყვა ცოლად), თანახმა იყო გამგზავრებაზე.

1146 წლის 31 მარტს ღია ცის ქვეშ მოწყობილი ტრიბუნიდან ვეზლეში ბერნარმა წაიკითხა პაპის ბულა, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებდა. მოედანზე უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. საჭირო იყო იმპერატორის დარწმუნება: „თქვენ, კეისრის მსგავსად, ორი მოვალეობა გაკისრიათ: მეფის მოვალეობა, რომელიც თქვენი გვირგვინის დაცვაში მდგომარეობს და ეკლესიის დამცველის მოვალეობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეკლესია უნდა დაიცვათ".

სწერდა იგი მას.

ბერნარი ახალ იმპერატორთან, კონრადთან შესახვედრად გერმანიაში წავიდა. გზად მან ბოლო მოუღო მოძრაობას, რომელიც ჯვაროსნული ლაშქრობის გაფართოების საბაბით ცდილობდა ებრაელებიც ისეთივე მტრად დაესახა, როგორიც მუსლიმანები იყვნენ: „ისინი მაცხოვრის სისხლი და ხორცი არიან" - უპასუხა მათ ბერნარმა. მან გაიარა ბრისგაუ, კონსტანცი და რაინით კელნამდე ტრიუმფით იმგზავრა. 1146 წლის შობა დღეს მან ჩააღწია შპაიერში, სადაც კონრადს შეხვდა და დაარწმუნა იგი, „ჯვარი აეღო". ბერნარი კლერვოში დაბრუნდა და წერილები დაგზავნა ყველა მიმართულებით, რათა დანარჩენი ევროპის: ინგლისელების, რომელთაც ფლამანდელებთან თანხმობით ომი მოამზადეს ხმელთაშუაზღვისპირეთში, ზოგიერთი იტალიელი ეპისკოპოსის, ბოჰემიელების, ბავარიელების მობილიზება მოახდინა. ოდნავ მოგვიანებით, როდესაც მან შეიტყო, რომ აღმოსავლეთით, ელბის ზოლზე საქსები და მორაველები, ჩრდილოეთში კი დანიელები ბრძოლაზე ფიქრობდნენ, მათ მოელაპარაკა და დაარწმუნა ისინი, რომ წარმართ სლავებთან ადგილზე ბრძოლაც იგივე ჯვაროსნული ლაშქრობა იყო,

რადგანაც მეომრებისგან დაცლილი ევროპა აღმოსავლეთიდან ახალ შემოსევებს ვეღარ გაუმკლავდებოდა. აღმოსავლეთში საომრად მარტო ესპანელები არ მიდიოდნენ. მათ შინ ჰქონდათ საკუთარი ჯვაროსნული ლაშქრობა.

წმინდა ბერნარი, როგორც ევროპელი. ბერნარის საქმე არ იყო ჯარების სარდლობა. მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობას „ფრონტზე" წარმატება არ მოჰყოლია სტრატეგიული შეცდომებისა და აზრთა სხვადასხვაობის გამო. მოგვიანებით ბერნარმა გადაწყვიტა პირადად ეხელმძღვანელა სხვა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, მაგრამ ამ ევროპელს კლერვოში ყოფნა ყველაფერს ერჩია, თან ჯანმრთელობაც შერყეული ჰქონდა.

დღემდე საკვირველია, რომ იმ რწმენით აღსავსე საუკუნეში ადამიანმა, რომელიც თავისი ბუნებით ასკეტი იყო და ყველაფერი ღმერთს მიუძღვნა, შეძლო ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც *არა მარტო რელიგიურად, არამედ პოლიტიკურადაც აერთიანებდა ევროპულ თანამეგობრობას.*

ბერნარს ყურადღება არ გაუმახვილებია მაინცდამაინც საფრანგეთის დაცვაზე. ბერი გიბერ დე ნოჟანი, რომელიც საუბრობდა საგმირო საქმეებზე, რომელსაც ღმერთი ფრანკების მეშვეობით სჩადის (Gesta Dei per Francos) და ბერი-მინისტრი „ფრანგული" ტერმინებით აზროვნებდნენ. "ბერნარი ფეოდალად დაიბადა და ევროპელი გახდა. ერის ცნება მის ნააზრევში ნაკლებ ადგილს იკავებს, ვიდრე ეს გიბერთან ხდებოდა" (ჟორჟ გუაიო).

შეიძლება გაგვიკვირდეს, როცა ეს ასკეტი, რომელიც ცდილობდა მშვიდობა დაემყარებინა ეკლესიაში პაპის ძალაუფლების ფარგლებში, შეურიგებელ დამოკიდებულებას ავლენდა მუსლიმანების მიმართ. მას ღრმად და, რასაკვირველია, ფანატიკურად სწამდა, რომ ქრისტიანობას, რომელმაც იერუსალიმის დაპყრობით (შდრ. ქვემოთ) დაიბრუნა თავისი კანონიერი ქონება, ამიერიდან დიდი სიფხიზლე უნდა გამოეჩინა, რათა „შეუწყნარებელი შემოტევები" არ დაეშვა. მეომარი ბერების, ტამპლიერების შესახებ იგი ამბობდა, რომ „მათ, ქრისტეს ჯარისკაცებს, შეუძლიათ უფლისათვის

თავისუფლად იბრძოლონ; მათ არაფრის არ უნდა ეშინოდეთ, არც ცოდვისა, თუკი მტერს მოკლავენ, არც დანაკარგისა, თუ თავად დამარცხდებიან, რადგანაც ქრისტესათვის სიკვდილსა თუ მოკვდინებაში, ერთის მხრივ, დანაშაულებრივი არაფერია, მეორეს მხრივ კი ეს უდიდესი სახელია" (ახალი ლაშქრის ქება, III, სვეტი 924).

1153 წლის აგვისტოში, პაპი ევგენი III-ის სიკვდილიდან ერთი თვის თავზე დაუძლურებული ბერნარი გარდაიცვალა.

III. ჯვაროსნული ლაშქრობების ევროპა

ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა. ჩვენ უკვე ვიცნობთ პაპ ურბან II-ს და მის მოღვაწეობას. იგი განსაკუთრებით ცნობილია, როგორც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წამომწყები.

საეკლესიო კრების დროს, რომელიც 1095 წელს პლეზანსში შეიკრიბა და რომელსაც 4000 სამღვდელო და 30000 საერო პირი ესწრებოდა, მან ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის ელჩობა მიიღო. ალექსი დახმარებას სთხოვდა ყველა ქრისტიანს ურჯულო მუსლიმანების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთაც მისი იმპერიის დიდი ნაწილი მიიტაცეს.

ურბან III-ემ, რომელიც საფრანგეთში წასვლას აპირებდა (საიდანაც იგი იყო წარმოშობით), თავიდან დააპირა დახმარებოდა ბიზანტიელებს. მოგვიანებით კი თავში უფრო ამბიციური იდეა მოუვიდა: აღმოსავლეთში გაევრცელებინა ესპანური და პორტუგალიური Reconquista-ს თვალისმომჭრელი წარმატებები, რაც ტოლედოს (1085), ვალენსიის (1092) და ლისაბონის (1093) გათავისუფლებით დაგვირგვინდა.

საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში მოგზაურობისას იგი ჩავიდა პიუიში, რომლის ეპისკოპოსი ადემარ დე მონტეი მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურად დანიშნა. შემდეგ იგი კლიუნის ეწვია, სადაც ოდესღაც ბერად იყო შემდგარი და საეკლესიო კრება მოიწვია კლერმონში. სწორედ იქ, 1095 წლის 27 ნოემბერს, იმ ეკლესიიდან

გამოსვლისას, სადაც კრება ტარდებოდა, მიმართა მან ხალხს, რომელიც აღფრთოვანებით შეეგება იერუსალიმის ექსპედიციის გეგმას. ადემარ დე მონტეიმ და იქ მყოფმა რაინდებმა „ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლა" ივალდებულეს, რასაც სიმბოლურად აღნიშნავდა მათ მხარზე დაკერებული ჯვარი. საეკლესიო კრებამ გადაწყვიტა დაეცვა ლაშქრობის მონაწილეთა ქონება. ეს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა პაპის უზენაეს ნებასთან იყო დაკავშირებული, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ.

პაპს ჯვაროსნული ლაშქრობის მხედართმთავრობა სურდა, რადგან პირადად თვითონ არ მიდიოდა იერუსალიმში, მან გადაწყვიტა მართვის სადავეები ადემარ დე მონტეისთვის გადაეცა. ტრადიციის მიხედვით მეთაურობა იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს ერგებოდა, მაგრამ იგი ეკლესიიდან განკვეთილი იყო. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა საფრანგეთის მეფე ფილიპე I. თავის მხრივ,ინგლისის მეფე უილიამ წითურს არჩევანი არ ჰქონდა გაკეთებული პაპ ურბან II-სა და ანტიპაპ კლემენტი III-ს შორის. ადემარ დე მონტეის მოადგილედ ითვლებოდა ტულუზის გრაფი რემონ დე სენ-ჟილი.

მაშასადამე, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა ერთის მხრივ გაერთიანების ცდა იყო; მეორეს მხრივ მას შემოჰქონდა უკვე ცნობილი, მაგრამ იშვიათად ხმარებული ცნება - „წმინდა ომი", რაც ეკლესიის მშვიდობიან ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა. ამაზე სახიფათო ცნება არ არსებობს, იმიტომ, რომ თუნდაც მიზანი დაჩაგრულ ძმათა დახმარება იყოს, ფანატიზმმა შეიძლება აუტანელ სისასტიკემდე მიგვიყვანოს.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა. პაპმა მხოლოდ ერთი არმიის გაგზავნა გაითვალისწინა, მაგრამ მას სამი სხვაც შეუერთდა: სამეფო დომენის ფრანგები მეფის ძმის წინამძღოლობით და ნორმანდიის და ფლანდრიის გრაფების თანხლებით; ჩრდილოელი ფრანგები, ლოთარინგიელები და გერმანელები გოდფრუა დე ბუიონის (გოტფრიდ ბულონელის), ქვემო ლოთარინგიის ჰერცოგის მეთაურობით, რომე-

ლიც იერუსალიმის პირველი ქრისტიანი მმართველი გახდა და ბოლოს სამხრეთ იტალიელი ნორმანები.

ფეოდალური სამყარო ასე ფართოდ გამოეხმაურა პაპის მოწოდებას. ღრმა რწმენას, თავგადასავლების წყურვილს ემატებოდა მრავალი უმიწაწყლო ადამიანის, განსაკუთრებით ნორმანდიელი და სიცილიელი ნორმანების, რომელთა ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი ძალიან მაღალი იყო, სურვილი რაიმე მამული ჩაეგდოთ ხელში და აღმოსავლეთის საარაკო სიმდიდრეს (ასეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი აღმოსავლეთს) დაუფლებოდნენ. მათ დაემატა დამშეული გლეხების დიდი ჯგუფი, რომლებიც პიკარდიელმა ბერმა, პიერ განდეგილმა წააქეზა. ისინი თავიანთი ურმებით და ოჯახებით გაემგზავრნენ. ხალხში რწმენა მართლაც მძლავრობდა, მაგრამ ამ ურდომ ძალადობის აქტებიც ჩაიდინა, განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც ებრაელები ამოწყვიტა.

რაინდების ექსპედიცია გენუაში დაქირავებული გემებით გაემგზავრა. მათ თავი მოიყარეს კონსტანტინოპოლში, სადაც იმპერატორ ალექსის უკმაყოფილება გამოიწვიეს იმით, რომ მის გამო კი არ ჩამოვიდა ეს ხალხი, არამედ თავიანთი მიზნების გამო. მათ ბოსფორი გადალახეს და იერუსალიმისკენ მცირე აზიის და სირიის გავლით გაემართნენ.

ლეგატი ადემარ დე მონტეი შავი ჭირისგან გარდაიცვალა, რამაც მეთაურებს შორის შუღლის ჩამოგდებას შეუწყო ხელი; ზოგმა საბოლოო მიზანი დაივიწყა და სამთავროების დაპყრობა განიზრახა (ედესა, ანტიოქია). ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს 1099 წლის 7 ივნისს და თავიანთ დიდებას ჩრდილი მიაყენეს საშინელი ხოცვა-ჟლეტით, რომლის დროსაც, მემატიანეების გადმოცემით, ნამდვილი სისხლის მდინარეები დიოდა.

ავღნიშნოთ, რომ ძალიან მალე პაპმა დააწესა ლათინი პატრიარქის თანამდებობა იერუსალიმში, მაგრამ ამით ვერ შეძლო პოლიტიკური ძალაუფლების უზრუნველყოფა. გოტფრიდ ბულონელის სიკვდილის შემდეგ იერუსალიმის მეფის ტახტი მისმა ძმამ, ბოდუენ ბულონელმა დაიკავა.

ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი შედეგი იყო ლათინურ და ბერძნულ ქრისტიანულ სამყაროებს შორის დავის მოსპობა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ბერძენი მაღალი სამღვდელო პირების თანდათანობითი მოცილება ბიზანტიელებში ღრმა გულისტკივილს იწვევდა. ქრისტიანთა ამ ორმა დაჯგუფებამ ვერ შეძლო გაერთიანება ისლამის წინააღმდეგ. მომავალში ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთის ქრისტიანული სამეფოების და სამთავროების დასახმარებლად ხორციელდებოდა. პირველი ლაშქრობისგან განსხვავებით, ვერასოდეს ვიხილავთ ასე თუ ისე გაერთიანებულ დასავლეთის ქრისტიანობას, როგორც საერთაშორისო წამოწყების ერთიან მონაწილეს. როცა რამდენიმე ქვეყნის მბრძანებელი ცდილობს კავშირი შეკრას ერთმანეთთან, საქმე ყოველთვის უთანხმოებით მთავრდება.

მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა და სხვა ლაშქრობები. გავიხსენოთ, რომ წმინდა ბერნარის (1147-1149) მიერ ნაქადაგები მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მიზანი იყო ედესის დაბრუნება და დამასკოს აღება. ლაშქრობას მეთაურობდნენ საფრანგეთის მეფე ლუი VII და გერმანიის იმპერატორი კონრადი. ფრანგ და გერმანელ რაინდებს შორის უთანხმოებები მარცხით და ევროპაში დაბრუნებით დამთავრდა. 1187 წელს ეგვიპტის მუსლიმანმა მბრძანებელმა სალადინმა იერუსალიმი დაიბრუნა, რამაც მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის (1189-1192) დაწყება გამოიწვია, რომელსაც საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტი,ინგლისის მეფე, რიჩარდ ლომგული და იმპერატორი ფრიდრიხ ბარბაროსა წინამძღოლობდნენ. ეს უკანასკნელი კილიკიაში მოკლეს 1190 წელს. როდესაც რიჩარდი და ფილიპ ოგიუსტი სენ-ჟან-დ'აკრში ჩავიდნენ, კამათი მოუვიდათ და მარტო დარჩენილმა რიჩარდმა ვერ შეძლო იერუსალიმის დაბრუნება.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ხელი შეუწყო ახალი, ბერი-რაინდების რელიგიური ორდენების დაარსებას: ტამპლიერების ორდენი 1118 წელს იქნა დაარსებული და სენ-ჟან დ'აკრიდან და კვიპროსიდან მთელ ევროპაში გავრცელდა,

სადაც ტამპლიერები ექვს ათას სახლზე მეტის მფლობელები იყვნენ და უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვეს, სანამ პაპი კლემენტი V და მეფე ფილიპ ოგიუსტი ორდენს გააუქმებდნენ 1132 წელს. XI საუკუნის დასაწყისში შექმნილმა იერუსალიმის წმინდა იოანეს რაინდების, ანუ „ჰოსპიტალიერების" ორდენმა ბასტიონივით შეინარჩუნა დიდი კუნძული როდოსი და მრავალი დაწესებულება დააარსა ევროპაში. კარლ V-ის ეპოქაში როდოსიდან გაძევებულმა ბერებმა პატარა სუვერენული სახელმწიფო შექმნეს კუნძულ მალტაზე და „მალტის ორდენის რაინდები" ეწოდათ. „ტევტონი რაინდები", რომელთა ორდენი სენ-ჟან დ'აკრში დაფუძნდა დაახლოებით 1190 წ. (Deutsche Ritterordnung) დაფინანსებული იყვნენ ბრემენის და ლიუბეკის მოქალაქეების მიერ. ისინი იტალიაში, უნგრეთში, ტრანსილვანიაში მოღვაწეობდნენ, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურად გერმანიაში, სადაც ფრიდრიხ II-მ მათი დიდი მაგისტროსი პრინცად გამოაცხადა. ისინი პრუსიაში იქნენ მიწვეული, სადაც ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემელი მოსახლეობა გააქრისტიანეს და თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლება დაამყარეს. ისინი 1237 წელს შეუერთდნენ „მახვილოსან რაინდებს" და ფართოდ გავრცელდნენ ესტონეთში, ლივონიასა და კურლანდიაში. ამას ორდენის დაკნინება მოჰყვა. 1537 წელს დიდი მაგისტროსი ალბერტ ბრანდერბურგელი ლუთერის მიმდევარი გახდა, ცოლი შეირთო და ძალაუფლება აიღო ხელში, რათა თვითონ და მისი შთამომავლები გამეფებულიყვნენ.

IV. „მათხოვრული ორდენები" და მისიები

დომინიკელები. ძლიერი რწმენის ეპოქაში მორწმუნეები ისეთ მნიშვნელოვან შეწირულობებს უძღვნიდნენ ეკლესიამონასტრებს, რომ იქ დიდი სიმდიდრე გროვდება. იგი ფულიან ადამიანებს იზიდავს და აცდუნებს. ამით ზოგიერთი მორწმუნე აღშფოთებულია. ასე შეიქმნა ნელ-ნელა ერეტიკული სექტები, რომლებიც სიღატაკეს ქადაგებენ და ამ იდეას ცხოვრებაში ატარებენ. მათგან ყველაზე ცნობილები

არიან საფრანგეთის სამხრეთში მცხოვრები კათარები და ვალდენსები. განა ისინი ძალის გამოყენებით უნდა გაენადგურებინათ? - ასეთი იყო ალბიგოელთა ჯვაროსნული ლაშქრობა მათ წინააღმდეგ სიმონ დე მონფორის ხელმძღვანელობით (1208-1215). - თუ ისინი ეკლესიაში უნდა დაებრუნებინათ?

ზოგიერთი სექტა პაპების მიერ ცნობილი იქნა. ესენი იყვნენ ლომბარდიელი „დამცირებული ღატაკები", „ლიონის ღარიბები", „საწყალი კათოლიკები".

ბურგოსის პროვინციის ქალაქ კალარუეგაში 1170 წელს დაბადებულმა ესპანელმა მღვდელმა დომინიკუსმა, რომელიც გუსმანების წარჩინებულ ოჯახს ეკუთვნოდა, სხვა მეთოდი გამოიგონა; თავის ეპისკოპოსთან დიდას დ'ოსმასთან ერთად (იგი მისი ტაძრის ქვე პრიორი იყო) მას სურდა კუმანების (კარპატებსა და შავ ზღვას შორის მოსახლე ხალხების) გაქრისტიანება. ისინი რომს გაემგზავრნენ, სადაც ინოკენტი მესამემ მათ დაავალა არა კუმანების, არამედ კათარების გაქრისტიანება.

ინოკენტი III ისინი 1205 წლის ზაფხულში მიიღო. მათი საუბრის შედეგად დაიბადა იდეა, რომ შეექმნათ „მოქალაქეთა ორდენი", რომელიც კათართა წინასწარმეტყველების მსგავსად სრულ სიღატაკეში იცხოვრებდა, არავითარ ქონებას არ დააგროვებდა, მხოლოდ ღვთის და გულმოწყალების, ქველმოქმედების იმედად იქნებოდა. ისინი ივლიდნენ „მორჩილად, იმოქმედებდნენ და იქადაგებდნენ უფლის მაგალითის მიხედვით, ფეხით, ოქროს და ვერცხლის გარეშე მოივლიდნენ ქვეყანას და მათთვის ყველაფერში სამაგალითო იქნებოდა მოციქულთა ცხოვრება". პაპ ინოკენტი III-ის 1206 წლის 17 ნოემბრის ბულამ დაადასტურა ამ ახალი ტიპის ორდენის შექმნა და პირველი ორმოცი ბერი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. დიდასი 1207 წელს, ხოლო დომინიკუსი 1221 წელს გარდაიცვალა.

ინკვიზიცია. წმინდა დომინიკუსი ასოცორდება ეკლესიის ახალ ინსტიტუტთან, რომელმაც მომავალში უარყოფითი როლი ითამაშა: ეს იყო ინკვიზიცია. პირველი ინკვიზიტო

X. ქრისტიანები, ერეტიკოსები და რელიგიის მეტრები განვითარებულ შუა საუკუნეებში



რები სიტოს (ცისტერციელი) ბერები იყვნენ. 1215 წელს დომინიკუსმა პაპისგან გენერალური ინკვიზიტორის ტიტული მიიღო. ინკვიზიცია წარმოადგენდა სასამართლოს, რომელსაც ევალებოდა ერესის (მწვალებლობის) აღმოჩენა და დასჯა. საფრანგეთში მისი გავრცელება არ იყო ხანგრძლივი, 1221 წელს ინკვიზიციამ იტალიაში შეაღწია, შემდეგ გერმანიაში და ესპანეთში, სადაც ყველაზე მეტად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 1232 წელს იგი კატალონიაში შემოიღეს. 1481 წელს კათოლიკე მეფეებმა ფერდინანდმა და იზაბელამ მისი რეორგანიზაცია მოახდინეს „წმინდა ოფისის" სახელწოდებით. დომინიკელი კარდინალი ტორკვემადა ქალაქ ვალადოლიდან დიდ ინკვიზიტორად დაინიშნა. მისი მეთაურობით გატარებული რეპრესიები ცნობილია თავისი სამწუხარო შედეგებით: დომინიკუსის მიერ დასახული მიზნიდან მისი ქმედებები ძალიან დაშორებული იყო.

დომენიკელთა წესდება. დომენიკელთა წესდება, რომელიც წმინდა ავგუსტინეს კანონიკთა წესდებით იყო შთაგონებული, მხოლოდ 1217 წელს დადგინდა ტულუზის დიდი ეპისკოპოსის, ფულკის დახმარებით. მქადაგებელი ბერების, ანუ დომენიკელების ორდენმა თავიდანვე დიდი წარმატება მოიპოვა. წმინდა დომინიკუსმა მონაზონ ქალთა ორდენიც დააარსა. 1217 წელს მან ბერები გაგზავნა ესპანეთსა და პარიზში, თვითონ კი რომში დაიდო ბინა. მათ მრავალი მონასტერი დააარსეს. 1221 წელს დომენიკელები რაინისპირეთში ჩავიდნენ. მალე მათი მონასტრები იტალიაში, ინგლისში, პოლონეთში, უნგრეთში გაჩნდა. 1221 წელს დომენიკელები ითვლიდნენ 500 ბერს და 100 მონაზონ ქალს, რომლებიც 8 ქვეყანაში იყვნენ განაწილებული. ეს ქვეყნები იყო: ესპანეთი, საფრანგეთი, პროვანსი, ლომბარდია, რომი, გერმანია, ინგლისი და უნგრეთი. 1228 წლიდან ამ სიას კიდევ 4 დასახელება დაემატა: წმინდა მიწა, საბერძნეთი, პოლონეთი, დაკია (სკანდინავია). მათი რიგებიდან მრავალი პაპი და ძალიან დიდი სწავლული გამოვიდა. დავასახელოთ, მაგალითად ალბერტ დიდი და წმინდა თომა აკვინელი. დომინიკელთა ძალა, ბრწყინვალება მათ ინტელექტუალურ

მომზადებაში იყო, რამაც მათ საშუალება მისცა შესანიშნავი ქადაგებები ეწარმოებინათ.

ფრანცისკელები. მეორე დიდი მათხოვრული ორდენი ძალზე განსხვავებულმა პიროვნებამ, ფრანცისკ ასიზელმა დააარსა უმბრიაში. ფრანცისკი 1182 წელს დაიბადა მაუდის მდიდარი ვაჭრის ბერნარდონეს ოჯახში. თავიდან იგი მდიდარი მოქალაქის შეძლებული ცხოვრებით ცხოვრობდა, თავს იკავებდა მფლანგველობისგან, სიღარიბისგან ძალიან შორს იდგა. პერუზასა და ასიზის ბრძოლაში იგი მონაწილეობდა და 1202 წელს ტყვედ ჩავარდა. განთავისუფლების შემდეგ მას სურდა სამხედრო კარიერა გაეგრძელებინა და თავადის ტიტული მიელო, მაგრამ 23 წლის ასაკში, ხილვის შედეგად ასიზის ერთ-ერთ გამოქვაბულში განმარტოვდა, ცოდვები მოინანია და გაიგონა „ქალბატონ სიღატაკის" ძახილი. 1206 წელს ძონძებში გახვეული ფანატიკოსი სალოცავად რომში წავიდა, გზადაგზა ლუკმაპურს თხოულობდა, რითაც თავისიანების რისხვა დაიმსახურა. 1209 წელს წირვის ჩატარებისას მას უფლის სიტყვა ჩაესმა: „ქამარში არ ჩაედოთ არც ოქრო, არც ვერცხლი, არც ხურდა ფული, ნურც საგზაო ჩანთა გექნებათ, ნურც ორი ხელი ტანისამოსი, ნურც ფეხსაცმელი, ნურც ჯოხი. თუ რომელიმე სახლში შეხვალთ, ასე მიესალმეთ: „მშვიდობა იყოს ამ სახლში".

იტალიელი ასკეტების და კერძოდ, წმინდა პეტრე დამიანეს მოწაფე ფრანცისკ ასიზელი მათგან იმით განსხვავდებოდა, რომ ცდილობდა თავისი იდეალი მრავალი ადამიანისთვის გაეზიარებინა და თავის მთავარ მოწოდებად ქადაგებას მიიჩნევდა. იგი ამაოდ ეცადა სირიაში და შემდეგ მაროკოში ჩაეღწია. მოგვიანებით ეგვიპტეში,დამიეტში ამაოდ შეეცადა მსხვერპლად შეწირვოდა ერთ წამებულს, შემდეგ კი სალოცავად წავიდა იერუსალიმში. მან შეძლო მრავალი ახალგაზრდა კაცისათვის შთაეგონებინა ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა და ერთი ახალგაზრდა ქალიშვილიც აზიარა თავის იდეებს. ეს იყო ასიზის მდიდარი ოჯახის ასული, კლარა დე ფავორინო, რომელმაც მისი

ხელმძღვანელობით კლარისების ქალთა სამონაზვნო ორდენი დააარსა.

მისიონერები. მოხეტიალე მქადაგებლებს თავიდან ძალიან ცუდად ხვდებოდნენ, მაგრამ როდესაც 1210 წელს ფრანცისკ ასიზელი პაპ ინოკენტი III-ს შეხვდა, იგი ამის აუცილებლობაში დაარწმუნა, როგორც 4 წლით ადრე დომინიკუსმა. შეიქმნა „მინორისტების ძმობის" (უმცროსი ძმები), ანუ ფრანცისკელთა ორდენი. მათი წესდება 1223 წელს დადგინდა. მანამდე ინდივიდუალიზმი სჭარბობდა, რაც დიდად ანაღვლიანებდა ფრანცისკს, იწვევდა რა უწესრიგობებს. წესდების მიღების შემდეგ „უმცროსი ძმები" დიდი წარმატებით მოღვაწეობდნენ და მათი რიცხვი ათასობით ითვლებოდა. იტალიიდან ისინი საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიასა და უნგრეთში მიმოიფანტნენ. ფრანცისკი 1226 წელს გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც დაწერა „მზისადმი მიძღვნილი საგალობელი" და მიიღო „ჯვრის სტიგმატები". პაპები გრიგოლ IX (1227-1241) და ინოკენტი IV (1243-1254) ხვდებოდნენ, როგორ შეიძლებოდა ფრანცისკის მრავალრიცხოვანი და ერთგული მიმდევრების გამოყენება მათი რწმენის გასავრცელებლად არა მარტო ევროპაში, არამედ შორეულ ქვეყვებშიც. მართალია, ისინი ჯერ კიდევ კეთილგანწყობით უყურებდნენ ჯვაროსნული ლაშქრობების მეთოდს, მაგრამ ნელ-ნელა შემობრუნდნენ მოციქულობისკენ მისიონერთა მეშვეობით. „ჩვენ გვწამს, წერდა გრიგოლ IX ფრანცისკელებს 1238 წელს, რომ უფლის თვალში ისევე საქებია ურწმუნოთა მოქცევა საღვთო სიტყვის გასაზიარებლად, როგორც სარკინოზთა ურწმუნოების მოსპობა იარაღის საშუალებით". ფრანცისკი საქადაგებლად ეგვიპტესა და სირიაში გაემგზავრა. დომინიკუსმა 1203 წელს დანიაში იქადაგა. დომინიკუსის მემკვიდრეებმა, რომლებიც ორდენის სათავეში იდგნენ: იორდანე საქსონელმა (გერმანია), რაიმუნდ დე პანიაფორმა (კატალონია), იოჰან ტევტონმა (გერმანია), იუმბერ დე რომანმა (საფრანგეთი) თავიანთი ბერები ყველა მიმართულებით დააგზავნეს და ფრანცისკელებიც ასე მოიქცნენ. წმინდა მიწაზე, კონსტანტინოპოლში, კეპ-

როსზე, ანტიოქიაში, ბაღდადში, ეგვიპტეში მრავალი მონასტერი დაარსდა. დომინიკელები ტუნისსა და მაროკოშიც ჩავიდნენ. ესპანეთში, ტოლედოს დომინიკელმა კაპიტულმა რვა ბერს დაავალა არსებული ენის შესწავლა. დომინიკელთა მისიები კუმანებთანაც ჩადიოდა, მაგრამ ეს უკანასკნელნი მონღოლებმა გაანადგურეს და ბევრი მისიონერიც ამოჟლიტეს. პაპობამ მისიონერები მონღოლებთანაც გააგზავნა, რათა ერთდროულად საფრთხეც აეცილებინათ თავიდან და ისინიც ქრისტიანებად მოექცინათ. ჩრდილოეთ ევროპაში ფრანცისკელებმა მხარი დაუჭირეს „ტევტონ რაინდებს" (შდრ. ქვემოთ) და დანციგიდან დაწყებული, გააქრისტიანეს პრუსია, პომერანია, ლივონია, ესტონეთი, კურლანდია, ფინეთი. 1245 წელს დაინიშნა „პრუსიის არქიეპისკოპოსი". ეპარქიები განაწილდა დომინიკელებს, ფრანცისკელებს და ტევტონთა ორდენებს შორის. დომინიკელები კიევშიც კი მოღვაწეობდნენ.

V უნივერსიტეტების ევროპა

სამონასტრო და საეპისკოპოსო სკოლები. სწორედ სამონასტრო სკოლების მეშვეობით მოვიდა ჩვენამდე ანტიკური ლიტერატურის ნიმუშები დასავლეთ რომის

იმპერიის დაცემის შემდეგ. ჩვენ ვნახეთ, რომ VI საუკუნეში ირლანდიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ კულტურის შენარჩუნების საქმეში. მიუხედავად ამისა, ეს სკოლები ისე აღარ ჰყვაოდა, ჯერ კლიუნი და შემდეგ სიტო (ცისტერციელები) დიდად აღარ ინტერესდებოდნენ განათლების პრობლემებით. ისინი ზოგიერთმა საეპისკოპოსო სკოლამ ჩაანაცვლა. ესენი იყო რეიმსის, შარტრის, პარიზის, ლანის, ანჟერის, ბურჟის, ორლეანის, მონპელიეს სკოლები საფრანგეთში, კენტერბერის და დარჰემისა - ინგლისში, ტოლედოს, სალამანკის და პალენსიისა - ესპანეთში, სადაც არსებულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას შეისწავლიდნენ, ბოლონიის და რავანის სკოლები, რომლებიც რომაული სამართლის ცენტრებს წარმოადგენდნენ იტალიაში, სალერნოს მედიცინის ცენტრი, ნეაპოლი და ა.შ.

უნივერსიტეტების დაარსება. ამასობაში სტუდენტთა სულ უფრო მზარდმა რაოდენობამ, დამოუკიდებლობის ზრდამ ეპისკოპოსებთან და საერო ხელისუფლებასთან მიმართებაში, კორპორაციულმა სულისკვეთებამ, რომელიც ყველგან ვრცელდებოდა XII და XIII საუკუნეებში, უნივერსიტეტების დაარსებამდე მიგვიყვანა.

უნივერსიტეტი იყო ახალი ტიპის კორპორაცია,რომელიც აერთიანებდა მასწავლებლების და სტუდენტების მთელ რაოდენობას (Universitas). მას უნდა უზრუნველეყო კავშირი განათლებასა და ქალაქს შორის, მაგრამ მათ შორის მთავარი უნივერსიტეტები სტუდენტებს მთელი ევროპიდან ღებულობდნენ და პაპების წყალობით უფლება ჰქონდათ ესწავლებინათ ყველგან (Licentia ubique docendi).

მაშინ, როდესაც მუშები და ხელოსნები მუნიციპალიტეტის მიბაძვით ხელობების მიხედვით ერთიანდებიან, რათა თავიანთი ინტერესები დაიცვან, მასწავლებლები და „მოსწავლეები" უნივერსიტეტში იკრიბებიან.

XIII საუკუნის უნივერსიტეტებს ჭეშმარიტად ევროპული ხასიათი ჰქონდა; XIV და XV საუკუნეებში ისინი უფრო ეროვნულები გახდა. პარიზში არსებული ხელოვნების ფაკულტეტი, რომელსაც რექტორი განაგებდა, პირველად განათლებას (14-დან 20 წლამდე), ორი წლის გასვლის შემდეგ კი ბაკალავრის მოწმობას იძლეოდა. ამის შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად სტუდენტს ერთერთი ფაკულტეტი უნდა აერჩია სამიდან: კანონიკური სამართალი ანუ დეკრეტი; მედიცინა; თეოლოგია.

მედიცინას და სამართალს ოცდან ოცდახუთი წლის ასაკამდე სწავლობდნენ. თეოლოგიის შესწავლა 15 წელიწადს მოითხოვდა და სადოქტორო ხარისხს მხოლოდ 35 წლის ასაკის შემდეგ ანიჭებდნენ. თითოეულ ფაკულტეტს თავისი დეკანი განაგებდა.

ასეთი იყო ძირითადად ფუნქციების განაწილება და სწავლების ორგანიზება ყველა უნივერსიტეტში, თუ მცირეოდენ განსხვავებებს არ მივიღებთ მხედველობაში. პაპების მფარველობის წყალობით უნივერსიტეტებს ხარისხის მინიჭების მონოპოლიური უფლება ჰქონდათ. ისინი იურიდიული

და საგადასახადო (ფისკალური) პრივილეგიებით და შელავათებით სარგებლობდნენ.

მთელ ევროპაში დაახლოებით ერთი და იგივე ხარისხის მინიჭება ხდებოდა: ბაკალავრი, ლიცენციატი (licentia docendi), დოქტორი. ლიცენციატი მაგისტრის (magister) ხარისხის მიღების საშუალებას იძლეოდა.

მდიდარი სტუდენტები ქალაქში ცხოვრობდნენ მსახურებთან ან გუვერნიორებთან ერთად. ნაკლებად შეძლებულნი ცხოვრობდნენ „კოლეჯებში" (ეს იყო მეცენატების მიერ დაარსებული დაწესებულებები), სადაც მოკრძალებული საცხოვრებელი პირობები და კვება ელოდათ. ღარიბები ხანდახან ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ.

სწავლება მიმდინარეობდა ლექციების (lectio), დისკუსიების (disputatio), კითხვების (questiones) საშუალებით. ლექციები ხანდახან იყო „გამოქვეყნებული". სახელმოხვეჭილი მასწავლებლები, ხშირად ერთმანეთს ექიშპებოდნენ სტუდენტების აყვანაში. მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც, ყველას „კლერკი" ერქვა. სწავლების ენა, ცხადია, ლათინური იყო. მთლიანად ამ სამყაროში გამეფებული იყო ძალიან თამამი, დაუდეგარი სწრაფვა თავისუფლებისკენ, რაც შემდგომი საუკუნეების მანძილზე ევროპული სულის დამახასიათებელი ნიშანი გახდა. მაშინ ინტელექტუალთა ჭეშმარიტი „ინტერნაციონალი" არსებობდა.

უნივერსიტეტებს ყოველთვის აკლდა შენობები. ხშირად თვითონ მასწავლებლები ქირაობდნენ დარბაზებს, სადაც ძლივს ეტეოდნენ სტუდენტები. ისინი უბრალო სკამებზე და ხშირად თივაზეც კი ისხდნენ ხოლმე. მათ ძალინ მარტივი საწერი საშუალებები ჰქონდათ, მაგრამ თანდათანობით პერგამენტი უფრო თხელი და თეთრი გახდა; ხის კალმები ბატის ფრთამ შეცვალა. სერიულად დაიწყეს რვეულების დამზადება (ცხვრის ტყავის, percia-ს ოთხ ფურცლად კეცავდნენ), ასეთნაირად ორმოციოდე მწერალს შეეძლო მცირე ტირაჟის უზრუნველყოფა. რაც შეეხება ქაღალდს ერთგვაროვანი ზედაპირით, რომელიც 15-ჯერ იაფი ღირდა პერგამენტზე და რომელსაც ჩინელები დიდი ხანია იცნობდნენ, მან ევროპაში მხოლოდ დიდი უნივერსიტეტების დაარ-

სების შემდეგ ჩამოაღწია. გაჩნდა მერქნის საფქვავი დანადგარები ესპანეთში, ე.წ. „ქაღალდის წისქვილები", საცივაში (1238 წ.) არაბების გავლენით, იტალიაში (ფაბრიანო, 1268 წ.), საფრანგეთში (ტრუა, 1338 წ.), გერმანიაში (1390 წ. ნიურნბერგი).

საუნივერსიტეტო სტატუსი ითვალისწინებდა ფართო დამოუკიდებლობას საეპისკოპოსო ხელისუფლებასთან მიმართებაში. „პრივილეგიები", რომლებიც ამ დამოუკიდებლობის გარანტიას იძლეოდა, მეფეებისა და პაპების მიერ იყო ბოძებული.

ბოლონიის უნივერსიტეტი. პირველი სამი უნივერსიტეტი ბოლონიაში, პარიზსა და ოქსფორდში დაარსდა. როგორ მოხდა ეს? ისინი უთუოდ საეპისკოპოსო სკოლებთან აღმოცენდა და ხშირად ეს პროცესი ხანგრძლივ დროს მოითხოვდა.

რომაული და კანონიკური სამართლის სახელგანთქმულმა ცენტრმა, ბოლონიამ თავისი პირველი წესდება ფრიდრიხ ბარბაროსასგან მიიღო 1158 წელს, თუმცა მას მეტოქეები ჰყავდა პადუის, ვერჩელის და განსაკუთრებით ნეაპოლის სახით, რომელსაც იმპერატორი ფრიდრიხ II უჭერდა მხარს.

ამ ცენტრების მიმართულებით სტუდენტების ემიგრაციისათვის ხელი რომ შეეშალათ, პაპებმა წესდება გააუმჯობესეს პროფესორების, Antiqui Doctores-ს ან „მასწავლებელ-რეგენტების" დახმარებით, რომლებიც 1179 წელს შეიკრიბნენ. ამ პროფესორებს მხარს უჭერდა ბოლონიის კომუნა. სამაგიეროდ სტუდენტები დაჟინებით ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი უფლებები მასწავლებლების წინაშე პაპის წმინდა სამსჯავროზე, რომელიც ცდილობდა პოლიტიკურად გაბატონებული ყოფილიყო ბოლონიაზე.

სწავლა და ხარისხების მინიჭება პრინციპში უფასო იყო, თუმცა მიღებული იყო მასწავლებლებისთვის საჩუქრების მირთმევა.

XIII საუკუნეში პაპებმა გაილაშქრეს ამ ჩვეულების წინააღმდეგ და დადგენილი ხელფასები დააწესეს. ძალიან

მალე უნივერსიტეტის მართვა ხელში ჩაიგდო სტუდენტთა გაერთიანებამ, სტუდენტებმა კი მორჩილების ფიცი დადეს,

ბოლონიამ სახელი მოიხვეჭა XII საუკუნიდან. როლანდო ბანდინელი, მომავალი პაპი ალექსანდრე III, რომელიც ფრიდრიხ ბარბაროსას (1159-1181) თავგამოდებული მეტოქე იყო, იქ საეკლესიო სამართალს ასწავლიდა 1500 წლამდე. მის შემდეგ აქ მიიღო განათლება ლოთარ სენიმ, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო 1198-1216 წლებში შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძლიერესი პაპი, ინოკენტი III გახდა. ინოკენტი II-ის ძმისწული გრიგოლ IX (1227-1241) აგრეთვე ბოლონიაში განსწავლული დიდი იურისტი გახლდათ. 1231 წლის ბულამ „Parents scientiarum" (მეცნიერებათა მამა) განაზოგადა უნივერსიტეტების სტატუსი.

პარიზის უნივერსიტეტი. მეორე უნივერსიტეტი პარიზში დაარსდა საკათედრო სკოლის ბაზაზე და მოკლე ხანში დიდი გავლენა მოიპოვა მთელი ევროპის მასშტაბით. XII საუკუნის ბოლოსთვის სტუდენტების რიცხვი ძალზე გაიზარდა და მათ დასახლება დაიწყეს სენის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ახალ უბანში, წმინდა ჟენევიევის გორაკზე. ეს იყო ბობოქარი ბუნების მოხეტიალე, მხიარული, სუფრული და უხეში პოეზიის მოყვარული, ეროტიული, ანტიკლერკალი ახალგაზრდობა, რომელთაც „გოლიარდებს" (Goliards) უწოდებდნენ. მათ მთელი ლიტერატურა შექმნეს სხვადასხვა ენებზე: Carmina Burana(ფრანგული), „კემბრიჯელი მომღერალი" (ინგლისური) და „ბენედიქტელთა საabატოს ხელნაწერი" მიუნხენში (გერმანული). ეს სტუდენტური ტენდენცია ყოველთვის ვლინდებოდა ევროპაში ისე, რომ ზიანს არ აყენებდა უნივერსიტეტების სერიოზულ ნაშრომებს.

1179 წელს პაპმა ალექსანრე III-მ დაადგინა, რომ პარიზში განათლება უფასო და თავისუფალი უნდა ყოფილიყო. 1200 წელს ფილიპ ოგიუსტმა სტუდენტები სამეფო იურისდიქციას დაუქვემდებარა. 1208 წელს გაჩნდა მაგისტრთა უნივერისტეტი, Universitas Magistorum. ინოკენ-

ტი III-ის ლეგატმა რობერ დე ურსონმა 1215 წელს შემოიღო კანონი „პარიზის ყველა მასწავლებლისა და სტუდენტისთვის" (Universis magistris et scolaribus parisiensibus). 1922 წელს უნივერსიტეტი ყველა უფლებით აღიჭურვა.

ოქსფორდის უნივერსიტეტი. ოქსფორდი თავიდან პარიზის უნივერსიტეტის ფილიალი იყო. ოსნეს (Oseney) სააბატოს ირგვლივ. მისი წარმოშობა დაკავშირებულია პარიზელ სტუდენტთა ემიგრაციასთან 1167 წ. პაპის ლეგატის ქარტიამ 1214 წ. იურიდიულად განამტკიცა მისი არსებობა. სიტყვა უნივერსიტეტი იქ პირველად 1219 წელს იქნა ნახმარი. პაპის მიერ დანიშნულმა რექტორმა ითავა მისი მართვა. ერთ-ერთი პირველი რექტორი იყო ლინკოლნის სწავლული ეპისკოპოსი რობერტ გროსტესტი.

სხვა უნივერსიტეტების დაარსება. ამ სამი უნივერსიტეტის შემდეგ იტალიაში დაარსდა პადუის (1222), სიენის (1246), ვერჩელოს, დარეცოს, რომის, ნეაპოლის უნივერსიტეტები. 1300 წლის შემდეგ მათ დაემატა პერუჯის, პიზის უნივერსიტეტები; საფრანგეთში ორლეანის (1229) უნივერსიტეტი, რომელიც ძალზე ძლიერი იყო იურისპრიდენციაში, ანჟერის (1231), მონპელიეს (1220-1240) უნივერსიტეტები, სადაც უკვე არსებობდა მედიცინის სახელგანთქმული სკოლა. 1229 წელს გრაფმა რემონ III ტულუზელმა ამ ქალაქში დააარსა უნივერსიტეტი კათარი და ალბიგოელი ერეტიკოსების წინააღმდეგ საბრძოლველად. XIV საუკუნეში შეიქმნა კაორის, გრენობლის, ავინიონის უნივერსიტეტები. XII საუკუნის დასაწყისში ოქსფორდს გამოეყო მისი მომავალი დიდი მეტოქე კემბრიჯის უნივერსიტეტი.

პორტუგალიაში კოიმბრაში XII საუკუნიდან არსებული სკოლა უნივერსიტეტად გადაკეთდა XIII საუკუნეში და ლისაბონში გადავიდა.

ესპანეთში პირველი უნივერსიტეტები სალამანკაში, ვალენსიაში, ლერიდასა და პერპინიანში დაარსდა. XIV საუკუნეში მათ ვალიადოლიდიც დაემატა.

ცენტრალურ ევროპაში გერმანიას ნამდვილი უნივერსი-

ტეტი 1300 წლამდე არ ჰქონია. სამაგიეროდ ბოჰემიის სამეფოს დედაქალაქ პრაღაში ჰყვაოდა უნივერსიტეტი, რომელშიც გერმანელები, ფრანგები, იტალიელები სწავლობდნენ. იგი ლუქსემბურგელთა დინასტიის წარმომადგენელმა კარლ IV-მ დააარსა.

შემდეგ თავში ვნახავთ, რამდენი უნივერსიტეტი შეიქმნა 1350-1400 წლებში. 1400 წელს მათი რიცხვი უკვე 55-ს უდროდა.

უნივერსიტეტში მომუშავენი ძალიან ხშირად იცვლიდნენ ადგილს, მაგრამ გარდა სპეციალობების მიხედვით დაჯგუფებისა, სტუდენტებში ეროვნული ნიშნით ერთმანეთთან დაახლოების ტენდენციაც შეინიშნებოდა. ეს არის „ერთა" სისტემა. პარიზში თითოეულ „ერს" (Nation) თითო პროკურატორი ხელმძღვანელობდა. „ერი" ოთხი იყო: ფრანგი (რომელიც მოიცავდა ცენტრალური საფრანგეთის მცხოვრებთ, იტალიელებს, ესპანელებს, აღმოსავლეთიდან ჩამოსულებს), ნორმანდიელი, ინგლისელი და პიკარდიელი. ოქსფორდში განასხვავებდნენ ორ ერს (ნაციას), ბოლონიაში ოთხი სათვისტომო იყო: ლომბარდიელები, რომაელები, კამპანიელები და სამხრეთელები.

მასწავლებლებშიც მეფობდა ინტერნაციონალური სულისკვეთება, თუმცა, ხშირად ხდებოდა, რომ არეულობის შემთხვევაში უნივერსიტეტის პროფესორები თავიანთი მოწაფების მხარს იჭერდნენ.

მაგალითად, 1229 წელს პარიზში ჩხუბი მოხდა და რამდენიმე სტუდენტი მოკლეს. მთელმა უნივერსიტეტმა დატოვა ქალაქი. მხოლოდ პაპის ბულის Parens seientiarum წყალობით მოხერხდა 1231 წელს გაქცეულთა უმრავლესობის დაბრუნება და უნივერსიტეტის ხელახლა გახსნა.

გავიხსენოთ რამდენიმე დიდი მეცნიერი, მაგალითად, დიდი გერმანელი დომინიკელი სწავლული ალბერტ დიდი (1193-1280), რომელიც შვაბეთში დაიბადა, სწავლობდა ბოლონიაში, პადუაში, პარიზში, 1242-1248 წლებში თავად, ასწავლიდა პარიზში, შემდეგ კი კიოლნში დააარსა studium generale, მომავალი უნივერსიტეტი.

ხელოვნების მაგისტრი, ინგლისელი როჯერ ბელონი პარიზის უნივერსიტეტში ასწავლიდა 1245-1247 წლებში. თომა აკვინელი (1225-1274) სამხრეთ იტალიის გრაფების, აკვინოთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. იგი ჯერ ნეაპოლში სწავლობდა, შემდეგ კიოლნში ალბერტ დიდის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი პარიზში. იგი პარიზის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, შემდეგ რომის კურიაში, კვლავ პარიზში და ბოლოს ნეაპოლში. ფილოსოფიაში მისი მთავარი მეტოქე იყო სიგერ ბრაბანტელი (1235-1284), პარიზის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ფლამანდელი პროფესორი, რომელიც იძულებული გახდა ფილოსოფიაში გამოჩენილი გაბედულობის და სითამამის გამო 1277 წელს დაეტოვებინა უნივერსიტეტი. შავი ჭირის ეპიდემიამ, რის შესახებაც მოგვიანებით ვილაპარაკებთ, მიმოფანტა სტუდენტები და მასწავლებლები. ამითვე აიხსნება პრაღის (1348 წ.) და კრაკოვის იაგელოს (1365 წ.) უნივერსიტეტების დაარსება.

VI. პილიგრიმთა ევროპა

ზოგადად პილიგრიმების შესახებ. პილიგრიმობა (წმინდა ადგილების მოსალოცად წასვლა) სხვადასხვა ხალხისთვის ერთად შეკრების და ერთმანეთის გაცნობის არაჩვეულებრივი საშუალებაა. ცხადია, იგი ქრისტიანობის მიერ არ არის გამოგონილი. იგი არსებობს ძველი აღთქმის ებრაულ ტრადიციაში, იგი არის ყველა სხვა რელიგიაშიც, რომელიც არ წარმოადგენს დროსა და სივრცისგან დამოუკიდებლად არსებულ რაციონალიზმზე დაფუძნებულ ინტელექტუალურ ნააზრევს.

მსოფლიოს დიდი რელიგიები აღმოჩენაა, რომელშიც ტრანსცენდენტური, ზებუნებრივი, მეტაფიზიკური სამყაროს ინკარნაცია ხდება ადამიანურ სივრცესა და ისტორიაში. მაშასადამე, არსებობს *ადგილები*, სადაც *განსაზღვრულ დროს* გამოჩნდნენ ღმერთი და მისი წინასწარმეტყველები, შემდეგ კი მის წინასწარმეტყველთა მოწაფეები. ბუნებრივია, რომ ამ ადგილებს თაყვანი სცენ და იქ ჩასვლა დამსა-

ხურებად ითვლებოდეს მორწმუნისათვის. გარდა ამისა, იმ პერიოდში, როდესაც ღვთისმოსაობა ძალზე დიდი იყო, განვითარდა სასწაულების რწმენა და იგი ყოველდღიური ცხოვრების ერთ-ერთი ელემენტი გახდა. ადამიანებს სჯერათ, რომ სასწაულები უფრო ხშირად იქ ხდება, სადაც დიდ წმინდანებს უცხოვრიათ ან მათი წმინდა ნაწილები ინახება.

ამრიგად, წმინდა ადგილების მოსალოცად მხოლოდ იმიტომ კი არ მიდიოდნენ, რომ სამუდამო სასუფეველი დაემკვიდრებინათ, ან მძიმე ცოდვების მიტევება მოეპოვებინათ, არამედ იმისთვისაც, რომ უფლისა და წმინდანებისათვის მადლი მოეხსენებინათ ან უფრო ხშირად, განკურნებას, წარმატებას თუ დიდი ხნის ნატვრის ასრულებას შეევედრებოდნენ.

პილიგრიმობა ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ XI, XII, XIII საუკუნეებში განუწყვეტელი ფეოდალური ომები წარმოებდა, აღმოსავლეთიდან (მონღოლები, თურქები) საშინელი მუქარის მოლოდინში იყვნენ, კომუნიკაცია მეტად გაძნელებული იყო და სიძველის გამო რომაელთა მიერ გაყვანილი გზები ძლიერ დაზიანდა, ეს საუკუნეები ალბათ ყველაზე დიად პერიოდებად უნდა ჩაითვალოს ისტორიაში პილიგრიმობის თვალსაზრისით. ასობით ათასი მლოცველი, შეიძლება მეტიც, გზას იყო დამდგარი წმინდა ადგილების მოსალოცად: ღარიბები ფეხით, მდიდრები და სენიორები ცხენებით ან ეტლებით, ხშირად ჯგუფებად მიემართებოდნენ მიზნისკენ და მათი რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევდა.

პილიგრიმობის პროგრესს თავისი ახსნა აქვს და ამ წარმატების მთავარი მიზეზი ზოგადად დასავლეთის ექსპანსიაა: XIII საუკუნეში თითქმის დასრულებული ესპანეთის და პორტუგალიის „Reconquista", სიცილიის დაბრუნება, ჯვაროსანთა ლაშქრობები, უფრო საიმედო საზღვაო მოგზაურობები, ეკონომიკის და ვაჭრობის განვითარება, რაც მოგზაურობისთვის ხელსაყრელია და აგრეთვე სკანდინავების, უნგრელების და სლავების გაქრისტიანება, რაც წინა

თავში უკვე ვახსენეთ. ამიერიდან პილიგრიმთა მოზღვავება იგრძნობა სკანდინავიიდან. გარდა ამისა, პალესტინის სწრაფმა დაპყრობამ შესაძლებელი გახადა ძალინ ბევრი რელიკვიის აღმოჩენა, ცხადია საკმაოდ სუსტი, არადამაჯერებელი კრიტერიუმებით, რადგანაც ნამდვილობის დამამტკიცებელი საბუთი სასწაულებიდან მომდინარეობდა.

გაჩაღდა ფართო ვაჭრობა რელიკვიებით, რაც ლატერანის IV საეკლესიო კრებამ დაგმო 1215 წელს. ხშირად ნამდვილი, ზოგჯერ სისხლისმღვრელი ბრძოლებიც კი იმართებოდა ამ რელიკვიების ხელში ჩასაგდებად, მონასტრები კი ერთმანეთს პარავდნენ მათ.

წმინდა მიწა. როგორი იყო სალოცავად მავალთა „გეოგრაფია"? ყველაზე მთავარი ადგილი, ცხადია, იყო ის *წმინდა ადგილი*, სადაც ქრისტეს უცხოვრია. წმინდა ადგილებში ლოცვის სურვილი ნაწილობრივ ჯვაროსნული ომის იდეად გადაიქცა, რაზეც მთელი XI საუკუნის მანძილზე ფიქრობდნენ, 1098 წლის დაპყრობამდეც კი. ეგვიპტის მბრძანებლის, სალადინის მიერ იერუსალიმის აღებამ 1187 წელს და მისმა საბოლოო დაკარგვამ 1244 წელს მაინც ვერ მოსპო პილიგრიმობა. უბრალოდ, XIII საუკუნეში პაპობა ნაკლებად უჭერდა მას მხარს. მართლაც, მუსლიმანი მმართველები მზად იყვნენ ხელი შეეწყოთ ქრისტიანების ჩასვლისთვის, მაგრამ ამისთვის, ცხადია, მნიშვნელოვან თანხას თხოულობდნენ. პაპებს კი, რომლებიც მხოლოდ ჯვაროსნულ ლაშქრობებზე ოცნებობდნენ, ერჩივნათ ეს ფული სამხედრო ოპერაციებს მოხმარებოდა.

წმინდა მიწაზე ჩადიოდნენ საზღვაო გზით, რომელსაც უნგრეთში იშტვან I-ის გაქრისტიანების შემდეგ სახმელეთო გზაც დაემატა. ხმელთაშუა ზღვა, რომელიც XI საუკუნეში სახიფათოდ ითვლებოდა, XII საუკუნეში ნაკლებად საშიში გახდა. გერმანიიდან, იტალიიდან და საფრანგეთიდან უფრო მეტი პილიგრიმი მიდიოდა წმინდა მიწაზე, ვიდრე ინგლისიდან და ესპანეთიდან.

რომი. რომში, სადაც წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს

ნაწილებს სცემდნენ თაყვანს, სალოცავად მავალთა რაოდენობამ იკლო 1300 წლისთვის. ეს რომისთვის პირველი საიუბილეო თარიღი იყო. სამღვდელოების და იმპერიის ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. იმპერატორმა ჰაინრიხ II-მ 1083 წელს რომი დაიკავა, 1084 წელს კი ნორმანმა რობერ გუისკარმა პირწმინდად გაძარცვა. სალოცავად სიარული ეპისკოპოსების Ad limina-დ წოდებული ვიზიტების და „ინდულგენციების" შემოღების წყალობით გაგრძელდა. ეს ცნება განსაწმენდელში ჩნდება, სადაც ის ცოდვილები, რომელთაც ჯოჯოხეთში შესვლა არ დაუმსახურებიათ, ტკივილს და განწმენდას ექვემდებარებიან სამოთხეში შესვლამდე. ინდულგენციას შეუძლია შეამციროს ამ განსაცდელის ხანგრძლივობა. ინდულგენცია, ანუ შეწყნარება შეიძლება ლოცვით ან სალოცავად სიარულით მიიღო, მაგრამ გარდა ამისა, მოწყალების გაცემითაც. ამან ბევრი გაუგებრობა და ბევრი რამის ბოროტად გამოყენება გამოიწვია, რაც საბოლოოდ რეფორმის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი პილიგრიმობა. უნდა აღინიშნოს დედა ღვთისმშობლის პატივსაცემად იერუსალიმსა და რომში სალოცავად სიარული. აქ წმინდა ნაწილების არც საჭიროება იყო და არც შესაძლებლობა, რადგანაც ღვთისმშობელმა მიიძინა და იგი სამოთხეში ამაღლდა, მაგრამ წმინდა მარიამის კულტი ძლიერ განვითარდა და მის პატივსაცემად მრავალი შესანიშნავი ტაძარი აიგო, რომლებშიც, როგორც წესი, სასწაულმოქმედი ქანდაკებებია დაცული: შარტრის, პარიზის, პიუის ღვთისმშობლის ტაძრები საფრანგეთში; მონსერატისა კატალონიაში; უელსინგჰემისა ინგლისში; მარიაზელი ავსტრიაში და ა.შ. XII საუკუნეში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა როკამადურის ღვთისმშობელი, წმინდა მარიამის ლეგენდარული მსახურის, ამადურის სახელის მიხედვით, რომელიც თითქოს გალიაში ჩავიდა წმინდა მარიამის მიძინების შემდეგ. ძალზე მაღალი რანგის პილიგრიმებს შორის ნახავდით ლოთარინგიის ჰერცოგებს, ფილიპე ალზასელს, ფლანდრიის გრაფს,ინგლისის მეფე ჰენრი II-ეს (ორჯერ, 1159 და 1170 წელს), საფ-

რანგეთის მეფე ლუი IX-ს, დედამისთან, ბლანკა კასტილიელთან და სამ ძმასთან ერთად 1244 წელს. 1172 წელს დაიწერა როკამადურის ღვთისმშობლის ტაძრის „სასწაულთა წიგნი", რომელშიც აღწერილია იტალიის, გერმანიის და ინგლისის სალოცავად წამსვლელთა გზები.

წმინდა მიქაელი. ავღნიშნოთ კიდევ ორი მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც პილიგრიმები მთავარანგელოზ მიქაელის თაყვანსაცემად მიემართებიან. ერთი მათგანი იტალიის სამხრეთ ნაწილში გარგანის მთაზე მდებარეობს და თავიდან ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ მყოფ მონტე კასინოზეა დამოკიდებული. მეორე ტაძარი, რომელიც თანდათან სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, დოლის მთაზე აიგო, სადაც VIII საუკუნიდან არსებობდა მითრას ძველი ეკლესია. ეს არის სახელგანთქმული მონ-სენ-მიშელი (წმინდა მიქაელის მთა), რომელიც ნორმანდიის ძლიერი ჰერცოგების მფარველობით სარგებლობდა. 1065 წელს, ერთი წლით ადრე, სანამ ინგლისის ტახტს დაეუფლებოდა, ჰერცოგი გიომ ბასტარდი იქ მივიდა საქსონელ მეფე ჰაროლდთან ერთად. მრავალმა ფრანგმა მეფემ მოილოცა ეს წმინდა ადგილი.

კენტერბერი. 1170 წლის 29 დეკემბერს მეფე ჰაინრიხ II-ის კარის რაინდების მიერ არქიეპისკოპოს თომას ბეაკეტის მკვლელობა სალოცავად წასვლით დამთავრდა. თომასი მოწამედ მიაჩნდათ და სიკვდილიდან 3 წლის შემდეგ პაპმა ალექსანდრე III-მ წმინდანად შერაცხა. აქ მლოცველები არა მარტო ინგლისის ჩრდილოეთიდან, უელსიდან და კორნუელსიდან მოდიოდნენ, არამედ საფრანგეთის ჩრდილო და ცენტრალური ნაწილებიდანაც, აგრეთვე ფლანდრიიდან. მათ შორის იყვნენ კელნის და ლიონის არქიეპისკოპოსები, მომავალი პაპი ინოკენტი III, როცა იგი პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა, საფრანგეთის მეფე ლუი VII.

სანტიაგო დე კომპოსტელას (კომპოსტელის წმინდა იაკობის) დაწინაურება. ყველაზე დიდი წმინდა ადგილი მომლოცველებისთვის იყო სანტიაგო დე კომპოსტელა, გალისიის ჩრდილოეთ ნაწილში, ესპანეთში. დაახლოებით

800 წელს აქ მარმარილოს სამარხში აღმოაჩინეს მოციქულ წმინდა იაკობის ნაწილები. აქ მთელი ქრისტიანული ნეკროპოლი იქნა ნაპოვნი, რასაც ლათინურად compostum ეწოდება და აქედან წარმოსდგა სახელწოდება კომპოსტელა.

X საუკუნეში ამ ტაძრის გავლენა რეგიონის ფარგლებს გასცდა, თუმცა მუსლიმანები ჯერ კიდევ ახლოს იყვნენ. მათ აიღეს ქალაქი, დაანგრიეს ბაზილიკა და მოსახლეობა დაიმონეს. კომპოსტელა მხოლოდ Reconquista-მ იხსნა. XI საუკუნეში მლოცველები ყოველი კუთხიდან მიაწყდნენ ტაძარს. მათ შორის იყვნენ ფრანგები, ბელგიელები, ფლამანდლები, ვალონები, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები. კომპოსტელა, რომლის ეპისკოპოსმაც 1120 წ. არქიეპისკოპოსის ტიტული მიიღო, მთელი ევროპისთვის მიმზიდველი ადგილი გახდა. იგი მოილოცეს ისეთმა მნიშვნელოვანმა პიროვნებებმა, როგორებიც იყვნენ: აკვიტანიის ჰერცოგის ანრი V-ის ქვრივი, საფრანგეთის მეფე, დაუღალავი პილიგრიმი ლუი VII, ვინჩესტერის და მაიენსის არქიეპისკოპოსები, ლიეჟის შვედი არქიეპისკოპოსი, უნგრელები, ავსტრიის ჰერცოგი 1212 წ., წმინდა ფრანცისკ ასიზელი 1213 და 1215 წლებს შორის, ჰოლანდიელი და გერმანელი ჯვაროსნები, მონღოლთა დიდი ყაენის კარის ნესტორიანელი ბერები, პორტუგალიის მეფე 1244 წ. შვეციის პრინცესა 1270 წელს.

მაშინდელი ესპანელებისთვის წმინდა იაკობი რეკონკისტის დიდი გმირი იყო. იგი ბრძოლის დროს ჩნდებოდა, სახელდობრ 1212 წელს ლას ნავეს დე ტოლოსას ბრძოლაში. სხვა ხალხების თვალში ეს იყო მფარველი, მკურნალი, რომლის გავლენა სხვა წმინდანებისას ბევრად აჭარბებდა. იყო პერიოდი, როცა კომპოსტელა ევროპის ყველაზე სახელგანთქმული ქალაქი იყო, ისევე როგორც რომი.

პილიგრიმების მოგზაურობა. გავყვეთ წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალს, საიდანაც უნდა იყოს იგი: დიდი ბრიტანეთიდან, სკანდინავიიდან, უნგრეთიდან, იტალიიდან თუ სხვა ქვეყნიდან. მის წინაშეა ბერების მიერ დადგენილი

უამრავი ადგილობრივი სიწმინდე, რომლებიც ხშირად უძველესი წარმართული ძეგლების ადგილას არის აგებული. მათი მჭიდრო განლაგებით აიხსნება მათივე სუსტი გავლენა, რადგანაც კონკურენცია დიდია. „ასეთი ეკლესიების მსახურებისთვის უცხო არ იყო ადგილობრივი, ვიწრო ინტერესების წინ დაყენება და ის ჰაგიოგრაფები, რომლებიც ადგილობრივი წმინდანების მიერ მოხდენილ სასწაულებს აღწერდნენ და განადიდებდნენ, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მეზობელი ეკლესიის წმინდანმა ვერ მოარჩინა ის ავადმყოფი, რომლის ვედრებაც მათი ტაძრის წმინდა მფარველმა შეისმინა" (კელიანი და ბერტმანი, *უფლის გზები*). ადგილობრივი წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ უკვე შეიძლებოდა დიდი პილიგრიმობის წამოწყება. აქ კი უკვე ყველა ევროპელი ერთად იკრიბებოდა.

პილიგრიმებს ერთნაირი ტანსაცმელი ეცვათ, რომლის ნახვა გოტიკურ ტაძრებში არსებული წმინდა იაკობის ქანდაკებების დათვალიერებისას შეიძლება: მათ ემოსათ ერთგვარი ტუნიკის მსგავსი ხალათი, რომელიც ქალს უფრო გრძელი უნდა ჰქონოდა, ვიდრე მამაკაცს და ერთგვარი მოსასხამი, რომელიც XIV საუკუნეში ნაოჭებიან ფართო სამოსად გადაიქცა, რომელსაც სწორედ „პილიგრიმის მოსასხამი" (pélerine) ეწოდა. თუ პილიგრიმი სანტიაგო დე კომპოსტელაში მიდიოდა, მის ქუდს ამკობდა ცნობილი „წმინდა იაკობის ნიჟარა", რაც პილიგრიმის ემბლემას წარმოადგენდა. სიარულისას მათ ხელში ეჭირათ გრძელი ჯოხი ვაშლის ფორმის თავით და ხურჯინი, რომელსაც მომლოცველის გამგზავრების წინ აკურთხებდნენ ხოლმე.

როგორ ბედავს იგი გამგზავრებას, როცა გზები ცუდია, რუკა არ გააჩნია, როგორ უნდა მოახდინოს ორიენტირება? მათ რჩევა-დარიგებებს აძლევენ და სამოგზაუროდ აქეზებენ ბერები. მაგალითად, კლიუნის ძლიერ ცენტრალიზებული და მძლავრი ორდენი კომპოსტელაში მოგზაურობის დიდი ორგანიზატორი იყო. არსებობდა ნამდვილი გზამკვლევები, რომლებშიც მითითებული იყო გზები და ის წმინდა ადგილები, რომლებიც დიდი მოგზაურობის დროს უნდა მოენახულებინათ. მაგალითად, რომში წასასვლელად უკვე

IX საუკუნეში არსებობდა *ენსიდელნის მარშრუტი*, XII საუკუნეში *ქალაქ რომის სასწაულები* (Mirabilia urbis Romae), XIII საუკუნეში *მთელი ქალაქის სრული აღწერილობა* (Descriptio plenaria totius urbis). წმინდა მიქაელის შესახებ XII საუკუნის ბოლოს ტრუვერმა გიიომ დე სენპერმა დაწერა „*წმინდა მიქაელის მთის (მონ-სენ-მიშელის) რომანი*". 1172 წლით დათარიღებულ „*სასწაულთა წიგნში*" მოცემულია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ყველა ეკლესიის მარშრუტი პიუის ღვთისმშობლიდან როკამადურის ღვთისმშობლის ტაძრამდე. ცხადია, ყველაზე მეტი გზამკვლევი კომპოსტელას ეძღვნება და მათ შორის გამორჩეულია 1139 წელს დაწერილი „*წმინდა იაკობის წიგნი*".

კლიუნის ბერების მიერ დადგენილ იქნა ოთხი დიდი მარშრუტი, რომლებშიც შორიდან ჩამოსულებისთვის აღნიშნული იყო მოგზაურობის დაწყების პუნქტები (ტური, ვეზლე, პიუი და არლი), გზად სანახავი ტაძრები, გზა, რომლითაც უნდა გადასულიყვნენ პირენეებზე (პირველი სამი მარშრუტისთვის რონსევალის ხეობა და სომპორის უღელტეხილი მათთვის, ვინც არლიდან მიდიოდა ტულუზის გზით). ყველა გზა ერთდებოდა ესპანეთში, პუენტე-ლარეინაში, მას შემდეგ კი მხოლოდ ერთი გზაა ბურგოსის, ლეონის, ვილაფრანკას გავლით.

მაშასადამე, ცოდვათა გამოსასყიდად ძირითადად ფეხით, ხანდახან ფეხშიშველები მიდიოდნენ, მაგრამ ხშირად ცხენებსაც იყენებდნენ. მთებზე გადასასვლელად ვირები და ჯორებიც გამოდგებოდა. სნეულები ურმებით მიჰყავდათ ან რომელიმე ნათესავის ზურგზე მოკიდებული მგზავრობდნენ. გზაზე უამრავი ხიფათი ელოდათ. ხვდებოდათ შარაგზის ყაჩაღები, ცრუ მომლოცველები და ათასი ჯურის თაღლითები. მდინარეების გადასალახავად მებორნეების მომსახურებით სარგებლობდნენ, რაც ხანდახან დახრჩობითაც მთავრდებოდა, თუკი ისინი ზედმეტ მგზავრებს აიყვანდნენ ბორანზე. ზოგიერთი გამყოლი გამოსასყიდს ითხოვდა მომლოცველისგან. ზღვით მოგზაურობისას მუსლიმანი მეკობრეების შიში ჰქონდათ. მომლოცველებით სავსე გემები წმინდა ადგილებისკენ ძირითადად მარსელიდან და ვენეცი-

იდან გადიოდა. თითო გემზე ხუთასამდე პილიგრიმი იმყოფებოდა ხოლმე საკმაოდ არასახარბიელო პირობებში.

მგზავრებს ღამის გათევაც ესაჭიროებოდათ. ცხადია, შეეძლოთ ეკლესიებისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ საკვები როგორ ეშოვათ? სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა დასავლეთის ბერობასთან დაკავშირებული სისტემა. ყველა მონასტერს ჰქონდა მიმღები სამსახური, La Porta. IX საუკუნეში იგი ორად გაიყო: *სასტუმროები* შეძლებული პიროვნებებისთვის, რომლებიც ცხენით მგზავრობდნენ და *თავშესაფრები* ღატაკებისთვის. მეფეები და დიდებულები თავიანთი შეწირულობებით ხელს უწყობდნენ ამ თავშესაფრების (რომლებიც იმავე დროს საავადმყოფოების როლსაც ითავსებდნენ) ქსელის დაფინანსებას.

კლიუნის გარდა, ამაში სხვა ორდენებიც მონაწილეობდა, მაგალითად XII საუკუნეში ობრაკის ორდენი რუერგში, რონსევალის ორდენი, ლოპიტალის ანუ წმინდა იოანე იერუსალიმელის ძალზე ცნობილი ორდენი, მაცხოვრის საფლავის ორდენი წმინდა მიწაზე. იყო კერძო, რა თქმა უნდა, ფასიანი სასტუმროებიც.

ძნელია წარმოიდგინო ამდენი ხალხი, რომელიც ერთმანეთს ხვდება გზაში, სხვადასხვა ადგილიდანაა ჩამოსული, ლაპარაკობს სხვადასხვა დიალექტზე და ჯგუფურად მიემართება ტაძრისკენ. მათთან ერთად განათლებული სამღვდელო პირებიც იმყოფებოდნენ და ლათინური ენის საშუალებით ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ტაძარში ყველა ერთად ლოცულობს, ეხებიან წმინდა ნაწილებს, ტოვებენ შესაწირავს და აღთქმებს. შემდეგ ბრუნდებიან, ჰყვებიან თავიანთი მოგზაურობის, შეხვედრების, გზად დამატებითი ადგილების მოლოცვის შესახებ. ზოგიერთი ეწერებიან წმინდა იაკობის, როკამადურის საძმოში და ა.შ.

ცხადია, პილიგრიმს ბევრი ხიფათი ელის, მაგრამ იგი განსაკუთრებული მფარველობითაც სარგებლობს, რადგანაც აღთქმა დადო, რომლის ახსნაც მხოლოდ ეპისკოპოსს შეუძლია.

XIII საუკუნეში მომლოცველის დასაცავად არსებობს ჭეშმარიტად *ევროპული საერთაშორისო სამართალი.* სა-

ეკლესიო და სამოქალაქო სამართალი მას იცავს შემთხვევითი დაპატიმრებისგან, ძალადობისგან, ფინანსური ექსპლუატაციისაგან. ვინც ამ წესებს არ იცავს, ეკლესიიდან განიკვეთება. პილიგრიმის მკვლელობა ნებისმიერ სხვა მკვლელობაზე უფრო მკაცრად ისჯება. სხვადასხვა წესები იძლევა მისი ქონების დაცვის გარანტიას მისი შინ არყოფნის დროს. სხვაგვარად რომ ითქვას, პილიგრიმი არსად ითვლება უცხოდ.

მაშასადამე, მაშინდელი მხურვალე რწმენის *წყალობით* მოხდა ხალხების ერთ დიდ მორევში ათქვეფა, რამაც ხელი შეუწყო ევროპელთა საერთო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

VII. დიდი კამათი

ახალი ინტელექტუალური „პუბლიკა" (მკითხველები, მსმენელები). ლაპარაკია იმ ინტელექტუალურ დავაზე რწმენასა და გონებას შორის, რომელიც ქრისტიანობის პირველი ნაბიჯებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

XII და XIII საუკუნეებში იგი უფრო გაძლიერდა და ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ჩვენ დღეს „ინტელექტუალებს" ვუწოდებთ, ძლიერ გაიზარდა. მათ შორის იყვნენ არა მარტო საკუთრივ სამღვდელოების წარმომადგენლები, არამედ უნივერსიტეტების სტუდენტები, მოხეტიალე პოეტები ანუ მენესტრელები (საფრანგეთში ტრუვერები, ტრუბადურები), ციხე-დარბაზების მფლობელი თავადები და ხშირად მათი ცოლებიც. ამიერიდან მწერლებს ჰყავდათ თავიანთი „პუბლიკა" (მკითხველი).

არაბთა საშუალებით გადმოცემული ბერძნული ტექსტები. ეს ახალი „აღორძინება", რომელიც XVI საუკუნის აღორძინებამდე ვიხილეთ, დაკავშირებულია ევროპელთა მიერ ახალი ბერძნული ტექსტების აღმოჩენასთან და მათ შორის არისტოტელეს ნაშრომთა ფრაგმენტებთან. ამ აღმოჩენას ევროპელები ბიზანტიელებს კი არა, არაბებს უნდა

უმადლოდნენ. მანამდე ცნობილი რამდენიმე პასაჟი, რომლებიც ბერძნულიდან ლათინურ ენაზე იყო თარგმნილი, უმეტესწილად წარმოადგენდა რომის იმპერიის დაკნინების პერიოდის ავტორთა, მაგალითად ბოეციუსის მიერ მოყვანილ ციტატებს. ამ ავტორებს და მათ მემკვიდრეებს სამწუხაროდ, სჩვეოდათ კომენტარების, ანუ „გლოსების" ჩართვა ტექსტში იმის დაზუსტების გარეშე, შეადგენდა თუ არა ისინი ციტატის ნაწილს. არაბული ცივილიზაციის ბრწყინვალე პერიოდში მუსლიმანმა სწავლულებმა უამრავი ტექსტი თარგმნეს ბერძნულიდან არაბულ ენაზე. საბოლოოდ საჭირო გახდა ამ ავტორთა არაბულიდან ლათინურ ენაზე თარგმნა. ტექსტების ჭეშმარიტ აღდგენამდე ჯერ შორია, რადგან ჯერ არ არსებობს მეცნიერებანი, რომლებიც მხოლოდ XVI საუკუნეში გამოჩნდება და რომელთაც ფილოლოგია, პაპიროლოგია, ეპიგრაფიკა ეწოდება (ბერძნული ენიდან ნაწარმოები სამეცნიერო ტერმინების უმრავლესობა აღორძინების პერიოდზე გვიან შეიქმნა).

ძირითადი ავტორები, რომლებიც ამ გზით ხელახლა იქნენ აღმოჩენილნი, არისტოტელეს შემდეგ მოდიან: მათემატიკოსი პითაგორა,მედიკოსები ჰიპოკრატე და გალენი,გეოგრაფი პტოლემეოსი, ნეოპლატონელი პლოტინე, პროკლუსი, პროფირიუსი. საინტერესოა, რომ ძალიან ცოტაა პლატონის და გეოგრაფ სტრაბონის ტექსტები, არის ფილოსოფიური და სამეცნიერო ნაშრომები, მაგრამ ძალიან ნაკლებადაა ლიტერატურული ტექსტები. არისტოტელეს უპირატესობა, რის გამოყენებასაც მუსლიმანები შეეცადნენ ყურანის რწმენის გასაძლიერებლად, ძირითადად დაკავშირებულია იბნ სინასთან, რომელსაც ჩვენ ავიცენას ვუწოდებთ. იგი სპარსეთში დაიბადა, 1037 წელს გარდაიცვალა და მას „არაბთა არისტოტელეს და ჰიპოკრატეს" უწოდებდნენ.

ტექსტების არაბელებისგან ევროპელთათვის გადაცემა სამი გზით ხორციელდებოდა. პირველი სირიისა და პალესტინის რეგიონია, ჯვაროსნული ლაშქრობების გამო. მეორე სიცილიის ნორმანდიული სამეფო კარია; ნორმანებმა აქ ბიზანტიელთა და არაბთა ადგილი დაიკავეს, რომელთაც

ბევრი კვალი დატოვეს და ებრაელებთან, მართლმადიდებლებთან და კათოლიკეებთან ერთად ცხოვრობდნენ. მუსლიმანი ხელოვნების ოსტატები ეკლესიების მშენებლობასა და მორთვა-მოკაზმვაშიც კი მონაწილეობდნენ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ იყო ესპანეთი, სადაც ისლამმა განსაკუთრებით ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა.

ამ ტრანსმისიის სიმბოლოებად, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად, ორი ადამიანი ითვლება: ერთი მათგანია მუჰამად იბნ რუშდი, რომელსაც ევროპელები ავეროესს უწოდებდნენ (დაიბადა კორდოვაში დაახლ. 1120 წ. და გარდაიცვალა მაროკოში 1198 წ.). მისი მეტსახელია „კომენტატორი", რადგან მან გამოაქვეყნა არისტოტელეს მთელი შემოქმედების *კომენტარი*; მეორე მათგანია ებრაელი მაიმონიდე (დაიბადა კორდოვაში 1135 წელს და გარდაიცვალა 1204 წელს აღმოსავლეთში), რომელმაც 30 წელი გაატარა ეგვიპტესა და მაღრიბში.

ბერძნული ენა მხოლოდ რამდენიმე მეცნიერმა იცოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ინგლისელი რობერტ გოსტესტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პირველი რექტორი. ბერძნული ენიდან ახალი თარგმანები შეასრულა ფლამანდელმა დომინიკელმა ბერმა გიიომ დე მორბეკემ 1260-1285 წლებში. მან ლათინებს გააცნო ჭეშმარიტი, არაბული გლოსებისგან განთავისუფლებული არისტოტელე.

რწმენა და გონება. მთავარი მიმდინარეობები. XII საუკუნეს „ფილოსოფიის საუკუნე" ეწოდა. მათემატიკა და ლოგიკა ამ დროს ისე იტაცებს მოაზროვნეებს, რომ ლიტერატურულ შემოქმედებაში ერთგვარი უკუსვლა იგრძნობა, თუ გავიხსენებთ XI და XII საუკუნეში შექმნილ დიდ რომანებს.

წმინდა რაციონალისტები. შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვავოთ რამდენიმე დიდი მიმდინარეობა.

ყველაზე რაციონალური მიმდინარეობა მოდის ცნობილი ირლანდიელი სკოტუს ერიუგენასგან (IX ს.), რომელიც

შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი იყო სიგერ ბრაბანტელამდე აბელარის (1079-1142) გავლით.

ეს უკანასკნელი ნანტში დაბადებული, ბრეტონელი დიდგვაროვანის ვაჟი იყო და პარიზში გიიომ დე შამპოს ხელმძღვანელობით მიიღო განათლება. მალე იგი თავისი მასწავლებლის მეტოქე გახდა და მის ლექციებზე 3 000 კაცი იყრიდა ხოლმე თავს. იგი კანონიკ ფულბერის ძმისწულს, ელოიზას კერძო გაკვეთილებს უტარებდა, შემდეგ მისი სატრფო გახდა და ელოიზას მისგან ვაჟი შეეძინა. იგი აბელარს ვნებიან წერილებს წერდა და ამ იდილიამ აბელარს სახელი ისევე გაუთქვა, როგორც ამ სასიყვარულო კავშირის უბედურმა დასასრულმა: ფულბერმა აბელარს საწოლში შეუსწრო და იგი დაასაჭურისებინა. ამის შემდეგ აბელარი სასულიერო პირი გახდა. მისი შემოქმედება ძალიან ვრცელია, ფართოა. ერთი საუკუნის შემდეგ სიგერ ბრაბანტელი აბელარზე ბევრად შორს წავიდა. მისი აზრით, საჭიროა გონებას მივყვეთ. იგი ჩვენ ჭეშმარიტებებს გვასწავლის, რომლებიც რწმენას ეწინააღმდეგება: მაგალითად იმას, რომ სამყარო მარადიულია და არ არის შექმნილი ვინმეს მიერ, რომ ინდივიდუალურად ადამიანი ცხოველია, რომ მისი სული არ არის უკვდავი. გასაკვირი არ არის, რომ მას ერესისა და ავეროიზმის გამო სდევნიდნენ.

მისტიკური ანტირაციონალისტები. საწინააღმდეგო მოვლენა იყო პიემონტელი (წარმოშობით აოსტიდან) წმინდა ანსელმის (1033-1110) მოძღვრება, რომელიც დიდი წმინდა ავგუსტინეს და ნეოპლატონელების მოწაფე იყო. ნორმანდიაში, ბეკის სააბატოში ბერად ყოფნის დროს მან დაწერა *„მონოლოგიონი, ანუ მედიტაციის მაგალითი რწმენის რაციონალობის შესახებ"* და *„პროსლოგიონი, ანუ რწმენა გონიერების ძიებაში"*. მოგვიანებით იგი კენტერბერის არქიეპისკოპოსი გახდა.

XIII საუკუნეში წარმოშობით ტოსკანელი, ფრანცისკელთა ორდენის წევრი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი წმინდა ბონავენტურა (1221-1274) იმავე ყაიდის მოაზროვნე იყო. მასთან არისტოტელეს გავლენა წმინდა ავ-

გუსტინეს და ნეოპლატონელების მოსაზრებებს ექვემდებარებოდა. ღმერთი უნდა აღმოგეჩინა გრძნობად სამყაროში, მის ჭვრეტას შესდგომოდი და ჭვრეტიდან ექსტაზში გადასულიყავი. მის ძირითად ნაშრომს ჰქვია „გზა სულიდან ღმერთამდე". მას შეარქვეს ანგელოზური დოქტორი.

გონება აძლიერებს რწმენას: თომა აკვინელი. სიგერის მტკიცე რაციონალიზმსა და წმინდა ბონავენტურას მისტიციზმს შორის ყველაზე გავლენიანი სკოლა, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო იხვეჭდა სახელს, როგორც ჭეშმარიტად ქრისტიანული ფილოსოფიის შემქმნელი, იყო დომინიკელი თომა აკვინელის სკოლა. იგი იყო უნივერსალური, ღვთაებრივი დოქტორი. მან მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა: „*კომენტარი არისტოტელეს შესახებ*" და განსაკუთრებით „*თეოლოგიური სუმა*". მან მასში მთელი არისტოტელე ჩართო. მისი აზრით გონება და რწმენა შესანიშნავად ურიგდებიან ერთმანეთს. გონება რწმენის საწყისი წერტილია და დამატებით მტკიცებულებას სძენს რწმენის ყველა ჭეშმარიტებას. თომას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც: პარიზის ეპისკოპოსმა იგი ავეროიზმში დაადანაშაულა. კენტერბერის ეპისკოპოსმა და ოქსფორდის უნივერსიტეტმა იგი დაგმეს და ინგლისში - სადაც ემპირისტები: რობერტ გროსტესტი და როჯერ ბეკონი მოღვაწეობდნენ, - იგი დიდ ხანს ითვლებოდა საშიშ რაციონალისტად. მას ებრძოდა აგრეთვე ფრანცისკელი დუნს სკოტუსი (1275-1308), წარმოშობით შოტლანდიელი, ფაქიზი აზროვნების მქონე დოქტორი, რომელიც ჯერ პარიზის, შემდეგ კი კელნის უნივერსიტეტებში ასწავლიდა. სკოტუსის მიმდევრები ფიქრობდნენ, რომ გონება სრულიად განცალკევებული იყო რწმენისგან და მისი მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას არ წარმოადგენდა.

ეს დიდი დავა სხვადასხვა ფორმით მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. მან უკვე საერთაშორისო ხასიათი მიიღო და ევროპელებს მრავალი საფიქრალი და იდეა გაუჩინა, რამაც ერთნი მისტიკური რწმენის უპირატესობამდე მიიყვანა, მეორენი კი ურწმუნობამდე, რადგანაც მათი აზრით,

ყოველისშემძლე გონება რწმენას უარყოფდა. იყვნენ ფანატიკოსი მორწმუნენიც, რომელთათვისაც ყოველი წმინდა წიგნი ბრმად მისაღები იყო. სხვებს სურდათ სიმართლე გამოეყოთ ალეგორიებითა და სიმბოლოებით აღსავსე ტექსტებიდან, როგორიცაა, მაგალითად, დაბადების წიგნი ბიბლიიდან. იყვნენ რაციონალისტები და ემპირისტები, ნომინალისტები და რეალისტები. იყვნენ ისეთებიც, ვინც ერთმანეთისაგან ყოფდა გონებისა და რწმენის სფეროებს.

XIII საუკუნეში ეს ახალი ჰუმანიზმი, რაც ძალზე დამახასიათებელი იყო ევროპული ქრისტიანობისთვის ისლამთან ან ბიზანტიურ ქრისტიანობასთან შედარებით, განსაკუთრებით თეოლოგიას მიესადაგა. მეცნიერებაში დაიწყეს ავტორიტეტის პრინციპის უარყოფა გონების სასარგებლოდ,რამაც ევროპის აღმავლობა და წინსვლა გამოიწვია, რის გამოც მან მსოფლიოს ყველა დანარჩენი ხალხი უკან ჩამოიტოვა.

VIII. რომანული და გოტიკური ევროპა

„ეკლესიათა თეთრი მოსასხამი". „როდესაც ათას სამ წელს მივუახლოვდით, თითქმის ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით იტალიასა და გალიაში, ეკლესიების ხელახალი მშენებლობის მოწმე გავხდით; მათი უმეტესობა შესანიშნავად იყო ნაგები და სულაც არ სჭირდებოდა აღდგენა, მაგრამ ნამდვილი შეჯიბრი იმართებოდა ქრისტიანულ სამწყსოებს შორის, ყველას სურდა მეზობელზე უკეთესი ეკლესია ჰქონოდა. თითქოს თვით სამყარო იფერთხავდა სიძველის ძტვერს და ყოველი მხრიდან ეკლესიათა თეთრი მოსასხამით იმოსებოდა".

ეს ცნობილი ტექსტი XI საუკუნის ფრანგ მემატიანეს, რაულ გლაბერს ეკუთვნის და ჩვენ საკუთარი თვალით ვრწმუნდებით, რომ იგი მართალს ამბობდა. ბერძნებისა და რომაელებისგან მხოლოდ დიდებული ნანგრევებიღა შემოგვრჩა ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ. ძალიან ცოტა ძეგლია შემონახული გერმანელთა და კაროლინგების ეპოქიდან. ბევრი მათგანი ხისა იყო, ბევრმა დროს ვერ გაუძლო, შემო-

სევების, რბევის, ან რეკონსტრუქციის მსხვერპლი შეიქნა, რასაც რაულ გლაბერი ახსენებს. სამაგიეროდ ჩვენს წინაშეა ათასობით ძეგლი, რომლებსაც X-დან XII საუკუნემდე „რომანულს" უწოდებენ (ეს სიტყვა 1819 წლით თარიღდება; ინგლისელები უწოდებენ უფრო „ნორმანულ" ან „საქსონურ" სტილს). XII-დან XV საუკუნემდე რომანული სტილი გოტიკური სტილით შეიცვალა.

მოსახლეობის ზრდა, ქალაქების განვითარება, ერთგვარი გამდიდრება, ტექნიკური პროგრესი (ხის, ქვის, რკინის წარმოება, საქონლისთვის საყელურის გამოყენება ძველებური ალვირის ნაცვლად, ახალი იარაღები, არქიტექტორთა სულ უფრო და უფრო ზუსტი გამოთვლები), სპეციალიზებული მუშახელის რაოდენობის ზრდა, რასაც ძლიერი რწმენა ერთვოდა, რელიგიური ნაგებობების შექმნას უწყობდა ხელს, მაგრამ არსებობდა სოციალური მოთხოვნილებებიც. ბერებს ჰქონდათ სასტუმროები მომლოცველებისთვის. შენდებოდა საავადმყოფოები. ვაჭრების, პილიგრიმების მისვლა-მოსვლა მოითხოვდა ხიდების მშენებლობას. ქალაქები გალავნებით იყო გარშემორტყმული, ფეოდალურ სისტემასთან დაკავშირებული ციხე-სიმაგრეები სტრატეგიულ წერტილებში არიან განლაგებული და ხშირად ქვის უზარმაზარ მასივებს წარმოადგენენ. ყველაფერი ისე მიდის, თითქოს მიწიდან ახალმა ევროპამ ამოხეთქაო.

ისტორიის ამ ფაზას შემოქმედებითი სული ახასიათებს. ქრისტიანობის ღრმა ერთიანობა, რის მოწმეც ამ თავში მრავალჯერ ვიქნებით, ვლინდება „ურთიერთგაცვლით, რომელშიც თითოეულ ქვეყანას გამუდმებით შემოაქვს საკუთარი ორიგინალობა" (ელი ლამბერი).

ხელოვნება დიდ გავრცელებას ჰპოვებს სკანდინავიიდან პორტუგალიამდე, ირლანდიიდან პოლონეთამდე, იტალიიდან გერმანიამდე ათეულ ათასობით ეკლესიისა და ციხე-დარბაზის სახით და მასში უკვე იგრძნობა რომაულ და ბიზანტიურ ხელოვნებასთან კავშირის გაწყვეტა. ბიზანტიური ხელოვნება, რომელმაც მწვერვალს წმინდა სოფიოს ტაძრით (536 წ.) მიაღწია კონსტანტინოპოლში, მხოლოდ ბალკანეთში და იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გავრ-

ცელდა. მან მოგვცა დიდებული ეკლესიები (ვენეცია, სალონიკი) და დიდი ხნის მანძილზე (გარდა „ხატმებრძოლების" პერიოდისა 725-დან 863 წლამდე) გაგრძელდა მოზაიკის შესანიშნავი ნიმუშების შექმნა, რაც უკვე ძველ საბერძნეთში არსებობდა და რომაელებმა წარმატებით განავითარეს. ამ მოზაიკის ყველაზე ცნობილი ცენტრია რავენა, მაგრამ რელიგიური უთანხმოების გამო ევროპამ შთაგონება უთუოდ საკუთარი ძალებით უნდა იპოვოს.

თუ ევროპულ ხელოვნებას ჩინურ, იაპონურ, ინდონეზიურ, ქმერულ ხელოვნებას შევადარებთ, რომელთა ნიმუშები იმავე დონეს აღწევს თავისი მშვენიერებით, დავინახავთ, რომ ევროპული ხელოვნება მუდმივი გამომგონებლობით, ტექნიკის განახლებით, მოკლედ, განსაცვიფრებელი *შთაგონებით ხასიათდება.*

რომანული ხელოვნება და ბერები. შესაჯამებლად ჯერ გავიხსენოთ დიდი რომანული ეკლესიები კლიუნიდან და ვეზლეიდან დაწყებული და სანტიაგო დე კომპოსტელათი დამთავრებული, სისადავით გამორჩეული ცისტერციელთა დიდი სააბატოები, როგორიცაა პონტინი და რუაიამონი ჩრდილოეთ საფრანგეთში, სენანკი პროვანსში, ფაუნტეინი ინგლისში, მაულბრონი გერმანიაში, პობლე ესპანეთში, ალკობასა პორტუგალიაში. შემდეგ მოდის შუა საუკუნეების ციხე-დარბაზები, რომელთაგან უდიდესი მაგალითი წმინდა მიწაზე მდებარე, ჯვაროსანი რაინდების მიერ გამაგრებული ციხე-დარბაზია. და ბოლოს, ურიცხვი და უზარმაზარი, ვიტრაჟებით შემკული ფანჯრებით დამშვენებული გოტიკური ტაძრები მოვიგონოთ.

ეს ყველაფერი ნამდვილად არაჩვეულებრივი შრომის ნაყოფია.

ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა აღვწეროთ ის პროცესები, რომლებმაც საბოლოოდ რომანულ ხელოვნებამდე მიგვიყვანა, რომელსაც ახასიათებს წრიული ან ნახევარწრიული კარიბჭეები და თაღები, სქელი კედლები, რომლებსაც თაღები ებჯინება და კონტრფორსები ამაგრებს. ეკლესიების გეგმა წარმოადგენს ჯვარს ნავით, ქორედითა და ტრანსეპ-

ტით. ქორედს უკან გალერეაა, ნავის ორივე მხარეს კი ეკვ-დერები. ფანჯრები მომცროა და ეკლესია ბნელია. ეკლესიის შემკულობა ანტიკურის ან ბიზანტიურის, სომხურის ან მუსლიმანურის მსგავსია. კარიბჭეთა ტიმპანები, კაპიტელები შესანიშნავადაა ნაქანდაკები, ხანდახან იერატიკულია, მაგრამ ხშირად მათში მოძრაობა და სიცოცხლე იგრძნობა. ბიზანტიური გუმბათი ხშირად ტრანსეპტის თავზეა განლაგებული. რომანული ხელოვნება ძალიან მრავალფეროვანია ფორმის თვალსაზრისით. იგი ყველა რეგიონში თავისებური ფორმით ვლინდება.

რომანული სკოლების სიმრავლე. ძალიან ძნელია რომანული ხელოვნების წარმოშობის თარიღის განსაზღვრა. XI საუკუნეში არქიტექტორები შეუდგნენ თაღის პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ ეს პროცესი ბრმად და ნელა მიმდინარეობდა, თუმცა წარმატება მალე მოვიდა გერმანიის მხრიდან, რადგანაც ამ ქვეყანაში კაროლინგური ხელოვნების უწყვეტობა შეიმჩნეოდა. იყო აგრეთვე ბიზანტიური გავლენაც, კერძოდ, იტალიაში, ესპანეთში კი არაბული (მუსლიმანური) და მოსარაბული (ქრისტიანები არაბულ ქვეყნებში) ნაგებობების გავლენა.

გერმანული სკოლა ყველაზე პროდუქტიული ჩანს, იგი გავრცელდა შვეიცარიაში, დანიაში. სამხრეთით რომის საღვთო იმპერიის წყალობით შეერწყა ლომბარდიულ სკოლას, რომელიც იტალიაში იყო გაბატონებული. დასავლეთით იგი მეზის, მოზელის და ესკოს ხეობებში, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით რონის ხეობაში გვხვდება. სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანული სკოლა ავსტრიიდან დალმაციის სანაპირომდე, აგრეთვე შვეიცარიაში, პოლონეთში და ჰოლანდიაში აღწევდა.

ფრანგულ სკოლას ბევრად მეტი ვარიანტი გააჩნდა. განასხვავებენ ჩრდილოეთის (ილ-დე-ფრანსი, პიკარდია, ფლანდრია, შამპანი), ნორმანდიულ, ბურგუნდიულ, ოვერნის, პუატუს და პროვანსის სტილებს. ამ სკოლებიდან ყველაზე ძველი ნორმანდიული სკოლაა.

ინგლისური სკოლა წარმოშობით ნორმანდიულია. აქ

გერმანული გავლენა ნორმანდიულმა ჩაანაცვლა. ინგლისის ერთ-ერთი ულამაზესი ტაძრის, დარემის (Durham) მშენებლობა 1093 წელს დაიწყო და 1133 წელს დასრულდა. ირლანდიაში შემორჩა კაროლინგური სტილის ძლიერი გავლენა. საკმარისია გავიხსენოთ კლონფერტის საკათედრო ტაძრის დიდებული პორტალი.

ნორვეგიაში დასტურდება რომანული არქიტექტურის განსაკუთრებული ნიმუშების, კერძოდ ხის ეკლესიების არსებობა, რომელთა შორის ზოგიერთმა საუკუნეებს გაუძლო. ასეთია ოსლოში გადატანილი გოლის ეკლესია.

ესპანეთში რომანული არქიტექტურა მხოლოდ იმ რეგიონებში გვხვდება, რომლებიც ქრისტიანობამ XIII საუკუნემდე დაიბრუნა. ესენი კასტილია, ლეონი, ნავარა და კატალონიაა. იგივე ეხება პორტუგალიასაც (ევორას ტაძარი). აქ იგრძნობა კავშირი ლანგედოკის, გასკონიის და ბურგუნდიის ხელოვნებას, კლიუნის გავლენასა და მოსარაბულ ხელოვნებას შორის. ესპანეთის რომანული ხელოვნების ყველაზე დიდი მარგალიტის, სანტიაგო-დე კომპოსტელას მშენებლობა 1078 წელს დაიწყო და 1168-1188 წლებს შორის დასრულდა, გოტიკის საწყის პერიოდში.

ამ ყველაფრიდან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ არქიტექტორთა შორის, რომლებიც უმეტესად ბერები იყვნენ და მათი ვინაობა ჩვენთვის უცნობია, იდეების უკიდურესად ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა შეიმჩნეოდა. ამ განვითარების ძლიერ კერებს წარმოადგენდა კლიუნი, ცისტერციელების მონასტრები, ჯვაროსნული ლაშქრობები, თუმცა ყოველ სკოლას თავისი ორიგინალობა ახასიათებდა.

იგივე შეიძლება ითქვას ქანდაკების შესახებ. გასაოცარია შემოქმედებითი გენიის გაქანების მასშტაბი რომანულ ეპოქაში.

გოტიკის წარმოშობა. თუმცა ეკლესიების გეგმები ზოგადად რომანული ეკლესიების გეგმების იდენტურია, გოტიკა მისგან მაინც ძირეულად განსხვავდება. ეს სახელწოდება (გოტიკა) ძალიან ცუდად შეირჩა XVI საუკუნეში, როცა კლასიკისკენ დაბრუნებამ ეს ხელოვნება ბარბაროსულად

მიიჩნია. რომანული ხელოვნების სიმტკიცეს, სიმძიმეს სიმსუბუქე ენაცვლება. თაღები ებჯინება არა კედლებს ან კონტრფორსებს, არამედ არკბუტანებით გამაგრებულ სვეტებს. ამ თხელ კედლებში უფრო და უფრო ფართო ფანჯრების გამოჭრა შეიძლება. რომანულ სიბნელეს ენაცვლება გოტიკური სინათლე, რასაც ვიტრაჟებს უნდა ვუმადლოდეთ. თაღის ფორმა განსხვავებულია: რომანულ ნახევარწრიულ თაღს გოტიკური ისრისებრი თაღი ცვლის. მისი ორიგინალურობა ურთიერთგადამკვეთი სალტეების ფორმაში კი არ უნდა ვეძებოთ, რაც უკვე მრავალ რომანულ ძეგლში შეგვხვედრია, არამედ იმაში, რომ ეს სალტეები გამაგრებულია მზიდი ნერვიურებით, რომლებიც რელიეფს უფრო გამოკვეთილს ხდის. გოტიკური ქანდაკებაც აღმავლობის გზაზეა. რომანულთან შედარებით იგი უფრო მოქნილი, ნატიფი, მოღიმარი და ბუნებრივია.

გოტიკის ეროვნული თავისებურებანი. ინგლისელი ისტორიკოსის კინგსლი პორტერის და იტალიელი ისტორიკოსის პაოლო ვერზონეს მიხედვით ყველაზე ძველი ისრისებრი თაღები იტალიაში, ნოვარის და ვერჩელოს რეგიონშია. ინგლისელი ისტორიკოსი ჯონ ბოლსონი ამტკიცებს, რომ ეს სისტემა დარემის საკრებულო ტაძარში 1100 წელს არის გამოყენებული. ფრანგი ელი ლამბერი და ესპანელი გომეს მორენო თვლიან, რომ ნერვიურის პირველი ნიმუშები კორდოვის დიდ მეჩეთსა და მოსარაბთა ხელოვნებაშია, მაგრამ სწორედ ჩრდილოეთ საფრანგეთში ჰპოვა განვითარება ამ სისტემამ XII საუკუნის მეორე მეოთხედში ჯერ მორიენვალის, ბელფონტენის მცირე ეკლესიებში ილ-დე-ფრანსის რეგიონში, მოგვიანებით კი დიდ ტაძრებში, კერძოდ სენდენის ბაზილიკაში, რომელშიც საფრანგეთის მეფეები არიან დაკრძალული. ამას მოსდევს დიდი კათედრალების მშენებლობა, როგორიცაა სანის, ნუაიონის, სანლისის, ლანის, პარიზის, შარტრის და XIII საუკუნის დასაწყისში რეიმსის და ამიენის ტაძრები.

ეს დიდებული ძეგლები მთელი ქრისტიანული სამყაროს აღტაცებას იწვევს და მათ ყველგან ბაძავენ. უნდა აღინიშ-

ნოს, რომ გერმანიამ საფრანგეთზე უკეთ შემოინახა და შეინარჩუნა თავისი რომანული კათედრალები (როგორიცაა ვორმსი და შპაიერი).

გერმანული გოტიკა უფრო გვიან განვითარდა, იგი ცისტერციელებმა შეიტანეს გერმანიაში. ბამბერგის ტაძრის შემქმნელი შთაგონების წყაროდ ლანს და ტურს იყენებს, კელნის ტაძარი, რომელიც ყველაზე დიდია (ნაწილობრივ თანამედროვე), ამიენის ტაძარს ბაძავს. ალბათ ყველაზე ლამაზი სტასბურგის ვარდისფერი ქვით ნაგები კათედრალია.

გოტიკა სკანდინავიურ ქვეყნებშიც ვრცელდება. ფრანგი არქიტექტორი და მოქანდაკე ეტიენ დე ბონეი უფსალის ტაძარს აშენებს შვედეთში.

საფრანგეთთან შედარებით, ესპანეთი მეტი ორიგინალურობით გამოირჩევა არაბული გავლენის გამო, განსაკუთრებით სკულპტურაში, სადაც არაბულ მოტივებს ვპოულობთ, როგორც ტოლედოს, ბურგოსის, ლეონის, ბარსელონის, პალმის და სხვა ტაძრებშია. ტოლედოს ტაძრის დიდებით მოსილი ქრისტე და მოციქულების კრებული ესპანური გოტიკური ქანდაკების შედევრია.

ინგლისურმა გოტიკამ ილ-დე-ფრანსის და ნორმანდიის დიდი გავლენა განიცადა XII საუკუნეში (კენტერბერის ტაძარი 1192 წელს დაასრულა სანის (Sens) არქიტექტორმა), მაგრამ მალე ინგლისური გოტიკა, early english, ძალზე ორიგინალური ხდება: მას აქვს მართკუთხა აბსიდი, არ აქვს შემოსასვლელი გალერეა, ხანდახან ორმაგი ტრანსეპტი გააჩნია. ამიენის ტაძრის თანამედროვე სოლზბერის ტაძარს 123 მ სიმაღლის შპილი აქვს (სტრასბურგის ტაძრისა 147 მ-ია). იმავე ტიპს განეკუთვნება ლინკოლნის, იორკის, უორჩესტერის, ექსეტერის, ელის ტაძრები. ხაზები უფრო გართულებულია, თაღები ფრაგმენტული, ფანჯრების ჭრილი უსასრულო. ეს „ორნამენტული გოტიკაა". ამასთან დაკავშირებით ლაპარაკია ხოლმე „ორნამენტულ სიმდიდრეზე". უესტმინსტერის სააბატო ყველაზე ახლოს დგას ფრანგულ ტაძრებთან.

გოტიკურმა არქიტექტურამ ბოჰემიაში 1230 წლის შემ-

დეგ შეაღწია გერმანელი კოლონების გავლენით. ჩეხი იმპერატორის კარლ IV-ის (1346-1378) მეფობის ხანაში მან აყვავებას მიაღწია, რის გამოხატულებაც ფრანგი არქიტექტორის, მატიე დ'არასის ქმნილება, პრაღის წმინდა ვიტის (წმინდა გის) ტაძარი წარმოადგენს. განსაკუთრებული წარმატებით მოღვაწეობდა მისი მემკვიდრე, პიერ პარლერი შვაბეთიდან, რომლის აშენებული ეკლესიებით აივსო ბოჰემია, მისმა გავლენამ კი ვენა, ბავარია, შვაბეთი, სტრასბურგი, ბრესლაუ, კრაკოვი და თვით მილანიც კი მოიცვა.

პოლონეთმა შემოქმედებითი განვითარების მწვერვალს მხოლოდ XVI საუკუნეში მიაღწია. მანამდე იგი გერმანელთა მიბაძვით კმაყოფილდებოდა. რელიგიურმა ორდენმა, კერძოდ ცისტერციელებმა რომანულ სტილში, დომინიკელებმა და ფრანცისკელებმა გოტიკაში, იქ მრავალი შენობა ააგეს. ჩინებული მშენებლები გამოდგნენ ტევტონი რაინდებიც.

ამგვარად, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა, ფერწერა — ეს ყველაფერი ევროპის ქრისტიანულ სამყაროში სულიერი ერთობის ერთ-ერთ დიდ ელემენტს წარმოადგენდა.

IX. უფრო ჰუმანური ცივილიზაციისკენ

რაინდობა. ორი საუკუნე, რომელთა განმავლობაში დასავლეთის ქრისტიანობამ აპოგეას მიაღწია, არა მარტო ძალადობით, არამედ ზოგიერთ ფასეულობათა პროგრესით იქნა აღბეჭდილი, რომლებიც ადამიანს უკეთ ცხოვრებაში ეხმარება.

ჩვენ ადრე უკვე ვახსენეთ ომის ერთგვარი ჰუმანიზაცია, საღმრთო ზავი, საღმრთო მშვიდობა, პილიგრიმების დაცვა ძალადობისგან, მოძალადის დასჯა ეკლესიიდან განკვეთით. თვითონ მეომრის სახის ჰუმანიზაციაც მოხდა. რაინდის წოდება X საუკუნის ბოლოს ჩნდება. მისი ცენტრი ციხედარბაზია, თუ არ ჩავთვლით ღარიბ რაინდებს. XI საუკუნიდან რაინდობა მემკვიდრეობით კასტად გადაიქცა. დამყარდა საკუთრივ ფეოდალური სისტემა. შეიძლება ლაპარაკი

ახალ არისტოკრატიაზე, რომელიც მთლიანად ცვლის ძველს.

„ბერძნულმა ფილოსოფიამ, რომის სამართალმა, ქრისტიანულმა რელიგიამ ბევრი გააკეთა ევროპული შეგნების ჩამოყალიბებისთვის", წერს იტალიელ-ამერიკელი ისტორიკოსი რობერტ ლოპესი. „ფეოდალიზმმაც დიდი წვლილი შეიტანა ამაში იმ პრინციპის ხაზგასმით, რომ დამოკიდებულებათა კავშირები ურთიერთმოვალეობებით იქმნება, რომ თითოეულ უფლებას უნდა შეესაბამებოდეს მოვალეობა".

სწორედ ამიტომ შეიქმნა „რაინდად კურთხევის" საზეიმო, რიტუალური ცერემონიები: განსაწმენდი განბანვა, იარაღის საკურთხეველთან დასვენება, ღამისთევა ლოცვით. რაინდის მოვალეობები შესანიშნავადაა გადმოცემული ქრისტიანული ცხოვრების წიგნში (Liber de vita christiana), რომლის ავტორია ბონიზონ დე სუტრი.

რაინდი უნდა ყოფილიყო თავისი სენიორის ერთგული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი მას უსამართლო ომში ჩააბამდა. მას იგი უნდა დაეცვა. მას უნდა ებრძოლა სახელმწიფოს, ღარიბების, ქვრივების, ობლების დასაცავად. თავი უნდა შეეკავებინა ძარცვა-რბევისგან, განედევნა ერეტიკოსები და განხეთქილების მოსურნენი, არ უნდა გაეტეხა დადებული ფიცი. იგი ეკლესიის და სახელმწიფოს სამსახურში უნდა ყოფილიყო. ამგვარად, რაინდობა სამშვიდობო ინსტიტუციად გვევლინება.

რაინდული იდეალი მთელ ქრისტიანულ სამყაროში ვრცელდება. ამას მოწმობს ფრანგულ ენაზე 1120-1128 წლებში დაწერილი „როლანდის სიმღერა". ბონიზონ დე სუტრი იტალიელია. ესპანელი რაინდი, რომელიც „ჩემი სიდის სიმღერაშია" აღწერილი, ფრანგ რაინდს ჰგავს. ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილე, სხვადასხვა რელიგიური ორდენებიდან გამოსული რაინდების, კერძოდ ტამპლიერების და ჰოსპიტალიერების მხარდამხარ არსებობს ტევტონი რაინდების წმინდა გერმანული სარაინდო ორდენი, რომლის საქმიანობის შედეგად გერმანული გავლენა იმდენად ვრცელდება ბალტიის ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, რომ იგი სახელმწიფოდ ყალიბდება. ესპანეთ-

ში წმინდა ესპანური სარაინდო ორდენები 1158-1176 წლებში იქმნება (კალატრავა, ევორა, სანტიაგო, ალკანტარა).

დიდ გერმანულ ეპიკურ პოემაში Nibelungenlied (სიმღერა ნიბელუნგებზე), რომელიც XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება, ერთმანეთს ერწყმის ძალადობა და რაინდული სული. XII და XIII საუკუნეების "ბრეტანულ რომანებში" გამოხატულია ინგლისური რაინდული მგრძნობელობით შერბილებული კელტური ტრადიციები (ტრისტანი და იზოლდა, მრგვალი მაგიდა). გალური რაინდობა გამოხატულია Mabinogion-ებში, ფრანგული ლიტერატურით შთაგონებულ რომანებში. შეიქმნა ჩეხური რელიგიური ორდენიც, რომელსაც ჯვრის რაინდები ეწოდებოდა და რომელიც ბოჰემიის დიდი მეფის, ოტოკარ I - პრჟემისლის (1197-1230) ქალიშვილმა აგნესამ დააარსა.

ქალის მდგომარეობა და კურტუაზიული სიყვარული. საუკუნეების მანძილზე ქალის მდგომარეობა ნელ ევოლუციას განიცდიდა.

რომის სამართალი ოჯახის უფროსს სრულ ძალაუფლებას ანიჭებდა ცოლსა და შვილებზე, მას შეეძლო შვილის დაბადებისთანავე უარი ეთქვა მასზე, თუ იგი რაიმე მიზეზით არ მოსწონდა: მაგალითად, თუ ბავშვი გოგონა დაიბადებოდა, ან ბიჭი, მაგრამ ხეიბარი, ფიზიკურად ან გონებრივად ჩამორჩენილი. თუმცა საზოგადოების მაღალ ფენებში ქალი ყოველთვის არ წარმოადგენდა უბრალოდ სიამოვნების ობიექტს და ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვან როლსაც კი თამაშობდა საზოგადოებაში: მიუხედავად ამისა, ქალი რომში არ სარგებლობდა „რაიმე უფლებით". მამა, მამამთილი, სიმამრი, ქმარი ყოვლისშემძლენი იყვნენ. ქრისტიანობა ამას ვერ დაუშვებდა. სწორედ მან მიაღებინა კანონი 390 წელს, რომელიც ოჯახის უფროსს უფლებას ართმევდა თავისი შვილების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ მეროვინგელთა კრება სერიოზულად მსჯელობდა იმაზე, აქვთ თუ არა ქალებს სული. საბედნი-

ეროდ, მათ დასკვნაში ითქვა, რომ მამაკაცების მსგავსად ქალებსაც გააჩნიათ იგი.

X-დან XII საუკუნემდე შეიძლება ითქვას, რომ ცოლქმრული წყვილი, ოჯახური უჯრედი ოჯახის, კოლექტიური ცხოვრების, საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი გახდა. ამ ჩარჩოში ქალს ცენტრალური ადგილი ეკავა. იგი ოჯახის დიასახლისი იყო, მას ებარა საოჯახო ნივთები, ავეჯი, თეთრეული, სამზარეულო. მან იცოდა ათასგვარი ფერუმარილის დამზადება, ისევე ერკვეოდა ნელსაცხებლებსა და სუნამოებში, როგორც ჩვენი დროის მანდილოსნები. მას აინტერესებდა ჩაცმა და ვარცხნილობა.

მთავარი სიახლე ის იყო, რასაც „კურტუაზიული სიყვარული" შეარქვეს; „სიყვარული, XII საუკუნის ეს გამოგონება", - ამბობს რეჟინ პერნუ თავის წიგნში „ქალი კათედრალების ეპოქაში".

ანდრე ლე შაპლენმა „სიყვარულის ტრაქტატი" XII საუკუნეში დაწერა ლუი VII-ის და ალიენორის ქალიშვილის, და გრაფის მეუღლე მარი დე შამპანისათვის. ამ ტრაქტატს აღარაფერი ჰქონდა საერთო რომაელი პოეტის, ოვიდიუსის „სიყვარულის ხელოვნებასთან". ავტორი წერს: „ნათელია, რომ თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს ემსახუროს მანდილოსნებს, რათა შეძლოს მათი სინარნარით გაცისკროვნება... თუ რამ დიადი კეთდება საუკუნის მანძილზე, „იგი წარმოუდგენელია სიყვარულის გარეშე". მას სურს, რომ შეიქმნას „სიყვარულის კურსები", სადაც პოეტები, ტრუვერები, ტრუბადურები, სენიორები და ქალბატონები იკამათებენ რაინდულად და კურტუაზიულად ამ ამოუწურავ საკითხზე, რაზეც დაუღალავად შეიძლება ისაუბროს ადამიანმა: ურთიერთობაზე ორ სქესს შორის. აქ შეიძლება კაზუისტიკის ნიუანსებში შეჭრა, როგორც ეს XVII საუკუნის პრეციოზებს ახასიათებდა.

„კურტუაზიული პოეზია" ლიტერატურის ერთ-ერთ პრესტიჟულ ფორმად იქცა და ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გახდა. ისევე, როგორც ვასალი მიაგებდა პატივს („ომაჟი") სენიორს, რაინდსაც პატივი უნდა მიეგო მანდილოსნისთვის, რომელიც მისი გულის ჭეშმა-

რიტი მპყრობელი (სიუზერენი) იყო. შეიქმნა უამრავი რაინდული რომანი, სადაც მთავარი ადგილი სიმამაცეს და სიყვარულს უჭირავს.

სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ, რომ მაშინდელ ფეოდალურ სამყაროში, სადაც რაინდი გამუდმებით ომობდა, მანდილოსნები, თუ სამღვდელო პირებს არ ჩავთვლით, მამაკაცებზე მეტად ნაკითხები და განათლებულები იყვნენ.

ეს ფენომენი მთელ ევროპაში იყო გავრცელებული. კასტილიის სამეფო კარი XIII საუკუნის დასაწყისში კურტუაზიული წრეების ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა. ალიენორ აკვიტანელმა ერთი ქალიშვილი საქსონიაში გაათხოვა, მეორე სიცილიაში, მესამე კი (ალიენორ უმცროსი) ალფონსო VIII კასტილიელზე დააქორწინა. თავიანთ ციხე დარბაზებში, რომლებიც ბურგოსსა და პალენსიაში მდებარეობდა, ისინი ხშირად იწვევდნენ ტრუბადურებს. ალიენორ უმცროსის ერთ-ერთი ქალიშვილი, სახელად ბლანკა, საბერძნეთის მეფეს გაჰყვა ცოლად და ლუი IX წმინდის დედა გახდა (ბლანკა კასტილიელი); ბერანჟერის მეუღლე ლეონის მეფე იყო. იგივე როლს თამაშობდა ხშირად ინგლისის სამეფო კარი და სიცილიის სამეფო კარი.

კომუნები. პროგრესის სხვა ფორმა იყო ნელი სვლა კომუნების თავისუფლებისაკენ. ეს იყო ზოგადევროპული მოვლენა XI საუკუნიდან მოყოლებული და მას მრავალი წახნაგი ჰქონდა.

თავიდან ყველაფერი ალბათ ჩრდილოეთ იტალიაში დაიწყო. „ქალაქების" მოსახლეობამ, რაინდებმა, ხშირად ღარიბმა თავისუფალმა ადამიანებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ქალაქებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლომბარდიის ქალაქების მაგალითი. ისინი ქალაქი-სახელმწიფოები გახდა, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ ან ერთიანდებოდნენ უდიდესი ქალაქის მილანის წინააღმდეგ. ფრიდრიხ ბარბაროსა, ფრიდრიხ II ხანდახან იყენებდნენ საშუალო ქალაქების მხარდაჭერას პაპის და მილანის წინააღმდეგ, მაგრამ თითოეული მათგანი დამოუკიდებელი იყო ლენიანოს ბრძოლის (1176) მოგების დროს.

ქალაქი-სახელმწიფოს გვერდით არსებობდა ისეთი ქალაქი, რომელმაც თავისუფლება ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, „გათავისუფლების სიგელით" მოიპოვა. ამ სიგელით იზღუდებოდა ან უქმდებოდა სენიორის უფლებები. ფეოდალი, რომელიც ყოვლისშემძლედ ითვლებოდა სოფლად, ქალაქში თავის ძალაუფლებას კარგავდა, მაგრამ ასეთი სიგელის მოსაპოვებლად საჭირო იყო მეფის ხელისუფლების მხარდაჭერა და მისთვის გადასახადების გადახდა. ასე ხდებოდა ფრანგულ კომუნებში, რომლებიც ლომბარდიელთა კომუნებთან შედარებით სუსტი იყო.

საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტი პირველი იყო, ვინც საყრდენს კომუნებში ეძებდა სენიორთა წინააღმდეგ. სწორედ კომუნები დაეხმარა მას მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებაში 1214 წელს იმპერატორის, ინგლისის მეფის და ფლანდრიის გრაფის წინააღმდეგ ბუვინში, რამაც გააძლიერა მისი სწრაფვა ცენტრალიზაციისკენ და თავიდან ააცილა მას მეურვეობა ეკლესიის მხრიდან.

ინგლისი, ან უფრო სწორად, ანგლო-ნორმანდიული მონარქია, რომელიც ანგლო-ანჟუური და აკვიტანიური გახდა ჰენრი II პლანტაგენეტის დაპყრობების წყალობით 1154 წელს, პირველი ჭეშმარიტად ორგანიზებული სახელმწიფო იყო ევროპაში. ამის გამო კომუნები აქ უფრო მეტად ემორჩილებოდნენ მეფეს, ვიდრე სადმე სხვაგან, მაგრამ ეს გაწონასწორებული იყო იმ ძალით, რაც დიდ ბრიტანეთში გაჩნდა ძალზე დეცენტრალიზებული და ავტონომიური „ადგილობრივი მმართველობის" ტრადიციის სახით. აქ უთუოდ ჩანს საქსების და ნორმანდიული გავლენების ნაკვალევი.

მიუხედავად ამისა, ბარონებმა, სამღვდელოების ნაწილმა და ლონდონელმა მოქალაქეებმა ბოვენში ულიმღამო მეფის, ჯონ უმიწაწყლოს დამარცხებისა და ეკლესიასთან მისი უთანხმოების შემდეგ აიძულეს იგი ხელი მოეწერა 1215 წელს „თავისუფლებათა დიდი ქარტიისათვის" (Magna Carta), რომელიც რთულ და უწესრიგოდ შედგენილ დოკუმენტს წარმოადგენს, მაგრამ საპარლამენტო რეჟიმის უძველეს წყაროდ გვევლინება.

სკანდინავიის ქვეყნები ნაკლებად ერეოდნენ დიდ საქმე-

ებში, რადგანაც იქ მოსახლეობის სიმჭიდროვე უფრო მცირე იყო და მეფე ვერაფერს გადაწყვეტდა ადგილობრივი სახალხო საკრებულოების თანხმობის გარეშე, რაც ვიკინგებისგან შემორჩა (Tbing). ისლანდიაში და გრენლანდიაში მმართველობას უზრუნველყოფდა გენერალური ასამბლეა, ანუ Altbing-ი.

ესპანეთი, რომელიც მუსლიმანებთან ბრძოლით იყო დაკავებული, ციხე-დარბაზების ქვეყანა იყო, რომლებიც პატარა სასოფლო-სამეურნეო დაბებს წააგავდა: სიტყვები - კატალონია, კასტილია - „ციხე-დარბაზების ქვეყანას" ნიშნავს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მეფეს ემორჩილებოდა, მაგრამ აქაც, ინგლისამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე არსებობდა პარლამენტარიზმის ჩანასახი „კორტესების" სახით, რომელშიც შედიოდნენ დიდგვაროვნები, ეპისკოპოსები და ადგილობრივი დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. ლეონის კორტესები 1188 წელს შეიქმნა.

ბურჟუები სენიორთა წინააღმდეგ, გაუთავებელი დავა, მოქიშპე დაჯგუფებები (გველფები და გიბელინები, მონტეკები და კაპულეტები) - ეს ყველაფერი დამახასიათებელი იყო ქალაქების ცივილიზაციისთვის, რომელიც XIII საუკუნეში განვითარდა და რის გამოხატულებას და დადასტურებასაც გოტიკური ეკლესიები და საკათედრო ტაძრები წარმოადგენენ. მდიდრებმა ფული გაიღეს მათთვის, ღარიბებმა კი უფასო შრომა. გერმანიაში იმპერიის ძალაუფლების ნგრევამ ხელ-ფეხი გაუხსნა ფეოდალ სენიორებს და კომუნების თავისუფლებას იქ მეტი საფრთხე დაემუქრა, ვიდრე სხვაგან; აქედან გამომდინარეობდა მათი ლიგების პოლიტიკა: ჰანზის ლიგა (იხ. შემდ. თავი), შვეიცარიის კანტონები და ა.შ. ფლანდრიაში, რომელიც მდიდარი ქვეყანა იყო, კომუნებმა ფართო განვითარება ჰპოვა, თუმცა ისინი სრულ დამოუკიდებლობას ვერ აღწევდნენ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებისგან განსხვავებით.

კომუნების ინსტიტუტები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისგან. სახელმწიფოების მსგავსად მათ აქვთ ასამბლეა (საკრებულო, სადაც ყველა თავისუფალ მოქალაქეს შეუძ-

ლია შეიკრიბოს მოედანზე), საბჭოები, რომლებიც წარჩინებული პიროვნებებისგან ან რევოლუციური დაჯგუფებებისაგან შედგება. არის აღმასრულებელი ხელისუფლება, თავიდან კოლექტიური, შემდეგ კი ინდივიდუალური: ქალაქის მერი, მაიორი, ბურგომისტრი ან ბიზანტიაში დუკა, ვენეციაში კი დოჟი.

ამრიგად, კომუნებმა შემოიტანეს ეს ახალი მოვლენა, როცა საჯარო საქმეების განხილვაში მონაწილეობა მრავალ მოქალაქეს შეეძლო. ასამბლეა „სთავაზობდა ტრიბუნას ყოველ მოქალაქეს, რომელსაც ამის გაბედულება და სიმამაცე გააჩნდა". ეს მაშინდელი ევროპის ტიპიური წინ გადადგმული ნაბიჯია თავისუფლების იდეალისკენ მიმავალ გზაზე.

კომუნებთან ერთად არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ის ფუნდამენტური როლი, რომელიც იტალიის საზღვაო რესპუბლიკებმა: პიზამ, გენუამ და განსაკუთრებით, ვენეციამ ითამაშეს.

ეს ქალაქი თავიდან კუნძულოვანი თავშესაფარი იყო. გადაიგდო რა ბიზანტიის იმპერატორთა უღელი (რომელთაც რავენა 540 წლიდან 751 წლამდე შეინარჩუნეს), ვენეცია ერთადერთი მეთაურის, *დოჟის* გამგებლობაში იმყოფებოდა. თავისი მდებარეობის გამო იგი წინააღმდეგობას უწევდა პიპინს, უნგრელებს და 1797 წლამდე დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. საჭირო იყო ადრიატიკის მისადგომების განთავისუფლება. ეს სასტიკი ბრძოლების საგანი იყო ნორმანების, მავრი პირატების და სხვა იტალიელების წინააღმდეგ. ვენეციამ ჯვაროსნული ლაშქრობებით ისარგებლა და სანაპირო იმპერია შექმნა, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა დალმაციასთან, ევბეასთან, პელოპონესთან, კრეტასთან და კონტინენტურ, „სახმელეთო" იტალიასთან.

ეს მტკიცე და მდიდარი ისტორიის მქონე რესპუბლიკა დიდგვაროვან ოჯახებს ეკუთვნოდა მიუხედავად ხალხის ასამბლეისა, რომელიც წმინდა მარკოზის მოედანზე იკრიბებოდა. სწორედ ვენეციიდან წავიდა ხანგრძლივ მოგზაურო-

ბაში ვაჭარი მარკო პოლო (1264-1324) ჩინეთში, სადაც იმ დროს მონღოლები ბატონობდნენ.

გარემოებები, რომლებშიც მან მოგვითხრო თავისი თავგადასავალი, ძალიან კარგად ახასიათებს იმ დაუნდობელ მეტოქეობას, რომელიც მოვაჭრე რესპუბლიკებს შორის არსებობდა. მარკო პოლო ვენეციაში ბრუნდებოდა, რათა უკანასკნელი დღეები მშობლიურ ქალაქში გაეტარებინა, როცა იგი გენუელებმა შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს. სწორედ ციხის კედლებში მოისმინა მისი მონათხრობი ერთ-ერთმა პატიმარმა და ჩაიწერა კიდეც.

მას შემდეგ, რაც პიზის როლის შესუსტებაზე იზრუნა (1284), გენუა შეეცადა ვენეციის ადგილი დაეკავებინა, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა ინგლისის, ფლანდრიის ბაზრები და თავის გემებს ჩრდილოეთის ზღვაში გზავნიდა.

გენუელები ვაჭრობას აწარმოებდნენ ესპანეთთან, რონის ხეობასთან მარსელის და ეგ-მორტის საშუალებით, ჩრდილოეთ აფრიკასთან და ა.შ. მათ შეაღწიეს ადრიატიკის ზღვაში, დაეხმარნენ მიქაელ პალეოლოგოსს ბიზანტიის აღდგენაში მას შემდეგ, რაც მან კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებს წაართვა, და კიოჯაც კი დაიკავეს ვენეციის ლაგუნაში. საბოლოოდ ისინი იქედან გააძევეს და გენუამ ბევრად უფრო რთულად გადაიტანა, ვიდრე ვენეციამ ის უამრავი სამხედრო ხარჯები, რაც კიოჯის ომს მოხმარდა. 1389 წელს ტურინის ზავმა ვენეციას სრული გამარჯვება მოუტანა.

მაგრამ ამასობაში თურქები ახლოვდებოდნენ და ვენეციას თანდათანობით ართმევდნენ ბაზებს ეგეოსის ზღვაზე, ევბეოსზე, პელოპონესში.

საბოლოოდ საზღვაო რესპუბლიკებსა და ვენეციაზე XV და XVI საუკუნეების დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ ქრისტეფორე კოლუმბი გენუელი იყო.

სანელებლებით ვაჭრობას ძალზე დიდი სიმდიდრის მოტანა შეეძლო მიუხედავად სატრანსპორტო ხარჯებისა, რადგანაც სანელებლები და აბრეშუმი ძვირადღირებული და ნაკლები წონის მქონე საქონელია. სანელებლების ქარავნები სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან სირიისკენ მიემარ-

თებოდა, ან არაბული გემებით სუეცის არხისკენ, მაგრამ სიტუაცია ძირეულად შეიცვალა, როდესაც პორტუგალიელი ვასკო და გამას წყალობით იგივე საქონლის ზღვით გადაზიდვა დაიწყეს.

დასკვნა. ათასობით ეკლესიის, მონასტრის, რომანული თუ გოტიკური სტილის ტაძრების ნახვის შემდეგ გასაგები ხდება ამ ორი საუკუნის სულიერი, ინტელექტუალური, შემოქმედებითი თუ ფილოსოფიური სიმდიდრე და ამავე დროს, ღრმა ერთიანობა.

ეს ევროპაა, უსახელო ევროპა. სახელი თითქმის დავიწყებულია.

ცხადია, რომ ფეოდალური სისტემა, რომელიც ძალას იკრებს, გულისხმობს მთლიანად იერარქიზებულ საზოგადოებას. რასაკვირველია, სენიორებს შორის განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობს. ნათელია, რომ დიდების და გავლენის მწვერვალზე მყოფი პაპები და იმპერატორები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთთან. რა თქმა უნდა ქრისტიანები (თითქმის შეუძლებელია მაშინ, რომ რწმენა არ გქონდეს) დარწმუნებულები არიან, რომ „ურჯულოთა" (ძირითადად მუსლიმანთა) წინააღმდეგ საჭიროა ძალის გამოყენება.

მაგრამ ევროპული ერთობა იმარჯვებს. იგი იმ პრინციპით იმარჯვებს, რომელიც მოგვიანებით თავისუფლების დვრიტა გახდება: ეს არის ძალაუფლების გამიჯვნა, „ორ მახვილს", სულიერ და დროებით, რელიგიურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას შორის. იგი ისლამური ერთობის, Oumma-ს საწინააღმდეგო მოვლენაა.

დღეს დადგენილია, რომ ორი ავტორიტეტის ერთში შერწყმა ფანატიზმისა და ტოტალიტარიზმის ძირითადი სათავეა.

ამ თავში იძულებული ვართ საკმაოდ სქემატურად განვიხილოთ ყველა ის ფორმა, რომელსაც ევროპული ერთობა ღებულობს.

ეს არის დიდი რელიგიური ორდენების გავრცელება: კლიუნის შავი ბერები, რომლებიც კვლავ აღმავლობის გზა-

ზე დგანან და კვლავ დადიან სალოცავად სანტიაგო დე კომპოსტელაში, სიტოს თეთრი ბერები, რომლებიც ბევრად უფრო „ინტერნაციონალურები" არიან და რომელთაც XI საუკუნეში წმინდა ბერნარი, ჭეშმარიტი ევროპელი ხელმძღვანელობდა. ესენია XIII საუკუნის, იტალიაში აღმოცენებული „მათხოვრული ორდენები", რომლებიც ჯვაროსნულ ომებს მისიონერობას ამჯობინებდნენ და უმთავრესი როლი ითამაშეს ისეთი ტიპიურად ევროპული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა უნივერსიტეტები.

ეს არის აგრეთვე სალოცავად მავალთა ევროპა, უფრო ჰუმანური ცხოვრების ევროპა, რაინდებით, კურტუაზული სიყვარულით, კომუნების თავისუფლებით. ეს არის ევროპა, სადაც დიდი კამათი იყო რწმენისა და გონების ურთიერთმიმართების ირგვლივ.

და ბოლოს, ეს არის ქვის ციხე-დარბაზებისა და მონასტრების, ქალაქების, გალავნებისა და ეკლესიების ევროპა.

შემდეგი თავისათვის შემოვინახეთ ვაჭრების და მეცნიერების ევროპის შესწავლა.

ეს ყველაფერი ჰყვაოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ თუ დასავლეთი შემოსევებისაგან დაცული იყო, აღმოსავლეთს მონღოლების სახით XIII საუკუნეში უზარმაზარი საფრთხე დაემუქრა და მათი დაპყრობების ტალღა პოლონეთს, უნგრეთსა და ბოჰემიას მისწვდა.

10
სახელმწიფოთა ევროპისაკენ (XIV-XV საუკუნეები)

I. თანამედროვე სახელმწიფოს დაბადება და ასწლიანი ომი

ევოლუციის ძირითადი ხაზი. არც IX და X საუკუნეების სხვადასხვა ბარბაროსული სახელმწიფოები, არც XI საუკუნის ფეოდალური სამთავროები, არც ქრისტიანობის ვრცელი „თანამეგობრობა" არ შეესაბამება იმას, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ. სახელმწიფოების წარმოშობისათვის საჭირო იყო საკმაოდ მრავალი პირობა და ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ნელი და თანმიმდევრული უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად მეფის პირადი კავშირი თავის ვასალებთან შეიცვალა „სუვერენობით", რაც გულისხმობდა მეფის ხელისუფლების გავრცელებას მისი სამეფოს სხვადასხვა კომუნის ერთობლიობაზე, მსხვილ ფეოდალებზე, განვითარებულ ქალაქებზე, სამღვდელოებაზე, ყოველ შემთხვევაში, საერო საქმეებისათვის მაინც. ამაში იგულისხმებოდა გადასახადების რეგიონალური აკრეფა და ამაზე გადახდისუნარიანი კომუნების თანხმობა. თანხმობის შემთხვევაში კომუნები აგზავნიდნენ თავიანთ „დელეგატებს" წარმომადგენლობითი უფლებით ძირითადად დროებით საკრებულოებში ან სახელმწიფოებში. „სუვერენი" უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ქვეშევრდომი, ანუ მუდმივი ჯარის ბირთვი მაინც უნდა ყოფილიყო მის განკარგულებაში. საჭიროება მოითხოვდა აგრეთვე, რომ მისი საქმეების მმართველ მსახურთა ჯგუფის ნაცვლად შექმნილიყო ნამდვილი „ადმინისტრაცია". ამ მოვლენების აღწერა, რომელთაც ნაყოფი მხოლოდ XV საუკუნის ბოლოს გამოიღეს, ძალზე დიდ დროს მოითხოვს და ჩვენს მიზნებს აღემატება. მთავარია აღვნიშნოთ

დაუოკებელი ევოლუცია, რომელიც ამ მიმართულებით

მოხდა და ამავე დროს მარცხიც, რაც ამ პროცესმა ზოგიერთ რეგიონში განიცადა.

შეიძლება წარმოვიდგინოთ სრულიად განსხვავებული სტრუქტურის მქონე ევროპა, რომლის ღერძიც, მაგალითად, ზღვები იქნებოდა: ერთ დროს მეფე კნუდის ინგლისურ-დანიური იმპერია არსებობდა ჩრდილოეთის ზღვის ირგვლივ. მიუხედავად სამი მცდელობისა (ნორმანები, ანჟუელები და ასწლიანი ომი) ლა მანშის გარშემო ვერ შეიქმნა ფრანგულ-ინგლისური სამეფო. ასეთმა ცდებმა მარცხი განიცადა და ევროპის სახელმწიფოებმა მომიჯნავე ტერიტორიების მასები შეადგინა. XI საუკუნიდან ინგლისმა გაერთიანება დაიწყო. ეს იყო ეპოქა, როდესაც საფრაგეთის მეფეებს ძალზე უჭირდათ თავიანთი მცირე „სამეფო დომენის" გაფართოება, მაგრამ XIII საუკუნეში საფრანგეთის მონარქია ძლიერ მომძლავრდა და ფილიპ ოგიუსტის,ლუი წმინდის და ფილიპ ლამაზის მეფობის პერიოდში ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. საფრანგეთისაგან განსხვავებით გერმანიამ და იტალიამ ვერ მოახერხეს გაერთიანება, რადგანაც იქ ფეოდალების ძალაუფლება ხანდახან მეფისას სჭარბობდა, იტალიაში კი განსაკუთრებით გაძლიერდა ქალაქები. მხოლოდ სიცილიისა და ნეაპოლის სამეფომ, რომელიც ნორმანდიელებმა სარკინოზებს წაართვეს და პაპებმა XII საუკუნეში ფრანგულ დინასტიას ჩაბარეს, 1860 წლამდე იარსება. სკანდინავიის სამეფოები, პოლონეთი, უნგრეთი, ესპანეთიც კი შუა გზაზე იყვნენ წარმატებასა (საფრანგეთი, ინგლისი) და მარცხს (გერმანია, იტალია) შორის.

მეფე თავის სამეფოში იმპერატორია. მრავალი ტექსტი იცავს იდეას, რომ „მეფე თავის სამეფოში იმპერატორია", რომ იმპერატორი სხვა მმართველების თანასწორია და არა მათზე მაღლა მდგომი. ხშირად ასეთი ნაშრომები დაწერილია „იმპერიალისტური" ან „თეოკრატიული" ტექსტების პასუხად. დავასახელოთ „კამათი სამღვდელო პირსა და მხედარს შორის" (Disputatio inter Clericum et Militem), რომელიც 1296 ან 1297 წლებით თარიღდება და სადაც

საბოლოო სიტყვა მხედარს ეკუთვნის. 1302 წელს დაწერილ Rex Pacificus-ში ვკითხულობთ: „პაპი არ არის უზენაესი მბრძანებელი იმ სამეფოთა საერო საქმეების გასარკვევად, რომლებიც რომის იმპერიას არ ემორჩილებიან. ამიტომ, საფრანგეთის სამეფო არ არის რომის იმპერიის ქვეშევრდომი. პირიქით, არის და უხსოვარი დროიდან კიდევაც იყო დადგენილი საზღვრები, რომლებიც სამეფოსა და იპერიას ერთმანეთისაგან ყოფს. მაშასადამე, პაპი არ არის საფრანგეთის სამეფოს მბრძანებელი და არც უზენაესი მსაჯული საერო საქმეებში, იგი ასეთად მხოლოდ სულიერ სფეროში გვევლინება, როგორც ყველგან დედამიწაზე

ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში საფრანგეთის მეფეები მშვიდად იყენებდნენ უფლებას, მხოლოდ ღმერთი ელიარებინათ თავიანთზე მაღლა მდგომად საერო საქმეებში და არ ცნობდნენ სხვას არავის, არც იმპერატორსა და არც პაპს. შედეგად მათ საკუთარ სამეფოში აბსოლუტური პირველობის უფლება მოიპოვეს. „ანალოგიურ მსჯელობას ვაწყდებით ჟან პარიზელის (Jean de Paris) ნაშრომში „მეფის ძლიერების შესახებ" (De Potestate Regia, 1302წ.): „აუცილებელი არ არის, რომ ყველა ერთგული საერთო თანამეგობრობაში იყოს გაერთიანებული. ჰავის, ენების და პირობების გათვალისწინებით შეიძლება ცხოვრების სხვადასხვა ტიპი და ორგანიზაცია არსებობდეს და რაც ერთისათვის კარგია, მეორისათვის შეიძლება არ ვარგოდეს."

ამ თეზისის მთავარი დამცველი იყო იტალიელი მარსილიუს პადუელი (დაახლ. 1280 -დაახლ. 1343), რომელიც თავის ქვეყანაში მომცრო ქალაქ-სახელმწიფოებს იყო მიჩვეული. ნაშრომი „მშვიდობის დამცველი" (Defensor Pacis), რომელშიც პაპმა კლემენტ VI-მ 240 მიუტევებელი შეცდომა იპოვა, ერთსა და იმავე დროს საერო და რესპუბლიკური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. იგი სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას იცავს და დაწვრილებით განიხილავს კონსტიტუციებს. ნაშრომის სათაურმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. პაპობის სასტიკ მოწინააღმდეგე მარსილიუსს არ სჯერა მუდმივი მშვიდობისა. ომებში იგი ცინიკურად ხედავს დემოგრაფიული სიჭარბის გამოსწორე-

ბის საშუალებას. დამოუკიდებელი და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის მეტოქე სახელმწიფოების მისეულ კონცეფციაში თანამედროვე ელერადობა იგრძნობა.

ასწლიანი ომი. ზოგადი სურათი. ამ წიგნში საშუალება არ გვაქვს დაწვრილებით მოგითხროთ ასწლიანი ომის შესახებ. იგი მცირე შესვენებებით 1337-დან 1453 წლამდე გაგრძელდა და ორ ძირითად ფაზას მოიცავს. ფილიპ VI-ის და შემდგომ, ჟან II კეთილის დროს ფრანგები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ჟანი ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელებს და ბრეტანის 1360 წლის ხელშეკრულების თანახმად სამეფოს მეოთხედი ინგლისის მეფეს, ედუარდ III-ს (1327-1377) დაუთმო.

მოგვიანებით შარლ V ბრძენმა (1364-1380) დაიბრუნა ოკუპირებული ტერიტორიები (თვით გიენის ოლქიც კი) და ინგლისელებმა მხოლოდ ბორდო, შერბური, კალე და რამდენიმე ციხე-სიმაგრე შეინარჩუნეს. შარლ V-მ კასტილიაშიც გაილაშქრა და ტახტიდან ჩამოაგდო პედრო V მრისხანე, შემდეგ კი ხელი შეუწყო ტახტზე ენრიკე II-ის, ტრასტამარების ახალი დინასტიის დამფუძნებლის ასვლას.

მეორე ფაზა დაკავშირებულია შარლ VI-ის (1380-1422) სიგიჟესთან, რამაც მას 1392 წელს დარია ხელი.

ამის შემდეგ ძალაუფლებას ერთმანეთს მისი ბიძები ეცილებოდნენ, კერძოდ, ბურგუნდიის

ჰერცოგი ჟან უშიშარი და მისი ძმა, ორლეანელი ჰერცოგი, არმანიაკის ჰერცოგის სიძე. მათ შორის სასტიკი ომი გაიმართა, რომელსაც არმანიაკების და ბურგინიონების ომს უწოდებენ. ამით მშვენივრად ისარგებლა ინგლისის მეფემ, ჰენრი V-მ (1413-1422).

მან ფრანგები 1415 წელს აზენკურში დაამარცხა, კავშირი შეკრა დედოფალ იზაბო ბავარიელთან და ბურგინიონებთან, რომელთაც ტრუას ხელშეკრულების წყალობით საფრანგეთის რეგენტობა უბოძეს და მან შარლ VI-ს სიკვდილის შემდეგ თავი მეფედ გამოაცხადა. ბურჟში თავშეფარებულ დოფინ შარლ VII-ს ღედის საქციელის გამო ეჭვი გაუჩნდა, რომ თავად შარლ VI-ს შვილი იყო. მწყემსმა

ქალიშვილმა ჟანა დ´არკმა, რომელსაც წმინდანების „ხმები" ესმოდა, იგი დაარწმუნა, რომ საკვლებით კანონიერად ეკავა სამეფო ტახტი - ასეთი მისტიკური „დამამტკიცებელი საბუთები" მაშინ ძალაში იყო.

ჟანა დ´არკის გადამწყვეტი ჩარევის (1429-1431) წყალობით მოხდა შარლ VII-ს მეფედ კურთხევა რეიმსის ტაძარში, მაშინ როდესაც მცირეწლოვან ანრი VI-ს (ანრი V-ის და პრინცესა კატრინის ვაჟი) სამეფო გვირგვინი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში დაადგეს.

ჟანამ გამარჯვებები მოიპოვა და ისინი მისი სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა (ჟანა დ´არკი, როგორც ჯადოქარი კოცონზე დაწვეს რუანში).

ანრი VI-ის ბურგინიონებთან უთანხმოების შედეგად ფრანგების კონტრშეტევამ შარლ VII-ს საშუალება მისცა თითქმის მთელი საფრანგეთი უკან დაებრუნებინა. 1445 წლის ხელშერულებამ მშვიდობა დაამყარა და ანრი VI ფრანგ პრინცესაზე, მარგერიტ ანჟუელზე დაქორწინდა. ინგლისში მალე სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელსაც „ორი ვარდის" ომი ეწოდა. ერთმანეთს ლანკასტერთა სამეფო საგვარეულო და იორკების საგვარეულო ებრძოდა.

ომაჟის პრობლემა. აქ ჩვენ გვინდა გიჩვენოთ ამ ომების კავშირი თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებთან. ინგლისი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც მყარი, მტკიცე ინსტიტუტები შექმნა. ადვილი გასაგებია, რომ ედუარდ III-ისთვის სულ უფრო და უფრო ნაკლებად ასატანი გახდებოდა საფრანგეთის მეფის წინაშე ვასალური ფიცის დადება გიენის პროვინციის გულისათვს, რომელიც ქმრის მიერ განდევნილი ალიენორ აკვიტანელის ინგლისის მეფეზე ქორწინების (1152 წ.) წყალობით ინგლისის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ეს ომაჟი პრიორიტეტული, ანუ ძალზე დიდი ერთგულების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამიტომ რადგანაც თავისი კონტინენტური სამფლობელოები სრულ საკუთრებაში, ანუ in allodium სურდა ეხილა, როგორც დიდ ბრიტანეთში ჰქონდა, მან საფრანგეთში დინასტიის შეცვლით ისარგებლა და საფრანგეთის ტახტზე

განაცხადა პრეტენზია. რადგანაც მეფე შარლ IV 34 წლის ასაკში უძეოდ გადაეგო, მისი ტახტი ფილიპ ლამაზის (1285-1314) უმცროსი ძმის ძემ,ფილიპ დე ვალუამ დაიკავა. მართლაც, საფრანგეთში ისე იყო მიღებული, რომ ქალებს არა მარტო არ შეეძლოთ ტახტის მემკვიდრეები ყოფილიყვნენ, არამედ მათ შუალედური, „ხიდის" როლიც კი არ შეეძლოთ ეთამაშათ: მეფის ქალიშვილს არ შეეძლო გადაეცა თავისი ვაჟისათვის უფლება სამეფო ტახტზე. ასეთი რამ ინგლისში შესაძლებელი იყო. მეფე ედუარდ II ფილიპ ლამაზის ასულის იზაბელის ძე იყო,ანუ ფილიპ ლამაზის უახლოესი ნათესავი გამოდიოდა, ოღონდ მათ შუა მანდილოსანი იდგა. ფაქტობრივად, მისი მიზანი იყო რამდენიმე პროვინციის დაპყრობა და სრულ საკუთრებაში (in allodium) შენარჩუნება. დიდმა გამარჯვებებმა ეკლუზში (ზღვაზე, 1340 წ.), კრესისა (1346 წ.) და პუატიეში (1356 წ.) მისი ეს სურვილი დააკმაყოფილა. 1360 წელს ფრანგებმა ომაჟი დათმეს. *იწყებოდა ფეოდალური უფლების შეცვლა სრული სუვერენიტეტით.*

სხვათა შორის, საფრანგეთის მეფეებიც ასე იქცეოდნენ. მეფის „ოფიცრები" თანდათანობით ამტკიცებდნენ მის ძალაუფლებას ფეოდალებში. ამუშავდა მაცენტრალიზებელი მანქანა.

ამის პირველი პირობა იყო *მუდმივი ადმინისტრაციის* შექმნა. მეფის პირადი მსახურები და მისი ვასალები შეცვალეს ნამდვილმა ფუნქციონერებმა, რომლებიც თავიანთ ადგილებზე რჩებოდნენ, როცა ერთ მეფეს მეორე ცვლიდა.

მუდმივი ადმინისტრაცია. სამეფო ადმინისტრაციამ ფილიპე ლამაზის მეფობის დროს განიცადა აღმავლობა. არსებობდა Curia Regis, რომელიც კომპეტენტური და ერთგული ადამიანებისაგან შედგებოდა, რომელთაც სურდათ ყველგან მეფის ექსკლუზიური ხელისუფლება დაემყარებინათ. XIV და XV საუკუნეებში უზენაესი სამართალი დამოკიდებული იყო პარლამენტსა და საფინანსო პალატაზე. საფრანგეთის უმაღლეს ადმინისტრაციას ბინა პარიზში ედო, ინგლისისას კი (მომავალი civil service) ლონდონში.

ბევრად უფრო იოლი იყო მუდმივი ადმინისტრაციის არსებობა იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებისათვის მათი მოკრძალებული ფართობის გამო. აი, რას მოგვითხრობს ამ საკითხზე ალბერტო ტენეტი, რომელიც მედიჩების ეპოქის ფლორენციის შესახებ გვესაუბრება: „რაც შეეხება იტალიის ნახევარკუნძულს, უნდა ითქვას, რომ ფლორენციის სახელმწიფო ეკლესიასთან ერთად ფეხდაფეხ მიჰყვება სხვა სახელმწიფოებს და მთლიანად ჩართულია დასავლეთის საერთო პროცესებში. იმავე პერიოდში ნეაპოლის სამეფო ესპანეთზე მბრძანებლობას ესწრაფვის, ვენეციას კი თითქოს უფრო უჭირს თავის დაღწევა შუა საუკუნეების სტრუქტურისაგან, ვიდრე ტოსკანის ქალაქს. იმ დროს, როცა სავოია ძალზე ნელა მიიწევდა წინ სახელმწიფოებრივი მთლიანობისაკენ, ამ მხრივ ბევრად უფრო პროგრესულმა მილანმა დაკარგა დამოუკიდებლობა და ამის შედეგად, ჭეშმარიტად ავტონომიური განვითარების შესაძლებლობანი".

ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ქალაქების შემდეგ ესპანეთი თანამედროვე სახელმწიფოს სტრუქტურას იღებს გაერთიანების პროცესში. 1465 წელს კასტილიის მეფე ენრიკე IV ურჩმა ვასალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს. ტახტი მის დას, ისაბელ კასტილიელს დარჩა, რომელიც 1469 ფერდინანდ II არაგონელს გაჰყვა ცოლად, რომელიც 1516 წელს გარდაიცვალა. ქვეყნის საზღვრები გაფართოვდა, მასში შედიოდა კატალონია, ბალეარის კუნძულები, სარდინია, სიცილია (1409 წ.) და ნეაპოლის სამეფო (1435 წ.). 1492 წელს ფერდინანდმა გრანადა აიღო, რითაც უკანასკნელი საყრდენი გამოაცალა მუსლიმანებს ესპანეთში და ისინი საბოლოოდ გაანადგურა. იმავე წელს სწორედ მისი სახელით მიადგა ქრისტეფორე კოლუმბი ახალ სამყაროს. 1512 წელს ფერდინანდმა მიიერთა ესპანეთის ნავარაც.

მუდმივი არმია. მუდმივ ადმინისტრაციას მუდმივი არმია დაემატა. XIV საუკუნემდე საომრად წასვლისას მეფეები რაღაც განსაზღვრული დროით კრებდნენ ჯარს: ეს იყო ბევრი და უწესრიგოდ შეკრებილი მხედრების ლაშქარი,

რომელთა მსახურებიც ასევე უდისციპლინო ქვეით ჯარს შეადგენდნენ.

ხანდახან ქუდზე კაცს იძახებდნენ, ეს საყოველთაო მობილიზაციის სახე იყო. საფრანგეთში ასე შეკრებილი ჯარები XIV საუკუნის დასაწყისში ხშირად მარცხდებოდნენ. მაგალითად ფლამანდელი ბურჟუების (კურტრე, 1302 წ.) ან ინგლისელების მიერ, რომლებიც ბევრად მცირერიცხოვანნი, მაგრამ ორგანიზებულნი იყვნენ. ედუარდ III-ის ვაჟმა, რომელსაც „შავ პრინცს" უძახდნენ, ინგლისელ ჯარისკაცებთან და გასკონელებთან ერთად (მაქსიმუმ 7 000 კაცი) მრავალი გამარჯვება იზეიმა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა შარლ V-მ 1369 წელს მუდმივად ჰყოლოდა მეომართა ბირთვი, რომელიც რეგულარულად მიიღებდა გასამრჯელოს: ეს იყო დაახლოებით 5200 ჯარისკაცი. ეს საქმე გაგრძელდა. XV საუკუნის დასაწყისში ამ დაქირავებულ ჯარისკაცებს შორის ბევრ უცხოელ მეომარს ნახავდით. აქ იყვნენ იტალიელი და ესპანელი მეარბალატეები და ქვეითები, შოტლანდიელი შუბოსნები, არაგონელი, კასტილიელი, პიემონტელი, ლომბარდიელი ჯარისკაცები.

მუდმივი გადასახადები. შემდეგი პრობლემაა მუდმივი გადასახადი. ფეოდალური სამართლის მიხედვით მეფეს მხოლოდ თავის დომენში ან იქ შეეძლო გადასახადის კრეფა, სადაც იგი უზენაესი მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ XII საუკუნიდან მოყოლებული, საფრანგეთსა და ინგლისში ხშირად მნიშვნელოვანი თანხები სჭირდებოდათ ხოლმე შორეული ლაშქრობებისთვის. ასე, მაგალითად, საფრანგეთის მეფემ, ფილიპ ოგიუსტმა იერუსალიმის დამპყრობლის სალადინის (სალაჰ-ალ-დინი) წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად 1198 წელს მთელ თავის სამეფოში ააკრეფინა გადასახადი, „სალადინის დიმის" (მეათედის) სახელით რომ ვიცნობთ. ნელ-ნელა სამეფო გადასახადი სენიორულ გადასახადს ენაცვლება.

ამ გაზრდილ მოთხოვნილებებს დაემატა მუდმივობის იდეა. თავიდან მეფე ფილიპ ლამაზმა 1302 წელს პირველად შეკრიბა ერთად დიდკაცები, ეკლესიის მღვდელთ-

მთავრები და ზოგიერთი პრივილეგირებული ქალაქის წარმომადგენლები. ამ ასამბლეების მიზანი იყო არა მარტო მეფის მორალური მხარდაჭერა, არამედ მისთვის სუბსიდიების მიცემაც. XV საუკუნის ბოლოსთვის ეს გენერალური შტატები არჩევითი და წარმომადგენლობითი გახდა.

გენერალური შტატების მოწვევებისას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ტურსა (1435 წ.) და ორლეანში (1439 წ.). მართლაც ამ შეკრებებზე ხმა მისცეს მუდმივ დახმარებებს (ირიბი გადასახადები) და ტალიას, რომელიც შარლ VII-ის მუდმივი არმიის შესანახად იყო განკუთვნილი. ტალია იყო ერთგვარი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ძირითადად სოფლის მოსახლეობას აწვა კისერზე. ასე მოახერხა მეფემ იურისტების დახმარებით აეკრიფა გადასახადები საკუთარი ავტორიტეტის წყალობით.

ინგლისური სისტემა საკმაოდ განსხვავდებოდა ფრანგულისაგან.

„დიდი ქარტიის" მიღების შემდეგ პარლამენტი ხშირად იკრიბებოდა და ბევრად მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ვიდრე საფრანგეთში გენერალურ შტატებს ჰქონდა. ეს ადვილი შესამჩნევია ედუარდ III-ის (1327-1377) ხანგრძლივი მეფობის დასაწყისიდანვე. იგი ბევრჯერ წავიდა პარლამენტთან დათმობაზე ხალხის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც კი საქმე გადასახადებს შეეხებოდა, იგი ხშირად ივიწყებდა ქარტიის იმ მუხლებს, რომელთა მიხედვითაც პარლამენტის თანხმობის გარეშე ქვეშევრდომთა დაბეგვრა არ შეიძლებოდა. საფრანგეთთან მოპოვებულმა დიდმა გამარჯვებებმა მას საკმარ პოპულარობა მოუტანა იმისთვის, რათა ყური არ ეთხოვებინა თემთა პალატის მხრიდან გამოთქმული საყვედურებისთვის. გარდა ამისა, ომის ხარჯები მოითხოვდა, რომ გადასახადი ყოველწლიური და მუდმივი გამხდარიყო. ედუარდ III-ის მიერ შემოღებული *პრაქტიკა* მკაფიოდ დადგენილ კანონს, *სამართალს* ეწინააღმდეგებოდა. როდესაც 1367 წელს პაპმა ედუარდ III-ის დადანაშაულება მოინდომა რომის მსაჯულთა წინაშე ძველი ხარკის გადაუხდელობის გამო, პარლამენტმა ერთხმად განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერდა მეფეს, რომელსაც

უცხო ძალაუფლების წინაშე, თუნდაც იგი რელიგია ყოფილიყო, თავი არ უნდა დაეძრახა.

ევროპის აღმოსავლეთი. თემურ ლენგისა და მოგვიანებით თურქი ოტომანების წინააღმდეგ წარმოებულ ომებს აღმოსავლეთ ევროპაში იგივე შედეგები არ მოჰყოლია, რაც ასწლიან ომს. სლავი ხალხები თავს იცავდნენ. პოლონელებმა და ჩეხებმა რუსებზე ადრე დააღწიეს თავი მონღოლთა ბატონობას. XIV საუკუნეში ბოჰემიის, პოლონეთის, უნგრეთის ეროვნული სამეფო დინასტიები გაქრა. ამ ქვეყნებს სათავეში უცხოელი უფლისწულები ჩაუდგნენ. მათ, კერძოდ, ყოველი მხრიდან გარშემორტყმულ ჩეხებს, თავი ძირითადად გერმანელებისგან უნდა დაეცვათ, თუმცა პოლონეთმა ტევტონ რაინდებთან ომში ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. 1389 წელს ლატვიის მეფე იაგელომ იქორწინა პოლონეთის დედოფალზე და ვრცელ რეგიონზე გაბატონდა ბალტიის ზღვიდან უკრაინამდე. იგი ძლიერი და სასტიკი პიროვნება იყო, მან 1410 წელს ტანენბერგში ტევტონ რაინდებზე გაიმარჯვა: სანამ სკანდინავიელები ჰანზას ეომებოდნენ ბალტიის ზღვაზე გავლენის მოსაპოვებლად, იაგელოს მემკვიდრემ ხელში ჩაიგდო დანციგი. მეტიც, იგი მხარში ამოუდგა ჰუსიტებს ბოჰემიაში და დაიპყრო უნგრეთი.

ამ დროს დაიწყო ოტომანი თურქების დიდი შემოსევები. მათ დაიკავეს ბალკანეთის ნახევარკუნძული, გადალახეს დუნაი, კარპატები და ააოხრეს უნგრეთი.

ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში ერთი საუკუნის განმავლობაში მთავარ როლს პოლონეთი თამაშობდა. ბიზანტიის იმპერიის სუსტი ნაშთები თურქებს წინააღმდეგობას ველარ უწევდა. მაჰმად II დამპყრობელი (Mahomet II, 1451-1481) კონსტანტინოპოლს დაეუფლა 1453 წელს და ამით აღმოსავლეთის იმპერიის ისტორიის ათას წელს ბოლო მოუღო.

II. ევროპის მოსახლეობის დიდი კრიზისი

XIII საუკუნის დემოგრაფიული აპოგეა. ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ X-XIII საუკუნეებში ევროპამ დიდი

დემოგრაფიული აღმავლობა და ეკონომიკური პროგრესი განიცადა ყველა იმ ნიუანსით, რასაც ეს გულისხმობს. ამ მონაცემებს გულმოდგინედ სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ ისტორიკოსები, რათა სტატისტიკის ნაკლებობა აანაზღაურონ, თუმცა დაახლოებით 1250 წლიდან თავადები და დიდკაცობა უკვე ცდილობდა გადასახადების აკრეფის მიზნით შეედგენინებინა კომლების ანუ ოჯახების სიები. მაგრამ რამდენი ადამიანი შედიოდა საშუალოდ ერთ კომლში? ამის შესახებ სხვაზე უკეთ ცნობებს ინგლისის სამეფოზე ვპოულობთ 1086 წელს შედგენილი Domesday Book-ის მიხედვით. ამ დროისთვის ინგლისის მოსახლეობა 1,1 მილიონ მცხოვრებს აღწევდა, 1348 წელს კი უკვე 3 მილიონ 757 ათას მცხოვრებს ითვლიდა. საფრანგეთში ეკლესიების მრევლის და კომლების მიხედვით 1328 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობა 12,5-სა და 15,5 მილიონ მოსახლეს შორის მერყეობდა.

ბრიტანელი (ჯულიუს კ. ბელოჩი და ჯ.ქ. რასელი) და ფრანგი (პიერ შონიუ და ჟაკ დიუპაკიე) ისტორიკოსების შეფასებების მიხედვით შეგვიძლია რამდენიმე გლობალური ციფრის დასახელება. რომის იმპერიაში ალბათ 54 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა და აქედან 23 მილიონი ევროპულ ნაწილში უნდა ვივარაუდოთ. XIV საუკუნის დასაწყისში ლათინური ქრისტიანობა 50-55 მილიონ კაცს ითვლიდა, 1400 წლისთვის 40 მილიონზე მეტი არ იყო, 1500 წლისთვის კი 50 მილიონი.

უშუალოდ შავი ჭირის ეპიდემიის წინ საფრანგეთის მოსახლეობა დაახლოებით 16 მილიონ ადამიანს შეადგენდა; პირენეს ნახევარკუნძულისა - დაახლოებით 8,3 მილიონს; იტალიისა - 8,5 მილიონს; ჰოლანდია: 1,1 მილიონს; ინგლისი: 3,3 მილიონს; შოტლანდია და ირლანდია ერთად ალბათ 1,5 მილიონს; შვეიცარია 600 ათასს; სკანდინავიის ქვეყნები 600 ათასს; გერმანია 6-დან 8 მილიონამდე; პოლონეთი 1,3 მილიონს; უნგრეთი: 2 მილიონს.

მთელ ქრისტიანულ სამყაროში მოსახლეობის სიჭარბე შეინიშნებოდა, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომელიც მდინარე ელბის აღმოსავლეთით და ქრისტიანების მიერ ესპანეთის

და პორტუგალიის ახლად დაბრუნებულ ზონებში მდებარეობდა.

სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობდა მოსახლეობის დინამიზმი და მუშახელის სიუხვე, აგრეთვე ახალი გამოგონებანი. გამოიგონეს ცხენების შებმის ახალი წესი, ხარების შებმის ახალი ხერხები, რკინის ორმაგი სახნისის მქონე ახალი ტიპის გუთანი,რომელიც ადრინდელისაგან განსხვავებით ყველანაირ სავარგულებში შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული სკანდინავიიდან დაწყებული და ლუარის ნაპირებით დამთავრებული. თავის ცნობილ ნაშრომში მარკ ბლოკი გვიხსნის, რატომ აძლევდნენ სახნავ-სათეს ნაკვეთებს ისეთ ფორმას, რომ რაც შეიძლება ნაკლები ნახევარწრის შემოვლა მოუწიოს ადამიანს. წინსვლა იგრძნობოდა თესლბრუნვის მეთოდების დამუშავებაში, ახალი დიდი მიწების ათვისება XIII საუკუნემდე გრძელდებოდა. სოფლის მეურნეობა, ამ ძირითადად გლეხურ საზოგადოებაში, ძალზე დახურული და ღარიბულია, იგრძნობა უზარმაზარი ადგილობრივი სხვაობა სტატუსში (ყმები და თავისუფალი გლეხები), რესურსებში, კულტურაში, საცხოვრებელი სახლების კონცენტრირებასა და გაბნეულობაში.

ვაჭრობა და ფული. ვაჭრობამ ქალაქების განვითარება გამოიწვია. ჩნდება კაპიტალიზმის ჩანასახები სენიორების, სააბატოების, ქალაქების მაცხოვრებლების ირგვლივ. ჩნდება დიდი სავაჭრო ურთიერთობებისთვის საჭირო საშუალებები. ლითონის ფული, რომელიც საუკუნეების მანძილზე იშვიათად იხმარებოდა, ფართოდ ვრცელდება არაბული და ბიზანტიური მონეტების მოზღვავების გამო, რომლებიც ვენეციიდან, გენუიდან და პარიზიდან შემოდის, რადგანაც დასავლეთის ექსპორტი ძლიერ გაზრდილია.

ჯვაროსნული ლაშქრობები „განძეულის" დაუფლების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სპილენძის და ვერცხლის ახალი საბადოების აღმოჩენას გერმანიაში (ჰარცი), ვოგეზების, იურას მთებში,

აღმოსავლეთის ალპებში. ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო 1170 წელს ვერცხლის უმდიდრესი საბადოები ფრაიბურგში (საქსონია). XIII საუკუნიდან დასავლეთ ევროპაში კვლავ იწყებენ ოქროს ფულის მოჭრას.

რომაელების დროს და ბარბაროსების ეპოქის დასაწყისში მოქმედებდა ორი ლითონის სისტემა, იხმარებოდა ოქროს და ვერცხლის ფული. მოგვიანებით ერთ მეტალს დაუბრუნდნენ და მხოლოდ ვერცხლს ჭრიდნენ, თუმცა დროდადრო ორივე ლითონს იყენებდნენ. მოძრაობა იტალიაში დაიწყო. განვითარდა სახელოსნო მრეწველობა, მაუდის წარმოება, სანელებლებით, ღვინით, მარილით ვაჭრობა, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით, როცა ნავიგაციის შესახებ ვილაპარაკებთ.

გაუმჯობესდა ვაჭრობის ხარისხი და ტექნიკა: იყენენ მოგზაური ვაჭრები, იმართებოდა ბაზრობები და რაც მთავარია, სულ უფრო ხშირად იყენებდნენ კრედიტს: ებრაელების მსგავსად ქრისტიანებიც მისდევდნენ მევახშეობას, კერძოდ, ისინი ხშირად ასესხებდნენ ხოლმე ფულს საომრად მიმავალ თავადებს თუ მეფეებს. ბანკირის პროფესია, რომლის მიმდევართაც ადრე გადამცვლელებს უწოდებდნენ, იტალიაში და ყველაზე ადრე გენუაში დაიბადა XII საუკუნეში. სიტყვა „ბანკიც" იტალიური ენიდან მივიღეთ, რადგანაც Banco იტალიურად დახლს ნიშნავს. წარმოიშვა შემნახველი ბანკები და საქმიანი ბანკები.

იმავე დროს დაარსდა სხვადასხვა სავაჭრო საზოგადოებები, ვაჭრების გაერთიანებები. ინიციატივა აქაც იტალიელებს ეკუთვნით. მდიდარ ქალაქ ბრიუგეში პირველი ბანკი მხოლოდ XIV საუკუნეში გაიხსნა.

XIII საუკუნე შუა საუკუნეების აქტივობის ზენიტია.

ზემოთ აღწერილი მოვლენები მეტი სიძლიერით ვითარდება. „მოსახლეობა დღითიდღე მატულობს და ქალაქს ახალ-ახალი შენობები ამშვენებს... ნიადაგის ნაყოფიერება, სამომხმარებლო დოვლათის სიუხვე თვალშისაცემია... არ არსებობს ჯანმრთელი ადამიანი, თუ უქნარა არ არის, რომელიც ღირსეულად თავს ვერ გაიტანს თავისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად" ეს ტექსტი, 1288 წელსაა

დაწერილი და მილანის შესახებ მოგვითხრობს, სადაც მაშინ 200 000 ადამიანი ცხოვრობდა. იგი დაწერილია ბერის, ფრა ბონვეზინო დე ლა რივას მიერ. ევროპაში მართლაც დიდ აღმავლობას განიცდიდა მოსახლეობა. დასავლეთში ახალი სოფლები, დაბები, სამრევლო ეკლესიები გაჩნდა, აღმოსავლეთში კი „საზღვრები" ამერიკული გაგებით, ანუ მიჯნა შედარებით ცივილიზებულ და ველურ რეგიონებს შორის. ჩნდება ახალი დასახლებები ელბის იქით, მეკლენბურგისკენ, პომერანიაში, პრუსიაში, ზემო საქსონიაში, ბოჰემიაში, მორავიაში, სილეზიაში, ავსტრიაში, დუნაის აუზში კარპატებამდე. *რეკონისტა* იმავე მოვლენას იწვევს ესპანეთში. მიწის ფასი მნიშვნელოვნად იზრდება. მაშასადამე, დემოგრაფია განუხრელად ვითარდება და ეს პროცესი ემთხვევა ქალაქების განვითარებას.

შიმშილი და შავი ჭირი. ეს სიტყვები XIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. დემოგრაფიის აყვავებას მნიშვნელოვანი უკუსვლა მოჰყვა.

კულტურას რეგრესი დაეტყო ნორმანდიაში, ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში. ეს შიმშილით, ომით და განსაკუთრებით შავი ჭირის გავრცელებით აიხსნება.

1313-1315 წლებში საყოველთაო შიმშილი მძვინვარებდა ინგლისიდან რუსეთამდე, პოლონეთიდან იტალიამდე. სიკვდილიანობამ მნიშვნელოვნად იმატა. ამას თან დაერთო 1335-1345 წლების ფინანსური კრიზისი, მაგრამ ეს ყველაფერი მონაგონი იყო იმ დიდ უბედურებასთან, რაც „შავი ჭირის", „შავი სიკვდილის", ანუ ბუბონური შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებამ მოიტანა.

ჭირი ჩინეთში გაჩნდა, შემდეგ ქარავნების საშუალებით 1347 წელს კონსტანტინოპოლში გავრცელდა. ყირიმიდან იტალიას მოედო, 1348 წელს ჩრდილოეთ აფრიკაში, ესპანეთში, საფრანგეთში და სამხრეთ ავსტრიაში გავრცელდა, ხოლო 1349 წელს ჩრდილოეთი ავსტრია, უნგრეთი, შვეიცარია, რონის და რაინის ხეობები, ჰოლანდია, ჩრდილოეთ გერმანია და ინგლისი მოიცვა. 1350 წელს დაავადება

სკანდინავიას, ბალტიის ზღვის ქვეყნებს, პრუსიას და პოლონეთს მოედო.

ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. მიახლოებით შეიძლება შეფასდეს ინგლისის მოსახლეობა. ჩვენ ვნახეთ, რომ 1348 წელს იქ 3,757 მილიონი კაცი ცხოვრობდა. 1350 წელს ეს მაჩვენებელი 3,127 მილიონამდე დაეცა, 1377 წელს კი 2,073 მილიონამდე, ანუ 29 წლის განმავლობაში კლებამ 40% შეადგინა. 1430 წელს ინგლისში მხოლოდ 2,1 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. 1348 წლის მაჩვენებელს მოსახლეობამ მხოლოდ 1600 წლისთვის მიაღწია (ჯ.ჯ. რასელის მიხედვით, ფურკენის ციტირება).

რამდენიმე ქალაქის მონაცემების შესწავლა ევროპის სხვადასხვა ნაწილში ადასტურებს კატასტროფის უზარმაზარ მასშტაბებს.

სიცილიაში, სადაც 600 000 კაცი ცხოვრობდა 1277 წელს, მოსახლეობის რაოდენობა 500 000-მდე დავიდა 1374 წლისთვის.

იტალიის ბევრმა ქალაქმა დაკარგა თავისი მოსახლეობის 30-60 პროცენტი. ფლორენციაში 1338 წელს 110 000 კაცი ცხოვრობდა, 1351 წელს კი მხოლოდ 50 000.

ვენაში ერთი დღის განმავლობაში 500-დან 1200 კაცამდე კვდებოდა. ავინიონის რეგიონში 3 თვის მანძილზე 60 000 მიცვალებული აღირიცხა. 1320-1400 წლებში ნიცის საგრაფომ და ზემო პროვანსმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა.

ტულუზაში 1348 წელს 30 000 კაცი ცხოვრობდა, 1405 წელს კი, მიუხედავად იმიგრაციისა, მხოლოდ 22 500. ციურიხის მოსახლეობა 1350 წელს 12 375 შეადგენდა, 1458 წელს კი მხოლოდ 4 713 იყო დარჩენილი მათგან. ბარაბანტი და ჰოლანდია ნაკლებად დაზარალდა. გენტში კვლავაც 50 000 კაცი ცხოვრობდა, მაგრამ ენომ (Hainaut) და არტუამ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკარგა. იპრში 30 000 კაცი ცხოვრობდა და 18 ათასიღა დარჩა, არასში 20 ათასიდან 10 ათასზე ნაკლები გადარჩა. ბევრი სოფელი მთლიანად ამოწყდა. მათ გერმანიაში Wüstungen-ს, ინგლისში კი Lost Village-ებს უწოდებდნენ. შეფასების მიხედვით,

გერმანიის 170 000 სოფლიდან და დაბიდან 40 000 აღარ არსებობს. პროცენტულად ამომწყდარი მოსახლეობის რაოდენობა ასე ნაწილდება: ინგლისი - 20%, ტოსკანა - 10%, რომის სოფლები - 25%, სიცილია და სარდინია - 50%.

ომის საშინელებები. ამ ყველაფერს უნდა დაერთოს ომის საშინელებები. ამ მხრივ მდგომარეობა უარესი იყო, ვიდრე XIII საუკუნეში. ჯერ იყო და აღმოსავლეთიდან საშინელი საფრთხე უახლოვდებოდა ევროპას მონღოლთა სახით, რომელთა წინამძღოლი ამჯერად სისხლისმსმელი თემურლენგი (ტამერლანი) იყო. შეიძლება ითქვას, რომ ევროპა მონღოლებისგან ეგვიპტის მძლავრი სახელმწიფოს შემქმნელების, მუსლიმან მემამულეთა წინააღმდეგობამ იხსნა. ამის შემდეგ კი თურქი ოტომანები გამოჩნდნენ (იხ. ზემოთ).

დასავლეთ ევროპაში პრობლემები ძირითადად ასწლიან ომს უკავშირდება, - რასაც გაგრძელება მოჰყვა ბრეტანში, - ანუ არმანიაკებსა და ბურგინიონებს შორის გამართულ სამოქალაქო ომს.

გარდა რეგულარული არმიის ჯარისკაცებისა, რომელთაც ძალიან მცირე ხელფასი ჰქონდათ და იძულებული იყვნენ თვითონ ეპოვათ ცხოვრების სახსარი, ხალხს პროფესიონალი ყაჩაღები, ყოფილი მეომრები, იმედდაკარგული გლეხები ძარცვავდნენ. ეს იყო შიშის ზარის მომგვრელი „დიდი რაზმები": დაქირავებული მეომრები, მაწანწალები, მყელეფავები, ცრუ პილიგრიმები (ვითომდა სალოცავად მიმავალნი) და ა.შ. გერმანიაში მათ Raubzitter-ებს უწოდებდნენ, ინგლისში Outlaus-ს, ისინი ტყეებში იმალებოდნენ ცნობილი რობინ ჰუდივით, რომელიც რიჩარდ ლომგულის დროს ცხოვრობდა, ოღონდ მათი სახელი მათივე ცნობილი წინამორბედის სახელს, რა თქმა უნდა, ვერ შეედრებოდა.

ისინი ბლომად იყვნენ ინგლისის და შოტლანდიის, იორკებსა და ლანკასტერებს შორის გამართული „ვარდების ომის" დროსაც.

ხშირად დამშეული გლეხები ქალაქებს ესხმოდნენ ხოლმე თავს, როგორც ეს კატალონიაში მოხდა. კასტი-

ლიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. არეულობები იყო ფლანდრიაში, სამხრეთ გერმანიაში. და ბოლოს, იტალიაში განუწყვეტლივ დათარეშობდნენ დაქირავებული ჯარისკაცების ბანდების მეთაურები, *კონდოტიერები.*

გასაკვირი არ არის, რომ ამდენ საშინელ განსაცდელს ეკონომიკის გარდაქმნა მოჰყვა. ზოგადად ეს გამოიხატა ფასების შემცირებით და მუშა ხელის უკმარისობის გამო, ხელფასების ზრდით. გი ფურკენი წერს, რომ „საჭიროა გავიგოთ *trend*-ის მნიშვნელობა,ანუ ის,თუ რა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური შედეგები სოციალურ პირობებზე, რადგანაც ფასების დადაბლება ყოველთვის არ ნიშნავს ადამიანთა მდგომარეობის ზოგად გაუარესებას. გერმანიის შემთხვევაში ფ. ლიუტგემ და ინგლისთან მიმართებაში მ.მ. პოსტანმა დაამტკიცეს, რომ შუა საუკუნეებში შედარებითმა ეკონომიკურმა დაღმავლობამ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება შეძლო".

ისტორიკოსები ვერ თანხმდებიან ეკონომიკური დეპრესიის საბოლოო თარიღზე: XV საუკუნის დასაწყისი თუ 1470 წლამდე?

III. ქრისტიანობის დიდი კრიზისი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის კრიზისი განსაკუთრებით საზოგადოების ზედა ფენებში გამოვლინდა, რათა არასწორი მიმართულებით არ წავიდეთ და თანამედროვე „დექრისტიანიზაციის" ფესვები XIV და XV საუკუნეებში არ ვეძიოთ. ხდება *პოლიტიკური* კრიზისი, რადგანაც გააფთრებით ედავებიან ერთმანეთს ძალაუფლებას; *თეოლოგიური* კრიზისი, როდესაც საქმე ჩვეულებრივი კამათის ჩარჩოებს სცილდება და ზოგიერთები ეკლესიის საწინააღმდეგო მოსაზრებებს ქადაგებენ და ბოლოს, *მორალური* კრიზისი დგება, რადგანაც მორწმუნეთა ერთგულების წყალობით დაგროვილი სიმდიდრე თავისი გამხრწნელი ძალაუფლების განხორციელებას იწყებს.

სამაგიეროდ, ქრისტიანების დიდი მასა რწმენის ისეთივე

ერთგული რჩება, როგორიც ქრისტიანობის აღმავლობის საუკუნეებში იყო, თუმცა ხალხში გავრცელებულ რწმენას პრიმიტიულობა და ცრურწმენაც ახლავს. „მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა XV საუკუნის შუა წლებში არ გვეჩვენება სულიერებისგან დაცლილად და მოქნილობა-დაკარგულად, იგი მაინც უმწვავესი რელიგიური დაძაბულობისა და ხანდახან ავადმყოფური მგრძნობელობის მდგომარეობაში იმყოფება" (ე. დელარუელი).

საძმოები. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ზოგადად ევროპული მოვლენის მაგალითი მოვიყვანოთ. ლაპარაკია *საძმოების* გავრცელებაზე. ესაა საერო პირთა გაერთიანებანი, რომლებშიც მცირე რაოდენობით სამღვდელოების წარმომადგენლებიც ურევია. მათი მიზანია ქრისტიანთა ერთმანეთთან დაახლოება და მათი რწმენის გაძლიერება. ხშირად საძმოს წევრები მამაკაცებთან ერთად ქალებიც არიან. იმ ეპოქაში, როდესაც პაპობაში განხეთქილება იყო და ხალხში ინკვიზიციის შიში იყო გამეფებული, ადამიანები ერთმანეთს იოლად უახლოვდებოდნენ. საძმოებს უფრო კონკრეტული მიზნებიც ჰქონდათ - პატიმრების დახმარება, სნეულთა შემწეობა საავადმყოფოებში, კატეხიზმოს სწავლება, სანახაობების, მისტერიების ორგანიზება და თუ საძმო რომელიმე პროფესიულ კორპორაციასთან (რაიმე ხელობის წარმომადგენელთა ამქართან) იყო დაკავშირებული, მის წევრთა შორის ურთიერთგაგებისა და კარგი განწყობილების შექმნა. ლოცვის გარდა, რაც ხანდახან ამ მიზნით აგებულ სამლოცველოებში აღევლინებოდა, საძმოები აწყობდნენ ზეიმებს, ნადიმებს, სამხიარულო-გასართობ ყრილობებს. საძმოები დიდი რაოდენობით იყო საფრანგეთში, ინგლისში, ნიდერლანდებში, გერმანიაში (ჰანზის ქალაქების ზოგიერთი საძმო ნამდვილი ტურისტული სააგენტოსავით ფუნქციონირებდა, აწყობდა პილიგრიმთა მოგზაურობებს), პოლონეთში, დალმაციაში და ა.შ. განსაკუთრებული წარმატება საძმოებმა იტალიაში მოიპოვეს. მაგალითად, ფლორენციაში XIII საუკუნეში 15 საძმო იყო, XIV საუკუნეში - 27, XV-ში კი - 36. რომის სულიწმინ-

დას საძმოს წევრთა რიცხვი ათასს აჭარბებდა. ხანდახან საძმოებს უცხოეთშიც ჰქონდათ ფილიალები: კატალონელთა საძმოები არსებობდა ბრიუგეში, ფლამანდელთა საძმოები - ფლორენციაში, ბრეტანელთა საძმოები კი - პარიზში. ამ გაერთიანებებს მხოლოდ რელიგიური ინტერესები არ ამოძრავებდა. მათთვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ერთიანობის, თანამეგობრობის სულის გაღვივება ძველი გერმანული წარმოშობის Genossenschaft-ის მსგავსად. ხანდახან ეს მმართველების შეშფოთებას იწვევდა, რადგანაც კრიზისის დროს შესაძლოა მათ ზურგსუკან საშიში შეთქმულებები მომზადებულიყო.

ალისებრი გოტიკა. რწმენის მეორე დიდი გამოხატულება ხელოვნებაა. გოტიკური არქიტექტურა თანდათან სულ უფრო მეტ სიმსუბუქეს იძენდა. ნატიფ ჩარჩოებში ჩასმული განიერი ფანჯრების გამო, რომლებიც ცეცხლის ენებივით მაღლა იყო ატყორცნილი, ამ ახალ სტილს ალისებრი გოტიკა ეწოდა, flamigero ესპანეთში. კამარები უფრო დაიხვეწა და სხვა ნერვიურებით, განივი ძელებითა და დამატებითი ნერვიურებით დაიტვირთა, რომლებიც ძელის კიდეს თაღის კუთხესთან აერთებდა. ასეთი კამარები განსაკუთრებით ინგლისში იყო გავრცელებული. ინგლისიდან ეს ალისებრი სტილი საფრანგეთში გადავიდა, მაგრამ ყველაზე დიდი ბრწყინვალებით მაინც განთქმული კვატროჩენტო, XIV და განსაკუთრებით XV საუკუნის იტალიური ღრმად რელიგიური ფერწერა გამოირჩევა. საკმარისია დავასახელოთ წმინდა ფრანცისკ ასიზელის მხატვარი ჯოტო (გარდაიცვალა 1336 წ.), აგრეთვე ფრა ანჯელიკო (გარდაიცვალა 1455 წ.). ავინიონის პაპები. სერიოზული კრიზისის პირველი ნიშანი იყო პაპ კლემენტ V-ის გადაწყვეტილება რომის დატოვებისა და ავინიონში გადასვლის შესახებ 1309 წელს ქალაქში გამუდმებული მღელვარებებისა და უკმაყოფილების გამო. იგი ფიქრობდა, რომ დროებით დარჩებოდა ვენესენის საგრაფოთი გარემოცულ ქალაქში, რომელიც პაპებს ეკუთვნოდა. ავინიონი ნეაპოლის დედოფალმა მიჰყიდა

პაპებს 1348 წელს და იგი 1791 წლამდე პაპის ანკლავს წარმოდგენდა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

პაპები ავინიონში 1377 წლამდე დარჩნენ. მათ იქ ორი სასახლე ააშენეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კარდინალებზე, თუნდაც ისინი იტალიელები ყოფილიყვნენ, ზეწოლას საფრანგეთის მეფე ახორციელებდა და არა რომი. რომისთვის ძნელად ასატანი აღმოჩნდა, რომ 1372 წლამდე ყველა პაპი ფრანგი იყო. მათ შორის ყველაზე გავლენიანი პაპი კლემენტ VI (1342-1352) აღმოჩნდა, ერისკაცობაში პიერ როჟე, რომელიც ჯერ ოვერნის მონასტრის შეზ-დიეს ბერი იყო, შემდეგ არასის ეპისკოპოსი გახდა, მოგვიანებით - რუანის არქიეპისკოპოსი და საფრანგეთის მეფის, ფილიპ VI-ის კანცლერის თანამდებობაზე დაინიშნა. მისი პაპობის დროს ორი ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა: დაიწყო ასწლიანი ომი და შემდეგ, 1348 წელს „შავი ჭირის" ეპიდემია. იგი რომის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, რადგანაც ფუფუნებაში ცხოვრობდა, ბევრს ხარჯავდა, მისი კურია ხალხს აღიზიანებდა. მთელ ევროპაში ხმა გავარდა, რომ „შავი ჭირი" ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელი იყო პაპების ავინიონში გადასახლებისათვის, მათი „ბაბილონის ტყვეობისათვის". 1367 წელს მარსელის წმინდა ვიქტორის ეკლესიის ყოფილი აბატი, პაპი ურბან V რომში დაბრუნდა, მაგრამ მისი ადმინისტრაცია ნაწილობრივ ავინიონში დარჩა. მომდევნო პაპმა - კიდევ ერთმა ფრანგმა - გრიგოლ XI-მ გადაწყვიტა საბოლოოდ დაბრუნებულიყო რომში 1376 წელს. შესაძლოა, ეს მოხდა ცნობილი დომინიკელი მონაზვნის, წმინდა ეკატერინე სიენელის გავლენით. პაპი 1378 წელს გარდაიცვალა.

დიდი განხეთქილების მიზეზები. სწორედ აქ გამოიკვეთა ეკლესიის უბედურება. თექვსმეტი კარდინალისაგან შემდგარი კონკლავი, რომელიც რომში შეიკრიბა, სამ ჯგუფად გაიყო: სამხრეთელ ფრანგებად, ჩრდილოელ ფრანგებად და იტალიელებად. რომის ქუჩებში ბრბო ხმამაღლა გაჰყვიროდა: „ჩვენ რომაელი პაპი გვინდა, ყოველ შემთხვევაში იტალიელი მაინც." თექვსმეტიდან 15 ხმა მიიღო ბარის

არქიეპისკოპოსმა ბარტოლინიკო პრინიანომ, რომელმაც პაპად არჩევის შემდეგ დაირქვა ურბან VI. საფრანგეთის მეფემ, შარლ V-მ პროტესტი გამოთქვა. ცამეტმა ფრანგმა კარდინალმა (რამდენიმე მათგანი არჩევნების შემდეგ მოვიდა) გაასაჩივრა არჩევნების შედეგი. ისინი ფონდიში შეიკრიბნენ და თავიანთ შორის ყველაზე ენერგიული ადამიანი, რობერ ჟენეველი აირჩიეს. მან პაპად გახდომის შემდეგ სახელად კლემენტ VII აირჩია. ეს იყო დასავლეთში „დიდი განხეთქილების" დასაწყისი. იგი გაგრძელდა მარტინ V-ის არჩევამდე, 1417 წლამდე, და საბოლოოდ 1449 წელს დასრულდა, ანუ სულ 71 წელი გრძელდებოდა. ქრისტიანობა ორ ბანაკად გაიყო: ურბანისტებად და კლემენტისტებად. ურბანისტებს უპირატესობა ჰქონდათ იმპერიაში, ფლანდრიაში, ინგლისში, იტალიის უმეტეს ნაწილში რომის ჩათვლით გარდა სან-ანჯელოს ციხედარბაზისა, რომელიც კლემენტისტ კარდინალებს ეკავათ. კლემენტისტებს განეკუთვნებოდა საფრანგეთის მეფე და მისი ვასალები, კერძოდ, ლანგედოკიდან, რომელთაც სურდათ პაპის ავინიონში დაბრუნება. ეს სურვილი შესრულდა. საფრანგეთის მხარეზე იყო სავოიის საგრაფო, შოტლანდია (საფრანგეთის მოკავშირე), რამდენიმე გერმანელი პრინცი, მათ შორის ლუქსემბურგის, იულიჰის, ლოტარინგიის ჰერცოგები, ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ III. შვეიცარია, ბოჰემია და მორავია ყოყმანობდნენ.

გასაგებია, რომ ფეოდალური დაქუცმაცებულობის გამო ეს გადანაწილება ძალზე რთული იყო. ესპანელები თავიდან ნეიტრალურები იყვნენ. მალე კლემენტს მომხრეები გაუჩნდა არაგონიდან, კასტილიიდან და პორტუგალიიდან. რა თქმა უნდა, ინტენსიურ პროპაგანდას ეწეოდნენ ლეგატები და კონტრლეგატები. ხშირი იყო ძალადობრივი ქმედებანი, რადგანაც თავადები განხეთქილების საწინააღმდეგოდ მიმართული სათნო საქციელების მორცხვი რიდით ფარავდნენ ზოგიერთ სავსებით საერო მიზანს. ასე რომ ნახავდით ფრანგების ექსპედიციას იტალიაში, ინგლისელებისას კი ფლანდრიაში. ეს იყო დაქუცმაცებული, ჩიხში შესული ქრისტიანობა.

პაპი და საეკლესიო კრება. აქ ჩვენ მემკვიდრეების შესახებ არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ვერც ძალის გამოყენებამ, ვერც მოლაპარაკებებმა, ვერც „მორჩილებისაგან განთავისუფლებამ" (ამა თუ იმ პაპისათვის მხარდაჭერის შეწყვეტა) ვერ გადაჭრა პრობლემა. ამიტომ გადაწყდა დიდი საეკლესიო კრების მოწვევა. უნივერსიტეტებში ბევრი ამტკიცებდა, რომ საეკლესიო კრების უფლებამოსილება პაპისას აჭარბებდა. XV საუკუნეში სამი მნიშვნელოვანი საეკლესიო კრება ჩატარდა. ეს იყო პიზის (1409 წ.), კონსტანცის, რომელიც 1413-დან 1418 წლამდე გაგრძელდა და ბაზელის (1431-1443) საეკლესიო კრებები.

კონსტანცის საეკლესიო კრება. ევროპის იტორიისათვის საინტერესოა იმ ოთხი ჯგუფის ეროვნული შემადგენლობის ნახვა, რომლებიც კრებაზე იყვნენ წარმოდგენილი:

1) იტალიელი ერი კრეტელებსა და კვიპროსელებთან ერთად;

2) ინგლისელი ერი უელსელებთან, ირლადიელებთან და შოტლანდიელებთან ერთად;

3) გერმანელი ერი იმპერიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის, დალმაციის, ხორვატიის, უნგრეთის, ბოჰემიის, პოლონეთისა და სკანდინავიის ქვეყნების ქვეშევრდომებთან ერთად;

4) ფრანგი ერი მხოლოდ საფრანგეთის სამეფოს ფარგლებში.

რა თქმა უნდა, იყო „დიდი სიცარიელე" - აკლდნენ ესპანელები და პორტუგალიელები, რომლებიც მხოლოდ 1415 წელს ჩავიდნენ კონსტანცაში და მეხუთე ერი შეადგინეს. ქრისტიანობა თანდათან ერების კრებულად გვევლინებოდა.

1417 წელს დიდი განხეთქილება მოისპო: აირჩიეს ერთი პაპი მარტინ V. გასაკეთებელი რჩებოდა ის, რასაც უწესრიგობებმა შეუშალა ხელი ეკლესიის რეფორმა.

მსოფლიო საეკლესიო კრება 1418 წელს დაიშალა.

ბაზელის საეკლესიო კრება. XV საუკუნის მესამე მნიშვნელოვანი საეკლესიო კრება ბაზელში მიმდინარეობდა 1431-დან 1443 წლამდე. მისი მთავარი მიზანი იყო ეკლე-

სიის რეფორმა, ბერძენ ქრისტიანებთან შერიგება და თურქების წინააღმდეგ ზომების მიღება.

მთლიანობაში ბაზელის საეკლესიო კრება კონსტანცის საეკლესიო კრებაზე ბევრად უფრო გაბედული აღმოჩნდა; მისი მიზანი იყო, რომ ეკლესიის მართვა პაპს კი არა, თვით ეკლესიას განეხორციელებინა. უფრო მეტიც, დაბალი რანგის საეკლესიო პირები - იურიდიულ მეცნიერებათა ან თეოლოგიის ბაკალავრები თუ ლიცენციატები - ძალაუფლებას ეპისკოპოსებს ეცილებოდნენ.\

გახდებოდა თუ არა საეკლესიო კრება უზენაესი საკრებულო, რომლის გადაწყვეტილებებიც „სულიწმინდის მიერ იყო შთაგონებული"? ბაზელში არ ცნეს ერები.

საეკლესიო კრებამ გადააყენა პაპი ევგენი IV და აირჩია ახალი პაპი ფელიქს V. ახალი პაპის მომხრეთა რიცხვი სულ უფრო მატულობდა. მას დიდად უჭერდა მხარს თეოლოგი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, ორატორი, დიპლომატი, კანონიკური სამართლის მცოდნე და პოეტიც კი, მომავალი პაპი პიუს II (1458-1464). ეს იყო ხანგრძლივი კრიზისის დასასრული, რაც თითქმის დაემთხვა ასწლიანი ომის დასასრულს, თუმცა ჭრილობები მოუშუშებელი რჩებოდა. გარდა ამისა, გაუთავებელი კინკლაობის მრავალმა წელმა ხელი შეუწყო სახელმწიფოთა გაძლიერებას, რადგანაც მეფეებმა ამით ისარგებლეს და ეროვნული ეკლესიები განავითარეს „ქრისტიანული რესპუბლიკის" საყოველთაო (ფაქტობრივად ევროპული) სულისკვეთების საზიანოდ.

ამასთან დაკავშირებით სამი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ესაა უნივერსიტეტები, ერესები და პაპისადმი „მოურიდებლობა".

უნივერსიტეტები. დიდ განხეთქილებასთან ერთად უნივერსიტეტების რაოდენობა გაიზარდა და მათი დანიშნულებაც შეიცვალა: გაჩნდა ტენდენცია, ნაკლები ყურადღება დათმობოდა თეოლოგიას და მეტი - მეცნიერებას. ევროპის განათლებული საზოგადოებრიობა, რომელიც სტუდენტებისა და მასწავლებლების ხშირი გადაადგილების გამო იდეების გაცხოველებულ გაცვლა-გამოცვლას ეწეოდა, საერო

ხელისუფლების სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა. ამაში დავრწმუნდებით, თუ ევროპის ცალკეულ ქვეყნებს გადავხედავთ.

ინგლისში ორად ორი უნივერსიტეტი იყო: ოქსფორდი და კემბრიჯი. იქ შეიქმნა კოლეჯები და შესანიშნავი ბიბლიოთეკები.

შოტლანდიაში სენტ ენდრიუსის უნივერსიტეტი არსებობდა.

ეს იყო ეპოქა, როდესაც ინგლისური ენა ეროვნული ენა გახდა. ცოდნის კრიზისი და განათლების დეკადანსი, რაც სხვა ქვეყნებში შეიმჩნეოდა, ნაკლებად ეტყობოდა დიდ ბრიტანეთს.

ფლანდრიაში 1425 წელს პაპის ბულის საფუძველზე შეიქმნა ლუვენის უნივერსიტეტი. აქაურმა მაღალმა „ხელფასებმა" მიიზიდეს მასწავლებლები, რომლებიც პარიზიდან, ბოლონიიდან, ვენიდან, კელნიდან მიაწყდნენ ლუვენს.

გერმანიაში შეიქმნა ვენის (1384 წ.), ჰაიდელბერგის (1385 წ.), კელნის (1388 წ.), ერფურტის (1379 წ.), ვურცბურგის, ლაიფციგის, როსტოკის უნივერსიტეტები, რომელთაც მრავალი პარიზელი სტუდენტი და მასწავლებელი მიიღეს.

რადგანაც ესპანეთში რამდენიმე მონარქია იყო, მათ საკუთარი უნივერსიტეტების დაარსება მოისურვეს. ასე გაჩნდა სალამანკის და ვალიადოლიდის უნივერსიტეტები კასტილიაში, ხოლო ლერიდასი და პერპინიანისა არაგონში.

პორტუგალიის მეფემ, ფერნანდომ (1367-1383) კოიმბრის უნივერსიტეტი ლისაბონში გადაიტანა.

საფრანგეთში ყველაზე სახელგანთქმული პარიზის უნივერსიტეტი იყო და მისი პრეტენზიებიც გაიზარდა. უნივერსიტეტში მიაჩნდათ, რომ ჭეშმარიტი თეოლოგია ყველაზე უკეთ და სხვათათვის სანიმუშოდ იქ ისწავლებოდა. იგი თანდათანობით საფრანგეთის მეფის უნივერსიტეტი გახდა და ჟანა დ'არკის პროცესში ჩაერია, მაგრამ ავტონომია ბევრ საკითხში დაკარგა. გარდა ამისა, განხეთქილებამ და პოლიტიკურმა დაყოფამ სხვა უნივერსიტეტების სასარგებლოდ იმუშავა. კანის (Caen) უნივერსიტეტი (1420 წ.)

ინგლისელებმა დააარსეს, ბორდოსი ინგლისელების კუთვნილ გიენის ოლქში შედიოდა, დოლისა (Dôle) ბურგინიონების სამეფოს ეკუთვნოდა, პუატიესი გარკვეული დროის განმავლობაში შარლ VII-ის და ბურჟის სამეფოს უნივერსიტეტი იყო; 1368 წელს დაარსებულ ტულუზის უნივერსიტეტში არეულობა სუფევდა, გიენის „ერი" ინგლისელებს უჭერდა მხარს და 1418 წელს გაიფიცა. ორლეანის ძველი უნივერსიტეტი უწინდებურად აღარ ბრწყინავდა, სამაგიეროდ პარიზის უნივერსიტეტი აღმავლობის გზას დაადგა, მონპელიეს უნივერსიტეტი კი მედიცინის ცენტრად გარდაიქმნა 1380 წელს მინიჭებული სტატუსის წყალობით, ანჟერის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. ავინიონის უნივერსიტეტს პაპების იქ ყოფნამ შეუწყო ხელი, გრენობლისა კი 1430 წელს შეიქმნა.

ასეთივე გამიჯვნა-განცალკევება ხდებოდა იტალიაში, სადაც საფრანგეთზე მეტი, თხუთმეტიოდე უნივერსიტეტი იყო 1400 წლისთვის, მაგრამ იქ პატარა, საკუთარი სახელმწიფოები არსებობდა. ბოლონიის უნივერსიტეტში ბევრი უცხოელი სწავლობდა. აქ ნახავდით ესპანელებს, გერმანელებს, ინგლისელებს. აღნიშვნის ღირსია პადუის, პავიის, ტურინის, ფლორენციის (რომელმაც დიდი როლი ითამაშა იტალიური ჰუმანიზმის განვითარებაში), სიენის, ნეაპოლის, კატანიის უნივერსიტეტები. რომის ორი უნივერსიტეტი არც ისე დიდი გაქანებისა იყო, რადგანაც პაპის ოლქში მდებარე ბოლონიის უნივერსიტეტი საუკეთესო ძალებს თავისკენ იზიდავდა.

ბოჰემიის სამეფოში პრაღის ძველ უნივერსიტეტში ოთხი ერის წარმომადგენლები სწავლობდნენ. საინტერესოა მათი შემადგენლობა. აქ იყვნენ საქსები (საქსონია, ბრანდენბურგი, ბრუნსვიკი, ნიდერლანდები, ვესტფალია); ბავარიელები (ბავარია, ავსტრია, საფრანგეთი, შვეიცარია, რაინისპირა ოლქი, ჰოლანდია); პოლონელები; ჩეხები. პირველი სამი რომის პაპის ერთგული იყო, ბოჰემია კი კლემენტს უჭერდა მხარს.

1409 წელს მეფე ვენჩესლავმა (Wenceslas) - ნაკლებად ღირსეულმა პიროვნებამ, რომელიც საიმპერატორო ტახტიდან გააძევეს, სამი ხმა მიაცემინა ჩეხებისთვის, მაშინ, როდე-

საც დარჩენილმა სამმა ერმა მხოლოდ ერთი ხმა მიიღო. ამის შედეგად გერმანელებმა პრაღა დატოვეს და ჩეხები ერეტიკოსებად გამოაცხადეს.

პოლონეთში კრაკოვის, ხოლო უნგრეთში ბუდაპეშტის უნივერსიტეტები დაარსდა.

ერესი. დიდი განხეთქილების და საეკლესიო კრებების კრიზისის გარდა, ეკლესიის რღვევის კიდევ ერთი ფაქტორი გაჩნდა. ეს იყო ერესი (მწვალებლობა). ქრისტიანობის კრიზისის გამო გვიანდებოდა კათოლიკური რეფორმა. ზოგიერთებმა იგი თვითონ წამოიწყეს. ეს იყო წინასწარი რეფორმა, „პრერეფორმა",ანუ Vorreform,რადგანაც ნამდვილი რეფორმა ერთი საუკუნის შემდეგ განხორციელდა. ერესის ორი ძირითადი წარმომადგენელი იყო ჯონ უიკლიფი და მისი მოწაფე იან ჰუსი. მათ ხელი შეუწყეს თავიანთი ქვეყნების (ინგლისის და ბოჰემიის) ეროვნულ თავისებურებათა ჩამოყალიბებას. ჩვენი ევროპული გადასახედიდან, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება მათი მოძღვრებიდან?

ჯონ უიკლიფი. უიკლიფი (დაახლოებით 1329-1384) სხვა დიდი მისტიკოსების, ფლამანდელი რუისბორკის და წმინდა ეკატერინე სიენელის თანამედროვეა. მას ვიცნობთ აგრეთვე, როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოჩენილ პროფესორს და ღვთისმეტყველს, „სამეფო პროგატივის" თეორეტიკოსს. დიდი ხნის განმავლობაში მას პაპების რისხვისგან ლანკასტერის ჰერცოგი ჟან გენტელი (Jean de Gand) იცავდა. მისი ორიგინალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან წმინდა წერილი, ბიბლია ეკლესიაზე მაღლა დააყენა, საიდანაც დასკვნა გამოიტანა, რომ საჭირო არ იყვნენ პაპები და არც სამღვდელოება. მისი აზრით, თითოეული ინდივიდის „თავისუფალ განსჯას" შეუძლია გვაზიაროს ჭეშმარიტებას და არა ეკლესიის ოფიციალურ სწავლებას. საიდუმლო მნიშვნელობას კარგავს, ევქარისტია კი მხოლოდ სიმბოლოა. ამ ყველაფერს თან ახლდა მგზნებარე ქადაგებანი, რის გამოც ოქსფორდის უნივერსიტეტმა დაგმო მისი მოძღვრება, პაპმა კი შეაჩვენა იგი. მას ბრალად დასდეს ინგლი-

სელი მუშების დიდი აჯანყების მოწყობა (1381 წ.) თავისი მოწაფეების, „საცოდავი მღვდლების" დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ მარცხის მიუხედავად, უიკლიფი ძალზე პოპულარული იყო ინგლისში და სხვა საქმიანობასთან ერთად, ინგლისურ ენაზე თარგმნა ბიბლია. მის მომხრეებს *ლოლარდებს* უწოდებდნენ.

იან ჰუსი. იან ჰუსი (დაახლ. 1369-1415) სხვა თაობის წარმომადგენელი იყო. იგი პრაღის უნივერსიტეტში ასწავლიდა და ბრწყინვალე მქადაგებლის და უკომპრომისო პოლემისტის სახელი ჰქონდა გავარდნილი ხალხში. იგი მორალისტი უფრო იყო, ვიდრე მისტიკოსი. ჰუსს სურდა ეკლესიაში რეფორმა გატარებულიყო და თაყვანს სცემდა უიკლიფს უფრო მისი რეფორმატორული საქმიანობის, ვიდრე თეორიების გამო. მას მიაჩნდა, რომ პაპს სარგებლობაზე მეტი ზიანი მოჰქონდა ეკლესიისთვის. იან ჰუსი თავის სამშობლოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, სამაგიეროდ იგი სძულდათ რომში, რადგან კარდინალებს ებრძოდა, რომლებიც მდიდარ სენიორებად იყვნენ გადაქცეულნი, ებრძოდა ინდულგენციებით ვაჭრობას, ე.წ. „არითმეტიკულ რწმენას" (აჯამებდნენ განსაწმენდელში გატარებული იმ დღეების რაოდენობას, რის უფლებასაც ინდულგენციების შეძენით იღებდნენ). იან ჰუსს თავისი იდეების ჩამოყალიბება სურდა კონსტანცის საეკლესიო კრებაზე, მაგრამ იგი გაასამართლეს და მისი ყოფილი მასწავლებლის, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის, ჟერსონის მტრული თავდასხმების ობიექტი გახადეს; მისი შეუვალობის სიგელი გააუქმეს, საერო სასამართლოს გადასცეს და 1415 წელს ცოცხლად დაწვეს. მას უამრავი მიმდევარი დარჩა, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სულისკვეთების გაღვივებას ბოჰემიაში.

ეროვნული ეკლესიების „თავნებობანი". მატერიალურად ეკლესიები იერარქიის ყველა დონეზე დაფუძნებული იყო „ბენეფიციუმზე" და მის ძიერ მოტანილი შემოსავალი აცხოვრებდა სამღვდელოებას კარდინალებიდან დაწყებული

და მეტად მოკრძალებული მღვდლებით დამთავრებული. დიდკაცებმა ნელ-ნელა ამ ციური მანანის ხელში ჩაგდება და გაკონტროლება მოინდომეს, მით უმეტეს რომ ბენეფიციუმებით სარგებლობის უფლება მათი პრეროგატივა იყო. თუ ისინი თავად შეარჩევდნენ ბენეფიციუმების მფლობელებს, ამით შესანიშნავი საშუალება ეძლეოდათ მოემადლიერებინათ თავიანთი მხარდამჭერები და მეგობრები ჯიბეზე ხელის გაუკვრელად. XV საუკუნეში ეს ყველამ შესანიშნავად იცოდა. პარიზის უნივერსიტეტის დიდი სწავლული ჟერსონი 1410 წელს წერდა: „როდესაც პაპის ავტორიტეტი შერყეულია, ეროვნული ეკლესიების ერთიანობა მაინც უნდა დავიცვათ და ამგვარად შევინარჩუნოთ მათი სამოციქულო ძალა. ეს როლი ქრისტიან თავადს ეკისრება".

იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს მეთაურებისთვის ცალსახა დადგენილებით ნება მიეცათ დაუფლებოდნენ საეკლესიო ბენეფიციუმების გაცემის უფლებას, პაპების პოლიტიკა, მარტინ V-დან დაწყებული, იქითკენ იყო მიმართული, რომ ორმხრივი შეთანხმების, „კონკორდატებისთვის" მიეღწიათ.

შევეცდებით ევროპის თითოეულ ქვეყანასთან დაკავშირებით ჩვენი თვალსაზრისი გამოვთქვათ.

გალიკანობა. საფრანგეთში ნაციონალური ეკლესიის „მოურიდებელი" მოთხოვნები გალიკანობად მოინათლა. ამ მოძრაობის ფესვები შესაძლოა ვეძიოთ ცნობილ ნაშრომში „ვერჟიეს სიზმარი", რომელიც დიდი განხეთქილების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, 1372 წელს დაიწერა. XV საუკუნის დასაწყისში დოქტრინა მომწიფებული იყო (პარიზის საეკლესიო კრება, 1406 წ.). მეფეს სრული უფლება ჰქონდა თავისი შეხედულებისამებრ დაერიგებინა ბენეფიციუმები. მეფის მოხელეები, რომელთაც ეკლესიიდან განკვეთის აღარ ეშინოდათ, ერთი მეორის მიყოლებით სპობდნენ სამღვდელოების პრივილეგიებს: სპეციალურ სასამართლოებს, გადასახადების გაუქმებას და ა.შ.

„ეკლესიის ყველა მსახურმა უნდა გადაიხადოს დახმარებები, რადგანაც ეს სამეფოს დაცვისთვის არის საჭირო".

ეს ყველაფერი გალიკანთა „ორდონანსების" (განკარგულებების) სერიით და ორი მოწინააღმდეგე ბანაკის შექმნით დამთავრდა: ერთში პაპის მომხრენი იყვნენ გაერთიანებული (მაგალითად, ტულუზის უნივერსიტეტი, ბურგინიონები), მეორეში კი გალიკანთა პარტია (ჟერსონი, პიერ დ'აი, არმანიაკები). 1438 წელს ბურჟის „პრაგმატიკული სანქციის" ძალით, რომელიც გალიკანური ეკლესიის ჭეშმარიტი ქარტია გახდა, მეფე გახდა „სამეფოს პირველი საეკლესიო პირი" ეპისკოპოსებს და აბატებს ირჩევდნენ: შეიძლებოდა ლაპარაკი „საეპისკოპოსო გალიკანობის" შესახებ, რომელიც ძალიან მტრულად იყო განწყობილი პაპის მიმართ. 1441 წელს რედონის კონკორდატით ბრეტანის საჰერცოგო გალიკანურ საფრანგეთს გამოეყო.

ანგლიკანობა. ინგლისში მეფეც და პარლამენტიც, ყველა ავინიონის პაპების წინააღმდეგი იყო. 1398 წელს რომის პაპთან ხელი მოეწერა კონკორდატს, რომელიც ძალაუფლებას ანაწილებდა პაპსა და მეფეს შორის. ლანკასტერთა დინასტიამ დაარღვია კონკორდატი და ანგლიკანური პოლიტიკის გატარებას შეუდგა, რომელიც გალიკანურ პოლიტიკაზე ნაკლებად ექსტრემისტული გამოდგა.

საფრანგეთის ტერიტორიის ერთი ნაწილის ინგლისელების მიერ დაკავების დროს ანგლიკანობა საფრანგეთშიც გავრცელდა. ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ემორჩილებოდა საფრანგეთის სამღვდელოება ინგლისელებს, არის ის პოზიცია, რომელიც ბოვეს ეპისკოპოსმა კოშონმა დაიკავა ჟანა დ'არკის პროცესის დროს, სადაც ბრალმდებლად გამოდიოდა.

საფრანგეთში უფლებების დაცვად პაპის წინააღმდეგ ბრძოლა ითვლებოდა, ინგლისში კი მეფისადმი მორჩილება. აღსანიშნავია, რომ ირლანდიელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მეფის ჩარევას ეკლესიის საქმეებში.

გერმანული „უფლებები". გერმანიაში, სადაც ამიერიდან იმპერია ტევტონთა სამეფოს (regnum teutonicum) სახით იყო წარმოდგენილი და არა ერთიანი მონარქიის სახით,

სადაც XV საუკუნეში გერმანელი ერი ერთობ არაკომპაქტურად ცხოვრობდა და იმპერიის საზღვრებს არ თანხვდებოდა, ხალხი ძალზე ღვთისმოსავი იყო. ეკლესია, რომელიც რამდენიმე სამთავროს შორის იყო გახლეჩილი, ძალიან უფრთხილდებოდა თავის „გერმანულ უფლებებს" და ხშირად ძალზე მტრულად იყო განწყობილი პაპის მიმართ. ეს განსაკუთრებით ითქმოდა მაინცის, ტრირის და კელნის ეპისკოპოს-ამომრჩევლებზე, ნაკლებად აღმოსავლეთის სამღვდელოებაზე, რომლებსაც ხშირად უწევდათ შემოსეულ მტერთან გამკლავება და მეტად ესაჭიროებოდათ პაპის დახმარება. სხვათა შორის, პაპობასაც იგივე პრობლემა ჰქონდა ხოლმე.

ქვეყანაში გამეფებულმა სიდუხჭირემ, საეკლესიო იერარქიის მოუწესრიგებლობამ, ზოგიერთი ეპისკოპოსის სიხარბემ და გაუმაძღრობამ გერმანიაში რეფორმის წყურვილი გაამძაფრა, მაგრამ იმავე დროს მას ერთგვარი საერო ელფერი მიეცა.

მომრავლდა სექტები. იგრძნობოდა ჰუსიტების გავლენა. გავრცელდა მასტიციზმი; ამ მოძღვრების ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ კუზანელი (დაიბადა 1400 წ.) „ახალი დროების მომტანი", როგორც მას უწოდებდნენ. ამ კაცმა „კავშირი გაწყვიტა შუა საუკუნეებთან". 1446 წელს ფრანკფურტში დიდი თავყრილობა გაიმართა. იქ იყვნენ ჰერცოგები, გრაფები, დანიის მეფე, ტევტონთა ორდენის დიდი მაგისტროსი, ეპისკოპოსები, ქალაქების დელეგატები და რაინდები, ბაზელის საეკლესიო კრების და პაპის წარმომადგენლები. მათი მუშაობის შედეგად მივიღეთ პრინცების კონკორდატი (Fürstenkonkordat), რომელიც აღიარებდა საეკლესიო საბჭოს უწმინდესობას, მაგრამ არა ზემდგომობას. 1448 წელს ვენის კონკორდატი პაპს ბევრად მეტ უფლებას ანიჭებდა გერმანიაში, ვიდრე მას „პრაგმატიკულმა სანქციამ" დაუტოვა საფრანგეთში.

პოლონეთი. პოლონეთში პაპმა ბენეფიციუმების გაცემის უფლებების უმეტესი ნაწილი შეინარჩუნა.

სკანდინავია. მას შემდეგ, რაც 1397 წელს შვედეთის, ნორვეგიის და დანიის სამეფო გვირგვინები „კალმარის კავშირში" გაერთიანდნენ, თითოეულმა სახელმწიფომ თავისი ინსტიტუტები შეინარჩუნა. დანიის ეკლესია გერმანიის გავლენის ქვეშ იყო, ნორვეგიის ეკლესია შოტლანდიის ეკლესიას ჩამოშორდა, შვედეთისა კი კვლავაც რომთან იყო დაკავშირებული. ეპისკოპოსთა შორის ბევრი იყო უცხოელი, დაბალ სამღვდელოებას განათლება ძალიან აკლდა და ცელიბატის (დაუქორწინებლობის) წესსაც არ იცავდა. რაც შეეხება ისლანდიას, მისი ეკლესია ძალზე იზოლირებული და საკუთარ თავში ჩაკეტილი იყო.

უნგრეთი. აქ ეპისკოპოსებს მეფეები ან რომის მოწინააღმდეგე დიდკაცები ნიშნავდნენ.

ესპანეთი. ესპანელი ერი ძალზე შეკავშირებული და პაპის ერთგული იყო, მას ნაკლებად იზიდავდა საეკლესიო საბჭოს ზემდგომობა. ესპანეთის ეკლესიის წიაღში მრავალი ღირსშესანიშნავი პიროვნება მოღვაწეობდა და მათ შორის უნდა დავასახელოთ დიდი დომინიკელი მქადაგებელი წმინდა ვენსან ფერიე (გარდაიცვალა 1419 წ. ვანში). პორტუგალია, სადაც ინგლისის გავლენა საფრანგეთისას სჯარბობდა, დავისაგან შორს იდგა. არაგონის მსგავსად, მან დაპყრობითი ომები წამოიწყო, რომელთაც იოლად შეერქვა „ჯვაროსნული ლაშქრობები". პორტუგალიელებმა 1415 წელს აიღეს სეუტა, ერთადერთი ქალაქი, რომელიც „ქვეყნის მესამე ნაწილში, აფრიკაში, ქრისტეს სახელზე ამბობს აღსარებას".

IV. მეცნიერების აღმავლობა ევროპაში

XII და XIII საუკუნეებში ლათინური ქრისტიანული სამყარო, ანუ მთელი ჩვენი ევროპა თითქოს ჩამორჩებოდა სხვა დიდ ხალხებს: ჩინელებს, არაბებს, რამდენადმე ბიზანტიელებსაც. ოთხ საუკუნეში ევროპამ ყველას გაუსწრო *ფუნდამენტურ მეცნიერებაში, გამოყენებით მეცნიერებაში, ტექ-*

ნოლოგიებში და XVIII საუკუნის ბოლოსთვის მეცნიერული აღმოჩენები მასობრივად გამოიყენებოდა ადამიანის კომფორტისათვის აუცილებელი საგნების წარმოებისათვის. საჭიროა უცხოური, და კერძოდ, ჩინური და არაბული გავლენის შესწავლა (და არა ისლამისა, როგორც ასეთის, რომლის მიმდევართა ფართო მასები ძალზე დაშორებული იყვნენ ყველაზე ბრწყინვალე ცენტრებისგან).

შორეული გავლენა: ჩინეთი. ჩინეთთან კონტაქტები, ცხადია, რთულია. ძალიან ბევრი რამ ჩინეთში უფრო ადრე აღმოაჩინეს: აბრეშუმი, დენთი, ყუმბარა; ზარბაზანი მათ უკვე XIII საუკუნეში გამოიყენეს, დასავლეთში კი ეს კრესის ბრძოლის დროს მოხდა (1346 წ.) და განსაკუთრებით XV საუკუნეში. გავიხსენოთ აგრეთვე კომპასი, ქაღალდი, მელანი, ხელის ურიკა, არტეზიული ჭები.

ჩინელების გამოგონებები ევროპამდე არაბების საშუალებით მივიდა. უშუალო კონტაქტი ჩინეთსა და დასავლეთს შორის ალბათ ძალზე იშვიათი უნდა ყოფილიყო, 1368 წელს კი, როცა მინგის ტრადიციონალისტური დინასტია გამეფდა, მონღოლები ჩინეთიდან გადევნეს და ასპარეზზე თემურ-ლენგი (ტამერლანი) გამოჩნდა, *ჩინეთი დიდი ხნით ჩაიკეტა ევროპელთათვის.*

ახლო გავლენა: არაბები. არაბულმა გავლენამ უფრო ადვილად მოიკიდა ფეხი, რელიგიური დაპირისპირებების და ომების მიუხედავად. არაბული და დასავლური ცივილიზაციები ერთმანეთის გვერდით ვითარდებოდა საერთო საზღვრების გასწვრივ და ხმელთაშუა ზღვაში. ეს გავლენა ბაღდადიდან ხორციელდებოდა, მოგვიანებით ესპანეთიდან და XIII საუკუნეში სიცილიიდან. რ. არნალდესის მიერ შედგენილი არაბი, ან არაბული კულტურის მქონე ქრისტიანი და ებრაელი მეცნიერების სია ასე შეიძლება შეჯამდეს:

არაბეთიდან და ინდოეთიდან შემოვიდა ე.წ. „არაბული" ციფრები, აბაკი ანუ საანგარიშო დაფა და ასტროლაბია,

არაბი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების სია

	მთლიანი რაოდენობა	აღმოსავლეთელები	ესპანელი არაბები
მე-VIII საუკუნის მეორე ნახევარი	8	8	0
მე-IX საუკუნე	39	39	0
მე-X საუკუნე	34	31	3
მე-XI საუკუნე	30	21	9

მედიცინა. ამავე ეპოქაში დაარსდა უცნაური დაწესებულება, სალერნოს სამედიცინო სკოლა, რომელიც სამხრეთ იტალიის სიმბოლო იყო, რომელსაც ერთმანეთს ეცილებოდნენ ბიზანტიელები, არაბები, და მოგვიანებით, ნორმანებიც. მედიცინამ დიდ პროგრესს მიაღწია გაკვეთების, სახელდობრ ღორების გაკვეთების, ტრეპანაციების, მუცლის ღრუს ჭრილობების და სიმსივნური წარმონაქმნების შესწავლის წყალობით. სალერნოელი მედიკოსები პირველები იყვნენ, ვინც ღვინის დისტილაცია და ალკოჰოლის ორთქლის კონდენსაცია მოახდინა, და ამით გზა გაუხსნა ფარმაციას, პარფიუმერიას... და ალკოჰოლიზმს.

ავიცენა და ავეროესი. ავიცენა (აბუ იბნ სინა), ფილოსოფოსი და ექიმი, რომელიც დაახლ. 980 წელს დაიბადა სპარსეთში და 1037 წელს გარდაიცვალა არაბული ფილოსოფიის და მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი იყო. მან შესანიშნავად თარგმნა არისტოტელეს თხზულებები, აღმოსავლეთის სხვადასხვა სამეფო კარზე მას ხშირად იწვევდნენ ვეზირად და მკურნალად.

ავიცენას შემდეგ, არისტოტელეს დიდი მთარგმნელი გახდა ავეროესი (აბუ იბნ რუშდი), რომელიც კორდოვაში დაიბადა 1120 წელს და მაროკოში გარდაიცვალა 1198 და 1206 წელს შორის. იგი არაბულენოვანი ებრაელი ექიმის ავენზოარის მოწაფე იყო (დაიბადა 1070 წელს პენიაფლორში). მისი კომენტარები არისტოტელეს შესახებ ლათინურ ენაზეა დაწერილი. მათი თანამედროვე, ებრაელი მა-

იმონიდი (1135-1204) მისივე მოწაფე იყო. იგი ავტორია ნაშრომისა „ტრაქტატი საწამლავთა შესახებ", დაწერილი აქვს „სამედიცინო წამალთა რაობის წიგნიც". სხვათაშორის, კარლოს დიდის შემდეგ სანელებლებით და წამლებით ვაჭრობა მთლიანად ებრაელთა ხელში იყო და მთელ ევროპაში მოდებული იყვნენ ებრაელი ფარმაცევტები: ხელობა მამიდან შვილზე გადადიოდა.

ამ დიდ ადამიანებთან მთელი ქრისტიანული სამყაროდან მიდიოდნენ მოწაფეები ცოდნის მისაღებად. ახლა მათ სახელებს გულგრილად ვერ ჩამოვთვლით. მთავარია დავადასტუროთ იმ გავლენის არსებობა, რომელიც არაბული ქვეყნებიდან და განაპირა ოლქებიდან (სალერნო, კორდოვა, სიცილია) მთელ ევროპაზე ახდენს გავლენას. დაბრუნებული ტოლედო ღირსშესანიშნავი ინტელექტუალური კერა გახდა.

დავამატოთ, რომ არაბებმა შემოინახეს და თარგმნეს ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტები. ასე, რომ ყველა იმ ნაშრომისთვის, სადაც ნააზრევის გადმოცემა სტილზე მნიშვნელოვანი იყო, არაბული ენის, როგორც შუამავლის როლი, ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს.

რ. არნალდეზს შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, რომ „არაბებმა მეტი გააკეთეს, ვიდრე ეს უბრალოდ მეცნიერების, ცოდნის გადაცემაა: მათ მეცნიერებისადმი ინტერესი გააღვივეს, დახვეწეს იგი, მისდამი კრიტიკული მიდგომა ისწავლეს და ბერძნული კონცეფციები ცდებს დაუპირისპირეს. მათი საკუთარი თანამედროვე მიდრეკილება ტექნიკის განვითარებისა და მისი არქიტექტურაში გამოყენებისაკენ დიდად ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა წინსვლისთვის. ჩვენ ვალში ვართ მათ წინაშე ასტრონომიის, მექანიკის, ქიმიის დარგში მათ მიერ მიღწეული წარმატებების გამო, მათი გამოგონილია მრავალი საჭირო ხელსაწყო, მედიცინაში მათ შემოიღეს პირველი დიდი საავადმყოფოები, *მარისტანები*, სადაც ერთდროულად ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ, ახალბედა ექიმებსაც ზრდიდნენ და წმინდა მეცნიერულ დაკვირვებებსაც აწარმოებდნენ".

XIII საუკუნის ორი „განათლებული" მეფე იპყრობს ჩვენს ყურადღებას: იმპერატორი ფრიდრიხ II (1194-1250)

და კასტილიის მეფე ალფონსო X ბრძენი, რომელსაც უცხოელებმა „ასტრონომი" შეარქვეს. იგი 1252-დან 1284 წლამდე მეფობდა.

იმპერატორი ფრიდრიხ II. იგი ძირითადად სიცილიაში ცხოვრობდა. ეს ღვთის მგმობელი პიროვნება, რომელიც ხშირად შეუჩვენებია ეკლესიას, ფიცხი, სასტიკი და ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. მან მეცენატის როლი ითამაშა, მფარველობდა საკუთარ ასტროლოგს მიქაელ სკოტუსს და შუა საუკუნეების უდიდეს მათემატიკოსს ლეონარდო პიზელს. მას ეკუთვნის არაჩვეულებრივი ნაშრომი „ტრაქტატი მიმინოებით ნადირობის შესახებ", რომელიც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაწერა და კიდევ ერთი პატარა დეტალი უნდა მოგახსენოთ, ქრისტიანებიდან პირველი ჟირაფი მას ჰყავდა!

ალფონსო X. ალფონსო X-ს ვიცნობთ, როგორც პოეტს, მუსიკოსს, იურისტს, ასტრონომს. მან 1280 წელს დაწერა „Libros del Saber de Astronomia",სადაც ჩამოთვლილი აქვს ვარსკვლავები და ასტრონომიისთვის საჭირო ხელსაწყოები, აგრეთვე მის კალამს ეკუთვნის ესპანურ ენაზე შედგენილი „ალფონსოს ტაბულები", რაც კალენდრის პრობლემას ეხება.

შეიძლება თუ არა დამაკმაყოფილებელი ახსნა მოეძებნოს მეცნიერების განვითარებას, რაც დასავლეთში XIV საუკუნიდან ნამდვილად შეიმჩნევა?

კაროლინგური აღორძინების ერთი მუჭა მოღვაწეები ყოველგვარ სწავლებას სიწმინდეს, ღვთაებრიობას უკავშირებდნენ. XIII საუკუნეში, უნივერსიტეტების ფართო გავრცელების გამო, განათლებული საზოგადოება ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი იყო და სულაც არ უყურებდა ამრეზით *quadrivium*-ს, რასაც ჩვენ სამეცნიერო ფაკულტეტი შეიძლება ვუწოდოთ. თავისთავად რელიგია არ ქმნიდა დაბრკოლებას, თუ ის საერო სფეროს არ ეხებოდა, თუმცა სამღვდელოების საკმაოდ ბევრმა წარმომადგენელმა არ იცოდა, რომ არსებობდა ღვთისმეტყველებისთვის სრულიად უცხო დარგები. შეიძლება მაგალითიც მოვიყვანოთ: გვამის გაკვეთა.

მედიცინის პროგრესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული გვამების გაკვეთასთან. ადამიანთა გვამების გაკვეთა ძვ.წ. III საუკუნიდან აღარ ხდებოდა.

XIII საუკუნეში კვლავ მიუბრუნდნენ ასეთ პრაქტიკას. 1368 წელს ვენეციის საეკლესიო კრებამ წელიწადში ერთი დისექციის (გვამის გაკვეთის) ნება დართო, რელიგიური დაბრკოლებების გადალახვა უფრო გაიოლდა, ძველების *ავტორიტეტის* კრიტიკა სულ უფრო ხშირად გაისმოდა და იდეა, რომელსაც არაბები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, იმის შესახებ, რომ დაკვირვება, ემპირიზმი ყველაზე მყარი და დამაჯერებელი მეთოდია, თავისი გზით მიდიოდა.

ტექნიკა. მთლიანობაში გამოყენებითი მეცნიერება და ტექნიკა უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ფუნდამენტური მეცნიერებები. საქმე ეხებოდა იმ დაუოკებელ სწრაფვას, რაც ადამიანებს აიძულებს უკეთ გადაწყვიტონ მოხმარების და კომფორტის პრობლემები.

თავიდან ეს იყო მამოძრავებელი ძალების დაუფლება, რითაც უთუოდ აიხსნება მონობის დაკნინება.

შემოღებულ იქნა მხრის საყელური, აღვირი და ლაგამი, ჯაჭვი, გზების ქვაფენილით დაგება, ქარის წისქვილები ესპანეთში X საუკუნეში შემოვიდა, წყლის წისქვილები მთელ ლათინურ ქრისტიანობაში გავრცელდა, ბერკეტი-სახელურის სისტემა გერმანიაში XV საუკუნის დასაწყისში გამოიყენებოდა.

შუა საუკუნეების სხვა სიახლეები იყო: მეაბრეშუმეობა, ბაზიერობა, შებოლილი ქაშაყის გამოყვანა, XIV საუკუნეში, კლერვოში წარმოებული თეთრი ღვინის შამპანიზაცია, ჯარა, მაღალი ღუმელი და თუჯი.

მინის წარმოებამ მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია: ვენეციის მახლობლად, მურანოს მინა განთქმული იყო თავის ხარისხით. გამადიდებელი შუშის,ლუპის პრინციპი XI საუკუნეში *ერთდროულად* ერთმა არაბმა და ოქსფორდის სკოლის ერთმა დიდმა მეცნიერმა აღმოაჩინეს.

ქაღალდი, მელანი და სტამბა. XII საუკუნეში ხმარე-

ბაში შემოვიდა ჩვრებისგან დამზადებული ქაღალდი, რომელიც ჩინელებმა გამოიგონეს ახ.წ. III საუკუნეში და მელანი. ქაღალდი ჯერ იტალიაში მზადდებოდა, რომელიც მის დიდ ექსპორტს აწარმოებდა, შემდეგ კი საფრანგეთში, პარიზის და ტრუას ირგვლივ.

რომაული ასომთავრულით, კარლოსის პატარა ასოებით, მელნითა და ქაღალდით მივუახლოვდით ყველაზე საკვირველ გამოგონებას, ბეჭდვას, რომლის ავტორია იოჰან გუტენბერგი (1400, მაინცი-1460).

როდესაც ერთმანეთს ვადარებთ ორ თარიღს: 1450 წელს, როდესაც გუტენბერგმა დაბეჭდა Biblia Latina და Fust 130 ეგზემპლარად და 1453 წელს, როცა კონსტანტინოპოლი თურქებმა აიღეს, ვხვდებით, რომ ახალ ეპოქაში შევდივართ. 1480 წელს 10 სტამბა იყო საფრანგეთსა და ჟენევაში, 4 - ინგლისში, 13 - ნიდერლანდებში, 19 - დასავლეთ გერმანიასა და გერმანულენოვან შვეიცარიაში, 5 - აღმოსავლეთ გერმანიაში, თითო-თითო პრაღაში, კრაკოვში, ბუდაპეშტში, ბრესლაუში, 6 - ესპანეთში, 40 - ჩრდილოეთ იტალიაში, 3 - სამხრეთ იტალიაში, საბოლოო ჯამში მთელი დასავლეთი ევროპა 104 სტამბას ითვლიდა.

ქაღალდის, რომელიც იმავე ზომის პერგამენტებზე სამჯერ უფრო იაფი ჯდებოდა და წიგნის ბეჭდვის წყალობით, რომელიც საშუალებას იძლეოდა დიდი ტირაჟით გამოეშვა წიგნები, ინტელექტუალური ცხოვრება სრულიად ახლებურად განვითარდა. 1450 წლიდან 1500 წლამდე 15-20 მილიონი ეგზემპლარი ნაბეჭდი პროდუქციის მიღება მოხერხდა. XVI საუკუნეში 150-200 მილიონ ეგზემპლარამდე გაიზარდა ეს რიცხვი 150-200 ათასი გამოცემისთვის: აქედან ერთი მეოთხედი საფრანგეთს, ერთი მეოთხედი - გერმანიას, ერთი მეოთხედი - იტალიას, ერთი მერვედი ნიდერლანდებს და ერთი მერვედი დანარჩენ ევროპას (ესპანეთი, ინგლისი, აღმოსავლეთის ქვეყნები) ეკუთვნოდა. კერძო პირებს უკვე ჰქონდათ ბიბლიოთეკები; მათში წიგნების რაოდენობა იშვიათად აჭარბებდა 200 ტომს. XVI საუკუნის ბოლოს ფილოსოფოს მონტენის განთქმულ „წიგნების კოშკში" ათასამდე წიგნი ინახებოდა. გაჩნდნენ პროფესიონალი მწერ-

ლები. ამიერიდან მძლავრი ინტელექტუალური მოძრაობა დაიწყო უნივერსიტეტის კედლებს მიღმაც: XVI საუკუნეში ჰუმანიზმმა იფეთქა.

V. ზღვაოსნობის განვითარება ევროპაში

XIII საუკუნიდან ზღვაზე ბატონობენ არა ვიკინგები და ბიზანტიელები, არამედ გერმანელები (ჰანზა) და იტალიელები, ხოლო მოგვიანებით - პორტუგალიელები და ესპანელები.

ძველი და ახალი ტიპის გემები. ვიკინგების შთამომავლები იყენებდნენ წარმართულ, *მცირე წყალწყვის მქონე,* ვიწრო იალქნიან და ნიჩბიან ბარკასებს. *დასავლური იალქნიანი ხომალდი* უფრო მომრგვალებული, მკვიდრი და ნელი იყო. ბიზანტიელები ერთგემბანიანი გალერის ტრადიციას არ ღალატობდნენ, რომელიც ძალზე გრძელი და ტარანით აღჭურვილი იყო: ეს იყო დრომონი (dromon) ან გალეა, თუ ხომალდს უფრო წამახვილებული ფორმა გააჩნდა. საავაჭრო გემები იალქნების საშუალებით დაცურავდა. 1161 წელს, როცა ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქების, ჰამბურგის და ლიუბეკის ვაჭრებსა და შვედეთის კუნძულ გოტლანდის მოსახლეობას შორის მშვიდობა დამყარდა, შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქების საავაჭრო კავშირი ჰანზა (ძვ. გერმ. Hansen - კავშირი, ამხანაგობა). მას სხვა ქალაქი-ნავსადგურებიც შეუერთდა, მათ შორის ბრემენიც. ჰანზის მთავარი ქალაქები იყო ჰამბურგი და ლიუბეკი. ჰანზის ქალაქების დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ფრიზების მიერ Kogge-ის, ერთიანი ხომალდის შექმნა, რომლის წყალშიგი სამ მეტრს შეადგენდა. 1220 წელს გვერდული საჭე ღერძული ახტერშტევენით შეიცვალა.

იტალიას რაც შეეხება, იქ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვენეციის გაძლიერება, რასაც პიზის და გენუის წარმატება მოჰყვა. ვენეციაში ბიზანტიური ტიპის გალერებს აკეთებდნენ, ოღონდ უფრო დიდს და ტევადს (galee da mercato).

ასეთები ცოტა იყო; სამაგიეროდ პატარა გემების ნაკლებობა არ იგრძნობოდა.

დიდი ვაჭრობა. ჩრდილოეთის და სამხრეთის დიდი საზღვაო ვაჭრობა ერთმანეთს თავიდან სახმელეთო გზით უკავშირდებოდა, რითაც აიხსნება მდიდარ ფლანდრიასა და მდიდარ იტალიას შორის შამპანის ბაზრობების დიდი აღმავლობა. სახმელეთო ტრანსპორტი ძვირი ჯდებოდა და ასწლიანმა ომმა საფრანგეთში ძალიან დააზიანა სავაჭრო გზები. XIV საუკუნეში ვაჭრები უპირატესად საზღვაო გზას იყენებდნენ ტვირთის გადასატანად. ჰანზაში მძიმე საქონლის ტრანსპორტირება უწევდათ და მათ გამოიგონეს Kogge-ის შემცვლელი ახალი გემი Hourque (Halk). გერმანელებმა და ვენეციელებმა ორჯერ გაზარდეს თავიანთი გალერების ტონაჟი და 1450 წლისთვის მათი *კარაკები* (ნავები) ამაყად სერავდნენ ზღვებს და ოკეანეებს. იმავე ეპოქაში იტალიაში გაჩნდა კარაველები, სამანძიანი ხომალდები. სხვა იალქნიან გემებს მხოლოდ ერთი ანძა ჰქონდა. კარაველა დიდი სისწრაფით გამოირჩეოდა და 400 ტონა ტვირთის გადატანა შეეძლო.

სანავიგაციო ხელსაწყოები და ხერხები. *კომპასი* ჩინეთიდან შემოვიდა დაახლოებით 1200 წელს და მას შემდეგ ბევრი მწერლის თხზულებაშია მოხსენიებული. მაგნიტური ისარი თავიდან წყალზე ტივტივებდა, შემდეგ კი ღერძის ირგვლივ ბრუნავდა (ფრანგი გიო დე პროვენი, ინგლისელი ალექსანდრ ნეკჰემი, იტალიელი პეტრუს პერეგრინუსი). XV საუკუნეში უკვე ცნობილი მაგნიტური გადახრის დაზუსტება მხოლოდ ქრისტეფორე კოლუმბმა შეძლო 1492 წლის სექტემბერში. გვერდითი ნიჩაბი - საჭე ღერძულმა საჭემ შეცვალა.

გაჩნდა აგრეთვე *სანაოსნო ინსტრუქციები, პორტულანები (საზღვაო რუკები)*, რომლებშიც ნავსადგურებში შესასვლელები იყო მითითებული. „*პორტულანებში*“ აისახა არა მარტო ის სამყარო, რომელიც იერუსალიმის ირგვლივ აღარ ტრიალებდა, არამედ ისიც, სადაც ისლამური ნახევარ-

მთვარე ხშირად ურწმუნოთა რეგიონების მისათითებლად იყო მოხაზული... იმ დროს, როდესაც ევროპა და ქრისტიანობა ყველა თვალსაზრისით ერთმანეთის ანალოგიური გახდა, კარტოგრაფებმა თავიანთ რუკებზე მათი იდენტურობა გვიჩვენეს" (დენი ე, Denys Hay).

თავიდან რუკებს ძალიან იშვიათად ადგენდნენ და მათში ბევრი უზუსტობა იყო. კოტონის ე.წ. „ანგლოსაქსური" რუკა (X-XII საუკუნეები) მეტნაკლებად იძლეოდა წარმოდგენას 3 კონტინენტის შესახებ. ჰერფორდის და ებსდორფის (1284 წ.) მსოფლიო რუკებიც სცოდავდა ამ მხრივ, თუმცა მათზე ადრეც შეძლო გეოგრაფიამ წარმატების მიღწევა. არაბების მეშვეობით ევროპელებმა გაიცნეს ანტიკური ეპოქის უდიდესი გეოგრაფის, პტოლემეუსის ნაშრომები. XII საუკუნიდან რუკების რაოდენობამ მოიმატა, მათზე დატანილი იყო ჩინეთამდე მიმავალი გზები, აღმოაჩინეს, რომ სკანდინავია კუნძული არ ყოფილა. მიხვდნენ, რომ აუცილებელი იყო სიზუსტე. საზღვაო რუკა პირველად მოხსენიებულია 1270 წელს: იმ დროს ლუი წმინდა გენუელების ხომალდით ტუნისს მიემგზავრებოდა. საზღვაო კარტოგრაფიის მთავარ ცენტრს კატალონია წარმოადგენდა მალიორკასთან ერთად. ოქსფორდის უნივერსიტეტის წარმატებებმა ტრიგონომეტრიაში ზოგიერთ დაკვირვებასთან ერთად XIII საუკუნეში ასტრონომიულ *ნავიგაციას* ჩაუყარა საფუძველი. ხმელთაშუა ზღვაზე მას არ იცნობდნენ, ამიტომ იგი პირველად ატლანტის ოკეანეში, აფრიკის სანაპიროებთან იქნა გამოყენებული.

პირველი აღმოჩენები. ლისაბონიდან გასული არაბი თავგადასავლების მაძიებლები 1124 წელს კარგად იცნობდნენ მადერა და ასორის (Acores) კუნძულებს (სიცილიელი არაბი გეოგრაფის, ალ-იდრისის მიხედვით). საჭირო იყო ინდოეთის გზის პოვნა დასავლეთიდან. ჩრდილო-აღმოსავლეთის პასატი „ბედნიერი კუნძულებისაკენ", ანუ კანარის კუნძულებისაკენ მიუძღოდათ. შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებას მიჰყვნენ, რათა დასავლეთის ქარებს კარაველები იბერიის ნახევარკუნძულისაკენ წაეყვანა. მადერას, კანა-

რის და ასორის კუნძულებს სულ უფრო და უფრო ხშირად სტუმრობდნენ პორტუგალიელები, იტალიელები, მალიორკელები, კატალონიელები, ანდალუსიელები (1341-1393 წლებში). 1402 წელს ფრანგული ექსპედიციის ჯერი დადგა, რომელსაც ჟან დე ბეტანკური ხელმძღვანელობდა. გენუელები და კატალონიელები ზღვაოსნობის დიდოსტატები იყვნენ. გენუელები ხშირად მსახურობდნენ ქირით პორტუგალიაში. კატალონიელებმა რამდენიმე ესპანურ ექსპედიციაში მიიღეს მონაწილეობა (ხაიმე ფერერმა 1346 წელს გამოიკვლია ჩრდილოეთ განედის 16 გრადუსზე მდებარე აფრიკის ნაპირი ბოჰადორკის კონცხის იქით). ინფანტი ხუან არაგონელი ხელს უწყობდა აფრიკულ აღმოჩენებს.

XV საუკუნეში პორტუგალიამ დროებით პირველობა მოიპოვა ზღვაზე. ინფანტი ენრიკე ზღვაოსანი პორტუგალიიდან ფეხის გაუდგმელად მეთოდურად ხელმძღვანელობდა აფრიკის კვლევას 1415-დან 1460 წლამდე. მას ჰქონდა რუკების, წიგნების, ინსტრუმენტების მდიდარი კოლექციები, პორტუგალიაში იწვევდა სწავლულებს, სახელდობრ, მალიორკადან. მისი სიკვდილის შემდეგ მალე ისწავლეს განედის განსაზღვრა შუადღისას მზის მდებარეობის მიხედვით. ნავიგაცია წარმოებდა გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიხედვით და არა მიახლოებითი გამოთვლით, როგორც შუა საუკუნეებში ხდებოდა. გრძედებთან დაკავშირებით კიდევ დიდხანს გადაუწყვეტელი დარჩა საათის (დროის) გადატანის პრობლემა.

ძველი და ახალი მძლავრი სავაჭრო ქვეყნები. თუ XV საუკუნეში ვაჭრობის განვითარებას მიმოვიხილავთ, დავინახავთ, რომ ამ დარგის ორი ტრადიციული ლიდერი, ჰანზა და იტალია, კვლავ ინარჩუნებდნენ მყარ პოზიციებს. იგივე შეიძლება ითქვას ფლანდრიაზეც. ბრიუგეს ნავსადგური ჯერ არ იყო ქვიშით დაფარული. იტალიელები მრავლად ჩადიოდნენ იქ და თავიანთი საქონელი ჩაჰქონდათ. ანტვერპენში არსებობდა „ჰამბურგის ქუჩა", „ლიუბეკის ქუჩა". იტალიაში ვენეციისა და გენუის გარდა დიდ აღმავლობას განიცდიდა მილანი და ნეაპოლიც კი, რომელიც მნიშვე-

ლოვან სატრანზიტო კვანძად გადაიქცა. ამ ძველთაგანვე ვაჭრობით განთქმულ ქალაქებს ახლები დაუპირისპირდა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ესპანეთის სავაჭრო ქალაქების: სევილიის და კადისის, და აგრეთვე პორტუგალიის შესახებ, სადაც ლისაბონი გამოირჩეოდა. ახალ სავაჭრო რეგიონებს შორის დაწინაურდა სამხრეთ გერმანია, რაც დაკავშირებული იყო იქ ვერცხლის, კალის, სპილენძის, თუთიის საბადოების არსებობასთან. გერმანელ ვაჭრებს ყველა სავაჭრო ქალაქში ნახავდით (ვენეციის Fondaco dei Tedeschi). ინგლისში Merchant adventurers კომპანიებმა მოისურვეს ვაჭრობაზე მონოპოლიის მოპოვება, გააუქმებინეს ჰანზის წევრების პრივილეგიები და გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ჰანზის წინააღმდეგ, რაც უტრეხტის ზავამდე (1474 წ.) გაგრძელდა. ჰოლანდიაშიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობა, განსაკუთრებით ამსტერდამსა და როტერდამში.

საფრანგეთში კი, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ძალზე შემცირებული იყო, ქვეყანა კი ომებისგან აოხრებული, ვაჭრობის საქმე უკან მიდიოდა. მისი ბაზრობები ნელნელა იხურებოდა. შამპანის ბაზრობის შემდეგ სენ-დენიში მდებარე ლანდის (Lendit) ბაზრობის ჯერი დადგა. ესტაფეტა ფრანკფურტის ბაზრობამ ჩაიბარა.

პაპები ცდილობენ მსოფლიოს გადანაწილების დადგენას. დგებოდა ზღვისიქითა ტერიტორიების არნახული ექსპანსიის ჟამი. მას უნდა გარდაექმნა, გაეფართოვებინა მსოფლიო, ახალი განზომილება მიეცა ადამიანთა აზროვნებისა და საქმიანობისათვის და მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა ევროპელთა უდავო უპირატესობა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. სწორედ მაშინ მიეცა დასაბამი მოქიშპეობას ზღვაოსნებს და, მოგვიანებით, კოლონიზატორებს შორის და მაშინ დადგა პაპის ძალაუფლება ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე განსაცდელის წინაშე.

ღმერთის ნაცვლები, პაპები ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზე უნივერსალურ უფლებას და საერო ხელისუფალთათვის კონცესიების დარიგების უფლებას მოითხოვდნენ. სწორედ ამიტომ ადევნებდა თვალს პაპობა შეუნელე-

ბელი ინტერესით შეეჯიბრს კასტილიასა და პორტუგალიას შორის. პორტუგალიის მეფემ დაამტკიცა, რომ აფრიკა და მისი ვაჭრობა მოჰადორის კონცხის იქით მის აბსოლუტურ მფლობელობაში იყო (1443). რადგანაც კასტილია მას ამ მონოპოლიას ედავებოდა, პორტუგალიის მეფემ პაპის სასამართლოს მიმართა, რათა მას დაედასტურებინა მისი უფლებები. პაპმა ნიკოლოზ V-მ 1455 წლის Romanus Pontifex-ის ბულით პორტუგალიელების გარდა ყველა სხვას აუკრძალა იქ ვაჭრობა. 1479 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას გაყოფის შესახებ - იგი პირველი იყო იმ ხელშეკრულებათა სერიიდან, რომელიც 1914 წლამდე გაგრძელდა - პორტუგალიის მეფე ალფონსო V-სა და მეფე ფერდინანდსა და დედოფალ ისაბელს შორის. ალფონსო V უარს ამბობდა კანარის კუნძულებზე, ესპანეთი კი არავითარ პრეტენზიას აღარ აცხადებდა აფრიკის სანაპიროზე.

ასე გამომჟღავნდა ესპანეთის ნება, რომელიც უცნობი დასავლეთისკენ მიილტვოდა და პორტუგალიის სურვილი, გაეგრძელებინა წინსვლა სამხრეთისკენ, აფრიკის სანაპიროებისკენ. მიმდინარეობდა ინდოეთისკენ მიმავალი ახალი გზების ძიება. ესპანელები, სავარაუდოდ, დასავლეთის გზას ეძებდნენ, პორტუგალიელები კი - აღმოსავლეთისას. პაპმა დასტური მისცა ასეთ გაყოფას, რაც ყველა სხვა ერს გამორიცხავდა.

ამ ყველაფერმა ოფიციალური სახე მიიღო ქრისტეფორე კოლუმბის 1492 წლის ცნობილი

ექსპედიციის შემდეგ. მეფე ფერდინანდ არაგონელმა მიმართა თავის მეგობარს და თანამემამულეს, პაპ ალექსანდრე VI-ს. ამ უკანასკნელმა 1493 წლის ბულით *inter coetera* მხოლოდ კათოლიკე მეფეებს მიანიჭა ნებისმიერი კუნძულის თუ ტერიტორიის შეძენის უფლება, რომელიც მდებარეობდა აზორის კუნძულების და მწვანე კონცხის დასავლეთით ასი ლიეს მანძილზე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზის იქით. ესპანელების თანხმობის გარეშე არავის ჰქონდა ამ ზონის გამოკვლევის უფლება; ესპანელებს კი მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ამაზე არ დათანხმებულიყვნენ. პორტუგალიის მეფე ჟუან II-მ უარი განაცხადა,

მაგრამ ესპანელები და პორტუგალიელები მოლაპარაკებებს აგრძელებლდნენ. 1494 წლის 7 ივნისს ტორდესილიას ხელშეკრულების საფუძველზე გაყოფა მოხდა, მაგრამ ხაზმა 360 ლიეთი, ანუ დაახლოებით 1500 კმ-ით გადაინაცვლა მწვანე კონცხის კუნძულების დასავლეთით, რამაც საშუალება მისცა პორტუგალიას ბრაზილიაში დამკვიდრებულიყო.

აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულებამ ლახვარი ჩასცა პაპის ავტორიტეტს. საინტერესოა ისიც, რომ პროტესტი არავის გამოუთქვამა: არც ასწლიანი ომისაგან დასუსტებულ საფრანგეთსა და ინგლისს, არც წარსულში გამოჩენილ ზღვაოსნებს-ჰანზის გერმანელებს და იტალიის პატარა სახელმწიფოებს, რომელთაც ნაკლებად აინტერესებდათ ეს ბუნდოვანი თავგადასავლები.

ალბათ, ძნელი არ არის გამოცნობა, თუ რა მოხდებოდა, როდესაც ესპანეთს და პორტუგალიას ახალი ამბიციები გაუჩნდებოდათ.

VI. ევროპის იდეის მუდმივობა

სიტყვა „ევროპა" თითქმის გაქრა. XI საუკუნიდან იშვიათად გვხვდება შუა საუკუნეებში დაწერილი ტექსტი, რომელშიც სიტყვა „ევროპა" არის ნახსენები.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, როგორი გამოთქმების ხმარებას ამჯობინებდნენ. ევროპა თავისი ზუსტი გეოგრაფიული საზღვრებით ნაკლებად შეეფერებოდა უნივერსალისტების ლექსიკას. თანაც, ქრისტიანობამ იერიში მიიტანა ევროპის გარეთ მდებარე ტერიტორიებზე. 1099-დან 1187 წლამდე იერუსალიმი ქრისტიანთა ხელში იყო. კიდევ ერთი საუკუნის განმავლობაში ფრანკთა სამეფო არსებობდა აკოში (წმინდა იოანეს ციხესიმაგრე). 1204 წელს ფრანკმა ბარონებმა გზიდან გადაუხვიეს და ბიზანტიის იმპერიას დაეუფლნენ. გარკვეული დროის განმავლობაში ევროპა თავის გეოგრაფიულ საზღვარში ვეღარ ეტეოდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც თურქებმა ზედიზედ მოიპოვეს გამარჯვებები და კონსტანტინოპოლს მიადგნენ, შეიძლებოდა წაგვეკითხა

კონსტანცის საეკლესიო კრების ერთ-ერთი მამამთავრის ეს ფრაზა: „ახლა მხოლოდ ევროპაა ქრისტიანული".

ერთად განვიხილოთ ის იშვიათი ტექსტები, რომლებიც დენის ემ (ამ პრობლემის შესახებ შესანიშნავი შრომის ავტორმა), კარლო კურსიომ, რობერტ ლოპესმა და სხვებმა მოგვაწოდეს. თავიანთ ლათინური ენის და შუა საუკუნეების ფრანგული ენის ლექსიკონებში არც დიუ კანჟი, არც გოდფრუა არ ახსენებენ სიტყვას „ევროპა". ეს ჩვენ, ცხადია, „ევროპა" ხშირად ხმარობენ გეოგრაფები, რომლებმაც იციან, რომ არსებობს სამი კონტინენტი. XIII საუკუნემდე გეოგრაფები თითქმის არ არიან, ან ძალიან იშვიათად. თავიანთ რუკებში მათ აღმოჩენების შედეგები არ შეაქვთ. სკანდინავიელების მიერ გრენლანდიის ნაპირებამდე მიღწევა რუკაზე არ არის ასახული. ჯვაროსნულ ლაშქრობებს ალბათ რაღაც ახალი უნდა მოეტანა. ამაზე არაფერია ნათქვამი.

გავიხსენოთ ის უცნაური ტრადიცია, რომლითაც ბიბლიური ნოეს ვაჟი, იაფეტი ევროპას უკავშირდება, სემი - აზიას, ხოლო საბრალო, განკიცხული ქამი - აფრიკას, ეს ლეგენდა IV საუკუნეში გამოჩნდა წმინდა იერონიმეს წიგნში *In Genesim*. ტრადიცია გაგრძელდა და შუა საუკუნეებში უფრო განვითარდა.

XIII საუკუნეში შეიძლება დავასახელოთ ბერი და ენციკლოპედისტი ბართლომეუს ინგლისელი; იგი ამბობს: „ათენის მსგავსად, რომელიც უწინ თავისუფალი ხელოვნების და ლიტერატურის დედა და ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებების ძიძა იყო, ჩვენი დროის პარიზიც ასეთივეა არა მარტო საფრანგეთისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის." ეს ალექსანდრე დე როეს წინადადებას გვახსენებს, რომელმაც მოგვიანებით გამოთქვა სურვილი, საფრანგეთი გამხდარიყო მეცნიერების პოლუსი ევროპაში. აქ სიტყვა „ევროპა" საინტერესოდაა ნახმარი. იგი გვიჩვენებს, რომ ანტიკურობის პრობლემებით დაინტერესებულმა ერუდიტმა შეიძლება გამოიყენოს სიტყვა „ევროპა" დასავლეთის აღსანიშნავად. შესაძლოა, მისი ამ მნიშვნელობით ხმარება მაშინდელ მეტყველებაში იშვიათი იყო, ეზოტერული თუ არა.

ფრიდრიხ II ლაპარაკობს *Europa Imperialis*-ის შესახებ. დანტე ალიგიერი (1265 - 1321) მთელ თავის შემოქმედებაში დაახლოებით თორმეტჯერ ხმარობს სიტყვას „ევროპა". აი, ნაწყვეტი, რომელიც ჩვენ გვეხება: დანტე იმპერიას იცავდა ეკლესიის წინაშე, თუმცა გველფების პარტიას ეკუთვნოდა, რომელიც პაპის მომხრე იყო. იგი ავითარებს იდეას, რომ ეკლესიას, ასე თუ ისე, საერო ძალაუფლება გააჩნია: „ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ეკლესია ასეთ ძალაუფლებას მიიღებდა ყველას, ან უმრავლესობის თანხმობით, როცა არამარტო აფრიკის და აზიის ხალხები, არამედ ევროპელების მეტი ნაწილიც წინ აღუდგებოდა ამგვარ აზრს?" (*De Monarchia*, III,14).

იმ დროს, როდესაც დასაბამი მიეცა თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, სხვადასხვა მოაზროვნეები ოცნებობენ გაერთიანებაზე. დანტეს გარდა, იმპერიის და არა პაპობის მეშვეობით მიღწეულ ერთობას ქადაგებს დიდგვაროვანი ოჯახიდან გამოსული სწავლული ბერი, გერმანელი ენგლებერტ დ'ადმონტი (მისი წიგნი „*რომის იმპერიის წარმოშობის და აღსასრულის შესახებ*" დაიწერა 1307-სა და 1310 წლებს შორის): საჭიროების მიხედვით იგი ასკვნის: რომ აუცილებელია „ერთი იმპერია, ერთი მეთაური". იგი წერს, რომ „ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის, უნგრეთის, სლავების, ბულგარელების და საბერძნეთის სამეფოები, რომლებიც უწინ რომის იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ, პროვინციების და სამეფოების სახით, აღარ ემორჩილებიან იმპერიის ძალაუფლებას; აფრიკასა და აზიაში, ზღვის იქით იმპერიას აღარაფერი გააჩნია, მაგრამ ამ მდგომარეობას შეიძლება ეშველოს ომით, მთელ ქრისტიანობასა და წარმართულ მსოფლოს შორის". მეორეს მხრივ, ეს იქნებოდა მშვიდობის შენარჩუნების საშუალება იმპერიის შემადგენელ ნაწილებს შორის. ჩანს, მას არ სურს სამეფოების მოსპობა და იმპერატორს მიიჩნევს უზენაეს მსაჯულად მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. მას მართლაც აღელვებს ის იდეა, რომ თუ „ბუნების კანონი" საერთოა ყველა ხალხისათვის, „პოზიტიური კანონი იცვლება სამშობლოს, ზნე-ჩვეულებების და ტრადიციების" მიხედვით; ამის შედეგად „განსაკუთ-

რებულ ხალხს განსაკუთებული მეფე ჰყავს. ეს შეუთავსებელი არ არის იმპერიის არსებობასთან: მშვიდობისათვის გაერთიანების იდეას სხვა ცნობილ მწერლებთანაც ვხვდებით, როგორიცაა ინგლისელი უილიამ დ'ოკემი (1338-1341), ფრანგი პიერ დიუბუა (1308). ეს იდეა XV საუკუნეშიც აქტუალურია. შეიძლება დავასახელოთ ნაშრომი *„რომის იმპერიის ძალაუფლების საფუძველი*, რომლის ავტორია ენეას სილვიო პიკოლომინი, მომავალი პაპი პიუს II, ვისი აზრითაც" ყოველი საერო ხელისუფლება ემორჩილება რომის პრინცს, ანუ იმპერატორს. ასევე შეიძლება გავიხსენოთ ბოჰემიის მეფის, გიორგი პოდიებრადის საინტერესო პროექტი (1464), რომელიც მას ფრანგმა ავანტიურისტმა ანტუან მარინიმ შთააგონა.

დიუბუას მსგავსად,პოდიებრადი გვთავაზობდა *Congregatio Concordiae*-ს, ანუ ეს უნდა ყოფილიყო ქრისტიანი მეფეების წარმომადგენლების ერთგვარი საკრებულო, რომელსაც მშვიდობის უზრუნველყოფა ევალებოდა. გათვალისწინებული იყო არბიტრაჟის ორგანიზება და სანქციები იმათ მიმართ, ვინც არბიტრაჟის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ლუი XI-მ, რომელსაც პოდიებრადმა მიმართა, თავაზიანი უარი თქვა ესოდენ რევოლუციურ პროექტზე. მისი ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველადაა შემოთავაზებული „პრინცთა ლიგის" იდეა.

ბიზანტიის იმპერიის დაცემა (1453). აღმოსავლეთის იმპერიამ დაახლოებით ათასი წლით მეტ ხანს იარსება, ვიდრე დასავლეთის იმპერიამ, თუმცა XIII საუკუნიდან მისი დაქვეითება გარდაუვალი ჩანს. იმპერიას იპყრობენ, ანგრევენ და არბევენ დასავლეთიდან მოსული ჯვაროსნები (1205-1261). XIV საუკუნეში იმპერია ბრძოლებშია გახვეული, მას ებრძვიან სერბები და განსაკუთრებით, თურქი ოტომანები. ეს უკასკნელნი ხელში იგდებენ საბერძნეთს. იმპერატორი იოანე V ამაოდ ჩადის რომში (1369), რათა კათოლიციზმის კვლავ მიღების სანაცვლოდ დასავლეთის დახმარება მოიპოვოს. ბერძენი სამღვდელოება მას უარს

ეუბნება. არც დასავლეთს უნდა თავის განდგომილ მომმეებს დაეხმაროს. მათ ლაშქრობებს (1396, 1399) ხანგრძლივი წარმატება არ მოჰყოლია.

XV საუკუნეში დანგრეული კონსტანტინოპოლი თურქული ტერიტორიების ანკლავს წარმოადგენს. 1453 წელს კონსტანტინოპოლი აიღეს და „ცეცხლს და მახვილს მისცეს".

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ახალი ეპოქა დაიწყო. „მესამე რომი" მოსკოვი, ცდილობდა ბიზანტიის ტრადიციების გამგრძელებლის როლი ეთამაშა რელიგიის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ვერ შეცვლიდა გამქრალი იმპერიის უზარმაზარ წვლილს. „როცა რომს გერმანიის უღრანი ტყეებიდან მოსული ბარბაროსები შემოესივნენ, კონსტანტინოპოლმა შეძლო ანტიკური ტრადიციის გადარჩენა. მან შეინარჩუნა კულტურული რესურსებით მდიდარი, ხელოვნებით და მოაზროვნეებით განთქმული დიდი, თანამედროვე სახელმწიფოს ბრწყინვალება. მან გადაარჩინა ქრისტიანობა და ქრისტიანული მოძღვრება, გადაეღობა ისლამს თავის გზაზე. საუკუნეების განმავლობაში იგი გაბატონებული იყო ზღვაზე" (ჟაკ პარენი). ვენეციამ და ჰანზამ XIII საუკუნეში იგი უკან ჩამოიტოვეს ზღვაოსნობასა და ვაჭრობაში. რელიგიური განხეთქილება ხელს უშლიდა იდეების გაცვლა-გამოცვლას და პლატონის ფილოსოფიური მოძღვრების დიდმა ამღორძინებელმა მიქაელ ფსელოსმა (XI ს.) დასავლეთზე გავლენა მხოლოდ თავისი შორეული მოწაფის, ბესარიონის (XV ს.) მეშვეობით მოახდინა.

ბიზანტიის დაცემას დროის თვალსაზრისით ემთხვევა მსოფლიოს დაპყრობის სურვილი. ევროპა განზომილებას იცვლის.

დასკვნა. ევროპის გაერთიანება ქრისტიანობის დროშის ქვეშ (ყოველ შემთხვევაში, ლათინური ქრისტიანობის მეთაურობით) შეიძლებოდა მომხდარიყო პაპის ან იმპერატორის ძალაუფლების ფარგლებში. ორსაუკუნოვანმა დაპირისპირებამ თეოკრატიასა და კეისაროპაპიზმს შორის საბოლოოდ ინგლისის, საფრანგეთის, მოგვიანებით კასტილიის,

არაგონის, პორტუგალიის სამეფოების გაძლიერებას შეუწყო ხელი. მონღოლების შემდეგ თურქების შემოსევები ხელს უშლის აღმოსავლეთ ევროპას, რომ ამ მაგალითს მისდიოს და ყველაფერი აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემით მთავრდება. შეიძლება ითქვას, რომ დაქუცმაცებულობა ძლიერდება სახელმწიფოებს შორის.

მაგრამ ომისგან გამოწვეული უბედურებანი მხოლოდ ერთი ელემენტია იმ დიდი კრიზისისა, რომელმაც XIVდა XV საუკუნეები მოიცვა. კრიზისს განიცდის დემოგრაფია და ეკონომიკა - მძვინვარებს შიმშილი და შავი ჭირის ეპიდემია. კრიზისია სულიერ და რელიგიურ სფეროშიც (დიდი განხეთქილება, „ერეტიკული" მოძრაობის განვითარება, რომლის ზოგიერთი წარმომადგენლის მოღვაწეობა (ჰუსი, უიკლიფი) XVI საუკუნის დიდი რეფორმის პროლოგია). შესაძლოა იმიტომ, რომ აზროვნების თავისუფლებას ფრთები ესხმება, უბედურების და მღელვარებების ფონზე ევროპა, თანამედროვე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ასაფრენად ემზადება, რაც მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მას სხვა დიდ ცივილიზაციებზე, როგორიცაა ჩინეთის, ინდოეთის მუსლიმანური ცივილიზაციები, წინ აყენებს. საბოლოოდ, ეს აღმავლობა ნავიგაციის პროგრესის საშუალებით გზას უხსნის ევროპას მსოფლიოს დაპყრობისაკენ.

11
რენესანსი, რეფორმა და ევროპის ექსპანსია (XVI საუკუნე)

I. კარლოს V ევროპული ჰარმონიის პირისპირ.

სწორედ XVI საუკუნეში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ჩნდება ევროპული ჰარმონიის ცნება. ლაპარაკი არის არა საყოველთაოდ აღიარებულ სამართალზე, არამედ, ვითარებებით განპირობებულ გამოცდილებაზე, რაც მთავრდება სხვადასხვა სახელმწიფოებისთვის საზღვრების დადგენით. ამ საზღვრების დარღვევა სახიფათოა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა საერთაშორისო სისტემა დაფუძნებულია სუვერენული ქვეყნების სიმრავლეზე, მათი ძალაუფლების მოყვარეობა მხოლოდ ორი საშუალებით შეიძლება მოწესრიგდეს: უმაღლესი ორგანული გაერთიანების არსებობით - ისეთის, როგორიცაა, შუასაუკუნეების ქრისტიანობა ისტორიის გარკვეულ ეტაპზე; ან კიდევ სიმძიმის და წონის, ძალების და საწინააღმდეგო ძალების თამაშით. ესპანეთის მეფე, კარლოს V იყო უკანასკნელი, რომელმაც ხელი შეუწყო დასავლეთ იმპერიის წინსვლას. სხვა მონარქები ამ პროცესს მხოლოდ ხელს უშლიდნენ.

კარლოს V მემკვიდრეობა. როგორც კი ქრისტიანობა კარგავს, ასე ვთქვათ, დარჩენილ ზესახელმწიფოებრივ ძალაუფლებას, ძლიერდება, მტკიცდება და ფართოვდება სახელმწიფოები, რომლებიც ფერნანდ ბროდელის სიტყვებით, ხანდახან ყალიბდებიან „უფრო ფართო და უზარმაზარ ჯგუფებად, აგლომერატებად, ფედერაციებად, ცალკეული სახელმწიფოების კოალიციებად, იმპერიებად; ალბათ შეგვიძლია, მისი ანაქრონიზმის მიუხედავად. თანამედროვე მნიშვნელობით ამ მოხერხებული გამოთქმის ხმარება, რადგან, სხვაგვარად, როგორ განვსაზღვროთ ეს მონსტრები?“ ამ მონსტრებში იგულისხმება ოსმალეთის იმპერია და საფრან-

გეთი იტალიური ომებით, ალპებს იქითა მისწრაფებებით, განსაკუთრებით კი, კარლოს V-ს ესპანეთი. ეს ქვეყანა წარმოადგენს ყველანაირი მექანიზმის ამოსავალ წერტილს. ბროდელის აზრით, ესპანეთის აღმავლობა განპირობებულია შემთხვევითი მემკვიდრეობით, უფრო მეტიც, „ერცელი და ძალიან ერცელი ერებისთვის ჯიუტად ხელსაყრელი გარემოების" შედეგით, ყოველ შემთხვევაში 1550 წლამდე მაინც. დაე ასე იყოს! თუმცა ვერ დავივიწყებთ იმ ისტორიულ შემთხვევას, როცა ოც წელზე ნაკლები ხნის ახალგაზრდა კაცმა უზარმაზარი წარმოსახვითი მემკვიდრეობა მიიღო. კარლოსი დაიბადა 1500 წელს გენტში, 1516 და 1519 წლებში მას ეძლევა არაჩვეულებრივი შანსი, გადაეცემა სწორედ დაუჯერებელი მემკვიდრეობა, რაც სინამდვილეში, დაკავშირებული იყო მატრიმონიალური პოლიტიკის მოხერხებულ გათვლასთან.

მაშ,ასე,ფილიპე ლამაზის და ჟანა შეშლილის შვილს, კარლოსს მემკვიდრეობით გადაეცემოდა:

— მამის მხრიდან ავსტრიის და ბურგუნდიის სამფლობელოები;

— დედის მხრიდან - ესპანეთი, შესანიშნავი კოლონიური სამეფო, რომელიც დაპყრობით ომებს აწარმოებდა და იტალიის სამფლობელოები (უმთავრესად, მილანის სამფლობელო და ნეაპოლის სამეფო). რჩებოდა იმპერია, რომელსაც ესპანეთს საფრანგეთის მეფე, ფრანსუა I ეცილებოდა. ამომრჩევლები, ხშირად ორივე პრეტენდენტის მიერ უხვად და რამდენჯერმე მოსყიდულნი, ბოლოს დაემორჩილნენ გერმანელი მოსახლეობის მგზნებარე სურვილს. მას არაფრის გულისთვის არ სურდა ფრანგი იმპერატორი. აქვე უნდა აღინიშნოს ოქროს და ვერცხლის მნიშვნელობაც, რომელიც უხვად მოდიოდა მექსიკიდან.

მოქმედი პირი. 1516 წ. ბაბუის ფერდინანდ დ'არაგონის გარდაცვალების შემდეგ თავს მეფედ აცხადებს კარლოს ბურგუნდიელი, რომელიც კათოლიკე მეფეს ნაკლებად მოსწონდა. მას კარლოსის უმცროსი ძმა, ფერდინანდი ერჩივნა. ამასთანავე, კარლოსი ფლანდრიაში იყო აღზრდილი, დეიდის,

მარგარიტა ავსტრიელის მეურვეობით. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად, კარლოსი თავს უფრო ფლანდრიელად თვლიდა, ვიდრე, ესპანელად და ნიდერლანდელი მრჩევლებით იყო გარშემორტყმული. წელიწადნახევარი იცადა კარლოსმა, ესპანეთში რომ წასულიყო, სადაც ვალადოლიდელმა და სარაგოსელმა კორტესებმა საკმაოდ ცუდად მიიღეს. როცა 1520 წელს კარლოსმა ახალი იმპერიის გამო ესპანეთი მიატოვა, ხელოსანთა და გლეხთა აჯანყებებმა იფეთქა ვალენსიაში, ახალ კასტილიაში, ბალეარის კუნძულებზე. გაღარიბებული ესპანეთის ერთადერთ იმედად რჩებოდა ამერიკის ოქრო და ვერცხლი.

კარლოსი იყო ერთი პირქუში ადამიანი, რომელსაც დიდი გეგმები ჰქონდა, დიდ საქმეებს აგვარებდა: კოლონიური იმპერია შეიქმნა 1540-1545 წლებში, ეს არის *დაპყრობის* დასასრული და „კოლონიზაციის" დასაწყისი. მაგრამ მთლიანობაში, კარლოსს ბედი ხშირად არ სწყალობდა. ესპანური სამფლობელოების უზარმაზარი მოცულობა მეზობლებს მის წინააღმდეგ ამხედრებდა.

ალყაში მოქცეული საფრანგეთი. ევროპის ისტორიისთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სამფლობელოები საფრანგეთს ესაზღვრებოდა სამი მხრიდან, ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ბედისწერის ნაყოფი გამძლე გამოდგა. რადგან თვით კარლოს V-ის გადადგომისა და ჰაბსბურგების ორ შტოს შორის მისი მემკვიდრეობის განაწილების შემდეგ, ფერდინანდ ძმასა და ფილიპე II შვილს შორის, საფრანგეთის ბლოკადა მთლიანად შენარჩუნებული იქნა. 1519 წლიდან 1714—მდე საფრანგეთი იბრძოდა ამ ბლოკადის წინააღმდეგ.

შინაგანი სირთულეების მიუხედავად, საფრანგეთის სამეფო თანდათან აგვარებდა რელიგიურ საქმეებს. ლუთერის იდეები აქ ემთხვეოდა სამეფოს გალიკანური ეკლესიის მოძღვრებას. და თეორეტიკოსები მონაწილეობას იღებდნენ აბსოლიტური ხელისუფლების დასაბუთებაში. 1576 წ. სწორედ ბოდენის *რესპუბლიკაშია* მოცემული სუვერენიტეტის პირველი ზუსტი განსაზღვრება. მეფეს გააჩნია უმაღლესი

XI. კარლოს მე-V-ის იმპერია


ბურგუნდიის
საჰერცოგო
ლორენის
საჰერცოგო
ფრანკონიის
საჰერცოგო
ბავარიის
საჰერცოგო
ფალატინატი
ბოჰემიის
საჰერცოგო
ავსტრიის
საჰერცოგო
ვიტენბერგი
ბრანდენბურგი
ბოლონია
ბოლონია
ბოლონია

ხელისუფლება და „მონარქი არანაირად არ უნდა ემორჩილებოდეს სხვის ბრძანებებს და უნდა შეეძლოს უსარგებლო კანონების დარღვევა ან განადგურება ან ახალი კანონების შექმნა. სწორედ ამიტომ კანონი ღაღადებს: რომ მეფე გამართლებულია კანონის ძალით.“ სიტყვა გამართლებულმა მოგვცა აბსოლუტური.

ჰარმონია იტალიაში. მაკიაველიმ, ძალაუფლების უქონლობის გამო მხოლოდ ცოტა ხნით მოახერხა იტალიის გაერთიანება და ფიქრობდა, დაემყარებინა გარკვეული „ბალანსი“ იტალიის ხუთ მთავარ სახელმწიფოს შორის: ეკლესიის, ნეაპოლის, ფლორენციის, მილანის და ვენეციის სახელმწიფოებს შორის, თანაც მოელოდა, რომ იტალია „ბარბაროსებისგან გათავისუფლდებოდა“.

ჰარმონია ევროპაში. ნეტავ, პირველად ვის მოუვიდა აზრად ამ „ბალანსის“ მთელს ევროპაში დამკვიდრება? ნუთუ კარდინალ ვილსის, ინგლისის ცნობილ მინისტრს, რომელიც თავისი ქვეყნის ბედს ხან ესპანეთს და ხანაც საფრანგეთს უკავშირებდა იმის მიხედვით, თუ რა გარემოებებს სთავაზობდნენ მას ფრანსუა I და კარლოს V? თვით ფრანსუა I ხომ არ არის ამ საქმის წამომწყები? ან იქნებ იტალიელები, რომლებიც მიხვდნენ, რომ ფრანგების შემოტევისგან თავის დასაცავად, საჭირო იყო ვრცელი „კონფედერაციების“ ჩამოყალიბება? ამ აზრს იზიარებს შოტლანდიელი ისტორიკოსი უილიამ რობერტსონი, თავის ნაშრომში *History of the Reign of Charles V*, რომელიც 1770 წ. გამოქვეყნდა. რობერტსონის სიტყვებით: „ამ კონფედერაციის მოულოდნელმა და გადამწყვეტმა მოქმედებამ თითქოს ჭკუა ასწავლა იტალიის სახელმწიფო მოღვაწეებს. ამასთან დაკავშირებით, მათ ევროპის საკითხებს დაუმატეს პოლიტიკური მეცნიერების აქსიომები, რომლებსაც აქამდე იყენებდნენ საკუთარი ქვეყნის ფარგლებში შემავალი პატარა სახელმწიფოებების სამხედრო მოქმედებების მოსაწესრიგებლად. მათ მიაგნეს საშუალებას, რითაც ყველა მონარქს შეუშლიდნენ ხელს უმაღლესი ძალაუფლების მოპოვებაში,

რომელიც ცვალებადი იქნებოდა საერთო თავისუფლებასთან ერთად; მათ გამოააშკარავეს თანამედროვე პოლიტიკის დიდი საიდუმლო, რაც გულისხმობს ძალაუფლების შესაბამისი განაწილების დაცვას სისტემის ყველა წევრს შორის, შედგენილს ევროპული სახელმწიფოების მიერ.“ ამ მნიშვნელოვანი ანალიზის შემდეგ რობერტსონი დასძენს: „ეს არ ეხებოდა იტალიელ მეფეებს. სხვა სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ ეს მეთოდი მათთვის მისაღები იყო თავდაცვის მიზნით. იგი გახდა მოდური და უნივერსალური“. „აქედან უკვე შეგვიძლია, თვალი ვადევნოთ, თუ როგორ ვითარდება სხვადასხვა ერების ურთიერთობის ეს სისტემა, რომელმაც ასე ვიწროდ დააკავშირა ერთმანეთთან ევროპის სახელმწიფოები.“

ფრანსუა I კავშირები. ყოველ შემთხვევაში, ფრანსუა I-მა ჭკუა ისწავლა. ტყვეობიდან ძლივს გათავისუფლებული ფრანსუა I, 1526 წელს მადრიდში კარლოს V წინააღმდეგ ლიგის ჩამოყალიბებას იწყებს. ამ უწყვეტი კავშირების ისტორია იმდენად რთულია, რომ მის მოყოლას არ ვაპირებთ. მთავარია დავინახოთ, რომ საფრანგეთის მეფისთვის, ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მძიმე დარტყმასაც კი ახსნა მოეძებნებოდა — წარმატება— სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამ დარტყმაში იგულისხმება ურთიერთობა პროტესტანტ გერმანელებთან და უფრო მეტიც, საშინელი კავშირი კონსტანტინოპოლის სულთან, სოლიმან ბრწყინვალესთან. 1531 წ. ფრანსუა I-მა სმალკალდის ლიგის ინტრიგა მოაწყო პროტესტანტ მეფეებთან ერთად. მაგრამ მას მაშინ მშვიდობიანი დამოკიდებულება ქონდა კარლოს V-თან და ლიგის მონაწილეები მხოლოდ იარაღითა და ფულით მოამარაგა. სწორედ ამის შემდეგ დაუკავშირდა იგი პროტესტანტ მეფეებს, თუმცა ამ ურთიერთობებს ართულებდა ის ფაქტი, რომ ფრანსუა I ენერგიულ ზომებს იღებდა თავსი სამეფოს პროტესტანტების წინააღმდეგ.

1536 წელს ფრანსუა I პირველ კავშირს ამყარებს თურქებთან, რაც მთელი ევროპის საყოველთაო გაკიცხვის საგანი ხდება. აბა რას იტყოდნენ, როცა 1543 წ. აგვისტოში,

ნიცა, რომელიც ჰერცოგ სავოის ეკუთვნოდა, ფრანგული ჯარით იყო გარშემორტყმული? ერთი მხრიდან, სავოის საგვარეულო ჯვარი, მეორე მხრიდან, ერთმანეთში არეული დროშები ჰერალდიკური შროშანით და ალმები, რომლებზეც ისლამის ცნობილი და საშიში ნახევარმთვარე იყო გამოსახული.

ჰარმონიის წესები. ამიერიდან, პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ ძირითად აზრს წარმოადგენს ევროპული ჰარმონია. შეეჩვივნენ კუალიციების შექმნის იდეასაც, რომელიც მიმართული იქნებოდა ძალაუფლების მოყვარული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

უთანხმოებების მიუხედავად იქმნებოდა ერთგვარი ახალი სოლიდარობა, რომლის ნათელ ანალიზს გვაძლევს რობერტსონი. „არც ერთი ხელისუფალი არ ფლობდა ისეთ ძალას, რომლის დაძლევა ან გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა... სახელმწიფოების ძალები გაწონასწორებული იყო, რაც ხელს შეუშლიდა ამა თუ იმ სახელმწიფოს ისეთი ძალაუფლების მოპოვებაში, რომელიც ყველასთვის საბედისწერო შეიძლება გამხდარიყო. ამ ეპოქაში, ისევე, როგორც ჩვენს დროში, ევროპული სახელმწიფოები ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენდნენ." მართალია, გახლეჩილ და მოჩხუბარ ოჯახს, მაგრამ მაინც ოჯახს. იქმნებოდა ძლიერ და ჰარმონიულ სახელმწიფოებზე დამყარებული ახალი ევროპა.

თეორია მალე პრაქტიკაში განხორციელდა; 1678 წელს *Balancia politica* უწოდეს XVII საუკუნის დასაწყისში ბოკალინის *კომენტარებს* ტაციტუსის შესახებ, სადაც ავტორი ზუსტად აღწერდა ევროპული ჰარმონიის სისტემას. მაგალითად, ბოკალინი აანალიზებდა ფლანდრიელების შეიარაღებულ აჯანყებას ესპანელების წინააღმდეგ - დაწყებულს 1578 წელს - როგორც წონასწორობის პოლიტიკის დამახასიათებელ მოქმედებას, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიელი პრინცები. ასევე, გულთბილად მიიღო მან საფრანგეთის მეფის ანრი IV-ის წონასწორობის პოლიტიკა. მეორე იტალიელმა ავტორმა, ტომასო კამპანელამ, რომელმაც ოცდაშვიდი წელი გაატარა ესპანეთის ციხეებში,

1602წ. დაწერა ცნობილი უტოპია *Città del Sole* (მზის ქალაქი), სადაც გამოხატა გაერთიანებული ქრისტიანობის და უნივერსალური მონარქიის აღდგენის მგზნებარე სურვილი. ამავე დროს, თავის *Discorsi politici ai principi d'Italia*, მან აღიარა წონასორობის პოლიტიკის მნიშვნელობა.

ევროპა ორმაგ ზეწოლას განიცდიდა, ერთის მხრივ ჰაბსბურგ-თურქების, მეორე ჰაბსბურგ-საფრანგეთის მხრიდან. იტალიელი პრინცები ცდილობდნენ ესპანეთის ბატონობა აელაგმათ საფრანგეთის დახმარებით. მაგრამ თუ ესპანეთი დასუსტდებოდა და საფრანგეთი გაძლიერდებოდა, ისინი ზუსტად საწინააღმდეგოდ მოიქცეოდნენ და ესპანეთს დაუჭერდნენ მხარს. მაშასადამე, ევროპა შევიდა წონასწორობის და სახელმწიფოს ინტერესების სისტემაში; მაკიაველიმ მშვენივრად დაახასიათა ეს ორი მოვლენა, რომლის კავშირები სრულყოფილად გვიჩვენა XX საუკუნის გერმანელმა ისტორიკოსმა ფრედრიხ მეინეკემ მეტად საყურადღებო წიგნში: *სახელმწიფო ინტერესების იდეა თანამედროვე ისტორიაში.*

II. ევროპა ზღვის გაღმა ქვეყნების პირისპირ

ზღვისპირა ევროპა. დადგა წუთი, როცა გამოთქმა ზღვის გაღმა იცვლის თავის მნიშვნელობას. საქმე აღარ ეხება კონტინენტურ ზღვებს, ხმელთაშუა, ბალტიის, ჩრდილოეთის, ირლანდიის ზღვებსა თუ ლამანშს. რამდენიმე წელიწადში, მთელი დასავლეთ ევროპა იწყებს *ზღვის საშუალებით* მსოფლიოს შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში, მის დაპყრობას. ის ხალხი, რომელიც ორი თუ სამი საუკუნის შემდეგ აფრიკას და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას დაინაწილებს, აღმოაჩენს ამერიკას. აფრიკასა და აზიაში აწყობს სანაპირო პოზიციებს, ქმნის სავაჭრო კანტორებს, იკავებს ზოგიერთ კუნძულს, აწარმოებს ვაჭრობას. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ *მართლაც არსებობს, საზღვაო ევროპა.* მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიას რუსები დაეპატრონებიან, ისინი თანმიმდევრობით ფლობენ მხოლოდ კონტინენტურ მისადგომებს.

აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული, თვით გერმანელები და იტალიელებიც კი სასწრაფოდ ვერანაირ დაპყრობას ვერ განახორციელებენ. ეროვნებით იტალიელი ქრისტოფორე კოლუმბი, ესპანეთის მეფის და დედოფლის სამსახურში იმყოფება. მისი ეფემერიდები დამზადდა ნურემბერგში, ქალაქში, სადაც მეცნიერმა რეჯიომონტანუსმა მნიშვნელოვნად დახვეწა ასტროლაბია. 1505 წ. სამი გერმანული ხომალდი მიცურავს ინდოეთისკენ პორტუგალიის ფლოტში.

პორტუგალიელების მნიშვნელოვანი როლი. უადგილოდ მიგვაჩნია საუბარი პრტუგალიელების ექსპედიციების და ბრძოლების შესახებ. 1986 წ. ბარტოლომეუ დიასი აღმოაჩენს ქარიშხლების კონცხს, რომელსაც მეფე ხუან II კეთილი იმედის კონცხს უწოდებს.

1497 წ. მაისში ვასკო და გამა ინდოეთის ოკეანის გავლით კალკუტაში ჩადის. ამგვარად, პორტუგალიელებისთვის ცნობილი ხდება ინდოეთისკენ მიმავალი ახალი გზა და დაახლოებით, თხუთმეტ წელიწადში ინდოეთის ოკეანის აბსოლუტურ ბატონებად გვევლინებიან. პორტუგალიელების ხელშია სანელებლებით ვაჭრობა: ლისაბონი ხდება ამ ვაჭრობის დიდი ბაზარი.

აზიაში პორტუგალიის იმპერიას საფუძვლები ჩაუყარეს ფრანსიშკუ ალმეიდამ (1504-1509) და ალფონსო დე ალბუკერკმა (1509-1515): გოა, მალაკა, ჰორმუზი, სოკოტრა, მოლუკის კუნძულები და მაკაო ჩინეთში. პორტუგალიას სახელი გაუთქვა ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა პოეტმა, ლუიშ დი კამოენსმა თავის ცნობილ ლექსში *Os Lusiadas* (ლუზიადები: პორტუგალიელებს ლათინებმა შეარქვეს *ლუზი* ანუ *ლუზიტანი*).

პორტუგალიელებმა არც ამერიკა მიატოვეს, ისარგებლეს ტორდესილას ხელშეკრულებ-ით (1494) და ბრაზილიაში დასახლდნენ.

ესპანელების მნიშვნელოვანი როლი. რენესანსის ეპოქის უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიაში გა-

დამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციას.

კოლუმბი დარწმუნებული იყო დედამიწის სიმრგვალეში, იგი შეცდომაში შეიყვანა პტოლემეს მიერ გადმოცემული მანძილების მცდარმა შეფასებამ. კოლუმბის აზრით, ჩიპანგო და კატაი ევროპასთან მდებარეობდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. კოლუმბმა მოაწყო ოთხი მოგზაურობა, რომელთა დროსაც მან აღმოაჩინა მცირე ანტილიის კუნძულები, იამაიკა, პორტო რიკო და ცენტრალური ამერიკის სანაპირო. ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეზღვაურების ოიედას, ამერიკო ვესპუჩის, ხუან დე ლა კოსას, ვისენტე იანეს პინცონის და სხვათა მოგზაურობები, რომლებმაც დაადგინეს დარიენის ყურის, ვენესუელას სანაპიროს, ანტილიის კუნძულების და ბრაზილიის სანაპიროს საზღვრები ისევე, როგორც კარიბის ზღვის კონტურები.

1500 წ, კოლუმბის აღმოჩენიდან მხოლოდ რვა წლის შემდეგ, შედგენილ ხუან დე ლა კოსას რუკაზე, უკვე მოხაზული იყო ამერიკის კონტურები. ამის შემდეგ სწრაფად მოხდა ამ კონტინენტზე ესპანელების დასახლება: 1508 წ. პონსე დე ლეონიმ დაიპყრო პორტო-რიკო, 1509 წ. ესკიველმა — იამაიკა, 1510 წ. დიეგო ველასკესმა — კუბა. 1513 წ. ნუნიეზ დე ბალბოამ აღმოაჩინა ზღვა, რომელსაც სამხრეთის ზღვა უწოდა: ეს იყო წყნარი ოკეანე.

მკვლევარები მიხვდნენ, რომ ეს ახალი მიწები ქმნიდა ერთ კონტინენტს და გაჩნდა სურვილი, ეპოვათ გასასვლელი ატალტიკის ოკეანესა და წყნარ ოკეანეს შორის, რომ მიეღწიათ აზიამდე. სწორედ ეს გახლდათ ძირითადი მოტივი მაგელანის და სებასტიან დელ კანოს ექსპედიციისა (1519-1522).

1517 წ. ესპენელები შეაღწევენ ამერიკაში, სადაც ზომიერი კლიმატი და მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მოსახლეობა ხვდებათ. ამერიკის დაპყრობა ორ მნიშვენლოვან ფაზად მიმდინარეობდა: 1) მექსიკის დაპყრობა, რომელიც ერნან კორტესმა განახორციელა 1519-1521 წ.წ. ცენტრალური მექსიკის დაბლობმა საფუძველი დაუდო ახალი ესპანეთის ვიცე-სამეფოს დაარსებას.; 2) ფრანსისკო პისაროს

ცენტრალურ ანდებში შეღწევა, ე.ი. ინკების იმპერიის დაპყრობა 1527-1533 წ.წ.

ამგვარად, ეს ერთი მუჭა ესპანელები აღმოჩნდნენ მილიონობით ადამიანის პირისპირ, რომლებმაც XVI საუკუნის შუა წლებიდან, დაიკავეს ე.წ. ესპანური ამერიკა. დასავლეთ ევროპულ ცივილიზაციას შეეძლო ამ გზით შეეღწია ამერიკაში.

ესპანელებმა მოახერხეს და მოაწყვეს ეს ახალი სამყარო; ისინი ამ უკანასკნელს აღიქვამდნენ არა როგორც კოლონიების ერთიანობას, არამედ როგორც კასტილიის დამატებით ნაწილს, რომლის ადგილობრივი მოსახლეობა იურიდიულად სამეფო გვირგვინს ექვემდებარებოდა.

ესპანეთში დამკვიდრებული ცენტრალური მთავრობა ორი მთავარი ორგანოსგან შედგებოდა: 1) 1503 წ. სევილიაში დაფუძნებული ერთგვარი „სავაჭრო პალატა“ *Casa de Contratación*; 2) მონარქიული საბჭოების მსგავსი ინდოეთის საბჭო, შექმნილი კარლოს V-ის მიერ 1524 წ. გარდა ამისა, ესპანელებმა გადაიტანეს თავიანთი დაწესებულებები და შექმნეს ორი ვიცე-სამეფო, რომელის რიცხვიც XVIII საუკუნეში ოთხამდე გაიზარდა. ამერიკაში ევროპული კულტურა ასევე შევიდა სასულიერო და საუნივერსიტეტო კოლეჯების მეშვეობით. მეხიკოს უნივერსიტეტი გაიხსნა 1533 წ. და იგივე პრივილეგიებით სარგებლობდა, როგორითაც სალამანკის უნივერსიტეტი.

ესპანეთის მიერ ამერიკის ოკუპაციის დროს შექმნილი ტრაგედია გამოიწვია მთავრობის მიერ დაშვებულმა შეცდომამ, რომლის გამოსწორებაც ვერ მოხერხდა, მიუხედავად *სარეზიდენციო შემოწმებებისა*. ეს გახლდათ, ერთგვარი საინსპექციო ტურნე, მაღალი თანამდებობის პირების გაკონტროლების მიზნით.

არსებული მორალური პრობლემების გადაჭრა სცადეს 1512 წ. *ბურგოსის კანონების* მიხედვით, რომელიც ინდიელებს სამეურვეოდ გადასცემდა *(encomienda)* ესპანელ კოლონისტებს: ინდიელები უფასო მუშა ხელით ამარაგებდნენ მათ, რის სანაცვლოდაც ღებულობდნენ ქრისტიანულ განათლებას. ბართოლომე დე ლას კასამ გააკრიტიკა მეურ-

ვეობაში ყოფნის ეს პროცესი და გარკვეული ხნით გააუქმა კიდეც 1542 წლის ახალი კანონების მიხედვით.

ამგვარად, ესპანეთი ფლობდა ამერიკის მშვენიერ ნაწილს, გააჩნდა უზარმაზარი ძალაუფლება ევროპაში, სათავეში ედგა თურქების წინააღმდეგ ომს, და ამასთანავე, განიცდიდა ლიტერატურულ აღმასვლას.

XV საუკუნეში ჩნდება მცირე ლექსები, ე.წ. *რომანსერო*, რომლებიც მავრების წინააღმდეგ ასწლიანი ომისკენ მოუწოდებენ ხალხს. პოეზიამ მწვერვალს მიაღწია XVI საუკუნეში ლუი დე გონგორასთან ერთად, რომელიც კორდოვაში დაიბადა 1561 წ: გონგორიზმის მსუბუქი და პრეციოზული სტილი ზეგავლენას ახდენს მთელს ევროპაზე. ესპანეთის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე, პასტორალური რომანის შექმნა, რომლის მაგალითია ხორხე დე მონტემაიორის „*დიანა*." ამ რომანმა და სხვა ნაშრომებმა საფრანგეთში ონორე დ'ურფეს შთააგონა დაეწერა — „*ასტრე*". სწორედ ესპანეთში დაიბადა ეშმაკური რომანი, რომელიც მოდიოდა სიტყვა *picaro*-დან, რაც „ყალთაბანდს" ნიშნავს, სადაც სატრაბახო და უკმეხი თავგადასავლები იყო გადმოცემული.

ამ მხრივ, საინტერესოა ისტორიული და მისტიკური ნაშრომები. ისტორიული ნაწარმოებები განსაკუთრებით უკავშირდება ამ ახალ სამყაროს. კორტესის მოთხრობების გარდა, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ გონსალო ფერნანდეს დე ოვიედოს *Historia general de los Indios*, დიას დელ კასტილიოს *ახალი ესპანეთის ათვისების ნამდვილი ისტორია* და ბართლომე დე ლას კასას *Brevissima relación de la destrucción de los Indios*, რომლებშიც ნაჩვენებია ნებისმიერი კოლონიზაციისთვის დამახასიათებელი ძალადობა (1552). ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობას ესპანეთის მხრიდან დამანგრეველი შედეგი მოყვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მოსახლეობიდან ზოგიერთს ბრწყინვალე ცივილიზაცია გააჩნდა. ხალხის ხოცვა-ჟლეტასთან ერთად, მილიონობით ინდიელი იღუპება ზოგიერთი ევროპული ავადმყოფობით, რომლის იმუნიტეტიც ამერიკის მოსახლეობას გამომუშავებული არ ქონდა. ამგვარად, ჩნდე-

ბა უზარმაზარი კონტრასტი მისტიკურ მიმდინარეობებსა და ადამიანურ უბედურებებს შორის.

ესპანეთში მისტიკურმა მოძრაობამ ჯერარნახულ მწვერვალს მიაღწია ოქროს ეპოქაში. საკმარისია, ვახსენოთ *Camino de Perfección* („სრულყოფილების გზა", 1565) მრავალი მონასტრის დამფუძნებლის, კარმელიტების ორდენის მონაზონის ტერეზა დე სეპედა ი ალმადას სახელი, რომელმაც ევროპელ კათოლიკეებზე ღრმა ზეგავლენა მოახდინა.

ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები. პორტუგალიელების შემდეგ, განსაკუთრებით, XVI საუკუნის დასასრულს, ჩამოდიან ინგლისელები, ჰოლანდიელები და ფრანგები. ვინაიდან გარკვევით არსებობდა ახალი მსოფლიო, უნდა გაჩენილიყო ახალი საფრანგეთი, ახალი ინგლისი, ახალი შოტლანდია, ახალი ბრანსვიკი, ახალი ამსტერდამი, ახალი ზელანდია, ამ ახალი ესპანეთის გვერდით, რომლის შესახებაც ახლახანს ვისაუბრეთ.

საფრანგეთთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ვერაზანის და ჟაკ კარტიეს მოგზაურობები.

ახალი რესურსები. ბუნებრივია, სწორედ ოქრო ამოძრავებდა ყველას. თუმცა ამ დაპყრობებს მხოლოდ ოქროს წყურვილით ვერ ავხსნით, რადგან იყო სხვა მისწრაფებებიც: ძლიერი ცნობისმოყვარეობა, რისკი და ევანგელიის ქადაგების სურვილი.

ამავე დროს ოქროს და პერუს ვერცხლის ფაქტორი მაინც მთავარ როლს ასრულებს. ამ ორი ლითონის პროდუქციის გაზრდამ გამოიწვია მათი ფასის დაცემა და აქედან გამომდინარე, მაგალითად, ესპანეთში 1501 და 1525 წლებში ყველა სასურსათო საქონლის ღირებულებამ 50% დაიწია, რასაც თანამედროვეებისთვის გაუგებარი იყო.

ყველაფერი ეს გარკვეულ წილად დასრულდა ესპანეთის ეკონომიკის პარალიზებით. ამერიკამ ევროპა მოამარაგა სხვა სასურსათო საქონლით, რომელსაც შთაბეჭდილება უნდა

მოეხდინა ადამიანებზე და უნდა შეექმნა აქამდე უცნობი ჩვევები.

ოქროსა და ვერცხლის მსოფლიო წარმოება

(კილოგრამებში)

წლები	ოქრო	ვერცხლი
1493-1520	5 800	47 000
1521-1544	7 660	90 000
1545-1560	8 510	311 600

ევროპისთვის დიდხანს ღირშესანიშნაობად რჩებოდა ზოგიერთი პროდუქტი, მათ შორის ძირითადი იყო ინდაური, პომიდორი, ლობიო, ანანასი, ვანილის ჯოხი, ქინაქინა. 1519 წლიდან თამბაქო მოყავთ კასტილიაში.

1535 წ. პერუსა და ჩილეში მოყვანილი კარტოფილი გაიგზავნა ესპანეთში, 1613 წ. კი მას გემოს უსინჯავს ლუი XIII. კარტოფილს ეძახიან პატარა ტრიუმფელებს, საიდანაც წამოვიდა მისი სახელი *Kartoffel*.

სიმინდი ევროპაში ვრცელდება XVII საუკუნეში, ხოლო მსხვილი მარწყვი – XVIII საუკუნეში. და პირიქით, ევროპამ ამერიკაში ჩაიყვანა გამწევი ცხოველები, როგორიცაა ცხენი, ვირი, ჯორი, ხარი და ცხვარი.

თუ ევროპელებმა ამერიკაში გაავრცელეს ახალი დაავადებები, სამაგიეროდ, მისი პარაზიტები უკან წამოიღეს და ასე გაჩნდა ევროპაში ფილოქსერა, მილდიუ, ოიდიუმი და საქვეყნოდ ცნობილი კოლორადოს ხოჭო.

ადამიანი და რელატივიზმი. უცბად აღმოაჩინეს, რომ ახალი სამყარო დასახლებული იყო, რომ არსებობდა ორი ერთმანეთისგან ძალიან დაშორებული, ურთიერთობის არ მქონე მშვენიერი ცივილიზაცია, მექსიკის (აცტეკები და მაიას ტომები XVI საუკუნეში) და პერუში მცხოვრები ინკების ცივილიზაციები.

სხვაგან უფრო პრიმიტიული მოსახლეობა ცხოვრობდა. ამავე დროს, ნაკლებად დასაჯერებელი იყო, როგორც ეს შარლ-ანდრე ჟულიენმა აღნიშნა, რომ საერთო გაოცებას ან აღტაცებულ ცნობისმოყვარეობას ჰქონდა ადგილი. ათასობით შუასაუკუნეების ლეგენდებმა, მათ შორის ყველაზე ცნობილმა წმინდა ბრანდენის თქმულებამ გაანელეს აღმოჩენით გამოწვეული სიამოვნება.

პირველი ესპანელი ზღვაოსნები ნანახმა ძალიან დააბნია, რის შედეგადაც მომრავლდა ლეგენდები და გაკეთდა მკვეთრი დასკვნები.

მეტად საინტერესოა მიშელ დე მონტენის (1533-1592) შეხედულებები ევროპასა და ახალ სამყაროზე: ეს ცნობისმოყვარე დამკვირვებელი გახლდათ მტერი ყველანაირი გრძნობისა. ყურადღებას იპყრობს მისი „რელატივიზმი". ადამიანი არის ადამიანი და გარემოებები და განსაკუთრებით, წეს-ჩვეულებები, აკეთებენ თავიანთ საქმეს; იგი წერს, რომ „ერებს შორის არსებულ განსხვავებულ ცერემონიალებში, ჩემს ინტერესს იწვევს მხოლოდ მათი მრავალფეროვნება."

ესეებში მონტენი თავს ესხმის ფრანგ „ტურისტს": „მრცხვენია, როცა ჩვენს კაცებს ვხედავ შეპყრობილთ ამ სულელური სურვილით, დაფრთხნენ მათი საწინააღმდეგო ფორმების ხილვით: თავიანთი ქვეყნიდან მოშორებულები თავს საზოგადოებრივი წრის გარეთ გრძნობენ. სადაც მიდიან, იქაური წესების მიხედვით იქცევიან და უცხოელები ეზიზღებათ" (III, 9).

აქვე მოგვყავს ეს მოხდენილი და შემაძრწუნებელი ფრაზა: „ამდენი ქალაქი გადაბუგული, ამდენი ერი განადგურებული, ამდენი მილიონობით ადამიანი ყელგამოჭრილი და განძისთვის და ძალაუფლებისთვის განადგურებული მსოფლიოს უმდიდრესი და ულამაზესი ნაწილი!"

ძირითადი იდეა იყო ამ უცხო ადამიანების ევანგელისტებად მოქცევა. იგნატიუს ლოიოლას მეგობარი, პამპლუნელი ესპანელი ფრანსუა ხავიენი მიემგზავრება გოაში, შემდეგ მალაკაში, მოლუკის კუნძულებზე და იაპონიაში. იგი გარდაიცვალა მაკაოში.

ამერიკაში გაცილებით მნიშვნელოვანი იყო სარწმუნო-

ების გამოცვლა. შეიქმნა ეპარქიები, შედგა სამღვდელოება და თავგამოდებით მეტოქეობას უწევდნენ მისიონერობას.

აქედან გამომდინარე, ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად ოთხი საუკუნის მანძილზე კოლონიზაცია წარმოშობს ევროპულ სახელმწიფოებს შორის იმგვარ მეტოქეობას, იმდენ ომსა და ძალადობას, რომ ხდება ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება ევროპელებს შორის კავშირისა.

ამას ემატება, ბარტოლომეო დე ლას კასას მიერ მწვავედ აღწერილი ხოცვა-ჟლეტვა, გადასახადები, მონობა, ძარცვა-გლეჯვა, რაც უდავოდ აფერხებს ევროპელებს შორის კავშირის დამყარებას.

თუმცა ამ განსაკუთრებულად ევროპულ ავანტიურას, მოჰყვა ადამიანის გონების არაჩვეულებრივი განვითარება. ამის მიზეზი იყო, არა მხოლოდ უცნობი პროდუქტის და ახალი სასურსათო საქონლის გასინჯვა, არამედ გეოგრაფიული სფეროს მკვეთრი გაფართოება.

გეოგრაფია. თანდათანობით ერთმანეთს დაუკავშირებენ სხვადასხვა აღმოჩენას.

დიდი დრო გაივლის, სანამ მიხვდებიან, რომ XIII საუკუნეში მარკო პოლოს მიერ აღწერილი „კატაი“ და ჩინეთი, სადაც პორტუგალიელები ჩავიდნენ, ერთი და იგივე ქვეყანა იყო. კვლავ არისტოტელესთვის ხომ არ უნდა მიემართათ? არისტოტელემ სამყარო ორ ნაწილად გაყო, დასავლეთად ანუ ევროპად და აღმოსავლეთად ანუ აზიად, საბერძნეთი კი, როგორც ვნახეთ, წარმოადგენდა მნიშვნელოვან რეზერვს, რომელიც დასავლეთის და აღმოსავლეთის უპირატესობებს განსაზღვრავდა.

მთელი შუა საუკუნე ამ განსხვავების დადგენას მოუნდა. მაგრამ ე.წ. კლიმატური თეორიის განვითარებასთან ერთად, ჩნდება აზრი, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებობს ერთგვარი ჭრილი.

1576 წ. ბოდენი ნაშრომში *რესპუბლიკა* დაწვრილებით შეისწავლის კლიმატურ ზეგავლენას, რომელიც მონტესკიემდე XVIII საუკუნეში იყო დაგეგმილი. ბოდენი გამო-

ყოფს სამი სახის კლიმატს, ჩრდილოეთის, სამხრეთის და ამათ შორის, ზომიერ კლიმატს, ამ კლიმატების მიხედვით სხვადასხვა ტიპის ადამიანებს ასხვავებს.

III. ევროპა თურქების პირისპირ

ოსმალური დაპყრობა. ჯერ პოლიტიკურ მოვლენებს გადავხედოთ. სახელწოდება ოსმანლები ანუ ოსმალები მოდის მათი პირველი წინამძღოლის სახელისგან. XIV საუკუნის დასაწყისში ოსმალები იყვნენ მცირე აზიის მკვიდრი ხალხი და აქედან გამომდინარე, მათ ახლო შეხება ქონდათ ბიზანტიისგან დარჩენილ ტერიტორიებთან.

ოსმალებმა ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან მიითვისეს ბულგარეთი, სერბეთი, ბოსნია, თრაკია (ანდრიანოპოლისთან ერთად, რომელიც შემდეგ გახდა ედირნე) და საბერძნეთის ნაწილი, ხოლო 1453 წელს აიღეს კონსტანტინოპოლი (მას შემდეგ სტამბული).

იმავე საუკუნეში დაიპყრეს ანატოლია. ოსმალები იყვნენ სუნიტური შტოს მუსულმანი წარმომადგენლები. XVI საუკუნეში მათი მხრიდან ზეწოლას განიცდიდა მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი. დიდმა სულთნებმა, კერძოდ, სელიმ I (1512-1520) და სულეიმან I, რომელსაც ევროპელები სოლიმან ბრწყინვალეს უწოდებენ, მრავალი გამარჯვება მოიპოვეს იარაღის თუ დიპლომატიის ძალით. სირიის,ეგვიპტის,მაღრიბის (მაროკომდე) გარდა, ოსმალებმა დაიკავეს კუნძულები: გენუელებს წაართვეს ლესბოსი, ვენეციელებს — ეუბე, 1522 წ. სენ-ჟანის რაინდებს — როდესი, 1570-1571 წ. კიპრი. თურქეთის საზღვაო ფლოტმა წამიერად დაიპყრო ოტრანტო. 1526 წ. კონტინენტზე თურქეთის რჩეულმა არმიამ, იანიჩარებთან ერთად, მოჰაკში დაამარცხა უნგრეთის უკანასკნელი მეფის ლუი II-ის ჯარი. ამ ბრძოლაში დაიღუპა თვითონ მეფეც. 1529 წ. ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ვენას. მათმა კავალერიამ ააოხრა ბავარია და მორავია. ვენასაც კონსტანტინოპოლის ბედი ხომ არ ელოდა? „აქ იყო ევროპა, მისი ხორცი, მისი სული“ (რენე გრუსე)

ვენა ძლევამოსილ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ 1541 წ. სოლიმანმა აიღო ბუდა, ხოლო 1543 წ. კი გრანი, ყველა ტაძარი მეჩეთად გადააკეთა.

სოლიმანი ამასთანავე იყო ფრანსუა I-ის და საოის ჰერცოგის მოკავშირე კარლოს V-ის წინააღმდეგ, რაც მას ნიცის გაძარცვის საშუალებას აძლევდა. ტულონის ბაზა მისი მეკობრეების განკარგულებაში იყო. ერთ-ერთმა მათგანმა, კაირ ალ-დინ ბარბერუსმა, ალჟირში შექმნა მეკობრული სახელმწიფო. ჯერ კარდინალი ხიმენეს დე ცისნეროსი, შემდეგ კარლოს V ტუნისის და ალჟირის დაბრუნებას ამაოდ ცილობდნენ.

ოსმალებმა უკან დაიხიეს 1571 წლის 7 ოქტომბერს, როცა ვენეციის, ესპანეთის და პაპის გაერთიანებულმა ძალებმა დიდი საზღვაო გამარჯვება მოიპოვეს სოლიმანის მემკვიდრის, სელიმ II-ის ფლოტზე ლეპანტოში (საბერძნეთის ყურე ათენიდან 160 კილომეტრში). უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თურქებს არასოდეს დაუკარგავთ კონსტანტინოპოლი, რომელიც სტამბული ხდება.

ევროპა, თურქეთის წინააღმდეგ მამოძრავებელი ძალა. რა ღონისძიებები უნდა მიეღო ევროპას ამ საშიშროების წინააღმდეგ: ულმობელი ბრძოლა, გაერთიანებული ძალებით და ჯვაროსნული ომი, თუ თურქეთის ძალის გამოყენება ევროპული პაექრობის სასარგებლოდ? მერე და ვინ იყვნენ ეს თურქები? ურჯულო ველურები თუ სანიმუშო იმპერია, რომლის ძლიერი ხელისუფლებაც ევროპელებისთვის მისაბაძი მაგალითი შეიძლება ყოფილიყო? რა ჯობდა, მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ნებისმიერ ფასად, თუ იმ ახალ ქვეყნებში გაქცევა, რომლებიც ფართოდ უღებდნენ კარს კოლონიზაციის პროცესს? „საბრალო ევროპა“ ასე ახსენებს რონსარი ევროპას 1553 წ. პოემაში *„მდიდარი კუნძულები“*. ინიას სილვიო პიკოლომინი, მომავალი რომის პაპი, პიუს II, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, მღვდელმსახურების შემდეგ და მანამდეც ქადაგებდა ჯვაროსნული ომის აუცილებლობას თურქების წინააღმდეგ. მისი აზრით, თურქების კონსტანტინოპოლში ყოფნა ნიშნავს,

„ევროპაში, ე.ი. ჩვენს სამშობლოში, ჩვენს საკუთარ სახლში, ჩვენს მამულში“ ყოფნას.

ამ მტკივნეულ გამოთქმაში, რომელსაც აქა-იქ ახსნებდნენ ხოლმე კაროლინგების ეპოქიდან მოყოლებული, ჩნდება აზრი, რომ ქრისტიანობა, აენიას სილვიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, *Christiana communitas*, არის ევროპა. „*Christianus orbis Europam omnem tenet*“ (ქრისტიანი ხალხი მთელს ევროპას იპყრობს). ეს სიტყვები ეკუთვნის თურქების არაპირდაპირ მსხვერპლს, კარდინალ ბესარიონს (გარდაიცვალა 1472). იგი გახლდათ ბერძენი მორწმუნე, ნიკეას ეპისკოპოსი, რომელსაც ბიზანტიის უკანასკნელმა იმპერატორებმა დაავალეს ორი ქრისტიანული მრწამსის შერიგება. პაპმა ბესარიონს კარდინალის ტიტული მიანიჭა, თუმცა საბერძნეთის სამღვდელოებამ უარყო მისი კანდიდატურა. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ იგი იძულებული გახდა დასავლეთში დარჩენილიყო, სადაც დიდი როლი ითამაშა პლატონისეული კვლევების განვითარებაში. ამგვარად ბესარიონი აგრძელებდა მიშელ პსელოს საქმეს.

იტალიელი პოეტი არიოსტო დანანებით ამბობს: „უწმინდურ თურქეთს მსოფლიოს საუკეთესო ნაწილი უკავია“. ასევე იტალიელი პოეტი ტასი თურქების წინააღმდეგ ომს განიხილავს, როგორც აზიის წინააღმდეგ მიმართულ ომს (სიმღერა 11, 24). ცნობილი დიდი პორტუგალიელი პოეტი საუბრობს „ულმობელი ოსმალეთის“ პირისპირ მებრძოლ „საბრალო ევროპაზე“.

პოეტი ბატისტა დე მანტუ ამბობს: თურქების პირისპირ „ჩვენ ყველანი ვართ ერთადერთი ჯვარცმული ერი“. იგი „ყველა ევროპულ ერს“ მოუწოდებს გაერთიანდეს „სულგრძელი ევროპის“ კავშირში. თვით ერაზმიც ჯვაროსნული ომის აუცილებლობას ქადაგებდა თავის ნაწარმოებში „ქება სისულელისა“ და *De bello Turcis inferendo* (თურქების წინააღმდეგ წარმოებული ომის შესახებ), სადაც ქრისტიანობას ევროპასთან ნათლად აიგივებდა. ამასვე ქადაგებდა ვივესი თავის *De conditione vitae christianorum sub Turca* (ქრისტიანი ხალხის ცხოვრების პირობები თურქების ბატონობის ხანაში) და სხვა ნაშრომებში, სადაც იგი

„ევროპის სახელმწიფოებზე“ საუბრობდა. ვივესს ეკუთვნის წიგნი, რომლის სათაურშიც ნახსენებია სიტყვა „ევროპა“, რაც ნამდვილ სიახელეს წარმოადგენდა: *De Europae statu ac tumultibus* (ევროპის მდგომარეობის და არეულობების შესახებ).

წარმოშობით ესპანელი ჟან-ლუი ვივესი (1492-1540) გახლდათ ვალენსიიდან. იგი ლექციებს კითხულობდა ლუვენში, შემდეგ ოქსფორდში, ბოლოს კი დასახლდა ბრიუგეში. ვივესი იყო ერაზმეს დიდი მეგობარი. მნიშვნელოვანია მისი ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნული მოსაზრება: „გადესიდან ისტერამდე [დღეს ვიტყოდით, კადესიდან დუნაიმდე] ჩვენ გვიკავია მხარე, რომელიც ორ ოკეანეს შორის არის გადაჭიმული და წარმოადგენს უმამაცესს და უძლიერეს ევროპას. ხოლო თუ გავერთიანდებით, არა მხოლოდ თურქებს გავუსწორდებით, არამედ მთელს აზიაზე ძლევამოსილნი გავხდებით; ამაზე მეტყველებს და ამას გვასწავლის ერების სულისკვეთება და გულადობა, მათი საგმირო საქმეები. სინამდვილეში აზია ვერასოდეს უწევდა წინააღმდეგობას ევროპის საშუალო ძალებსაც კი.“

მაგრამ ჯვაროსნული ომების მოწყობა ვერ ხერხდებოდა; სულთანმა აენიუს სილვიუსის, მომავალში პაპად კურთხეული პიუს II-ის წინადადება რჯულის გამოცვლის თაობაზე, ზიზღით მიიღო. უფრო მეტიც ფრანსუა I-მა ამაზრზენი და გაუგონარი კავშირი დაამყარა თურქებთან უდიდესი მტრის, ქრისტიანი მეფის, კარლოს V-ის წინააღმდეგ. მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით ამ მართლაც, გადამწყვეტ მოვლენას, რადგან იგი ხაზს უსვამს ქრისტიანული კონცეფციის გამოუსწორებელ დაცემას.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი მგზნებარე ქრისტიანი დიდ იმედებს ამყარებდა ჯერ კარლოს V-ზე, შემდეგ მის ორ მემკვიდრეზე, ფერდინანდ — ავსტრიელ ჰაბსბურგზე და ფილიპე II, ესპანელ ჰაბსბურგზე.

ამათგან ერთ-ერთი „მალე ნამდვილად გახდება მთელი ევროპის მმართველი“, წერდა ბრიეზიო 1558 წ. თავის ნაწარმოებში „ისტორიული მსოფლიოს რუკა“. ყოველ შემთხვევაში სწორედ ისინი აწარმოებენ ულმობელ ბრძო-

ლებს, როგორც დუნაიზე და საავიზე, ისე ხმელთაშუა ზღვაზე.

თუ ჯვაროსნული ომი არა, მაშინ იმპერიისგან დარჩენილი, მამაცი გერმანია თუ მოახერხებს თურქების დამარცხებას, მხოლოდ გერმანია გადაურჩა ამ კატასტროფას. 1556წ. სლეიდენი წერდა „ევროპის ამ უზარმაზარი მასიდან ერთადერთი ნაწილი გადარჩა, გერმანია“.

ევროპის დაშლა ლუთერის მოძღვრების მიხედვით, გამოწვეული იყო პაპის გაღმერთებით, რაც სამხრეთის საკითხს წარმოადგენდა. პეუსეს აზრით, რომელმაც საშინელი კატასტროფები იწინასწარმეტყველა, არსებობდა ხსნის მხოლოდ ერთი შანსი: დასავლეთის დამცველი იმპერატორი.

სინამდვილეში ამ საშინელ ვითარებას ბოლო მოუღო არა იმპერატორმა, არამედ მისმა ესპანელმა ბიძაშვილმა. თუკი 1559წ. იმპერატორი დროებით ზავს დებს თურქეთთან, ფილიპე II მას არღვევს „ქრისტიანობის სახელით“. პიუს V-ის წმინდა ლიგა (1560), *foedus perpetuum*, წარმოადგენს წინა საუკუნეში პიუს II-ის მიერ ნანატრი დიდი ჯვაროსნული ომის მოკრძალებულ ანარეკლს. 1571წ. 7 ოქტომბერს ლეპანტოს გამარჯვება არ ნიშნავს ოსმალური დაპყრობების დასასრულს. როგორც ფერდინანდ ბროდელი ამბობს საკმაოდ ცნობილ წიგნში — *ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვისპირეთი ფილიპე II-ს ეპოქაში:* „თურქეთის ჯადოსნური ძალაუფლება დამსხვრეულია“ და ზღვაზე გარდატეხა უკვე მოხდა. თურქები ამიერიდან თავდაცვით მოქმედებებზე გადავლენ.

ამ უიმედო შფოთიანი წლებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპამ ვერანაირი სარგებელი ვერ ნახა „თურქული ტერორიდან“. გაიფანტა ლამაზი ოცნებები *Europa nostra*-ზე. ამ ვითარებას უფრო შეესაბამება გამოთქმა *Misera Europa*. დანაწევრებული ევროპელები ვერ ახერხებენ თურქების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის *concordia, congregatio* შექმნას, თუმცა თავს დაიძვრენენ ყველაზე საშინელი საფრთხისგან, მაგრამ ყველა საშიშროებას მაინც ვერ გაურბიან. როგორც გროტიუსის გამომცემელი, ჯეიმს ბრაუნ სკოტი აღნიშნავს, ევროპა (გროტიუსი მას ერთადერთ-

ხელ ახსენებს *De Jure Belli ac Pacis*) დაყვანილია შედარებით ვიწრო ზონამდე, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ოსმალეთი, ხოლო ჩრდილოეთით, პოლონეთის დასავლეთი მხარე ესაზღვრება. ამ ზონაში არ შედის პოლონეთი და მოსკოვი, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ გროტიუსი მოღვაწეობდა XVII საუკუნის დასაწყისში.

თურქეთის მოდელი. ევროპასა და თურქეთს შორის კონტრასტი ნამდვილად დაცინვაა! მართალია თურქებს „აღმოსავლეთის მხეცებს" უწოდებენ, მაგრამ ვრცელდება მთელი ლიტერატურა, რომელიც ქებას ასხამს მათ თვისებებს, წარმატებებს, მაგალითად მოყავს ისინი. მრავალ შეხედულებებს შორის საგულისხმოა *Ragguagli di Parnaso*-ს ავტორის ტრაიანო ბოკალინის (1556-1613) საინტერესო მოსაზრება. ბოკალინი გულგატეხილია, უფრო მეტიც, იმედგაცრუებული. მისი აზრით, მსოფლიო „კორუმპირებული" იყო, ხოლო მეფეები — „ბოროტმოქმენი". იგი უპირატესობას ანიჭებს რესპუბლიკურ წყობას. მას არც სჯეროდა, რომ ვითარება გამოსწორდებოდა. ბოკალინი წერს: „ადამიანის ნამდვილი სამშობლო თავისუფალი ქალაქია". მაგრამ ევროპელი მეფეები ერთმანეთს უთანხმდებიან და ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ თავისუფლების ტრიუმფს.

თავისუფლების გარდა კიდევ საჭირო იყო „სახელმწიფო ინტერესების" აქტიურობა. მსოფლიოში მხოლოდ თურქეთმა მოახერხა ამ იდეალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება: იანიჩართა რჩეული ჯარი — დაკომპლექტებული გატაცებული ქრისტიანი ბავშვებით — ჯარისკაცთა თავდაჭერილობა, რომლებიც არასოდეს თმობდნენ მიწებს, სადაც მეჩეთები იყო აგებული, გამარჯვების პროგრესული გეგმა, იტალიური ქვეყნებისთვის პატივმოყვარეობის დათმობა, ყველაფერი ეს ოსმალეთის იმპერიას ხელს უწყობდა ერთ დიდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

ეს თურქული მოძრაობა ვითარდება მხოლოდ XVII საუკუნეში, რასაც შეგვიძლია თვალი მივადევნოთ მოგზაურთა ნაამბობის მიხედვით, რომელთა შორის ყველაზე ცნობი-

ლია შარდენის *მოგზაურის დღიური... სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში* (1676).

ეს ხომ არ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ თურქეთი თანდათანობით *შედის* ევროპის შემადგენლობაში? ქრისტიანობის დაკნინება მას ამის საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება მომხდარიყო XVIII საუკუნეში.

ბალკანელ ქრისტიანებში ნაციონალიზმის დაბადებამ შეაფერხა ეს აბსორბცია და წარმოშვა ერთგვარი წინააღმდეგობა. მხოლოდ 1919 წ. ქემელ ათათურქის ეროვნული რევოლუციის შემდეგ შეაღწევს თურქეთი ევროპაში.

IV. ოთხი ნოვატორი: ლეონარდო და ვინჩი, ერაზმე, მაკიაველი, ლუთერი

სანამ წარმოუდგენლად მდიდარი, უსაზღვროდ რთული საუკუნის განხილვას შევუდგებით, სიმბოლოების სახით, ავირჩიოთ ოთხი წარჩინებული ადამიანი: გენიალური ხელოვანი, დიდი მეცნიერი და ინჟინერი, ლეონარდო და ვინჩი; ჰუმანისტის პროტოტიპი, კულტურული და მოწესრიგებული ადამიანი, თავისი ეპოქის სახელგანთქმული ინტელექტუალი, წინმჭვრეტი, ვოლტერის მსგავსად, ერაზმ როტერდამელი; პოლიტიკური მეცნიერების პოზიტივისტი, ექსპერტი, თანამედროვე რეალიზმის ინიციატორი მაკიაველი; და ბოლოს, ერაზმეს მოწინააღმდეგე, უდიდესი რეფორმატორი მარტინ ლუთერი, ვნებიანი, მოუსვენარი და გრანდიოზული ადამიანი.

ნიკოლო მაკიაველი არის იტალიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ამასთანავე, უცნობი პიროვნება. როდესაც მასზე არის საუბარი, მსმენელთა უმრავლესობას მაშინვე ახსენდება ტერმინი „მაკიაველიზმი", რომლის მიხედვით დასახული მიზნის მისაღწევად გამართლებულია ყოველგვარი ამორალური საშუალება, მოტყუება, ვერაგობა, მკვლელობა. სინამდვილეში ეს რეალისტი ადამიანი იყო პოლიტიკური მეცნიერების დამფუძნებელი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, პოზიტიური მოაზროვნე, რომელსაც სურდა შეექმნა არა თეოლოგიაზე, არამედ საკუთარი, რო-

გორც თანამდებობის პირის გამოცდილებაზე დაყრდნობილი პოლიტიკა. მაკიაველი მტრულად იყო განწყობილი პაპის და სამღვდელოების მიმართ.

მაკიაველი დაიბადა 1469 წ. ფლორენციაში ძველ ბურჟუაზიულ ოჯახში, რომელიც შესაძლოა მდიდარ, კულტურულ ნოტარიუსთა კორპორაციას განეკუთვნებოდა, რომელიც ვალებში ჩავარდნილი საწყალი ხალხის წრეში ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. მამამ, იურისკონსულმა, სამართლის და ფინანსების სპეციალისტმა და ძველ ფლორენციულ ოჯახში აღზრდილმა დედამ შვილს კარგი განათლება მისცეს. მაკიაველიმ შეისწავლა სამართალი. ეს გახლდათ ლორან დე მედიჩის (გარდაიცვალა 1492წ.) ეპოქა, რომელსაც მაკიაველის მამა ემსახურებოდა ენთუზიაზმის გარეშე.

ლორან დე მედიჩის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის მისი მემკვიდრე პიერ დე მედიჩი, რომელმაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ს შემოტევას და 1494 წ. ქვეყნიდან გააძევეს სახალხო აჯანყების შედეგად. ოთხი წლის განმავლობაში ფლორენციას მართავდა დომინიკანელი ბერი სავონაროლა (1452-1498), რომელმაც შექმნა სახალხო, პურიტანული და ფანატიკური რესპუბლიკა; პაპმა იგი ერეტიკოსად შერაცხა, რის გამოც ჩამოახრჩვეს, ხოლო გვამი კოცონზე დაწვეს. სწორედ სავონაროლას ზომიერ რესპუბლიკაში იკავებს მაკიაველი სახელმწიფო კანცლერის მდივნის თანამდებობას. ამ დროს მაკიაველი ოცდარვა წლის იყო, წაკითხული ჰქონდა, როგორც ლათინელი და ბერძენი ისტორიკოსების — ტიტუს ლივიუსის და პოლუბიუსის — ისე, პეტრარკას, დანტეს და სხვების უამრავი ნაშრომი.

მაკიაველს სურდა პრაქტიკული გამოცდილების მიღება. იგი მოანწილეობდა განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკით, პიზას წინააღმდეგ ფლორენციის ომით, საფრანგეთის მეფე შარლ VIII-ის და ლუი XII-ის იტალიური ლაშქრობებით. ლუი XII-მ 1499-1500 წლებში აიღო მილანი და დაატყვევა ლუდოვიკო მავრიტანელი. მაკიაველის ეძლევა საშუალება გაიცნოს რომის პაპი ალექსანდრე VI ბორჯი და

მისი შვილი ჩეზარე, რომელიც რომანიის სამთავროს მიღებას ცდილობდა სრულიად ცინიკური მეთოდებით. მაკიაველი ასევე იცნობდა საფრანგეთის მეფე ლუი XII-ს, ფერდინანდ არაგონელს, პაპს იულიუს II, კარდინალ დელა როვერეს, იმპერატორ მაქსიმილიანეს და იტალიის ყველა რესპუბლიკას. ელჩის სტატუსით მაკიაველი ეწვია სამხრეთ გერმანიას, იმოგზაურა საფრანგეთში, 1512 წ. ფერდინანდ არაგონელთან დაინიშნა კასტილიის ელჩად.

1512 წ. პაპის კუალიციამ დაამარცხა ფლორენციის ჯარი, რომელსაც მაკიაველი ედგა სათავეში. ხელისუფლებაში მოვიდნენ მედიჩების მომხრეები, მაკიაველი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და გადაასახლეს სან-კაშინოს პატარა მამულში, სადაც ხელმოკლედ ცხოვრობდა და მხოლოდ წერის საშუალება ქონდა: სწორედ ამ პერიოდში დაიწერა მისი თხზულებები: *ხელმწიფე* და *მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო.*

ამის შემდეგ მაკიაველი სამსახურს იწყებს ყოფილ მოწინააღმდეგეებთან, მედიჩებთან. კარდინალ იულიუს მედიჩისთვის წერს *მსჯელობას ფლორენციის სახელმწიფოს რეფორმაზე,* შემდეგ კი 1520-დან 1525 წლამდე მედიჩების ბრძანებით, ადგენს *ფლორენციის ვრცელ ისტორიას.*

როცა 1525 წ. პავიაში კარლოს V-მ გაანადგურა ფრანსუა I-ს შეიარაღებული ძალები და ეს უკანასკნელი ტყვედ აიყვანა, სწორედ მშინ მოუხმეს მაკიაველის. მან მოლაპარაკება აწარმოა რომში და 1526 წელს კონიაკში იმპერატორის წინააღმდეგ შეთანხმება შედგა საფრანგეთს, პაპს, ვენეციას, მილანსა და ფლორენციას შორის.

ეს იყო მარცხი. 1527 წ. მაისში იმპერატორის მომხრეებმა აიღეს და მიწასთან გაასწორეს რომი. მედიჩები ფლორენციაში გადაასახლეს. მათთან ერთად გაიქცა მაკიაველიც. ასეთ გამოცდებს ველარ გაუძლო და 1527 წ. ივნისში სიღარიბეში გარდაიცვალა ორმოცდათვრამეტი წლის მაკიაველი.

მისი ორიგინალურობა, რა თქმა უნდა, მდგომარეობს არა მის დამსახურებულ კარიერაში, არამედ მის აზროვნებაში. მან მთლიანად გამოყო პოლიტიკა მეტაფიზიკისგან. ამის

გამო მაკიაველი გახლდათ პოზიტიური პოლიტიკური მეცნიერების წინამორბედი და „საერო აზრის“ ერთ-ერთი მომასწავებელი. მაკიაველი არ იყო ანტირელიგიური, თუმცა გახლდათ მტკიცე ანტიკლერიკალი. მას ეზიზღებოდა პაპის ძალაუფლება, რაშიც იტალიის უბედურებების მთავარ მიზეზს ხედავდა. იგი ასევე იყო იტალიური პატრიოტიზმის წინამორბედი. მაკიაველს სურდა ენახა გაერთიანებული ან ფედერაციული იტალია, არა ინგლისის ან საფრანგეთის მსგავსი, არამედ — რესპუბლიკა, რომელიც სერიოზული საფრთხის შემთხვევაში, დროებითი დიქტატურის დამყარებას შეძლებდა, როგორც ეს რესპუბლიკურმა რომმა მოახერხა. მაკიაველს ზედმეტი ილუზიები არ ქონდა; იგი გმობდა იტალიური ქალაქების მხრიდან ფრანგების, არაგონელების, მოგვიანებით გერმანელების თავდასხმის მოსაგერიებლად დაქირავებული ჯარების აყვანას, რომლებიც ნებისმიერ დროს გაგყიდნენ უფრო მაღალი ანაზღაურების ფასად.

მაკიაველი ფიქრობდა იტალიაზე და არა ევროპაზე. თუმცა მისი მეთოდი ევროპისთვისაც მისაღებია. ინგლისელი თანამედროვის ტომას მორის (1478-1535) საპირისპიროდ, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი *უტოპია ანუ რესპუბლიკის და უტოპიის ახალი კუნძულის საუკეთესო სტატუსის შესახებ*, მაკიაველიმ თავისი თავი რეალობის შესწავლას მიუძღვნა. XVI საუკუნის დასასრულის სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი, ფრენსის ბეკონი მაკიაველის შესახებ წერს: „მადლობა უნდა გადავუხადოთ მაკიაველის და ამ ჟანრის მწერლებს, რომლებიც ღიად და დაუფარავად ამბობენ, რომ ადამიანებს ჩვეულად აქვთ აკეთონ ის, რისი გაკეთებაც არ სურდათ.“

თავის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალური, ყველაზე ევროპული ადამიანი, ერაზმე დაიბადა როტერდამში 1466 წ. იგი გახლდათ მღვდლის უკანონო შვილი. მშობლები ადრე გრდაეცვალა და ცხრა წლის ერაზმე განათლების მისაღებად გაგზავნეს ჰოლანდიის სკოლებში. ერაზმე 1487-1488 წ. ავგუსტინურ ეკლესიაში ცხოვრობდა, ხოლო 1492 წ. მღვდლად გაამწესეს. სინამდვილეში ებრაელი პატ-

რიოტის ერაზმეს არაფერი ეტყობოდა და ქადაგებას კლასიკოსების კითხვა ერჩივნა. ამგვარად, იგი ჩანდა სრულიად დამოუკიდებელი, შეეძლო საქმიდან მოხერხებულად თავის დაძვრენა, ეჯავრებოდა დრამა და საგმირო მოქმედებები. მას უყვარდა დელიკატური საკვები, ლიტერატურული სამუშაო და გონიერ ადამიანებთან საუბარი.

ერაზმე დანიშნეს კამბრეიში არქიეპისკოპოსის მდივნად, იგი ჯერ ბრიუსელში ცხოვრობდა, შემდეგ გააგზავნეს პარიზის უნივერსიტეტში თეოლოგიაში სადოქტორო ხარისხის მოსამზადებლად. არქიეპისკოპოსი, რომელსაც ერაზმე ზედმეტსახელად ანტი-მეცენატს ეძახდა, მწირ ხელფასს უხდიდა, რის გამოც იგი მონტეგუს კოლეჯში იწყებს მუშაობას, მაგრამ მალე მობეზრდება და მიატოვებს. თავის გატანის მიზნით, ერაზმე კერძო გაკვეთილებს უტარებს გერმანელ და ინგლისელ მოსწავლეებს. 1499 წ. ერთ-ერთი ბრიტანელი მოსწავლე ერაზმეს თავის ქვეყანაში მიიპატიჟებს, ეს ვიზიტი ემთხვევა ვარდების ომის დასასრულს.

ბრწყინვალე განათლების და ლათინურის ცოდნის წყალობით ინგლისში ერაზმე კავშირს გააბამს მაღალ კულტურულ საზოგადოებასთან. მისი ლათინური უნივერსიტეტების ტლანქ ენებზე გაცილებით მაღლა იდგა. ოქსფორდში ერაზმე შეხვდა ადამიანებს, რომლებიც ბერძნულად, მისთვის უცნობ ენაზე საუბრობდნენ. იგი წარდგა გალიის პრინცის, მომავალი ანრი VIII-ს წინაშე. ერაზმემ გაიცნო ტომას მორი, მაგდალენის კოლეჯის პროფესორი ჯონ კოლეტი, სქოლასტიკის ბრწყინვალე მოწინააღმდეგე, კემბრიჯის კანცლერი, ჯონ ფიშერი. როგორც ამბობენ, „ინგლისმა ერაზმე განკურნა შუა საუკუნეებისგან“ და ეს უკანასკნელიც ქებას არ იშურებდა ამ ქვეყნის მიმართ.

ერაზმემ იმოგზაურა სხვა ქვეყნებშიც — იტალია, საფრანგეთი, გერმანია, კვლავ ინგლისი; იგი ლათინურად საუბრობდა, მაგრამ ძალიან ცოტას კითხულობდა. მას არ აინტერესებდა არც მუსიკა, არც მხატვრობა: რაფაელი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი მისთვის უცნობი იყვნენ. ერაზმე იყო ბიბლიოფილი, რომელიც დიდ დროს ატარებდა

გამომცემლობებში, ვენეციაში ალდაში და ბალში — ფრობენიუსში.

ერაზმე იცნობდა მსოფლიოს ყველა დიდებულს და მისი რეპუტაცია იყო უნივერსალური. 1519 წ. ლუთერი, რომელსაც ჯერ კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი ერაზმესთან, წერდა: „დედამიწის რომელ ნაწილში არ სმენიათ ერაზმეს სახელი?" ფრანსუა I-მა ერაზმეს შესთავაზა კოლეჟ-დე-ფრანსის ხელმძღვანელობა, რომელიც მეფემ დაარსა უნივერსიტეტთან დაპირისპირების გამო. ერაზმე თავისუფლებას დახარბდა და ამ წინადადებაზე უარი თქვა. ყველაზე მეტად მას იტალიაში ყოფნა უყვარდა (ერაზმემ თეოლოგიის სადოქტორო ხარისხი მიიღო ბოლონიაში 1506წ. და გარკვეული ხნით ცხოვრობდა ვენეციაში) და ბალში, სადაც 1521 წლიდან დასახლდა და აქვე გარდაიცვალა 1536 წ.

ერაზმეს უზარმაზარი შემოქმედება ერთდროულად შედგება სატირებისგან, როგორიცაა *ქება სისულელისა* და *საუბრები* (ბერძენი ლუსიენის მიბაძვით შექმნილი დიალოგები), ეკლესიის მამების, ბიბლიის თარგმანებისგან, ფილოსოფიური და თეოლოგიური ნაშრომებისგან, როგორიცაა *თავისუფალი არბიტრის ესე,* სადაც მწერალმა სცადა ლუთერის მოსაზრების გაბათილება და ბოლოს, წერილების უზარმაზარი რიცხვისგან, რომელიც გამოხატავს ეპოქის მთელ ჰუმანიზმს. ცხოვრების მანძილზე ერაზმეს დაახლოებით სამი ათასი მიმოწერა ჰქონდა.

ერაზმეს ოთხი პორტრეტი შექმნა ჰანს ჰოლბაინმა, ორი ალბრეხტ დიურერმა, ერთი ფლამანდიელმა მხატვარმა კენტინ მატსისმა.

ლეონარდო და ვინჩი (1452-1519) არ იყო მხოლოდ უდიდესი მხატვარი. იგივე მწვერვალს მიაღწიეს სხვა მისმა თანამედროვეებმაც, რომლებმაც მასზე მეტი შექმნეს, ესენი არიან: ლეონარდო და ვინჩიზე უფროსი ბოტიჩელი, მასზე უმცროსი მიქელანჯელო და რაფაელი იტალიაში, ალბრეხტ დიურერი, შემდეგ ჰანს ჰოლბაინი გერმანიაში, ნიდერლანდებში ლიეჟის ახლოს დაბადებული ძმები ვან ეიკები, რომლებიც ვაზარის მიხედვით, ზეთის საღებავებით ფერწერის ფუ-

ძემდებლად გვევლინებიან; მოგვიანებით, საუკუნის დასასრულს, ჩნდება ფლამანდური, ჰოლანდიური, ესპანური, ფრანგული სამხატვრო სკოლები. ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებას ცალკე განვიხილავთ იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი „ხელოვნების ისტორიაზე მეტად, ადამიანური აზროვნების ისტორიას განეკუთვნება“ (ანდრე მიშელი). ლეონარდო და ვინჩი იყო არქიტექტორი, მოქანდაკე, მუსიკოსი და პოეტი, ასევე მათემატიკოსი, ასტრონომი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი (შეისწავლა ფერები), ანატომისტი, რომელიც პრაქტიკაში იყენებდა პრეპარირებას, ბოტანიკოსი, გეოგრაფი, გეოლოგი, ოპტიკოსი და ბოლოს ინჟინერი, რომელმაც ათას სხვა გამოგონებასთან ერთად ახსნა „ჰაერზე მძიმე“ საგნის გაფრენა.

ლეონარდო და ვინჩი დაიბადა ფლორენციის მახლობლად, სოფელ ვინჩიში. იგი გახლდათ გლეხი ქალის და ნოტარიუსის უკანონო შვილი, რომელზეც მამა ძალიან ზრუნავდა. 1472წ. ლეონარდო და ვინჩი ვეროკიოს სახელოსნოში მიაბარეს. იგი ჯერ მუშაობდა ფლორენციაში, ნაშრომს ბოლომდე არასდროს ასრულებდა, რადგან მისი ცნობისმოყვარე გონება ყოველთვის ახლისკენ იწევდა. 1483 წ. იგი ფლორენციას ტოვებს და მილანში მიემგზავრება, რომლის მმართველმა, დიდებულების მოყვარულმა ტირანმა და გემოვნებიანმა ადამიანმა, ლუდოვიკო მორომ, რომელიც ხელოვნებას დიდ მფარველობას უწევდა, ლეონარდო და ვინჩი აირჩია თავის მამის, ფრანჩესკო სფორცას ცხენოსანი ფიგურის შესაქმნელად. ლეონარდო დათანხმდა და ლუდოვიკოს შესთავაზა აგრეთვე მექანიკური გამოგონებები: ახალი ფორმის ზარბაზნები, გზების, ხიდების, გვირაბების სისტემები, აგრეთვე წყლის საკანალიზაციო სისტემა და ა.შ. სწორედ მილანში დახატა მან ცნობილი *საიდუმლო სერობა*. 1499წ. ფრანგებმა დაიპყრეს მილანი,ლეონარდოს მფარველმა მარცხი განიცადა, რის გამოც მხატვარს ქალაქის დატოვება მოუხდა, და ვინჩი მიემგზავრება მანტუაში, შემდეგ ვენეციაში და ისევ ფლორენციაში. სწორედ აქ ამთავრებს *ჯოკონდას* 1506 წ. ლეონარდოს ქიმიით გატაცებული ერთ აებდეით შემთხვევას უკავშირდება — მან

შექმნა ფრესკა, ნახატი გადნა, რამაც გული გაუტეხა შემოქმედს და იმედგაცრუებულმა დატოვა ფლორენცია 1505წ. ლეონარდო დასახლდა ფრანგებისგან გათავისუფლებულ მილანში, იმოგზაურა ლეონ X კარზე რომში, შემდეგ როცა საფრანგეთის მეფემ, ფრანსუა I ხელახლა დაიკავა ქალაქი (1515), ლეონარდო და ვინჩიმ მიიღო მეფის მიწვევა და ჩავიდა საფრანგეთში, კერძოდ ამბუაზში. მისი კარიერა აქ დასრულდა საკმაოდ მძიმედ, აქვე დალია კიდეც სული 1519 წ.

ლეონარდო და ვინჩი თავის თანამემამულე ჯოვანი პიკო დე ლა მირანდოლაზე (1463-1494) და ენციკლოპედისტებზე მეტად წარმოგვიდგენს სქოლასტიკისგან გათავისუფლებულ მეცნიერებას, რომელიც გამოცდილებას და ანგარიშს ემყარება. მან დაგვიტოვა გაურკვეველი ხელწერით დაწერილი ხუთი ათასამდე განსხვავებული შენიშვნა, უამრავ მრავალფეროვან ესკიზთან ერთად.

რაც შეეხება მათემატიკას, ლეონარდო და ვინჩი იყო განსაკუთრებული გეომეტრი, „დაჯილდოვებული სივრცეში წარმოსახვის არაჩვეულებრივი ნიჭით“... „ლეონარდოსთვის ისევე, როგორც ბევრი მისი თანამედროვესთვის მეცნიერება მიმართულია არა ჭეშმარიტებისკენ, არამედ მოქმედებისკენ“ (ალექსანდრე კოირე). არსებობს თქმულება, როლის მიხედვითაც ლეონარდომ ასტრონომიული ტელესკოპი გამოიგონა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსისა და მეცნიერის ნიკოლოზ დე კუეს (1401-1464) მოწაფემ უარყო აზრი, რისი მიხედვითაც დედამიწა სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა. ლეონარდო მიხვდა, რომ მთვარეც და დედამიწაც ერთი და იგივე ნაწილებისგან შედგებოდა. ამით ახსნა მან „ნაცრისფერი შუქი“ და სავსებით შესაძლოა, რომ ლეონარდო დარწმუნებული იყო დედამიწის ბრუნვით მოძრაობაში. თუმცა ამ სფეროში, გაცილებით მეტი წვლილი მიუძღვის მასზე ოცი წლით უმცროს ასტრონომს ნიკოლოზ კოპერნიკს (1473-1543), რომელიც იცნობდა არა ლეონარდო და ვინჩის, არამედ ნიკოლოზ კუესის შემოქმედებას.

სწორედ ფიზიკაში იყო ლეონარდოს შემოქმედება ყვე-

ლაზე ორიგინალური და ძლიერი. კოირეს სიტყვებით, „ლეონარდო და ვინჩი იყო ტექნოლოგიის გენიოსი, რომლის მსგავსიც არავინ დაბადებულა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექნიკური გამოცდილებით — რაც კარგად აისახება მის ნახატებში — ლეონარდო და ვინჩი ქმნის ნამდვილ „მექანიკურ მეცნიერებას“. მას არაჩვეულებრივად ესმის მარტივი მექანიზმები და ისევ ნიკოლოზ კუეს ზეგავლენით, შეისწავლის დინამიკას. მან ვერ აღმოაჩინა ვერც სხეულის ვარდნის კანონი და ვერც ინერციის პრინციპი. თუმცა დაახლოებით, ჩამოაყალიბა ე.წ. „მოქმედების და რეაქციის თანაფარდობის“ პრინციპი.

ლეონარდო და ვინჩი განსაკუთრებით, მუშაობდა ქიმიის დარგში, ტილოებისთვის ქმნიდა ფერებს.

ეს საუცხოო გენიოსი ფიზიკური გეოგრაფიითაც იყო დაინტერესებული — ტბების შევსება ალუვიებით, მათი ზღვაში ჩადინება, ეროზია და ა.შ. მან ძირფესვიანად შეისწავლა ანატომია. გვიჩვენა არსებული მსგავსება ადამიანის და ცხოველის ძვლებს შორის. მან მიაკვლია იმას, რასაც რეალურად წიაღისეული წარმოადგენდა, რაც ბერძნებმა იცოდნენ, მაგრამ დაივიწყეს. ლეონარდომ შექმნა ცხოველების და მცენარეების უამრავი სურათი. ასევე ინტერესს იჩენდა მეტეოროლოგიის, ბოტანიკის მიმართ. ლეონარდო და ვინჩი იყო XVI საუკუნის ევროპისთვის დამახასიათებელი დიდი აღმოჩენების სიმბოლო, რომელმაც ხელი შეუწყო განათლების აღმასვლას და მსოფლიოს სხვა დიდ ცივილიზაციებზე გაცილებით მაღლა დადგა.

ნოვატორთა შორის, რა საკვირველია, უნდა ვახსენოთ მარტინ ლუთერი, თავისი მხურვალე ხასიათით, აზროვნების გაქანებით, ძლიერი რწმენით.

ამ მოუსვენარმა ადამიანმა მიაღწია იმას, რაშიც უიკლიფმა მარცხი განიცადა, იან ჰუსს მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება ხვდა. ლუთერმა განახორციელა საეკლესიო რეფორმა, რომელზეც სამი საუკუნის მანძილზე ლაპარაკობდნენ. ლუთერთან ერთად ამ რეფორმის გატარებაში შესაბამისი როლი შეასრულეს კალვინმა, ცვინგლიმ. ინგლისი თვითონ გაატარებს ამ რეფორმას. და ბოლოს, უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ადგილი ექნება კონტრ-რეფორმასაც, რომელსაც უკეთესად უწოდეს კათოლიკური რეფორმა (იხ. ქვევით).

თავდაპირველად, თვალი გადავავლოთ მარტინ ლუთერის უცნაურ კარიერას.

დაიბადა 1483 წ. აისლებენის პატარა ქალაქ თიურინგიში, სადაც გაატარა სევდიანი ბავშვობა სილარიბეში. მამა მაღაროში მუშაობდა, ხოლო დედა ცრუმორწმუნე დიასახლისი გახლდათ. თოთხმეტი წლის ლუთერი მაგდებურგში მიემგზავრება, სადაც კვლავ სილარიბეში ცხოვრობს. 1501 წ. იგი ერფურტის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, რომელსაც 1505 წ. ასრულებს ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხით. იმავე წელს ბერად შედგა ერფურტის ავგუსტინელთა მონასტერში. ლუთერი იყო ღვთისმოშიში ბერი, რომელიც დიდი ყურადღებით ეპყრობოდა წესს. მაგრამ სულს გამუდმებით უშფოთებდა ჯოჯოხეთის შიში. მას არ სჯეროდა, რომ საღვთო მოქმედებებით, ყოველდღე აღსრულებული წირვით, ასკეტური ცხოვრებით ცხონდებოდა.

გერმანიის ავგუსტინელთა ეპისკოპოსი სტაუპიცი დაინტერესდა ლუთერის პიროვნებით და მიიწვია ვიტენბერგის ახალ გახსნილ უნივერსიტეტში ღვთისმეტყველებაზე ლექციების წასაკითხად. ეს უნივერსიტეტი 1502 წ. დაარსა საქსონიის ამომრჩეველმა ფრედერიკ ჭკვიანმა. სტაუპიციც აქ ასწავლიდა. 1512 წ. ლუთერი ღვთისმეტყველების დოქტორი ხდება.

1510 წ. ლუთერს ახალი და საშინელი თავზარი დაეცა. იგი გააგზავნეს რომში, რომელსაც „ქრისტიანობის ნამდვილ ცენტრად" თვლიდა. და რა ნახა? „ბორჯიების რომი, ცოტა ხნის წინ იულიუს II-ის რომად გადაქცეულიყო". ალექსანდრე VI ბორჯიამ გარყვნილი და დანაშაულებრივი ცხოვრებით იცხოვრა. იულიუს II პოლიტიკაზე და ომზე უფრო მეტად ფიქრობდა, ვიდრე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ჩექმებში და მუზარადში გამოწყობილი პაპი ჯარებს ედგა სათავეში. ლუთერმა ეს ვერ აიტანა.

„როდესაც დაბნეული ლუთერი დაწყევლილ ბაბილონს, მის კურტიზანებს, თავაშვებულ ადამიანებს, სიმონიკურ სამღვდელოებას, ურწმუნო და ამორალურ კარდინალებს გაურ-

ბოდა და მშობლიურ გერმანიაში ბრუნდებოდა, გული სავსე ქონდა ამ უზარმაზარი გარყვნილების მიმართ გაუნელებელი სიძულვილით " (ლუსიენ ფებვრი).

სწორედ 1512 წ. გააკეთა მან „უდიდესი აღმოჩენა". როგორც ამბობს, ვიტენბერგის მონასტრის ერთ-ერთ კოშკში ხილვა ქონდა. ამიტომ ჯერ ჩუმად, ხოლო 1517 წლიდან უკვე სახალხოდ თავს ნამდვილ ახალ მოციქულად თვლიდა. ლუთერის შეხედულებები ემყარებოდა წმინდა პავლეს სიტყვებს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანი ცხონდება რწმენით და არა წესდების მითითებით."

საერთოდ მიაჩნდათ, რომ „კანონის მითითებები" იყო ებრაელების მიერ შემუშავებული ფორმალურად, რომელსაც პავლე ქრისტიანი ხალხისთვის უარყოფდა. ლუთერი ამბობს: ადამიანი იმდენად უბადრუკია, ხოლო ღმერთი — იმდენად ძლევამოსილი, რომ ადამიანების მიერ ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს იგი, მაინც ცოდვად ჩაითვლება. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ადამიანის გადარჩენა ანუ ხსნა. მხოლოდ *რწმენა,* ჭეშმარიტი რწმენა მიიყვანს ადამიანს ღმერთთან. საიდანაც ჩნდება ლუთერის გამოთქმა: „*Pecca fortiter sed crede fortius.*" ჩაიდინე მეტი ცოდვა, მაგრამ იწამე უფრო ძლიერ.

ლუთერმა რომის გარყვნილებისადმი დიდი სიძულვილი გამოამჟღავნა, რის შედეგადაც გააძევეს კათოლიკური ეკლესიიდან. ლუთერი გამოაცხადეს „ერეტიკოსად" და „სქიზმატიკოსად".

პირველი უთანხმოება მოხდა ცნობილი გარემოებების გამო. 1517წ. 31 ოქტომბერს ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე „გამოაკრა" თავისი ოთხმოცდათხუთმეტი თეზისი. ამ გზით მან დაგმო კარდინალების მიერ „ინდულგენციებით" ვაჭრობა, რომლის მიზანიც იყო სალხინებლის გამოცდის შემცირება. ლუთერი რისკზე წავიდა, როცა 1521წ. თავის გასამართლებლად ჩავიდა ქალაქ ვორმსში და წარსდგა იმპერატორის კარლოს V-ის და პაპის დესპანის წინაშე სეიმზე. ლუთერმა უკან არ დაიხია, არ დათმო პოზიციები და წამოაყენა ბიბლიის „თავისუფალი ახსნის" იდეა იმ ინტერპრეტაციის ნაცვლად, რომელიც ეკლესიის

მიერ იყო დადგენილი. ლუთერი მეტისმეტად პოპულარული იყო, რომ დაეკავებინათ, მან თავი შეაფარა თიურინგიის მთებში მდებარე ერთგვარ ციხე-თავშესაფარს ვორთბურგის კოშკს. სწორედ აქ თარგმნა ბიბლია გერმანულ ენაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის ისტორიისთვის: ეს იყო პირველი თანამედროვე ენაზე შესრულებული დიდი ლიტერატურული ნაწარმოები. ლუთერი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა. იგი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში, რომელსაც ღაღადებდა სიტყვით და კალმით, ხშირად ერთვებოდა მწვავე პოლემიკაში. სწორედ ამით განსხვავდება იგი ერაზმესგან.

1525 წ. გერმანიაში აჯანყდნენ ღარიბი გლეხები (მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მდიდარი და თითქმის დაუსახლებელი ქალაქები). ლუთერმა დაგმო ეს ამბოხი, თუმცა ამ ადამიანების მიმართ დიდ სიმპატიებს განიცდიდა. ამავე წელს, მან ცოლად შეირთო მონასტრიდან გაქცეული მონაზონი კატრინ დე ბორა.

ლუთერანობას და ე.წ. ევანგელიკურ ეკლესიას მომავალ თავში განვიხილავთ. ლუთერი სამოცდასამი წლის ასაკში გარდაიცვალა მშობლიურ აისლებენში იმ დროს, როცა კათოლიკური ეკლესია იწვევდა ტრიენტის საეკლესიო კრებას (1546).

V. ჰუმანიზმი გამაერთიანებელი მიმდინარეობა

XIII და XIV საუკუნეების მონაპოვარი, უნივერსიტეტები XV საუკუნეში განიცდის დაკნინებას.

ეფლობიან სქოლასტიკაში. ამგვარად უწოდებენ აზროვნების გაჩერებას, რომელიც გულისხმობს შემოქმედებითი დაკვირვების შეცვლას წინასწარ დადგენილი წესებით. მართალია, ეს წესები თანდათან იხვეწება, მაგრამ ორიგინალობით არ გამოირჩევა. მაშასადამე, სქოლასტიკა არის გაშეშებული თანამედროვე აზროვნება. ასევე არსებობდა ორი ტრადიციული თეორია: „რეალისტური“ და „ნომინალისტური“. რეალისტები ფიქრობდნენ რომ სინამდვილეში არსებობდა კონცეფციები, კატეგორიები, განზოგადოებები. ამ-

გვარად, ყველა ადამიანი მიეკუთვნება „ადამიანის“ კატეგორიას. ადამიანები ძალიან გვანან ერთმანეთს, რასაც ვერ ვიტყვით სხვა არსებების ჯგუფებზე: მაგალითად, ცხოველებზე. ნომინალისტები ისეთები, როგორებიც იყვნენ შოტლანდიელი დუნს სკოტი (1266-1308) ან ინგლისელი გიიომ ოკამი (1300-1349) კი პირიქით, ფიქრობდნენ, რომ არ არსებობს „არქეტიპი“. არ არსებობს „ადამიანი“. ეს არის მხოლოდ მოხერხებული სახელი არსებების მნიშვნელოვანი რაოდენობის აღსანიშნად. მხოლოდ სათითაოდ აღებული ეს არსება არის ჭეშმარიტი. გიიომ ოკამის მიმდევრებმა რეალისტების მსგავსად თავიანთი დებულებებისგან შექმნეს კრებულები. ამგვარად, ვერც არისტოტელეს ან მისი მიმდევრის წმინდა ტომასის რეალიზმი, ვერც გაყინული ნომინალიზმი, სამყაროს ახსნას ვერ ახერხებდა.

ადამიანის გონება წინააღმდეგობას უწევს სიბერეს. აქედან გამომდინარე, სქოლასტიკის მიმართ მკვეთრ რეაქციას ჰქონდა ადგილი, რასაც უწოდეს „ჰუმანიზმი“.

ჰუმანიზმი არის არა მოძღვრება, არამედ ქცევა. იგი არ გამორიცხავს არც ერთ თეორიას, მაგრამ აზროვნების ცენტრში აბსტრაქტულ აზრებს კი არ აყენებს, არამედ — ადამიანს. რა არის ადამიანი? რა ადგილი უჭირავს მას სამყაროში? საიდან წარმოიშვა? რა დანიშნულება გააჩნია? ამ კითხვებზე მიღებული დოგმატური პასუხების გაცემის მაგივრად, განვიხილოთ ეს საკითხები.

სავსებით შესაძლებელია, რომ ჰუმანიზმი იყოს ქრისტიანული. სწორედ ასე ფიქრობდა ერაზმე, რომელმაც შექმნა XVI საუკუნის ჰუმანიზმის ნიმუში. მაგრამ ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ წარმართული ან უბრალოდ, საერო ჰუმანიზმი, რომელიც რელიგიურ აზროვნებას გამოყოფს ჰუმანური აზროვნებისგან. იმ დროს, როცა სქოლასტიკა დახურულია („გლოსა“) და საბოლოოდ წრეშია ჩაკეტილი, ჰუმანიზმი არის აღმოჩენა განკუთვნილი უსასრულო სრულყოფილებისთვის. სქოლასტიკის მიხედვით, ზოგიერთი ადამიანი სრულყოფილია. ჰუმანიზმს კი შემოაქვს განუსაზღვრელი პროგრესის ცნება. აქ ხდება გახლეჩა ჰუმანურ და ტრადიციულ აზროვნებებს შორის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ XVI საუკუნის ჰუმანიზმი იყო *ევროპული* და *პანევროპული* მოვლენა.

იტალია არის ჰუმანიზმის სამშობლო, რომელიც უპირისპირდება უნივერსიტეტების სქოლასტიკას და ძველთან ერთად ქმნის ახალ ინტელიგენციას. ჰუმანიზმის ერთ-ერთი წინამორბედი იყო დანტეს მეგობარი, დიდი პოეტი პეტრარკა (1304-1374) არეცოდან, რომელიც ცხოვრობდა ავინიონში, რომსა და ფლორენციაში, იგი უიმედოდ იყო შეყვარებული ლაურაზე (შავი ჭირის ეპიდემიამ იმსხვერპლა 1348 წ.). რენანის და ბურკჰარდტის სიტყვებით რომ ვთქვათ, პეტრარკა იყო „პირველი თანამედროვე ადამიანი". მან დაგვიხატა რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმის დამახასიათებელი ნიშნები: კლასიკური ლათინურის დაბრუნება, ციცერონის და ჰორაციუსის კორექტულობის ძიება. დაიწყო ლათინური ენის კვლევა. ნაცნობ ტექსტებს, რომლებიც სავსე იყო გლოსებით, პეტრარკამ დაუმატა ახალი წყაროები, ასევე *ეპიგრაფია*, რაც იმას ნიშნავს, რომ დაიწყო ლათინური წარწერების გაშიფვრა.

პეტრარკას შემდეგ კლასიკური ლათინურის კვლევას კვლავ იტალიაში აგრძელებს ლორენცო ვალა (1407-1457). მისით აღფრთოვანებული იყო ერაზმი და გამოსცა ლორენცო ვალას ნაშრომები.

ლათინური ენის შესწავლასთან ერთად ისევ ჩნდება ინტერესი ბერძნული ენის მიმართ, რასაც ხელს უწყობს ბიზანტიელებსა და რომს შორის წარმოებული შეთანხმებები, რომლებიც რელიგიურ პლანზე ამაო გამოდგა.

ფლორენციული ჰუმანიზმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მარსილიო ფისინომ (1433-1499) და პიკო დე ლა მირანდოლემ. ჰუმანიზმი იტალიიდან გავრცელდა ყველა მიმართულებით და ყველა მხარეში, რაინის დაბლობზე და ინგლისში.

ევროპის კონტინენტისგან განსხვავებით, ინგლისის სასწავლებლები დაცემას არ განიცდის. ოქსფორდის უნივერსიტეტმა გაბედულად მიიღო ჰუმანისტური მიმდინარეობა. ინგლისის მეფე ჰენრი VIII (1509-1547) თავს თვლიდა ლათინისტად, თეოლოგად და მუსიკოსად, მისი შვილები

თავისუფლად ფლობდნენ ორ ენას: ლათინურს და ფრანგულს. სწორედ მეფის წყალობით კემბრიჯში ისწავლებოდა ბერძნული და ებრაული ენები. მომავალი დედოფალი, ელიზაბეტი და მეფის კანცლერი, თომას მორი რამდენიმე ენაზე საუბრობდნენ.

ესპანეთში ჰუმანიზმი შედარებით ნელა ვრცელდება XVI საუკუნის დასაწყისში. ახლადშექმნილმა უნივერსიტეტმა გამოსცა „ალკალას ბიბლია", რომელიც მიუთითებდა ბერძნული და ებრაული ენების ზეგავლენზე.

საფრანგეთში ჰუმანიზმის გავრცელება დაკავშირებულია საეოიარელი გიიომ ფიშეს (1433-1483) სახელთან. ასევე უნდა აღინიშნოს წარმოშობით პიკარდიელი ლეფევრ დ'ეტაპლის (1450-1537) წვლილი. იგი იყო ხელოვნების მაგისტრი და არა თეოლოგი, თუმცა ჩინებულად იცნობდა არისტოტელეს და ბერძნულ ენას. 1530 წ. გიიომ ბუდეს ზეგავლენით, ფრანსუა I დაარსა კოლეჟ-დე-ფრანსი.

1503 წ. ლეფევრ დ'ეტაპლი სტუდენტების შესახებ წერდა: „სულ მიატოვეს ფილოსოფია და დიალექტიკა, და დასდევენ გრამატიკოსებსა და პოეტებს, რომლებსაც ფილოსოფოსები სასტიკად იწუნებდნენ."

1517 წ. ლუვენში იხსნება სამ ენოვანი კოლეჯი, სადაც ისწავლება ლათინური, ბერძნული და ებრაული ენები, ბერძნულის და ებრაულის კათედრები შეიქმნა ჰაიდელბერგში, ტიუბინგენში, კოლმარიში, რომში, ლეონ X მიერ დაარსებულ კოლეჯში იზრდებიან ელენისტები; მიუხედავად ამისა, XVI საუკუნის დასაწყისში, პიერ შონუს გადმოცემის მიხედვით, ჰუმანისტების 40% ცხოვრობდა იტალიაში. როლან მუსნიე თავის მხრივ, წერდა რომ სწორედ „იტალია აძლევდა მიმართულებას ევროპას".

განათლებული ჰუმანისტების და სტუდენტების არაჩვეულებრივმა ცნობისმოყვარეობამ და შრომისუნარიანობამ ყველა სფეროში იჩინა თავი: ხელოვნებაში გოთიკური სტილი შეიცვალა კლასიკური შთაგონების რენესანსით, ლიტერატურაში ძველი თაობის მიბაძვით იქმნება ახალი ჟანრები და სტილი, ემპირიული დაკვირვების საფუძველზე, მაგალითად, მედიცინასა და ასტრონომიაში, შეიქმნა სოციალური

მეცნიერებები. მაშასადამე, აქამდე ერთ ადგილზე გაყინული ევროპა იწყებს გამოცოცხლებას.

VI. ქრისტიანული სარწმუნოების რეფორმები და *cujus regio ejus religio*

საუკუნეების მანძილზე ნანატრი რეფორმა XVI საუკუნეში განხორციელდა. უფრო სწორი იქნება, თუ ამ სიტყვას მრავლობითში ვიხმართ, რადგან ე.წ. „პროტესტანტულმა" გაერთიანებამ ის რამდენიმე მიმდინარეობად დაყო. დისიდენტური მოძრაობების საპირისპიროდ, გატარდა ფართო მაშტაბის კათოლიკური რეფორმა. ერთიანობაში, ყველაფერი ეს გახლდათ ძლიერი და შემოქმედებითი სულიერი ავანტიურა. ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით, უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა დონეზე გატარდა ეს რეფორმები ხვადასხვა ქვეყანაში. სინამდვილეში, როგორც კათოლიკე, ისე პროტესტანტი სახელმწიფოსთვის უცხო იყო შემწყნარებლობის გრძნობა, ქვეყანა ცნობდა იმ სარწმუნოებას, რომელსაც ამ ქვეყნის ხელისუფალი აღიარებდა. აქედან მოდის გამოთქმა: ვაღიარებთ იმ ქვეყნის რელიგიას, რომელშიც ვცხოვრობთ. მიუხედავად ამისა, გაჩნდა პიროვნული უფლება, ე.წ. ემიგრირების უფლება, რაც სასურველი სარწმუნოების მისაღებად სხვა ქვეყანაში გამგზავრებას გულისხმობდა.

ლუთერანული ეკლესია. ლუთერის, როგორც წარჩინებული ადამინის შესახებ ბევრი ვისაუბრეთ, თუმცა გვერდი ავუარეთ მის ფილოსოფიას. მაშ ასე, რომაული ეკლესიის უარყოფის და ბიბლიის „თავისუფალი შესწავლის" ქადაგების შემდეგ, ლუთერმა წამოაყენა ასეთი იდეა: ხელმწიფე, რომელიც ირწმუნებდა ლუთერის რეფორმას, სამოქალაქო ძალაუფლებასთან ერთად მიიღებდა ეკლესიურ ფასეულებებზე დაფუძნებულ ძალაუფლებას და ეკლესიების მართვის საშუალება ექნებოდა. 1526-1538 წლებში მარტინ ლუთერმა საქსონიაში დაარსა ახალი ეკლესია, რომელიც მას შემდეგ ლუთერანული ეკლესიის ნიმუშს წარმოადგენს. მე-

ფე ნიშნავდა პასტორებს და მთავარ ზედამხედველებს, რომლებიც აკონტროლებდნენ სხვადასხვა საზოგადოებას. ამ სასულიერო პირებს ჰქონდათ დაქორწინების უფლება. მათ უარი თქვეს ღვთისმშობლის და წმინდანების თაყვანისცემაზე, ასევე უარყვეს წმინდანთა ხატები და ქანდაკებები. დატოვეს მხოლოდ ორი საიდუმლო: ნათლობა და ზიარება. ტაძარში წირვა ტარდებოდა ყოველ კვირა დღეს იმ ქვეყნის ენაზე, რომელშიც ეს ტაძარი იდგა, მაგრამ ღვთისმსახურების პროცესი გამარტივებული იყო.

როლან მუსნიეს თქმით, ეს საეკლესიო რეფორმა გატარდა ყველა სოციალურ ფენაში. იგი იწამა ბევრმა ხელისუფალმა, ზოგმა რწმენის, ზოგმა პოლიტიკური შეხედულების, ზოგმაც ინტერესის გამო. საქსონიის ამომრჩეველის გარდა, ლუთერანულ ეკლესიას შეურთდა ტევტონური ორდენის დიდი მაგისტრი, ლანდგრავ დე ჰესი, შვედებიც, რომლებიც დანიელების წინააღმდეგ აჯანყდნენ (1523-1529), მოგვიანებით კი შვედებთან დამარცხებული დანია (1530-1535). ბევრი ლუთერანი ცხოვრობდა ნიდერლანდებში.

ესპანეთის კათოლიკე მეფემ, კარლოს V, გერმანიაში სცადა კათოლიკე ეპისკოპოსების აღდგენა და მათთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნება. რის გამოც მის წინააღმდეგ შეიქმნა სმალკალდას ლიგა (1531), რომელიც საფრანგეთის მეფეს, ფრანსუა I დაუკავშირდა. 1539 წ. ვურტემბერგის და ბრანდებურგის მეფეებმა მიიღეს პროტესტანტობა. კარლოს V იძულებული გახდა ოფიციალურად ელიარებინა ლუთერანობა. 1555 წ. სწორედ აუსბურგის ზავის დროს გამოაცხადეს პრინციპი *cujus regio ejus religio.* გერმანიის ორი მესამედი ლუთერანულ მოძღვრებას აღიარებდა, მათ შორის ვესტფალიის და რეინისპირეთის ოლქის ერთი ნაწილი. ბრძოლით გადაღლილი კარლოს V გადადგა, ავსტრიის სამფლობელოები და იმპერია გადასცა ძმას, ფერდინანდს, ხოლო ესპანეთის სამფლობელოები, ნიდერლანდები, იტალია და ზღვის იქეთა სახელმწიფო — ვაჟიშვილს, ფილიპე II-ს (1556-1598).

ცვინგლი. წარსულში არსებული სტრუქტურული ეკლესია

ხელს უშლიდა თავისუფალი არჩევანის პრინციპს. ბევრს მიაჩნდა, რომ ლუთერი ზედმეტად თავშეკავებული იყო. მისი ერთ-ერთი მიმდევარი გახლდათ წარმოშობით შვეიცარიელი ცვინგლი, რომელიც დაიბადა 1484 წ. ციურიხის მღვდელმა უარყო ყველა საიდუმლო და თითოეულ ეკლესიას მისცა დემოკრატიული სტრუქტურა. ციურიხმა, ბაზელმა, ბერნმა მიიღო ეს ტრუქტურა. თუმცა ტექსტების თავისუფალი ინტერპრეტაცია ბოლოს გახდა უამრავი დავის, შეხედულებების, სექტის წარმოქმნის მიზეზი.

ჟან კალვინი. ასეთ ვითარებაში გამოჩნდა ჟან კალვინი. დაიბადა 1509 წ. საფრანგეთში, ნუაიონში, ერთ-ერთ ბურჟუაზიულ ოჯახში. პარიზის, ორლეანის, ბურჟის უნივერსიტეტებში შეისწავლა ბერძნული და ებრაული ენები. 1534 წ. დაუკავშირდა ლუთერანულ მიმდინარეობას. 1534 წ. საფრანგეთის მეფემ, ფრანსუა I, დიდი ყოყმანის შემდეგ (მისი და, მარგარიტა ნავარელი პროტესტანტებს მფარველობდა) გამოსცა ედიქტი, რომელიც ერეტიკოსების განადგურებას მოითხოვდა. ამის გამო კალვინი საფრანგეთიდან გაიქცა და სტრასბურგის გავლით, ბაზელში ჩავიდა, სადაც 1536 წ. გამოაქვეყნა ლათინურად დაწერილი თხზულება *ქრისტიანული სარწმუნოების დარიგებანი,* რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრების დებულებანი. ლუთერის მსგავსად, კალვინი უარყოფდა „ტრადიციას" — რომაული ეკლესიის მიერ ბიბლიის ავტორიტარულ განმარტებას. უმაღლეს ავტორიტეტს წარმოადგენდა მხოლოდ საღვთო წერილი. მას სწამდა, რომ მხოლოდ უფლის ნებას შეეძლო ადამიანის ხსნა. კალვინს სურდა „რწმენით სამოთხეში დამკვიდრება", უარყოფდა ზოგიერთ საღვთო საიდუმლოს, გმობდა მღვდლების ქორწინებას, ჩვეულებრივ ენაზე ღვთის-მსახურებას. *ქრისტიანული სარწმუნოების დარიგებანი* ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 1541 წ. და ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ლუთერის შეხედულების საპირისპიროდ, კალვინი თვლიდა, რომ ზიარების დროს ღვინოსა და პურში არ შეიძლება ვიგულისხმოთ ქრისტეს „ნამდვილი არსებობა". მას განსაკუთრებით სჯე-

როდა ბედისწერის. მისი აზრით, ღმერთი იმდენად ყოვლისშემძლეა, რომ მას არ სჭირდება საკუთარი ბედის განჭვრეტა. „კალვინის თვალთახედვით, ღმერთი თავისუფალია. უფლის წინასწარმეტყველება არ ემთხვევა მის დიდი ხნის სურვილებს. იგი განსაზღვრავს ადამიანთა ბედს: ერთ ნაწილს ე.წ. „რჩეულთ" ელით მარადიული ცხოვრება, მეორე ნაწილს კი ე.წ. „მისჯილთ" — წაწყმედა. „ეს დაუძლეველი წყალობაა, რომელსაც ადამიანი ვერსად გაექცევა" (როლან მუსნიე). კალვინის აზრით, ეკლესიამ შეცდომა არ უნდა დაუშვას. ეკლესია ასევე, არ უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოს.

1541 წლიდან გარდაცვალებამდე 1564წ. კალვინი ჟენევაში ცხოვრობდა, რომელიც როგორც ამბობდნენ, „კალვინისტურ რომად" გადაიქცა. თეოდორ დე ბეზი სათავეში ედგა კოლეჯს, რომელიც განათლებას აძლევდა პასტორებს. ბოლო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ყველა პასტორს ხალხი ირჩევდა. რჩეულ პასტორთა კონსისტორია (საეკლესიო საბჭო) კონტროლს უწევდა მოქალაქეებს და შეეძლო მათი დასჯა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ექიმის, მიგელ სერვეტის შემთხვევა, რომელსაც ბრალი დასდეს სამების უარყოფაში და კოცონზე დაწვეს 1553 წ. კალვინისტურ მოძღვრებაში შეიმჩნევა სოციალური და მკვეთრი დემოკრატიული ტენდენციები. თუმცა კალვინი სრულებით არ გმობდა კაპიტალიზმს.

კალვინიზმი გავრცელდა შოტლანდიაში (შორსმხედველები), ნიდერლანდებში, ბოჰემიაში, უნგრეთსა და პოლონეთში. კალვინიზმმა შეაღწია საფრანგეთშიც, რომელშიც გაერთიანდა რამდენიმე მემამულე.

საფრანგეთის ვითარება. 1559-დან 1598 წლამდე საფრანგეთი წარმოადგენდა განსაკუთრებულად სასტიკი რელიგიური ბრძოლების ასპარეზს, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია წმინდა ბართლომეს ღამის ხოცვა-ჟლეტა, რომლის შესახებაც განკარგულება გასცა მეფე შარლ IX და მისმა დედამ ეკატერინე მედიჩმა, 1572 წ. 24 აგვისტოს.

ვალუების დინასტიის უკანასკნელი მეფეები ისე წავიდ-

ნენ ამ ქვეყნიდან, რომ ვაჟიშვილი არც ერთ მათგანს არ დარჩა. ყველაზე ახლო ნათესავი გახლდათ ანრი ბურბონი, რომელიც წმინდა ლუის (საერთო წინაპარი, გარდაიცვალა 1270 წ.) მეექვსე ვაჟიშვილის შთამომავალი იყო. ანრი ბურბონის მამა, ანტუან ბურბონი, საკუთარი მიზნების გამო დაუკავშირდა რეფორმას და მონაწილეობდა მის აღმოფხვრაში; ხოლო ანრის დედა, ჟანა ნავარელი მორწმუნე კალვინისტი გახლდათ. ანრი სათავეში ედგა „ჰუგენოტთა“ (რათქმაუნდა, სიტყვა ნაწარმოებია გერმანული *eidgenossen*, რაც „ფიცით დაკავშირებულებს“ ნიშნავს, ეს ფიცი კალვინისტებმა დადეს ჟენევაში, შემდეგ საფრანგეთში) პარტიას. 1589 წ. ანრი ბურბონი არმიის ერთმა ნაწილმა საფრანგეთის მეფედ გამოაცხადა.

მას წინააღმდეგობას უწევდა კათოლიკური ანუ წმინდა ლიგა, რომელსაც მართავდნენ დიდგვაროვნები. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდნენ შეძლებული ფენების წარმომადგენლები: ადვოკატები, ექიმები, ვაჭრები. საბოლოოდ, ანრი IV-მ მათზე გამარჯვება მოიპოვა, თუმცა კათოლიკური სარწმუნოების მიღება მოუხდა.

1598წ. მეფემ ნანტის ედიქტი გამსცა; რისი მიხედვითაც პროტესტანტებს შეეძლოთ თავისუფლად აერჩიათ ღვთისმსახურება და გარანტიის სახით მათ მფლობელობაში გადადიოდა ციხე-სიმაგრეები, რომელთაც თვითონვე იცავდნენ საკუთარი ჯარით. 1629წ. პროტესტანტებმა დაკარგეს ეს „უსაფრთხოების გარანტი“, ხოლო 1685 წ. ლუი XIV-მ საერთოდ გააუქმა ეს ზედმეტად შემწყნარებლური ედიქტი. დევნილი პროტესტანტების ერთი ნაწილი ჯიუტად რჩებოდა საფრანგეთში, ხოლო მეორე ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. ფრანგმა ჰუგენოტებმა მთელს ევროპაში გაავრცელეს საეკლესიო რეფორმა.

ანგლიკანიზმი. ინგლისში ჩატარდა სრულიად განსხვავებული რეფორმა, რომელიც არ გავდა ლუთერის, ცვინგლის თუ კალვინის თეორიულ რეფორმებს. მისი მიზანი იყო ეროვნული ანგლიკანური ეკლესიის შექმნა, რომელიც განსაზღვრებად შეინარჩუნებდა სიტყვა „კათოლიკურს“; საერ-

თო ჯამში ეს რეფორმა მიმართული იყო პაპიზმის წინააღმდეგ: '*No popery*!"

1509 წ. ტახტზე ადის მეფე ჰენრი VIII და თავდაპირველად მხარს უჭერს ოქსფორდის დაჯგუფებას, რომელიც ერაზმეს მიმდევრებით შედგებოდა; ესენი იყვნენ თომას მორი, ჯონ კოლეტი. ისინი შეხვდნენ ინგლისში ჩასულ დიდ ჰუმანისტს. გადამწყვეტი როლი ითამაშა ორმა მატერიალურმა საკითხმა. ერთის მხრივ, ეკატერინე არაგონელზე დაქორწინებულ ჰენრი VIII-ს განქორწინება სურდა და ენ ბოლეინის ცოლად მოყვანას აპირებდა. პაპმა განქორწინებაზე უარი უთხრა, მაშინ მეფემ საეკლესიო ტრიბუნალი მოიწვია და საქორწილო კავშირი გააუქმა. ცნობილია, რომ ენ ბოლეინი ღალატში დაადანაშაულეს და თავი მოკვეთეს. ჰენრი VIII-ს მის გარდა კიდევ ოთხი კანონიერი მეუღლე ჰყავდა. გადამწყვეტი მოვლენები განვითარდა 1533-1537 წლებში.

თავდაპირველად მეფემ გამოსცა *სუპრემატიის აქტი*, რომლითაც ინგლისური ეკლესია ჩამოაშორა რომის ეკლესიას და სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა; მეფის მიზანი იყო ერთის მხრივ, სასულიერო ძალაუფლების მოპოვება, ხოლო მეორეს მხრივ, ეკლესიის ქონების განკარგვა. პარლამენტმა სრული თანხმობა მისცა. ყველა ის ადამიანი, რომელიც ომის ერთგული რჩებოდა და მეფის უპირტესობას არ აღიარებდა, სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის იყო საბრალო თომას მორი. პაპთან განხეთქილება დასრულებული იყო (1537). ინგლისის ხაზინის კანცლერმა, ტომას კრომველმა, შექმნა ახალი ანგლიკანური ეკლესია. მეფემ დახურა მონასტრები, მოახდინა მათი სეკულარიზაცია, რასაც მოყვა არახელსაყრელი ეკონომიკური შედეგები. შენარჩუნებული იქნა ეპისკოპოსების და მღვდლების იერარქია. საშინლად დევნიდნენ კათოლიკეებსა და კალვინისტებს.

კათოლიკური ქვეყნები. კარდინალი ხიმენეს დე სისნეროსი. მთლიანად კათოლიკური ქვეყნები იყო იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ბავარია, ჰაბსბურგთა ავსტრია, პოლონეთი, ტრირის საჰერცოგოები, მაინცი, კელნი და რამ-

დენიმე სამხრეთ ნიდერლანდების ქვეყანა; საფრანგეთის, ბოჰემიის, უნგრეთის უმეტესი ნაწილი კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდა. იტალიამ შეძლო რეფორმის თავიდან აცილება. ესპანეთში ნამდვილი კათოლიკური საეკლესიო რეფორმა მოაწყო კარდინალმა ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსმა (1436-1517), ადამიანმა, რომელიც ყოველთვის წინა პლანზე იდგა. სისნეროსი წარმოშობით კასტილიიდან იყო, სალამანკის უნივერსიტეტში ასწავლიდა სამართალს, იყო ფრანსისკელი, დედოფალ იზაბელის მოძღვარი, ტოლედოს არქიეპისკოპოსი, კასტილიის რეგენტი კარლოს V-ს გამეფებამდე. 1498 წ. სისნეროსმა დაარსა ალკალას უნივერსიტეტი, სადაც მისი რედაქტორობით ექვს ტომად გამოიცა *ალკალას მრავალენოვანი ბიბლია* (ებრძნულად, ლათინურად, ებრაულად), რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. სისნეროსის რეფორმა მნიშვნელოვანი წამოწყება ოყო ერთდროულად დისციპლინის,განათლების,სულიერების თვალსაზრისით. იგი აქვეყნებს მარტივ კატეხიზმოს. სისნეროსმა მონაწილეობა მიიღო რელიგიური ლიტერატურის გავრცელებაში და ხელი შეუწყო უბრალო ენაზე შექმნილი სასულიერო ნაწარმოებების გამოცემას.

პორტუგალიაში ეფექტური რეფორმა განხორციელდა სამღვდელოების, განსაკუთრებით, ფრანცისკელების ძალისხმევით, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ შტოს უწოდეს *Capuchos*.

ბოლონიის კონკორდატი. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში ანტიპაპისტური რეფორმა შეფერხდა შემდეგი მიზეზით: ინგლისის მეფის ჰენრი VIII-გან განსხვავებით, ფრანგი მონარქის მიზანი არ იყო საეკლესიო ქონების მითვისება. მეფემ უარი თქვა შარლ VII ბურჟის პრაგმატული სანქციის (1438) ზოგიერთ მუხლზე. საფრანგეთის მეფეს შეეძლო სასულიერო პირებისთვის გადაეცა საეკლესიო ბენეფიციები, მაგრამ იტოვებდა „რჩევის" უფლებას. პაპები არასოდეს დათანხმდებოდნენ ასეთ გარემოებას, რომელიც შეიძლებოდა გართულებულიყო. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქონდა

საფრანგეთის მეფის და პაპის, ლეონ X შეხვედრას ბოლონიაში, 1515 წლის 11-15 დეკემბერს.

ორივე ხელისუფალი თანახმა იყო, ხელი მოეწერა კონკორდატზე. 1516 წ. დადებული ბოლონიის კონკორდატით გაუქმდა პრაგმატული სანქცია. თუმცა მეფეს გადაეცა უფლება დაესახელებინა სატახტო ქალაქის ეკლესიები (საარქიეპისკოპოსოები), ტაძრები (ეპისკოპოსები), მონასტრები და მისი წინამძღვრები საფრანგეთში, ვენაში დოფინის მამულში და საგრაფოში, შემდეგ ბრიტანეთსა და პროვანსში. ამ თანამდებობებზე დანიშნული სასულიერო პირები ემორჩილებოდნენ პაპის „კანონიკურ წესდებას". პარლამენტი და პარიზის უნივერსიტეტი თვლიდა, რომ ეს კონკორდატი ნაკლებ „გალიკანური" იყო, რის გამოც ეწინააღმდეგებოდა მეფის გადაწყვეტილებას, მაგრამ ფრანსუა I-მა მისი გამოყენება ბრძანა. მას არასოდეს დასჭირვებია დარიგებული ბენეფიციების უკან ჩამორთმევა.

ტრიენტის საეკლესიო კრება. კათოლიკური ეკლესია როგორღაც წინააღმდეგობას უწევდა პროტესტანტულ რეფორმას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მას თვითონ სჭირდებოდა გარდაქმნა. სწორედ ეს გახდა ტრიენტის საეკლესიო კრების მთავარი ამოცანა. ტრიენტა მდებარეობდა იტალიის ჩრდილოეთით, ჰაბსბურგების მიწაზე.

ამ კრების ინიციატორი იყო რომის პაპი პავლე III (ალექსანდრე ფარნეზი), რომელიც თავის მოადგილეებთან ერთად გაბედულ გადაწყვეტილებებს იღებდა, იყო ენერგიული ადამიანი. იგი მეფობდა 1534-1549წ. თურქების წინააღმდეგ ბრძოლა, ინგლისის მეფის ჰენრი VIII-ის ეკლესიიდან განკვეთა, კარლოს V-სა და ფრანსუა I-ს შორის შუამავლობა, რომის წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობა (მიანდეს მიქელანჯელოს), ყველაფერი ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ პავლე III მნიშვნელოვანი ფიგურა გამხდარიყო. მაგრამ მან ასევე ბიძგი მისცა კათოლიკურ რეფორმას, მხარი დაუჭირა იეზუიტთა ორდენის შექმნას (1540წ. იხ, ქვეით) და მოიწვია მსოფლიო საეკლესიო კრება სწორედ ეკლესიის რეფორმისთვის.

ტრიენტის საეკლესიო კრება გახსნა რომის პაპმა 1545 წ. დეკემბერში, რომელიც შესვენებებით მიმდინარეობდა 1563 წლამდე. მისი მიზანი იყო კათოლიკური მოძღვრების განსაზღვრა იმათ წინააღმდეგ, ვინც მთელი გულით უარყოფდა ამ ქრისტიანულ მრწამსს. კრება ბოლომდე ამ საქმის ერთგული დარჩა. თავდაპირველად კრებაზე აღიარეს ადამიანის თავისუფლება, ღმერთის მიერ ადამიანების დაყოფა რჩეულებად და წყეულებად *წინასწარ კი არ ხდება*, არამედ ადამიანის საქციელიდან გამომდინარე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ რწმენით სულს ვერ იხსნი. ამგვარად, საეკლესიო კრება განადიდებდა ტრადიციული, ქრისტიანული, ანტიკური ხანის ჰუმანიზმს, რომელიც წმინდა ავგუსტინეს, წმინდა ბერნარის, წმინდა ტომას'აკენის მსგავსად, ოპტიმისტური გრძნობით იქნებოდა გამსჭვალული. კათოლიკების აზრით, ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და ამ უკანასკნელს თავის მხრივ, შეუძლია შექმნას მეცნიერება, ხელოვნება, მუსიკა, პოეზია, ტექნიკა და ა.შ. ღმერთი არ არის მხოლოდ ყოვლისშემძლეობა, იგი არის მთელი სიკეთე, რომელიც თავის მადლს გადასცემს განურჩევლად ყველას. მთავარია სიყვარული.

ეკლესია არის ღმერთის გამოხატულება დედამიწაზე. მისი მიზანია ადამიანის წინამძღოლობა ხსნის გზაზე. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების წყაროს წმინდა წიგნი წარმოადგენს, მაგრამ სული წმინდა მისი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ეკლესია მოითხოვდა დოგმატური საკითხების ოფიციალურ, *ტრადიციულ*, გადაწყვეტას და უარყოფდა თავისუფალ არჩევანს. მორწმუნე ქრისტიანმა ბიბლია უნდა წაიკითხოს იმ წიგნებში, რომელსაც ოფიციალური განმარტება ექნება.

ღვთისმსახურებაში შენარჩუნებული იქნა ქრისტეს მიერ შექმნილი შვიდი საიდუმლოება: ნათლისღება, მონანიება (აღსარებასთან ერთად), მირონცხება (როცა ხდება სული წმინდის მიღება), ევქარისტია (ზიარება, როცა პური და ღვინო „ტრანსსუბსტანციის" გზით ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაიქცევა), ქორწინება, მღვდლობა, ზეთის კურთხევა.

საეკლესიო კრება ეწინააღმდეგებოდა პროტესტანტულ მოძღვრებას და ქრისტეს თაყვანისცემის შემდეგ აღიარებდა ღვთისმშობლის და წმინდანთა აღმსარებლობას. ცრუმორწმუნეობისგან განთავისუფლებულ ხატებს, ქანდაკებებს, რელიქვიებს დიდი სულიერი და აღმზრდელობითი ღირებულება გააჩნდა. ღვთისმსახურება მიმდინარეობდა ლიტურგიის საფუძველზე ცერემონიალების წესის დაცვით. აღადგინეს სამღვდელოების დისციპლინა, გააუქმეს ბენეფიციები. ოცდახუთ წლამდე ადამიანი მღვდელი ვერ გახდებოდა. მომავალი მღვდლები განათლებას მიიღებდნენ ეპარქიის მიერ დაარსებულ სემინარიებში.

ამგვარად, საეკლესიო კრების ღვაწლი უსაზღვრო იყო. არსებობდნენ ადამიანები, კერძოდ, პაპის წარმომადგენელი ავგუსტინელი ბერი ალექსანდრე სერიპანდო, რომელებიც ზრუნავდნენ, რომ პროტესტანტებსა და კათოლიკურ ეკლესიას კავშირი სამუდამოდ არ გაეწყვიტა. იეზუიტები კი, პირიქით, მეტი პრინციპულობით გამოირჩეოდნენ. მიუხედავად ამისა, ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სულიერი ხასიათის პროტესტანტურმა (ძირითადად, ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში, ირლანდიის გამოკლებით) თუ კათოლიკური ეკლესიის რეფორმმა დიდი კვალი დატოვა ევროპელი ხალხის ისტორიაში. ამ დაპირისპირების შესახებ როლან მუსნიე წერს: „საერთო კათოლიკური აზროვნება პროტესტანტული ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ“.

აქვე, რამდენიმე სიტყვით უნდა დავახასიათოთ კათოლიკური რეფორმის მამოძრავებელი ძალა, იეზუიტების ორდენი, რომელის შექმნაც ესპანელ იგნატიუს ლოიოლას სახელს უკავშირდება.

იგნატიუს ლოიოლა. ინიიგო ანუ იგნატიუს ლოიოლა დაიბადა 1491 წ. ესპანეთში, ბასკეთის მხარეში. იგი გახლდათ გიპუსკოის პროვინციის თავადაზნაურობის ძველი გვარის წარმომადგენელი. ლოიოლა სამუშაოდ მოეწყო ხაზინადარ ფერდინანდ კათოლიკესთან და ახალგაზრდობის წლები მეფის კარზე გაატარა. მალე ოფიცრის წოდება მიიღო და ჩაება ფრანგების წინააღმეგ ქალაქ პამპლონის და-

საცავად გამართულ ბრძოლაში (1521). ლოიოლა მერვჯვენა ფეხში დაიჭრა. გამოჯანმრთელობის პროცესი ჭიანურდებოდა. ლოიოლა არჩევნის წინაშე იდგა: ერისკაცობა თუ ღვთისმოსაობა. ბოლოს იგი განუდგა ამქვეყნიურ ცხოვრებას და გაემგზავრა მონსერატის მთებში მდებარე ერთ-ერთ მონასტერში, ლოიოლა ათობით კილომეტრს გადიოდა და ავადმყოფებს უვლიდა მონრეზეს ჰოსპიტალში. იგი თვითწამებაში ცხოვრობდა და მათხოვრობით ირჩენდა თავს. ბოლოს ავად გახდა და უცნაურმა ეჭვებმა შეიპყრო. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი მის ცხოვრებაში; ლოიოლა მიხვდა, რომ ღვთის სამსახურში ყოფნა უნაკლო ჯანმრთელობას მოითხოვს, აქედან გამომდინარე, უნდა შეიზღუდოს ხორცის მოკვდინება.

სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ლოიოლას „სულიერი სავარჯიშოები", რომელიც 1548 წ. გამოიცა. ამ თხზულების მიხედვით, ადამიანმა უნდა მოახერხოს საკუთარი თავის და ცხოვრების მართვა ისე, რომ ვერანაირმა მავნე სენმა მისი შეჩერება ვერ შეძლოს. ამ შეხედულებებს ატყვია ლოიოლას, როგორც ყოფილი ჯარისკაცის კვალი. ამიერიდან, იგი ქრისტეს რაინდი ხდება.

ლოიოლას არ სურს მარტო ყოფნა. მას სჯერა, რომ ურწმუნოების მოქცევის დროც მოვა, რაც ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს გულისხმობს.

1523 წ. ლოიოლა სალოცავად ჩავიდა იერუსალიმში. შემდეგ საეკლესიო წოდების მოსაპოვებლად სწავლა განაგრძო ალკალას უნივერსიტეტში, სადაც მასზე ეჭვი მიიტანა საშინელმა ინკვიზიციამ. ლოიოლა დააპატიმრეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან დატოვა სალამანკის უნივერსიტეტი.

პარიზული დაჯგუფება. შემდეგ ლოიოლა მიემგზავრება პარიზში (1528). მოეწყო მონტეგუს უნივერსიტეტში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ კალვინმა დატოვა. კალვინი ლოიოლაზე თვრამეტი წლით უმცროსი იყო. ლოიოლას მატერიალურად ძალიან უჭირდა, თავს მათხოვრობით ირჩენდა, თუმცა სწავლას არ ეშვებოდა, მან დაიწყო ლათინური ენის გრამატიკის შესწავლა. ლოიოლა ერთ ოთახში ცხოვ-

რობდა საოიარელ პოლ ლე ფევრთან და თანამემამულე ფრანსუა ქსავიესთან, რომლებიც ძალიან ეხმარებოდნენ მას. ისინი არიან პირველი იეზუიტები, ლოიოლას სულიერი აღმასვლის მოწმენი. 1533 წ. ლოიოლამ მიიღო მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. მან შექმნა პატარა ჯგუფი, რომლის შვიდმა წევრმა თავიანთი სიცოცხლე მიუძღვნა პაპის და ეკლესიის სამსახურს. ამ ჯგუფში შედიოდნენ ლოიოლას თანამოაზრეები: ჟაკ ლაინესი, არაჩვეულებრივი ლინგვისტი ალფონს სალმერონი, ნიკოლოზ ალფონსო, ზედმეტსახელად ბოდაბილია და ბოლოს პორტუგალიელი აზნაური სიმონ როდრიგეს აზევედო. იეზუიტური მიმდინარეობის საფუძვლების შექმნა ამ ჯგუფის სახელს უკავშირდება. მათ ფიცი დადეს მონმარტრის ტაძარში.

იესოს საზოგადოების დაარსება. როცა იგნატუსი საქმეების მოსაგვარებლად ლოიოლაში მიდიოდა, ჯგუფი პარიზში აგრძელებდა ცხოვრებას. მას შეემატა სამი ახალი წევრი საფრანგეთიდან და საოიადან. აღსანიშნავია იგნატუსის, ლაინესის და ლე ფევრის მოგზაურობა რომში 1538წ. რომლის დროსაც ჯგუფის წევრებს გაუჩნდათ იესოს საზოგადოების დაარსების იდეა. ამ საზოგადოების მისწრაფება იქნებოდა *პაპის მორჩილების განსაკუთრებული სურვილი.*

1540წ. პაპის სიგელით ეს „სულიერი ჯარი" ეკლესიის სამსახურში ჩადგა. წესდების „დამუშავება" 1550 წ. დასრულდა. იეზუიტთა ხელმძღვანელი — „გენერალი" უშუალოდ რომის პაპს ემორჩილებოდა და არჩეული იყო მუდმივად საერთო კონგრეგაციის მიერ. სრულყოფილ იეზუიტს ჩვიდმეტი წელი უნდა ესწავლა.

იესოს საზოგადოების მიზანი იყო არა მხოლოდ თავისი წევრების კურთხევა, არამედ მისიონერული როლის შესრულებაც: პროტესტანტების კათოლიკედ მონათვლა (როგორც ეს მოხდა გერმანიის რამდენიმე ქალაქში) და შორეული მოგზაურობებში წასვლა ურწმუნოთა ჭეშმარიტ რწმენაზე მოსაქცევად.

იეზუიტთა ორდენი ელვის სისწრაფით გავრცელდა.

იეზუიტები იყვნენ არაჩვეულებრივად მომზადებულნი, განსწავლულნი, რის შედეგადაც გახდნენ კათოლიკური რეფორმის ძლიერი დამცველები. მათი ძალაუფლება და ზეგავლენა გაცილებით დიდი იყო ვიდრე პაპების ალექსანდრე VI-ის და იულიუს II-ის, რაც ძვირად უჯდებოდათ: ისტორიის მანძილზე მათ უამრავი წინააღმდეგობა, დევნა, გადასახლება და აკრძალვა ხვდათ წილად ხელისუფლების მხრიდან. იესოს საზოგადოების წარმატებული საქმიანობის შესახებ გარკვეული შთაბეჭდილების შესაქმნელად, უნდა აღინიშნოს, რომ იგნატუს ლოიოლას გარდაცვალების შემდეგ ამ საზოგადოებას ეკუთვნოდა სხვადასხვა პროვინციებში განლაგებული ას ერთი იეზუიტური ორდენის სახლი (ამათგან ბევრი მეორადი კოლეჯი იყო), რომელშიც ათასი მორწმუნე დადიოდა. ასეთი სახლები გავრცელებული იყო მთელს ევროპაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, იაპონიაში, კონგოსა და აბისინიაში. 1616 წელს იესოს საზოგადოება უკვე ითვლის ას ოცდათექვსმეტ სახლს, ოცდაჩვიდმეტ პროვინციაში, 13 112 წევრით.

საეკლესიო რეფორმა გახდა უამრავი განხეთქილების მიზეზი მთელს ევროპაში. დღევანდელი კალენდრის შექმნაც ამ გარემოებებს უკავშირდება.

გრიგორიანული კალენდარი. ქრისტეს წელთაღრიცხვიდან თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მთელი ევროპა და მისი ბერძნული ნაწილიც, იულიუსის კალენდარს აღიარებდა, რომელიც კეისარმა შემოიღო ძვ. წ. აღ. 46 წ. ამ კალენდრის მიხედვით, ყოველი მომდევნო სამი წლის ხანგრძლივობად მიღებულ იქნა 365 დღე-ღამე, ხოლო ყოველი მეოთხე წელიწადისა („ნაკიანი წელიწადი") — 366 დღე-ღამე. თუმცა კეისრამდე ერთი საუკუნით ადრე, ბერძენმა მეცნიერმა ჰიპარქემ აღმოაჩინა,რომ წელიწადის ნამდვილი ხანგრძლივობა არ შეადგენდა 365 დღე-ღამეს და 6 საათს, არამედ — 365 დღე-ღამეს, 5 საათს, 48 წუთს და 47 წამს, რამაც მოგვცა ცდომილება 11 წუთი და 13 წამი. ეს ყველაფერი წლების მანძილზე დაგროვდა. XIII საუკუნის შუა წლებში ნამდვილი ბუნიობა შვიდი დღით ასწრებდა ოფიციალურ

ბუნიობას. ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობდა მეფის კარზე (ცნობილი ალფონს X კასტილიელის *ალფონსოსეული ცხრილები*), უნივერსიტეტებში, სადაც ისეთი მეცნიერები, როგორიცაა როჯერ ბეკონი, რობერტ გროსეტესტი ოქსფორდიდან, ბევრს ფიქრობდნენ რეფორმაზე. ამით დაინტერესდნენ რომის პაპებიც. თუმცა კონსტანცის (1417), ბაზელის (1413-1449), ლატერანის (1514) საეკლესიო კრებებზე, სახელგანთქმული ასტრონომების ძალისხმევის მიუხედავად, სასურველი შედეგი ვერ მიიღეს. 1563 წელს ტრიენტის საეკლესიო კრების ბოლო სხდომაზე კალენდრის რეფორმის გატარება მიანდეს პაპის ტრაპეზს. 1581წ. რომის პაპმა გრიგოლ XIII განახორციელა წელთაღრიცხვის სისტემის რეფორმა და შექმნა ახალი სტილის კალენდარი, რომელსაც მისი სახელიდან გამომდინარე „გრიგორიანული" ეწოდა.

გრიგორიანული კალენდრის მიხედვით:

1) დღეთა ანგარიში გადანაცვლებული იქნა ათი დღით (4 ოქტომბრის მომდევნო დღე გამოცხადდა 15 ოქტომბრად);

2) სამი ნაკიანი წელიწადი შეამცირეს ოთხასი წლით: ნაკიანია 1600 წ. ნაკიანი არ არის 1700, 1800, 1900წწ. ნაკიანი იქნებოდა 2000 წელიც.

მაგრამ 1581 წლის პაპის გადაწყვეტილება ევროპული ვერ იქნება. წელთაღრიცხვის სისტემის რეფორმა უცებ მიიღო იტალიამ, ესპანეთმა და პორტუგალიამ, ცოტა მოგვიანებით დანიამ და საფრანგეთმა, ლოთარინგიამ, გერმანიის კათოლიკურმა სახელმწიფოებმა და ნიდერლანდებმა (დღევანდელმა ბელგიამ და ლუქსემბურგმა). 1582წ. ჯერი მიდგა სავოიაზე, ჰოლანდიაზე (როტერდამი, ამსტერდამი, ლეიდენი, დელფტი, ჰაგა) და ახალ ზელანდიაზე. მაგრამ ამ პროტესტანტურ ქვეყნებში ესპანეთის მეფის ედიქტი ბათილად ცნეს და 1594წ. ისევ იულიუსის კალენდარი შემოიღეს. გრიგორიანული კალენდარი აღიარა ზოგიერთმა შვეიცარიულმა ოლქმა 1583წ. ავსტრიამ — 1584წ. პოლონეთმა — 1585წ. უნგრეთმა — 1587წ.

პროტესტანტულ ქვეყნებს გაცილებით მეტი დრო დასჭირდათ გრიგორიანული კალენდრის მისაღებად. საფრანგეთმა წელთაღრიცხვის ახალი სტილი გაავრცელა ალზასში (1648), სტრასბურგში (1682). ვაჭრობაში ხელი რომ არ შეშლოდა, შვედეთმა გააუქმა თერთმეტი ნაკიანი წელიწადი 1696 და 1784 წლებს შორის.

ბიზანტიური წესის ქვეყნები, საბერძნეთი, რუსეთი ძველ კალენდარს ინარჩუნებენ XX საუკუნემდე.

საერთო ჯამში, მესამე რენესანსი — კაროლინგების და XII საუკუნის შემდეგ— შეუდარებლად ბრწყინავს „კვატროჩენტოს" ეპოქის იტალიაში. აქედან ვრცელდება მთელს ევროპაში, იწვევს კულტურულ და იდეოლოგიურ ცვლილებებს: ადამიანები სხვაგვარად აზროვნებენ, სხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს. კრიტიკის თავისუფლება, დამოუკიდებელი არჩევნის ძლიერი ტენდენცია რომაული მიზნების საპირისპიროდ გამოიწვევს დასავლეთ ქრისტიანული ერთიანობის დაშლას.

მაგრამ მთავარ იდეოლოგიურ ცვლილებებს ახლავს უზარმაზარი პოლიტიკური მოვლენები, რომელიც თავდაყირა აყენებს თვით მსოფლიო რუკას: 1453წ. თურქებმა აიღეს კონსტანტინოპოლი; 1492წ. გრენადამ გამარჯვება მოიპოვა მუსულმანებზე და დასრულდა ესპანური *რეკონკისტა*; იმავე წელს ქრისტოფორე კოლუმბმა ამერიკის მიწაზე დადგა ფეხი; 1498-1499 ვასკო და გამა ინდოეთში ჩადის კეიპტაუნის გავლით. XVI საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ინდოეთის ვაჭრობის სადავეები პორტუგალიელების ხელშია. ესპანეთი და რამდენიმე სხვა ქვეყანა იწყებს ახალი კონტინენტის გამოკვლევას და კოლონიზაციას. ამ კონტინენტს ცოტა ხანში ამერიკას უწოდებენ.

ევროპა აღმოაჩენს დარჩენილ სამყაროს და ძალის გამოყენებით იპყრობს მას. ევროპა ასევე ამოხსნის კოსმოპოლიტური ჰუმანიზმის საიდუმლოს და გაატარებს რეფორმას, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში მიზნად ისახავს თანამედროვე სახელმწიფოების გაძლიერებას, თუმცა პირიქით ხდება, ევროპელ ხალხში ვითარდება თავისუფალი სულისკვეთება.

აგრეთვე, ოთხი საუკუნის მანძილზე ევროპელები პირველ ადგილზე არიან მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურული და ფილოსოფიური შემოქმედების, დაბეჭდილი ნაწარმოებების პუბლიკაციის მიხედვით.

ასეთი უპირატესობა არასოდეს ყოფილა. ოთხას წელიწადში ევროპელებმა მიაღწიეს „მსოფლიო შესაძლებლობების ზღვარს", რაც ვერ მოახერხა ვერც ალექსანდრეს, ვერც რომის და ვერც ჩინეთის იმპერიებმა.

დასკვნა. ყოველთვის გვიჩნდება კითხვა, რა იყო ამ წარმატებების მიზეზი? ამასთან დაკავშირებით, ჩვენ შევისწავლეთ საკითხის ცუდი მხარეც, ანუ ექსცესები, ომები, ტირანია, დაღვრილი სისხლი.

დიდი ხნის მანძილზე ევროპულ შემოქმედებით უნარს ხსნიდნენ ე.წ. რასული უპირატესობით. ადამიანის ტვინის შესწავლამ დაარღვია ეს მცდარი მოსაზრება, რომელსაც მომავალში გამოიყენებს ჰიტლერი. აგრეთვე, ვისაუბრეთ ქრისტიანულ რელიგიაზე. ადამიანების შემეცნებისკენ სწრაფვა არ ხდება ქრისტიანული მრწამსის დიდების მწვერვალზე ყოფნის დროს (ეს პერიოდი ბერძნული ეკლესიისთვის ემთხვევა შუა საუკუნეებს, ხოლო დასავლეთ ქრისტიანობისთვის — XIII საუკუნეს), არამედ მაშინ, როცა გახლეჩილი, დანაწევრებული ქრისტიანული სამყარო მთელი თავისი არსებობის მანძილზე უდიდეს კრიზისს განიცდის.

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთისთვის უცხო იყო დაუნდობელი თეოკრატია, ცეზაროპაპიზმი. მან მშვენივრად გამოიყენა „ორი მახვილის" თეორია. თუმცა პაპებსა და იმპერატორებს შორის გამართულ ბრძოლაში გამარჯვებული არავინ ყოფილა. ამგვარად, დასავლეთს თავისუფალი სულისკვეთების მოპოვების საშუალება ეძლეოდა, რაც ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სხვათა შორის, ევროპის არაჩვეულებრივმა გეოგრაფიულმა მრავალფეროვნებამ ხელი შეუწყო ევროპაში ტექნიკური, შემდეგ მეცნიერული კვლევის განხორციელებას. ევროპელებს ყველგან უხდებოდათ ახალ ნიადაგთან შეგუ-

ება. ამის გამო იძულებული გახდნენ შეექმნათ სხვადასხვანაირი სახის ხელსაწყოები. სანაპირო ზოლის გაჭრამ გამოიწვია ნავიგაციის განვითარება, რომელიც მუდმივ პროგრესს მოითხოვს.

და ბოლოს, ეკონომიკურმა გაჭირვებამ ნელ-ნელა ახალი ფორმა მიიღო. ოქრო, „სანელებლები", აბრეშუმი, ეს ყველაფერი ხალხს შორეული მგზავრობებისკენ მოუწოდებდა, რომელიც ასევე ითვალისწინებდა გემის ეკიპირების გაუმჯობესებას.

თუმცა მატერიალური და ინტელექტულური წინსვლა მაინცდამაინც არ გულისხმობს მორალურ წინსვლას. ევროპელები საშინლად ებრძოდნენ ერთმანეთთს, გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი საკუთარი ძალაუფლებით სარგებლობდა და ექსპლუატაციას უწევდა და ხოცავდა სხვა ერებს, აწარმოებდა მონებით ვაჭრობას. ამ ძალადობის აღკვეთა მოხდა მხოლოდ უფლებების ნელი განვითარების და წესჩვეულებების შემსუბუქების საშუალებით, რასაც, რა თქმა უნდა, არ ჩაუვლია უზარმაზარი და ტრაგიკული გამონაკლისების გარეშე. შესანიშნავი „რენესანსის" შემდეგ, თვალი გადავავლოთ ევროპული ცივილიზაციის განვითარების ახალ ეტაპებს.

12
აბსოლუტიზმი, უფლებები, კოსმოპოლიტიზმი

I. ღვთის სამართლის მონარქიიდან განათლებულ დესპოტიზმამდე

პილიტისტორიკოსების თვალთახედვით, XVII და XVIII საუკუნეები აბსოლუტური მონარქიის მწვერვალს წარმოადგენს. მისი სახესხვაობებია: XVIII საუკუნის განათლებული დესპოტიზმი და 1688 წლიდან ბრიტანეთის საგანგებო მონარქია.

სტრატეგიის მკვლევარების თვალთახედვით, სწორედ ეს ეპოქა ხასიათდება ტერიტორიული დაყოფით, საშინელი კონფლიქტებით (საფრანგეთ-ესპანეთის ომი 1515-დან 1713-მდე), რომელიც ემყარება ევროპული წონასწორობის პრინციპს, კომერციულ და კოლონიურ პაექრობას (ინგლისს-ჰოლანდიის ოთხი ომი 1641-დან 1674-მდე, ინგლის-საფრანგეთის რვა ბრძოლა 1689-დან 1815-მდე), თუ არ ჩავთვლით შვედეთის მისწრაფებებს. საფრანგეთსა და ინგლისს შორის 1618-1648 წლებში წარმოებული ოცდაათწლიანი ომი 1659 წლამდე გრძელდება და წარმოადგენს რელიგიური ომების ნარჩენს. ამ ომების მიზეზი იყო, როგორც პროტესტანტების და კათოლიკეების დაპირისპირება, ისე საფრანგეთის, ესპანეთისა და ავსტრიის ჰაბსბურგების ქიშპობა. და ბოლოს, ამ ეპოქაში ძალაუფლების მოპოვება მოახერხა ჩრდილოეთის ორმა სახელმწიფომ: ჯერ შვედეთმა მხოლოდ ცოტა ხნით, შემდეგ კი რუსეთმა ხანგრძლივად. ჩვენ არ შევუდგებით ამ ომების მოყოლას, მხოლოდ გადავხედავთ მათ ქრონოლოგიურ ცხრილს.

„ზესახელმწიფო“ და აბსოლუტური მონარქია. „ყველა კანონით გამართლებული“ (ჟან ბოდენი, *რესპუბლიკა*, 1583), აბსოლუტური მეფე სინამდვილეში განსხვავდება დესპოტისგან, რომლის ხელისუფლება თვითნებურია. მართ-

ლაც, ევროპელი მონარქები ქრისტიანები არიან. მათი აზრით, ყოველგვარი უმაღლესი ხელისუფლება მოდის ღმერთისგან. მაშასადამე, აბსოლუტური მონარქი, შარლ ლუაზოს შეხედულების მიხედვით, უნდა ემორჩილებოდეს ღმერთის მცნებებს, ბუნებრივი სამართლის კანონებს და სახელმწიფოს საფუძვლიან კანონმდებლობას (*სენიორიის ტრაქტატი*, 1611).

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, XVI საუკუნეში აბსოლიტური მონარქია საყოველთაოდ მიღებული არ არის. როგორც წინა თავებში ვნახეთ, სრულიად დაქუცმაცებული და განადგურებული ევროპა დიდი შემოსევების და სენიორული რეჟიმის დასაწყისში ნელ-ნელა ხელახლა ყალიბდება მეტად განსხვავებულ პოლიტიკურ კორპუსად, რომელშიც შედიოდა მცირე ტერიტორიული, საქალაქო სახელმწიფოები. ისინი ერთის მხრივ, წარმოადგენდნენ პრივილეგიების მქონე კორპუსებს, რომელშიც წესრიგს ამყარებდა ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ, ამ პოლიტიკურ კორპუსებს ქმნიდნენ თვითონ მეფეები საკუთარი ძალაუფლების გასამტკიცებლად. ეს პროცესი დამთავრდა ევროპაში ე.წ. „ზესახელმწიფოს“ (*Ständestaat*) შექმნით. ასეთ ქვეყანაში მეფე ან ხელმწიფე, სამეფო კარით, ადმინისტრაციით, „ბიუროკრატიით“ ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა გაერთიანებას. ამ უკანასკნელს XVI საუკუნეში საფრანგეთში უწოდებენ „გენერალურ შტატებს“, ინგლისში – *Parliament*, ხოლო გერმანიის წმინდა რომაულ იმპერიაში – „სეიმს“. გერმანიის მაშინდელი სახელმწიფოს თითოეული წევრი სინამდვილეში დამოუკიდებელია და ვესტფალიის შეთანხმებებმა, რომელმაც 1648წ. ბოლო მოუღო ოცდაათწლიან ომს, უზრუნველყო გერმანიის ამგვარი დაყოფა. 1667წ. პუფენდორფმა გერმანია შეადარა „უწესრიგო სხეულს, რომელიც ურჩხულს ჰგავს“.

გერმანიის იმპერატორი განეკუთვნებოდა ავსტრიელი ჰაბსბურგების საგვარეულოს, რომლის სამფლობელოები სრულად არ შედიოდა წმინდა იმპერიის შემადგენლობაში, „ზე სახელმწიფო“ მისთვის ყოველმხრივ საინტერესო იყო.

არსებობდა სამი სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანო:

ერთი მემკვიდრეობით გერმანულენოვანი ქვეყნებისთვის, ერთი ბოჰემიის, ერთი უნგრეთის სამეფოსთვის. ეს ასამბლეები შეიცავდა პრელატის ორდენს, სენიორების ორდენს, კავალერიის ორდენს, რომელიც დაკნინებას განიცდიდა და ქალაქის მოსახლეობის ორდენს. ესპანეთში ფილიპე II-მ კორტესების განადგურების შემდეგ, გამოიყენა მთელი რიგი საბჭოები:

სახელმწიფო საბჭო
კასტილიის ანუ სამეფო საბჭო
ფინანსთა საბჭო
კავალერიის ორდენის საბჭო
არაგონის (არაგონის, კატალონიის, ვალენსიის) საბჭო
ნავარიის საბჭო
იტალიის (სიცილიის, სარდინიის, ნეაპოლის, მილანის) საბჭო
ფლანდრიისა და ბურგუნდიის საბჭო
პორტუგალიის საბჭო (1580-1665)
ინდოეთის საბჭო

შვედეთში სამეფოს დაარსებამდე (1700), „ზე სახელმწიფო" გვხვდება ბრანდებურგ-პრუსიის საარჩევნო უფლებაში.

აქტიურობისკენ სწრაფვა. „ზესახელმწიფო", ევროპის დამახასიათებელი ფენომენი XVIII საუკუნეში აბსოლუტური მონარქიით შეიცვალა, რაც ევროპის მთავარ ჩანაფიქრს წარმოადგენდა. წმინდა იმპერია კვლავ დაქუცმაცებული იყო, მაგრამ მის ორ ძირითად შემადგენელ ნაწილში, ჰაბსბურგთა ხელისუფლებაში და პრუსიაში, გამეფებული იყო აბსოლუტური მონარქია. პოლონეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომლის ხელისუფლებაც დაქუცმაცებას განიცდიდა; ბოლოს ეს სახელმწიფო ას ოცი წლით გაქრა მსოფლიო რუკაზე. ნიდერლანდები და ბრიტანეთი წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას, რომლის შესახებაც საუბარი გვექნება შემდეგ თავში.

ასეთი ევოლუცია აიხსნება „ზე სახელმწიფოს" დასუსტებით. ასამბლეაში დაიწყეს ძალაუფლებებსა და პრივილე-

გიებზე კამათი, რამაც გამოიწვია მეფის არბიტრაჟის აუცილებლობა, რომლის *წმინდა* უფლებები განსჯის საგანი აქამდე არასოდეს გამხდარა. „ორდენები", პოლიტიკური „კორპუსები", „სახელმწიფოები" არ უქმდება, მაგრამ მეფეს შეუძლია მათი ჩამოშორება: ამგვარად, საფრანგეთში გენერალური შტატები შეიკრიბა 1614 და 1789 წლებში. 1789წ. როცა მეფე მათ მოიწვევს სამეფო საკითხების გადასაჭრელად, უკვე გვიანი იქნება: ისინი ბოლოს მოუღებენ მეფის აბსოლუტიზმს და შესაბამისად, მონარქიის საფუძვლიან კანონებს.

სწორედ ლუი XIII-ეს და რიშელიეს, ლუი XIV-ეს და მაზარინის ეპოქის საფრანგეთში მოხდა პროტესტანტების და დიდგვაროვნების უფლებების შეზღუდვა. მეფე ქმნის სამეფო საბჭოს, რომელიც იყოფა რამდენიმე შტოდ; ამათგან ერთ-ერთი, უმაღლესი საბჭო შედგებოდა ოთხი ან ხუთი „მინისტრისგან", რომელთაც მხოლოდ მეფე ირჩევდა და ნებისმიერ დროს შეეძლო მათი თანამდებობიდან გადაყენება. ისეთი მონარქები, როგორიც იყვნენ საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715),ესპანეთის მეფე ფილიპე II (1556-1598), იმპერატორი იოზეფ II (1763-1790) დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდნენ ამ საქმეს. ამგვარად, *აბსოლუტიზმს შეესაბამებოდა პირადი ძალაუფლება.* შვედეთში აბსოლუტური მონარქია გაჩნდა შედარებით მოგვიანებით, 1772წ. 19 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ძალაუფლების სადავეები მეფე გუსტავ III-ს ხელში აღმოჩნდა.

აბსოლუტური ძალაუფლების განხორციელებამ რამდენიმე პრემიერ მინისტრს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. ესენი არიან: ლერმა, ესპანეთში ფილიპე III დროს, ოლივარესი — ფილიპე IV დროს,ბუკინგემი — ინგლისში,ჯეიმზ I და ჩარლზ I დროს, კონჩინი — საფრანგეთში, მარიამ მედიჩის რეგენტობის დროს, რიშელიე — ლუი XIII დროს, მაზარინი ლუი — XIV მეფობის დასაწყისში.

განათლებული დესპოტიზმი. ვისაუბრეთ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე „განათლებული დესპოტე-

ბის“ შესახებ. ამ კატეგორიის მმართველებს მიეკუთვნება პრუსიის მეფე ფრედერიკ II (1740-1789), ჯოზეფ II ავსტრიელი, რუსეთის დედოფალი ეკატერინე II (1762-1796) და ესპანეთის მეფე კარლოს III (1759-1788). ისინი იყვნენ ან სურდათ, რომ ყოფილიყვნენ გონიერების მიმდევრები, ფილოსოფოსთა და განმანათლებელთა თაყვანისმცემლები. ეს მონარქები პირველები იდგნენ განათლების სამსახურში. თავიანთი თავი მიაჩნდათ სათნო, დიდსულოვან, მგრძნობიარე ადამიანად. მათ მიიღეს „რესპუბლიკური რიტორიკა“ (როლან ბუსნიე). ხანდახან ერეოდნენ *ენციკლოპედიის* შექმნის პროცესში, რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. ისინი აარსებდნენ, ავრცელებდნენ, მფარველობდნენ აკადემიებს, მეცნიერთა საზოგადოებებს, მეცენატობას უწევდნენ ხელოვანებს, ახორციელებდნენ ეკონომიკურ რეფორმებს. ფაქტიურად, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვების მსგავსად, ისინიც მკაცრი და აბსოლუტური მონარქები იყვნენ.

განათლებული დესპოტები იყვნენ განსაკუთრებით, ის მეფეები, რომლებიც მიხვდნენ ფილოსოფოსთა როლის მნიშვნელობას სახალხო აზრისთვის, კერძოდ, განათლებული ადამიანებისთვის, რომელთა მოხიბვლას და პროპაგანდისტად გამოყენებასაც ცდილობდა ყველა მონარქი. გავიხსენოთ ვოლტერი პრუსიის კარზე, დიდრო, რომელსაც დახმარებას უწევდა ეკატერინე II და ა.შ.

II. თავისუფლების გარიჟრაჟი: ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი

იმ დროს, როცა ევროპის თითოეული პოლიტიკური გაერთიანება თითქოს აბსოლუტიზმისკენ მიისწრაფოდა, ჩრდილოეთ ევროპის ორ ქვეყანაში: ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში შენარჩუნებული იქნა „ზე სახელმწიფოს“ სისტემა, უფრო მეტიც განეითარდა კიდეც მძაფრი და წინააღმდეგობრივი მიმდინარეობით.

ვაჭრები, ბურჟუები და რელიგიური ექსტრემისტები. ნიდერლანდებსა და ბრიტანეთს აქვს ერთობლივი სავაჭრო

ძალაუფლება, თუმცა ამ სფეროში პირველი გაცილებით წინ წავიდა. „ვინც ბატონობს ზღვაზე, ბატონობს ვაჭრობაშიც; ვინც განაგებს მსოფლიო ვაჭრობას, განაგებს მსოფლიოს ქონებას.“ ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მწერალს და პოლიტიკოსს, დროდადრო ელიზაბეტის ფავორიტს, უოლტერ რალეის, რომელმაც შეუწყო ხელი 1588წ. ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის დაუძლეველი არმადას დამარცხებას. დიდი საზღვაო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად გაჩნდნენ კაპიტალისტები. ვაჭრობით ისარგებლეს ზოგიერთმა ჩვეულებრივმა, მაგრამ სიმდიდრეს დახარბებულმა დიდგავროვანმა და ბურჟუებმა. მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ თავისუფლად შეეძლოთ პოლიტიკური როლის შესრულება, თავიანთი უფლებების დაცვა, რომელიც ხშირად არ ემთხვეოდა მეფის მისწრაფებებს. ზოგადად, ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც სამეფო ხელისუფლების შემზღუდველი ძალა და მოითხოვეს თავიანთი ‘უფლებების უზრუნველყოფა“.

XX საუკუნის გერმანელმა სოციოლოგმა, მაქს ვებერმა, დაამტკიცა, რომ პროტესტანტული რეფორმა დაკავშირებული იყო კაპიტალისტურ და ლიბერალურ მოძრაობასთან. ერთის მხრივ, არსებობს კავშირი „თავისუფალ არჩევანსა“ და „თავისუფლებას“ შორის. მეორეს მხრივ, მარქს ვებერის აზრით, მევახშური სარგებლის მიმართ კათოლიკური ეკლესიის უნდობლობა უპირისპირდება პროტესტანტულ რწმენას, რომლის მიხედვითაც, სიმდიდრე უფლის წყალობად არის მიჩნეული. პროტესტანტიზმი აღიარებდა თავისუფალ არჩევანს, რამაც სხვათა შორის, გამოიწვია ექსტრემისტული სექტების წარმოშობა. მაგალითად, ჩრდილოეთ ნიდერლანდებში, ანაბაპტისტების სექტა, რომელიც ამტკიცებდა „ღვთის ათასწლიანი მეუფების“ დადგომას. ეს მიმდინარეობა სხვადასხვა ფორმით გავრცელდა და ზოგან ნამდვილი *დემოკრატიული* სახე მიიღო. ამის მაგალითია კრომველის „რკინისგვერდიანების“ მოძრაობა და მათ შორის, განსაკუთრებით, *levellers* ანუ „მენეველირეების“ მცირე ჯგუფი, რომელთაგან ზოგიერთი ნამდვილი „კომუნისტი“ იყო.

ეს იდეები ევროპული სცენიდან არასოდე გაქრება, მაგ-

რამ უკანა პლანზე გადავა და ადგილს დაუთმობს სხვა ზომიერ ოლიგარქიულ და შედარებით ლიბერალურ მიმდინარეობას, ანტიაბსოლუტიზმს.

ესპანური ნიდერლანდები. როგორც წინა თავში ვიხილეთ, ნიდერელანდები გადადის კარლოს V-ის მფლობელობაში, მაშასადამე, ესპანური ქვეყანა ხდება.

ნიდერლანდები ჯერ კიდევ ესპანეთს ეკუთვნოდა, როდესაც ფილიპე II მამის ტახტზე ავიდა. ნიდერლანდების ჩვიდმეტი პროვინციიდან მხოლოდ ჩრდილოეთის სამეფლობელოებმა მიიღეს პროტესტანტული რწმენა. მათ დამოუკიდებლობისთვის იბრძოლეს ორმოცი წელი: კეთილშობილთა ლიგამ მოითხოვა ინკვიზიციის გაუქმება და გენერალური შტატების მოწვევა. რეგენტმა,ფილიპე II-ს დამ, მარგარიტ პარმელმა ამ ლიგის წევრებს „მათხოვრები“ უწოდა, სახელი, რომელიც ჰოლანდიური წინააღმდეგობის დიდი წარმატების სიმბოლოდ უნდა დარჩენილიყო.

გაერთიანებული პროვინციები. გაერთიანებული პროვინციები ჩამოყალიბდა 1576 და 1586 წწ-ში. 1576 წ. მოხდა გენტის პასიფიკაცია,რომელიც ითვალისწინებდა ფილიპე II-ის ძალაუფლების ცნობას და კალვინისტური მიმდინარეობის თავისუფლებას ქვეყნის ჩრ. ნაწილში. 1579 წ. სამხრეთის ძირითადი პროვინციები შეუერთდა არასის უნიას (ნიდერლანდის ვალონური პროვინციების გაერთიანება) და მხარდაჭერა გამოუცხადა კათოლიკურ ეკლესიას.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიდერლანდებს მიბაძა ჰოლანდიის შვიდმა პროვინციამ: ჰოლანდიამ, ზელანდიამ, უტრეხტმა, ჰელდერნმა, ოვერეისელმა, ფრისლანდიამ და გრონინგენმა. ამ ქვეყნებმა შექმნა უტრეხტის უნია, რომელსაც მალე უწოდეს გაერთიანებული პროვინციები. მათ სამფლობელოებს შეადგენდა ფლანდრიის და ჩრდილოეთ ბრაბანტის ტერიტორიები. სამხრეთ ზონას მომავალში უწოდებენ „გენერალური შტატების რესპუბლიკას“.

უტრეხტის უნია, რომელსაც სათავეში ედგნენ კალვინისტები,ჩაება ფილიპე II-ის წინააღმდეგ ომში. მას მხარს

უჭერდა ხან საფრანგეთი, ხანაც ინგლისი. 1588წ. გენერალურმა შტატებმა ხელში აიღეს ძალაუფლება და ოფიციალურად გამოაცხადეს რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანებული იყო შვიდი ფედერალური ქვეყანა.

ახალი რესპუბლიკა. საუბარია შედარებით ლიბერალურ სახელმწიფო წყობაზე. თითოეული პროვინციის საკანონმდებლო ხელისუფლება მიეკუთვნოდა პროვინციულ სახელმწიფოებს. ეს სახელმწიფოები თანამდებობაზე ნიშნავდა 1) პრემიერმინისტრს, იურისტს, ბიუროკრატიის ხელმძღვანელს; 2) *stathouder*-ს, წარსულში მეფის წარმომადგენელს, რომელიც გახდა პროვინციული რესპუბლიკის ერთგვარი პრეზიდენტი.

ფედერალური ხელისუფლება ექვემდებარებოდა გენერალურ შტატებს. ეს უკანასკნელი შედგებოდა ორმოცამდე დელეგატისგან, რომელსაც ირჩევდნენ სამხარეო სახელმწიფოები. თორმეტი წევრისგან შემდგარი სახელმწიფო საბჭო კონტროლს უწევდა არმიას და ფინანსებს. მალე გაჩნდა პრემიერ მინისტრის და *stathouder*-ის, ერთდროულად კაპიტნის, ვენერლის და ადმირალის ფედერალური თანამდებობები: ამ ფუნქციებს ყოველთვის ითვისებდა ორანჟის პრინცი. ცოტა ხანში მათ დაიწყეს ერთმანეთთან ბრძოლა. ჰოლანდიიდ პრემიერ მინისტრს მხარს უჭერდა ჰოლანდიის მდიდარი პროვინციის გავლენიანი და ავტონომიის მომხრე ვაჭრები, ხოლო *stathouder*-ს — მორწმუნე კალვინისტები, გლეხები და მეზღვაურები, რომლებსაც სწამდათ, რომ *stathouder* შეძლებდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს მართვას.

ბრიტანეთის სამეფო. XVI საუკუნიდან ინგლისში გავრცელდა აზრი, რომლის მიხედვითაც კანონი მეფეზე მაღლა იდგა და ხელისუფალს პარლამენტთან შეუთანხმებლად, არ შეეძლო ახალი გადასახადების აკრეფა ან ახალი კანონის შემოღება. ინგლისის პარლამენტი შედგებოდა ლორდთა და თემთა პალატებისგან. მიუხედავად ამისა, მეფეები და დედოფლები XVI საუკუნეში მოქმედებდნენ როგორც

აბსოლუტური მონარქები, მათ შორის იყვნენ: ჰენრი VIII (1509-1547), მარიამ ტიუდორი (1553-1558) და განსაკუთრებით, ელიზაბეტი (1558-1603).

ჯეიმზ I (1603-125) და ჩარლზ I (1649 წ. თავი მოკვეთეს) სტუარტების დინასტიის მეფობის ეპოქაში დაიწყო კონფლიქტი მეფესა და პარლამენტს შორის. შედგა ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის ალიანსი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. დიდგვაროვნები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მცირე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ისინი მუშაობით თავს არ იმცირებდნენ. „სოფლის, მომავალი სავაჭრო ქალაქის სკოლებში, საგრაფოს წამყვანი საგვარეულოს შვილები ერთ მერხზე სხედან ფერმერების, ვაჭრების და ხელოსნების შვილებთან ერთად. ნაკლებ შეძლებული *სკუაირი* ხშირად ანგარიშით ქორწინდება *yeomen* (ფერმერის) ქალიშვილზე“ (როლან მუსნიე). უფრო მეტიც, როგორც ჰენრი ჰაუზერი აღნიშნავს, „საშუალო და ხელოსანთა ფენებში, საზღვაო ქალაქების იმ ვაჭართა წრეში, რომლისთვისაც კათოლიკური ესპანეთის წინააღმდეგ გამართული ომი იყო პროტესტანტული რწმენის ჰუმანური და ხელსაყრელი ფორმა, ტიუდორების მეფობის დროს გამდიდრებულ *gentri*-ის (მცირე მემამულეები) გარემოცვაში და აქედან გამომდინარე, თემთა უმეტეს ნაწილში იზრდებოდა სიმპათიები მკაცრი კალვინიზმის მიმართ“. დედოფალ ელიზაბეტის გარდაცვალების შემდეგ 1603წ. ჯეიმზ VI სტუარტი გახდა ინგლისის მეფე ჯეიმზ პირველი. ღარიბი შოტლანდიიდან ჩამოსული პრინცი ნაკლებ მზრუნველობას იჩენდა ხალხის და თემთა პალატის დეპუტატების მიმართ, რომლებიც გამუდმებით აპროტესტებდნენ მას.

ჩარლზ I-ის მარცხი და გარდაცვალება. ჯეიმზ პირველს შემდეგ დიდი ბრიტანეთის ტახტზე ადის მისი შვილი, ჩარლზ I, რომლის სამეფოში შედის ინგლისი და შოტლანდია. მიუხედავად იმისა, რომ ჩარლზ I აბსოლუტისტი მონარქი იყო, ფულის მისაღებად მაინც იძულებული გახდა თემთა პალატა მოეწვია. მეფეს ასევე მოუხდა დათანხმება

Petition of Rights –ზე (უფლებების პეტიცია), რომლის მიხედვითაც პარლამენტთან შეუთანხმებლად მას არ ჰქონდა გადასახადის აკრეფის უფლება. სხვა მხრივ, *Habeas Corpus* განხორციელება სასამართლო სფეროში წარმოადგენდა უზარმაზარ წინსვლას: არ შეიძლება ბრალდებულის, ვინც არ უნდა იყოს ის, დაპატიმრება მანამ, სანამ მოსამართლის წინაშე არ წარსდგება.

ჩარლზი შეტევაზე გადავიდა და მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. მან დააპატიმრა თემთა პალატის ცხრა წევრი, რის შემდეგაც *თერთმეტი წელი პარლამენტის გარეშე მართავდა ქვეყანას.*

ყველაფერი რევოლუციით დასრულდა, რომელიც შოტლანდიაში დაიწყო. 1640 წ. თემთა პალატაში მოეწყო არჩევნები, რომლის შემდეგადაც რევოლუცია მთელს დიდ ბრიტანეთში გავრცელდა, მეფე დარჩა ჰოლანდიელების და ფრანგების მხარდაჭერის გარეშე. 1649 წ. ინგლისს ორი ხელისუფლება ყავდა, პარლამენტი — ლონდონში და მეფე, რომელიც ჯერ იორკში, ხოლო შემდეგ ოქსფორდში დასახლდა. პარლამენტმა ჯარი შეაგროვა, მეფემ უსახსრობის გამო თავისი არმიის დაფინანსება ვერ შეძლო და ქვეყანა ორად გაიყო: დასავლეთში (გალია, კორნუელი და ა.შ.) როიალისტები; აღმოსავლეთში პარლამენტის შეიარაღებული ძალები.

პარლამენტის არმიას სათავეში ედგნენ სკვაირები ან ბურჟუები, უმეტეს წილად, პურიტანები, რომლებიც იცავდნენ თავიანთ მრწამსს. „წმინდანთა არმია", ასე უწოდებდნენ მათ, თუმცა უფრო ხშირად ამ შეიარაღებულ ძალებს „თავგადაპარსულების" სახელით მოიხსენიებენ, რადგან მათ გადაიპარსეს თავები იმ დროს, როცა მოდაში იყო გრძელ თმის ტარება. ამ არმიამ მიწასთან გაასწორა მეფის კავალერია სოფელ ნეიზბიში. 1646 წ. აპრილში ჩარლზ I გაიქცა შოტლანდიაში, სადაც მეფის ქვეშევრდომებმა, პრესვიტერიანებმა, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი ანგლიკანური ეკლესიის საეპოსკოპოსოს მიმართ და მის გაუქმებას მოითხოვდნენ, შეიპყრეს მეფე და 1647 წ. გადასცეს ლონდონის პარლამენტის რწმუნებულს.

სინამდვილეში არსებობდა მხოლოდ ერთი ხელისუფლება: „თავგადაპარსულთა არმია“ კრომველის მეთაურობით. ოლივერ კრომველი დაიბადა ლონდონის ჩრდილოეთით მდებარე ჰანტიგდონის საგრაფოს შეძლებულ ოჯახში. იგი იყო პურიტენი და დაუნდობელი ადამიანი.

კემბრიჯის უნივერსიტეტიდან კრომველი პარლამენტში გააგზავნეს, სადაც აირჩიეს 1640 წ. სწორედ მან შექმნა ფერმერებისგან ანუ *yeuomen* ცხენოსანთა პოლკი, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

კრომველის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს ლონდონი, გაწმინდეს პარლამენტი, რომელიც გახდა ე.წ. *rump Parlament,* „ნაკუდარი პარლამენტი“. დარჩენილი ფანატიკოსი დეპუტატებისგან კრომველმა შექმნა უზენაესი სასამართლო. 1649 წ. 9 თებერვალს (31 იანვარი იულიუსის კალენდრის მიხედვით, რომელიც ინგლისში ჯერ კიდევ ძალაში იყო) ჩარლზ I სიკვდილით დასაჯეს.

კრომველი და რესპუბლიკა. ე.წ. ნაკუდარმა პარლამენტმა წამოაყენა მეფის ძალაუფლების და ლორდთა პალატის გაუქმების იდეა და საჯაროდ გამოაცხადა „თავისუფალი რესპუბლიკა“ (*A free Commonwealth*).

ამ რესეპუბლიკამ მუდმივი საფრთხის ქვეშ იარსება თერთმეტი წელი. თუმცა კრომველის ენერგიულობამ ყველა დაბრკოლება გადალახა. ნაკუდარი პარლამენტი, რომელიც უკვე აღარაფერში სჭირდებოდა, გააუქმა და თავი დიდი ბრიტანეთის პროტექტორად გამოაცხადა. კრომველმა გაატარა პურიტანული რეფორმები, თუმცა შედარებით ლმობიერი იყო კათოლიკეების, საეპისკოპოსო ანგლიკანების და თვით ებრაელების მიმართ. სამაგიეროდ, კრომველი მეტი სისასტიკით გამოირჩეოდა ირლანდიელების და სტუარტთა მომხრეებისადმი. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, კრომველი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-ის წინააღმდეგ იბრძოდა ფრანგების გვერდით. მან გააძლიერა ფლოტი, რომელმაც ადმირალ ბლეიქის მეთაურობით, ხმელთაშუა ზღვაში და ატლანტის ოკეანეში წარმოებული ბრძოლების შედეგად ხელში ჩაიგდო ესპანეთის დიდძალი ქონებით დატვირთული

ხომალდები. კრომველი წარმატებით ებრძოდა ჰოლანდიელებს. მან დუნკერკი წაართვა ესპანელებს. ეს პორტი ლუი XIV-მ 1662 წ. უკან დაიბრუნა. მიუხედავად ყველაფრისა, ინგლისის პირველმა რევოლუციამ მარცხი განიცადა. კრომველი გარდაიცვალა 1658 წ. სექტემბერში. მამის ადგილი დაიკავა რიჩარდმა, რომელმაც ვერ შეძლო როიალისტების და რესპუბლიკელების დამორჩილება. გენერალი ჯორჯ მოკი, რომელიც შოტლანდიის არმიას მეთაურობდა, ინგლისში შევიდა და ჩარლზ II სტუარტი მეფედ გამოაცხადა.

ინგლისის პირველმა რევოლუციამ და ნიდერლანდების ცნობილმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ რესპუბლიკის არსებობა შეუძლებელი არ იყო XII საუკუნეში, მაშინაც კი, როცა ქვეყანაში აბსოლუტური მონარქია მეფობდა.

ჩარლზ II და ჯეიმზ II. ჩარლზ II სტუარტმა, რომელიც მეფობდა 1660-1685 წლებში, აბსოლუტიზმის აღდგენა სცადა. პარლამენტმა ფინანსურ მხარდაჭერაზე უარი უთხრა. მაშინ მეფემ მიმართა იმ მეთოდს, რომელსაც მისი ქვეშევრდომები ნაკლებად იწონებდნენ: დახმარება სთხოვა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს.

მიუხედავად ამისა, მეფის ავტორიტეტი უზადო იყო და 1685 წ. ინგლისის ტახტზე ავიდა მისი ძმა ჯეიმზ II, რომელიც კათოლიციზმს აღიარებდა. მეფე მხარში ამოუდგა თავის თანამოსაზრეებს და სასახლეში მოაწყო კათოლიკური ცერემონიალები.

ინგლისელები ელოდნენ, რომ მეფის ტახტს დაიკავებდა მისი და მარიამი, რომელიც უილიამ III ორანელის მეუღლე იყო. მაგრამ 1688 წლის დასაწყისში ჯეიმზ II-ის მეორე კათოლიკე ცოლი, მარი მოდენი ფეხმძიმედ აღმოჩნდა და 20 ივნისს ქვეყანას მოევლინა ვაჟი, ჯეიმზ-ედუარდი. სწორედ ამ დროს მეფემ გამოსცა „დეკლარაცია სჯულთშემწყნარებლობის შესახებ“ დისიდენტებისა და კათოლიკეებისთვის, სამაგიეროდ, დააკავა ამ მიმტევებლობის მოწინააღმდეგე კათოლიკები, რომლებიც ტრიბუნალმა გაამართლა. მეფის საქციელმა მაღალი რანგის დიდგვაროვანთა უკმაყო-

ფილება გამოიწვია. მათ ტახტზე მოიწვიეს უილიამ III ორანელი და პაპისტი მეფის გაძევება სთხოვეს.

1688 წლის სისხლიანი რევოლუცია. უილიამ III-ს მხარს უჭერდა გაერთიანებული პროვინციების გენერალური შტატები, რომლის დახმარებით მეფემ 1688 წ. 10 ოქტომბერს შეკრიბა ინგლისელთა და შოტლანდიელთა შეიარაღებული ძალები და ექვსასი ხომალდით (აქედან ორმოცდაათი საომარი იყო) ექსპედიცია მოაწყო. 15 ნოემბერს მეფემ ტორბეიში გადასხა ჯარი. სამეფო არმია, რომლის უმეტესი ნაწილი უილიამისადმი კეთილგანწყობილი იყო, გაიფანტა. აჯანყებამ ყველგან იფეთქა, განსაკუთრებით კი ლონდონში, სადაც გამუდმებით გაისმოდა „*No popery!*“

21 დეკემბერს ჩარლზ II გაიქცა და 2 იანვარს საფრანგეთში ჩავიდა. ლუი XIV ხელშეწყობის მოიუხედავად, მას ინგლისის ტახტზე ასვლა აღარ ეწერა. უილიამი თემთა პალატის არჩევნებს დაელოდა.

7 და 8 თებერვალს, ამ უკანასკნელმა მეფე ჩარლზ II დამარცხებულად გამოაცხადა და ინგლისის ტახტი უილიამს და მის მეუღლეს, მარიამ სტიუარტს გადასცა. სახელმწიფოს მონეტაზე ორი სახე იყო აღბეჭდილი „*VVilliam and Mary.*“

უფლებათა დეკლარაცია. მიღებულ იქნა *უფლებათა დეკლარაცია.* უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი არ იყო უნივერსალური და აბსტრაქტული ტექსტი, როგორც 1789 წელს საფრანგეთში დადგენილი *მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.* იგი წარმოადგენდა კონკრეტულ საკითხთა ერთობლიობას, რომელსაც შეადგენდა: ჩარლზ II საწინააღმდეგო პრეტენზიები, უილიამის და მარიამის ნომინაცია და მემკვიდრეობა. ამ საფუძვლიანმა ნაშრომმა ხელი შეუწყო მომავალი პრინციპის დამყარებას,რომელიც გულისხმობდა: *კანონის ძალა მეფეზე მაღლა დგას.* პრლამენტის ნებართვის გარეშე მეფეს არ ჰქონდა გადასახადების აკრეფის უფლება და ეს უფლება გაიცემოდა მხოლოდ ერთი წლით. აკრძალული იყო მუდმივი ჯარის დათ-

ხოვა მშვიდობიან პერიოდშიც კი. ზარ-ზეიმით აღიარეს პეტიციის უფლება. მეფეს არ შეეძლო პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გაუქმება. დამნაშავეებს ასამართლებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ასევე გააუქმეს მეტის-მეტად სასტიკი სასჯელები და უკიდურესი გადასახადები.

1701 წ. დიდ ბრიტანეთს ბედნიერი შემთხვევა მიეცა, გარდაიცვალა ჩარლზ მეორე და მის ტახტზე პარლამენტის გადაწყვეტილებით ავიდა მარიამის უმცროსი და ანა. 1714 წ. დედოფალმა სული დალია. რადგან მემკვიდრე არ ყავდა, სამეფო გვირგვინი უნდა გადაცემოდა ჩარლზ I-ის შვილიშვილს, ამომრჩეველ სოფია ჰანოვერს ან მის ერთ-ერთ უფროსს შთამომავალს, იმ პირობით, რომ პროტესტანტი იქნებოდა. თუმცა ჰანოვერების დინასტიის ორივე წარმომადგენელი, ჯორჯ I და ჯორჯ II, თავიანთ მამულზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე დიდ ბრიტანეთზე. მხოლოდ ჯორჯ III მეფობის ხანაში (1760-1820) მონარქია უკანასკნელ ძალას მოიკრებს და შეეცდება აბსოლუტიზმი თუ არა, „სამეფო უპირატესობა" მაინც დაამყაროს. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ვილკსის პროცესი. ეს უკანასკნელი იყო თავისუფალი პრესის დამცველი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა მეფეზე.

ა.შ.შ.-ის (1776) და საფრანგეთის (1789) ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ნაწილობრივ 1689 წლის *უფლებების დეკლარაციის* შთაგონებით შეიქმნა. ამის შესახებ მოგვიანებით გვექნება საუბარი.

გროციუსი. გასაოცარი არ არის, რომ გაერთიანებულმა პროვინციებმა და სხვა ქვეყნებთან შედარებით, ლიბერალურმა დიდმა ბრიტანეთმა, წარმოქმნა XVII საუკუნის უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნეები, მაგ. გროციუსის სახელით ცნობილი, ჰოლანდიელი ჰუგო დე გროოტი (1583-1645), რომლის სახელსაც უკავშირდება „ადამიანთა უფლებების" ანუ საერთაშორისო სამართლის შექმნა; ბრიტანელი ტომას ჰობზი (1588-1679) და ჯონ ლოკი (1632-1704). გროციუსი დაიბადა დელფტში და ნამდვილი საოცრება იყო. რვა წლის ასაკში ლათინურად სთხზავდა ლექ-

სებს. თანამშრომლობდა ჰოლანდიის პრემიერ მინისტრ, ბარნეველტთან და 1601 წ. დაასახელეს ჰოლანდიის სახალმწიფოს ისტორიკოსად. ამ დროს გორაციუსი მხოლოდ თვრამეტი წლის იყო. *Stathouder* მორის დე ნასოსადმი მტრულად განწყობილ გროციუსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. გროციუსი საფრანგეთში გაიქცა, შემდეგ შვეიცარიაში დასახლდა. მისი უზარმაზარი თეოლოგიური, ფილოსოფიური, ლიტერატურული, ისტორიული შემოქმედებიდან, აღსანიშნავია ნაშრომი *Mare liberum* („თავისუფალი ზღვა") და განსაკუთრებით, *De jure belli ac pavis* („ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ"). ამ თხზულებაში საუბარია ჩვეულებრივ და ხელშეკრულებით ვალდებულებათა სისტემაზე, რომლითაც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სუვერენული სახელმწიფოები.

ჰობზი. ტომას ჰობზი საერთოდ სასწაული იყო, როგორც მისი მეგობარი, ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, დეკარტეს მოწინააღმდეგე და სირანო დე ბერჟერაკის მასწავლებელი, გასენდი. თექვსმეტი წლის გასენდი პროფესორი ხდება რიტორიკაში, ოცდა- ერთი წლის კი — ფილოსოფიასა და თეოლოგიაში. ჰობზი იყო ინგლისის მინისტრის შვილი, რომელმაც სკოლის ასაკში ლათინურად თარგმნა ევრიპიდეს *მედეა*. ჰობზი მეფის მხურვალე მხარდამჭერი იყო, რის გამოც ქვეყნიდან გაქცევა მოუხდა და საფრანგეთს შეაფარა თავი. მას დაავალეს გალიის პრინცის, მომავალი ჩარლზ II-ის აღზრდა. მოგვიანებით ინგლისში დაბრუნდა. ჰობზი საერთოდ, პესიმისტი იყო. მისი აზრით, „ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი" აუცილებლად ბოროტია: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია". ძალის გარდა არ არსებობს სხვა სამართალი და ომი უწყვეტი პროცესია. მშვიდობის დასამყარებლად საჭიროა ერთადერთი და დესპოტური ძალაუფლება. სამღვდელოება უნდა დაემორჩილოს მეფის ხელისუფლებას. ჰობზის პოლიტიკური ნაშრომებიდან ყველაზე ცნობილია *ლევიათანი, ანუ საეკლესიო და საერო სახელმწიფოს თემა, ფორმა და შესაძლებლობა* (1651).

ლოკი. ლოკი მიეკუთვნება შედარებით ახალ თაობას. იგი იყო „თავგადაპარსულთა“ არმიის ყოფილი ოფიცრის, შემდეგში სასამართლოს მდივნის, შვილი. მიუხედავად ამისა, ლოკი გაწონასწორებული პიროვნება გახლდათ: „ბრძენი ლოკი“, ასე უწოდებდნენ მას. ოქსფორდში სწავლის დროს იგი გახდა კრისტ-ჩარჩის კოლეჯის საბჭოს წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეეძლო მშვიდად გაეგრძელებინა სწავლა. მიუხედავად ამისა, ლოკი გადასახლდა ჰოლანდიაში 1682-1688 წლებში. შემდეგ უილიამ ორანელთან ერთად დაბრუნდა ინგლისში. ლოკი ერთდროულად იყო დიდი ფილოსოფოსი (*ცდა ადამიანის გონების* შესახებ) და მნიშვნელოვანი პოლიტიკოსი. მისი ნაშრომი — *მეორე ტრაქტატი ქალაქის მმართველობის შესახებ* (1690) — გმობდა აბსოლუტურ მონარქიას, ქადაგებდა თავისუფლებას, ამართლებდა ინგლისის მეორე რევოლუციის და უფლებათა დეკლარაციის პრინციპებს. ჰობზის მსგავსად, მასაც სწამდა ბუნებრივი მდგომარეობა, კანონების გარეშე, სადაც გამეფებულია ძალადობა. მაგრამ ყოველი ადამიანი ცდილობს დაიცვას სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების უფლება. ამ დროს ადამიანები ერთიანდებიან „სამოქალაქო საზოგადოების“ და ისეთი მთავრობის დასამყარებლად, რომელსაც დაუთმობენ თავიანთი ძალაუფლების ნაწილს, ვითარების გაუმჯობესების მიზნით. და მაინც, ეს მთავრობა არ უნდა იყოს აბსოლუტური. მათ უნდა ჰქონდეთ ისეთი შეზღუდული უფლებები, როგორიც ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს გააჩნია. თუ მმართველობა ტირანულია, მაშინ ხალხს უფლება აქვს, მოაწყოს აჯანყება. პარლამენტის ტირანია ისეთივე დასაგმობია, როგორც მეფის ტირანია. ლოკი ემხრობა სიტყვის და წერის თავისუფლებას.

ჯონ ლოკმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია არა მხოლოდ აშშ-ის მომავალი რესპუბლიკის დამფუძნებლებზე, არამედ ფრანგ და ჟენეველ მოაზროვნეებზეც, ვოლტერზე, მონტესკიეზე, ჟან-ჟაკ რუსოზე. მიუხედავად ამისა, ლოკის დებულებებს თავისუფლების დამკვიდრებისკენ მივყავართ. სამაგიეროდ, რუსო გვევლინება იაკობინელთა რეს-

პუბლიკის მეტად ავტორიტეტულ წინამორბედად, რომელიც ერთგვარ აუცილებლობას ანიჭებს თავისუფლად და პირდაპირ გადმოცემულ „საერთო სურვილს“.

III. XVII საუკუნე: ლუდოვიკო XIV საუკუნე თუ რკინის საუკუნე?

რენესანსის შემდეგ განმანათლებელთა ეპოქამდე, XVII საუკუნე, პირველ რიგში, იყო ადამიანის აზროვნების განვითარების ბრწყინვალე პერიოდი სულ მცირე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

აქვე მოგვყავს რამდენიმე მაგალითი, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ აღვიქვათ ღრმა სინამდვილისგან მკვეთრად გამოხატული სხვაობა.

მაგ. საფრანგეთი. 1636 წ. გამოდის კორნელის *სიდი*, ხოლო 1637 წ. დეკარტის *მეთოდის შესახებ საუბრები*. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, პასკალი ოცდაცხრამეტი წლის გარდაიცვალა 1662 წ; მოლიერი (გარდაიცვალა 1673), ბოსუე, რასინი, ლაფონტენი, ლაბრიუიერი, დანარჩენ მოაზროვნებთან ერთად ქმნიან იმ ეპოქას, რომელიც 1715 წლამდე გრძელდება და სიამოვნებით უწოდებენ ლუი XIV საუკუნეს.

ინგლისში ე.წ. „ელიზაბეტის გაზაფხულის“ შემდეგ, 1591 წ. შემოქმედებით ასპარეზზე გამოდის შეუდარებელი და არაჩვეულებრივი დრამატურგი, პოეტი, ფსიქოლოგი, უილიამ შექსპირი. მისი გარდაცვალების შემდეგ 1616 წ. მოღვაწეობას აგრძელებენ პურიტანი მწერლები, კერძოდ, ჯონ მილტონი, ჯონ ბანიანი, ასევე პოლიტიკური მწერლები ტომას ჰობზი, რომლის „ლევიათანი“ 1651 წლით თარიღდება, და ჯონ ლოკი, რომელმაც 1690 წ. დაწერა „ცდა ადამიანის გონების შესახებ“.

ქვეყანაში მიმდინარე ომების გამო, გერმანია ერთგვარ დაცემას განიცდის. მიუხედავად ამისა, მაინც იქმნება შედევრები, მაგ. გრიმელსჰაუზენის *Simplex Simplicissimus*, რომელიც 1669 წელს გამოდის და ქვეყნის აოხრების საზარელ სურათს წარმოადგენს.

იტალია კვლავ ევროპის სათავეში რჩება. მიუხედავად ამისა, დაცემას მაინც განიცდის; პოლიტიკური თვალსაზრისით, იტალია დადებით როლს ველარ ასრულებს. ის არის გალილეის სამშობლო, რომლის გარეშეც ვერ იქნებოდა ვერც დეკარტი და ვერც ნიუტონი. იტალია ასევე არის ქვეყანა, სადაც დაიბადა ბაროკული ხელოვნება, ბორომინი და ბერნინი, კომედია დელ არტე და ოპერა.

სამაგიეროდ, ესპანეთი ბრწყინავს მთელი სიკაშკაშით. ეს არის ოქროს საუკუნის უმაღლესი მწვერვალი. 1547წ. მადრიდის მახლობლად დაიბადა შექსპირის თანამედროვე, დიდი მიგელ დე სერვანტეს საავედრა. მან თავი გამოიჩინა ლეპანტის შეტაკებაში, მძიმედ დაიჭრა მკლავში და ხეიბარი დარჩა. სერვანტესი ძირითადად იყო რომანისტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რომანის ჟანრს. ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა სერვანტესმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წიგნი (1605-1615) *El ingenioso hidalgo don Quijote de la Mancha,* რომელსაც „ერთდროულად მსოფლიო და ესპანურ რომანს" უწოდებენ. ამ ეპოქის ესპანეთში გვხვდებიან გენიალური მხატვარი ელ გრეკო, უბადლო მწერლები, კერძოდ, დრამატურგები, რომლებიც მთელს ევროპაზე ახდენენ ზეგავლენას, მაგ. ლოპე დე ვეგა (თეატრის თორმეტი წიგნი) ტირსო დე მოლინა და კალდერონი. ბევრს მიაჩნია, რომ კალდერონის გარდაცვალების თარიღი 1681 წ. განსაზღვრავს ოქროს საუკუნის დასასრულს. სწორედ ამ დროს საფრანგეთში ლუი XIV-ის საუკუნე ვითარდება.

გაერთიანებული პროვინციებიც აღმასვლას განიცდის, განსაკუთრებით, 1609 წ. ესპანეთთან დადებული დროებითი ზავის შემდეგ. „XVII საუკუნის პირველი ნახევარი ბრწყინვალე პერიოდი იყო ჩრდილოეთ ნიდერლანდების ისტორიაში. პოლიტიკური თვალსაზრისით, რესპუბლიკამ, რომელმაც თორმეტწლიანი „ზავის" შემდეგ ხელახლა წამოიწყო ბრძოლა ესპანეთთან, ცოტა ხნით მიაღწია დიდი სახელმწიფოს მდგომარეობას... აქ დაიბადნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საერთაშორისო აღიარება ხვდა წილად: ზახარიას იენსენი, ფრანს ჰალსი, რუბენსი, ვან დეიკი, რემბ-

რანტი; იან პიტერს სვილინკი... ლიტერატურა ჯერარნახულ აღმასვლას განიცდის.“

ნიდერლანდის ისტორიების ავტორი, პ.კ. ჰოფტი ამ ქვეყნის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ფიგურაა. საუკუნის მეორე ნახევარში, გაერთიანებულ პროვინციებში წინსვლა აღარ შეიმჩნევა, რაც გამოწვეული იყო შემდეგი ისტორიული მოვლენებით: 1672 წ. ფრანგებმა დაიკავეს გაერთიანებული პროვინციების ტერიტორია, რომელმაც შემდეგ უილიამ III ორანელის იძულებით, ინგლისის ბედი გაიზიარა.

თუმცა გაერთიანებული პროვინციები, აქ გამეფებული შედარებითი თავისუფლების გამო, გახდა კონტრაბანდული გამომცემლობის ცენტრი, ფილოსოფოსთა ნავთსაყუდელი (ჯერ დეკარტი, შემდეგ სპინოზას ოჯახი), 1685 წ. ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ ფრანგი ჰუგენოტების თავშესაფრი, ასევე ბრწყინვალე საუნივერსიტეტო ცენტრის კერა: ჰელდერნი, უტრეხტი, გრონინგენი, როტერდამი. აქ გამოქვეყნდა სამი უდიდესი, ევროპული დონის ნაშრომი: პიერ ბეილის *ლიტერატურული რესპუბლიკის ცნობები* (1683-1687); იან კლერკის *უნივერსალური და კრიტიკული ბიბლიოთეკა* (1686), ბასუაუ დე პოვალის *ნაშრომების და მეცნიერთა ისტორია*. ბეილი აქ მუშაობდა თავის *ისტორიულ და კრიტიკულ ლექსიკონზე* (1696-1697), რომელიც გახდა საუკუნის გარდამტეხ პერიოდში „ევროპული რწმენის კრიზისის“ სიმბოლო.

მართალია, იტალია აღარ არის მხატვრობის უდიდესი კერა, მაგრამ მაინც გავლენიანი რჩება ბოლონიის სამხატვრო სახელოსნოების წყალობით, რომელიც გამოცოცხლდა მიქელანჯელოს და კარაჩების მოწაფეების მიერ: გვიდო (გვიდო რენი), ალბანე (ფრანჩესკო ალბანი), გერჩინი („ელამი“ ჯოვანი ფრანჩესკო ბაბიერის ზედმეტსახელი). ისინი იყვნენ ფრანგი ბრუნის და მინარის მასწავლებლები. პუსენმა თითქმის მთელი თავის სიცოცხლე იტალიაში გაატარა. ესპანეთში ამ დროს მოღვაწეობენ რიბერა და მურილიო, ჰერერა, ზურბარანი და მათთან ერთად დიდი ველასკესი. ანტვერპენიდან ჩამოდიან რუბენსი და ვან დეიკი.

გაერთიანებულ პროვინციებში, რომელიც მართლა თვა-

ლისმომჭრელად ბრწყინავდა, დაიბადა რემბრანტ ვან რეინი. მამამისი ლუდისმხდელი იყო ლეიდენში. ინგლისში მოღვაწეობდა ბევრი დიდი ნიდერლანდელი მხატვარი (მაგ. ჩარლზ I-ის ცნობილი პორტრეტისტი, ვან დეიკი ან კიდევ, რუბენსი ერთდროულად დიპლომატიც და მხატვარიც).

ეს საუკუნე სინამდვილეში აუტანელი იყო ხალხთა მასისთვის. კორნელმა მშვენივრად შეიგრძნო არსებული ვითარება, რაც გამოხატა კიდეც თავის შედარებით ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებში *ოქროს საწმისი* (1660). ამ პიესის პროლოგში საფრანგეთი ახალგაზრდა ლუი XIV-ს ესაუბრება, რომელმაც ხელი მოაწერა პირენეების შეთანხმებას და ცოლად შეირთო ესპანეთის ინფანტა მარია-ტერეზა.

ორმოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული ლუი XIV ისევ იტყვის: „მეტისმეტად მიყვარდა ომი და მშენებლობა“.

დემოგრაფიული კრიზისი XVII საუკუნეში. ისტორიის დემოგრაფიულ საკითხს წარმოადგენს ამ გარემომცველი სიღარიბის დამაჯერებელი კვლევა. „საუკუნის ბოლო წლების განმავლობაში ევროპის უმეტეს ნაწილში შეწყდა მოსახლეობის ზრდა, რომელიც დამახასიათებელი იყო XIV საუკუნისთვის. დაიწყო უძრაობის, უფრო მეტიც უკან დახევის ხანა, რომელიც XVIII საუკუნემდე გაგრძელდა“. ეს ციტატა მოყვანილია მარსელ რეინჰარდის, ანდრე არმენგოს და ჟაკ დუპაკიეს თვალსაჩინო ნაშრომიდან *მსოფლიოს ხალხის ზოგადი ისტორია.* ზემოთაღნიშნული ეპოქის შესაბამის თავს მათ უწოდეს: „ევროპული კრიზისი 1600 წლიდან 1740 წლამდე.“

მაშ ასე, იყო კრიზისი, რომელიც ნაკლებ დამღუპველი აღმოჩნდა XIV საუკუნეში გავრცელებულ შავ ჭირთან შედარებით და რამდენიმე უბედურებაში გამოვლინდა. ეს უბედურებებია: შიმშილი, ეპიდემიები, ომი, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა სიკვდილიანობის პროცენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ თამაშში შემოდის სხვა ფენომენი. საქმე იმაში გახლავთ, რომ უბედურებების ხანაში, სანამ ცნობილი გახდებოდა პირდაპირი კონტრაცეპტიური

მეთოდები, სხვა საშუალებებს იყენებდნენ: მაგალითად, პიერ შონუ აღნიშნავს, რომ „გოგონების გათხოვების ასაკი კლასიკური ევროპის ნამდვილ კონტრაცეპტიურ იარაღს წარმოადგენს... რთულ დროში ქორწინებები გადადებულია. შედარებით იოლ დროში კი — დაჩქარებული.“

სიღარიბე შეიძლება დაკავშირებული იყოს კლიმატთან, რომელიც ბოლო ორას ორმოცდაათი წლის მანძილზე შედარებით ცივი გახდა. კლიმატური პირობების ასეთმა ცვალებადობამ გამოიწვია ერთის მხრივ, სუსხიანი ზამთრის კატასტროფა (1709 და 1740), ხოლო მეორეს მხრივ, გაზაფხულზე გაანადგურა მოსავალი და ამგვარად, ხელი შეუწყო ყველის ფასის ზრდას (1606-1609, 1639-1644, 1663-1664, 1672-1677, 1691-1703, 1703-1716). „დემოგრაფიული კრიზისის მიზეზებს წარმოადგენდა: სიკვდილიანობის გაზრდა, მოგვიანებით შობადობის კლება და სტატისტიკის მიხედვით ქორწინებათა რაოდენობის სწრაფი შემცირება“ (რეინჰარდი და არმენგო).

ეპიდემიები, კერძოდ შავი ჭირი და შიმშილობა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. შავი ჭირი აღარ ითვლება ყველაზე დიდ უბედურებად, თუმცა გარკვეულ წლებში აქა-იქ მაინც მძვინვარებს. კეთრი საბოლოოდ ქრება. ვინაიდან ძველად არ იცნობდნენ იმუნიზაციის პრინციპს, შავი ჭირის დამარცხება დაკავშირებული უნდა იყოს სანიტარული ზომების კონტროლის გამკაცრებასთან. პიერ შონუს სიტყვებით რომ ვთქვათ, „შავი ჭირის ეპიდემია გაქრა შუასაუკუნეებში, 1685 წელს. მიუხედავად ამისა, ამ ავდმყოფობამ 1720 წელს მაინც იფეთქა მარსელში.

თავის მხრივ, სამოქალაქო, რელიგიურ და საგარეო ომსაც დიდი უბედურება მოყვება. „ბრძოლის ველზე სისხლიანი დაღუპვა უფრო მატულობს, მაგრამ მეომარ ქვეყნებში არაპირდაპირი დანაკლისი თითქოს მცირდება“. ეპიდემიების გავრცელება ასევე დაკავშირებულია სამხედრო ძალების გადადგილებასთან.

გერმანიამ განსაკუთრებით განიცადა „ოცდაათწლიანი ომის უსიამოვნებები“. პფალცის მოსახლეობა 70 % შემცირდა. ვურტემბერგის მცხოვრებთა რიცხვმა ოთხას ორ-

მოცდაათი ათასიდან ასი ათასამდე იკლო, ხოლო მეკლენ-ბურგის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა ოცზე ჩამოვიდა. 1700 წლისთვის გერმანელი ხალხის რაოდენობა 1600 წელთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. გერმანია ამ დანაკლისის აღდგენას შეძლებს მხოლოდ 1750 წელს.

XVII საუკუნეში მიმდინარე ომის ძალადობა გამაოგ-ნებელი მოგვეჩვენებოდა, რომ არ ვიცნობდეთ XX საუკენის მსოფლიო ომის უბედურებას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგა-ლითი: 1576 წ. ესპანეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ ანტვერპენში, რომელიც თეორიულად, მოკავშირე ქალაქად იყო მიჩნეული. როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, გაძარცვეს იქაურობა და სიცოცხლეს გამოასალმეს ექვსი ათასი ადამიანი. „სამი წლით მთავარსარდლად და ქვეყნის მმართველად არჩეული კრომველი 1649 წ. ჩადის ირლან-დიაში, კერძოდ, დუბლინში და იერიშით იღებს დროგჰედას: სხვა ინგლისელების მსგავსად, კრომველს გამუდმებით თვალ წინუდგას 1641 წელს მოწყობილი ხოცვა-ულეტვის საში-ნელი სურათი და შურისძიებით შეპყრობილი, განსაკუთ-რებით დაუნდობელია დუბლინსა და ვექსფორდში, სადაც ხანჯალზე აგო ყველა მღვდელი, დახოცა ქალები და ბავ-შვები. ეს საშინელი კამპანია, რომლითაც თავს ხშირად იწონებდა კრომველი, და მოგვიანებით, რვა წლის მანძილზე მიმდინარე გარდამქმნელი და კოლონიური მოქმედებების განახლებამ შეურიგებელი სიძულვილი დათესა უბედურების კუნძულზე“ (ჰენრი ჰაუზერი). ოცდაათწლიანი ომის გან-მავლობაში გერმანიის ქალაქი პფალცი ორჯერ ააოხრეს საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა 1674 წ. და 1688 წ. ამ საშინელი ხოცვა-ულეტის მოგონება ახლაც ძრწოლას იწვევს XX საუკუნის გერმანიაში.

მოსახლეობის ევალუაცია XVII საუკენეში. საკმაოდ ძნელია ევროპის მოსახლეობის რაოდენობის დადგენა. 1663 წ. კოლბერის ბრძანებით, პირველად ხდება მოსახლეობის აღწერა, რომელსაც მალე მოჰყვა ბრიტანეთის, ესპანური ნიდერლანდების, გაერთიანებული პროვინციების აღრიც-ხვები. პრუსიის მოსახლეობის აღწერა მოხდა 1740 წ.,

ესპანეთის კი 1787 წ. ამ მონაცემებმა ნათლად დაგვანახა XVII და XVIII საუკუნეებს შორის არსებული კონტრასტი.

გამოკვლევების თანახმად, 1700 წელს ევროპის მოსახლეობა შეადგენდა 118 მილიონ ადამიანს, მსოფლიოს მოსახლეობა კი 510 მილიონს.

ფერნან ბროდელის „ვარაუდით", 1650 წ. მსოფლიო ითვლის 470 მილიონ ადამიანს, 1750 წ. 660-დან 694 მილიონამდე, რაც ნიშნავს მსოფლიო მოსახლეობის 41-დან 47 % გაზრდას. ევროპაში, რუსეთთან ერთად, რიცხვები 100-105 მილიონიდან 140-144 მილიონამდე ავიდა (+37,1%). XVII საუკუნეში ამ მხრივ შეიმჩნევა „მკვეთრი ჩავარდნა". ზოგიერთი მწერლის თანახმად, ესპანეთის მოსახლეობის რაოდენობა 8-დან 6 მილიონზე ჩამოვიდა (ამ აზრს იზიარებს ესპანელი ვინჩენტ უნესი).

დემოგრაფიული თვალსაზრისით XVIII და XVII საუკუნეებს შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან უკიდურესი სიღარიბეა გამეფებული, შიმშილი მაინც ქრება, უკან იხევს ეპიდემიები. 1770 წლიდან მოწყობილი რევოლუციების ფაქტი ქვეყანაში შექმნილ აუტანელ ვითარებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა. ამგვარად, ინგლისის და გალიის მოსახლეობის რიცხვი, რომელიც 1700 წელს 5, 826 მილიონს შეადგენდა, 1750 წელს 6, 140 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 1801 წ. ამ ქვეყნებში 9, 156 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.

შვედეთი: 1720 წელს 1, 450 მილიონი მოსახლეობა, 1800 წელს – 2,347 მილიონი.

ნორვეგია: 1735 წლისთვის 616 000 მცხოვრები, 1801 წელს.– 883 000.

იტალიის სამეფოები XVII საუკუნის დასაწყისში ითვლის დაახლოებით 13 მილიონ ადამიანს, საუკუნის ბოლოს კი 18 მილიონს.

გერმანიაში, 1700-დან 1800 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა 94 %-ით გაიზარდა ვურტემბერგში, 132,5 %-ით აღმოსავლეთ პრუსიაში, 138 %-ით პომერანიაში.

ჰაბსბურგთა იმპერიაში მოსახლეობის საერთო რაოდე-

ნობა 1725 წ. შეადგენს 8,1 მილიონს, 1789 წ. — 22,496 მილიონს. მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია ჭარბდასახლება გაერთიანებულ პროვინციებში (1,9 მილიონი 1750 წელს, 2,078 მილიონი 1795-1796 წლებში; ბელგიაში: 1,75 მილიონი 1714 წელს, 2,8 მილიონი 1784 წ., 3,3 მილიონი 1813 წელს). ნაკლებად ცნობილია საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვი საუკუნის დასაწყისში. 1791 წ. საფრანგეთის მოსახლეობა შეადგენს 26,3 მილიონს, რომელიც 7 მილიონით გაიზარდა ერთ საუკუნეში, რამაც ინგლისისგან განსხვავებით, ხელი შეუწყო უდიდეს ეკონომიკურ გარდაქმნას.

და ბოლოს დემოგრაფიულ ზრდას განიცდის ესპანეთი და პორტუგალია, რომელთა მოსახლეობის რაოდენობამ 1723-1797 წლებში 3 მილიონით მოიმატა. 1797 წლის აღწერის მიხედვით, ესპანეთში ცხოვრობდა 10,5 მილიონი ადამიანი.

საერთო ჯამში, (რეინჰარდის, არმენგოდის და დუპაკიეს მონაცემების თანახმად, იხ. გვ. 680), 1750 წ. მსოფლიოს 728 მილიონი ადამიანიდან 140 მილიონი ევროპაში და რუსეთში ცხოვრობდა, რაც შეადგენს 19,2 %-ს, 1800 წ. 187 მილიონი მსოფლიო მოსახლეობიდან 906 მილიონი კვლავ ევროპაზე და რუსეთზე მოდის, ეს არის უკვე 20,6%. ამგვარად, XVIII საუკუნის ევროპაში მსოფლიო მოსახლეობის მეხუთედი ცხოვრობდა. ეს უპირატესობა მომდევნო ორ საუკუნეში კიდევ გაიზრდება.

ქალაქებზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. ისინი იშვიათად გვხვდება აღმოსავლეთ ევროპაში. 1772 წ. პოლონეთში გაშენებულია ხუთი ქალაქი, სადაც ოცი ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამ ეპოქის რუსეთში ქალაქი საერთოდ არ მოიძებნება (1714 წელს საერთო მოსახლეობის მხოლოდ 9 % მოდის ქალაქზე, 1897 წელს კი ეს რიცხვი 13 %-მდე იზრდება). აღმოსავლეთის ვერც ერთი დაჯგუფება ლონდონის, პარიზის და ნეაპოლის ციფრებს ვერ უტოლდება. 1700 წ. ევროპაში მოიპოვება ათი ქალაქი ასი ათასზე მეტი მცხოვრებით, ხოლო 1800 წ. — ჩვიდმეტი ქალაქი, რომელთაგან ხუთი ორასი ათასი ადამიანით არის დასახლებული.

ბერლინში 1783 წ. ას ორმოცდაერთი ათასიანი მოსახლეობიდან ოცდაცამეტი ათასი ჯარისკაცი იყო. 1580 წ. ლონდონში ცხოვრობდა ას ოცდასამი ათასი ადამიანი, ხოლო 1700 წ. — სულ ცოტა ხუთას ორმოცდაათი ათასი, 1801 წ. დაახლოებით შვიდას ორმოცდახუთი ათასიდან ცხრაასი ათასამდე. აქედან გამომდინარე, იმ წელს ლონდონი მსოფლიოს ყველაზე დიდ ქალაქს წარმოადგენდა. 1789 წელს პარიზის მოსახლეობა ოთხას ორმოცდაათი ათასი მცხოვრებიდან ექვსასი ათასამდე იზრდება. 1776 წ. ნეაპოლის მოსახლეობა შეადგენს სამას ოცდაჩვიდმეტი ათასს, ხოლო 1796 წ. ოთხას ჩვიდმეტი ათასს. 1754 წ. ვენის მოსახლეობის რიცხვი აღწევს ას სამოცდათხუთმეტი ათასს, ხოლო 1793 წ. — ორას ოცდათხუთმეტ ათასს. 1800 წელს მოსკოვში ცხოვრობს ორას ოცდაათი ათასი ადამიანი.

XVII საუკუნის უბედურებათაგან ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი არის ევროპული ხასიათის გლეხთა აჯანყებები ყოველგვარი გადასახადების წინააღმდეგ, ასევე დემოგრაფიული ზრდა, რომელმაც აუატანელი გახადა სიღარიბე. „გლეხთა მძვინვარება“ (როლან მუნიეს წიგნის სათაური, რომელშიც ავტორი ერთმანეთს ადარებს საფრანგეთის, რუსეთის და ჩინეთის ვითარებას) განსაკუთრებით ხშირი მოვლენა იყო საფრანგეთში 1629-დან 1639 წლამდე და 1675-დან 1680 წლამდე. საგადასახადო სისტემა გაიზარდა ჯარის ხარჯების გამო და ტვირთად დააწვა „გლეხებს, რომელთა გადახდისუნარიანობა საკმაოდ დაბალი იყო.“ შესაძლოა ამით აიხსნას ფასების გაზრდის ასწლიანი პროცესის დასასრული. 1630-1640 წწ.-ში ფასები გაყინულია; 1640-1675 წწ.-ში, თანდათან იკლებს; 1675-1685 წწ. ში ფასები სტაბილურად, ერთ დონეზეა შეჩერებული (ეს ყველაფერი ემთხვევა ამერიკიდან ძვირფასი ლითონების შემოტანის შეჩერებას). რა თქმა უნდა, ზოგიერთი აჯანყება დაკავშირებულია დიდ ატმოსფერულ უბედურებებთან და მოულოდნელ კატასროფებთან. ასეთია, მაგალითად, სეტყვა, რომელიც რამდენიმე წუთში ანადგურებს მთელ მოსავალს. იშვიათია წმინდა ‘სპონტანური“ აჯანყება ან სუფთა

„გლეხთა“ აჯანყება. მათი უმრავლესობა ორგანიზებულია სოფლის დიდებულების ან ბურჟუების მიერ და მიმართულია სახელმწიფო ხაზინის, სახელმწიფო აპარატის „ტირანიის“ წინააღმდეგ.

IV. „ავტორიტეტის პრინციპის“ დაცემა და თანაგრძნობის განვითარება

საკმაოდ ძნელია, რამდენიმე ფურცელზე წარმოადგინო ნამდვილი რევოლუცია, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე განიცადა ევროპულმა აზროვნებამ, — *ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ევროპულმა აზროვნებამ!* XVII საუკუნეში იერიში მიიტანეს ძალაუფლების პრინციპზე. XVIII საუკუნეში ეს შეტევა თითქოს ყველგან გამარჯვებით მთავრდება. აქვე მოგვყავს ინგლისელი ისტორიკოსის ნორმან ჰამპსონის სიტყვები, რომელიც ეპიგრაფად უძღვის მის წიგნს „განმანათლებელთა ეპოქა“: „XVII საუკუნის პირველ ნახევარში განათლებულ ადამიანთა უმრავლესობის თვალთახედვაზე გაბატონებული იყო ძალაუფლების ორი სათავე: დამწერლობა და კლასიკოსი მწერლები. თითოეული თავისი მხრივ, ამკვიდრებდა აზრს, რომლის მიხედვითაც, ოქროს საუკუნის შემდეგ ცივილიზაცია გადაგვარების გზას დაადგა. ანტიკური ხანის ხალხის ბედნიერი საზოგადოების აღსადგენად, თანამედროვე ადამიანის ერთადერთი საზრუნავი ამ ხალხის განვითარების შესწავლა გახდა. ევროპულმა მიმდინარეობებმა, რენესანსმა და რეფორმამ, გააძლიერა ეს დამოკიდებულება და განამტკიცა წმინდა ტექსტების ავტორიტეტი. რენესანსი და ჰუმანიტარული პედაგოგიკა ემყარებოდა ბერძნული და ლათინური სწავლების განახლებას“. პსონი ასევე საუბრობს იმ „მხურვალე პატივისცემაზე“, რომელსაც განიცდიდნენ კლასიკოსების მიმართ.

ჩვენის აზრით, *ძალაუფლების პრინციპზე გამარჯვებული იერიში არის* XVIII საუკუნის ძირითადი ასპექტი. ადამიანის აზროვნებას, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, სჭირდება საყრდენი და მფარველობა.

თუ დავუშვებთ, რომ ანტიკური ხანის საზოგადოება იყო სრულყოფილი, მაშინ სიმართლე მათ ნაშრომებში უნდა ვეძებოთ: მაგ. არისტოტელეს ფილოსოფიაში (ასეთია წმინდა ტომასის, დომინიკელების და მრავალი თეოლოგის აზრი), ბერძენი ჰიპოკრატეს და გალენოსის მედიცინაში; ვიტრუვიუსის არქიტექტურაში და ა.შ. საქმე არ მივიდა თეატრამდე, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ანტიკურ ხანაში აღმოაჩინეს „სამი ერთიანობის კანონი," ადგილის, დროის და მოქმედების, რის გარეშეც პიესა კარგი ვერ იქნებოდა.

არქიტექტურა. შედარებით უწყინარ დაპირისპირებას აქვს ადგილი ხელოვნების და ლიტერატურის დარგში, რასაც ვერ ვიტყვით მეცნიერებაზე. ანტიკური ხანის ხალხმა, კერძოდ, კი ბერძნებმა ხელოვნების დარგში ისეთი შედევრები მოგვცეს, რომლის უკეთესს ალბათ ვერავინ შექმნიდა, თუმცა შესაძლებელი იყო მათთან შემოქმედებითი გათანაბრება. ადამიანები ამას ბუნდოვნად მიხვდნენ.

ზუსტად ასე, XVI საუკუნეში, იმ დროს, როცა რენესანსის ხელოვნება, გოთური ხელოვნებისგან განსხვავებით, რამდენადმე ცდილობდა ანტიკურ ხაზებთან მიახლოვებას, ჩნდება ახალი არქიტექტურა და სკულპტურა, *ბაროკო*. მისი სამშობლოა რომი. ახალი ხელოვნების ძირითადი ფუძემდებლები არიან არქიტექტორი ბორომინი, დაბადებული 1599 წელს, მოქანდაკე ბერნინი, ფლორანტენი, დაბადებული 1598 წელს. მათ შექმნეს სტილი, რომელიც „თავისუფლებს ხაზებსა და სხეულებს... დეტალს ანიჭებს საკუთარ ღირებულებას, რომელიც გარეგნულად, მთლიანობაზე არ არის დამოკიდებული... გამოხატავს თავისუფლებას, სიახლეს, რომელმაც შეიძლება ექსტრავაგანტულობამდე მიაღწიოს.

ბაროკოს სტილი განსაკუთრებით გავრცელდა იტალიაში, ესპანეთში (ამერიკის ესპანურ და პორტუგალიურ ნაწილში), ასევე ცენტრალურ ევროპაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ვენგარდენში, ოტობეურენში, ვისკირში. ბაროკოს ხელოვნება განვითარდა აგრეთვე საფრანგეთსა და ინგლისში, თუმცა დაუპირისპირდა *კლასიკურ* ხელოვნებას, რომელიც მასზე ნაკლებ ფერადოვანი, უფრო გაწონასწორებული და რაცი-

ონალური იყო. კლასიკურ ხელოვნებას მფარველობდა ლუი XIV, „ქალაქი და სამეფო კარი". 1665 წელს ბერნინი პარიზში მიიწვიეს ლუვრის კოლონადის გეგმის შესაქმნელად. ბერნინმა მეფეს შესთავაზა გრანდიოზული და ძვირადღირებული პროექტი, რომელიც გემოვნების, ეკონომიის თუ ფრანგი ხელოვანის დახმარების მიზეზით, დაიწუნეს და არჩევანი შეაჩერეს კლოდ პეროს კლასიკურ გეგმაზე. ამ ფაქტს ხშირად მიიჩნევენ, როგორც ფრანგული კლასიციზმის გამარჯვებას ბაროკოს ხელოვნებაზე. მიუხედავად ამისა, ბაროკოს სტილი დიდი მოწონებით სარგებლობდა ღარიბ ხალხში, რომელსაც ის ეკლესიებში სთავაზობდა კათოლიკური რეფორმიდან და ტრიენტის საეკლესიო კრებიდან გამომდინარე გულმოწყალების კონკრეტულ ფორმებს. ამ ეპოქის საფრანგეთში ნაგებობის სიმცირის გამო, ბაროკოს სტილის ნამუშევრები გვხვდება სხვადასხვა დეკორაციებზე და განსაკუთრებით, ათასობით საკურთხეველზე. ბაროკოს ხელოვნება გარკვეული წარმატებით ვითარდებოდა ინგლისში 1666 წლამდე. ამ წელს მოხდა დიდი ხანძარი ლონდონში. წმინდა პავლეს ტაძრის აგება დაევალა ამ ეპოქის უდიდეს ინგლისელ არქიტექტორს, მათემატიკოსს, ფილოსოფოსს, ფრანგული სასახლეების მკვლევარსა და ბერნინის შემოქმედების კრიტიკოსს, ქრისტოფერ ვრენს, დაბადებულს 1632 წელს. 1675 წ. განხორციელებულ პროექტში, ვრენმა უპირატესობა კლასიკურ სტილს მიანიჭა და ამ სტილით შექმნილი გუმბათის კოლონადა მთელს ევროპაში გახდა ცნობილი.

XVIII საუკუნეში, იმ დროს, როცა მრუდე ხაზი წარმატებით გამოიყენება ავეჯსა და დეკორაციაში, ვითარდება, ერთის მხრივ, „როკოკოს" სტილი, მეორეს მხრივ, ნეოკლასიციზმი, რომელიც XVII საუკუნეზე უფრო ანტიკურ ეპოქას ახასიათებდა. ამ სტილით არის შესრულებული 1757 წელს სუფლოს მიერ აგებული პარიზის პანთეონი.

ლიტერატურა. აქაც ძნელია განსაზღვრო, თუ ვის დაუჭირო მხარი, ძველ თუ ახალ თაობას. მთელი XVII საუკუნის მანძილზე ბრძოლა მიმდინარეობს ორ სკოლას შორის. ან-

ტიკური ხანის მომხრეები ამტკიცებენ, რომ არც ერთი ნაწარმოები ღირებული არ არის, თუ იგი არ ბაძავს ბერძნულ ან ლათინურ ლიტერატურას. საბოლოდ მათ მაინც წალეკავს განახლების უზარმაზარი სურვილი. სამაგიეროდ, კვლავ გავრცელებულია ანტიკური ხანის მწერლების *მიბაძვის* იდეა, რაც XVI საუკუნეში მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა (მაგალითად, რონსარმა ჰორაციუსის ზეგავლენით შექმნა ოდების ციკლი).

მეცნიერება. უაღესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ეპოქის *მეცნიერულ* აღმოჩენებს, რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ორი მაგალითი. ანტიკური ხანის მედიცინაში, კერძოდ, გალენოსისთვის უცნობი იყო სისხლის მიმოქცევის პრინციპი,რომელიც აღმოაჩინა ლონდონის სამეფო სამედიცინო კოლეჯის პროფესორმა და ჯეიმზ I-ის პირადმა ექიმმა ჰარვეიმ. 1628 წ. გამოვიდა მისი წიგნი *Exercitatio anatomica de motu cordis at sanguinis in animalibus* (ანატომიური გამოკვლევა გულისა და სისხლის მოძრაობის შესახებ ცხოველებში). მიუხედავად ამისა, არისტოტელეს და გალენოსის მოწაფეები დიდხანს არ სცნობდნენ ამ აღმოჩენას. მოლიერის განსაკუთრებული დაცინვის საგანი გახდნენ თანამედროვე ექიმები, რომელებიც სისხლის მიმოქცევის უარყოფას კვლავ განაგრძობდნენ.

ამ ეპოქის მეცნიერებმა დაადგინეს დედამიწის ბრუნვის პრინციპი. ამ აღმოჩენას უკავშირდება პოლონელი ნიკოლოზ კოპერნიკის და დანიელი ტიხო ბრაჰეს, ასევე წარმოშობით გერმანელი, შტუტგარტელი იოჰანეს კეპლერის (1571-1630) და იტალიელი გალილეის (1564-1642) სახელი. გალილეიმ დახვეწა 1608 წელს გამოგონებული ტელესკოპი და დაამსხვრია არისტოტელეს თეორია, რომლის თანახმად, დედამიწა უძრავი სხეული იყო და სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა, ყველა სხეული მის გარშემო, წრეზე ბრუნავდა ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ახალი აღმოჩენის მიხედვით, დედამიწა არის არა სამყაროს ცენტრი, არამედ უმცირესი ნაწილაკი ცაზე, რომლის კვლევასაც გამუდმებით განაგრძობენ.

თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა რეაქცია ექნებოდა ამაზე საეკლესიო ხელისუფლებას. იგი ყველაფერს ჩვეულებრივ, სამყაროს შექმნის წიგნით, ბიბლიით ხსნიდა (ძალაუფლების პრინციპი), რომელიც შევსებული იყო არისტოტელეს კონსერვატული თეორიებით. სწორედ ამიტომ 1616 წ. რომის ტრიბუნალმა დაგმო გალილეის აღმოჩენა: „მოსაზრება მზის, როგორც სამყაროს უძრავი ცენტრის შესახებ, ნამდვილი სიგიჟეა, ფილოსოფიურად მცდარია და მწვალებლურ აზრს წარმოადგენს, რადგან საღვთო წერილს ეწინააღმდეგება. დედამიწის, როგორც სამყაროს ცენტრის უარყოფა და უფრო მეტიც, მისი ბრუნვის მტკიცება, სიბრძნეს მოკლებულია და ყალბი რწმენის ნაყოფს წარმოადგენს.“

გალილეი ინკვიზიციამ რომში მიიწვია და 1635 წ. ტყვედ აიყვანა. მას საშინელი წამებით დაემუქრნენ, რის შედეგადაც გალილეიმ ძველი ჩვენება უარყო. მეცნიერს ციხე მიუსაჯეს. ამბობენ, რომ ე.წ. ‘მონანიების“ შემდეგ გალილეი გამუდმებით დედამიწაზე საუბრობდა. მისი სიტყვებია: „და მაინც, დედამიწა ბრუნავს!“ ექსპერიმენტზე დამყარებულმა გალილეის ფიზიკურმა მეცნიერებამ, დაგვანახა, რომ მოძრაობა მათემატიკის კანონებს ემორჩილება.

ემპირიზმი და გონება. ინტელექტუალური რევოლუციის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ორ ადამიანს, ინგლისელ ფრანსის ბეკონს (1561-1626) და ფრანგ რენე დეკარტს (1596-1650). ბეკონმა უარყო ავტორიტეტის პრინციპი და ბუნების შეცნობა *ექსპერიმენტზე* დაყრდნობით სცადა. მან ასევე შექმნა რამდენიმე ექსპერიმენტული კანონი.

რენე დეკარტიმ არისტოტელეს დოქტრინა შეცვალა ახალი უნივერსალური თეორიით, რომელიც გონებაზე და უეჭველობაზე იყო დაფუძნებული. 1618-1619 წლებში დეკარტი მოხალისედ იყო ჯარში, 1625 წ. დასახლდა ჰოლანდიაში, სადაც საფრანგეთთან შედარებით თავისუფალი ატმოსფერო სუფევდა და დარჩენილი სიცოცხლე შემეცნებაში გაატარა. 1629 წ. დაწერა „მეტაფიზიკური მედიტაციები“;

1637 წ. — „მეთოდის შესახებ საუბრები“ და წმინდა აზროვნებით სცადა არა მხოლოდ გეომეტრიული, არამედ, ფიზიკური მეცნიერების აგება. თუმცა თუ გამოცდილება არ კმარა, ექპერიმენტების გარეშე წარმოებული აზროვნებაც ზოგადად, მცდარ შეხედულებამდე მიდის.

XVII საუკუნის ბოლოს ინტელექტუალური ცხოვრება დიდ აღმასვლას განიცდის ინგლისში, რომლის ლიტერატურული შემოქმედება 1712 წ. საფრანგეთს აჭარბებს. ამ საუკუნის მიღწევათა საბოლოო შეჯამებას ახდენს კემბრიჯის ტრინიტის კოლეჯის მათემატიკის პროფესორი, ნიუტონი (1642-1727). გიი გაეცნო დიდი ფრანგი მათემატიკოსის, მწერლის და ფილოსოფოსის ბლეზ პასკალის (1623-1662) მექანისტურ პრინციპებს და გაცილებით შორს წავიდა,როცა ექსპერიმენტებსა და ანალიზებზე დაყრდნობით, შექმნა საკუთარი მათემატიკური სისტემა, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა, რომელიც ნიუტონისგან დამოუკიდებლად ასევე გამოიგონა გერმანელმა მეცნიერმა ლაიბნიცმა (1646-1716). ნიუტონმა განიხილა სხეულთა მოძრაობა და ახსნა იგი „მსოფლიო მიზიდულობის“ კანონით. პოპი ნიუტონის შესახებ წერდა: 'ბუნება და ბუნების კანონები ბნელით იყო მოცული. ღმერთმა თქვა იყოს ნიუტონი და იქმნა ნათელი.“

რელიგია. თავისთავად იგულისხმება, რომ გონებრივი აზროვნების მზარდი თავისუფლება სერიოზულ პრობლემას უქმნიდა საეკლესიო ხელისუფლებას. ქრისტიანული რელიგია არის ჭეშმარიტი რელიგია, ე.ი. უფალი იმისთვის მოგვევლინა, რომ ადამიანებს ასწავლოს ჭეშმარიტება. რწმენას ვერ მოიპოვებ მხოლოდ წმინდა აზროვნებით. მოგვიანებით, ვატიკანის I საეკლესიო კრება მიიღებს კათოლიკური რწმენის დოგმატურ კონსტიტუციას, რომლის თანახმად, ღმერთმა არაფრისგან შექმნა სამყარო, იგი აცხადებდა აგრეთვე რწმენის პრიმატს გონებაზე, რელიგიისა — მეცნიერებაზე და ა.შ.

თუ ვიტყვით, რომ მთავარი ჭეშმარიტება, როგორიცაა სამყაროს წარმოშობა ან ბუნების კანონები, მოცემულია

საღვთო წიგნში, მაშინ გამოდის, რომ ეკლესია განსაზღვრავს ადამიანის გონებრივ განვითარებას. პროტესტანტულმა რეფორმამ დაუშვა ბიბლიის (ახალი და ძველი აღთქმა) თავისუფალი ინტერპრეტაციის პრინციპი, თუმცა ამ ტექსტის ღვთიურ ხასიათში ეჭვი არავის შეუტანია. თუ დავუშვებთ, რომ ბიბლიის გარკვეული ნაწილი მეცნიერების მიერ უნდა იქნეს ამოღებული (მაგალითად, ის ნაწილი, რომელშიც მოთხრობილია სამყაროს ექვს დღეში წარმოშობის პროცესი), მაშინ დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა შენარჩუნდეს.

დეკარტი „მეთოდური ეჭვის" აუცილებლობას ქადაგებს მეცნიერებაში და არა რელიგიაში. მაგრამ მისი მხრიდან ხომ არ არის ეს უბრალო სიფრთხილე? ნიუტონი თვლის, რომ უფლის მუდმივი დახმარებით შექმნა თავისი ზოგადი კანონების ბრწყინვალე სისტემა. ყველა ეპოქის მორწმუნეს, რა თქმა უნდა, ურჩევნია თავიანთი რწმენის წარმოშობა დაუკავშიროს ხან უმაღლეს გრძნობას, მაგალითად, პასკალის მსგავსად ან მიაღწიოს სრულქმნილებას მორალური კანონის (ანუ „კატეგორიული იმპერატივი") გათვალისწინების გარეშე. ამ თვალსაზრისით, გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა შექმნა *პრაქტიკული გონების კრიტიკა*. ასეა თუ ისე, კრიტიკა შეეხო თვით ბიბლიის ტექსტსაც (განმარტება), იესო ქრისტეს ისტორიულობას, მთელ სპირიტუალიზმს და იდეოლოგიას.

მალე დავრწმუნდებით, რომ ახალმა ვითარებამ ხელი შეუწყო თავისუფალი აზროვნების განვითარებას, მიუხედავად ინკვიზიციის უხეში მეთოდებისა, რომელიც გამოიხატებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიისგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების დევნაში. გაჩნდა ახალი იდეალი: „შეცდომის წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლა" (ლა მენე). საუბედუროდ, ამ იდეალს ჩვენს პლანეტაზე ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია; „აზრობრივი დანაშაულისთვის" უამრავ ქვეყანაში დღესაც შეიძლება დაკარგო თავისუფლება, თქვენ წარმოიდგინეთ, სიცოცხლეც კი.

შემწყნარებლობა და თანაგრძნობა. გონების სასარგებ-

ლოდ გავლენის პრინციპის დაცემამ წესით უნდა წარმოშვას ისტორიისთვის იშვიათად ცნობილი გრძნობა, რომელსაც შემწყნარებლობა ეწოდება. ეს უკანასკნელი უმთავრესად, რელიგიის სფეროში გვხვდება XVII საუკუნეში. მაგალითად, 1598 წ. საფრანგეთის მეფე ანრი IV გამოსცა ნანტის ედიქტი, რომლიც გულისხმობდა ფრანგი პროტესტანტების შეწყალებას. ეს იყო პოლიტიკური აქტი. ნორმალურად მიიჩნიეს ასევე ის ფაქტი, როცა ლუი XIV-ემ კათოლიკური ღვთისმოსაობით, ეს ბრძანებულება გააუქმა და პროტესტანტები ქვეყნიდან განდევნა (1685 წ.). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1689 წ. პოტსდარმის ედიქტით, ბრანდენბურგის ამომრჩეველმა ქვეყნის საზღვრები გაუხსნა ფრანგ ჰუგენოტებს იმ დროს, როცა საჯარო თანამდებობებზე კათოლიკეების აყვანა აკრძალული იყო 1829 წლამდე.

შემწყნარებლობა პრატიკაში განვითარდა XVIII საუკუნის განმავლობაში. 1787 წლის 17 ნოემბერს მიღებული ედიქტის თანახმად, ყველა მრწამსის ადამიანს გაეხსნა გზა ნებისმიერი დატვირთვის, სამსახურის თუ სამოქალაქო მდგომარეობის მოსაპოვებლად, რომელიც აქამდე კათოლიკე მღვდლებს ეკავათ. საფრანგეთში „შემწყნარებლობა დამარცხდა“ მაშინ როცა, ანგლო-საქსონურ ქვეყნებში, კერძოდ, კი პრუსიასა და ავსტრიაში, თვითონ მთავრობამ უბოძა იგი ხალხს.

ვოლტერმა (1694-1778) მშვენივრად დაგვიხატა ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში განვითარდა პროტესტანტების, სხვა ქვეყნებში კათოლიკეების, ამა თუ იმ ეკლესიის მომხრეთა სასარგებლოდ. ეროვნებით ფრანგი არუე იყო გრაფთა პალატის ნოტარიუსის შვილი, რომელმაც ოცდაერთი წლის ასაკში ფსევდონიმად აიღო ვოლტერის სახელი და მალე მთელ ევროპაში გახდა ცნობილი. ვოლტერის ულმობელმა კალამმა, კრიტიკულმა გონებამ, გარკვეული სტილით წერამ, ურთიერთობების და ინტერესების დიაპაზონმა ხელისუფალთა აღშფოთება გამოიწვია.

ჟენევის მახლობლად, ფერნეის საზღვართან იდგა ვოლტერი და სამეფოდან გასაქცევად ემზადებოდა. არსებობდნენ ისეთი ხელისუფალნიც, რომლებიც ვოლტერს ეპირფერე-

ბოდნენ. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ მწერალმა თავისი უზარმაზარი სულიერი და ინტელექტუალური ავტორიტეტი მოახმარა შემწყნარებლობასა და თანაგრძნობას. ვოლტერი აგრეთვე, იყო „ანგაჟირებული" მწერალი, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ტულუზის პროტესტანტი ვაჭარი, საბრალო კალასი ამაოდ დაადანაშაულეს და 1762 წ. წამებით სული ამოხადეს. ვოლტერმა ამ საქმის გადასინჯვა მოითხოვა და მიაღწია საბრალო კალასის რეაბილიტირებას. ასევე სიკვდილი მიუსაჯეს (1764) ფრანგ პროტესტანტ სირვენს, რომელმაც, მოსამართლის აზრით, საკუთარი ქალიშვილი მოკლა იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელს კათოლიკობის მიღება სურდა. სერვენმა შვეიცარიაში გაქცევა მოახერხა. ცხრა წლის შემდეგ ვოლტერის დიდი ძალისხმევით, სირვენი გაამართლეს. „ფილოსოფიური წერილების" ავტორი არ იყო მხოლოდ პროტესტანტების დამცველი; იგი ცდილობდა მსოფლიოსთვის დაენახვებინა სასამართლოს საზიზღარი შეცდომა განსაკუთრებით, მაშინ, როცა იგი ფანატიზმით იყო განპირობებული.

მილანელმა მწერალმა ჩეზარე მარკიზ დი ბეკარიამ (1738-1794) გამოსცა მცირე ნაშრომი „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ", რომელსაც ფენომენალური წარმატება ხვდა წილად. ბეკარია ილაშქრებდა ყოველგვარი თვითნებობის წინააღმდეგ და თვლიდა, რომ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულს: ეს მოთხოვნა გამოწვეული იყო იმ შემთხვევების გამო, როცა ქურდობისთვის ან ბრაკონიერობისთვის ჩამოხრჩობით სჯიდნენ ადამიანებს. ბეკარია ასევე მოითხოვდა ბარბაროსული სასჯელების გაუქმებას; ასეთი იყო, მაგალითად, კოცონი, ურმის ბორბალი. ამავე აზრს იზიარებდა პარიზელი ექიმი ჟოზეფ ინიას გილიოტინი. იგი მოითხოვდა სიკვდილით დასჯის ისეთი ფორმის შემუშავებას, რომელიც ამ პროცესს უფრო სწრაფს გახდიდა. 1789 წელს ქირურგიის აკადემიამ გამოიგონა მექანიზმი, რომელსაც გილიოტინის სახელი უწოდეს. ეს საზარელი მოწყობილობა, უნდა ვაღიაროთ, უკვე წინსვლას ნიშნავდა.

ამგვარად, ამ ეპოქის ევროპაში გამეფებული სისასტიკის

მიუხედავად, (მაგ. მონობა, ზანგებით საჯარო ვაჭრობა კოლონიებში), თანდათან ღვივდება სამართლიანობის, შემწყნარებლობის, თავისუფლების მზარდი ცეცხლი. ადამიანები ყოველთვის უკეთეს სასამართლოზე იოცნებებენ.

V. „ფრანგული ევროპა“ და კოსმოპოლიტიზმი

ერთი შეხედვით ევროპა კოსმოპოლიტური ხდება. ინტელექტუალთა ჯგუფს, რომელიც ევროპის ერთგვარი მაგისტრის როლს ასრულებს, სამშობლოს იდეა ხშირად ველურ გადმონაშთად მიაჩნია. ამ დამოკიდებულებას ადასტურებენ განათლებული ხელისუფალნი, რომლებიც თითქოს ეთანხმებიან აღნიშნულ აზრს და ბოდიშს იხდიან იმის გამო, რომ ზოგიერთი მიწიერი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მაგალითად, პრუსიის მეფე ფრედერიკ II თავის ნაშრომში, *ჩემი ეპოქის ისტორია,* (1743) წერს: „იმედი მაქვს, მომავალი თაობა, რომლისთვისაც ვწერ, ჩემში განასხვავებს ფილოსოფოს ხელმწიფეს და პატიოსან პოლიტიკოსს. უნდა ვაღიარო, ძალიან ძნელია შეინარჩუნო თავაზიანობა და უმანკოება, როდესაც ჩაბმული ხარ ევროპის დიდი პოლიტიკის ორომტრიალში.“ განსაკუთრებული პოლიტიკური ეშმაკობით და მოხერხებულობით გამორჩეული იყო რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II. მან ისარგებლა მრავალსიტყვაობით, რომლის ნაკლებობასაც მისი წერილები არ განიცდიდნენ, ქება შეასხა რუსი ხალხის გამარჯვებებს, მინიმუმამდე შეამცირა დამარცხებების რაოდენობა და უტიფრად იტყუილებოდა, როცა იძახდა, რომ რუსი გლეხები ქათმის ხორცს მაშინ მიირთმევდნენ, როცა მოისურვებდნენ.

ფრანგული ევროპა განმანათლებელთა ეპოქაში. სალონების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, პარიზი ევროპის ცენტრს წარმოადგენს. თუმცა არსებობს მეორე ცენტრიც, ვოლტერი და მაშასადამე, ფერნეი, რომელიც ჟენევასთან ახლოს მდებარეობს, სადაც მწერალმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. კოსმოპოლიტიზმი თავდაპირველად

XII. ვრცელ განმანათლებელთა საუკუნეში


ავსტრიის ბანბერგი
პრუსიის სამეფოები
გერმანიის ფედერაციული
ეკლესიური (პაპის) სამეფოებები
ინგლისი უნივერსიტეტები
ინგლისი ინვალიდები
ინგლისი ინვალიდები
ინგლისი ინვალიდ

განხორციელდა განათლებული ადამიანების და არისტოკრატიის წრეში ფრანგული ენის ტრიუმფით, ლუი რეომ თავის ბრწყინვალე ნაშრომს უწოდა *ფრანგული ევროპა განმანათლებელთა ეპოქაში.* XVIII საუკუნიდან გვხვდება შემდეგი სათაური: *პარიზი, უცხოური სახელმწიფოების მოდელი ანუ ფრანგული ევროპა,* რომელიც იტალიელ კარაჩიოლის ეკუთვნის.

რას უნდა ნიშნავდეს ფრანგულის ასეთი ხშირი ხმარება? ნუთუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება? სწორედ ამ კითხვას უსვამდნენ თავის თავს თანამედროვეები. სელესტენ ბუგლე თვლის, რომ „ამიერიდან ფრანგული არის ევროპელი ხალხის საკომუნიკაციო ენა.“ ჟენეველმა გი მიეჟიმ ლონდონში გამოსცა ფრანგულ-ინგლისური და ინგლისურ-ფრანგული ლექსიკონი. მისი აზრით, „ფრანგული ენა, გარკვეული თვალსაზრისით, უნივერსალური ხდება“. გრიგორიო ლეტიმ ფრანგულად თარგმნა *კრომველის ცხოვრება,* იგი აღნიშნავს: „ამ საუკუნეში ფრანგული ენა საყოველთაოდ ცნობილი ხდება“. 1714 წ. რასტადტის ხელშეკრულებაზე ფრანგული ენა დიპლომატიურ ენად ცნეს.

ვნახოთ რა ხდება საუკუნის მეორე ნახევარში. ფრანგულ ენას გამოუჩნდა მეტოქე ინგლისური ენის სახით, რაც განპირობებული იყო მზარდი ანგლომანიით, ინგლისური ლიტერატურის და მეცნიერების დიდებით. ჟან-ჟაკ რუსო გარემომცველი ფრანკომანიის მიმართ დიდად კეთილგანწყობილი არ არის. თავის ნაშრომში, *შენიშვნები პოლონეთის მთავრობის შესახებ,* იგი გამოთქვამს სურვილს, რომ ამ ქვეყანამ „შეინარჩუნოს სამოქალაქო და საშინაო წესები“. „დიდმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავის ადათ-წესები და არ უნდა გაითქვიფოს მეზობელ ქვეყნებში“.

სიტუაციის საუკეთესო ანალიზს იძლევა დ'ალამბერი *ენციკლოპედიის წინასიტყვაობაში:* „ჩვენ გვეგონა, რომ მოვიდა დრო, როცა ლათინური, რომელზეც წერდნენ ჩვენი სწავლულები რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული, უნდა შეცვლილიყო მთელს ევროპაში გავრცელებული ფრანგული ენით. ვაღიარებ, რომ ფილოსოფოსს უფრო ეპატიება ფრანგულ ენაზე წერა, ვიდრე ფრანგს ლათინური ლექსების

თხზვა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ფრანგული ენის ხმარებამ ხელი შეუწყო განათლების ზოგად გავრცელებას [...]

აქედან გამომდინარე წარმოიქმნა ერთგვარი უხერხულობა, რომელიც ადრე უნდა გაგვეთვალისწინებინა. სხვა ეროვნების სწავლულებს, რომელთაც მაგალითი მივეცით, სამართლიანად სჯეროდათ, რომ მშობლიურ ენაზე უკეთ წერდნენ, ვიდრე — ჩვენს ენაზე. ინგლისმაც ჩვენ მოგვბაძა; გერმანიაც, რომელიც თითქოს ლათინური ენის თავშესაფარს წარმოადგენდა, თანდათანობით მას ხმარებიდან იღებს: ეჭვი არ მეპარება, რომ მას მალე მიბაძავენ შვედები, დანიელები და რუსები. ამგვარად, XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებამდე, ფილოსოფოსი, რომელიც მოისურვებს თავისი წინამორბედების აღმოჩენების სიღრმისეულ წვდომას, იძულებული იქნება შვიდ, რვა ენას დაეუფლოს; მათ შესწავლას თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლებს მოანდომებს და ისე მოკვდება, რომ განათლების მიღებასაც ვერ მოასწრებს."

ფრანგული ენის და ლიტერატურის ამ ჰეგემონიას ემატება ხელოვნების ზეგავლენა. ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ვერსალის სასახლეს და ბაღს მთელი ევროპა ბაძავდა. ასე შეიქმნა „გეზუს და წმინდა პეტრეს ტაძარი რომში" (ლუი რეო).

ევროპა და მუსიკა. მუსიკა, ევროპისთვის დამახასიათებელი ხელოვნებაა. საუკუნეთა მანძილზე ევროპელებმა განსხვავებული ტემბრის მუსიკალური ინსტრუმენტების უზარმაზარი კოლექცია შექმნეს. ორღანი ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში იხსენიება ცნობილი ქრისტიანი მამის ტერტუიენის იგივე ტერტუიანუსის ნაშრომებში. IX საუკუნეში შეიქმნა კლავისინ კლავიკორდი, XVI საუკუნეში ფლორენციული პიანინო, ზოგიერთი ტიპი ჩასაბერი, სიმებიანი, კლავიშებიანი საკრავები, პერკუსია და ა. შ. თითქმის ყველა თანამედროვე ინსტრუმენტი ევროპული გამოგონებაა. მაგალითად ჩაქუჩებიანი პიანინო 1711 წელს გამოიგონა ფლორენციელმა ბერმა კრისტოფორიმ და დაასრულა გერმანელმა სილბერმანმა. მოგვიანებით, ორმა გამომგონებელმა სებასტან ერარ-

დიმ (1752-1831) და იგნაზ პლეიელიმმა (1757-1831) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მას თანამედროვე სახე მისცა. ანტიკური ლირის, არფისა და სიტარის შემდეგ, IX საუკუნეში გამოჩნდა ექვსსიმიანი ვიოლა, ხოლო XVII საუკუნეში ლიონში გამოიგონეს ოთხსიმიანი ვიოლინო. სიმებიანი საკრავების ყველაზე ცნობილი ოსტატი გახლდათ ანტონიო სტრადივარიუსი. იგი დაიბადა კრემონში 1644 წელს და გარდაიცვალა 1737 წელს.

გარდა მუსიკალური ინსტრუმენტების და სანოტო სისტემის გამოგონებისა, ევროპელებმა გასაოცარ სრულყოფილებას მიაღწიეს მუსიკალური ჟანრების შექმნასა და გავრცელებაში. XII საუკუნემდე მღეროდნენ უნისონში, ანუ ერთხმაში. XII საუკუნიდან კი გამოჩნდა პოლიფონიური მუსიკა და უმთავრესად გავრცელდა ორ დასახლებულ ზონაში: ბელგიასა და იტალიაში. ბელგიაში პოლიფონია უკავშირდება როლან დე ლასუს სახელს (1532-1594). იგი იყო ბავარიის მეფის კარის კაპელმეისტერი, ხოლო იტალიაში პოლიფონიურ მუსიკას საფუძველი ჩაუყარა ჯიოვანი პიერლუიჯი და პალესტრინამ (1525-1594), ანუ როგორც ეძახდნენ „მუსიკის პრინცი", იგი იყო რომის წმინდა პეტრეს ტაძრის კაპელმეისტერი, შემდეგ კი სენ-მარი-მაჯერის. აქედან იღებს სათავეს გერმანული და ესპანური მუსიკალური სკოლებიც. გერმანული სკოლის ფუძემდებელია ჰეინრიხ შუტზი, რომელიც იტალიური სკოლის მიმდევარი გახლდათ, ხოლო ესპანური სკოლისა ტომას ლუდოვიკო დე ვიტორია.

ინსტრუმენტებისა და ხმების შერწყმამ დასაბამი მისცა დიდ იტალიურ გამოგონებას ოპერას. რომელსაც გენიალურმა იტელიელმა მუსიკოსმა კლაუდიო მონტევერდიმ (1567-1643) სული ჩაბერა. XVII საუკუნეში ევროპის ყველა სამეფო კარზე იყვნენ იტალიელი მუსიკოსები და იტალიის მსგავსად ქმნიდნენ სამუსიკო აკადემიებს. მათ შორის ყველაზე ცნობილია, ლუი XIV კარის მუსიკოსი ფლორენციელი ჟან-ბატისტ ლული.

შეიძლება ითქვას რომ, XVIII საუკუნეში გერმანია ეს ის ქვეყანაა, სადაც დაიბადნენ საუკუნის ყველაზე დიდი

მუსიკოსები ჰენდელი და ბახი. ჰენდელი (1685-1759) ლონდონის სამუსიკო აკადემიის ხელმძღვანელად აირჩიეს. იოჰან სებასტიან ბახს (1685-1750) კი უზარმაზარი დიდება მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ერგო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გერმანელი კომპოზიტორების წყალობით, მუსიკამ განიცადა სრულიად ახალი და გასაოცარი ცვლილება: გამოიგონეს სიმფონია. ოპერისაგან განსხვავებით ეს უკვე აღარ არის ნაზავი თეატრისა და ბგერისა, ხმისა და ინსტრუმენტისა, არამედ ეს არის წმინდა, სუფთა მუსიკა. სიმფონიას ტრიუფი მოუტანა იოზეფ ჰაიდნმა (1732-1809), - რომელიც დარდისგან გარდაიცვალა, როცა ფრანგებმა ხელახლა დაიკავეს ვენა, - ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა (1756-1791), ლუდვიგ ვან ბეთხოვენმა (1770-1827), ფრანც შუბერტმა (1797-1828).

ფილოსოფიური კოსმოპოლიტიზმი. ვოლტერი. კოსმოპოლიტი მწერლის ერთვარი სახეა ვოლტერი. „ფილოსოფიურ ლექსიკონში“,არ მოიპოვება სტატია „ევროპა“,თუმცა არის სტატია „სამშობლო“. მოულოდნელად, ვოლტერმა განაცხადა, რომ არ მოგვცემს სამშობლოს განმარტებას, და შემოიფარგლება მხოლოდ კითხვების დასმით. ამ კითხვებს ერთი მიზანი აქვთ: აჩვენოს რომ მხოლოდ ბედნიერი ადამიანების ერთი ჯგუფი, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ქონებას, ფიქრობენ რომ მათ აქვთ სამშობლო. ვის აქვს სამშობლო? ებრაელებს? გენერლებს რომლებიც ხან ერთ ბანაკში არიან ხან მეორეში? აბრაამს, რომელმაც ური დატოვა? ატილას, რომელიც მომთაბარე იყო?

სამშობლო არის „მრავალი ოჯახის ერთიანობა“. „რაც უფრო დიდია სამშობლო, მით უფრო პატარაა სიყვარული, რადგან განაწილებული სიყვარული სუსტდება“. იმათთვისაც კი ვისაც სამშობლოს განცდა აქვს, „სამწუხაროა რომ ხშირად, კარგი პატრიოტობისთვის საჭიროა იყო დანარჩენი ადამიანების მტრობა... გსურდეს შენი ქვეყნის სიდიადე, ნიშნავს ავი უსურვო მეზობლებს. ვისაც არ უნდა მისი სამშობლო იყოს უფრო დიდი, უფრო პატარა, უფრო მდიდარი ან უფრო ღარიბი, არის მსოფლიო მოქალაქე“.

მომხიბლავი ფორმულაა. თუმცა სტატიაში გამოყოფილი არ-არის, რადგან ვოლტერი თავიდან ვერ აიცილებს დაცინვას. აქვე კორნელის ორიოდე სტროფს მოვიყვანთ „ჰორაციუსიდან", შესაძლოა ცოტა მაღალფარდოვანი მოგეჩვენოთ:

სამშობლოსათვის სიკვდილი
არის ისეთი ღირსეული რამ,
რომ ამ მშვენიერი სიკვდილისკენ
ისწრაფვიან ხალხი გუნდ-გუნდად. ტარარე!

ვოლტერის კოსმოპოლიტიზმი წმინდა ევროპულია. რატომ? იმიტომ რომ „ევროპის ხალხებისთვის დამახასიათებელი ზოგადსაკაცობრიო პრინციპები მსოფლიოში სხვაგან არსად მოიპოვება; ისინი სხვებზე მეტად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან; მათ აქვთ მსგავსი კანონები, ყველა სამეფო კარი ერთმანეთთან არის დაკავშირებული; მათი ქვეშევრდომები განუწყვეტლივ მოგზაურობენ ერთმანეთში და ამით ინარჩუნებენ ურთიერთკავშირს".

ქრისტიანი ევროპელები ბერძნების მსგავსად ერთმანეთში ომობენ, მაგრამ ამ შუღლში ისინი ინარჩუნებენ ერთიანობას. „ხშირად ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, გეგონება ერთი და იმავე ქალაქში დაიბადა." (ფონტენოას ლექსის წინასიტყვაობა, 1745)

რუსო, მონტესკიე, დიდრო. რუსომ უფრო მკაცრად განაცხადა 'პოლონეთის მთავრობაში": „დღეს უკვე აღარ არსებობს ფრანგი, გერმანელი, ესპანელი, ინგლისელიც კი, არსებობენ მხოლოდ ევროპელები. ყველას ერთნაირი გემოვნება აქვს, ერთნაირი მისწრაფება, ერთნაირი წესჩვეულებები, რადგან მათგან არც ერთს არ მოეპოვების ეროვნული სახე რაიმე განსაკუთრებული ფორმით. მაგრამ თუ ვოლტერი, ჩვენს მიერ მოყვანილ მშვენიერ ტექსტში გახარებულია ამ გაევროპელებით, რუსოს ის ეჯავრება და სძულს იგი: „რომელი ხელმწიფის წინაშე არიან პასუხისმგებელნი, რომელი სახელმწიფოს კანონებს უნდა მისდიონ?"

მონტესკიემ თავს უფლება კოსმოპოლიტიზმისათვის და-

ეჭირა მხარი. მონტესკიე უარს ამბობს თავის მეფეს შესთავაზოს რაიმე თავისი ერისთვის სასარგებლო წინადადება, თუ ეს საზიანოა იქნება სხვებისთვის. „მე ფრანგზე მეტად ჰუმანური ადამიანი ვარ“ განაცხადა მან.

სამშობლოსათვის სასარგებლო, მაგრამ სხვებისთვის დამანგრეველი რამ ეს იქნება დანაშაული; ევროპისთვის სასარგებლო, მაგრამ კაცობრიობისათვის საზიანო ესეც იქნება დანაშაული. თავის მხრივ დიდრო ლაპარაკობს „გონებაშეზღუდულ თავებზე, მდაბიო სულებზე, რომლებიც ინდიფერენტულები არიან ადამიანთა მოდგმის მიმართ, ისე ჩაკეტილან თავიანთ პატარა საზოგადოებაში — ანუ ეროვნებაში — რომ საკუთარი ინტერესის იქეთ ვერაფერს ხედავენ. ამ ადამიანებს სურთ ნამდვილ მოქალაქეებს ვუწოდებდეთ, მაგრამ თუ ნებას მიბოძებენ მე მათ ვუწოდებდი ბოროტ ადამიანებს“ („ენციკლოპედია“, სტატია ენციკლოპედია)

ამგვარად, XVIII საუკუნის ევროპელი ფილოსოფოსებისთვის პირველ ადგილას დგას „ადამიანი“, შემდეგ „ევროპელი“. „ჩვენი ევროპა“, ამბობს ვოლტერი „ესეში ჩვეულებათა შესახებ“. თუმცა მათ არ უყვართ რომელიმე „სამშობლოზე“ ან „ერზე“ ადმიანის მოკუთვნება. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ძალიან რთულია. მაგალითად რუსოსთან „ნაციონალიზმი“ უფრო ძლიერია, ვიდრე მისი კოსმოპოლიტიზმი. მაგრამ კოსმოპოლიტიზმი უფრო ძლიერია ვოლტერთან. სხვა ქვეყნებში, მაგალითად ინგლისში მრხდა პირიქით, კოსმოპოლიტიზმი გადაიზარდა პატრიოტიზმში. ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივია ბოლინგბროკის (1678-1751 წწ. ინგლისელი მწერალი და პოლიტიკოსი) მაგალითი.

ევროპის მიერ დამყარებული მსოფლიო მშვიდობა. XVIII საუკუნეში ბევრს ლაპარაკობდნენ მშვიდობაზე. აშკარა კავშირი არსებობს ევროპულ კოსმოპოლიტიზმსა და პაციფისტური უტოპიის ზოგიერთ ფორმას შორის. ამ მხრივ საინტერესოა სილვესტერ ჯონ ჰელმლებენის მშვენიერი პატარა წიგნი: *Plans fort World Peace through six centuries.*

უილიან პენი. 1693 წელს, კვაკერმა უილიამ პენმა დაწერა *Essay towards the Present and Future Peace of Europe*. იგი გვთავაზობს სისტემას, რომელშიც ხელმწიფეები შეთანხმდებიან და მოიწვევენ ასამბლეას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ხელმწიფეთა, ან საიმპერატორო ასამბლეა, პარლამენტი ან ევროპის სახელმწიფო". ამ ასამბლეამ უნდა ითამაშოს მომრიგებლის როლი და ხელისუფალნი უნდა დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას სამხედრო ძალა. კონფლიქტების გამოკლებით, ხელმწიფეები ინარჩუნებენ აბსოლუტურ დამოუკიდებლობას. განიარაღების მეშვეობით შესაძლოა განვითარდეს მიწათმოქმედება, ვაჭრობა, მეცნიერება და განათლება. ეს განადიდებს ქრისტიანთა სახელს, და შესაძლებლობა მიეცემათ გაერთიანდნენ თურქული საფრთხის წინააღმდეგ.

ჯონ ბელერი. უილიამ პენის მიმდევარმა, ასევე კვაკერმა ჯონ ბელერმა ბრიტანეთის პარლამენტს შესთავაზა პროექტი სათაურით: *Same Reasons for a European State. 1710, Proposed to the powers of Europe by an Universal Guarantee and an Annual Congress, Senate, Diet or Parliament. To Settle Any Disputes about the Bounds and Right of the Prices...* პენისაგან განსხვავებით, ბელერს მიაჩნია, რომ ეს სისტემა თავდაპირველად მიმართული უნდა იყოს საფრანგეთის წინააღმდეგ. ესე იგი, თითქმის მთელი ევროპის წინააღმდეგ. შემდეგ კი დამყარდება მშვიდობა. საფრანგეთი, მას შემდეგ რაც დაზავებაზე დათანხმდება, შეიძლება მიიღონ ამ სისიტემაში. სპეციალური ხელშეკრულებით განისაზღვრება *status qvo*, რომლის გადასინჯვაც მომავალში არ შეიძლება. ყველა სახელმწიფომ უარი უნდა თქვას თავის ადრინდელ პრეტენზიებზე, რის შემდეგაც ევროპა დაიყოფა ას თანაბარ ნაწილად. თითოეული მათგანი ლიგას მოამარაგებს ასი ათასი ჯარისკაცით, ან ხომალდებით, ან ფულით. სახელმწიფოები კვლავ იარსებებენ, და იქნებიან სეიმის წარმომადგენლები. სავალდებულო საარბიტრაჟო პროცედურა თითქმის იგივეა რაც პენთან.

აბატი დე სენ-პიერი. ზემოხსენებულ არც ერთ მოსაზრებას არ გამოუწვევია დიდი გამოხმაურება. მაგრამ სხვა ბედი ეწია აბატ შარლ-ირენე კასტელ დე სენ-პიერის სამტომეულს (1713-1717). სენ-პიერი იყო კარდინალ პოლინიაკის ყოფილი მდივანი და საფრანგეთის წარმომადგენელი უტრეხტის სამშვიდობო კონფერენციებზე. პირველ ორ წიგნში ლაპარაკია „გეგმაზე რათა დამყარდეს მუდმივი მშვიდობა ევროპაში", ხოლო მესამეში „გეგმაზე, რათა დამყარდეს მუდმივი მშვიდობა ქრისტიან ხელმწიფეებს შორის." ნაშრომში ავტორი მერყეობს ევროპის იდეასა და ქრისტიანობის იდეას შორის. აბატი დე სენ-პიერი მომხრეა შეიქმნას ევროპის კონფედერაცია, ეს ფაქტი მისი აზრით ხელს შეუწყობს მშვიდობის განამტკიცებას, რომელსაც საფრანგეთისა და ავსტრიის დაპირისპირების გამო დიდი საფრთხე დაემუქრა. მისი აზრით, მეფეებმა უნდა შექმნან „ევროპული საზოგადოება" და 'მუდმივი წარმომადგენლები" მიავლინონ „მუდმივ სენატში ან კონგრესში". აქაც სავალდებულოა შენარჩუნებულ იქნას *status qvo*. ყოველგვარი ომი უნდა აიკრძალოს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს არის სამხედრო სანქცია. ვაჭრობის სფეროში დავები უნდა მოაწესრიგოს „ვაჭრობის დაცვის პალატამ". რაც შეეხება რელიგიურ პრობლემას, მას აბატი სენ-პიერი განიხილავს ეკუმენიზმის ჭრილში. ლაიბნიცმა ამ თეორიას უტოპიური გეგმა უწოდა.

შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს ფრედერიკ II პრუსიელის ერთ ფრაზას, რომელსაც ის თავის ანდერძში ამბობს 1768 წელს: „არ არსებობს არც ერთი დიდი ხელმწიფე, რომელსაც აკვიატებული არ აქვს ერთი იდეა — გაზარდოს თავისი ძლიერება". მართალია, თავის ეპოქაში აბატი სენ-პიერის გავლენა, მხოლოდ ინტელექტუალურ წრეებს შეეხო, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მომავალში მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მრავალ სახელმწიფო მოღვაწეზე: ნეკერზე, ნაპოლეონზე, მეტერნიხზე, ერთა ლიგის წევრებზე, განიარაღების მომხრეებზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებებზე და ა.შ.

ჟან-ჟაკ რუსო. რუსო ძალიან დაინტერესდა აბატ დე

სენ-პიერის გეგმით. რომელიც მან გამოაქვეყნა შემოკლებით 1761 წელს; 1782 წელს კი გამოსცა ნაშრომი „მსჯელობები მარადიულ მშვიდობაზე". რუსოსთან ნაშრომის მთავარი აზრი არის ომის თავიდან აცილება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ხელმწიფეთა შორის კავშირის დამყარებით. რადგან ომი სწორედ ამ უკანასკნელთა საქმეა. მისთვის ასევე მისაღებია საპარლამენტო სეიმის იდეაც. რუსო იმედოვნებს, რომ მეფეები მიიღებენ მხოლოდ ისეთ გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესი. მათი ინტერესი კი უნდა იყოს მშვიდობა. რუსო თავისი იდეების დემონსტრირებისას უფრო ნათელი და ლოგიკურია, სწორედ ეს თვისება აკლია აბატ დე სენ-პიერის ნაშრომებს. გარდა ამისა, რუსოს არ უყვარს მეფეები და ამჯობინებს, ისინი შეიცვალონ ისეთი სახელმწიფოებით რომლის საფუძველი იქნება ხალხის საერთო ნება.

ჯერემი ბერტმანი. 1786-1789 წლებში ჯერემი ბერტმანმა დაწერა ესე, რომელიც მხოლოდ 1843 წელს გამოაქვეყნა, სათაურით: *A Plan for an Universal and Perpetual Peace.* სიტყვამ „მსოფლიო" არ უნდა დაგვაბნიოს. იგი აქ მხოლოდ ევროპას მოიაზრებს და ამბობს, რომ ომის ყველა გამჩაღებელი „გაძევებულ უნდა იქნას ევროპიდან". ხოლო დანარჩენი სამყაროსთვის ეს გეგმა საკმაოდ უმნიშვნელოა. უფრო მეტიც, უტოპიურია.

ემანუელ კანტი. ამ თემაზე საუკუნის ბოლო დიდი მოსაზრება ემანუელ კანტს ეკუთვნის. 1795 წელს კენიგსბერგში გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით: *Zum ewigen Frieden* („მარადიული მშვიდობისთვის").

ეს იყო უკანასკნელი მანიშნებელი XVIII საუკუნის „კოსმოპოლიტი" უტოპიელების. წინამორბედთა მსგავსად, კანტი გვთავაზობს შეიქმნას ევროპულ სახელმწიფოთა საერთო კონფედერაცია (ერთიანობა). მათ მსგავსად კანტსაც არ უყვარს საიდუმლო ხელშეკრულებები, მუდმივი ომები, ძალის გამოყენებით ეროვნული უპირატესობის მოპოვება. 1795 წლის შემდეგ, კანტთან გაჩნდა ახალი მოსაზრება

რომ, არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ უნდა გადაეცეს მეორეს. ეჭვგარეშეა ამის მიზეზი იყო ეროვნული გრძნობები, რომელიც პოლონეთის მესამე გაყოფამ გამოიწვია მასში. მაგრამ მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით კანტს მიაჩნია, რომ მუდმივი მშვიდობის გასამყარებლად სახელმწიფოში უნდა იყოს რესპუბლიკური მმართველობა, რადგან რესპუბლიკაში ომის დასაწყებად მოქალაქეთა თანხმობა, დასტურია საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ კონფედერაციის ფუნქციონირება ბუნდოვნადაა წარმოდგენილი, კანტის იდეები ნაკლებად უტოპიურია ვიდრე სხვებისა. XX საუკუნეში, მისმა იდეებმა, და ეს წერილობითი დოკუმენტებითაც დასტურდება, დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის პრეზიდენტ უილსონზე. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რომ პირველად კანტთან ჩაისახა კოლექტიური უსაფრთხოების იდეა.

გალოფობთა რეაქცია. მომხიბვლელ ევროპულ კოსმოპოლიტიზმს, მცდარი საფუძვლელი ქონდა. „ევროპა და მცდარი ევროპა“ ასე მოიხსენიებს მას პოლ აზარი წიგნში „XVIII საუკუნის ევროპული აზროვნება“.

ფრანგულის ენის უეცარმა მოჭარბებამ და ფრანგული მოდის წარმატებამ ძალიან მალე გამოიწვია გალიფობთა რეაქცია. ეს ყოველივე მათ ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდათ და დაიწყეს ბრძოლა ფრანგული ქარაფშუტული წეს-ჩვეულებების და ფრანგული ენის წინააღმდეგ. XVIII საუკუნის დასასრულს ფრანგული ენა გავრცელებული იყო გერმანიაში, ნიდერლანდებში, დანიასა და რუსეთში.

რომანტიზმის გარიჟრაჟზე, ფრანგული რაციონალისტური და ხშირად ანტირელიგიური ლიტერატურა გერმანელმა მწერლებმა ერთგვარი ზიზღით უარყვეს.

ასევე მთელს ევროპაში გავრცელდა ფრანგული ხელოვნება, კერძოდ როკოკოს სტილი, რომელიც სათავეს ძველი ანტიკური ხელოვნებიდან იღებს. XVIII საუკუნის მხატვრობაში გავრცელებული იყო ინგლისური პეიზაჟების ხატვა, რაც ხელშეუხებელი, პირველყოფილი ბუნების სიმბო-

ლოდ ითვლებოდა. ამ მიმდინარეობამ, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა თავად რუსოზე. „ახალ ელოიზში“ მის მიერ აღწერილმა ჟულის ბალმა ერთგვარი მოდაც კი დაამკვიდრა ამგვარი ბალებისა საფრანგეთში. თავად მარი-ანტუანეტა ავსტრიელმა პატარა ტრიანონი სწორედ ამ სტილში ააგებინა.

VI. ნაციონალიზმის გარიჟრაჟი

ნაციონალიზმის წყაროები ევროპაში. ჟაკ გოდეშოს მიხედვით, სიტყვა „ნაციონალიზმი“ პირველად აბატმა ბარუელმა გამოიყენა 1798 წელს. მაგრამ რეალობამ წინ გაუსწრო გამოთქმას. საუკუნეთა მანძილზე ნაციონალიზმის მაუწყებელი ნიშნები მომრავლდა. გაჩნდა სიტყვა „პატრიოტიზმი“, რომელშიც თავდაპირველად უცხოელის მიმართ არაკეთილგანწყობა მოიაზრებოდა. მოგვიანებით მან გაცილებით დადებითი და ღირსეული დატვირთვა შეიძინა. პატრიოტიზმი უკვე ნიშნავს რომ შენ მიეკითვნები რომელიღაც დიდ, ცოცხალ გაერთიანებას, რომელმაც ამქვეყნად მასზე დაკისრებული მისია უნდა აღასრულოს. ნუთუ ეს გაერთიანება ევროპაა? ის ხომ ძალიან ვრცელია. ევროპის შემადგენელი სახელმწიფოების სწრაფვას საშინაო პოლიტიკის თავისუფლებისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ უპირისპირდება უცხო სახელმწიფო, რომელიც ცდილობს ღრმა ასიმილაციას, ამას კარგად გაუსვა ხაზი ჰანს კონმა წიგნში *The Idea of Nationalizm*. თანდათანობით სახელმწიფოდან ვითარდება ეროვნული სახელმწიფო, ყალიბდება რწმენა იმისა, რომ მისი ერი არის ყველაზე კარგი, ყველაზე დიადი, ყველაზე განვითარებული, ყველაზე საჭირო კაცობრიობისათვის. აქედან გამომდინარე, მის ერს უფლება აქვს იბატონოს სხვა ერზე. თუმცა, ნაციონალიზმი ევროპაში ყველგან ერთი და იგივე ნიადაგზე არ აღმოცენებულა. სხვადასხვაგვარად წარმოიშვა ნაციონალიზმი დაქუცმაცებილ (იტალია, გერმანია) და ძლიერ, ერთიან ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, გაერთიანებული პროვინციები, შვეიცარია). ნაციონალიზმის განვითარებას რამდენიმე ფაქ-

ტორმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონის იმპერიამ. მათი წყალობით ევროპას ის შუქი მოეფინა, რაც XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ბინდით იყო მოცული

ინგლისური ნაციონალიზმი. შესაძლოა ინგლისური ნაციონალიზმი ყველაზე ძველია ევროპაში. ინგლისმა პირველმა თქვა უარი ფრანგულ ევროპაზე. ინგლისელმა მოაზროვნეებმა უარი თქვეს ფრანგ მოაზროვნეებზე. ინგლისი თვლიდა რომ ევროპაში სიმდიდრით, ერთიანობით, კულტურით, პოლიტიკური სისტემით პირველობა მას ეკითვნოდა. ინგლისის პილიტიკური სისტემის უპირატესობას, სხვა კონტინენტური ევროპის მოაზროვნეების მსგავსად თავად მონტესკიე და ვოლტერიც აღიარებდა. XVIII საუკუნის ინგლისი გრძნობდა, რომ მასში ყალიბდებოდა ერი, ნაცია.

1776 წელს ინგლისის 13 ამერიკული კოლონია აჯანყდა და ამისთვის გამოიყენა ინგლისელების მთავარი პრინციპი ინდივიდის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, როგორც მოგვიანებით ეწოდა *right of Determination* ანუ თვითგამოყოფის უფლება. მის მაგალითზე 1778 წელს ასევე აჯანყდა ირლანდია, მაგრამ წარუმატებლად. ეს იყო „დეკოლონიზაციის“ პირველი მაგალითი, საიდანაც იშვა ამერიკელი ერი, და რომელმაც მრავალი შეხედულება შეცვალა სამყაროში.

ნიდერლანდური ნაციონალიზმი. მსგავსად ინგლისისა ნიდერლანდებშიც ნაციონალიზმის განვითარება გამოიწვია ფრანგული მონოპოლიის საწინააღმდეგო რეაქციამ. ნიდერლანდებში არსებობდა ხელმწიფისა და არისტოკრატიული ბურჟუაზიისადმი დაპირისპირებული, „პატრიოტ დემოკრატთა“ ერთი ჯგუფი რომლის მეთაურიც იყო ჟოან დერკ ვან კაპელენი. მან 1781 წელს გამოაქვეყნა პამფლეტი „ნიდერლანდელ ხალხს“, რომელმაც გამოაცოცხლა ეროვნული სული.

საფრანგეთი და შვეიცარია: რუსოსეული ნაციონალიზმი. საფრანგეთსა და შვეიცარიაში ნაციონლიზმი დაიბადა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მრპოვების სურვილიდან. მაგრამ რუსოს წყალობით ამან უფრო ეროვნული და პოლიტიკური ხასიათი მიიღო. რუსოს იდეალი იყო „პატარა სამშობლო", ჟენევა. მისი აზრით რესპუბლიკური მმართველობა არ არის დიდი ქვეყნისთვის შესაფერისი მმართველობა. რადგან საზოგადო სურვილის თავისუფლად და პირდაპირ გამოხატვა არაეფექტურს გახდის დიდი სახელმწიფოს მართვას. მისი აზრით რესპუბლიკური მმართველობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელიც ზომით კორსიკას არ აღემატება. ამ საკითხებზე ის მსჯელობს „პოლონეთის მთავრობაში". ამ პატარა ნაშრომში ყველაზე კარგად გამოჩნდა რუსოს დამოკიდებულება ერისადმი, ნაციისადმი.

ერი, ნაცია მასთან აბსოლუტური ღირებულება ხდება. რუსომ უდიდესი გავლენა იქონია საფრანგეთზე, რადგან მისი იდეები 'პატრიოტების" მისწრაფებებს ეხმაურებოდა.

მსგავსი ვითარება იყო შვეიცარიის კანტონებში, ოღონდ მცირე მასშტაბით, აქაც 'პატრიოტთა" წრეები გატაცებულნი იყვნენ რუსოს იდეებით. ახლადფეხადგმული პატრიოტული იდეები გამოიხატა ლავატერის *Schweizerliender,* პასტალოზის და ბოდმერის მოწოდებებში.

გერმანია. გერმანულმა ნაციონალიზმმა შედარებით მოგვიანებით იჩინა თავი და მას ხელი შეუწყო ჰერდერმა. გერმანული ნაციონალიზმის წარმოშობა საკმაოდ განსხვავებულია. დანაწევრებულ ქვეყნებში კოსმოპოლიტიზმი უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ერთიან ქვეყნებში. პრუსიის მონარქიის სიდიადე, ფრედერიკ II შეუდარებელი წარმატებები, არ განიხილებოდა როგორც მთელი ერის წარმატება, არამედ ეს იყო სახელმწიფოსა და ხელმწიფის წარმატება. არც კანტი და არც შილერი არ ფიქრობდნენ გერმანულ სამშობლოზე. გოეთემ უარი თქვა პატრიოტული სიძულვილის გრძნობა დაუფლებოდა ფრანგების წინააღმდეგ, რომელიც „დედამიწის ყველაზე განვითარებული ერია", მისი

აზრით, გერმანიის დიდება მდგომარეობს მის ინდივიდუალობაში.

ჟიან გოტფრიდ ჰერდერი. გერმანული ნაციონალიზმის იდეა თავდაპირველად გვხვდება კლოპსტოკის, ჟუსტუს მოზერის და განსაკუთრებით ჰერდერის (1744-1803) შემოქმედებაში. ინგლისელი და ფრანგი მოაზროვნეებისგან განსხვავებით, რომლებიც ერის ჩამოყალიბებას ობიექტური მიზეზებით ხსნიდნენ, ჰერდერმა წამოაყენა ერის შექმნის მეტად რომანტიკული კონცეფცია. ტერმინები „ფრანგული ნაციონალიზმი“ და „გერმანული ნაციონალიზმი“ გერმანელმა ისტორიკოსმა ჟერარ რიტერმა შეცვალა „კლასიკური ნაციონალიზმით“ და „რომანტიკული ნაციონალიზმით“. ამაზე მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებთ. ჰერდერი არ ყოფილა განსაკუთრებული პატრიოტი, მას უყვარდა და პატივს ცემდა ყველა კულტურას. უმთავრესად ის არის ნაციონალისტი. მისი აზრით ეროვნული ერთობის საზღვარი გადის მშობლიურ ენაზე, ეს ერთადერთია რასაც ადამიანი უნებურად სწავლობს. ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ეს ერთობა თუ ჯგუფი თანდათან ყალიბდება ერად და საკუთარ როლს თამაშობს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ეს შეხედულება თუ მოსაზრება საკმაოდ სახიფათოა, რადგან მის თანახმად ერთ ენაზე მოლაპარაკე ყველა ადამიანი, განეკუთვნება ერთ ერს. ეს კი შესაძლოა მრავალი სისხლისმღვრელი კონფლიქტის მიზეზი გახდეს მომავალში.

იტალიური ნაციონალიზმი. იტალიის მაგალითი შესაძლოა ყველაზე რთული იყოს. ცხადია XVI საუკუნემდე ანუ ერთიანი იტალიის პატარ-პატარა სამეფოებად თუ სამთავროებად დაყოფამდე, ყველა იტალიელი თავს უწოდებდა იტალიელს. მაგრამ XVIII საუკუნეში იტალიამ ევროპაში დაკარგა ის მაღალი ადგილი რომელიც მეთხუთმეტე საუკუნეში ანუ კუატროჩენტოში ეკავა. იტალიური ნაციონალიზმიც იყო რეაქცია ფრანგული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. ამის საუკეთესო მაგალითია პოეტი ვიტორიო ალფიერი (1749-1803). მისი პამფლეტი *Il Misogallo* არის

მწვავე კრიტიკა საფრანგეთის წინააღმდეგ. მისი მიზანია, ფრანგებისადმი სიძულვილის გრძნობის მეშვეობით გამოიწვიოს იტალიელებში ეროვნული ცნობიერების გაღვიძება.

ესპანური ნაციონალიზმი. ესპანეთში ნაციონალიზმი საკმაოდ ნელა ვითარდება, ქვეყანას მართავს ეკლესია და აბსოლუტური მონარქი, მათ შორის გამორჩეულია შარლ III (1759-1788), ანუ როგორც უწოდებდნენ „განათლებული დესპოტი". აქ ნაციონალიზმმა თავი იჩინა ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული ჯანყებების სახით 1807 და 1814 წლებში. სამწუხაროდ შეუძლებელია ყველა ის მწერალი ჩამოვთვალოთ ვინც ამას ხელი შეუწყო, ამიტომ გავიხსენებთ მხოლოდ დიდ მოაზროვნეს პოეტ გასპარ მელშიორ დე ჟოსეალოს (1744-1811). იგი იყო სევილიის ხელისუფლების წარმომადგენელი და ფრანგების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული ხუნტის ერთ-ერთი მეთაური.

VII. საწარმოო რევოლუციის გარიჟრაჟი.

საწარმოო რევოლუციას მოგვიანებით, კერძოდ XV თავში დაწვრილებით განვიხილავთ, მაგრამ აქ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ საფუძვლებს რამელთაც ნიადაგი მოუმზადეს ამ უდიდეს ისტორიულ მოვლენას კაცობრიობის განვითარებაში. საწარმოო რევოლუციამ ცხადყო რომ ადამიანის მთავარი არსი, მიზანი არის იყოს შემოქმედი.

ევროპელები ტექნიკური უპირატესობის წყალობით განაგრძობენ სამყაროს კვლევას და ნელ-ნელა იპყრობენ მას.

ჰოლანდიელები XVII საუკუნეში. XVII საუკუნეში ჰოლანდიას მთელ ევრიპაში ყველაზე მრავალრიცხოვანი საზღვაო ფლოტი ყავდა. რომლის წყალობითაც ხელთ იგდო ვაჭრობა ბალტიის ზღვაზე, ფლობდა საბადოებს შვედეთში. კრომველმა სანავიგაციო აქტის გამოცემით ჰოლანდიელები ბრიტანეთის პორტებიდან გააძევა, მაგრამ მათ ხმელთაშუა ზღვასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაინაცვლეს. 1602 წელს ჰოლანდიამ დააარსა აღმოსავ-

ლეთ ინდოეთის კომპანია. ჰოლანდიელმა ზღვაოსნებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, კერძოდ ცეილონიდან და ინდონეზიიდან გააძევეს პორტუგალიელები, მიაღწიეს იაპონიამდე, ხელში ჩაიგდეს მალაკა, აღმოაჩინეს ტასმანია.

მიუხედავად აღმოსავლეთში მიღწეული წარმატებებისა დასავლეთით იძულებულნი გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. 1665 წელს ახალი ამსტერდამი, ანუ მომავალი ნიუ-იორკი ინგლისელებს გადასცეს. თუმცა დაიკავეს ანტილიის კუნძულები, გვიანა, ასევე გვინეა და კეიპტაუნი.

წყნარი ოკეანის კვლევა XVIII საუკუნეში. რუსეთი გადაჭიმულია კამჩატკამდე, ფრანგებმა და ინგლისელებმა მიაღწიეს სენ-ლორანს, დიდი ტბების რაიონსა და მისისიპის. 1740-1745 წლებში ინგლისელი (ანსონი, ჯეიმს კუკი, ჯორჯ ვანკუვერი) და ფრანგი (ბუგენვილი, ლაპერუსი) მკვლევარები სულ უფრო და უფრო ხშირად კვეთენ წყნარ ოკეანეს.

საზღვაო ექსპედიციები მნიშვნელოვნად გააიოლა სექსტანტისა და ზუსტი ქრონომეტრის აღმოჩენამ.

საფრანგეთის კოლონიალური მარცხი. საფრანგეთის მცდელობამ შეექმნა ვრცელი კოლონიური იმპერია ინდოეთსა და კანადაში მარცხი განიცადა. ინგლისის თანმიმდევრული კოლონიზაციის სისტემის წინაშე ისინი უძლურები აღმოჩნდნენ. 1713 წელს საფრანგეთმა დაკარგა ახალი მიწა, 1763 წელს თითქმის მთელი კანადა და ინდოეთი. შეინარჩუნეს მხოლოდ შაქრით მდიდარი ანტილიის რამდენიმე კუნძული, ინდოეთის ოკეანეში საფრანგეთის იგივე მავრიკიის და ბურბონის იგივე რეუნიონის კუნძულები და სენეგალის სანაპირო.

კოლონიალური დაპყრობები, ევროპის ქვეყნებს შორის კონფლიქტების წარმოშობის წყაროდ იქცა. რაც თავის მხრივ ხელს უშლიდა ევროპის გაერთიანებას. მაგალითად, 1755 წელს საფრანგეთსა და ინგლისს შორის ომი კოლონიების გამო გაჩაღდა.

ევროპული გზა. ისმის კითხვა: ევროპის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობა ხომ არ შეამსუბუქებს კოლონიების მიზეზით დაწყებულ მტრობას? XVII საუკუნის ბოლოს ევროპის გზები საშინელ მდგომარეობაში იყო. ხელისუფლებამ საგზაო ქსელის მშენებლობაზე ზრუნვა მხოლოდ XVIII საუკუნის 30-40-იან წლების შემდეგ დაიწყო. 1747 წელს შეიქმნა ხიდებისა და გზების სკოლა.

მიზანი მართლაც რომ სტრატეგიული იყო: ვაჭრებს უნდა გაადვილებოდათ სიარული ქვეყნის ცენტრიდან საზღვრებისკენ. გზები გაყვანილი იყო მხოლოდ პარიზის ირგვლივ და მის მაგალითზე პიემონში. დანარჩენ იტალიურ სახელმწიფოებში, ნიდერლანდებში, პრუსიაში, ესპანეთში, ბელგიაში, რუსეთში გზებზე სიარული ასე თუ ისე შეიძლებოდა. დიდი ბრიტანეთში გზების მშენებლობის განსხვავებული მეთოდი არსებობდა. აქ გზების მშებებლობა იტვირთა კერძო საზოგადოებებმა. მათში გაერთიანებული იყვნენ მიწათმფლობელები, ფერმერები, ვაჭრები, მრეწველები, რომლებიც მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯს საგზაო გადასახადით ინაზღაურებდნენ. საუკუნის ბოლოს დიდ ბრიტანეთში შოტლანდიელმა ინჟინერმა მაკადამმა (1756-1838) გამოიგონა კომპაქტური საფარი, რომელიც მის სახელს ატარებს.

არხები. თანამედროვე გზების წარმოშობა თუ ფრანგებს უნდა მივაწეროთ, თანამედროვე არხებს ჰოლანდიელებს უნდა ვუმადლოდეთ. ჰოლანდიელები იძულებულნი იყვნენ მიწები ზღვისთვის გამოეტაცათ და 1429 წლიდან ასე შეიქმნა Watestaat. ევროპის საუკეთესო ინჟინერ-ჰიდრავლიკოსები სწორედ ჰოლანდიელები იყვნენ. ჰოლანდიიდან არხების სისტემა მიემართებოდა საფრანგეთისკენ, ინგლისისკენ, ესპანეთისკენ. მოგზაურობა კვლავ ხანგრძლივი და მოუხერხებელი იყო. მაგალითად 1660 წელს პარიზიდან ლიონში ჩასასვლელად ათი დღე იყო საჭირო. 1770 წელს კი ხუთი. საფოსტო ცხენების სისტემაც ცუდად იყო ორგანიზებული.

დიდი ვაჭრობა. დიდი ვაჭრობისთვის მუდმივი შეჯიბრება მიმდინარეობდა სავაჭრო კომპანიებსა და კერძო პირებს შორის. სავაჭრო კომპანიების წესდება ხშირად ითვალისწინებდა ჯარის გამოყენებით ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას.

ყველა საზღვაო ქვეყანას ჰქონდა თავისი სავაჭრო კომპანია. ზოგს, მაგალითად პრუსიას ერთი სავაჭრო კომპანია ჰქონდა რომელიც ფრედერიკ II დააარსა; როგორც კი რუსეთის იმპერიამ შავ ზღვის სანაპიროები ჩაიგდო ხელთ, მაშინვე დააარსა შავი ზღვის სავაჭრო კომპანია (1774 წელი). სავაჭრო კომპანიების ძლიერება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

ევროპის კონტინენტის უპირატესობას, მის წარმატებებს ეკონომიკაში, ვაჭრობასა და სხვა სფეროებში აუფერულებდა მუდმივი დაპირისპირება ვაჭრებსა და კოლონიზატორებს შორის. ევროპის სახელმწიფოებს ჯერ მხოლოდ ომით შეეძლოთ საქმეების მოგვარება.

ეპოქაზე, რომელსაც ახლა განვიხილავთ, უდიდესი გავლენა იქონია ერთმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტმა. ამერიკის კონტინენტზე ინგლისის ცამეტმა კოლონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები. ამიერიდან შეუძლებელია ევროპის ხალხთა ისტორია განვიხილოთ ამ უდიდესი საგარეო მოვლენის გარეშე. ზოგ შემთხვევაში ამ მოვლენამ მთავარი როლიც კი შეასრულა ევროპის ისტორიის მსვლელობაში.

მალე ვნახავთ იმ საერთო ნიშნებს რომლებიც ახასიათებს „დასავლურ რევოლუციას" ამერიკაში, საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნებში. მაგრამ ამჯერად მოგახსენებთ იმ სიახლეების შესახებ რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკელებმა ევროპელთა წეს-ჩვეულებებსა და ცნობიერებაში შემოიტანეს და დაამკვიდრეს.

1) აშშ იყო პირველი კოლონია მსოფლიოში, რომელმაც 1776 წლის 4 ივლისს ფილადელფიაში დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო დასაწყისი გრძელი რიგისა. აქ ერთმანეთს შეუთავსდა

როგორც პრინციპი ისე ამ პრინციპის შესრულება. ამ მოვლენას რამდენადმე ხელი შეუწყო საფრანგეთთან კოლონიების კავშირმა, ასევე საფრანგეთ-ინგლისის ომებმა 1793 და 1815 წლებში, რამაც ინგლისს საშუალება არ მისცა მთელი ძალებით გაელაშქრა აჯანყებულ კოლონიებზე. ამ ფაქტმა აჩვენა, რომ კოლონიური იმპერიები არ არის მყარი ერთობა და ის საკმაოდ სუსტია.

2) უცბად აშშ გახდა რესპუბლიკა. მართალია ევროპაშიც არსებობდა რამდენიმე პატარა მონარქიული თუ ოლიგარქიული რესპუბლიკა. მაგრამ არა ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე. როგორც მოგახსენეთ, XVIII საუკუნეში მოაზროვნეები, და მათ შორის ჟან-ჟაკ რუსო ეჭვობდა, რომ რესპუბლიკური მმართველობა დიდი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოსთვის მიუღებელია და დიდხანს ვერ გასტანდა.

3) 1787 წლის ამერიკის კონსტიტუცია კვლავ საფუძველი გახდა 1990 წლის კონსტიტუციისა. რასაკვირველია მრავალმა შესწორებამ შეცვალა მისი ხასიათი. 1861-1865 წლების სამოქალაქო ომმა აჩვენა მისი სუსტი მხარეები და ნაკლოვანებები. მიუხედავად ყველაფრისა კონსტიტუციის „შემოქმედმა მამებმა“ ბენჯამინ ფრანკლინმა, ჯორჯ ვაშინგტონმა, თომას ჯეფერსონმა და სხვებმა, შექმნეს ღრმად გააზრებული და ეფექტური ნაშრომი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ კონსტიტუციით გაწონასწორებულია ურთიერთობა შტატის ხელისუფლებასა და ფედერალურ ხელისუფლებას შორის. მათ შორის არსებული ურთიერთკონტროლი მსგავსია აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოს შორის არსებული ურთიერთობისა, რასაც საფუძვლად უდევს მონტესკიეს მიერ შემოთავაზებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

4) ამერიკამ მიიღო სისტემა, სადაც ეკლესია და სახელმწიფო გაყოფილია. ამგვარად, წერტილი დაესვა ვესტფალიის ხელშეკრულების პრინციპს: „*Cujus regio, ejus religio*“ (უნდა ქონდეს იმ ქვეყნის,ან ხელმწიფის რელიგია სადაც ცხოვრობ). „ტახტისა და ტაძრის“ ერთიანობა, კონსტიტუციაში შეიცვალა აღმსარებლობის თავისუფლებით. უნდა აღინიშნოს, რომ 1787 წელს საფრანგეთის

ძველმა რეჟიმმა აღმსარებლობის თავისუფლება მისცა პროტენსტანტებს. XVIII საუკუნეში ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის გამარჯვებას კიდევ ერთი ფაქტი შეემატა.

5) ყოფილი 13 კოლონია გადაჭიმულია ინდიელებით დასახლებულ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ფრანგები ჩრდილოეთით დიდი ტბებისკენ, მისისიპისკენ და ახალი ორლეანისკენ მიიწევდნენ, მაგრამ 1763 წლის პარიზის ხელშეკრულებით იძულებულნი გახდნენ დაეტოვებიათ ეს ადგილები.

ამგვარად, დასავლეთმა მიიზიდა უწყვეტი ნაკადი ახალი ქვეყნის მოქალაქეების, ისევე როგორც ევროპიდან, და შეიქმნა ე.წ. „*Non entanglement*" სისტემა (არავითარი კავშირები, არავითარი მოკავშირეები).

naS ase, amer i dan evr opa cxovr obs *ამერიკული მოდელის* გვერდიგვერდ. ხან მოსწონს იგი, ხან სძულს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს მოდელი ევროპის ისტორიის ნაწილი გახდა.

დასკვნა. ამ თავში განვიხილეთ ორი საუკუნე XVII და XVIII. მიუხედავად წინააღმდეგობებისა თანდათან ჩაისახა ერთიანი ევროპისკენ სწრაფვის იდეა, სულ მცირე გაჩნდა კოსმოპოლიტიზმი. XVII საუკუნე ანუ რკინის საუკუნე, დაიწყო ოცდაათწლიანი ომით, საერთოდ ომი ამ საუკუნის განუყოფელი ნაწილია, ამას თან ერთვის შიმშილი, შავი ჭირის ეპიდემია, სიღარიბე, გლეხთა აჯანყებები. ეს კი აფერხებდა მოსახლეობის გამრავლებას. მიუხედავად ამდენი უბედურებისა ადამიანის აზროვნება ფრთხილად სწორი მიმართულებით მიდის და ცდილობს ჩაწვდეს ხელისუფლების პრინციპებს. ახალი აზროვნების მქონე მეცნიერები ნელ ნელა ამარცხებენ ძველი შეხედულებების მქონე მეცნიერებს. იტალიელი გალილეი, ინგლისელი ფრანსის ბეკონი, ფრანგი დეკარტე, ინგლისელი ნიუტონი იგონებენ პოზიტიურ მეცნიერებას.

XVIII საუკუნეში, ევროპამ დასძლია მასობრივ შიმშილს, მთელ კონტინენტს მოედო განმანათლებლობის იდეები, მაგ-

რამ პოლიტიკურად კვლავ არსებობს აბსოლუტური მონარქიები, გამონაკლისია მხოლოდ ინგლისის კონსტიტიციური მონარქია, ისევ ხდება ომები, ახლა უკვე კოლონიურიც, ნელ-ნელა ისახება ეროვნული გრძნობები, უნივერსალიზმისა და ევროპის ერთიანობის იდეები. ბრიტანეთის 1688 წლის და განსაკუთრებით ამერიკის 1774 წლის რევოლუციის გავლენით ევროპაში მომრავლდა „ლიბერალური" რევოლუციები. ევროპა კვლავ მსოფლიო პროგრესის სათავეშია და შესაძლოა მალე გაერთიანდეს კიდეც.

შემდეგ თავში განვიხილავთ საერთო დასავლურ რევოლუციას, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის უკუშედეგი გახლდათ. ამის შედეგად სამეფოებს შორის დაპირისპირებას ჩაენაცვლა ბევრად უფრო საშიში მტრობა: ეს იყო კონფლიქტი ერებს შორის.

13
დიდი დასავლური რევოლუცია და იმედგაცრუება

ევროპის სახელმწიფოების აბსოლუტურმა მონარქიებმა, დიდმა თუ პატარამ, ყველამ უკუაგდო ბედნიერ ეპოქათა სიმშვიდე. წინა თავში უკვე გავიხსენეთ „ამბოხებები", „სახალხო მღელვარებები", „გლეხთა ომები", „აჯანყებები" რომლებმაც შექმნეს XVII ანუ რკინის საუკუნე. ამ საუკუნეში ასევე მოხდა ინგლისის ორი რევოლუცია 1648 და 1688 წლის, მართალია ამ რევოლუციებს პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია ევროპაზე და არ გადაზრდილა საერთო ევროპულ რევოლუციაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ მათი მნიშვნელობა არ იყო მხედველობაში მისაღები როგორც ეკონომიკურად, ასევე თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამან თავისი წვლილი შეიტანა 1776 წლის 4 ივლისს აშშ-ს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში ასევე, 1789 წლის გაზაფხულზე ვერსალში გენერალური შტატების ეროვნულ დამფუძნებელ კრებად გადაქცევის საქმეში.

ამ ორმა უმნიშვნელოვანესმა თარიღმა აშშ-სა და საფრანგეთის ისტორიაში, მთელი დასავლეთი შეაზანზარა.

I. დასავლური რევოლუციის ერთიანობა: მიზეზები

მიზეზთა მრავალფეროვნება. რევოლუციის მიზეზები მეტად რთული და მრავალრიცხოვანია. რევოლუცია უზარმაზარი მასებიდან წამოსული ძალაა. ამერიკელი ისტორიკოსები რ. რ. პალმერი და ლუი გოტჩალკი, ფრანგმა ისტორიკოსები ჟირჟ ლეფევრი და ჟაკ გოდეშო ყველა იზიარებს მოსაზრებას, რომ ევროპაში ერთი დიდი რევოლუცია მოხდა. ევროპის ყველა ქვეყანაში გაბატონებული იყო რევოლუციური ატმოსფერო. ფრანგი ისტორიკოსმა ჟაკ გოდეშომ

შემოგვთავაზა მხატვრული ხედვა ამ მოვლენებისა: „განა არ უნდა გაგვაკვირვოს რევოლუციათა იმ ჯაჭვმა რომელსაც ადგილი ქონდა 1763 წლიდან 1848 წლამდე? მივყვეთ თანმიმდევრობით: 1763 და 1783 წლები — ამერიკის რევოლუცია, 1787 და 1790 წლები — ჟენევის რევოლუცია, 1782-1784 წლები — ირლანდიის რევოლუცია, 1783 და 1787 წლები — გაერთიანებული პროვინციების რევოლუცია, 1787 და 1790 წელი — ბელგიისა და ლიეჟუას რევოლუცია, და ბოლოს 1787 წლის საფრანგეთის რევოლუცია. საფრანგეთის რევოლუცია ნელნელა მოედო, დასავლეთ ევროპას, ხელახლა გამოაღვიძა ბელგიისა და გაერთიანებული პროვინციების, ძლივს ჩაწყნარებული აჯანყებები. გაგრძელდა გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, მიაღწია მალტას,პოლონეთს და შორეულ ეგვიპტესაც კი. 1800 წლიდან საფრანგეთის ხელისუფლებაში ნაპოლეონისა და აშშ-ში ჯეფერსონის არჩევის შემდეგ თითქოს ერთგავარი სიმშვიდე დამყარდა. მაგრამ რევოლუცია ჯერ არ დასრულებულა.“

ევროპის აგრარული სტრუქტურა. რევოლუციებმა გარკვეული როლი ითამაშა ევროპის ქვეყნების განვითარებაში, ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები.

რევოლუციების ხასიათისა და მოცულობის უკეთ გასაგებად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ევროპის უკიდურესად რთული ხასიათი. ევროპაში გამუდმებით იცვლებოდა სახელისუფლებო ორგანოები, საზღვრები როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით, გადასახადები, ფეოდალური ვალდებულებები, ადგილობრივი პრივილეგიები. ევროპის სახელმწიფოები უნდა დავყოთ სამ დიდ ჯგუფად: 1) მდინარე ელბის აღმოსასვლეთით მდებარე ქვეყნებში, სამხრეთ იტალიასა და ესპანეთში გაბატონებულია მსხვილი მემამულეები. გლეხები ან ყმები არიან უმიწაწყლოდ დარჩენილი ღარიბები (*cofoni* სამხრეთ იტალიაში). პრუსიელი იუნკერები, რუსი თავადები, პოლონელი და უნგრელი მაგნატები უზარმაზარი ძალაუფლებით სარგებლობენ. ვაჭრობა მთლიანად ებრაელთა ხელშია. მრეწველობა ნაკლებადაა

განვითარებული და აქედან გამომდინერე, ბურჟუაზიაც უმნიშვნელოა; 2) მეორე ჯგუფში შედის კონტინენტური უვროპის ქვეყნები მდინარე ელბის დასავლეთიდან მოყოლებული აპენინებისა და პირენეების ჩრდილოეთი ტერიტორიების ჩათვლით, გარდა გაერთიანებული პროვინციებისა. ამ რეგიონში ერთდროულად არსებობდა მიწაზე არისტოკრატიის, ეკლესიის და გლეხების საკუთრება. გლეხები ფლობდნენ საუკეთესო მიწებს მაგრამ იმ პირობით, რომ გადაიხდიდნენ ყველა ფეოდალურ გადასახადსა და ვალდებულებას, ვინაიდან ეს მიწა კვლავ ითვლებოდა დიდი სენიორის საკუთრებად. მიწაზე მუშაობა არისტოკრატიისთვის მიუღებელ საქმიანობად იყო მიჩნეული, რადგან ის ამდაბლებდა მათ კეთილშობილებას. სწორედ ამიტომ მიწებს დასამუშავებლად აძლევდნენ გლეხებს. ბატონყმობა თითქმის გაქრა; 3) ინგლისსა და გაერთიანებულ პროვინციებში (ნიდერლანდები) გაცილებით წარმატებული და პროგრესული ეკონომიკური სისტემა არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების არისტოკრატია შრომას დამცირებად არ აღიქვამდა და აქედან გამომდინარე არისტოკრატია და ბურჟუაზია საკმაოდ ახლოს იდგა ერთმანეთთან.

არისტოკრატია და ბურჟუაზია ორივე მონაწილეობდა სახელმწიფოს მმართველობაში. როგორც ცნობილია, ლორდთა პალატის წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ლორდის უფროსი ვაჟი. ხოლო თემთა პალატის წევრებად ანუ *commoners* ირჩევდნენ ლორდის უმცროს ვაჟებს, მცირე არისტოკრატიის ანუ *gentry* და ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. ამის შედეგად ახლო კავშირები დამყარდა არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის. იგივე ვითარება იყო გაერთიანებულ პროვინციებშიც. მიუხედავად ასეთი თავისებური სისტემისა გლეხები და მუშები აქაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. დიდი მიწათმფლობელები გამუდმებით ცდილობენ სამფლობელოების გაზრდას და ნელ-ნელა უახლოვდებიან ე.წ. სათემო მიწებს, სადაც გლეხები ცხოვრობენ და ლუკმა-პურს შოულობენ. (ანკლოზურის უფლება). უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხები ქალაქებისკენ დაიძრნენ. მაგრამ არც აქ დახვდათ

უკეთესი პირობები და უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაში უწევდათ თავის გატანა. მოგვიანებით მათ შექმნეს ახალი კლასი, რომელსაც ეწოდა სამრეწველო პროლეტარიატი.

გლეხთა აჯანყება. 1715 წლის შემდეგ საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპაში არ ყოფილა შიმშილობა, მაგრამ გლეხებისთვის გადაცემული მიწა ძალიან მცირე იყო და ამიტომ ისინი თავს უბედურად გრძნობდნენ.

მდიდარი მიწათმფლობელების მიერ მამულების გაფართოებამ გამოიწვია „მიწის შიმშილი". ამ პერიოდში მდინარე ელბას აღმოსავლეთ რეგიონებში ყმა გლეხების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. გაჩნდა გლეხთა სამი კატეგორია: 1. ფერმერი, ანუ გლეხი რომელიც ფიქსირებულ გადასახადს უხდის მიწის მესაკუთრეს. 2. „მეიჯარე", რომელიც გადასახადს მიწის მესაკუთრეს უხდის ნატურით, უმეტესად მოსავლის ნახევრით, და 3. ე.წ. „მფლობელი". მიწა კვლავ მემამულეთა ხელშია. თუმცა არსებობს იშვიათი შემთხვევები, როდესაც მეიჯარე ხდება მიწის მფლობელი და შეუძლია გაყიდოს, იყიდოს, ან ანდერძით გადასცეს იგი.

კვლავ არსებობს წლიური გადასახადები, იქნება ეს ფულით თუ ნატურით, საბატონო ბეგარა, კაზუალური გადასახადები, მაგალითად გადასახადი გაყიდვის ან მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში. წისქვილების, წნეხების, პურის საცხობების, ზეთის სახდელებზე, კურდღლების ნაკრძალზე და ა.შ მემამულეთა ხელშია.

გადასახადები მძიმედ აწვებოდა არაფრის მქონე მრავალ ოჯახს, ისინი უკიდურეს გაჭირვებასა და ყოველგვარი ჰიგიენის გარეშე ცხოვრობდნენ (იხ. ცხრილი საფრანგეთის გლეხების შესახებ), ამას ემტება, ის რომ გლეხები იხდიან საგზაო გადასახადებს (როგორიცაა საფრანგეთში ტაი, ესპანეთში ტალა) და საეკლესიო მეათედს. კეთილშობილებისა და სამღვდელოებისგან განსხვავებით გადასახადებიდან მათ არავინ გაანთავისუფლებს.

ამ ჩამონათვალში არ მოხვდა სხვადასხვა დროს დანიშნული დროებითი გადასახადები, ამა თუ იმ პროვინციასა

თუ ქალაქში არსებული განსხვავებული პრივილეგიები და ადგილობრივი წესები. ამის მშვენიერი მაგალითია მარილის გადასახადი საფრანგეთში. ეს საკვები პროდუქტი, რომელსაც სახელმწიფო განაგებდა, წარმოუდგენლად მძიმედ დაწვა ღარიბ ხალხს და კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მის სიღარიბეს. აპატიმრებდნენ და კატორღაში აგზავნიდნენ მარილით მოვაჭრე კონტრაბანდისტებს, ასევე ყალბი მარილით მოვაჭრეებს. ბრაზილიაში აღმოაჩინეს ოქროს საბადოები (მინას გარეს რეგიონში), ამასთანავე გაიზარდა ვერცხლის მოპოვებაც. რამაც გამოიწვია ძვირფას ლითონებზე ფასის დაცემა. მიმოქცევაში გამოვიდა მრავალი ოქროსა და ვერცხლის მონეტა, ამან კი ფასების ზრდა გამოიწვია. მაგრამ ფასების მატებასთან ერთად გასამრჯელო არ გაზრდილა. მრავალრიცხოვან გადასახადებს ისიც დაემატა, რომ 1770, 1774, 1784, 1788 წლები განსაკუთრებით მოუსავლიანი იყო საფრანგეთში. მოსახლეობამ ველარ გაუძლო და მუშებისა და გლეხების უკმაყოფილება იფეთქებდა ხოლმე. ფეოდალები ცდილობდნედ გადასახადები კიდევ უფრო გაეზარდათ, ამისთვის ძველ სიგელ-გუჯრებს იშველიებდნენ. გლეხები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ და დაეწვათ ეს სიგელები. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ციხე-დარბაზსაც კი წვავდნენ.

ბურჟუაზიული რევოლუცია. გლეხებისა და მუშების ამბოხებებს აქვს ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება. ის წარმოადგენს ბურჟუაზიული რევოლუციის სარეზერვო არმიას. ბურჟუაზიული რევოლუციის წარმოშობა განაპირობა ბურჟუაზიის გაჩენამ. ქალაქის მცხოვრებთაგან ზოგი გამდიდრდა. მაგალითად ვაჭრობით, ხელისნობით, საბანკო საქმიანობით, მრეწველობით, ანუ ჭეშმარიტად ლიბერალური საქმიანობით. საფრანგეთში გარკვეული ქონებრივი ზღვარის (ქონებრივი ცენზი) გადალახვის შემდეგ ბურჟუას შეეძლო ეყიდა წოდება და ამგვარად გამხდარიყო კეთილშობილი. მაგრამ მაინც რა სურდა ბურჟუაზიას? უპირველესად და უმთავრესად კეთილშობილთათვის და სამღვდელოებისათვის პრივილეგიების გაუქმება, ეს მათ საშუალებას მისცედა ნაკ-

ლები გადასახადი გადაეხადათ. მეორე, ბურჟუაზია მიისწრაფოდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება. რაც გამოიხატა სურვილში აბსოლუტური მონარქია შეცვლილიყო კონსტიტუციით შეზღუდული მონარქიით ანუ კონსტიტუციური მონარქიით; მათ შეიმუშავეს წერლობითი კონსტიტიცია, რომლის მოდელად აიღეს დასავლეთ ევროპაში სახელგანთქმული აშშ-ს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. (აშშ-ს კონსტიტუცია შეიქმნა 1787 წელს).

არისტოკრატული რევოლუცია. ზოგადად პირველი რევოლუცია იყო არისტოკრატული რევოლუცია, რომელიც მიმართული იყო აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. საფრანგეთში არისტოკრატული რევოლუცია დაიწყო 1787 წელს. მას უკვე მაგალითი ჰქონდა ინგლისის 1688 წლის რევოლუციის სახით. ბრიტანეთის პარლამენტი კენჭს უყრიდა გადასახადების მიღებას და გაუქმებას, აქედან გამომდინარე აღმასრულებელი ხელისუფლება მასზე იყო დამოკიდებული. მეფე ჯორჯ III (1760-1820) ყველანაირად შეეცადა ეს უფლება კვლავ მეფისთვის დაებრუნებია, მაგრამ ვერაფერს გახდა.

საფრანგეთშიც ასრებობდა პარლამენტები, მაგრამ ეს უბრალი სიტყვათა თამაშია, რადგან პარლამენტი საფრანგეთში იყო უმაღლესი სასამართლო ორგანო, რომელიც შედგებოდა არა არჩეული პირებისაგან, არამედ იმათგან ვინც იყიდა ეს თანამდებობა და ამის წყალობით გახდა კეთილშობილი. ამ პარლამენტებისთვის კანონების, ან გადასახადების მიღების ან გაუქმების უფლების გადაცემა ნიშნავს უზარმაზარი ძალაუფლება ხელში ჩაუგდო არისტოკრატიის ერთ ნაწილს, კერძოდ ე.წ. „კაბის არისტოკრატიას". კაბის არისტოკრატია ახლოს არის ბურჟუაზიასთან. ბურჟუაზია მის გვერდითაა სანამ მიხვდება, რომ პარლამენტართა ერთადერთი საზრუნავია განიმტკიცონ პრივილეგიები და განსაკუთრებით მცირე გადასახადების გადახდის პრივილეგია. პარლამენტართა პოპულარობა დაეცა.

ზოგადად რევოლუციამ ყველაზე მეტად არისტოკრატია და სამღვდელოება იმსხვერპლა. არისტოკრატიამ არა თუ

ვერ მოახერხა ჩანაცვლებოდა მეფის ხელისუფლებას, არამედ დაკარგა მინიჭებული პრივილეგიები და მრავალმა მათგანმა სიცოცხლით აგო პასუხი ბურჟუაზიული რევოლუციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო.

II. დიდი ერი ევროპის პირისპირ

საფრანგეთის რევოლუცია ცხადია არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დანარჩენი მსოფლიოდან მოწყვეტილი და იზოლირებული მოვლენა. თავდაპირველად, ევროპის უმრავლეს ქვეყანაში, მას მომხრეები ყავდა, რომელთაც რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს საფრანგეთის მსგავსად პატრიოტებს ეძახდნენ.

სხვადასხვა ქვეყნებში პატრიოტთა ჯგუფების შექმნას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა: ფრანგული ენის გავრცელებამ მთელს ევროპაში, XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსების გავლენამ ყველა ქვეყნის ინტელექტუალურ წრეებზე, და საფრანგეთში ცნობილი მკვლევარების ჩამოსვლამ. კერძოდ ამ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა არტურ იუნგი, ავტორი ნაშრომისა „საფრანგეთში მოგზაურობა", „მოგონებები საფრანგეთის რევოლუციაზე", ინგლისელი თომას პენი, რომელიც შემდგომ ამერიკის მოქალაქე გახდა, ის თავის ნაშრომში „ადამიანის უფლებები" ერთმანეთს ადარებს ინგლისისა და საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციას. საფრანგეთის რევოლუციის გავლენით დიდ ბრიტანეთში შექმნა პატრიოტული საზგადოებები: ლონდონის შესაბამისი საზოგადოება (ტომას ჰარდი) და კონსტიტუციური ინფორმირების საზოგადოება (ტომას პენი, ერსკინი).

ინგლისისადმი მტრულად განწყობილ ირლანდიაში შეიქმნა კავშირი ერთიანი ირლანდია. მას ხელმძღვანელობდა ვოლფ ტონი, რომელიც საფრანგეთის ეროვნულ კონვენტთან თანამშრომლობდა.

გაერთიანებულ პროვინციებში, „ფრანგი პატრიოტები" გაჩდნენ წვრილი ბურჟუაზიის წიაღში, ხელოსნებში, გლეხებში, ხოლო „ჰოლანდიელი პატრიოტები" მსხვილ ბურჟუ-

აზიაში. ერთსაც და მეორესაც დამოუკიდებლობა სურდა. პირველებს საფრანგეთის მიერ ანექსიის გზით, მეორეებს კი რესპუბლიკის შექმნით.

ბელგიაში, რომელიც ავსტრიის გავლენის წინააღმდეგ იბრძოდა, დემოკრატებს სათავეში ჩაუდგა ვონკი, და დაუკავშირდა ფრანგებს, მაგრამ კონსერვატორები ანუ სტატისტები არც თუ ისე კეთილგანწყობილნი იყვნენ ფრანგებისადმი.

სტატისტებმა აჯობეს ვონკისტებს და შექმნეს 1790 წლის 10 იანვრის კონსტიტუცია, „ერთიანი ბელგიის შეერთებული შტატები" შეიქმნა არ ფრანგული მოდელის მიხედვით, არამედ აშშ-ს „კონფედერაციის მუხლების (პარაგრაფების)" მიხედვით.

ამას მოყვა ავსტრიელთა რეაქცია.

გერმანიაში ინტელექტუალურმა წრეებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს საფრანგეთის რევოლუციისადმი. 1790 წელს, ბასტილიის აღების წლისთავის აღსანიშნავად, მწერალმა და მოგზაურმა ჯორჯ ჰენრი სიევეკინგმა ჰამბურგში მოაწყო ბანკეტი 80 კაცზე, ყველა მათგანი სამფეროვან კოკარდას ატარებდნენ.

მათ შორის იყო დიდი მწერალი კლოპსტოკი. ყველაზე გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესორი, 65 წლის ემანუელ კანტი. იგი კვლავ რჩებოდა ლოიალური პრუსიის მონარქიისადმი, მაგრამ წინააღმდეგი იყო დაპყრობებისა, იგი თავს სიამოვნებით უწოდებდა იაკობინელს. აქვე იყო ფილოსოფოსი ფიხტე. 1792 წლის 20 სექტემბერს გოეთე დაესწრო ვალმის ბრძოლას, თუმცა ამჯობინა დარჩენილიყო „აურზაურს მიღმა". მოგვიანებით მან გამოაქვეყნა „საფრანგეთის კამპანია", სადაც ყვება რომ კომპანიონების კითხვაზე, თუ რას ფიქრობდა ის ამ ბრძოლის შესახებ, მან უპასუხა: „ამ დღიდან და ამ ადგილიდან მსოფლიოსთვის ახალი ეპოქა იწყება და თქვენ გექნებათ საშუალება თქვათ: მე იქ ვიყავი".

ამ დროისთვის პოლონეთის მოსახლეობას შეადგენდა 8-9 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი, ასი ათასი ღარიბი, მაგრამ თავისუფალი არისტოკრატი, მცირერიც-

ხოვანი ბურჟუაზია და რამდენიმე მდიდარი მაგნატი, რომელთაც უზარმაზარი სამფლობელოები ქონდათ. პოლონეთის მეფე სტანისლას პოლიატოვსკი თავს განმამათლებლების მომხრედ აცხადებდა. თუმცა რეფორმების გატარებას თავს არიდებდა.

1791 წლის 3 მაისს რუსეთისა და პრუსიის აგრესიისაგნ თავის დაცვის მიზნით და პოლონელი პატრიოტების გავლენით (პოკი, კზარტორისკი) პოლონეთმა მიიღო კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო საფრანგეთის რევოლუციური კანონმდებლობა. ამ ფაქტით უკმაყოფილო მაგნატები დაუკავშირდნენ პრუსიასა და რუსეთს და პოლონეთში შესვლა შესთავაზეს. მართლაც 1792 წელს რუსეთი და პრუსია შევიდა პოლონეთში, გააუქმეს კონსტიტუცია და 1793 წლის 25 იანვარს პოლონეთის ტერიტორია ორად გაიყვეს: ეს იყო პოლონეთის „მეორე გაყოფა."

უნგრეთი ცდილობდა თავი დაეღწია ავსტრიის ბატონობისაგან ან გაეზარდა ავტონომია. ამ დროს ავსტრიის იმპერატორი იყო ლეოპოლდ II. ამ მიზნით შეიქმნა „უნგრეთის ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია" და „საკონსტიტუციო აქტი", მაგრამ ლეოპოლდ II მემკვიდრე ფრანსუა II 1790 წელს სასტიკად შეეწინააღმდეგა ამას.

შვეიცარია შედგებოდა ცამეტი კანტონისაგან და ვასალური „სათემო სასამართლო ოლქებისგან", აქ მრავლად იყვნენ საფრანგეთის მიმართ კეთილგანწყობილნი. ამას განაპირობებდა ის ფაქტორები, რომ შვეიცარიაში არსებობდა განათლებული ბურჟუაზია, რომელიც უარს ამბობდა ყოველგვარ ვასალობაზე, ასევე დიდ კანტონებში მმართველობის ფორმა იყო არისტოკრატიული რესპუბლიკის, რომელსაც პატრიოტები საკმაოდ დემოკრატიულად მიიჩნევდნენ. მთის ძველ კანტონებში, სადაც ნამდვილი (პირდაპირი) დემოკრატია იყო გამეფებული, საფრანგეთის გავლენა ძალიან სუსტი იყო.

ფრანგ პატრიოტებს იტალიაში ბევრად მეტი მომხრე ყავდა, ვიდრე სხვაგან.

გაჩნდა პატრიოტთა კლუბები, კერძოდ პიემონში, ბოლონიაში და სხვაგან.

ესპანეთში პირიქით ხელისუფლებამ ჩაახშო ეკლესიის მიერ უარყოფილი პროფრანგული გამოსვლები.

რუსეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში რევოლუციის ექომ ძალიან სუსტად თუ ჩააღწია.

საფრანგეთში 1792 წლის 24 აგვისტოს პოეტ მარიჟოზეფ შენიეს წინადანებით შემოიღეს წოდება საფრანგეთის მოქალაქის საპატიო წოდება, რომელიც გადაეცემოდა უცხოელ მწერლებს, რომელთაც საფუძველი გამოაცალეს ტირანიას და გზა მოუმზადეს თავისუფლებას".

მშვიდობიანი დასაწყისი. რა თქმა უნდა, რევოლუციის მომხრეების, კლუბების, გაზეთების, მწერლების ჩამოთვლა ვერ ახსნის 1792 წლიდან საფრანგეთის მიერ წარმოებულ დაპყრობით ომებს. ამ ომებმა ნიადაგი მოამზადა, რათა XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილიყო ძლევამოსილი დიდი ფრანგული ერი და დიდი ფრანგული იმპერია.

თავიდან ჩანდა, რომ რევოლუცია მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე იყო. ფრანგულ არმიაში, კაპიტნის ჩინის ზემოთ ყველა ოფიცერი კეთილშობილი იყო. მათ მეფი მხარე დაიკავეს და გამოვიდნენ ასამბლეას წინააღმდეგ. ხშირად უარს ამბობდნენ აღემართათ 1789 წელს მიღებული სამფეროვანი დროშა (ლურჯი და წითელი პარიზის ფერები იყო, თეთრი — მეფის). ამას შედეგად მოყვა დაპირისპირება ერთის მხრივ ოფიცრებს და მეორეს მხრივ უნტერ-ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის, რომელიც ზოგჯერ ნამდვილ შეხლა-შემოხლაში გადაიზრდებოდა. ბევრმა ოფიცერმა სამშობლო დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. 1792 წელს საფრანგეთის არმიაში ირიცხებოდა ცხრა ათასი ოფიცერი, აქედან ექვსი ათასი დეზერტირად ითვლებოდა.

1789 წლის ივლისში ამერიკის მაგალითზე საფრანგეთში შეიქმნა ეროვნული გვარდია, რომელსაც მხოლოდ საშინაო პრობლემების მოგვარება ევალებოდა. მის მთავარსარდლად დაინიშნა „ორი სამყაროს გმირი" ლაფაიეტი. იმისთვის რომ პარიზი შეიარაღებულიყო, 1789 წლის 14 ივლისს ბრბომ ბასტილია აიღო. ამ ფაქტმა მოგვიანებით სიმბოლური დატვირთვა შეიძინა.

ამ საკმაოდ სუსტი მდგომარეობით აიხსნება, რომ დამფუძნებელმა კრებამ 1790 წლის 22 მაისს კენჭი უყარა „მსოფლიო მშვიდობის დეკლარაციას“, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი უარს ამბობდა „დაპყრობის მიზნით წამოეწყო ომი“ და „არასოდეს გამოიყენებდა ძალას სხვა ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ“.

მაგრამ იმავე დამფუძნებელმა კრებამ, ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, გადაწყვიტა 1791 წლის 13 სექტემბერს სამხედრო გზით დაეკავებია პაპის სამფლობელო (ავინიონი და ვენესინის საგრაფო).

საფრანგეთმა ომი გამოაცხადა. ლუი XVI იაკობინელთა კლუბის თანხმობით (ბრისოსო, მაგრამ არა რობესპიერის) 1792 წლის 20 აპრილს ომი გამოუცხადა „ბოჰემიისა და უნგრეთის მეფეს“ ანუ იმპერატორ ფრანსუა II, რომელიც საფრანგეთის დედოფლის მარი-ანტუანეტას ძმა იყო, იმ მიზეზით რომ ის უარს ამბობდა დაეშალა ფრანგ ემიგრანტთა გაერთიანებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ საფრანგეთს.

საფრანგეთმა მარცხი განიცადა ავსტრიის ნიდერლანდების, ანუ დღევანდელი ბელგიის საზღვრებთან. ამან უცხოელებს დაანახა რომ საფრანგეთს აღარ ყავდა არმია. როცა 1792 წლის ივლისში პრუსია ომში ჩაება, მისმა მთავარსარდალმა ბრუნსვიკმა განაცხადა, რომ ის რუკიდან გაქრობდა პარიზს.

გარდა სამეფო არმიის ნარჩენებისა, სადაც ჯარისკაცები 20 წლით იყვნენ გაწვეულნი, საფრანგეთს ყავდა „ეროვნული მოხალისეები“. მოწოდებაზე „სამშობლო საფრთხეშია“ მრავალი შევიდა სამხედრო სამსახურში. (წვრილი მიწათმოქმედები, ხელოსნები, ბურჟუაზია). იაკობინელებს მიაჩნდათ რომ ომი დამთავრდებოდა მეფი ლუი XVI საიდუმლო შეთანხმებით თავის სიძესთან ფრანსუა II. ლუი XVI და მარი-ანტუანეტას, 1791 წლის ივნისში გაქცევის მარცხის შემდეგ, ერთადერთი იმედი ქონდათ რომ არაორგანიზებული ფრანგული არმია დამარცხდებოდა.

მართლაც პირველმა წარუმატებლობამ და ბრუნსვიკის

შემოჭრამ, რომელმაც სექტემბერში ვერდენამდე მიაღწია, გამოიწვია ნამდვილი რევოლუციური მღელვარება, რასაც შედეგად მოყვა სამეფო ხელისუფლების დამხობა (1792 წლის 10 აგვისტო). აირჩიეს ეროვნული კონვენტი (შეინიშნება ამერიკული ლექსიკის გავლენას) და დაიწყო ტერორის პირველი ტალღა (1792 სექტემბრის ხოცვა-ჯლეტა). ნოემბერში ტულრის სასახლეში აღმოაჩინეს რკინის კარადა, სადაც ლუი XVI წერილებს ინახავდა. მეფე ეროვნული კონვენტის წინაშე წარსდგა და მანაც სიკვდილი მიუსაჯა 1793 წლის 21 იანვარს.

ვალმი. ეროვნულმა კონვენტმა გამოაცხადა თუ არა რესპუბლიკა, თითქმის მეორე დღესვე გაიმართა ვალმის ბრძოლა (1792 წლის 20 სექტემბერი). მართალია ეს იყო ერთი კონკრეტული ბრძოლა, მაგრამ მისი ისტორიული მნიშვნელობა უზარმაზარია. ფრანგებმა დაიკავეს ვალმის ზეგანი, რომელზეც ქარის წისქვილი იდგა. პრუსიელების შესანიშნავად გაწვრთნილ პროფესიულ არმიას წინა დღეებში საჭმელი შემოაკლდა და ჯერ კიდევ დაუმწიფებელი ყურძნის ჭამით იკლავდნენ შიმშილს. პრუსიელები ფიქრობდნენ რომ ფრანგებმა უკან დაიხიეს, მაგრამ როცა ნისლი გაიფანტა საპირისპირო დაინახეს. მოწინააღმდეგე მშვიდად იდგა მათ წინ. პრუსიის მეფემ ფრედერიკ-გიომმა და ბრუნსვიკმა შეტევაზე გადასვლის ბრძანება გასცეს. „არაფერია უფრო ლამაზი და უფრო სანახაობრივი“ ყვება პრუსიელი გენერალი პრინცი ნასო-სიეუენი „აქამდე არასოდეს ვყოფილვარ გამარჯვებაში ასე დარწმუნებული“. მაგრამ ფრანგები ადგილიდან არ იძროდნენ და ყვიროდნენ „გაუმარჯოს ერს!“ პრუსიელები დაეჭვდნენ და გაჩერდნენ. შემდეგ, მეფის სურვილის მიუხედავად, რომელიც ძალიან მამაცი იყო და მტრის დარტყმებს უშვერდა თავის სხეულს, ბრუნსვიკმა უკან დახევა ბრძანა. ამას თან დაერთო ჭექა-ქუხილი, სიცივე და არეულობა. „მოხუც ფრიცს (დიდი ფრედერიკი) წერდა ბრძოლის ერთერთი მოწმე, ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია“. გოეთე წერდა: „დილით არავინ ეჭვობდა რომ ხიშტებზე წამოაგებდნენ ყველა ფრანგს და მალე დაამარცხებ-

დნენ, მაგრამ საღამოს ისე გარბოდნენ ერთმანეთს არც კი უყურებდნენ. " ვალმის ზნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შემოვიდა ახალი საომარი სტრატეგია. კერძოდ პროფესიულ არმიასთან ერთად საომრად გამოდის მოქალაქეების არმია.

გამარჯვებული ალზასელი გენერალი კელერმანი ამბობდა: „მე წარმოვიდგინე ბრძოლა პრუსიელებთან, და დარწმუნებული ვიყავი ისინი ვერასოდეს გაბედავდნენ ჩემზე შემოტევას; ომში გამოცდილი მტერი თავს არ უნდა დაესხას იმას ვინაც სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას მიუძღვნა."

1792-1795 წლებში საფრანგეთი თითქმის მთელს ევროპას დაუპირისპირდა და გაიმარჯვა კიდეც.

ვალმის შემდეგ, იყო ჟემაპი (1792 წლის ნოემბერი), ფრანგებმა ავსტრიელებს წაართვეს თანამედროვე ბელგია. უკანდახეულ პრუსიელებს ფრანგები მაიენამდე და ფრანკფურტამდე მიყვნენ.

პირველი კოალიცია და რევოლუციის გავრცელების პოლიტიკა. რატომ შეიქმნა 1793 წლის დასაწყისში კოალიცია, რომელსაც „პირველი კოალიცია" ეწოდა? მართლაც რიგრიგობით, ინგლისი, პორტუგალია, გაერთიანებული პროვინციები, ესპანეთი, მსხვილი იტალიური სამეფოები, (პიემონი, სარდინია, ტოსკანია, პაპის სამფლობელო) და მრავალი გერმანული სამეფო ჩაება ომში.

დიდი შეცდომა იქნება თუ ამის მიზეზად 1793 წლის 21 იანვარს ლუი XVI სიკვდილით დასჯას მივიჩნევთ. ამან მხოლოდ ესპანეთის ბურბონ მეფეზე შარლ IV თუ იმოქმედა. ომის ნამდვილი მიზეზი იყო, როგორც შემდგომში ვნახავთ, ევროპაში ახალი ფენომენის გაჩენა, ანუ „რევოლუციური ექსპანსიონიზმი". იგივე მოხდება XX საუკუნის დასაწყისშიც.

რევოლუცია, მისი ფანატიკოსი მომხრეების თვალში იყო სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გამოხატულება, ამიტომ ძალიან ბუნებრივად მიაჩნდათ, რომ ის გაევრცელებიათ მეზობელ ტერიტორიაზეც. თუ რომელიმე ქვეყანაში

იყო რევოლუციის მომხრეთა გარკვეული რაოდენობა, მათი მოთხოვნით გაიმართებოდა საერთო სახალხო გამოკითხვა, ანუ პლებისციტი, რომლის შედეგები ხშირად რევოლუციის მომხრეთა სასარგებლოდ იყო გაყალბებული და ამის შემდეგ ქვეყანაში შედიოდა საფრანგეთის არმია.

კონვენტმა 1792 წლის 19 ნოემბერს მხარი დაუჭირა რევოლუციის ექსპანსიის ანუ გავრცელების პრინციპს. „კონვენტი გაუწევს ძმობას და დახმარებას ყველა ხალხს რომელსაც სურს ეზიაროს თავისუფლებას."

ერთის მხრივ, ეს ნიშნავს ჩაება დაუსრულებელ ომში და მეორეს მხრივ, თავზე იტვირთო პასუხისმგებლობა და განსაზღვრო ის ხალხი ვისაც დახმარება სჭირდება, თანაც ისე, რომ მას არაფერი კითხო.

რაც შეეხება ინგლისს, ის ომში ჩაება შემდეგი მიზეზით. საფრანგეთი უკვე ბელგიას განაგებდა. კონვენტმა გადაწყვიტა გაეკეთებია ის, რაზეც ესპანელებმა უარი თქვეს ჯერ კიდევ 1609 წელს: გაელოთ ანტვერპენის პორტი. ინგლისელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ანტვერპენის გაღება მისცემდა საშუალებას ლონდონს გამხდარიყო ევროპისა და მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო მეტროპოლია.

საფრანგეთის მიერ ანტვერპენის ხელში ჩაგდება ინგლისის პირველი დიდი მარცხი იყო.

საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი და ტერორი. კოალიციამ ფრანგი გენერლის დუმურიეს ღალატის წყალბით, 1793 წელს ფარნგები გააძევა ბელგიიდან და რაინის ოლქიდან, და შემოიჭრა საფრანგეთის ტერიტორიაზე ალპებსა და პირენეებში. ამ წარუმატებლობის შემდეგ საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის საფუძველზე შეიქმნა ძლიერი რევოლუციური მთავრობა, რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა კონვენტს. იგი ქვეყნის შიგნით ახორციელებდა ტერორის დიქტატურას. მასში შედიოდა რობესპიერი, კუტონი და 25 წლის სენ-ჟუსტი. სენ-ჟუსტის სურვილებს შეიძლება ეწოდოს ფანატიზმი: „არავითარი თავისუფლება თავისუფლების მტრებს".

რევოლუციიდან წამოსულ მმართველობის ამ ახალ სის-

ტემას და ახალ ძალას შედეგად მოყვა, როგორც გოეთემ ივარაუდა, ბელგიისა და რაინის ოლქის დაპყრობა. მეორე წლის 9 თერმიდორს, ანუ 1794 წლის 27 ივლისს, რობესპიერის ეროვნული ხსნის კომიტეტიდან გადაყენების დღეს, ფრანგები შევიდნენ ანტვერპენსა და ბრიუსელში.

1795 წელს კი დაიკავეს ნიდერლანდები.

ამავე წელს ბაზელისა და ჰააგის ზავებით დაიშალა პირველი კოალიცია.

ფრანგებმა რიგრიგობით დაიკავეს ტოსკანია, რომლის დიდი ჰერცოგი ფერდინანდ III იმპერატორის სიძე იყო, პრუსია, ჰესენ-კასელი, გაერთიანებული პროვინციები და გადააქციეს საფრანგეთის იძულებით მოკავშირე ბატავიის რესპუბლიკად. ბოლოს ესპანეთი იძულებული გახდა დაზავებოდა საფრანგეთს.

დიდი ერის წინააღმდეგ ომში დარჩა მოლოდ ავსტრიის იმპერია, ინგლისი, პორტუგალია, რამდენიმე იტალიური სამთავრო და სამხრეთ გერმანია.

რა საშუალებებით მიაღწია საფრანგეთმა ამ შედეგს?

ცხადია ამაში უდიდესი როლი ითამაშა საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობამ. 1800 წელს რუსეთში ცხოვრობდა დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ საფრანგეთი ევროპაში მეორე ადგილას იდგა, მისი მოსახლეობა შეადგენდა 28,2 მილიონს. მას ცოტათი ჩამორჩებოდა ავსტრია (28 მილიონი). დანარჩენ გერმანიაში ცხობრობდა 23 მილიონი კაცი, იტალიაში 18 მილიონი, ბრიტანეთის კუნძულებზე კი 16 მილიონი. მთელი ევროპის მოსახლეობა ერთიანად შეადგენდა 153,2 მილიონ ადამიანს.

ბრიტანეთის კუნძულების გამოკლებით, რომელიც ბუნებრივად იყო დაცული, საფრანგეთს თავად უნდა დაეცვა თავი სხვა ძლევამოსილი სახელმწიფოსგან. მაგრამ, ჯერ საჭიროა ავხსნათ თუ როგორ მოიგერია და დაძლია პირველი კოალიცია.

მოწინააღმდეგის ძლევის ორი გზა არსებობს: გქონდეს მასზე ძლიერი შეიარაღება, ან გქონდეს იგივე შეიარღება, მაგრამ რაოდენობრივად მეტი. არც რევოლუციას, და არც

შემდგომში ნაპოლეონს შეიარაღებაში რაიმე არსებითი ცვლილება არ შეუტანიათ. ისევ იგივე შარლევილის ხიშტიან და ფილთა თოფებს ატარებდნენ, რომლებიც 4,4 კგ იწონიდა. ზარბაზნებიც ლუი XVI-ს დროინდელი ქონდათ.

მაგრამ დიდი ცვლილება განიცადეს ადამიანებმა. ვალმიში უკვე ვიხილეთ მოხალისეთა არმია.

1793 წლის თებერვალში, კონვენტისა და ეროვნული ხსნის კომიტეტის წევრის დუბუა-კრანსეს წინადადებით კონვენტმა მიიღო თეთრპანტალონებიანი ძველი არმიისა და ლურჯფორმიანი (ეროვნული გვარდიის მსგავსად) მოხალისეების გაერთიანების გადაწყვეტილება.

იმავე 1793 წელს, შემოიღეს მამაკაცის გაწვევის წესი, რომელიც 1798 წელს გადაიქცა სამხედრო საკალდებულო კენჭისყრის სისტემად, ანუ ყველას თანაბრად ევალებოდა ჯარში სამსახური.

სამასი ათასი კაცის გაწვევამ თავდაპირველად საფრანგეთის დასავლეთ პროვინციაში ვანდეაში დიდი მღელვარება გამოიწვია. (ვანდეელები მეფის მომხრე მორწმუნე კათოლიკები იყვნენ და არ სურდათ იმ აზრს შეგუებოდნენ, რომ მათთვის მიუღებელი სისტემისთვის ჯარში წასულიყვნენ). 1793 წლის მასობრივი გაწვევა, შეიძლება ითქვას მხოლოდ შესავალი იყო XX საუკუნის მასობრივი მობილიზაციებისა.

1793 წლის 23 აგვისტოს გამოიცა დეკრეტი, სადაც ნათქვამია: მტრის შემოჭრის შემთხვევაში, „სანამ ის განდევნელი არ იქნება რესპუბლიკის საზღვრებიდან, ყველა ფრანგი იმყოფება სამხედრო სამსახურში. ახალგაზრდები საომრად წავლენ, ცოლ-შვილიანი კაცები ჯარს მოამარაგებენ და გადაიტანენ სურსათ-სანოვაგეს. ქალები შეკერავენ კარვებს, ტანსაცმელსა და იმსახურებენ ჰოსპიტლებში; ბავშვები ძველ თეთრეულს დახევენ. მოხუცები წავლენ მოედნებზე, რათა იქადაგონ მეფის სიძულვილი, რესპუბლიკის ერთიანობა და გაამხნევონ მეომრები.“

ამ ზომების წყალობით, საფრანგეთს ყავდა მილიონ ორასი ათასიანი არმია. ეს იმ დროისთვის დაუჯერებელი ციფრი იყო. მაშინ 730 000-იანი არმია მეტისმეტად მრავალრიცხოვნად ითვლებოდა.

საყოველთაო გაწვევის სისტემა მოითხოვს ძლიერი ადმინისტრაციული კორპუსის არსებობას. გარდა ვანდეაში მომხდარი მასობრივი წინააღმდეგობისა, ამ უზარმაზარ არმიაში მრავლად იყო დეზერტირობის ფაქტი, ხშირად მასიური დეზერტირობისა, ან კიდევ თავს არიდებდნენ გაწვევას და „ურჩები" მთებში, მივარდნილ სოფლებში იმალებოდნენ.

სამხედრო საავალდებულო კენჭისყრა, წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო მძიმე ასატანი გახდა და ოცწლიანი ომის შემდეგ ნაპოლეონის პოპულარობა ამის გამო ხალხში საგრძნობლად შესუსტდა.

საფრანგეთმა მოახდინა საეკლესიო ქონების ნაციონალიზაცია (1789 წლის ნოემბერი). მიიღო ეკლესიის სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც მღვდლები გამოცხადდნენ უბრალო მოხელეებად და აღარ იყვნენ ეკლესიის ზნეობრივი პირები". ამ სიახლეებით რევოლუციამ მთელი ევროპის კათოლიკეები გადაიმტერა.

III. დასავლური რევოლუცია და ნაციონალიზმის დაბადება.

პატრიოტული გრძნობები, ეჭვგარეშეა ისეთივე ძველია როგორც კაცობრიობა. სამშობლო ეს არის მშობლების ქვეყანა. ნებისმიერი ადამიანი განიცდის „სამშობლოს" მიმართ, რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას. ამ ძირითადი გრძნობიდან გამომდინერეობს სხვა გრძნობები. მაგალითად, ქსენოფობია, ანუ უცხო ქვეყნის სიძულვილი და ნოსტალგია, სამშობლოს დატოვების შემთხვევაში. მსოფლიო ლიტერატურაში სამშობლოს სიყვარული ერთ-ერთი მთავარი თემაა.

ეროვნული ცნობიერების საფუძველი. ეროვნული ცნობიერება მოგვიანებით ნაციონალიზმში გადაიზარდა. ნაციონალიზმი გასცდა უბრალო გრძნობის საზღვრებს და ადამიანთა ცნობიერების განუყოფელ ნაწილად იქცა. ყოველი ჩვენგანი მივეკუთვნებით ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და აქვს

საერთო ნიშან-თვისებები. ადამიანთა ამგვარ ერთიანობას ერი ეწოდება. თუ ერი არ არის დანაწილებული, არ განიცდის უცხო ძალის ზემოქმედებას, აქვს თავისი სახელისუფლებო ორგანოები, მაშინ საქმე გვაქვს ეროვნულ სახელმწიფოსთან. XX საუკუნეში, ყოველი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება ცდილობს გახდეს ეროვნული სახელმწიფო.

მაგრამ პატრიოტიზმისაგან განსხვავებით, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, ნაციონალიზმი საკმაოდ ახალგაზრდაა. იგი XVIII საუკუნეში გაჩნდა დასავლეთ ევროპასა და ინგლისის კოლონიებში ამერიკის კონტინენტზე. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნაციონალიზმი გავრცელდა ცენტრალურ ევროპაში, ბალკანეთში, ასევე ლათინურ ამერიკაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი მოედო არაბულ სახელმწიფოებს, ინდოეთს, სამხრეთ-დასავლეთ აზიას, უკიდურეს აღმოსავლეთს. XX საუკუნეში კი დაიპყრო აფრიკა. ნაციონალური გრძნობისთვის მიუღებელია უცხო ქვეყნის ბატონობის ნებისმიერი ფორმა, იგი დამარცხებულში ავითარებს დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს. ამ მიზნის მისაღწევად იყენებს ბრძოლის ნებისმიერ საშუალებას: იქნება ეს გადატრიალება, აჯანყება თუ ომი.

ზოგადად განასხვავებენ ნაციონალიზმის წარმოშობის ორ ტიპს. პირველი არის „ნაციონალიზმის გერმანული ტიპი", ანუ, როგორც პროფესორი ჟერარ რიტე უწოდებს „რომანტიკული ნაციონალიზმი" და მეორე, ნაციონალიზმის ანგლო-საქსონური და ფრანგული ტიპი,რომელსაც „კლასიკური ნაციონალიზმის" სახელით ვიცნობთ.

რომანტიკული ნაციონალიზმი. რომანტიკული ნაციონალიზმი წარმოიშვა იდეიდან, რომ ადამიანი თავისდა უნებურად ხდება რომელიმე ერის წევრი. ამ მიმდინარეობის ფუძემდებელია ჯოან გოტფრიდ ჰერდერი. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ლაპარაკობს ერთ ენაზე, რომელიც მისთვის მშობლიურია, აქვს ერთი ლიტერატურა, ერთნაირი წესჩვეულებები, მხატვრული ფორმები და ფოლკლორი. ჰერდერის

აზრით ამ ყველაფრის ერთიანობა აყალიბებს „ეროვნულ აზროვნებას“.

ჰერდერი დაიბადა 1744 წელს პრუსიაში და იყო კანტის მოსწავლე. ის იყო პროტესტანტი პასტორი და პროფესორი. მან იმოგზაურა საფრანგეთში, სტრასბურგში გაიცნო გოეთე და გახდა ვეიმარის პროტესტანტული ეკლესიის წინამძღოლი. აქ ის კვლავ შეხვდა თავის მეგობარ გოეთეს. ჰერდერის უმნიშვნელოვანესი ნაშრომების: „კვლავ ისტორიისა და კაცობრიობის ფილოსოფია“ (1778) და „აზრები ისტორიისა და კაცობრიობის ფილოსოფიის შესახებ“, რომელიც მრავალ ტომად გამოქვეყნდა 1784-1791 წლებში. ჰერდერი არ იზიარებს რაციონალიზმის თეორიას, რომლის სურვილია ადამიანები გადაიქცეს ერთმანეთის მსგავს ინდივიდებად, ეს გამოიწვევს მსგავსი ერების შექმნას, რომელთაც ექნებათ ერთნაირი კანონმდებლობა, როგორც ეს ფრანგ რევოლუციონერებს სურდათ. მხოლოდ ეროვნული აზროვნება „არის ერთადერთი, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი, აუხსნელი, და გამოუთქმელი“. ის ყოველ ერს აძლევს განსაკუთრებულ „ეროვნულ აზროვნებას“. მას სურდა გერმანია საფრანგეთის რევოლუციის გავლენის მიღმა დარჩენილიყო. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰერდერის სურვილი არ ყოფილა გერმანიაში შექმნილიყო ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება. იმ დროს გერმანია დაყოფილი იყო 350 პოლიტიკურ ერთეულად. მოგვიანებით ჰერდერის მიმდევრები ფიხტე, ჟანი, არდტი და სხვები გერმანიის გაერთიანების მომხრეები იყვნენ. აქედან გამომდინარე ჰერდერისთვი ალზასელი რომელიც გერმანულ დიალექტზე ლაპარაკობს გერმანელია.

კლასიკური ნაციონალიზმი. ფრანგი რევოლუციონერები, უფრო სწორად მათი ზომიერი ფრთა, უნივერსალისტები იყვნენ. ის რაც ჭეშმარიტებაა ერთისთვი ჭეშმარიტებაა ყველასთვის, მიაჩნდათ მათ. განა დეკარტი არ ამბობდა?: „კეთილგონიერება სამყაროში საუკეთესო რამ არის.“ ამ პრინციპიდან გამომდინარე დამფუძნებელი კრებისა და კონვენტის წევრები ფიქრობდნენ ყველა ადამიანისათვის შეექ-

მნათ კანონმდებლობა. ისინი უპირველეს ყოვლისა მონტესკიეს მიმდევრები იყვნენ (ხელისუფლების დანაწილება, კონსტიტუციური მონარქია), ხოლო შემდეგ რუსოსი (სახალხო სუვერენიტეტი). 1789 წლის 26 აგვისტოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია, რომელიც 1791 წლის კონსტიტუციას წარუმძღვარეს, აცხადებს რომ „ადამიანის უფლებები არის ბუნებრივი, განუსხვისებელი და წმინდათა-წმინდა". ანუ ის, რაც ფრანგებისთვის მართებულია, მართებულია ყველა სხვა ერისთვის. მესამე მუხლში ნათქვამია: „ყოველგვარი სუვერენიტეტის მატარებელი არის თავად ერი."

ყველაზე დიდი „რევოლუციური" დასკვნა, რაც კი შეიძლება ამ დეკლარაციიდან გამოვიტანოთ და რაც შემდგომში მნიშვნელოვანია ეროვნული საზოგადოებისთვის არის ის, რომ თითეულ ერს აქვს უფლება განაგებდეს საკუთარ თავს. ჰერდერის საპირისპიროდ, რომელიც აცხადებდა, რომ ეროვნული აზროვნება უნებურად ყალიბდება, ფრანგი რევოლუციონერები ხედავდნენ ახლო კავშირს ერსა და მოქალაქეთა თავისუფალ ნებას შორის. „ხალხს უფლება აქვს განაგებდეს საკუთარ თავს". ამ ნების გამოსახატავად კი გადამწყვეტია პლებისციტი ანუ რეფერენდუმი, იგივე საერთო სახალხო გამოკითხვა. სწორედ პლებისციტი გამოიყენეს პაპის წინააღმდეგ ამბოხებულმა ავინიონელებმა 1790 წელს. ამ „კლასიკური" თეორიიდან გამომდინარეობს დასკვნა: თუ ალზასელ მოხალისეს სურს იყოს ფრანგი, ის იქნება ფრანგი, მიუხედავად მისი მშობლიური ენისა.

1790 წლის 14 ივლისს, ბასტილიის აღების პირველი წლისთავზე, ერთი საგულისხმო განცხადება გაკეთდა. კერძოდ, პარიზში მარსის მოედანზე, ეროვნული გვარდიის დელეგატები შეიკრიბნენ და ერთმანეთს ერთად სიცოცხლე ან ერთად სიკვდილი შეჰფიცეს. ამ ზეიმზე ერთმა ორატორმა განაცხადა „უკვე აღარ არსებობენ არც ბრეტონელები, არც ავინიონელები, არამედ არსებობენ ერთი იმპერიის მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოს სამსხვერპლოზე ფიცს დებენ, რომ ან გმირულად იცოცხლებენ ან დაიხოცებიან." უკვე აღარ არსებობენ ბრეტონელები, ალზასელები, ლანგე-

დოკელები, პროვანსელები, დოფინელები, არსებობენ მხოლოდ ფრანგები.

IV. რევოლუციის ექსპანსია და ევროპელი პატრიოტების იმედგაცრუება

ნელნელა გაქრა რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც დასაწყისში საყოველთაო მშვიდობის პირობას დებდა. მოგვიანებით საფრანგეთის რევოლუციურმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ძლევამოსილი საფრანგეთი დაეხმარება ყველა ქვეყანას გათავისუფლდეს თავისი „ტირანებისგან", შემდეგ დაუბრუნებს მას თავისუფლებას, რათა ხალხმა თავად განაგოს თავისი ქვეყანა და ჰარმონიაში იცხოვრებენ იმ რეჟიმებთან რომლებიც მათ იდეებს იზიარებენ. სწორედ ეს სურდათ თითქმის ყველა ქვეყანაში პატრიოტებს, ანუ რევოლუციის, თავისუფლების, ადამიანის უფლებების, კონსტიტუციის მომხრეებს. (ეს სიტყვა მოდიოდა აშშ-ს რევოლუციიდან, შემდეგ კი 1783 ნიდერლანდების რევოლუციიდან). მსგავსი არაფერი მომხდარა. რევოლუციამ, რომლის მტრებიც უკვე იყვნენ ძველი რეჟიმის მომხრეები, რევოლუციური იდეებისადმი მტრულად განწყობილი მოაზროვნეები, სხვა ქვეყნებში არსებული მისი მომხრეებიც გადაიმტერა, როცა თავისი დამპყრობლური თვისებები გამოავლინა.

რევოლუციის მოწინააღმდეგენი. თავდაპირველად შევეხოთ მარადიულ მტრებს. ესენია არისტოკრატია და კათოლიკური ეკლესია. არისტოკრატია იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთს შეაფარა თავი. კათოლიკური ეკლესია, რევოლუციისადმი მტრულად განაწყო სამღვდელოების სამოქალაქო კონსტიტუციის გამოცემამ. იგი ეკლესიას არ ცნობს, როგორც „ზნეობრივ პერსონას", ხოლო საეკლესიო პირი გამოცხადდა კულტმსახურების უბრალო ფუნქციონერად. ყველა ვისაც ჩამოერთვა პრივილეგიები, იქნებოდა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ერთად ქმნიან კონტრრევოლუციურ ბანაკს.

ედმუნდ ბურკე. კონტრრევოლუციამაც ინტელექტუალური ფორმა მიიღო. ყველაზე უკეთ კონტრრევოლუციური თეორია ჩამოაყალიბა ანგლო – ირლანდიელმა ედმუნდ ბურკემ, რომელიც 1729 წელს დაიბადა დუბლინში, ის დედით კათოლიკე იყო, მამით კი პროტესტანტი. ბურკე აქტიურად კითხულობდა XVIII საუკუნის ფილოფოფოსების ნაშრომებს, იმოგზაურა საფრანგეთში, დააარსა პოლიტიკური გაზეთი *„Annual Register"*, იყო ინგლისის თემთა პალატის წევრი, თუმცა არ ყოფილა „რეაქციონერი". ის სამართლიანობისთვის იბრძვის, იცავს აჯანყებულ ამერიკის კოლონიებს და ირლანდიას. ჰერდერის მსგავსად, რომლის ნაშრომები შესაძლოა წაკითხულიც ქონდა, ბურკე დაუფარავად გამოდის უნივერსალიზმისა და რაციონალიზმის წინააღმდეგ. მათ ის ისტორიის პროდუქტად მიიჩნევს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით წარმოიშვა. მისთვის არ არსებობს ზოგადად ადამიანი და მიაჩნია რომ ადამიანისათვის უფლებების გადაცემის თეორია მცდარია. ბურკე თვლის, რომ არსებობს ბრიტანელი ხალხი, ფრანგი ხალხი, გერმანელი ხალხი და მათთვის ერთადერთი სიკეთე არის ლიბერალიზმი.

1790 წელს, საფრანგეთ-ინგლისის ომის გაჩაღებამდე დიდი ხნით ადრე, დაწერა წიგნი „მსჯელობები საფრანგეთის რევოლუციაზე". ის მეტად მკაცრია საფრანგეთის რევოლუციის ინგლისელი მომხრეების მიმართ და განსაკუთრებით ინგლისის რევოლუციური საზოგადოების მიმართ. მისი აზრით საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია არაფერია, ინგლისის 1688 წლის რევოლუციასთან შედარებით. ის მწარედ აკრიტიკებს ახალ სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, რომელსაც თანდათან აყალიბებს რევოლუციური მთავრობა, რადგან ფრანგმა რევოლუციონერებმა მსოფლიო სამართლიანობის სახელით მიწასთან გაასწორეს წარსული, ცდილობენ შექმნან საერო სახელმწიფო, ფიქრობენ რაღაც აბსტრაქტულ თავისუფლებაზე, მაშინ როცა არსებობს ისტორიის მანძილზე მოპოვებული თავისუფლებები. რუსოსაგან განსხვავებით ის არ ფიქრობს, რომ ადამიანი „ბუნებრივ მდგომარეობაში" კეთილია, ვიდრე მას საზოგადოება გარყვ-

ნის. მისი აზრით დროდადრო საზოგადოების ისტორია, ადგილის მიხედვით, გამოძებნის სასარგებლო მონაპოვრებს. ბრიტანეთის დაუწერელი კონსტიტუცია საუკეთესოა, რადგან ის საუკუნეებმა შექმნა. ის ერთმანეთს ადარებს ინგლისურ ბაღს, ლაბირინთული ხეივნებით, ბუნებრივი წყაროებით და იმ დროის ფრანგულ ბაღს, წმინდა გეომეტრიულ ქმნილებას, არხებით, შადრევნებით, აუზებით, გაკრეჭილი ხეებით დამშვენებულ ხელოვნურ ქმნილებას. ბურკეს წიგნს დიდი წარმატება ქონდა, როგორც მთელს ევროპაში, ასევე საფრანგეთში. წიგნი გერმანულად მეტერნიხის თანამოაზრემ, ფრედერიკ ვან ჟენზმა თარგმნა, დიდი გავლენა იქონია პრუსიაში ბარონ დე სტენზე და ჟენევაში მალე დუ პენზე, ასევე სხვა რევოლუციონერებზე. მცირე წარმატება ხვდა იტალიაში, ესპანეთში კი ინკვიზიციამ საერთოდ აკრძალა.

მალე დუ პენი. მალე დუ პენი, ბურკესგან განსხვავებით არ ყოფილა რაციონალიზმის მოწინააღმდეგე. თუმცა ისიც ლიბერალია. 1766 წლის ამბოხების შემდეგ მალე დუ პენი იძულებული გახდა დაეტოვებინა ჟენევა და ბევრი იმოგზაურა ევროპაში. 1782 წელს, ჟენევის ახალი რევოლუციის დროს ის შერიგებისა და კომპრომისის გამონახვის მომხრეა. თავისი აზრები გამოაქვეყნა „საფრანგეთის მერკურში", რომელსაც ხელმძღვანელობდა 1789-1792 წლებში და ნაშრომში „მსჯელობები საფრანგეთზე". მისთვის რევოლუცია უბრალოდ არის „ხელისუფლების შეცვლა" და მისი მიზანია დაამხოს ძველი რეჟიმი. მან განჭვრიტა რომ „ხელისუფლების შეცვლა უცილობლად გამოიწვევს საკუთრების შეცვლას, რომელიც უქონელთა (სანკულოტების) კლასის ხელში გადავა. ეს კლასი მალე მესაკუთრეთა კლასი გახდება და ხელისუფლებას თავის სასარგებლოდ შეინარჩუნებს".

მას არ დაუმალავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციისა და კონსტიტუციისადმი.

პენი მთელ ევროპაში ცნობილი გახდა ნაშრომით „მსჯე-

ლობები საფრანგეთის შესახებ". მას ბერნიდან პოლიტიკური მიმოწერა ჰქონდა ბერლინთან, ლონდონთან, ტურინთან, განსაკუთრებით ვენასთან, საფრანგეთის ემიგრირებულ პრინცებთან, ლუი XVI ძმებთან, პროვანსისა და არტოას გრაფებთან. ასევე ზეგავლენა მოახდინა ჟენტსა და კანტზე.

ამ დიდ კონტრრევოლუციონერებს, ბურკესა და მალეს, უნდა დავუმატოთ გამოჩენილი მწერალი, ფრანგი ლუი დე ბონალდი, საგოელი ჟოზეფ დე მესტრი, გერმანელები ჰერდერი, ჟენტი, ბრანდე, რეჰბერგი, მოსერი. მაგრამ მათ შედარებით ნაკლები როლი ითამაშეს დიდი ერის წინააღნდეგ მიმართული განწყობის ასამაღლებლად. კონვენტისა და შემდეგ დირექტორიის წინაშე მრავალჯერ დაისვა საკითხი გაერკვიათ, თუ რა მიზნებისთვის აწარმოებდა საფრანგეთი ომს. პირველი და ყველაზე მარტივი მიზანი იყო თავი გადაერჩინათ და წინააღმდეგობა გაეწიათ კოალიციისთვის. კაცმა რომელმაც ორგანიზება გაუწია გამარჯვებას ეროვნული დაცვის კომიტეტში და დირექტორიის დასაწყისში, ლაზარ კანტონს, სურდა რომ საფრანგეთის საზღვარი ყოფილიყო 1792 წლის საზღვრები, ანუ ძველი რეჟიმის დროინდელი საზღვრები, რომელსაც დაემატებოდა ავინიონის ანკლავი და ვენსენის საგრაფო. 1793 წლის 17 ნოემბეს, დიდი სიძნელეების პერიოდში, რობესპიერმა განსაზღვრა საფრანგეთის ზომიერი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ემყარებოდა „თავისუფალ" ქვეყნებთან მეგობრობას, (აშშ და შვეიცარია), ერთგულებას ტრადიციულ მოკავშირეებთან, ანუ თურქეთთან, გენუასთან, ვენეციასთან და დანიასთან. საფრანგეთის ხელისუფლებამ უარი თქვა დაპყრობებისა და ხალხის განთავისუფლების პოლიტიკაზე.

რობესპიერის ამ წინდახედულ ნაბიჯს გარკვეული წინააღმდეგობები შეექმნა.

ბუნებრივი საზღვრები. პირველი ეს იყო ბუნებრივი საზღვრების თეორია, რომელიც ჩამოაყალიბეს პატრიოტებმა ანაშარსი კლუტმა და ფორსტერმა. 1793 წლის 31 იანვარს დანტონმა ეს თეორია კონვენტს შემდეგი სახით წარუდგინა: „საფრანგეთის საზღვრები ბუნებრივად ნიშანდებულია

ოთხივე მხრიდან, ესენია მდინარე რეინი, ოკეანე და ალპები. აი სად უნდა გადიოდეს ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები.“ ამ ფორმულამ, ჟირონდისტების ეპოქაში, კონვენტის ზოგიერთ წევრს გაუადვილა დაპყრობა სავოას, ბელგიის, რეინის სამხრეთ ნაწილის, ბაზელის მახლობლად პორენტრუის რეგიონის, ნიცის საგრაფოს, მონტბელიარის. სტრატეგიული მოსაზრებების გამო ეს იდეა ისევ ამოტივტივდა დირექტორიის დასაწყისში, განსაკუთრებით მას მხარს უჭერდა ალზასელი რებელი. ამ დროისთვის უკვე შესამჩნევი გახდა რეინის ოლქის მოსახლეობის უკმაყოფილება ამგვარი დაპყრობების მიმართ.

რევოლუციის ექსპანსია. მეორე ამბიცია იყო რევოლუციის ექსპანსიის პოლიტიკა, რაც კიდევ უფრო საშიში აღმოჩნდა. ეს იდეა შეიმუშავეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან გამოქცეულმა პატრიოტებმა, რომლებმაც თავი პარიზს შეაფარეს. ესენი იყვნენ შვეიცარიელები, იტალიელები, გერმანელები და სხვა. მათ ჩამოაყალიბეს მოძმე რესპუბლიკების შექმნის თეორია. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჰოლანდიელები ანუ ბატავიელები. მათ 1792 წლის ოქტომბერში პარიზში შექმნეს ბატავიის რევოლუციური კომიტეტი. გასარკვევი იყო მხოლოდ ერთი საკითხი: სად შევიდოდა ბელგია (ავსტრიული ნიდერლანდები და ლიეჟის საეპისკოპო), ბატავიის რესპუბლიკაში თუ საფრანგეთში.

მოძმე რესპუბლიკების იდეა ძალიან მოეწონა ლარეველიელეპოს. იგი ჯერ კონვენტის წევრი იყო, შემდეგ კი დირექტორიის. გადაწყდა, რევოლუციის გავრცელება ბატავიის რესპუბლიკიდან დაეწყოთ, ამის მიზეზი კი ჰოლანდიის სიმდიდრე გახდა.

ბატავიის რესპუბლიკა. ბატავიის რესპუბლიკის შექმნის საკითხი დღის წესრიგში დადგა 1794 წელს ბელგიის დაპყრობის შემდეგ.

1794 წლის ზამთარში ძლიერი ყინვების გამო გაიყინა არხები. ამ ფაქტით ისარგებლა საფრანგეთის არმიამ და

ჰოლანდიაში შევიდა. ნიდერლანდების მთავარი ქალაქები ამსტერდამი და ჰაგა ფრანგების ხელთ აღმოჩნდა. გაერთიანებული პროვინციების ხელისუფლება, ანუ სტატუდერი გაიქცა და შეიქმნა ბატავიის რესპუბლიკა.

1795 წლის 16 მაისის ჰაგის ზავით, საფრანგეთმა დაიკავა მხოლოდ ჰოლანდიური ფლანდრია ანუ მდინარე შელდას ქვედა მხარე, მაასტრიხტი და ვენლო. მან აღიარა ახალი რესპუბლიკა. ეს იყო კომპრომისული ზავი.

ამის მაგალითზე, იტალიელმა და შვეიცარიელმა პატრიოტებმა გამოაცხადეს ახალი მოძმე რესპუბლიკების შექმნის შესახებ. მათ არ გაუთვალისწინებიათ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ, დიდმა ფრანგმა ერმა ბატავიის რესპუბლიკა შექმნა მხოლოდ სტრატეგიული მიზნებით, რათა მოეხდინა მისი ექსპლუტაცია და მომავალში სატელიტ ქვეყნად გადაექცია.

1796 წელს დირექტორიამ გადაწყვიტა ძირითადი იერიში მიეტანა გერმანიაზე. არმიის ნაწილი გადაესროლა დუსელდორფსა და მაინცს შორის, ნაწილი კი მაინცს და ბაზელს შორის.

ბონაპარტე იტალიაში. ალპების მცირერიცხოვანმა და საკმაოდ ცუდად შეიარაღებულმა არმიამ, რევოლუციისა და საერთოდ ევროპის ისტორიაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. დირექტორიამ 1796 წლის მარტში, მის სარდლად დანიშნა ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც სულ ახლახანს გაითქვა სახელი, ჩაახშო რა მეფის მომხრეთა ამბოხი პარიზში. მასთან ერთად იწყება რევოლუციის ექსპანსიის პოლიტიკის ტრიუმფი, რომლისთვისაც დამახასიათებელი გახდა უთანასწორობა, ექსპლუატაცია და სხვა ქვეყანაზე ბატონობა, რაც უკვე ხორციელდებოდა ბატავიის რესპუბლიკაზე. ამას ისიც ემატება, რომ ნაპოლეონი საკმაოდ უდისციპლინო გენერალი აღმოჩნდა და ხშირად დირექტორიასთან შეთანხმების გარეშე მოქმედებდა.

რევოლუციური აზროვნება, საკაცობრიო იდეალები და უნივერსალიზმი რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობდა ზოგი

რევოლუციონერის გულში აბსოლუტურად დაიკარგა ნაპოლეონის უსაზღვრო პირადი ამბიციების ოკეანეში.

იტალიაში პირველი კამპანიის დროს (1796 წლის აპრილიდან 1797 წლის თებერვლამდე) ნაპოლეონის მამაცური და განუჭვრეტელი მანევრების მეშვეობით მოხდა ავსტრიული არმიის იზოლირება მისი მოკავშირე პატარა იტალიური არმიისგან რასაც შედეგად მოყვა ავსტრიის მიერ ზავზე ხელისმოწერა. ასევე მოიქცა პიემონტი და სარდინია, მოდენას ჰერცოგი, ნეაპოლის მეფე, რომის პაპი. ყველა დაკავებული ქვეყანა ვალდებული იყო გადაეხადა უზარმაზარი კომპენსაცია. ამაში შედიოდა ხელოვნების რჩეული ნიმუშები. იტალიური შედევრები პარიზში გადაიტანეს. როგორც თავად ახსნეს სურდათ გაენათლებიათ ხალხი, რომ ისინი უფრო ბედნიერები და კარგები გაეხადათ. რათა დაერწმუნებინა ერი, მეცნიერებისა და ხელოვნების ბრწყინვალებით, იმ მაღალ უპირატესობაში რომელიც მან მოიპოვა არმიის ძალით. „მართალია, წერდა ისტორიკოსი ჟაკ გოდეშო, რომ ხელოვნების ნიმუშების ჩამორთმევამ, გადასახადებსა და კონტრიბუციაზე მეტად, ხელი შეუწყო დავიწყებას მისცემოდა საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვარი და დიდი ერის წინააღმდეგ განაწყო ისინიც კი, ვინც აღიარებდა მის განმანთავისუფლებელ მისიას.“

მოძმე რესპუბლიკები. ამის შემდეგ ადგილობივ პატრიოტებზე დაყრდნობით შეიქმნა მოძმე რესპუბლიკები. მაგალითად იტალიელი პატრიოტი ბუონაროტი, შვეიცარიელი ფრედერიკ-სეზარ ლაჰარპი, რუსეთის დიდი თავადების ყოფილი აღმზრდელი, პიერ ოჩი ბაზელში, რომელიც იყო სიძე სტრასბურგის მერის დიტრიხის, რომელთანაც რუჟე დე ლილმა დაწერა მომავალი „მარსელიოზა“. ამგვარად 1796-1798 წლებში შეიქმნა ცისპადენური რესპუბლიკა, შემდეგ კი ციზალპური რესპუბლიკა, ლიგურიის (გენუის) რესპუბლიკა, ჰელვეციის (ჰოლანდიის) რესპუბლიკა, რომაული რესპუბლიკა (ნეაპოლი) რესპუბლიკა.

ციზალპური რესპუბლიკის გარდა, რომელსაც ნაპოლეონი თავის პირად საკუთრებად თვლიდა, ძალიან ცუდად

იმართებოდა და ყველამ მცირე ხნით იარსება. ანექსიასა და სატელიზაციას ერთი შედეგი მოყვა: დაპყრობილი ქვეყნები დაუსრულებლად აწყობდნენ აჯანყებებს დიდი ერის წინააღმდეგ.

ამბოხებები განსაკუთრებით გააქტიურდა ნაპოლეონის ეგვიპტური ექსპედიციის დროს (1798-1799). ცამეტ თვეში ავსტრიამ დაიკავა მთელი იტალია, და პირველად იტალიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა საფრანგეთი და რუსეთი. ძირითადად ანტიფრანგულ ამბოხებებს კონტრრევოლუციონერები მართავდნენ, და ამისთვის ცხადია სარგებლობდნენ პატრიოტების იმედგარუებით.

იტალიას იმედები გაუცრუვდა. იტალიელმა პოეტმა ალფიერიმ დაწერა ანტიფრანგული პოემა „მიზოგალო". თითქმის ყველა რეგიონიდან ბატონყმობას გაქცეული გლეხები, კვლავ ეკლესიის ძლიერ მორჩილებად რჩებოდნენ. საფრანგეთისგან განსხვავებით სადაც გლეხობა და ბურჟუაზია ერთმანეთის მოკავშირეებად ითვლებოდა, იტალიაში, ბურჟუაზია, რომელმაც მემამულის ყველა პრივილეგია შეიძინა, კეთილშობილებზე მეტადაც კი იყო რევოლუციის მტერი. მათ ეწოდებოდათ გაბელოტო. 1793-1795 წლებში თითქმის მთელი იტალია საფრანგეთის წინააღმდეგ იბრძოდა.

მიუხედავად ნაპოლეონის მიერ დამყარებული მშვიდობისა, ანტიფრანგული მღელვარება თითქმის ყველგან იჩენდა თავს. 1797 წლის 28 დეკემბერს რომში დასაქორწინებლად ჩასული გენერალი დუპო მოკლეს. ამას მოყვა გენერალ ბერტიეს ექსპედიცია, რომის პაპის გაძევება და რომის რესპუბლიკის შექმნა. მაგრამ სანამ ბონაპარტე ეგვიპტეში იმყოფებოდა ამბოხებები არ წყდებოდა.

გერმანიის აჯანყება. 1796 წელს გერმანიაში აჯანყდნენ რაინის მარჯვენა სანაპიროზე მცხოვრები გლეხები, რომელთაც ავსტრიელები ავიწროებდნენ, მაგრამ ეს აჯანყება რეინის მარცხენა სანაპიროზე არ გავრცელებულა.

შვეიცარია. შვეიცარიელმა პატრიოტებმა, კერძოდ ლაჰარპმა ლოზანადან და პიერ ოჩმა ბაზელიდან, საფრანგეთს შესთავაზა, ჩარეულიყო და შეეწყვიტა „დაქვემდებარებული ქვეყნის" შევიწროება კანტონების მიერ. ამ მოწოდებამ 1797 წელს დირექტორიისა და ბონაპარტეს დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელთაც სურდათ პირდაპირი გზა გაეკაფათ მილანისკენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ დიდ კანტონებში როგორიცაა ბერნი და ციურიხი, ბევრად მეტი პატრიოტი იყო, ვიდრე მთის „პრიმიტიულ" კანტონებში, ეს უკანასკნელნი კი გააფთრებით ებრძოდნენ ფრანგებს 1798-1799 წლებში. ასევე არც ვალეს კანტონი იყო იმ დროისთვის ჩამოყალიბებული, და უბრალოდ „მოკავშირედ" ითვლებოდა.

გლეხთა აჯანყება ბელგიაში. ანექსირებულ ბელგიაში 1798 წელს საერთო გაწვევის განზრახვამ ნამდვილი აფეთქება გამოიწვია. (ლუი ჟურდან-დელბერლი). ამის საწინააღმდეგოდ არავითარი წინასწარი ზომები არ მიუღიათ, რადგან ფრანგები ფიქრობდნენ, რომ შვეიცარიელები ამ ფაქტს მთელი გულით ეთანხმებოდნენ. ამგვარად იფეთქა გლეხთა აჯანყებამ მდინარე შელდას მარცხენა სანაპიროზე, გრანდსა და ანტვერპენს შორის, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ბელგიის ისტორიაში. ახალწვეულებმა მოჭრეს „თავისუფლების ხეები", და მათ ადგილას ჯვრები აღმართეს, ცეცხლს მისცეს სამოქალაქო მდგომარეობა და გაძარცვეს სახალხო სალაროები. აჯანყებულებს ალყა შემოარტყეს. ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები, რომლებიც ზოგჯერ აჯანყებულების თანამოქალაქეები იყვნენ გლეხების წინააღმდეგ გამოიყვანეს. ორიოდე კვირაში შელდას აღმოსავლეთ მხარე დანებდა. მაგრამ ამბოხებამ ლუქსემბურგში გადაინაცვლა („ტყეების დეპარტამენტი"). პარტიზანებს ბრძოლის თავისებური მეთოდები ჰქონდათ: მასიურად გამოდიოდნენ ბრძოლაში, შემდეგ უჩინარდებოდნენ და სამუშაოს უბრუნდებოდნენ. აჯანყებულებს ინგლისიდან ან გერმანიიდან დახმარება რომ მიეღოთ ჯარის სახით, ისინი წინააღმდეგობის გაწევას დიდიხანს შეძლებდნენ.

მაგრამ ინგლისთან ზღვა ყოფდა, ხოლო გერმანიასთან საფრანგეთის ერთგული გერმანული რეგიონები.

მეორე კოალიცია. 1799 წელს ბონაპარტე ეგვიპტეშია. ამ დროისთვის იქმნება მეორე კოალიცია, რომელშიც შედის ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და თურქეთი. მათი მიზანია შემუსრონ დიადი ერი. დაპრყობილ ქვეყნებში ანტიფრანგულ აჯანყებებს ინგლისი აფინანსებდა და ყველგან ერთად უნდა მომხდარიყო, თუმცა ამის ორგანიზება ურთიერთშეუთანხმებლობის გამო ვერ ხერხდებოდა. ამბოხებამ კალაბრში, შვეიცარიასა და ჰოლანდიაში იფეთქა. პარტენოპიის რესპუბლიკა ხანმოკლე არსებობის შემდეგ დაიშალა. ისმოდა შეძახილები: „ჩვენ არ გვინდა რესპუბლიკა, თუ ძველებურად უნდა გადავიხადოთ! გაუმარჯოს მეფეს, არავითარი რესპუბლიკა!"

ანტირევოლუციური აჯანყება უნდა მომხდარიყო საფრანგეთშიც. მაგრამ ბონაპარტეს ეგვიპტიდან დაბრუნებამ და 18 ბრუიმერს (ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებამ ყველაფერი შეცვალა.

დასკვნა. საფრანგეთის რევოლუციის ათი წლისთავზე, რომელიც სათავეში ედგა ყველა დასავლურ რევოლუციას, თამამად შეიძლება ითქვას რომ დიდი იმედგაცრუების დრო დადგა. როგორც ხშირად ხდება, თავდაპირველ ენთუზიაზმს თან ახლავს ილუზიები და გულუბრყვილობა. მალე ილუზიები გაქრა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რეალობა გადაჯაჭვულია ადამიანთა მარადიულ ეგოიზმთან, იმათ წინააღმდეგობასთან რომელთაც შესაძლოა პრივილეგირებული მდგომარეობა დაკარგონ, და ასევე იმათ ამბიციებთან რომელთაც სურთ ხელში ჩაიგდონ ეს პრივილეგიები და ამას ძალის გამოყენებით აკეთებენ. თავდაპირველად ცდილობენ რეფორმები საერთო თანხმობის საფუძველზე განახორციელონ, შემდეგ კი იყენებს ძალასა და ირჩევს ტერორის გზას. რევოლუცია „თავისივე შვილებს ინელებს." როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მოეცემათ ცრუ რევოლუციონერები, სპეკულიანტები და ცინიკოსები ხელი-

სუფლებაში მოდიან. ამგვარი მოხდა ჯერ თერმიდორის, მერე კი დირექტორიის დროს. მალე სამხედრო დიქტატურა დამყარდა მეექვთამეობისა და სიღარიბის წინააღმდეგ.

თუმცა პოლიტიკური, სოციალური, ადმინისტრაციული, ფისკალური, საკონსტიტუციო რეფორმების მნიშვნელობა კვლავაც უზარმაზარია. საფრანგეთის მთავარი მონაპოვარი არის ადგილობრივი და პიროვნული პრივილეგიების გაუქმება და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის აღიარება. ეს იდეები თავისთავად დაპყრობილ ქვეყნებშიც გაავრცელეს.

მაგრამ ევროპამ, ანუ იმ ნაწილმა რომელიც ამ თავში ჩავატიეთ, დიდი იმედგაცრუება განიცადა. რევოლუციურმა საფრანგეთმა „მსოფლიო მშვიდობა“ ვერ დაამყარა. პირიქით თავად გადაეშვა დაუსრულებელ ომებში და გზას დაპყრობებით იკვალავდა. ამისთვის კი საჭირო იყო დიდძალი არმია. მასობრივი გაწვევის ხარჯზე შეიქმნა „უზარმაზარი ბატალიონები“.

დაპყრობილი ქვეყნები ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. მნიშვნელობა არ ქონდა ეს ანექსია „ბუნებრივი საზღვრების“ საბაბით ხდებოდა, ქვეყნის სატელიზაციის მიზნით თუ მოძმე რესპუბლიკების შექმნის მიზნით. მათ უნდა გადაეხადათ უზარმაზარი ბეგარა (კონტრიბუცია), ემსახურათ საფრანგეთის არმიაში და ებრძოლათ სხვისი მიზნების განსახორციელებლად. ეს უსამართლობა კი აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც „კლასიკურ“ ისე „ფრანგულ“ ნაციონალიზმთან, რომლის მთავარი დებულება იყო „ყველა ხალხს აქვს უფლება თავად განაგოს საკუთარი თავი“. საფრანგეთი ერთდროულად ვერ იქნებოდა სამაგალითო ერი, რომელიც მოწოდებულია შექმნას ტირანებისგან თავისუფალი, თანასწორი სახელმწიფოების ევროპა და დიადი ერი.

შესაძლოა 1789 წელს მრავალ ადამიანს, რომლებიც გაჟღენთილები იყვნენ ლათინური კულტურითა და ფილოსოფოსების ნაშრომებით, ეგონათ რომ „ტირანების“ გაუჩინარებას ევროპის გაერთიანება მოყვებოდა. ყველა ქვეყნის პატრიოტი თავს ერთმანეთის მოძმედ თვლიდა, როგორც

თანაბარი უფლებების მქონე. რასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, იქნება ეს ბუნებრივი საზღვრები თუ მოძმე რესპუბლიკები, საფრანგეთი ყველგან ჰეგემონად გვევლინება. საფრანგეთის სახალხო არმია, შექმნილი „მასიური გაწვევების“ შედეგად, იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი და მშფოთვარე მაშინდელ ევროპაში. ნაპოლეონის ხელში კი ის მთელი ევროპა აფორიაქების მიზეზი გახდა.

ამგვარად, დასავლურმა რევოლუციამ რომელმაც დაასრულა კოსმოპოლიტიზმისა და ევროპელობის საუკუნეს დიდი ხნით წერტილი დაუსვა ამ ტენდენციებს. დიადმა ერმა ნაციონალიზმი კიდევ ორი დამატებითი ფორმით გაავრცელა ევროპაში: რევოლუციის პროპაგანდითა და მის მიმართ გამოწვეული სიძულვილით.

გარდა დაპყრობილი ქვეყნების სამართლიანი გაღიზიანებისა, საფრანგეთს პასუხისმგებლობა ეკისრება ტერორზე. ზემოთ მხოლოდ გაკვრით მოგახსენეთ ამის შესახებ. 1989 წელს, როცა საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა აღენიშნა 1789 წელს რევოლუციის წლისთავი, მოგონებები საკმაოდ განსხვავებული იყო. ჩვენს ეპოქაში, როცა ევროპის ქვეყნებმა ძლივს გააუქმეს სიკვდილით დასჯა, ტერორის ხანა ყველაზე საშინელ დროდ გვევლინება ევროპის ისტორიაში. „ხალხი სიმართლის გზით მიგვყავს, ხალხის მტრები კი ტერორის.“ (კუშო). როგორც ახალგაზრდა და შეუბრალებელმა სენ-ჟუსტმა თქვა: „რევოლუცია მხოლოდ მისი მოწინააღმდეგეების აბსოლუტური განადგურებით გაიმარჯვებს“ ან კიდევ: „არავითარი თავისუფლება თავისუფლების მტრებს“. „რევოლუციურმა სამართლიანობამ“ „მონტანიარის“ შეთანხმების წყალობით 2 627 მსხვერპლი მოიტანა.

ტერორზე სისხლისმღვრელი, სიმართლე რომ ითქვას, სამოქალაქო ომი აღმოჩნდა „ვანდეაში“ და შემდეგ კი „შუანების ომი“. საფრანგეთის დასავლეთ ნაწილის ეკლესიისადმი ერთგულებამ საშინელი ავკანყება გამოიწვია. რადგან ჩვენი შესწავლის საგანი ამჯერად არ გახლავთ მხოლოდ საფრანგეთი, არამედ მთელი ევროპა, ვანდეას ომი განვიხილოთ, როგორც მოდელი ბრძოლის ახალი სტრატეგიისა. კერძოდ, გაცილებით სუსტი მოწინააღმდეგე ძლიერ

მტერს „მომქანცველი“ ომით უპირისპირდება, ადგილობრივი მოსახლეობა მათ თავაზობდა თავშესაფარს, ამარაგებდა საკვებითა და საჭირო ინფორმაციით. შემდეგ თავში შევეხებით ყველაზე გასაოცარ ომს, რომელსაც ესპანეთი ეწოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ.

რამდენიმე თავის შემდეგ კი საბერძნეთის ომს თურქეთის წინააღმდეგ.

14
ნაპოლეონი ანუ ევროპის დაპყრობა

I. ნაპოლეონის არჩევანი

ემპირიზმი. წმინდა ელენეს კუნძულებზე ნაპოლეონმა თქვა, არც ერთი მოქმედება „გეგმის" გარეშე არ უნდა შესრულდეს. მაგრამ ეს დიდი მოაზროვნე, რომელსაც გასაოცარი უნარი ქონდა დაახლოებისა და სინთეზისა ამ საკითხში მხოლოდ თეორეტიკოსი აღმოჩნდა. თავისივე მოსაზრების საპირისპიროდ, ნაპოლეონი თითქმის არასოდეს იყო გეგმის ერთგული და გამუდმებით ცვლიდა მას. მაშ, ვინ იყო ნაპოლეონი? ემპირისტი, ამბიციებით სავსე ეგოისტი, რომელიც არად დაგიდევდათ ფრანგი ხალხის ინტერესებს, დიდი პატრიოტი, ადამიანი, რომელიც ბუნებრივი საზღვრების თეორიას იზიარებდა ანუ სურდა მსოფლიო იმპერია, ადამიანი რომელიც აღმოსავლეთზე ოცნებობდა, გაუმაძღარი და ხარბი, ადამიანი რომელმაც ცოტა ხნით მშვიდობა მოუტანა ევროპას, გენერალი რომელიც ალექსანდრე მაკედონელის გზას მიყვებოდა, ნამდვილი ევროპელი, რომელსაც არ ალელვებდა ოკეანის მიღმა პრობლემები, გაერთიანებისა და კონფედერაციის მომხრე, ბოლოს მეომარი და მშვიდობისმოყვარე. აი ვინ იყო ნაპოლეონი. მასში ყველა ეს თვისება ხან ერთად იჩენდა თავს, ხან ცალცალკე.

კარიერის დასაწყისი. ნაპოლეონ ბონაპარტე *(Napoléon Buonaparte)* დაიბადა 1769 წლის 15 აგვისტოს აიაჩოში. მის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გენუის რესპუბლიკამ საფრანგეთს კორსიკა დაუთმო. ბრიენის სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ნაპოლეონმა არტილერისტობა აირჩია. ეს მისი პირველი არჩევანი იყო. ის თავს უფრო მეტად ფრანგ პატრიოტად თვლიდა, ვიდრე კორსიკელად.

1789 წელს საფრანგეთის რევოლუციის დროს ნაპოლეონი ყველასათვის უცნობი ოცდაერთი წლის ლეიტენან-

ტია. მეორე არჩევანის დროც დადგა: მეფე თუ რევოლუცია, და მან მეორე მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთა: რევოლუცია. ნაპოლეონმა თავი გამოიჩინა ტულონის ალყის დროს. კარიერის დასაწყისში ბონაპარტე რობესპიერის მომხრეთა ბანაკშია.

კონვენტის მმართველობის დასასრულს, ნაპოლეონი რობესპიერის მოწინააღმდეგე ბარასის მხარეს გადადის, თუმცა საკმაოდ თავშეკავებულია პოლიტიკისადმი. სწორედ ბარასის ადიუტანტი იყო ნაპოლეონი მეოთხე წლის 12-13 ვანდემიერს (1795 წლის 4 ოქტომბერი) რუაიალისტებთან ბრძოლაში. ეს დღე უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. მომავალ წელს, იტალიის კამპანიამ მთელ სამყაროს აჩვენა, რომ ის განსაკუთრებული გენერალია. (იხ. წინა თავი.)

მის შემდგომ არჩევანს მრავლრიცხოვანი ახსნა მოეძებნა. იტალიის კამპანიის შემდეგ ნაპოლეონმა ექსპედიცია მოაწყო ეგვიპტეში. მართლაც, აქ კარგად ჩანს რომ მას ძალაუფლების მოპოვების ამბიცია ამოძრავებდა. აქ უნდა გავიხსენოთ ცნობილი პოლიტოლოგის ჰანაჰ არენდისეული განმარტება იმპერიალიზმისა. ეს არის ექსპანსიის სურვილი არა, რომელიმე განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, არამედ ყველა შესაძლო მიზნისთვის. ნაპოლეონს განუსაზღვრელი ძალაუფლება სურდა. აღმოსავლეთით თუ დასავლეთით ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

გარემოებთა გამო ამჯერად არჩევანი დასავლეთზე შეჩერდა. ნაპოლეონი საფრანგეთში დაბრუნდა და 18-19 ბრუიმერის (9-10 ნოემბერი 1799 წელი) სახელმწიფო გადატრიალებაც მოხდა.

ბონაპარტე, პირველი კონსული. ეს ყველაზე გადამწყვეტი არჩევანი იყო ნაპოლეონის. მისი თანამედროვე ადამიანების მსგავსად ნაპოლეონი გაჟღენთილი იყო ლათინური კულტურით. მან კარგად იცოდა, რომ რომის რესპუბლიკას რომის იმპერია მოყვა. ალბათ გონებაში ხშირად უტრიალებდა სილას, ცეზარისა თუ ავგუსტუსის სახეები. მან ისიც იცოდა, რომ 1648 წლის ინგლისის რევოლუციის შემ-

დეგ, მეფობა კვლავ გენერალმა აღადგინა. უფრო მეტიც, 1800 წლის 4 ივლისის მოვლენების შემდეგ, ლუი XVIII, ლუი XVI ძმამ მას მიმართა წინადადებით თავის თავზე აელო კანონიერი მეფისათვის ტახტის დაბრუნების საკითხი.

იმპერატორი ბონაპარტე. პირველმა კონსულმა ნაპოლეონმა უყოყმანოდ გააკეთა ახალი არჩევანი: მან გადაწყვიტა ცეზარი გამხდარიყო. 1804 წლის 21 მარტს სიკვდილით დასაჯა ბურბონთა სახლის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ჰერცოგი ანგიენი და 1804 წლის 2 დეკემბერს, თავზე დაიდგა საიმპერატორო გვირგვინი, და ლათინურად რომ ვთქვათ გახდა ავგუსტუსი. ნაპოლეონი ცდილობდა ახალი სამეფო დინასტია შეექმნა, მაგრამ ეს არ ეხებოდა მისი ოჯახის მხოლოდ ერთ წევრს ლუსიენს. ლუსიენი იყო 18 ბუიმერის (ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალების მეთაური, მაგრამ გაბედა და 1800 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით „პარალელები ცეზარს, კრომველს, მონკსა და ნაპოლეონს შორის." ნაპოლეონს ამჯერად არჩევანი უნდა გაეკეთებია მმართველობის ორ ფორმას შორის: რესპუბლიკასა და იმპერიას შორის. 1801 წელს გამოსცა კონკორდატი, რომლითაც შეეცადა ერთმანეთისთვის შეერიგებინა რევოლუციონერები, მეფის მომხრეები (როიალისტები) და კათოლიკები. მისი ურთიერთობა რომის პაპთან გვაფიქრებინებს, რომ მას ერთგვარი სახალხო იმპერიის შექმნა სურდა.

II. ნაპოლეონის გამარჯვებათა თავისებურებანი.

დიადი ერი დიდ იმპერიად ანუ მსოფლიო იმპერიად გადაიქცა. სად არის ერთიანი ევროპა?

გამარჯვებათა დასაწყისი და ამიენის ზავი. გავიხსენოთ ნაპოლეონის გამარჯვებათა დასაწყისი. 18 ბუიმერის (ნოემბრის) გადატრიალების შემდეგ მართალია ნაპოლეონმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, მაგრამ ძალიან რთულ

მდგომარეობაში აღმოჩნდა: გენუის გარდა მთელი იტალია დაკარგულია, ავსტრია გამუდმებით უტევს საფრანგეთს. იტალიაში სასწრაფოდ მოეწყო მეორე კამპანია და 1800 წლის 14 ივნისს იტალიის პატარა სოფელ მარეკგიისთან ფრანგებმა ავსტრიელები დაამარცხეს. ამას გერმანიის კამპანია მოყვა, რომელიც 1800 წლის 2 დეკემბერის ისევ ფრანგების გამარჯვებით დამთავრდა (ჰოჰენლინდენის გამარჯვეება). 1801 წლის 9 თებერვლის ლუნევილში საფრანგეთსა და ავსტრიას შორის დაიდო ზავი. ამის შემდეგ დარჩა ორი დიდი მოწინააღმდეგე: ინგლისი და რუსეთი. რუსეთის მეფემ ალექსანდრე I-მა განამტკიცა კავშირი ინგლისთან. ინგლისი კი თავის მხრივ გრძნობდა, რომ მისი პოზიციები ევროპაში საგრძნობლად შესუსტდა. ხოლო ნაპოლეონმა პირიქით განიმტკიცა ურთიერთობა ესპანეთთან, ნეაპოლთან, რომელსაც ბურბონები მართავდნენ. ურთიერთობა დაამყარა აშშ-თან, ალჟირის, ტუნისის, ტრიპოლის ბეგებთან. მიუხედავად ამ წარმატებებისა 1801 წლის აგვისტოში საფრანგეთმა მარცხი განიცადა ხმელთაშუაზღვაში ინგლისელებთან ბრძოლაში და ეგვიპტეში კაპიტულაცია გამოაცხადა.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1802 წლის 29 მარტს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ხელი მოეწერა ამიენის ზავს, რომელსაც მთელი მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით მიესალმა. ეს იყო ბონაპარტეს დიდების პირველი მწვერვალი. კონკორდატმა შუანების სამოქალაქო ომი დააშოშმინა, რომელიც რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენდა. 1801 წლის ეკონომიკურმა კრიზისმაც გაიარა. პირველი კონსულის პოპულარობამ ზენიტს მიაღწია.

დიდი საშინაო მისწრაფებები. ბონაპარტე ისევ ორი არჩევანის წინაშე იდგა: დარჩენილიყო რევოლუციური თავისუფლების სიმბოლოდ და „ევროპელი ვაშინგტონი" გამხდარიყო თუ ერთპიროვნული მმართველობა აერჩია. მაგრამ მას იმდენად სურდა ძალაუფლება, რომ ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა. ნაპოლეონმა არჩევანი გააკეთა: 1802 წლის 2 აგვისტოს რეფრენდუმში ის სიცოცხლის ბოლომდე კონ-

სულად აირჩიეს. ეს კი ყოვლად დაუშვებელია დემოკრატიისთვის. ჟან ტულარმა შენიშნა, რომ საფრანგეთი „მმართველობის მონარქიულ ფორმას დაუბრუნდა".

ამის პარალელურად ბონაპარტემ 1804 წლის 21 დეკემბერს სამოქალაქო კოდექსის მიღებით გაამყარა ბურჟუაზიული რევოლუციის მონაპოვრები. იმპერიის დასაწყისში ფულზე გამოსახული იყო ნაპოლეონი წარწერით „საფრანგეთის რესპუბლიკა — იმპერატორი ნაპოლეონი". უცნაური მსგავსებაა ნაპოლეონის იმპერიასა და ავგუსტუსის *Res Publika* შორის (იხ. IV თავი), ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსსა და რომაულ სამართალს შორის.

დიდი საგარეო მისწრაფებები. მოსაწესრიგებელია საგარეო პოლიტიკა. ეს შეიძლება ითქვას ერთადერთი შემთხვევაა ისტორიაში, როცა ყველაფერი საგარეო პოლიტიკამ განსაზღვრა. 1803 წლის 17 მაისს ევროპაში ერთწლიან მშვიდობას ბოლო მოეღო. ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი? ინგლისი თუ საფრანგეთი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხშირად, ძნელია აუღელვებლად განსაჯო რომელიმე მხარის „ბრალეულობა ომში". მოგვიანებით ვნახავთ 1914 წლის ცნობილ მაგალითს. უნდა აღინიშნოს რომ ამიენის ზავით ინგლისი დათმობათა მაქსიმუმზე წავიდა, მეტი უკვე მიუღებელი იყო მისთვის. ხოლო წარმატებებით მთვრალი ბონაპარტე, ამ ზავს უყურებდა, როგორც საწყის წერტილს, როგორც სტარტის ხაზს და არა როგორც ფინიშს.

ინგლისმა პირველმა განაახლა მტრობა: ამის საბაბი გახდა ნაპოლეონის უარი ხელი მოეწერა ამიენის ზავით გათვალისწინებულ სავაჭრო ხელშეკრულებაზე.

მას სურდა კონტინენტური ევროპა ფრანგული პროდუქციისთვის შეენახა, რაც კოტინენტური ბლოკადის წინაპირობა იყო.

საერთო ჯამში რისგან შედგებოდა ნაპოლეონის იმპერია? არსებობდა ტერიტორიების სამი კატეგორია: საფრანგეთი, რომელიც დეპარტამენტებისგან შედგებოდა, ვასალური ქვეყნები და მოკავშირე ქვეყნები. 18 ბუიმერის (ნოემბრის) გადატრიალების დროს საფრანგეთის შემადგენლო-

ბაში შედიოდა 98 დეპარტამენტი, მათ შორის საკოა, ნიცა, ავინიონი, ბელგიისა და შვეიცარიის დეპარტამენტები (ბაზელი და ჟენევა). 1800 წლის დასაწყისში მოხდა რეინის მარცხენა სანაპიროზე მყოფი ოთხი დეპარტამენტის შემოერთება. ამ ას ორი დეპარტამენტისგან შეიქმნა საფრანგეთი თითქმის ბუნებრივ საზღვრებში, რომელსაც 1793 წლის თებერვალში გვთავაზობდა დანტონი. ფსიქოლოგიურად ეს დიდ საფრთხეს ქმნიდა იმ თვალსაზრისით რომ, იმ დროს როცა ყალიბდება ნაციონალიზმი, საფრანგეთი აერთიანებს არაფრანგულენოვან უმცირესობებს. მაგრამ ამას სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. 1812 წელს საფრანგეთის 130 დეპარტამენტიდან 44 მის ფარგლებს გარეთ იყო.

გეოგრაფიულად ეს გადაწყვეტილება აბსურდულია. რას ნიშნავს საფრანგეთი რომელიც გადაჭიმულია ელბისა და ტიბრის შესართავებიდან, ტყეების დეპარტამენტებამდე (ახლანდელი ლუქსემბურგი) და ტერიბლის მთამდე ანუ ბაზელამდე? 1806 წლის შემდეგ დაწყებული ანექსია აიხსნება კონტინენტური ბლოკადით, რომელიც ჩვენ ერთხელ უკვე ვახსენეთ, მაგრამ მოგვიანებით უფრო დაწვრილებით შევეხებით მას. კონტრაბანდის გაკონტროლება ბევრად გაადვილდებოდა თუ მეზობელი ტერიტორიები პირდაპირ საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდოდა, მის მმართველებად ფრანგი პრეფექტი დაინიშნებოდა, ხოლო საბაჟოებს საფრანგეთის ჟანდარმერია გააკონტროლებდა.

ევროპისათვის დეპარტამენტების სისტემამ გარკვეული სარგებელი მოიტანა. კერძოდ ყველგან გავრცელდა ნაპოლეონის მიერ დადგენილი სახელმწიფო მმართველობის სქემა. რომელსაც დღემდე ფართოდ იყენებს საფრანგეთი. ესენია: სამოქალაქო კოდექსი, პრეფექტურები და ქვეპრეფექტურები, კანტონები და თემები, საფინანსო სისტემა (არაპირდაპირი გადასახადი, „შეკრების უფლება“), წესრიგის დაცვის სისტემა, რომელსაც ახორციელებდნენ ჟანდარმერია და პოლიცია. ჟანდარმერია არმიას ექვემდებარებოდა, ხოლო პოლიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს. შეიქმნა რელიგიური კონკორდატი, რომლითაც საეკლესიო

პირებს მიენიჭათ სამოქალაქო უფლებები და სულიერად კვლავ რომს ემორჩილებოდნენ. შეიქმნა განათლების სასკოლო და საუნივერსიტეტო სისტემა. ზოგი ცვლილება, განსაკუთრებით კი სამოქალაქო კოდექსი საკმაოდ დიდხანს დარჩა ძალაში. რადგან, გარდა დეპარტამენტებისა, ეს სამოქალაქო კოდექსი მიიღო იტალიამ, პოლონეთის ნაწილმა, ჰოლანდიამ, ზოგიერთმა გერმანულმა სახელმწიფომ, მაგალითად ვესტფალიის სამეფომ ანუ ბადენის დიდმა საჰერცოგომ, და ბოლოს ილირიის პროვინციებმა.

ვასალური ქვეყნები. ვასალური ქვეყნები ნაპოლეონის იმპერიის გამოგონება არ ყოფილა. პირველი ვასალური ქვეყნები დირექტორიის მმართველობის დროს შეიქმნა მოძმე რესპუბლიკების სახით და ნელ-ნელა უწყვეტად ვითარდებოდა. ზოგი პატარა მოძმე რესპუბლიკა იმპერიამ შთანთქა. შეიქმნა მთელი რიგი ვასალური ქვეყნებისა. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ძირითადის ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: იტალიის სამეფო, მისი ადმინისტრაციული ცენტრი იყო მილანი, ნეაპოლის სამეფო, ჰელვეციური კონფედერაცია, რომელიც 1803 წლიდან სატელიტი ქვეყანა გახდა, გერმანია. 1806 წლის 12 ივლისს ნაპოლეონმა ბადენის, ვურტენბერგის, ბავარიისა და სხვა 13 გერმანული სამთავროსგან შექმნა რეინის კონფედერაცია. ეს იყო თანამედროვე გერმანიის სამხრეთი ნაწილი. ძალიან მალე ამას დაემატა ჩრდილოეთ გერმანიის პოლიტიკური გაერთიანება. კერძოდ, 1807 წელს, ნაპოლეონსა და ალექსანდრე I შორის დაიდო ტილზიტის ზავი, რის შემდეგაც ჰანოვერი გახდა ვესტფალიის სამეფო და გადაეცა ჟერომ ბონაპარტეს.

ბატავიის რესპუბლიკა გადაკეთდა ჰოლანდიის სამეფოდ და გადაეცა ლუი ბონაპარტეს, რომელიც გადაყენებულ იქნა ტახტიდან იმ მოტივით რომ ეწეოდა შემომრიგებლურ პოლიტიკას ბლოკადის საკითხში. ევროპის აღმოსავლეთში, ნაპოლეონმა დაამარცხა მეოთხე კოალიცია, გაიმარჯვა იენაში, აუერსტეტში და დაიკავა ბერლინი, ხოლო ეილოშსა და ფრიენდლენდში გამარჯვებით თითქმის მთელი ცენტრალური ევროპა ნაიემენამდე. 1807 წელს მან შექმნა ახალი

სატელიტი ქვეყანა ვარშავის დიდი საჰერცოგო, რომელიც 1812 წელს გადაკეთდა პოლონეთის სამეფოდ.

ამავე წელს მან დიდი მარცხი განიცადა რუსეთში და რუსეთის მეფემ დაიკავა დიდი საჰერცოგო. ტერიტორიული აპოგეის დროს საფრანგეთის დეპარტამენტებში ცხოვრობდა 44 მილიონი ადამიანი, იმპერიაში შედიოდა 38 ვასალური სახელმწიფო. ნაპოლეონს ემორჩილებოდა 82 მილიონი ადამიანი, მაშინ როცა ევროპაში რუსეთის ჩათვლით ცხოვრობდა 167 მილიონი ადამიანი. ნაპოლეონს ყავდა ვასალური და სატელიტი ქვეყნები, იშვიათად მოკავშირეები. ეს უკანასკნელები ამარაგებდნენ ჯარს, მაგრამ ამას აკეთებდნენ იძულების გამო, ამით აიხსნება დიდი მარცხი რუსეთში, ავსტრიაში, პრუსიაში და უბედურებები ესპანეთში. ესპანეთი გამოვიდა პირველი კოალიციიდან და შეეკრა საფრანგეთს ორი ხელშეკრულებით: 1796 წლისა და 1800 წლის ზავებით, რომლის მიხედვითაც ესპანეთმა მას დაუთმო ლუიზიანა, რომელიც შემდეგ საფრანგეთმა აშშ-ს მიყიდა. ესპანეთისა და საფრანგეთის ფლოტი ტრაფალგარის ბრძოლისას განადგურდა. 1807 წლის ფონტენებლოს შეთანხმებით საფრანგეთმა და ესპანეთმა პორტუგალია გაიყვეს. მაგრამ ესპანეთის მეფის შარლ IV და მისი პრემიერ მინისტრის მანუელ გოდოის სისუსტემ დიდი მღელვარება გამოიწვია ხალხში. შარლ IV უფროსი ვაჟი ფერდინანდი მეფედ გამოაცხადეს. ეს საბაბად გამოიყენა ნაპოლეონმა და მადრიდში სალაშქროდ გაგზავნა მიურატი 1808 წლის 2 მაისს. ეს თარიღი ცნობილია ესპანური სახელწოდებით Dos de Mayo. მიურატი ძალიან მკაცრი აღმოჩნდა და მაშინ ნაპოლეონმა ესპანეთის ტახტი თავის ძმას ჟოზეფს მისცა, როგორც შემდეგში ვნახავთ ესპანეთს მწვავე რეაქცია ქონდა ამ ყველაფერზე.

ბატონის ურთიერთობა ქვეშევრდომებთან. სატელიტ ქვეყნებში იმპერატორისადმი დაუმორჩილებლობის საკითხი არ იდგა. ბუნებრივიცაა, მათ მისი ძმები და დები განაგებდნენ. „ჩემი ნათესავი არ შეიძლება იყოს ჩრდილში, ვინც ჩემთან ერთად არ ამაღლდება, ჩემი ნათესავიც არ იქნება.

მე მათგან ახალ სამეფო ოჯახს შევქმნი, უფრო სწორად ვიცუ-მეფეებად ვაქცევ მათ.“

მართალია ქვეყნები სამართავად გადაცემული ქონდა მის ნათესავებს, მაგრამ როგორც ერთ-ერთი მისი თანამედროვე წერდა 1809 წელს „ყველა ხელმწიფე ისე ელოდა მის ბრძანებებს, როგორც ჯარისკაცი თავისი კაპიტნის ბრძანებას. “

ოკუპაციით გამოწვეული არეულობა. ქვეყანაში უცხო ჯარის არსებობა, თუნდაც მეგობარი სახელმწიფოსი, მძიმედ აწვება მოსახლეობას, თანაც იმ დროს როცა ჯარისკაცები ადგილობრივი მოსახლეობის სახლებში ცხოვრობდნენ. ამან განსაკუთრებით ესპანეთი შეაწუხა და მიზეზი გახდა სახალხო აჯანყებისა. კიდევ უფრო მძიმე იყო ჯარის დაფინანსება, რასაც საფუძვლად ედო პრინციპი: „ომი კვებავს ომს!“ ძალიან დიდი იყო გადასახადი რომელიც დამარცხებულს ეკისრებოდა. ამგვარად რუსეთის და პოლონეთის კამპანიები არაფერი დაჯდომია საფრანგეთს, მაგრამ ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა პრუსიას.

III. ევროპის ეკონომიკური ერთიანობის მარცხი: კონტინენტური ბლოკადა და კონტინენტური სისტემა.

ნაპოლეონის ფრანგული ეგოიზმი. პოლიტიკურად უთანასწორი ევროპის მიუხედავად, დიდი ეკონომისტები მაინც ოცნებობდნან ევროპის საკაჭრო ერთობაზე. ძირითადად ესენი იყვნენ დიდი ინგლისელი მოაზროვნის ადამ სმიტის მიმდევრები. განსაკუთრებით კი ფრანგი ჟან-პატისტ სეი (1767-1832). 1803 წელს, ზუსტად მაშინ როცა ამიენის ზავით დამყარებული ხანმოკლე მშვიდობა დამთავრდა, მან დაწერა „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატი“. 1806 წელს ჟ.-ბ. დუბუამ დაწერა ნაშრომი „საფრანგეთის ვაჭრობის შესახებ თანამედროვე ევროპის პირობებში“ მან შემოგვთავაზა რომ ეკონომიკაში შემოღებულ იქნას „ფედერალური კონტინენტური სისტემა“. ნაპოლეონი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნაკლებად ერკვეოდა პოლოტიკურ ეკო-

ნომიკაში. მაგრამ ის იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა ვინც საქმეს სხვას მიანდობს. იგი თავად წარმართავდა ეკონომიკას და ხშირად როცა მისი ბრძანებები და ეკონომიკური მოვლენები ერთმანეთს არ ემთხვეოდა ძალიან ღიზიანდებოდა. ანდრე ფუჟიე წერდა „მან ვერ შეძლო ეკონომიკა მწყობრი ნაბიჯით ეტარებინა.“ ამას ისიც ემატებოდა, რომ ნაპოლეონი კოლბერის მიმდევარი გახლდათ. კოლბერი კი მერკანტელისტი იყო. მას მიაჩნდა, რომ რაც შეიძლება მეტი ოქრო უნდა დაგროვებულიყო საფრანგეთის ხაზინაში, იქნებოდა ეს სახალხო თუ კერძო, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამის მიღწევა კი მათი აზრით საბაჟოებზე აკრძალვებისა და კვოტების დადგენით შეიძლებოდა. ამასთანავე ნაპოლეონი ყოველთვის ზრუნავდა, რომ ეკონომიკური განვითარება შეხებოდა მხოლოდ საფრანგეთს, თუნდაც ამას ზიანი მიეყენებია ვასალური ქვეყნების სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის. ამ პოლიტიკის შედეგად ვასალური ქვეყნები სულ უფრო და უფრო კარგად გრძნობდნენ, რომ ისინი საფრანგეთისთვის მუშაობდნენ და არა საკუთარი ქვეყნისთვის. ეს ერთ-ერთი ძლიერი მიზეზი აღმოჩნდა ამ ქვეყნებში ანტიფრანგული ნაციონალური მოძრაობის გასაღვივებლად. ეკონომიკური კრიზისის წლებში, კერძოდ 1805, 1810-1812 წლებში ანტიფრანგულმა განწყობამ განსაკუთრებით იჩინა თავი. თავად გზები მოწმობდა რომ არსებობდა ე.წ. „ფრანკო-ცენტრიზმი“. გზები პარიზიდან მიდიოდა გერმანიისკენ, სიმპლონისკენ, მონსენისკენ და ა.შ

კონტინენტური ბლოკადა და კონტინენტური სისტემა. 1805 წლის 21 ოქტომბერს, ადმირალ ნელსონის მიერ ტრაფალგარზე ფრანგების დამარცხების შემდეგ ინგლისი ზღვების ბატონ-პატრონი გახდა. ამასთანავე იგი გამალებით აშენებდა საბრძოლო ხომალდებს, რითაც კიდევ უფრო განამტკიცებდა თავის ძლევამოსილებას. ამ ბატონობის წყალობით მან ხელში ჩაიგდო ფრანგული და ჰოლანდიური კოლონიები ამერიკის კონტინენტზე და მოიპოვა მონოპოლია კოლონიურ პროდუქციაზე. ინგლისელების ეკონომიკური ეგოიზმი ნაპოლეონისას არაფრით ჩამოუვარ-

დებოდა.

საერთაშორისო წესებისა და კანონების რთულ ბადეში, ინგლისი და ნაპოლეონი სულ უფრო და უფრო მკაცრ საკაჭრო ზომებს იღებდნენ. ინგლისელებმა ბლოკადა გამოუცხადეს გერმანიის მდინარეების შესართავებთან არსებულ პორტებს, შემდეგ კი ფრნგულ პორტებსაც ელბადან ბრესტამდე. მეოთხე კოალიციაზე გამარჯვებისთანავე, ნაპოლეონმა 1806 წლის 16 მაისს, ბერლინში გამოსცა დეკრეტი რომლის ძალითაც გამოცხადდა კონტინენტური ბლოკადა. შინაარსი მარტივი იყო. ყოველგვარი ვაჭრობა ინგლისთან აიკრძალა. ვასალური ქვეყნები იძულებულნი იყვნენ შეერთებოდნენ ბლოკადას. ინგლისის საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა, ამას ნაპოლეონის კიდევ ორი დეკრეტი მოყვა, რომელიც 1807 წელს გამოსცა მილანში.

ამ აკრძალვებმა ძალიან შეაშფოთა ნეიტრალური ქვეყნები, მათ შორის აშშ, მაგრამ დასაწყისში ბლოკადამ ყველაზე მეტად ინგლისი დააზარალა. მაგრამ სულ მალე კონტრაბანდული საქმიანობა გაჩაღდა: ინგლისს ევროპიდან ჭირდებოდა ხორბალი, ღვინო, აბრეშუმი, აშშ-დან კი ბამბა. ინგლისელებმა კონტრაბანდის უზარმაზარი ქსელი შექმნეს: კონტრაბანდული საქონლის ბაზებს და საწყობებს ანთავსებდნენ ისეთ ადგილებთან ახლოს რომელიც ნაკლებად იყო დაცული, მაგალითად სალონიკში, შავ ზღვაზე, დუნაიზე, მალტაში, ბალეარის კუნძულებზე, გიბრალტარზე ესპანეთის სანაპიროებზე, ჰოლანდიაში ჰელიგოლენდის კუნძულზე, ჩრდილოეთის ზღვაში დანიის ვიწრო სრუტეებში.

1810-1811 წლებში საფრანგეთი და ვასალური ქვეყნები ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ვაჭრობა შემცირდა და უმუშევრობა გაიზარდა.

მაშინ ნაპოლეონმა განიზრახა ფული ეშოვა კონტრაბანდით, ანუ ისეთი ზომები მიელო რათა კონტრაბანდისტების შემოსავლები საფრანგეთის ხაზინაში შესულიყო. ეს მას გამოადგებოდა ახალი ექსპედიციის დასაფინანსებლად, რომელსაც რუსეთში გეგმავდა. 1810 წლის 3 ივლისის დეკრეტით მან შემოიღო ინგლისურ პორტებთან ვაჭრობის ლიცენზიების გაყიდვა (მაგალითად, ხორბლით ვაჭრობაზე).

კოლონიებიდან შემოსულ პროდუქციაზე დაწესდა უზარმაზარი გადასახადი. მაგრამ ამან კარგად არ იმუშავა. საავაჭროდ წასული ფრანგული გემები ხშირად უკან აღარ ბრუნდებოდნენ და ვაჭრობას განაგრძობდნენ იქ, სადაც ბლოკადა არ ვრცელდებოდა, ანუ ინგლისის მფარველობის ქვეშ.

ინგლისმა 1811-1812 წლებში მნიშვნელოვანი კრიზისი განიცადა. ევროპაში კონტრაბანდის სახით ჭარბი პროდუქცია შევიდა, ბაზარი გაჯერდა და ფასები მნიშვნელოვნად დაეცა.

კაპიტალისტური ბურჟუაზია და გლეხობა იმპერიას დაშორდა. კრიზისს ბოლო მოეღო 1812 წელს. ამავე წელს ნაპოლეონმა დიდი მარცხი განიცადა რუსეთში.

კონტინენტური სისტემა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ღონისძიებამ შექმნა კონტინენტური ბლოკადა. ეს არის ომისთვის დამახასიათებელი ზომები. მაგრამ ზოგჯერ უნდა გავიხსენოთ, ევროპის ეკონომიკური ორგანიზაცია რომელსაც ვუწოდებთ კონტინენტურ სისტემას. ამაში იგულისხმება კონტინენტური სავაჭრო კონფედერაცია.

„მაგრამ ნაპოლეონის განზრახვა სულაც არ ყოფილა ამგვარი. მისი უცნაური აზროვნებისთვის მიუღებელია ცნება თანამშრომლობა თანაბარ პირობებში. მას შეუძლია წარმოიდგინოს მხოლოდ ერთადერთი კონცეფცია ბატონობა და სუბორდინაცია. ეს იყო სისტემა, სადაც არსებობდა გაბატონებული ფრანგული ეკონომიკა და დამცირებული ვასალური ქვეყნების ეკონომიკა. საფრანგეთი ქმნიდა, აწარმოებდა და ყიდდა თავის დასრულებულ პროდუქციას. დანარჩენები კი მას ამარაგებდნენ ნედლეულით, სურსათით, პირველი მოხმარების საგნებით და ამასთანავე ყიდულობდნენ მის პროდუქციას.

„ამგვარმა პოლიტიკურმა ბატონობამ, აღადგინა ეკონომიკა და იმპერიის ხაზინაში თავი მოუყარა იმ ოქროს, რომლითაც მერკანტელისტები ქვეყნის სიმდიდრეს ზომავენ“ (ანდრე ფუჟეე)

ყველაფერი ეს მიმართული იყო ევროპის მშენებლობის

XIII.ნაპოლეონის ევროპა 1812 წელს


ნაპოლეონის ანექსიისა და ქვეშევრდომობაში შეყვანილ ხანგრძლივი
1812 წლის, ხაზგასმული ადგილების შეიარაღებული ძალების ხანგრძლივი ან ერთჯერადი, დიდი ან ძალის ხანგრძლივი ყოფნა
რუსეთის ომი ინგლისთან
1806 წელს, რუსეთის ომის დროინდელი დაკავებული ტერიტორიები
ინგლისი-ირლანდიის ტერიტორიები
ინგლისი
ირლანდია
ნორვეგიის
სამეფო
ფინეთის
ფინეთი
ბალტიკის ზღვა
ბალტიკა (ბალტ.)
ბალტიკა (ბალტ.)
ბალტიკის ზღვა
ბალტიკა
ბალტიკა
ბალტიკ

წინააღმდეგ. ნუთუ ამაზე ოცნებობდა ნაპოლეონი? ამ საკითხს ახლავე განვიხილავთ.

IV. სურდა თუ არა ნაპოლეონს ევროპის გაერთიანება?

სანამ იმპერატორის ფიქრებსა და ოცნებებზე გადავალთ, მოკლედ მიმოვიხილოთ იმპერატორის მიერ გამოცემული აქტები.

ამიენის ზავი და ევროპა. ამგვარად პირველი ერთიანი ევროპა გამოჩნდა 1802 წელს ამიენის ზავის დადების შედეგად. ინგლისისთვის მიუღებელია საფრანგეთის სახელმწიფო „ბუნებრივ საზღვრებში". მართალია მან აღიარა მოძმე რესპუბლიკების შექმნა, რომლებიც უკვე ძალიან შეიცვალა, მაგრამ არ ცნო ისინი. შედეგად, საფრანგეთმა შეინარჩუნა გავლენის სფეროები, განსკუთრებით იტალიაში (მიუხედავად რუსეთის მეფის პირობისა, რომ ის გაანთავისუფლებდა ნეაპოლს). საერთო ჯამში, ნაპოლეონი ავითარებს დიადი ერის კონცეფციას, თავის მეზობელ სატელიტ ქვეყნებთან ერთად, რომლებმაც პრაქტიკულად დაკარგეს უფლება თვითონ განაგებდნენ საკუთარ თავს. ჰოლანდიაში ახალი კონსტიტუციის მისაღებად ჩატარდა რეფერენდუმი, კონსტიტუციას მხარი დაუჭირა 16 000 კაცმა, ხოლო წინააღმდეგი წავიდა 25 000 კაცი, მაგრამ ნაპოლეონმა კონსტიტუცია მიღებულად გამოაცხადა, რადგან მომხრეებს მან დაუმატა 347 000 ხმა, რომელმაც თავი შეიკავა.

სამეფო დინასტიების ევროპა. 1805-1806 წლების შემდეგ, ანუ აუსტერლიცისა და იენას გამარჯვებების შემდეგ, იმპერატორმა მეორე ევროპა შექმნა. ამჯერად საქმე გვაქვს ნამდვილ კონფედერაციასთან, რომელსაც პირადად იმპერატორი ჩაუდგება სათავეში ახალ სამეფო დინასტიასთან ერთად.

ამის რამდენიმე მაგალითი უკვე მოვიყვანეთ. ყველაფერს იმპერატორი აწესრიგებდა. ის ვერ დაუშვებდა ვერანაირ

სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ და ვერც თავისი ოჯახის დამცირებას.

საოჯახო სამეფოებს ემატება მოკავშირეები. ამ იდეის ყველაზე დიდი რეალიზაციაა გერმანიაში მოხდა, კერძოდ პრუსიასა და ავსტრიას შორის შექმნა რეინის კონფედერაციის, ეს იყო მესამე ქვეყანა რომელიც მთლიანად იმპერატორს გადაეცა და რომელიც შეუჩერებლად იზრდებოდა. გერმანული ერის წმინდა რომის იმპერიის შექმნა, რომელშიც ბურკე ევროპული წონასწორობის ერთ-ერთ ელემენტს ხედავდა, რადგან ის არ იყო სუსტი და ვერც ავსტრია და პრუსია შეძლებდნენ მის გაყოფას, ჩაიშალა. იტალიასა და მთელ გერმანიაში ფეხმოკიდებულმა ნაპოლეონმა ვასალურ ტერიტორიებზე სლავების მიწაზე, პოლონეთში შექმნა ვარშავის საჰერცოგო; ილირიის პროვინციები კი სამხრეთ სლავებში.

კონტინენტური სისტემის ევროპა. 1809-1810 წლებში ჩნდება ევროპის მესამე კონცეფცია, ანუ კონტინენტური სისტემა. კონტინენტური ბლოკადა მოითხოვდა ფრანგების მიერ პირდაპირი კონტროლის განხორციელებას. ანუ საჭირო იყო უპირველესად იმპერიის მოსაზღვრე რეგიონების ანექსია. იმპერიისა და ვასალური სამეფოების გარდა საფრანგეთის მოკავშირეები იყვნან, თითქმის განადგურებული პრუსია, რომელიც მეტერნიხის სიტყვებით, რომ ვთქვათ „აღარაფერს წარმოადგენდა", და ავსტრია, რომელთანაც ურთიერთობა გამყარებული იყო დამამცირებელი „ოჯახური კავშირით". ნაპოლეონმა ცოლად შეირთო ავსტრიელი ერცჰერცოგინია მარი-ლუიზა. ბოლოს 1807 წელს ნაპოლეონმა ახალი მოკავშირე შეიძინა რუსეთის სახით, თუმცა მას ყოველთვის როგორც პოტენციურ მსხვერპლს ისე განიხილავდა.

მეტერნიხმა 1809 წელს მომავალი ევროპა შემდეგნაირად დახატა:

„ევროპა ძირეულად შეიცვლება. საშინელი ცენტრალური ხელისუფლება მძიმედ დააწვება სუსტ მოხარკეებს, რომელთა გასაცოდავებული არსებობის ერთადერთი საზრუ-

ნაკი იქნება მონობის ბორკილების თრევა. ესპანეთი დამორჩილდება, ოტომენთა იმპერია ბოსფორს იქეთ გადავა, დიდი იმპერიის საზღვრები გადაიჭიმება ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე; რუსეთი რამდენიმე თვეში გაძევებული იქნება აზიაში. ნაპოლეონი ევროპის მბრძანებელი გახდება."

მეტერნიხის მიერ დახატული ამ საშინელი სურათის განსახორციელებლად საჭირო იყო რუსეთის დამარცხება. 1812 წელს ნაპოლეონის დიდმა არმიამ გადალახა ნიემენი. ეს კი უკვე გამარჯვენის სიმბოლოდ მიიჩნიეს. საფრანგეთის უზარმაზარ არმიაში, რომელიც 611 000 ჯარისკაცს ითვლიდა, შედიოდა დაპყრობილი ქვეყნებიდან გაწვეული ჯარისკაცები: გერმანელები, ავსტრიელები, პრუსიელები, შვეიცარიელები, პოლონელები, ლიტვიელები, იტალიელები, ილირიელები, ესპანელები, პორტუგალიელები. ეს გასაოცარი მრავალფეროვნება ცუდად ნიღბავდა სისტემის სისუსტეს.

განა რამდენ ჯარისკაცს სურდა სხვა ქვეყნის სამსახურში ყოფნა? რამდენი ჯარისკაცი ისურვებდა რუსეთის გამარჯვებას? ნაპოლეონის დამარცხება ხომ მათთვის გაქცევის ნიშანი იქნებოდა. მაგრამ ნაპოლეონის გამარჯვების შემთხვევაში, გრძნობდნენ რომ დამყარდებოდა კონტინენტური სისტემა, მსგავსად რომის იმპერიისა. შემოღებული იქნებოდა ერთნაირი მმართველობითი დაწესებულებები, ნაპოლეონის კოდექსი და ყველა იმპერატორის მმართველობას დაემორჩილებოდა. ამგვარი იყო, მუდმივი ცვლილებებით, ნაპოლეონის მიერ შექმნილი სამი ევროპა. ახლა განვიხილოთ რა თქვა და დაწერა ნაპოლეონმა წმინდა ელენეს კუნძულებზე გადასახლებისას. სახელდობრ ლას კასეს „მოგონებები"

ევროპის იმპერია თუ მსოფლიო იმპერია? ისტორიულად მსოფლიო იმპერიის იდეა ხშირად წარმოიშვება. ნაპოლეონი ზედმიწევნით კარგად იცნობდა კლასიკური ქვეყნების კულტურას და განსაკუთრებით ლათინელი ხალხის ისტორიას. ბონაპარტე ხშირად იგონებდა რომის იმპერიას: „იმპერატორი ფიქრობდა რომის იმპერიის ყველა წვრილმანზე, მის შედეგებზე" (მოგონებები, 6 ნოემბერი 1815 წე-

ლი) იხსენებდა კარლოს დიდის იმპერიასაც. მეტერნიხი გვარწმუნებს, რომ ნაპოლეონისთვის „რუსეთში ლაშქრობაში გამარჯვება მისი საოცნებო სასახლის გასაღები იყო.... სადაც, სადაც კარლოს დიდის იმპერიის მსგავსად, ბონაპარტეების დინასტია იმეფებდა."

მე, ამბობს ნაპოლეონი, „შემეძლო გვირგვინოსანი ვაშინგტონი ვყოფილიყავი. ამას კი მაშინ მივაღწევდი, თუ კონგრესზე თავს მოვუყრიდი ჩემს მიერ დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყნების მეფეებს. აი იქ კი გამოვიჩენდი მის მსგავს ზომიერებას, გულგრილობას, გონიერებას. ამას მხოლოდ მსოფლიო დიქტატურით შევძლებდი. აი ეს მქონდა განზრახული... რას უნდა შევეჩერებინე, მე ხომ ამის კურთხევა უკვე ხელთ მქონდა?" (29-20 მოემბერი, 1815.წ)

ნაპოლეონის თვალთახედვით, რას მოიცავდა მსოფლიო იმპერია? ეს არ ეხებოდა მხოლოდ ევროპას. „თავდაპირველად მოსკოვი უნდა ამეღო" (იქვე). რატომ მოსკოვი? იმიტომ რომ მოსკოვი ამ გეგმის ქვაკუთხედი იყო. „რუსეთს დანარჩენ ევროპასთან შედარების ჯერ კიდევ აქვს ერთი უზარმაზარი და იშვიათი უპირატესობა: ყავს ცივილიზებული ხელისუფლება და ველური მოსახლეობა." (6 ნოემბერი, 1815) რუსეთის გარდა არსებობს აღმოსავლეთი. წმინდა ელენეს კინძულებზე გრაფ დე სეგურთან საუბრისას, მან გაიხსენა რას გააკეთებდა იგი აკრა რომ აეღო:

„მორავიის ნაცვლად ის უნდა ამეღო, ამით აღმოსავლეთის იმპერატორი გავხდებოდი და პარიზში კონსტანტინოპოლის გავლით დავბრუნდებოდი!"

იმავეს უმეორებს ლას კასეს:

„მე კონსტანტინოპოლსა და ინდოეთს ავიღებდი და მსოფლოს სახეს შევცვლიდი" (30-31 მარტი, 1816)

„პარიზს ერთი მესა ნამდვილად ეკუთვნის. და როგორ ფიქრობთ აღმოსავლეთის და შესაძლოა მთელი აზიის დამორჩილება ერთ ჩალმად არ ღირდა? ახლა კი ამის შედე-

გებს დაუკვირდით! ევროპას ზურგიდან ავიღებდი, ძველი ევროპული ცივილიზაცია ალყაში იქნებოდა და აბა ვინ იფიქრებდა მაშინ შეწუხებულიყო ჩვენი საფრანგეთის ბედისწერის მსვლელობით, საუკუნეთა მანძილზე მომავალი თაობებიც კი ვერ გაბედავდნენ ამას!"

აღმოსავლეთიდან და აზიიდან იმპერატორის მსოფლიო ფიქრები აფრიკაზე გადადის. გვიპტეში უფრო დიდხანს რომ დარჩენილიყო:

„ჩრდილოეთ აფრიკაში გაცილებით დიდი ტერიტორიას გააკონტროლებდა. (12 მაისი, 1816). არც ამერიკა იყო მისი ოცნებებიდან მოწყვეტილი. ვატერლოოს შემდეგ ის ნიუიორკის შტატის ჩრდილოეთით უნდა განლაგებულიყო. ეს აშშ-ს ინტერესიც იქნებოდა. საფრანგეთიდან გაქცეულები „მალე შეუერთდებოდნენ კანადის ისედაც ფრანგ მოასხლეობას და ინგლის წინააღმდეგ ძლიერ ბარიერს ან მტრულად განწყობილ რეგიონს შექმნიდნენ" (26 მაისი, 1816)

ამგვარად ნაპოლეონის ფიქრები ევროპაზე უნდა განვიხილოთ მსოფლიო ბატონობის ამბიციის ჭრილში. ვუწოდოთ მას დიდი ევროპელი ნიშნავს დავივიწყოთ რომ ის იმპერიალისტი და მეტად ამბიციური ადამიანი იყო ამ სიტყვის მთელი არსით.

წმინდა ელენეს კუნძულების ევროპა. ურიგო არ იქნებოდა გვენახა, როგორ აპირებდა ნაპოლეონი იდეალური ევროპის აშენებას, რომლის შექმნაც, როგორც თავად ამბობს, ასე ძალიან სურდა. ინგლისელებს ამიენის ზავის შემდეგ ომი რომ არ გაეჩაღებინათ, „ჩემს დიდებას არაფერი დააკლდებოდა, და პირიქით წარმატებით და სიხარულით დავტკბებოდი; ჩემი არმიის მეშვეობით ვროპას მორალურად დავიპყრობდი!

ეს ტექსტი წინ უძღვის იმპერატორის ცნობილ გამონათქვამს, სადაც ის ევროპის ერთგვარ კონფედერაციას აყალიბებს.

„ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალი იყო გამეერთიანებინა და ერთად შემეკრიბა გეოგრაფიულად ერთი- და იგივე ხალხები, რომლებიც პოლიტიკისა და რევოლუციების გამო დაქსაქსულნი და დანაწევრებულნი არიან. არეულ-დარეული ევროპაში 30 მილიონზე მეტ ფრანგი, 15 მილიონ ესპანელი, 15 მილიონ იტალიელი, 30 მილიონ გერმანელია. მე მსურდა ამ ხალხებიდან შემექმნა ერთი ერის სხეული. [...]

„ამ საბოლოო გამარჯვების შემდეგ, გზა ხსნილი იქნებოდა, რათა ცივილიზაციის მაღალი იდეალების ქიმერას გამოვდევნებოდით: მოვლენათა ამგვარი განვითარება ყველაზე მეტად მოგვცემდა საშუალებას ყველგან ყოფილიყო კანონების, პრინციპების, აზრების, გრძნობების, შეხედულებების და ინტერესების ერთიანობა!“ (11 ნოემბერი 1816 წ.)

ამ ჩანაწერებს, რაც არ უნდა უარყონ ევროპის ფედერაციის მომხრეებმა, განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ნაპოლეონი ამ კონფედერაციას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების ქვეშ მოიაზრებდა. ესპანეთი განხილვის საგანი იყო.

„კრიზისში რომელშიც საფრანგეთი იმყოფებოდა, ახალი იდეების ბრძოლაში, საუკუნის ახალი დიდი მიზანი დანარჩენი ევროპის პირისპირ, ჩვენ ვერ დავტოვებთ ესპანეთს უკან, ჩვენი მტრების ხელში: ის ნებით თუ ძალიათ უნდა მივაჯაჭვოთ ჩვენს სისტემას“ (6 მაისი, 1816 წ.)

საფრანგეთის მიერ იტალიის მრავალი რეგიონის ანექსიია „მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო ჩემს ფიქრებში და ამის ერთადერთი მიზანი იტალიელტა განათლების გარანტირებული ამაღლება იყო“. ამასთანავე, ეს რეგიონები „ჩვენთან ყველაზე მიჯაჭვული გახდება“

იტალიელი და გერმანელი ერი. იტალიაში, თავისი მეფობის დროს ნაპოლეონს მართლაც უნდოდა შეექმნა ერ-

თიანი იტალიური ერი, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. 1805 წელს მიიღო თუ არა იტალიის გვირგვინი, ციზალპური რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს მელზის უთხრა: „მე ყოველთვის მინდოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი იტალიელი ერი შემექმნა. მივიღებ იტალიის გვირგვინს, ოღონდ სანამ ამას ჩემი ინტერესები მოითხოვს". ეს იდეა მიურატმა ხელახლა გაიხსენა და 1813 წლის 10 ნოემბერს ნაპოლეონს იტალიის გაერთიანება და დამოუკიდებლობა შესთავაზა. რა თქმა უნდა მისი კვერთხის ქვეშ. შემდეგში ვნახავთ თუ რა მძიმე შედეგი მოყვა ამას. იტალიას დასავლეთ რომის იმპერიის შემდეგ, ინგლისის, საფრანგეთის, ან ესპანეთის მსგავსი ცენტრალიზებული მმართველობა არ ჰქონია. დასავლეთ რომის იმპერიაც საკმაოდ შორს ცილდებოდა ნახევარკუნძულის საზღვრებს. ამგვარად ქვეყანა, რომელმაც რენესანსი და ჰუმანიზმი შვა საკმაოდ გვიან გახდა ეროვნული სახელმწიფო.

გერმანიის გაერთიანება ნაპოლეონს გარდაუვლად მიაჩნდა. როცა ის გერმანელებმა აირჩიეს, მან თქვა: „მე ვმართავ 30 მილიონ გაერთიანებულ გერმანელს" (11 ნოემბერი, 1816 წელი.) ის იმედოვნებდა რომ რუსეთს დაამარცხებდა. მაგრამ დამარცხებული და გადასახლებული იმპერატორი ხომ ვერ შეძლებს ევროპის გაერთიანებას? „ნეტავ ის რუსეთის იმპერატორი იყოს... მამაცი, დაუდგრომელი... და ევროპა მისი იქნება." (5 ნოემბერი 1816 წელი)

ყველა ეს აზრი, რომელსაც ლას კასესი იმპერატორს მიაწერს, თუ მართლა მისია, იმპერატორს სურდა ევროპისთვის განსაკუთრებულ სახე მიეცა. როგორ აპირებდა ერთმანეთთან შეეთავსებინა „ერთიანი" ერები და საფრანგეთის დომინირება, ან უფრო სწორედ თავისი პიროვნული დომინირება? რატომ ვერ განჭვრიტა რომ ფრანგული დაპყრობები ნაციონალიზმს გაამწვავებდა?

მაშ ნუ გავაზვიადებთ ნაპოლეონის მოსაზრებებს ევროპის გაერთიანებაზე. ნუ ავურევთ იმპერატორის რეალურ შეხედულებებს, ნაპოლეონის შესახებ არსებულ წარმტაც ლეგენდაში. ერთი რამ ცხადია, ნაპოლეონი ევროპას განიხილავდა როგორც ერთ მთლიანობას, მასში შედიოდა რუსეთი,

მაგრამ არა ინგლისი. მას მიაჩნდა, რომ ევროპას უნდა ქონოდა ერთნაირი მმართველობის ორგანოები, განსაკუთრებით განათლებისა და სასამართლო სფეროში. „მას სურდა მთელს ევროპაში ყოფილიყო ერთი ფული, წონისა და ზომის ერთნაირი ერთეულები, ერთნაირი კანონმდებლობა. რატომ არ შეიძლებოდა ნაპოლეონის კოდექსი გამხდარიყო საფუძველი მთელი ევროპის კოდექსისა? აქედან გამომდინარე ევროპაში იქნებოდა ერთი დიდი ოჯახი" (14 ნოემბერი, 1816 წელი). „მას ერთი ჩანაფიქრი ჰქონდა, და როგორც თვითონ ამბობდა ძალიან ნანობდა რომ ვერ განახორციელებდა. ნაპოლეონს სურდა თავიდან შეექმნა ევროპის ისტორია ლუი XIV-ის მეფობიდან მოყოლებული". (5 აგვისტო, 1816 წელი) მეტერნიხი თავის მემუარებში ადასტურებს ნაპოლეონის ამ უცნაურ ისტორიულ ამბიციას:

„მისი აკვიატებული იდეა იყო მთელი ევროპის ქვეყნების არქივისთვის პარიზში მოეყარა თავი. სამხედრო სასწავლებელსა და ინვალიდების სასახლეს შორის, ამბობდა, რომ უზარმაზარ ქვისა და რკინის შენობას ააგებდა, რადგან ხანძრის გაჩენის საფრთხე არ ყოფილიყო!"

როცა მეტერნიხმა ეჭვი გამოთქვა რომ ევროპის სახელმწიფოები არ დათანხმდებოდნენ მის იდეას, ნაპოლეონმა მიუგო, „კეთილი, მითხრა ნაპოლეონმ, ევროპელმა პოლოტიკოსებმა არ იცი'ან როგორ განთავისუფლდნენ შეზღუდული აზრებისგან. მე განვახორციელებ ჩემს ჩანაფიქრს."

ევროპელობასთან ერთად ნაპოლეონი ზედმეტად ამბიციური იყო. ამ მოუსვენარ გონებაში ევროპის გაერთიანებასთან ერთად ათასი იდეა ცოცხლობდა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი. მან თავისდაუნებურად გააღვივა ნაციონალიზმის ნაკვერჩხალი, რომელც რამდენიმე წელიწადში მძვინვარე ცეცხლად გადაიქცა.

იტალიელები. იტალიაში ეროვნული გრძნობები საფრან-

გეთის მიერ იტალიის დაპყრობასთან ერთად ჩაისახა, მაგრამ გერმანიასთან შედარებით ნელა ვითარდებოდა და არც ისეთი მწვავე ხასიათი მიუღია. იტალიაში არც საერთო სახალხო აჯანყებებს ქონია ადგილი. გარდა ოკუპირებული ნაწილისა, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან რომამდე. იტალია დაყოფილი იყო კიდევ ორ ნაწილად: იტალიის სამეფოდ და ნეაპოლის სამეფოდ. მომავალში მათი მეფეები უნდა გამხდარიყვნენ ნაპოლეონი და მიურატი. 1813 წელს ავსტრია და ინგლისი ომში ჩაება და სიცილიას შეფარებულ ბურბონებს გამოექომაგა. იტალიის ვიცე-მეფემ ეჟენ დე ბოშარნემ, თითქმის მაშინვე 1814 წელს კაპიტულაცია გამოაცხადა. მილანელმა არისტოკრატიამ ავსტრიელთა მომხრე პარტია შექმნა. უფრო მარვალრიცხოვანი ლიბერალური პარტია მომხრე იყო იტალიის დამოუკიდებლობის, სულ მცირე მილანისა და ვენეციისა. მაგრამ ავსტრია ამის წინააღმდეგი იყო.

რევოლუციონერმა, კარბონერებმა და პატრიოტმა რევოლუციონერებმა (ბურჟუაზია) მიურატის მხარე დაიკავეს. მათ იტალიის დამოუკიდებლობასთან ერთად სურდათ შენარჩუნებინათ სამოქალაქო თავისუფლება და საფრანგეთის მიერ მოტანილი ლიბერალური რეფორმები.
მიურატს სურდა ნაპოლეონისთვის შეეთავაზებინა გამოეცხადებინა იტალიის დამოუკიდებლობა, გაეერთიანებია მთელი იტალია ერთ ერად და მეფედ მიურატი გამოეცხადებინა. მაგრამ მიზანს ვერ მოაღწია და 1814 წლის 3 თებერვალს ომი გამოუცხადა იმპერატორს, დაიკავა რომი, ანგორა და ბოლონია. მიურატი მოკავშირეებსა და მეტერნიხს დაუპირისპირდა. მეტერნიხის მიზანი სულაც არ იყო იტალიის ერთიანობა. მას სურდა ლომბარდიისა და ვენეციის სამეფოების ბაზაზე შეექმნა იტალიის კონფედერაცია, რომელიც ავსტრიელთა მფარველობის ქვეშ იქნებოდა.

ნაპოლეონის ასმა დღემ ყველაფერი ააფორიაქა. მიურატი კვლავ დაუკავშირდა იმპერატორს, დაიკავა რომაული სოფელი, და 1815 წლის 30 მარტს, რიმინიში გამოაქვეყნა სახელგანთქმული განცხადება, რომლითაც იტალიური ნაციონალიზმის ერთ-ერთი მამა გახდა:

XIV.ვენის კონგრესის შემდეგ ევროპის რეორგანიზაცია


ავსტრიის
ბავარიის
ბელგიის
ბალტიკა
ზღვა
ბალკანეთის
ნახევარკუნძული
ბალკანეთის
ნახევარკუნძული
ბალკანეთის
ნახევარკუნძული

„იტალიელებო, დრო მოვიდა იტალიამ თავისი დიდი მისია შეასრულოს! განგება შოგიწოდებთ ბოლოს და ბოლოს გახდეთ დამოუკიდებელი ერი. ალპებიდან სიცილიის სრუტემდე ერთი ხმა ისმის: დამოუკიდებლობა იტალიას... ოთხმოცი ათასი იტალიელი გამოვა თავისი მეფის ბრძანებაზე და დაიფიცებს: მოსვენება არ პოვონ სანამ იტალია არ იქნება თავისუფალი“.

მიურატი ბოლონიასა და მოდენაში შევიდა. მაგრამ ეს ენთუზიაზმი მხოლოდ ინტელექტუალურ წრეებს, ახალგაზრდობას, რამდენიმე არისტოკრატსა და ოფიცერს შეეხო. კოლეჟ დე ფრანსის მომავალ პროფესორს პელეგრინო როსის პროვინციის ადმინისტრირება დაევალა. როსინიმ დაწერა „თავისუფლების ჰიმნი“, მაგრამ ამ ყველაფერს დიდი მარცხი მოყვა. 20 მარტს მიურატი გადააყენეს და დახვრიტეს. ამის შემდეგ მრავალი წელი, დაქუცმაცებული იტალია, რომელსაც „ლეგიტიმური“ მმართველები განაგებდნენ, ავსტრიელების ხელში გადავიდა. მეტერნიხის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, იტალია მხოლოდ უბრალო „გეოგრაფიული სახელწოდება“ იყო რუკაზე.

V. ნაპოლეონის მარცხი

გამოჩენილი გერმანელი ომის თეორეტიკოსი კაუსევიტზი თავის წიგნში „ომის შესახებ“ ამბობს, რომ ძლევამოსილია ის სახელმწიფო, რომელიც თავის უსაფრთხოებას განამტიკიცებს სხვა სახელმწიფოზე აგრესიისაგან დამოუკიდებლად. ძლევამოსილი საფრანგეთის სახელმწიფოს დასამარცხებლად საჭირო იყო რაც შეიძლება სრულყოფილი კოალიცია. თუ ქრონოლოგიას გადავხედავთ კარგად დავინახავთ ამ კოალიციის განვითარების გზას. 1813 წელს საჭირო გახდა მეექვსე კოალიციის შექმნა, რომ ევროპის ყველა დიდი სახელმწიფო გაერთიანებული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ; ესენი იყვნენ ინგლისი, რუსეთი და პრუსია, 1813 წლის 11 აგვისტოს მათ შეუერთდა ავსტრია. იმავე შემადგენლობით მეშვიდე კოალიციამ ბოლო მოუღო ნაპოლეონის ას დღეს ვატერლოოს ბრძოლაში.

ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, გვაინტერესებს არა სახელმწიფოთა წინააღმდეგობა, არამედ ხალხის რეაქცია.

მაგრამ სწორედ სახელმწიფოებს ყავთ დიდი არმია, რომელსაც გამარჯვება მოაქვს. ხალხს კი ნაპოლეონი აღარ სურდა. აი, ამის საუკეთესო მაგალითები.

ესპანეთი. 1808 წელს ნაპოლეონმა ესპანეთის ტახტი ჩამოართვა შარლ IV და მისი ვაჟს და ესპანეთის მეფედ ჟოზეფ ბონაპარტე გამოცხადდება. ამან ესპანეთში ნამდვილი ამბოხება გამოიწვია. 1808 წლის 2 მაისის მოლენები გოიას შესანიშნავ ტილოზე აისახა. მართალია არსებობდნენ პროფრანგულად განწყობილი წრეები, მაგრამ როგორც ჟან ტულარმა აღნიშნა, წინააღმდეგობა ნამდვილად ხალხიდან და ეკლესიიდან დაიწყო. მაგრამ „ეს პატრიოტულ აღმაფრენაზე მეტად, იყო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული სოციალური ამბოხება". კონტინენტური ბლოკადა მნიშვნელოვნად აფერხებდა ესპანეთის ვაჭრობას კოლონიებთან. თუმცა „ეროვნულმა სიამაყემ ასევე დიდი და განმსაზღვრელი როლი ითამაშა". ერთ თვეში შეიქმნა მეამბოხეთა ასი ათასიანი არმია. ასევე აჯანყდა პორტუგალია. ველინგტონის მომავალმა ჰერცოგმა, სახელგანთქმულმა ველესლეიმ დაამარცხა აბრანტეს ჰერცოგი ჯუნოტი. გენერალი დუპონი იძულებული გახდა გადასულიყო ანდალუზიაში. დიდი არმია უკვე აღარ იყო დაუმარცხებელი.

ნაპოლეონმა ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. მადრიდში ჩასვლისთანავე შეატყობინეს, რომ ავსტრია სამზადად ემზადებოდა და იძულებული გახდა პარიზის გავლით ცენტრალურ ევროპაში დაბრუნებულიყო. ესპანეთში აჯანყებებმა ვანდეასა და შუანების ამბოხების მსგავსად სახალხო ხასიათი მიიღო. ბრძოლის სტრატეგია მდგომარეობდა შემდეგში: მეამბოხეთა დასაყრდენი იყო ადგილობრივი მოსახლეობა და საშინლად უსწორდებოდნენ ყველას ვინც დამპრყობელთან თანამშრომლობდა. დროთა განმავლობაში ამ მეთოდმა კარგი შედეგიც გამოიღო.

რუსეთი. ესპანეთში ამბოხებების შემდეგ, 1812 წელს ნაპოლეონმა რუსეთის კამპანია წამოიწყო და საბედისწერო მარცხიც იწვნია. რუსეთის კამპანიის წარუმატებლობას მრავალი მიზეზი ჰქონდა. სახელდობრ, რუსეთის ტერიტორიის სიდიდე, რუსული ზამთარი, 7 სექტემბერს ბოროდინოს ბრძოლაში განადგურებული არ იქნა რუსეთის არმია, და ბოლოს რუსი ხალხის აჯანყებები იმ ადგილებში სადაც ნაპოლეონის არმიამ გაიარა. კუტუზოვმა კი პირიქით შესანიშნავად ისარგებლა ამ ყველაფრით. ყველასათვის ცნობილია რა საშინელ გოლგოთად იქცა ნაპოლეონისთვის რუსების უკანდახევა.

საბჭოთა ისტორიკოსი ტარლე გამარჯვებაში მთავარ მონაწილეებად პარტიზან მეომრებს აცხადებდა. ჟან ტულარმა კარგად გვაჩვენა, რომ ნაპოლეონმა აღმოაჩინა „ეროვნული, სამამულო ომი“, სადაც 'მთელი ერი იბრძვის დამპყრობლის წინააღმდეგ... სადაც ყველანაირი დარტყმა მისაღებია და არავითარი წესები არ მოქმედებს“

გერმანია. 1807 წლის 13 დეკემბრიდან 1808 წლის 20 მაისამდე, ბერლინის აკადემიაში ფილოსოფოსმა ფიხტემ თოთხმეტჯერ წაიკითხა ლექცია გერმანული ერის შესახებ. იმ დროს ბერლინში ჯერ კიდევ ფრანგული გარნიზონი იდგა.

ფიხტე ჰერდერის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ მისგან განსხვავებით ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნის სურვილი ამოძრავებდა.

სახალხო კულტურა უნდა ემყარებოდეს ორიგინალურ გერმანულ ენას; არსებობს გერმანული „ეროვნული მე“, ხალხს კი ერთი მისია აკისრია, მხოლოდ მას შეუძლია ერს ადგილი დაუმკვიდროს თანამედროვე მსოფლიოში.

ფიხტე არ ფიქრობდა „ეროვნულ ხასიათზე“, არც გერმანელების „რასობრივ იდენტურობაზე“. ის ფიქრობდა ჰქონდა თუ არა გერმანიას თავისუფლებისა და პროგრესისთვის ბრძოლის უნარი.

ეს თეორიები უარყვეს საფრანგეთის რევოლუციის მომ-

ხრე პატრიოტებმა და „კაროლენგებმა," რომელთაც გერმანული და ლათინური სამყაროს გაერთიანება სურდათ.

თუმცა ნელ-ნელა ფიხტეს მომდევრები მომრავლდნენ და 1815 წელს პოლიტიკოსმა სტეინმა დააარსა სახელგანთქმული კოლექსია *Monumenta Germaniae Historica;* გერმანელი მოაზროვნეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ რათა მოეპოვებინათ გერმანული ისტორიული წყაროები, ლეგენდები, გერმანული ლიტერატურის უძველესი ტექსტები. მათ შორის იყვნენ პასტორი შლეიდერმახერი, ჯაჰნი, არნდტი.

გერმანიის სახალხო აჯანყების სათავეები. 1809 წლის 12 ოქტომბერს ვენის აღების შემდეგ შონბრუნის სასახლეში ნაპოლეონის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, იმავე წელს აჯანყდნენ გერმანული ლეგიონებიც, მაგრამ ამას წარმატება არ მოყოლია. 1809 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე, ბავარიელი მეფუნდუკის ანდრე ჰოფერის მეთაურობით აჯანყება მოეწყო ტიროლის ერთ ნაწილში. ეს უფრო სახალხო ამბოხება იყო, ვიდრე სამხედრო, მაგრამ ჰოფერი ავსტრიელი იყო, ამიტომ მას გერმანული პატრიოტული გრძნობები არ ამოძრავებდა. პრუსიელმა ფრანკმასონებმა შექმნეს მამაცობის ლიგა, ანუ *Tugendbund* რომლის მიზანი იყო ემხილებია ფრანგების მოკავშირეები. პრუსიის მთავრობამ არასანდოდ მიიჩნია ლიგა და 1810 წელს დაშალა.

ნამდვილი აჯანყება გერმანიაში, მხოლოდ რუსეთში ნაპოლეონის მარცხის შემდეგ გაჩაღდა.

აჯანყება პრუსიაში. რუსეთში ფრანგების დამარცხებისთანავე 1812 წლის დეკემბერში პირველი აღმოსავლეთ პრუსია აჯანყდა (ნემანიდან ვისლამდე). ამ აჯანყების ფონზე 1813 წელს, პრუსიის ყოფილმა მინისტრმა სტეინმა პროვინციული მიწების გაერთიანებით ერთგვარი სახელმწიფო ჩამოაყალიბა, რომელსაც ყავდა „ტერიტორიული ანუ ადგილობრივი არმია", Landwehr.

უკმაყოფილება გადაედო ბრანდერბურგს, შემდეგ სილეზიას, ბოჰემიას, ვესტფალიას, ტიროლს, ჩრდილოეთ

გერმანიას, ჰამბურგს და განზეის ქალაქებს. პრუსიული პატრიოტიზმი და გერმანული ნაციონალიზმი განსაკუთრებით სტუდენტობამ აიტაცა.

დანარჩენი გერმანია. სტეინი, რომელიც თავს უფრო გერმანელად თვლიდა ვიდრე ავსტრიელად, შეეცადა გამოეწვია მასიური ამბოხება, ანუ მთელი გერმანიის „ეროვნული ანუ სამამულო ომი". 1813 წლის 19 მარტს მან გამოაქვეყნა „მოწოდება გერმანიას". რეინის კონფედერაცია შეიცვალა დროებითი კომისიით, რომელიც იმართებოდა დელეგატთა საბჭოს მიერ და თავად სტენი ედგა სათავეში. ხელისუფალი, რომელიც არ გამოეხმაურებოდა ამ მოწოდებას თავის ადგილს კარგავდა. რამდენიმე დღეში გენერალმა კუტუზოვმაც გამოსცა მსგავსი მოწოდება.

მაშინვე განვითარდა პატრიოტული ლირიკა. ამის საუკეთესო ნიმუშია პოეტ თეოდორ კოერნერის კრებული „ლირა და მახვილი". კოერნერი 16-19 ოქტომბერს დაიღუპა ლეიფციგთან ბრძოლის დროს. ამ ბრძოლას ერთა ბრძოლა უწოდეს.

ხელისუფალნი მერყეობდნენ. ერდადერთი საქსონია დარჩა დიდი ხნით ნაპოლეონის ერთგული.

შეგვიძლია თუ არა საერთო სახალხო აჯანყებაზე ვილაპარაკოთ? თუ გავითვალისწინებთ მოხალისეობისა და „ტერიტორიული არმიის" შექმნას - კი, მაგრამ თუ ესპანეთის სამოქალაქო ომს შევადარებთ - არა. ამასთან მოძრაობა არ გავრცელებულა რეინისპირა გერმანიაში. ბერგის დიდი საჰერცოგოს მმართველი ბეგნო აღნიშნავს, რომ რეინის ოლქის მაღალი საზოგადოება ძალიან გახარებული იყო ფრანგების რუსეთში მარცხით, მაგრამ ხალხის მასები ამან საკმაოდ დაამწუხრა. საერთო ჯამში, გერმანიაში ადგილი ქონდა დიდ პატრიოტულ ამბოხებას საფრანგეთის წინააღმდეგ. რომანტიკულ ნაციონალიზმზე დამყარებული პროგრამა საკმაოდ ამბიციურია. გერმანელი ერის საზღვრების დადგენის საკითხში. სტენმა მოითხოვა გერმანიის საზღვრები გასულიყო მდინარეებზე მეზზე და მოზენზე. ლუქსემბურგზე და ვოგეზების მთებზე. გერმანელი მწე-

რალი გოერე უარყოფს 1792 წლის საზღვრებს. ნაპოლეონის ასი დღის დროს „რეინის მერკურში“ მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით „გაყოფილი საფრანგეთი ანუ დამორჩილებული საფრანგეთი“. სადაც ის ითხოვდა, რომ საზღვრები გასულიყო ვოგეზებისა და არდენების მთებზე. მას არგუმენტად მოყავს საფრანგეთის განადგურების აუცილებლობა. „ამ ხალხისგან თავის დასაცავად საუკეთესო საშუალებაა მათი უძლურება და ჩვენი უპირობო უპირატესობა. ფრანგებს არა აქვთ მორალის ქონის უნარი.“

ნიდერლანდები. სახალხო აჯანყებამ ნიდერლანდებშიც დიდი როლი ითამაშა. ამას თან დაერთო ფრანგი გენერლის ბერნადოტის ინციდენტი. მომავალში ბერნადოტი დანიის მეფე გახდა, ნაპოლეონს დაუპირისპირდა და მოკავშირეებთან ერთად გამოვიდა მის წინააღმდეგ. იგი იყო კოალიციის მარჯვენა ფრთის მთავარსარდალი. იმის მაგივრად რომ ჰოლანდიაზე გაელაშქრა, მან გზიდან გადაუხვია, რათ დაეკავებია დანია და დანიის მეფეების პირადი სამფლობელო ნორვეგია, რომელიც შვედების ხელში იყო. ყოველივე ეს წარმატებით განახორციელა. მართალია ეროვნულმა აჯანყებამ ქვეყანა გაანთავისუფლა, მაგრამ ერთიანი ჯარების არარსებობის გამო 1811 წელს ქვეყანა საფრანგეთის დეპარტამენტად გადაკეთდა. 1813 წლის 16 ნოემბერს ნიდერლანდებში ნაპოლეონის მთავარი წარმომადგენელი გაიქცა. 17 ნოემბერს ჰააგა და ამსტერდამი აჯანყდა. ვან ჰოგენდორფის მეთაურობით შეიქმნა ტრიუმვირატი. დროებითმა მთავრობამ მაშინვე მოუწოდა პრინც ორანჟს, რომელიც გიიომ V ვაჟი იყო. ისიც 30 ნოემბერს ინგლისიდან დაბრუნდა.

დეკემბრის დასაწყისში პრუსიელი გენერლის ბულოვის ჯარები ნიდერლანდებში შევიდა. 1814 წლის 21 დეკემბერს დაიყოლია მოკავშირეები და შექმნეს „ნიდერლანდების სამეფო“, რომელშიც შევიდა ყოფილი ავსტრიული ნიდერლანდები და ლიეჟის საეპისკოპოსო (თანამედროვე ბელგია). მეფედ გიიომ დ'ორანჟი, ანუ გიიომ I აკურთხეს. ამაში მონაწილეობდა ბრიტანული პოლიტიკა, რომელიც ხარბად უყ-

ურებდა ძლიერ საფრანგეთს მოწყვეტილ ანტვერპენს. ინგლისის სურვილი იყო საფრანგეთი გარშემორტყმული ყოფილიყო საშუალო სიძლიერის სახელმწიფოებით, რათა შეექმნა ე. წ. სანიტარული კორდონი.

ბელგია. ბელგიაში ადგილი არ ჰქონია რევოლუციურ მოძრაობას. ეს ორენოვანი ქვეყანა ჯერ ბურგუნდიის ჰერცოგთა სამფლობელო იყო, შემდეგ ესპანეთის, ავსტრიის და ფრანგების. აქედან გამომდინარე ამ მიწაზე მცხოვრებთათვის ეროვნულობის საკითხი საკმაოდ რთულია. ფრანგული პერიოდის დასაწყისში, განსაკუთრებით 1801 წლის კონკორდატის შემდეგ, ბელგიელები კმაყოფილები ჩანდნენ. მაგრამ უკმაყოფილება შეუჩერებლად იზრდებოდა. თავდაპირველად წინააღმდეგობა გაჩნდა ნაპოლეონის ანტირელიგიური პოლიტიკის გამო, როცა გააძევა პაპი პიუს VII. ამბოხებას ხელმძღვანელობდნენ სასულიერო პირები, მღვდლები, ეპისკოპოსები და ყველა ხერხით ცდილობდნენ აეჯანყებიათ გლეხობა. კონტინენტური ბლოკადით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი საბედისწერო აღმოჩნდა ბელგიელებისთვის. 1813 წელს ბამბის საწარმოებიდან ათასობით მუშა დაითხოვეს. ანტვერპენისა და ოსტენდეს პორტები თითქმის დაიხურა. ფასებმა აიწია. გაკოტრებამ იმატა, მაგრამ გადასახადი კვლავ მაღალი იყო და სამხედრო ვალდებულებაც საშინელი. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის მოსახლეობა მრავალრიცხოვანი არ იყო, 1811 წელს 110 000 კაცი აჯანყდა, 1812 წელს 120 000 კაცი, 1813 წელს 160 000 კაცი. ადგილობრივი ჟანდარმები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ხშირად თავს არიდებდნენ მოვალეობას და დეზერტირობას ამჯობინებდნენ. მაგრამ უმაღლესი დამსჯელი პოლიცია სულ უფრო და უფრო მკაცრი ხდებოდა. თვით ანტვერპენის მერი ეჭვმიტანილი იქნა კონტრაბანდისტების მფარველობაში და დააკავეს. 1812-1813 წლებში ფრანგების მარცხმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია: ზოგი კმაყოფილი იყო, ზოგი შეწუხებული. საერთო ჯამში ბელგიის მოსახლეობა პასიური

იყო. თუმცა არსებობდა ბელგიის დამოუკიდებლობის იდეაა, რომელიც მხოლოდ 1830 წელს განხორციელდა.

შვეიცარია. დაახლოებით ცხრა ათასი შვეიცარიელი იბრძოდა დიდ არმიაში. მაგრამ შვეიცარია დაიღალა ნაპოლეონის ბატონობისაგან. რუსეთის მარცხის შემდეგ სეიმმა (შეიქმნა 1803 წელს შუამავლობის აქტით) შვეიცარია კვლავ ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადა, რომელიც ამიერიდან მხოლოდ საზღვრების დაცვით დაკმაყოფილდებოდა. მეტერნიხს სურდა შვეიცარიის ტერიტორია გასასვლელ გზად გამოეყენებია და შვეიცარიელ არისტოკრატთა ნაწილთან საიდუმლო შეთანხმების შემდეგ ავსტრიელებმა გადალახეს შვეიცარიის საზღვარი რათა გადასულიყვნენ მდინარე რეინზე. შვეიცარიის მცირერიცხოვან არმიას წინააღმდეგობა არ გაუწევია ავსტრიის 15 000 არმიისთვის. ჟენევა ოკუპირებულია. ავსტრიელთა არსებობამ განაპირობა შუამავლობის აქტის გაუქმება (1813 წლის 29 დეკემბერი), და შეიქმნა ფედერალური პაქტი.

შვეიცარია და მასთან ერთად ჟენევა წარმოდგენილი იყო ვენის კონგრესსზე. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ვენის 1815 წლის 20 მარტის დეკლარაციის თანახმად ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადდა, მან მაინც მიიღო მონაწილეობა მოკავშირეების მხარდამხარ ასი დღით დაბრუნებული ნაპოლეონის წინააღმდეგ. მისმა ჯარებმა საზღვრებიც გადალახა და მონაწილეობა მიიღო ჰუნინგის ალყაში ბაზელთან ახლოს.

დასკვნა. როგორც ჩანს შარლემნის შემდეგ ნაპოლეონამდე ევროპა ასე პოლიტიკურად ერთიანი არასოდეს ყოფილა. მაგრამ ეს ევროპა ყველას სიძულვილს იმსახურებდა. თავად ამ ეპოქის გმირები, ფრანგები ამ მოვლენებმა ძალიან დაღალა. საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობას გლეხები შეადგენდნენ. გლეხები და ქალაქის ხელოსნები სახალხო აწვევების ძირითად ხერხემალს წარმოადგენდა. ამას ემატებოდა ბლოკადით გამოწვეული სირთულეები და უკმაყოფილებამაც ნელნელა იჩინა თავი. აი რატომ ეწინა-

აღმდეგებოდა ლუი თავის ძმას და ცდილობდა კონტინენტური ბლოკადის გაუქმებას. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. ნაპოლეონმა ის ჩამოაგდო, დაიკავა საფრანგეთის ნიდერლანდები და საფრანგეთის დეპარტამენტად გადააქცია. ეს რეჟიმი მოსახლეობის დიდ ნაწილში ზიზღს იწვევდა. ამასთანავე იმპერიას რაღაც წარმატებები ჰქონდა რეინისპირეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში. ნაპოლეონის სისტემას მრავალი მიმდევარი ჰყავდა.

ამ გამოცდილებამ აჩვენა, რომ ევროპა ვერ შეიქმნება დაპყრობებით. რევოლუცია და შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტე გაცილებით თავხედური და კადნიერი აღმოჩნდა ვიდრე ლუი XIV. ნაპოლეონი შეეცადა ევროპა ძალის გამოყენებით გაეერთიანებია საფრანგეთის სასარგებლოდ. 125 წლის შემდეგ ჰიტლერმაც ასევე ძალის გამოყენებით და გენოციდით მოინდომა ევროპის გაერთიანება გერმანიის სასარგებლოდ. მაგრამ ეს ბევრად უფრო საზიზღარი სისტემა გახლდათ. როგორც დამპყრობლები, ეს ორი ადამიანი მთელმა ევროპამ შეიძულა.

ევროპელები დამპყრობელი ევროპის წინააღმდეგ გამოვიდნენ. შექმნეს ნაპოლეონის საწინააღმდეგო კოალიციები და სახალხო მოძრაობები. ამავე დროს არსებობს ერთი თვისება რაც ნაპოლეონსა და ჰიტლერს განასხვავებს ერთმანეთისაგან, და ეს არის უცნაური ემოცია რომელიც ხალხში არსებობს. არ არსებობს „ლეგენდა ჰიტლერზე". მაგრამ „ლეგენდა ნაპოლეონზე" ცოცხლობს არა მარტო საფრანგეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ეს 1830 წლიდან დაიწყო, როცა საძულველი ძველი რეჟიმის სიმბოლო ბურბონები პარიზის მოსახლეობამ ჩამოაგდო. იმის მაგივრად, რომ 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ რესპუბლიკური მმართველობა დამყარებულიყო, საფრანგეთში 18 წლის განმავლობაში მმართველობის უცნაური ჰიბრიდი — ივლისის მონარქია გაჩნდა, რომელსაც სათავეში ედგა „ფრანგების მეფე" ლუი ფილიპი და არა „საფრანგეთის მეფე". ფრანგი პოეტები და განსაკუთრებით ვიქტორ ჰიუგო გარდაცვლილ იმპერატორს განადიდებდნენ. წმინდა ელენეს კუნძულებიდან ნაპოლეონის ფერფლი პარიზში ინვალიდე-

ბის სასახლეში ჩამოასვენეს, ამას დიდი მღელვარება მოყვა მთელ ევროპაში.

გაჩნდა ერთი საეჭვო კითხვა. ვის შეიძლება ეწოდოს „დიდი ადამიანი?“ თუ გამოვაკლებთ პასტორის, კოხის, ფლემინგის მსგავს მეცნიერებს, მწერლებს, შემოქმედებს, პითიადან დაწყებული როდენით დამთავრებული, ეტრუსკი მხატვრებიდან დაწყებული პიკასოთი დამთავრებული, ჰომეროსიდან დანტემდე, შექსპირს, კამოეს, სერვანტესს, რუსოს, გოეთეს, ტოლსტოის, ყველა იმათ რომელთა შემოქმედებაც სავსეა ევროპული სულით, „დიდი ადამიანი“ შეიძლება გახდე მხოლოდ ომით, გამარჯვებით, ძალმომრეობითა და სისხლით. როცა კაცობრიობას მოსაგონარი აქვს ჰიტლერის სისასტიკეები ჩანს რომ მას მეხსიერება არ უვითარდება.

რატომ ყავს ყველა ევროპულ ქვეყანას მსგავსი „დიდი გენერლები“? ნუთუ ადამიანს თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს ომისკენ? თუ ეს სოციალური უსამართლობის შედეგია?

თემისტოკლე, პერიკლე, მარიუსი, ცეზარი, იუსტინიანე, დუ გუესკლინი, შავი პრინცი, დონ ხუან ავსტრიელი, კონდე, პრინცი ეუენი, ფრედერიკ II. ამ ხაზის გაგრძელებაა ნაპოლეონი.

ერთადერთი შესაძლო ახსნა მდგომერეობას იმ კავშირში რომელიც არის ომსა და მამაცობას შორის. სიცოცხლე ყველაზე სათუთი საგანძურია რაც ადამიანს გააჩნია. სიმამაცე არის თანხმობა საფრთხე შეუქმნა შენთვის ბოძებულ ერთადერთ სიცოცხლეს. „არ არსებობს სიყვარულის ყველაზე ლამაზი დადასტურება, ვიდრე სიცოცხლე გაწირო საყვარელი ადამიანისთვის“. ნაკლებად კეთილშობილური საქმისთვის სიცოცხლის გაწირვაც ადამიანის ყველაზე დიდი კეთილშობილებაა. მაგრამ რადგან შეუძლებელია ყველა მამაცის განდიდება, აღფრთოვანების კონცენტრირება ხდება ზოგიერთ წინამძღოლზე, როგორც სიმბოლოზე სხვათა სიმამაცისა. მაგრამ დიდი ასამიანები ეროვნული სიმბოლოები არიან, რადგან მტერს ის ძულს.

ამგვარად ევროპას დიდი ადამიანების ახალი სახეობა უნდა ეპოვა. ჟან მონე, კონრად ადენაუერი, ალციდ დე გას-

პარი, რობერტ შუმანი, პოლ-ჰენრი სპააკი დაახლოებით ამ ახალი სახეობის პროტოტიპები არიან.

15
ევროპული მოვლენა: საწარმოო რევოლუცია

I. ევროპა აღმოჩენების სათავეში

წარმოშობის მიზეზები. დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იმ გამოგონებათა სიმრავლეა, რომელმაც XVIII საუკუნეში იჩინა თავი. ზოგიერთმა ხელი მიჰყო *საფუძვლიან კვლევას*, რამაც თავიდანვე სასარგებლო შედეგი არ გამოიღო. სხვებმა კონკრეტული მიზანი დაისახეს და *გულმოდგინე ძიებას* შეუდგნენ წარმოების შესაქმნელად. ტექნოლოგია და ტექნიკა სწორედ ამ ბეჯითი კვლევის პრაქტიკული გამოხატულებაა.

იბადება პირველი კითხვა: რატომ იმატა კვლევების რიცხვმა ევროპაში?

XVIII საუკუნეში გამოცოცხლება იგრძნობა ჯერ მხოლოდ ინგლისსა და საფრანგეთში. რა ხდება დანარჩენ მსოფლიოში? ჩინეთი, ინდოეთი, ინდოეთის ის ნაწილი, რომელიც ამერიკის კმაყოფაზე ცხოვრობდა, აფრიკა XVIII საუკუნის მოვლენებისადმი გულგრილი რჩება.

„მხოლოდ ამერიკის ევროპულ და განსაკუთრებით, ინგლისურ ნაწილს აქვს ევროპული კალენდარი. ევროპის (და ევროპელების) გარდა მეცნიერულ საფუძვლებზე შექმნილი ცივილიზაცია ჯერ არ დაბადებულა: მასზე არც ეჭვობენ" (შარლ მორაზე).

ცნობისმოყვარეობის ზრდა უცნაური მოტივით არის განპირობებული. მატულობს იმ მოაზროვნეთა რიცხვი, რომლებსაც მათემატიკაში მეტი განათლება აქვთ, ვიდრე თეოლოგიაში, ასპარეზზე გამოდის მდიდარი ხალხი, რომელიც თავისუფალ დროს ლაბორატარიებში და ექსპერიმენტების ჩატარებაში ატარებს (ვოლტერი, ქ-ნი შატლე, მოიჯარე ფინანსისტი ლავუაზიე, რომელმაც „მარტივი სხეულები" აღმოაჩინა).

ამათ ემატება მეცნიერთა მთელი დინასტია (ბერნულები:

იაკობი, იოჰანი, ნიკოლასი და დანიელი — შვეიცარიელ სწავლულთა ოჯახი წარმოშობით ანტვერპენიდან), ცალკეული მეცნიერები, ისეთები, როგორიცაა შვეიცარიელი ლეონარდ ეულერი (გარდაიცვალა 1783 წ.) ქალაქ ბაზელიდან, ფრანგები ლაგრანჟი (გარდაიცვალა 1813 წ.), მონჟი (გარდაიცვალა 1818 წ.), ლაპლასი (გარადაიცვალა 1827 წ.), ნიუტონის ბრიტანელი მოსწავლეები, რომლებსაც განსაკუთრებით გეომეტრია და ასტრონომია იზიდავდათ.

იმ პოტენციურ მკვლევართა რიცხვი, რომლებსაც აღმოჩენის უნარი გააჩნიათ, იზრდება და ყოველი აღმოჩენა უფრო მეტ ცნობისმოყვარეობას აღძრავს. შარლ მორაზემ მშვენიერ ფორმულას მიაგნო, რითაც ევროპელების ახალი აღმოჩენებისადმი მისწრაფება დაახასიათა: „მსოფლიოს დასაპყრობად ევროპამ შექმნა დახვეწილი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომ პროგრესს შეუწყო ხელი. ეს წინსვლა არ შეეხება მხოლოდ აზროვნებას, არამედ, მოთხოვნილებებს, კომფორტს, ფუფუნებას და ასევე, ინტელექტს. ამდენი მოთხოვნილება, სურვილი, მისწრაფება, ძიება გახდა მეცნიერებაზე დამოკიდებული და თავის მხრივ, მეცნიერების განვითარება განაპირობებს კონფორტს, ფუფუნებასა და ინტელექტს. ადამიანის სხეულისა და გონების ამ შესაძლო გაცვლა-გამოცვლაში გამოიკვეთება ახალი სოციალური პროგრესის მამოძრავებელი ძალა, რომლის მთავარი იარაღი არის აღზრდა. ევროპამ მსოფლიოსგან აიღო წეს-ჩვეულებების, მეცნიერებების, საზოგადოების, აღზრდის პროგრესი, რასაც მომავალში მთელ მსოფლიოს უკან დაუბრუნებს."

ჩვენ განსაკუთრებულად განვიხილავთ გამოყენებითი მეცნიერებების აღმოჩენებს...

ევროპული ენერგია. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის გონებამ შექმნა ერთის მხრივ, მანქანები, რომლებიც ენერგიას გამოიმუშავებდნენ, ხოლო მეორეს მხრივ, მანქანები, რომლებიც ამ ენერგიას იყენებდნენ ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ მეტი პროდუქციის გამოსაშვებად, ვიდრე ხელით მომუშავე ადამიანები მარტივი ხელსაწყოებით ან კიდევ პრიმიტიული მექანიზმის საშუალებით.

ამ ორმაგი მოვლენის გასაგებად, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც ორთქლის მანქანას, სართავ და ხაქსოვ საქმიანობებს, და ბოლოს, თუჯის და რკინის პროდუქციას ეხება.

ზემოაღნიშნულ აღმოჩენათა უმრავლესობა დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის, რომელსაც მალე საფრანგეთი უერთდება. თუმცა ეს პროცესი დაგვიანდა რევოლუციისა და იმპერიის გამო. ძალიან მალე ბელგია, ჩრდილოეთ იტალია, დასავლეთ გერმანიაც იღებს და ხანდახან აჭარბებს კიდეც პირველ მოდელებს.

სწორედ ეს არის დიდი ევროპული მოვლენა, მით უმეტეს, რომ რეალურად მსგავსი არაფერი ხდება არც ჩინეთში, არც არაბულ ქვეყნებში, არც ინდოეთში და არც აფრიკაში.

როგორც ჩანს, პირველი ორთქლის მანქანა, რომელიც ფუნქციონირებდა, XVIII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და ჰუგენოტს, დენის პაპენს ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელმა ჯერ ინგლისს შეაფარა თავი, მერე კი გერმანიას და გემის ამუშავებაც შეძლო. ამას მოყვა ინგლისელი ნიუკომენის ორთქლის ტუმბო, ფრანგი კუნიოს საგზაო ფორანი (1769), ჟოფრეი დ'აბანის (1776) გემი... მაგრამ გადამწყვეტი ეტაპი დადგა მაშინ, როცა ინგლისელმა ჯეიმზ უატმა ორთქლის ძრავის ეკონომიურობის გასაზრდელად კონდენსატორი გამოყო ცილინდრისაგან, გამოიყენა ჭარბი წნევის ორთქლი და ნამდვილად სასარგებლო მანქანა შექმნა (1792).

დიდებული და გონიერი მეწარმის, მეთიუ ბულტონის დახმარებით, უატმა მანქანების გამოშვება და გაყიდვა დაიწყო.

1800 წელს ხუთასი ასეთი მანქანა ამოძრავებდა სართავ დაზგებსა თუ სანაყებს.

ევროპული მექანიკა: საფეიქრო მრეწველობის მაგალითი. ვნახოთ, ამ ხნის განმავლობაში როგორ ვითარდებოდა საფეიქრო მრეწველობა?

1700 წ. ბამბის დართვას ოთხი მრთველი სჭირდებოდა, შალის დართვას კი — ათი. 1733 წ. ლანკაშირელმა კონსტრუქტორმა ჯონ ქეიმ გამოიგონა მისადგემელი საფეიქრო

მაქო, რამაც მანქანის პროდუქტიულობა გაზარდა. ამ ფაქტმა აღაშფოთა ფეიქრები, რომლებიც ხშირად ძაფის უქონლობის გამო უმუშევრობას უჩიოდნენ და ქეის საფრანგეთიდან გაქცევა მოუხდა.

საჭირო გახდა სართავი ქარხნების განვითარებაც. ამის რეალური განხორციელება მოხდა 1769 წელს, როცა ლანკაშირელმა დალაქმა, შესანიშნავმა საქმოსანმა ააშენა ქარხანა, რომელიც უკვე ნაცნობ, თუმცა აქამდე ცუდად ექსპლუატირებულ ტექნოლოგიას იყენებდა. მისი ჰიდროენერგიული ფაბრიკა სარგებლობდა *Water Frame*-ით, რაც მშვენიერ ბამბის ძაფს გამოიმუშავებდა.

დაახლოებით იმავე პერიოდში (1770) ლანკაშირელმა ფეიქარმა, ჰარგრეივსმა *Spinning Jenny*-ის პატენტი გამოსცა. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევდა ერთ ადამიანს ერთდროულად რვა, შემდეგ თექვსმეტი, ასი ძაფი დაერთო.

1779 წელს *Water Frame*-ის და *Spinning Jenny*-ის შეერთებით (რომლის ძაფიც ნაკლებად გამძლე იყო) ლანკაშირელმა ფეიქარმა, კრომტონმა, შექმნა შეჯვარებული მანქანა (აქედან მოდის სახელწოდება *Mule Jenny*).

ჟაკარდის მანქანის წყალობით საფრანგეთში (1804) შესაძლებელი გახდა სახიანი ქსოვილების გამოშვება.

1779-1812 წლებში ბამბის ძაფის საშემოსავლო ფასი 90% გაიზარდა, რაზეც უშერი ამბობდა: „ეს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს საშუალებას აძლევს უკეთესი ტანსაცმელი პროდუქცია საუკეთესო სპექსპორტო საქონელს წარმოადგენდა.

ჩვენ არ ვცდილობთ გავაანალიზოთ მიღწეული წარმატებების უზარმაზარი შედეგი, არც ენერგიის და მექანიკური ინსტრუმენტების გამოგონებას შევეხებით. პროგრესი არ ჩერდება და სწრაფად მიმდინარეობს. მხოლოდ ალფრედ სოვის მოსაზრებას გაგაცნობთ, რომელიც თვლის, რომ 1960 წლისთვის ევროპელს ასჯერ მეტი საჭირო ნივთი გააჩნია, ვიდრე მის წინაპარს ქონდა XVIII საუკუნეში.

ევროპული რკინა. რამდენიმე სიტყვით მაინც უნდა შევეხოთ იმ ძირითად აღმოჩენებს, რამაც უკიდურესად გაამარ-

ტივა მექანიკური კონსტრუქციების შექმნა: ეს გამოგონებები რკინას და თუჯს უკავშირდება. ამ საქმეში დაწინაურდა ინგლისი.

„1709 წ. მეტალურგიის ოსტატი ინგლისელი აბრაამ დარბი შეეცადა თუჯის საწარმოებლად ხის ნახშირის ნაცვლად ქვის ნახშირი (კოქსის ფორმით) გამოეყენებინა: ეს პროცესი მხოლოდ 1830 წელს დასრულდა. 1753 წლამდე დარბი იყო პირველი, რომელიც თუჯს და კოქსს აწარმოებდა (დაახლოებით, კვირაში 20 ტონას). ბრძმედის საფუძველზე წარმოქმნილი ჰაერის გათბობით დარბი თბილი აირის აღდგენას ახერხებდა და ამასთანავე ცდილობდა დაეზოგა კოქსის მოხმარება; შემდგომში ეს მეთოდი ბევრგან გავრცელდა: 1806 წელს ინგლისური თუჯის 97% კოქსის საშუალებით მიიღებოდა. 1788 წელს ინგლისში 60 კოქსის ბრძმედი იყო, 1806 წ. — 227, 1826 წ. — 305. 1769 წ. ფრანსუა დე ვენდელმა იგივე ცდები ჩაატარა საფრანგეთში, კერძოდ, ლოთარინგიაში; 1784 წ. იგი ფლობდა კოქსის ბრძმედებს ჰამბურგში; მომდევნო წელიწადში მან ინგლისელ ინჟინერ უილკინსონთან ერთად საფუძველი ჩაუყარა კოქსის ბრძმედს კრეზოში. მიუხედავად ამისა, 1805 წელს ფრანგული თუჯის 98% ხის ნახშირით იწარმოებოდა, 1850 წელს პროცენტულმა მაჩვენებელმა 50-მდე დაიკლო, ხოლო 1870 წელს კი 9%-ზე ჩამოვიდა“ (ჟ.-ა. ლეზური და ს. ჟერარი).

ესპანეთში საწარმოო რევოლუციამ ცოტა დაიგვიანა. თუმცა 1850 წლიდან აქ აღმოჩენილი იქნა მშვენიერი მინერალური რესურსები. ესპანეთი მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს ვერცხლისწყლის და ტყვიის წარმოებით (1900 წლამდე). იგი ასევე აწარმოებს ცინკს. ერთ ხანს მეორე ადგილზე იყო სპილენძის მოპოვებით. მისი შესანიშნავი რკინის პირიტი ჩრდილო-დასავლეთიდან ძირითადად ინგლისში გააქვთ. სამაგიეროდ, ესპანეთი ღარიბია ბოქსიტითა და ნავთობით.

რკინიგზა. 1804 წელს ამერიკელმა ოლივერ ევანზმა და ინგლისელმა ინჟინერმა რიჩარდ თრიევისიქმა ლიანდაგზე

პირველი ლოკომოტივი გაუშვეს. ჯერ ხის, შემდეგ თუჯის და რკინის ლიანდაგები მაღაროს ურმებისთვის გამოიყენებოდა.

1814 წელს სამთო ინჟინერმა, ჯორჯ სტეფენსონმა დააყენა თუჯის ლიანდაგი და შექმნა ორთქლმავალი „რაკეტა", რომლის მუშაობაც გააუმჯობესა ფრანგმა ინჟინერმა სეგენმა (1817) ცეცხლმილაქვაბის გამოგონებით. 1825 წლის 27 სექტემბერს მგზავრებით სავსე სტეფენსონის ლოკომოტივი სტოქტონიდან დარლინგტონში ჩავიდა. საფრანგეთში 1832 წელს გაიხსნა ლიონ-სენ-ეტიენის ხაზი, 1835 წელს კი პარიზი-სენ-ჟერმენის ხაზი. 1851 წ. საფრანგეთის რკინიგზა შეადგენდა 3 500 კმ, რომელიც სავაჭრო ტრანსპორტის მხოლოდ მეხუთედს აუდიოდა. ბრიტანული ქსელი მაშინ 10 500 კმ. მოიცავდა.

შემდეგი ცხრილი კილომეტრებში უჩვენებს 1850-1914 წლების შედეგებს.

ქვეყანა	1850	1914
დიდი ბრიტანეთი	10 000	38 500
გერმანია	6 000	63 000
ბელგია	800	8 800
საფრანგეთი	3 500	39 500
იტალია	120	18 000

ესპანეთის სარკინიგზო ხაზი 1852წ. იყო 102 კმ, 1866წ. — 5076კმ. ხოლო 1914წ. — 10 800კმ. ლიანდაგებს შორის მანძილი, რომელიც 1.67მ. შეადგენდა, გარკვეულ სიძნელეებს იწვევდა.

გარდა იმისა, რომ ეს უზარმაზარი ქსელი ევროპის ყველა ქალაქს ერთმანეთთან აკავშირებდა (ყველა ქვეყანა, რუსეთის და ესპანეთის გარდა, ინგლისური ლიანდაგის სიფართეზე შეთანხმდა), დროის მოგების საუკეთესო საშუალება იყო.

როდესაც ქ-ნი სევინიე პარიზიდან ვიტრეში, თავის მამულში მიდიოდა, კარეტათი მგზავრობდა პარიზიდან ორლეანამდე. ორლეანიდან ნანტამდე დილიჟანით, ნანტიდან ვიტ-

რემდე საზიზღარი გზების გავლა ავტომანქანით უხდებოდა. ყველაფერ ამას ას სამოცდათორმეტი საათი სჭირდებოდა.

1782წ. სამეფო გზების მშენებლობამ მგზავრობის ხანგრძლივობა ოთხმოცდაათ საათამდე შეამცირა, ხოლო 1814 წელს ეს რიცხვი ორმოცდათექვსმეტზე ჩამოვიდა. 1854წ. რკინიგზის წყალობით მგზავრობის ხანგრძლივობა ცხრა საათი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ, რომელიც სივრცით და იაფი მიწის ნაკვეთებით სარგებლობდა, დათანხმდა უფრო მარტივი ხაზების მშენებლობას, რის შედეგადაც 1850წ. ლიანდაგების სიგრძემ 14 500 კმ-ს გადააჭარბა, ხოლო 1916წ. 386 000 კმ. მანძილზე გავრცელდა.

ორთქლმავლის დახვეწამ მნიშვნელოვნად შეამცირა ნახშირის ხარჯი. მოგზაურობის ფასმა საგრძნობლად დაიწია. რკინის ლიანდაგი, რომელიც მალე ცვდებოდა, 1870 წლიდან ფოლადის ლიანდაგით შეიცვალა.

ევროპული რკინიგზის კიდევ ერთი თავისებურება არის დიდი საერთაშორისო გვირაბების გათხრა:

– მონ-სენი (1857-1871 წწ.) = 12,800 კმ. მოდანიდან (საფრანგეთი) ბარდონეშამდე (იტალია);
– სენ-გოტარდი (1870-1880 წწ.) = 15 კმ;
– სიმპლონი (1921 წ. დასრულდა) = 19,8 კმ. ბრიგიდან (შვეიცარია) დომოდოსოლამდე (იტალია);
– ლოჩბერგი (1900-1905) =14,600 კმ. და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის და განსაკუთრებით, მძიმეწონიანი საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება მდინარეებისა და არხების ხაზებით ხდებოდა, რაც ბელგიისთვის, ნიდერლანდებისა და გერმანიისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

ინგლისისგან განსხვავებით, გერმანიამ თავისი არხები არ დათმო. 1903 წ. იგი იყენებს 14 500 კმ.-ზე გადაჭიმულ მდინარეებსა და არხებს სხვადასხვა დანიშნულებით. მდინარე რაინი გერმანიის მთავარ ღერძს წარმოადგენს.

მდინარე რაინი და დუნაი ერთად დიდ ევროპულ გზას ქმნის.

შევჩერდეთ 1914 წელზე. ამ პერიოდში რკინიგზას ახალი მოცილეები უჩნდება. ნახშირის მაგივრად იწყება ნავთობის გამოყენება, რაც აუმჯობესებს ორთქლმავლის და გემის ქვაბის ექსპლუატაციას. თუმცა ამ გემის გვერდით ჩნდება მოტორიანი გემიც, გერმანელი ინჟინრის დიზელის მიერ შექმნილი მძიმე ზეთიანი ძრავით.

ეს შიგაწვის ძრავი დიდ იმედს იძლეოდა.

1860 წლის დასაწყისში გერმანელმა ნიკოლას-ავგუსტ ოტომ და ფრანგმა ეოზეფ-ეტიენ ლენუარმა გამოიგონეს მანქანა, რომელიც იყენებდა საწვავის დაწვით გამოყოფილ აირს. ამ მეტად მოხერხებული, მსუბუქი ძრავის გამოყენებით, გერმანელმა ტექნიკოსებმა შექმნეს ახალი მანქანა. ეს მეცნიერები იყვნენ, კერძოდ: ზიგფრიდ მარკუსი (გარდაიცვალა 1898), გოტლიბ დაიმლერი (გარდაიცვალა 1900), კარლ ბენცი.

თავისუფლების ფაქტორი შემოქმედებაში. ზემოთ მოყვანილი ცხრილი მყარ მონაცემებს იძლევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, (რადგან ყველა ერი უკიდურესად მგრძნობიარეა, როცა საქმე ეხება მათი ეროვნული აღმოჩენების პირველობას), რომ აღმოჩენების რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა ბრიტანეთი (ამერიკასთან ერთად), მეორეზე 1850 წლამდე — საფრანგეთი.

აღმოჩენათა რიცხვი იზრდება, ჩამოთვლილ ქვეყნებს ემატება შვეიცარია, ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები, შვედეთი, დანია, იტალია, მოგვიანებით ესპანეთი, პორტუგალია, და ა.შ. რით აიხსნება ეს მოვლენა?

უკვე განვიხილეთ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ *შემოქმედებას, აშკარად ხელს უწყობს აზროვნების თავისუფლება.* ეს დაკვირვება დღესაც ძალაში რჩება, რაც საბჭოთა აკადემიკოსმა სარკასოვმა ახლახანს დაამტკიცა კიდეც. კვლევა არ ხდება ხელისუფლების შთაგონებით.

XVIII საუკუნეში რელიგიის თავისუფლების ხარისხი პრუსიაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე საფრანგეთსა თუ ინგლისში. ამის გარდა კიდევ საჭიროა სხვა *ხელსაყრელი ინტელექტუალური მდგომარეობაც.*

აღმოჩენებს აფერხებს მეცნიერთა გართულებული ურთიერთობა. ისინი იძულებულნი არიან, მთავრობისგან აიღონ ამა თუ იმ ლაბორატორიაში მუშაობის ნებართვა.

მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის ინგლისში, კერძოდ, 1673 წ. მიღებულ იქნა *Habeas Corpus*, საპარლამენტო კონტროლი, ხოლო 1689 წ. — უფლებათა დეკლარაცია. ჯორჯ III მეფობის დროს (1760-1820) ვითარდება ცნობილი ჟურნალისტის ჯონ უილქსის გახმაურებული პროცესი, რომელიც საბოლოოდ თავისუფალი პრესის გამარჯვებით მთავრდება.

გაზეთ *North Briton*-ის რედაქტორის პამფლეტები მეფის კრიტიკას წარმოადგენდა, რის გამოც ამ მშფოთვარე ჟურნალისტს გამუდმებით ავიწროვებდენენ. პარლამენტარის ხელშეუხებლობის სარგებლობის მიზნით, იგი რამდენჯერმე აირჩიეს დეპუტატად.

ამერიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც თავიდანვე ერთმანეთისგან გამოყო ეკლესია და სახელმწიფო და გააძლიერა თავისუფლების ინსტიტუტი.

რევოლუციამდელი საფრანგეთისთვის უცნობი იყო შემწყნარებლობის გრძნობა. 1870 წლამდე ამ ქვეყნის ისტორიაში თავისუფლება, ტერორი, დესპოტიზმი ენაცვლება ერთმანეთს.

ბოლოს თავისუფლება იმარჯვებს. პოლიტიკურად თავისუფალი, ძლიერი ინტელიგენციის მქონე ქვეყნები წინსვლას განიცდიან შემდეგი მიზეზების გამო:

— შემოქმედება,
— აღმოჩენა,
— გამოგონება.

ჰელვეციური კონფედერაცია, 1830 წლიდან გათავისუფლებული ბელგია, კავურის იტალია, ბისმარკის (რეიხსტაგის არჩევნები საერთო საარჩევნო უფლებით) ნაწილობრივ დემოკრატიული გერმანია ერთმანეთის მიყოლებით შედის თავისუფალი სახელმწიფოების წრეში.

შექმნა და მოთხოვნა. რაიმეს შექმნა საერთოდ დაკავშირებულია მოთხოვნასთან. როდესაც მოთხოვნა მიწოდებას აჭარბებს, ეს უკანასკნელი ხდება ინტენსიური გონებრივი და პრაქტიკული ძალისხმევის წყარო, რათა გაუმჯობესდეს წარმოების საშუალებები.

ედმონდ ქარტვრაიტი სოფლის პასტორი იყო, რომელმაც პირველი მექანიკური დაზგა შექმნა. მას ცხოვრებაში არ უნახავს დაზგა და მექანიკური პრობლემები არასოდეს აწუხებდა იმ დღემდე, სანამ ლანკაშირელი მექარხნეების ამბავმა მის ყურამდე არ მიაღწია; ფაბრიკას სასწრაფოდ სჭირდებოდა მექანიკური დაზგა, თუმცა მისი დამზადება არავის შეეძლო...

XIX საუკუნეში მოყვარულის როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. უმეტეს შემთხვევაში, გამომგონებელი იყო ან პროფესიონალი ან სუფთა მეცნიერი. თანდათანობით ადგილს დაიმკვიდრებს ინჟინრის ტიპი.

საქსოვი დაზგები გამოიგონეს ფეიქარმა ჰარგრივსმა და მართველმა კრომტონმა, რომლებიც ლანკაშირელები იყვნენ.

II. ევროპა, მსოფლიო წარმოების ცენტრი

ეკონომიკური პერიოდები. მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის გაფართოებასთან ერთად მეცნიერული გამოგონებები წარმოების *მუდმივი განვითარების* ინტელექტუალურ საშუალებას იძლევა.

პროგრესის *თვისობრიობის* და *რაოდენობის* განსაზღვრის მიზნით, განვიხილოთ რამდენიმე სურათი, რომელიც ზოგადი განვითარების პირობებს ქმნის. რასაკვირველია, არსებობს როგორც აღმასვლის, ისე დაცემის შემთხვევები.

ზოგიერთი შემოქმედი, როგორიცაა მაგალითად, ფრანსუა სიმიანი და ვიქტორ კონდრატიევი, ეკონომიკური განვითარების რამდენიმე „პერიოდს“ გამოყოფს, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიოს ოქროს რაოდენობასთან.

როდესაც ოქრო საკმარისი არ არის, მისი ფასი მაღლა იწევს. მაშასადამე, სასურსათო საქონლის ფასი, რომლის ანაზღაურებაც ოქროზეა დამოკიდებული, ეცემა და ზოგჯერ

მწარმოებელსაც აზარალებს. აქედან გამომდინარე, წარმოების რიცხვიც იკლებს (ან შედარებით ნელა მატულობს).

ასეთ ფაზას სიმიანმა „ბ ფაზა“ უწოდა. და პირიქით, თუ ოქრო უხვად არის, მაშინ მისი ფასი დაბლა იწევს, ხოლო პროდუქტი ძვირდება. ამ მდგომარეობას ეწოდება „ა ფაზა“. რა თქმა უნდა, როცა ფულის წარმოება ოქროზე აღარ იქნება დამოკიდებული (1971), ასეთი პერიოდები ავტომატურად გაქრება. კონდრატიევის თანახმად, 1750 წლიდან 1940 წლამდე პერიოდი შემდეგ ფაზებად იყოფა:

ა: 1790-1815	ბ: 1873-1896
ბ: 1815-1847	ა: 1896-1920
ა: 1847-1873	ბ: 1920-1940

კალიფორნიაში, კლონდაიკსა და ავსტრალიაში ოქროს საბადოების მასიური აღმოჩენით აიხსნება „ა ფაზა“ 1847 წლიდან 1873 წლამდე. 1896-1920 წლების პერიოდი ახალმა სამხრეთ – აფრიკულმა მაღაროებმა განაპირობა.

ეკონომიკური ექსპანსიის რამდენიმე რიცხვითი მონაცემი. გლობალური წინსვლა სახეზეა.

– ევროპის, ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის ძველ ინდუსტრიულ ზონებს XIX საუკუნეში ემატება გერმანიის მდინარეების, რურის და ზემო-სილეზის აუზი, აგრეთვე, ჩრდილო-იტალიის და ბოჰემიის მრეწველობის რამდენიმე კერა.

– საფრანგეთი, რომელიც პირველი იმპერიის დროს, თითქმის არც ერთ ორთქლის მანქანას არ იყენებდა, 1850წ. უკვე ფლობს 5322-ს და ავითარებს 67000 ცხენის ძალას. 1850-დან 1913 წლისთვის ეს ციფრი თხუტმეტჯერ, ხოლო ცხენის ძალა – ორმოცდაცამეტჯერ გაიზარდა.

– ორმოც წელიწადში ევროპამ და ამერიკამ უზარმაზარი წინსვლა განიცადა, რასაც ამტკიცებს გამოყენებული ენერგიის მრუდი, თუმცა 1900 წლიდან ამერიკა მსოფლიო ეკონომიკური შესაძლებლობის პირველ პოზიციას იკავებს.

– ნახშირის წარმოება ძალიან სწრაფად იზრდება იმ ქვეყნებში, რომლებიც ქვანახშირის მნიშვნელოვან საბადოებს

ფლობენ: დიდ ბრიტანეთში 1800 წ. 10 მილიონი ტონიდან 290 მილიონ ტონამდე-1913 წ; გერმანიაში (აქ შედის ლუქსემბურგიც) 1 მილიონი ტ-დან 277 ტ-მდე იგივე ხნის მანძილზე. ის ქვეყნები, რომლებიც ქვანახშირის უმნიშვნელო რაოდენობას აწარმოებენ, მის ინტენსიურ ექსპლუატაციას ეწევიან. 1913 წ. საფრანგეთი დაახლოებით 41 მილიონ ტ. ნახშირს აწარმოებს, მაგრამ *მოხმარება* მეტი უპირატესობით სარგებლობს, ვიდრე *წარმოება.*

— 1913 წლისთვის აშშ ქვანახშირის მოპოვების მიხედვით, პირველ ადგილზე დგას (513 მილიონი ტ. ქვანახშირი და ლიგნიტი); მას მოყვება დიდი ბრიტანეთი — 290 მილიონი ტ., გერმანია — 277 მილიონი ტ, საფრანგეთი — 40,8 მილიონი ტ. და ბელგია 22,9 მილიონი ტ.

— 1900 წლისთვის აშშ. არის ლითონის პირველი მწარმოებელი, რომელიც გაცილებით მეტი რაოდენობის ლითონს და ნახშირს მოიპოვებს, ვიდრე მომავალი ევროკავშირი (ექვსთა ევროპა): 1913 წელს აშშ აწარმოებს 31,300 მილიონ ტ., გერმანია — 17,320 მილიონს, დიდი ბრიტანეთი — 7,860 მილიონს, საფრანგეთი — 4,610 მილიონს და ბელგია — 2,430 მილიონს.

სწორედ 1870-1875 წწ-ში მთელ მსოფლიოში რკინის ლიანდაგებს თანდათან ბევრად უფრო გამძლე ფოლადის ლიანდაგებით ცვლიან.

— 1850-დან 1914 წლამდე ბრიტანეთის რკინიგზის ხაზი 10 000-დან 38 000 კმ.-მდე იზრდება, გერმანიის რკინიგზის ხაზი — 6 000-დან 63 000კმ.-მდე, ბელგიის — 800-დან 8 800 კმ-მდე, იტალიის — 120-დან 18 000კმ.-მდე, საფრანგეთის — 3 000-დან 39 500 კმ-მდე. ევროპას ნაკლები სიგრძის რკინიგზა გააჩნია, ვიდრე ამერიკას, რომლის სარკინიგზო ხაზი 1850 წ. 14 500კმ-ს შეადგენდა, ხოლო 1916 წ. 386 000 კმ-მდე გაიზარდა.

— მსოფლიო ვაჭრობა 7-ჯერ გაიზარდა. ამ მხრივ, 1850წ. ყველაზე მეტად დაწინაურდა დიდი ბრიტანეთი, სადაც იმპორტმა 5-ჯერ მოიმატა, ხოლო ექსპორტმა — 8-ჯერ.

საფრანგეთში საერთო ვაჭრობა 8-ჯერ გაიზარდა. გერმანიაში და ამერიკაში იგი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდ-

რე საფრანგეთსა და ბრიტანეთში. 1875-1913 წწ. საერთო ვაჭრობამ მოიმატა 3,5-ჯერ გერმანიაში, 4,5-ჯერ — აშშ-ში, 2-ჯერ — დიდ ბრიტანეთში, თუმცა 1914 წლის მონაცემებით, ინგლისი პირველობას ინარჩუნებს მსოფლიო ვაჭრობაში.

— 1913 წლამდე მსოფლიო ვაჭრობის სადავეები ეპყრა ხან გერმანიას და ამერიკას, ხან საფრანგეთსა და ინგლისს.

— 1874 წ. დაახლოებით ოთხჯერ მოიმატა გერმანიის ეროვნულმა შემოსავალმა. 1910 წ. ამერიკის ეროვნული შემოსავალი 5-ჯერ გაიზარდა. 1851-1911 წწ-ში ინგლისის ეროვნული შემოსავალი გაოთხმაგდა.

ევროპა, მსხვილი ბანკების ცენტრი. საწარმოო რევოლუცია აიხსნება მომრავლებული *გამოგონებით* ფუნდამენტალური და გულმოდგინე კვლევა-ძიების საკითხში, მოსახლეობის მზარდი *მოთხოვნილებით,* რაც გულისხმობს საარსებო მინიმუმის მიღებას, ფსიქოლოგიურ ევოლუციას და კაპიტალის დაგროვებას.

ეს ყველაფერი ნელ-ნელა დაგროვდა მას შემდეგ, რაც ევროპელები დაეუფლნენ ზღვას, გახდნენ კოლონიზატორები, მსხვილი ვაჭრები. თუმცა კიდევ საჭირო იყო ამ მონაპოვარის ერთდროულად, მასიური და მოხერხებული გამოყენება.

ასეთი როლი ითამაშა ბანკმა, რომელიც განსაკუთრებით ვითარდება შუა საუკუნეების მერე. 1830 წ. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა, ჟაკ ლაფიტმა XIX საუკუნეს „კომერციული ბანკების მეფობის" ხანა უწოდა.

თავდაპირველად, თითოეულ სახელმწიფოს საკუთარი ეროვნული ბანკი გააჩნდა; 1694 წ. შეიქმნა *Bank of England.* მისი გავლენით ჩნდება *საფრანგეთის ბანკი* (1800), *Nederlandshe Bank* (1814) ნიდერლანდებში, *წმინდა შარლის ბანკი* მადრიდში და ავსტრიის ეროვნული ბანკი (1817).

მათ გვერდით აგრეთვე, გვხვდება მრავალი კერძო და საოჯახო ფინანსური დაწესებულება. მაგალითად, გერმანიის

მენდელსონების, ბლაიხროდერების და როტშილდების საგვარეულო ბანკები.

როტშილდების საგვარეულოს ხუთი წარმომადგენელი, „ხუთი ფრანკფურტელი ჯენტლმენი", „ევროპაში გაიფანტა, მრავალი ბანკის დასაარსებლად, რომელიც ყოველ სახელმწიფოში იმუშავებდა: სოლომონი ვენაში, ჩარლზი ნეაპოლში, ნათანი ლონდონში, ჯეიმსი პარიზში" (ლეზური და ჟერარი). თავის მხრივ, ლონდონშიც არსებობდა ბერინგების, ლაზარდების, შრედერების, ჰამბროების საგვარეულო ბანკები. პარიზის ბანკების უმეტესობა ეკუთვნოდათ პროტესტანტებსა და ებრაელებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: ლაზარდი, ჰოტინგერი, ფუდი, აიჩტალი, მალე (ჟენევაში), ვერნი, მირაბო, ნიფლიზის ბანკი და ა.შ.

მცირე დეპოზიტების მომრავლება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა სია ხალხთა ფართო მასებს მოიცავს.

რაოდენობრივად იზრდება სავაჭრო თამასუქის განაღდება (დისკონტი), ანაბრების მართვა, ფასიანი ქაღალდების დადება ბანკში და ა.შ. მსხვილ დეპოზიტიანი ფინანსური დაწესებულებები, მრავალი და ვრცელი სალაროებით, ძირითადად 1850 წლის შემდეგ ჩნდება და კომერციული ბანკის სახელით გამოირჩევა. მაგალითად, საფრანგეთის „კრედი ლიონე", „საერთო საზოგადოება", გერმანიის „ოთხი დ", (დარმშტატის, დისკონტოგეზელშაფტი, დოიჩ ბანკი, დრეზდენ ბანკი), ინგლისის *Big Five* (ეროვნულ-პროვინციული ბანკი, ვესტმისტერის, მიდლენდის, ლოიდის და ბარკლის ბანკები) ანაბრიანი ბანკის სახეობას წარმოადგენენ. მათი ფილიალების რიცხვი თანდათან იზრდება.

კომერციული ბანკი გრძელვადიან ინვესტირებას ახდენს მსხვილს საწარმოებში და ებმება *ფინანსურ საქმიანობაში.*

ანაბრიან ბანკებს, ძირითადად, იზიდავს მოკლე ოპერაციები, რომელსაც *საბანკო საქმიანობას* უწოდებენ.

ევროპა, მსოფლიო ბანკირი. საბანკო სისტემის ამ უჩვეულო განვითარებამ მნიშვნელოვანი მოვლენა წარმოშვა. ერთ-ერთი ცნობილი წიგნის სათაურის მიხედვით, ევროპა

„მსოფლიო ბანკირი“ (ჰერბერტ ფეისი, *Europe the World's Banker*) გახდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, დანაზოგის სახით, ფლობს უხვ ფინანსურ რესურსს (მაგ. გაერთიანებული სახელმწიფო, საფრანგეთი და გერმანია) და სურვილი აქვს, მოიპოვოს გაცილებით მაღალი პროცენტი, ვიდრე მის ბანკს აქვს, რის გამოც ინვესტირებას სიამოვნებით ახდენს საზღვარგარეთ.

საუბარია სხვადასხვა ოპერაციებზე, ასეთია: მოკლევადიანი კრედიტები, სახელმწიფოების, ხანდახან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დადგენილი უცხოური სესხები, აქციების შესყიდვა, საზღვარგარეთ დაწესებულებებში ინვესტიციები (რკინიგზა, პორტები, შუქურები, საზოგადოებრივი სამუშაოები, სხვადასხვა ქარხნები), ან უცხო ქვეყნებში ინდუსტრიული ფილიალებისა და საქალაქო ბანკების შექმნა.

უხვი კაპიტალით მარაგდება შემდეგი ქვეყნები: რუსეთი, იტალია, აღმოსავლეთ ევროპა, აშშ (1914 წლამდე მთლიანად უცხოეთის დებიტორები არიან, მხოლოდ 1920 წლიდან გახდებიან კრედიტორები), ლათინური ამერიკა, და ბოლოს, ზოგიერთი კოლონია და განსაკუთრებით, ინდოეთი.

1914 წ. ინგლისმა 100 მილიარდი ოქრო დააბანდა უცხოეთში, საფრანგეთმა — 45 მილიარდი, გერმანიამ, დაახლოებით, 25 მილიარდი.

განვიხილოთ მხოლოდ ამ დაბანდებების ძირითადი ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ თეორია, რომელიც 1920 წელს ბრიტანელმა ჰობსონმა (*Imperialism, a Study*), ხოლო 1915 წ. ლენინმა დაიცვა, (*იმპერიალიზმი, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია*) ისტორიულად დამტკიცებული არ არის.

ლენინი თვლის, რომ იმპერიალიზმი, და განსაკუთრებულად კოლონიალური დაპყრობა, დაკავშირებულია „მონოპოლისტურ კაპიტალთან“, ე.ი. სამრეწველო კაპიტალის ბანკების მიერ შთანთქმასთან. ეს უკანასკნელნი და სახელმწიფო, რომელიც ლენინის აზრით, „დიდი კაპიტალიზმის“ გამოხა-

ტულებაა, შეეცდება დაიპყროს ისეთი ტერიტორიები, სადაც ზედმეტი კაპიტალის დაბანდებას შეძლებს.

თუმცა:

1) ქვეყნების უმრავლესობამ თავიანთი იმპერიები დაიპყრო *მანამ*, ვიდრე „მონოპოლური"კაპიტალის ამ სტადიას მიაღწევდა.

2) ეს არ ეხება ინგლისელებს, რომლებმაც კაპიტალის 50% დააბანდეს დედაქალაქიდან შორს, კოლონიურ იმპერიაში; ფრანგებს და გერმანელებს დიდი ინვესტიციები არ განუთავსებიათ კოლონიურ სამფლობელოებში.

ვცადოთ, გავარკვიოთ, თუ როგორი სახით ხდება კაპიტალის განთავსება უცხოეთში.

ინგლისმა 100 მილიარდი ოქროს ფრანკი დააბანდა საზღვარგარეთ, რაც მისი ქონების მეოთხედს შეადგენდა. ორმოცდაათამდე ბრიტანული ბანკი სპეციალიზებულია ამ ინვესტიციებში. მაგალითად, ინდოეთის სამეფო ბანკი და ჰონ-კონგის ბანკი. ამ ინვესტიციების მხოლოდ 25% არის საზღვარგარეთული ქვეყნების სესხი. ინგლისური კაპიტალის 94 % განთავსებულია ევროპის გარეთ, დაახლოებით, ნახევარი — იმპერიაში. ინგლისის საკუთრებას წარმოადგენს უამრავი საბადო და რკინიგზა ლათინურ ამერიკასა და შუა აღმოსავლეთში.

მთავრობა ბანკირებს აძლევს პოლიტიკური მნიშვნელობის ინსტრუქციებს, რაც ზოგიერთ საქმეში აისახება. 1913 წელს ინგლისის ეროვნული შემოსავალი 2,2 მილიარდი გირვანქა სტერლინგია, რაც დაახლოებით, 55 მილიარდ ფრანკს შეადგენს. ამ შემოსავლის მეათედი საზღვარგარეთ არის განთავსებული.

ამ მხრივ, საფრანგეთი ინგლისს ბევრად ჩამორჩება. იგი მეორე ადგილს იკავებს საზღვარგარეთ დაბანდებული 45 მილიარდი ფრანკის ინვესტიციების მიხედვით. საფრანგეთს დიდი ბრიტანეთისგან ბევრი რამ განასხვავებს: ეს უკანასკნელი მცირე კაპიტალს ანთავსებს თავის კოლონიებში. საფრანგეთი ბევრ სესხს გასცემს საზღვარგარეთის ქვეყ-

ნებზე. 1815 წლიდან ეს პროცესი განსაკუთრებით ძლიერდება.

სესხის გაცემა ან არგაცემა დამოკიდებულია მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე. სწორედ ამას ეწოდება (ბირჟაზე) „დაწესებული მაზანდა" (გადასახადი). ამგვარად, 1871 წლიდან 1914 წლამდე დაწესებული არ არის არც ერთი გერმანული გადასახადი. ამის შემდეგ საფრანგეთი კაპიტალს აბანდებს, როგორც ევროპის საზღვრებს გარეთ (აზიაში, ოსმალეთის იმპერიაში, ლათინურ ამერიკაში), ისე თვით ევროპაში.

მაგალითად, ბორის საბადოები — სერბეთში, აგულიასის მაღაროები — ესპანეთში, ლორიონის ვერცხლის საბადო — საბერძნეთში.

საფრანგეთმა დიდი თანხა გამოყო ევროპის კონტინენტზე რკინიგზის მშენებლობისთვის.

1887 წლიდან რუსეთით საფრანგეთის დაინტერესება გარკვეული მიზეზით იყო გამოწვეული. ვიწროდ დასახლებული გერმანელების პირისპირ საფრანგეთს მოკავშირე სჭირდება ზურგიდან, ხოლო რუსეთი საფრანგეთის ფულადი დახმარებით, ცდილობს დაფაროს ქვეყნის საზიზღარი საფინანსო პოლიტიკა.

ეს კავშირი აშკარა ხდება განსაკუთრებით, 1905 წ. იაპონიასთან რუსეთის დამარცხების შემდეგ. როგორც ჩანს, სხვაგან, სახელმწიფო სესხის ინვესტიცია მცირდება და ხდება კერძო კაპიტალდაბანდების ზრდა მრეწველობაში, რკინიგზაში, საბადოებში, ნავთობში, საფეიქრო მრეწველობაში, მეტალურგიაში, ქიმიაში, და რა თქმა უნდა, ბანკებში.

ფრანგი ბანკირები და ბიზნესმენები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ რუსეთი საფრანგეთის „Far West"-ს წარმოადგენს, რამაც რუსი საქმოსნების უკმაყოფილება გამოიწვია.

გერმანია დიდ კაპიტალს აბანდებს მოკავშირე ავსტრია-უნგრეთში, ასევე ესპანეთში, რუსეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. აფინანსებს რკინიგზის მშენებლობას ოსმალეთის იმპერიაში, კერძოდ, ბაღდადში.

გერმანია კაპიტალდაბანდების პროცენტებს იღებს ჩინეთიდან.

იგი სარგებლობს ასევე იტალია საფრანგეთის „ეკონომიკური ომით", ცდილობს სამუდამოდ შეავიწროვოს საფრანგეთი და „იტალიის კომერციული ბანკის საშუალებით", ნამდვილი კონტროლი დააწესოს იტალიის სავაჭრო წარმოებაზე. ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ გერმანიის სესხები „დამოკიდებულია" საზღვარგარეთის ხელისუფლებებზე.

კონტრაქტის პირობა მსესხებელს აიძულებს, იყიდოს გერმანული საქონელი. ფრანგებს კი პირიქით, ეს საკითხი სულ არ აღელვებთ და ჩნდება ისეთი ევროპული ქვეყნები, რომლებიც ფრანგული ფულით იძენენ არა კრეზოტელი შნედერის ზარბაზნებს, არამედ — ესენელი კრუპის ქვემეხებს.

გერმანია სავაჭრო ქვეყანაა, როგორც ინგლისი. საფრანგეთი კი დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს აწარმოებს. ამგვარად, საფრანგეთი პირველ ადგილს იკავებს რუსეთში განთავსებული ინვესტიციის მიხედვით, ხოლო გერმანია ამ ქვეყნის უპირველეს მომხმარებელს და პირველ კლიენტს წარმოადგენს.

III. თავისუფალი ვაჭრობის ხანმოკლე ევროპული გამოცდილება

ნაპოლეონ III ევროპა. ჩვენს მთავარ საზრუნავს ევროპის იდეაზე ფიქრი წარმოადგენს. როდესაც ძალაუფლება ნაპოლეონ III ხელშია, განა მისცემს იგი ბიძგს ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას? რა თქმა უნდა, არა. პერიოდულად ნაპოლეონ III კმაყოფილდება უკიდურესად ბუნდოვანი განცხადებებით, რომლებიც უფრო იმედებს გამოხატავენ, ვიდრე — მცდელობებს: 'მთელი გულით მსურს, აცხადებს იგი სენატში 1863 წ. 21 ნოემბერს, დადგეს დღე, როცა დიდი საკითხები, რომლებიც მთავრობას და ხალხს ერთმანეთთან აშორებს, ევრო ტრიბუნალის მეშვეობით მშვიდობიანად გადაწყდება".

1867 წ. ნაპოლეონ III გამოთქვამს „ევროპის შეერთებუ-

ლი შტატების“ შექმნის სურვილს. ძნელია, მის სიტყვებში, რიტორიკის გარდა სხვა რამ დაინახო.

ამასთანავე, ბისმარკის მსგავსმა რეალისტებმა სასაცილოდ აიგდეს მეფის ბუნდოვანი განზრახვა. ცალკე განვიხილავთ ბისმარკის ევროპას, რომელიც ამ ბედკრული ფრანგი მეტოქის ეპოქისგან ასე განსხვავდება.

თუმცა, თუ ნაპოლეონ III-ის *პოლიტიკურ* ევროპაზე სათქმელი არაფერია, იგივეს ვერ ვიტყვით, ამ ეპოქის *ეკონომიკურ* ევროპაზე. XVIII საუკუნის 60-იან წლებში არსებობდა ნამდვილი ევროპული ეკონომიკური ორგანიზაცია, რომლის წარმოშობაც ნაპოლეონ III-ის მტკიცე მოქმედების შედეგი იყო.

ნაპოლეონ III, კობდენი და მიშელ შევალიე. თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჟიდი და რისტი ამბობენ, „XIX საუკუნის შუა ხანებში ევროპა დაიპყრო ადამ სმითის მოძღვრებამ... საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობა ყველა ქვეყნის ეკონომისტმა ხელშეუხებელ დოგმად აღიარა. გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის თუ რუსეთის მეცნიერთა წრეში სრული ურთიერთთანხმობა სუფევდა. თავდაპირველად სოციალისტებმა ეს საკითხი უგულებელყვეს შემდეგ კი, მისი განხილვა დაიწყეს და ეკონომისტებს დაეთანხმნენ.“

„სამეცნიერო ხელისუფლებიდან“ სამთავრობო ხელისუფლებამდე დიდი მანძილია გასავლელი, რაც მშვენივრად ვნახეთ ინგლისის მაგალითზე. რიჩარდ კობდენის, პრემიერ-მინისტრ რობერტ ფილის *Anti–Corn-Law* მოქმედებების შედეგად, უქმდება პროტექციონისტული კანონი მარცვლეულზე *Corn Lauws*.

მომდევნო წლებში სხვა ზომებიც მიიღეს და ინგლისი რეალურად გახდა თავისუფალი ვაჭრობის მომხრე სახელმწიფო.

ფრანგ ბიზნესმენთა და მეწარმეთა დაახლოებით მეათედი ნაწილი პროტექციონისტია. საფრანგეთის თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერთა ასოციაციამ, რომელიც ოპტიმისტურად განწყობილი ეკონომისტის, ფრედერიკ ბას-

ტიას მიერ დაარსდა, მის სიკვდილამდე (1851) ვერანაირ წარმატებას მიაღწია. ბასტიას აზრით, საბაზრო წესების აბსოლიტურად თავისუფალი ფუნქციონირება, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, სასარგებლო შედეგს მოიტანს (მისი მთავარი ნაშრომია „ეკონომიკური ჰარმონია“).

ამავე დროს, ბასტიამ თავისუფალი ვაჭრობის დამცველად აქცია კოლეჟ-დე-ფრანსის ეკონომიკური პოლიტიკის პროფესორი, მიშელ შევალიე, რომელიც მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა. ეს უკანასკნელი სენ-სიმონისტი იყო. 1834წ. სენ-პელაჟის ციხეში ყოფნის დროს შევალიემ უარყო სენ-სიმონისტური მოძღვრება. რეალისტურად მოაზროვნე კარიერისტ შევალიეს თვალები აეხილა და მიხვდა, რომ კარიერას ვერ გაიკეთებდა, თუ „სენ-სიმონისტური რელიგიის“ მიმდევარი იქნებოდა.

მიშელ შევალიემ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამთო ინჟინრის პროფესიას დაეუფლა, რის გამოც მოგვიანებით, აშშ-ში გააგზავნეს რკინიგზის შესწავლის მისიით, რამაც გარკვეულ წილად ახალგაზრდობის შეცდომების გამოსწორების საშუალება მისცა. მიშელ შევალიემ ნარკვევი დაწერა რკინიგზის შესახებ და ერცელი ევრო სარკინიგზო ხაზის შექმნა შემოგვთავაზა. სენ-სიმონისტი შევალიე ფარულად მხარს უჭერდა თავისუფალ ვაჭრობას. ფრედერიკ ბასტიამ მოახერხა მიშელ შევალიეს დარწმუნება, რის შემდეგ იგი ამ დოქტრინის ყველაზე ეფექტური და დინამიკური მომხრე გახდა.

მიშელ შევალიე არ იყო ლიბერალური პოლიტიკურ საკითხში. ესეც სენ-სიმონისტური სკოლის დამახასიათებელი თვისებაა. იგი სიამოვნებით შეხვდა საფრანგეთში ავტორიტარული იმპერიის დამკვიდრებას და ახალი მთავრობისგან წყალობაც მიიღო. შევალიე საფუძვლიანად იყენებს იმ ძალაუფლებას, რომელიც თანდათანობით იზრდება და ცდილობს ინგლისის მსგავსად, საფრანგეთში დაამკვიდროს თავისუფალი ვაჭრობის წარმატებული სისტემა.

მისი საქმიანობა არ გულისხმობდა მხოლოდ ეკონომიკური მიზნების, სიმდიდრისა და მრეწველობის გაზრდას. მიშელ შევალიე ღრმა პაციფისტი, ნაკლებად სოციალისტი

იყო, რომელსაც ვაჭრობის განვითარებით, სურდა ქვეყნებს შორის ისეთი კავშირის დამყარება, რაც ომის შესაძლებლობას მოსპობდა. ამ მოსაზრებით, შევალიე სავსებით ეთანხმებოდა კობდენს, რომელთანაც მეგობრული მიწერ-მოწერა აკავშირებდა.

ნაპოლეონ III მოხიბლული იყო თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა იდეებით. ერთის მხრივ, მოსწონდა სენ-სიმონისტები, ყურს უგდებდა პერეირის და ეიჩტალის ბანკირების, კოლეჟ-დე-ფრანსის პროფესორის, მომავალი სენატორის, შევალიეს მოსაზრებებს. მეორეს მხრივ, მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო საფრანგეთის კეთილდღეობის აღდგენა და ინგლისთან გათანაბრება, ასევე ლონდონთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. 1846 წ. ჰეიმის ციხიდან გაქცეული ნაპოლეონ III დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა, როცა ეს უკანასკნელი თავისუფალი ვაჭრობის კანონს იღებდა. მეფეს სიძნელეს უქმნიდა არსებული საკანონმდებლო კორპუსი, რომლის უმრავლესობა პროტექციონისტი იყო.

1860წ. საფრანგეთ-ინგლისის ხელშეკრულება. სწორედ მიშელ შევალიემ უკარნახა იმპერატორს, თუ რა კანონიერი გზით უნდა აეცილებინა ეს დაპირისპირება. 1852წ. კონსტიტუციის თანახმად იმპერატორს სავაჭრო ხელშეკრულებების დადების და რატიფიკაციის უფლება მიენიჭა. ამ პროცესში ვერ ერეოდა საკანონმდებლო კორპუსი. მეფის საიდუმლო დავალებით, შევალიე მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის საბაჟო გადასახადის გაუქმებით თუ არა, ფასდაკლებით მაინც დასრულდებოდა. 1860 წ. 23 იანვარს, *მონიტორმა* გამოაქვეყნა ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც კანონის ძალას ატარებდა. ამას მეწარმეების მხრიდან, მწვავე, თუმცა ამაო, გამოსვლები მოჰყვა.

საფრანგეთ-ინგლისის ხელშეკრულება მხოლოდ დასაწყისია. მომდევნო წლებში საფრანგეთმა მიიღო მთელი რიგი ლიბერალური ზომები, განსაკუთრებით, სამრეწველო ნედლეულის თავისუფალი შემოტანის, სანაოსნო კანონის

გამარტივების მიზნით. მთავრობამ აგრეთვე, მიანიჭა ერთნაირი უფლებები ქვეყანაში არსებულ ფრანგულ და უცხოურ დაწესებულებებს.

საფრანგეთთან ერთად ევროპის ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი საფრანგეთ-ინგლისის მსგავს ხელშეკრულებებს: 1861წ. ბელგიამ და თურქეთმა, 1862 წ. ბისმარკის ძალაუფლებაში მოსვლამდე,პრუსიის საბაჟო კავშირმა,*Zollverein,* 1863 წ. იტალიამ, 1865 წ. შვედეთმა და ნიდერლანდებმა, 1866 წ. ავსტრია.

ამ სახელმწიფოებმაც თავის მხრივ, ერთმანეთთან დადეს მსგავსი ხელშეკრულებები. ეს არ არის ნამდვილი თავისუფალი ვაჭრობა, თუმცა დიდად არც განსხვავდება ამ სახის გაცვლითი სისტემისგან.

ამერიკელი ისტორიკოსის რონდო კამერონის სიტყვებით, საფრანგეთმა „ყველაზე კეთილგანწყობილი სახელმწიფო ჩააბა ხელშეკრულებაში, ხელი შეუწყო სხვა ერებს შორის მსგავსი შეთანხმების დადებას, რის გამოც საერთაშორისო სავაჭრო კავშირის სტრუქტურული ქვაკუთხედი გახდა და მსოფლიო სრული თავისუფალი ვაჭრობის გზაზე (*France and the Economic Development of Europe)* დააყენა." დევიდ ტომსონიც აღნიშნავს, რომ საფრანგეთი არის „ევროპის ეკონომიკის კერა".

მხოლოდ რუსეთი დარჩა მთლიანად პროტექციონისტული ქვეყანა.

ევროპის კონტინენტზე თავისუფალი ვაჭრობის თემასთან ერთად, ჩნდება საერთო ვალუტის იდეა. ფრანკი არის საფრანგეთის და შვეიცარიის ფული. ბელგია ამ ვალუტას იყენებს 1830 წლიდან. იტალიაში ტრიალებს ლირა. ფრანგული ფრანკის საფუძველზე იქმნება საბერძნეთის, ესპანეთის, სერბეთის, რუმინეთის და ფინეთის ფული (ფინეთი გარკვეული ავტონომიით სარგებლობს რუსეთის იმპერიაში).

1865 წ. ოქროს გაუფასურების და ამით გამოწვეული პრობლემების გამო, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცრია და იტალია ქმნის ლათინურ ფინანსურ კავშირს და სხვა ქვეყნებსაც გაწევრიანებისკენ მოუწოდებს.

1868 წ. საბერძნეთი ამ კავშირის წევრი ხდება. 1867წ.

გაერთიანებაში შედის უნგრეთი და ავსტრია. ბისმარკი თავს იკავებს და სავაჭრო და ფინანსური წრეების ზეწოლის მიუხედავად, უპირატესობას ანიჭებს გერმანიაში ახალი ფულის ნიშნის, მარკის შემოღებას.

თავისუფალი ვაჭრობა მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს. საქონლის, ადამიანის, კაპიტალის, ფულადი ერთეულის და დაწესებულებათა „საწარმოო ხელშეკრულებების" თავისუფალი ცირკულაცია 1860 წელს ევროპაში ქმნის ერთგვარ ეკონომიკურ გაერთიანებას. ეს უკანასკნელი „საერთო ბაზარზე" მეტად „თავისუფალი ვაჭრობის" ზონას უფრო ჰგავს. ევროპა აგრეთვე, წარმოადგენს ჯერაც მიულწეველი ინტეგრაციის უმაღლეს ხარისხს. ნუთუ ეს დამაიმედებელი მოვლენა დიდხანს გაგრძელდება?

ნეტავ კობდენი და მიშელ შევალიე მართლები იყვნენ, როცა კომერციულ ურთიერთშეღწევაში მშვიდობის ფაქტორს ხედავდნენ? სამწუხაროდ, მათ ვერ გათვალეს ნაციონალიზმის დაუძლეველი ძალა. რა ზეგავლენას ახდენს ვაჭრობა პატრიოტულ აღტკინებაზე, ტერიტორიულ ამბიციასა და ავტორიტეტულ პატივისცემაზე? ნაპოლეონ III მათ ზემოქმედებას განიცდის. გერმანიის გაერთიანების მიზეზით, ბისმარკი დამარცხებულ საფრანგეთს ჩამოართმევს ალზასს და ლოთარინგიას, მოსახლეობის გამუდმებული წინააღმდეგობის მიუხედავად.

აყვავების პერიოდმა და ფასების ზრდამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ დაახლოვებას. 1873 წ. იწყება სერიოზული ფინანსური კრიზისი. ადგილი აქვს თავისუფალი ვაჭრობის უარყოფის მცდელობას. 1871-1873 წწ.-ში საფრანგეთის ხელისუფლებაში მოდის ადოლფ ტიერი.

სწორედ გერმანიაში 1879 წ. ბისმარკი გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო გადასახადების გაზრდის შესახებ. 1881 წ. საწინააღმდეგო ზომებს ღებულობს საფრანგეთი; 1887-1897 წლებში იტალიასა და საფრანგეთს შორის საბაჟო ომი მიმდინარეობს. 1892 წ. უკიდურესად იზრდება ფრანგული ტარიფები. ეკონომიკურ ევროპაზე ოცნება, რომელიც ერთ დროს რეალობას წარმოადგენდა, პირველივე

დაბრკოლებაზე ქრება. მიშელ შევალიე პრუსიის ყოფილ მინისტრთან ვონ დერ ჰეიდტთან, მიმოწერაში გამოხატავს 1871 წლის შემდეგ ოცნებების დამსხვრევით გამოწვეულ უიმედობას.

თუ ბისმარკი 1862-1879 წწ.-ში თანაუგრძნობდა გაცვლა-გამოცვლის ლიბერალიზაციას, მისი განწყობა გამოწვეული იყო არა ევროპისადმი რაიმე მიზიდულობით, არამედ, ემპირიული წინდახედულობით. ეს პრუსიელი მონარქისტი 1848 წ. გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგი იყო და საბოლოოდ, ეს გაერთიანება მოაწყო პრუსიის გარშემო. ისტორიკოსები ხშირად დაობენ იმის შესახებ, თუ რითი იყო ყოველივე ეს განპირობებული: ბისმარკს სჯეროდა გერმანული ნაციონალიზმის, თუ უბრალოდ, ეს მიმდინარეობა ციინიკურად გამოიყენა პრუსიის დიდებისთვის. ამ მდგომარეობიდან ევროპის გაერთიანების იდეა ბისმარკს სასაცილოდ ეჩვენებოდა. ევროპა მისთვის იყო იმ ისტორიის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოებს შორის არსებული ქიშპობის, ამასთანავე, ჰარმონიული ურთიერთობების ტრადიციულ სურათს წარმოადგენდა. ამ დიდმა გერმანელმა მოღვაწემ 1871წ. ქვეყანას აარიდა შესაძლო საომარი ვითარება.

ბისმარკის თვალთახედვით, ევროპა არ იყო სამართლიანი კავშირი. გერმანიის კანცლერს სწამდა, რომ სამართალი მოდის არა მორალისგან ან სასამართლოსგან, არამედ ხელშეკრულებებისგან, რომლებიც ხშირად თვითონ წარმოადგენენ ძალისხმევის საბოლოო შედეგს.

პროტექციონიზმის გამარჯვება. ბისმარკი არ იყო თეორეტიკოსი, თუმცა საკუთარი თეორია გააჩნდა, რითაც თავისუფალი ვაჭრობის გაუქმებას ასაბუთებდა. 1841წ. ფრიდრიხ ლისტმა გამოაქვეყნა მისი: *ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული სისტემა.* მისი აზრით, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკა კოსმოპოლიტურია.

ბისმარკი დარწმუნებულია, თითქოსდა ადამიანები გაერთიანებულნი იყვნენ ერთ დიდ საზოგადოებაში, სადაც ომი უნდა დასრულებულიყო. ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან

ერი მთავარ როლს თამაშობს „პროდუქტიული ძალების“ განვითარებაში.

ბისმარკის აზრით, „პოლიტიკური თუ ნაციონალური ეკონომიკა“, რომლის ამოსავალი წერტილია ეროვნულობა, არსებულ მსოფლიო ვითარებაში მოცემულ სახელმწიფოს ასწავლის, როგორ შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა.“ აქედან გაჩნდა აზრი, რომ თუ ქვეყანას სურს, თავი დაიცვას წარმატებული წარმოების მქონე სახელმწიფოს კონკურენციისგან, პროტექციონისტი უნდა გახდეს. ასეთია აშშ-ის პოზიცია, რომელსაც ლისტი დიდი ინტერესით იკვლევს. ლიბერალური ეკონომიკისა და ლისტის ნაციონალური ეკონომიკის იდეების ჭიდილში, გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებს ნაციონალური ეკონომიკა XIX საუკუნის ბოლოს. ევროპისთვის ეს გამარჯვება საბედისწერო დარტყმაა, რომლის შედეგების გაზვიადება შეუძლებელია.

IV. ევროპა და სიცოცხლის გახანგრძლივება

ადამიანთა სიცოცხლისადმი სწრაფვა უსაზღვროა. პირველყოფილი წყობილების ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება მეტად მწირი იყო სხვადასხვა ვითარებაში: ბუნებრივი კატასტროფები (იგულისხმება გამყინვარება, წყალდიდობა, გვალვა), დაავადებები, მაშინ როცა მედიცინა თითქმის არ არსებობდა, შიმშილობა, ძალადობა და ომი. ბუნებრივია, კაცობრიობა ამ კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლას დღესაც არ წყვეტს. სოფლის მეურნეობის ნელი პროგრესი, ირიგაცია, ჯიშების სელექცია, განაყოფიერება და ყამირის ათვისება, შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას იძლევა. გამოცდილებაზე აგებული მედიცინა ამარცხებს ზოგიერთ დაავადებას. და ბოლოს პოლიტიკური პასუხისმგებლები ომის წინააღმდეგ ყოველთვის გამონახავენ რაიმე საშუალებებს.

მეცნიერული გამოცდილება და სიცოცხლის ხანგრძლივობა. მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებულმა საწარ-

მოო რევოლუციამ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწია, ვიდრე კაცობრიობის არსებობის დანარჩენ პერიოდში. მეცნიერული მიღწევის რიცხვი განსაკუთრებით მაღალი იყო ევროპაში. ამ ეპოქის მთავარი მონაპოვარი არის სიცოცხლის იმედი, რომელიც გაჩნდა შობადობის მომატებასთან ერთად. შობადობა და სიკვდილიანობა, ორივე ერთნაირად საინტერესოა ჩვენთვის. 1740წ. ინგლისში შობადობის პროცენტი იყო 39,2, სიკვდილიანობის — 38,5. 1880 წ. შობადობა ოდნავ ეცემა და შეადგენს 38,4 %, ხოლო სიკვდილიანობა 27,1 %-ს. ყველა ქვეყანაში ჩატარდა მსგავსი აღრიცხვა, თუმცა მაინც ძნელია შობადობის და სიკვდილიანობის რაოდენობის დადგენა მთელი ევროპის მაშტაბით. საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც შობადობის რიცხვი სიკვდილიანობის რიცხვზე დაბლა დაეცა 1930 წ; ამის მიზეზი იყო მოსახლეობის დაბერება. მოგვიანებით იგივე მდგომარეობა ვითარდება მთელს ევროპაში.

1857 წ. ესპანეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს თხუთმეტ ნახევარ მილიონს, 1920წ. — ოცდაერთ მილიონ სამასი ათასს. ამ შუალედში შობადობამ 36 %-დან 29,3 %-მდე დაიკლო, სიკვდილიანობა 31 %-დან 23%-მდე დაეცა. 1715 წლიდან დასავლეთ ევროპა გლობალურ შიმშილს აღარ განიცდის, რასაც ვერ ვიტყვით, ირლანდიაზე, რომელმაც საშინელი შიმშილობის პერიოდი გამოიარა 1846-1848 წლებში. 1796 წ. ინგლისელმა ჯენერმა აღმოაჩინა ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომლის გავრცელებამ ხელი შეუწყო სნეულებების, აქედან გამომდინარე, სიკვდილიანობის შემცირებას. ადამიანთა 10 % (30 % ერთიდან-ოთხ წლამდე ბავშვებში) ყვავილის დაავადებით იხოცებოდა. აღნიშნული ვითარება მშვენივრად აქვს გადმოცემული ჟაკლინ ბოჟე-გარნიეს თავის ნაწარმოებში (*მოსახლეობის გეოგრაფია*): „ვაქცინების აღმოჩენამ, პასტორის კვლევებმა შესაძლებელი გახადა ახალი სიცოცხლის შენარჩუნება. 1888წ. დაარსდა პასტორის ინსტიტუტი. პარალელურად უკან იხევს სენი და სიკვდილი. ინგლისში 1870წ. მუცლის ტიფით გამოწვეული სიკვდილის ხუთი ათას რვა-

ასი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელიც 1906 წ. ორი ათას ოცდაცხრამეტამდე შემცირდა. იტალიაში, 1887-1829წ.წ.-დან 1949 წ.-მდე ტუბერკულიოზის მიზეზით სიკვდილიანობის პროცენტმა ორი ათას სამოცდაერთიდან ოთხას ოთხმოცდათორმეტამდე დაიწია ერთ მილიონ მცხოვრებზე, მალარიის შემთხვევამ — ხუთას სამოცდაორიდან ორამდე, სხვა ინფექციური დაავადებები სამი ათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი შემთხვევიდან სამი ათას ოთხმოცდასამ შემთხვევამდე შემცირდა...“ და პირიქით, სიკვდილიანობის რიცხვი იმატებს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების და კიბოს გამო, ე.ი. იმ სნეულებათა მიზეზით, რომელიც ორგანიზმის დაუძლურებასთან არის დაკავშირებული. არც თუ ისე შორეულ წარსულში აღმოჩენილი ანტიბიოტიკების საშუალებით, საგრძნობლად იკლო სიკვდილიანობის მაჩვენებელმა. 1860 წ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საფრანგეთში იყო ორმოცი წელი, რომელიც 1913 წ. ორმოცდაათამდე გაიზარდა, 1938 წ. იყო ორმოცდათექვსმეტი წელი, ხოლო 1950 წ. — უკვე სამოცდაექვსი.

ყველა ეს სამედიცინო წარმატება ნაკლებ ეფექტური იქნებოდა, გაცილებით ნელა გავრცელდებოდა და შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევაში, ამაო გამომდგარიყო, რომ არ მოყოლოდა მას განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრესი, რომელიც ფართოდ გავრცელდა მთელს ევროპაში. განათლების, ტრანსპორტის განვითარება და ვაჭრობისთვის შეღავათიანი პირობების ზრდა თავის როლს ასრულებს სამედიცინო აღმოჩენების განზოგადებასა და გავრცელებაში. 1861-1881 წწ-ში, უწიგნურთა რიცხვი 13%-მდე დავიდა ჩრდილოეთ იტალიაში.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მიანც არის *ცხოვრების მაღალი დონე*. სასოფლო-სამეურნეო მიღწევების და აქედან გამომდინარე, სხვა წარმატებების დახმარებით, შესაძლებელი გახდა საშუალო ასაკის ევროპელის ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება. ზოგიერთი დაკვირვების საფუძველზე,შესაძლებელია დაახლოებით განვსაზღვროთ ეს ციფრი:

– ეგვიპტის ფარაონის ეპოქის დასასრულს – ოთხმოცწელზე ოდნავ ნაკლები;
– XIII საუკუნის უნგრეთში – ოცდაშვიდი წელი;
– შვედეთში სიცოცხლის ხანგრძლივობა იყო:
ა) 1751-1815 წლებში 33-35 წელი კაცებში და 36-64 ქალებში.
ბ) 1791-1815 წლებში 33-35 წელი კაცებში და 38-44 ქალებში.

შედარებისთვის ევროპის ამ მონაცემებს დავუმატოთ, რამდენიმე ციფრი არა ევროპული ქვეყნებიდან:

– 1955 წ. ალჟირში, სიცოცხლის ხანგრძლივობა იყო ორმოცდახუთი წელი (რაც საფრანგეთის 1900 წლის მონაცემს ემთხვევა).
– გვინეაში (ყოფილი ფრანგული კოლონია) ოცდაათიდან ოცდათერთმეტ წლამდე ქვეყნის შიგნით, ოცდათხუთმეტიდან ოცდათერთმეტამდე ქალაქში.
– მთელ აფრიკაში იყო ორმოცი წელი.
– კორეაში 1926-1930 წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობა არის 32 კაცებში და 34 ქალებში.
– განვითრებული მრეწველობის იაპონიაში: 1925-1930 წლებში ორმოცდახუთი წელი, მაგრამ 1948 წ. ორმოცდაათი წელი, 1956 წ. = 67 კაცებში და 70 წელი ქალებში.
– ჩინეთში 1938-1940 წლებში = 41 კაცებში და 45 წელი ქალებში.

ევროპის მოსახლეობის ზრდა. საერთო ჯამში, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ევროპის მოსახლეობის გლობალური ზრდა. 1789 წ. ევროპაში, რომელშიც რუსეთი არ შედის, ცხოვრობს 141 მილიონი ადამიანი, 1955 წ. – უკვე 396 მილიონი. ევროპის საერთო ფართობი შეადგენს კონტინენტის 3,8 %-ს, სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 16,2%. 1850-1900 წ.წ-ში ევროპის მოსახლეობის ზრდა არის 9.9% წელიწადში, მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით– 65%.

XIV საუკუნის დასაწყისში სხვა ქვეყნების შობადობის მომატების ფონზე ევროპის წინსვლა შეუმჩნეველია.

1800 წ. ევროპის მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის მეხუთედს. 1950 წ. კი თითქმის – მეექვსედს.

ევროპა, ემიგრაციის მიწა. მუშათა კლასის სიღარიბის და XIX საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლების ერთ-ერთი შედეგი იყო უზარმაზარი ევროპული ემიგრაცია. 1815-1914 წლებში 50 მილიონი ადამიანი ოკეანეს იქით გადასახლდა და აქ შექმნა ახალი ევროპული სამყარო. მათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია აშშ, რომელმაც 32 მილიონი ადამიანი შეიფარა. ამერიკის შემდეგ მოდის კანადა 4,5 მილიონით, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ასევე ბრაზილია 4,6 მილიონით და არგენტინა 6 მილიონით.

ემიგრაციაში წავიდნენ შემდეგი ქვეყნების მცხოვრებნი:

დიდი ბრიტანეთი და ირლანდია	17 მილიონი
გერმანი	10 მილიონი
იტალია	9,5 მილიონი
ბალკანეთის და დანიის ევროპული ნაწილი	4,5 მილიონი
ესპანეთი	4,4 მილიონი
სკანდინავია	2 მილიონი
ბელგია, ნიდერლანდები	0,5 მილიონი

ამ მსვლელობაში არ მონაწილეობს მხოლოდ საფრანგეთი. ფრანგული ემიგრაციის ერთადერთი მიზანი მიმართულია ალჟირისკენ, სადაც, სხვათა შორის, ჩამოდიან იტალიელებიც, მალტელები და განსაკუთრებით, ესპანელები, რომლებიც აფრიკის მიწაზე სახლდებიან და საფრანგეთის მოქალაქეები ხდებიან.

წლიური ზრდის პროცენტი 1850-1900 წლებში:	
ევროპა	9,1 %
მსოფლიო	6,5 %

მოსახლეობის მზარდი პროგრესია 1930-1950 წლებში:

ევროპა	22 %
აზია	28 %
აშშ კანადა	44 %
აფრიკა	46 %
ლათინური ამერიკა	76 %

V. დეკორის მეორე მხარე: პროლეტარიატი

ჩვენი მიზანია, ამ წიგნში განვიხილოთ ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს ევროპული საზოგადოების თავისებურების განმტკიცებას. მაგალითად, საწარმოო რევოლუცია, რომელიც თავიდან წმინდა ევროპული მოვლენა იყო, ხოლო 1914წ. მთელს ევროპაში განვითარდა.

საწარმოო რევოლუციის მიზანია დედამიწის ზედაპირის ტრანსფორმაცია და *საერთო გამდიდრების,* სიცოცხლის ხანგრძლივობის, მეტი კომფორტის მიღწევა.

მუშათა მოძრაობის ზოგადი მიმოხილვა. სხვა საკაცობრიო მოვლენებთან შედარებით, ეს მოძრაობა განსხვავებულად ვითარდება:

1) აძლიერებს ევროპის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ უპირატესობას მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე, რომლებიც ამის გამო ძალიან იტანჯებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიული საკითხი უკვე განვიხილეთ, კვლავ ვუბრუნდებით მას.

2) იწვევს სოციალურ გარდაქმნას და ანგრევს საწარმოო პირობებს.

გარდაქმნის შედეგად წარმოიშვება ახალი კლასი, რომელსაც შეიძლება *პროლეტარიატი* ეწოდოს. როგორც ასი წლის წინ აღნიშნა მარქსმა, პროლეტარიატი წარმოადგენს იმ ადამიანების ჯგუფს, რომელსაც საკუთარი „სამუშაო ძალის" გარდა, სხვა არაფერი გააჩნია.

ეს იმას ნიშნავს, რომ XIX საუკუნეში არსებული პრო-

ლეტარიატი, რომელიც აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობს, გაქრება მაშინვე, როგორც კი გაჩნდება ავადმყოფობის, წარმოებაში უბედური შემთხვევის, უმუშევრობის, სიბერის, ასევე საარსებო მინიმუმის, სამუშაო საათების შეზღუდვის, შვებულების, ხელშეკრულებითი თუ საკანონმდებლო გარანტიები. არასწორად ხომ არ იხმარეს სიტყვა პროლეტარიატი წვრილ დაქირავებულ მუშათა უზარმაზარი საზოგადოების აღსანიშნად.

3) პროლეტარები არიან *შემოქმედებითი ნიჭით* ადამიანები. „ველური კაპიტალიზმი" ყველანაირ უფლებას არღვევდა — არასაკმარისი ხელფასი, რომელიც მხოლოდ არსებობის საშუალებას იძლეოდა, სამუშაოს დამქანცველი ხანგრძლივობა, ადრეულ ასაკში ბავშვების დასაქმება, უბედური შემთხვევისგან დაუცველობა, აბსოლუტური სიღატაკისთვის განწირული მოხუცები, ხეიბრები, ავადმყოფები, უმუშევრები, რომელთა გადარჩენაც მხოლოდ კერძო ან სახალხო ქველმოქმედებას შეეძლო.

ასეთ მდგომარეობას თავიდან ცდის საშუალებით, თანდათან გააზრებულად და ორგანიზებულად, დაუპირისპირდა ე.წ. *მუშათა მოძრაობა.*

4) ამავე დროს, ტრადიციულ სიღარიბეზე ბევრად სისტემატიური ახალი სიღატაკის წარმოშობით შეძრწუნებულმა ინტელიგენციამ და სახელოვანმა მოქალაქეებმა გამოიგონეს ეკონომიკურ-სოციალური სისტემა, უკიდურესად ცვალებადი სახეებით, რომელსაც შეიძლება სამართლიანად ეწოდოს სოციალიზმი. საქმე ეხებოდა აბსოლუტური ლიბერალიზმის შეჩერებას ძირითადად, ორი მეთოდის გამოყენებით: *კავშირი* (რომელმაც წარმოქმნა ურთიერთდახმარების საზოგადოებები, კოოპერატივები, პროფკავშირები და ა.შ.) და *კანონმდებლობა:* საზოგადოებრივი კანონების კენჭისყრა, მაშასადამე სახელმწიფო მექანიზმის ინტერვენცია. სახელმწიფო ხან დათმობაზე მიდის ძალადობის თავიდან აცილების და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზნით, ხან ძალას იყენებს არჩეულ პარლამენტში მუშათა მხარდამჭერი ჯგუფების წინააღმდეგ,

რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოვლენ ასპარეზზე.

5) თავიდან, 1830 წ. სოციალიზმი იყო უტოპიური და რომანტიკული ცნება, რომელიც 1850 წლიდან *რეალისტური, რაციონალისტური და რეფორმისტული* ხდება, ისეთი ადამიანების ხელშეწყობით, როგორიცაა პრუდონი საფრანგეთში, ლასალი გერმანიაში და ინგლისელ სოციალისტთა უმრავლესობა. და ბოლოს, რეფორმისტული სოციალიზმის გვერდით, ჩნდება რევოლუციური სოციალიზმი, რომლის ძირითადი მიმდინარეობა არის მარქსიზმი.

6) პროლეტარების, მათი აზრით, თანდათანობით მიღწეული წარმატებები თარიღდება 1880 წ-ის შემდეგ, როცა *მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი ერთმანეთს უახლოვდება და, უფრო მეტიც, ერთიანდება.*

სოციალისტები ძირითადად, იყოფიან რეფორმისტებად, რომლებიც გაბატონებულნი არიან დიდ ბრიტანეთში და მარქსისტებად. ეს უკანასკნელნი ჭარბობენ გერმანიაში: გერმანულ პარტიას ქვია სოციალ-დემოკრატები. ხანდახან ორივე მიმდინარეობას თანაბარი ძალა გააჩნია; მაგალითად, საფრანგეთში 1905 წ. მოხდა ჟან ჟორესის რეფორმისტული და იულეს გესდეს მარტივი მარქსისტული მიმართულებების გაერთიანება.

პროლეტარიატის ჩამოყალიბება. კორპორაციების დაშლა. საუბარი არ გვექნება ევროპის კოლონისტურ სახელმწიფოებზე, რომლებიც ამ გაერთიანებული ქვეყნის შეიარაღების სრული უპირატესობის გამო, იძულებულნი არიან აიტანონ ხანდახან მეტისმეტად უხეში დამოკიდებულება. ვენის კონგრესმა ზანგებით ვაჭრობა, რა თქმა უნდა, აკრძალა (1815).

1833 წ. მონობა გაუქმდა დიდ ბრიტანეთში, 1848 წ. საფრანგეთის კოლონიებში, 1862-1865 წ. მთელს აშშ-ში. მიუხედავად ამისა, დაპყრობილი ქვეყნების ექსპლუატაცია სხვა ფორმით მაინც გრძელდება და მატერიალური წინს-

ვლა (გზები, პორტები, მედიცინა, რამდენიმე სკოლა) ვერ აანაზღაურებს ბატონობით გამოწვეულ დამცირებას.

სწორედ ევროპაში მოგვიწევს დეკორის მეორე მხარის შესწავლა. რა თქმა უნდა, ადამიანთა შრომა ორგანიზებული იყო. ადრეულ შუა საუკუნეებში პროფესიის მიხედვით, ჩამოყალიბებული იყო კორპორაციები და გილდიები, რომელთაც ქონდათ საკუთარი წესდება, რის მიხედვითაც ერთ ჯგუფში აერთიანებდნენ ოსტატს, ქარგალს და შეგირდს. ზოგიერთი პროფესია სხვებზე („ნაფიცი ოსტატები") მეტად იყო ორგანიზებული. ისინი ხშირად სარგებლობდნენ სახელმწიფოს, ან კომუნის განსაკუთრებული უფლებებით და პროტექციით, წესდებისა და პრივილეგიების საკითხში. პრინციპში,თუ *ქარგალი* სანიმუშო ნაწარმის შექმნით სახელს გაითქვამდა, შეეძლო გამხდარიყო ოსტატი.

XVIII ს-ში პირველადი კაპიტალის დაგროვებამ გაართულა აღმასვლის პროცესი. პატრონი სოციალურად თანდათან დაშორდა თავის მუშებს. XVIII ს-ში ჯერ კიდევ იშვიათი კონცენტრაცია, რომელიც მანუფაქტურების, ქარხნების შექმნით დამთავრდა, ჰყოფდა ბურჟუაზიულ პატრონატს მუშათა სოციალური ჯგუფისგან, უფრო მეტად გამოყოფდა.

კოალიცია და გაფიცვა. აღმავლობის გზაზე მდგომი ბურჟუაზია გამოხატავდა რევოლუციონისტურ იდეებს, რომელიც „შრომის თავისუფლებას" მოითხოვდა და ბოლოს დამთავრდა კორპორაციების და გილდიების დაშლით. ადამიანთა უფლებების დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანი, რასაკვირველია, „თავისუფალი და თანაბარუფლებიანია", თუმცა სინამდვილეში ასე არ იყო. კორპორაციათა გაუქმებამ გამოიწვია *კუალიციათა* აკრძალვა, მფლობელთა დაჯგუფება ცდილობდა თავისი ფასის დაწესებას, ხოლო მუშათა დაჯგუფებები მთელი ძალით იცავდნენ თავიანთ ინტერესებს და აწყობდნენ გაფიცვებს.

ეს მდგომარეობა საფრანგეთში მოწესრიგდა საკონსტიტუციო ასამბლეის მიერ მიღებული ე.წ. „მეტუდის კანონით" (1791 წ. ივნისი), რომელიც სისხლის სამართლის კოდექ-

სში შეიტანეს (431, 432 და 433 მუხლით). ინგლისში, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა კორპორაციები (*Statute of Artifisers*), 1800-1801 წლებში მიღებული კანონებით აიკრძალა კოალიციები (*Combination Acts*). პრუსიაში, ვესტფალიის ყოფილ სამეფოში მიღებულ იქნა ფრანგული სისტემა. ფრანგების წამოსვლის შემდეგ დაარსდა გილდიები (*Zunft, Körperschaft*), რომელიც 1845-1848 წლებამდე არსებობდა. მხოლოდ 1849 წ. ყველა ადამიანს მიეცა სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება.

ადამიანთა მცირე ჯგუფისგან შემდგარ მეწარმეთა კოალიციას, რა თქმა უნდა, გაბედულად შეეძლო ემოქმედა არალეგალურად. საკმაოდ ძნელი იყო მუშათა კუალიციის შექმნა, რომელშიც ხანდახან უამრავი ადამიანი იყო გაერთიანებული. ასეთი ორგანიზაციები სასტიკად ისჯებოდა. პირველი ისტორიული სიდიდის მოვლენა, რომელსაც მუშათა მოძრაობას უწოდებენ, მდგომარეობდა საშიში გაფიცვების და კუალიციათა *მოწყობაში.* დიდ ბრიტანეთში *Combination Acts* გაუქმდა 1824-1825 წლებში. ამრიგად, გაფიცვა ხდება კანონიერი უზარმაზარი მოთმინების ფასად, რომელსაც თარდათანობით ანადგურებს მუშათა მოძრაობა. 1864წ. ნაპოლონ III საფრანგეთში გამოსცა კანონი, რომელიც კოალიციის უფლებებს იცავდა.

მუშათა კლასი „ველური კაპიტალიზმის" პირისპირ. მუშათა საზოგადოებების,პროფკავშირების (*Trade Unions*) მიერ ორგანიზებული კუალიციის და გაფიცვის შესწავლამდე, უნდა გავიხსენოთ, როგორ გაჩნდა საწარმოო პროლეტარიატი. წარმოების მზარდი განვითარებისთვის აუცილებელი ხდება მუშახელი.

სოფელში, თითქმის სიღარიბეში ცხოვრობს მიწათმოქმედი მუშების გარკვეული რაოდენობა, რომელსაც მიწის უმნიშვნელო ნაკვეთი გააჩნია და ურჩევნია, თანაც ჰგონია, რომ ქალაქში უკეთესი სასიცოცხლო პირობები ექნება. მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა ხელს უწყობს ახალი კონტიგენტის აყვანას. თუმცა დაუცველი, არაორგანიზებული, მეტისმეტად მრავალრიცხოვანი, ნიადაგგამოცლილი

მუშები იძულებულნი არიან მეპატრონის ნებისმიერ პირობებზე დათანხმდნენ. კარლ მარქსის თანახმად, ნამდვილი პროლეტარი არის ის ადამიანი, რომელსაც მხოლოდ სამუშაო ძალა გააჩნია. პატრონი ამ ძალას ყიდულობს რაც შეიძლება იაფად, ხელქვეითის სიკვდილამდე, რადგან მუშახელი დიდ საჭიროებას წარმოადგენს. პოტენციურ მუშათა სიმრავლე — „პროლეტარიატის სათადარიგო არმია" — პატრონს საშუალებას აძლევს, დააწესოს ყველაზე დაბალი ხელფასები. ამგვარად, მუშათა უფლებები საშინლად ირღვევა ინგლისში, შემდეგ საფრანგეთსა და ბელგიაში, მერე ჩრ. იტალიასა და გერმანიაში, რაც გამოიხატება: თხუთმეტსაათიანი სამუშაო დღის დაწესებით, ხუთი წლის ბავშვების შრომით, სამუშაოზე უბედური შემთხვევის წინააღმდეგ დაუცველობით, სიბერეში პენსიის უქონლობით.

1850 წ. დიდ ბრიტანეთში მიაჩნიათ, რომ მუშის ბიუჯეტის 60% ხმარდება კვებას, რომელშიც წამყვანი ადგილი უჭირავს პურს, 29% — საცხოვრებელ ადგილს, 10% — ჩასაცმელს, 10% — დანარჩენს. კვირაში ერთი დღე ქონდათ დასვენება, შვებულება საერთოდ არ ეძლეოდათ. მუშები ცხოვრობდნენ სამუშაოდან ძალიან დაშორებულ, ენითაუწერელ ქოხმახებში (ინგლისურ *slums*-ში, საფრანგეთის ჩრდილოეთში — *Courées*-ში და ა.შ.), საიდანაც ხშირად ფეხით უხდებოდათ სიარული. დისციპლინა იყო უმკაცრესი. პატრონის ნება-სურვილზე სამსახურიდან ათავისუფლებდნენ. მაშინ მხოლოდ ადამიანური გულმოწყალების იმედით არსებობდენენ. ამ ვითარების შესახებ ბევრი რამ არაერთხელ დაიწერა, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით. ადვილი მისახვედრია, რომ მთელს ევროპაში დაგროვილი პროლეტარიატის უზარმაზარი გასაჭირი, ექსპლუატატორების მიმართ ღვარძლი და სიძულვილი, ხშირად ძალმომრეობის ფორმას ღებულობს და ძლიერი ორგანიზაციის ჩამოყალიბებით მთავრდება.

ინგლისური ტრედ-უნიონი. მუშების მცირე ჯგუფმა თავიდან ფარულად, შემდეგ კი ლეგალურად მოახერხეს თავიანთი ძალების ორგანიზება. ინგლისმა მთელს მსოფ-

ლიოს მისცა მაგალითი. ჯერ შექმნა ურთიერთდახმარების საზოგადოებები (*Friendly Societies)*, რომელსაც 1815 წ. უკვე მილიონი, ხოლო 1872 წ. ოთხი მილიონი მხარდამჭერი ჰყავდა. მაგრამ საბრძოლო ორგანოს პროფკავშირი წარმოადგენდა, რომელსაც ინგლისში ტრედ-უნიონი ეწოდებოდა. კუალიციათა შესახებ კანონის გაუქმებამდე ინგლისში სულ რამდენიმე პროფკავშირი არსებობდა. 1845წ. მათი რიცხვი გაიზარდა და უკვე ასი ათასი მომხრე ჰყავდა, რომლებსაც მხოლოდ კვალიფიცირებული მუშები წარმოადგენდნენ (მაგ. მექანიკოსები). 1868 წ. ბრიტანეთის პროფკავშირები ერთ ორგანოდ ყალიბდება,რომელსაც *Trade Union Congress* (TUC) ეწოდება. ამ დროს ქვეყანას ჰყავს ას თვრამეტი ათასი პროფკავშირელი, რომელთა რიცხვი ორ წელიწადში შვიდასოცდათხუთმეტ ათასამდე აღწევს და ისევ ეცემა. თუმცა 1889 წ. სინდიკალიზმი ვრცელდება არაკვალიფიცირებულ მუშათა კლასში, შავ მუშებში (*Unsrilled Workers*). კვალიფიცირებულ მუშათა „ძველი უნიონიზმი" ბურჟუაზიის შემადგენელი კონსერვატორული და განსაკუთრებით, ლიბერალური ნაწილის კავშირს წარმოადგენდა (ლაპარაკი იყო *lib-lab*-ზე, სადაც ლიბ = ლიბერალს, ხოლო ლაბ = სამუშაოს); მისგან განსხვავებით, ახალი *კავშირები* მეთოდურად იბრძვის მინიმალური ხელფასის, რვასაათიანი სამუშაო დღის მოსაპოვებლად: „*Eight hours work, eight hours play, eight hours sleep and eight bobs a day*" (რვა საათი სამუშაო, რვა საათი დასვენება, რვა საათი ძილი და დღეში რვა შილინგი).

მიუხედავად ამისა, ეს მაინც არის რევოლუციონერების მხოლოდ მოწინავე ნაწილი. 1891 წ. პროფკავშირელთა რაოდენობა 1,6 მილიონს აღწევდა, რომელიც 1914 წ. 4 მილიონზე ადის.

პროფკავშირული პალატები საფრანგეთში. საფრანგეთის მუშათა კლასი ინგლისისაზე გაცილებით ძლიერი იყო. მისი მხარდაჭერით მოეწყო 1830 წლის რევოლუცია, ოცდაათიანი წლების მრავალი სისხლიანი დღე, 1848 წლის თებერვლის რევოლუცია. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო

1831 წ. 31 ნოემბერს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშების აჯანყება. საქმე გვაქვს უკვე არა დემოკრატიულ ან პოლიტიკურ მოვლენასთან, არამედ სუფთა „სოციალური" ხასიათის რევოლუციასთან. 1848 წ. ივნისის დღეებშიც მოეწყო მუშათა გამოსვლები, რომელმაც ოთხი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, განსაკუთრებით, ბევრი მსხვერპლი მოყვა 1871 წლის პარიზის კომუნას, სადაც შვიდი ათასი ადამიანი დაიხოცა.

მიუხედავად ამისა, მხოლოდ 1867 წ. ჩნდება ე.წ. „პროფკავშირული პალატები". ლონდონის 1862 წლის გამოფენაზე გაგზავნილი იქნა მუშათა ორასკაციანი დელეგაცია, რომლებიც *ტრედ-უნიონით* აღტაცებულნი დარჩნენ და ქვეყანაში აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ. მათ საფრანგეთის მთავრობას სთხოვეს პროფკავშირების შემოღება. 1868 წ. 31 მარტს იმპერატორი აქვეყნებს ცირკულარულ წერილს, რის თანახმადაც იქმნება პროფკავშირული პალატა (ამ დროისთვის პარიზში არსებობს ოთხმოცი პროფკავშირული პალატა).

1869 წ. საფრანგეთში შეიქმნა პროფკავშირული პალატები, გაიზარდა პროფესიათა რაოდენობა, რამაც ხელი შეუწყო ეროვნული გაერთიანებების წარმოშობას. ეჟენ ვერლენი იყო იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე აქტივისტი მუშაკი, რომელიც წიგნის ამკინძავად მუშაობდა. მან ფედერაციათა ფედერაციის ჩამოყალიბება სცადა, მაგრამ ომმა, პარიზის კომუნამ, სადაც იგი დაიღუპა (1871), ეს პროექტი ჩააგდო. 1884 წ. მიღებულმა კანონმა დაამტკიცა პროფკავშირული თავისუფლება. 1895 წ. იქმნება შრომის საერთო კონფედერაცია (CGT), ხოლო 1919 წ. – ქრისტიან მუშათა საფრანგეთის პროფკავშირული კონფედერაცია (CFTC)! თუმცა 1914 წ. მხოლოდ ექვსასი ათასი პროფკავშირელი მოდიოდა ათ მილიონ უმუშევარზე, რომელთაგან ნახევარი მრეწველობის მუშაკი იყო.

გერმანული სინდიკალიზმი. გერმანიაში 1907 წ. თხუთმეტ მილიონამდე უმუშევარი ადამიანი ცხოვრობდა, რომელთაგან 8,64 მილიონი მრეწველობის მუშაკი იყო. დიდი სო-

ციოლოგი ვერნერ სომბარი თვლის, რომ გერმანელების 67-68 % პროლეტარიატს ეკუთვნის, თუმცა ეს მართალი არ იქნება, თუ მარქსის ზემოთ მოყვანილ მეტისმეტად შემზღუდველ დეფინიციას დავეყრდნობით. პირველი გერმანული პროფკავშირები საქსონიაში ჩნდება 1860 წლის შემდეგ. თუმცა უკვე არსებობდა მრავალი ურთიერთდახმარების საზოგადოება (*Knoppschaften*). ვითარდება თავისუფალი, სოციალისტური პროფკავშირები, ქრისტიანული –ზოგი კათოლიკური, ზოგიც პროტესტანტული – პროფკავშირები და კიდევ სხვა ორგანიზაციები. ბისმარკი სოციალიტური პროფკავშირის წინააღმდეგი იყო, ამის მიუხედავად, 1890 წ. გერმანიაში სამასი ათასი პროფკავშირელი არსებობდა, რომელმაც შექმნა გერმანიის საერთო პროფკავშირული კონფედერაცია (ADGB), სადაც 1913 წ. 2,5 მილიონი ადამიანი იყო გაერთიანებული, მანამდე არსებობდა კათოლიკური პროფკავშირი (რვაას თოთხმეტი ათასი წევრით) და ავტონომიური პროფკავშირი (შვიდას სამოცდა ხუთი ათასი წევრით). მაშასადამე, გერმანიას ჰყავდა 4 მილიონი პროფკავშირის წევრი, რაც შვიდჯერ აღემატებოდა საფრანგეთის პროფკავშირელთა რაოდენობას. მუშათა მოძრაობის ყველაზე კონკრეტული და ეფექტური გამოხატულებაა სინდიკალიზმი, რომელიც გარკვეულ შედეგებს აღწევს და მთელი ნიუანსებით მასიურად იყენებს მთავარ იარაღს – გაფიცვას: ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობრივი თანაფარდობა, გაფიცვის, რეპრესიის მეტნაკლებად მკაცრი ხასიათი, მანიფესტაციებისა და პროცესიების მასშტაბი და ა.შ. პროფკავშირის ბევრი წარმატება და მარცხი დაკავშირებულია მის შესაძლებლობასთან, რაც გულისხმობს პროფკავშირის მხრიდან გაფიცულ მუშებზე თანხის გაცემას, რომელიც ამ უკანასკნელთ უხელფასობის პერიოდში არსებობის საშუალებას აძლევს. პროფკავშირის ამგვარი ქმედება *სოციალურ* ხასიათს ატარებს და შეეხება *შრომით მორიგებას* – საწარმოს ან პროფესიული განყოფილების მხრიდან – ასევე გულისხმობს კოლექტიურ ხელშეკრულებების დადებას. დაახლოებით იმავე პერიოდში ევროპაში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა, სოციალიზმი, რომელიც

მუშათა მოძრაობას შეუერთდა. მას შემდეგ, მუშათა მოძრაობის პოლიტიკური ეფექტურობა აშკარა გახდა.

სოციალური და სოციალიზმი. 1830-1832 წ.-ში სიტყვებმა „სოციალური" და „სოციალისტი" მთლიანად შეიცვალეს თავიანთი მნიშვნელობა. ეს იყო ევროპული რევოლუციის ერთ-ერთი ფაზა: საფრანგეთში, ბელგიაში, პოლონეთში, გერმანიაში, იტალიასა და ინგლისში ადგილი ჰქონდა ძლიერ გამოსვლებს; მათ ჩასაცხრობად 1832 წელს შემოიღეს საარჩევნო რეფორმა. ინგლისელი ისტორიკოსი ქობენიც ადასტურებს ამ ფაქტს, როცა ამბობს, რომ დროზე მიღებული ზომების გამო „რევოლუცია არ შედგა".

დაძაბული ვითარება შეიქმნა მაშინ, როცა აღმოაჩინეს ტრადიციული სიღარიბესგან განსხვავებული წარმოების ახალი პროლეტარიატის უბედურება, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ხალხი გრძნობს ახალ პრობლემას და გამოსავალს ეძებს. ის იყენებს სიტყვა „სოციალურს" არატრადიციული მნიშვნელობით: „რომელიც ძველი საზოგადოების" დაცვას გულისხმობს, არამედ ახალი მნიშვნელობით: „რომელსაც სურს არსებული საზოგადოების გარდაქმნა," რათა უზრუნველყოს, სენ-სიმონის თანახმად (რო- „ყველაზე მრავალრიცხოვანი და ღარიბი კლასის" ბედის გაუმჯობესება. სოციალისტი, რომელიც დაახლოებით ტრადიციონალისტად, ე.ი. საფრანგეთში როიალისტად ითვლებოდა, ამიერიდან „სოციალურ რეფორმატორს" აღნიშნავს.

სიტყვა *სოციალიზმი* ახალი მნიშვნელობით პირველად ინგლისში იხმარა რეფორმატორმა რობერ ოუვენმა 1830-1931 წ.ში; „სოციალიზმი" — საფრანგეთში პიერ ლერუმ 1831-1832 წ.-ში; გერმანული სიტყვა *sozialismus* ასევე გვხვდება 1831-1832 წ-ში. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მოაზროვნე, არც სენ-სიმონი (გარდაიცვალა 1825) და არც შარლ ფურიე (გარდაიცვალა 1837) სიტყვა „სოციალიზმს" არ იყენებს თავიანთი თეორიების გამოსახატავად.

1840 წლიდან ამ ტერმინის წარმატება გარანტირებულია.

სიტყვა *სოციალური* უპირისპირდება სიტყვას *პოლიტიკური*, იმ შინაარსით, რომ სოციალური გულისხმობს ცხოვრების დონეზე ეკონომიკურად ზრუნვას.

ხან გამთანასწორებელი, ხანაც კოლექტივისტური სოციალიზმი ხდება თვით საწარმოო ბურჟუაზიის მტერი და ბევრი გლეხი უპირისპირდება იმას, რასაც ეს უკანასკნელი „გამანაწილებელს" უწოდებს.

რომანტიკული თუ უტოპიური სოციალიზმი. „რომანტიკული" უწოდეს დაახლოებით, 1850 წლამდე არსებულ პირველ სოციალიზმს. რომანტიკული სოციალიზმი დიდსულოვნების გრძნობაზეა დაფუძნებული და ამ იდეოლოგის თეორეტიკოსები არიან მუშათა კლასისთვის უცხო ინტელექტუალები. მათ ხშირად სჯერათ, რომ თუ დედამიწის ერთ წერტილში შევქმნით სოციალურ მიკროკოსმოსს, ეს მისაბაძი მაგალითი იქნება და თანდათან სამყაროს გარდაქმნამდე მიგვიყვანს. ამ მნიშვნელობით საქმის წამომწყები იყო ინგლისელი ფაბრიკანტი, რობერ ოუენი. დიდი ბრიტანეთის საწარმოო რევოლუციაში დაწინაურება აიხსნება იმ ფაქტით, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ღარიბებისთვის, მუშებისა და გლეხებისთვის სასარგებლო რეფორმები ბევრი მწერლის განსჯის საგნად იქცა. საფრანგეთთან წარმოებულმა ომმა ყველაფერი შეეაჩერა. სწორედ ამ დროს მეწარმე რობერ ოუენმა, რომელიც დიდ და წარმატებულ ქარხანას ფლობდა ნიუ ლანარკში, შოტლანდიაში, წამოიწყო საზოგადოების რეფორმაცია, რელიგიის გაუქმებით (თვითონ ათეისტი იყო) და კომუნისტური კოლონიების შემოღებით. გაემგზავრა აშშ-ში და ასევე დააფუძნა *New Harmony*. ეს იყო სრული მარცხი. თუმცა ოუენი ევროპაში ბრუნდებოდა უზარმაზარი პრესტიჟით. იმ დროს, როცა განვითარების გზაზე იდგა მცირე ტრეიდ-უნიონები, რობერ ოუენი შეეცადა დიდი ბრიტანეთის ყველა მუშა გაეერთიანებინა ერთ ვრცელ ტრეიდ-უნიონად, სადაც ყველა პროფესიის ადამიანი მოიყრიდა თავს.

1834 წელს ეს წამოწყება ისევე, როგორც კოოპერატიული საზოგადოება, მარცხით დამთავრდა. ამგვარად, ოუენმა მეტი ზეგავლენა იქონია *სოციალისტურ* თეორიებზე, ვიდრე მუშათა *მოძრაობაზე*. სხვა უტოპიურმა და რომანტიკოსმა სოციალისტებმა შექმნეს დიდი მოძრაობა, სადაც სოციალისტი პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული. ამ მიმდინარეობას უწოდეს *ჩარტიზმი*. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ზომიერი პოლიტიკოსები, მაგალითად, ლოვეტი, ასევე ძლიერი ხასიათის მეთოდისტი პასტორი, სტეფანე და ირლანდიელი ორატორი ო'კონორი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი იყო თავისი მჭექარე ხმით. ბევრი მხარდამჭერის მიუხედავად, ეს მიმდინარეობა მაინც დაცემისკენ მიექანება. ჩარტიზმის ბოლო აქცია 1848 წელს ჩატარდა.

ფრანგული უტოპიური სოციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შარლ ფურიე თვლიდა, რომ „ფალანსტერების" შექმნით, რომელიც განსხვავებული „ვნებით" შეპყრობილი მამაკაცებისა და ქალებისგან იქნებოდა წარმოდგენილი, მივიღებდით იდეალურ საზოგადოებას და სამ წელიწადში მსოფლიო ფალანსტერებით აივსებოდა. ფურიე იყო გრძნობათა თეორეტიკოსი, რომელიც ფალანსტერებს ხშირად ადარებდა ფიზიკის მსოფლიო მიზიდულობის კანონს. ასეთი რვაას თოთხმეტი ფალანსტერი იყო! თავისთავად იგულისხმება, რომ ფალანსტერების შექმნის იშვიათი მცდელობა ფურიეს მიხედვით არ განხორციელდა. თუმცა სანიმუშო კოლონიის დაარსების იდეა ასევე წამოაყენა ეტიენ კაბემ, რომელიც იყო რესპუბლიკელთა საიდუმლო საზოგადოების, კარბონარიების წევრი, წარსულში გენერალური პროკურორი და დეპუტატი. კაბე ემიგრაციაში წავიდა ინგლისში, სადაც გაიცნო ოუენი. 1840 წელს მან გამოაქვეყნა რომანი *„მოგზაურობა იკარიაში"*.

ეტიენ კაბე გაემგზავრა ამერიკაში და იქ დააარსა იკარიელთა კოლონია, რომელმაც ოუენის *New Harmony*-ზე უკეთ ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1840-1850 წ-ში ამერიკის ტერიტორიაზე ოცდაათამდე კოლონია და სხვადასხვა ფალანსტერი არსე-

ბობდა, რომელთა მიმართ ამერიკელთა უმრავლესობა გულგრილი რჩებოდა.

სხვა, შედარებით მოკრძალებულმა სოციალისტმა მრაზროვნეებმა შეიუმუშავეს *ასოციაციური* და *კანონმდებლობითი* თეორიები (მაგ. *სამუშაოს უფლების* იდეა, რომელიც წამოყენებულ იქნება 1848 წელს, საფრანგეთის რესპუბლიკის შექმნისთანავე); ესენი იყვნენ: სენ-სიმონის მოწაფე, ქრისტიანი სოციალისტი ბუშე ("წარმოების მუშათა ასოციაციები"), მწერალ ჟორჟ სანდის მეგობარი, მწერალი პიერ ლერუ, ჟურნალისტი და ისტორიკოსი ლუი ბლანი.

გერმანიაში რომანტიკულ სოციალიზმს ნაკლები წარმატება ხვდა, ვიდრე საფრანგეთსა და ინგლისში. თუმცა პოეტ ჰაინრიხ ჰაინეს ნაწარმოებების წყალობით, რომელიც იძულებული გახდა საფრანგეთში გადასახლებულიყო, გერმანიაშიც გვხვდებიან სენ-სიმონის მიმდევრები. პრესის თავისუფლების თითქმის არ არსებობის გამო, გერმანიის მუშათა მოძრაობა ძალიან სუსტი იყო. მიუხედავად ამისა, 1846 წ. სილეზიელი მქსოველების გაფიცვა საშინელი სისხლის ღვრით დასრულდა, რასაც აღშფოთებულმა ჰაინემ პოემა მიუძღვნა. საფრანგეთში ლტოლვილმა გერმანელებმა დააარსეს დევნილთა, შემდეგ კი მართალთა ფედერაცია. კარლ მარქსმა, რომლის შესახებაც მოგვიანებით გვექნება საუბარი, საფრანგეთს შეაფარა თავი, საიდანაც გადაასახლეს 1845 წ. სწორედ მემარცხენე ჰეგელიანელების ფილოსოფოსთა ჯგუფმა განავითარა რომანტიკული სოციალიზმის ეს ტიპი.

იტალიაში სოციალიზმის განვითარება ბუონაროტის სახელს უკავშირდება, რომელიც 1795-1796 წლებში იყო კომუნიზმის ფრანგი წინაპრის, გრაკხ ბაბეფის თანამებრძოლი. იგი გახლავთ *თანასწორობისთვის შეთქმულების* ავტორი. სენ-სიმონისტები გვხვდება აგრეთვე, ფლორენციასა და პიზაში. პოლიციამ კომუნისტური საზოგადოება აღმოაჩინა ფერარეში. იტალიელი რევოლუციონერი ჯუზეპე მაძინი არ იყო მხოლოდ რესპუბლიკელი პოლიტიკოსი. მან დიდი როლი ითამაშა რომანტიკული სოციალიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი იყო მისი დაპირის-

პირება მარქსთან და ბაკუნინთან. 1839 წ. Flores strada-მ ესპანეთში გამოაქვეყნა *სოციალური საკითხი*. ყოველივე ეს დიდსულოვანი, რეფორმატორული, ნაკლებ რეალისტური სოციალიზმის დაბადებაზე მეტყველებს, რომელიც 1848 წლის ევროპული რევოლუციების დროს, თავის როლს შეასრულებს, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და რეინისპირა გერმანიაში (სხვა ქვეყნებში ადგილი ჰქონდა შედარებით ეროვნულ და ლიბერალურ მოძრაობებს, რომლებსაც შემდეგ თავში შევეხებით).

რაციონალური და რეფორმისტული სოციალიზმი. რომანტიკოს უტოპისტებსა და გერმანელ კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ე.წ. „მეცნიერულ" სოციალიზმს შორის, არსებობენ უფრო რაციონალური აზროვნების მქონე შუამავლები, რომლებიც ნაკლებად არიან შთაგონებულნი სენტიმენტალური ალიარებებით, ვიდრე პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპებით. ერთ-ერთი ამათთაგანი არის ფრანგი პიერ ჟოზეფ პრუდონი (1809-1865), მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია არა მარქსისტულ სოციალისტებზე.

პრუდონი იყო მარქსის ერთ-ერთი წინამორბედი. თუმცა ამ უკანასკნელმა შემდეგ პრუდონზე მიიტანა იერიში. პრუდონი აგრეთვე, გახლდათ პირველი სოციალისტი, რომელსაც ევროპული ფედერაციის შექმნა სურდა. 1848 წ. მარტში პრუდონი ერთ-ერთ მეგობარს წერს: „როგორც ვამბობდი, ევროპის რესპუბლიკების კონფედერაცია იქმნება და ჩვენს წინაში მხოლოდ სოციალური საკითხიღა რჩება. ეს სრულებით საკმარისია." აქ პრუდონი ზედმეტად ოპტიმისტია. მაგრამ გაცილებით შორსმჭვრეტელად გვეელინება 1853 წ. შექმნილ ნაშრომში *პროგრესის ფილოსოფია*, სადაც აღნიშნავს: „ცხადია [...], ევროპა არის იმ სახელმწიფოთა ფედერაცია, რომელთაც საერთო ინტერესები გააჩნიათ; მან, საბედისწეროდ, მოაღწია კომერციის და მრეწველობის განვითარებით. ამ ფედერაციაში ინიციატივის პრიორიტეტი ყოველთვის დასავლეთს ეკუთვნის." ამ ფედერაციას თუ არ შეექმნით, მაშინ „ძველი ევროპა ნგრევის გზას და-

ადგება [...] ჩვენ მივისწრაფვით, შევქმნათ ხუთი ან ექვსი იმპერია, რომელსაც ექნება საერთო მიზანი, დაიცვას და აღადგინოს ღვთის ნება და ექსპლუატაცია გაუწიოს უბრალო მდაბიო ხალხს.

„პოლონეთის მსგავსი პატარა სახელმწიფოები თავიდანვე განწირულნი არიან. მაშინ ევროპაში აღარ იქნება არც სამართალი, არც თავისუფლება, არც პრინციპები, არც ადათ-წესები. ექვსს იმპერიას შორის დაიწყება დიდი ომი.“ ეს სიტყვები მოყვანილია პრუდონის წერილიდან, რომელიც მან დაწერა 1860 წელს, დიდი ომის დაწყებამდე ზუსტად ორმოცდათოთხმეტი წლით ადრე.

პრუდონს ბევრი მიმდევარი ჰყავდა. მაგრამ ის არ იყო ერთადერთი გავლენიანი რეფორმისტი სოციალისტი: გავიხსენოთ, ასევე, ამ მიმდინარეობის იტალიელი წარმომადგენელი ფილიპო ტურატი.

მარქსისტული სოციალიზმი. საწარმოო რევოლუციის გარყვნილი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი სახელოვანი გერმანელი მოაზროვნის კარლ მარქსის (გარდაიცვალა 1883) და ფრიდრიხ ენგელსის (გარდაიცვალა 1895) ისტორიულ და ეკონომიკურ ფილოსოფიას, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება.

თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მათი დოქტრინა, პრუდონისგან განსხვავებით, აბსოლუტურად არ მოქმედებს ევროპის შენების შესაბამისად. არამედ, პირიქით, ეს თეორია იყო ყოველგვარი გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება დაახლოებით ასოცდაათი წლის განმავლობაში. იმდენი რამ დაწერილა და თქმულა ამ ადამიანების შესახებ, რომ შევეცდებით მხოლოდ უმთავრესი რამ მოგახსენოთ. ისტორიის ფილოსოფოსი, მარქსი იზიარებდა ფეერბახის მატერიალიზმს და ჰეგელის შეხედულებებს დიალექტიკაზე. მარქსი დიალექტიკას წარმოგვიდგენს როგორც ვრცელ მოძრაობას, რომლის მამოძრავებელი ძალაც არის კლასების ბრძოლა. თავდაპირველად, ბურჟუაზია პროლეტარიატის დახმარებით, ამსხვრევს „ფეოდალთა“ ძალაუფლებას (სწორედ ამ, არც ისე სწორი, სახელწოდებით

მოიხსენიებს მარქსი ძველი რეჟიმის არისტოკრატიას, რომელიც 1789 წლის „ბურჟუაზიული“ რევოლუციის დროს დამარცხდა საფრანგეთში). მარქსს და ენგელსს სჯერათ, რომ მალე დადგება დღე, როცა პროლეტარიატი გამარჯვებას მოიპოვებს ბურჟუაზიაზე. მარქსის აზრით, პროლეტარიატი გაფართოვდება და „პაუპერიზაციის“ გზით შთანთქავს წვრილი ბურჟუაზიის და საშუალო ფენების უმეტეს ნაწილს. როდესაც ეს პროლეტარიატი გაითავისებს ერთიანობის ძალას, მოაწყობს რევოლუციას და ხელში ჩაიგდებს ხელისუფლებას, ასევე გაანადგურებს ბურჟუაზიის სამსახურში მყოფ ძალებს (არმია, პოლიცია, და ა.შ.). მთელი ეს დიალექტიკური მოძრაობა გახდება ინტერნაციონალური.

კომუნისტური პარტიის მანიფესტი. 1848 წ. მარქსმა და ენგელსმა სახელგანთქმულ *კომუნისტური პარტიის მანიფესტში* წამოაყენეს ცნობილი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მაშასადამე, ისინი ცდილობენ ეროვნული სულისკვეთება შეცვალონ სოციალური სულისკვეთებით.

1848-1850 წლების მოვლენების შემდეგ მარქსი ინგლისში ცხოვრობს და ხელს უწყობს პირველი ინტერნაციონალის შექმნას ლონდონში 1864 წ. (ინგლისურ ტრედ-უნიონთა კონგრესის მხარდაჭერით, აგრეთვე, ეჟენ ვერლენის ხელმძღვანელობით ფრანგების და მრავალი გერმანელის დახმარებით). მარქსი დიდ ყურადღებას უთმობდა პარიზის კომუნას. ინტერნაციონალის სხვადასხვა ეროვნების წევრებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს ამ შეიარაღებულ აჯანყებაში, რომელმაც მარცხი განიცადა 1871 წ.

II სოციალისტური ინტერნაციონალი დაარსდა საფრანგეთის რევოლუციიდან ასი წლის შემდეგ 1889 წ. და 1914 წლამდე იარსება. მომავალ თავში ამ ორ ორგანიზაციას ისევ დავუბრუნდებით.

კაპიტალი. ეს ისტორიული ფილოსოფია ეყრდნობა მარქსის ეკონომიკურ თეორიას, რომელიც ჩამოყალიბებულია

მისი ძირითადი ნაშრომის, „კაპიტალის“ I ტომში 1867 წ. ყველაფერი „საწარმოო ურთიერთობიდან“ გამომდინარეობს. პროლეტარს საკუთარი 'სამუშაო ძალის“ გარდა, გასაყიდი არაფერი აქვს. თუმცა მთელი შემოსავლის მიღების ნაცვლად, კაპიტალისტი მფლობელი მას უხდის ზუსტად მინიმუმს და თავისთვის იტოვებს „ზედმეტ ღირებულებას“. ეს ნამდვილი ძარცვაა. 'ზედმეტი ღირებულების“ მითვისება ხელს უწყობს კაპიტალის შეგროვებას და გამდიდრების საშუალებას იძლევა. „დიდი კაპიტალი“ თანდათან იზრდება, ხოლო „დიდი კაპიტალისტების“ რიცხვი მცირდება. მაგრამ მათ შეუძლიათ შემოსავლის ხარჯზე დაიქირავონ ადვოკატები და „ლაქიები“. არსებობს პროლეტარების უზარმაზარი რიცხვი, „სათადარიგო არმია“, რომელიც მფლობელს ხელფასების შემცირების საშუალებას აძლევს. საქონლის ნამდვილ ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს მასზე დახარჯული შრომის რაოდენობა, თან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისეთი სამუშაო, რომელსაც ხანგრძლივი მზადება სჭირდება, ასეთია მექანიზმების გამოგონება და ამუშავება. რევოლუცია პროლეტარებს ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალებას მისცემს, ამით ისინი გააუქმებენ კაპიტალის სარგებელს და ისტორიის დიალექტიკური მოძრაობა შეწყდება. მოხდება „სახელმწიფოს გამოფიტვა“. დასრულდება ბრძოლით შექმნილი ისტორიის ერთი ეტაპი და გამეფდება კომუნიზმი, რომელიც დამყარებული იქნება შემდეგ პრინციპზე: „თითოეულს საჭიროებისამებრ“, რაც ბარაქას მოიტანს. მარქსმა და ენგელსმა თავიანთ სოციალიზმს „მეცნიერული“ უწოდეს. ბუნებრივია, ასეთ იდეებზე დაფუძნებულმა პარტიებმა ეს გამოთქმა გამოიყენეს თავიანთ პროპაგანდაში, თან მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ ისტორიის მეცნიერული განმარტება. სინამდვილეში ამ პარტიების ახსნა ემყარება მთელ რიგ პოსტულატებს, რომლის დამტკიცება მხოლოდ ისტორიის პრერაგატივაა. ეს წელზე მეტი იყო გასული, რაც დემონსტრაცია არ მოწყობილა. მარქსის და ენგელსის განმარტების მეცნიერული ხასიათი მდგომარეობს შემდეგში: ეს მოაზროვნეები მუშათა კლასის ბედის გაუმჯობესებას ცდილობენ არა თა-

ნაგრძნობით და შებრალებით, ან რაიმე ემოციით, არამედ პოულობენ გარდაუვალი კანონებს, რომელთა მიხედვითაც პროლეტარიატის ბედი გარდაიქმნება ზემოაღნიშნული დიალექტიკური მოძრაობის საფუძველზე.

მარქსიზმის ისტორიული მნიშვნელობის მიმოხილვა. მარქსისტულმა იდეოლოგიამ დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიოს ისტორიაზე:

1) *ხელი შეუწყო სოციალისტური პარტიების განვითარებას*, რომლებიც თავდაპირველად ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა;

2) *მისი საშუალებით, დასკვნებს გააკეთებს ეროვნებით რუსი თეორეტიკოსი, გენიალური პოლიტიკოსი, ვლადიმერ ულიანოვი, მეტსახელად ლენინი* — რომელიც 1917 წ. ნოემბერში ხელში ჩაიგდებს ქვეყნის ძალაუფლებას.

3) *ფართო სოციალისტური მოძრაობა, რომელიც თითქმის XX საუკუნის ისტორიას მოიცავს, მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. იგი ძალიან ადრე დაიყო მარქსისტულ ტენდენციად (ანუ მარქსისტ-ლენინისტურ მიმდინარეობად, რომელსაც „კომუნისტური“ ეწოდა)*, რომელიც გაცილებით სისტემატური, რევოლუციონერული, ძლიერი და *რეფორმისტული ტენდენციის მქონე იყო*. ეს უკანასკნელი რეფორმების გასატარებლად უპირატესობას ანიჭებდა *მუშათა კლასის ხელსაყრელ კანონმდებლობას*, ვიდრე დიალექტიკურ რევოლუციას. სოციალიზმის ორივე ფორმა შეუსაბამო იყო.

ჩვენი ინტერესის სფეროს მხოლოდ რეფორმისტული სოციალიზმი წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ევროპული ყოფილიყო.

1915 წ. აგვისტოს ლენინი აქვეყნებს სტატიას სათაურით: „ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების ფორმულა“, სადაც აღნიშნავს: „კაპიტალისტური წყობის ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოები იგივე ფუნქციას ატარებენ, რასაც კოლონიების განაწილების შესახებ შეთანხმება.“ ლენინი ამ უკანასკნელთ უპირისპირებს პროლეტარე-

ბის მიერ წინასწარ დაპყრობილი 'მსოფლიოს ქვეყნების გაერთიანებას".

სოციალისტური პარტიების წარმოშობა და განვითარება. როდესაც მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი ერთმანეთს დაუკავშირდა და გაერთიანდა, პოლიტიკა მისკენ გადაიხარა.

უკვე განვიხილეთ პროფკავშირის შემოღების მნიშვნელობა 1914 წლის ევროპაში. ახლა შევეხოთ სოციალისტურ პარტიებს. დიდ ბრიტანეთში მარქსისტული იდეოლოგიის ზეგავლენის გამო თანდათან მცირდება რეფორმისტულ სისტემაში ტრედ-უნიონთა კონგრესის ძალაუფლება. სოციალისტები (*Labour*) თავიდან გაერთიანდნენ ლიბერალებთან. 1893 წ. გაჩნდა პირველი სოციალისტური პარტია *Independent Labour Party (ILP).* თუმცა სწორედ 1900 წელს პოლიტიკოსებს და *Trade Union* - ს შორის შეიქმნა *Labour Representation Committee*-ის (შრომის გამოხატვის კომიტეტი), რამაც საშუალება მისცა ახალი სოციალისტური პარტიის *Labour Part* დაფუძნებას. 1906 წელს ამ პარტიამ მოიპოვა ოცდაცხრა ხმა არჩევნებში, 1910 წლის იანვარში — ორმოცდაერთი, 1910 წლის დეკემბერში — ორმოცდასამი. ომამდე მეტი არჩევნები აღარ შემდგარა. მარქსისტული ზეგავლენა შედარებით ძლიერია საფრანგეთში. 1880 წ. იქმნება მცირე სოციალისტური პარტიები, რომელთა შორის პირველი იყო ჟულ გესდის მუშათა პარტია. მისი წევრები ქადაგებენ გამარტივებული მარქსიზმის იდეებს და ერთიანდებიან 1893 წლის არჩევნებისთვის, სადაც ორმოცდასამი გამარჯვებული ჰყავთ. 1905 წ. ამსტერდამში საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე შეერთდა ორი სოციალისტური პარტია: შეიქმნა გაერთიანებული სოციალისტური პარტია, რომელშიც შედიოდა მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული განყოფილება (SFIO), ჟულ გესდის და უდიდესი ორატორის ჟან ჟორეს ხელმძღვანელობით. ამ გაერთიანებამ სოციალისტებს მეტი წარმატება მოუტანა: დაახლოებით ექვსას დეპუტატზე 1906 წ. 55 სოციალისტი დეპუტატი მოდიოდა, 1910 წ.

– 74, 1914 წ. – 104. 1863 წ. გერმანიაში ლასალის თაოსნობით პირველი სოციალისტური პარტია ჩამოყალიბდა. თუმცა ეს უკანასკნელი 1864 წ. გარდაიცვალა. გერმანული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია თანდათან მარქსისტული ზეგავლენის ქვეშ მოექცა. იგი ყველაზე ძლიერი იყო ევროპის სოციალისტურ პარტიებს შორის. 1871 წ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ორი წარმომადგენელი ჰყავდა რაიხსტაგში, 12 – 1881 წ, 24 – 1890წ, 44 – 1893 წ, 56 – 1898 წ, 79 – 1903 წ. 110 – 1912წ. იტალიაში, სადაც საერთო საარჩევნო უფლებას მხოლოდ 1912წ. ეყარა კენჭი, მარქსისტულ მოძრაობას წარმოადგენდა მეტად აღსანიშნავი თეორეტიკოსი, ანტონიო გრამში. იტალიელი სოციალისტები საკანონმდებლო ორგანოში ჩნდებიან 1895 წლიდან. 1900 წ. მათ 33 წარმომადგენელი ჰყავთ 480 დეპუტატზე. ამ პერიოდში იტალიაში ადგილი ჰქონდა მრავალრიცხოვან გაფიცვებს. 1903 წ. რომში მოეწყო საერთო გაფიცვა. 1912 წლის არჩევნებში სოციალისტებმა 850 000 ხმა მოიპოვეს და 50 ადგილი ერგოთ. ნიდერლანდების ახალი სოციალისტური პარტიას, მუშათა ინტერნაციონალის ერთ-ერთ განყოფილებას 1905 წ. 7 წარმომადგენელი ჰყავს, ხოლო 1913 წ. – 18 საკანონმდებლო ორგანოს 90 დეპუტატს შორის. 1885 წ. ბელგიაში ჩამოყალიბდა მუშათა პარტია, რომელიც შემდეგ ინტერნაციონალს მიემხრო. 1893 წ. გატარდა საარჩევნო რეფორმა, ე.წ. „პლურალური ვოტუმი", რომელმაც შექმნა 1,350 მილიონი ახალი ამომრჩეველი 2 066 000 საარჩევნო ხმით; 152 დეპუტატში სოციალისტებს 29 წარმომადგენელი ჰყავდათ. არჩევნების გავრცელების შემდეგ, 1899 წ. ეს რიცხვი 33-მდე გაიზარდა. 1912 წ. სოციალისტების რაოდენობის დადგენა შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ მათ და ლიბერალებს საერთო სია ჰქონდათ. 1880 წელს, გერმანული მოდელის მიხედვით, შვეიცარიაში ჩამოყალიბდა *სოციალ-დემოკრატიული პარტია*. 1893 წელს მათ არც ერთი წარმომადგენელი არ ყავდათ ეროვნულ საბჭოში. 1902 წ. 82 დეპუტატზე 7 სოციალისტი მოდიოდა, 1911წ. ეს ციფრი 15-ზე ავიდა. შვეიცარიის *სოციალ-დემოკრატი-*

ული პარტია გაძლიერდა გერმანელი და იტალიელი მუშების იმიგრაციის შედეგად.

დასკვნა. ევროპელები, რომლებიც XIII საუკუნემდე ჩინელებს და არაბებს ანიჭებდნენ უპირატესობას ტექნიკურ საკითხში, ხარბად დაეწაფნენ ამ ორი დიდი ცივილიზაციის გამოგონებებს. XIV-XV საუკუნეებში ბევრად წინ წავიდნენ, რაც მშვენივრად აისახება სუფთა მეცნიერულ დარგში, ასევე ნავიგაციაში, შეიარაღებაში, მედიცინასა და არქიტექტურაში.

XVIII საუკუნეში განსაკუთრებული წინსვლა შეიმჩნევა ტრანსპორტის, შემდეგ ბიოლოგიის თუ მედიცინის ხელსაწყოების დამზადებაში. *გამოგონების* პროცესიდან გადავიდნენ *დამზადების* პროცესზე, რომელიც თანდათან ხშირ, მასიურ სახეს იძენს და თავისთავად იწვევს დეტალის ტექნიკურ დახვეწას იქამდე, სანამ სხვა ახალი გამოგონება არ გაუსწრებს მას.

საუკეთესო კვებითი და სამკურნალო საშუალებების მარაგი განაპირობებს სიკვდილიანობის შემცირებას.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ საოცარ ექსპანსიას ცუდი მხარეც გააჩნია: საგულისხმოა მუშათა სიღარიბე დიდი კაპიტალიზმის დასაწყისში, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან მზარდი უთანასწორობა, არა ევროპელი ხალხის დაპყრობისაკენ წაქეზება. აგრეთვე, ადგილი ქონდა ფართო ემიგრაციას, რამაც განაპირობა „ევროპული ქვეყნების" შექმნა: ზოგიერთ ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და ნაწილობრივ, სამხრეთ აფრიკაში. აღსანიშნავია უდიდესი მიღწევები წარმოებაში, იგულისხმება მეორე საწარმოო რევოლუცია (1870-1950) ნავთობისა და ელექტრომრეწველობის განვითარებით, ასევე მესამე საწარმოო რევოლუცია, ელექტრონიკის, ატომური ენერგიის, კოსმოსის აღმოჩენით. ზოგიერთი მეოთხე საწარმოო რევოლუციაზეც საუბრობს, რაც გულისხმობს სამუშაოს და კომპიუტერის რობოტიზაციას. თუმცა ამ წარმატებებმა ერთმანეთთან ვერ დააახლოვა ევროპელი ხალხი, პირიქით, გამოიწვია შუღლი, რასაც

დაემატა ნაციონალისტური კრიზისიც. და ბოლოს 1941წ. ევროპა აშკარა დაცემისკენ მიექანება, რასაც ჯერ კიდევ 1834 წ. ვარაუდობდა მიშელ შევალიე. მისი აზრით, „ევროპის ყველა ერი პირველობისკენ მიისწრაფის [...] ფაქტი კი ერთია: არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული ხალხი, რომელსაც უპირატესობა საუკუნეებისგან ექნებოდა მინიჭებული [..] ვინ ვიჭნებით ჩვენ, ყველანი, ფრანგები, ინგლისელები, პრუსიელები და ავსტრიელები სამ საუკუნეში, თუნდაც ას წელიწადში? ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ჩრდილოეთიდან არ დაუბერავს ქარი და ჩვენ, ასე დანაწევრებულებს და შინაური ომებით დასუსტებულებს, არ დაგვახრევინებს თავს, რომელიც ჯერ კიდევ მაღლა და ამაყად გვიჭირავს? [...] ვის შეუძლია თქვას, რომ სამყაროს ბატონობას არ გაიზიარებს ჰორიზონტის თავსა და ბოლოში აღმართული ეს ორი დიდი ფიგურა, ორი ახალგაზრდა გოლიათი, (იგულისხმება რუსეთი და ამერიკა) რომელიც ერთმანეთს შესცქერის ატლანტის ოკეანის ერთი ბოლოდან მეორემდე და წყნარი ოკეანის ნაპირებს ეხება?“ (შევალიე, მიშელი, *წერილები ჩრდილოეთ ამერიკაზე.* პარიზი, 1837, წიგნი 2, ტ I გვ. 139-41: წერილი IX, დათარიღებული 1834 წლის 24 აპრილით.)

როგორც ჩანს, მომავალი ბუნდოვანი და განსხვავებული იქნება. ლენინი მარქსსა და ენგელსს შორის იდეების თანაფარდობას შემდეგნაირად განმარტავს: „მკითხველის თვალწინ გასაოცარ ცხოვრებასთან ერთად ვითარდება მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორია, უმნიშვნელოვანესი მომენტებითა და უმთავრესი საკითხებით. კიდევ უფრო ძვირფასია მუშათა კლასის *პოლიტიკური* ისტორია. განსხვავებული მიზეზით, ძველი და ახალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ისტორიულ წუთებში, მარქსი და ენგელსი ძირითადი პრინციპების განხილვის დროს წარმოგვიდგენენ მუშათა კლასის პოლიტიკურ *ამოცანას.*“

‘სწორედ თანაფარდობის ეპოქა არის ის ეპოქა, როცა მუშათა კლასი თავისუფლდება ბურჟუაზიული დემოკრატიისგან. ეს არის დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის დაბადების ხანა, როდესაც საფუძველი დაედო პროლეტარულ

ტაქტიკას და პოლიტიკას. დღეს რაც უფრო მეტად ვხედავთ, თუ როგორ იტანჯება ოპორტუნიზმით სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ჩამორჩენილობისა და გახრწნილობის შედეგად, უფროსი მუშაკების მდგომარეობის გამო, რომელთა ყურადღება ყოველდღიური წვრილმანებისკენაა მიმართული და ა.შ., მით უფრო ძვირფასია ის მდიდარი დოკუმენტები, რომელსაც ეს თანაფარდობა გვთავაზობს და რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის გარდამქმნელი *ძირითადი* მიზნების ყველაზე ღრმა გაგებას. რევოლუციური მიზნების თვალსაზრისით, ტაქტიკის განსაკუთრებულად მოხერხებული განსაზღვრებაა მოცემული ამ დოკუმენტებში ყოველგვარი ოპორტუნიზმის გარეშე...

„თუ შევეცდებით ერთი სიტყვით განვსაზღვროთ მთელი თანაფარდობის კერა, ასე ვთქვათ, მთავარი საკითხი, რომელსაც ეხება ყველა გამოხატული და განხილული აზრი, ეს სიტყვა იქნება *დიალექტიკა*. მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენება მთელ პოლიტიკურ ეკონომიაში მისი დაარსების დღიდან, ისტორიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ფილოსოფიაში, პოლიტიკასა და მუშათა კლასის ტაქტიკაში, აი ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს მარქსს და ენგელსს, სწორედ ეს არის მათი უმნიშვნელოვანესი და ახალი წვლილი, ამაში მდგომარეობს მათ მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც გენიალურია რევოლუციურ აზროვნებაში.“ (ლენინი, *შრომები*, საბჭოთა გამოცემა ფრანგულ ენაზე, ტომი IX, გვ. 593-594.) ლენინის მიერ დამაჯერებლად გადმოცემულ კომუნისტურ ჰიპოთეზას, მალე ფაშისტური ჰიპოთეზა დაუპირისპირდა. იტალიელმა ანტიფაშისტმა მოაზროვნემ, ანჯელო ტასკამ, რომელიც იტალიის კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს 1929 წელს საფრანგეთს შეაფარა თავი. მან ემე როსის სახელით დაწერა რამდენიმე ნაშრომი, რომელიც ნათლად მოგვითხრობს როგორც მუსოლინის, ისე მსოფლიო კომუნიზმის თავგადასავალს. მისი წიგნი *ფაშიზმის დაბადება* თვალნათლივ დაგვანეახებს, რომ იტალიის ომში ჩაბმა და მომავალში „რომზე გალაშქრება“ ერთმანეთთანაა დაკავშირებული. „ბევრის თვალსაზრისით, 1915 წლის მაისის ‘სიხარულით აღსავსე

დღეები" რომზე გალაშქრების გენერალური რეპეტიცია იყო. მეფემ და რამდენიმე ადამიანმა თავიანთი ნებისყოფა გამოამჟღავნეს პარლამენტის წინაშე, მთავრობამ შთაბეჭდილება მოახდინა, როცა უმცირესობას ქუჩაში მანიფესტაციების მოწყობის ნება დართო, თუმცა ამის გამო ხალხს გაუჩნდა გრძნობა, თითქოს მოატყუეს, ძალადობა იხმარეს [...] მმართველი კლასის პარტია, რომელიც დაუფიქრებლად, შეუცნობლად უბიძგებს იტალიას ომისკენ, განაპირობებს მშვიდობაზე გულის გატეხვას, რამაც ასე ძლიერ შეუწყო ხელი ფაშიზმის დაბადებას."

და ბოლოს, ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე თვლის, რომ პროგრესი გარდაუვალია არა რევოლუციის, არამედ რეფორმის განხორციელების გზით. მაგალითისთვის მოვიყვანოთ კლემანსოს სიტყვები: „მაშ, რა არის დემოკრატია? განსაზღვრების მიხედვით, ხალხის მთავრობა... როგორც ჩანს ხალხს ვუწოდებთ, ცვალებადი ინტერესების მქონე ადამიანთა მასას, რომელიც ირხევა ცრურწმენების, ატომური წარმოსახვების, გრძნობების, იმედების დაქროლვაზე. ვინ გაბედავს და იტყვის, რომ ეს ხალხი მართავს ქვეყანას, ან როდესმე მართავდა მას? ვინ არ იცის, რომ უხსოვარი დროდან დღემდე, ხალხს, მე არ ვამბობ, რომ მართავდა, მაგრამ უბიძგებდა კაპრიზები, სოფიზმი, კეთილი თუ ბოროტი ზრახვები, უმცირესი ხმაურიანი მოქმედება? ჯარისკაცებმა, მღვდლებმა და *ორატორებმა,* ნებსით თუ უნებლიეთ, ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდეს: და ისიც ჩაება, სულ ეს არის მთელი ისტორია.

„იმპერიები, სამეფოები, რესპუბლიკები, ყველაფერი ეს მოჩვენებითია"...

„თუ ხალხის წარმომადგენლები, სულთნები, მეფენი თუ დეპუტატები, მმართველობის დროს არ გაიზიარებენ ამომრჩეველთა ინტერესებს, თუ ყველა რეჟიმის დროს, ეგოიზმის ცხარე ბრძოლა არ განელდება, მაშინ ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანთა ურთიერთობაში აზროვნება ჩაერთვება...

„მერედა ვინ მოიშველიებს ამ აზროვნებას, თუ არა ის *მოაზროვნეები,* რომლებიც სხვადასხვა სახელს ატარებენ

და მოვიდნენ, რათა გვერდით დაუდგნენ ადამიანური თუ ღვთიური ძალადობის ძველ ოლიგარქებს სოციალური ევოლუციის კანონების შეცნობაში? მათი რიცხვი მალე იზრდება. დაჩივლებას ვინ გაბედავს"?

„სწორედ მათ უკავშირდება მსოფლიოში კანონიერი, დამოუკიდებელი, სამართლიანი სახელმწიფოს წარმოშობა. მათ მიერ მოტანილი ცოტაოდენი სიკეთე თვით ველურ ქვეყნებზეც ვრცელდება და ზნე-ჩვეულებების შემსუბუქებას უწყობს ხელს."

(ჟორჟ კლემანსო, *დიდი გვერდი*, პარიზი, 1909 წლის გამოცემა, თავი „აგორა", გვ. 316 და 318.)

16
ევროპა, რომანტიზმი და ერები

I. ვენის კონგრესი (1814-1815)

ოცდაორწლიანი დრამა დასასრულს მიუახლოვდა. აღარ იქნება გაერთიანებული ევროპა, რომელსაც საფრანგეთი უხელმძღვანელებს. ასეთი გარემოება ყველას აკმაყოფილებს, მათ შორის ფრანგებსაც, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი სამხედრო ბეგარის, ბონაპარტის მიმართ, დაღალნენ დაპყრობითა და მარადიული ომით.

ვინ მოიგო? რა თქმა უნდა, ძველი ევროპის ხალხმა; ოთხმა კანონიერმა მეფემ და მათმა მინისტრებმა, რომლებმაც დამარცხებული საფრანგეთის მეხუთე კანონიერ მეფედ ლუი XVI-ის ძმა, ლუი XVIII ბურბონი გამოაცხადეს.

განა მათ სურთ ან შეუძლიათ 1789 წლის პოლიტიკური სიტუაციის აღდგენა? ამისათვის ბევრი დაბრკოლების გადალახვაა საჭირო. მშვენივრად ესმით, რომ გაბატონებულია ძლიერი აზრთასხვაობა. მოდით, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ახალი და ძველი ევროპა. პირველს თავდაპირველად მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც „ვერაფერი ისწავლეს და ვერაფერი დაივიწყეს"; მაგალითად, მთელს ევროპაში გაფანტული არისტოკრატია ან კიდევ, გაშმაგებული ფრანგი ემიგრანტები, რომლებიც 1814 წ. ბრუნდებიან საფრანგეთში ლუი XVI-ს მსგავსი მოდური პარიკებით. ძველი ევროპის ერთ-ერთი წარმომადგენელია ახალგაზრდა ოტო ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი, დაბადებული 1814 წ. იგი ერთხელაც ოჯახისგან იგებს, რომ მხოლოდ პრუსიული მონარქია არსებობს და ფრანგები პრუსიელების მთავარი მტრები არიან. 1850 წლის შემდეგ ბისმარკი საფრანგეთისადმი დამოკიდებულებას შეიცვლის.

ძველი ევროპის ყველაზე გონიერ მომხრეს 1815 წ. კარგად ესმის, რომ რევოლუციის ზოგიერთი მონაპოვარი შეუქცევადია: მაგალითად, სამღვდელოების ქონების ნაცი-

ონალიზაცია. დიდ ლიბერალურ დაწესებულებებს უფრო რთული საწყისი აქვთ: ამერიკული და ბრიტანული თავისუფლების იდეა, სინდისის თავისუფლება და ა.შ. კიდევ ათასწლეულები იკამათებენ სხვა უფლებებზე: პრესის, კრების, ასოციაციის, საარჩევნო და გაფიცვის უფლებებზე. სიმბოლო არის *კონსტიტუცია* (რომლის შექმნაშიც გაერთიანებულ სამეფოს მონაწილეობა არ მიუღია): არსებობს ავტორიტარული ქვეყნები, რომლებსაც კონსტიტუცია არ გააჩნიათ; ასევე ქვეყნები, სადაც კონსტიტუცია ან წესდება მეფის მიერ არის „ბოძებული" — ე.ი. ეს იქნება მისი კეთილი ჟესტი ქვეშევრდომების მიმართ და არა ამ უკანასკნელთა „უფლება"; და ბოლოს ქვეყნები, სადაც კონსტიტუცია მიღებულია ერის (ეროვნული სუვერენიტეტი) ან ხალხის (სახალხო სუვერენიტეტი) მიერ, მას ხან დამფუძნებელი კრება ადგენს, ხან რეფერენდუმით არის დამტკიცებული.

ძველი და ახალი ევროპის მომხრეები ვერ თანხმდებიან რამდენიმე საკითხში. ერთნი მოცემული წესდების სისტემას აღიარებენ, მეორენი — საკონსტიტუციო სისტემას, რომელიც ეროვნული სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს.

თითქმის ყველაზე ძველი ევროპის ტერიტორიაზე კათოლიკე თუ პროტესტანტი სამღვდელოება მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდა. სწორედ ეს არის სახელმწიფოს და ეკლესიის გაერთიანება.

ახალი ევროპის მომხრეები უფრო დანაწევრებულნი არიან. დიდი ბრიტანეთის გავლენიანი ადამიანების უმრავლესობამ (დიდგვაროვნები, ბურჟუები, ვაჭრები) წინააღმდეგობა არ გაუწია რევოლუციას და ნაპოლეონს. ეს ხალხი მხარს უჭერდა ახალ ევროპას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. შესაძლოა სწორედ ამაში იმალებოდეს იმ უცნაური შეხვედრის საიდუმლო, რომელიც ტყვე ნაპოლეონს მოუწყვეს 1815 წელს ტორ ბეიში, და შემდეგ პლიმუსში: „ჩვენმა გამოჩენამ ინგლისში უცნაური მოძრაობა გამოიწვია; იმპერატორის ჩასვლამ ცნობისმოყვარობა აღძრა, რომელიც გაცხოველებულ ინტერესს ჰგავდა; მთელი ინგლისი პლიმუსისკენ მიიჩქაროდა... ზღვა სავსე იყო გემებით... იმპერატორის გამოჩენა, ხმაური, მოძრაობა, ამდენი

ხალხის ჟესტები განსაკუთრებულ სანახაობას წარმოადგენდა; ამავე დროს, გაბედულად იტყოდით, რომ ამაში მტრული არაფერი იყო..

ეს გრძნობა აშკარად იზრდებოდა: თავიდან მხოლოდ უცქერდნენ, შემდეგ ზოგი ქუდს იხდიდა და მისასალმებელ სიტყვებს წარმოთქვამდა... თუმცა ყველა ეს გარემოება შემდეგ ჩვენს საზიანოდ გამოიყენეს მინისტრებმა და მათმა მომხრეებმა" (ლას კასეს *წმინდა-ელენეს მემორიალი*).

იმპერატორის ნამდვილი მომხრეები, ბონაპარტისტები, მხოლოდ საფრანგეთში გვხვდება. ახალი ევროპის წარმომადგენლები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. დაპყრობილი ქვეყნის „ლიბერალური" ბურჟუაზია (ეს სიტყვა ჩნდება 1818-1819 წ-ში) ძირითადად „ნაციონალურია". ქალაქის მოსახლეობის, ხელოსნების, საწარმოო რევოლუციის მუშების, ვაჭრების, წვრილი ბურჟუების, სტუდენტების (მაგალითად, გერმანიაში *Burschenschaft*) გარკვეული ნაწილი რევოლუციონერი რესპუბლიკელია. მათ სწამთ, რომ „მოწამეთა სისხლი ამაოდ არ იღვრება" და მზად არიან „ტირანების" წინააღმდეგ მოაწყონ მრავალი აჯანყება. ამგვარად, არსებობს საიდუმლო საზოგადოებები. მათ შორის ყველაზე ცნობილია იტალიური *Carbonaria*, რომელიც მთელს დასავლეთში ვრცელდება (საფრანგეთში „არბონარები").

ამ მოძრაობას ერთგვარი გამოხმაურება მოყვა რუსეთშიც. კერძოდ, ახალგაზრდა ოფიცერთა წრეში (იხ. „დეკაბრისტები" 1825 წ.).

დამწყები რესპუბლიკელების მიმართ მტრულად არიან განწყობილი ღრმად პაციფისტი გლეხთა მასები, რომლებიც განაგრძობენ ფარულ ბრძოლას, ფეოდალური უფლებების (მაგ. ავსტრიაში) და მონობის (რუსეთში) გასაუქმებლად. ამასთანავე, მსხვილი მემამულეებისგან მოითხოვენ გლეხის საკუთრების აღდგენას.

ალბათ გვეპატიება, თუ ასეთი მდიდარი და ცვალებადი რეალობის საპირისპიროდ, მხოლოდ უბრალო მონახაზს წარმოგიდგენთ, რაც ხელს შეგვიწყობს ვენის კონგრესის

მნიშვნელობის უკეთ გადმოცემაში და ევროპული ვითარების გათვითცნობიერებაში.

თანამედროვე ევროპის ისტორიაში სამი დიდი კონგრესი ჩატარდა: 1648წ. ვესტფალიის კონგრესი, რომელმაც ბოლო მოუღო ოცდაათწლიან ომს, 1815 წ. — ვენის, 1919წ. — პარიზის. სამივე საკუთარი ინდივიდუალობით ხასიათდება. პირველ რიგში, იყვნენ შუამავლები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თავიანთი მონარქის, ან ხელმწიფის სახელით.

ვენაში გამართულ დებატებში მონაწილეობას იღებდნენ თვითონ მონარქები, თავიანთ მინისტრებთან ერთად და მაღალი საზოგადოების ყველა წარმომადგენელი.

ევროპაში არსებული ყველაზე მაღალი საზოგადოების ამ თავმოყრამ 1814 წლის 3 ოქტომბრიდან 1815 წლის 9 ივნისამდე, ერთგვარი საზეიმო ატმოსფერო შექმნა. მეტერნიხი, რომელიც თვლის, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართულმა მარჯვე კამპანიამ შეხვედრის საშუალება მისცა სამ მონარქს და კასტლერიგს, შემდეგნაირად აღწერს ვენის კონგრესის დეტალებს:

'მსოფლიოს მატიანეში გარემოებათა საოცარი დამთხვევის წყალობით, ამ დრამის მთავარი მსახიობები ერთი და იგივე ადგილზე მოხვდნენ ერთად; [...] ინგლისის კანცელარიის მეთაურს თითქმის ყოველთვის ქონდა ურთიერთობა თავის ავსტრიელ,პრუსიელ და რუს კოლეგებთან... დიპლომატიური წესები ვითარებებს უნდა მოერგოს. ყველაზე რთული საქმეები, ყველაზე რთული საკითხების განხილვა მიმდინარეობდა, ასე ვთქვათ, ერთი დარბაზიდან მეორეში: არავითარი კურიერი, წერილობითი ცნობების არავითარი გაცვლა-გამოცვლა, არავითარი შუამავალი პალატებს შორის...

მნიშვნელოვანი საკითხების მწვავე განხილვა მიმდინარეობდა ოჯახურ შეხვედრებზე, რომლებიც შედგა, როგორც სამ მონარქს, ისე კანცელარიის უფროსებს შორის. ეს საკითხები ჯერ მომწიფებული არ იყო, რომ მინისტრები რეგულარულად კონფერენციებს მართავდნენ და ოქმებს ადგენდნენ."

ბუნებრივია, დიდი სახელმწიფოების გარშემო პატარა სახელმწიფოებიც სწრაფად მრავლდებოდნენ. ვენის კონგრესის მიზანი იყო საფრანგეთის მიერ შიტოვებული დოვლათის განაწილება და არა მშვიდობიანობის აღდგენა (პარიზში დადებულ პირველ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1814წ. 30 მაისს). მთავარი მსხვერპლი იყვნენ, ერთის მხრივ, ის ადამიანები, რომლებიც ბოლომდე ნაპოლეონის ერთგულნი დარჩნენ და მეორეს მხრივ, ყოფილი კარდინალები.

ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს არა ცალკეული სახელმწიფოები, არამედ ევროპა მთლიანობაში.

ტალეირანი, კანონიერება და წონასწორობა. ყველაზე თვალშისაცემი შუამავალი იყო ტალეირანი. ოტენის ყოფილი ეპისკოპოსი, თავისუფალი ყოფაქცევის ადამიანი, რომელმაც ცხოვრებაში სულ სამი წირვა აღასრულა, რევოლუციონერი გახდა, თუმცა ეროვნული კონვენციის წევრი არ ყოფილა. ტალეირანმა მთავარი როლი ითამაშა დირექტორიის და ნაპოლეონის მმართველობის ეპოქაში.

თითქოს ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ტალეირანს მხოლოდ საკუთარი ინტერესები აღელვებდა, მზად იყო შურისძიებისთვის, ღალატისთვის: როგორც მაგალითად, ნაპოლეონს მოექცა. 1814-1815 წ. ტალეირანის და ბურბონების ინტერესები ერთმანეთს დაუკავშირდა. ტალეირანის მოხერხებულობის და გონიერების წყალობით მოხდა ბურბონების რესტავრაცია.

საჭირო იყო, რომ დამარცხებულ საფრანგეთს კიდევ ეთამაშა გარკვეული როლი ძლიერი სახელმწიფოების გვერდით. მთელი ბოროტება ნაპოლეონისგან მოდიოდა და არა ფრანგებისგან, ამბობდა ტალეირანი. 1815 წ.-ის მარტში ნაპოლეონი კუნძულ ელბადან დაბრუნდა, ჯარი შეკრიბა და „ას დღიან“ თავგადასავალში ჩაება. ამ მოვლენებმა ტალეირანის გულგატეხილობა გამოიწვია. დაიდო პარიზის მეორე ხელშეკრულება (1815 წ. 20 ნოემბერი), რომელიც პირველზე გაცილებით მძიმე იყო. საფრანგეთი იმპერატორის დახვედრისთვის „ისჯებოდა“.

ტალეირანმა დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდე-

გობა საფრანგეთის სასარგებლოდ გამოიყენა. 1815 წლის იანვარში ხელი შეუწყო ვენის საიდუმლო -ხელშეკრულების დადებას, რომელიც ანტი-ფრანგული კუალიციის დაშლას მოასწავებდა. ტალეირანის დახმარებით საფრანგეთმა ალიანსი შექმნა ინგლისთან და ავსტრიასთან, პრუსიისა და რუსეთის წინააღმდეგ.

ტალეირანის მართვის სისტემა ორ დიდ პრინციპს ემყარება: ჯერ *კანონიერებას;* შემდეგ ევროპულ *წონასწორობას.* სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპის ყველა ტერიტორია გადაეცემა მის კანონიერ მფლობელს. ასეთი მფლობელის არარსებობის შემთხვევაში, იგულისხმება საეკლესიო მამულები, დამოუკიდებელი ქალაქები, ყოფილი რესპუბლიკები, მათი განაწილება მოხდება წონასწორობის ყველა წესის დაცვით.

გულწრფელი იყო თუ არა ტალეირანის ჩანაფიქრი, მნიშვნელობა არა აქვს. იგი, ყოველ შემთხვევაში მაინც, სისტემის ყველაზე ლოგიკოსი დამცველი გახლდათ.

„წონასწორობა ამაო სიტყვა იქნება მხოლოდ, თუკი გვერდზე გადავდებთ არა იმ წამიერ და მაცდუნებელ ძალას, რომელსაც ვნებები აღძრავს, არამედ ნამდვილ მორალურ ძალას, რომელიც სათნოებაში მდგომარეობს. თუმცა ხალხთა შორის ურთიერთობებში უპირველესი სათნოება არის სამართალი.“

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტალეირანის მიერ ნახსენები „სამართალი“, ხალხის სამართალს არ გულისხმობდა. მას მხედველობაში ქონდა კანონის სამართალი.

ტალეირანი აღშფოთებულია იმ აზრის გამო, „რომ განათლებული ერების მიერ თავიანთი კოდექსებიდან ამოღებული კონფისკაცია, შეტანილი უნდა იყოს მეცხრამეტე საუკუნის ევროპის ზოგად სამართალში... რომ სუვერენიტეტი დაიკარგება და აღსდგება მხოლოდ გამარჯვებით; რომ აღარ არსებობს კანონი, რომელსაც ევროპის სახალხო სამართალს ვეძახდით...“ რომ „ევროპელ ხალხს შორის მიღებული ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც სამი საუკუნის მანძილზე ყველგან, გამუდმებით და თანაზიარად იქნა დაცული,

მისთვის კანონს აღარ წარმოადგენს; ერთი სიტყვით, ყველაფერი კანონიერია იმისთვის, ვინც ყველაზე ძლიერია."

ტალეირანმა საუკეთესოდ გადმოგვცა მოსაზრება, რომ არსებობს ფუნდამენტალური ევროპული სოლიდარობა, რომელიც ჯერ კანონიერებას, მერე წონასწორობას ეფუძნება და მშვიდობის ყველაზე მყარ საფუძველს წარმოადგენს.

ტალეირანის მიერ გამოყენებული მოქმედების მეთოდი მდგომარეობს ევროპული ჰარმონიული სისტემის ამუშავებაში. უფრო ზუსტად, ინგლისი აღელვებულია, როცა ხედავს, რომ რუსეთის საზღვრები მეტისმეტად ფართოვდება პოლონეთის ხარჯზე, ავსტრიას კი აწუხებს პრუსიის მიერ საქსონიის დაპყრობა. პრუსია და რუსეთი ამ საკითხში თანხმდებიან.

ტალეირანი ვენაში მოაწყობს ინგლისის მეფის ჯორჯ III-ის, კასტლერიგის და მეტერნიხის შეხვედრას, რომელიც ტალეირანის მოხერხებულების წყალობით სამთა შეთანხმებით სრულდება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, პრუსია და რუსეთი იძულებულნი არიან დათმობაზე წავიდნენ.

1815 წ. 4 იანვარს ტალეირანი ამ კარგ ამბავს წერილით ამცნობს მეფე ლუი XVIII-ეს. ასევე ბედავს იმის თქმას, რომ ინგლისი, რომელიც ყოველთვის ცდილობს საფრანგეთს გაუთანაბრდეს, რეინისპირეთის და ვესტფალიის ვრცელ ტერიტორიას პრუსიას უცვლის საქსონიის ერთ ნაწილში (რომელიც დამოუკიდებელი რჩება). ამგვარად, იგი საფრანგეთის მეზობელი ხდება. ამ შეთანხმების თანახმად, ფრანგებს „რეინის დაცვა" (*Wacht am Rhein)* ევალებათ. ამავდროულად, ნიდერლანდების სამეფო — ბელგია და გაერთიანებული პროვინციები — მეზის პოსტზე დგას. მომავალი გვიჩვენებს, რომ საქმე ეხება *Balance of Power* (ძალაუფლების დაბალანსება) ღრმა სახეცვლილებას.

მეტერნიხი. ტალეირანის მთავარი საყრდენი იყო ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი, რომელიც მეტად პატიოსანი, ნაკლებ ცინიკური, თუმცა ნაკლებ მოხერხებული ადამიანი გახლდათ (მას ქვის კვარცხლბეკსაც კი ადარებდნენ).

ჩვენ დავინახეთ, თუ რატომ გამოაცხადა საჯაროდ მო-

რალური წესები პირველმა საფრანგეთმა. რა თქმა უნდა, მარტო იგი არ მოქცეულა ასე. თუმცა სხვებს ნაკლები ილუზიები გააჩნდათ.

ავსტრიელი დიპლომატი გენცი 1815 წ. 12 თებერვლის მემუარში წერდა: „ვინც ვენის კონგრესის მსვლელობის დროს, კარგად დაინახა ამ კონგრესის ხასიათი და მიზნები, ვერ შეცდებოდა საკუთარი ორიენტაციის არჩევაში."

ხმამაღალი ფრაზები: „საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა", „ევროპის პოლიტიკური სისტემის აღორძინება", „ძალთა ზუსტად გადანაწილებაზე დამყარებული ხანგრძლივი მშვიდობა", და ა.შ. გაისმოდა ხალხის დასამშვიდებლად და იმისთვის, რომ ამ საზეიმო შეხვედრას ღირსეული და გრანდიოზული იერი ქონოდა; მაგრამ კონგრესის ნამდვილი მიზანი იყო „გამარჯვებულებს შორის დამარცხებულებისთვის წართმეული ნადავლის განაწილება".

გენცზე ნაკლებ ცინიკოსია მეტერნიხი, რომელსაც კანონიერებაზე მეტად თანასწორობის არგუმენტი აღელვებს.

1814წ. 10 დეკემბერს მეტერნიხი პრუსიის მიერ საქსონიის ანექსიას გმობს და შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „ჩვენ კვლავაც ვიმეორებთ, რომ ავსტრიას პრუსიის არ შურს; პირიქით, იგი ამ სახელმწიფოში ხედავს ევროპის ძალების დაბალანსებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ საშუალებას...

აღმოსავლეთის და დასავლეთის ორ უდიდეს იმპერიას შორის მოთავსებული პრუსია და ავსტრია ორმხრივი თავდაცვის სისტემას წარმოადგენენ; ორი გაერთიანებული მონარქია ქმნის გადაულახავ ბარიერს ყველა დამპყრობელი ხელმწიფის მცდელობის წინააღმდეგ, რომელმაც შესაძლოა ერთ დღეს ხელახლა დაიკავოს საფრანგეთის თუ რუსეთის ტახტი. მეტერნიხს კარგად ესმის, რომ საჭიროა ვენეციის რესპუბლიკის გაქრობით სარგებლობა, ილირიული პროვინციების უკან დაბრუნება, ვენეტიში დამკვიდრება და თან ჰაბსბურგების ძველი უფლების აღდგენა ლომბარდიაზე.

ალექსანდრე I. ნაპოლეონის დამარცხებაში მთავარი როლი ითამაშა რუსეთის მეფემ. ეს უკანასკნელი ბონაპარტს

მფარველობდა. პარიზში როიალისტებმა მოაწყვეს მეტად ხელოვნური გამოსვლები, რომლის შედეგად და ტალეირანის დაჟინებული მოთხოვნით, ალექსანდრე I ლუი XVIII-ის საფრანგეთის ტახტზე ხელახლა ასვლას დათანხმდა. ცვალებადი, ხანდახან მისტიკური აზროვნების მქონე, ლიბერალიზმის მომხრე მეფეს სურდა, დიდი ბრიტანეთის გავლენის დონეზე აეყვანა თავისი ქვეყანა და შეეცადა რუსეთი გადაექცია საზღვაო სახელმწიფოდ, როგორც 1960 წ. მისი საბჭოთა მემკვიდრეები მოიქცნენ.

იმპერიის ომების წყალობით რუსეთმა ევროპაში ღრმად შეაღწია.

დასავლეთის მიზიდულობის ძალა კვლავ ძლიერია და კონტაქტები მრავლდება. მეფე ალექსანდრე I თავს საფუძვლიან ევროპელად თვლის. პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილ მეფეს ცენტრალური ევროპა, განსაკუთრებით, ვარშავის დიდი საჰერცოგო იზიდავს.

ალექსანდრე I ყველაფერს ვერ მიაღწევს: ყოველ შემთხვევაში, ეგლის დაცემის შემდეგ ვარშავის მფლობელი გახდება.

მოვიყვანოთ ეს უცნაური საუბარი ზნე-ჩვეულებების დამცველ ცინიკოს ტალეირანსა და ასე ვთქვათ, მისტიკურ მეფეს შორის, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებზე საუბრობს:

„— დავიცავ იმას, რაც ჩემს ხელშია.

— თქვენი უდიდებულესობა მხოლოდ იმის დაცვას ინებებს, რაც კანონიერად მისი იქნება.

— ვეთანხმები დიდ სახელმწიფოებს.

— არა მგონია, თქვენი უდიდებულესობა საფრანგეთს ამ სახელმწიფოების რიგში აყენებდეს.

— დიახ, რასაკვირველია, მაგარამ თუკი არ გსურთ, თითოეულმა თავისი მსგავსი იპოვოს, მაშინ რას ითხოვთ?

— მე ჯერ კანონს ვადგენ და მერე უკვე შესაბამისობას.

— ევროპის შესაბამისობა უკვე კანონია. მაშინ ტალეირანი მობრუნდება და წამოიძახებს:

— ევროპა! უბედური ევროპა!“

ინგლისი. ნაპოლონი შორეულ კუნძულზე გადაასახლეს. არაჯანსაღი მდგომარეობის გამო ერთი ვიწრო ჭკუის მქონე ზედამხედველი მიუჩინეს. იგი ზიანს ველარავის მიაყენებს. ამ წუთიდან ინგლისი ორი მიზნისკენ მიისწრაფვის: ბრიტანეთს ტერიტორიული ამბიციები არ აწუხებს, მხოლოდ სურს, აღადგინოს ევროპული წონასწორობა, კერძოდ, რუსეთის მეფის წინააღმდეგ.

ინგლისი გულმოდგინედ იცავს თავის სამფლობელოებს ჰოლანდიასა და საფრანგეთში და ცდილობს ესპანეთს ხელი შეუშალოს აჯანყებული ამერიკული კოლონიების დაბრუნებაში სადაც ბრიტანეთის კომერციული საქმიანობა მართლაც მშვენივრად არის განვითარებული.

კესტლერი, ჩვენს მიერ ნახსენებ *Balance of Powe* -ზე ხშირად, ხმარობდა გამოთქმას *Commonwealht of Europe*, რითაც ხაზს უსვამდა სახელმწიფოებს შორის საერთო სოლიდარობას.

ნათელმხილველი: სენ-სიმონი. როდესაც ისეთ დიდ მოვლენას ვიხსენებთ, როგორიც ვენის კონგრესი იყო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი დაკავშირებულია ყველაზე რეაქციულ, დაგვიანებულ წარსულთან და კონგრესის მონაწილეებს არ შეეძლოთ მომავლის შეცნობა.

აქვე სიმბოლურად მოვიხსენიოთ გრაფი კლოდ-ანრი დე სენ-სიმონის მოღვაწეობა.

ფრანგი მოაზროვნე სენ-სიმონი დაიბადა 1760 წ. ახალგაზრდა გრაფი ამერიკაში გაემგზავრა და მონაწილეობა მიიღო ჩრდ. ამერიკის კოლონიების ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ, რის გამოც ოცდაორი წლის ასაკში პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. სენ-სიმონს ხილვა ქონდა, რის შემდეგაც უცნაურ ცხოვრებას ეწეოდა. მან ბევრი იმოგზაურა ევროპაში, დაინტერესდა გერმანული ფილოსოფიით, გაიცნო ქალბატონი დე სტალი. სენ-სიმონს მიმდევრებიც გამოუჩნდა. ესენი იყვნენ ისტორიკოსი ოგუსტენ ტიერი და ფილოსოფოსი ოგუსტ კონტი.

1814 წ. ვენის კონგრესზე სენ-სიმონს საკუთარი აზრების გამოთქმის საშუალება მიეცა.

მან ყველა შუამავალს დაურიგა ბროშურა შემდეგი სათაურით: *ევროპული საზოგადოების რეორგანიზაცია, რაც გულისხმობს ევროპის ხალხთა გაერთიანების აუცილებლობას და საშუალებებს ერთ პოლიტიკურ მთლიანობად, სადაც თითოეული საკუთარ ეროვნებას შეინარჩუნებს.*

რომლით დავიწყოთ?

მოიწვევდნენ ერთ დიდ ევროპულ პარლამენტს, რომელიც უნივერსალურ მორალურ კოდექსს მიიღებდა. რაკი კონგრესი ამ ბროშურას გულგრილად შეხვდა, სენ-სიმონმა და მისმა მიმდევრებმა ეს კოდექსი თვითონ შეადგინეს.

სენ-სიმონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აზრი იყო წარმოების განვითარების მოთხოვნა. გარკვეული დემოკრატიული შეხედულებების მქონე სენ-სიმონმა კონგრესზე წამოაყენა ევროპული, შემდეგ უნივერსალური მთავრობის შექმნის იდეა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ მეცნიერები. ამ მთავრობას სათავეში ეყოლებოდა მათემატიკოსი. სენ-სიმონი წერს, რომ ნიჭიერი ადამიანების გარეშე, საფრანგეთი „უსულო სხეულად იქცევა“.

სენ-სიმონი გარდაიცვალა 1825 წ. მან „ევროპელობაზე“ უარი განაცხადა და ‘უნივერსალისტი“ გახდა.

სენ-სიმონის ბოლო ნაშრომი *ახალი ქრისტიანობა*, მის მიმდევრებს უცნაური რელიგიის შექმნისკენ მოუწოდებს. ამ უჩვეულო ადამიანმა კარგად წარმოგვიდგინა მომავალი ნამდვილი ევროპული აზროვნება: რკინიგზა, სუეცის არხი, ალპური გვირაბები, მსხვილი ბანკები, მსხვილი საწარმოები, კომერციის გაძლიერება ვაჭრობის გათავისუფლების გზით; ეს საკითხები უკვე განხილულია სენ-სიმონის შემოქმედებაში. მიმდევრებმა მას „დიდი განმაახლებელი ფილოსოფოსი“ უწოდეს.

და ბოლოს, სენ სიმონი მხარს უჭერდა ევროპის ტრადიციულ ფორმირებას. 1815 წ. 9 ივნისს ვენის კონგრესმა საბოლოო აქტი გამოსცა„ რომელიც ევროპის ტერიტორიულ წესდებას შეადგენდა.

II. „ევროპული შეთანხმება“

კონსტიტუციები. ამჯერად საქმე ეხება 1814-1815 წლებში დადებული ხელშეკრულებებით მიღწეული სიტუაციის „ჩამოყალიბებას“ ისე, რომ დაცული ყოფილიყო კანონიერების პრინციპი. თავდაპირველად,თითქოს ასი დღის ეპიზოდმა საფრთხე შეუქმნა ევროპის ახალ სისტემას. კოალიციას, რომელმაც ამ უკანასკნელს ბოლო მოუღო, თავისუფლად შეეძლო მუდმივი ორგანო გამხდარიყო, რომელიც ევროპის სტრუქტურის „დაცვას“ უზრუნველყოფდა.

„უზრუნველყოფაში“ რა იგულისხმება? შეიძლება საფრანგეთის წინააღმდეგ დაპირება მისცე, ან უფრო შორს წახვიდე და უზრუნველყო ევროპის ჩვეულებრივ დადგენილი *საზღვრების* დაცვა.

შეიძლება, ევროპის ტერიტორიის გარდა უზრუნველყო ევროპული სახელმწიფოების *რეჟიმის* დაცვა.

მონარქიული წყობა იყო გერმანიის ოთხ დამოუკიდებელ ქალაქში, შვეიცარიის ახალ კონფედერაციაში და ყველა ევროპულ სახელმწიფოში. ზოგიერთ მათგანს ქონდა მონარქების მიერ „ბოძებული“ კონსტიტუცია.

აბსოლუტური ხელისუფლება შეინარჩუნეს პრუსიამ, ავსტრიამ, რუსეთმა, დანიამ, ყველა იტალიურმა სახელმწიფომ, პორტუგალიამ და ესპანეთმა. ამგვარად, რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა ნიშნავდა კანონიერების პინციპის უზრუნველყოფას არა მხოლოდ ნაკლებად საშიში რესპუბლიკელების, არამედ თვით ლიბერალების წინააღმდეგ, ასევე ყველა იმ ძალის პირიპირ, რომელიც ერის და ხალხის ნება-სურვილზე საუბრობდა და სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას ცდილობდა. სწორედ მეტერნიხი იყო კონსერვატიზმის ერთ-ერთი ქომაგი.

საღვთო კავშირი. 1815 წლის 26 სექტემბერს, ორთოდოქსი მეფის ალექსანდრე I ინიციატივით „საღვთო კავშირის“ აქტს „უწმინდესი და განუყოფელი სამების სახელით,“ ხელი მოაწერეს ავსტრიის იმპერატორმა ფრანც II კათოლიკემ და პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III ლუთერანმა.

ეს მეფეები ვალდებულებას იღებდნენ „ერთმანეთთან ქონოდათ ნამდვილი და მტკიცე კავშირი“ და ნებისმიერ შემთხვევასა და ადგილზე ერთმანეთისთვის „ხელი შეეწყოთ, დახმარებოდნენ და შველა გაეწიათ“.

მოგვიანებით ამ კავშირში გაერთიანდნენ საფრანგეთის და ესპანეთის მეფეები, რათა რუსეთის იმპერატორისთვის ესიამოვნებინათ. მიუხედავად ამისა, მთელი მსოფლიო სკეპტიკური რჩებოდა.

„საღვთო კავშირმა“ დიდი პოლიტიკური როლი ვერ შეასრულა, მაგრამ თვით გამოთქმამ ხელი შეუწყო აბსოლუტიზმის მომხრე პოლიტიკის, ლიბერალური აგიტაციის შემცირების და ეროვნული იმედების განსაზღვრას.

„საღვთო კავშირის“ მიმართ მტრულად განწყობილმა კესტლერმა უფრო კონკრეტული ზომების მიღება სცადა. პარიზის მეორე ხელშეკრულება, რომელიც 1815 წ. 20 ნოემბერს დაიდო, ამის საშუალებას იძლევა. მიღებული იქნა ორი გადაწყვეტილება.

პირველი შევიდა პარიზის ხელშეკრულების მეექვსე მუხლში, რომელიც სისტემის განმტკიცებას გულისხმობდა:

„იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ და გავაადვილოთ მოცემული ხელშეკრულების განხორციელება და განვამტკიცოთ შიგა კავშირები, რომელიც დღეს მსოფლიოს კეთილდღეობისთვის აერთიანებს ოთხ მეფეს, უმაღლესი ხელის მომწერი მხარეები შეთანხმდნენ, განსაზღვრულ დროში, ხან მონარქთა ინიციატივით, ხან მათი საპატიო მინისტრების მიერ, განაახლონ შეკრებები, რომლებიც მიეძღვნება დიდ საერთო ინტერესებს და შეისწავლის დასვენების, ხალხთა კეთილდღეობის და ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საშუალებებს.“

ხელშეკრულბით მიღებული მეორე გადაწყვეტილება იყო პარიზში ელჩების კონფერენციის მოწყობა, რომლებსაც დაევალებოდათ ამ შეთანხმების პუნქტების განხორციელებაზე თვალის დევნება, კერძოდ, იგულისხმებოდა ომის მიერ მიყენებული ზარალის და სამხედრო გადასახადის ანაზღაურება.

ოთხთა კავშირი: რუსეთის მეფის მხარდაჭერის მიუხედავად, საფრანგეთი ამ სისტემიდან გამორიცხეს.

საფრანგეთის „მოკავშირეთა თანამეგობრობაში“ შესვლის საკითხი წამოაყენეს 1818წ. ექს-ლა-შაპელის კონგრესზე, როცა მოგვარდა 1815 წ. ომის მძიმე ზარალის ანაზღაურების პრობლემა. რევოლუციური მოძრაობების და ბონაპარტისტული შეთქმულებების შიშით, კომპრომისზე წავიდნენ და საფრანგეთი კავშირში მიიღეს, მაგრამ ოთხივე ფარულად ახალ ზომებს იღებდა რესპუბლიკელების და ბონაპარტისტების წინააღმდეგ.

ცოტა ხანში ოთხმაგი კავშირი ხმარებიდან გამოვა.

ექს-ლა-შაპელის კონფერენცია (1818). ექს-ლა-შაპელის კონფერენციას სხვა ეფექტი ქონდა.

იგი მიდის „შეთანხმების“ მთავარ პრინციპამდე, რაც გულისხმობს: *ყველა დიდი სახელმწიფო და სხვა არავინ*; მეორადი სახელმწიფოების არც ერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მათ შორის ესპანეთი. ბუნებრივია, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, ჰერცოგმა რიშელიემ, მთელი ღონე იხმარა იმისთვის, რომ მისი ქვეყნა ამ გაერთიანებაში ცალკე მიეღოთ.

„შეთანხმება“, მეტერნიხის საყვარელი იარაღი. მეტერნიხი გამოყოფს შეხვედრების სამ ტიპს: 1) *კონგრესი*, სადაც სწორედ რომ ვთქვათ, გართობას უფრო მეტი დრო მიაქვს, ვიდრე მოლაპარაკებებს; 2) *კონფერენციები*, რომლებიც, ძირითადად, ელჩებს შორის მიმდინარეობს ოფიციალურ დონეზე და საბოლოოდ „ოქმებით“ მთავრდება; 3) *კრებები*, სადაც ელჩები სხვადასხვა საკითხზე მსჯელობენ თავაზიანად, ყოველგვარი ოქმის შედგენის გარეშე.

„შეთანხმება“ 1914 წლამდე გაგრძელდა. თუმცა ისეთი კონგრესი, სადაც დიდი პიროვნებები მოიყრიდნენ თავს ხშირი შემთხვევა არ იყო, თუ არ ჩავთვლით, 1856 წ. პარიზის კონგრესს და1878 წ. ბერლინის კონგრესს.

უდიდეს ყურადღებას იმსახურებს 1820-1823 წ-ში ჩატარებული რამდენიმე კონგრესი. 1820 წლის დასასრულს

სილეზიაში მოეწყო ტროპოს კონგრესი, ხოლო 1821 წლის დასაწყისში კარნიოლში შედგა ლაიბახის კონგრესი, რომლის მიხედვითაც ავსტრიას „წესრიგის აღდგენა" დაევალა. ეს ნიშნავდა ნეაპოლში და პიემონტში აბსოლუტიზმის გამეფებას.

1822 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ვერონაში ჩატარდა კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ესპანეთის შესახებ.

გთავაზობთ ფაქტების მოკლე რეზიუმეს. 1819-1823 წწ.-ში მძლავრმა ლიბერალურმა აჯანყებებმა იფეთქა ესპანეთში, პორტუგალიაში, ნეაპოლსა და სარდინიაში. მათ ერთი რამ აერთიანებდათ, ის, რომ ეს აჯანყებები მომზადდა და მოეწყო ოფიცრების მიერ, რომლებსაც საიდუმლო ორგანიზაციებთან ქონდათ კავშირი (*კარბონარია*, ფრანკ-მასონები და ა.შ.).

ამ ოთხი რევოლუციის საერთო მიზანი იყო: დამყარება ან აღდგენა იმ კონსტიტუციის მსგავსი კონსტიტუციისა, რომელსაც კორსიკელმა ესპანელებმა უყარეს კენჭი 1812 წელს ფრანგების შემოსევის წინააღმდეგ. ეს კონსტიტუცია საჯაროდ აცხადებდა საფრანგეთის რევოლუციის პრინციპებს, თუმცა უფრო რეალისტური იყო, ვიდრე 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუცია: რის გამოც სანიმუშო გახდა. ესპანეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც რევოლუცია მოუწყო ფერდინანდ VII-ს. ამ უკანასკნელმა სახელმწიფოში აბსოლუტიზში დაამყარა. ესპანეთს პორტუგალიაც მიყვა და მეფე ხუან VI იძულებული გახდა 1812 წელს კორტეს მსგავს კონსტიტუციაზე დათანხმებოდა. ნეაპოლში რევოლუცია მოაწყვეს მიურატის მომხრე ოფიცრებმა და კარბონარებმა, ხოლო პიემონტსა და სარდინიაში მომხდარი რევოლუცია ლიბერალურ და ეროვნულ ხასიათს ატარებდა.

გარდა ამისა, ვერონაში გადაწყდა, რომ ფრანგული სამხედრო ექსპედიცია მეფე ფერდინანდს აბსოლუტური ძალაუფლების აღდგენაში დაეხმარებოდა. ეს ტრაგიკული შემთხვევა გამოდგა, რითაც კარგად აიხსნება ის იზოლირება, რომელშიც ესპანეთს მოუწევს ცხოვრება თითქმის ერთ

საუკუნეზე მეტ ხანს, აბსოლუტისტებსა (დიდგვაროვნები და სამღვდელოების უმეტესი ნაწილი) და ლიბერალებს შორის გახლეჩილს. საშინელი რეპრესიის შემდეგ, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა ფარულად, თუმცა ყველაზე ტრაგიკული ფორმით 1936-1939 წ-ებში. ამას დაუმატოთ გაუთავებელი კონფლიქტი მეფე ფერდინანდის უკანასკნელი ცოლის, კრისტინ დე ნეაპოლის მომხრეებსა და მის მაზლ,კარლოსს შორის და უწყვეტი სამხედრო *pronunciamentos*. ასევე გავიხსენოთ ესპანეთის ტახტზე ხოჰენზოლეონის კანდიდატურის წამოყენების გარშემო ამტყდარი ხმაური, რომელიც 1870-1871 წ-ებში საფრანგეთ-პრუსიის ომის საბაბი ხდება.

ესპანეთი იზოლირებულად ცხოვრობს, პორტუგალიაც მსგავს სიტუაციაშია. აქაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კონსტიტუციის და აბსოლუტიზმის მომხრეები.

პორტუგალია მაინც ევროპას ეკუთვნის იმ ვიწრო გავლენის წყალობით, რომელსაც მასზე ახორციელებს ინგლისი 1703 წ. დადებული მესენის ხელშეკრულების თანახმად.

საერთო ჯამში, მომავალი ევროკავშირის საკმაოდ არასრულყოფილმა, ბუნდოვანმა სახემ, ევროპულმა შეთანხმებამ დამანგრეველი როლი ითამაშა ესპანეთის და პორტუგალიის შემთხვევაში. შეთანხმებიდან ესპანეთის გამორიცხვა კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ სისტემის სისუსტეს.

III. ნაციონალიზმი, „რევოლუციის ჰიდრა“

„რევოლუციის ჰიდრა“: გამოთქმა მეტერნიხმა გამოიგონა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით. რეალურად, მეტერნიხი მშვენივრად ხედავდა, რომ თუ ეროვნულ, ლიბერალურ, სახალხო რევოლუციას ადგილზევე გაანადგურებდნენ, იგი სხვაგან გაჩაღდებოდა. მისი თვალთახედვით, საფრთხე მოდიოდა დაპყრობილი ხალხის ეროვნული მოძრაობებიდან.

უკვე ვნახეთ, რომ ნაციონალიზმი მთლიანად არღვევს ტრადიციულ „კანონიერებას“, ვენის კონგრესის კანონმდებლობას, რომლის თავდაცვის ერთადერთი საშუალება არის

„ევრო შეთანხმება“. ეს უკანასკნელი მხოლოდ დიდი სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურება, აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ მხოლოდ წვრილმანი საკითხები გვარდება მოლაპარაკების შედეგად. დიდი პრობლემებისთვის ძალადობა და ომი რჩება. ევროპელებს შორის ომი ევრო გაერთიანების ყოველგვარ აზრს ეწინააღმდეგება.

საერთო გეგმა. სხვადასხვა ეროვნული მოძრაობები შეადგენენ საერთო მოძრაობის ნაწილს, რომელიც ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ეს მოძრაობა მრავალფეროვანია და მთელს ევროპაზე ახდენს ზეგავლენას. ამიერიდან არსებობს უწყვეტი კავშირი *პოლიტიკურ ლიბერალიზმსა* და ეროვნულ პრინციპებს შორის; პარალელურად, ერთმანეთთან უწყვეტი შეხება აქვთ აბსოლუტური ხელისუფლების და თავისუფლების მომხრეებს.

საუკუნის პირველ ნახევარში, ადგილი აქვს სამ დიდ თანმიმდევრულ მოძრაობას, რომელიც ეროვნულ და რევოლუციურ მღელვარებას მოყვა:

1) 1818-დან დაახლოებით 1825-მდე (გერმანია, იტალია, უმთავრესად ესპანეთი, ასევე საფრანგეთი);
2) 1830-დან, დაახლოებით, 1834-მდე (ბელგია, საფრანგეთი, პოლონეთი, იტალია, უმთავრესად გერმანია);
3) 1848-1851 გაცილებით მეტი გაქანებით, რუსეთის გარდა, შეძრულია მთელი ევროპა.

ყველა დიდი გარდატეხისთვის ემზადება. სწორედ ამ მოძრაობებმა მისცეს შესანიშნავი იმპულსი პოლიტიკურ ლიბერალიზმსა და ეროვნულ პრინციპებს. აქედან დაიწყო ახალი სახელმწიფოების შექმნა ტერიტორიული გამოყოფის გზით; ეს სახელმწიფოებია: საბერძნეთი (1829), სერბეთი(1829), ბელგია (1830), რუმინეთი (1856-1859), ბულგარეთი (1878), ნორვეგია (1905); ბალკანეთის ომების შედეგად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოდის თრაკია, მაკედონია და ალბანეთი.

ნაციონალიზმი გამოყოფით. რითი აიხსნება ეს ფართო მოძრაობა? 1945 წლიდან ე.წ. რკინის ფარდის" მეორე მხარეს მდებარე ქვეყნების ისტორიკოსებმა სცადეს ამ მოძრაობის განმარტება, რომელიც კლასების ბრძოლაზე იყო დაფუძნებული. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი ისტორიკოსი იყო დიმიტრიჩ ჯორჯევიჩი.

რა თქმა უნდა, ხშირად ეწყობოდა გლეხთა მასების აჯანყება უცხოელი მსხვილი მესაკუთრეების წინააღმდეგ. მაგალითად, იყო შემთხვევა ბრიტანელი *landlodrs*-ის შემთხვევა ირლანდიაში, გერმანელი მესაკუთრეების — პოლონეთის დასავლეთით, ბოჰემიაში, და ა.შ.

თუმცა ეს განმარტება მეტისმეტად მიამიტად გვეჩვენება.

ამას უნდა დაემატოს გონივრული და მორალური მოტივაციები, რომლებიც ხანდახან გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

სწორედ *ფილოლოგები* და პოეტები *აღადგენენ* ენის პატივისცემას, სწორედ ისტორიკოსები ადგენენ ქვეყნის ისტორიას და ამით იხსენებენ შორეული დამოუკიდებლობის პერიოდებს. XIX საუკუნის უდიდესი გერმანელი ისტორიკოსები იყვნენ ნეიბური, მომსენი, რანკე და ა.შ.

ბერძნები. საბერძნეთში თესალიელმა პატრიოტმა, რიგასმა, *მარსელიოზას* შთაგონებით შექმნა საბერძნეთის ეროვნული ჰიმნი. მთელს ევროპაში ძალიან სწრაფად დაარსდა საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა საზოგადოებები.

იმ ხანმოკლე დროის გარდა, როცა მორე (პელოპონეზი) მოექცა ვენეციის კონტროლის ქვეშ (1687-დან 1715-მდე), საბერძნეთი მე-XV საუკუნიდან მოყოლებული თურქთა ბატონობას განიცდიდა. არსებობდა მცირე წინააღმდეგობრივი ჯგუფები (კლეფტები, ზღვის კლეფტები), მაგრამ რიგასმა და კიდევ რამდენიმე ადამიანმა წარმატებით წამოიწყეს სხვა ბერძნებში პატრიოტული გრძნობის გაღვივება. ავსტრიის კანცელარიამ რიგასი თურქებს გადასცა და 1798წ. იგი სიკვდილით დასაჯეს. მისი საქმე სხვებმა განაგრძეს

და კონტინენტალურმა ბლოკადამ ბერძნებს ვაჭრობის და ზღვაოსნობის მნიშვნელოვანი განვითარების საშუალება მისცა. შეიქმნა ბერძნული სკოლები. ვენის კონგრესმა ბერძნულ მოძრაობას სიმხნევე შემატა. საიდუმლო საზოგადოებამ, *Hetairie amicable,* 1815 წ. შეთქმულება მოაწყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერძენი, რუსეთის არმიის გენერალი,ალექსანდრე იპსილანტი (1821). ამ რთული ომის დეტალების მოყოლას არ შევუდგებით. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ საფრანგეთის არმიამ დიდი დახმარება გაუწია ბერძნებს მორეში, ფაშა იანინას, ალბანელი ტეპელენი ალის, შესანიშნავი მაღალჩინოსნების (მარკოსი, ბოტცარისი), მართლმადიდებლური ეკლესიის ჩარევით და დიდი სახელმწიფოების შუამავლობით, ეს ომი საბერძნეთის დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა. 1827 წლის 6 ივლისს, რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ლონდონის ხელშეკრულებას, რომელიც მათ შუამავლობას აკისრებდა. სამი ქვეყნის ფლოტმა ნავარინში (1827 წ. სექტემბერი) გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა,რამაც მომავალში ჯერ საბერძნეთის ავტონომია, მერე კი დამოუკიდებლობა უზრუნველყო.

სამხრეთელი სლავები ანუ იუგოსლაველები. სამხრეთელი სლავების ისტორიაში დიდი წვლილი მიუძღვის ნაციონალისტ მწერალს ვუკ კარაციკს და პოეტს რადიცევიჩს. კარაციკი დაიბადა 1787 წ. ჰერცეგოვინაში. მან ჭეშმარიტად აღადგინა სერბიის ლიტერატურული ენა, გაამარტივა კირილიცა, იმ მიზნით, რომ იგი უფრო მისაწვდომი გამხდარიყო ხალხისთვის და არა მხოლოდ ელიტისთვის. მისი ზეგავლენა განხორციელდა ნაციონალისტ პოეტზე რადიცევიჩზე და განსაკუთრებით ლუი გაჟზე. სწორედ ამ უკანასკნელმა შემოიტანა სალონებში სერბიულ-ხორვატული ენა და გამოიყენა ლათინური ხასიათები. ნელ-ნელა დაიწყეს ეროვნული ენის დაფასება და მას კილოკავად აღარ მიიჩნევდნენ.

ბულგარელები. ბულგარეთში, ათოსის მთის ბერმა, პაისიმ,

რომელიც 1722 წ. დაიბადა, 1762 წ. დაწერა *ბულგარელი ხალხის, მეფეების და წმინდა ბულგარელების სლავური ისტორია,* რომელიც მხოლოდ 1844 წ. გამოქვეყნდა. პირველი ბულგარული საერო სკოლა გაიხსნა 1835 წ. უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარეთის ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში. მან 1870წ. შექმნა ბულგარეთის ეგზარქია და ავტონომიური გახდა ბერძნულ ეკლესასთან მიმართებაში. ბულგარეთის ეგზარქია დღევანდელ ბულგარეთზე გაცილებით ვრცელი იყო, რაც ქვეყნისთვის ეროვნულ იდეალს წარმოადგენდა.

ამ ახალი ერების გვერდით, უნდა მოვიხსენიოთ სამი ძველი სახელმწიფო, რომელიც სხვა ქვეყნებს ექვემდებარებოდა:

— პოლონეთის სამეფო, დაყოფილი სამად ავსტრიის, პრუსიის და განსაკუთრებით, რუსეთის (ვარშავა) მფლობელობის ქვეშ;

— ბოჰემიის სამეფო (ჩეხეთი), დანგრეული 1620 წ. „თეთრი მთის“ ბრძოლის შედეგად;

— სენ-ეტიენის სამეფო (უნგრეთი), რომლის მთელი აღმოსავლეთ ნაწილი ნელ-ნელა თურქებმა დაიპყრეს.

პოლონეთი. პოლონეთი მხოლოდ 1919 წელს მოიპოვებს დამოუკიდებლობას. ამ ქვეყანაში, აყვავდა და უპრეცედენტო დიდებით შეიმოსა XVIII საუკუნის ინტელექტუალური კოსმოპოლიტიზმი.

პოლონეთი ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, სლავურ კულტურას შეხვდა „ლათინური და რომანული საფუძვლებით“. ამ მხრივ, აღსანიშნავია 1798 წ. დაბადებული უდიდესი მწერლის მიკიევიჩის, პრინც ადამ ცარტორისკის, ფრედერიკ შოპენის, მთარგმნელ ვოლტერ ნიემცევიჩის შემოქმედება.

ფრანგები და ინგლისელები პოლონეთის საკითხით დაინტერესდნენ პოლონეთის კომიტეტის და პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ეროვნული ლიგის საშუალებით.

ჩრდილოეთის სლავები. ჩეხები. ბოჰემიაში მთავარი როლი ითამაშა XIX საუკუნის დიდმა ისტორიკოსმა, ფრანტისეკ პალაკიმ, როდესაც გამოაქვეყნა ნაშრომი *ჩეხი ერის ისტორია.*

დიდ ომის დროს ჩეხმა ლიდერებმა, კერძოდ, ტომას მასარიკმა და ედუარდ ბენემ, ავსტრიისგან მოითხოვეს იმაზე მეტი, ვიდრე უბრალო ავტონომია იყო.

უნგრეთი. უნგრეთში, ნაციონალიზმის განვითარებას ძირითადად, ხელი შეუწყო იმ დიდგვაროვანთა კლასმა, რომელიც ჰასბურგების მიმართ მტრულად იყო განწყობილი და სენ-ეტიენის სამეფო გვირგვინის აღდგენა სურდა. 1825წ. პოეტმა, ვოროსმარტიმ გამოაქვეყნა ეპოპეა, რომელმაც სტიმული მისცა რომანტიკული ნაციონალიზმის გავრცელებას. ამ ნაციონალიზმმა შუალედური ფორმა მიიღო ისეთ ლიდერებთან, როგორებიც იყვნენ ეოტვოსი და დიკი, ან კიდევ სასტიკი ადვოკატი ლაიოს კოსუსი, რასაც ნამდვილი ომი მოყვა.

1866 წ. ავსტრიის დამარცხების შემდეგ, უნგრეთმა მოიპოვა ამ ქვეყანასთან თანასწორობის სტატუსი. ეს არის 1867 წლის კომპრომისი. მას შემდეგ ლაპარაკობენ ავსტრია-უნგრეთის და ორმაგი მონარქიის შესახებ. მას შემდეგ, 1867 წლის ავსტრიის კონსტიტუციის მიხედვით, იმპერიის შემადგენელმა სხვადასხვა ეროვნებებმა, მრავალ საკითხში მიაღწიეს თანასწორუფლებიანობას (*Gleichberechtigung*), თუმცა ფედერალიზმზე საუბარი არ იყო.

უძველესი ერები. ეროვნული გრძნობა იმავე დონეზე დარჩა უძველეს ერებში, რაც აქა-იქ, უკიდურესად ძლიერი განხეთქილებების საბაბი ხდება, მაგალითად, ესპანეთში ბრძოლა მიმდინარეობს გიბრალტარისთვის, საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოში, კათოლიკეები ემანსიპაციისკენ მიისწრაფვიან და მიზანს აღწევენ 1829 წ. ირლანდიელები, ულსტერის პროტესტანტების გარდა, დამოუკიდებლობას თუ არა, ავტონომიას *Home Rule* მაინც მოითხოვენ.

ნორვეგიას აღარ სურს დინასტიური კავშირი ქონდეს შვედეთთან და 1905 წ. სრულიად დამოუკიდებელი ხდება. მეტი ყურადღება დავუთმოთ ბელგიასა და შვეიცარიას.

ბელგია. ბელგიის შემთხვევა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა. ყოფილი კათოლიკე ნიდერლანდებისა და ლიეჟის ეპარქიისგან წარმოქმნილი ბელგია, თანმიმდევრობით ეკუთვნოდა ბურგუნდიას, ესპანეთს, ავსტრიას, საფრანგეთს და საბოლოოდ, 1815-30 წ-ში დაუკავშირდა პროტესტანტ ჰოლანდიელებს, რომელთა მეფე, გიომ I ასევე გახდა ნიდერლანდების მეფე. სწორედ ამ ქვეყანას უნდა ჩამოეყალიბებინა ბუფერული სახელმწიფო საფრანგეთის ჩრდილოეთით.

ბელგიელებს შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს მათ არათანასწორად ეპყრობოდნენ, რის გამოც ორანჟის პროტესტანტული დინასტიის მიმართ მტრულად განწყობილმა კათოლიკე ბელგიელებმა და ავტორიტარული რეჟიმის მოწინააღმდეგე ანტი კლერიკალმა, ლიბერალმა ბელგიელებმა 1828 წელს ხელი მოაწერეს *კავშირს*. საფრანგეთში 1830 წლის ივლისში მიმდინარე ლიბერალური დღეების მაგალითით წაქეზებულმა ბელგიელებმა 25 აგვისტოს აჯანყება მოაწყვეს.

ბევრი ფრანგი მაშინ თვლიდა — საკმაოდ უსამართლოდ — რომ ბელგიელებს საფრანგეთთან გაერთიანება სურდათ. ამაზე ბელგიელების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ფიქრობდა.

საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპი და მისი ელჩი ინგლისში, ტალეირანი მიხვდნენ, რომ ინგლისი, რომელიც ოცი წელი აწარმოებდა ომს საფრანგეთთან ანტვერპენის გამო, ამ ომს ხელახლა დაიწყებდა, თუ საფრანგეთი ბელგიის ანექსიას განახორციელებდა. 1830 წელს შექმნილი სახელმწიფო, უმთავრესად, *კავშირს* უნდა უმადლოდეს თავის ეროვნულ სიმტკიცეს.

მართლაც, თითქმის ნახევარი მოსახლეობის და მათ შორის, ყველაზე მგზნებარე კათოლიკეების მშობლიური ენა იყო ნიდერლანდური, თავისი ფლამანდური ფორმით, რომელ-

საც განათლებული ელიტარული წრეები გმობდა და მდაბიო ენად თვლიდა.

1830 წლის ბელგია, დიდი ბელგიელი ისტორიკოსის, პირენის აზრით, ასპარეზზე გამოდიოდა როგორც „გაფრანგულებული ბლოკი“.

ამ ლინგვისტურმა უთანასწორობამ გამოიწვია „ფლამანდურ ენაზე მოლაპარაკეთა მოძრაობა“, რომელიც 1840 წ. დაიბადა. ზუსტად 1860 წლამდე ეს მოძრაობა, ძირითადად, ლინგვისტურ და ლიტერატურულ ხასიათს ატარებდა და ქონდა დევიზი: *De taal is gansch het volk*: (ენა არის მთელი ერი). 1856 წ. მიღებული იქნა, რომ ფლამანდურ პროვინციებში, ფრანგული და ფლამანდური ენები თანასწორი უფლებებით ისარგებლებდნენ. ფლამანდურ ენაზე ითარგმნებოდა ოფიციალური დოკუმენტები, კანონები, დადგენილებები და ა.შ. ფლამანდიის კარში განკარგულებები გაიცემოდა ფლამანდურად. ამ თარიღიდან მოყოლებული, ფლამანდიის სამართლებრივი გამარჯვებები იქამდე გაგრძელდა, სანამ არ წარმოიშვა სიტუაცია, რასაც ფლამანდური მოძრაობის ერთ-ერთი მოაზროვნე, მაქს ლამბერტი, „ყველა ფლამანდიელის გაფლამანდიელებას“ უწოდებს (1914-1930). თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარი ვითარება ყველა გამოწვეული უთანხმოებებით, მუქარას წარმოადგენს ბელგიის ეროვნული მთლიანობისთვის.

შვეიცარია. შვეიცარია სრულიად საწინააღმდეგო სიტუაციაში იმყოფება.

აქ უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ ენა მთელს ერს წარმოადგენს.

ისტორიკოსი, ჟორჟ ანდრეი თავისი ნაშრომის *შვეიცარიის და შვეიცარიელი ხალხის ახალი ისტორიის* ერთ-ერთ თავს 1798-1848 წლების პერიოდზე შემდეგნაირად ასათაურებს: „ეროვნული სახელმწიფოს ძიება“. 1789-1814 წლებში შვეიცარია საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცა, რისგანაც გათავისუფლდა და მისი ჯარისკაცები მოკავშირეებს შეუერთდნენ ნაპოლეონის ას დღიან ეპოქაში.

1815 წლის 20 ნოემბერს, პარიზის მეორე ხელშეკრულე-

ბაზე, ხუთმა დიდმა სახელმწიფომ — რომელსაც მოგვიანებით პორტუგალიაც შეუერთდა — მოახდინა „შვეიცარიის შესაძლო ნეიტრალიტეტის ფორმალური და ნამდვილი აღიარება“ და მას „ტერიტორიული ხელშეუხებლობის და დაცვის“გარანტია მისცა.

ამგვარად,დიდი სახელმწიფოები აღიარებდნენ პრინციპს, რომელსაც შვეიცარიელები ყოველთვის მოითხოვდნენ.

1832 წ. ციურიხის ბურგომისტრმა, იაკობ ჰესმა, წამოაყენა აზრი ყოველგვარი მნიშვნელოვანი რეფორმის თავიდან აცილების შესახებ, მანამ, „სანამ ხალხის სურვილი იქნება გახდეს ერი.“

1832 წელს ჰარპი წერდა: „ჩვენ, საწყალ შვეიცარიელებს რაც შეგვეხება, ერი აღარ ვართ.“

სინამდვილეში პატრიოტიზმმა, ნეიტრალიტეტის პრესტიჟმა და ეროვნულმა, ფედერალურმა, პატრიოტულმა, მრავალლინგვისტურმა (განათლების, სიმღერის, ლიტერატურის) საზოგადოებებმა, მოგონების კულტმა (დიდ ზეიმებთან ერთად, სადაც გიომ ტელი მთავარ როლს თამაშობს), მაძინის („ახალგაზრდა შვეიცარიელის“) ზეგავლენამ რეალურად შექმნა, განსაკუთრებით ძლიერი ერი.

1816 წლიდან აბსოლუტურად სტაბილურ ტერიტორიულ გარემოცვაში, სადაც სამ ძირითად ენაზე საუბრობენ, სადაც კოსმოპოლიტიზმს ხელს უწყობს 1848 წელს ორმოცდაათი ათასი უცხოელის არსებობა 2,4 მილიონ ადგილობრივ მცხოვრებელზე, დაპირისპირებები, უმთავრესად, რელიგიური თუ ეკონომიკური და იშვიათად, ლინგვისტური ხასიათისაა.

მხოლოდ კათოლიკურ ოლქებს ექნებათ გამოყოფის მცდელობა 1847 წელს, „სონდერბუნდის ბრძოლა“ (ცალკე ალიანსი). ეს უკანასკნელი 4-დან 30 ნოემბრამდე გაგრძელდა და მხოლოდ ასი ადამიანი იმსხვერპლა. სონდერბუნდი ადვილად დამარცხდა.

ახალი კონსტიტუცია, თანამედროვე ფეოდალური სახელმწიფოს ნამდვილი ქარტია, მიღებული იქნა 1848 წელს.

ამ ძველი სახელმწიფოების და სახელმწიფო-ერების გვერდით, რომლებიც ყოველთვის მძლავრი გამოყოფებით შეიქმნა (გარდა ნორვეგიის მაგალითისა შვედეთთან მიმარ-

თებაში), ორი დიდი სახელმწიფო ჩამოყალიბდა ისეთი პატარა სახელმწიფოების *გაერთიანებით* როგორებიც 1848 წელს იყვნენ: იტალიის სამეფო და გერმანიის იმპერია. **გაერთიანება: იტალიის სამეფო.** მეტერნიხის თვალსაზრისით, იტალია იყო მარტივი „გეოგრაფიული გამოსახულება". იგი შედგებოდა ექვსი სახელმწიფოსა და ავსტრიის სამფლობელოსგან, რომელსაც წარმოადგენდა ლომბარდია-ვენეციის სამეფო, მილანითა და ვენეციით. 1815 წელს ჩნდება ეროვნულ-ამაღორძინებელი მოძრაობის პირველი ნიშნები, რომელიც ცნობილია *Risorgimento*-ს სახელით.

პიემონტ-სარდინიის სამეფოს ავსტრიელებთან მარცხის შემდეგ 1848-1849 წ-ში, მეფე ვიქტორ-ემანუელ II და მისი პრემიერ მინისტრი კამილო ბენცო დი კაბური მიხვდნენ, რომ მათ ესაჭიროებოდათ ძლიერი არმიის მქონე დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერა.

1859 წ. იწყება იტალიის ომი, ხოლო 1861 წ. იტალიის სამეფო დამოუკიდებელი ხდება. მიიერთებს ვენეციას 1866 წ. და რომს 1870 წ. და მოითხოვს ტრენტენის და ტრიესტის *irredente* მიწებს, რომლებიც ავსტრიის მფლობელობაში რჩებიან 1918 წლამდე.

გაერთიანება: გერმანიის იმპერია. 1815 წ. ვენის კონგრესმა გერმანიას ნაკლებ შემაწუხებელი პირობები დაუწესა, შეიქმნა გერმანიის კონფედერაცია, (*bund*), სადაც ერთმანეთს მეტოქეობას უწევდა ორი უდიდესი გერმანული სახელმწიფო, ავსტრია და პრუსია. არჩეული ასამბლეის, ფრანკფურტის პარლამენტის, შექმნის ლიბერალური მცდელობა მარცხით დასრულდა 1849-1850 წ-ში.

1862 წლის სექტემბერში პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი ხდება ოტო ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი, რომელმაც რეალური გაერთიანების განსახორციელებლად, თავისი არაჩვეულებრივი დიპლომატიური ნიჭით სამი ომი უნდა აწარმოოს: ჰერცოგების ომი, რომელმაც პრუსიას ავსტრიის ავტორიტეტის შერყევის საშუალება მისცა; 1866 წ. პრუსია-ავსტრიის ომი, როცა პრუსიელების გამარჯვების შედეგად სადოვაში (ანუ კონიგრაცში) 1866 წლის 12 იელისს, დაიშალა გერმა-

ნიის კონფედერაცია და შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის კონ-ფედერაცია, რომელშიც ავსტრია აღარ შედიოდა; და ბოლოს, საფრანგეთ-პრუსიის ომი, რის შემდეგაც ბისმარკმა დაას-რულა გერმანიის იმპერიის შექმნა, რომელიც კონსტიტუციით იქნებოდა დაცული; ეს უკანასკნელი ამოქმედდა 1871 წლის იანვარში.

გერმნიის კონფედერაციას ჰყავდა პარლამენტი, რაიხს-ტაგი, ქვეყნის იმპერატორად კი დაასახელეს პრუსიის მეფე გიომ I. მან ახალ იმპერიას მიუერთა ალზასი და ლოთა-რინგიის ვრცელი ნაწილი, რომელიც ერთდროულად ეკუთვ-ნოდა ახალი გაერთიანებული გერმანიის შემადგენელ სა-ხელმწიფოებს, თუმცა პრუსიის უპირატესობა ყველგან იგ-რძნობოდა.

იმპერიის კანცლერი (ბისმარკი ამ თანამდებობაზე დარ-ჩება 1890 წლამდე) ამასთანავე თითქმის ყოველთვის არის პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი, იმ სფეროში სადაც არ ჰყავთ იმპერიის სახელმწიფო მდივანი, სწორედ პრუსიის მინისტრი ახორციელებს ძირითად ძალაუფლებას (მაგალი-თად, პრუსიის ომის მინისტრი).

IV. რომანტიკული ევროპა

უდიდესი ლიტერატურული, მხატვრული, სენტიმენტა-ლური, რელიგიური მოძრაობა, რომელსაც რომანტიზმს უწოდებენ, უდავოდ ევროპული მოვლენაა. რომანტიზმი მართლაც, „ხმელთაშუაზღვის“ კლასიციზმის საპირისპი-როდ „ჩრდილოეთის“ გამოძახილს წარმოადგენდა. სწორედ ამ მოსაზრების დამტკიცება სურდა შოტლანდიელ მაკფერ-სონს (1796), როცა ისტორიულ ფაქტებს მშვენივრად აყალ-ბებდა. 1760 წ. მან გამოსცა *ოსიანის ლექსები*, რომელიც ამ სახელის მატარებელი გაელიკელი, ეგრეთწოდებული, მგოსნის თარგმანს წარმოადგენდა. კელტი და სკანდინავი-ელი ერები პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მიუხედავად ამისა, რომანტიკული მიმდინარეობის ღირსეული წარმომად-გენლები იყვნენ იტალიელები, მაგალითად, მაძონები და ლე-ოპარდები. რომანტიზმი არის განსაკუთრებული მდგომა-

რეობა, როცა ემოციას და გრძნობას შეუძლია გამარჯვება მოიპოვოს-გონებაზე. იგი შეესაბამება საოცნებო ევროპას.

ევროპა და სამშობლო. XIX საუკუნის შუა ხანებამდე გაერთიანებული ევროპული ერების შესახებ მითი ზოგადად ოპტიმისტური ფორმით განიხილებოდა. 1848 წლამდე ამ მითის მთავარ არსს წარმოადგენს „მისია", რომელიც უნდა შეასრულოს ხალხმა — ერთხელ მაინც გაერთიანებულმა ერში — და „ჰარმონია", რომელიც ევროპული ერებისგან წარმოიშობა.

1830 წლამდე ამ განწყობილების ათასი ფაქტი არსებობს, მაგრამ ისევ არაზუსტი ხერხით, რადგან სახელმწიფო და ერის კონცეფციები ხანდახან ერთმანეთშია არეული. ბერანჟემ 1818 წ. შექმნა ნაწარმოები *ხალხთა წმინდა კავშირი,* სადაც სიმბოლურად, ოდნავ უხეში, თუმცა უკიდურესად ნათელი სტილით გადმოგვცა არსებული ვითარება. მწერალი იხსენებს მშვიდობას და ადამიანებს მიმართავს:

ოჰ, ამბობდა ის, მამაცობით მსგავსნო
ფრანგო, ინგლისელო, ბელგიელო, რუსო თუ გერმანელო
ხალხნო, შექმენით წმინდა კავშირი
და გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი.

დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა თავისი დიალექტიკური იდეალიზმი მიუსადაგა სახელმწიფოს და ევროპის კონცეფციებს. მისთვის სახელმწიფო წარმოადგენს ნამდვილ პიროვნებას, აბსოლუტს, ხალხის სურვილის განხორციელებას. „სახელმწიფო არის ხალხის წარმოდგენა ადამიანის ნების და მისი თავისუფლების გარეგან დემონსტრირებაში." მაგრამ კაცობრიობის მიერ მიღწეულ ფაზაში, სახელმწიფო დასავლეთური აზროვნების გამოხატულებაა. „უნივერსალური ისტორია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიდის, რადგან ევროპა აუცილებლად არის იმ ისტორიის დასასრული, რომლის დასაწყისიც არის აზია" (*ლექციები ფილოსოფიური ისტორიაზე,* 1830-1831). ამგვარად, ისტორიის ევოლუცია არის აზროვნების ევოლუცია. მისი

დასასრულია ევროპა, ხოლო დედაარსი — გერმანია. ნაშრომის მესამე თავს ჰეგელი შემდეგ სათაურს აძლევს: „გერმანული სამყარო.“ „გერმანელი ერები, ქრისტიანობის ზეგავლენით, იყვნენ პირველები, რომლებმაც შეიგნეს ის ფაქტი, რომ ადამიანი, როგორც არსება, თავისუფალია: რომ სწორედ აზროვნების თავისუფლება შეადგენს ადამიანის დედაარსს.“

ჰეგელი არის არა ერის, არამედ სახელმწიფოს თეორეტიკოსი.

„ადამიანმა სწორედ ახლა უნდა იზრუნოს ამ მასების წინააღმდეგ ევროპის გაერთიანებაზე, უნდა მოახერხოს მათ შორის ჰარმონიის დამყარება.“ თუ ჰეგელისთვის, ევროპის არსს წარმოადგენს გერმანია, ჟუფრეისთვის „ფრანგული ერი არის ევროპის ავანგარდი“ (დენის დე რუჟმონი). გიზოც მსგავს აზრებს გამოხატავს.

როგორც ჰეგელის, ისე ჟუფრეის ფილოსოფიაში, ჩნდება ორმაგი დატვირთვის მოსაზრება, რომელიც გულისხმობს ხალხის „მისიას“ და ევროპის „გაერთიანებას“. „მისიის“ და „პირველობის“ იდეა, სხვათა შორის, საკმოდ გავრცელებული იყო და განსაკუთრებით გააქტიურდა 1830 წლის შემდეგ..

ამგვარად, მიშელეს აზრით: „მსოფლიოში ნაკლებად მარტივი, ნაკლებად ბუნებრივი, ყველაზე ხელოვნური, ე.ი. ნაკლებად ფატალური, ყველაზე ჰუმანური და ყველაზე თავისუფალი არის ევროპა; ყველაზე ევროპული ჩემი სამშობლოა, საფრანგეთი“ (*მსოფლიო ისტორიის შესავალი*, 1831). პარალელურად, ცნობილი აბატი, ვინჩენცო ჯიობერტი, თავის მთავარ ნაშრომს შემდეგ სათაურს აძლევს: *Il primato morale e civile degli Italiani*.

იტალიელი პოეტი ბერჩეტიც თავისი კოლეგების აზრს იზიარებს და გადმოგვცემს არსებულ ‘მტანჯველ მდგომარეობას, როცა ტკივილი გონებას და ცოდნას ეხმარება განავითაროს, სხვა გრძნობებთან ერთად, ევროპის მოქალაქეობის შეგრძნება.“

ევროპული ცნების განვითარება. სიტყვა ევროპა ჩნდება

პერიოდული გამოცემების სახელწოდებებში. 1817 წ. ბერნში გამოდის *ევროპული გაზეთი*. ცნობილია შატობრიანის „წერილი *ევროპული ჟურნალის* რედაქტორებისადმი". მოგვიანებით ასევე ვისაუბრებთ ბუშეს *ევროპელის* შესახებ.. გიზოს მსგავსად, რომელმაც შექმნა *ევროპული ცივილიზაციის ზოგადი ისტორია* (1828), დაიწყო „ევროპული ცივილიზაციის", „ევროპული ლიტერატურის" კვლევა: ძალზედ ახალგაზრდა ჯუზეპე მაძინიმ 1829 წ. დაწერა პირველი სტატია *Consiliatore*, სახელწოდებით: „ევროპული ლიტერატურის შესახებ".

1830 წლიდან ევროპის ცნება, რომელიც ერების ჰარმონიულ ერთიანობას ემყარება, მეტად საჭირბოროტო და ზოგადი ხდება. ფერნანდ ბალდენსპერჟემ თავის წიგნში: *1830 წლის დიდი განხეთქილება: რომანტიზმი და „ახალგაზრდა ევროპა"*, კარგად გვიჩვენა აზრთა სხვადასხვაობა, რომელმაც მაშინ რომანტიკული მიმდინარეობის დაყოფა გამოიწვია. ერთნი სკოლის წმინდა ლიტერატურული იდეალის ერთგულნი დარჩნენ, ხოლო სხვებმა, რომელთა რიცხვიც განუწყვეტლივ იზრდებოდა, რომანტიზმი დაუკავშირეს რადიკალურ-ნაციონალისტურ პოლიტიკურ იდეალს. როგორც პიერ რენუვენი წერს: ამ განხეთქილების შემდეგ „განმათავისუფლებელი მიმდინარეობა დომინირებს იტალიელი, პოლონელი და ზოგიერთი გერმანელი რომანტიკოსის შემოქმედებაში, რომელთაც სურთ ლიტერატურის გამოყენება ეროვნული გრძნობის გასაღვიძებლად" (*საერთაშორისო კავშირების ისტორია, XIX საუკუნე*).

ბრწყინვალე იტალიელმა ისტორიკოსმა კარლო კურციომ, დასვა საკითხი, რომელიც დღესაც აქტუალური რჩება. არის თუ არა რუსეთი ევროპული ქვეყანა? რუსი მწერალი, ჩადეევი, რომელიც ჰეგელის, ფიხტის, ჰერდერის, შლეგელის, შატობრიანის მოწაფე იყო, შეეცადა სლავური ევროპა გამოეყო „ქრისტიანულ-გერმანული" ევროპისგან. ასევე მოიქცა მისი თანამედროვე ივან კირჟეევსკი, რომელმაც 1837 წელს გამოუშვა გაზეთი *ევროპელი*. მისი აზრით, ევროპა შექმნეს გერმანელმა და ფრანგმა რომანტიკოსებმა, რომაულმა სამართალმა და ქრისტიანურმა რელიგიამ. რუსეთს

კი არ გააჩნდა არც კლასიკური მემკვიდრეობა და არც რომაული-სამართალი. ამგვარად, იგი უცხო იყო ევროპისთვის. მიუხედავად ამისა, რუსეთი მომავალში რეზერვს წარმოადგენდა. იტალიური, ესპანური, გერმანული, ინგლისური, ფრანგული ჰეგემონიის შემდეგ საჭირო იყო რუსული ჰეგემონია. ამგვარად, კლასიკურ ევროპას მემკვიდრედ ეყოლებოდა რუსული ევროპა. რუსეთი ევროპის „მემკვიდრეა", წერდა კირეევსკი 1833 წ. ტურგენევს.

ეს დავა გაგრძელდება მთელი XIX საუკუნის მანძილზე: „დასავლელები" და 'სლავიანოფილები" დიდხანს იკამათებენ რუსი ხალხის სულიერ მიმართულებაზე. რაც შეეხება სხვა ევროპელებს, ისინი თვლიდნენ, რომ ჯერ რევოლუციამ, შემდეგ ნაპოლეონმა მიიყვანა რუსთა მასები დასავლეთ ევროპამდე. რუსეთი არის თავისუფლების დამღუპველი მტერი, ამბობდა შესაბამისად, მრავალი მწერალი; მათ შორის, მაგალითად, გერმანელი ეროვნების ლაუბე, ფალმერაიერი, გეტსკოვი, არნდტი, ესპანელები: დონოსო კორტესი და ბალმესი, იტალიელი ჯობერტი. რუსეთს მემკვიდრეობით ერგო ბიზანტიური აზროვნება, რომელიც ყოველთვის „ძირს უთხრიდა" ევროპას და ხელს უწყობდა მოსკოვში „მესამე რომის" აღმოცენებას. 1917-1989 წ-ში ანალოგიური შეხედულებები გაჩნდება, ოღონდ განსხვავებული ფორმით. როგორ განვითარდება ისინი მომავალში?

თუმცა რომანტიკული ოცნება მხოლოდ ერზე არ ამახვილებს ყურადღებას. მას სჯერა, რომ ევროპას შეუძლია ჰარმონიული არსებობა, მაგრამ კარგად გარკვეული არ არის, როგორი იქნება მისი იურიდიული სტრუქტურები. საფრანგეთში, სენ-სიმონისტური აზროვნება ბატონობს. სენ-სიმონის შეხედულებით, ევრო კომიტეტის რეორგანიზაცია იყო „ერთადერთი ფილოსოფიური მიზანი, რომელიც განათლებული ადამიანების ყურადღებას იმსახურებდა". სკოლას, სწორედ რომ ვთქვათ, „რელიგიას," თავისი „მამამთავრით", პროსპერ ანფანტენით, ნაკლებად აღელვებს ეს პრობლემები და ყალბრელიგიურ მისტიციზმში ვარდება, რომელსაც ზოგიერთი რეალისტი — მიშელ შევალიე, ეიშტალი, ძმები პერერები — უცნაურად უკავშირებენ წარმოების გაფართოებას და

რკინიგზის ვრცელი ევროპული ქსელის რეალიზაციას. ევროპული ეფუზიები განსაკუთრებით დისიდენტებისგან მოდის, როგორებიც იყვნენ ოგიუსტ კონტი და თავდაპირველად, ბუშე.

ბუშე. ფრანგული კარბონარიის ფუძემდებელი, სენ-სიმონისტი, კათოლიკე, ქრისტიანული სოციალიზმის წინაპარი, მონტანიარის კონვენციის დიდი გულშემატკივარი ფილიპ ბუშე 1830 წლიდან თითქმის სიკვდილამდე, 1865-მდე იყო ფილოსოფიური, სოციალისტური და ქრისტიანული სკოლის წინამძღოლი, რომლის ზეგავლენაც ზოგჯერ მეტად საგულისხმო გახლდათ. 1848 წლის 5 მაისიდან 6 ივნისამდე ბუშე იყო დამფუძნებელი კრების პირველი პრეზიდენტი, მაშასადამე, ერთი თვის მანძილზე ფრანგული სახელმწიფოს ნამდვილი მეთაური.

მიუხედავად იმისა, რომ ბუშეს განსაკუთრებით, მუშების ბედის გაუმჯობესება აღელვებდა, მაინც მგზნებარედ უჭერდა მხარს ევროპულ ფედერაციას. მისი თვალთახედვით, ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ „ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის“ შედეგად, როდესაც „ქრისტიანული წესით აღიარებული თანასწორობა და თავისუფლება დამყარდება, როგორც საზოგადოების საწყისები, სინამდვილეში და კანონიერ საფუძველზე.“

ბუშეს გავლენა უდავო იყო, განსაკუთრებით, ანრი ფეგეერეიზე, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა „ევროპის შეერთებული შტატების“ იდეა.

სანამ 1848 წლის წინა პერიოდის განხილვას შევუდგებით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის შესახებ მითი, რომელიც ევროპული ერებისგან წარმოიშვა, დაცული არის იტალიაში და არა საფრანგეთში. ეს გარემოება განაპირობა ჯუზეპე მაძინის უჩვეულო გავლენის გაფართოებამ.

მაძინი. სინამდვილეში მაძინი არის ნაციონალისტური და უპირატესად, ევროპული რომანტიზმის გმირი. შევეხოთ ასევე მის იდეოლოგიას, რაც არ უნდა ბუნდოვანი, მისტიკური და უტოპიური იყოს ის. კარლო კურციო წერს: „პოლიტი-

კოს მწერალთან იშვიათად შეხვდებით სიტყვა ევროპას, რომელსაც მაძინი ასე ხშირად ხმარობს".

მაძინი ხდება საიდუმლო საზოგადოების, კარბონარიის, წევრი, რომელსაც მალე მიატოვებს. შემდეგ მარსელში აყალიბებს საზოგადოებას *ახალგაზრდა იტალია*. მისი წმინდა ნაციონალისტური მიზანია ქვეყნის გაერთიანება და რესპუბლიკის შექმნა.

სწორედ თავის პერიოდულ გამოცემაში მაძინი აღნიშნავს იტალიის როლის მნიშვნელობას ახალ ევროპაში და იხსენებს ბუშეს საყვარელ იდეას, რომელიც გულისხმობს ევროპის თითოეული ერის „მისიას."

ხალხის „მისიის" იდეიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯია ევროპელ ხალხთა კავშირამდე, რომელსაც მაძინი გადადგამს იტალიაში და სავოიში განცდილი მარცხის შედეგად. სამშობლოდან გამოქცეული მაძინი ბერნს აფარებს თავს, სადაც თექვსმეტ რევოლუციონერთან (ეროვნებით იტალიელი, გერმანელი, პოლონელი) ერთად 1834 წ. 15 აპრილს ხელს აწერს ახალგაზრდა ევროპის პაქტს, რომელშიც თვალნათლივ ფიგურირებს თავისუფლების პრინციპები, თანასწორობა, ხალხთა ძმობა და უწყვეტი პროგრესი.

ხელშეკრულების მონაწილეებს სჯეროდათ, რომ ყოველ ერს *განსაკუთრებული* მისია აკისრია, რომელიც „აუცილებლად კაცობრიობის საერთო მისიის აღსრულებას შეესაბამება".

ეს არის ურთიერთგაგების შეთანხმება, რომელსაც სხვადასხვა გერმანული, პოლონური, იტალიური, შვეიცარიული, ფრანგული, ავსტრიული ორგანიზაციები აწერენ ხელს. ისინი ერთიანდებიან ახალგაზრდა ევროპის საძმოს ფორმით. მაგრამ მაძინი გაცილებით შორს მიდის, როცა ფიქრობს ევროპული რესპუბლიკების ერთგვარ ფედერაციაზე, რომელშიც შევა თოთხმეტი ქვეყანა. პიერ რენუვენი ხაზგასმით ამბობს, რომ „ევროპული რუკის ამგვარი გადაკეთება... არსებითად, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საერთაშორისო კავშირების მომავალი ორგანიზების გეგმა, რადგან მაძინი დარწმუნებული იყო,

რომ ამ რესპუბლიკებს შორის ერთბაშად, გამეფდებოდა მეგობრული დამოკიდებულება."

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაძინიმ და ბუშემ საფუძველი ჩაუყარეს სხვა მისწრაფებას: ქრისტიანულ სოციალიზმს, რადგან ერთიც და მეორეც შთაგონებულნი იყვნენ რომანტიკული რელიგიურობით.

ერიდან ევროპაზე გადასვლის იდეამ ბევრი სხვა იტალიელიც მოხიბლა, მაგალითად, ჯიობერტი და კატანეო.

კატანეო ერთ-ერთი იმათაგანია, რომელმაც 1848 წ. იხმარა სიტყვა „ევროპის შეერთებული-შტატები."

„ევროპის შეერთებული-შტატები." აქვე დავასახელოთ ჰენრიხ ჰეინი, რომლის იდეებიც დენის რუჟმონის სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოხატავს „გერმანული ნაციონალიზმის გადახრას უნივერსალური ლიბერალიზმისკენ".

მართლაც, თუ ადრე გვხვდებოდა შემდეგი შინაარსის ტექსტები: „ევროპის და მსოფლიოს ყველა ხალხმა უნდა გადალახოს ეს აგონია იმისთვის, რომ სიცოცხლემ სიკვდილზე გაიმარჯვოს და წარმართული ნაციონალიზმი ქრისტიანულმა მეგობრობამ შეცვალოს" (*პოლონეთის შესახებ*), გადადიან სხვა სახის ტექსტებზე, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: „დიახ, მთელი მსოფლიო გერმანიის გახდება!" ამ ორ უკიდურესობას შორის, ჰეინი, როგორც ისევ დენის რუჟმონი ამბობს, თითქოს მხარს უჭერს ნაციონალისტების მაძინისეულ ინტერნაციონალს.

1848 წ. ერების ჰარმონიული ევროპის იდეაზე შორს წავიდნენ და მართალი რომ ვთქვათ, უმოკლეს დროში, შეიმუშავეს „ევროპის შეერთებული-შტატების" გეგმა. ეს გამოთქმა 1847 წ. 25 დეკემბერს ახსენა ადვოკატმა ვესინემ რუანში წარმოთქმულ სიტყვაში, შემდეგ იგი გვხვდება 28-ის *უნივერსალურ ცნობარში*, ასევე *ლონდონური ტელეგრაფის* (28 მარტი და 1 აპრილი) შოტლანდიელი ჟურნალისტის შარლ მაკეის ორ სტატიაში, შემდეგ ემილ დე ჟირარდენის სტატიაში (*პრესა* 1848 წ. 14 აგვისტო), და ბოლოს, 30 სექტემბერს კარლო კატანეოს ნაწარმოებში *მილანის შეიარაღებული აჯანყების თავგადასავალი.*

ბუშეს მომხრე ანრი ფეგერეი, 1848 წ. 23 მარტის *ეროვნულ ჟურნალში* ხაზს უსვამს ეკონომიკურ, სულიერ და პოლიტიკურ სოლიდარობას და ქებას ასხამს სახელმწიფოთა კონფედერაციას, რომლის იურიდიულ წესდებას არ ასახელებს.

ემილ დე ჟირარდენი მხოლოდ კითხვის დასმით შემოიფარგლება: „რატომ არ უნდა არსებობდეს „ევროპის შეერთებული შტატები", როცა არსებობს ამერიკის შეერთებული შტატები? "

სამშვიდობო კონგრესები. სამშვიდობო კონგრესები შედგა ბრიუსელში 1848 წ. სექტემბერში, პარიზში 1849 წ. ფრანკფურტში 1850წ. ინიციატივა ეკუთვნოდა პასიფისტ ამერიკელს, ელიუ ბურიტს. ყველაზე საინტერესოა პარიზის კონგრესი, რომელსაც ვიქტორ ჰიუგო ხელმძღვანელობდა.

რაც არ უნდა მშვენიერი იყოს ჩვენს მიერ ქვევით მოყვანილი დიდი პოეტის სიტყვები, ერთი შეგვიძლია ვთქვათ, „ევროპის შეერთებული-შტატების" კონცეფცია ამით წინ ვერ წავიდა: „დადგება დღე, როცა თქვენ, ფრანგები, თქვენ, რუსები, თქვენ, გერმანელები, თქვენ, კონტინენტის ყველა ერი, მჭიდროდ გაერთიანდებით უმაღლეს ერთიანობაში ისე, რომ არ დაკარგავთ საკუთარ ღირსებებს და ცნობილ ინდივიდუალობას და შექმნით ევროპულ მეგობრობას, აუცილებლად, როგორც ბრიტანეთი, ბურგუნდია, ლოთარინგია, ალზასი გაერთიანდა საფრანგეთში [...]

დადგება დღე, როცა გვერდიგვერდ ვიხილავთ ამ ორ უზარმაზარ დაჯგუფებას, ამერიკის შეერთებულ შტატებს და ევროპის შეერთებულ შტატებს, რომლებიც ერთმანეთს ხელს გაუწვდიან ოკეანის მიღმა, გაცვლიან თავიანთ ნაწარმს, ხელობებს, ცოდნას, გამოიკვლევენ დედამიწას, ხალხს დაასახლებენ უდაბნოებში, დახვეწავენ შემოქმედებას შემოქმედის თვალთახედვით" (*თორმეტი გამოსვლა*, 1850).

„მეოცე საუკუნეში, წერს მოგვიანებით ვიქტორ ჰიუგო (სტატიაში *მომავალი* 1867 წ.), არაჩვეულებრივი ერი იქნება. ეს ერი გაიზრდება, რაც მას ხელს არ შეუშლის იყოს თავისუფალი.

იგი იქნება ცნობილი, მდიდარი, მოაზროვნე, დანარჩენი კაცობრიობის მიმართ გულთბილი... ამ ერის დედაქალაქი იქნება პარიზი და აღარ ერქმევა საფრანგეთი, არამედ ევროპა. ევროპა ერქმევა მეოცე საუკუნეში, ხოლო შემდეგ საუკუნეებში, კიდევ უფრო გარდაიქმნება და დაერქმევა კაცობრიობა."

დიდი და მშვენიერი გეგმებიდან, დიდ და მშვენიერ წინასწარმეტყველებამდე, ასეთია რომანტიკოსთა დამოკიდებულება ევროპის იდეის მიმართ.

ეროვნება-ევროპის რეალიზაციის სფეროში ყურადღება შეაჩერეს ეროვნებებზე. ოცნებიდან რეალობამდე გრძელი და ძნელი გზაა გასავლელი.

V. არეულობის და ომის ხანა (1848-1871)

1919 წ.-ის ბრწყინვალე შუამავალი, ლორდ ჰენკი თავის ნაშრომში *Diplomacy by Conference*, წერს: „საკმაოდ უცნაურია, რომ ეგრეთწოდებული „ევრო შეთანხმების" წესი, ძალაუფლების გადანაწილების სისტემა, რომელიც ხან ომის ხელისშემშლელი ბარიერი, ხან მისი შემზღუდველი ფაქტორი იყო, წინა საუკუნეში განვითარდა ოთხთა შეთანხმების მარცხის შემდეგ და წარმატებით დაგვირგვინდა." ლორდ ჰენკი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბერლინის ტრაქტატის (1878) და იტალია-თურქეთის (1911) ომს შორის არსებულ პერიოდზე, რომელსაც რომის იმპარიაში ანტონინების ეპოქას ადარებს.

ჩვენის აზრით, საკითხი უფრო რთულად დგას. „ევროპულმა თანხმობამ" შეუშალა ხელი ომებს თუ ომების არარსებობამ — სხვადასხვა მიზეზების გამო — განვითარების საშუალება მისცა „თანხმობას"?

ყოველშემთხვევაში, დიდ სახელმწიფოებს შორის ოცდათერთმეტწლიანი მშვიდობის შემდეგ დგება ოცდასამ წლიანი ხანა, რომელიც ალინიშნა ჯერ რევოლუციებით, შემდეგ კი ოთხი დიდი ომით (ყირიმი, იტალია, ავსტრია-პრუსიის ომი, საფრანგეთ-პრუსიის ომი). ამ ოცდასამმა წელიწადმა ერთგვარი წყვეტა შეიტანა XIX საუკუნის ისტორიაში.

ნაპოლეონ III. 1850-1851 წლების „რეაქციის“ შემდეგ, ნაპოლეონ III თითქოს პოლიტიკურ სცენას დომინირებს.

ის არის მეტისმეტად გამჭრიახი პიროვნება იმისთვის, რომ ევრო კავშირმა შეძლოს მისი პოლიტიკური ოცნებებისგან თავის დაძვრენა; ეკონომიკურ პლანზე, თითქმის სენსიმონისტების მომხრე იმპერატორმა მოახერხა შეექმნა „თავისუფალი ვაჭრობის ერთგვარი ზონა“, რომელშიც ყველა ევროპელი შეაღწევდა, რუსების გარდა.

ჯერ განვიხილოთ საკითხის *პოლიტიკური* ასპექტი ბროშურის, *ნაპოლეონის აზრების*, მიხედვით, რომელიც 1839 წელს დაიწერა.

მთავარი თემა გულისხმობს ერთგვარი „ევროპული კავშირის“ შექმნას. ეს უკანასკნელი მოითხოვს თავდაპირველად ეროვნული მისწრაფებების განხორციელებას; და საფრანგეთის „ევროპული მისია“ არის ამ მიმართულებით მუშაობა. ტექსტს ბევრი რამ აქვს საერთო ბუშეს და მაძინის ზემოთაღნიშნულ იდეებთან, მაგრამ ამას ემატება მისტიკური და გაუმაძღარი ამბიციები იმ ადამიანისა, რომელსაც თავის ბედისწერის სჯერა.

1852 წ. იმპერატორად აკურთხეს ნაპოლეონ III. მას შემდეგ იმპერატორი მართლაც გადახედავს ევროპის რუკას იმ მიზნით, რომ იგი ნამდვილად შეესაბამებოდეს ეროვნებების დადგენილ საზღვრებს. ნაპოლეონ III მთავარ როლს შეასრულებს იტალიის გაერთიანებაში და ხელს შეუწყობს — მხოლოდ არა უკანასკნელ ეტაპზე — გერმანიის გაერთიანებას. 1863 წ. ურთიერთობა იძაბება რუსეთსა და იმპერატორს შორის, უთანხმოების მიზეზი არის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოიწვია ნაპოლეონ III-მ და რომელმაც გადაწყვიტა აჯანყებული პოლონელების ბედი; იმპერატორი მფარველობას უწევს რუმინელებს, სერბებს, ჩერნოგორელებს, მაგრამ ამავე დროს, ცდილობს საფრანგეთისთვის მიიღოს „კომპენსაციები“ „ბუნებრივი საზღვრების“ სახით.

ნაპოლეონ III ახდენს სავოის და ნიცის ანექსიას და ბელგიის და რეინისპირეთის მხარის შეერთების დიდი სურ-

ვილიც უჩნდება, რაც მისი მტრების რიცხვს კიდევ უფრო -ზრდის.

დიდი კონგრესი პარიზში. პარიზის კონგრესი იხსნება 1856 წ.-ის 1 მარტს იმისთვის, რომ ბოლო მოულოს ყირიმის ომს, მოაგვაროს ოსმალეთის პრობლემები, ნეიტრალურად გამოაცხადოს შავი ზღვა, ავტონომია მიანიჭოს რუმინეთის სამთავროებს. განხილულ იქნა საერთაშორისო სამართლის მრავალი მუხლი; სიტუაციით სარგებლობს კაბური და იტალიის საკითხს წამოაყენებს. ამ დროიდან, ნაპოლეონი მხოლოდ კონგრესზე ოცნებობს: „ნაპოლეონ III-ს 1859 წლიდან 1863 წლამდე ერთი აზრი ტანჯავს, ეს არის აზრი კონგრესზე და ყრილობებზე.“ ამ გეგმებიდან მხოლოდ ერთი გახდა წარმატებული: პარიზის ყრილობა, რომელიც 1858წ. მიმდინარეობდა 22 მაისიდან 15 აგვისტომდე ორი რუმინული სამთავროს, მოლდავეთისა და ვალაშიის, გაერთიანების თაობაზე.

ბისმარკი, ნაპოლეონ III და ბრძოლები. როგორც ვნახეთ, 1862 წ-ის სექტემბერში ბისმარკი პრუსიის მმართველი მინისტრი გახდა. ის იცნობდა ნაპოლეონ III-ს და შეაფასა კიდეც იგი.

ბისმარკისთვის მნიშვნელობა ქონდა მხოლოდ პრუსიას და მის მეფეს; სწორედ ამიტომ 1866 და 1871 წლებში იგი მოახერხებს გერმანიის გაერთიანებას, რომელშიც არ შევლენ ავსტრიელი გერმანელები. ამ მოვლენებს ორი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ან ამ პრუსიელმა აზნაურმა თანდათანობით იწამა გერმანული ნაციონალიზმი, ან კიდევ გერმანული ნაციონალიზმი გამოიყენა მან პრუსიის ძალაუფლების გაზრდის საშუალებად.

ბისმარკის ყოველი ქმედება პრუსიის დიდებას ემსახურებოდა. სოლიდარული და ერთიანი ევროპის გამო ყველა ძალიან დაზარალდა. რა თქმა უნდა, ნაპოლეონ III ევროპას დიდ სამსახურს ვერ უწევდა სახელმწიფო-ერების განვითარების და შექმნის ხელის შეწყობით, თუმცა იგი, სულ ცოტა, კონგრესების სიტემატიური პოლიტიკის ხარვეზებს

ავსებდა. ბისმარკი ევროპას მალე მტკვრად აქცევს, რადგან ცდილობს გათიშოს ისინი, ვისი დამარცხებაც უნდა, ავსტრია — გერმანიიდან რომ გააგდოს, საფრანგეთი — იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი გერმანიის გაერთიანებას ემორჩილება, რისთვისაც თავის არიდება ბისმარკმა მოახერხა ჯერ კიდევ რიშელიეს დროს და ოცდაათწლიანი ომის პერიოდში.

უცბად გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი. ბისმარკის წყალობით ერთმანეთს წაეჩხუბნენ რუსეთის მეფე და ნაპოლეონ III პოლონეთის რევოლუციის დროს 1863 წ. რაზეც გაკვრით ვისაუბრეთ. ბისმარკმა იზოლაციაში მოაქცია ავსტრია 1864 წ. „ჰერცოგთა ომის" დროს. იგი საერთოდ ძალიან მარჯვედ მოქმედებდა, რომ ცარიელი ქონოდა ხელები და ავსტრიას დაპატრონებოდა: 1866 წლის 4 ივლისს პრუსიის ჯარმა გამარჯვება მოიპოვა სადოვაში. ომამდე ბისმარკმა შეძლო და თავი აარიდა ევროპულ კონგრესზე საფრანგეთის წინადადებას, ომის შემდეგ კი მან გამოუსადეგარად, საძულველადაც კი გამოაცხადა „ფეხის ქირის პოლიტიკა", ე.ი. ის ანაზღაურებები, რომლებიც ნაპოლეონ III-მ მოითხოვა.

1870 წ. ომის დასაწყისი. სწორედ 1870 წლის ივლისში ბისმარკმა ომში ჩაითრია საფრანგეთი. ცნობილია ემსის ტელეგრამის საქმე. 1870 წ. 14 ივლისს მინისტრთა საბჭოზე წამოიჭრა კონგრესის იდეა, რომელსაც ნაპოლეონ III მაშინვე დეთანხმა, მაგრამ მებრძოლმა მოძრაობამ, იმპერატორის მეუღლის ზეწოლამ, ბისმარკის პროვოკაციებმა საფრანგეთს ომისკენ უბიძგეს.

გამარჯვებული ინგლისის „ბრწყინვალე იზოლირება". ინგლისი, რომელიც ეკონომიკური ძლიერების მწვერვალზე იმყოფება, უზარმაზარ იმპერიას ფლობს, მერყეობს იმპერიალიზმსა და კოლონიების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას შორის (კანადის დომინიონი შეიქმნა 1867 წელს); საფრანგეთის და გერმანიის მსგავსად, ინგლისიც დიდად ხელს არ უწყობს ევროპის რაიმე სახით ჩამოყალიბებას, როგორი სუსტიც არ უნდა იყოს იგი. სავაჭრო ქვე-

ყანა, რომელმაც, თავის მხრივ, მიიღო თავისუფალი ვაჭრობის კანონი (1846-1850 წ-ში), ძირითადი ნედლეულის მსოფლიო საწყობი, მსოფლიოს ფინანსური ცენტრი, სადაც ოქრო და ქაღალდის ფული თავისუფლად იცვლება ერთმანეთზე, ინგლისი, უფრო უნივერსალური, უფრო მსოფლიო ქვეყანაა, ვიდრე ევროპული. მისი ხედვა, განსაკუთრებით, ოკეანის მიღმა უფრო არის მიმართული, ვიდრე ევროპის კონტინენტზე.

რას ეძებს ინგლისი ევროპაში?

დასაწყისისთვის წონასწორობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ჩუმად აკონტროლებს მთავარ სამხედრო ძალას: რა თქმა უნდა, ეს არის საფრანგეთი 1856-1866 წ-ებში. ამ დროის არც ერთი დიდი პოლიტიკოსი არ ეძებს მოკავშირეებს. მთავარია, ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის უზრუნველყოფა, გიბრალტარის, იალტის, მოგვიანებით, კიპრის (1878), ეგვიპტის (1882) და სუეცის მტკიცედ შენარჩუნება. ინგლისი ცუდად ეგუება სხვადასხვა ტერიტორიულ დანაწევრებას, მათ შორის ოსმალეთის მულტინაციონალურ იმპერიაში მართლმადიდებელი ქრისტიანების თანმიმდევრულ გამოყოფას. ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, ინგლისური აზროვნებისთვის და ინგლისელი მმართველებისთვის უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „ევროპის შეერთებულ შტატებს", რომელშიც მონაწილეობაზე ისინი უარს იტყოდნენ და ინგლისის გარეშე შექმნილი ეს „შტატები", წარმოადგენდა აუტანელ მუქარას.

ირლანდია, დამოუკიდებლობისკენ ნელი სვლა. დიდ ბრიტანეთის მხრიდან ხანგრძლივი დუმილი ევროპის შენების თაობაზე, მხოლოდ იმპერიით არ აიხსნება. ამ პროცესში მთავარ როლს თამაშობს საუკუნეებრივი კონფლიქტი ირლანდიელებთან. XII –XIV საუკუნეებში ინგლისმა დაიპყრო ის ირლანდია, რომელიც წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის თავშესაფარს – უპირატესად, სამონასტრო ცენტრს და კელტური კულტურის ერთ-ერთ საყრდენს, რომლის აღდგენასაც იგი შეეცადა სხვათა შორის ჩვენს ეპოქაში. დრამა გათამაშდა XVI საუკუნეში, როცა ირლან-

დიელების ცხრა მეათედმა ნაწილმა კათოლიკობა შეინარჩუნა მაშინ, როცა ინგლისი ანგლიკალური ხდებოდა. ამ რელიგიურ უთანხმოებას თან სდევდა სოციალური უთანასწორობა. მსხვილი მესაკუთრეების „ლანდლორდების" უმრავლესობა იყო ინგლისელი ან მასთან გათანაბრებული პირი. ღატაკ გლეხებს იმის გარანტია არ ქონდათ, რომ მათ მიწებს ვინმე არ დაეპატრონებოდა. ირლანდიაში იფეთქა უამრავმა აჯანყებამ. შიგა ავტონომიის მცდელობა 1782-1783 წ-ებში მარცხით დასრულდა. საფრანგეთის რევოლუციამ ინგლისელებს უბიძგა პარლამენტში დეპუტატებთან ერთად 1800 წ. გამოეცათ „გაერთიანების საბუთი", რომლის მიხედვით ბრიტანული პარლამენტი *იმპერიალური* ხდებოდა.

რაღა თქმა უნდა, ირლანდიელებმა დანიელ ო'კონელთან ერთად მოიპოვეს რელიგიური დამოუკიდებლობა. მაგრამ 1846-1847 წლების დიდმა შიმშილობამ მოსახლეობა მესამედამდე შეამცირა.

ბრძოლა გაგრძელდა ხან პარლამენტური (პერნელთან ერთად), ხანაც ძალისმიერი (სინ ფეინის ასოციაციასთან ერთად) მეთოდით. ამის დეტალურ აღწერას არ შევუდგებით. როდესაც 1911 წ. თემთა პალატამ კენჭი უყარა „ჰომრულს" (ავტონომიურ მთავრობას), ულსტერის (ანუ ჩრდილოეთის) მცხოვრებლებმა, რომელთა უმრავლესობა პროტესტანტი იყო, მოაწყვეს ე.წ. „ნარინჯისფერი" წინააღმდეგობა. ომმა პროცესი შეწყვიტა. სწორედ ირლანდია, ულსტერის გარეშე, გახდება დამოუკიდებელი 1938 წ. (ეირი). აქედან წარმოიშვა კონფლიქტი, რომელიც დღემდე გრძელდება.

დასკვნა. XIX საუკუნე ევროპაში იყო არა მხოლოდ თავისუფლებისთვის და სახელმწიფოებისთვის ბრძოლის საუკუნე, არამედ ზოგიერთი ქვეყნისთვის იგი საწარმოო რევოლუციის ხანას წარმოადგენდა. აქედან გაჩნდა ახალი კლასი, პროლეტარიატი. ხელფასების, სამუშაოს ხანგრძლივობის, მუშათა ფიზიკური დაცვის, პენსიის ანაზღაურების, უმუშევრობის შესახებ კანონის არარსებობამ გამოიწვია არაადამი-

ანური სიღატაკე: ქოხებში ცხოვრება, ხანდახან დღეში თხუთმეტი საათი მუშაობა; ძირითადად პურით გამოკვება, ასეთი იყო მილიონობით კაცისა და ქალის ხვედრი. ამას დავუმატოთ საბრალო ბავშვები, რომლებიც ზოგჯერ ხუთი წლის ასაკიდან შრომობდნენ. ამას გარდა, ზოგიერთი კანონი კრძალავდა მუშათა „კოალიციებს“ და მაშასადამე, გაფიცვებს. კოალიციის უფლება სცნეს 1824-1825 წწ. ბრიტანელებმა, 1864 წ. — ფრანგებმა. თუმცა უკვე ყველა ინდუსტრიული ქვეყნის მუშებმა შექმნეს „კავშირები“, „პროფკავშირები“. „კლასთა ბრძოლამ“ შესაძლოა ვერ ითამაშა ის როლი, რომელიც მას ცნობილმა ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა კარლ მარქსმა მიანიჭა — მან თავისი ძირითადი ნაშრომები ინგლისში დაწერა — თუმცა XIX საუკუნე აღინიშნა მეტისმეტად ძლიერი „მუშათა მოძრაობით“ ევროპის დასავლეთით. სოციალიზმი, სხვადასხვა ფორმით, ამ მოვლენების გამოხატულებაა.

მივედით იმ პერიოდზე, როცა სამი ყველაზე მდიდარი და ძლევამოსილი ქვეყანა — გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო — თითქოს ევროპით აღარ არის დაინტერესებული. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ XX საუკუნის დაპირისპირებების მიზეზი, რასაც, სამწუხაროდ, სისხლის ნიაღვარი მოყვა. ევროპაში თავისუფალი ტერიტორიების უქონლობის გამო, აფრიკის და აზიის მიწებზე იწყებენ დავას.

17
ევროპული კატასტროფისკენ (1871-1914)

1875 წ. 11 მაისს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან რომის შესახებ საუბარში, საფრანგეთის ელჩი, მარკიზ დე ნოაი, წერდა: „ბ-ნი ვისკონტი ვენოსტა დამეთანმა, რომ არსებული საშიშროებების მთავარი მიზეზები არის იმის არყოფნა, რასაც ოდესღაც ევროპას უწოდებდნენ.“

რამდენიმე წლის შემდეგ ჟულ ფერი იგივე აზრს გამოთქვამდა თავის *ტონკენსა და დედა სამშობლოში*: „ამბობენ, ევროპა აღარ არსებობსო, მაგრამ განა ვერ ხვდებიან, რომ სწორედ ეს არის ჩვენი შეცდომა? ჩვენს ინტერესში შედის, რომ ევროპა კიდევ იყოს, და იყოს ყველგან, სადაც იგი შემჭიდროვდება.“

ევროპაზე მეტი? ნეტავ რა იგულისხმება? რჩება გეოგრაფიული ჩარჩო, საიდანაც შემთხვევით, რუსეთი ამოღებულია.

არსებობს „ევროპული შეთანხმების“ გარკვეული ფორმები: არა მხოლოდ ელჩთა კონფერენციები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებს განიხილავენ, არამედ უფრო მაღალი დონის კონფერენციები: ბერლინის ყრილობა 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, კოლონიალური კონფერენცია, ძირითადად ბერლინში, 1848-1885 წ-ში. დიპლომატიურ წრეებში ასევე შეხვდებით კადრების შევსების, სოციალური დონის, კონცეფციების იმ ერთგვარობას, იმ საერთო ენას, იმ მსგავს მეთოდებს, რომლებმაც შეადგინეს მთლიანად XIX საუკუნე.

I. ნაციონალიზმის გამწვავება.

ზომიერი ნაციონალიზმი, ეფექტური პატრიოტიზმი და სასურველი საზღვრების მიმართ გონივრული დამოკიდებულება, ამაში საწყენი არაფერია. მეტისმეტად ოპტიმისტ რომანტიკოსებს სწამდათ ერთგვარი აუცილებელი ჰარმო-

ნიისა, რომელიც დამყარდებოდა დაკმაყოფილებულ სახელმწიფოებს შორის. ამ ჰარმონიის შედეგად წარმოიქმნებოდა „ევროპის შეერთებული შტატები", რაც კანტიმ, მაძინიმ წინასწარ განჭვრიტეს.

ახალი ღირებულება. დიდი ომების საუბედუროდ, მწარე მოგონებებმა, საზღვრებთან დაკავშირებულმა ცვალებადობამ, რომანტიკულმა აღტაცებულობამ ხელი შუწყო ფასეულობების სრულიად ახალი სიტემის წარმოქმნას. რელიგიურ ფასეულობათა გარკვეული დაკნინება მრავალ ევროპელს საშუალებას აძლევს ფასეულობათა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანოს საშშობლო. პატრიოტული სიმღერები სავსეა სისხლით და სიამაყით.

შოვინიზმი. ამ ახალმა ღირებულებამ სახელი მიიღო ვინმე შოვენისგან, რომელიც სახალხო ნახატების პერსონაჟი იყო და საფრანგეთის იმპერიის დროს, თავის აღტაცებას გადაჭარბებულად და სასაცილოდ გამოხატავდა ნაპოლეონის გამარჯვებების მიმართ. ეს სიტყვა მიღებულ იქნა თითქმის ყველა დასავლურ ენაში: ინგლისურში *chauvinism*, გერმანულში *cohvinismus*, იტალიურში *sciovinismo*, პოლონურში *szowinizm* და ა.შ. რაც არ უნდა ელემენტალური იყოს ეს, შოვინიზმი ბადებს ფანატიზმს. საშშობლოს მოჩვენებითი შეურაცხყოფა ომის საბაბი ხდება: ემსის დეპეშა, რომლზეც ეს-ესაა ვისაუბრეთ, ამის საუკეთესო მაგალითია.

უნდობლობა. ნაციონალისტურ ისტერიაზე და შოვინიზმზე უფრო სერიოზული მოვლენაა *უნდობლობის* განვითარება. სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის მიუხედავად, კონფლიქტის შემთხვევაში არ არსებობს საკალდებულო არბიტრაჟი; ცინიკური რეალიზმი,რომელიც ევროპული დიპლომატიის გასაღები უნდა გამხდარიყო, ხალხს მიიყვანს იმ მდგომარეობამდე, რომ თვითონ მოკავშირეები და მეგობრები ერთმანეთს უნდობლობას გამოუცხადებენ. ამგვარად, ძლიერი უნდა იყო, რომ თავი დაიცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უფრო გონიერია,

ვიდრე ნაციონალისტური ჯგუფები, ყოველთვის მაინც ვერ უწევს წინააღმდეგობას მათ, რადგან ეშინია, ბრალი არ დასდონ ღალატსა და არეულობის მოწყობაში. საპარლამენტო სისტემაში, მთავრობა შეიძლება გადაყენებულ იქნეს პატრიოტული გრძნობის ნაკლებობის გამო; გაცილებით ავტორიტარულ რეჟიმში, არმიას, რომელმაც სახელი გაითქვა პრინციპულ ნაციონალისტებთან ბრძოლაში, თავისი სიტყვა აქვს სათქმელი და ხშირად ერისკაცები ვერ ბედავენ მისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

მაგალითად, გერმანიის მთავრობა 1906 წ. თანხმდება შლიფენის საომარ გეგმას.

შოვინისტურმა გატაცებამ ხელი შუწყო ისეთი რეჟიმის დამკვიდრებას, სადაც სამხედრო პირებმა მოიპოვეს გარკვეული ძალაუფლება, რისი საშუალებითაც შეუძლიათ დაარღვიონ საზეიმოდ მიღებული ხელშეკრულება. საყოველთაო მოვლენა ხდება: რუსული პანსლავიზმი, რომელიც უპირისპირდება რუსი სოციალისტი რევოლუციონერის ბაკუნინის პანსლავიზმს, ეს უკანასკნელი იყო ეგალიტარისტი და რუსეთის მეფის მტერი; ასევე, *Alldeutscher Verband*-ის პანგერმანიზმი, იმპერიალიზმი თუ ბრიტანული ჯინგოიზმი, ფრანგული ნაციონალიზმი, რომელიც პატრიოტთა ლიგასთან ერთად მიმართული იყო „რევანშისკენ"; ბულანჟიზმი, საფრანგეთის შეთქმულება, შარლ მორას ინტეგრალური ნაციონალიზმი, იტალიის ირედანტისტული ნაციონალიზმი.

ნაციონალისტებისთვის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ინტერესები: ამგვარად, დრეიფუზის საქმის დროს, ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ უკეთესი იქნებოდა უდანაშაულოს კატორღაზე გაგზავნა, ვიდრე ჯარის პრესტიჟის და პატივისცემის განადგურება.

პანგერმანისტული პროგრამის და მისი შემადგენელი ნაწილის, რასისტული იდეების თაობაზე, ამერიკელი ისტორიკოსი წერს: „ვერაფერი შეედრება ამ გადაჭარბებულ ეროვნულ ეგოიზმს და დაპყრობის მწველ სურვილს, რომელიც ბისმარკის მმართველობის ხანაში შეიმჩნევა."

II. ბისმარკი, „რეალიზმი“ და „შეიარაღებული მშვიდობა“

1890 წლამდე ევროპის პოლიტიკა გერმანიის ირგვლივ და მაშასადამე, ბისმარკის გარშემო ტრიალებს, რადგან ეს არის ქვეყანა, რომელიც დემოგრაფიულ და ინდუსტრიულ ზრდას განიცდის, თანაც 1866 და 1871 წლებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა მას პრესტიჟი და ძალაუფლება მოუტანა. გარდა ამისა, ბისმარკის პიროვნება სხვებს ბევრად აღემატება, როგორც ამას პიერ რენუვენი შენიშნავს. ძალაუნებურად, მაშინდელი ევროპა ბისმარკს ეკუთვნის.

ბისმარკის *Realpolitik*. თავდაპირველად ბისმარკი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის, როგორც პრუსიის სახელმწიფო მოღვაწე. იგი გერმანელიც არის, მაგრამ იმ პირობით, რომ გერმანია პრუსიის დაქვემდებარებაში იქნება. მას უმნიშვნელოდ მიაჩნია ეროვნული გრძნობა, ხალხის აზრს აბუჩად იგდებს. სამაგიეროდ, *ყველაფერი არის სახელმწიფო და არა ერი*. ავსტრია–უნგრეთის მსგავსად, ბისმარკსაც სურს მთლიანად შეინარჩუნოს „ისტორიული“ სახელმწიფო; ბისმარკი არ ცდილობს ენა ჩამოართვას იმ გერმანელებს, რომლებიც გერმანიის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ და სრულიად ნორმალურად მიაჩნია გერმანიაში პოლონელი, დანიელი, თქვენ წარმოიდგინეთ, ფრანგი უმცირესობების არსებობა. ასეთი ტაქტიკა მშვენივრად იგულისხმება გამოთქმებში: *Realpolitik, Interessenpolitik*,რომლებიც ბისმარკის ლექსიკონიდან არის მოყვანილი. რას აღნიშნავენ ისინი? თავდაპირველად ყველანაირი სენტიმენტალიზმის უგულებელყოფას. „დიდი სახელმწიფოს ერთადერთი წმინდა საფუძველი არის ეგოიზმი, და არა რომანტიზმი. დიდი სახელმწიფოსგან ულირსი საქციელია იბრძოლოს იმისთვის, რაშიც მისი ინტერესების ნაწილი მაინც არ ფიგურირებს“ (ბისმარკის სიტყვა, წარმოთქმული 1850 წ. დეკემბერში). „ჩემის აზრით, თვით მეფეს არ აქვს უფლება ქვეყნის ინტერესები დაუმორჩილოს უცხო ქვეყნების მიმართ საკუთარ სიყვარულსა თუ სიძულვილს.“

აქედან გამომდინარე, ბისმარკს ევროპული სამართლის არ სწამს. ერთხელ ერთმა ავსტრიელმა დიპლომატმა,ბისმარკს შეახსენა ანდაზა *Pacta sunt servanda* (შეთანხმებები უნდა დაცულ იქნეს), რაც საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენდა; ამაზე ბისმარკმა უპასუხა: „ავსტრია და პრუსია მეტისმეტად დიდი სახელმწიფოებია იმისთვის, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ხელშეკრულების ტექსტით. მათ უნდა მართავდეს მათი საკუთარი ინტერესები და შეთანხმებები. თუ ხელშეკრულება გზაზე ეღობება ამ ინტერესებს და შეთანხმებებს, ეს ხელშეკრულება უნდა დაირღვეს."

სხვათა შორის, მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს გააჩნიათ რეალური უფლებები. 1868 წ. ბისმარკი ნაპოლეონ III-ის ბიძაშვილს, პრინც ნაპოლეონს გამოუცხადებს: „სახელმწიფოს მნიშვნელობა იზომება მისი ჯარისკაცთა რაოდენობით [...] სუსტების ხვედრია ძლიერების მიერ მათი გადაყლაპვა."

ბისმარკი ევროპის წინააღმდეგ. ასეთი მომავლის ფონზე ადვილად ვაცნობიერებთ, რომ ევროპა განწირულია. 1876წ. გორჩაკოვმა სან-პეტერბურგიდან დეპეშა გაუგზავნა ბისმარკს, სადაც წერდა: „პრობლემას წარმოადგენს არა გერმანია, არა რუსეთი, არამედ, ევროპა," რაზეც ბისმარკმა მიაწერა: „ვინც ევროპაზე საუბრობს, მცდარი გეოგრაფიული წარმოდგენა აქვს". 1815 წ. დაწერილი მიმართვა ტრადიციული ევროპული შეხედულების დაკნინების საუკეთესო დემონსტრირებაა.

ბისმარკი შემდეგ კომენტარს აკეთებს: „მე სიტყვა ევროპა ყოველთვის მესმის იმ სახელმწიფო მოღვაწეებისგან, რომლებსაც სურთ უცხო ხელისუფლებისგან მიიღონ რამე, რის მოთხოვნასაც თავიანთი სახელით ვერ გაბედავდნენ." გაცილებით ადრე, 1863 წ. პოლონეთის საკითხზე საუბარი შედგა ბერლინში ბისმარკსა და ინგლისის ელჩ, სერ ენდრიუ ბუშანანთან. ბუშანანმა აღნიშნა, რომ ევროპა არ დაუშვებს პრუსიის მიერ პოლონეთის ოკუპაციას. „ვინ არის ევროპა?" პასუხობს ბისმარკი. მას განსაკუთრებით ეში-

ნია ევროპის კოლექტიური შუამავლობის, მაგალითად ბისმარკი ფიქრობდა, რომ 1870 წ. ევროპა ჩაეროდა მასსა და საფრანგეთს შორის მიმდინარე კონფლიქტში. „ჩემი ამოცანა მაშასადამე, იყო სიტუაციის მოგვარება საფრანგეთთან, მანამ, სანამ ნეიტრალური სახელმწიფოები შეთანხმდებოდნენ იმ ზეგავლენაზე, რომელიც მათ მშვიდობის აღსადგენად უნდა გამოეყენებინათ“ (*აზრები და მოგონებები*, თავი XXIII).

რა თქმა უნდა, ეს გრძნობა სხვა ხელისუფლების უმრავლესობას არ შეეხება, მაგრამ რა შეუძლიათ მათ? დედოფალი ვიქტორია პრუსიის მეფეს სწერს: „დღემდე პრუსიას ვთვლიდი ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოდ, რომელიც იყო ხელშეკრულებების გარანტი, ცივილიზაციების დარაჯი, კანონის დამცველი, ერების ნამდვილი არბიტრი [...] თუ თქვენ, ბატონო, და ძმავ, ამ ვალდებულებებზე უარს ამბობთ, მაშინ თქვენ უარი თქვით პრუსიისთვის ამ მდგომარეობაზე. და თუკი, ამ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ, მაშინ ევროპის ცივილიზაცია ბედის ანაბარა დარჩება.“ ოქსფორდის პროფესორი, წარმოშობით გერმანელი მაქს მიულერი, 1886 წ. საუბრობს „საშინელ და მართლაც ბარბაროსულ სიტუაციაზე, რომელშიც ვიმყოფებით“; და დასძენს: „ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც მტაცებელი ცხოველები წინარეისტორიულ დროში. რა მოუვა ევროპას, როცა არც ერთი სახელმწიფო თავს დაცულად ვერ გრძნობს, თუ მას მეზობელზე მეტი ქვემეხი არ გააჩნია?“ ასეთივე შეხედულების იყო ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, გლედსთოუნი, „პროფესორი გლედსთოუნი“, ასე ეძახდა მას სიძულვილით სავსე ბისმარკი.

ბუსმარკის შედარებითი თავშეკავებულობა. ყოველივე ამის მიუხედავად, ევროპის იდეიდან რაღაც მაინც რჩება ბისმარკის გონებაში. ეს რაღაც არის ევროპის პრაქტიკული ჰარმონია. სწორედ აქ ჩანს მისი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწის სახე. ბისმარკის მიზანი იყო პრუსია ექცია ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ. თუმცა მას არასოდეს სურდა, რომ პრუსია ერთადერთი ძლიერი სახელ-

მწიფო ყოფილიყო. ბისმარკსა და მის შორეულ მემკვიდრე ადოლფ გიტლერს შორის ამ მხრივ, ღრმა უფსკრულია.

ბისმარკის ნაშრომის *აზრები და მოგონებების* (თავი XXVI) თანახმად, ჩანს, რომ იგი არ ცდილობდა 1875 წ. პრევენტული ომი გაეჩაღებინა საფრანგეთის წინააღმდეგ, როგორც ეს ფრანგებს მიაჩნიათ: „ჩემის აზრით, ასეთი სახის ომი ვერ შექმნიდა საბოლოოდ სტაბილურ პირობებს, თუმცა გამოიწვევდა შეთანხმებას რუსეთთან, ავსტრიასთან და ინგლისთან, რომელიც ჩვენი თვალთახედვით, უნდობლობაზე იქნებოდა დაფუძნებული და გამოიწვევდა აუცილებელ შემთხვევაში, პოზიტიურ ქმედებას ახალი, ჯერ კიდევ არა კონსოლიდირებული იმპერიის წინააღმდეგ და ამგვარად, ჩვენ დავადგებოდით გზას, რომელმაც საფრანგეთის მეორე იმპერია მიიყვანა დანგრევამდე, მუდმივად საომარი და პრესტიჟული პოლიტიკის შედეგად. ევროპა ჩვენს ქმედებებში დაინახავდა ახლახანს მიღწეული ძალაუფლების გამოყენების ცუდ მცდელობას“ — ამ ნაწყვეტში ხაზი უნდა გაესვას ძალაუფლების გაწონასწორებულობაზე საუბრისას სიტყვა „ევროპის“ ხმარებას.

ამგვარად, ბისმარკს შემდეგ დასკვნა გამოაქვს: „სახელმწიფოს სამხედრო ძალის გასაოცარი დემონსტრირების შემდეგ, სწორედ გერმანული პოლიტიკის მშვიდმა ხასიათმა აიძულა გარე სახელმწიფოები და შიგა ოპონენტები [...], აეტანათ გერმანული სახელმწიფოს ახალი განვითარება.“ ბისმარკი ასევე წერს (იხ. თ. XXIX): „რუსული პოლიტიკისთვის არსებობს ზღვარი, რომლის იქეთ საფრანგეთის მნიშვნელობამ ევროპაში .არ უნდა იკლოს [..] მე მჯერა, რომ ეს ზღვარი მიღწეულია, ფრანკფურტის მშვიდობით.“ შეთანხმებებზე საუბრისას (იხ.) ბისმარკი იხსენებს „ევროპის პოლიტიკური ჰარმონიის გარდაუვალ ელემენტებს“ და დასძენს, რომ ‘მათ გარეშე, ჩვენ საფრთხე გვემუქრება“.

და ბოლოს, გამოთქვამს პატივისცემას *Balance of Power* –ის მიმართ და სურს სიტყვით და საქციელით დაგვიმტკიცოს, რომ „ევროპაში გერმანიის ჰეგემონია უფრო სასარგებლო და ნაკლები უსამართლობაა და ასევე, ნაკლე-

ბად საშიშია სხვების თავისუფლებისთვის, ვიდრე საფრანგეთის, რუსეთის და ინგლისის ჰეგემონია.“

„სხვისი ინტერესების“ დაცვა გერმანიაში უფრო გაბედულად ხდება, ვიდრე სხვაგან, ეს გამოწვეულია ერთის მხრივ „გერმანული ხასიათით‘ და მეორეს მხრივ, როგორც ბისმარკი ხსნის, შემდეგი გარემოებით: „ჩვენ არ მოვითხოვთ საკუთარი ტერიტორიის გაფართოვებას. ეს ყოველთვის იყო ჩემი იდეალური მიზანი, იმის შემდეგ, რაც ჩვენ დავამყარეთ ერთობა შესაძლო საზღვრებში,მოვიპოვეთ ნდობა არა მხოლოდ პატარა ევროპული ქვეყნების, არამედ დიდი სახელმწიფოებისიც და ისინი დავარწმუნეთ, რომ გერმანიის პოლიტიკა იქნება ზუსტი და მშვიდი, ერთხელაც, როცა განმტკიცდება *injuria temperum*, ერის დეზინტეგრაცია (იხ. თ. XXX). ბისმარკი ხშირად ამბობს: ‘გერმანია ახლა „მობეზრებულია“. ბისმარკი საფრანგეთს მოუწოდებს კოლონიალური წამოწყებებისკენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ იგი წააჩხუბოს შესაძლო მეტოქეებთან, არამედ უარი ათქმევინოს მას „ვოგეზების ცისფერ ზოლზე“ და ერთგვარი კომპენსაცია მისცეს ალზასისა და ლოთარინგიის დაკარგვის გამო.

ამავე დროს, ბისმარკის პოლიტიკას, თავისი რეალიზმითა და გრძნობების ტოტალური უარყოფით, საშიში საწყისები უნდა შეეტანა ევროპულ დიპლომატიაში ნაკლებ მოხერხებულ პოლიტიკოსებთან ერთად. მოვიყვანოთ ამასთან დაკავშირებული სამი მაგალითი: ალზასი-ლოთარინგია, ხელშეკრულებები, გამალებული შეიარაღება.

ალზასი და ლოთარინგია. ალზასის და ლოთარინგიის ანექსიის დროს, ბისმარკი არ მოელოდა, რომ შეეჯახებოდა მუდმივ ეროვნულ გრძნობას. სამაგიეროდ, მან სავსებით გაითვალისწინა სამხედრო პირების არგუმენტები. მისთვის, ეროვნულობა — თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობდა — ჰერდერის თეორიებს უკავშირდებოდა და ამგვარად, ალზასი და ლოთარინგია იყო მხოლოდ გერმანული მხარეები „გარეგნული ფრანგული ბრწყინვალებით“, რომელიც სწრაფად გაქრებოდა. ბისმარკი აღშფოთებული იყო იმ ფაქტის გამო,

რომ 1871 წლის საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის არჩევნებში, 1874 წ. რაიხსტაგში, და კიდევ 1887 წ. ამ ორი პროვინციის ყველა დეპუტატი „პროტესტის განმცხადებელი“ იყო. ასევე აღიზიანებდა და დიდ გულისწყრომას იწვევდა ის გარემოება, რომ ამგვარი ანექსია, შუა ნაციონალიზმის პერიოდში, მთელს ევროპაში მიმდინარეობდა. „შიში მაქვს, წერდა გლედსთოუნი გრანვილს, რომ ეს დეგრდაცია და უხეში გადასვლა უარესობამდე მიგვიყვანს და გამოიწვევს ევროპული გართულებების ახალ სერიას.“

წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა. ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საფრანგეთმა არ დაუშვა ეს ანექსია. და თუკი „რევანში“ „დაკარგული პროვინციების“ დასაბრუნებლად არასოდეს ყოფილა ფრანგული პოლიტიკის ნაწილი — მცირე ჯგუფების ზეწოლის მიუხედავად — თუკი ეს პრობლემა სრულებით არ ხსნის 1914 წ. დაწყებული ომის მიზეზს, იგი სულ მცირე, წარმოადგენს საფრანგეთსა და გერმანიას შორის მუდმივი უთანხმოების საბაბს.

ალიანსი მშვიდობიან პერიოდში. ბისმარკმა ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა. მას გაზვიადებული წარმოდგენაც კი ქონდა საფრანგეთის რევანშის სურვილზე, ვერ წარმოედგინა, რომ ფრანგებს არ შეეძლოთ ასეთი რევანშის მოწყობა. იგი მოუსვენრად ცხოვრობდა; ბისმარკის, ისევე, როგორც მისი მემკვიდრეების მთელი პოლიტიკა გულისხმობდა *საფრანგეთის იზოლაციას, მის წინააღმდეგ შეთანხმებების დადებას*, მასზე მეტად აღჭურვას — რამაც გამოიწვია გამალებული შეიარაღების პროცესის დაწყება.

1879 წ. ბისმარკის თაოსნობით დაიდო ცნობილი *duplice* ორთა ხელშეკრულება გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის, 1882 წ. კი ნაკლებ საფუძვლიანი *Triplice* სამთა ხელშეკრულება ზემოთხსენებულ ქვეყნებსა და იტალიას შორის. 1892 წ. აგვისტოში, საფრანგეთმა დადო სამხედრო შეთანხმება რუსეთთან; 1904 წ. 8 აგვისტოს, ყველა კოლონიალური სირთულის მიუხედავად, ხელი მოეწერა საფრანგეთ-ინგლისის პოლიტიკურ შეთანხმებას: 1907 წ.

31 აგვისტოს მსგავსი შეთანხმება შედგა ინგლისსა და რუსეთს შორის.

ამგვარად, ევროპა დაიყო ორ საწინააღმდეგო სისტემად: სამმაგი ალიანსი და სამმაგი შეთანხმება, ერთიც და მეორეც გულისხმობდა, რომ საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება „ისევე დიდხანს“ უნდა გაგრძელებულიყო, როგორც სამმაგი შეთანხმება, რომელიც განახლდა საფრანგეთ-რუსეთის ალიანსის გამო და ა.შ. თანამედროვე ევროპის ისტორიას არ ახსოვს მსგავსი პერმანენტული შეთანხმებები მშვიდობიან ხანაში. ყოველთვის არსებობდა შემთხვევითი შეთანხმებები. მას შემდეგ, ყოველგვარი ევროპული კრიზისი, ყოველგვარი კონფლიქტი, რომელიც ოდესღაც უმნიშვნელოდ ითვლებოდა, გახდა საერთო აფეთქების საბაბი. და უბედურებაა ის, რომ ნაღმი საბოლოოდ მაინც გასკდა.

ერიხ ეიკი, ბისმარკის უდიდესი ისტორიკოსი, არ ჭოჭმანობს და ამის პასუხისმგებლობას ბისმარკს აკისრებს: „ანექსიებმა, ამბობს ის, რეალური და მუდმივი მშვიდობის შენარჩუნება შეუძლებელი გახადა გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ბისმარკს ღამე, ძილშიც კი არ ასვენებდა გერმანიის წინააღმდეგ კუალიციების კოშმარი. მთელი ევროპის კონტინენტი შეიარაღებულ ბანაკად გადაიქცა. თითქოს გერმანიის უპირველესი მოვალეობა იყო რაც შეიძლება ძლიერი შეიარაღების ქონა. ჯარისკაცზე და ოფიცერზე მნიშვნელოვანი თითქოს აღარავინ დარჩა და მილიტარიზმი სრულ აღმასვლას განიცდიდა.“ იგივე შეხედულებას გამოთქვამდნენ სხვა გერმანელი ისტორიკოსებიც, მათ შორის გერჰარდ რიტერი. ამ სიტუაციის გამო ბისმარკის დიდებულებას არაფერი აკლდება; ბისმარკმა საოცარ რამეს მიაღწია, მან გააერთიანა გერმანია, რაც ამდენ ხანს შეუძლებელი იყო საფრანგეთის ხელისშემშლელი პოლიტიკის გამო. ამის შემდეგ გამარჯვებებით „მობეზრებული“ ბისმარკი მშვიდობისმოყვარე ხდება. თუმცა ისტორიკოსები თვლიან, რომ აღნიშნული წარმატების მიღწევა ალზასისა და ლოთარინგიის ანექსიის გარეშეც შეიძლებოდა, რომ სტრატეგიულმა შეხედულებებმა, რომლითაც ბისმარკი ხელმძღვანელობდა,

დაჩრდილეს საერთო სენტიმენტალური სწრაფვის დაუძ-ლეველი ხასიათი.

„შეიარაღებული მშვიდობა“ და გარდატეხები. სწორი არ იქნება, თუ მხოლოდ ბისმარკს დავაკისრებთ „შეიარაღე-ბული მშვიდობიანი“ ევროპის შექმნის პასუხუსმგებლობას. ფრიდრიხ მაინეცკე 1924 წ. თავისი უდიდესი წიგნის *Die Idee der Staatsräson* წერის დროს, უთუოდ იმყოფებოდა 1923 წ. საფრანგეთის მიერ რურის ოლქის ოკუპაციით გამოწვეული შთაბეჭდილების ქვეშ. ბევრი თანამედროვის მსგავსად, ისიც ამ მოქმედებას უხეშად და არასწორად მიიჩნევდა.

ფრიდრიხ მაინეცკი ასევე გაკვრით ახსენებს ალზასს და ლოთარინგიას და ჩვენ ოპტიმისტურად გვეჩვენება მისი შეხედულება არსებულ სიტუაციაზე. მაინეცკი ბისმარკში ხედავს „დიდებულ და წარმატებულ სინთეზს სახელმწიფო კაბინეტების ძველ აზროვნებასა და ახალ სახალხო ძა-ლებს შორის“ და აღნიშნავს: „1871-1914 წლებში ევროპა იყო განმტკიცებული და დამშვიდებული იმ ზომამდე, რომ თანამედროვე ისტორიაში ასეთი მდგომარეობისთვის მას ჯერ არ მიუღწევია.“ ყველაფრის შემდეგ, „შეიარაღებული მშვიდობა“ XX საუკუნეში მაინც გადაიზარდა მთელ რიგ სერიოზულ გარდატეხებში: პირველი მაროკული კრიზისი 1905 წ. (საფრანგეთი და გერმანია), ბოსნია-ჰერცეგოვინას კრიზისი 1908 წ. (ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი); მეორე მაროკული კრიზისი 1911 წ. (საფრანგეთი და გერმანია), ბალკანური ომების კრიზისი 1913 წ. (ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი). რასაც დაემატა გამალებული საზღვაო შეი-არაღების კრიზისი ინგლისსა და გერმანიას შორის და საბოლოოდ, 1914 წლის კრიზისი, როცა დიდი სახელმწი-ფოები ომში ჩაერთვნენ, რადგან სჯეროდათ, რომ მათ სი-ცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

თვითონ გარდაუვალი ომის რწმენა გახდა ომის წარმომ-შობი მიზეზი და ამგვარად, საკმაოდ ძნელია ზარ-ზეიმით მიიღო ორმოცწლიანი „შეიარაღებული მშვიდობა“, რომე-

ლიც საბოლოოდ ხოცვა-ჟლეტით დასრულდა. ნეტავ შესაძლებელი იყო თუ არა მისი თავიდან აცილება?

სახელმწიფოებრივი ინტერესები. მაინეცკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხედრო სამსახურის გაფართოებამ, რაც თავიდან „თავდაცვის" იდეით იყო განპირობებული, თუმცა „სახელმწიფოების ირედანტიზმით გამსჭვალულმა მისწრაფებებმა" იგი გარდაქმნეს "შეურაცხმყოფელ იარაღად, რომელიც ემუქრებოდა საყოველთაო მშვიდობას[...]

მაინეცკის გამოაქვს დასკვნა, რომ თანამედროვე მილიტარიზმი, რომელიც სამხედრო მოწოდების იდეას აერთიანებდა საყოველთაო სამხედრო სამსახურთან, იქამდე მივიდა, რომ ომის რეალურ საშიშროებას წარმოადგენდა მთელი ევროპისთვის — არა მხოლოდ თვითონ, არამედ მასზე დამატებული ნაციონალიზმიც.

ერთ-ერთი ამგვარი ძალა იყო თანამედროვე კაპიტალიზმი. „მისი წყალობით, ევროპამ და მასში შემავალმა დიდმა სახელმწიფოებმა, პირველად, მიაღწიეს უზარმაზარ და ჯერ არ გაგონილ მატერიალურ წარმატებას; ძალით და ენერგიით აღსავსენი ჩაებნენ კონფლიქტში ერთი მეორეს წინააღმდეგ, განავითარეს და აწარმოეს ყველა შესაძლო მოქმედება იქამდე, სანამ არ გამოიწვიეს ევროპული მექანიზმის ტოტალური ნგრევა. მილიტარიზმი, ნაციონალიზმი, კაპიტალიზმი — ამ სამიდან ვერც ერთს ცალკე ვერ დავაკისრებთ ჩვენს უბედურებაზე პასუხისმგებლობას. ეს იყო მხოლოდ სამთა საბედისწერო კავშირი, რომელმაც თავიდან საშუალება მისცა ევროპულ სახელმწიფოებს მიეღწიათ განხეთქილების მწვერვალისთვის, რომელიც შეიძლებოდა ფატალური აღმოჩენილიყო თვითონ გამარჯვებულებისთვის."

კლაუზევიჩის უკვე ნახსენები განმარტების მიხედვით, ორი ახალი „დიდი სახელმწიფო" — აშშ და იაპონია — მოვიდნენ იმისთვის, რომ ამ ჩაკეტილ „კლუბში" მიიღონ ექვსი „დიდი" ევროპელი. ისინი ხელს ვერ შეუშლიან ევროპულ კატასტროფას.

ეს კატასტროფა მაინც აღნიშნავს ევროპული ჰარმონიისთვის დამახასიათებელი პრინციპების დასასრულს.

III. ევროპა მსოფლიოს დაპყრობას განაგრძობს

კოლონიზაციის დაწყება. ჩვენს კომპეტენციაში არ შედის 1880 წლის შემდეგ ევროპული სახელმწიფოების დიდი ნაწილის კოლონიზაციისკენ „გამალებული სწრაფვის" მიზეზების განხილვა, რომელიც საკმაოდ სადავო საკითხს წარმოადგენს.

თითქმის თავისუფალი ვაჭრობის დასასრული, საწარმოო ექსპანსიის დროს ქვეყნების მხრიდან საბაჟოების დაწესება — რომელიც გერმანიამ წამოიწყო 1879 წ. — ყველაფერი ეს ხსნის პრივილიგირებული ბაზრების დაპატრონების სურვილს, რომელიც გამოწვეულია საკუთარი გარანტიის შექმნით. ძალაუფლების სურვილი, ევროპული ეროვნული მოძრაობების მიერ სამუდამოდ აკრძალული დაპყრობები პატივმოყვარეობას უბიძგებს თავისუფალი ტერიტორიები ეძებოს ევროპის ფარგლებს გარეთ. ორთქლის მანქანის გაუმჯობესების გამო იწყება ქვანახშირის საბადოების ძიება. სამხედრო სამსახურის განვითარება მოითხოვს ზღვას იქით ადვილად მოგროვებული ჯგუფებით არმიის გაძლიერებას. ტერიტორიების მოცულობა თითქოს თვითონ იქნება ძალაუფლების საწინდარი და ნიშანი. ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ზეგავლენა, რომელსაც თვით ევროპის წარმოდგენაზე ახდენს ეს „დოღი დაბრკოლებებით", აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ოკეანეთის, ეს სწრაფი და ნაჩქარევი კოლონიზაცია.

ერთი შეხედვით, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს კოლონიალურ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობა, კოლონიზაცია მაინც გარკვეულ ჰარმონიას ქმნის. 1860 წლის შემდეგ, სიამოვნებით სჯერათ „ბარბაროსების" მიმართ ცივილიზებული ერების „მისიის". ეს ხალხი დატანჯულია თემური ბრძოლებით, განადგურებულია სნეულებების და მონობის გამო. იურისტებმა ეს მიწები სერიოზულად გამოაც-

ხადეს დაპყრობისთვის ნებადართულად *res nullius* (საგნები, რომლებიც არავის ეკუთვნის).

1885 წ. საფრანგეთ-ჩინეთის ომის დროს, გერმანია სამსახურს სთავაზობს საფრანგეთს და არც მალავს, რომ მხარს უჭერს „ცივილიზაციას" „ბარბაროსთა" წინააღმდეგ. 1900 წ. როდესაც პეკინში *ბოქსიორებმა* ალყაში მოაქციეს დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, ყველა დიდი ევროპული სახელმწიფო — რომელსაც აშშ და იაპონიაც შეუერთდნენ — ერთ დიდ სოლიდარულ მოძრაობაში გაერთიანდა.

ეს შეთანხმება იმდენად ერთსულოვანი იყო, რომ ყველა უთანხმოების მიუხედავად, სახელმწიფოები — მათ შორის საფრანგეთიც — მორიგდნენ არმიის ხელმძღვანელის კანდიდატურაზე, ეს იყო გერმანელი გენერალი ვალდერსი.

„ცივილიზატორული მისია". თითქოს ევროპამ თავის თავზე აიღო საერთო წამოწყების მისია. ამ მხრივ ინიციატივას იჩენდა — თუმცა ასე მხოლოდ გარეგნულად ჩანდა — ბელგიის მეფე, ლეოპოლდ II, რომელმაც 1876 წ. სექტემბერში ბრიუსელში მოიწვია ოცდათხუთმეტი ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, იტალიელი, ავსტრიელი და ბელგიელი გეოგრაფი და მკვლევარი. ლეოპოლდ II-მ გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „ჩვენი შეკრების მიზეზი არის, პირველ რიგში, კაცობრიობის სულების დაპყრობა".

ცივილიზაციას გაუღო კარი დედამიწის იმ ნაწილში, სადაც მას ჯერ არ შეულწევია, გაფანტო წყვდიადი, რომელიც მთელს მოსახლეობას მოიცავს, ეს არის, გავბედავ ამის თქმას, ამ პროგრესის საუკუნეში ღირსეული ჯვაროსნული ომი. „უნდა გავერთიანდეთ რათა ფეხი ავუწყოთ, თანაბარი გავხადოთ ჩვენი ძალისხმევა [...] და ავიცდინოთ ორმაგი შრომა."

კონფერენციის შედეგად იქმნება აფრიკის საერთაშორისო საზოგადოება. მიუხედავად ამისა, ფრანგები, შემდეგ ინგლისელები, უნდობლობით ეკიდებიან ლეოპოლდ II-ის განზრახვებს. სხვათა შორის, მეფეს წმინდა ბელგიური და განსაკუთრებით პირადული მისწრაფება ამოძრავებდა და

შემდეგ აპირებდა კონგოს საერთაშორისო ასოციაციის ჩამოყალიბებას, რომელიც განსაკუთრებით, ბელგიელებით იქნებოდა დაკომპლექტებული. ფაქტიურად, ბარბაროსების მიმართ განხორციელებულმა ცივილიზატორულმა მისიამ, რომელიც ყველა პატივმოყვარეობის და სურვილის მოხერხებულ თავშესაფარს წარმოადგენდა, მაშინვე სუფთა ეროვნული ფორმა მიიღო. გაბატონებული რასის ვალდებულებების შესახებ აზრს გამოთქვამს ალბერ დე მუნი, რომელსაც საფრანგეთშიც ეთანხმებიან: „გაბატონებულ რასას გააჩნია გარკვეული უფლება, რადგან მას აკისრია კონკრეტული ვალდებულება, აცხადებს ჟულ ფერი დეპუტატთა პალატაში 1885 წ. 28 ივლისს. მისი ვალია დაბალი რასების განათლება.“ ამაზე კლემანსო პასუხობს, რომ მოცემული არგუმენტი მას სუსტად მიაჩნია, პრუსიელებმა იგი გამოიყენეს საფრანგეთის დაპყრობის გასამართლებლად. 1900წ. შარლ დეპენსე ადამიანთა უფლებების დეკლარაციას ყველას თვალწინ უფრიალებს: „დაპყრობა [...] მხოლოდ გამართლებაა, რომელიც გულისხმობს დამპყრობელი ერის ზრუნვას დაპყრობილი რასის მატერიალური და მორალური პირობების გაუმჯობესებაზე.“ გუბერნატორი მერლენი 1910 წელს კიდევ უფრო ნათლად აღნიშნავს: „ჩვენ ვისარგებლეთ იმ უფლებით, რომელიც გააჩნია ცივილიზებულ რასას [...], რაც გულისხმობს ჩამორჩენილი ველური მოსახლეობის მიერ დაუმუშავებელი ყამირი მიწების დაკავებას.“

იგივე ხდება ინგლისშიც. ცნობილია კიპლინგის შესანიშნავი პოემა: *The White Man's Burden* (თეთრკანიანი ადამიანის ტვირთი).

არ დაგვავიწყდეს, რომ 80-იან წლებამდე ადამიანის ტვინის შესახებ არაფერია ცნობილი. რითი აიხსნება ხმამაღალი მეცნიერული, ტექნიკური, საწარმოო და სამხედრო უპირატესობა, რომელიც ევროპელებმა მოიპოვეს ოთხი საუკუნის განმავლობაში, თუ არა „რასების უთანასწორობით“, თეთრკანიანების მიერ მოგონილი უპირატესობით? მალე მიხვდებიან, რომ ეს არაფერ შუაშია. ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქციას გამოიწვევდა იაპონელების მიერ რუსე-

ბის დამარცხება ბევრ „ფერადკანიან“ ადამიანში — მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

ევროპული წონასწორობის გადატანა აფრიკასა და აზიაში. სხვა მხრივ, აფრიკის განაწილება ფაქტიურად, ზეგავლენას ახდენს ევროპის იდეაზე.

ყველაფერი თითქოს იმაზე მეტყველებს, რომ ევროპელებმა გადაწყვიტეს შორეულ მიწებზე გაავრცელონ ევროპული ჰარმონიის სხვადასხვა მექანიზმი. მოკლედ განვიხილოთ მათ შორის ყველაზე მთვარი: ანაზღაურების სისტემა, ბუფერული სახელმწიფოს შენარჩუნება, 'შეთანხმება“. ჰინსლეი თავის *Cambridge History of the British Empire* (თ.III, გვ.90) წერს: „კონტინენტზე არსებული შეზღუდული ევროპული მეტოქეობა და მღელვარება, გამომჟღავნდება სუსტად განვითარებული მსოფლიოს გარე კადრში [...]

ამ პერიოდის დაწყებისთანავე, ევროპაში და მთელს მსოფლიოში, როგორც მმართველთა, ისე სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების პოლიტიკას, მართავდა უფრო სტრატეგიული მოტივები, ვიდრე ეკონომიკური და ფინანსური, რაც განპირობებული იყო წონასწორობის თვალსაზრისით და „ერთმანეთთან დაკავშირებული პოზიციით.“ მაშ, გასაკვირი აღარ არის რომ ინიციატივა საფრანგეთიდან წამოვიდა 1881 წ. ტუნიზის დაპყრობასთან ერთად. ჟულ ფერის აზრით, საქმე ეხებოდა „ბრწყინვას მოქმედების გარეშე“, რაც შესაძლებელი იყო მსოფლიოს საქმეებში ჩაურევლად, ყოველგვარი ევროპული კავშირებისგან განზე დგომით; აფრიკისკენ ან აღმოსავლეთისკენ გაფართოებას იგი უყურებდა, როგორც ხაფანგს, როგორც ავანტიურას და აღნიშნავდა: „ამგვარად ცხოვრება, დაიჯერეთ, ეს არის ტახტიდან გადადგომა და წარმოუდგენლად ცოტა დროის განმავლობაში პირველი რიგიდან მესამე, ან მეოთხე რიგში გადასვლა.“

იგივე გამოსვლაში, ჟულ ფერი მაინც უარს ამბობს, მოლაპარაკება აწარმოოს გერმანიასთან ალზასის და ლოთარინგიის დაკარგვის გამო „გადასახადების“ თაობაზე. ამ საკითხზე მეტად გულჩვილი შეხედულება აქვს პოლ

დერულედს, რომელიც ამბობს: „ორ ბავშვს მართმევთ და ოც მოსამსახურეს მაძლევთ.“

ბისმარკი, რომელიც დიდხანს აცხადებდა, რომ არ იყო „კლონიის ადამიანი“, ბოლოს სხვებივით მსჯელობს. იგივე აზრს იზიარებდა კრისპი იტალიაში და უამრავი ბრიტანელი იმპერიალისტი, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ *Primrose League, Imperial Federation League* და ა.შ.

განაწილება: ანაზღაურება, ბუფერული სახელმწიფოები. გაყოფისას, ურთიერთ ანაზღაურებას ხანდახან (მაგალითად, როგორც ევროპაში) ცვლის გადაწყვეტილება ბუფერული სახელმწიფოების დამოუკიდებლად შენარჩუნების თაობაზე. აქედან იწყება კონგოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უცნაური ისტორია, რომლის ტახტზეც ბელგიის მეფე ოჯდა. ასევე, მოწმეები ვხდებით რიგი შეთანხმებებისა, რომ შენარჩუნებული იქნეს სიამის, ირანის, ავღანეთის დამოუკიდებლობა; ეს უკანასკნელი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იღებს მიწის გრძელ და ვიწრო, ნაკლებად დასახლებულ ზოლს, იმისთვის, რომ ცენტრალური აზიის რუსული ნაწილი და ინდოეთი საერთო საზღვრით არ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

და ბოლოს, ჩინეთი 1900 წ. გაყოფას გადაურჩება ევროპელების გაერთიანების გამო აშშ-ის მიერ ჩამოყალიბებული „ღია კარის“ *Open door* თეორიის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ კოლონიალურ საკითხთა უმრავლესობა მოგვარდა ორმხრივი შეთანხმებებით, „ევრო შეთანხმებამ“ მაინც თავისი სიტყვა უნდა თქვას.

მისი მთავარი გამოხატულებაა ბერლინის კოლონიალური კონფერენცია, რომელიც 1884-1885 წ-ში აწესებს კანონებს ცენტრალურ აფრიკაში ანექსიის პირობების შესახებ. „შეთანხმება“ ძალას იყენებს უმთავრესად მაშინ, როცა უნდათ შეინარჩუნონ ვაჭრობის თავისუფლების გარკვეული დონე ხელისუფლებისთვის სასურველ ტერიტორიაზე. ამგვარად, სწორედ 1880 წ. მადრიდში და 1906 წ. ალჟეზირასში ჩატარებულმა კონფერენციებმა დაადგინეს კომერციული თანასწორობის პრინციპი მაროკოში.

XV. ბალკანეთის კრიზისი

საერთო ჯამში, შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: რისი მიზეზი გახდა ევროპის დიდი კოლონიური ექსპანსია 1880-1914 წლებში, ევროპული გაერთიანების, თუ ნაციონალური დაპირისპირების? მიუხედავად იმისა, რომ კოლონიურმა დაპყრობებმა შეადგინა მნიშვნელოვანი გარდატეხების საბაბი, სრულებით უსამართლოა დაჟინებით ამტკიცო, როგორც ლენინი მოიქცა, თითქოს „განვითარების თანასწორობის კანონი" მოითხოვდა მსოფლიოს ხელახლა დანაწილებას და რომ 1914 წლის ომი ამის შედეგი იყო. მართლაც, ევროპელებმა ამაოდ გადაიტანეს თავიანთი მეტოქეობა სხვა კონტინენტებზე. დიდი ომი დაიწყო იმიტომ, რომ ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ საფრთხეში იგრძნო თავი. თუმცა ორ-ორად აღებულმა, ყველა დიდმა სახელმწიფომ თავიანთი კოლონიური უთანხმოება 1914 წლამდე მოაგვარა.

როგორც ვნახეთ, ევროპის შეთანხმებაში მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ სიტყვა სათქმელი. და მათი ორმხრივი შეთანხმებები ხანდახან ვარაუდობს კოლონიების გაქრობას სუსტი მეტროპოლიების მიღმა: მაგალითად, ბელგია, პორტუგალია. გერმანული ოცნება „*Mittelafrika*", რომელიც ბელგიური კონგოს შემადგენლობაში შედიოდა, ეღობებოდა ცნობილი ბრიტანელი კოლონიზატორის, სესილ როდესის ოცნებას: რკინიგზა „კეიპტაუნიდან კაირომდე." ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა თავიანთი პრობლემები გადაჭრეს 1904 წ. 8 აპრილს დადებული პოლიტიკური „შეთანხმებით". 1907 წ. 31 აგვისტოს აზიის თაობაზე შეთანხმება დადეს ბრიტანეთმა და რუსეთმა. საფრანგეთმა და გერმანიამ მაროკო-კონგოს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1911 წ. ნოემბერში. და ბოლოს, 1914 წლის დასაწყისში ინგლისმა და გერმანიამ შეთანხმება დადო პორტუგალიის კოლონიების შესაძლო განაწილებაზე.

IV. ევროპეიზმის სუსტი მხარე

ამ უკიდურესი რეაქციული მიმდინარეობების პარალელურად ჩაისახა პაციფისტური ტენდეციები და კლასთა ინტერნაციონალიზმის იდეა, რომელსაც სოციალისტები ქა-

დაგებდნენ. 1914 წლის აგვისტოში სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტები, მათ შორის ფრანგები და გერმანელები, გამოვიდნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, რომელიც საფრთხის წინაშე იდგა, თუმცა მათი ასეთი მოქმედება ამჟამად გადაჭარბებულადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს. მიუხედავად ამისა, ინტელექტუალურ წრეებში აქტიურდებიან ნაციონალიზმის მოწინააღმდეგენი. 1898 წლის 24 აგვისტოს რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-მ ევროპის ქვეყნებს შესთავაზა, მოეწყოთ საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების თაობაზე. ამგვარად სურდა მას გამოხმაურებოდა პაციფისტურ მოძრაობას, თუმცა 1870-90 წლებში გადაუხვია ამ გზას.

მშვიდობის ყველაზე აქტიურ დამცველთა შორის შეიძლება მოვიხსენიოთ ინგლისელი უილიამ სტიდი, ჟურნალ *Review of Reviews* რედაქტორი და ფრანგი ლეონ ბურჟუა, რომელიც პირველთან შედარებით ნაკლები რადიკალიზმით გამოირჩეოდა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ერთ-ერთი მთავარი ძალა, რომელიც ნაციონალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა, იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. „პროლეტარს არა აქვს სამშობლო“, განაცხადა მარქსმა. სამშობლოს ფენომენის აბსოლუტურ უარყოფასაც თავისი მომხრეები ჰყავდა, მათ შორის ყველაზე ცნობილია სენსის კოლეჯის ყოფილი პროფესორი ფრანგი გუსტავ ერვე. ის ამბობდა: „ჩვენ გვძულს ჩვენი სამშობლო, ჩვენ ანტიპატრიოტები ვართ“. სოციალისტთა შედარებით რეაქციული ნაწილი გამოდიოდა ომის, „სამხედრო კასტის“ და მუდმივი ჯარის წინააღმდეგ.

ჟორე თვლიდა, რომ ომს უნდა ვებრძოლოთ ნებისმიერი საშუალებით, თუმცა სხვების მსგავსად, ისიც იცავდა სამშობლოს იდეას და აღიარებდა ომს „აგრესორების, ცივილიზაციის და პროლეტარიატის მტრების წინააღმდეგ,“ ე.ი. იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც უარს იტყვის არბიტრაჟზე.

1907 წელს შტუდგარტის ინტერნაციონალურ ყრილო-

ბაზე ლენინმა, როზა ლუქსემბურგმა და მარტოვმა კენჭი უყარეს შემდეგ დადგენილებას: „იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანაში ომი მაინც იფეთქებს, ისინი ვალდებულნი არიან, ყველაფერი იღონონ მის შესაწყვეტად, ასევე ისარგებლონ ომის მიერ გამოწვეული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით, რათა რაც შეიძლება მეტად შეაგულიანონ ხალხის მასები და დააჩქარონ კაპიტალიზმის ბატონობის აღსასრული.“

შოვინისტურ ნაციონალიზმზე და ინტერნაციონალისტურ პაციფიზმზე მეტად, საინტერესოა, რა ხდება ევროპის ინტელექტუალურ წრეებში. ამ პერიოდში მრავალი ღირშესანიშნავი ნაშრომი დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავცდეთ ნაციონალიზმს და ანგარიში გავუწიოთ კონტინენტურ სოლიდარიზმს. განვიხილოთ ისინი ქვეყნების მიხედვით.

რანკე და ნიცშე. დავიწყოთ გერმანიით. თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე საკმაოდ მხურვალე პატრიოტი გახლდათ, თუმცა ის არ იზიარებდა „ეროვნული სუვერენიტეტის მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევას.“ მისი აზრით, ევროპა ერებზე მაღლა დგას. რანკე ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოების ერთიანობას განიხილავდა, როგორც ერთ მთლიანობას, ერთ სახელმწიფოს. ეს იყო ჩანასახი თანამედროვე დასავლეთისა. რანკე თავისი მრწამსით ოპტიმისტი და მორწმუნე ქრისტიანი გახლდათ, განსხვავებით პესიმისტი და ათეისტი ნიცშესაგან. ნიცშე ევროპელთა დაახლოების თვალსაზრისით წინა პლანზე აყენებდა ფიზიოლოგიურ ფენომენს. მისი აზრით, გადაჭარბებული ნაციონალიზმისა და ბეცი პოლიტიკოსების მიუხედავად, რომლებიც თავიანთი პოლიტიკით გამუდმებით ცდილობენ ევროპული სახელმწიფოების გათიშვას, ევროპა მაინც ერთიანი იქნება. ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ, ან სპეციალურად ცდილობენ უკუაგდონ ევროპის გაერთიანების უტყუარი ნიშნები. (*სიკეთისა და ბოროტების მიღმა,* 251,252,256).

სხვა გერმანელი მწერლებიც განიხილავდნენ ევროპის

გაერთიანების იდეას: მაგალითად, კონსტანტინ ფრანცი, რომელიც „დიდი გერმანიის“ ფედერალისტი მიმდევარი გახლდათ, ეწინააღმდეგებოდა პრუსიის ჰეგემონიას, მიუხედავად იმისა, რომ მის სამსახურში იდგა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ იულიუს ფრობელი, რომელმაც 1859 წელს გამოსცა წიგნი *Amerika, Europa und die politischen Gesichtspunrte der Gegenwart.*

შვეიცარია. შვეიცარია თავად არის ფედერალიზმის საუკეთესო მაგალითი, ის არასოდეს განიცდიდა ევროპის გაერთიანების მომხრეთა ნაკლებობას. ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი გახლდათ იოჰან კასპერ ბლუნჩლი. „სწორედ შვეიცარიაში ჩაისახა და განხორციელდა ის იდეები და პრინციპები, რომლებიც მომავალში განაპირობებენ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების აყვავებასა და განვითარებას, ევროპაში საყოველთაო მშვიდობის დამყარებას“, წერდა ის. მან თანამედროვეებს შესთავაზა 18 დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოს გაერთიანების იდეა, რომლის მმართველობა დაეკისრებოდა ფედერალურ საბჭოსა და სენატს. ფედერალურ საბჭოში წარმოდგენილი იქნებოდა თითოეული სახელმწიფოს ინტერესები, ხოლო სენატი ხალხის ინტერესებს დაიცავდა (*Die organisation des Euroïschen Staatenvereines*, გამოქვეყნებული 1878 წ. გაზეთ *Gegewart*). მაგრამ ის ამ გაერთიანებას არ განიხილავდა როგორც ერთ სახელმწიფოს. ამ გაერთიანებაში თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. მისი აზრით, „ეს კავშირი არ უნდა გასცდეს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას“, ხოლო მთელი ევროპის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება განუხორციელებელ იდეად მიაჩნდა (*Die Schweizerische Nationalität*, 1875). გამოჩენილი ისტორიკოსი, წარმოშობით ბაზელიდან, იაკობ ბიუჰარდტი კი თვლიდა, რომ ევროპის სახელმწიფოთა გარკვეული კავშირი უკვე არსებობდა. „ევროპა ეს არის ადგილი, სადაც თავს იყრის ახალი და ძველი, ადგილი, სადაც დაიბადა უმდიდრესი და უმშვენიერესი შემოქმედება, სამშობლო ათასგვარი კონტრას-

ტისა, რომლებიც მეტად ორგანულად და ბუნებრივად ერწყმიან ერთმანეთს.“ მაგრამ მას აშინებს წყობილება, რომელიც „ეგრეთწოდებული რესპუბლიკელების სამხედრო დიქტატურისკენ არის მიმართული [...] ნაკლებად მსიამოვნებს ამ „საშინელ გამმარტივებელთა“ ხილვა, რომელთაც ევროპა მალე გაიცნობს,“ამბობდა ის.

იტალია: იტალიაში „ევროპის შეერთებული შტატების” შექმნის იდეა ეკუთვნის კატანეოს მემკვიდრეებსა და მოწაფეებს. 1851 წელს ანჯელო ბროფერიომ განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას არა მარტო „იტალიის შეერთებული შტატები”, არამედ აუცილებელია „ევროპის შეერთებული შტატების” შექმნაც. ამ მოსაზრებას იზიარებდა მაურო მაჩი და 1868 წელს ჟენევის სამშვიდობო კონგრესზე შეეცადა ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო ეს იდეა. ალბერტო მარიოც ადასტურებს კატანეოს მოსაზრებას და თვლის, რომ „ევროპის შეერთებულ შტატებთან, ე.ი. თავისუფალი ხალხის ლიგამდე მხოლოდ ერთი გზა მიგვიყვანს, ეს არის „ბრძოლა მჩაგვრელთა” წინააღმდეგ. 1905 წელს ტულიო მარტელომ ფრანგულ და იტალიურ ენებზე გამოაქვეყნა წიგნი „*Zollverein*“ და „ევროპის შეერთებული შტატები“. სტეფანო ჯაძინი 1899 წელს წერდა: „აუცილებელია შეიქმნას ნახევრად ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც გაუძლებს მომავლის ჰორიზონტზე მოულოდნელად გამოჩენილ ორ გოლიათს, დაუძლეველ რუსეთს აზიაში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, თითოეული მათგანი დაითვლის ასობით მილიონ მცხოვრებს.“

კატანეოს მიმდევრების გარდა, სხვა მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც ეხებოდნენ ამ საკითხს, მაგალითად ტერენციო მამიანი. ასევე ახალგაზრდა ისტორიკოსი გილიელმო ფერერო. მან XIX საუკუნის ბოლოს მოინახულა ევროპის ძირითადი ქვეყნები და 1896 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი *Europa giovine*, სადაც ის საუბრობს გერმანული რასის მნიშვნელობაზე. ფერეროს აზრით, გერმანული რასა გაცილებით ძლიერია, ვიდრე იტალიური. 1913 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი *Tra i due mondi*, რომელ-

შიც ერთმანეთს დაუპირისპირა „დიდი“ ამერიკა და „დიადი“ ევროპა.

ესპანეთი: XIX საუკუნეში მიმდინარე რღვევისა და გათიშვის შემდეგ, როცა ესპანეთმა თითქმის მთელი თავისი ე.წ. ამერიკული იმპერია დაკარგა, ქვეყანა ახალი კატასტროფის წინაშე დადგა. 1898 წელს აშშ-ის წინააღმდეგ წარმოებული ომის შედეგად, რომელიც პარიზის ხელშეკრულებით დასრულდა (10 დეკემბერი 1898 წ.), ესპანეთს ჩამოერთვა კუბა,პორტორიკო და ფილიპინის კუნძულები. ეს ომი ქვეყანას ძვირად დაუჯდა: ბრძოლებში ბევრი ადამიანი დაიღუპა, ესპანეთმა ფინანსური ზარალიც განიცადა. ყოველივე ამაზე რეაგირების მოხდენას შეეცდება ე.წ. „1898 წლის თაობა“ თუ „უბედურების თაობა“.

ამ თაობას განეკუთვნება სამხედრო, პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეები. მათ სურთ ესპანეთის აღორძინება და მონაწილეობას იღებენ ულტრანაციონალისტურ მოძრაობაში, რომელიც მაშინ მთელს ევროპაში იყო გაბატონებული. თუმცა მათი აზრით, ყოველივე ეს მოდერნიზმის და მსოფლიოზე გასვლის გზით უნდა მოხდეს. ხოსე მარტინეს რუის ასორინი წერს: „ევროპა სასტიკად რეაგირებს სასოწარკვეთილი ესპანეთის წინააღმდეგ, რომელიც ულმობელი და მომაკვდინებელი სანახაობებით ტკბება.“ სწორედ ამ დროს ესპანეთში მწერლებისა და პოეტების მშვენიერი თაობა იბადება. ჩვენ კარგად გვემახსოვრება იმ ფილოსოფოსთა და ესეისტთა სახელები, რომლებიც ევროპით დაინტერესდნენ, მათ შორის არიან ‘ბასტილიით მოჯადოებული ბასკი“, მიგელ დე უნამუნო (1864-1936), ბერძნული ენის პროფესორი და სალამანკის უნივერსიტეტის რექტორი; ხოსე ორტეგა ი გასეტი (1883-1955), რომელმაც ხუთი წელი გერმანიაში გაატარა და ამ ქვეყნის ინტელექტუალურ წრეზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. 1926 წელს მან გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი *masebis აჯანყება*. სალვადორ დე მადარიაგა გახლავთ ავტორი 1939 წელს დაწერილი *დიდი პროექტისა*, ასევე მას ეკუთვნის 1929 წელს გამოცემული სტატია *United States of Europe, a*

spaniard object; მოგვიანებით, ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში იგი *The disunited States of Europe*-ის შესახებ წერდა.

ორტეგა ი გრასეტის ერთ-ერთმა ბრწყინვალე მოწაფემ ლუის დიეს დელ კორალმა 1954 წელს შექმნილ წიგნში, *El rapto del Europa*, კარგად გვიჩვენა, რომ 1898 წლის თაობა ყოველთვის მერყეობდა ერსა და ევროპას შორის: „ჩვენი ისტორია, წერს იგი, ყველაზე შორეული წყაროებიდან მოყოლებული, ქანქარის მოძრაობას ემორჩილება, ეს მოძრაობებია: იზოლირება და ეკუმენიზმი.“ ასევე აღნიშნავს, რომ რომის იმპერიის ესპანიზაცია გოთებთან ერთად უნდა მოხდეს. როგორც დიდი ისტორიკოსი მენენდეს პიდალი აღწერს, ეს არის „კასტიცისტური ან ნაციონალისტური და ევროპული მიმდინარეობების მონაცვლეობა“, რაზეც ევროპეიზმი „ბატონობს ალფონს VI-ის, ალფონს X-ის, შარლ V-ის, შარლ III-ის და სხვათა მეფობის ხანაში.“

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესპანეთი, რომელიც უკიდურეს დასავლეთში მდებარეობს, აშკარად შორსაა ევროპისგან, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ესპანეთი ევროპის ყველაზე სრულ გეოგრაფიულ ასლს წარმოადგენს. მადარიაგა ესპანეთს „მინიატურულ ევროპას“ უწოდებს. ამ ყველაფერთან ერთად ესპანეთი „ისტორიული რელიქვიების განსაკუთრებულ კოლექციას“ გვთავაზობს, ესაა: წინარომანული, შუასაუკუნეების, არაბული და ქრისტიანული, რენესანსის პერიოდის, ბაროკოს სტილის სიძველენი, ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველაზე განვითარებული თანამედროვე ქალაქი (ბარსელონა) და ამერიკისეული ურბანიზმი.

საფრანგეთი: ევროპის შესახებ ბევრი სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანი წერდა, მაგ. სოციალისტი და ფედერალისტი პრუდონი, ეკონომისტი ფრედერიკ ლე პლეი. ეს უკანასკნელი ხალხს ოჯახური პატერნიალისტური წესების შემობრუნებისკენ მოუწოდებდა, რაც შუასაუკუნეების ევროპის აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა.

გეოგრაფები, ვივიენ დე სენ-მარტენი, ვიდალ დე ლა

ბლაში შეეცადნენ ევროპა წარმოედგინათ დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირში. 1872 წელს შარლ ლემონიემ, რომელიც „მკაცრი და სრულიად წინააღმდეგობრივი, ჰუმანური და ამავე დროს, რაციონალისტური ფიგურა“ გახლდათ, გამოაქვეყნა ჟურნალი სათაურით „ევროპის შეერთებული შტატები“, რომელსაც დიდხანს უნდა ეარსება. მას ჰქონდა განყენებული აზრი, რისი მიხედვითაც, ხალხის ზეწოლის შედეგად შტატებს შეეძლო „საომარი მდგომარეობიდან“ წყნარად გადასულიყო „იურიდიულ მდგომარეობაზე“.

ერნესტ რენანი. ზემოაღნიშნული მწერლების გვერდით სამი სახელი იკვეთება: ერნესტ რენანი, ჟორჟ სორელი და რომენ როლანი.

ომის შემდეგ (15 სექტემბერი 1871) ერთ-ერთ წერილში რენანი წერს: „ისტორიის მიერ შექმნილი ერები დიდი სენატის უძლეველ ნაწილებს შეადგენენ. ევროპა არის ცივილიზაციის საერთო აზრით გაერთიანებული სახელმწიფოების კონფედერაცია. თითოეული ერის ინდივიდუალობის გამომხატველი ნიშნებია რასა, ენა, ისტორია, რელიგია, აქედან ყველაზე ხელშესახები არის თანხმობა, ერთად ცხოვრების სურვილი, რომელიც სახელმწიფოს სხვადასხვა პროვინციას გააჩნია“. რენანმა ალზასის და ლოთარინგიის დაკარგვის შედეგად ნაციონალიზმზე მშვენიერი დასკვნები გააკეთა (წიგნში *რა არის ერი?* რომელიც 1887 წელს გამოიცა). თავის ნაშრომში ის ერთმანეთს უპირისპირებს ერის ჩამოყალიბების ორ მოდელს: „ფრანგულს“, ანუ „კლასიკურს“, რომელიც სურვილზეა დამყარებული და „გერმანულს“ ანუ „რომანტიკულს“, სადაც ერი ენაზეა დაფუძნებული. „ენა გაერთიანებისკენ მოგვიწოდებს, თუმცა იგი ამას არ გვაიძულებს [...] ადამიანში არის რაღაც ენაზე უფრო აღმატებული: ეს გახლავთ სურვილი.

„შვეიცარიის გაერთიანების სურვილი მისი კილოკავების მრავალფეროვნებისდა მიუხედავად, უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე ენის მსგავსება, რომელიც ხშირად შეზღუდვებით არის განპირობებული“. რენანი ასევე უარყოფს რასაზე დაფუძნებულ ერს.

მწერალი აგრეთვე გამოყოფს 'ბუნებრივ საზღვარს", „სტრატეგიულ საზღვარს". იგი უფრო შორს შიდის, როცა აცხადებს, რომ ჰეგემონია უნდა გამოირიცხოს.

ჟორჟ სორელი. XX საუკუნის დასაწყისის მწერალი ჟორჟ სორელი მოსალოდნელ კატასტროფას წინასწარ გრძნობს. 1908 წელს იგი წერს: „ევროპა კატაკლიზმების ადგილია. ამ მიწაზე მცხოვრები პაციფისტები კი ან შეშლილები არიან, რომლებმაც ელემენტარული წესები არ იციან, ან ეშმაკები, რომლებიც დემაგოგიას ეწევიან და თავიანთი ტყუილებით საზრდოობენ." ამერიკის ფედერაციაში გააერთიანეს ერთმანეთის მსგავსი ხალხი, რომელიც მსგავს სახელმწიფოში ცხოვრობენ... დიდი საქმე! საინტერესოა, როგორ შეძლებთ გააერთიანოთ სლავები, რელიგიური ან რევოლუციონერი მისტიკოსები; დინჯი სკანდინავიელები; ამბიციური გერმანელები; ძალაუფლების მოყვარული ინგლისელები; ძუნწი ფრანგები; განვითარების კრიზისში მყოფი იტალიელები; ბრაკონიერი ბალკანელები; მებრძოლი უნგრელები?

როგორ წარმოგიდგენიათ ამ გოდოლის მოწყობა, ისე რომ მასში მცხოვრებმა კიბორჩხალებმა ყოველ ცისმარე დღეს ერთმანეთი არ დაჭამონ?

„უბედური ევროპა! რისთვის დავმალოთ ის, რაც გარდაუვალია? ათი წელიც არ გაივლის, რაც ევროპას ისევ ომი და ანარქია წალეკავს, როგორც ხდება ხოლმე საუკუნეში ორჯერ ან სამჯერ."

18 დეკემბერი 1912 წელი, სორელი წერს: „ევროპა, ეს სასაფლაო, იმ ხალხით არის დასახლებული, რომელიც ომში წასვლის წინ სიმღერას იწყებს. ფრანგები და გერმანელები მალე სიმღერას შემოსძახებენ."

რომენ როლანი. მისი შემოქმედება გამსჭვალულია უკიდურესი პესიმიზმით. ზემოხსენებულ წიგნში ჩანს, რომ სორელი გაუთავებლად ფიქრობს ევროპაზე. იგივე ხდება რომენ როლანთანაც.

„ჟან-კრისტოფის" ავტორი ყველაზე ნაკლებ ნაციონალისტი ადამიანია. იგი იმდენად ღრმად შეიგრძნობს ინტერ-

ნაციონალური კულტურის დამახასიათებელ თვისებებს, რომ აღშფოთებული ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რაც შეიძლება პატრიოტულ ციებ-ცხელებას მოჰყვეს. 1914 წლის სექტემბერში გამოდის სტატია სათაურით *აყალ-მაყალის მიღმა*, რომლის გამოქვეყნებასაც ნამდვილი გმირობა სჭირდებოდა. ამ ნაშრომში როლანი საუბრობდა: „ევროპისა და საერთოდ ცივილიზაციის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე, როდესაც ხალხს მართავდა საკუთარი ხელისუფლების პოლიტიკა, რაც დასრულდა ხელისუფალთა მარცხით, მათ ვერ შეძლეს ქვეყანაში სოციალური და ქრისტიანული მშვიდობის დაცვა.“

1914 წლის კრიზისი მალე ყველაფერს მოიცავს. „ევროპის ომი“ ცოტა ხანში გაანადგურებს არა მხოლოდ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, არამედ იმასაც, რაც ძველი, ნახევრად დანგრეული ევროპისგან დარჩა.“

დასკვნა. 1815-1914

ეს საუკუნე, ბრწყინვალე მეცნიერული და საწარმოო მიღწევების მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ევროპის პოლიტიკური ისტორიის მანძილზე. მიუხედავად ამისა, *თითქოს ყველაფერი ევროპის წინააღმდეგ იყო მიმართული*: ომი, ნაციონალიზმი, შეთანხმების სისტემები, და თვით პაციფიზმის ზოგიერთი ფორმა, რომელიც ხან უნივერსალიზმზე იყო დაფუძნებული, ხან კლასთა ბრძოლაზე.

არაჩვეულებრივად მდიდარია XIX საუკუნის სახელმწიფოების ისტორია, რასაც ვერ ვიტყვით ევროპის ისტორიაზე, რომელიც შემოიფარგლება დიდი სახელმწიფოების მიერ ერთმანეთთან დადებული ბუნდოვანი კავშირით: „ევროპული შეთანხმებით“, რაც მიმართული იყო მცირე სახელმწიფოების საზიანოდ. ამ ეპოქაში იწყება გონიერული მსჯელობა ევროპული კავშირის თაობაზე, რაც ერთადერთ იმედს წარმოადგენს.

საკმარისია გავაანალიზოთ რამდენიმე ცნება, რომ მივხვ-

დეთ, თუ რა შორს ვართ იმ „მშვენიერი ეპოქისგან“, რომელსაც ამ საუკუნის დასაწყისს უწოდებენ.

ერი? მისგან გაჩნდა ცნება. რომანტიზმით გატაცებული გონიერი ერი, რომელიც რევოლუციისგან წარმოქმნილი „დამღუპველი“ იდეებით საზრდოობს, ხდება *შოვინისტური* ერი.

ერთის მხრივ, ერებს შორის ჩნდება სტრუქტურული უნდობლობა, რომელიც ომების საწყისს წარმოადგენს; სხვა მხრივ, იბადება შემდეგი აზრი: „ჩემს ერს, რომელიც სხვებზე მაღლა დგას, აქვს მათი შევიწროების, გაჟლეტის უფლება.“

სახელმწიფოები? მართლაც, მიმართულება გვაქვს აღებული ნაციონალური სახელმწიფოსკენ, რომელიც გულისხმობს არა სხვა უცხო სახელმწიფოს მიერ, არამედ საკუთარი ძალებით ქვეყნის მართვას — რაც იწვევს მულტინაციონალური სახელმწიფოების წარმატებულ დანაწევრებას (ოსმალეთის იმპერია, ავსტრია-უნგრეთი). ეს პროცესი აგრეთვე იწვევს იტალიის და გერმანიის გაფანტული შემადგენელი ნაწილების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

მაგრამ სახელმწიფო არაფერს ემორჩილება. მას გააჩნია ყველა უფლება, მათ შორის, შეუძლია ომის გამოცხადებაც.

ომი? ეს ასეული წელიწადი იყოფა ოთხ ფაზად:

ა) 1815-დან 1854-მდე, გარეგნულად, არავითარი დიდი ომი, თუმცა ბევრი ზოგადად, დამსჯელი, ანტილიბერალური, კოლონიური ხასიათის „ექსპედიცია“.

ბ) 1854-დან 1871-მდე — თექვსმეტ წელიწადში ხუთი დიდი ევროპული ომი (ყირიმი, იტალია, ჰერცოგთა ომები, ავსტრია-გერმანიის ომი, საფრანგეთ-გერმანიის ომი).

გ) 1871-დან 1914-მდე — გარეგნულად, არავითარი ომი. ეს ეხება დიდ ევროპულ სახელმწიფოებს (მხოლოდ იაპონიამ დაამარცხა რუსეთი 1904-1905 წ-ში). მიუხედავად ამისა, არსებობს მუდმივი ღელვა, უამრავი კრიზისი! სხვათა შორის, ადგილი აქვს კოლონიური ომების ერთგვარ აფეთქებას. თუ ადრე, ბონაპარტის ბრძანებით, საწყალ რაზმებს

აგზავნიდნენ მდიდარ რეგიონებზე იერიშის მისატანად, რომელთაც ნაპოლეონის შეიარაღებული ძალები-ძარცვავდა, ახლა საქმე გვაქვს „უთანასწორო“ ომებთან, სადაც „უზრუნველყოფილი“ ერი გამარჯვებას მოიპოვებს ცუდად შეიარაღებული მოსახლეობის ხარჯზე, ერთადერთ დაბრკოლებას ქმნის სხვა სახელმწიფოების მეტოქეობა.

დ) უკანასკნელი კრიზისი მთავრდება მსოფლიო, მაგრამ განსაკუთრებით, ევროპული ომით, რომელიც საშინლად სისხლიანი გამოდგა და მაინც ვერანაირი პრობლემა ვერ გადაჭრა.

შეთანხმებები. მათი მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 1879 წლიდან იდება პირველი ხელშეკრულება მშვიდობიან პერიოდში, რომლის შედეგია: ერთმანეთის მიმართ გაცილებით მტრულად განწყობილი ორი ძალა.

იმპერიები? განსაკუთრებით, 1881 წლის შემდეგ იწყება კოლონიზაციისკენ სწრაფვა. როგორც კი ევროპელებს აღარ დარჩათ „ეროვნული“ ტერიტორიები გასაყოფი, მაშინვე საჯარო მათი დავის საგანი ხდება აფრიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიწები და წყნარი ოკეანე.

პაციფიზმის მარცხი. ძირითადი ევროპული ქვეყნების ძლიერი ნაციონალისტური მიმდინარეობის პირისპირ ნუთუ შესაძლებელია მშვიდობის შენარჩუნება? რასაკვირველია, იყვნენ პაციფისტები. ერთნი იყვნენ ინტელექტუალი ბურჟუები, რომლებიც ერთიანდებოდნენ კონგრესში და კენჭს უყრიდნენ წინადადებებს კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, რომელიც შეცვლიდა ასეთ საშიშ შეთანხმებებს. მეორენი იყვნენ არაპატრიოტი ანარქისტები, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ საყოველთაო გაფიცვას ომის წინააღმდეგ. და ბოლოს, სოციალისტური პარტიები, 1904 წელს ამსტერდამში ჩამოყალიბებული ინტერნაციონალის წევრები, წინასწარ ხედავდნენ კლასის სოლიდარობას, პროლეტარების სოლიდარობას „კაპიტალისტი“, „ბურჟუაზიული“ ხელისუფლებების წინააღმდეგ. მაგრამ გერმანიაში

ისევე, როგორც საფრანგეთში, სოციალისტთა უმრავლესობა პატრიოტი რჩებოდა, თან მიაჩნდა, რომ შესაძლო მტერი (რუსეთის მეფე გერმანელი სოციალ-დემოკრატებისთვის, კაიზერის „მილიტარისტული" მთავრობა ფრანგი სოციალისტებისთვის) გამარჯვების შემთხვევაში დაანგრევდა სოციალური რევოლუციის ყველა იმედს. ბოლოს და ბოლოს, ეკლესიებიც გაიყო. ვერავითარი სერიოზული ძალა წინ ვერ აღუდგებოდა ევროპის დამანგრეველ ომს.

მითები. დასასრულისთვის რამდენიმე „მითსაც" შევეხოთ. ომი სასურველი იქნებოდა „დიდი კაპიტალისთვის," რათა შიგა რევოლუციიდან მუშათა მოძრაობას დაბრუნებოდნენ. მაგრამ განა ომი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არ არის რევოლუციების მოსაწყობად? — ომი შეიძლება გამოწვეულიყო „ზარბაზნების გამყიდველების" მიერ. თუმცა ამ უკანასკნელთა უმრავლესობა ფოლადის მსხვილი მწარმოებლები არიან და კარგად იციან, რომ თავიანთ ნაწარმს ბევრად მეტს გაყიდიან მშვიდი სამუშაოებისთვის: ხიდები, ლიანდაგები, ჩარჩოები. — ომი იქნებოდა მგზნებარე ნაციონალისტთა ჯგუფების შემოქმედება. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსთა ნაშრომებმა დაწვრილებით დაადასტურეს, რომ თუ მგზნებარე ხალხი ქალაქებში ბლომად არის, სოფლებში — პირიქით, გლეხები მობილიზაციას ყველგან ხვდებიან უსასრულო სევდით. იმის დაჯერება, რომ განსაზღვრულ ჯგუფებს სურდათ და შეეძლოთ ომის გაჩაღება, ეს ნიშნავს თვით დანაწევრებული, გახლეჩილი და უძლური ევროპის სტრუქტურის დავიწყებას.

XVI. ევროპა 1914 წელს


ისლანდია
ნორვეგია
ქრისტიანია
სტოკჰოლმი
ბალტიისპირეთის ქვეყნები
ფინეთი
ბალტიკური ზღვა
ინგლისი
ირლანდია
ლონდონი
ბელგია
ბერლინი
ვარშავა
ავსტრია
ბუდაპეშტი
ბალკანეთი
ბულგარეთი
ალბანეთი
ბუქარესტი
ბუქარეშტი
ბელგრადი
ბერლინი
ბონი
ბონნი
ბრიუსელი
ბრიუსელი
ბრიუსელ

18
ევროპა თავის თავს თვითონ ანადგურებს (1914-1945)

I. დიდი ევროპული ომი და მისი უჩვეულოდ ევროპული დასასრული

პირველი მსოფლიო ომი, ანუ „დიდი ომი“ ხასიათდება მსგავსი ცივილიზაციის მქონე ორი ბანაკის არსებობით — „ცენტარალური სახელმწიფოები“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, შემდეგ ოსმალეთის იმპერია, მერე ბულგარეთი) — და „ანტანტა“ (რუსეთი, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო და დომინიონები), აგრეთვე ბელგია, სერბეთი, იაპონია, შემდეგ იტალია, რუმინეთი, პორტუგალია, საბერძნეთი და ჩინეთი, ბევრი ლათინურ-ამერიკული ქვეყანა, და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები არა როგორც მოკავშირე, არამედ როგორც თანამონაწილე ქვეყანა.

პირველი ომის ძირითადი ბრძოლები მიმდინარეობდა ევროპის ტერიტორიაზე: *საფრანგეთ-ბელგიის ფრონტი, ჩრდილოეთ-იტალიის ფრონტი, 1915 წ.-მდე სერბეთის ფრონტი, სალონიკის ფრონტი, რუმინეთის ფრონტი, რუსეთის კაპიტულაციამდე აღმოსავლეთ ფრონტი.*

ევროპის საზღვრებს გარეთ იბრძვიან სირიაში, კავკასიის მხარეში და ირანში, ციმბირის უკიდურეს აღმოსავლეთში და აფრიკის რამდენიმე რეგიონში. თუმცა გადამწყვეტი მოვლენები ვითარდება სწორედ საფრანგეთ-ბელგიის ფრონტზე.

აქ ვერ შევუდგებით ომის გამომწვევი დიპლომატიური ეპიზოდების აღწერას, ვერც იმ სამხედრო ვითარებებზე ვისაუბრებთ, რომლებიც ამ ეპოქაში განვითარდნენ. სამაგიეროდ, ევროპის ისტორია ვალდებულია გამოიკვლიოს თუ რა იყო ომის ძირითადი მიზეზები და გვიჩვენოს, რომ ომი იყო *მოძველებული სისტემის, ევროპული წონასწორობის, საშინელი დასასრული.* ომის პროცესში ჩაერია არაევრო-

პული ძალა აშშ, რამაც განაპირობა ერთ-ერთი ბანაკის გამარჯვება.

ომის საფუძვლიანი მიზეზები. სარაევოს ქალაქ ჰერცოგოვინაში (სამხრეთ სლავური ქალაქი, რომელიც ავსტრია-უნგრეთმა დაიპყრო 1908 წ.) ავსტრიის ტახტის მემკვიდრის, ერცჰერცოგის ფრანსუა-ფერდინანდის და მისი ცოლის მკვლელობამ, უბიძგა ავსტრია-უნგრეთის მთავრობას, როგორც მაშინ ამბობდნენ, 'სერბებთან საქმე დაემთავრებინა". 1903 წ. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სერბები გაბედულად იცავდნენ ყველა სამხრეთ სლავის თუ იუგოსლაველის *ეროვნული* დაჯგუფების დებულებას: 1912-1913 წლებში ბალკანური ომების შედეგად უკვე გაფართოებულ სერბეთს სურდა სლოვენელების (ავსტრიის მიზანი), ხორვატების (უნგრეთის მიზანი), ბოსნიელების და ჰერცეგოვინელების (ავსტრიისა და უნგრეთის საერთო მიზანი) ანექსირება. ეს იქნებოდა ჰაბსბურგის, მულტინაციონალური ისტორიული სახელმწიფოს მმართველობის დასასრული; *ავსტრიის* მხრიდან: გერმანულენოვანი ავსტრიელები, ჩეხები, პოლონელები, კრაკოველი და გალისიელი უკრაინელები, ტრენტინელი და ტრიესტელი იტალიელები, სლოვენელები, დალმატელები; *უნგრეთის* მხრიდან: უნგრელები, სლოვაკები, რუმინელები, ხორვატები.

როგორც ყველა სახელმწიფო, ისე ძველი ისტორიული ქვეყანა ცდილობდა საკუთარი თავი დაეცვა. მას სჯეროდა თავის საქმის, სწამდა, რომ სირბეთის მთავრობა პასუხისმგებელი იყო სარაევოში ჩადენილ მკვლელობაზე. მეორეს მხრივ, გერმანიამ გადაწყვიტა ბოლომდე დაეჭირა მხარი თავისი მოკავშირეებისთვის.

ამით აიხსნება ავსტრიის ულტიმატუმი სერბიის მიმართ, რომელსაც გერმანიაც დაეთანხმებოდა იმ შემთხვევაში, თუ სერბეთს დამოუკიდებლად დარჩენა სურდა. 24 ივლისს ეს ულტიმატუმი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა და უცბად დაიწყო კრიზისი. სერბეთი უპირობოდ დათანხმდა ულტიმატუმზე.

24 ივლისიდან გერმანიის კანცლერი, ბეტმან-ჰოლვეგი

ყველა სახელმწიფოს წერილით ამცნობდა: „*მოცემულ შემთხვევაში უნდა მოგვარდეს საკითხი განსაკუთრებით, ავსტრია-უნგრეთსა და სერბეთს შორის. ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ კონფლიქტის ლოკალიზებას, რადგან თუ გავითვალისწინებთ შეთანხმების ვალდებულებების მრავალფეროვნებას, სხვა უცხო სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევა, გამოიწვევს მნიშვნელოვან შედეგებს.*“ 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთი ომს გამოუცხადებს სერბეთს.

რუსეთის მთავრობამ დაინახა, რომ ვერ დაუშვებდა სლავური სახელმწიფოს, სერბეთის, სატელიტურ სახელმწიფოდ გადაქცევას. 1892 წლიდან საფრანგეთის მოკავშირე რუსეთმა, პირველმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია 31 ივლისს (მას არ გააჩნდა არანაირი გეგმა ნაწილობრივი მობილიზაციისა). „მობილიზაცია ომი არ არის,“ ამბობდნენ რუსები. გერმანელები კი პირიქით, თვლიდნენ, რომ ეს მობილიზაცია იყო ერთ-ერთი საომარი ქმედება და ულტიმატუმის შემდეგ, 1 აგვისტოს, ომი გამოუცხადეს რუსეთს. გერმანიის სამხედრო გეგმა (შლიფენის 1906 წლის გეგმა) ითვალისწინებდა, რომ თავდაპირველად, საომარი მოქმედებანი მიმართული იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ და შეთანხმებების მიუხედავად, ნეიტრალური ბელგიის გავლით, ალყაში მოიქცევდნენ საფრანგეთის სამხედრო ძალებს. ამ გეგმის თანახმად გერმანელებმა:

1) 3 აგვისტოს დაასწრეს და ომი გამოუცხადეს საფრანგეთს.

2) დაიპყრეს ბელგია, რამაც 4 აგვისტოს ინგლისის მხრიდან გამოიწვია გერმანიის წინააღმდეგ ომის გამოცხადება. 1912 წლის საფრანგეთ-ინგლისის საზღვაო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ინგლისს ევალებოდა აღმოსავლეთ ლა მანშის დაცვა, მორალურ ვალდებულებას აკისრებდა გაერთიანებულ სამეფოს ჩაბმულიყო ომში. ამ მოვლენების პირისპირ, თანამედროვეებს ასევე სჯეროდათ პიროვნული „დამნაშავეობის“. ასეთები იყვნენ გიიომ II, გერმანიის შტაბი მარშალ ვან მოლტკესთან ერთად, ავსტრიის შტაბი მარშალ კონრად ვან ჰოტცენდორფთან ერთად, ან კიდევ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ლოთარინ-

გიელი პუანკარე და რუსები, კერძოდ, ისვოლსკი, რუსეთის ელჩი პარიზში. ომის შემდეგ, „ომის ბრალეულობის საკითხი“ „Kriegschuldfrage“ დიდხანს წამლავდა გარემოს. საფრანგეთში, პუანკარეს მოწინააღმდეგე მემარცხენე პარტიამ მხარი დაუჭირა მის ბრალეულობას. *ყოველ შემთხვევაში, ფრანგები და გერმანელები სუფთა სინდისით მოქმედებდნენ.*

გერმანელები დროდადრო იპყრობენ საფრანგეთს; უნდა დავიცვათ მშობლიური მიწა, ფიქრობდნენ ფრანგები.

ფრანგები და რუსები გარს გვეხვევიან, ალყაში გვაქცევენ და ჩვენი განადგურება სურთ, ფიქრობდნენ გერმანელები. როგორც ყველა ალყაშემორტყმულის, ისე ჩვენი ვალია, ციხეს „გასასვლელი“შიგნიდან მოვუძებნოთ.

ჯოჯოხეთური მექანიზმი. ომის დამთავრებიდან 70 წლის მანძილზე სხვადასხვა წყაროების შესწავლამ ნათლად დაგვანახა, *რომ არცერთი ბანაკის წარმომადგენელს არ სურდა ომი (ბისმარკის ომებისგან განსხვავებით), მისი მიზეზი იყო ერთგვარი მექანიზმი, რომლის შეჩერება მაშინდელ სახელმწიფო მოღვაწეებს არ შეეძლოთ.*

ამ მექანიზმში იგულისხმება: ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობამ სტრუქტურული უთანხმოება შეიტანა მაშინდელ ევროპულ სახელმწიფოებში და ძლიერი ნაციონალისტური იდეების წარმოდგენით, გაურკვეველი და საეჭვო მომავლის პირისპირ, წინასწარ მიიღო გადაწყვეტილებები, რომელშიც ჭარბობს შემდეგი გამოთქმები: „იმ შემთხვევაში თუ“, „უფრო იმიტომ, რომ...“

1) გერმანიამ ომში ჩაბმა გადაწყვიტა *იმიტომ რომ,* ავსტრია-უნგრეთი მას განსაცდელში მიატოვებდა, თუმცა კი იგი მის მოკავშირედ ითვლებოდა.

2) საფრანგეთმა საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების დარღვევას ომში მონაწილეობა არჩია.

3) რუსეთმა ომში მონაწილეობა გადაწყვიტა *უფრო იმიტომ, რომ* ახალი ბალკანელი სლავები (ამ შემთხვევაში სერბები) ავსტრიის მფლობელობაში არ გადასულიყვნენ.

4) ინგლისმა გადაწყვიტა (1793 წლიდან!) ომში მიეღო მონაწილეობა უფრო იმიტომ, რომ ანტვერპენი დიდი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არ ყოფილიყო.

5) დანარჩენი ქვეყნებისგან განსხვავებულმა მულტინაციონალურმა, ავსტრია-უნგრეთმა, ომი გადაწყვიტა *უფრო იმიტომ, რომ* არ დაშლილიყო საკუთარი იუგოსლაველი ხალხის ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით, რომელსაც მხარს უჭერდა სერბეთი.

ამ შეხედულებების გათვალისწინებით, ყველა სახელმწიფო დარწმუნებული იყო, რომ სამართლიანად იქცეოდა და თუ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, მაშინ დაღუპვისთვის იქნებოდა განწირული.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნების მოგვიანებით ჩართვა ბრძოლაში, არ მოხდა ამ მექანიზმის მიზეზით, არამედ გააზრებული გადაწყვეტილების შედეგად, რაც დაკავშირებული იყო იმ გრძნობასთან, რომელსაც იტალიის მინისტრმა „სუფთა ეგოიზმი“ უწოდა.

მაგალითად, იაპონია ომში ჩაება წყნარ ოკეანეში მდებარე გერმანული კუნძულების დასაპყრობად, იტალია — ტრენტის და ტრიესტის „ირედენტული მიწების“ დასაბრუნებლად. *აქ საქმე გვაქვს არა მექანიზმთან, არამედ — სურვილთან.* დაწყებით და მთავარ ეტაპზე დიდი როლი ითამაშა სწორედ ტექნიკამ.

ომი, როგორც ევროპული წონასწორობის მარცხი. ომმა დაგვანახა მნიშვნელოვანი რამ: ევროპის ტრადიციული წყობა, რომელიც დამყარებული იყო ევროპულ *წონასწორობასა* და *თანხმობაზე*, შეიძლებოდა დრამატულად სისხლიან ვითარებაში გადაზრდილიყო.

განვიხილოთ,ომის სტარტეგიული პრინციპები. თავიდან ეგონათ, რომ ომი დიდხანს არ გასტანდა, ვინაიდან ხანგრძლივი ომის დაფინანსების ეკონომიური საშუალება არ გააჩნდათ. თუმცა, არსებული და მომავალი კაპიტალისგან გამოყოფილი თანხების მიხედვით, აღმოაჩინეს, რომ ყველაფერი შეიძლება დაფინანსდეს, თუ მოსახლეობის მხარდაჭერა

იგრძნობა. გერმანიასა და საფრანგეთში საწარმოო მუშები მოამარაგეს იარაღით. 1914 წლის ნოემბრიდან შეუდგნენ კვალიფიცირებული მუშების ფრონტზე გაწვევას. უკვე საქმის კურსში არიან და იციან, რომ ომი სინამდვილეში დიდხანს გაგრძელდება და ყველაფერს მოიცავს.

ფრანგებმა, რომელთაც ეფექტურად დახმარებას უწევდა „ცნობილი ბ.ე.ფ.-ს (British Expeditionary Force) ხუთი პროფესიული დივიზია," ხელი შეუშალეს შლიფენის გეგმის განხორციელებას. ვინაიდან ბლოკირება ვერ მოხერხდა, და „ზღვისკენ არჩეულმა კურსმა" ორი არმიიდან არც ერთს არ მისცა მტრის გარემოცვის საშუალება, ამ ჯარებმა დაიკავეს საველე პოზიციები, ცნობილი სანგრები, რომლებიც გამოყოფს საფრანგეთში ჩრდილოეთ-სამხრეთ პოზიციურ ხაზს სუასონამდე, შემდეგ დასავლეთ-აღმოსავლეთ პოზიციურ ხაზს ვოგეზებამდე. ძლიერი იერიშების მიუხედავად, ეს ხაზი საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. *მიწის ნაკვეთზე წარმოუდგენლად უსასტიკესი მეთოდით წარმოჩენილი ევროპული წონასწორობა გადმოიცემა ფიზიკურ და სისხლიან რეალობაში.*

ამერიკელები, სანგრების ევროპული გადანაწილების პირისპირ. დაპირისპირებულმა ბანაკებმა ძლივს მოახერხეს მოწინააღმდეგის სასანგრო ზოლში „შეჭრა", რაც უთუოდ წარმოადგენს *ორ ბანაკს შორის ევროპული გადანაწილების დემონსტრირებას.*

თუ ამ გადანაწილებას დარღვევის საფრთხე დაემუქრა გერმანელი გენერლის, ლუდენდორფის მხრიდან 1917 წ. ოქტომბერიდან და 1918 წ. ივლისამდე, ამის მიზეზი იყვნენ რუსები, რომლებმაც რევოლუციების გამო ჯერ ბრძოლა შეწყვიტეს, შემდეგ მიატოვეს ბრძოლის ველი (დროებითი ზავი, დეკემბერი, 1917 წ. და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, 3 მარტი, 1918 წ.) სწორედ აშშ-ის ჩარევამ გამოიწვია ევროპული წონასწორობის რღვევა. 1917 წ. აპრილში ომში ჩაებნენ ამერიკელები, რომლებსაც განსაკუთრებულად ძლიერი ჯარი არ ჰყავდათ, თუმცა ენერგიული პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის ხელმძღვანელობით, 1918 წლის

მარტიდან ევროპაში გაგზავნილი საჯარისო დანაყოფები, 11 ნოემბერს, დროებითი ზავის დღეს, უკვე აჭარბებდა ორ მილიონზე მეტ ადამიანს.

ამერიკელების ომში მონაწილეობის ისტორია კარგად გვიჩვენებს, რომ აშშ, რომელიც ემიგრაციის წყალობით ევროპის უზარმაზარი დამატება გახდა, ომში *ევროპის გამო* არ ჩაება, არამედ, „პირიქით“.

1914 წ. უილსონი აღიარებს კავშირს წარმოშობით უცხოელ ამერიკელებსა (ფორენ ვაიტ სტოკი: ამერიკელები, რომლებიც უცხოეთში დაიბადნენ, ან მშობლები ყავთ უცხოეთში დაბადებული) და მათ პირველად სამშობლოს შორის, მიუხედავად ამისა, აცხადებს, რომ ამერიკელებმა ომის მიმართ უნდა შეინარჩუნონ ნეიტრალური დამოკიდებულება *არა მხოლოდ თავიანთი საქციელით, არამედ გრძნობითაც*. 1917 წ. 22 იანვარს პრეზიდენტი უილსონი დაპირისპირებულ მხარეებს სთავაზობს ‘მშვიდობას გამარჯვების გარეშე“. ამ წინადადებას წინ უძღოდა ანტანტას საზღვაო სტრატეგია, რომელმაც მოაწყო ბლოკადა, ე.წ. „ომის კონტრაბანდაზე“ ყადაღის დადება, ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა აგრეთვე, ომის გერმანული სტრატეგია (1915 წ. მაისში ინგლისური ხომალდის *ლუზიტანიას* დაღუპვამ ასზე მეტი ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა). მაგრამ მოულოდნელი რამ ხდება. გერმანელებს ჰგონიათ, რომ ჩაძირავენ არა მხოლოდ მტრის ყველა სავაჭრო გემს, არამედ ნეიტრალური სახელმწიფოების, კერძოდ, აშშ-ის ხომალდებს და ამით მიაღწევენ ანტანტაზე გამარჯვებას. სწორედ ამას უწოდებენ „წყალქვეშა ომს სრულ გამარჯვებამდე“ (1 თებერვალი 1917 წ.). საქმე იმაშია, რომ წყალქვეშა სარდლისთვის მეტად ხელსაყრელია, როცა იცის, რომ წყლის ზედაპირზე არც ერთი მეგობარი გემი არ დაცურავს, არ არის საჭირო იმის გადამოწმება ესა თუ ის ხომალდი ვის ეკუთვნის, მტერს თუ ნეიტრალურ ძალებს და შეგიძლია ყველას ჩაძირვა განურჩევლად. ეს უკვე მეტისმეტი იყო, რაც უილსონმა ვეღარ აიტანა. თავისი როლი ითამაშეს „ზღვის თავისუფლების“ პრინციპებმაც. 1917 წ. 6 აპრილს ჩაიძირა პირველი ამერიკული სატვირთო გემი,

რის გამოც კონგრესმა დააყენა ამერიკის ომში ჩაბმის საკითხი. ამერიკის პრეზიდენტი, რომელსაც სძულს გერმანიის „სამხედრო რეჟიმი", ამ უზარმაზარ კონფლიქტში არბიტრის როლისთვის ემზადება.

1918 წ. იანვარში ამერიკის პრეზიდენტი წარადგენს თავის სამარ მიზნებს, ე.წ. პრეზიდენტ უილსონის „თოთხმეტ პუნქტს", რომელსაც შემდეგ კიდევ რამდენიმე აბსტრაქტული საკითხით შეავსებს. (უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩამოყალიბებული იყო უილსონისეული იდეოლოგიის დედაარსი, ეროვნული პრინციპები საერთოდ არ იყო ნახსენები.) მან ჯერ თავისი მიზნები მოახვია გერმანელებს, რომლებმაც 1918 წ. 4 ოქტომბერს დაზავება სთხოვეს ამერიკას, შემდეგ კი ანტანტას. შეგვიძლია საბოლოო დასკვნა გავაკეთოთ: ამერიკელების ჩაურევლად, ამ საშინელ ომს, რომელმაც ევროპა ორად გახლიჩა, დასასრული არ ექნებოდა.

დავუშვათ, რომ 1918 წ. დროებით ზავს ხელი არ მოეწერა და ომი გაგრძელდა, ამ შემთხვევაში დასავლეთ ფრონტის ნახევარს დაიკავებდნენ ამერიკელები. მიუხედავად იმისა, რომ I მსოფლიო ომში ამერიკა მოგვიანებით ჩაება, მთლიანობაში მაინც დაკარგა 55 000 ადამიანი, მაშინ როცა, დაღუპული ბრიტანელების რაოდენობა შეადგენდა 800 000-ს, იტალიელების – 600 000-ს, ფრანგების – 1 393 000-ს, აქედან 83 000 ჩრდილოეთ-აფრიკელი კოლონიელი იყო. თუმცა ამერიკული არმიის დახმარების გარეშე, ანტანტის მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა და ეს ქვეყნები ფინანსურად გაკოტრდებოდნენ. ყველაფერთან ერთად, ამერიკამ მათ მოუტანა მომავლის იმედიც. (გერმანიის მხრიდან დაიღუპა 1 600 000-ზე მეტი ადამიანი.) აღნიშნულის საფუძველზე, ერთი რამის თქმა შეიძლება, უილსონი კარგად არ იცნობდა ევროპას და იგი უარყო თავის „ახალ დიპლომატიაში", რომლის გატარებასაც მომავალში გეგმავდა.

უილსონი ომს აწარმოებს ევროპაში *balance of power*-ის აღსადგენად და სულაც არ ფიქრობს, რომ ევროპა რაიმე ადგილს დაიკავებს ამერიკის პრეზიდენტის მიერ

შექმნილ ახალ სამყაროში. ამ სტრატეგიის დანახვის საშუალება მალე მოგვეცემა.

II. სამშვიდობო ხელშეკრულებები და მათი სუსტი მხარეები

საბრალო ევროპელებს, წერს პოლ ვალერი, არმანიაკის და ბურგუნდიელების როლის თამაში უფრო მოსწონდათ, ვიდრე მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლის შესრულება, როგორც ეს რომაელებმა შეძლეს და საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს მიღწეული მდგომარეობა (*შეხედულებები თანამედროვე სამყაროზე*).

საერთო ჯამში, ომის შედეგად დაიღუპა რვა მილიონ ნახევარი ადამიანი. ეკონომიკური ნგრევა განიცადა მხოლოდ მჭიდროდ დასახლებულმა რაიონებმა. ეს არ ეხება გერმანიას და დიდ ბრიტანეთს. მაგრამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა შიმშილობამ, სიღარიბემ და უწესრიგობამ მოიცვა.

უილსონის მსოფლიოს მომცველი იდეოლოგია. 1919 წლის სამშვიდობო კონფერენცია ისევე მნიშვნელოვანია, როგორც 1815 წელს ჩატარებული ვენის კონგრესი. ვნახოთ რა განსხვავებაა მათ შორის! ამერიკული გეგმის საფუძველზე განხილულ უნდა იქნას ურთიერთობების საკითხი, ამერიკის პრეზიდენტის სურვილია გაიმარჯვოს *New Diplomacy*-ში, რომელშიც აქტიური არბიტრის როლს უილსონი შეასრულებს. ამერიკის პრეზიდენტი თავის ევროპელ კოლეგებს საშიშ იმპერიალისტებად მიიჩნევს და მათ მიმართ განიცდის უნდობლობას, რომლის გაფანტვაც ძალიან უჭირს. უფრო მეტიც, პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ გამოხატავს არა მხოლოდ აშშ-ს, არამედ მთელი მსოფლიოს აზრს, და შესაბამისად, შეუძლია პირადპირ მიმართოს ხალხს. უილსონი ასევე არის ღრმა უნივერსალისტი, რომელიც ფიქრობს მხოლოდ მსოფლიოს პერსპექტივებზე და არა ევროპულ ურთიერთობებზე. მისი სისტემის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოთა საზოგადოება, არა *ევ-*

როპული, არამედ, *მსოფლიო* ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მშვიდობის შენარჩუნებაზე. მას სურს *The World Safe for Democracy*, მსოფლიო, სადაც უსაფრთხოება ხელს შეუწყობდა დემოკრატიული რეჟიმის ნორმალურ განვითარებას. ისიც აღვნიშნოთ, რომ უილსონის „ახალი დემოკრატია" შთაგონებულია XVIII საუკუნის ფილოსოფოსებით და ევროპელი ლიბერალებით. ამ იდეოლოგიის დამსახურებაა ის, რომ იგი გახდა დიდი სახელმწიფოს კონკრეტული პოლიტიკის შთაგონების წყარო.

ევროპა, სიძულვილის მსხვერპლი. კონფლიქტის აურაცხელ შედეგებს შორის, ყველაზე სავალალო და დაუძლეველი აღმოჩნდა სიძულვილი. როგორც გამარჯვებულ, ისე დამარცხებულ მხარეს მტკიცედ სჯერა, რომ შეეწირა სხვის ამბიციებს. უილსონი გერმანელების ორ ტიპს განასხვავებდა, პირველი მიეკუთვნებოდა „ავბედით სამხედრო ხროვას", რომელსაც ომზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ხოლო მეორე ტიპს წარმოადგენდა გერმანიის მშვიდი და კეთილგანწყობილი მოსახლეობა. არც ერთი მხარე უილსონის აზრს არ იზიარებდა. მართლაც მოკავშირეები თვლიდნენ, რომ გერმანელი ხალხი ისეთივე დამნაშავე იყო, როგორც მათი მთავრობა. სიძულვილიდან რა თქმა უნდა, ჩნდება დასჯის იდეა. ამ დასჯის სიმბოლოს წარმოადგენენ „რეპარაციები", რომელიც დამარცხებულს უნდა გადაეხადა. ყველაფერი ეს „გერმანიას ძვირად დაუჯდება", ამბობდნენ საფრანგეთში. „უკანასკნელ პენამდე" გადაიხდის, ამუქებდნენ ინგლისელები. 1918 წ. საარჩევნო კამპანიის დროს, ერთ-ერთი ბრიტანელი მინისტრი მშვენიერ გამოთქმას იყენებს: „ლიმონი იქამდე უნდა დაპრესო, რომ მარცვლებმა ტკაცუნი დაიწყონ." ვერსალის ხელშეკრულების ნაცნობ 213 მუხლში ნათლად არის აღნიშნული, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები „პასუხიმგებელნი არიან ყველა ზარალსა და ზიანზე, რომელიც ომის შედეგად მიაყენეს მსოფლიოს."

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებში ავტორები არ გულისხმობდნენ გერმანიის მორალურ დამნაშავეობას, გერ-

მანელების თვალსაზრისით, ამ მუხლზე მათი მხრიდან ხელის -მოწერა ნიშნავს ბრალეულობის აღიარებას.

გერმანია თავის თავს მიიჩნევს როგორც საზიზღარი უსამართლობის მსხვერპლს და მისი ზიზღი მოკავშირეების მიმართ ორკეცდება.

რევანშის სურვილი წამლავს გერმანელი ხალხის ცხოვრებას. ამ სიტუაციით ისარგებლებენ ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფები, კერძოდ, ადოლფ ჰიტლერის „გერმანელი მუშების ეროვნულ-სოციალისტური პარტია“.

სავსებით მართალია, რომ 1918-1919 წლებში, ევროპა აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა, ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა მისი აღდგენა?

ახალი ევროპა. შევეცადოთ წარმოვიდგინოთ ვერსალის შეთანხმებაზე წარმოთქმული ევროპის იდეა, ვენის ევროპულ სისტემასთან შედარებით, რომელიც ერთი საუკუნით ადრე ჩატარდა.

თავდაპირველად გაქრა ორი დიდი ისტორიული სახელმწიფო, ოსმალეთის და ავსტრიის იმპერიები.

პირველი გაუჩინარდა გასული საუკუნის განმავლობაში და ომმა მხოლოდ განამტკიცა ეს პროცესი. 1918 წ. შემოდგომაზე მომხდარი დანაწევრება მოულოდნელი იყო ავსტრიისთვის და შედეგად იმპერიის დამარცხება მოყვა. მემკვიდრე სახელმწიფოების დაქუცმაცება ცენტრალური ევროპის ბალკანიზაციას იწვევს და ეროვნულობის პრინციპის სახელით, ეს სახელმწიფოები აბსოლუტურ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ. ისინი სწრაფად იყოფიან „კმაყოფილ“ და „უკმაყოფილო“ მოწინააღმდეგე ჯგუფებად და ფრაქციებად, პირველნი ეგუებიან საფრანგეთს, მეორენი იტალიას, ხან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, რუმინეთის მხრიდან, ხან ბულგარეთის და უნგრეთის მხრიდან. საბერძნეთი ამ ბანაკებში არ შედის. იგი იძულებული გახდა თურქეთისთვის დაეთმო მცირე აზიის დასავლეთ მხარე და აღმოსავლეთ თრაკია, ანდრიანაპოლისთან ერთად (ლოზანის შეთანხმება, 1923 წ.). ავსტრია-უნგრეთის გაუჩინარება თავდაყირა აყენებს ევროპული წონასწორობის

მიღწევებს: ამგვარად ქრებოდა ბარიერი გერმანიის წინააღმდეგ, რასაც ჰიტლერი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

ახალი ევროპის პოლიტიკური რუკა ძველზე გაცილებით მეტად ემთხვევა სახელმწიფოების რუკას, თუმცა ამ სახელმწიფოების მიწაზეც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი უმცირესობები ცხოვრობენ! გარდა ამისა, აღნიშნული ქვეყნები ვერ ახერხებენ სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. გადაჭარბებულ ნაციონალისტურ პოლიტიკას გადაულახავ წინააღმდეგობებამდე მივყავართ. სრულიად ახალი სახელმწიფოა ჩეხოსლოვაკია, ხოლო პოლონეთი ჩამოყალიბდა ას ოცდასამ წლიანი წყვდიადის შემდეგ.

რუსეთის საზიანოდ ჩნდება ახალი თუ განახლებული სახელმწიფოები: ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა.

ყოველივე ეს ნიშნავს ევროპის „მტვრად ქცევას", რაც საშიშია იმდენად, რამდენადაც სტრატეგიულად დაუცველი აღნიშნული სახელმწიფოები მდებარეობენ საბჭოთა რუსეთის და გერმანიის საზღვრებზე — იმ ორი სახელმწიფოს სიახლოვეს, რომელიც თუნდაც დასუსტებული იყო, მაინც ხანგრძლივი პოტენციის პატრონია და მეზობელი ქვეყნების განადგურება შეუძლია.

გავიხსენოთ, რომ ხელშეკრულება თავს მოახვიეს გერმანელებს (*დირტატი*) და რომ მასზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა ბოლშევიკური რუსეთის საზღვრებს გარეთ. თუმცა ნათელია, რომ ხელშეკრულება, მიღებული, ორი დიდი სახელმწიფოს დაუსწრებლად, მათ წინააღმდეგ, არ წარმოადგენს „ევროპულ სახალხო სამართალს", როგორც ეს 1815 წ. ტალეირანმა აღნიშნა.

ერთა ლიგა ერთბაშად გააოცა ამერიკის სენატის უარმა მიეღო ხელშეკრულებები. მსოფლიოს შვიდი უდიდესი სახელმწიფოდან სამმა მონაწილეობა არ მიიღო: აშშ-მ, სსრკ-მ, გერმანიამ (სსრკ მიღებული იქნება 1934 წ, გერმანია 1926 წელს გაწევრიანდება, და 1933 წელს კავშირიდან უკან გამოვა). იაპონია და იტალია ამ ლიგაში საერთოდ გაჩერდებიან. სხვათა შორის, გაბედულად ვერ მოქმედებს მომავალში წარმოშობილ *ვერცერთ* კონფლიქტში.

III. ბრიანის ევრო კავშირის პროექტი

არისტიდ ბრიანი საფრანგეთის საგარეო საქმეებს ხელმძღვანელობდა 1921 და 1925-1932 წლებში. იგი გახლდათ მოხერხებული და მოქნილი შუამავალი, რომელიც თანაუგრძნობდა სახალხო აზრის ევოლუციას, მოითხოვდა გერმანიასთან „შერიგებას." მისი ინიციატივით მოეწყო ლოკარნოს კონფერენცია (1925), სადაც დაიდო პაქტი, რომლის მიხედვით, ყოფილი მტერი ერთა ლიგაში გაწევრიანდა (1926). მაგრამ ბრიანი სულ არ იყო თეორეტიკოსი, იგი ყოველთვის მოქმედებდა ვითარებების, აზრთა მიმართულების შესაბამისად. ბრიანი ღრმად გრძნობდა, რომ არ არსებობდა არანაირი ევროპული ორგანიზაცია. იგი იყო პროევროპული პოლიტიკური ტენდენციების გავრცელების კურსში და 1929 წლის ივლისიდან ერთგვარი კავშირის შექმნა სცადა. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთ-ერთ დეკლარაციაში ისაუბრა „ევროპის შეერთებულ შტატებზე". და ბოლოს, 1929 წლის 7 სექტემბერს, ბრიანმა ერთა ლიგას წარუდგინა პროექტი, რომლის შესახებაც ახლა გვექნება საუბარი.

კუდენჰოვ-კალერჟი და პანევროპა. 1924 წ. ივნისში გრაფმა კუდენჰოვ-კალერჟიმ გამოაქვეყნა თავისი *ღია წერილი პარლამენტარებს,* სწორედ აქედან იღებს სათავეს ბრიანის პროექტი. არჩევნები ახალი ჩატარებული იყო საფრანგეთში. ხელისუფლებაში მოდიოდა მემარცხენე ბლოკი, რომელიც მხარს უჭერდა ერთა ლიგას და გერმანიის მიმართ შემრიგებლური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. შეთანხმების „აღმსრულებელი" პუანკარე, რომელსაც 1922 წლის იანვრიდან საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, ახალი გადამდგარი იყო. ეროვნებით ავსტრიელმა გრაფმა, კუდენჰოვ-კალერჟიმ, 1922 წ. გერმანული და ავსტრიული პრესა გამოიყენა პანევროპული იდეის გასავრცელებლად. 1924 წ. გამოდის *პანევროპის მანიფესტი.* „ევროპის საკითხი შემდეგში მდგომარეობს: ნუთუ შესაძლებელია, რომ ევროპის პატარა

ნახევარკუნძულზე ინტერნაციონალურ ქაოსში იცხოვროს ოცდახუთმა სახელმწიფომ ისე, რომ ეს სიტუაცია არ მივიდეს ყველაზე საშინელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კატასტროფამდე?"

კუდენჰოვ-კალერჟი პარლამენტარებისადმი მიმართულ წერილში ამტკიცებდა, რომ ევროპა უნდა გაერთიანებულიყო და წინააღმდეგობა გაეწია სამი დიდი გაერთიანებისთვის: სსრკ, ბრიტანეთის იმპერია და აშშ. გრაფი ხოტბას ასხამდა „რუსი ხალხის დიდსულოვნებას", მაგრამ ამბობდა, რომ „ყოველმა ევროპელმა უნდა გაათვიცნობიეროს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე და ევროპის დამოუკიდებლობის დაცვა უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი საშუალებით, „ევროპის შეერთებული შტატების შექმნით." წინათ „უბრალო სახელმწიფო", ახლა 'ბრიტანელი ხალხი" ოდესღაც ევროპის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. ახლა მხოლოდ მეზობლის სტატუსით კმაყოფილდებოდა... ინგლისის შესვლა პანევროპულ კონფედერაციაში, შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ კი მისი დომინიონები ლონდონს ზურგს შეაქცევდნენ." იგი სთავაზობდა „პანევროპულ პროგრამას". „პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ალიანსი, საარბიტრაჟო და საგარანტიო ხელშეკრულებები ჩვენი კონტინენტის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის; შეთანხმება ინგლისთან და ამერიკასთან; მშვიდობა რუსეთთან და უკიდურეს აღმოსავლეთთან." მრავალმა პირვნებამ მხარი დაუჭირა ამ პროექტს, მათ შორის: იტალიელმა კარლო სფორზამ, მწერლებმა თომას და ჰაინრიხ მანებმა, სელმა ლაგერლეფმა, ზიგმუნდ ფროიდმა, პოლ კლოდელმა, პოლ ვალერიმ, ჟულ რომენმა, ლუსიენ რომიემ, მიგელ დე უნამუნომ, ორტეგა ი გასეტიმ, სალვადორ დე მადარიაგამ, დიდმა მეცნიერმა აინშტაინმა და ა.შ.

ბრიანი კარგი პრეზიდენტი იყო. „იარეთ სწრაფად, სწრაფად, სწრაფად", ასე მოუწოდა მან კუდენჰოვ-კალერჟის 1926 წ. 1929 წ. სექტემბერში ბრიანი სიტყვით გამოვიდა ჟენევაში. მისი გამოსვლა საკვე იყო პანევროპული დირექტივებით, რომელიც გულთბილად მოიწონა გერმანიის საგა-

რეო საქმეთა მინისტრმა. ეს უკანასკნელი რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა.

ბრიანის სიტყვა. ბრიანმა პანევროპულ საკითხებს დაეთმო თავისი გამოსვლის განსაკუთრებული ნაწილი. „ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობა მივიღე იმ იდეის პროპაგანდაში, რომელიც ძალიან გვინდოდა, რომ წინდახედულად მოექცეულიყავით და დიდსულოვნად გამოგვეცხადებინა.“ მოვიყვანოთ ძირითადი აბზაცი: „მე ვფიქრობ, რომ ხალხს შორის, რომელიც გეოგრაფიულად დაჯგუფებულნი არიან ისე, როგორც ეს ევროპაში არის, უნდა არსებობდეს გარკვეული ფედერალური კავშირი. ამ ხალხს უნდა ქონდეს საშუალება ყოველ წუთში კონტაქტში შევიდნენ ერთმანეთთან, განიხილონ თავიანთი ინტერესები, მიიღონ საერთო გადაწყვეტილებები, ერთმანეთს შორის დაამყარონ სოლიდარული კავშირი, რაც მათ საშუალებას მისცემს, სასურველ დროში, დაუპირისპირდნენ სერიოზულ პრობლემებს, თუ ასეთი პრობლემები შეიქმნება. ეს ის კავშირია, რომლის დამკვიდრებასაც მე მთელი ძალით ვცდილობ. რა თქმა უნდა, ასოციაცია იმოქმედებს განსაკუთრებით, ეკონომიკურ სფეროში, სწორედ ეს არის გადაუდებელი საკითხი.“ ამგვარად, არანაირი რევოლუცია: არავითარი პარლამენტის მიერ არჩეული და დანიშნული ასამბლეა; არავითარი „ინტერესების“ წარმოდგენა, არავითარი სუპრანაციონალური „უმაღლესი ხელისუფლება“.

ისევ იკრიბება ერთა ლიგის შემადგენელი ოცდაშვიდი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ბრიანს ავალებს მემორანდუმის შექმნას. 1930 წ. 1 მაისს ეს უკანასკნელი ემორჩილება 27 პარტნიორს და თხოვნით მიმართავს მათ, გამოაგზავნონ პასუხები უახლოეს დროში. 1929 წლის სექტემბერსა და 1930 წლის მაისს შორის პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი რამ: 1929 წ. ოქტომბერში უოლ-სტრიტზე ატეხილმა პანიკამ ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

ბრიანის წინასწარმეტყველურ დოკუმენტს ევროპაში მნიშვნელოვანი გამოხმაურება უნდა მოყოლოდა. მთელი ისტორიის მანძილზე, ეს იყო პირველი შემთხვევა, თუ არ

ჩავთვლით ნაპოლეონ III-ის თანადგომას, როცა მთავრობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ევროპის შეერთებულ შტატებს უცხადებდა მხარდაჭერას.

1926 წლის ოქტომბერში პირველი პანევროპული კონგრესი შეიკრიბა ვენაში. 1927 წელს, ბრიანი მისი ერთადერთი საპატიო პრეზიდენტი გახდა.

ამ კონგრესში მონაწილეობას იღებდნენ საყოველთაოდ ცნობილი ადამიანები: ჰერიოტი, პენლევე, ალბერტ თომასი, ლეონ ბლამი, ედუარდ დალადიე, პოლ-ბონკური საფრანგეთის მხრიდან; ნოელ ბაკერი, ბრიტანეთის მხრიდან; შახტი, უირსი, გერმანიის მხრიდან, ბერძნები ვენიცელოს და ზაიმისი და ა.შ.

ასევე ბრიანმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სამსახურებმა, პირველი მაისის მემორანდუმში მრავალრიცხოვანი გამაფრთხილებელი ზომები შეიტანეს: ისინი მიმართავდნენ „კოლექტიური პასუხისმგებლობის ზუსტ გრძნობას საფრთხის წინაშე, რომელიც ევროპის მშვიდობას ემუქრება, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით," ისინი ადასტურებდნენ, რომ სახელმწიფოების თანაბარუფლებიანობა და სუვერენიტეტი კვლავ ხელშეუხებელი იქნებოდა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ 1930 წლიდან ჩნდება შემდეგი გამოთქმები „საერთო ბაზარი", „ევროპული გაერთიანება" და დილემა: „ჯერ პოლიტიკა" თუ „ჯერ ეკონომიკა", რომლებზეც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამდენი მელანი დაიხარჯა. ყველაფერი ეს ბრიანის ეპოქიდან იწყება.

დანარჩენს მემორანდუმი სთავაზობს სტრუქტურას: ევროპულ თანხმობას, რომლის ფორმულა კალკირებულია ერთა ლიგის ორგანიზაციიდან.

უარყოფა. ოცდაექვსი მოკავშირისგან პასუხები მოვიდა 1930 წლის 25 ივნისის და 4 აგვისტოს შუალედში, რაც ნათლად გვიჩვენებს, რამდენად უცხო იყო ევროპული *ორგანიზაციის,* მით უფრო, ევროპული *გაერთიანების* იდეა სამთავრობო ინტერესებისთვის.

ქვეყნების უმრავლესობა ზრდილობიანი უარით შემოიფარგლა, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ასევე ნორვეგიის, საბერძნეთის და ჩეხოსლოვაკიის გარდა, რომლებმაც მცირე შენიშვნები შეიტანეს. ეს დამოკიდებულება მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ბრიანი ნამდვილად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. უნდა შევჩერდეთ სხვადასხვა კრიტიკოსზე, რომლებიც კარგად გვიჩვენებენ ევროპულ „დაქუცმაცებულობას", რაც ფსიქოლოგიურ რეალობას შეესაბამებოდა.

კრიტიკოსები. მათ მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებებია:

1) სახელმწიფოების *აბსოლუტური სუვერენიტეტის* დაჟინებული მოთხოვნა. მხოლოდ ნიდერლანდელი კრიტიკოსები ამახვილებენ ყურადღებას სუვერენიტეტის საზღვრებს გარეთ გასვლის საჭიროებაზე.

2) *აზრი, რომ ევროპული ორგანიზაცია ზიანს მიაყენებს ერთა ლიგას ან რომ ამ უკანასკნელის უნივერსალური გეგმა სჯობია ევროპულ გეგმას.* ყველა სახელმწიფო ერთა ლიგას უჭერს მხარს, მაგრამ ზოგიერთნი მის გამო პრაქტიკულად უარს ამბობენ ბრიანის პროექტზე. მაგალითად, ნიდერლანდები, იტალია, დანია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, შვეიცარია, პოლონეთი.

3) *ორგანიზაციის მეტად მძიმე სტრუქტურა.* ზოგიერთი თვლის, რომ ერთა ლიგის შეკრებები საკმარისია. ამ აზრს იზიარებს შვედეთი, შვეიცარია, ირლანდია და განსაკუთრებით, გაერთიანებული სამეფო.

4) *ეკონომიკაზე პოლიტიკის უპირატესობის გაკრიტიკება.* ამ შეხედულებას მხარს უჭერს ნიდერლანდები, ავსტრია, რუმინეთი, გერმანია. ეს უკანასკნელი 1926 წელს შექმნილი *Kohlensyndirat*-დან გამომდინარე აცხადებს: „სამოქმედო ასპარეზად რჩება პირდაპირი შეთანხმება, რომელიც დადებულია კერძო საწარმოზე დამყარებულ ზოგიერთ ეკონომიკურ დარგს შორის. მას უნდა დავუთმოთ მნიშვნელოვანი ადგილი ევროპული ეკონომიკის ახალ სისტემაში." ნორვეგია გამოთქვამს შემდეგ აზრს: „უწინარეს ყოვლისა გაცილებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ ევროპული თანამშრომლობის საფუძველს შეადგენდა ეკონომიკური

პრობლემების გადაწყვეტა; განსაკუთრებით, უფრო ადვილი იქნება შედეგების მიღწევა ამ ნიადაგზე, როცა აშკარაა არსებული რეჟიმის ნაკლი.“ პორტუგალიის, უნგრეთის, შვედეთის, ლუქსემბურგის, ალბანეთის, ბელგიის კრიტიკული შეხედულებები შემდეგში მდგომარეობს: „ხალხის ორი მთავარი მამოძრავებელი ძალა, პოლიტიკა და ეკონომიკა, რომელიც ერთმანეთს არ ექვემდებარება, ერთი მეორეზე ახორციელებს თანაზიარ მოქმედებას.“ და ბოლოს, ბრიტანეთს სასაცილო დამოკიდებულება აქვს ფრანგული პროექტის მიმართ, და მის საწინააღმდეგოდ აცხადებს: „მისი უდიდებულესობის მთავრობა იზიარებს საფარანგეთის მთავრობის აზრს, რომ უპირველეს ყოვლისა გადაუდებელია ევროპის სახელმწიფოებს შორის ვიწრო თანამშრომლობის საკითხი ეკონომიკური კავშირების სფეროში.“

5) *ერთა ლიგის არა წევრი* (სსრკ და თურქეთი) *ევროპული სახელმწიფოების თანამეგობრობის გაფართოება.* იტალია „ხაზს უსვამს დაინტერესებული სახელმწიფოების, კერძოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის [...] სარგებელს, რომელიც მათ შეუძლიათ მოუტანონ ევროპას, მისი ფედერალური კავშირის პროექტში მონაწილეობის მიღებით.“ ესტონეთის სურვილია ამ პროექტის შექმნაზე ითანამშრომლოს ევროპის ყველა სახელმწიფომ. გერმანია ეწინააღმდეგება ლიგიდან რუსეთისა და თურქეთის გამორიცხვას, უნგრეთი და საბერძნეთი თავის მხრივ, მხარს უჭერენ თურქეთს. ლიტვა, ლუქსემბურგი, ბულგარეთი ფიქრობენ თავიანთი ძალისხმევით ერთა ლიგაში გაერთიანონ რაც შეიძლება მეტი ევროპული სახელმწიფო, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა ევროპული ქვეყანა.

6) *ზოგიერთი გარე-ევროპული პასუხისმგებლობების დაჟინებული მოთხოვნა.* საუბარია ესპანეთზე, რომელსაც ერთდროულად აფიქრებს „განსაკუთრებული ურთიერთობები ესპანურ-ამერიკულ ქვეყნებთან“ და თავისი პოზიციები აფრიკაში; ლაპარაკია ასევე, ნიდერლანდებზე, რომელიც მხოლოდ ევროპის მიწაზეა გადაჭიმული; გერმანიასა და დანიაზე, რომლებიც მოითხოვენ, რომ გათვალისწინებული იქ-

ნეს ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს პილიტიკური და საბაჟო კავშირები გარე-ევროპულ ტერიტორიებთან. პორტუგალიაც ამ აზრზე დგას, მაგრამ კიდევ ევროპული ლიგისგან შორს იჭერს თავს გაერთიანებული სამეფო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს უარყოფითი როლი, რომელსაც გერმანია ასრულებს კათოლიკე კანცლერის ბრუნინგის ხელმძღვანელობით. საერთო ჯამში, ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ დაინტერესებულან ევროპის „მაჯისცემით". როგორც ვრწმუნდებით, 1930 წ. ეს მაჯისცემა საკმაოდ სუსტია.

IV. დიდი ეკონომიკური კრიზისი და ეროვნული ეგოიზმი

ევროპის დაცემა აშშ-თან შედარებით. ომმა უცებ დაგვანახა აშშ-თან შედარებით ევროპული ეკონომიკის დამარცხება. 1914 წ. მსოფლიოს უკვე ჰყავს პირველი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო, ამერიკა, რომელიც ხმამაღლა საუბრობს თავის წარმატებებზე. როგორც ზეგავლენის ცენტრი, ამერიკა აყვავებას იწყებს 1925-1929 წლებში, თუმცა დიდ კრიზისს განიცდის 1929-1933 წლებში. იგი გადაწყვეტს, პრობლემები მოაგვაროს საკუთარი ძალებით და არა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, რაც ყველაზე მეტად ხელს უწყობს მსოფლიოს ეკონომიკურ ნაწილებად დაყოფას. 1933 წლის შემდეგ ეს ჩვეულებრივი მოვლენა ხდება.

როდესაც 1917 წ. 6 აპრილს, აშშ ომში ჩაება, ანტანტა ფინანსურად სულს ღაფავდა. მოკავშირეებმა ამერიკისგან მიიღეს კერძო სესხები, მაგრამ მათი კრედიტი თითქმის ნულზე იყო დასული. 1917 წლის აპრილში კონგრესმა კენჭი უყარა კანონს, რომელმაც მოკავშირეებს ამერიკის ხაზინით სარგებლობის საშუალება მისცა.

ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია შემდეგი მოვლენა: 1914 წ. უცხოეთში ამერიკული ინვესტიციები 2 500 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო ევროპული ინვესტიციები აშშ-ში 4 500-დან 5 000 მილიონამდე აღწევდა.

თუმცა ანტანტას უზარმაზარი თანხებით მომარაგების შედეგად, ამერიკელებმა დიდი სარგებელი ნახეს და უცხოეთში დააბანდეს 9 000 მილ-ონ დოლარზე მეტი. ეროვნული შემოსავლის და სამომხმარებლო ფასეულობის გაზრდის მოთხოვნის საფუძველზე შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ აშშ მნიშვნელოვნად გამდიდრდა I მსოფლიო ომის ხარჯზე. მაშასადამე, სახეზეა ნამდვილი ეკონომიკური ბუმი. ყველაზე თვალსაჩინოა მუდმივი სამომხმარებლო ფასეულობის გაზრდა, როგორიცაა მანქანები, სახლები, მაცივრები, რადიომიმღებები.

ამგვარად, მიაღწიეს იმ სტადიას, რომელსაც ვოლტ როსტოუ „მასების მნიშვნელოვან მოხმარებას" უწოდებს (*High Mass Consumption*), მას შემდეგ ამერიკელები ევროპელებს წინ უსწრებენ ცხოვრების კეთილმოწყობაში. რასაკვირველია, სიღარიბე გავრცელებულია მოსახლეობის ფართო წრეებში (ზანგებში, სამხრეთში მცხოვრებ თეთრკანიანი ადამიანების მცირე ჯგუფში, უმუშევრებში, დიდი ქალაქებიდან გარიყულ ადამიანებში). უფრო მეტიც, *ფერმერს* აღარ განიცდიან მზარდ ექსპანსიას. მიუხედავად ამისა, ჩნდება ახალი ადამიანური ცხოვრების ფორმა, რომელსაც ევროპელები ერთდროულად იმედით და ეჭვით ეკიდებიან.

რეპარაციები ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკური აღმავლობისა და სიმდიდრის წყალობით 1929 წლამდე საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა, ხოლო 1929 წლის შემდეგ მან ბაზარზე კრიზისი და გაჭირვება შემოიტანა.

იმისათვის რომ კარგად ჩავწვდეთ, მართლაცდა, აბსურდულ სისტემას, რომელიც მომდევნო 10 წელიწადში იარსებებს, საჭიროა ამოვიდეთ იმ შიდასახელმწიფოებრივი დიდი მოცულობის ვალიდან, რომელიც ომის შემდგომ წარმოიქმნა. პირველ კატეგორიას წამოადგენს გერმანული რეპარაციები, რომლის პრინციპი თავსმოხვეულ იქნა ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდგომ, მეორე კატეგორია მოიცავს იმ ვალს, რომელიც შეამცირეს „ანტანტის" წევრმა ქვეყნებმა მათ შორის (ინგლისი იყო მთავარი მევალე ქვე-

ყანა) და განსაკუთრებით აშშ-ს ხაზინასთან მიმართებაში (ინგლისი იყო მთავარი მოვალე ქვეყანა).

გერმანული რეპარაციების თანხა ფიქსირებულ იქნა მხოლოდ 1921წლის 1 მაისს საგადასახადო სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც შეადგენდა 126 მილიარდ მარკას (გერმანული ფულის ერთეული). ეს იყო ილუზორული ციფრი, რადგან იგი წარმოდგენილი იყო სიმბოლურად A, B, C ობლიგაციების სახით, რაც ფრანგებისთვის შენიღბვის უხეში საშუალება იყო, რომლებსაც ასეთი სახის სლოგანი გააჩნდათ: „გერმანია გადაიხდის", ამით ისინი უარს ამბობდნენ 76 მილიარდის გადახდაზე 126 მილიარდის მაგივრად.

მთავარი მევალე ქვეყნები იყვნენ საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და ბელგია კლებადი ხარისხით. ზოგიერთი ექსპერტები, მათ შორის ფრანგი დეპუტატი ანდრე ლებონი, 1918წ. 22 დეკემბერს, დარწმუნებულები იყვნენ ასეთი სისტემის ცდომილებაში: როგორ აიძულო მუშაობა 50 ან 60 წლის განმავლობაში 70 მილიონიან მოსახლეობას მხოლოდ იმ ერთადერთი პერსპექტივით, რომ მათი მძიმე შრომის შედეგად მოპოვებული ხელფასი დასჭირდება იმ ვალების გასტუმრებას, რომელიც წინა თაობამ გარკვეულწილად შეამცირა? თუმცა სწორედ ასეთი ილუზიები დანერგეს საფრანგეთის საზოგადოების წარმომადგენლებში. ინგლისელები, რომლებმაც ძლიერი გავლენა განიცადეს ჯონ მეინარდ კეინის ბრწყინვალე პატარა წიგნისგან „მშვიდობის ეკონომიკური შედეგები", რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1919წ. ნოემბერში, გახდნენ უფრო ნაკლებად პრინციპულები და მზადყოფნას გამოთქვავდნენ გერმანიის ეკონომიკური გამოცოცხლებისათვის, რომელიც წარმოადგენდა საუკეთესო კლიენტს ბრიტანეთის ექსპორტისათვის.

გერმანელები ერთიანად მტრულად იყვნენ განწყობილნი რეპარაციების მიმართ, ისინი მერყეობდნენ ორი სახის პოლიტიკას შორის: პირველი იყო უარყოფა (რომელსაც ემხრობოდნენ ულტრანაციონალისტები, და რურის ზოგიერთი ისეთი ძლიერი მრეწველები, როგორიც იყო ჰუგო

სტინი) და მეორე - აყვავების (გაძლიერების) პოლიტიკა, რომელიც განახორციელა ვალტერ რატენომ 1921 და 1922 წწ-ში და სტრესემანმა 1923 წლის ოქტომბრიდან. ეს უკანასკნელი მდგომარეობდა თანხის გადახდაში რათა მოკავშირეების ნდობა მოეპოვებინათ, ხოლო როდესაც ამ-ას მიაღწევდნენ, მოლაპარაკება ეწარმოებინათ ვალის შემ-ცირების თაობაზე.

მოკავშორეებმა 1921წელს გაატარეს იძულების პოლი-ტიკა (რურის სამი ქალაქის ოკუპაცია, 1923წ.), რომელიც წამოიწყო პუანკარემ, ბელგიელებმა და იტალიელებმა მი-უხედავად ინგილისელების წინააღმდეგობისა.

1924 წ. დეივსის გეგმა, რომელიც გათვალისწინებული იყო 5 წლიანი პერიოდისთვის, ფიქსირებას ახდენდა გერ-მანიის მიერ გადასახადების გადახდის შესახებ, სადაც სეს-ხის წლიური შენატანი 1-დან 2,5 მილიარდ მარკას შეად-გენდა (რომლის ვალუტაში ტრანსფერირება განხორციე-ლებული იქნებოდა არა გერმანიის მიერ, არამდ რეპარაცი-ების გენერალური აგენტის მიერ, რომელიც მდებარეობდა ბერლინში). ეს ნიშნავდა კაპიტალის ხელახალ შემცირე-ბას.

ომის ვალი ამერიკელებმა პრაქტიკულად უარყვეს რეპა-რაცია მათ მიმართ. ისინი რეპარაციებს მიიჩნევდნენ რო-გორც „პოლიტიკურ ვალს" და მხარს უჭერდნენ მათი გაუქმების იდეას. ასეთი სახის იდეა უეჭველად გონივრუ-ლი იყო, მაგრამ ამერიკული გონივრულობა მხოლოდ აქ მთავრდებოდა, რადგან ამერიკელებს არ სურდათ მათი ვა-ლების პარალელური გაუქმება. „კომერციული ვალი" მათ ხელშეუხებლად მიაჩნდათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ საერთა-შორისო მორალი მოითხოვდა, რომ ვალები გადახდილი ყოფილიყო თუნდაც ამ ფულად ანაზღაურებას მინიმალური წვლილი შეეტანა ქვეყნის კეთილდღეობაში.

ამერიკელების საპირისპიროდ, ევროპელები თანამიმ-დევრულად იძულებულები გახდნენ ხელი მოეწერათ ხელ-შეკრულებებზე გადასახადების შესახებ. ამ მხრივ ბრიტა-

ნელები აღმოჩნდნენ პირველები, რომლებმაც გააფორმეს ბალდვინ მელონის ხელშეკრულება 1923წ. 18 ივნისს.

იტალიამ 1925წ. 14 ნოემბერს უფრო მეტად მომგებიანი ხელშეკრულება დადო. საფრანგეთი დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ამ მოსა ზრებას. ფრანკის კრიზისმა, რომელიც დაემთხვა მემარცხენეების კარტელის მომდევნო მთავრობებს, 1924 დან 1926წ. - მდე ერთდროულად სასწრაფო და რთული გახადა ამერიკის ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება და შეთანხმების მიღწევა. ორ წელიწადში 9 ფინანსთა მინისტრი შეიცვალა. 29 აპრილს, 1926 წელს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „მელონ ბერანჟერი", მაგრამ დეპუტატთა პალატამ მხარი არ დაუჭირა მის რატიფიცირებას და ამან გამოიწვია ხანგრძლივი დავა ამერიკისა და საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს შორის. ამ საქმის ყველაზე მნიშვნლოვან საკითხს წარმოადგენდა ის, რომ 1925 წლიდან, დეივსის გეგმის ამოქმედებიდან დაწყებული გერმანია რეგულარულად იხდიდა თავის რეპარაციებს. არის ეს თუ არა სასწაული? არის თუ არა გერმანიის გადახდისუნარიანობაზე მიმანიშნებელი? რეალურად, სტრესემანმა 1925წ. მისწერა კრონპრინზს, რომ რეპარაციების გადახდა შეუძლებელი იქნებოდა 1927წ-დან. ის მნიშვნელოვანი ძალა, რომელმაც ხელი შეუშალა ამ გონივრულ წინასწარმეტყველების განხორციელებას, იყო ამერიკა.

ამერიკული სესხები. სრული აღმავლობის პერიოდში აშშ. ფლობდა ჭარბი რაოდენობის კაპიტალს, რომლის დაბანდებასაც იგი საზღვარგარეთ ცდილობდა. ჰუვერმა დაარწმუნა თავისი კოლეგები, სახელმწიფო მდივანი ჰუგესი და ხაზინის მდივანი, მდიდარი ბანკირი ანდრიუ მელონი, რომ კერძო კაპიტალის ექსპორტაცია კონტროლირებული უნდა ყოფილიყო. სამივე მინისტრი, 1921წ. ზაფხულში შეთანხმდნენ ბანკირ მორგანთან, რომელიც თავისი კოლეგების სახელით ვალდებულებას იღებდა იმისათვის, რათა არ მოეხდინა ინვესტირება საზღვარგარეთ სახელმწიფო დეპარტამენტთან კონსულტაციის გარეშე. სესხი არ გაიცემოდა

არც მთავრობებზე და არც ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც აშშ-სთან მიმართებაში არ ასრულებდნენ ვალდებულებებს. ამგვარად, აშშ-მ უარი განაცხადა სესხი გაეცა იაპონიის, სსრკ-სა და საფრანგეთისთვის. გერმანია, რომელსაც მასთან მიმართებაში არ გააჩნდა ომის ვალი, სწორედ ამის გამო გახდა ამერიკელი ინვესტორების ძირითადი სამიზნე ობიექტი.

ამერიკული კაპიტალის მოზღვავების შედეგად გერმანიამ 1925 და 1930 –იან წლებში მოიპოვა თანხის დიდი ნაწილი, რომლის წყალობითაც გადაიხადა რეპარაციები. როგორც სჩარჩტი წერს თავის მემუარებში, რომელიც იმ პერიოდში რეიჩბანკის პრეზიდენტი იყო, „რეპარაციების ხარჯები საბოლოო ჯამში ანაზღაურებულ იქნა იმ უცხოელების მიერ, რომლებმაც ჩვენ კრედიტები გაგვიხსნეს"

ამგვარად, ამერიკული ბიზნესის არათანამიმდევრული იმპულსის შედეგად, რომელიც შეუპოვარმა მთავრობამ შეიმუშავა, უცნაური კარუსელი შეიქმნა, სადაც ფული გიჟურად ტრიალებდა. ამერიკელები გასცემდნენ სესხს გერმანიაში, ეს უკანასკნელი რეპარაციებს უხდიდა მოკავშირეებს, მოკავშირეები ვალს უხდიდნენ ამერიკას. „მაშ როდის დამთავრდება ეს პატარა თამაში?" ამბობდა ფრანგი პოლიტიკოსი. მსოფლიო, თავბრუდახვეული აშკარა წარმატებით, ვერ ამჩნევდა ამ უგუნური მექანიზმის სისუსტეს.

ძლიერი ქვეყნების ხედვები ეკონომიკაზე. ნაკლებად თავბრუდამხვევი მასშტაბით, ნაკლები გაბედულებით და უამრავ სირთულეებში ჩაძირულმა ევროპის ძლიერმა ქვეყნებმა (გარდა სსრკ.) ამერიკული რიტმით განაგრძეს სვლა.

1913წ ბრიტანეთის ეროვნული შემოსავალი 2 021 მილიონ ლივრას შეადგენდა. 1921წ. იგი იკლებს და ხდება 1 804 მილიონი, ხოლო 1929წ. მისი რიცხვი 2 319-მდე იზრდება. რაც შეეხება საფრანგეთს, იგი შეადგენდა 328 მილიარდ ფრანკს 1913წ. ხოლო 250-ს 1920წ. მან თავის მაქსიმუმს მიაღწია 1929წ. და გახდა 453. გერმანიის ეროვნული შემოსავალი შეადგენდა 45,7 მილიარდ მარკას 1914წ. ხოლო 57,5 – 1931წ.

1929. დიდი კრიზისის დასაწყისი მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, ამერიკული მოდელიდან გამომდინარე, ემყარებოდა 1929წ-მდე ოპტიმიზმის პოსტულატს. არანაირი პოლიტიკური დაბრკოლება არ ზღუდავდა პროდუქციას და შედეგად ჭარბწარმოების საფრთხე თანდათან უფრო საგრძნობი ხდებოდა. განვითარდა კერძო პირებზე კრედიტების გაცემა, რათა გაესაღებინათ საქონლის არსებული მარაგი, საიდანაც ბანკები დიდ მოგებას ნახულობდნენ. იმ მომენტიდან, როდესაც რაიმე მიზეზის გამო კრედიტის გაცემა შეფერხდებოდა, მაშინ შემცირდებოდა შესყიდვები, დაგროვდებოდა საქონლის მარაგი, დაეცემოდა მკვეთრად ფასები, რაც იქნებოდა ნამდვილი კატასტროფა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ როლს, რომელიც აშშ-ს გააჩნდა მსოფლიოსთან მიმართებაში. წარმოიქმნა ასეთი სახის მექანიზმი: ძირითად ფენომენს წარმოადგენდა ნდობის უცაბედი კრიზისი, რომელიც დაკავშირებული იყო საბირჟო სპეკულაციის გადამეტებასთან. სიმბოლურ თარიღს წარმოადგენს შავი ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი, 1929წ. როდესაც დაიწყო ვოლ სტრიტის საბირჟო ფასების მკვეთრი დაცემა.

კრიზისმა ევროპას მიაღწია ამერიკის კრიზისით დაზიანდა პირველ რიგში ის ქვეყნები, რომლებიც აშშ-ს თითქმის ექსკლუზიურად ამარაგებდნენ ნედლეულით. ლათინურ ამერიკაში, რომელიც ისედაც გაღარიბებული იყო, მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ჩვეულებრივი მოვლენაა ბრაზილიური ყავის მარაგის გამოყენება ლოკომოტივებში როგორც საწვავი მასალა. 1929წ. დეკემბრიდან, არგენტინამ, ურუგვაიმ, ავსტრალიამ, მიატოვეს ოქროს სტანდარტი, განიცადეს ასე ვთქვათ, დევალვაცია, რათა ამაოდ ეცადათ მათი ექსპორტის გამოცოცხლება.

საზღვარგარეთ, ხანმოკლე ვადით დაბანდებული ამერიკული კაპიტალი თავიდან უფრო გამძლე გამოდგა. 1930წ. გაზაფხულამდე, რამდენიმე ახალი სესხი გაიცა. მაგრამ წლის ბოლოს პრაქტიკულად შემცირდა და აღარ გადაუჭარბებია 60 მილიონ დოლარს წელიწადში, თუ შევადარებთ იმ 200 მილიონს, რომელიც გაიცა 1929 წელს.

გაგრძელდა პირდაპირი ინვესტიციები, მაგრამ სუსტი რიტმით -1930 და 1931წ. რომელიც სრულიად გაქრა 1932წ. ამერიკელებმა პირიქით, მასიურად მოახდინეს მათი კაპიტალის რეპატრიაცია, რომელიც საზღვარგარეთ გააჩნდათ (უცხოეთი იგივენაირად მოქმედებდა აშშ-ში, მაგრამ უფრო ნაკლები მასშტაბით).

რეპატრიაციებმა ზიანი მიაყენა განსაკუთრებით გერმანიას, სადაც ჩადებული თანხის მოცულობა 40 პროცენტს შეადგენდა, ავსტრიას და შემდეგ დიდ ბრიტანეთს. 1931წ. მაისის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე რეიჩბანკმა დაკარგა 2 მილიარდი დოლარი, ოქროსა და ვალუტის სახით.

კაპიტალის რეპატრიაციის თანადროულად მზარდ სირთულეს წარმოადგენდა ექსპორტი აშშ-ში. ამერიკელები არა მარტო ნაკლებს ყიდულობდნენ, არამედ მათ განიზრახეს შეექმნათ 1930წ. 17 ივნისს ყოველი დროის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაჟო ბარიერი, ჰავლეი სმუტის ტარიფი, რომელიც ზრდიდა წინა ტარიფის უფლებებს (ფორდნეი ემსიკუმბერი). საბაჟო უფლებების საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 26%-დან 50%-მდე. 1931წ. ევროპის ეკონომიკამ დიდი მარცხი განიცადა.

მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა — გაკოტრება. 1931წ. მაისს იგი შეეხო ავსტრიის დიდ ბანკს „*Kreditanstalt fur Handel und Gewerbe*", რომელსაც მიჰყვა გერმანული ბანკები, კერძოდ „დანატ ბანკი". ივნისში, ივლისში და აგვისტოში მან ინგლისშიც მიაღწია. საფრანგეთმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ, იტალიამ, „ოქროს ბლოკის" ქვეყნებმა (მითითებულია ქვემოთ), გარკვეულ დროს უკეთესი გამძლეობა გამოიჩინეს (ფრანგული ეკონომიკის ნაწილის არქაული სტრუქტურა აშკარას არ ხდიდა ზარალს). მაგრამ 1931წ-ის ბოლოდან 1932წ. დასაწყისამდე იქ კატასტროფული სიტუაცია შეიქმნა. თუ გერმანიაში 1928წ. ინდუსტრიული პროდუქციის მაჩვენებელი იყო 100 და მან 100,1-ს მიაღწია 1929 წელს, იგი 1930წ. 87-ს შეადგენდა, 1931წ. 70,1-ს, ხოლო 1932წ. 58-ს. ინგლისში 86,5-ს 1933წ., საფრანგეთში 109,9 1929წ-ს და 1930წ-ს 95-ს., 1931წ.-ს

81-ს. 1932წ-ის კრიზისის პოლიტიკური შედეგები ერთიანად განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით. გერმანიაში ამით აიხსნება გარკვეულწილად ნაცისტების უზარმაზარი პროგრესი 1932წ. ივლისის არჩევნებში, ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ახალი ტოტალიტარული და ექსპანსიონისტური დიქტატურის დამყარება. იტალიაში, სადაც დიქტატურა უკვე არსებობდა, იგი გამოიხატა მუსოლინის სურვილით მოეპოვებინა კოლონია, რომელიც იტალიელებით იქნებოდა დასახლებული და ეთიოპიაში განეხორციელებინა თავისი ექსპანსიონისტური ოცნებები. იგივე მოხდა იაპონიაშიც.

ინგლისში სამაგიეროდ მან წარმოქმნა უცნაური ეფექტი, სადაც მოსახლეობას კონსერვატიული პარტია ჩაუდგა სათავეში (ე.წ. ნაციონალური გაერთიანების სახით, რომლის ლეიბორისტი ლიდერი რამსეი მაკდონალდი გახდა ხელმძღვანელი, მიუხედავად მისი პარტიული კუთვნილებისა).

საფრანგეთში კრიზისმა გაამწვავა აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის უთანხმოება, ხელი შეუწყო მინისტრთა არასტაბილურობას და უთანხმოებას ფრანგთა შორის. აშშ-ში კრიზისი 1932წ.ს რევოლუციის სახით გამოიხატა: უმუშევრების და ძველი მებრძოლების აჯანყებები, ფერმერების გაფიცვები .მაგრამ ფაქტობრივად 1932წ. ნოემბრის არჩევნები ამ სიტუაციის გამოსავალი აღმოჩნდა. საწყალი პრეზიდენტი ჰუვერი, რომელიც ოპტიმისტური განწყობით გამოირჩეოდა, უძლური შეიქმნა კრიზისის გამკლავებაში. იგი არჩევნებში დაამარცხა დემოკრატმა კონკურენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა 15 762000 ხმით 22 822 000-ის წინააღმდეგ.

ბრძოლა კრიზისის წინააღმდეგ, საერთაშორისო გადაწყვეტილება. სახელმწიფო მოხელეები და მთელი მსოფლიოს ფინანსისტები შეშფოთებულები იყვნენ კრიზისით და განსაკუთრებით მისი მოცულობით.

რა მეთოდი უნდა ყოფილიყო გამოყენებული? პირველი პრობლემა მდგომარეობდა იმის ცოდნაში, შეეძლო თუ არა ყოველ ქვეყანას ინდივიდუალურად გადაეჭრა საკუთარი

კრიზისი, ან თუ იქნებოდა პრობლემის საერთაშორისო მოგვარება. ეს უკანასკნელი 1933წ-მდე დაიწყო მცირე მასშტაბით. რუზველტმა გაბედულად დაასრულა ეს პროცესი 1933წ. ლონდონის კონფერენციის დროს.

ევროპაში კატასტროფის შემოჭრასთან ერთად გადაუჭრელი ხდებოდა საერთაშორისო რეგლამენტების პრობლემა.

ხელახლა გაჩნდა იდეა ყველანაირი რეპარაციების და ომის ვალის გაუქმების შესახებ. 1931წ. მაისსა და ივნისში გერმანიაში წარმოქმნილი კატასტროფის გამკლავების მიზნით, პრეზიდენტმა ჰუვერმა გერმანიაში ამერიკის ელჩთან, ფრედერიკ საკეტთან საუბრის დროს წამოჭრა იდეა იმის შესახებ, რომ ერთი წლით გაეხანგრძლივებინათ შიდა სახელმწიფოებრივი ვალის გადახდის პროცესი. გერმანელი პრეზიდენტის ჰინდ ენ ბერგის მოწოდებამ დააბოლოვა გადაწყვეტილების მიღება. 20 ივნისს ჰუვერმა გამოაქვეყნა თავისი მორატორიუმის (ვადის გახანგრძლივების) გეგმა. ერთი წლის განმავლობაში შიდასახელმწიფოებრივი ყველა ვალის გადახდა შეჩერებული იქნებოდა. ფინანსური კონფერენცია გაიხსნა ლონდონში 20 ივლისს და მიუხედავად საფრანგეთის გარკვეული წინააღმდეგობისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებოდა კრიზისი, მორატორიუმი მიღებულ იქნა. იგი ვრცელდებოდა როგორც რეპარაციებზე, ასევე ომის ვალზე. მაგრამ ჰუვერი, რომელიც აშშ-ს ტრადიციული პოლიტიკის ერთგული იყო, ვარაუდობდა შეენარჩუნებინა აბსოლუტური განსხვავება ამ ორ კატეგორიას შორის.

როდესაც მორატორიუმს ვადა ამოეწურა 1932წ. ივნისში ამერიკის სახელმწიფო მდივანს, ჰენრი სტიმსონს, რომელმაც ამ პერიოდში იმოგზაურა ევროპაში, დაებადა იდეა იმის შესახებ, რომ გაეუქმებინა ვალები და რეპარაციები. იქნებ სჯობდა მორატორიუმის ერთი წლის ვადით გახანგრძლივება, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ამერიკის საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირება? ჰუვერი ფორმალურად დაუპირისპირდა ამ იდეას: „ის მეუბნება, სწერს სტიმსონი 11 ივლისს, 1932წ, რომ იგი ფუნდამენტურად

მეწინააღმდეგებოდა მე და ფიქრობდა, რომ ვალები აუცილებლად უნდა ყოფილიყო გადახდილი.”

ვალებისა და რეპარაციების დასასრული. ამავე დროს ევროპელები შეიკრიბნენ ლაუზანის კონფერენციაზე და გადაწყვიტეს, მიუხედავად ფრანგების წინააღმდეგობისა, გაეუქმებინათ გერმანული რეპარაციები. თუმცა ლაუზანის კონფერენციის ხელმომწერები „ჯენლტმენების შეთანხმების” მაგვარად, პირობას დებდნენ, რომ შეთანხმების რატიფიცირებას არ მოახდენდნენ, სანამ აშშ-სგან არ მიიღებნენ უარს ვალების ანაზღაურების შესახებ. ეს ნამდვილად წარმოუდგენელი იყო. ამერიკის საზოგადოებრივი აზრის უმრავლესობის წარმომადგენლები, კონგრესი და პრეზიდენტი აღშფოთდნენ „ჯენლტმენების შეთანხმებით”, რასაც ნამდვილი „ევროპული შეთქმულება” უწოდეს.

მორალის სახელით, თან რწმენით იმის შესახებ, რომ სესხის ყოველწლიური შენატანი დაეხმარებოდა კრიზისის გადაჭრას, რომელიც აბსურდული იყო, ამერიკელები შეუძლებელს მოითხოვდნენ, სახელდობრ იმას, რომ ევროპის გაკოტრებულ ქვეყნებს გაეგრძელებინათ თანხის გადახდა.

მის შედეგს წარმოადგენდა ის, რომ ევროპელმა მოვალე ქვეყნებმა ერთხმად გადაწყვიტეს აღარ გადაეხადათ გადასახადი, გარდა ფინლანდიისა. ამერიკის იზოლაციონიზმი მხოლოდ გაძლიერდა. შეიძლება ითქვას, რომ მცდელობა კრიზისის საერთაშორისო გადაწყვეტისა ამიერიდან საფრთხის წინაშე იყო.

1932წ. დეკემბერში ჰუვერი დაეთანხმა იდეას, რომ ლონდონში 1933წ. გაზაფხულზე მოეწვიათ მსოფლიო ეკონომიკური კონფერენცია ერების საზოგადოების მიერ (SDN). 1933წ. მარტში ჰუვერმა დატოვა ხელისუფლება და სახელმწიფო მდივნად დანიშნა თავისუფალი ვაჭრობის მომხრე კორდელ ჰული, ტენესის სენატორი, რომელიც ცნობილი იყო „ეკონომიკური განიარაღების” იდეებით. 1933წ. 12 ივნისს ლონდონის კონფერენციის გახსნაზე ამერიკულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა კორდელ ჰული. მაგრამ რუზველტმა შეაჩერა საერაშორისო გზით პრობლემების

მოგვარება. ბოლოს, 1934წ. 13 აპრილს ჯონსონის აქტის თანახმად აშშ. გამოეყო მსოფლიოს და აკრძალა ყველანაირი სესხი იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც არ გადაიხადეს ომის ვალი.

ამგვარად, მერყევი ევროპელების საპირისპიროდ, აშშ.-მა ნათლად აიძულა ყველა მიეღოთ ნაციონალური გადაწყვეტილება კრიზისის გადაჭრის მიზნით. მიღებული გადაწყვეტილებების სამი ძირითადი პრინციპი იყო დეფლაცია და ოქროს ბლოკი, დევალვაცია და ვალუტის კონტროლი.

დეფლაცია და ოქროს ბლოკი პრობლემის გადაჭრის მიზნით, გამოყენებულ იქნა დეფლაციის მეთოდი, რომელიც გერმანიაში განხორციელდა ბრუნინგის ეპოქის (1930-1932წწ.) დროს, ხოლო — საფრანგეთში 1936 წ. ვალუტაზე მანიპულაცია აღარ მოხდებოდა, რომლის კურსი და კავშირებული იქნებოდა ოქროსთან ფიქსირებული კავშირის მიხედვით. არსებობდა მსოფლიო ბაზარზე ფასების გაზრდის საშიშროება. საჭირო იყო, რაც არ უნდა დაჯდომოდათ, დაეწიათ თვითღირებულების ფასი. სახელმწიფო ხარჯების, ხელფასების და გასამრჯელოების შემცირება ამის მიღწევის საშუალებას წარმოადგენდა. ასეთი, ერთი შეხედვით, ლოგიკური მეთოდი ფატალურად უნდა დასრულებულიყო სოციალური კრიზისით. 1930წ. ბრუნინგის დეკრეტი-კანონებით აიხსნება 107 ნაცისტის და 77 კომუნისტის არჩევა. 1930წ. 14 სექტემბერს ლავალის დეკრეტი-კანონებით აიხსნება სახალხო ფრონტის გამარჯვება 1936წ.

1931 წლიდან 1935 წლამდე ოქროს ბლოკმა მოიცვა საფრანგეთი, ბელგია, იტალია, შვეიცარია, ჰოლანდია.

დევალვაცია. მეორე მეთოდი მდგომარეობდა ვალუტაზე მანიპულირებაში, რასაც წარმოადგენს დევალვაცია. იგი წარმატებით იქნა მიღებული ინგლისის მიერ (1931წ. სექტემბერი), აშშ-ს მიერ (1933წ. აპრილი), წარუმატებლად საფრანგეთის სახალხო ფრონტის მიერ (1936წ. სექტემბერი). მისი ძირითადი მიზანი იყო ექსპორტის სტიმული-

რება სახელმწიფო გაყიდვის ფასის დაწევით მსოფლიო ბაზართან შედარებით. ამის მისაღწევად, საჭიროა შიდა ფასები დაახლოებით სტაბილური დარჩეს. ვინაიდან იმპორტირებული სურსათი თანდათან ძვირი ხდება, საჭიროა მისი შემოტანის შეზღუდვა საბაჟოს უფლებების გაზრდით (ამერიკული სისტემა) ან კიდევ მოხდეს პრივილეგირებული ნედლეულის წყაროებით მომარაგება (ბრიტანული სისტემა, იმპერიული მნიშვნელობის: ოტავას 1932წ. შეთანხმებები).

ვალუტის კონტროლი. მესამე მეთოდი განსხვავებით პირველი ორისაგან, მდგომარეობდა მსოფლიო ბაზრისაგან იზოლირებაში. ეს არის ვალუტის კონტროლი. იგი მიღებულ იქნა გერმანიის მიერ ჯერ კიდევ ჰიტლერამდე (1932წ. ივნისი), ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების უმრავლესობის მიერ და ზოგიერთი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მიერ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო აკონტროლებს ვალუტის შესვლას და გამოსვლას. როდესაც უცხოელი მწარმოებელი მიჰყიდის გერმანელ მწარმოებელს გარკვეული რაოდენობის პროდუქციას, თანხა, რომელიც მას უნდა გადაუხადონ, არ უნდა გავიდეს გერმანიიდან (ეს იმპორტს აყენებს ზიანს) . ამ მხრივ ორიდან ერთერთი არჩევანი უნდა გაკეთდეს: პირი ან ხარჯავს იმ თანხას გერმანიაში, რაც მას ეკუთვნის, ან ცდილობს ისარგებლოს იმ შეთანხმების პირობებით, რომლის თანახმად მას გადაუხდიან კუთვნილ თანხას ექსპორტიორი გერმანელები თავის ქვეყანაში.

ეს სისტემა არახელსაყრელია საგარეო ვაჭრობისთვის. იგი ითვალისწინებს საგარეო ვალების გადახდის უარყოფას, იმის გამო რომ შეუძლებელია ნაციონალური ვალუტის ტრანსფორმაცია. მისი უპირატესობაა ის, რომ ისეთმა დიდმა ქვეყანამ, როგორიც გერმანიაა, შეუძლია გაიმყაროს ეკონომიკური ძალაუფლება ქვეყნებზე (ცენტრალური ევროპის და ბალკანეთის), რომელთაც სჭირდებათ მას მიჰყიდონ თავიანთი პროდუქცია (რუმინული ნავთობი, უნგრული ხორბალი, ბერძნული თამბაქო და ა.შ.)

ჩვენ ვნახავთ, რომ ვალუტაზე კონტროლი შეიძლება

მიჩნეულ იქნეს ან როგორც დროებითი საშუალება, რომელიც საჭიროა კრიზისის მიერ შესუსტებული ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით გარეშე სამყაროსთან კონტაქტის გარეშე (სჩაჩტის იდეა), ან როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც იხრება ავტარკიის შექმნისაკენ (გორინგის და ჰიტლერის იდეა).

V. დემოკრატიები, ბოლშევიზმი, ფაშიზმი

იმ დროს, როდესაც ვილსონს სჯერა, რომ დემოკრატია მოწოდებულია ტრიუმფისთვის ყველგან მსოფლიოში, ევროპაში ან მის საზღვრებთან, ჩნდება ორი დიდი სისტემა ერთდროულად პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური. ერთი მხრივ ბოლშევიზმი (ბოლშევიკური პარტია) წარმოიქმნა 1905წ. რუსი რევოლუციონერის ლენინის მიერ, რომელიც იყო მარქსის მოწაფე და „კლასების ბრძოლის" ჩემპიონი, მეორე მხრივ ფაშიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა სოციალისტი ჟურნალისტის ბენიტო მუსოლინის მიერ. ბოლშევიკები ძალაუფლებას იღებენ ხელში პეტროგრადში 1917წ. ნოემბერში. მუსოლინი იგივენაირად იქცევა რომში 1922წ. ოქტომბერს.

კიდევ უფრო დამახასიათებელია ლეგალური ძალაუფლების ხელში აღება 1933წ. 30 იანვარს ევროპის ინდუსტრიულ დიდ სახელმწიფოში, გერმანიაში, ძველი მებრძოლის ადოლფ ჰიტლერის მიერ, რომელიც ერთდროულად განათლებული ორატორი და გენიალური ბრძოლების წინამძღოლი იყო.

ტოტალიტარიზმი : ორ ომს შუა პერიოდიდან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, როგორ შეეცადა ორი ტოტალიტარული სახელმწიფო მომენტალური წარმატებით დაენგრია ის ევროპული გაერთიანება, რომლის ხანგრძლივმა და მდიდარმა ისტორიასაც აქამდე თვალს ვადევნებდით.

ტოტალიტარიზმის არსი მდგომარეობს უმაღლესი ღირებულებისათვის ყველაფრის შეწირვაში, ამ ყველაფერში.

შედის სიცოცხლე, თავისუფლება, ადამიანების უფლებები. მიზეზი ყველაფერს ამართლებს: ღალატს, ტყუილს, სიმკაცრეს, გენოციდს, ხოცვა-ჟლეტას. ყველაფერი ეფუძნება სავალდებულო დოქტრინას, მხოლოდ სახელმწიფო იდეოლოგიას; იმ დროს, როცა დემოკრატიაში მიზანი არ ამართლებს საშუალებას.

ერთადერთი ნამდვილი ღირებულება არის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნება. მისი საუკეთესო სიმბოლოა „ადამიანის უფლებების"ცნება. ყველა ადამიანს აქვს უფლება გაკეთოს ის, რაც სურს მხოლოდ იმ პირობით, რომ სხვას არ მიაყენოს ზიანი. ტოტალიტარულ სახელმწიფოში, მხოლოდ სახელმწიფოა მნიშვნელოვანი და არა ადამიანის უფლებები. დემოკრატიაში ყველა პიროვნებას აქვს უფლება, აირჩიოს თავისი იდეოლოგია.

ბოლშევიზმს გააჩნია წმინდა მიზეზი, ესაა პროლეტარიატის გამარჯვება მთელს მსოფლიოში. მაგრამ ერი-სახელმწიფო ხელახლა ჩნდება იმ მომენტიდან, როდესაც რუსეთი ხდება „პროლეტარიატის სამშობლო". მუსოლინის ფაშიზმი ნაკლებად მკაცრია, ვიდრე ჰიტლერის ნაციზმი. ამ უკანასკნელისთვის დოქტრინა, ესაა რასების უთანასწორობა, ქერა არიენების უპირატესობა (ინდო-ევროპელები), რომლებიც უკეთესადაა შენარჩუნებული გერმანიაში, ვიდრე სხვაგან. ამგვარად, საქმე გვაქვს რასისტულ ულტრა-ნაციონალიზმთან.

სტალინი კლასთა ბრძოლების საბაბით ანადგურებს რამდენიმე მილიონ მოწინააღმდეგეს (კერძოდ, კულაკებს ან შეძლებულ გლეხებს). ჰიტლერი რასისტული სიწმინდის საბაბით ანადგურებს მილიონობით ებრაელს. ერთმაც და მეორემაც შექმნეს საშინელი საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც გაწვრთნილი ჯალათები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ პატიმრების ადამიანური ღირსება მიწასთან გაესწორებინათ.

სამივე „ბანაკმა" ბოლშევისტურმა, ფაშისტურმა, დემოკრატიულმა, ორ ომს შუა პერიოდში, გარკვეულწილად განსხვავებული როლები შეასრულა, დემოკრატიებმა უფრო ნაკლები ეფექტურობით და სისწრაფით. ბოლშევიკებსა და

დემოკრატებს შორის გარკვეული დაახლოება მოხდა (1930-იან -წ.ში), ასევე მოულოდნელად დაუახლოვდნენ ერთმანეთს ბოლშევიკები და ნაცისტები (1939წ.)

ესპანეთის სამოქალაქო ომის ზოგადი წყაროები. შორს ნუ წავალთ, გავიხსენოთ მხოლოდ ესპანეთის სამოქალაქო ომის დრამატული შედეგი. ეს ომი აღმოჩნდა საშინლად ხანგრძლივი (დაახლ. 3 წელი) და დამანგრეველი (25 მილიონიან ქვეყანაში 1 მილიონი ადამიანი იქნა მოკლული).

ესპანეთის ომი არის, პირველ რიგში, შიდა ესპანური ფენომენი. 1824 წ.დან ქვეყანა იმყოფება მუდმივად გახლეჩილ მდგომარეობაში პროგრესისტულ, დემოკრატიულ, ლიბერალურსა და ულტრაკონსერვატულ ტენდენციებს შორის. ვერც ერთმა მთავრობამ ვერ შეძლო ამ გათიშვის ხანგრძლივად მოგვარება, რაც მით უფრო სავალალოა, რადგან თავად ესპანეთს სურს ამ იზოლაციიდან გამოსვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი რანგის მწერლები, ზოგიერთი საუკეთესო კომპოზიტორი, ისეთი, როგორიცაა მანუელ დე ფალა ან პაბლო კაზალსი, უდიდესი მხატვრები, პირველ რიგში კი პიკასო, მთელ მსოფლიოში ბრწყინავენ, თუმცა ხშირად ისინი ესპანეთში ყოფნას საზღვარგარეთ, ნაკლებად მღელვარე ატმოსფეროში ცხოვრებას არჩევენ.

ასევე ჩამორჩენილია ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი მინერალური რესურსები და კომპეტენტური ინდუსტრიული ცენტრები. 1931წ. მონარქიის დამხობის შემდეგ, ესპანეთში რევოლუციური სახე მიიღო დიდმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა.

1931-1936წწ. ქვეყნისთვის ძალზე მშფოთვარე პერიოდია. 1936წ. თებერვალში ხელისუფლებაში მოდის სახალხო ფრონტი ხმების შეზღუდული რაუდენობით. ამით აიხსნება ახალი „*pronunciamiento*"ს მზადება გენერლების მიერ, რომელთა შორის იყო ფრანკო და უამრავი ოფიცერი. ჟოზე პრიმო დე რივერას ხელმძღვანელობით, (რომელიც 1920-იანი წლების დიქტატორის შვილი იყო) 1933წ. შეიქმნა პარტია.

1936წ. 17 ივლისს რუაიალისტი კალვო სოტელოს მკვლელობის გამო ესპანეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც ყველგან არ გავრცელდა. დეტალებს ნუ ჩავეძიებით. გვახსოვდეს მხოლოდ, რომ ეს საშინელი სამოქალაქო ომი დაქუცმაცებული ევროპის სახეა. ფაშისტურმა იტალიამ ესპანეთში გააგზავნა მოხალისეები, ნაცისტურმა გერმანიამ კი ავიაციის საშუალებით დაუჭირა მხარი. ჰიტლერი ესპანეთს იყენებს, როგორც ლაბორატორიას თავისი იარაღის ექსპერიმენტისთვის. საპირისპიროდ რესპუბლიკურ მთავრობას მხარს უჭერს საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, იმ მიზეზით, რომ საქმე ეხება დემოკრატიულ რეჟიმებს. მაგრამ დიდი ბრიტანეთი კონსერვატიულია და ლეონ ბლუმს ეშინია საფრანგეთში სამოქალაქო ომის დაწყების. სსრკ.-ც ასევე მასიურად დაეხმარა რესპუბლიკელებს.

ამგვარად, ფაშისტები, დემოკრატები, ბოლშევიკები კონფრონტაციაში არიან ერთმანეთთან. ყველაზე შეუპოვრები მაინც ფაშისტები არიან: რაც შეეხება სტალინს, იგი თავის დროს ელოდება ციინიკურად, მისთვის ჰიტლერთან დაახლოება სასარგებლო იქნება, იმ ტერიტორიების დასაბრუნებლად, რომლებიც 1918წ. მარტში დათმო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. მარტივად რომ ვთქვათ, დემოკრატიის სისუსტის მიუხედავად აღნიშნული ქვეყნები ერთმანეთთან დაახლოების პოლიტიკას არ მისდევენ.

ასევე ნუ დაგვავიწყდება, რომ 1934წ-მდე სსრკ სოციალისტებს მიიჩნევდა როგორც კომუნიზმის ყველაზე დიდ მტრებს.

თავდაპირველად ბარსელონის დაცემის, შემდეგ კი 1939წ. მარტში მადრიდის დამარცხების შედეგად დასრულდა ომი გენერალ ფრანკოს გამარჯვებით, რომელიც იყო სწორედ რომ ვთქვათ, დიქტატორი და არა ფაშისტი. ეს უკანასკნელი ყველანაირად შეეცდება ორი ძლიერი მოკავშირე ფაშისტური ქვეყნის დამშვიდებას. გენერალ ფრანკოს ასევე მთავარი მიზანი იქნება, რომ სისხლიანი, ნანგრევებით დაფარული, სიძულვილით შეპყრობილი ესპანეთი არ ჩაებას მსოფლიო ომში.

VI. ინტელექტუალების სევდა

1920 და 1930წწ.ში იშვიათი გავლენა გააჩნდათ ადამ სმიტს და XVIII საუკუნის ფილოსოფოსებს.

გავიხსენოთ ყველაზე ცნობილი სახელები, მაგრამ არ დაგვავიწყდეს სხვა ნაკლებად სახელგანთქმული ავტორებიც, რომლებმაც ასობით წიგნი და სტატია გამოსცეს. მათ შორის არის ოსვალდ სპენგლერი, რომელიც აქვეყნებს „დასავლეთის დაცემას", პოლ ვალერი – თავისი ცნობილი გამოთქმით: „ჩვენ, სხვა ცივილიზაციებმა, ახლა უკვე ვიცით, რომ მოკვდავები ვართ" („*თხზულებათა I კრებული*" 1919წ.) დიდმა ესპანელმა ფილოსოფოსმა ორტეგა ი გასეტმა 1930წ. გამოსცა „მასათა ამბოხი". რუსი ლტოლვილი ნიკოლას ბერდიაევი წერს თავის ყველაზე ცნობილ წიგნს სათაურით „ახალი შუა საუკუნე". 1918წ. იტალიელმა ეკონომისტმა, რესპუბლიკის მომავალმა პრეზიდენტმა, ლუიჯი ფინაუდიმ გაზეთში *Corriere della Sera* გამოაქვეყნა „პოლიტიკური წერილები", სადაც მოგვცა ევროპის დაცემის ვრცელი ანალიზი. მისი თანამემამულე ისტორიკოსი და ესეისტი გილიელმო ფერერო აქვეყნებს ნაშრომს *la Vecchia Europa e la nuova* (ძველი და ახალი ევროპა); გერმანელი ექიმი და ფილოსოფოსი კარლ ჯასპერსი გამოსცემს ნაშრომს „ევროპული აზროვნება", რომელსაც მოგვიანებით 1931წ. მოჰყვება „ჩვენი ეპოქის სულიერი მდგომარეობა". 1920წ. ფრანგმა გეოგრაფმა ალბერტ დემანჟონმა გამოაქვეყნა „ევროპის დაცემა", ინგლისელმა კათოლიკე მწერალმა ჰილერ ბელოკმა „*The Crisis of our Civilization;* ფრანგი ჟულიენ ბრენდა 1927წ. აქვეყნებს „კლერკების ღალატს", ხოლო იმავე წელს გამოდის ჰენრი მასისის „ დასავლეთის დაცვა".

1928წ. დრიე ლაროშელი აქვეყნებს „ახალგაზრდა ევროპელს", ხოლო რენე გენონი –„თანამედროვე მსოფლიოს კრიზისს", ასევე 1928წ. გამოდის ნიდერლანდელი ისტორიკოსის ჯოჰან ჰუიზინგას „ცივილიზაციის კრიზისი". გავიხსენოთ ჟიულ რემენსის ნარკვევიც სახელწოდებით „იმისათვის, რომ ევროპა არსებობდეს"(1931), ასევე ფრანგი

პოლიტიკოსის ედუარდ ერიოსის „ევროპა". წინამდებარე სიის ფონზე თვალნათლივ ჩანს, რომ გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრია, ჰოლანდია, იტალია დრამატულ კრიზისს განიცდიდა. ინგლისში ამ მხრივ სათაურებისა რაოდენობა ნაკლებია. ბრიტანელები ჯერ კიდევ კარგად ვერ აცნობიერებენ ამ დაცემას და არ ფიქრობენ ევროპის მომავალზე. უცნაურია, რომ მხოლოდ ორი კათოლიკე მწერალი: ჰილარი ბელოკი და ჩესტერტონი ხედავენ პრობლემის არსს. მათთვის შემდეგი გამოსავალი არსებობს: „ასეთ კრიზისში მხოლოდ ერთი არჩევანია: კათოლიკური რწმენის აღორძინებისაგან განკურნება". ფრანგი კათოლიკე ჟაკ მარიტენი უფრო რეალისტურად აზროვნებს და მოითხოვს უბრალოდ „საკმარის მორალურ ერთიანობას".

ინტელექტუალების შფოთვა ნაკლებად აღელვებს მასებს, რომლებიც გატაცებულნი არიან ისეთი ძლიერი მოძრაობით, როგორიცაა კომუნიზმი. კომუნიზმი წარმოიქმნა პირველი რანგის მოაზროვნეების: მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომების და ქმედებების შედეგად. 1924წ. ლენინის სიკვდილის შემდეგ და სტალინის ხანაში კომუნიზმი აღარ გამოირჩევა არც ინტელექტუალური გამჭრიახობით და არც დახვეწილი აზროვნებით. მისი მთავარი უპირატესობა გახლავთ ის, რომ ღარიბ ხალხს შესთავაზოს ნათელი გამოსავალი, ახალი წესრიგი, რომელიც შეცვლის არეულობას და დაპირისპირებას.

აღარც ფაშიზმია მიმზიდველი თავისი ფილოსოფიით. მუსოლინი გახლავთ არა თეორეტიკოსი, არამედ ხარბი სენსაციური ჟურნალისტი, რომელიც შოვინისტური ნაციონალიზმით არის აღფრთოვანებული.

ნაციზმი, კი პირიქით, არის მოძღვრება, რომელიც ჰიტლერმა ჩამოაყალიბა „*Mein kampf*"-ში, ხოლო როსენბერგმა — „დასავლეთის მითში". თუმცა რასების უთანასწორობის აშკარად ყალბ პოსტულატზე დაფუძნებული ეს საბრალო მოძღვრება, ხოტბას ასხავს „უმაღლესი რასის" მდაბალ ინსტიქტებს, უხეშობას, ომისა და ხოცვა-ჟლეტის სურვილს. მოდის ახალი ეკონომიკური კრიზისი, განსაკუთრებით გერმანიაში ამომრჩევლები მხარს უჭერენ ექსტრე-

მისტულ პარტიებს – კომუნისტურს და ნაცისტურს, და ნაკლებად სცემენ პატივს სხვადასხვა ტენდენციების ლიბერალებს, რომლებიც რაც არ უნდა დაბალი დონისაც არ უნდა ყოფილიყვნენ მაინც, წარმოადგენდნენ ძველ ევროპულ ტრადიციებს.

ინტელექტუალური პესიმიზმი მოაზროვნეები დიდ მღელვარებას ხედავენ ფსიქოლოგიურ და მორალურ სფეროში.

მაგ. ვალერი თვლის, რომ ევროპულ ცივილიზაციაზე ზეგავლენას ახდენს სამი რამ: პირველი რომის „კანონების და ინსტიტუტების უდიდებულესობა", მეორე – ქრისტიანობის გავლენა, რომელმაც თანდათან მიაღწია სიღრმისეულ ცნობიერებას იმის შესახებ, რომ ადამიანები თანასწორები არიან ღმერთის წინაშე და მესამე – საბერძნეთი, რომელიც ახერხებს იმას, რომ ადამიანი ხდება მნიშვნელოვანი სისტემა, რაზეც შეიძლება ყველაფრის გავრცობა, სხეულის და გონების განვითარება. „რაც შეეხება გონებას, მან ზედმეტი ოცნებებისგან, წარმოსახვითი და ბუნდოვანი ქმნილებებისგან თავი უნდა დაიცვას კრიტიკით, მსჯელობის გულმოდგინე ანალიზით, თავისი ფუნქციების რაციონალური დაყოფითა და ფორმების რეგულაციით". თუმცა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ევროპელები ერთბაშად ანგრევენ იმ კედელს, რომელიც მათ იცავდა.

კანონის იდეა ქრება იმ წუთიდან, როცა ომი, ე.ი. ძალა და გამოძალვა, ენაცვლება გარკვეულ „ევროპულ წესრიგს", ერთგვარ „ევროპულ სახალხო სამართალს".

ფაშიზმის აბსოლუტური ნაციონალისტური ეგოიზმი, სოციალური სახელმწიფოს შეუვალი მტრული დამოკიდებულება ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიმართ, შეუძლებელს ხდიდა მსვლელობას *pax romana*-სკენ. ქრისტიანობა, რომელსაც თანდათან აღმოფხვრა ემუქრებოდა, ე.წ. ზეადამიაებისთვის დაბრკოლებას აღარ წარმოადგენდა.

რაც შეეხება ბერძნების ჰუმანიზმს, მოვუსმინოთ თომას მანს, რომელიც თავის ნაშრომში „გაფრთხილება ევროპას"(1937) – წერდა: „ყველა ჰუმანიზმში არსებობს სისუს-

ტის ელემენტი, რომელიც გამომდინარეობს ყველანაირი ფანატიზმის ზიზღისგან, ტოლერანტობისგან და შემწყნარებლური სკეპტიციზმისაკენ მიდრეკილებისგან, ერთი სიტყვით თავისი ბუნებრივი სიკეთისგან" [...]

ის, რაც ჩვენ დღეს გვჭირდება არის სამხედრო ჰუმანიზმი, რომელიც თავის ენერგიულობას დაამტკიცებს და არ დაუშვებს, რომ თავისუფლების პრინციპი, ტოლერანტობა და სინდიდის თავისუფლება ექსპლუატირებულ იქნას უსირცხვილოდ ფანატიკოსი მტრების მიერ. ნუთუ ევროპულ ჰუმანიზმს აღარ გააჩნია აღორძინების უნარი?"

ორ ომს შუა პერიოდში ევროპულ აზროვნებას განსაკუთრებით ახასიათებს ზოგადი პესიმიზმი. „ამჟამად, წერს კარლ ბურკჰარდტი, როგორც ჩანს, მსოფლიო დაიქცევა იქამდე, ვიდრე ერთ-ერთი ევროპის ქვეყანა უარს იტყვის პირველობაზე... კიდევ ერთი ევროპის ძმათამკვლელი ომი და ისეთ დონეზე ვიქნებით, რომ ჩვენ მიაზმებს გადავდებთ დანარჩენ მსოფლიოს."

პესიმიზმი გასაკვირი არ იყო, რადგან ეს ძმათამკვლელი ომი მართლაც მძვინვარებდა. მაგრამ პესიმიზმი ზოგჯერ ბადებს გარკვეულ ოპტიმიზმს. „ნუთუ მართალია, რასაც ამბობენ, წერს ორტეგა ი გასეტი, რომ ევროპა დაცემის გზაზე დგას და ძალაუფლებაზე უარს ამბობს? ეს აშკარა დეკადენსი სასარგებლო კრიზისი ხომ არ იქნება, რაც ევროპას საშუალებას მისცემს, იყოს ნამდვილი ევროპა? ევროპის ერების აშკარა დეკადანსი აპრიორი აუცილებელი ხომ არაა იმ შემთხვევაში, როდესაც ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების არსებობა შესაძლებელი იქნება და ევროპული პლურალიტეტი რეალური ერთიანობით შეიცვლება?" შეიძლება, მაგრამ ისტორიკოსმა უნდა რეტროსპექტულად აღიაროს, რომ ასეთი საქმის მძიმე გადაწყვეტა ხდება დიდი ტკივილების თანხლებით. ამ აზრს ამტკიცებს ჟულიენ ბენდა 1946წ. როგორც ჩანს, დღეს ერის იდეამ თავისი დრო ამოწურა და მავნებელი გახდა ევროპელებისთვის. მიუხედავად იმისა რომ ევროპის იდეა ჩნდება, ილუზიებს ნუ შევქმნით; არ დავიჯეროთ, რომ ეს იდეა თავისთავად გაიმარ-

XVII .ევროპა 1942 წელს


რაიხის საზღვარი 1942 წელს
დიდი რაიხი ძირძველი ბრიტანული მნიშვნელობით
რაიხის ძირძველის დაკარგულებებში შეიდა ტერიტორიები
დიული ტერიტორიები
1942 წლის ბოლოს დაკავებული ტერიტორიები
გერმანიის რაიხის მოკავშირეები:
იტალია
სხვა მოკავშირეები
ნეიტრალური სახელმწიფოები
11.11-1942 წელს
ლისაბონი
პირენეანია
ბერლინი
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბელგრადი
ბულგარეთი
ბერნი
ბარიზი
ბორდოი
ბალტიკა
ბალტიკა
ბარიკი
ბრანდენბურგ
ბრიტანეთი
ბელგია
ბელორუსი
ბალკანი
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთ

ჯვებს, ვიცოდეთ რომ მას აუცილებლად დაუპირისპირდება ის ძალა, ვისი ტახტიდან ჩამოგდების სურვილსაც ეს იდეა ატარებს. მას ნამდვილად შეხვდება სერიოზული დაბრკოლებებით სავსე წინააღმდეგობა.“

გაცილებით ამაღელვებელია იმის ნახვა, თუ როგორი შეუპოვრობით იბრძოდნენ 1930-იან წლებში „ევროპის შეერთებული შტატებისთვის” ზოგიერთი ინტელექტუალი და სამხედრო პირები.

ოპტიმისტები: მაგალითად მოვიყვანოთ გუდენჰოვ კალერგის შემთხვევა. 1939 წ. იგი აქვეყნებს „ერთიან ევროპას”.

მაშინ, ამბობს ის, ამერიკელები, რუსები, აფრიკელები, აზიელები და ავსტრალიელები ევროპისა და ევროპელების ცნებას შინაურულად მიიჩნევენ. „ის მსოფლიო ხალხი, ვინც თავს არ თვლის ევროპელად და ვინც არაფერი იცის ევროპის შესახებ, თვითონ არის ევროპელი. აშ.შ.-ს წესრიგის საპირისპიროდ, არსებობს მხოლოდ ევროპის დაქსაქსული სახელმწიფოების ანარქია”, „34 სახელმწიფო, რომელთა შორის აღარ არის არც სამართალი, არც წესრიგი, არც კონსტიტუცია, არც სასამართლო და პოლიცია, არც რაიმე თვალსაზრისით სოლიდარობის სულ უმნიშვნელო ფორმა [...] აქ პირველ ადგილზეა ძალა და არა სამართალი [...]

ყველაზე ძლიერის სამართლის დამკვიდრება გვაბრუნებს იმ შუა საუკუნეების შავბნელ ეპოქაში, როცა ქალაქები და ციხეები მუდმივად ომში იყვნენ ჩართულები. “ რასისტების სურვილის მიუხედავად, ევროპა არ უნდა ჩამოყალიბდეს ძალის გამოყენებით. ეს მიგვიყვანს გამალებულ შეიარაღებამდე. „ევროპის ბაზრის დანაწევრება 28 ეკონომიკურ ტერიტორიად“ გვიბიძგებს დემპინგისკენ, რაც მშრომელთა კლასს მიაყენებს ზიანს [...] მხოლოდ 400 მილიონიანი ევროპის მომხმარებელთა ბაზარი გვთავაზობს ჩიხიდან გამოსვლის საშუალებას.“

ცხადია, „პანევროპა განუხორციელებელია, სანამ მისი დიდი ნაწილი დიქტატორების ხელში იქნება”. მიუხედავად ამისა, გუდენჰოვე-კალერგი იმედს არ კარგავს. იგი ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი აზრი ბოლოს მიხვდება, რომ

აბსურდია უსარგებლო ხარჯების გამრავლება, რომელსაც ითვალისწინებს ტერიტორიის დაყოფა. კალერგის აზრით, შვეიცარიას წარმოადგენს პანევროპის პატარა სახეს. პანევროპულმა მოძრაობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პანევროპული აგრარული კონფერენციის დროს, რომელიც გაიმართა ვენაში 1936წ.

კიდევ არსებობს მაგალითი ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მნიშვნელოვანი და მებრძოლი მწერლისა, ესაა გასტონ რიუ, რომელსაც ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, მათ შორის: *„გავერთიანდეთ ან მოვკვდეთ" (1929), „ევროპა ჩემი სამშობლო"*. იგი დარწმუნებულია, რომ „ხვალის დიდი ადამიანი" აიძულებს ყველა სახელმწიფოს აირჩიოს დამფუძნებელი კრება, რომელიც შექმნის „ზესახელმწიფოს შეიარაღებულს ფინანსური,იურიდიული,დიპლომატიური,სამხედრო თვალსაზრისით... ნამდვილ სახელმწიფოს საბაჟო სისტემის,სავალუტო,იურიდიული,დიპლომატიური,სამხედრო და საზღვაო ერთიანობით". რიუ არის მებრძოლი პიროვნება, იგი 1937წ. ორგანიზებას უკეთებს ევროპის ახალგაზრდობის დიდ კონგრესს. არც ის და არც გუდენჰოვე-კალერგი არ არიან იზოლირებულნი. ჟურნალი *„ევროპის შეერთებული შტატები"* კვლავ გამოდის. 1930-იან წლებში ამ თემის შესახებ უამრავი წიგნი დაიწერა.

თუმცა ინტელექტუალური საქმიანობა მხოლოდ წყლის ნაყვაა, რომელსაც არ ძალუძა შეაჩეროს ქარიშხალი, რომელსაც ჰიტლერის რასისტული ნაციონალიზმი წარმოშობს.

VII. ადოლფ ჰიტლერის საშინელი ევროპა.

როგორც დავინახეთ ჰიტლერმა თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ერთი მარტივი თეორია: რასები არ არიან თანასწორუფლებიანები. ქერა გრძელფეხება არიული რასა, რომელიც კარგად მხოლოდ გერმანიაში შემოინახა, უმაღლეს რასას განეკუთვნება. მხოლოს მას შეუძლია იყოს ნამდვილი შემოქმედი. აქედან გამომდინარე, მხო-

ლოდ მას აქვს უნარი ბატონობდეს ჯერ ევროპაზე, შემდეგ კი მთელ მსოფლიოზე.

ნეო-დარვინიზმის თეორია მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრებაში ყველაზე ძლიერები გადარჩებიან. ყველაზე ძლიერი კი ქერა, გრძელფეხება არიული რასაა, ანუ გერმანელები არიან, და მათ აქვთ უფლება ბატონობდნენ სხვებზე, და გაანადგურონ ყველაფერი რაც რასის სიწმინდეს აზიანებს.

მეცნიერთა გამოკვლევების შესწავლის შედეგად დავასკვენით რომ ნეოლითური ეპოქის შემდეგ ევროპაში ხდებოდა რასების აღრევა, ასე რომ თავის თავში ზედმეტად დარწმუნებული თვითნასწავლი ფიურერის თეორია საკმაოდ ბრიყვულია. ჰიტლერმა მოახერხა და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. მოახდინა გერმანელი ერის გასაოცარი ორგანიზება. ამავე დროს, გერმანია სხვა ქვეყნების გვერდით მსოფლიო კულტურის ავანგარდში იდგა. ჰიტლერი უზარმაზარ ძალას ფლობდა, რათა თავისი აბსურდული თეორიები რეალურად განეხორციელებია. ფანატიკოსი და ბრიყვი თეორეტიკოსის ხელისუფლებაში ყოფნამ უზარმაზარი უბედურებები მოიტანა.

დიდი ბრიტანეთი ჰიტლერის წინააღმდეგ. ჰიტლერის უდავო დიპლომატიური ნიჭის წყალობით 1941 წლამდე, გერმანიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. პოლიტიკა რომელსაც ჰიტლერის ხელისუფლება 1942 წლამდე ეწეოდა არ იყო „ტოტალური ომისკენ" მიმართული. ჰიტლერი და მისი გენერლები სამოქმედო გეგმის ყოველ ახალ ეტაპს ამზადებდნენ ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. ჰიტლერმა ტერიტორიების დაპყრობა დაიწყო 1938 წლიდან და განაგრძობდა 1942 წლის ბოლომდე, ანუ იმ დრომდე, როცა ომში დიდი გარდატეხა მოხდა.

ერთი წლის განმავლობაში, 1940 წლის ივლისიდან 1942 წლის 22 ივნისამდე, ანუ საფრანგეთში შესვლიდან საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, ინგლისი მარტო აღმოჩნდა გერმანიისა და იტალიის პირისპირ. ინგლისმა გიბრალტარის გარდა დაკარგა მთელი კონტინენტი, მაგრამ სამეფო

საჰაერო ძალები ვერც იქ ახერხებდნენ ჩაფრენას. მაგრამ ამან საკმაოდ აამაღლა ინგლისის ავტორიტეტი ევროპელებში. ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობა გამუდმებით იღებდა ბიბისის გადაცემებს, თუმცა ფაშისტური ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა სიგნალი გადაეფარა. ყველას ესმოდა რომ, მხოლოდ ინგლისი ომს ვერ მოიგებდა, მაგრამ მას როგორც „ევროპის მხსნელს" ისე უყურებდნენ.

კონტინენტური ევროპა რუსეთის ფრონტიდან პირენეებამდე ჰიტლერის ხელში იყო. მხოლოდ შვეიცარია და შვედეთი ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, თუმცა გარკვეულ გარიგებებზე მიდიოდნენ გერმანიასთან. 1942 წელს ევროპა ერთის მხრივ, როგორც ჰიტლერმა გამოაცხადა იყო აუღებელი ციხესიმაგრე, და მეორეს მხრივ ეს იყო სრულიად „ახალი ევროპა", რომელსაც ის მომავალში ათასწლოვან ბატონობას უწინასწარმეტყველებდა. მეორე მსოფლიო ომში განსხვავებული როლი ითამაშა ორმა ნეიტრალურმა ქვეყანამ, რომელთაც სათავეში ასევე დიქტატორები ედგათ. ესენია: ესპანეთი, ფრანკოს დიქტატორული მმართველობით და პორტუგალია, ანტონიო დე ოლივეირა სალასარის დიქტატურით. არც ერთი არ ჩაბმულა ომში გერმანელების სასარგებლოდ. პირიქით ისინი გარკვეულ დახმარებას უწევდნენ ფრანგ პატრიოტებსა და მოკავშირეთა მფრინავებს, რომელთაც ჩრდილოეთ აფრიკაში გადასვლა სურდათ. 1943 წლის ივნისში, ინგლისმა პორტუგალიიდან უფლება მოიპოვა თავისი საჰაერო ბაზა განეთავსებინა ასორესში.

ადოლფ ჰიტლერის „ახალი ევროპა". ფიურერის „ახალი ევროპის" ცენტრში იქნება გერმანია, იგი გადაჭიმული იქნება ალზასიდან და ლოტარინგიიდან მემელამდა, შლეზვიგიდან სლოვენიამდე და იცხოვრებს ასი მილიონზე მეტი ადამიანი.

თავდაპირველად ჰიტლერმა დაიპყრო გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნები, გამონაკლისი იყო მხოლოდ სლოვენია, სადაც მისი აზრით ნამდვილი გერმანელები ცხოვრობდნენ, მაგრამ ისტორიის ბედუკუღმართობის გამო მშობლიური გერმანული ენა დავიწყებოდათ.

არსებობდა დიდ რეიხზე პირდაპირ დამორჩილებული პროტექტორატი. პროტექტორატის მმართველობას ნაციზმის მაღალჩინოსანი სამხედრო პირები ახორციელებდნენ, რომლებიც სისასტიკით გამოირჩეონდენ. მათ შორის კი გამოირჩეოდა რუსეთის პროტექტორატის მმართველი როზენბერგი. გერმანიის პირდაპირ მმართველობაში იყო ასევე ოკუპირებული ქვეყნები: ნორვეგია, დანია, ნიდერლანდები, ბელგია, საფრანგეთის ოკუპირებული ნაწილი, იუგოსლავია, „იტალიური" ნაწილის გამოკლებით და საბერძნეთი, ასევე იტალიური ნაწილის დამოკლებით. აქ მმართველობას სამხედროები ახორციელებდნენ და უმაღლესი ხელისუფალი სამხედრო კომენდანტი იყო. (Militrbefehaber)

ზოგ ქვეყანაში დანიის მსგავსად ძველი მთავრობაც არსებობდა და ოკუპანტებთან თანამშრომლობის საშუალებებს ეძებდა, მაგრამ ზოგი ქვეყნიდან ლეგიტიმური მთავრობა ოკუპაციის შემდეგ გაიქცა და ლონდონს, ან კაიროს შეაფარა თავი. მაგალითად საბერძნეთისა და ნორვეგიის მთავრობა. ასეთ ქვეყნებში ნაცისტებმა მათთვის სასურველი ხელისუფლება შექმნეს, მაგალითად ნორვეგიაში შეიქმნა კისლინგის მთავრობა. ბელგიასა და ნიდერლანდებში არ ყოფილა კოლაბორაციული მთავრობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

საფრანგეთს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ღირსეული გამარჯვებული იყო გენერალი პეტენი ედგა სათავეში. ფაშისტებთან დაზავების შემდეგ საფრანგეთი რამდენიმე ნაწილად დაიყო. ალზასი და ლოტარინგია *de faqto* შეუერთდა გერმანიას. საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილსა და პა-დე-კალეს 1943 წლის თებერვლამდე ბელგიის სამხედრო კომენდანტი განაგებდა. მაგრამ ძირითადად საფრანგეთი გაიყო ორ ნაწილად: ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ზონად. ოკუპირებულ ზონაში არსებობდა ფარანგული ადმინისტრაცია, მაგრამ მას მკაცრად აკონტროლებდა *militarbefehlshaber*. არაოკუპირებულ ნაწილში მთავრობა პრინციპში თავისუფალი იყო, მაგრამ ფაშისტური რეჟიმი უამრავი საშუალებით ზეწოლას ახდენდა მასზე. საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობებს აწეს-

რიგებდა გერმანიის საზავო კომისია, რომლის რეზიდენციაც გერმანიის ქალაქ ვისბადენში იყო. ამავე დროს გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს სურდათ საფრანგეთში ჰქონოდათ წარმომადგენლობები. ამ მიზნით რიბენტროპმა პარიზში საელჩო გახსნა, გებელსმა შექმნა პროპაგანდის განყოფილება, და გესტაპომაც შექმნა თავისი ქვეგანყოფილებები.

დამორჩილებული ქვეყნების ბოლო კატეგორიას შეადგენს მოკავშირე ქვეყნები, რომლებიც ძალიან მალე სატელიტ ქვეყნებად გადაიქცნენ. 1940 წლის 27 სექტემბერს გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლითაც გაფორმდა ახალი კავშირი. ხელშეკრულების მიზანი იყო ევროპაში დამყარებულიყო ახალი წესრიგი. მას შეუერთდა უნგრეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, 1941 წელს ხორვატია, ესპანეთმა კი პირობა დადო რომ შეუერთდებოდა.

მეორეს მხრივ, იტალიამ, სლოვაკეთმა, ფინეთმა, უნგრეთმა და რუმინეთმა ომი გამოუცხადა სსრკ-ს. ესპანეთმა ომში მოხალისეთა „ცისფერი" ლეგიონი გაგზავნა. ფაშისტური რეჟიმის მოკავშირე ქვეყნების სატელიტებად გადაქცევა სხვადასხვა ფორმით ხდებოდა. კერძოდ, ამ ქვეყნებში იდგა გერმანული საჯარისო ნაწილები, სპეციალურად გერმანელთათვის იქმნებოდა ავტონომიური ფაშისტური პარტიები, თუნდაც გერმანული მოსახლეობა მოცემულ ქვეყანაში უმნიშვნელო ყოფილიყო, ხელისუფლებაში მხოლოდ ფაშისტური პარტიის წევრები მოდიოდნენ (რუმინეთში, ხორვატიაში, უნგრეთში,) და აუცილებელი იყო ანტისემიტური კანონმდებლობის მიღება.

ევროპის ეკონომიკა. ამ პოლიტიკური იერარქიის პარალელურად, „ახალი ევროპა" მოიცავდა დიდ ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელსაც თავის სასარგებლოდ სათავეში ედგა გერმანია.

წარმოების თვალსაზრისით მას შეიძლებოდა გამოყოფოდა, როგორც სასოფლო სამეურნეო, ისე სამრეწველო რესურსები და ამას სხვადასხვა ხერხით აკეთებდა. თავდა-

პირველად, თვითნებურად დაადგინეს ფულის კურსი, რომელიც ხელს აძლევდა ვაჭრობისას საოკუპაციო ჯარებს და ჯარისკაცებს. მაგალითად, საფრანგეთში 1 მარკა ღირდა 20 ფრანკი, რაც რეალურ კურსს ორჯერ აღემატებოდა. გერმანიას გაცილებით მეტი შემოჰქონდა, ვიდრე გაჰქონდა, მაგრამ რადგან ფულის კურსის კონტროლს თავად ახორციელებდა ურთიერთანგარიშსწორება ანუ *clearing* ნაწილობრივი იყო. აქედან გამომდინარე საფრანგეთს ბერლინში დეპოზიტზე ქონდა 163 327 მილიონი ფრანკი, რომლის გამოყენებაც ცხადია მას არ შეეძლო და დაკარგულად ითვლებოდა. მესამე მეთოდი იყო საოკუპაციო გადასახადი.

თავდაპირველად საფრანგეთს დაეკისრა 400 მილიონი ფრანკის გადახდა დღეში, შემდეგ 300 მილიონის, 1942 წლის ნოემბერში 500 მილიონის, 1944 წლის ივნისში 700 მილიონის. ამგვარად საფრანგეთმა გადაიხადა 681 866 მილიონი ფრანკი. გამოთვალეს რომ რეალური ხარჯი ოკუპაციის იყო 74 000 მილიონი, ანუ გადახდილი თანხის მერვედი. საფრანგეთმა როგორც ერთმა ფრანგმა თქვა, „გადაიხადა იმდენი, რამდენიც 18 მილიონიან არმიას შეინახავდა". მეოთხე მეთოდი იყო სხვადასხვა საბაბით ყადაღის დადება ოქროზე, საწყობებზე, წილებზე ქარხნებში, გამომცემლობებზე, იმ წილზე რომელსაც ოკუპირებული ქვეყანა ფლობდა სხვა ქვეყნის წარმოებაში. ამგვარად, საფრანგეთი იძულებული გახდა დაეთმო თავისი წილი რომელიც ჰქონდა იუგისლავიაში ბარის მაღაროებში, რუმინეთში ნავთობის საბადოები და უნგრეთის ბანკებში. ბოლოს მეხუთე მეთოდი იყო, შეზღუდვების დაწესება გარკვეულ პროდუქტზე, რის შემდეგაც ზოგიერთი გერმანული ჯგუფი ხელისუფლების ნებართვით, ფართო მასშტაბით ნერგავდა შავ ბაზარს.

ერთი სიტყვით, ეს იყო ოკუპირებული ქვეყნების ნამდვილი გაჩანაგება. ოთხწლიანი გეგმის კომისარმა გერინგმა 1942 წლის 6 აგვისტოს განაცხადა: „ადრე ამას გაჩანაგებას ეძახდნენ. მაგრამ დღეს ეს ნაკლებად მკაცრია. მე მაინც მაქვს სურვილი გაჩანაგების და თანაც გაჩანაგების ბოლომდე".

1944 წლის დეკემბერში, საფრანგეთის სამხედრო კომი-

სარიატში ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელმა ჰემანმა განაცხადა: „საფრანგეთის ეკონომიკის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი უნდა ემსახურებოდეს გერმანელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.“.

ბუნებრივია ეს გაჩანაგება უფრო ფართოდ გაიშალა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ნაცისტური ხელისუფლების წარმომადგენლები არ ფარავდნენ, რომ მათ არ აღელვებდათ რამდენი მილიონი პოლონელი ან რუსი დაიღუპებოდა შიმშილით.

არც მოკავშირე ქვეყნები იყვნენ დაცულები გერმანელთა მადისაგან, განსაკუთრებით ომის დასასრულისთვის. ამგვარად, უნგრეთი, რომელიც ისედაც მსხვილი მიმწოდებელი იყო სურსათ-სანოვაგის, 1943 წლიდან ისე აკონტროლებდნენ, რომ უზრუნველეყოთ „ყველა საუკეთესო საშუალება უნგრეთის მრეწველობისა, გერმანელთა მოთხოვნების შესაბამისად გამოეყენებიათ“ (შეიარაღების მინისტრის სპერის განცხადება, 1944 წლის მარტი.) საფრანგეთის მსგავსად, უნგრეთიც იხდიდა საოკუპაციო გადასახადს და ანგარიშსწორება ხდებოდა გერმანელების სასარგებლოდ.

უცხოური მუშახელი. ეკონომიკური ექსპლუატაციის ერთ-ერთი ახალი სახე-სხვაობა იყო ტოდტის ორგანიზაციის მიერ მუშახელის იძულებითი გამოყენება ან ადგილობრივ საფორტიფიკაციო მშენებლობებში, ან თვით გერმანიაში.

ოკუპირებული ხალხის მუშახელად გამოყენება 1942 წლიდან დაიწყეს. მანამდე ნაცისტებმა 2 მილიონი რუსი, რომელიც შეიძლებოდა სამუშაოებისთვის გამოეყენებიათ, შიმშილით ამოხოცეს. 1943 წელს უკრაინაში რეიხის კომისარმა კოხმა განაცხადა: „ჩვენ დიდებული რასა ვართ და არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს რომ, ყველაზე უბრალო გერმანელი მუშაც კი რასობრივად და ბიოლოგიურად ათასჯერ უფრო დიდებულია ვიდრე აქაური მოსახლეობა“. გერმანელ მუშებს ხშირად ჯარში იწვევდნენ, რათა ფრონტზე გამოცარიელებული ადგილები შეევსოთ, ამიტომ საჭირო იყო მათი შემცვლელის გამოძებნა. 1942 წლის თებერ-

ვალში, ახალგაზრდა მარჯვე და კომპეტენტური არქიტექტორი ალბერტ-სპერი გახდა სამხედრო შეიარაღებისა და მომარაგების მინისტრი, ყოფილი მეზღვაური და 1921 წლიდან ნაცისტური პარტიის ერთგული წევრი, ფრიცი საუკელი გახდა ერთერთი უწყების ხელმძღვანელი და მიენიჭა მუშახელის სრულუფლებიანი გენერალის წოდება. განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულმა საუკელმა ოკუპირებული ქვეყნების მშვიდობიანი მოსახლეობიდან შექმნა მუშახელის უზარმაზარი არმია, რომელიც დაემატა საკონცენტრაციო ბანაკებში მყოფ სამხედრო, პოლიტიკურ და რასობრივ ტყვეებს. (ებრაელთა სამწუხაროდ, ფაშისტებმა სასწრაფოდ ამოხოცეს ბავშვები, ქალები და მოხუცები, მამაკაცებს კი ქანცის გაწყვეტამდე ამუშავებდნენ).

1944 წლის ბოლოს გერმანიაში 4 792 000 უცხოელი მუშაობდა, აქედან 200 000 იყო მოხალისე. მათ შორის იყვნენ: 1 900 000 რუსი, 851 000 პოლონელი, 764 000 ფრანგი, 264 000 ჰოლანდიელი, 630 000 იუგოსლაველი, 227 000 იტალიელი და ა. შ.

მაგრამ სპერსა და საუკელს შორის უთანხმოება იყო. საუკელს მიაჩნდა, რომ უცხოელი მუშახელი გერმანიაში უნდა ემუშავებიათ. სამუშაო დრო მეტი იქნებოდა და თან მტერს შესაძლოა თავი შეეკავებყინა ზოგი ქარხნის დაბომბვისაგან. სპერს კი სურდა, რომ მუშები თავიანთ ქვეყნებში დარჩენილიყვნენ, რადგან შიშობდა რომ ეს გამოიწვევდა „სავალდებული სამუშაო სამსახურიდან“ მასიურ გაქცევებს და ისინი 'მაკიზარებსა“ და 'პარტიზანებს“ შეუერთდებოდნენ ტყეებში. ჰიტლერმა საუკერის მხარე დაიკავა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო. საერთო ჯამში, შეგვიძლია ჩავთვალოთ რომ ახალი ევროპა მხოლოდ გერმანელებისთვის იყო, მხოლოდ მათთვის. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას მოკავშირეები ბომბავდნენ 1943 წელს წარმოება გაიზარდა. გერმანელთა ცხოვრების დონე კვლავ დამაკმაყოფილებელი იყო, მაშინ როცა ოკუპირებულ ქვეყნებს უკიდურესი გაჭირვება და შიმშილი ტანჯავდა (საბერძნეთი, განსაკუთრებით რუსეთის ოკუპირებული ნაწილი).

ფსიქოლოგიურ ასპექტში, ნაცისტები და განსაკუთრებით პროპაგანდის მინისტრი გებელსი ცდილობდა განემტკიცებინა ახალი ევროპის ერთიანობის იდეა. მაგრამ ეს ადვილი არ იყო, რადგან მომავალი რომელსაც ისინი გვპირდებოდნენ ითვალისწინებდა მხოლოდ ერთი რასის ბატონობას. ასევე გულმოდგინედ კონტროლდებოდა პრესა. იგი მთლიანად ოკუპანტების ხელში იყო და იმ ადგილობრივ ჟურნალისტებს ამუშავებდნენ, რომლებიც თანახმა იყვნენ ნაცისტების სამსახურში ყოფილიყვნენ. სტალინგრადზე შეტევა და ჩრდილოეთ აფრიკაში გადასვლის გეგმის შესახებ გერმანიის მტრებმა გაზეთებში ფრაზებს შორის ამოიკითხეს.

ანტიბოლშევიკური ჯვაროსნული ლაშქრობა. ახალი ომისთვის გერმანიას დაჭირდა ახალი მიზეზი და ისიც გამოინახა. ეს იყო ანტიბოლშევიკური ჯვაროსნული ლაშქრობა.

„მე გერმანიის გამარჯვება მსურს, რადგან ამის გარეშე ბოლშევიზმი ყველგან მოიკიდებს ფეხს“ ამბობდა პიერ ლაველი.

ამ მოწოდებას უკვალოდ არ ჩაუვლია და გარკვეული გავლენა მოახდინა ხალხის ერთ ნაწილზე, მაგრამ ანტიკომუნისტურ საქმიანობას მხოლოდ ულტრა მემარჯვენეები ახორციელებდნენ. საფრანგეთში 3-4 ათასი მოხალისიდან შეიქმნა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ლეგიონი, მათ გერმანული ფორმა ეცვათ. მოგვიანებით შეიქმნა და რუსეთის ფრონტზე გაიგზავნა, შედარებით მცირერიცხოვანი სამფერა ლეგიონი, რომელთაც ფრანგული ფორმები ეცვათ. იგივე ხდებოდა სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში. ყველგან აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობდა. ცდილობდნენ შეეგროვებინათ „რასისთვის“ საჭირო ელემენტები. ყველა წინააღმდეგობის მიძრაობა ერთიანად მოინათლა როგორც კომულისტირი. აშშ და ინგლისი მოჩნეულ იქნა მოძველებულ, დრომოჭმულ ქვეყნებად, აშშ კი გარყვნილი იყო ზანგების და ებრაელების მიერ. კვლავ გაიხსენეს ქვეყნებს შორის ძველი მტრობა: არ დავიწყებიათ არც ვატერლოო,

არც ფაშოდა, არც ჟანა დ'არკი. ყველა უბედურების სათავედ ებრაელები გამოაცხადეს. გავიხსენოთ რომ ანტისემიტიზმი შუა საუკუნეებში დაიწყო. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ჰიტლერის რეჟიმისა იყო ის, რომ მან გამოაცხად გენოციდი. პრესა და რადიო დასცინოდა დემოკრატებისა და ებრაელების შემოქმედებას. ყველანაირი თავისუფლება შეიზღუდა, განსაკუთრებით პიროვნების თავისუფლება. ყოველ წუთს შეიძლებოდა ვინმე დაეჭირათ და მოეკლათ.

საკონცენტრაციო ბანაკები და ებრაელების გაჟლეტა. მალე ნაცისტები დარწმუნდნენ, რომ ისინი ვერ გადაიბირებდნენ ახალ ევროპას და დაიწყეს მასობრივი რეპრესიები. საბოლოოდ ეს ისტორიაში შევიდა როგორც ამ სისტემის მთავარი იარაღი.

ჰიტლერმა შექმნა საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც თავდაპირველად გერმანელი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები გამოკეტა, განსაკუთრებით კომუნისტებს არ სწყალობდა. ჰიმლერისა და SS წყალობით საკონცენტრაციო ბანაკების ქსელი ოკუპირებულ ქვეყნებშიც გავრცელდა და ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა.

ესტონეთიდან ვოგეზებამდე შეიქმნა „საკონცენტრაციო ბანაკების შემაძრწუნებელი სამყარო".

როცა ვიხსენებთ, რომ ნაცისტებმა 6 მილიონი ებრაელი გაჟლიტეს (2.5 მილიონი გაზის კამერებში, 2 მილიონი დახვრიტეს უკრაინასა და ბესარაბიაში, 400 000 ვარშავის გეტოში და ა. შ) კარგად ვხვდებით რომ ჰიტლერის ახალი ევროპის საფუძველი იყო უარყოფა ყოველგვარი ადამიანურისა და ჰუმანურისა. მსგავსი რამ ჯერ მსოფლიოს არ ენახა.

„მე რა თქმა უნდა მირჩევნია არავის მივაყენო ტანჯვა, არავის მივაყენო ტკივილი, მაგრამ როცა ვამჩნევ, რომ რასა საფრთხეშია, ჩემში გრძნობების ადგილს ცივი გონება იკავებს" განაცხადა ჰიტლერმა „სუფრასთან საუბარში". ფსევდო მეცნიერული დოქტრინის სახელით 6 მილიონი

ებრაელისა და სხვათა გაჟლეტა, ამგვარი იყო ჰიტლერის „ცივი -გონება“.

მას ნამდვილად უნდოდა შეექმნა ახალი ევროპა დამყარებული Lebensraum-სა და ეკონომიკურ ავტარქიაზე.

„მომავალი თაობები, უპირობოდ თანახმანი იქნებიან ევროპის გაერთიანებაზე, რომელსაც ახლა ჩვენ ვახორციელებთ, ჩვენი თანამედროვეები ბისმარკის მიერ იმპერიის შექმნას შეხედავენ როგორც ისტორიის უბრალო ეპიზოდს. მალე დავივიწყებთ იმ უზარმაზარ ჯაფას რაც აღმოსავლეთ, დასავლეთ, ჩრდილოეთ და ცენტრალური ევროპის ერთ არსში გაერთიანებას სჭირდება“. ეს ევროპა, იქვე დასძინა, შეიქმნება „არა გაერთიანებას შეწირული პოლიტიკოსების, არამედ ჯარის ძალის წყალობით.“

ძალიან სასიამოვნოა რომ სხვა ჯარის ძალამ ხელი შეუშალა მსგავი საშინელების განხორციელებას.

ევროპელთა დამოკიდებულება. მარტივად რომ ვთქვათ, ყველა ქვეყანაში იყო სამგვარი დამოკიდებულება გერმანელებისადმი: თანამშრომლობა, ანუ კოლაბორაციონიზმი, ლოდინის პოლიტიკა ანუ ატანტიზმი და წინააღმდეგობრივი ანუ პარტიზანული მოძრაობები.

რამდენიმე გერმანიის მოკავშირე ქვეყნის გარდა, კოლაბორაციონისტები უმცირესობაში იყვნან, ან ცდილობდნენ შეენარჩუნებიათ დემოკრატიული ინსტიტუტები. მაგ. ფინეთი. (ის სსრკ-ში ხედავდა მტერს და იძულებული იყო გერმანიასთან ეთანამშრომლა).

სხვადასხვა ქვეყნებში კოლაბორაციონისტები ძირითადად იყვნენ უკიდურესი მემარჯვენეები, რომლებიც იდეოლოგიურად ფაშისტებად ჩამოყალიბდნენ, ბოლშევიზმით შეშინებულები, ისინი ვისაც სჯეროდა გერმანელების გამარჯვების და პირფერობით ცდილობდა თავის გადარჩენას, ან ისეთები, ვისაც სურდა თავი უფრო ძვირად გაეყიდა.

თითქმის ყველა ქვეყანაში უმრავლესობა მოლოდინში იყო. გერმანელების ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლა თავდაპირველად იწვევდა მოსახლეობის შოკს. ვინაიდან და რადგანაც გერმანელი ჯარისკაცები დისციპლინითა და „კორექ-

ტულობით“ გამოირჩეოდნენ და სულ მალე მასობრივი სიძულვილი დაიმსახურეს. მაგრამ მიზეზთა გამო მათ წინააღმდეგ არსებითს არაფერს აკეთებდნენ. ხშირად თავს იკატუნებდნენ, რომ ოკუპანტები არც არსებობდნენ.

ამასთანავე ხალხს მრავალი ყოველდღიური საზრუნავი ქონდა, როგორც კაცებს, ისე ქალებს. რაციონი სულ უფრო და უფრო მკაცრი ხდებოდა არა მარტო ნორმირებული სისტემის გამო, არამედ გერმანული გადასახადების გამოც. დაწესდა ნორმირებული ულუფა ტროპიკული ქვეყნების პროდუქციაზე, მაგალითად ჩაი, ყავა, შოკოლადი, ბანანი, მიწის თხილი. თუ დღეში ადამიანმა უნდა მიიღოს 2 400 კალორია, თუ 1 600 კალორიით ადამიანი რამდენიმე თვეში დაიღუპება, არ გაგვიკვირდება რომ საფრანგეთში, სადაც ქალაქებისთვის ნორმირებული ულუფა 1200 კალორია იყო, საკვები მოსახლეობას აკვიატებულ იდეად ექცა. თუმცა საფრანგეთში, საბერძნეთის მსგავსად ქუჩები არ იყო მოფენილი შიმშილით გარდაცვლილებით, რომელთა დამარხვის ძალაც კი არ ჰქონდათ ცოცხლად დარჩენილებს, და არც ჰოლანდიის მდგომარეობაში ჩავარდნილა, სადაც 1944-45 წლის ზამთარში ტიტას ბოლქვებით იკვებებოდნან. მაგრამ მრავალი მოხუცი, ავადმყოფი, ჯარისკაცი შიმშილისგან დაიხოცა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გლეხები, რომლებიც სხვადასხვაგვარ მეურნეობას ეწოდნენ.

ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის არც თუ ისე დიდი ნაწილი წინააღმდეგობრივ პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება. მათ არ სურდათ პასიურად დალოდებოდა ომის დამთავრებას. თავდაპირველად პარტიზანები იყვნენ იდეალისტები, პატრიოტები რომლებიც ვერ შეეგუენ მარცხს და შევიწროებას და ანტიფაშისტები რომლებმაც გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ ტოტალიტარული რეჟიმისთვის.

1941 წლის 22 ივნისის შემდეგ მრავალი კომუნისტური პარტია ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელს ევროპაში წინააღმდეგობის მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო 1943 წლიდან. ეს იყო სტალინგრადის ბრძოლის შედეგი, აცხადებდნენ საბჭოთა ისტორიკოსები და ეს მართალიც იყო საბჭოთა კავშირისა და აღ-

მოსავლეთ ევროპის შემთხვევაში. პარტიზანულ მოძრაობას ხელი შეუწყო საუკერის მიერ მუშახელის გაწვევის პოლიტიკამაც. გერმანიაში წასვლის მაგივრად მრავალი ახალგაზრდა, მუშა იმალებოდა და იატაკქვეშა ცხოვრებაში გადადიოდა. როგორ უნდა ეარსებათ სურსათის ტალონების გარეშე? წინააღმდეგობის მოძრაობებს ქონდათ შევსების საკუთარი წყარიები, რომელთაც აქამდე არ იყენებდნენ. პარტიზანულ ომს ჭირდება კანონგარეშე ადამიანები.

წინააღმდეგობის მოძრაობამ სხვადასხვა სახე მიიღო, პარტიზანული ომი კი მისი ერთგვარი დასასრულია. ამ საქმეში პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად დიდ როლს თამაშობდა გეოგრაფიული მდებარეობაც. რაც უფრო მეტი მთა და ტყეა ქვეყანაში მით უფრო ნაკლები გზაა, მით უფრო ბევრი მიყრუებული ფერმაა, მით უფრო ადვილია პარტიზანული ჯგუფების გადაადგილება. (საფრანგეთში პარტიზანებს „მაკიზარებს“ ეძახდნენ). ამგვარად იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობა გაჩაღდა უფრო მეტად აპენინსა და ალპებში, ვიდრე პოს ხეობაში, საფრანგეთში ბრეტანსა და სამხრეთში, ვიდრე ჩრდილოეთის ზეგანზე. მთების წყალობით იუგოსლავია, საბერძნეთი და სლოვაკეთი პარტიზანების რჩეული მხარე იყო. ასევე ხელსაყრელი იყო რუსეთისა და ბელორუსიის უკიდეგანო ტყეები.

ჩავარდნის შემთხვევაში პარტიზანებს ელოდათ ან სიკვდილი, ან საკონცენტრაციო ბანაკი, მაგრამ მხოლოდ საშინელი წამების შემდეგ. თანდათან იმატა მასობრივმა რეპრესიებმა. „მაკიზარებისგან“ შეწუხებულმა Das Reich-ის დივიზიამ მთლიანად ამოხოცა ორადურის მცხოვრებნი. ამის შედეგად გაჩნდა ადამიანთა ტიპი,რომელიც თავისი ქვეყნის გასანთავისუფლებლად ხშირად ნამდვილ ტერორს აწყობს. მაგრამ ეს შავი ლაქა არ ამძიმებს იმათ განუზომელ როლს რომლებმაც თავისუფლების სახელით გაბედეს შებრძოლებოდნენ „ახალ ევროპას“. გარდა მატერიალური შედეგისა მათ ბრძოლას დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

ომის შემდეგი გამოცდილებისა და მაო ძედუნის ჩანაწერების წყალობით პარტიზანული ომის სტრატეგიული მნიშვნელობა უკეთ იქნა გაგებული.

განთავისუფლება. ციხესიმაგრედ გადაქცეული კონტინენტური ევროპისგან განსხვავებით, რომელიც ნაცისტებს საგულდაგულოდ ჰქონდათ გამაგრებული, დასავლეთელ მოკავშირეებს აშშ და დიდ ბრიტანეთს, ფართო არჩევანი ჰქონდათ ბრძოლის სტრატეგიებში. დაუშვებელი იყო რუსეთის მარტო დატოვება ომში, რომ მხოლოდ მას ეტვირთა ომის მთელი სიმძიმე, და ყველა შესაძლო პოლიტიკური და ფსიქოლოგიური შედეგი. ადრე თუ გვიან საჭირო იყო მეორე ფრონტის გახსნა. ჯერ კიდევ, პერლ ჰარლბორის ტრაგედიამდე 1941 წლის 9-12 აგვისტოში ატლანტის ოკეანეში, ახალი მიწების მახლობლად, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაიმართა მოლაპარაკება, სადაც ამ ორმა ქვეყანამ უპირატესობა მიანიჭა გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას; ამერიკას ამისათვის თავისი მიზეზი ჰქონდა. ამერიკელები იზიარებდნენ პრუსიელი გენერლისა და ომის სტრატეგიის თეორეტიკოსის Clausewitz მოსაზრებას, რომ მტერს თავს უნდა დაესხა იქ სადაც ის ყველაზე ძლიერია, ინგლისს კი თავისი მიზეზი ჰქონდა, მას ჰიტლერის ახალი ევროპისგან მხოლოდ ოცდაათკილომეტრიანი ლამანშის სრუტე ჰყოფდა.

ევროპა მართლაც გარედან განთავისუფლდა.

მეორეს მხრივ, წითელმა არმიამ, 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის, სამხედროსა და მშვიდობიანი მოქალაქის, დაღუპვის ფასად, ჩერჩილის სიტყვების თანახმად, „წელში გატეხა“ გერმანელთა არმია ანუ ვერმახტი. კურსკის ბრძოლის შემდეგ (1943 წლის ივლისი), წითელი არმია დასავლეთისკენ მიემართება, 1944 წლის ზაფხულში შევიდა ვისლაში, 1945 წლის იანვარში გადალახა მდინარე ოდერი და აპრილში ბერლინშიც შევიდა. 1945 წლის 30 აპრილს ბრანდერბურგუს ჭიშკრართან ახლოს ბუნკერში ჰიტლერმა თავი მოიკლა.

ანგლო-ამერიკული ჯარები დასავლეთ ევროპაში ზღვიდან შევიდნენ და 1943 წლის ივნისში გაანთავისუფლეს სიცილია, სექტემბერში სამხრეთ იტალია, 1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში გადავიდნენ და 1944 წლის 15 აგვისტოს პროვანსი გაანთავისუფლეს.

ნაპოლეონის ევროპის მსგავსად ჰიტლერის ევროპაც მიუღებელი აღმოჩნდა ევროპელებისთვის.

დასკვნა. ევროპამ რომელიც იყო მსოფლიოს მბრძანებელი, ყველაზე მდიდარი, ყველაზე ძლიერი, სადაც ყველაზე მეტად განვითარდა მეცნიერება, 1914-1945 წლებში თავისი ხელით დაანგრია საკუთარი თავი. ამ ოცდაათ წელში მოხდა პირველი მსოფლიო ომი, (1914-1918 წწ), იყო „მოჩვენებითი მშვიდობაც"(1918-1939 წწ) და მეორე მსოფლიო ომი (1939-1945 წწ). ზოგიერთი, მათ შორის გენერალი დე გოლი და უინსტონ ჩერჩილი, ამ პერიოდს ხშირად „ოცდაათწლიან ომს" უწოდებდნენ.

შესაძლოა ეს ოცდაათი წელი ყველაზე მძიმე წლებია ევროპის ისტორიაში. ყველა ქვეყნის მოაზროვნე ამას ამტკიცებს და ადასტურებს. თითქმის ყველა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა მიმართული იყო საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს რომ:

1) აშშ-ს პრეზიდენტი უდროო უილსონი რომელმაც ანტანტის სასარგებლოდ გადახარა ომი, როგორც ნამდვილი მონდიალისტი, წინააღმდეგი იყო „ევროპის გადანაწილებისა", რადგან სწორედ ამაში ხედავდა ომის მიზეზს.

2) რუსეთი ბოლშევიკური გახდა, 1922 წელს შეიქმნა სსრკ და ამის შემდეგ იგი ყველა სახელმწიფოს მოწინააღმდეგეა სოციალისტურის გარდა. სოციალიზმი გავრცელდა „ერთადერთ ქვეყანაში", მაგრამ ძალიან უცნაურად და ენერგიულად. 1939 წლამდე ის იზოლაციის პოლიტიკას აწარმოებდა. 1939 წელს კი ტაქტიკურად დაუახლოვდა გერმანიას. 1930 წელს სსრკ ერთა ლიგის დამცველად გამოვიდა. მას სტალინი მართავდა ჰიტლერის მსგავსი ტერორით, რომელსაც ასევე მრავალი მსხვერპლი მოყვა. 1939 წლის 23 აგვისტოს სტალინი მოულოდნელად დაუკავშირდა ჰიტლერს და ორი წლის განმავლობაში 1941 წლის 22 ივნისამდე ანუ ჰიტლერის აგრესიამდე მისდამი კეთილგანწყობილად ითვლებოდა.

3) დემოკრატიას დაუპირისპირდა სასოწარკვეთილება,

(საფრანგათი), კაპიტულაცია (გაერთიანებული სამეფო დათანხმდა ჰიტლერის მოთხოვნებს რომ ომი აეცილებინა თავიდან), იზოლაცია (აშშ), უხეში, მაგრამ ძალიან ეფექტური მმართველობითი რეჟიმები. იტალიაში გაჩნდა ანტიდემოკრატიული, დიქტატორული, ულტრა-ნაციონალისტური ფაშიზმი, რომელსაც ბენიტო მუსოლინი ედგა სათავეში, იგი იტალიის ხელისუფლებაში მოვიდა 1922 წლის ოქტომბერში. მოგვიანებით გაჩნდა ნაციზმი. მისმა მეთაურმა ჰიტლერმა ხელისუფლება კანონიერი გზით მოიპოვა, 1933 წლის 30 იანვარს და რამდენიმე კვირაში გერმანიაში დიქტატორული რეჟიმი დაამყარა, რომელიც იტალიური ფაშიზმის მსგავსად ემყარება რასიზმს. ორივე რეჟიმისთვის დამახასიათებელია ნახევრად გასამხედროებული ხელისუფლება: იტალიელები შავ სამხედრო ფორმას ატარებდნენ, გერმანელები ყავისფერს, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს სახელგანთქმული SS.

1933-1943 წლებში ჰიტლერმა ძალის პოლიტიკით:
— გააუქმა ვერსალის ხელშეკრულების პირობები, რომელიც შეზღუდვებს აწესებდა გერმანიისთვის.
— მოახერხა ყველა გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება ერთ დიდ გერმანიაში;
— 1940 წელს ბოლო მოუღო საფრანგეთის ძლიერებას, რომელიც „მემკვიდრეობითი მტერი იყო“.
— დაიწყო ხელში ჩაგდება „სასიცოცხლო სივრცის“, *Lebensraum*.

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე თავდასხმა მისი დაღუპვის გზა აღმოჩნდა. მისი ახალი ევროპა, რომელიც რასიზმსა და ხოცვა-ჟლეტას ემყარებოდა ჩვენს ქვეყნებს მონობას უქადდა.

1945 წელს ბევრი ილაპარაკეს „დემოკრატიის გამარჯვებაზე“. ეს დაკავშირებულია დიდ ორაზროვნებასთან, რომელიც ნელ-ნელა გაიფანტება მაგრამ მხოლოდ 1989 წელს დასრულდება. სიტყვა დემოკრატია, „დასავლური“ გაგებით, რომელიც მონტესკიემ, რუსომ, ჯეფერსონმა განსაზღვრა, გამდიდრდა საყოველთაო საარჩევო უფლებით, თავდაპირ-

ველად მამაკაცებისთვის, შემდეგ კი ორივე სქესისთვის, და ნიშნავს რომ ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. ყოველი მოქალაქე არის ხელისუფლების ნაწილი. უმრავლესობა გამოდის თავისუფალი, მრავალპარტიული, ფარული კენჭისყრის შედეგად. მაგრამ კომუნისტებმა 1930 წლიდან ამ ფენომენს სულ სხვაგვარი ელფერი შესძინეს: ისინი ამტკიცებდნენ, რომ ისტორიის მსვლელობის მანძილზე ყველგან პროლეტარიული ხელისუფლება დამკვიდრდებოდა. შედეგად, „პროლეტარიატის ავანგარდი", კომუნისტური პარტია, ყოველთვის მართალი იყო. აქედან გამომდინარე, კომპარტიისთვის ხელისუფლებაში მოსვლა მთავარი საზრუნავი გახდა. კომუნისტები ხელისუფლებაში ან ძალადობრივი გზით მოდიოდნენ (საბჭოთა კავშირი, ვიეტნამი, ჩინეთი), ან უცხო ქვეყნის ძალის მეშვეობით (წითელი არმიის დახმარებით ჩრდილოეთ კორეასა და აღმოსავლეთ ევროპაში). უმრავლესობას არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა. მრავალპარტიულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება თუ ის კომპარტიას შეუერთდება. კენჭისყრა არ იყო ფარული.

1917-1989 წლებში მან შეცდომაში შეიყვანა ისტორია. 1944 წლიდან 1984 წლამდე ის თითქოს მეტი და მეტი წარმატებით მოედო ქვეყნებს და მრავალი მოაზროვნე მძიმე დღეში აღმოჩნდა:

1) ეკონომიკური გაჭირვებით;

2) ფართო და საშინელი რეპრესიებით. განა სტალინმა ჰიტლერის მსგავსად არ დახოცა მილიონობით ადამიანი? განა მანაც არ შექმნა საკონცენტრაციო ბანაკები?

3) ნამდვილი ტოტალიტარული რეჟიმის გამო, სადაც სახელმწიფო, სინამდვილეში პარტია, ერთდროულად ფლობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებას, და აღიარებს ერთადერთ ფილოსოფიას ყოველგვარი შესაძლო დისკუსიის გარეშე.

ასეთი ორი სხვადასვა ტიპის „დემოკრატია" არ შეიძლებიდა 1945 წლის შემდეგ ერთმანეთს არ დაპირისპირებოდა. ამის გამო კარგა ხნის განმავლობაში „მესამე მსოფლიო ომის" მოლოდინში ვცხოვრობდით. ატომური

და წყალბადის ბომბების შექმნის შემდეგ დამყარდა რო-გორც რაიმონდ არონი ამბობს „შიშის წონასწორობა“.

ამასთანავე, ომიდან გამოსული ორი „ზესახელმწიფო“ გრძნობდა რომ მათ არავითარი ღირებული მიზეზი არ ჰქონდათ რომ ამხელა რისკი გაეწიათ.

ჩვენ ახლა იმ დროში ვიმყოფებით, როცა ძალიან მალე გადავალთ ახალ ომზე, რომელსაც „ცივი ომი“ ქვია. მომ-ხრეების მოპოვება, კავშირების დამყარება, ეროვნული მოძ-რაობების გამოღვიძება, დეკოლონიზაცია ეს ყველაფერი და-მახასიათებელი იქნება მსოფლიო დიპლომატიისთვის შემ-დეგი 45 წლის განმავლობაში. „ორ ბანაკს“ შორის ნეიტრა-ლიტეტის შენარჩუნება და „ბრძოლაში ჩაურევლობა“ საკმა-ოდ მაცდურია.

მაგრამ ეს ხომ არ ეკუთვნის აუხდენელ, უტოპიურ მოსაზრებათა რიგს?

19
ევროპის აღორძინება და იმედები

I. მარცხის პირველი შედეგები: 1948 წლის ივლისის წინადადებები.

ევროპის გაყოფა. ნანგრევების ყურება ზოგჯერ სტიმულის მომცემია. ომის, წინააღმდეგობრივი მოძრაობების და განსაკუთრებით ფაშისტების კაპიტულაციის შემდეგ მრავალ ევროპელს, ნგრევის უზარმაზარმა მასშტაბმა შთააგონეს ერთგვარი წამლის იდეა: ევროპის დაყოფილი ნაწილები კვლავ უნდა შეერთებულიყო, ანუ უნდა გატარებულიყო ის ძირეული რეფორმა, რომელიც ყველაზე სენსაციური იქნებოდა ისტორიაში. სხვადასხვა ევროპული ქვეყნები უნდა გაერთიანებულიყო (მე განზრახ შევარჩიე ეს სიტყვა, რადგან მას მრავალი განმარტება მოეძებნება)

ევროპა 1945 წელს უკვე განაწილებული იყო. მაგრამ არა იალტის ხელშეკრულებით (4-11 თებერვალი 1945 წელი), როგორც ამას ხშირად ამბობენ, არამედ იმით, თუ სად იდგა წითელი არმია. ასევე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ იალტის სულისკვეთებიდან მხოლოდ ნარჩენები შემორჩენილიყო იმ მეგობრობისა, რომელმაც ერთი მიზნით გააერთიანა მოკავშირეები. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ევროპის გაერთიანების პროცესის დაგვიანებას. საბჭოთა პოლიტიკის ერთ-ერთი წესი იყო ყველა საშუალებით ხელი შეეშალა თავის საზღვრებთან ახლოს შექმნილიყო კომპაქტური ბლოკი და ეს იდეა დაენერგა არა მარტო ფრანგულ და იტალიურ კომუნისტურ პარტიებში, არამედ ცენტრალური აღმოსავლეთის რეგიონში. იქმნება ასოციაციები, მოძრაობები, კომიტეტები, საგაზეთო სტატიები რომლებიც ქადაგებდნენ თუ რა დიდი უბედურება იქნებოდა ევროპის გაერთიანება. ამ დროს ისეთ ქვეყნებს სადაც კომპარტია საკმაოდ ძლიერი იყო, განსაკუთრებით საფრანგეთი და იტალია ნეიტრალური პოზიცია ეკავათ და არბიტრის როლს თამაშობდნენ აშშ-სა და სსრკ-ს შორის, აღმოსავლეთსა

და დასავლეთს შორის. გენერალი დე გოლი და შემდგომ ჟორჟ ბიედუ წონასწორობის პოლიტიკას ეწეოდნენ. ამას ქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. რაც შეეხება უარყოფით მხარეს, ფრანგებმა უარი თქვეს ამერიკის სახელმწიფო მდივნის შემოთავაზებაზე გერმანიაში შეექმნათ თავიანთი საოკუპაციო ზონა. ხოლო რაც შეეხება დადებით მხარეს, იუგოსლავიასთან დაკავშირებული საკითხი საფრანგეთის სასარგებლოდ გადაწყდა. თუმცა ეს არ ყოფილა ფრანგული დიპლომატიის მიღწევა. ეს უფრო აუცილებლობის შედეგი იყო, დასავლეთით გადიოდა აშშ-ს ზონის საზღვარი, აღმოსავლეთით სსრკ-ს. გაყოფილი სახელმწიფო კი მედიატორის როლს ვერ ითამაშებდა.

რაც შეეხება კომუნისტებს, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილები ნებისმიერი „დასავლეთის ბლოკის" იდეის მიმართ და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ძირს უთხრიდნენ პოლიტიკური ერთიანობის ყველა ბაზას. ასე ხდებოდა საფრანგეთსა და იტალიაში. 1946 წლის საფრანგეთის კონსტიტუციის პრეამბულაში წერია: (ეს კონსტიტუცია ხმათა მცირე უპირატესობით იქნა მიღებული) „ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, საფრანგეთი თანახმაა შეზღუდოს თავისი სუვერენიტეტი თუ ეს აუცილებელია ორგანიზაციისთვის, რომლის წევრიც ის არის და ასევე, მშვიდობის დასაცავად".

აქ უპირველესად იგულისხმება ისეთი მსოფლიო ორგანიზაცია, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და არა - ევროპული გაერთიანება. რაც შეეხება იტალიას, 1948 წლის აპრილის არჩევნების შემდეგ პროსაბჭოთა სახალხო დემოკრატიული ფრონტი შედარებით ნეიტრალური ხელისუფლებით შეიცვალა და რეფერენდუმის გზით დამყარდა რესპუბლიკა. იტალია შევიდა დასავლურ გაერთიანებაში, სადაც მან მთავარი როლი ითამაშა.

სახალხო აზრი და ევროპა. ევროპელები მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულები ყველა პოლიტიკურ მოვლენაში, ძირითადად აინტერესებდათ თავიანთი გაჭირვებული ყოფა და ეკონომიკური კრიზისი.

მიუხედავად კომუნისტური პარტიის მცდელობისა, მათი იმედები მაინც ევროპული მომავალი გაერთიანებისკენ იყო მიპყრობილი. ჩვენ „სიდიადე“ დავკარგეთ? როგორ აღვიდგინოთ იგი? იმპერიული საზღვრების გაძლიერებით? 1948 წელს თითქოს ეს დაეშუქრა საფრანგეთს, ჰოლანდიას, დიდ ბრიტანეთს და იტალიას. ამ სიდიადის მოპოვებას (დამოუკიდებლობას, რომელსაც შეეჩვივნენ) ხომ ვერ შეძლებენ პატარა სამშობლოების ერთ დიდ სამშობლოდ გაერთიანებით? არსებობდა ამ მოსაზრების უამრავი სახესხვაობა. ზოგი მომხრე იყო ევროპის ფედერალურ საწყისებზე გაერთიანების, ამას ეწინააღმდეგებოდა ბელგია და ჰოლანდია. 1944 წლის ივნისში ლიონში შეიქმნა ევროპის საპარლამენტო კომიტეტი. ეს იყო გენერალ დე გოლის შემოთავაზება, რომელიც განახორციელა ჟან მონემ და სათათბიროს მომავალმა პრეზიდენტმა რენე მაიერმა. ასევე ფედერალისტებმა 1946 წელს შექმნეს ევროპული გაერთიანება, რომელშიც შევიდა მრავალი ასოციაცია. 1947 წლის აგვისტოში გაიმართა მისი პირველი კონგრესი მონროში. ეს იყო როგორც პიერ ჟერბემ აღნიშნა „პირველი ევროპული მანიფესტაცია ომის შემდეგ“. სხვები დაჟინებით ითხოვდნენ ერთდროულად მომხდარიყო ევროპის გაერთიანებაც და სოციალიზმზე გადასვლა. 1947 წელს ქრისტიან დემოკრატებმა შექმნეს „ახალი საერთაშორისო დაჯგუფებები“. ლიბერალებს არ სურდათ კონფედერაციაზე და *Commonwealth*-ზე შორს წასვლა (დიდი ბრიტანეთის გაერთიანება, რომელიც მოიცავს მის კოლონიებს სხვადასხვა სტატუსით). ამ იდეის სულისჩამდგმელი იყო ჩერჩილი და საფრანგეთში თავის მომხრეებად მიაჩნდა რაულ დოტრი, ანდრე ზიგფრიდი, პოლ ბასტი, პოლ რადამიერი, პოლ რეინო, პიერ-ანრი ტეიტჟენი. და ა. შ.

ჰააგის კონფერენცია. ჰააგის კონფერენცია გაიმართა 1948 წლის 7-10 მაისს. შეიძლება ვთქვათ, რომ ამგვარ ევროპულ მანიფესტაციას ვეღარასოდეს ვიხილავთ. თუმცა ოდესმე შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ამ ევროპის კონგრესზე თავი მოიყარა დასავლეთ ევროპის სახელმწიფო-

ების რვაასზე მეტმა წარმომადგენელმა და მას თავმჯდომარეობდა უინსტონ ჩერჩილი. აქ იყვნენ პარლამენტარები, მინისტრები, ყოფილი მინისტრები, პროფკავშირების წარმომადგენლები, მწერლები, ჟურნალისტები, უნივერსიტეტების წარმომადგენლები. აქ იყო გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტი კონრად ადენაუერი. მათ ერთადერთი სურვილი ამოძრავებდათ: შეექმნათ ევროპული ასამბლეა. მაგრამ განხორციელების გზები მრავალგვარი იყო: ფედერაციის და გაერთიანების მომხრეები, თავისუფალი ვაჭრობისა და ადმინისტრირების მომხრეები და სხვა. ასევე აღიარებდნენ ადამიანის უფლებათა ქარტიას. კულტურის კომისიას თავმჯდომარეობდა დიდი ესპანელი მწერალი სალვადორ დე მადარიაგა და შვეიცარიელი დენის დე რუჟმონი.

ჰაგის კონგრესმა შექმნა დაახლოების კომიტეტი, რომელიც 1948 წლის 25 ოქტომბერს ევროპული მოძრაობა გახდა. მას ოთხი საპატიო თავმჯდომარე ყავდა: ბრიტანელი უინსტონ ჩერჩილი (მისი სიძე დუნკან სანდი მოძრაობის მთავარი ძალა იყო), ფრანგი ლეონ ბლუმი (შემდეგ რობერტ შუმანი), ბელგიელი პოლ ანრი სპაკი, იტალიელი ალსიდ დე გასპერი. ამასთან ყველა ქვეყანაში შეიქმნა ეროვნული საბჭო.

ბიდოს განცხადება. შეიძლება ჰაგის კონგრესს მივაწეროთ ის ფაქტი, რომ სცენაზე გამოდის სახალხო ხელისუფლება, მთავრობა. ეს ის დროა, როცა თვით იტალიაში, ნეიტრალიტეტისა და ზომიერების პოლიტიკა შეიცვალა დასავლური ალიანსის მომხრე პოლიტიკით. გადამწყვეტი მოვლენები 1948 წელს განვითარდა. ჰაგის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა იმ ხუთ სახელმწიფოს შორის, რომლებმაც ბრიუსელში ხელი მოაწერეს კავშირის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი). ჟორჟ ბიდომ განაცხადა: „შესაძლოა ეს ერთადერთი მომენტია ისტორიაში, როცა შესაძლებელია ევროპის შექმნა. მაშასადამე, საჭიროა სახელმწიფოებმა მსარი დაუჭირონ ამ მოძრაობას და განა-

ხორციელოს ეს მისწრაფება.“ კვლავ გაჩნდა ორი წინადადება. ერთი ითვალისწინებდა ხუთ სახელმწიფოს შორის შექმნილიყო ღია ეკონომიკური ზონა, რომელიც ღია იქნებოდა მასში შესვლის მსურველი ყველა ევროპული ქვეყნისთვის. მეორე წინადადების მიზანი იყო შექმნილიყო ევროპის ასამბლეა, „სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ამ ხუთი ქვეყნის პარლამენტების გარდა, ის სახელმწიფოებიც რომელთაც სურდათ მონაწილეონა მიეღოთ ამ დიდ და კეთილშობილურ წამოწყებაში“.

1948 წლის 20 ივლისი უნდა განვიხილოთ როგორც ნამდვილი შემობრუნაბის თარიღი ევროპის ისტორიაში, ანუ ათვლის წერტილად. პირველად სახელმწიფოებმა წარმოადგინეს პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა ერთიანი ევროპის მშენებლობას („ევროპის შექმნას“).

ნაციონალიზმზე ზემოთ დადგომის იდეა ჯერ ჯიდევ არ იყო კარგად გამოკვეთილი, ჩანს რომ ბიდოს პროექტი ამ იდეის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

1914 წლამდე ევროპაში გაჩნდა ტერმინები „წონასწორობა“ და ძალთა ბალანსი *(Balance of Power)*. ჟორჟ ბიდო იყო რუპორი იმ ტენდენციებისა რომლებიც ძლიერ ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში ჩაისახა. ამ პარტიამ დიდი გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკაზე. მაგ. იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი.

მოგვიანებით დაწვრილებით განვიხილავთ პოლიტიკურ მოვლენათა მთელ ჯაჭვს, მაგრამ ახლა საინტერესოა გაჩვენოთ რა იყო დასაწყისისთვის პრიორიტეტული მკაცრად შემოსაზღვრულ დასავლეთ ევროპაში.

რკინის ფარდა. რკინის ფარდა, ასე უწოდა უინსტონ ჩერჩილმა. წითელი არმიის წარმატებას და სადემარკაციო ხაზთან დაკავშირებულ სურვილებს გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვა. ევროპა ორ ნაწილად გაიყო და მათ შორის თითქმის გადაულახავი საზღვარი გაევლო. 1948 წლის 24 თებერვლის პრაღის გადატრიალების შემდეგ ამაში უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა. დასავლეთ ევროპა მოწყვეტილი

აღმოჩნდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისაგან, ფინეთის და საბერძნეთის გამოკლებით. საბერძნეთში კომუნისტების წყალობით გაჩაღებული სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. დასავლეთს სრულიად ახალი საფრთხე დაემუქრა.

ევროპელთა გასაჭირი. ყველაზე დიდი პრობლემა რაც ევროპულ სახელმწიფოებს დაატყდა თავს 1945 წლის შემდეგ ეს იყო დოლარის ნაკლებობა *(dollar gap)*. დამშეულ და ნახევრად დანგრეულ ქვეყნებს ესაჭიროებოდათ საკვები და მანქანა-დანადგარები. ერთადერთი ქვეყანა რომელიც ნგრევას გადაურჩა იყო ამერიკის შეერთებული შტატები. როგორ უნდა ეყიდა ევროპას მისგან საკვები და საჭირო დანადგარები, როცა არც ვალუტა გააჩნდა და არც ოქრო? როგორ უნდა ეშოვა ვალუტა, როცა ვერ აწარმოებდა საექსპორტო საქონელს, რადგან წარმოება ჯერ კიდევ მოშლილი იყო?

სრული დატვირთვის იდეით შეპყრობილმა ამერიკელებმა, იგრძნეს რომ საჭირო იყო ევროპელები დოლარით ხელოვნურად მოემარაგებინათ. თავდაპირველად ნაწილ-ნაწილ ეხმარებოდნენ ევროპას და ეს არ იძლეოდა საშუალებას დაეგეგმათ კრიზისიდან თავის დაღწევის გზები. საფრთხე იზრდებოდა, ბრიტანელებმა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში დათმეს თავიანთი უპირატესობა, საპასუხოდ კი ამერიკამ შესთავაზა მრავალწიანი ორგანიზებული დახმარება, რომელიც ძირითადად გამოიხატა საჩუქრებში. ტრუმენის 1947 წლის 12 მარტის დოქტრინით ეკონომიკური და სამხედრო დახმარება გაუწიეს საბერძნეთსა და თურქეთს; 1947 წლის 5 ივნისის მარშალის გეგმა, ითვალისწინებდა დახმარებას მთელი ევროპისთვის, და ასევე სსრკ-სთვის, მაგრამ ის არ დათანხმდა. მაგრამ მაინც კრიზისი იზრდებოდა და 1947 წლის ოქტომბერში უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მარშალის გეგმას მხოლოდ 1948 წელს ეყარა კენჭი. *(European Recovery Program)*. საფრანგეთი და იტალია გაფიცვებმა მოიცვა, მალე კომუნისტი მინისტრები გადააყენეს.

ევროპა ხედავდა, რომ მარაგი ემოეწურა და დაჟინებით ითხოვდა „დროებით დახმარებას". სიღარიბე იმუქრებოდა, წინარეკოლუციური კლიმატი მწიფდებოდა. 1947 წლის 15 ოქტომბერს ჟორჟ ბიდოს კრიტიკის დრო დადგა. გენერალმა მარშალმა მიაღწია იმას, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა მოიწვა კონგრესის სხდომა, სადაც გადაწყდა მნიშვნელოვანი დროებითი დახმარება გაეწიათ საფრანგეთისა და იტალიისთვის. ამით აიხსნება იტალიის 1948 წლის არჩევნების შედეგები.

აშშ-ს გადამწყვეტი გავლენა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააანალიზა, რომ ერთიანი ევროპა უკეთ დაიცავდა თავს კომუნიზმის მზარდი საფრთხისაგან, ვიდრე პატარ-პატარა სახელმწიფოები, ამიტომ მან მხარი დაუჭირა ევროპის გაერთიანებას ფედერაციულ პრინციპებზე, გამოდიოდა რა თავისი წარსულიდან. აშშ შეიქმნა 13 კოლონიის ფედერაციისაგან. მაგრამ ამავე დროს გასავალისწინებელი იყო მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. კერძოდ, ევროპის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ენათა სიმრავლე და საშინელი ომისგან გამოწვეული მტრობა. ზეწოლა მოდიოდა უფრო კონგრესიდან, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლებიდან. კონგრესი ცდილობდა თავისი დახმარება გაერთიანების შექმნისთვის გამოეყენებია. მარშალის გეგმა ღიად ავალდებულებდა ევროპის სახელმწიფოებს შეთანხმებულიყვნენ და ისე გაენაწილებიათ კონგრესის მიერ გაწეული დახმარება. ვიცით რომ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი შედეგი პოლიტიკისთვის მცირეა. შეიქმნა ანგარიშსწორების ევროპული გაერთიანება და ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპული ორგანიზაცია. მხოლოდ ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს რომ გრანდიოზულობისა და გამარტივებისაკენ მიდრეკილ ამერიკელ ერს უჭირს გაიგოს, რომ ევროპა და 1776 წლის 13 კოლონიის გაერთიანება სულ სხვადასხვა რამაა.

ამასთანავე მარშალის გეგმამ განავითარა ეს ტენდენციები. მარშალის გეგმის განხორციელებისას, ამერიკელი ბრწყინვალე ახალგაზრდა ტექნოკრატი ეკონომისტების თა-

ნამოსაუბრედ საფრანგეთის მხრიდან იყო ჟან მონე. ჟან მონეთი აღფრთოვანებული იყო როგორც მისი თანამედროვე ამერიკელები, ასევე შემდეგი თაობის პოლიტიკოსები და ეკონომისტები, განსაკუთრებით პრეზიდენტი კენედი. მაგრამ ჯერ 1948 წელი იდგა.

საბჭოთა საფრთხე. 1947 წელს ევროპამ უკვე შეიგრძნო ცივი ომის საშიშროება. ომისდროინდელი მოკავშირეები უკვე პოტენციურ მტრებად იქცნენ. 1948 წლის მარტში პრაღის გადატრიალების გამო, ყველა მესამე მსოფლიო ომზე ალაპარაკდა. დასავლელი სამხედროები იმედოვნებდნენ რომ საბჭოთა ჯარები ორ კვირაში ბრესტში იქნებოდნენ. გერმანიაში ამერიკის სამხედრო კომენდანტმა კლეიმ, 5 მარტს სადაზვერო სამსახურს გაუგზავნა ტელეგრამა, სადაც ვარაუდს გამოთქვამდა, რომ „შესაძლოა ომი მოულოდნელად დრამატულად დაიწყოს“.

ცნობილია რომ, 1948 წლის 31 მარტს, საბჭოთა მარშალმა სოკოლოვსკიმ, სამხედრო კონტროლი დააწესა დასავლეთ გერმანიასა და აღმოსავლეთ ბერლინს შორის ურთიერთობებზე (ე.წ. მცირე ბლოკადა). იმავე წლის ივლისში გადაწყდა „დიდი ბლოკადის“ დაწესება, რომელიც მხოლოდ საჰაერო ურთიერთობის საშუალებას იძლეოდა.

გასაკვირი არ არის, რომ ამ მოვლენებმა დასავლეთში კვლავ აქტუალური გახადა გაერთიანების იდეა. 1948 წლის 17 მარტს ხელი მოეწერა ბრიუსელის პაქტს, რომლის ერთადერთი მიზეზი იყო პრაღის კომუნისტური გადატრიალება. მოგვიანებით, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბევინმა წინადადება წამოაყენეს გაეფართოვებინათ პაქტი და შეემუშავებიათ გეგმა ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. „ვანდერბერგის რეზოლუცია“, რომელმაც წინასწარ გამოაცხადა სენატის თანხმობა ამ პაქტზე, კენჭი ეყარა 11 ივნისს. მძიმე კრიზისის მიუხედავად ჟორჟ ბიდო იმედოვნებდა, რომ დასავლეთი გაძლიერდებოდა და 20 ივლისს წარმოადგინა თავისი გეგმა.

ორი გერმანიის შექმნა. იალტის კონფერენციის ჩათვ-

ლით ყველა მოკავშირე მომხრე იყო გერმანიის დანაწევრების. როცა სტალინმა 1945 წლის 9 მაისს ცნობილ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ერთ დღეს გერმანია ისევ გაერთიანდებოდა, ამერიკელებმა და ინგლისელებმა დაასკვნეს, რომ ფსონი გერმანიაზე იდებოდა. დაუშვებელი იყო ისინი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ თუ ეს დამარცხებული ქვეყანა ნაწილებად დაიშლებოდა. მხოლოდ საფრანგეთი ცდილობდა დაეცვა თავისი მოთხოვნები. ფოშის მსგავსად გენერალი დე გოლი მოითხოვდა გერმანიას გამოყოფდა რეინის ოლქი. გენერლის გადადგომის შემდეგ, ჟორჟ ბიდო 1947 წლის ამ პოზიციას ინარჩუნებდა. 1946 წლის 6 სექტემბერს, შტუდგარტში ამერიკის სახელმწიფო მდივნის ბირნის სიტყვის შემდეგ დიდ ბრიტანეთი დათანხმდა თავისი ეკონომიკური ზონა გაერთიანებინა ამერიკის ეკონომიკურ ზონასთან. საფრანგეთმა უარი თქვა. „ორზონიანი" სისტემის ნაცვლად შეიქმნა „სამზონიანი" სისტემა. 1947 წლის მარტში, ოთხი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, ჟორჟ ბიდომ აღნიშნა, რომ ანგლო-საქსონები გერმანიის პატარა ნაწილებად დაშლის პოლიტიკის მომხრენი არიან, რადგან ეს შესაძლებელს გახდის საარის მხარე ეკონომიკურად საფრანგეთს შეუერთდეს, თუმცა შესაძლებელი იქნება სტატუსის გადასინჯვა მომავალში სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში. სსრკ ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მოსალოდნელი სამხედრო საფრთხის გამო საფრანგეთი იძულებული გახდა ცვლილებები შეეტანა თავის პოლიტიკურ მოთხოვნებში გერმანიასთან დაკავშირებით. 5 დეკემბერს, ლონდონის კონფერენციაზე, ჟორჟ ბიდომ განაცხადა, რომ საფრანგეთი თანახმაა აღიაროს ეკონომიკურად ერთიანი გერმანია, თუ საარის მხარე ეკონომიკურად საფრანგეთს შეუერთდება. 15 დეკემბრის შემდეგ უკვე „სამზონიან" სისტემაზე ალაპარაკდნენ.

ამის შემდეგ, გაჩნდა იდეა შექმნილიყო დასავლეთ გერმანია. ამგვარი რამ მიუღებელი იყო სსრკ-სთვის. ამ პრობლემებზე სასაუბროდ გაიმართა ცნობილი ლონდონის კონფერენცია. 1948 წელს ლონდინის შეთანხმებამ დღის წეს-

რიგში დააყენა მომავალი დასავლეთ გერმანიის შექმნის პროგრამა, რომელზეც იმუშავებდნენ ლანდების წარმომადგენლები და გამოსაცდელად გადაეცემოდა სამ სამხედრო კომენდანტს. 20 ივლისს ჟორჟ ბიდომ გააკეთა განცხადება, სადაც კარგად ჩანს, რომ ის უკვე დარწმუნებულია გერმანიის სახელმწიფოს აღდგენაში. ამჟამად არ ჩავუღრმავდებით გერმანიის საკითხის მნიშვნელობას ევროპის გაერთიანების პროცესში. ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით.

II. ევროპის აყვავების ოცდაათი წელი

ნამდვილი ევროპული ეკონომიკის ექსპანსია. სანამ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რიგს განვიხილავთ, რომელმაც ევროპის მშენებლობას შეუწყო ხელი, საჭიროა მიმოვიხილოთ ის მდგომარეობა, რომელიც ამ გადაწყვეტილებებს განაპირობებდა. მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი, წარმოიშვა კონფლიქტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, კომუნისტური პარტიები, რომელთაც საკმაო ავტორიტეტი ჰქონდათ პრინციპულად წინააღმდეგნი იყვნენ ნებისმიერი სახის ევროპული გაერთიანებისა. მაგრამ ჩვენ ვამჯობინეთ გვესაუბრა იმ ორი ფაქტორის შესახებ, რომელთაც ხელი შეუწყვეს ევროპის გაერთიანებას. ესენია: დასავლეთ ევროპის გასაოცარი ეკონომიკური განვითარება და მეორე, ბოლო მოელო კოლონიურ მტრობას და დაიშალა, ან, თუ გნებავთ გადაშენდა კოლონიური იმპერიები. ყოველივე ეს ოცდაათ წელიწადში მოხდა, ანუ ომის დამთავრებიდან 1974-75 წლებამდე.

აყვავების ოცდაათი წელი. „დიდებული ოცდაათი წელი". ასე მოიხსენიებდა ამ პერიოდს ისტორიკოსი და სოციოლოგი ჟან ფურესტიე. ეს არის ქარაგმა საფრანგეთის ისტორიის ყველზე ცნობილი ეპიზოდის. 1830 წლის რევოლუციამ სამ დღეში დაამხო ბურბონების უფროსი შტო, ეს მოხდა 1830 წლის 26, 27, 28 ივლისს. ამ სამ დღეს კი „დიდებული სამი დღე" ეწოდება. ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა სამ წელს ან სამ დღეს, არამედ 30 წელს.

სხვათა შორის, ეკონომისტები ამ ოცდაათ წელიწადს

გამოარჩევენ იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა უეცარ აღმავლობას, სულ მცირე, მნიშვნელოვნად შემცირდა კრიზისი. მართალია ყველა ქვეყანაში პროგრესი ერთნაირი არ ყოფილა, მაგრამ საერთო ჯამში განსხვავება უმნიშვნელოა. ერთადერთი დიდი ბრიტანეთი რჩებოდა კუდში გამობმული.

ოცდასამი წლის მანძილზე ბრიტანეთის ინდუსტრიული წარმოება მხოლოდ გაორმაგდა. მაშინ როცა გერმანიაში ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო საფრანგეთში ოთხჯერ. ამბობდნენ რომ ეს იყო „ჩამორჩენილობის ხაზგასმა", ლაპარაკობდნენ „ინგლისურ უბედურებაზე", რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ *Welfare State*-ის ანუ საზოგადო კეთილდღეობის სახელწიფოს შექმნა ნაადრევი იყო. ამ დროს ადამიანი თავს გრძნობს დაცულად და მისი შემოქმედებითი ნიჭი იძინებს. ინგლისი საუკუნის დასაწყისში ვაჭრობის თვალსაზრისით პირველ ადგილზე იდგა მსოფლიოში, 1973 წელს კი მეხუთეზე გადაინაცვლა აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის და საფრანგეთის შემდეგ. ხოლო 1976 წელს საფრანგეთს გაუსწრო და მეოთხე ადგილი დაიკავა.

ამერიკელი ეკონომისტი ჩარლ პ. კინდლებერგი წიგნში „*Economic Growth in France and Britain, 1851-1850*" იმედს გამოთქვამს რომ საფრანგეთი მსგავსი ტემპით განვითარდება, და 1945 წლიდან გაჩენილი ახალი სენ-სიმონიზმი მას კვლავ აღუძრავს ექსპანსიის სურვილს. 1974-75 წლების კრიზისის შემდეგ დავინახავთ რომ ეს მშვენიერი სწრაფვა გაქრა. ბრიტანეთის აღმავლობამ წააქეზა გამოჩენილი ისტორიკოსი და ეკონომიკის მკვლევარი ფრანსუა კრიზე და დაწერა ცნობილი წიგნი სათაურით „ინგლისის უპირატესობა საფრანგეთთან შედარებით. XVII-XVIII საუკუნეების ეკონომიკა და წარმოდგენები".

ყველაზე საინტერესო მაგალითია ესპანეთის შემთხვევა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური მარაზმის შემდეგ, ესპანეთმა, საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამთო მრეწველობაში. სამოქალაქო ომი და ფრანკოს რეჟიმისთვის გამოცხადებული „კა-

რანტინის" გამო ქვეყანა მაინც ძალიან სუსტი იყო ეკონომიკურად. სხვადასხვა ფაქტორმა, სახელდობრ არგენტინისა და ამერიკის დახმარებამ, საზღვრების გახსნამ, ტურიზმის განვითარებამ, ქვეყანაში, როგორც უწოდებენ „1958-1965 წლების დიდი მუტაცია" გამოიწვია. ესპანეთმა მიიღო დასავლური მოდელი, გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში და სხვა ევროპულ გაერთიანებაში. განვითარდა ურთიერთობა აშშ-სთან და გე გოლის საფრანგეთთან. გატარდა მნიშვნელოვანი საბანკო რეფორმა და მოიზიდეს უცხოური კაპიტალი. 1960 წლიდან ეპანეთის მრეწველობის ზრდის მაჩვენებელი 9% იყო, ამ მხრივ მას მხოლოდ იაპონია და სამხრეთ კორეა აღემატებოდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შედეგები შავ მეტალურგიაში, გემთმშენებლობაში, ავტომობილებისა და ელექტრო ხელსაწყოების წარმოებაში. ამიერიდან ესპანეთზე ლაპარაკობდნენ, როგორც ეკონომიკით მეორე სახელმწიფოზე მსოფლიოში. ამით აიხსნება მისი მიღება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში 1985 წელს.

ევროპული შემოქმედების დაცემა. 1955-1973 წლებში დასავლეთ ევროპაში ტექნიკური და სამეცნიერო წინსვლის დაჩქარებამ, რომელსაც თან ერთვოდა ფულის მსყიდველობით უნარის გაზრდა, იგი გაორმაგდა კიდეც, აჩვენა რომ მხოლოდ წარსულ ოქროს საუკუნეებს არ უნდა მივენდოთ. XIX საუკუნეში ევროპას მონოპოლია ჰქონდა აღებული გამოგონებების თვალსაზრისით, XX საუკუნის მეორე ნახევარში კი მას პირველობა წაართვეს. სსრკ-მ პირველი სატელიტი „სპუტნიკი" გაუშვა ორბიტაზე, ამას პირველი კოსმოსური ხომალდი და ადამიანი მიყვა კოსმოსში, ამერიკელებმა პირველად გაიარეს მთვარეზე. დასავლეთ ევროპა უსწრებდა აღმოსავლეთ ევროპას სამეცნიერო აღმოჩენების თვალსაზრისით, რომელსაც მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდა კვლევათა გასაიდუმლოება და სსრკ-ი მიერ კონტროლი. სამეცნიერო კვლევების დარგში საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად ჩამორჩა ამერიკასა და იაპონიას.

აქ არ ჩამოვთვლით ყველა იმ გამოგონებას რომელმაც უსწრაფესად შეცვალა ადამიანის ცხოვრების პირობები.

ყველა სფერო იმსახურებს ყურადღებას: გამრავლდა სინტეთიკური პროდუქტები, განვითარდა ელექტრონიკა, შორ მანძილზე ინფორმაციის გადამცემი მოწყობილობები, მაგალითად ტელევიზორი, ზომების შემცირება, კომპიუტერული თაობები უსწრაფესად იცვლება, შეიქმნა რობოტები და მათი გამოყენებით დაზგები.

ომამდე ყველაზე დიდი აღმოჩენა ატომის გახლეჩა იყო. თავდაპირველად, 1945 წლიდან, მას მხოლოდ სამხედრო დანიშულება ჰქონდა და საშინელ საფრთხეს უქმნიდა მსოფლიოს. შემდეგ, 1950-60 წლებში გაჩნდა ბირთვული რეაქტორები, რომელიც იაფი ელექტროენერგიის გამომუშავების საშუალებას იძლეოდა. 1973 წლის ნავთობის კრიზისი, მნიშვნელოვნად კომპესირებულ იქნა ამ წარმატების წყალობით. წარმატება საკმაოდ ორაზროვანია, რადგან ატომური რეაქტორის დაზიანება, ან ბირთვული ომი გამოიწვევს უზარმაზარი მასშტაბის კატასტროფას.

პროგრესია ასევე აეროდინამიკაში, შეიქმნა რეაქტიული ძრავა, განვითარდა მედიცინა და ბიოლოგია, გენეტიკის შესწავლამ შესაძლებელი გახადა ადამიანის მუტაცია, რაც ერთის მხრივ საკმაოდ შემზარავია.

ჯერჯერობით ვერავინ განჭვრეტს იმ საფრთხეს რომელსაც შესაძლოა კაცობრიობას უქადდეს ასეთი სწრაფი ცვლილებები. ადრე, როცა ტემპები ბევრად ნელი იყო ვიდრე დღეს, ადამიანი ნელ-ნელა ეგუებოდა ამ ცვლილებებს. ახლა კი მაგალითად ტელევიზორმა უკვე ოცი წელია მთლიანდ დაიპყრო მსოფლიო და შეუჩერებლად ზრდის თავის გავლენას. ვინ იცის რა გავლენას მოახდენს ის ადმიანის აზროვნებაზე და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე?

III. დეკოლონიზაციის 30 წელი.

უეცარი დეკოლონიზაცია. 1954 წლის შემდეგ კოლონიური იმპერიების მოსპობა გამაოგნებელი იყო. გვერდით უნდა დავტოვოთ რუსეთის მიერ წარმოებული დაპყრობები,

რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა: ციმბირიდან, კამჩატკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ბაიკალის ტბამდე, საზღვაო პროვინცია, რომელიც 1858-1860 წლებში წაართვეს ჩინეთს და იქ რუსებმა დაარსეს ვლადივოსტოკი, „აღმოსავლეთის მარგალიტი"; ცენტრალურ აზიაში ირანის საზღვრებიდან ავღანეთამდე; კავკასიაში, კასპიასა და შავ ზღვას შორის, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი. მაგრამ ეს უზარმაზარი გეოგრაფიული არეალი ამჯერად ჩვენი წიგნისთვის უცხო. მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს რუსეთი გახდება თუ არა ევროპა.

მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი ევროპის სახელმწიფოების კოლონიას წარმოადგენდა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ჩინეთისა და იაპონიის გამოკლებით. ჩინეთის ძალიან მცირე ტერიტორიას ფლობდა აშშ და იაპონია. თავდაპირველად კოლონიები დაკარგა გერმანიამ 1919 წელს, იტალიამ ფაქტიურად 1943 წლიდან, მაგრამ ოფიციალურად 1949 წელს. საფრანგეთმა ნელ-ნელა დაკარგა კონტროლი სამანდატო ქვეყნებზე, მფარველობაში მყოფ ქვეყნებზე და კოლონიებზე. დარჩა მხოლოდ, ისიც ძალიან მოკლე ხნით რამდენიმე მუსულმანური სახელმწიფო: ჯიბუტი და კომორის კუნძულები. 1945-1957 წლებში დიდი ბრიტანეთიდან დამოუკიდებელი გახდა მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, ცეილონი და ბოლოს მალაიზია. 1949 წელს ჰოლანდია იძულებული გახდა ეღიარებინა ინდონეზიის დამოუკიდებლობა. 1957 წლიდან კი აფრიკაც განთავისუფლდა. ესპანეთმა, ბელგიამ, პორტუგალიამ დაკარგა აფრიკული კოლონიები.

ამგვარად, ოცდაათ წელიწადში „დამოკიდებული ტერიტორიები" აღარ არსებობს, გარდა რამდენიმე პატარა კუნძულისა და მცირერიცხოვანი მუსულმანური კოლონიებისა. ზოგ მათგანს ხელოვნურად შეუქმნეს დამოუკიდებლობა, ზოგიც რომელიმე სახელმწიფოს შეუერთდა. (ჰავაი შეუერთდა აშშ-ს, მარტინიკი, გვადელუპე და გვიანა ამერიკას, ინდოეთის ოკეანეში მყოფი რეუნიონის კუნძული საფრანგეთს).

ევროპა და კოლონიალური მტრობის დასასრული. კოლონიების განთავისუფლების შედეგი, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ევროპისთვის. შეიქმნა მომავალი ევროპის გაერთიანებისთვის ხელსაყრელი პირობები. ოთხი საუკუნე ნახევრის განმავლობაში ჩვენ ვხედავდით ევროპას, რომელიც სამხედრო ძალით აღემატებოდა სხვა ქვეყნებს და ამით ცდილობდა მათზე უპირატესობის მოპოვებას. შესაძლოა ეს ისტორიული აუცილებლობა იყო. სუსტი ადგილები იზიდავს ძლიერებს, და ერთ უცნაურ დასკვნამდე მიდიან: თუ იქ მე არ მოვკალათდები, მაშინ სხვა მოკალათდება. ამ თემაზე შეგვიძლია მოვიძიოთ ნაშრომები სესილ როდეს, ჟულ ფერის, კრისპის, ლეოპოლდ II ბელგიელის და სხვათა.

კოლონიზაცია, ეს იყო „ანტი-ევროპა". ოკეანის გადაღმა დაპყრობებს არ გამოუწვევია ყველაზე „ცივილიზებული" ქვეყნების ერთმანეთთან დაახლოება და თანადგომა. (მიაჩნდათ რომ იურიდიულად აფრიკის ტერიტორია იყო *res nullius* ანუ არავის საკუთრება). ევროპის სახელმწიფოებს უკვე განსაზღვრული ქონდათ თავიანთი საზღვრები კონტინენტზე და ამჯერად ოკეანის გადაღმა იპოვეს მტრობის მიზეზი. ევროპელ მეზობლებს შორის გააფთრებული მტრობა გაჩაღდა. ჯერ პორტუგალიასა და ესპანეთს შორის, შემდეგ ჰოლანდიასა და პორტუგალიას შორის, შემდეგ ინგლისსა და ჰოლანდიას შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, 1815 წლამდე კოლონიები სასტიკი და ულმობელი ომების ადგილად იქცა.

1815 წლის შემდეგ კოლონიების მიზეზით მრავალი კრიზისი მოხდა, მაგრამ არა ომი, გამონაკლისია ყირიმის ომი (1854-1856 წწ). ინგლისელებს სურდათ რუსებისგან დაეცვათ ინდოეთისკენ მიმავალი გზა. ასევე, ესპანეთ-ამერიკის ომი კუბის, პორტო-რიკოსა და ფილიპინების გამო 1898 წელს, და რუსეთ-იაპონიის ომი მანჯურიის გამო 1904-1905 წლებში. ლენინმა თავის ბროშურაში „იმპერიალიზმი, კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური" განაცხადა, რომ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება დიდი ომის მიზეზი გახდებოდა, მაგრამ ის შეცდა, კოლონიების მფლობელებმა

ურთიერშეთანხმებით ყველასათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა გერმანიის მიერ 1919 წელს კოლონიების დაკარგვამ, იმავე წელს იტალიელთა კოლონიით დაუკმაყოფილებამ, გამოიწვია ის რომ ამ ორი ქვეყნის ფაშისტმა დიქტატორმა ძალით მოითხოვა კოლონიები. განსაკუთრებით, ჰიტლერის მიერ ევროპიდან გაძევებული მუსოლინი დაპყრობით ემუქრებოდა ეთიოპიას, ეგვიპტეს, ტუნისსა და ჩადს. მოკავშირეებსა თუ პრინციპულ მეგობრებს შორისაც კოლონიები უთანხმოებას იწვევდა. საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაპირისპირება იყო არაბეთის გამო, ბოლოს 1945 წელს ბრიტანეთმა აიძულა საფრანგეთი დაეტოვებინა სირია და ლიბანი.

ამგვარად კოლონიზატორმა მტრებმა შეწყვიტეს ყოფილიყვნენ კოლონიზატორები. კოლონიური ქვეყნების ელიტამ, აღმოაჩინა რომ თვითგამორკვევის უფლება, რომელსაც ევროპის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ ვრცელდებოდა მათ საკუთარ ქვეყანაზეც. უინსტონ ჩერჩილმა და რუზველტმა ხელი მოაწერეს ცნობილ ატლანტიკის ქარტიას, სადაც ნათქვამია, რომ ხალხის განთავისუფლების პრინციპი, რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავს, a priori არ ვრცელდება ინგლისის კოლონიებზე. თუმცა ინგლისს უკვე ჰქონდა კოლონიების განთავისუფლების გამოცდილება. კონსერვატორი ჩერჩილის ლეიბორისტმა მემკვიდრეებმა კვლავ გააჟღერეს ყოფილი პრემიერ-მინისტრის გლადსტონის აზრი, რომ ადრე თუ გვიან ყველა კოლონია მოიპოვებს თავისუფლებას და ისინი მხოლოდ პროცესს აჩქარებენ. საფრანგეთს არ ჰქონდა ამგვარი ტრადიცია და ყველაფრის ძველებურად შენარჩუნებას ცდილობდა. საფრანგეთის მიერ ორგანიზებული ბრაზავილის კონფერენცია (1944), გამორიცხა საფრანგეთის იმპერიის გეგმებიდან დამოუკიდებლობის იდეა, გამოყოფისა და ავტონომიის იდეას. ამ ულტრა-კონსერვატულ მიდგომას, შედეგად მოყვა ის რომ ფრანგები ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ომითა და რეპრესიებით პასუხობდნენ ეროვნულ აჯანყებებს (1945-1962 წწ.). გარდა ამბოხებებისა ლიბანში, მადაგასკარში, ტუნისსა და მაროკოში, საფრანგეთმა გადაიტანა ორი

რვაწლიანი კოლონიური ომი ინდოჩინეთსა (1945-1954 წწ.) და ალჟირში (1954-1962 წწ.).

ომისშემდგომდროინდელმა გამოცდილებამ კოლონიზატორებს დაანახა, რომ აუცილებელია კოლონიების განთავისუფლება. ამის მისაღწევად კი საჭირო იყო რეალისტები, რომლებიც შეცვლიდნენ საზოგადოებრივ აზრს. ამის შესანიშნავი მაგალითია გენერალი დე გოლი. მისი გავლენის წყალობით 1962 წლის აპრილის რეფერენდუმზე საფრანგეთის მოსახლეობის 90% ხმა მისცა ალჟირის დამოუკიდებლობას. ამ დროს ალჟირის მოსახლეობის მხოლოდ 10% იყო ევროპული წარმოშობის. სამხრეთ როდეზიაში დიდი ბრიტანეთი არ დაეთანხმა თეთრკანიანების მიერ გამოცხადებულ დამოუკიდებლობას. (1962 წ.)

შესაძლოა ეს ევოლუცია ზოგიერთის კეთილი ნების შედეგი იყო, მაგრამ ამის მიზეზი პირველ ყოვლისა იყო აუცილებლობა. ომის შემდგომ წარმოიშვა ორი ზესახელმწიფო და ორივე ეწინააღმდეგებოდა კოლონიზაციას ანუ იმპერიალიზმს. აშშ თავისი ისტორიული წარსულის გამო. მას კარგად ახსოვდა „დამოუკიდებლობისათვის ომი", ხოლო სსრკ-სთვის იმპერიალიზმი თეორიულად მიუღებელი იყო. ევროპის ქვეყნები ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ კოლონიების ფლობა არ ნიშნავს სახელმწიფოს ძლიერებას, როგორც წარსულში ფიქრობდნენ, თანაც კოლონიის შესანარჩუნებლად საჭიროა იქ მუდმივად აგზავნო ჯარი და დაუსრულებელ ომებში გადაეშვა. ომს კი თანამედროვე მსოფლიო აზრი სულ უფრო მეტად გმობდა.

ევროპა და დეკოლონიზაციის ეკონომიკური შედეგები. ევროპელები ფიქრობდნენ, რომ კოლონიის ფლობა ნიშნავდა გქონოდა ნიადაგი განვითარებისთვის, ეკონომიკური სარგებელი, ომის შემთხვევაში კი სტრატეგიული ადგილი და მეომართა რეზერვი. საფრანგეთის შემთხვევაში სწორედ ასე იყო 1940-1944 წლებში. კოლონიების განთავისუფლება კი ამ ყველაფრის დაკარგვას ნიშნავდა. ამრიგად, მათი ყურადღება სულ სხვა, ახალი მიმართულებით უნდა გადაეტანათ.

ზოგ ქვეყანას, მაგალითად შვეიცარიას ყოველთვის „ზურგი კედელზე ქონდა“, ანუ ცხოვრებისთვის არჩევანი არ ჰქონდა. იაპონიას, რომელმაც გარკვეული ტერიტორიები ძალის გამოყენებით დაიკავა, ომში დამარცხების შემდეგ მხოლოდ სულიერი ძალა თუ გადაარჩენდა და არა ფიზიკური ძალა. ამას კი როგორც ცნობილია გასაოცარი შედეგი მოყვა.

ყოფილ კოლონიზატორებს ნამდვილი უთანხმოების მიზეზი გაუქრათ. კოლონიზატორებისა და კოლონიების სოლიდარობას ჩაენაცვლა ევროპული სოლიდარობა. მაგრამ ძველი კულტურული და ხშირად ეკონომიკური კავშირები კვლავ არსებობდა კოლონიებსა და კოლონიზატორებს შორის. ამიერიდან ყოფილი კოლონიზატორები მრავალმხრივ დახმარებას უწევენ ყოფილ კოლონიებს, მაგალითად შეიქმნა ევროპული ორგანიზაციები აფრიკაში, შემდეგ მას ეწოდა ACP (აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის ახალი სახელმწიფოები).

ევროპისთვის პრიორიტეტად იქცა მეტროპოლიებს შორის კონფლიქტების აღმოფხვრა და მრავალმხრივი ორგანიზაციების შექმნა.

IV. ევროპის შემოქმედთა ერა.

ევროპის საბჭო. 1948 წლის ივლისში ჟორჟ ბიდოს მიერ შეთავაზებული წინადადება უმალ აიტაცა ბელგიის მინისტრმა პოლ ანრი სპაკმა, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიკ სტიკერმა და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟოზეფ ბეშმა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, რომელმაც ბიდო შეცვალა, მთავრობის თანხმობით წამოაყენა წინადადება გამართულიყო მოლაპარაკებები, რათა „შეკრებილიყო ევროპის ასამბლეა, რომელიც შეიქმნებოდა ევროპის ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლებისგან.“ მაგრამ ეს წინადადება ბრიტანეთის წინააღმდეგობას წააწყდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნესტ ბევენი არ იყო მტრულად განწყობილი კონტინენტურ ევროპასთან თანამშრომ-

ლობის მიმართ, მაგრამ შიშობდა, რომ ასამბლეა შესაძლოა ევროპის აღმასრულებელი ხელისუფლება გამხდარიყო.

გარდა ამისა იყო სხვა წინადადებაც. მაგალითად, დროგამოშვებით შეკრებილიყო მინისტრთა კომიტეტი, რომლის წევრებსაც სახელმწიფოები დაასახელებდნენ. ლეიბორისტი ბევენი ასევე შიშობდა, რომ ევრო ასამბლეაში კონსერვატორებიც აღმოჩნდებოდნენ და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ. 1949 წლის 28 იანვარს შეთანხმებას მიაღწიეს: გადაწყდა შექმნილიყო ორი ორგანოსგან შემდგარი ევროპის საბჭო. ერთი ორგანო იქნებოდა მინისტრთა კომიტეტი და მისი სხდომები იქნებოდა დახურული. და მეორე, ევროპის საკონსულტაციო ასამბლეა, რომლის სხდომებიც იქნებოდა ღია. ყოველ ქვეყანას მასში ეყოლებოდა თავისი წარმომადგენელი. ასამბლეას ჰქონდა მეტად შეზღუდული უფლებები. მის დღის წესრიგს ამტკიცებდა მინისტრთა კომიტეტი. მაშ ეს უფრო ახლო იყო ბრიტანეთის შეზღუდულ შეხედულებასთან, ვიდრე დანარჩენი ოთხი ქვეყნის ნაციონალიზმისგან თავისუფალ თვალთახედვასთან. ინგლისი, ომის ერთ-ერთი დიდი გამარჯვებული, თავდაპირველად უპირატესობას ანიჭებდა ტრადიციულ პოლიტიკას, რომელიც მიემართებოდა Commonwealth-კენ (ბრიტანული თანამეგობრობა). მეორეს მხრივ, ინგლისური ენის გავლენით, რომელიც ძალიან სწრაფად გავრცელდა ამერიკელების ხელშეწყობით, კონტინენტურ კავშირთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა ანგლო-ამერიკულ „ატლანტიკურ" კავშირს.

წესდებას ხელი მოეწერა 1949 წლის 5 მაისს. მაშინვე შეუერთდა იტალია. გასაგებია, რომ ევროპის საბჭოს კარი ღია იყო ევროპის ეკონომიკური კავშირის ყველა წევრისთვის. 1949 წლის 8 აგვისტოს სტრასბურგში მოიწვიეს ევროპის საბჭოს პირველი სხდომა. ის სულ ათ წევრს აერთიანებდა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, (თითოეულს ყავდა 18 დელეგატი), ბელგია, ჰოლანდია, შვედეთი (თითოეულს ყავდა 10 დელეგატი), დანია, ირლანდია, ნორვეგია (თითოეულს ყავდა 4 დელეგატი), ლუქსემბურგი (სამი დელეგატი).

შემდეგ მიიწვიეს ისლანდია, საბერძნეთი და თურქეთი.

გერმანიის დაბრუნება პოლიტიკაში. მალე თავი იჩინა სხვა სახის პრობლემამ. 1949 წლის სექტემბერში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ სამი დიდი სახელმწიფო შეთანხმდა და გადაწყდა შექმნილიყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. პირველ კანცლერად კი არჩეულ იქნა კელნის მერი კონრად ადენაუერი. ამან გამოიწვია ის რომ, საბჭოთა მხრიდან სასწრაფოდ შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ მას არ ცნობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რადგან ყოფილი ერთიანი გერმანიის ერთადერთ სამართალმემკვიდრედ აცხადებდა თავს. 1948-1949 წლებში ურთიერთობა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის კიდევ უფრო დაიძაბა. აღმოსავლეთში განხორციელდა სტალინური „წმენდა“ და გამოცხადდა ბერლინის ბლოკადა. (1948 წლის მარტიდან 1949 წლის ივნისამდე).

1949 წლის 4 აპრილს აშშ-მ, კანადამ და ათმა ევროპულმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ჩრდილო ატლანტიკურ შეთანხმებას. ეს მოვლენები ემსახურებოდა ევროპის გადარჩენას, მაგრამ ამან ასევე გამოიწვია დასავლეთისა და ამერიკის მჭიდრო დაახლოება, როგორც ეკონომიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

გერმანიის პოლიტიკურ სუბიექტად აღდგენამ არ გააადვილა ევროპის მშენებლობისკენ სავალი გზა. მაგალითად კვლავ აქტუალური იყო საარის საქმე. გფრ-ამ პროტესტი გამოთქვა საფრანგეთის პოლიტიკისადმი, რომელიც საარს განიხილავდა ეკონომიკურად საფრანგეთის ნაწილად, ხოლო პოლიტიკურად გერმანიის ნაწილად. ეს იყო გფრ-ის, როგორც სახელმწიფოს პირველი ეროვნული პროტესტი.

ამაზე დათანხმება ნიშნავდა, რომ გერმანია თანახმა იყო დაეკარგა თავისი აღმოსავლეთ ტერიტორია.

ევროპის საბჭოში საქმე გაჭიანურდა. მისი უფლებამოსილება იმდენად შეზღუდული იყო, რომ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აზრის გამოთქმაში და პრესისთვის განცხადე-

ბების კეთებაში. 1949 წელს ეს საკითხი მგზნებარე დებატებში გადაიზარდა და ბოლოს ინტერესიც კი დაკარგა.

ჟან მონე. ამ სასოწარკვეთილების დროს, საქმეში ერთვება რამდენიმე შესამჩნევი ფიგურა. პირველი იყო ჟან მონე. იგი დაიბადა 1888 წელს ქალაქ კონიაკშ. არ მიუღია საუნივერსიტეტო განათლება, მაგრამ კარგად იცნობდა ანგლო-საქსონურ ქვეყნებს, სადაც ის მამამისის მიერ წარმოებულ კონიაკს ყიდდა. 1916 წლიდან იგი იყო საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრის წარმომადგენელი ინგლისში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 1939 წლიდან იგი არის ფრანგულ-ბრიტანული სავაჭრო კომიტეტის პრეზიდენტი. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ ის არ გაყოლია დე გოლს, წავიდა ამერიკაში და დაუმეგობრდა პრეზიდენტ რუზველტსა და მის მრჩეველს ჰარი ჰოპკინსს.

1943 წელს, მას შემდეგ რაც ინგლისელებისა და ამერიკელების ჯარები აფრიკაში გადავიდნენ, ისიც აფრიკაში ჩადის და გენერლებთან ირონთან და დე გოლთან ერთად ქმნის „საფრანგეთის ეროვნულ განმანთავისუფლებელ კომიტეტს“. დე გოლმა არ დააყოვნა და მალე კომიტეტში პირველი ადგილი დაიკავა.

1945 წელს მან დე გოლს შესთავაზა შეემუშავებინა საფრანგეთის განვითარების გეგმა. დე გოლმა ამ გეგმის მთავარ რწმუნებულად მონე დაასახელა და 1950 წლამდე ასეც იყო. მონეს გეგმა სიმბოლო იყო საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენის დასაწყისისა.

ამერიკის დახმარების მარშალის გეგმამ და მონეს გეგმამ გამოიწვია გასაოცარი თანამშრომლობა საფრანგეთისა და ამერიკისა და ჟან მონესათვის იქცა მეგობრების შეძენის კიდევ ერთ წყაროდ.

ჟან მონეს განსაკუთრებული როლი ისტორიაში აიხსნება მისი ორი გასაოცარი ნიჭით. მას შეეძლო მეგობრების შეძენა, განსაკუთრებით მაღალ წრეებში და მრავალი პრობლემისთვის მოეძებნა ორიგინელური გამოსავალი. ამ გამოსავალს ის ნელა, დაფიქრებით პოულობდა მეგობრებისა და

თანამოაზრეების გარემოცვაში, მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმითა და ენერგიულობით.

შუმანის გეგმა. 1949-1950 წლებში ჟან მონე შეშფოთებით აკვირდებოდა მომრავლებულ პრობლემებს: საარის კონფლიქტს, რომელიც ხელს უშლიდა საფრანგეთისა და გერმანიის შერიგებას. ეს მხარე მდიდარი იყო წიაღისეულით და მეტალურგიის დიდ ცენტრს წარმოადგენდა ევროპაში. გერმანია მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთსა და საარს შორის დადებულ ახალ შეთანხმებებს. დასავლეთის მრეწველობას ქვანახშირი არ ყოფნიდა. ერთიანი ევროპის მშენებლობა ნელა მიიწევდა წინ, თითქმის პარალიზებული იყო ევროპის საბჭო.

თანამოაზრეების დახმარებით ჟან მონემ შეიმუშავა გასაოცარი გეგმა, რომელიც არ მოიწონა ევროპის საბჭოს თავმჯდომარემ ჟორჟ ბიდომ. ამ გეგმის შემუშავებაში მონეს ეხმარებოდნენ იურისტი პოლ რეუტერი, ეკონომისტები ეტიენ ჰირში და პიერ ური. სამაგიეროდ ამ გეგმით აღფრთოვანებული დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი. ამ გეგმის თანახმად ევროპის „ინსტიტუციონალური“ გაერთიანების ნაცვლად, ევროპა უნდა გაერთიანებულიყო ‘საერთო საქმის ირგვლივ’. „როგორ უნდა განეხორციელებინათ ეს? ფრანგულ-გერმანული ქვანახშირისა და ფოლადის მთელი წარმოება უნდა გადაცემოდა ყველა ევროპული ქვეყნისგან შემდგარ უმაღლეს ხელისუფლებას რომელიც ღია იქნებოდა.“

ამგვარად, ნაციონალიზმისგან თავისუფალი უმაღლესი ხელისუფლება წარმართავდა ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებასა და ვაჭრობას. აქედან გამომდინარე საფრანგეთ-გერმანიის ომი შეუძლებელი გახდებოდა. ეს ორი პროდუქტი, რომელიც საარის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, საშუალებას იძლეოდა გადაჭრილიყო პოლიტიკური პრობლემა. ევროპული სახელმწიფოები ბოლოს და ბოლოს შერიგდებოდნენ და შეიქმნებოდა ერთიანი ევროპული მმართველობა. ეს იქნებოდა ერთი ხელით ორი კურდღლის დაჭერა. 1950 წლის 9 მაისს რობერ შუმანის დიდი

ძალისხმევის შედეგად საფრანგეთის მთავრობამ გეგმა მოიწონა. ამ გეგმას შუმანის გეგმა ეწოდა. მართალია ის არ ეკუთვნის რობერ შუმანს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მინისტრის ენერგიამ გადაალახვინა ამ გეგმას ყველა ბარიერი: კომუნისტები, „საფრანგეთის მეტალურგიული მრეწველობის პროფკავშირი", ზოგიერთი ნაციონალისტისა და ინგლისის წინააღმდეგობა. 1951 წლის 18 აპრილს შეთანხმებას ხელი მოაწერა ექვსმა პარტნიორმა: დასავლეთ გერმანიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, ლუქსემბურგმა, იტალიამ, საფრანგეთმა (საფრანგეთმა ხელი მოაწერა საარის სახელით).

რატომ არ მიიღო ამაში მონაწილეობა დიდმა ბრიტანეთმა? იმიტომ, რომ ევროპის საბჭოს მაგალითზე, სადაც დიდმა ბრიტანეთმა მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად მოითხოვა გამორიცხული ყოფილიყო ყოველგვარი ნაციონალიზმს მოკლებული მმართველობის შესაძლებლობა, ახლა შუმანმა და მონემ დაჟინებით მოითხოვეს მისგან, ჯერ ელიარებია ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დგომის პრინციპი და მერე ჩართულიყო მოლაპარაკებებში. ლეიბორისტები და კონსერვატორები, პირველად ინგლისის ისტორიაში ერთმანეთს აბსოლუტურად დაეთანხმნენ და უარი თქვეს ამ პრინციპის მიღებაზე. 1950 წლის 12 ივნისს ლეიბორისტური პარტიის ბროშურაში „ევროპული ერთიანობა" კატეგორიულად უარყოფილია ეროვნული სუვერენიტეტის მცირე ნაწილზე უარის თქმაც კი.

სწორედ აი ეს არის ექვსეულის ევროპის ჩანასახი. 1971-1972 წლებში დაიზრდება და ფორმასაც შეიცვლის. ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებამ პირველი მანიფესტი გამოსცა. კავშირის მმართველობის ორგანოებია:

1) უმაღლესი ხელისუფლება. იგი შედგება ცხრა წევრისაგან, და არჩეულია ექვსი წლით. რვა წევრი განისაზღვრებოდა შეთანხმებით (დაუშვებელია ორ წევრზე მეტი იყოს ერთი და იგივე ეროვნების), მეცხრე წევრი აირჩევა კოოპტაციის წესით.

2) მინისტრთა საბჭო, სადაც ყოველი ქვეყანა წარმოდგენილია ერთი მინისტრით. მისი მიზანია შეათანხმოს უმაღლესი ხელისუფლებისა და მთავრობების მოქმედება.

3) გაერთიანების ასამბლეა: მასში საფრანგეთს, იტალიას, გერმანიას ყავს 18 წევრი, ბელგიასა და ნიდერლანდებს 10 წევრი, ლუქსემბურგს - ოთხი. ასამბლეა უფლებამოსილია გადააყენოს უმაღლესი მმართველობა თუ მას უნდობლობას გამოუცხადებს წევრების ორი მესამედი.

4) სასამართლო პალატა, რომელიც შედგება შვიდი მოსამართლისაგან, რომელთაც საერთო შეთანხმებით ირჩევენ ექვსი წლის ვადით. საფრანგეთში ხელშეკრულების რატიფიკაციას ხმა მისცა 377-მა 233 წინააღმდეგ, გარმანიაში ბუნდესტაგში 232 ხმა 143-ის წინააღმდეგ.

შუმანი, ადენაუერი, დე გასპერი. ჟან მონე და რობერტ შუმან მიხვდნენ, რომ აუცილებელი იყო შორსმჭვრეტელი პოლიტიკის შემუშავება და სწრაფი მოქმედება. ამერიკელები ხშირად ენთუზიაზმს ავლენდნენ. ამ გეგმას შანსი ქონდა რომ შუმანისა გარდა მისთვის მხარი დაეჭირა სხვა მთავარ ევროპელებს, გერმანიაში კონრად ადენაუერს და იტალიაში ალსიდ დე გასპერის. შუმანი, ადენაუერი და დე გასპერი, სამივე მხურვალე ქრისტიან-დემოკრატები იყვნენ.

სამივე წარმოშობით საზღვრისპირა მხარეებიდან იყო. ადენაუერი კოლონიდან, შუმანი ლორენიდან, ხოლო ალსიდ დე გასპერი (1881-1954) ტრენტინოდან. გასპერი ავსტრიის მოქალაქედ დაიბადა, რადგან მაშინ ტრენტინო ავსტრიას ეკუთვნოდა. ფაშისტების სათავეში მოსვლამდე იგი ავსტრიის პარლამენტის წევრი იყო, 1944 წელს კი ბონომიის მთავრობაში გადავიდა.

შემდეგ გახდა პრემიერ-მინისტრი და დიდი წვლილი შეიტანა ევროპის მშენებლობის საქმეში, რომელიც ზოგჯერ დიდად იყო დამოკიდებული მის მოქმედებაზე.

ადენაუერი იყო გერმანიის კათოლიკური პარტიის ანუ *Zentrum*-ის თავმჯდომარე.

ფაშისტების დევნისგან ადენაუერს ამერიკელები იფ-

არავდნენ. 1945 წელს იგი ქალაქ კელნის მერად აირჩიეს და გახდა თანადამფუძნებელი გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის. იგი იყო საპარლამენტო სათათბიროს წევრი და მონაწილეობა მიიღო გერმანიის ფედარაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში. ის იყო ადამიანი მომრიგებელი, ნამდვილი ევროპელი, მან ამჯობინა აღდგენილი გერმანია შესულიყო ერთიან ევროპაში, ვიდრე კვლავ საეჭვო ნაციოლაიზმში ეძებნა ხსნა.

უსაფრთხოების ერთიანი ევროპული გეგმის შემუშავება. ჟან მონეს გეგმის წარმატებამ, გამოიწვია ევროპის გაერთიანების იდეის კრიზისი. ყველამ დაინახა რომ ექვსთა კავშირი პასუხობდა საჭიროებას, და დაისვა კითხვა ხომ არ შეიძლებოდა მისი გამოყენება ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც ერთი შეხედვით გადაუჭრელი იყო? 1950 წლის 25 ივლისს ჩრდილოეთ კომუნისტური კორეა თავს დაესხა სამხრეთ კორეას და დაიწყო კორეის ომი. ამ ფაქტმა ევროპას მაშინვე გაახსენა მეორე ორად გაყოფილი ქვეყანა — გერმანია. ომში გამარჯვებული ევროპული ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთ გერმანიას უნდა მიეღო მონაწილეობა თავის დაცვაში თუ აღმოსავლეთ გერმანია თავს დაესხმებოდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თორმეტი წევრი ქვეყნიდან მხოლოს საფრანგეთმა დაადო ვეტო გერმანიის ხელახალ შეიარაღებას.

ამან მოკავშირეთა შორის დიდი დაძაბულობა გამოიწვია.

ჟან მონეს მიერ შეგულიანებულმა საფრანგეთის საბჭოს თავმჯდომარემ, წამოაყენა წინადადება, გერმანიის შეიარაღება მომხდარიყო გერმანული არმიის გარეშე, ანუ შექმნილიყო ევროპული არმია.

ამერიკისთვის თავდაპირველად მიუღებელი აღმოჩნდა ეს უცნაური მეთოდი, მაგრამ ეს მოსაზრება გაიზიარა, როცა გენერალი ეიზენჰაუერი, რომელიც მოკავშირეთა ყოფილი სარდალი იყო, დათანხმდა ატლანტიკური პაქტის გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელობას.: *SHAPE (Suprem Headquarters of Allied in Europe).*

ის ევროპის არმიის დიდი დამცველი გახდა. 1952 წლის

ნოემბერში ეიზენჰაუერი აირჩიეს აშშ პრეზიდენტად. ამის შემდეგ თავად ეიზენჰაუერი და აშშ-ს სახელმწიფო მინისტრი ჯონ ფოსტერ დულესი დიდი ენთუზიაზმით გამოდიან ამ პროექტის მომხრეებად.

მოლაპარაკებები თავდაცვის ევროპული ერთიანობის შექმნის შესახებ დროში გაიწელა. ერთიანი ევროპული არმია უნდა შექმნილიყო ეროვნული არმიების დივიზიებიდან. შეთანხმებას მხოლოდ 1952 წლის 27 მაისს მოეწერა ხელი პარიზში. ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ გერმანიამ სრული მოცულობით აღიდგინა სუვერენიტეტი. ამ ფაქტმა საარის მარადიული საქმე ცოტათი გაართულა. (საარისადმი საფრანგეთში სახალხო აზრი საკმაოდ ინდიფერენტული იყო, ხოლო გერმანელებს ძალიან აღელვებდათ).

თავდაცვის ერთიანი ევროპული სისტემის მარცხი. პრობლემა მხოლოდ თავდაცვის ერთიანი ევროპული სისტემის რატიფიცირება იყო. უნდა აღინიშნოს რომ ეს ინსტიტუციები შედარებით ნაკლებად იყო ნაციონალობას მოკლებული, ვიდრე ევროპული არმია, რომელიც თეორიულად შედგებოდა ორმოციოდე პატარა ეროვნული დივიზიისგან, ითვლიდა ცამეტი ათასს ჯარისკაცს, ეცვა ევროპული ფორმა, ემორჩილებოდა SHARE და მეთაურობდა ამერიკელი გენერალი. მიუხედავად ამისა რატიფიკაციის შესახებ დებატები გაიმართა გერმანიაში (1953 წლის გაზაფხული), ნიდერლანდებში (1953 წლის ივლისი), ბელგიაში (1953 წლის ნოემბერი), ლუქსემბურგში (1954 წლის აპრილი). საფრანგეთში მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ კომუნისტები და სოციალისტური პარტია, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ გერმანიის შეიარაღებისა, თუნდაც ამგვარი ევროპული ფორმით. ამ შეხედულებებს ასევე არ იზიარებდნენ არც ნაციონალისტ-ტრადიციონალისტები და არც ზომიერი პოლიტიკის მომხრეები, მათ შორის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვენსან ორიო, ედუარდ ერიო და განსაკუთრებით დე გოლი.

ამ პროექტის მომხრე ევროპელების საწინააღმდეგოდ

ისინი შიშობდნენ, რომ იმისთვის რომ თავიდან აეცილებიათ გერმანული არმიის შექმნა, ისინი შლიდნენ ფრანგულ არმიას და თანაც თუ ამ ერთიან არმიას სათავეში ამერიკელი ეყოლებოდა, ეს უკვე აღარ იქნებოდა ევროპული. ასევე შეახსენებდნენ, რომ საფრანგეთს თავისი სამხედრო რესურსების დიდი ნაწილი კოლონიალური ომის საწარმოებლად ესაჭიროებოდა, რომელსაც ის აწარმოებდა ინდოჩინეთში, და ამის საფრთხე ემუქრებოდა ტუნისში, მაროკოსა და ალჟირში.

უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთის მსგავსი ერთადერთი დიდი ქვეყანა დიდი ბრიტანეთი, ერიდებოდა თანხმობა განეცხადებინა ევროპულ არმიაში შესვლისგან.

1954 წლის 30 აგვისტოს საფრანგეთმა ეროვნულ ასამბლეაზე ჩააგდო ევროპის ერთიანი თავდაცვის სისტემის შექმნის პროექტი. პროექტს ხმა არ მისცეს კომუნისტებმა, გოლისტებმა, რადიკალებისა და სოციალისტების ნაწილმა.

მრავალი წლის შემდეგ, როცა ჟან მონეს ამ მარცხის შესახებ კითხეს, მან უპასუხა: პროექტი იმიტომ ჩავარდა, რომ ის სრულყოფილი არ იყო. ევროპის მშენებლობა, მართლაც არ არის ოცნების გონებრივი ხორცშესხმა, არამედ არის ამ ოცნების რეალობასთან ადაპტირება. თუ უმაღლესმა მმართველობამ, შეძლო გადაეჭრა ქვანახშირისა და სპილენძის პრობლემები, იგივე სისტემა არ შეიძლება გადატანილ იქნას ადამიანთა შეიარაღებულ ჯგუფზე. 1954 წელს ამის განხორციელება ნამდვილად ნაადრევი იყო.

თავდაცვის ერთიანი ევროპული სისტემის ჩანაცვლების გადაწყვეტილება. ამის შემდეგ დადგა საკითხი რომელსაც ეწოდა „თავდაცვის ერთიანი ევროპული სისტემის ჩანაცვლების გადაწყვეტილება". აქაც გაჩნდა ორი მოსაზრება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთზე შევჩერდებით რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ევროპული ფსონი"

ჯონ ფოსტერ დულესმა განაცხადა, რომ შეუძლებელია ამ სისტემის შემცვლელის მოძებნა. მაგრამ ორ თვეში საფრანგეთის საბჭოს პრეზიდენტმა პიერ მარი ფრანსმა კონრად ადენაუერის აქტიური მონაწილეობით ორ თვეში იპოვა

ახალი გადაწყვეტილება. გადაწყვიტეს გაეფართოვებინათ 1948 წლის ბრიუსელის ხელშეკრულება, ყოფილ წევრებზე დაემატებიათ დასავლეთ გერმანია და იტალია და შეექმნათ დასავლეთ ევროპის გაერთიანება.

ამასთანავე, 1954 წლის შემოდგომაზე გაიმართა მომქანცველი მოლაპარაკებები ლონდონსა და პარიზში. მენდეფ ფრანსმა და ადენაუერმა გადაწყვიტეს გერმანიისთვის მიეცათ ის რაც ასე ძალიან სურდა: *ეროვნული ჯარი, ოკუპირებულის სტატუსის დასასრული*; და *ბოლოს ატლანტიკურ პაქტში მიღება*, როგორც თანასწორი დანარჩენი 14 წევრისა (1952 წელს დაემატა საბერძნეთი და თურქეთი). ამ გადაწყვეტილების მიმართ საფრანგეთში მოსახლეობის დამოკიდებულება იმდენად უარყოფითი იყო, რომ მთავრობა ამას არ მოელოდა.

ამასთანავე დიდი გაჭირვებით შეიმუშავეს გადაწყვეტილება საარის შესახებ: პირველი პლებისციტი გამოავლენდა თანახმაა თუ არა საარის მხარე მოხდეს მისი ევროპეიზაცია. თანხმობის შემთხვევაში მისი ტერიტორია გახდებოდა „ევროპის შეერთებული შტატების“ ფედერალური რეზიდენცია, როგორც ვაშინგტონი და კოლუმბიის ოლქია აამერიკის შეერთებულ შტატებში. (პროექტის ავტორი იყო ჰოლანდიელი ვან დერ გოეს ვენ ნატერსი).

აქვე აღვნიშნოთ, რომ 1955 წლის ოქტომბრის რეფერენდუმში ევროპიზაციამ მიიღო 201 000 ხმა 423 000 წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობამ აქედან მაშინვე გამოიტანა ლოგიკური და იურიდიული დასკვნა. მან გადაწყვიტა, რომ საჭიროა საარი გახდეს გერმანული. ამ გადაწყვეტილებამ საფრანგეთსა და გერმანიას შორის ყოველგვარი უთანხმოება გააქრო. რაც შეეხება ალზასსა და ლოტარინგიას, გერმანელებმა განაცხადეს, რომ ეს პროვინციები, მათი მოსახლეობის ნება-სურვილით უკვე დიდი ხანია საბოლოოდ ფრანგულია.

ევროპული აღმავლობა. ამ პარაგრაფში, უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ ევროპულ აღმავლობას. აქაც, ჟან მონემ,

რომელიც ღირსია ევროპის მამა ეწოდოს, ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. CED-ს მარცხზე გაჩერება შეუძლებელი იყო. 1951 წლიდან ჟან მონე CECA-ს პირველი პრეზიდენტი იყო ბრიუსელში, რომელიც დატოვა 1955 წელს, რათა საკუთარი ინიციატივით შეექმნა მოქმედების კომიტეტი ევროპის შეერთებული შტატების შექმნისთვის.

მასში შედიოდნენ მაღალი დონის ევროპის პროფკავშირების წარმომადგენლები, (კომუნისტების, სოციალისტებისა და გოლისტების გამოკლებით), რომელთა მიზანი იყო იდეები შეემუშავებინათ. ჟან მონე და მისი კომიტეტი იცავდა 1) ატომური ენერგიის არასამხედრო მიზნებისთვის გამოყენების საკითხების ევროპიზაციას, 2) ეკონომიკური სექტორების ევროპიზაციას, რაც გაცილებით ფართო იქნებოდა, ვიდრე ქვენახშირისა და სპილენძის, 3) არ მომხდარიყო აქცენტის გადატანა მომავალი ორგანიზაციების ნაციონალურობიდან განთავისუფლებაზე. უმაღლესი მმართველობის ნაცვლად შექმნილიყო უბრალო კომისია და მინისტრთა საბჭოს ქონოდა უამღლესი ხელისუფლება.

ეს მოსაზრება განიხილეს მთელ ევროპაში და შედეგად 1953 წლის 1 ივლისს ჟენევაში შეიქმნა ბირთვული კვლევების ევროპული საბჭო. კონფერენცია გამართა მესინაში.

იტალიის საგარეო საქმათა მინისტრმა გაეტანო მარტინომ, რომელიც მესინის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი იყო, ყველა თავისი კოლეგა მოიწვია ექვსივე ქვეყნიდან ამ სიცილიურ ქალაქში.

ამ შეკრებას თავმჯდომარეობდა სახელგანთქმული ევროპელი, ლუქსემბურგელი ჟოზეფ ბეში. მარტინოს გარდა ამ შეკრებაში მონაწილეობდნენ ანტუან პინეი (საფრანგეთი), ვალტერ ჰალსტეი (გერმანია), პოლ-ანრი სპაკი (ბელგია), ჯოან ვილჰელმ ბეიენი (ნიდერლანდები). CECA-ს უმაღლესი მმართველობის თავმჯდომერედ ჟან მონეს შემცვლელად დაასახელეს რენე მაიერი. გადაწყვიტეს: „ევროპის მშენებლობის ახალ ეტაპზე გადასვლის დრო დადგა."

მესინას რეზოლუცია გვთავაზობდა შექმნილიყო მნიშვნელოვანი ორგანიზაცია: ექვსმა სახელმწიფომ გააცნობიერა, რომ ამიერიდან პრიორიტეტი ენიჭება საერთო ევროპული

ბაზრის მშენებლობას, რომელიც გამორიცხავს საბაჟო წესებსა და რაოდენობრივ შეზღუდვებს. ამასთან გადაწყდა, საერთო ბაზრის რეალიზება უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად."

სპაკის ცნობილი კომიტეტი ცდილობდა ინტეგრაციას ატომურ სფეროში. ამ მოლაპარეკებებში ჩართული იყვნენ დირკ სპიერენბურგი (ჰოლანდია), ფელიქს გაიარდი, პიერ ური, პოლ დელუვიერ (საფრანგეთი), ვონ დერ გროებენი (გერმანია), და ბელგიელი დიპლომატი ალბერ ჰუპერტი. ფრანგები განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ატომური ენერგიით, ევროატომით, ხოლო დანარჩენები მეტ ყურადღებას საერთო ბაზარს უთმობდნენ.

სინამდვილეში, ამერიკამ უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ პრაქტიკულად გამორიცხული ყოფილიყო ევროპული ატომური იარაღის შექმნა და შენარჩუნებულიყო საერთო ბაზარი. მართლაც, იმისათვის რომ შექმნილიყო ევროპული ორგანიზაცია ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენების მიზნით, საჭირო იყო ევროპას ერთიანი ძალებით აეშენებია ქარხანა, სადაც მოხდებოდა იზოტოპების გახლეჩა, რომელიც აუცილებელია მსუბუქად გამდიდრებული ურანიუმის საწარმოებლად, რათა მოხდეს მათი შემდგომი გამოყენება ბირთვულ რეაქტორში. ამერიკას, რომელიც დასავლეთში იყვნენ მონოპოლისტები იზოტოპების გახლეჩვაში, ხელთ ჰქონდათ ერთი მარტივი საშუალება რომ მახვილი ჩაერტყათ ამ პროექტისთვის: მათ მნიშვნელოვნად დაწიეს ფასი ურანიუმ 235-ზე. აი რა შესთავაზე პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა 1952 წლის 20 თებერვალს ევროპას. ამის შემდეგ საერთო ევროპული ქარხნის მშენებლობა იზოტოპების გასახლეჩად აზრს კარგავდა. თუმცა ევროპული ატომური იარაღი მაინც შეიქმნება. ევროპის აღორძინებაში ყურადსაღები როლი ითამაშა საერთო ბაზრის შექმნამ.

რომის შეთანხმება. საერთო ბაზარი და ევროატომი. რთული მოლაპარაკებების შემდეგ, 1957 წლის 25 მარტს, ხელი მოეწერა რომის შეთანხმებას. სახელმწიფოთაშორისი

კომიტეტის თავმჯდომარე იყო ბელგიელი სახელმწიფო მოღვაწე პოლ-ანრი სპაკი, მანვე შეადგინა ტექსტი.

ხელის მოწერის შემდეგ რომის შეთანხმების რატიფიცირებამ ექვსივე ქვეყანაში გართულებების გარეშე ჩაიარა.

ორ გაერთიანებას, ეკონომიკურ გაერთიანებასა და ევროატომს საერთო სასამართლო პალატა და საპარლამენტო ასამბლეა ჰქონდა (78 წევრიდან გაიზარდა 142 წევრამდე). აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას, როგორც დავინახეთ აღარ ასრულებს უმაღლესი მმართველობა. სახელმწიფოთა მინისტრები. შეთანხმების საფუძველზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო იყო ცხრა წევრისაგან შემდგარი კომისია, ხოლო ევროატომის შემთხვევაში ხუთ წევრიანი კომისია. მაგრამ ვერ შეთანხმდნენ ადგილთან დაკავშირებით. ევროატომი და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება დროებით განთავსდა ბრიუსელში, ხოლო CECA და სასამართლო პალატა კვლავ ლუქსემბურგში დარჩა.

1958 წლის 1 იანვარს გაიხსნა ორგანოები. საერთო ბაზარი უნდა გახსნილიყო 1959 წლის 1 იანვრიდან. ამ დღიდან ძალაში შედიოდა დაბალი საბაჟო გადასახადი.

მიაღწევდნენ ამას? ბრიტანეთი შეშფოთდა და შესთავაზა შეექმნათ თავისუფალი ვაჭრობის დიდი ევროპული ზონა. 1958 წლის 1 იანვარს, ალჟირში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გენერალი დე გოლი საფრანგეთის ხელისუფლებაში მოვიდა: ის ერის წინამძღოლია ინტერნაციონალიზმისა და ნაციონალიზმის უარყოფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

V. ერთიანი ევროპის მშენებლობა გოლისტების პირისპირ.

შარლ დე გოლი ფრანგულ პერსპექტივაში. 1940 წლის 18 ივნისის მოწოდების შემდეგ დე გოლი გახდა საფრანგეთის სიმბოლო და სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას. იგი იქცა „მებრძოლი

საფრანგეთის" სიმბოლოდ. 1946 წლის 19 იანვარს დე გოლი დროებითი მთავრობის პრეზიდენტობიდან მოულოდნელად გადადგა. შესაძლოა ფიქრობდა რომ „პარტიების მთავრობის" ხელში დატოვებული ფრანგები მას დაუძახებდნენ. ასე არ მოხდა. მას მოცდა მოუწია და 1958 წლის 13 მაისს ის კვლავ ხელისუფლებაშია. მან მოითხოვა, რომ მის მიერ წარდგენილი ახალი კონსტიტუცია რეფერენდუმზე გაეტანათ.

1958 წლის 1 ივნისს დე გოლი გახდა IV რესპუბლიკის საბჭოს პრეზიდენტი. 28 სექტემბერს ფრანგების 80% მიიღო V რესპუბლიკის კონსტიტუცია და ამით ხმა მისცა სტაბილურ და ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ადენაუერი და გენარალი დე გოლი. დე გოლის ხელისუფლებაში ამგვარად მოსვლის შემდეგ, ევროპის ისტორია ამოქმედდა და ამოქმედდა კომპლექსურად.

პირველი რაც გენერალმა გააკეთა, გერმანიის კანცლერ ადენაუერთან შეთანხმებით, იყო საერთო ბაზრის გადარჩენა, რომელსაც „ჩაგდება" ემუქრებოდა ბრიტანელების მიერ შემოთავაზებული „თავისუფალი სავაჭრო ზონის" გამო. გერმანელები და ფრანგები მოლაპარაკებებზე ენერგიულად გამოდიოდენენ იმ სიტემის წინააღმდეგ, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა დიდ ბრიტანეთს. მას უკვე ქონდა მსგავსი Commonwealth ეკონომიკური ზონა. მაგრამ რა უნდა მოეხერხებიათ დე გოლისთვის, რომელიც წინააღმდეგი იყო ნაციონალური ინტერესების უარყოფისა, და რომლის წყალობითაც ჩავარდა CED? 1958 წლის სექტემბერში გაიმართა ადენაუერისა და დე გოლის შეხვედრა, რის შემდეგაც დე გოლი საერთო ბაზრის მომხრედ გვევლინება. ორვე დიდმა ქვეყანამ უარი თქვა თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე. შეიქმნა პატარა, განაპირა თავისუფალი სავაჭრო ზონა, როემლშიც შედიოდა დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ავსტრია, პორტუგალია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, მოგვიანებით ფინეთი. მასში არ შესულა ევროპის ექვსი დიდი ქვეყანა. ამერიკამ, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ

გადაწყვიტა მხარი დაეჭირა საერთო ბაზრისთვის და 1961 წელს ინგლისი დაარწმუნა შესულიყო ამ ორგანიზაციაში.

საფრანგეთის პარტნიორები ფუშეს გეგმის წინააღმდეგ. დე გოლის ევროპა არაფრით გავდა ჟან მონესა და დიდი შემოქმედების ევროპას. ჟან მონესაგან განსხვავებით დე გოლი არ ფიქრობდა რომ ეკონომიკური გაერთიანება გამოიწვევდა პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობას. ის კმაყოფილდებადა საერთო ეკონომიკური ბაზრით, მაგრამ უარყოფდა ერთიან ევროპულ სახელმწიფოს. მისი ევროპა იყო, კონფედერაციულ პრინციპებზე გაერთიანებული სახელმწიფოები, მაგრამ თითოეული ინარჩუნებდა სახელმწიფო სუვერენიტეტს მთელი მოცულობით. ეს იყო ევროპელთა ევროპა, რომელიც შეიქმნებოდა რათა წინააღმდეგობა გაეწია არა მარტო სსრკ-ს ძლიერებისთვის, არამედ აშშ-სთვისაც.

ეს კონფედერაცია აწარმოებდა ჰარმონიულ საგარეო პოლიტიკას. სახელმწიფოთა წარმომადგენლების კომისიამ, რომელსაც გოლისტი კრისტიან ფუშე თავმჯდომარეობდა, 1961 წლის ოქტომბერში წარმოადგინა ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც „ფუშეს გეგმა" ეწოდა. იგი სახელმწიფოებს თავაზობდა შეექმნათ უბრალოდ სახელმწიფოთა გაერთიანება და არა „ევროპის შეერთებული შტატები". ამ პროექტის შესახებ დისკუსია გაიმართა გერმანიაში, იტალიასა და ლუქსემბურგში. ბელგია და ჰოლანდია წინააღმდეგი წავიდა. მათ სურდათ გაერთიანებაში შესულიყო ინგლისიც და უარს აცხადებდნენ ყოველგვარ პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე მის გარეშე. ამასთან, დე გოლის მიერ ნაკარნახები ევროპის თავდაცვის პოლიტიკა ხომ არ შეასუსტებდა ჩრდილოატლანტიკურ პაქტს? 1958 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის მიერ დაწყებული ბერლინის კრიზისი, 1961 წლის 13 აგვისტოს უხეშად გადაიჭრა კედლის აშენებით, რომელიც თითქმის შეუძლებელს ხდიდა აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში გაქცევას.

უთანხმოება ძალიან გაღრმავდა, რადგან ორი ევროპული კონცეფცია, და მისი ურთიერთობა აშშ-სთან კვლავ მოქმედებდა. მონეს მეგობარმა კენედიმ იგივე პოლიტიკა შეინარჩუნა.

პრეზიდენტ კენედის „დიდი ჩანაფიქრი“. 1962 წელს გენერალი დე გოლი უკვე თავისუფალია ალჟირის პრობლემიდან და გადაწყვიტა დიდ მსოფლიო პოლიტიკაში გადასულიყო. იმ დროს, ჟან მონეზე დაყრდნობით, და მისით შეგულიანებულმა კენედიმ მას თავისი „დიდი ჩანაფიქრი“ შესთავაზა. 1962 წლის 4 ივლისს დამოუკიდებლობის დღეზე სიტყვით გამოსვლისას, მან წამოაყენა წინადადება აშშ და მომავალი ევროპის შეერთებული შტატები (იგულისხმებოდა დიდი ბრიტანეთიც) გერთიანებულიყვნენ ე.წ. ატლანტიკური პარტნიორობით: აბსოლუტური თანასწორობა ყველა სფეროში: პოლიტიკურ, სოციალურ, ინტელექტუალურ და ეკონომიკურ სფეროებში. ამ შემთხვევაში ამერიკა ევროპას არ სთავაზობდა თანასწორობას ბირთვულ და თერმობირთვულ შეიარაღებაში.

რატომ უნდა გაეწია ევროპას ამაო ჯაფა ბირთვული იარაღის შესაქმნელად, როცა მის სამუდამო მეგობარს უკვე მთელი კოლექცია ქონდა ამგვარი შეიარაღებისა?

ეკონომიკურ ასპექტში, კენედიმ კონგრესს წარუდგინა *Trade Expansion Act*,რაც ითვალისწინებდა საბაჟო გადასახადების დაწევას ზოგიერთ სფეროში. კონგრესმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტის ინიციატივას და ხმა მისცა პროექტს.

ამასთანავე, მერიკელებმა გადასახადი გამოთვალეს არა იმ ფასის მიხედვით რაც წარმოებას ჭირდებოდა საზღვარგარეთ, არამედ იმ ფასის მიხედვით, როგორაც იყიდებოდა ამერიკაში, ამან მწვავე დისკუსია გამოიწვია და ეწოდა *Kennedy Round*.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი. დე გოლი ბირთვულ კვლევას განაგრძობდა. 1960 წლის იანვარში საჰარას უდაბნოში პირველი ფრანგული ატომური ბომბი გამოსცადეს. ის მთლიანად ფრანგული ტექნოლოგიით შეიქმნა. როცა

ამერიკამ მხარი დაუჭირა საერთო ბაზრის შექმნას ინგლისის მიერ შემოთავაზებული თავისუფალი სავაჭრო ზონის ნაცვლად, ამის კომპენსირება სურდათ ინგლისისთვის გადაეცათ „ტექნოლოგიური ტრანსფერი" სამხედრო ატომური ტექნოლოგიებისა. რას ფიქრობდა ამერიკა? 1962 წლის კრიზისის შემდეგ, როცა საბჭოთა რაკეტები კუბაზე აღმოჩნდა, კენედიმ გააიფიქრა და განაცხადა, რომ უკვე დრო დადგა ამერიკამ ლიდერობა მოიპოვოს დასავლეთში. სიტყვა „ლიდერი" რომიცშივ მოიაზრება „წინამძღოლი", კენედი გულისხმობდა „მოდელს", „გიდს"

დე გოლმა უარყო „დიდი ჩანაფიქრი". გენერალი დე გოლი ფიქრობდა რომ პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელც რამბუიეს სასახლ;ეში მიიღო 1962 წლის 15-16 დეკემბერს, მის პოზიციას იზიარებდა და საშინლად გაბრაზდა, როცა მაკმილანმა ბაჰამის კუნძულებზე კენედისთან შეხვედრის შემდეგ (1962 წლის 18-21 დეკემბერი) თანხმობა განაცხადა ამერიკის მიერ შეთავაზებულ „მრავალეროვან ძალებზე", სადაც ბრიტანეთის მცირე ბირთვულ პოტენციას ამერიკული შთანთქავდა. საფრანგეთსაც შესთავაზეს მსგავსი გადაწყვეტილება მიეღო.

როგორ უნდა ემოქმედა დე გოლს კენედის „დიდი ჩანაფიქრის" წინააღმდეგ? ამ კითხვას პასუხი გაეცა 1963 წლის 14 იანვრის პრესკონფერენციაზე. ის იყო უარყოფითი. თავდაპირველად მან უარყო ინგლისის წინადადება მიეღოთ საერთო ბაზარში. მისი აზრით ინგლისი ჯერ მზად არ იყო კონტინენტთან თანამშრომლობისთვის. მეორეს მხრივ, დე გოლმა უარი განაცხადა ფრანგული ბირთვული ძალების რაიმე წესით შესვლაზე ამერიკასთან ალიანსში ან ატლანტიკურ მმართველობაში: „ვიმეორებ, ხშირად ამბობდა ის, საფრანგეთს ექნება საკუთარი ეროვნული თავდაცვა...".

ანტიამერიკელი გოლისტები. ამ სახელგანთქმულმა პრესკონფერენციამ საფრანგეთის პარტნიორების მწვავე რეაქცია გამოიწვია. გერმანიამ დაუფარავად გამოხატა თავისი უკმაყოფილება. საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულება,

რომელსაც ხელი 22 იანვარს მოეწერა, და რომლითაც საუკუნოვანი მტრობა დასრულდა, გერმანიაში მხოლოდ დიდი კამათისა და ზუსტი ახსნა-განმარტებების შემდეგ მოხდა მისი რატიფიკაცია.

ჟან მონეს კომიტეტმა ცალსახად დე გოლის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა.

დადგა გაუცხოების ხუთწლიანი ხანა. ამასთანავე ევროპაში დებატების ატმოსფერო ხშირად იცვლებოდა. თავდაპირველი ენთუზიაზმი და კეთილგანწყობა, აყვავებაზე ფიქრი, მწვავე დისკუსიებში გადაიზარდა, სადაც წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესები წინა პლანზე იყო წამოწეული. ნუთუ ეს მხოლოდ გენერალ დე გოლის ბრალი იყო? თუ ეკონომიკური კავშირიც ხელს უწყობდა დაძაბულობას და მტრობას?

ყველაფერი ეს იყო შეერთებული გე გოლის ანტიამერიკულ პოლიტიკასთან. კენედის „დიდ ჩანაფიქრზე" უარის შემდეგ საფრანგეთმა მრავალი ანტიამერიკული ნაბიჯი გადადგა:

— ამერიკასთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე ცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (1964 წლის იანვარი);

— 1966 წელის 7 მარტს განაცხადა, რომ საფრანგეთი ტოვებს სამხედრო გაერთიანებას ნატოს, თუმცა რჩება მის მოკავშირედ.

— იმავე 1966 წლის 7 მარტს ამერიკას თხოვნით მიმართა გაეყვანა ბაზები და სამხედრო ტექნიკა საფრანგეთიდან.

— წამოიწყო ბრძოლა მსოფლიო სავალუტო სისტემის წინააღმდეგ, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა დოლარს, (გაცვლის ეტალონი — ოქრო, ანუ *Gold Exchange Standart).*

— 1966 წლის 1 ივლისს გენერალი მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სსრკ-ში.

— პნომ პენის გამოსვლა კამბოჯაში (1966 წლის 1 სექტემბერი), რომელმაც მხოლოდ ამერიკას დააკისრა პასუხისმგებლობა ვიეტნამის ომზე და შესთავაზა ამ ქვეყნის ნეიტრალურად გამოცხადება.

— ისრაელის მიერ ნაყიდ თვითმფრინავებზე ემბარგო

დააწესა, როცა ისრაელმა ექვსდღიანი ომი წამოიწყო არაბეთში. (1967 წლის ივნისი).
— 1967 წლის 24 ივლისს დე გოლის სიტყვა მონრეალში, სადაც მან მხარი დაუჭირა კვებეკის დამოუკიდებლობას წარმოთქვა რა ფრაზა: „გაუმარჯის დამოუკიდებელ კვებეკს!"

ყველა ამ მოვლენას ერთი რამ აერთიანებს: გენერალი დე გოლი უარს ამბობს ამერიკელების შემოთავაზებებზე. თუმცა მან ვერც ის მიაღწია რომ მის წინადადებებს დათანხმებოდნენ, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა.

ეკონომიკური კავშირის გაფართოება და მისი საზღვრები. საერთო ბაზარი გაიხსნა 1959 წლის 1 იანვარს. ევროპის ეკონომიკური კავშირი თავდაპირველად ხასიათდება შიგა ვაჭრობის ლიბერალიზაციით და ყველა ბარიერების გაქრობით: მოიხსნა კვოტები, ემბარგო, საბაჟოები, პერსონელის განლაგება. ყოველივე ეს 1959 წლის 1 იანვრის შემდეგ ეტაპობრივად განხორციელდა. ერთადერთი არსებობდა ფისკალური საზღვრები, ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ნიშანი.

საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად დღის წესრიგში დადგა საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება, და ამასაც თან ახლდა მრავალი სიძნელე. საფრანგეთი ითხოვდა მრეწველობაში დანერგილი ლიბერალური პოლიტიკა განხორციელებულიყო სოფლის მეურნეობაშიც. ამან გამოიწვია ის რასაც ეწოდება „სასოფლო-სამეურნეო მარათონი" 1961-64 წლებში.

1965 წელს კავშირის კომისიამ წამოაყენა წინადადება გაზრდილიყო მისი ბიუჯეტი და გადასულიყვნენ ახალ ეტაპზე, რომელიც რომის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, გადაწყვეტილებების მიღება მომხდარიყო არა ერთხმად, არამედ ხმათა უმრავლესობით. ეს კი მართლაც ნაციონალიზმზე მაღლა დგომას ნიშნავდა და დე გოლის მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ საფრანგეთი აღარ დაესწრებოდა კავშირის სხდომებს ბრიუსელში. მხოლოდ 1965

წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა კვლავ დე გოლი აირჩიეს პრეზიდენტად გამოინახა გადაწყვეტილება. 1966 წლის 28-30 იანვარს მიღებულ იქნა *modus vivendi*, რომელმაც საფრანგეთს საშუალება მისცა კავშირის წიაღს დაბრუნებოდა.

გადაწყვეტილება იყო მეტად მოხერხებული. შენარჩუნდა უმრავლესობის პრინციპით გადაწყვეტილების მიღების ფორმა, მაგრამ თუ საკითხი მეტად სერიოზული იყო დებატები გაგრძელდებოდა მანამ, სანამ არ იქნებოდა მიღებული ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ამ ინსტიტუციონალურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა კავშირირი განვითარებაზე.

საფრანგეთმა მეორედ უთხრა უარი ბრიტანეთს საერთო ბაზარში შესვლაზე, რომელიც ჰაროლდ უილსონმა გააკეთა 1967 წლის ნოემბერში.

მიუხედავად პოლიტიკური რეფორმების პარალიზებისა, საერთო სავაჭრო სივრცის ეკონომიკური შედეგი შესამჩნევი იყო. 1958-1970 წლებში კავშირის შიგნით ვაჭრობა ექვსჯერ გაიზარდა. კავშირის შიგნით ვაჭრობა ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის 30%-დან ავიდა 52%-მდე 1958-1972 წლებში. თუმცა ეს როდი ნიშნავს რომ ყველა პრობლემა მოგვარებულია. მრავალ ქვეყანაში მოეწყო გაფიცვები და სტუდენტთა მასიური გამოსვლები, ეს კი მიანიშნებდა რომ სახეზე იყო უკმაყოფილების ახალი ფორმა. ეს კი 1969 წელს გენერალ დე გოლს ხელისუფლების დათმობის ფასად დაუჯდა.

მისმა გადადგომამ დააბრუნა ზუსტი და უბრალო ფრანგული ინიციატივები და საერთო ჯამში, ხელი შეუწყო ერთიანი ევროპის მშენებლობას.

VI. უკანასკნელი ოცი წელი, ანუ დიდი ცვლილებების დასაწყისი

დიდი მუტაცია. ისტორიკოსისთვის ყოველთვის ძნელია თანამედროვე პერიოდის მოვლენების ღრმა ანალიზის გაკეთება. ამ დროს გამუდმებით უნდა ებრძოლო გრძნობებს,

რათა მაქსიმალურად მიუკერძოებელი იყო. მაგრამ არსებობს სხვა წინააღმდეგობებიც: ძნელია გაანალიზო მოვლენები რომელთა შედეგიც მხოლოდ მომავალში გამოჩნდება. ამგვარად ნუ ჩავეძიებით დეტალებს, და ჩვენი ევროპული მზერის გადასახედიდან, გამოვავლინოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტები რაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოხდა.

მეცნიერება. თავდაპირველად უნდა გავიხსენოთ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების გასაოცარი განვითარება. შედეგად დაინერგა მათი ტექნიკური და პრაქტიკული გამოყენება. რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: ათი წელია, სატელიტებზე არსებულმა ტელესკოპებმა საშუალება მოგვცა აღმოეჩინათ ათასჯერ მეტი ვარსკვლავი, რომლებიც აქამდე ნისლით იყო გარემოცული.

ასევე გასაოცარი წინსვლაა ადამიანის ტვინის შესწავლა და ადამიანის წარმოშობის თარიღის განსაზღვრა და ა.შ.

წეს-ჩვეულებები. მეორე დიდი მოვლენა არის ჩვეულებების შეცვლა. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ახალი ტიპის ამბოხებები რომელიც სტუდენტებმა მოაწყვეს 1967-1969 წლებში. ხაზი უნდა გავუსვათ ჩვეულებების ლიბერალიზაციას. შეიცვალა დამოკიდებულება ქორწინებისა და ოჯახის მიმართ, რომელიც ეკლესიის მიერ წმინდად იყო გამოცხადებული. სექსუალური თავისუფლება, განქორწინებათა სიმრავლე, თავისუფალი კავშირი, ოჯახის დაგეგმვა, აბორტი, აი წმინდა დასავლური მოვლენები. მათი მსოფლიო შედეგის დასადგენად ჯერ კიდევ ადრეა. 1965 წლიდან ევროპას მოსახლეობის მკვეთრი შემცირება დაემუქრა.

იდეოლოგია. განსხვავებული ფენომენია ე.წ. მსოფლიო იდეოლოგია.

საბჭოთა კავშირის მიერ გაღებულმა მსხვერპლმა და გამარჯვებამ, წინააღმდეგობის მოძრაობაში კომუნისტების დიდმა როლმა, ომის შემდგომ ათწლეულები, სათავე დაუდო

იმავდროულად ინტელექტუალურ და სოციალუ მიმდინარეობას, რომელიც უპირატესობას მარქსიზმს ანიჭებდა და აღიარებდა საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალიზმსა და ამერიკულ იმპერიალიზმთან შედარებით. 1968-1969 წლის სტუდენტურ გამოსვლებში მთელი ძალით იფეთქა ამ ტენდენციამ. ამის სიმბოლი კი გახდა ვიეტნამის ომი, სადაც კომუნისტები ებრძოდნენ ამერიკელებს.

მაგრამ ევროპის ეს შეხედულებები ამის შესახებ მალე-ვე შეიცვალა. რადგან ეს იდეოლოგია მტრულად იყო განწყობილი თავისუფლებისადმი. სსრკ ცდილობდა შეეზღუდა სატელიტი ქვეყნების თავისუფლება. 1968 წელს ჩეხოსლოვაკიას სურდა გადასულიყო შედარებით ლიბერალურ კომუნიზმზე, რასაც პრაღის გაზაფხული ეწოდა. მაგრამ აგვისტოში საბჭოთა ჯარები შევიდა პრაღაში და ლიბერალიზმის უკანასკნელი ნარჩენებიც გაქრა. დასავლეთმა ლიტერატურით გაიგი საბჭოთ დიდი საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ. საბჭოთა მწერალი სოლჟენიცინი დასავლეთში გაიქცა და თავის წიგნში „გულაგი" აღწერა ამ ბანაკების საშინელება. მან მარვალი წელი გაატარა იქ. მეორე საბჭოთა დისიდენტი იყო აკადემიკოსი და ბირთვული ფიზიკის მკვლევარი სახაროვი. მან თავის თავზე გამოსცადა თავისუფლების ნაკლებობა, პოლიტიკური დევნა, ცხოვრების დაბალი დონე. სამეცნიერო კვლევებისა და აღმოჩენათა რიცხვიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აშშ, იაპონას და ევროპას. 1980 წელს ავღანეთში წითელი არმიის შესვლამ, მოსკოვიდან ნაბრძანებმა რეპრესიებმა, პოლონეთში პროფკავშირულმა მოძრაობამ *solidarnost*, დაანგრია ეს გაბატონებული იდეოლოგია. თუ ისტორიამ გაამტყუნა მოძღვრების უმთავრესი პრინციპები, გავრცელებისთვის სხვა რა დარჩენია თუ არა სამხედრო ძალა?

არჩევნებზე ეს მთელ ევროპაში გამოჩნდა, განსაკუთრებით საფრანგეთში. თუ 1946 წელს საფრანგეთის კომპარტიას მხარს უჭერდა ამომრჩეველთა 28%, 1986 წლის მარტში მხოლოდ 10% გამოუცხადა ნდობა.

ევროკომუნიზმის ილუზია. 1975-76 წლებში მიაჩნდათ

რომ შესაძლებელი იყო დასავლეთ ევროპაში შეექმნათ ახალი ტიპის კომუნიზმი ე.წ. „ევროკომუნიზმი". იტალიის კომპარტიას 1976 წელს მხარი დაუჭირა 34,7%, ეს მისი საუკეთესო შედეგი იყო, ესპანეთში უფრო მოკრძალებული შედეგები ქონდათ, საფრანგეთი უფრო ლიბერალური კომუნიზმისკენ იხრებოდა და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სსრკ-ზე.

დემოკრატიის მშენებლობის დასასრული ევროპაში. დასავლეთში კომუნისტური იდეოლოგიის და პოლიტიკის უკან დახევა ხელსაყრელი აღმოჩნდა ევროპის ერთიანობისთვის, რადგან კომუნისტური პარტიები და სსრკ მის მიმართ ყოველთვის მტრულად ივო განწყობილი. მაგრამ ევროპის გაერთიანებების შესახებ აზრის მომწიფებას განსაკუთებით ხელი შუწყო შემდეგმა ფაქტორმა, კერძოდ საბერძნეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში სათავეში დემოკრატიული ძალები მოვიდნენ და ეს სამი ქვეყანა დაუბრუნდა მმართველობის დემოკრატიულ ფორმას.

საბერძნეთს ომი ჰქონდა თურქეთთან კვიპროსის გამო. კვიპროსმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაამხო „კაპიტნების რაჟიმი". ამ რეჟიმს სურდა საშინაო სირთულეები შეენილბა საგარეო წარმატებით. კაპიტნებმა მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება კვიპროსის პრეზიდენტის მგერ მაკარიოსის წინააღმდეგ. ამას საშინელი შედეგი მოყვა მათთვის. თურქები გადმოვიდნენ კუნძულზე და კვიპროსის ტერიტორიის 40% დაიკავეს. კაპიტნების რეჟიმი დაემხო. სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ძალა რომელმაც ხმამაღლა განაცხადა თანხმობა მმართველობის დემოკრატიულ ფორმაზე.

სამეფო ხელისუფლებას ხალხი კაპიტნების რაჟიმის თანამონაწილედ მიიჩნევდა. ამიტომ გაუქმდა მეფობა და საბერძნეთი გადავიდა სახელმწიფოს მმართველობის რესპუბლიკურ ფორმაზე.

პორტუგალიაში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა. 1926 წლიდან პურტუგალიას ჯერ სალასარის, ხოლო შემდეგ მარსელო კაეტანოს დიქტატორული რეჟიმი მართავდა.

ახლგაზრდა ოფიცრების ერთ ჯგუფს მიაჩნდა რომ კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ამაო და სახიფათო .იყო და 1974 წელს გენერლების ანტონიო დე სპინოლასა და ფრანციცკო და კოსტა გომესის მეთაურობით ხელისუფლებაში მოვიდნენ. მათი დასაყრდენი იყო არმია.. მათ მხარს უჭერდა კომუნისტები, მათ შორის მხურვალე სტალინელი ალვარო კუნჰალი. დროებით მთავრობაში ორი კომუნისტი შევიდა, ეს ევროპაში ერთადერთი შემთხვევა იყო.

წელიწადნახევრის განმავლობაში, ესპანეთში რევოლუციური ატმოსფერო არ განელებულა. გააძევეს გენერალი სპინოლა. 1975 წლის ნოემბერში მემარჯვენეთა სახელმწიფო გადატრიალება ჩავარდა. იმავე წლის აპრილში არჩევნებზე სოციალისტმა მარიო სუარესმა მოიპოვა ხმების 38%, ხოლო კომუნისტებმა 13 %. 1975 წლის ნოემბერში დამარცხდა მემარცხენეთა სახელმწიფო გადატრიალება და ქვეყანაში კვლავ საგანგებო მდგომარეობა დამყარდა. მთავარი იყო ქვეყნის მოშლილი ეკონომიკის აღდგენა. 1976 წლის ივნისში პორტუგალიის პრეზიდენტად აირჩიეს ადმირალი ეანესი. ეს კი ნიშნავდა რომ პორტუგალიაში ბოლოს და ბოლოს ევროპულმა დემოკრატიამ გაიმარჯვა.

ესპანეთში პირიქით, დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ დემოკრატია სწორედ საგანგებო მდგომარეობამ დააბრუნა.

1936 წლის ივლისის სამოქალაქო ომის შემდეგ ესპანეთი ევროპისგან გარიყული განაგრძობდა ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ მას მხარს უჭერდა ჰიტლერი და მუსოლინი, ფრანკომ გაუძლო დიდ ზეწოლას და ომში ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა. თუმცა მან ცისფერი ბატალიონი გაგზავნა სსრკ-ში საომრად ჰიტლერის მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორიტარული რეჟიმი ჰიტლერისას ვერ შეედრებოდა, ის იყო აქსეს ერთადერთი ნაშთი ევროპაში.

საფრანგეთის მთავრობა, განსაკუთრებით დე გოლი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბიდო ცდილობდნენ ჩამოეგდოთ ფრანკო ესპანეთის ხელისუფლებიდან. ამისთვის ჩაკეტეს საზღვარი ესპანეთთან და მოუწოდეს ევრო გაერ-

თიანებას ეკონომიკური სანქციები შემოელოთ ფრანკოს ესპანეთის წინააღმდეგ, თუმცა ვერაფერს გახდნენ. ესპანეთი მხოლოდ 1959 წელს შევიდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, იგი არ იყო წევრი ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის და რა თქმა უნდა არც საერთო ბაზრის. ამ უკანასკნელთან შეთანხმებას მხოლოდ 1970 წელს მოაწერა ხელი. ევროპის საბჭოში კი მხოლოდ 1977 წელს შევიდა.

მაგრამ ამასობაში გენერალი ფრანკო გარდაიცვალა, კერძოდ 1975 წლის 20 ნოემბერს. ყველაფერი ბურბონთა მონარქიის აღდგენისკენ მიდიოდა. ესპანეთის მეფე გახდა ხუან კარლოსი. არჩევნებზე კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც სათავეში ანტისაბჭოთა სანტიაგო კარილო ედგა ხმათა მხოლოდ 11% მიიღო.

1976 წლის ივნისში ბერლინში გამართულ კომუნისტების საერთაშორისო კონგრესზე, მან დაუფარავად გაკიცხა საბჭოთა კომუნიზმი რომელსაც უპირატესობის მოპოვება უნდოდა კომუნისტების საერთაშორისო მოძრაობაში და მოითხივა წითელი არმიის გაყვანა ჩეხოსლოვაკიიდან.

დასავლეთ ევროპის სრული დემოკრატიზაცია, ჩვენი აზრით, უმთავრესი მოვლენაა ევროპის კავშირის ისტორიაში. მართლაც ძნელი წარმოსადგენია ახლო კავშირი დამყარდეს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, აქვთ ძველი და მდიდარი კულტურა, და რომელთა ეკონომიკური ინტერესი ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, თუ არ იქნება საერთო კონსესუსი, რომლის მიღწევაც შეაძლებელია ნელა და თანდათანობით.

ევროპის ქვეყნები ორ მიმართულებას შორის მერყეობენ. სოციალიზმისკენ, რომელთაც სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ და მეტნაკლებად მარქსიზმისკენ იხრებიან, სწამთ სახელმწიფოს სამართლიანობის და პროფკავშირების გავლენის გაზრდის მომხრედ გამოდიან. და შედარებით ზომიერები და ლიბერალური პოლიტიკის მომხრეებად, რომლებიც კერძო ინიციატივის განვითარების მომხრეები არიან.

უკვე აღარ აქვს ადგილი კლასთა შორის უკიდურეს დაპირისპირებას, რომელიც ისტორიში დომინირებდა.

ექვსიდან ცხრაზე. საერთო ჯამში, ევროპის მშენებლობა ნელა მიიწევდა წინ. უფრო დიდი წარმატებები მოყვა ექვსთა კავშირის გაფართოებას, ვიდრე ნაციონალური ინტერესების შესახებ კამათს. 1969 წლის 27 აპრილს გენერალ დე გოლის გადადგომამ კავშირს პირველი გაფართოების საშუალება მისცა. მისი შემცვლელი ჟორჟ პომპიდუ, რომელიც ევროპის გაერთიანების მომხრე იყო, გადაწვიტა დე გოლის მიერ დადებული ვეტო მოეხსნა დიდი ბრიტანეთისთვის.

1969 წლის 10 ივლისს მან განაცხადა, რომ ის არ არის პრინციპულად წინააღმდეგი დიდი ბრიტანეთის ან სხვა ქვეყნის გაერთიანებაში შესაძლო მიღებისა. საფრანგეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადება შეკრებილიყვნენ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები.

შეკრება გაიმართა 1969 წლის დეკემბერში. ცოტა ხნით ადრე გერმანიის ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა სოციალ-დემოკრატი უილი ბრანდი, რომელიც ლიბერალებთან თანამშრომლობდა. ამ არჩევნების შემდეგ პოლიტიკური დაძაბულობა შენელდა აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის, ე.წ. *ოსტპოლიტიკ*-ის ხანა დადგა, რომელმაც გამოიწვია ორ გერმანიას შორის *მოდუს ვივენდი* და ორ ბანაკს შორის ხელი მოეწერა ჰელსინკის შეთანხმებას.

ჰაგის კონფერენციაზე ვილი ბრანდი ერთიანი ევროპის მხურვალე ქომაგად გვევლინება. 1970 წლის 1 იანვარს მან გადაწყვიტა მიეღო სასოფლო-სამეურნეო წესები, რამაც დაასრულა საერთო ბაზრის მშენებლობა.

მაგრამ შორს ვერ წავიდნენ საერთო ატომური და ფულადი პოლიტიკის გატარების საქმეში. ერთიანობის წესი განმტკიცდა. გადაწყდა კავშირის გაფართოება.

მოიწვიეს დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, დანია და 1970 წლის 22 იანვარს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. 1972 წლის 10 მაისს ირლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 70% და

გაერთიანებაში შესვლას მხარი დაუჭირა 83%. დანიაში რეფერენდუმი ჩატარდა 2 ოქტომბერს და მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 89,4%, რომელთაგან 56,7% განაცხადა თანხმობა.

ნორვეგიაში პირიქით, 24-25 სექტემბრის რეფერენდუმზე, გაერთიანებაში შესვლას ამომრჩეველთა 54% ხმა არ მისცა. ესენი იყვნენ ნაციონალისტები, მცირე მიწათმოქმედები, მეთევზეები, ხელოსნები, ტრადიციონალისტები და ნეიტრალიტეტის მომხრეები.

დარჩა დიდი ბრიტანეთი. ჰაროლდ უილსონის ლეიბორისტული მთავრობა ადასტურებდა სურვილს შესულიყო გაერთიანებაში, მაგრამ მოლაპარაკებებზე ძალიან ჩაკეტილი იყო, დიდი ბრიტანეთი მოითხოვდა შესწორებას საერთო ბიუჯეტის ფინანსირების საკითხში, რათა შემცირებულიყო დიდი ბრიტანეთის წილი, აყენებდა მრავალ პირობას. 1970 წლის 18 ივნისის არჩევნების შედეგად პრემიერ მინისტრი გახდა პროევროპულად განწყობილი კონსერვატორი ედუარდ ჰარტი.

მოლაპარაკებები ძალიან ხანგრძლივი და ტექნიკური იყო. რომელიც საბოლოოდ დასრულდა 1970 წლის 22 იანვრის ბრიუსელის შეთანხმებაზე ხელის მოწერით. ეს იყო ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი. თემთა პალატამ მხარი დაუჭირა ხელშეკრულებას. მაგრამ ლეიბორისტები და ჰაროლდ უილსონი, რომლებიც 1974 წლის 28 თებერვალს ხელახლა მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხელახალ მოლაპარაკებებს ითხოვდნენ. რაც 1975 წლის მარტამდე გაგრძელდა. ბოლოს 1975 წლის 5 ივნისს დიდ ბრიტანეთში გაიმართა რეფერენდუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის მხოლოდ 65.5% და აქედან თანხმობა განაცხადა 68.2%-მა, 32% კი წინააღმდეგი წავიდა.

ინგლისი, დე გოლის საფრანგეთის მსგავსად უარს ამბობდა ევროპის პოლიტიკურ გაერთიანებაზე და ადასტურებდა რომ უპირატესობას ანიჭებდა ურთიერთობას აშშ-სთან და Commonwealth-სთან.

ჟორჟ პომპიდუმ განიზრახა საფრანგეთშიც ჩაეტარებია რეფერენდუმი, მაგრამ ამას უფრო მეტად შიგა პოლიტიკური

მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, მას უნდოდა ერთმანეთისთვის დაეცილებია მემარცხენე სოციალისტების გაერთიანება, რომლებიც მხარს უჭერდნენ ევროპის ერთიანობას და კომუნისტები, რომლებიც სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ამის. მართლაც რეფერენდუმმა დიდი მღელვარება გამოიწვის. კომუნისტები წინააღმდეგნი იყვნენ, სოციალისტებმა თავი შეიკავეს. რეფერენდუმში მონაწილეობა მხოლოდ 60% მიიღო და აქედან დიდმა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა კავშირში შესვლაზე.

ამგვარად ერთიანი ევროპა ექვსის ნაცვლად უკვე ცხრა წევრს აერთიანებდა. უნდა აღვნიშნოთ რომ ამ დროს მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპას თავს დაატყდა ახალი ტიპის ეკონომიკური კრიზისი.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (ოპეკი) გადაწყვიტა მნიშვნელოვნად გაეზარდა ფასი ბარელ ნავთობზე და ამით მხარი დაეჭირა არაბეთისთვის ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში. (კიპურის ომის 1973 წლის ოქტომბერი). ამასთანავე 1975 წელს ჟან მონემ გადაწყვიტა დაეშალა თავისი მოძრაობა ევროპის შეერთებული შტატებისთვის.

ამ ევროპის მშენებლობის თავკაცმა სიცოცხლის ბოლო წლები მემუარების წერაში გაატარა, სადაც ის ცდილობს დაგვანახოს თავისი მოქმედებების მნიშვნელობა თავისი მეტად დატვირთული ცხოვრების გზაზე.

ევროპის საბჭოსკენ. სანამ განვიხილავთ ევროპის ერთობის გაფართოების მეორე ფაზას, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ საერთო პილიტიკამ მცირედით წაიწია წინ. ასევე ინსტიტუციონალური თვალსაზრისით განხორციელდა ორი დიდი რეფორმა.

თავდაპირველად,განხორციელდა ჟან მონეს ჩანაფიქრი და შეიქმნა ევროპის საბჭო. მის შექმნას მხარი აუჭირა ჟორჟ პომპიდუმ, ჰეატჰ და ბრანდტმა.

მისი შექმნა დასრულდა მაშინ, როცა საფრანგეთის პრეზიდენტი იყო ვალერი გასპარ დ'ესტენი, (1974 წლის 19

მაისიდან), გერმანიის კანცლერი იყო ჰელმუდ შმიდტი (14 მაისი), ბელგიის პრემიერ-მინისტრი იყო ლეო ტინდემანი.

წელიწადში სამჯერ სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურები იკრიბებოდნენ ევროპის საბჭოზე, რათა ორგანიზება გაეწიათ პოლიტიკური თანამშრომლობისთვის. მინისტრთა საბჭო კი იკრიბებოდა ჯგუფებად სფეროების მიხედვით და ყოველი ჯგუფი განიხილავდა ერთ კონკრეტულ სფეროს. მაგალითად: სოფლის მეურნეობის საკითხებს, ფინანსებს, ეკონომიკას და ა.შ. არსებობდა უამრავი ტექნიკური პრობლემა, ევრო საბჭომ შემოიტანა სინთეზური შეხედულებები.

ევროპის საბჭომ შექმნა საარბიტრაჟო სასამართლოები, იძლეოდა დირექტივებს. 1979 წელს ევროპის სავალუტო სისტემის შექმნა ამის ნიშანი იყო.

ევროპის პარლამენტის არჩევა საყოველთაო არჩევნების საშუალებით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე ინსტიტუციონალური რეფორმაც. საყოველთაო არჩევნების საშუალებით არჩეულ იქნა ევრო პარლამენტი. ამის გადაწყვეტილება მიიღო ევრო საბჭომ 1976 წლის 15 ივლისს.

გადაწყდა ევრო პარლამენტში იქნებოდა ხუთი წლით არჩეული 410 დეპუტატი. გერმანიიდან, იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან საფრანგეთიდან იქნებოდა 81 დეპუტატი, თითო ქვეყნიდან, ჰოლანდიიდან აირჩევდნენ 25 დეპუტატს, 24 ბელგიიდან (აქედან 12 უნდა ყოფილიყო ფლამანდიელი და 12 ვალონი), 16 დანიიდან, 15 ირლანდიიდან და 6 ლუქსემბურგიდან, 24 საბერძნეთიდან, მისი კავშირში მიღების შემდეგ.

ყველა ქვეყანა ირჩევდა თავისი საარჩევნო სისტემის მიხედვით. გამოკითხვების მიხედვით დადგინდა, რომ ეს რეფორმა მოიწონა საზოგადოებამ და 1979 წლის 7-10 ივნისს ჩატარდა არჩევნები. ევრო პარლამენტში აღმოჩნდა 48 კომუნისტი, 125 სოციალისტი და დანარჩენები სხვა პარტიების წარმომადგენლები.

1984 წლის ევროპული არჩევნების შედეგად, ევრო პარ-

ლამენტში მხოლოდ 42 კომუნისტი მოხვდა 48 ნაცვლად. (1 დანიიდან, 10 საფრანგეთიდან, 4 საბერძნეთიდან და 27 იტალიიდან)., ხოლო სოციალისტების რიცხვი 125-დან 132-მდე გაიზარდა. ლიბერალების რაოდენობა იგივე იყო, მაგრამ აირჩიეს 16 უკიდურესი მემარჯვენე, მათგან 10 იყო ფრანგი.

ცხრიდან ათამდე და თორმეტამდე. ერთობის მეორე გაფართოება შეეხო სამხრეთს. საბერძნეთი 1861 წლიდან კანდიდატურა იყო. 1975 წელს ხელახლა დააააყენა თავისი კანდიდატურა და 1981 წელს მიიღეს.

ესპანეთმა გაერთიანებაში შესვლაზე განაცხადი გააკეთა 1977 წლის 27 ივლისს, სუარესის ზომიერი ხელისუფლების დროს.

პურტუგალიამ ესპანეთზე ერთი წლით ადრე 1976 წლის 28 მარტს დააყენა თავისი კანდიდატურა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყანამ ბევრი რამ გააკეთა რომ დემოკრატიული გზით ევროპისკენ წასულიყო. ევროპის საბჭოში პორტუგალია 1976 წელს მიიღეს, ხოლო ესპანეთი 1977 წელს.

ისევ იჩინა თავი სირთულეებმა წევრ ქვეყნებს შორის. კერძოდ საფრანგეთი და იტალია შიშობდა რომ იბერიის ნახევარკუნძულის ორი ქვეყანა შედარებით იფად გაყიდდა წარმოებულ ღვინოს, ხილსა და ბოსტნეულს. მოლაპარაკებები საკმაოდ გაჭიანურდა და მხოლოდ 1986 წლის 1 იანვარს დასრულდა.

არც ნაციონალურ ინტერესებს მოკლებული მმართველობა, არც საერთო თავდაცვა, არც საერთო ფულადი სისტემა, არც ეკონომიკური გაერთიანება ამ დროს არ არის საბოლოოდ დამთავრებული. ასეთი ვითარება იყო დასავლეთით თავმოყრილ ვიწრო ევროპაში.

20
კომუნიზმის მარცხი და ევროპა

1985 წლის შემდეგ ევროპაში უჩვეულო ცვლილებები მოხდა, თანაც იმდენად ჩქარა რომ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ამ მოვლენებით შეგულიანებულმა გადავწყვიტე ამ უკანასკნელ თავში ყველა საკითხს ერთად გადავავლო თვალი. ორპოლუსიანი მსოფლიო, ზეშეიარაღებული, „შიშით გაწონასწორებული" შედეგი იყო „რკინის ფარდის", რომელიც დასავლეთ ევროპას სსრკ-ს სატელიტი აღმოსავლეთ ევროპისაგან ყოფდა. ეს ყველაფერი ექვს წელიწადში გაუჩინარდა და დატოვა უზარმაზარი რაოდენობა პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და საუბედურო სამხედრო პრობლემებისა.

I. ევროპული კომუნიზმის კრახი. გორბაჩოვი, „პერესტრიოკა" და „გლასნოსტ".

1985 წლის 11 მარტს, როცა 54 წლის მიხეილ გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდა, ის ბევრად ახალგაზრდა იყო წინამორბედზე, ფიქრობდნენ რომ ის, „ბრეჟნევის ხანას" გააგრძელებდა, ანუ გააგრძელებდა გამალებულ შეიარაღებას და ეცდებოდა ახალი ტერიტორიები მოექცია გავლენის ქვეშ. „ისტორიის მსვლელობა" ხომ მარქსიზმ-ლენინიზმს პირდებოდა, საკუთარი „კანონის" მიხედვით მთელი მსოფლიოს უცილობელ დაპყრობას? მსგავსი არაფერი მოხდა. 1986 წლის თებერვალში კომპარტიის XXVII ყრილობაზე ბრეჟნევის მეთოდი განწირული იყო. გორბაჩოვმა გამოაცხადა რომ უნდა გადაისინჯოს სახელმწიფო პოლიტიკა. თავის სიტყვაში მან გამოიყენა ორი რუსული სიტყვა, რომელსაც ამის შემდეგ მთელი მსოფლიო იმეორებდა: „პერესტრიოკა", ანუ გარდაქმნა და „გლასნოსტ" ანუ გამჭვირვალობა: ტყუილების, თვითკმაყოფილებისა და „ხის ენაზე" ლაპარაკს უარი ეთქვა. ამიერიდან ნებადართული იყო

მარცხისა და შეცდომების კრიტიკა.

მაშინ როცა გარდაქმნა წინააღმდეგობებს გადააწყდა (კომუნიზმიდან, მთავარი მიზნიდან გადახვევა?), გლასნოსტს ბრწყინვალე შედეგი ჰქონდა. მაგალითად აღმოაჩინეს რომ ზოგადად სტატისტიკა ტყუილი იყო, დამნაშავეობა, რომელსაც აქამდე მალავდნენ, საკმაოდ გავრცელებული იყო სსრკ-ში. უკრინაში ჩერნობილის ატომურ სადგურზე მომხდარი ავარიის გარდა, რომელიც გორბაჩოვმა გამოაცხადა, მომხდარი იყო კიდევ სხვა, ასევე მძიმე უბედური შემთხვევები, რომელთა შესახებ არავინ იცოდა. ამის გამო გარემოს დაბინძურება, როგოც სსრკ-ში ისე სატელიტ ქვეყნებში ძალიან მაღალი იყო. ათწლეულები საბჭოთა კავშირი იკვეხნიდა, რომ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და ამით მრავალი მოაზროვნეს თვალებია აუხვია, მაგრამ როგორც ერთ-ერთმა საბჭოთა მინისტრმა განაცხადა 1989 წელს, ეს ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. სამრეწველო ჩამორჩენა უზარმაზარი იყო. ალაპარაკდნენ სტალინის დანაშაულობებზე, რომ მისმა რეპრესიებმა მილიონობით ადამიანი შეიწირა, ასევე აშკარა გახდა ლენინის მიერ მრავალი დანაშაული, ისიც უპირეტესობას საკონცენტრაციო ბანაკების სისტემას ანიჭებდა.

ადვილი მისახვედრია რამხელა ვნებათაღელვას გამოიწვევდა ეს ყველაფერი იმ პატიოსან ადამიანებში, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ პროლეტარიატის საკეთილდღეოდ იბრძოდნენ.

„დესატელიზაცია“: პოლონეთის მაგალითი. ბრძოლა და ამბოხება. შეიძლება ითქვას, რომ ყველა სატელიტს თავისუფლების მაგალითი პოლონეთმა მისცა. პოლონეთში ოფიციალური პროფკავშირის საპირისპიროდ შეიქმნა ოპოზიციური პროფკავშირული გაერთიანება, რომელიც არ იზიარებდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიებს. გდანსკელმა მუშამ ლეხ ვალენსამ შექმნა პროფკავშირი სახელად „სოლიდარნოსტ“ - სოლიდარობა. საბჭოთა მუქარის ქვეშ რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა იარუზეცკიმ გამოაცხადა „საომარი მდგომარეობა“ და ვალენსა მაშინვე დააპა-

ტიმრეს. მაგრამ პერესტრიოკამ თავისი გავლენა მაინც მოახდინა და 1989 წლის ივნისის არჩევნებზე, სოლიდარობის ყველა კანდიდატურა აირჩიეს. მან თავის მხარეს გადაიბირა პატარა პარტიები, რომლებიც აქმდე კომუნისტებთან თანამშრომლობდნენ და არა-კომუნისტები უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. პირველად აღმოსავლეთ ევროპაში, სახელმწიფოს მეთაური გახდა არა კომუნისტი. 1990 წელს, ვალენსა დათანხმდა გამხდარიყო ქვეყნის პრეზიდენტი. პაპის იოანე პავლე მეორის თავის სამშობლოში მოგზაურობას დიდი ტრიუმფი მოყვა (1991წ). 1991 წლის ოქტომბერში გაიმართა ნამდვილად თავისუფალი არჩევნები და კომუნისტები გამანადგურებლად დამარცხდნენ. პოლონეთის გასაოცარი მაგალითი იმაში მდგომარეობს, რომ კომუნიზმის ყველაზე დიდი მტერი და მისი დამამარცხებელი მუშა აღმოჩნდა.

დესატელიზაცია: უნგრეთი, გონივრული ევოლუცია. 1956 წელს წითელი არმია შეიჭრა უნგრეთში და ამგვარად ხელი შეუშალა ლიბერალური კომუნიზმის განვითარებას. ხელისუფლებაში მოვიდა იანოშ კადარი. მისი წინამორბედი „ლიბერალი" იმრე ნაგი საბჭოთა ხელისუფლებას გადაეცა, და მიუხედავად ყველა დაპირებისა დაიჭირეს. იანოშ კადარმა შეარბილა სისტემა და დაშორდა ორთოდოქსულ კომუნიზმს. მაგრამ ქვეყანა უფრო შორს, რომ წასულიყო საჭირო გახდა კადარის თავიდან მოცილებაც. პერესტროიკის გავლენით, ოცდაათწლიანი სამსახურის შემდეგ კადარი დააწინაურეს და გადაიყვანეს მეტად საპატიო თანამდებობაზე. რის შემდეგაც რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა არა-კომუნისტი ბრუნო სტრაუბი. ქვეყნის შიგნით გაიზარდა თავისუფლების დონე და შეიქმნა მრავალი კერძო კლუბი თუ ასოციაცია, ეს კი სრულიან შეუძლებელი და მიუღებელია წმინდა ავთენტურ კომუნიზმში. ადამიანის თავისუფლებაზე უნგრელებს იგივე შეხედულება ჰქონდათ, რაც დასავლეთ ევროპაში მცხოვრებთ. უნგრეთის მთავრობამ გადაწყვიტა: 1) გაეხსნა საზღვარი ავსტრიასთან. (ეს იყო რკინის ფარდის პირველი გარღვევა); 2) იმრე ნაგის

რეაბილიტაცია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ უნგრეთისა და პოლონეთის შემთხვევაში სსრკ თითქმის ჩუმად იყო. მაგრამ სხვა „სატელიტების" განთავისუფლების პროცესს (რუმინეთი, გდრ, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია) აღშფოთებული შეეწინააღმდეგა.

პროცესები სწრაფად განვითარდა. უნგრეთის მუშათა სოციალისტური პარტიის ყრილობაზე, ანუ კომუნისტებმა, გადაწყვიტეს პარტია გაუქმებულად გამოეცხადებინათ და მის ნაცვლად შექმნეს უნგრეთის სოციალისტური პარტია. რომელიც მისი თავმჯდომარის რესზო ნიერისის თქმით „აღარ უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტია". უნგრეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1989 წელს საბჭოთა ჯარების უნგრეთში შეჭრის ოცდაათი წლის აღსანიშნავად უზარმაზარი მანიფესტაცია მოეწყო. ხელისუფლებამ გამოაცხადა რომ სოციალისტური რესპუბლიკა შეიცვალა უნგრეთის რესპუბლიკით. 1990 წლის მარტისა და აპრილის არჩევნების შედეგად შეიქმნა ლიბერალური მთავრობა.

ჩეხოსლოვაკიის უეცარი დესატელიზაცია. ძალიან დიდი განსხვავებაა უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის დესატელიზაციას შორის. ჩეხოსლოვაკიაში წითელი არმია უნგრეთის მსგავსად 1968 წელს შევიდა. უნგრეთი თავისუფლებისკენ ნელა მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში ყველაფერი უეცრად მოხდა 1989 წლის დეკემბერში. სტუდენტებისა და „77-იანელთა დაჯგუფების" წინააღმდეგობრივი მოძრაობა, რომელსაც მწერალი ვაცლავ ჰაველი მართავდა იდევნებოდა პოლიციის მიერ. მთავარი მოვლენები 1988 წელს განვითარდა. „პრაღის გაზაფხულის" ყოფილი მეთაური დუბცეკი ხელახლა გამოჩნდა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მთავრობის მეთაური ჰუსაკი ცდილობდა ხელისუფლება შეენარჩუნებინა, მაგრამ სახალხო გამოსვლებმა ამის საშუალება არ მისცა. ჰუსაკმა მთავრობის მეთაურად მარიან კული დატოვა. ახალი მმართველი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ხალხის მოთხოვნას დაეთანხმა. მას აიძულეს გამოეცხადებინა, რომ კომუნისტური პარტია უარს ამბობს მმართველის როლზე, მარქ-

სიზმ-ლენინიზმის თეორიაზე, რომ კომუნისტური პარტია არის „პროლეტარიატის ავანგარდში". ჰუსაკი გადადგა. ჰაველი ციხიდან გაანთავისუფლეს და 1990 წლის ივნისში თავისუფალ არჩევნებზე, ხმათა დიდი უმრავლესობით ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს. აქვე შეგახსენებთ რომ ლეხ ვალენსა და ვაცლავ ჰაველი ორივე ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ მშვიდობის დარგში.

დესატელიზაცია: გდრ და ბერლინის კედლის დანგრევა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები, ინჟინრები, ტექნიკური მუშაკები, ინტელიგენცია და სხვები მასიურად გარბოდნენ დასავლეთ ბერლინში ცხოვრების მაღალი დონის გამო. იმისათვის რომ ამ გაქცევებისთვის ბოლო მოელოთ, ხრუშჩოვის მითითებით გდრ-ს ხელისუფლებამ ბრძანა აეშენებიათ უზარმაზარი კედელი, რომელიც ერთმანეთისაგან გაყოფდა აღმოსავლეთ საბჭოთა გერმანიასა და დასავლეთ გერმანიას. დასავლეთ გერმანიაში მას „სამარცხვინო კედელს" ეძახდნენ, ხოლო აღმოსავლეთში „სახელმწიფო საზღვარს". რკინის ფარდა გაამაგრეს მავთულხლართებით, ნაღმებითა და იარაღშემართული მესაზღვრეებით, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ ურჩების მოსაკლავად. კედელმა როგორც ამ რკინის ფარდის სახემ დიდ სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. პოტენციური გამქეცევის დანახვაზე გერმანელი პოლიციელი ხშირად ამბობდა „ეოპოს" — ესროლე (ვისვრი). ამ გამოთქმის სიხშირე მოწმობს თუ რამდენად დაშორებული იყო კომუნისტური რეჟიმი დემოკრატიას. მოგვიანებით დააკავეს კომუნისტური გერმანიის მეთაური ერიხ ჰონეკერი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ათეულობით უდანაშაულო მსხვერპლზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჰონეკერი აცხადებდა, რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო, ხალხი მის აზრს არ იზიარებდა. 1989 წელს გდრ იზეიმა შექმნის ორმოცი წლის იუბილე, მას თვით გორბაჩოვიც ესწრებოდა. ამ დრო დაიწყო გერმანელების დიდი მიგრაცია დასავლეთში. უნგრეთში, აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეებს ჯერ

კიდევ თავისუფლად შეეძლოთ გადასვლა და შვებულების გატარება. როგორც ვთქვით ამ დროს უნგრეთმა საზღვარი გახსნა ავსტრიასთან. ასი ათასი აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქე მიაწყდა საზღვარს. გერმანელების შედარებით მცირე ნაკადი გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში და იქ გახსნილი დასავლეთის ქვეყნების საელჩოების გზით ცდილობდნენ ქვეყნიდან გასვლას.

მაგრამ მთავარი სახალხო მოძრაობა, რომელმაც წერტილი დაუსვა ყველაფერს, ჯერ კიდევ წინ იყო. პოლონეთის მსგავსად, სადაც კათოლიკური ეკლესია, წინააღმდეგობის მოძრაობის ერთგვარ „ბაზად“ იქცა, პრუსიასა და საქსონიაში იგივე ფუნქცია შეასრულა ლუთერანულმა ეკლესიამ. ხშირად სწორედ ეკლესიებიდან იწყებოდა დიდი სახალხო მანიფესტაციები. სახელდობრ, აღმოსავლეთ ბერლინში, დრეზდენში და განსაკუთრებით ლეიფციგში. ხალხის მასის წინააღმდეგ ჰენეკერმა ვერაფერი გააწყო და იძულებული გახდა გადამდგარიყო. მისმა შემცვლელმა ეგორ კრენცმა გადაწყვიტა გაეხსნა ბერლინის კედელი. მაშინვე დაიწყეს კედლის ნგრევა და მალე მთლიანად აიღეს. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა 1989 წლის 9 ნოემბერს მოხდა. მიუხედავად ასეთი დათმობისა კრენცი მაინც კომუნისტი ლიდერი იყო და ის იძულებული გახდა გადამდგარიყო. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ ხელისუფლებაში მონოპოლია დაკარგა. ჩატარდა თავისუფალი არჩევნები. გდრ უკვე აღარ იყო სსრკ-ს სატელიტი ქვეყანა. მიუხედავად იმისა რომ ქვეყანაში 300 000-იანი წითელი არმია იდგა არავითარი პოლიტიკური პრობლემა არ შექმნილა. პირიქით, სამშობლოში გაწვევა მათ ძალიან ძვირი დაუჯდათ, ამასთან დანგრეულ სსრკ-ს ისინი უკვე აღარ სჭირდებოდა.

გდრ-ის დესატელიზაცია არ შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო. 1949 წლიდან გერმანია ორ სახელმწიფოდ იყო გაყოფილი. დასავლეთმა წამოაყენა წინადადება გერმანიის გაერთიანება მომხდარიყო თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. სსრკ და მის სატელიტელიტებს ეს სულაც არ სურდათ, და მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ „ქვეყნიდან ქვეყანაში“, რომ შეუძლებელი იყო 50 მილიონიანი თავი-

სუფალი ქვეყნის თანასწორობა 17 მილიონიან „შეზღუ-
დული სუვერენიტეტის“ მქონე ქვეყანასთან. ყველა გერ-
მანელისთვის როგორც სენტიმენტალურად, ასევე რაციონა-
ლურად, გერმანიის გაერთიანებას წმინდათა წმინდა მნიშვ-
ნელობა ქონდა. მათ ესმოდათ რომ ბერლინის კედლის დან-
გრევის შემდეგ ეს მათი მთავარი საზრუნავი იყო. 1990
წლის თაებერვლის შემდეგ გაერთიანების პრინციპი გამო-
ინახა. არსებობდა მნიშვნელოვანი სირთულე: გფრ ნატოს
წევრი იყო, ხოლო გდრ ვარშავის პაქტის, ანუ მოწინააღ-
მდეგე ბანაკი. გორბაჩოვი ყველაფერს აკეთებდა, რომ გდრ
არ შესულიყო ნატოში. მაგრამ დათმობა მოუხდა. 1990
წლის 1 ივლისს მოხდა ფულადი გაერთიანება. დასავლეთ
გერმანიაში ეროვნულ ვალუტად გამოცხადდა გერმანული
მარკა, რაც ძალიან ძვირი დაუჯდა დასავლეთ გერმანიას.
1990 წლის 16 ივლისს, დიდი კრიზისის დროს, გორბაჩოვი
დათანხმდა ყოფილი გდრ გამხდარიყო ნატოს წევრი. ვარ-
შავის პაქტი დაიშალა. 1991 წლის 28 ივნისს ასევე და-
იშალა ეკონომიკური კავშირი, რომელიც 1949 წელს შექმნა
სტალინმა და ეწოდებოდა „მრავალმხრივი ურთიერთ-
დახმარების საბჭო“. მას დასავლეთში კომეკონს ეძახდნენ.
ამ ცვლილებების შემდეგ, 1990 წლის 2 დეკემბერს, ორივე
გერმანიაში გაიმართა თავისუფალი არჩევნები. არჩევნებში
მონაწილეობდა გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარ-
ტია და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ქრის-
ტიან-დემოკრატებმა არჩევნებში გაიმარჯვეს. (ჰელმუდ
კოლი დასავლეთიდან, ლოთარ დე მაიზიერი აღმოსავლე-
თიდნ). ბერლინის კედლის დაცემიდან ერთი წლის შემდეგ,
1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანია გაერთიანდა. ამი-
ერიდან ევროპის ცენტრში იყო ოთხმოც მილიონიანი გერ-
მანია. მისი აღმოსავლეთ ნაწილი ბევრად ჩამოუვარდებოდა
დასავლეთს, ამიტომ საჭირო იყო უამრავი ძალისხმევა და
თანხები რათა აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთს გათანაბ-
რებოდა. ათწლეულების მანძილზე ჩაკეტილმა საზღვარმა,
ორივე მხრიდან წარმოშვა ორი „იკონიგრაფია“, როგორც
ამას ფრანგი გეოგრაფი ჟან გოტმანი უწოდებს, ანუ ორი
განსხვავებული აზროვნების სისტემა. ეკონომიკურმა სირ-

თულეებმა ყოფილი გდრ-ის მრავალ ქალაქში გამოიწვია მემარცხენეების, კომუნისტებისა და ასევე რასისტების გამოსვლები, მაგრამ გერმანელთა დიდი ნაწილი მათ არ შეუერთდა.

დაუსრულებელი დესატელიზაცია: რომინეთი და ბულგარეთი. ნამდვილად უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს რომ, საბჭოთა სისტემის დანგრევამ გასაქანი მისცა ეროვნულ თავისუფლებას, მაგრამ კომუნისტური პარტია კვლავ ინარჩუნებდა ხელისუფლებას.

რუმინეთი საბჭოთა ჯარებს არ დაუპყრიათ. იგი არასოდეს ერიდებოდა წინააღმდეგობა გაეწია სსრკ-სთვის. მაგალითად გაეროში კენჭისყრის დროს რუმინეთი ზოგჯერ არ იზიარებდა სსრკ-პოზიციას, ზოგიერთი რუმინელი კი დაუფარავად ითხოვდა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის დაბრუნებას, რომლის ანექსიაც სსრკ-მ მოახდინა 1940 წელს.

1989 წლის რევოლუციური დღეები დამთავრდა რუმინეთის კომუნისტი დიქტატორის ჩაუშესკუს ჩამოგდებით. იგი დაიჭირეს, საეჭვო ვითარებაში ძალიან სწრაფად გასამართლეს და მეუღლესთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. ახალი პრეზიდენტი გახდა ყოფილი კომუნისტი ილიესკუ. მას დემოკრატები ხშირად ეკითხებოდნენ, ხომ არ იზიარებდა ყოფილი პარტიის იდეებს. ის ზოგჯერ იყენებდა, მეტნაკლები წარმატებით, კომუნისტ მემარჯვენეთა ჯგუფებს. რუმინეთისთვის სირთულეები გარედან მოდიოდა. ტრანსილვანიაში ცხოვრობდა ორი ეთნიკური უმცირესობა უნგრელების (7,6% ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის) და გერმანელების.

ბულგარეთში, ოცდათხუტმეტწლიანი მმართველობის მერე, თეოდორ ჟივკოვი, 1989 წლის 10 ნოემბერს თანამდებობიდან გადააყენეს და პარტიიდან გარიცხეს. კომუნისტური პარტიის სავალდებულო უმრავლესობის ხანა დასრულდა. 1990 წლის ივნისში, ყოფილმა კომპარტიამ, „სოციალისტური პარტიის“ სახელით მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და მოიპოვა უმრავლესობა, თუმცა მას ყავდა

ძლიერი ოპოზიცია „დემოკრატიული ძალების გაერთიანების“ სახით. მან კი სამართლიანად მოიპოვა წარმატება 1991 წლის ოქტომბერი.

II. სსრკ-ს და ევროპის საზღვარი

ევროპისთვის მარადიული კითხვა იყო ცოდნოდა სად გადიოდა მისი აღმოსავლეთ საზღვარი. გეოგრაფიულად ამის გაკეთება შეუძლებელია რადგან ევროპა არის აზიის კონტინენტის დიდი ნახევარკუნძული. სასწრაფოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წმინდა გეოგრაფიული პრობლემა რომ იყოს (როგორ განვსაზღვროთ ევროპა), მას სულაც არ ექნებოდა პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ წიგნის პირველ გამოცემაში აღვნიშნე, რომ „რკინის ფარდა“ ხელოვნური, აბსურდული, მაგრამ ისტორიული საზღვარია ევროპის. 1989 წლიდან ეს ისტორიული რეალობა უკვე აღარ არსებობს. თუ რუსეთს ევროპად არ ჩავთვლით (ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით), საბჭოთა კავშირის დაშლამ ევროპის მომავალზე მოახდინა იმავდროულად უდიდესი და გაუთვალისწინებელი გავლენა.

საბჭოთა კავშირის დაშლა. ჩვენ არ მოვყვებით დაწვრილებით აღწერას იმ დაუჯერებელი და ერთმანეთთან შეუსაბამო მოვლენებისას, რომლებმაც თითქმის სამ წელში უდიდესი ყოვლისშემძლე იმპერიის დაშლა გამოიწვია, არამედ შევეხებით მხოლოდ ევროპისთვის მნიშვნელოვან მთავარ საკითხებს. საკვირველი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „პერესტროიკა“ ყველას არ მოსწონდა. მათ შორის იყო პარტიის მეორე კაცი იგორ ლიგაჩოვი, რომელსაც ბრეჟნევის ხანა ენატრებოდა. ზოგი კი ფიქრობდა რომ რეფორმები ძალიან ნელა ხორციელდებოდა. გორბაჩოვი ცდილობდა მიეღწია შეთანხმება კომუნისტებსა და ლიბერალებს შორის. რეფორმატორთა ლიდერად მოგვევლინა ქალაქ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბორის ელცინი. იგი წარმოშობით ურალიდან, კერძოდ სვერდლოვიდან იყო. თავდაპირველად მას გორბაჩოვი მფარველობდა,

მაგრამ 1987 წლიდან ელცინი მის მოწინააღმდეგედ იქცა. იგი პოლიტბიუროდან გარიცხეს. მოსკოვში ის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. დადიოდა ქარხნებში და მუშებს მოუწოდებდა ებრძოლათ „აპარატჩიკების" პრივილეგიების წინააღმდეგ. (ძვირადღირებული მაღაზიები, აგარაკები, საავადმყოფოები, განსაკუთრებული რესტორნები). 1991 წლის დასაწყისში ამ მოძრაობის მეთაურია.

ბორის ელცინი იმით არის განსაკუთრებული, რომ მან რუსეთში გააღვიძა ეროვნული გრძნობები. მან რუსებს მოუწოდა თავისუფლებისკენ, ეს სიტყვა აქამდე უცნობი იყო რუსი ხალხისთვის, რომელიც ჯეს რუსი მეფეების ხელში იყო, შემდეგ ბოლშევიკების. მას სურდა რუსეთის აბსოლუტური თავისუფლება, კომპარტიის ხელისუფლებიდან გაქრობა. გორბაჩოვი ცდილობდა როგორმე შეენარჩუნებია სსრკ, მაგრამ ელცინს მისი დაშლა არ ეეჭვებოდა. რუსეთის სამფეროვანმა დროშამ (ჰორიზონტალურად წითელი, ლურჯი და თეთრი) წითელი ნამგალი და ურის გამოსახულებიანი დროშა შეცვალა. მარქსისა და ლენინის ძეგლები ჩამოაგდეს.

1991 წლის 12 ივნისს რუსეთში გაიმართა თავისუფალი, მრავალპარტიული, ფარული არჩევნები. (სსრკ-ს მოსახლეობა იყო 280 მილიონი, ხოლო რუსეთის 150 მილიონი.). ელცინი პირველივე ტურში რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს.

გორბაჩოვის ძალაუფლება სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამგვარ უჩვეულო დამდაბლებას კი ისინი დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. 16 აგვისტოს კომუნისტებმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს და გორბაჩოვი შიდაპატიმრობაში აიყვანეს. მაგრამ გადატრიალება ცუდად იყო ორგანიზებული, და სამ დღეში ჩავარდა. აქაც ელცინის გამბედაობამ დიდი როლი ითამაშა. კომპარტიის დაშლის შემდეგ ხალხი საიდუმლო პოლიციის, კგბ-ს შენობაში შეიჭრა. 1991 წლის 25 დეკემბერს გორბაჩოვი გადადგა და სსრკ ოფიციალურად დაიშალა.

ამ მოვლენებიდან, ჩვენ რამდენიმე საკითხს გამოვყოფთ. მთავარი არის ნაციონალიზმი, მაგრამ სანამ ამაზე ვილა-

პარაკებთ, შევჩერდეთ ზოგიერთ საკითხზე, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინა მთელ ევროპაზე.

მოძღვრების განადგურება. მარქსიზმ-ლენინიზმი გამოცხადდა „მეცნიერებად" რომლის ჭეშმარიტება დაამტკიცა ისტორიამ. იგი შეიცავდა პოსტულატებს, აქსიომებსა და დოგმებს.

XX საუკუნეში ისტორიამ მარქსიზმ-ლენინიზმი მრავალ ძირითად საკითხში გაამტყუნა.

1. კლასთა ბრძოლა არ არის ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, ამ ფუნქციას ეროვნული გრძნობები ასრულებს.

2. მცირე და საშუალო ბურჟუაზია არ არის პროლეტარიატი. პროლეტარიატი თითქმის შეუერთდა მცირე ბურჟუაზიას. ეს სულაც არ არის საკვირველი, რადგან ის უკვე აღარ არის ღარიბი. უკვე აღარ დგას კლასების დაპირისპირების საკითხი. მარქსისა და ენგელსის 1848 წლის მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", მხოლოდ დროებითი იყო.

3. ის მოსაზრება რომ „კაპიტალიზმიდან თავისუფალ ქვეყნებს შორის უთანხმოება არ იქნება, ესეც მცდარი არმოჩნდა. (სსრკ ჩინეთის დაპირისპირება, ჩინეთ ვიეტნამის დაპირისპირება, ვიეტნამ კამბოჯის კონფლიქტი და ა.შ.)

4. და ბოლოს: თავისუფლება არის ადამიანის მთავარი მისწრაფება. მას არ შეუძლის დაკმაყოფილდეს შევიწროებით, პოლიტიკური ციხეებით, გულაგებით. მარქსიზმ-ლენინიზმი მიზნად ისახავდა „სოციალიზმს დაეპყრო მსოფლიო, მაგრამ იქამდე მივიდა რომ თვითონ დაიშალა.

ჩანს რომ ისტორიის ამ მთავარმა გაკვეთილმა, გავლენა მოახდინა ევროპის კომუნისტურ პარტიებზე, საბჭოთა კავშირის დაშლამდეც. 1974-75 წლებში ესპანეთისა და პორტუგალიის დემოკრატიისაკენ შემობრუნებამ, ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიები საკმაოდ დააზარალა. კომპარტიას ხალმძღვანელობდნენ პორტუგალიაში სტალინის

მიმდევარი ალვარო კუნჩაკი, და ესპანეთში ზომიერი სანტიაგო კარილო და მათ 15% უჭერდა მხარს არჩევნებზე. (1976 წელს კი პორტუგალიაში 14,6%, ხოლო ესპანეთში 11%.)

დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი კომუნისტური პარტია იყო საფრანგეთსა და იტალიაში. 1976 წელს იტალიის კომუნისტურ პარტიას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 34,7%. ამის შემდეგ დაიწყო მომხრეთა დაკარგვა. მათ ხმათა გარკვეული რაოდენობა მოიპოვეს ევროპის 1998 წლის არჩევნებში (27,4%), მაგრამ ისინი სულ უფრო და უფრო ცილდებონდენ მარქსიზმ-ლენინიზმს. მათ უარი თქვეს ევრო პარლამენტში კომუნისტურ დაჯგუფებაში შესვლისა, შეიცვალეს სახელი და ეწოდათ სოციალ-დემოკრატიული პარტია.

საფრანგეთში, კომუნისტურმა პარტიამ ხმების მაქსიმალური რაოდენობა მოიპოვა 1948 წელს ეს იყო 28,5%. ამის შემდეგ დაიწყო კლება: 1973 წელს 21,3%, 1978 წელს 20,6%, 1981 წელს 15,3%, 1984 წელს 11,5%, 1989 წელს 7,7%.

თავისთავად ცხადია რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა და გააღრმავა. სსრკ ფინანსურად ეხმარებოდა დასავლეთში მოქმედ ზოგ კომუნისტურ პარტიას. ცხადია ახლა ამასაც ბოლო მოეღო.

ეკონომიკური კრახი. აქ არ დავიწყებთ ციფრებით ლაპარაკს მაგრამ ცხადვყობთ იმ ელემენტებს, რომელთაც ეს პროცესი გამოიწვიეს. ცნობილი მეცნიერი სახაროვი (იგი სსრკ-ში დემოკრატიისა და თავისუფლების პიონერი იყო, რის გამოც მრავალჯერ დაიჭირეს და გადაასახლეს) გარკვევით ამბობს, რომ სამოციან წლებში საბჭოთა კავშირში კვლევებს აფერხებდა ბიუროკრატია და გასაიდუმლოება. მაშინ როცა აშშ-ში სამხედრო საიდუმლოების გარდა, ყველა ლაბორატორია გახსნილი იყო და ისინი კვლევის შედეგებს ერთმანეთს უზიარებდნენ, სსრკ-ში ამისთვის საჭირო იყო ადმინისტრაციის ნებართვა, რომელსაც მაღალი პარტიული მუშაკი გასცემდა, მას კი ხშირად არაფერი

ესმოდა მეცნიერების. ეს კი უსასრულო შეფერხებებს იწვევდა. მიუხედავად იმისა რომ სსრკ-ს ქონდა უმნიშვნელოვანესი წარმატებები მეცნიერებებში, გამოგონებათა მხრივ ის ძალიან ჩამოუვარდებოდა აშშ-ს, იაპონიას და დასავლეთ ევროპას. რუსი მეცნიერების აღმოჩენები დღესაც მნიშვნელოვანია. მაგრამ ისინი ერთგვარად „შებოჭილები" იყვნენ. პატენტის ყიდვას აზრი არ ჰქონდა, რადგან როცა ამას მიაღწევდნენ, დასავლეთელი მეცნიერები უკვე ახალ ეტაპზე იყვნენ გადასული და თანაც ბევრად შორს. ამ დროს კი კგბ-ს 500 000-იან ანგენტთა არმიას, ემატებოდა უზარმაზარი ქსელი ინდუსტრიული შპიონაჟისა, და კომუნისტური პარტიის ერთგული აქტივისტებისა. როცა ზებგერითი საბჭოთა თვითმფრინავი, რომელიც საოცრად გავდა კონკორდს, ბურჟეს თავზე გამოჩნდა, ამას უკვე ანგარიში უნდა გაწეოდა. ასევე ცნობილი იყო, რომ საჭოთა ატომური წყალქვეშა გემები ზოგჯერ აქა-იქ დაცურავდნენ და არც თუ იშვიათად ახლოს ზედაპირთან. ბოლოს სპარსეთის ყურის ომის დროს, 1991 წელს, ცნობილია რომ ერაყელებს სწორედ საბჭოთა კავშირი ამარაგებდა იარაღით და აღმოჩნდა რომ ის არ ჩამოუვარდებოდა ამერიკულ შეიარაღებას.

ამ ისტორიული მოვლენების გაკვეთილი შემდეგია: მხოლოდ თავისუფლება იძლევა შემოქმედების საშუალებას. ეს დადასტურდა როგორც მეცნიერებისა და ინჟინრების მხრიდან, ასევე ხალხის მხრიდან. მხოლოდ ბაზარი და არა ზემოდან მოსული გეგმა იძლევა საშუალებას დადგინდეს ნამდვილი მოთხოვნები და მათი განვითარება.

სამწუხაროდ საკმარისი არ არის გამოვაცხადოთ საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა, რომ ის განხორციელდეს. ანტისაბჭოთა რევოლუციამ ბევრი დამახინჯებული ფაქტი გამოავლინა. იმისათვის რომ ყოფილი საბჭოთა პროდუქცია კონკურენტუნარიანი გამხდარიყო, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მასში უზარმაზარი თანხის ჩადება. ისევე როგორც ეს მოხდა გერმანიის შემთხვევაში, თუმცა ამასაც არ ჩაუვლია წინააღმდეგობების გარეშე.

დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც აქამდე თავი-

ანთ პროდუქციას საბჭოთა ქვეყნებში ყიდდნენ, დესატელიზაციის შემდეგ სხვა გზები უნდა გამოეძებნათ.

მეორეს მხრივ, კოლექტივებისა და სახელმწიფო ქონებისა პრივატიზაცია დიდ გაუგებრობაში მიმდინარეობდა. მრავალი საწაარმო ნამდვილი „მაფიის“ ხელში მოხვდა.

ბოლოს, აღმოსავლეთში ყველგან დაიწყო უმუშევრობა. რომელიც აქამდე საბჭოთა სისტემისთვის თეორიულად უცნობი იყო. (მართალია რომ გულაგების სისტემა უმუშევრობის აღმოფხვრაში ძალიან ეხმარებოდა და ამასთანავე თითქმის უფასო მუშახელით ამარაგებდა „პროლეტართა პარტიას“).

ადვილი მისახვედრია ბორის ელცინის მსგავსი სახელმწიფო მოღვაწე რამხელა წინააღმდეგობებს წააწყდებოდა. იზრდებოდა სირთულეები, სულ უფრ და უფრო მძაფრი იყო ოპოზიცია, არა მარტო კომუნისტებიის (ამიერიდან „კონსერვატორები“), არამედ ხალხისა და ინტელიგენციის რიგებში, რომელთაც არ ქონდათ საკვები და ხედავდნენ რომ მათი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა.

ამან სრულიად ახალი კავშირი წარმოშვა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის. აღმოსავლეთს დახმარება სჭირდებოდა. ნუთუ კრიზისი რომელიც მთელს მსოფლიოს მოედო მათ დააკავშირებდა?

თვისუფლების დაუძლეველი ხიბლი. მიუხედავად საშინელი გამოცდილებისა დასავლეთ ევროპამ ბრძოლით მოიპოვა ის უფლებები და თავისუფლებები რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს ღირსებას მატებს. ესენია ფიქრის, წერის, აღმსარებლობის, გაერთიანების, აზრის გამოთქმის, მიზნისთვის ბრძოლის თავისუფლება. ყოველივე ამას ზღუდავდა ძალადობრივი კომუნისტური რეჟიმი და არგუმენტად იშველიებდა, რომ ლიბერალიზმის მიერ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ „ფორმალობაა“ და ამით სინამდვილეში მდიდრები თუ სარგებლობენ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ქვრივმა ჟანეტ ვერმერშ-ტორესმა ერთხელ განაცხადა „საბჭოთა ადამიანი ფრანგზე ათასჯერ უფრო თავისუფალია“.

ეს შენიშვნა მართლაც რომ პატივსაცემია, მაგრამ თავად სსრკ-ს მოქალაქეებმა ცხადყვეს მისი მცდარობა. დასავლეთი ფიქრობდა რომ სსრკ-სთან ჰელსინკის შეთანხმების ხელისმოწერით 1975 წლის აგვისტოში მან წარმატებას მიაღწია. ამ შეთანხმების თანახმად იგი აღიარებდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. თუმცა სსრკ და მისი სატელიტი ქვეყნები კვლავ უკრძალავდენ თავიანთ მოქალაქეებს საზღვარგარეთ გასვლას, კვლავ განაგრძობდნენ ებრაელთა დისკრიმინაციას, ავიწროებდნენ მწერლებსა და მოაზროვნეებს. როცა დასავლეთი ამ მოქმედებათა გამო პროტესტს გამოთქვამდა, სსრკ შეახსენებდა მათ, რომ მათ მიერ აღიარებული ჩაურევლობის პრინციპის თანახმად დასავლეთს უფლება არ ქონდა სსრკ-ს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო.

თავად საბჭოთა მოქალაქეებს უნდა გაეხადა იძულებული საბჭოთა ხელისუფლება მათთვის ელემენტარული თავისუფლება მიეცა, ამის მისაღწევად კი სსრკ-ს დანგრევა გახდა საჭირო. ევროპისთვის გაკვეთილი ნათელი იყო. თავისუფლება ადამიანის ყველაზე დიდი საგანძურია, რომლისთვისაც ბრძოლა ნამდვილად ღირს. ამასთანავე თავისუფლება ყველაზე სათუთი მონაპოვარია ადამიანისა.

III. ეროვნული ცეცხლი

ევროპის შესახებ ყველა თანამედროვე მოსაზრებაში იკვეთება შემდეგი იდეა: შეიძლება თუ არა თანამედროვე ერებს ჩაენაცვლოს ერთიანი ევროპული ერი, შეძლებენ თუ არა ერები ერთმანეთთან გაერთიანებას როგორც გრძნობით, ასევე აზროვნებით და კულტურით? ზოგმა ისიც განიზრახა რომ შეიქმნეს რეგიონების ევროპა.

ჩვენი მიზანია ვიყოთ რეალისტები და საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „დესატელიზაციამ" და სსრკ-ს დაშლამ, გამოააშკარავა, რომ ევროპელი ერები განსაკუთრებით ძლიერები აღმოჩნდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთით ძალის მეშვეობით დამყარებული მშვიდობის გაუჩინარებამ (ხშირად ერთმანეთს ადარებენ „pax sovietica" და „pax roma-

na") გამოიწვია ძველი მტრების ხელახალი დაპირისპირება. ამან დიდი გავლენა იქონია დასავლეთ ევროპაზეც.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი. 1993 წლიდან ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის კავშირები ნელ-ნელა მოეშვა. ყოფილმა თერთმეტმა რესპუბლიკამ შექმნა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" (დსთ). სამმა სლავურმა სახელმწიფომ რუსეთმა (გადაჭიმულია წყნერ ოკეანემდე), უკრაინამ (ფლობს სოფლის მეურნეობისა და წიაღისეულის დიდი რესურსს) და ბელორუსიამ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. უკრაინასა და რუსეთს შორის გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა შეიარაღებასთან დაკავშირებით, სახელდობრ შავი ზღვის ფლოტთან დაკავშირებით, მაგრამ პრობლემა მალე მოგვარდა. ვიმედოვნებთ, რომ ჯერ ძალიან ადრეა რომ ეს ქვეყნები განვიხილოთ, როგორც „ევროპული" სახელმწიფოები.

1939-1940 წლებში სტალინმა მოახდინა სამი ბალტიისპირა სახელმწიფოს ანექსია (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). მათ ტერიტორიაზე რუსული მოსახლეობა საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. 80-იანი წლებიდან ბალტიისპირა რესპუბლიკებში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო. 1988 წელს შეიქმნა „ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია". ესტონეთის კომუნისტური პარტია, გამოეყო ერთიან კომუნისტურ პარტიას. დაიწყო დიდი სახალხო მანიფესტაციები. აღმართეს ესტონეთის დროშა და ესტონეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან საბჭოთა კავშირის ფედერალური კანონები ძალაში არ შევიდოდა, თუ მას არ დაეთანხმებოდა და არ დაამტკიცებდა ესტონეთის უზენაესი საბჭო. ეს ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალება იყო. მსგავსი პროცესები განვითარდა ბალტიის კიდევ ორ რესპუბლიკაში. გორბაჩოვი შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია ამ მოვლენებისთვის და სამივე ქვეყანაში საჯარისო ნაწილები გაგზავნა. მაგრამ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის შეჩერება შეუძლებელი იყო. მალე სამივე რესპუბლიკაში დაინიშნა მრავალპარტიული არჩევნები და

აირჩიეს საკუთრი პარლამენტი. 1990 წლის მარტში ბალტიისპირა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1991 წლის დასაწყისში კი საბჭოთა ჯარებმა ბალტიისპირეთი დატოვა. ბალტიის სახელმწიფოები 1991 წელს მიღებულ იქნა გაეროში.

სხაგვარი მდგომარეობა იყო შავიზღვისპირა რესპუბლიკაში მოლდავეთში (დედაქალაქი კიშინიოვი). გახდება კი ის დამოუკიდებელი? ისმოდა კითხვა, ხომ არ შეეცდება რუმინეთი კვლავ დაიკავოს ბესარაბია და ბუკოვინის ჩრდილოეთ ნაწილი, რომელიც 1940 წელს ჰიტლერთან შეთანხმებით სტალინმა მიისაკუთრა? მაგრამ ჩანდა რომ საზღვრისპირა ომი არ გაჩაღდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთი არ ითხოვდა კარელიის იმ ნაწილს, რომელიც სტალინმა დაიპყრო,არც პოლონეთი ითხოვდა თავის ტერიტორიებს ბელორუსიასა და უკრაინაში, რომელიც 1945 წელს ასევე სტალინმა სსრკ-ს შეუერთა, და ბოლოს ორივე გერმანია დათანხმდა „ოდერ-ნეიერის სასაზღვრო ხაზსს" პოლონეთთან. როგორც ცნობილია 1945 წელს საზღვარი მეტად უცნაურად გაიყო მოკავშირეებსა და სსრკ-ს შორის. შედეგად რუსეთის ნაწილი გახდა პრუსიის სამეფოს ნაწილი და ფილოსოფოს კანტის სამშობლო კენიგსბერგი. ამიერიდან ლიტვას დანარჩენი ევროპიდან უზარმაზარი სახელმწიფო ყოფდა.

ნაციონალიზმი ყოფილ სატელიტებში. 1919-1990 წლებში ევროპის რუკა ზოგადად არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით ომისდროინდელ შესწორებებს. ყველაზე მეტი ცვლილება შეეხო პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას. 1945 წელს სსრკ-მ მოახდინა კარპატებში რუტენის პიკის ანექსია. სტალინმა არა მარტო ხელში ჩაიგდო ეს პატარა ტერიტორია, არამედ ძალის გამოყენებით აიძულა მოსახლეობა გამოყოფოდა რომის კათოლიკურ ეკლესიას.

ამჟამად ეს ტერიტორია აღმოჩნდა უკრაინის შემადგენლობაში, მაგრამ მას დაუბრუნდა რელიგიური თავისუფლება. (სსრკ-ში რელიგიის ფენომენი უგულებელყოფილი

იყო, და ათეიზმს ქადაგებდნენ, მაგრამ 1988 წლიდან ყველაფერი შეიცვალა).

დესატელიზაციის შემდეგ, მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებებისა და არჩევნების მეშვეობით გაიყო ჩეხოსლოვაკია და შეიქმნა ახალი ტერიტორიული ერთეულები: ჩეხეთის რესპუბლიკა (ყოფილი ბოჰემიის სამეფო და ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ავსტრიული ნაწილი) და სლოვაკეთის რესპუბლიკა (რომელიც ოდესღაც უნგრეთის ნაწილი იყო და ძალიან განსხვავდებოდა ჩეხეთისგან). ამგვარად ევროპის გულში გადაჭიმული ჩეხოსლოვაკია, დიდი პოლიტიკოსების ტომას მასარიკისა და ედუარდ ბენეს ქმნილება გაუჩინარდა.

სხვა ყოფილ სატელიტებს გარკვეული მოთხოვნები ქონდათ ერთმანეთთან: უნგრეთი სლოვაკეთის სამხრეთ ნაწილზე აცხადებდა პრეტენზიას, პოლონეთი სილეზიის პატარა ნაწილზე. ტრანსილვანიასთან დაკავშირებით თავი იჩინა ახალმა საფრთხემ. პირველი მსოფლიო ომის დროს ანტანტის მოკავშირეობის გამო რუმინეთმა შეიერთა ეს სამხრეთ რეგიონი უილსონის, კლემანსოს და ლოიდ ჟორჟის თანხმობით. ამ რეგიონის მოსახლეობას გარდა რუმინელებისა შეადგენდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნგრელები და შედარებით მცირერიცხოვანი გერმანელები. 1940 წელს ჰიტლერის ნებართვით უნგრეთმა დაიკავა მისი ცენტრალური ნაწილი. 1944-54 წლებში თავისთავად ცხადია, სსრკ-მ ომამდელი მდგომარეობა აღადგინა.

ეროვნული ამბოხების წარმოშობის სათავეები **იუგოსლავიაში.** პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ სერბეთი დაეცვათ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის აგრესიისაგან. ამ დიდ მრავალეროვან იმპერიას ეშინოდა დაშლის, რადგან მის ქვეშევრდომ სლავებს, ანუ იუგოსლაველებს იზიდავდა სერბეთის დამოუკიდებლობა. გარდა ამისა იმპერიამ 1913 წელს შეიერთა მაკედონიის დიდი ნაწილი სამხრეთ სკოპიასთან ერთად. მას უნდოდა თავიდან აეცილებინა იტალიაში განვითარებული მოვლენები, სადაც პატარა სამეფოს პიემონის გამო ავს-

ტრია იტალიიდან გააძევეს. ავსტრია განაგებდა ჩრდილოეთით სლოვენიას და დასავლეთით, ადრიატიკის სანაპიროზე დალმაციას. უნგრეთი აკონტროლებდა ხორვატიას.

1908 წელს, ამ ორმაგი სამეფოს გასამტკიცებლად, ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ დაიკავა ბოსნია-ჰერცოგოვინა, რომელიც ნაწილობრივ მუსულმანებით იყო დასახლებული. რუსეთმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს დაეცვათ სერბეთის დამოუკიდებლობა, გერმანიამ კი მარტო ავსტრია-უნგრეთის იმპერიას დაუჭირა მხარი. მოკავშირეთა ამ თამაშს საშინელი გაუთვალისწინებელი შედეგი მოყვა: საშინელ ომს 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გამარჯვებულებმა ბუნებრივად მიიჩნიეს 1919 წელს შეექმნათ სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფო, რომელსაც საბოლოოდ იუგოსლავია ეწოდა. ეს ყველაფერი, თითქმის გონივრული გადაწყვეტილება იყო. სლოვენები ცოტათი განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ. სერბებს და ხორვატებს საერთო ენა ჰქონდად, მაგრამ სერბები კირილიცას იყენებდნენ, ხორვატები კი ლათინურ ანბანს. ხორვატები კათოლიკები იყვნენ, სერბები მართლმადიდებლები. ამ ორ ქრისტიანულ მიმდინარეობას შორის შუა საუკუნეებში ნამდვილი „რკინის ფარდა" აღიმართა, და მტრობის ცეცხლი ჯერ კიდევ ღვიოდა. ამას დავამატოთ ისიც, რომ 1913 წელს სერბების ანექსიის დროს ჩნდება სახელწოდება კოსოვო, ალბანურ ენაზე.

მეორე მსოფლიო ომამდე ხელისუფლება სერბების ხელთ იყო. 1941 წელს ჰიტლერი თავს დაესხა იუგოსლავიასა და საბერძნეთს. იუგოსლავია დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას გერმანელებს. საბერძნეთი, მედგრად ებრძოდა იტალელი ფაშისტების შემოტევებს, მაგრამ ვერმახტს წინააღმდეგობა დიდხანს ვეღარ გაუწია. იუგოსლავია დაიშალა.

ხორვატიის ხელისუფლებაში ფაშისტები მოვიდნენ, დაიპყრეს სერბეთი და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს.

იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიას სათავეში ედგა ხორვატი ჟოზეფ ბრისზი, იგივე ტიტო. იგი სათავეში ჩაუდგა პარტიზანულ მოძრაობას, დაამარცხა ცხრა იტალი-

ური დივიზია და წითელი არმიის გარეშე გაანთავისუფლა თავისი ქვეყანა.

ტიტო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო, მიუხედავად იმისა რომ ის მხურვალე კომუნისტი გახლდათ, ის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი „სატელიზაციისა". მან შექმნა 1) ექვსი რესპუბლიკისაგან შემდგარი იუგოსლავიის რესპუბლიკა. 2) მიუხედავად სტალინის განაწყენებისა მან ყოველგვარი ვასალური ურთიერთობა გაწყვიტა სსრკ-სთან 1948 წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ (1980 წლის 4 მაისი) ხელისუფლება გადავიდა კოლეგიური მმართველობის ორგანოს ხელში. ეკონომიკური მდგომარეობა, სხვა კომუნისტური ქვეყნების მსგავსად იუგოსლავიაში სავალალო იყო, თუმცა ქვეყანას დაშლის საფრთხე არ ემუქრებოდა. უნდა დავადასტუროთ, რომ ის საშინელი კრიზისი რომლის მომსწრენიც ჩვენ გავხდით იუგოსლავიაში, მხოლოდ საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ დაიწყო.

სამხრეთ სლავების ტრაგედია. ტიტოს მიერ შექმნილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა ექვსი რესპუბლიკისგან შედგებოდა. გასაგებია რომ ეროვნული გრძნობები „ორი სართულისგან" შედგებოდა. ექვსი სხვადასხვა ერის ზემოთ იდგა იუგოსლაველი ერი. ესენი იყვნენ: სლოვენები, ხორვატები, სერბები, ჩერნაგორიელები, ბოსნია-ჰერცოგოვინელები, მაკედონელები და ასევე იუგოსლავები. ამ სისტემას რომ ემუშავა, როგორც გონებაში, ასევე გულებში, კანადისა და კვებეკის მდგავსად, რა ბედნიერება იქნებოდა ეს ევროპისთვის!

იუგოსლავიის მაგალითმა დაგვანახა, რომ ხალხს არა მარტო დიქტატორული იმპერიების ატანა არ შეუძლიათ, არამედ მათთვის ფედერაციული პრინციპიც მიუღებელია თუ ეს ხელოვნურად მოხდება და ზედაპირულია.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად სლოვენიამ 1991 წლის 25 ივნისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იგი იუგოსლავიის ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა იყო და მისი მოსახლეობა 2 მილიონ კაცს არ აღემატებოდა. ბელგრადი,

დასავლეთ ევროპის ზეწოლის გამო, იძულებული გახდა თავისი საჯარისო ნაწილები გაეყვანა სლოვენიიდან.

მეორე დღესვე ხორვატიამ განაცხადა რომ ისიც გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას. ყველაფერი აქედან დაიწყო. ერთის მხრივ, სერბებს უნდოდათ შეენარჩუნებიათ იუგოსლავიის ერთიანობა და ისინი კვლავ მტკიცე კომუნისტებად რჩებოდნენ. სერბეთის პრეზიდენტს, სლობოდან მილოშევიჩს, რომელიც ხმათა დიდი უმრავლესობით ხელახლა აირჩიეს 1992 წლის დეკემბერში, სურდა შეენარჩუნებია დიდი სერბეთი, რომელიც „გასუფთავებული" იქნებოდა სხვა ერებისგან. (ამას ეძახიან „ეთნიკურ წმენდას"). მას მხარი დაუჭირა მონტენეგრომაც. სირთულეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ბალტიის ქვეყნების მსგავსად მოსახლეობა აქაც ერთმანეთშია არეული. ყოფილ იუგოსლავიაში ცხოვრობდა 24 მილიონი ადამიანი, აქედან 36,3% იყო სერბი და 2,6 ჩერნაგორიელი. ხორვატიაში ცხოვრობდა 5 მილიონი ადამიანი და მათგან 11% იყო სერბი. ხორვატიის ერთ-ერთ პროვინციაში სლოვენიაში ძირითადად სერბები ცხოვრობდნენ. კოსოვოს მოსახლეობის 90% ალბანელი იყო. ალბანელებმა სტალინურ კომუნისტურ რეჟიმს დიდ არეულობაში დააღწიეს თავი. მათი დიდი ნაწილი იტალიაში გაიქცა, მაგრამ იტალიის მთავრობა, მიუხედავად დახმარებისა, იძულებული იყო ისინი სამშობლოში დაებრუნებია.

ევროკავშირმა და გაერომ აღიარა სლოვენიის, ხორვატიისა და ბოსნიის დამოუკიდებლობა, მაგრამ არ ცნობდა იუგოსლავიას, არც სერბეთისა და მონტენეგროს გაერთიანება, რომელიც ბარბაროსულ და მსოფლიოსთვის მოულებელ ქმედებებს ჩადიოდა ხორვატიაში (ვუკოვარი, დუბროვნიკი, კრაჟინა და სხვა) და ბოსნიაში.

ჩვენ აქ არ აღგვიწერია მოვლენათა განვითარება, არამედ გადმოვეცით ნაციონალიზმის გამოვლინება: სერბეთის „კომუნისტური" ნაციონალიზმი და „უბრალო" ნაციონალიზმი სლოვენების, ხორვატების და მუსულმანი ბოსნიელების, რომლებმაც ამჯობინეს სერბების ბატონობას თავისი პატარა ეროვნებების შენარჩუნება. ასევე საბერძნეთთან პრობლემა წარმოიშვა მაკედონიასთან დაკავშირებით. მათ

მოჰყავდათ დემოსთენეს სიტყვები, რომ მაკედონია წმინდა ბერძნული სიტყვაა და არ სურდათ იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკას მაკედონიის რესპუბლიკა დარქმეოდა. იუგოსლავიის კონფლიქტმა აჩვენა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების უძლურება. მათ თოთხმეტჯერ შესთავაზეს მოწინააღმდეგე მხარეებს ცეცხლის შეჩერება. არც ერთი მათგანი რამდენიმე ხანზე მეტად არ გაგრძელებულა. არც გაეროს ქონია უკეთესი შედეგები. გაერომ კონფლიქტის ზონაში 14000 ცისფერჩაფხუტიანი გააგზავნა. მასში შედიოდა: ფრანგები, ინგლისელები, რუსები და უკრაინელები. მათ ევალებოდათ დაეცვათ აეროპორტები და გზები, საიდანაც სურსათი და მედიკამენტები შედიოდა დაბომბილ ქალაქებში, თუმცა ამაოდ. მათ უფლება არ ჰქონდათ ჩარეულიყვნენ ომში. საფრანგეთსა და აშშ-ში მოლაპარაკებების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო სამხედრო ჩარევა. თავდაპირველად გამოიყენებდნენ ავიაციას. გაეროს ახალი გენერალური მდივანი ეგვიპტელი ბუტროს ბუტროს გალი ცდილობდა მოლაპარაკებების გზით მიეღწია წარმატებისთვის, როგორც ეს გააკეთა ნევილ ჩემბერლენმა 1938 წელს.

IV ევროპა და მისი პრობლემები

1985 წლამდე ერთიანი ევროპის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. 1992 წელს თითქოს ყველაფერი გაჩერდა. ჰორიზონტზე იმედის ნაპერწკალიც არ ჩანდა. 80-იანი წლების ბოლოს ევროპისკენ გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი ნაჩქარევი აღმოჩნდა. ზოგიერთი პრობლემა, რომელსაც ევროკომისიის საბჭოს პრეზიდენტი ლუქსემბურგელი გასტონ ტორნი გადააწყდა, გადალახა ფრანგმა ჟაკ დელორმა. იგი იყო საფრანგეთის ყოფილი ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი და ფრანსუა მიტერანის ახლო მეგობარი.

ჟაკ დელორის მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა ჩაციებოდნენ იურიდიულ საკითხებს ნაციონალიზმის ირგვლივ, არამედ საჭირო იყო მოემზადებინათ ნიადაგი და

ერთიანი საბაზრო სისტემა შეეთავაზებინათ გაერთიანების თორმეტივე წევრისათვის. სამთავრობათაშორისო კონფერენციამ, რომელიც მჭიდრო ურთიერთობით თანამშრომლობდა ევროსაბჭოსთან ბრიუსელში მიიღო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდა „ერთადერთი აქტი“ (1985 წლის დეკემბერი, რატიფიცირებულ იქნა 1986 წლის თებერვალში). მოლაპარაკების ყოველი წევრი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ შექმნილიყო დიდი ბაზარი, ერთიანი ეკონომიკური სივრცე 1992 წლის ბოლოსათვის. ამგვარად შეიქმნა „1993 წლის ჰორიზონტი". ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას და ასევე პროდუქციისა და კაპიტალის თავისუფალ ბრუნვას ამ ზონის ფარგლებში.

მთავარი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ წმინდა ეკონომიკურ ერთიანობას ჩანაცვლებოდა ევროპის კავშირი, რომელსაც ექნებოდა ფართო უფლებამოსილებანი. ეს გახდა მაასტრიხტის ხელშეკრულების მთავარი მიზანი.

მაასტრიხტის ხელშეკრულების ზოგადი მიმოხილვა. ამ თავში არ განვიხილავთ მოლაპარაკებათა ყოველ ეტაპს (ევროპის საბჭოს შეკრება მადრიდში 1989 წლის ივნისი და რომში 1990 წლის ოქტომბერი). მთავარი არის შედეგი, ანუ მაასტრიხტის ხელშეკრულება, რომელსაც 1991 წლის 11 დეკემბერს ხელი მოაწერა გაერთიანების თორმეტი წევრი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა. ხელმოსაწერად აირჩიეს ნიდერლანდების სამხრეთული ქალაქი, რომელიც რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული გერმანიისა და ბელგიის საზღვრებიდან. ამ ხელშეკრულებას დაერქვა „ევროკავშირის ხელშეკრულება“. ოფიციალურად მას ხელი მოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს. ამ პერიოდში დასავლეთში (აშშ-ში) და იაპონიაში მოხდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატასტროფა.

თავდაპირველად მიწათმოქმედთა უკმაყოფილება გამოიწვია „საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ", რომელიც შეიმუშავა ევროკავშირმა და დაეთანხმა მთავრობათა უმრავლესობა. მეორეს მხრივ, კორპორაციებს მოეჩვენათ,

რომ ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილებები უპასუხისმგებლო და არადემოკრატიული იყო.

ზოგ ქვეყანაში გაიმართა რატიფიკაციის საწინააღმდეგო გამოსვლები. ამან აჩვენა სისტემის სუსტი მხარეები. სამ ქვეყანაში: დანიაში, ირლანდიასა და საფრანგეთში კონსტიტუციური ცვლილებების გატარების შემდეგ ხელშეკრულება გაიტანეს რეფერენდუმზე. დანიაში მიუხედავად მთავრობის მოწოდებისა, ხალხმა მას მხარი არ დაუჭირა. ირლანდიაში მოსახლეობამ ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა, ხოლო საფრანგეთში კი შეიძლება ითქვას, რომ ძლივს გავიდა (51.05% მომხრე; 48.95 წინააღმდეგი, სულ 500 000 ხმით აჯობეს). ეს ფაქტი კატასტროფული იყო ჟაკ დელორისთვის.

დანიის მსგავსად დიდი ბრიტანეთიც წინააღმდეგი იყო ამ სისტემისა. პრემიერ მინისტრი ტეტჩერი არ ერიდებოდა და ხშირად ხმამაღლა აცხადებდა, რომ ის სულაც არ ფიქრობდა ევროპაზე. მის წარმომადგენელს ევროკომისიაში ხშირად ადანაშაულებდნენ, რომ ის იცავდა ბრიტანეთის ინტერესებს და არა ევროპის. დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი ჯონ მეიჯორი დათახმდა ხელშეკრულება გადაეცა რატიფიკაციისთვის პარლამენტისთვის მხოლოდ მას შემდეგ რაც დანია მიიღებდა. დანიამ ხელმეორედ დააყენა ხელშეკრულება რეფერენდუმზე და ამჯერად მას მოსახლეობამ მას მხარი დაუჭირა. ამასთანავე დანია და დიდი ბრიტანეთი მოითხოვდა, რომ მათზე არ გავრცელებულიყო ხელშეკრულების ზოგიერთი მოთხოვნა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი დრამა განვითარდა ფულად-საკრედიტო სისტემასთან დაკავშირებით. მაასტრიხტის ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ 1999 წლიდან ევროპაში შემოსულიყო ერთიანი ფული, რომელიც ჩაენაცვლებოდა ეროვნულ ვალუტებს. უკვე არსებობდა სუსტი ფულად-საკრედიტო ორგანიზაცია „ევროპის ფულად-საკრედიტო სისტემა", რომელსაც დიდი ხნის უარის შემდეგ შეუერთდა ინგლისი.

1992 წლის 20 სექტემბრის რეფერენდუმამდე 4 დღით ადრე გაირკვა, რომ (გავიხსენოთ ფინეთის მაგალითი, რო

XVIII. ᲗᲠᲝᲯᲐ 1993 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ


ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ
ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ (ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲐ)
ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ (ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ)
ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ
ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

მელიც ექსპორტს აწარმოებდა სსრკ-სთან, რომელიც მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა, მისი მარკა გაუფასურდა) ფუნტი სტერლიგი, იტალიური ლირა გამოდიოდნენ „ევროპის ფულად-საკრედიტო სისტემიდან".

მაასტრიხტის ხელშეკრულების შინაარსი. მართლაც ძალიან ძნელია რამდენიმე გვერდში მოვათავსოთ მაასტრიხტის ხელშეკრულება. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი, ის ძალიან დიდია, თავად ხელშეკრულების ტექსტი 200 გვერდია, ამას ემატება ოთხმოცდაათ გვერდიანი „პროტოკოლი" და ოცდაათგვერდიანი „ფინალური აქტი", რომელიც 34 დეკლარაციისაგან შედგება.

ბუნებრივია, ამგვარ ძეგლს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები ერთ დღეში ვერ შექმნიან. მასზე 15 000 ფუნქციონერი მუშაობდა ბრიუსელში. მიუხედავად ყველაფრისა ხელშეკრულება საკმაოდ ბუნდოვანია. ისტორიული გამოცდილება კი გვიჩვენებს რომ დიდი და ბუნდოვანი ხელშეკრულებები მრავალი გაურკვევლობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამ თავის მთავარი თემაა „ეკონომიკური კავშირიდან" „ევრო კავშირისკენ".

ხელშეკრულების მიზანია შეიქმნას ერთიანი მოქალაქეობა (ზოგ შემთხვევაში ხმის მიცემის უფლება კავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისა წევრ სახელმწიფოებში) და განსაკუთრებით კი კავშირის სამოქმედო არეალის გაფართოება: ურთიერთობების კიდევ უფრო დაახლოება ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, ერთობლივი კვლევების წარმოება, გარემოს უკეთ დაცვა და ა.შ. კულტურა თითოეული წევრის გამგებლობაში რჩება.

ხელშეკრულების თანახმად მსუბუქად გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილება.

ევრო კავშირის ორგანოები განსაზღვრულია ოთხ პარაგრაფში:

— ევრო პარლამენტი
— საბჭო
— კომისია

— სასამართლო პალატა

ამას ემატება „ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა“ და „ევროპის ცენტრალური ბანკი“.

ამ ორგანოებს შორის ურთიერთობა საოცრად რთული და დაწვრილმანებულია. ამს ემატება 'სუბსიდირების“ პრინციპი. საკმაოდ რთულია იმის გაგება, თუ როგორ და ვის ვინ ახორციელებს სუფსიდირებას.

საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა. ჩვენთვის კარგად ცნობილ ფედერაციებში (აშშ, შვეიცარია) ფედერაცია ძირითადად განსაზღვრავს სამ მიმართულებას. პირველი, ეს არის ეპონპმოკური პოლიტიკა, რომელიც ევროპაში ოცი წლის მანძილზე ყალიბდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო.

მეორე, ეს არის საგარეო პოლიტიკა, და მესამე, თავდაცვის პოლიტიკა. მაასტრიხტის ხელშეკრულებამდე ამ სფეროებში ქვეყნები ინარჩუნებდნენ სრულ დამოუკიდებლობას. იუგოსლავიაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებულმა თოთხმეტმა წარუმატებელმა გადაწყვეტილებამ აჩვენა, რომ ევრო კამშირს თავდაცვის არანაირი ძალა არ გააჩნდა.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა და ამ საკითხს მთელი V თავი დაუთმო. პირველ პარაგრაფში ნათქვამია, რომ, „კავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ და ეწევიან ერთიან საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას“. V თავის შემდეგ ცხრა პარაგრაფში უხვადაა ჩამოთვლილი ის სურვილები რაც არ მიმართულებით უნდა გაკეთდეს. მაგრამ არაფერია ნათქვამი თუ როგორ უნდა მიაღწიონ ამას. როცა ვხედავთ რომ სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა სპარსეთის ყურის ომის გამო დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას შორის, როცა ვხედავთ რომ საბერძნეთი თითოს თავისთვის მარტოა, სერბეთი კი ომშია ჩაფლული, ძნელია ეჭვების გაჩენას ხელი შეუშალო.

ძალიან ძნელია, ამგვარ წიგნში გადმოგცეთ მოსაზრებე-

ბი მაასტრიხტის ხელშეკრულების მომავალზე, ის რაც ასე მნიშვნელოვანია ევროპის მომავლისთვის. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმით რომ გავიხსენებთ რამდენიმა მყისიერ რეაქციას, შემდეგ კი შემოგთავაზებთ რამდენიმე მოსაზრებას იმ საკითხის შესახებ რომელსაც ანრი ბერგსონმა უწოდა „ჩაკეტილი ევროპა“ და „ღია ევროპა“.

მყისიერი რეაქცია. მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მაასტრიხტის ხელშეკრულების მომხრეები ფიქრობდნენ რომ ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმა არ ღირდა მაშინაც კი, თუ უმნიშვნელო შედეგს მოიტანდა. უფრო მეტიც, მიაჩნდათ რომ მისი უარყოფა დიდ არეულობას გამოიწვევდა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები, უკიდურესი მემარჯვენე ულტრანაციონალისტებისა და უკიდურესი მემარცხენე კომუნისტების გარდა, მომხრენი იყვნენ ევროპის გარკვეული ფორმით გაერთიანებისა მაგრამ არა მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთიანობისა. მთავარი რასაც ამ ხელშეკრულებას საყვედურობდნენ იყო მისი არადემოკრატიულობა.

ყველა შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ 1993 წლის დასაწყისში მნიშვნელოვანი სირთულეები წარმოიშვა ერთიანი ევროპის მშენებლობის საქმეში, იმათ სამწუხაროდ ვინც 1992 წელს ფიქრობდა რომ შემდეგ წელს ყველაფერი მოგვარდებოდა. ეკონომიკურ ასპექტშიც, საზღვრების სრული გახსნა არასარულყოფილად განხორციელდა. მრავალი ქვეყანა, მათ შორის ინგლისი, ირლანდია, დანია, ამას საერთოდ არ დაეთანხმა. ბოლოს საზღვრები გაიხსნა ვაჭრობისთვის, მაგრამ ხალხისთვის კვლავ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. განსხვავებული საემიგრაციო კანონმდებლობა საშიშს ხდიდა საზღვრების სულ გახსნას. ამასთანავე სირთულეები შეექმნა ვაჭრობასაც. გაიზარდა ნარკოტიკებით ვაჭრობა, დანაშაული, იტალიური და სხვა ქვეყნების მაფია (რუსეთი, იაპონია და სხვა) ევროპის კონტინენტზე გაიშალა. ყოველივე აქედან გამომდინარე ფიქრობდნენ რომ მიღებული გადაწყვეტილებები ნადრევი იყო.

ჩაკეტილი ევროპა. ღია ევროპა. მიუხედავად მაასტრიხტის შეთანხმებისა, და შესაძლოა აქ დადებული ხელშეკრულების შედეგების გამოც ევროპა საკმაოდ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. შესაძლოა ეს ის შემთხვევა იყო, როცა ევროპის მომავალზე უნდა დაფიქრებულიყვნენ. ძლიერი კავშირის შექმნა ევროპის კონტინენტზე მცხოვრებ ყველა ხალხს სურდა. მაგრამ აირჩიეს კი მათ სწორი გზა?

აქ კიდევ ერთმა საკითხმა იჩინა თავი: კავშირი ყოფილიყო ჩაკეტილი თუ ღია. ჩაკეტილი გაერთიანება გულისხმობს სავალდებულო წესებიდან შექმნილ ციხესიმაგრეს, რომელთაც უპირობოდ უნდა დაეთანხმოს კავშირში შესვლის ყველა მსურველი. ეს ეხება როგორც ევროპის ეკონომიკურ კავშირს, ასევე ევრო კავშირს, ანუ იმ ევროპას რომლის ცენტრი ბრიუსელია. მასში შედის უამრავი მოხელე, გაბერილი უფლებებით, ხშირად უპასუხისმგებლო ბიუროკრატიული აპარატი. ამჟამად ევროპის განაპირა ქვეყნები (შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, ავსტრია) მსჯელობენ, თავიანთი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, გახდნენ თუ არა ევროკავშირის წევრები. შვეიცარიამ უარი განაცხადა კავშირში შესვლაზე. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ყოფილი სატელიტები, რომლებმაც სულ ახლახანს მოიპოვეს დამოუკიდებლობა მიუხედავად მათი სურვილისა ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო ევროკავშირის წევრები ჯერ ვერ გახდებიან. (ჯერ უნდა მიიღონ საბერძნეთი, რომლის შიდა ეროვნული პროდუქტი საკმაოდ მცირეა).

ამგვარად, ბრიუსელის ევროპა საკმაოდ ჩაკეტილია, თითქოს თავის თავშია ჩაკეტილი. და მართალია ისიც, რომ მისი ზოგიერთი წევრი, სახელდობრ დიდი ბრიტანეთი თავის პირობებს აყენებს.

ამგვარად, ნაკლებად პოეტურად რომ ვთქვათ ევროპა „სხვადასხვა სიჩქარეშია". მისი ჩაკეტილი ნაწილისთვის მთავარია ერთიანობა, თუმცა საპირისპიროს ამჟღავნებს.

ამასთანავე არსებობს უფრო შესაძლებელი და ღია ევროპა. იგი კი უარყოფს მკაცრ რეგლამენტს, რომელიც ხშირად მის წევრებს ამდაბლებს და ნელ-ნელა პროგრესუ-

ლად იღებს თავის წიაღში ყველა ნამდვილად ევროპულ ერს. მის წევრებს რაღაც დროით შეუნარჩუნდებათ ფართო უფლებები, მაგრამ რაც შეეხება კულტურას, მას შეზღუდვები არასოდეს შეეხება.

ყველა ფედერაციამ წარმატებას მიაღწია მოქნილი და ღია ფედერაციული სისტემის წყალობით. 1776-1789 წლებში ჩრდილოეთ ამერიკის ცამეტი კოლონია სწორედ ამგვარი სისტემის საფუძველზე გაერთიანდა. 1815-1866 წლებში გერმანია არსებობდა „ბუნდების“ კონფედერაციის სახით. გერმანულ ენაში კარგად განსხვავდება ერთმანეთისგან „Staatenbund“ ანუ სახელმწიფოთა (მიწების) კონფედერაცია და „Bundesstaat“ ანუ ფედერაციული სახელმწიფო. შვეიცარიას ეწოდებოდა „ჰელვეციის კონფედერაცია“, რადგან მისი არსებობის პირველი შვიდი საუკუნე კონფედერაციული იყო. და დღესაც ფედერაციის შემადგენელ კანტონებს უზარმაზარი უფლებები გააჩნიათ.

კონფედერაციულ სისტემას სამი უპირატესობა გააჩნია. პირველი, ის ფართოდ არის გახსნილი, და ის საშუალებას იძლევა მასში გაერთიანდეს განსხვავებული ქვეყნები. მეორე, მისი უმთავრესი ზრუნვის საგანია საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ეს ორი ფენომენი მხოლოდ სურვილების სახით არის წამოდგენილი.

თავისთვად ცხადია ამის შემოქმედი არის ისტორია და არა რომელიმე პოლიტიკოსი, და ისტორიის პერსპექტივები დირექტივებში არ უნდა ავურიოთ.

უახლესი ისტორია ხელს ვერ შეგვიშლის შევაჯამოთ დიდი ფრანგების დე გოლისა და ჟან მონეს მოსაზრებები. დე გოლი მონეზე მეტად ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევის მომხრე იყო. რა თქმა უნდა ამაში საძრახისი არაფერია, თუ ის არ გადაიზრდება შოვინიზმში, შეუწყნარებლობაში, რასიზმსა და იმპერიალიზმში. ჟან მონე 1914 წლიდან ნამდვილი კოსმოპოლიტია, და მასში ეროვნული გრძნობები ნაკლებად იჩენს თავს. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს ის დიდსულოვნება რომელსაც ის ერების მიმართ იჩენს, დიდი იქნება თუ პატარა.

ჟან მონე თავისი გასაოცარი კავშირებისა და „ევროპის შეერთებული შტატების სამოქმედო კომიტეტის“ წყალობით მუდამ იქნება ელიტარული ადამიანი. თანამედროვე ევროპას შეიძლება ვუსაყვედუროთ რომ ის იწვევს ინტელექტუალური, სოციალური და პოლიტიკური ელიტის ინტერესს, მაგრამ არა ხალხის ინტერსს. რეფერენდუმებმა და ევრო ასამბლეის არჩევნებმა ეროვნებათა არჩევნების სახე მიიღო.

ევროპა დიდხანს ვერ იცოცხლებს დემოკრატიის გარეშე. ჩემსავით ბევრს მიაჩნია, რომ ბრიუსელის ევროპა უფრო ავტორიტარული, მომთხოვნი და ჩაკეტილია, ვიდრე ლიბერალური, ტოლერანტული და ღია.